იოსებ (სოსო) ციწცაძე

დიპლომატია
ბიშელიედან გორბაჩოვამდე



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2016

© იოსებ (სოსო) ციწცაძე, 2016

გამომცემლობა „უნივერსალი", 2016
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19. ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-881-0

სარჩევი

შესავალი: მსოფლიო ცივილიზაციის მეწყვილე 5
თავი პირველი: რიშელიედან ვილჰელმ ორანელამდე..... 23
თავი მეორე: „ფრანგული საუკუნის“ დასასრული.
რუსეთის ევროპული დებიუტი..... 69
თავი მესამე: ევროპა ნაპოლეონიდან მეტერნიხამდე 82
თავი მეოთხე: ვენის კონგრესი და კონგრესების სისტემის
დასასრული..... 135
თავი მეხუთე: ვენის სისტემის დასასრული და
„აღმოსავლეთის საკითხი“ 157
თავი მეექვსე: რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლის ომი
და ბერლინის კონგრესი 206
თავი მეშვიდე: ანტანტა და „სამთა კავშირი“. დიდი ომის დასაწყისი..227
თავი მერვე: თებერვლის რევოლუცია და რუსეთის
გამოსვლა ომიდან..... 285
თავი მეცხრე: გერმანიის კაპიტულაცია 313
თავი მეათე: ვერსალის სამშვიდობო კონფერენცია..... 332
თავი მეთერთმეტე: გერმანია: ვერსალიდან ჰიტლერამდე 358
თავი მეთორმეტე: ფაშისტური გერმანია და ბოლშევიკური
რუსეთი საერთაშორისო არენაზე 393
თავი მეცამეტე: ტრიუმფალური მარშით კატასტროფისაკენ 418
თავი მეთოთხმეტე: რუბიკონი 457
თავი მეთხუთმეტე: ორი დიქტატორი..... 491
თავი მეთექვსმეტე: ამერიკა: იზოლაციონიზმიდან კოალიციისაკენ... 531
თავი მეჩვიდმეტე: რთული პარტნიორობა. „ცივი ომის“
პირველი სუსხი..... 563
თავი მეთვრამეტე: ომი და დიპლომატია. ბირთვული
დიპლომატიის კორექტივები 599
თავი მეცხრამეტე: ტრუმენი და სტალინი: ორი კერკეტი კაკალი 655
თავი მეოცე: „ცივი ომის“ ქრონიკები 689
თავი ოცდამეერთე: დიქტატურიდან „ვოლუნტარიზმამდე“..... 750
თავი ოცდამეორე: ომის შემდგომი ევროპული დიპლომატია..... 876
თავი ოცდამესამე: ვიეტნამი. ნიქსონი და განმუხტვა..... 962
თავი ოცდამეოთხე: ავღანეთი: საბჭოთა იმპერიის
აგონიის დასაწყისი..... 1030
თავი ოცდამეხუთე: ბირთვული დიპლომატია 1050
თავი ოცდამეექვსე: საბჭოთა იმპერიის კრახი 1112
გამოყენებული ლიტერატურა..... 1122

Contents

Introduction: Diplomacy as Lifelong Pair of Civilization 5
Chapter I : From Richelieu to Wilhelm of Orange 23
Chapter II: End of "French Era". Russia's European Debut 69
Chapter III: Europe from Napoleon to Metternich 82
Chapter IV: The Vienna Congress and the End of the System of Congresses 135
Chapter V: End of the Vienna System and Issue of the East 157
Chapter VI: Russian -Turkish War of 1877-1878 and the Berlin Congress 206
Chapter VII: ANTANTA and "The Union of the Three". Beginning if the Great War 227
Chapter VIII: The Revolution of February and Russia's Brexit out of the War 285
Chapter IX: Capitulation of Germany 313
Chapter X: Peace Conference in Versailles 332
Chapter XI: Germany from Versailles to Hitler 358
Chapter XII: Fascist Germany and the Bolshevik Russia on International Arena 393
Chapter XIII: Triumphant March towards Catastrophe 418
Chapter XIV: The Rubicon 457
Chapter XV: Two Dictators 491
Chapter XVI: USA - from Isolationism to the Coalition 531
Chapter XVII: Difficult Partnership. First Signs of the Cold War 563
Chapter XVIII: War and Diplomacy. Corrections of Nuclear Diplomacy 599
Chapter XIX: Trumann and Stalin : Two Hard Nuts 655
Chapter XX: Chronicles of the Cold War 689
Chapter XXI: From Dictatorship to Voluntarism 750
Chapter XXII: Post-War Diplomacy 876
Chapter XXIII: Vietnam. Nixon and Warming up of Political Climate 962
Chapter XXIV: Afghanistan. Beginning of Agony 1030
Chapter XXV: Nuclear Diplomacy 1050
Chapter XXVI: Agony and Falling Apart of the Empire 1112
Literature 1122

ეძღვნება დიდი ქართველი დიპლომატის
ალექსანდრე (საშა) ჩიკვაიძის ნათელ ხსოვნას

დიპლომატია რიშელიედან გორბაჩოვამდე

„დიპლომატია არის ცივილიზაციის საუკეთესო
აღმოჩენა, რათა ძალა არ იქნეს გამოყე]ნებული
სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში“.
ა. ბრაგლი, ფრანგი დიპლომატი

შესავალი:
მსოფლიო ცივილიზაციის მეწყვილე

კაცობრიობას ცოტა თუ შეუქმნია ისეთი ფართო უნივერსალური გამოყენებითი რესურსის მქონე სფერო და პროფესია, როგორიცაა დიპლომატია. საუკუნეთა მანძილზე იგი სახელმწიფოთა, ინდივიდთა და ადამიანთა ჯგუფებს შორის ურთიერთობათა რეგულირების ეფექტურ მექანიზმად იქცა.

1645 წლიდან მოყოლებული, სულ უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება ტერმინი „დიპლომატია“, ხოლო 1693 წელს ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი და ლიტერატორი ჰ. ლეიბნიცი აქვეყნებს „დიპლომატიური სამართლის კრებულს“ და სათავეს უდებს საერთაშორისო ურთიერთობებთან მის ფაქტიურ გაიგივებას. მოგვიანებით, 1716 წელს, საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XIV-ის ელჩი და შემდგომში მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე ფრანსუა კალიერი გამოსცემს წიგნს „სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკებების საშუალებები“, სადაც ტერმინ „დიპლომატის“ შესატყვისად „მომლაპარაკებელს“ იყენებს, თუმცა „დიპლომატია“ ნახსენებია დღევანდელ კონტექსტში და იგი განხილულია როგორც ხელოვნება და მეცნიერება.


რაც მთავარია, ფრანგი დიპლომატის ნაშრომში პირველადაა წინა პლანზე წამოწეული მაღალი მორალური პრინციპები. საქმე ის გახლავთ, რომ მანამდე (ბერძნულ-რომაული პერიოდის ჩათვლით), დიპლომატისათვის ჩვეულებრივ ნორმად იყო მიჩნეული სიცრუე, პარტნიორის მოტყუება და ელემენტარული თაღლითობა. „სინამდვილეში სიცრუე არის მომლაპარაკებლის ჭკუის შეზღუდულობის მაჩვენებელი. საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ წარმატების მისაღწევად მუდამ გამოიყენებოდა სიცრუე. მის ადგილას მუდამ რჩებოდა შხამის წვეთები და სიცრუით მიღწეული ყველაზე ბრწყინვალე შედეგებიც კი არამყარ ნიადაგზეა აღმოცენებული. წარმატებით წარმოებული, პატიოსანი და მაღალ ინტელექტზე დაფუძნებული მოლაპარაკებები უდიდეს უპირატესობას ანიჭებს დიპლომატს დიალოგში, რომელსაც ის მომავალში აწარმოებს“, – წერდა ფ. კალიერი (1). მას ღრმად სწამდა, რომ მატყუარა ადამიანი არ შეიძლება სხარტი გონების პატრონი იყოს და ამის საშუალებით აღწევდეს წარმატებას მოლაპარაკებებში. იცვლებოდა ეპოქები და ჩვეულებები, მაგრამ უცვლელი რჩებოდა ფ. კალიერის მიერ „ინვენტარიზებული“ სპეციფიური თვისებები და მახასიათებლები, რომელიც მუდამ ძვირად ფასობდა: ცოცხალი და შრომისმოყვარე გონება, საღი აზრი, მოვლენათა ადეკვატური აღქმა, ყველაზე მოკლე და ბუნებრივი გზით სვლა მიზნისაკენ, გამჭრიახობა და სწრაფი აზროვნების უნარი, ყურადღებით სმენის ჩვევა, თავაზიანობა და მოთმინება, აკვიატებული აზრებისა და წარმოდგენებისაგან თავისუფლება – აი, ის აუცილებელი თვისებები, რომლის გარეშეც ფ. კალიერისათვის დიპლომატი არ არსებობდა.

ფ. კალიერი ასევე დიდ ყურადღებას ანიჭებდა დიპლომატის განათლებულობას, ენების (პირველ რიგში ლათინურის), ისტორიის, მემუარული ლიტერატურის ცოდნას. ფ. კალიერის დროს გაქრა დიპლომატის როგორც კარგი ორატორის ფუნქცია, ფ. კალიერის ყურადღების მიღმა აღმოჩნდა მჭერმეტყველების მნიშვნელობა.

უკანასკნელის როლი კვლავ გაიზარდა მოგვიანებით, როდესაც XX საუკუნის დიპლომატიაში დემოკრატიულმა მეთოდებმა იმძლავ-

რა. დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ფ. კალიერი უალტერნატივო უნდობლობას ავლენს დილეტანტებისადმი და სრული ნდობითაა გამსჭვალული პროფესიონალებისადმი. ოთხ კატეგორიად დაჰყო მან მისივე თანამედროვე დიპლომატები. ესენია: ელჩები, დესპანები, მინისტრი-რეზიდენტები და დეპუტატ-კომისრები. მონარქს საზღვარგარეთ წარმოადგენდა ელჩი, დესპანები წარმოადგენდნენ მთავრობას, ხოლო კიდევ უფრო დაბალ იერარქალურ საფეხურზე იდგნენ მინისტრ-რეზიდენტები, დეპუტატ-მინისტრები კი მხოლოდ თავისუფალ ქალაქებს წარმოადგენდნენ და მათ არ შეეძლოთ დიპლომატიურ პრივილეგიებზე ჰქონოდათ პრეტენზია.

უცნაური ბედისა იყო თვითონ ზემოდ ნახსენები წიგნი – მას ავტორი მთელი 15 წლის მანძილზე არ აქვეყნებდა, რამეთუ სახარების დონემდე აყვანილ მ. მაკიაველის შეხედულებათა თავდაყირა დაყენება ფ. კალიერს სერიოზული კარიერული რისკების შემცველად მიაჩნდა (ალბათ, არცთუ უსაფუძვლოდ).


DE LA
MANIERE
DE NEGOCIER
AVEC
LES SOUVERAINS.
De l'utilité des Negociations, du choix des Ambassadeurs & des Envoyez, & des qualitez neceſſaires pour réüſſir dans ces emplois.
Par M. DE CALLIERES, Conſeiller Ordinaire du Roi en ſes Conſeils, Secretaire du Cabinet de Sa Majeſté, ci-devant Ambaſſadeur Extraordinaire & Plenipotentiaire de ſon Roi, pour les Traitez de Paix conclus à Ryſwyck. Et l'un des Quarante de l'Academie Françoiſe.
A AMSTERDAM,
Pour LA COMPAGNIE.

ფრანსუა კალიერი.
"სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების საფუძვლები".
ამსტერდამი, 1716 წ.

საბოლოო ჯამში, წიგნმა მკითხველამდე მხოლოდ 1716 წელს მიაღწია და მყისიერად იქცა ბესტსელერად როგორც დარგის სპეციალისტთა, ასევე ფართო საზოგადოებისათვის. იგივე ჰ. ნიკოლსონი მას დიპლომატიაზე დაწერილ საუკეთესო წიგნად ახასიათებდა. ინგლისელი დიპლომატის გაოცებასა და აღტაცებას (როგორც თვითონ წერდა) იწვევდა XVII საუკუნის ავტორის რწმენა, რომ ქალები ისეთივე კარგი დიპლომატები შეიძლება გახდნენ, როგორებიც არიან ჩვეულებრივ მამაკაცები. დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა ფ. კალიერის შენიშვნებს დიპლომატიის საშუალებით კონფლიქტთა დარეგულირე-

ბის თაობაზე; მისი აზრით, კონფლიქტების გადაჭრას ხშირად ხელს უშლის არა დიპლომატთა უუნარობა, არამედ მათი დაგვიანებული ჩართვა დარეგულირების პროცესში, როდესაც კონფლიქტი სიმწვავის ზედა ზღვარს აღწევს. ფ. კალიერი კვლავ და კვლავ უბრუნდება პროფესიონალ მომლაპარაკებელთა (იგივე დიპლომატთა) პრობლემას და ხაზგასმით მიუთითებს იმ პოტენციურ საფრთხეზე, რაც მუდამ თან სდევს მოყვარულ მომლაპარაკებელთა (ჩვენი დროის „არასამთავრობოების“ წინაპრების) ილუზორულ თვითდაჯერებულობას.

ფ. კალიერმა პირველმა დაასაბუთა, რომ პროფესიონალმა დიპლომატმა მოლაპარაკებათა პროცესში უნდა შესძლოს მეორე მხარის თვალით შეხედოს სადაო პრობლემას, „ჩაჯდეს მის ტყავში“ ეს თეზისი დღეს, ალბათ, ისევე აქტუალურია (შეიძლება მეტადაც), როგორც ოთხი საუკუნის წინ იყო. და კიდევ ერთი – თუ ფ. კალიერის წინამორბედი ავტორები ყურადღებას უმთავრესად ამახვილებდნენ იმ ჩვევებსა და პირად თვისებებზე, რომლის გათვალისწინებითაც დიპლომატიური მისია მიენდობოდა პიროვნებას, მან ის უარყოფითი თვისებებიც დააკონკრეტა, რომელიც მიუღებელია დიპლომატიაში. ასეთებია: ამპარტავნობა, პარტნიორების უპატივცემულობა, მუქარის ტონით საუბარი, მტრული პოზიციის დემონსტრირება, გაღიზიანება, საკუთარ თავზე მაღალი წარმოდგენა. აქედან გამომდინარე, ელჩად არ შეიძლება დანიშნულიყო აზარტული მოთამაშე, ლოთი, იოლად ამღგზნები, საეჭვო რეპუტაციის მქონე პიროვნება და თავნება ადამიანი.

ჟანრის კლასიკადაა ქცეული კიდევ ერთი ნაშრომი სახელწოდებით „დიპლომატი“, რომლის ავტორი, გამოჩენილი ფრანგი მოღვაწე, ვერსალის ისტორიული სამშვიდობო კონფერენციისა და სხვა ბევრი დიპლომატიური ბატალიების მონაწილე ჟიულ კამბონი თავს არიდებს დიპლომატიის ზუსტ განსაზღვრას, თუმცა მკითხველი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ეს არის მოლაპარაკებების წარმოების, ხელშეკრულებების გაფორმების, ძალის გამოყენების აუცილებლობის თავიდან აცილების ხელოვნება (2).



ჯიულ კამბონი - ფრანგი დიპლომატი, ავტორი წიგნისა "დიპლომატი" (1845-1935)

დიპლომატიის კონკრეტულ განსაზღვრას თავის ცნობილ წიგნში „დიპლომატია“ (3) არ იძლევა არც ვერსალის კონფერენციის მეორე მონაწილე, ინგლისელი დიპლომატი და მწერალი ჰ. ნიკოლსონი ფრანგი კოლეგის მსგავსად, აქცენტი მასაც მოლაპარაკებების წარმოებაზე და მომლაპარაკებებზე (იგივე დიპლომატებზე) გადააქვს: „დიპლომატია არის საერთაშორისო ურთიერთობების წარმოება მოლაპარაკებების საშუალებით. ეს არის მეთოდი, რომლის დახმარებითაც ეს ურთიერთობები რეგულირდება“. დიპლომატიის ხელოვნების დანიშნულებად კი ჰ. ნიკოლსონი „საერთაშორისო ნდობის შექმნას“ მიიჩნევს. ასეთივე აზრისაა დიპლომატიაზე რუსი დიპლომატი და მეცნიერი ვ. პოპოვი, რომლის აზრითაც დიპლომატია ერთდროულადაა მეცნიერებაცაა და მოლაპარაკებების წარმოების ხელოვნებაც (4).

როგორც ვხედავთ, თითქმის საერთო აზრით, დიპლომატია ერთდროულად მეცნიერებაცაა და ხელოვნებაც. ზოგიერთი დასავლელი სპეციალისტი მას უფრო ხელოვნებად მიიჩნევს, ვიდრე მეცნიერებად. ამით ისინი მოლაპარაკებების წარმოების პროცესში დიპლომატის პირად თვისებებს ანიჭებენ უპირატესობას, ანუ დიპლომატი უკვე მიღებული გადაწყვეტილებების მაღალკვალიფიციური შემსრულებელი და ინფორმაციის ჭკვიანი შემგროვებელია იმ ადამიანებთან პირადი კონტაქტების საშუალებით, რომელნიც მისთვის საინტერესო ინფორმაციას ფლობენ.

რამდენადაა დიპლომატია უძველესი პროფესია და ვინ იყვნენ პირველი დიპლომატები?

XVI საუკუნეშიც კი სეროზულად თვლიდნენ, რომ პირველი დიპლომატები ანგელოზები იყვნენ, ვინაიდან მათი ფუნქცია ცასა და დედამიწას შორის შუამავლობა (ელჩობა) იყო. ცხადია, ამ ვერსიის მომხრეები დღეს უიმედო უმცირესობაში იმყოფებიან. უფრო დამჯერებლათ გამოიყურება თვალსაზრისი, რომ დიპლომატია წარმოიშვა გვაროვნულ საზოგადოებასთან ერთად, როდესაც ადამიანებმა, ტომებმა, დაიწყეს გაცვლითი ურთიერთობები და მათ შორის თავი იჩინა პირველმა სადაო საკითხებმა. თანდათანობით ადამიანები იმ ლოგიკურ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ წამგებიანი იყო ყველა დავის გადაჭრა მხოლოდ ძალის გამოყენებით. მეცნიერულადაა დამტკიცებული, რომ ჩვენს ერამდე უკვე XV საუკუნეში ეგვიპტე საერთაშორისო ხელშეკრულებებს დებდა, თანაც ჩვენს თანამედროვეობასთან მიახლოებული დიპლომატიური ხელოვნებით. ჩვენს ერამდე XII საუკუნეში კი ეგვიპტელებსა და ხეთებს შორის ფუნქციონირებდა ურთიერთდახმარების სამხედრო ხელშეკრულება, რომელიც შიდა მოწინაღმდეგეებთან დახმარებასაც ითვალისწინებდა.

კიდევ უფრო ადრე, ოთხი ათასი წლის წინ, ეგვიპტელებზე გაცილებით მაღალ დონეზე იდგა ინდოეთის დიპლომატია; იქ უკვე არსებობდა საერთაშორისო სამართლის ჩანასახი და დიპლომატიური ხელოვნება. ინდოეთის მკვიდრთათვის ცნობილი იყო პრევენციული დიპლომატიაც (ომების თავიდან აცილების დიპლომატიური საშუალებები). ძველი აღმოსავლეთის (ინდოეთის) დიპლომატიისა და საერთაშორისო სამართლის უნიკალურ ძეგლს წარმოადგენს მანუს კანონები. მართალია, ორიგინალმა ვერ მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ მოგვიანებით გალექსილი მისი შინაარსი (რომელიც მკლევართა აზრით, უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეს განეკუთვნება და კლასიკურ სანსკრიტზეა დაწერილი), წარმოდგენას გვაძლევს ძველ ინდოელთა შეხედულებაზე. მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება – აი, დიპლომატიის მთავარი ამოცანა და დანიშნულება მანუს მოძღვრების თანახმად: „მშვიდობა და მისი საპირისპირო (ომი) დამოკიდებულია ელჩებზე, ვინაიდან მხოლოდ ისინი ქმნიან მტრებსაცა

და მოკავშირეებსაც. მათ გამგებლობაშია ის საქმეები, რომელთა გამოც მეფეებს შორის ადგილი აქვს ომსაცა და მშვიდობასაც“ (5). უკანასკნელის გათვალისწინებით კი რჩევა ეძლევა მონარქს – დიპლომატები დანიშნოს დიდი სიფრთხილითა და საფუძვლიანი შერჩევით, კერძოდ კი, დიპლომატი უნდა იყოს მომწიფებული ასაკის, კარგი მესხიერებით, წარმოსადეგი, დაკისრებული მოვალეობისადმი ერთგული, პატიოსანი, მარჯვე, გაბედული, მჭერმეტყველი, მოქმედების დროსა და ადგილში გარკვეული. პიროვნულ თვისებათა ასეთი თაიგულის შემდეგ ისღა დაგვრჩენია დავინტერესდეთ – რამდენი თანამედროვე დიპლომატი გაივლიდა ასეთ ტესტირებას?

ისევე როგორც ბევრ სხვა სფეროში, შთამბეჭდავად გამოიყურება ძველი ჩინეთის მიღწევები დიპლომატიაში. სწორედ აქ არის შემონახული ისტორიისათვის ცნობილი პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებები თავდაუსხმელობაზე.

და მაინც, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ მეცნიერები, არც აფრიკის და არც აზიის ძველი სახელმწიფოების დიპლომატიამ რაიმე მნიშვნელოვანი კვალი ვერ დაამჩნია მსოფლიო დიპლომატიას. ამ გარემოებას კი სპეციალისტები იმდროინდელ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ინტენსიური კავშირების უქონლობით ხსნიან. სულ სხვა იყო ძველი საბერძნეთისა და ბიზანტიის დიპლომატიის როლი და გავლენა მსოფლიო დიპლომატიის გენეზისზე. ძველმა ბერძნებმა შეიტანეს თვალსაჩინო წვლილი საერთაშორისო ურთიერთობების მეთოდოლოგიის განვითარებაში. მათ დაამკვიდრეს მოლაპარაკებების წარმოების წესები, ელჩებისა და კონსულების ფუნქციები. ძველი ბერძნები ქმნიან პირველ დიპლომატიურ ლექსიკონს, სადაც სიტყვა „სპონდე“ საზეიმო წმინდა დაზავებას ნიშნავს, რომელიც ოლიმპიური თამაშების პერიოდში ცხადდებოდა, ხოლო ომის დასასრული და მშვიდობის დამყარება აღინიშნებოდა სიტყვით ეირენე“. ჩვენს ერამდე V საუკუნეში ბერძნებმა შეიმუშავეს საერთაშორისო ურთიერთობათა განშტოებული სისტემა, დაამუშავეს ომების გამოცხადების, ზავის დადების, ხელშეკრულებების რატიფიკაციის, არბი-

ტრაქისა და ნეიტრალიტეტის ნორმები. მყარი წესები მოქმედებდა ელჩების გაცვლის, მოქალაქეობის მინიჭების, დამნაშავეთა გადაცემების პროცედურებში. უკვე არსებობდა ომის წესები (ჟენევის კონვენციის ანალოგი). ბერძნები სისტემატურად გზავნიდნენ ელჩებს უცხო ქვეყნებში. ესენი იყვნენ „ერთჯერადი“ ელჩები და ასეთებსვე ღებულობდნენ თვითონაც. ელჩებად არჩევდნენ პატივცემულ და ჭკვიან ადამიანებს. ზოგიერთ ბერძნულ ქალაქში დაკანონებული წესი არსებობდა, რომ ელჩი არ შეიძლებოდა ორმოცდაათ წელზე ახალგაზრდა ყოფილიყო (6). ელჩებს რწმუნების სიგელებს აძლევდა სახალხო კრება. სიკვდილით ისჯებოდა თვითმარქვია ელჩი, რომელიც რწმუნების სიგელს ვერ წარადგენდა. ძველი ბერძნები ერთობ ძუნწები იყვნენ საკუთარი ელჩების შრომის ანაზღაურების საკითხში – მიზერული თანხით აფინანსებდნენ მათ მოგზაურობასა და სხვა ხარჯებს, იმავდროულად კი სასტიკად უკრძალავდნენ უცხოელებისაგან საჩუქრების მიღებას. როდესაც ელჩობა წარმატებით მთავრდებოდა და თანამოქალაქეები საჯაროდ იწონებდნენ შედეგებს, ელჩები ზეთისხილის ტოტებისაგან დამზადებული გირლანდიებითა და ქალაქის რატუშაში უფასო სადილით ჯილდოვდებოდნენ. წარუმატებელ ელჩებს კი სხვადასხვა დონის სასჯელი ელოდათ. ნებისმიერ შემთხვევაში ელჩები ვალდებულნი იყვნენ დაწვრილებითი ანგარიში წარედგინათ მათ განკარგულებაში არსებული თანხის ხარჯვაზე. მკვლევართა აზრით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე იმავე V საუკუნეში, ბერძნებს გააჩნდათ საერთაშორისო ურთიერთობათა საკმაოდ განვითარებული აპარატი (7). რთულ საერთაშორისო რეალობაში მათ თითქმის სრულყოფამდე დახვეწეს „დიპლომატიური“ ორპირობა, სიცრუე, ეშმაკობა და უნდობლობა. ამიტომაც მიიჩნევდა ჰ. ნიკოლსონი ბერძნებს ცუდ დიპლომატებად. დიპლომატიის ასეთი სტილი შემდგომში თავს იჩენს ჯერ ვენეციაში, ხოლო იქიდან კი მთელს იტალიაში ვრცელდება.

ბუნებრივია, რომ დიპლომატიისა და დიპლომატიური ხელოვნების მიღმა ვერ დარჩებოდა ძველი რომიც. რომის დიპლომატიის

ოქროს ხანა ხმელთაშუაზღვისპირეთის გაერთიანების პერიოდი იყო. ჩვენ წელთაღრიცხვამდე მეორე და პირველ საუკუნეთა მიჯნაზე, რომის პოლიტიკურ-დიპლომატიური ექსპანსიის არენად იქცა აღმოსავლეთით მცირე აზია და სირია, ჩრდილოეთით – გალები, გერმანია და ბრიტანეთი. საგარეო ექსპანსიის მასშტაბების შესატყვისი იყო დიპლომატიაც. უკანასკნელის ბრწყინვალე წარმომადგენელი კი გაიუს იულიუს ცეზარი იყო, რომელმაც სწორედ გალების ქვეყანაში კამპანიის დროს გამოავლინა საკუთარი დიპლომატიური გენია. მან სწორუპოვარი დიპლომატიური ოსტატობით გამოიყენა გალების საშინაო პრობლემები, როდესაც „რომის მეგობრების“ გამოყენებით, ცალკეული ტომების წარმომადგენელთა საერთო კონფერენციის ჩატარება შესძლო. დახვეწილი დიპლომატიური მანევრებით ცეზარმა იმასაც კი მიაღწია, რომ კონფერენციამ იგი გალების ბელადად და მათი ინტერესების დამცველად აღიარა. მას უკვე, როგორც არბიტრს, ისე მიმართავდნენ გალების ბელადები საკუთარი პრობლემების გადასაჭრელად, რაც მის განკარგულებაში ფასდაუდებელ ინფორმაციას უყრიდა თავს. დიპლომატიურ წარმატებებში უკანასკნელ როლს პირადი თვისებებიც არ ასრულებდა: ძლიერ ხასიათთან და რთულ ვითარებებში ბრწყინვალედ გარკვევის უნართან ერთად, მას ურთიერთობებში ახასიათებდა კომუნიკაბელობა, ხელგაშლილობა, დიდსულოვნება და უბრალოება. მისთვის სირთულეს არ წარმოადგენდა განსხვავებულ სოციალურ, ასაკობრივ თუ რელიგიურ მრწამსზე მდგომ ადამიანთა კეთილგანწყობილების მოპოვება. ერთდროულად კი მისი პოლიტიკაც და დიპლომატიაც დაფუძნებული იყო მიზანშეწონილობასა და სახელმწიფო ინტერესებზე. მოწინაღმდეგეების გათიშვით, მომხრეების დაახლოებითა და კონსოლიდაციით, ცეზარმა შესძლო ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორმოცდათორმეტი წლისათვის რომის სუვერენიტეტისათვის დაემორჩილებინა იმდროინდელი დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი უმდიდრესი რეგიონი – გალია.

ბერძნული დიპლომატიის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა ბიზანტიის დიპლომატიური სტილი – მასში მთავარი იყო განვი-

თარების გაცილებით დაბალ საფეხურზე მდგომ მეზობელ ხალხებთან („ბარბაროსებთან“) ურთიერთობათა ეფექტური მოდელის შექმნა. ამ მიზნით ყოველწლიურად ბიზანტია მათ დიდ თანხებს უხდიდა, რათა გარანტირებული ყოფილიყო იმპერიის საზღვრების დაცვა. გარდა გულუხვი სუბსიდიებისა, ფართოდ გამოიყენებოდა შუღლის ჩაგდების, ერთმანეთის წინააღმდეგ წაქეზების, დაპირისპირებების ტაქტიკაც. „ბარბაროსები“ ძირითადად ერთმანეთთან ურთიერთობების გარკვევით უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულნი, რათა აზრადაც არ მოსვლოდათ იმპერიის წინააღმდეგ გაერთიანება, ამ მხრივ დიდ წარმატებას იმპერატორმა იუსტინიანემ მიაღწია, რომელმაც დიპლომატიურ კლასიკად აქცია რომის პრინციპი – „დაყავი და იბატონე“. ბულგარელებს მან ჰუნები გადაჰკიდა, ვანდალებს – ოსტგოთები, ამ უკანასკნელთ კი – ფრანკები. იუსტინიანე ითვლება ბიზანტიური დიპლომატიის „სავიზიტო ბარათად“. მისი მმართველობის პერიოდში მკვეთრად გაიზარდა საგარეო საქმეთა უწყების შტატი, რომლის განკარგულებაში იყვნენ პოლიგლოტი თარჯიმნები, სხვა ხალხების ადათ-ჩვევების მცოდნე სპეციალისტები და სხვა სფეროების სპეციალისტები, რომელთა განათლებაც შეიძლება გამოსდგომადად სახელმწიფო მოხელეებს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. იუსტინიანეს დროს იმ მიმართულებით დაიხვეწა უცხოელი ელჩების მიღების წესები, რომ უკანასკნელთ ძალზედ ცოტა რამის დანახვა და მოსმენა შესძლებოდათ. მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონოდათ ბიზანტიის საშინაო მდგომარეობასა და რეალურ სამხედრო ძალაზე ზუსტი წარმოდგენის შექმნის საშუალება (8).

როგორც უკვე ავღნიშნეთ, დიპლომატიის ბიზანტიურ ხელწერას ბევრი რამ ჰქონდა საერთო იტალიურ და, კერძოდ კი, ვენეციურ სტილთან. აქვე უნდა ითქვას, რომ მკვლევართა უმრავლესობა სწორედ იტალიას მიიჩნევს თანამედროვე დიპლომატიის სამშობლოდ. თავისი გავლენა იქონია იმ გარემოებამაც, რომ იტალია დიდი ხნის მანძილზე რჩებოდა დაქუცმაცებულ ქვეყანად, თუმცა აქ ევროპის სხვა სახელმწიფოებზე ადრე დაიწყო ქალაქების განვითარება და კა-

პიტალისტური ურთიერთობების ფორმირება. ჩრდილოეთისა და, ნაწილობრივ, ცენტრალური იტალიის ქალაქებმა საკუთარ მმართველობას დაუქვემდებარეს მიმდებარე ტერიტორიები და პრაქტიკულად ქალაქ-სახელმწიფოებად იქცნენ. ქალაქები ინტენსიურად ვაჭრობდნენ უცხო ქვეყნებთან, რამაც იტალიელი ვაჭრების ინტერესების დამცავი მექანიზმები მოითხოვა. ვენეციამ, გენუამ, პიზამ და სხვებმა, საკუთარი მოქალაქეების ინტერესების დასაცავად საკონსულო სამსახურების შექმნა დაიწყეს. მალე ევროპის ქვეყნების სამსახურშიც გამოჩნდნენ იტალიელი დიპლომატები. გარკვეულ პერიოდში მათ მონოპოლიადაც კი იქცა დიპლომატიური არეალი. განსაკუთრებული ინიციატიურობითა და გამჭრიახობით ვენეციელები გამოირჩეოდნენ. ამ მხრივ თუნდაც ენრიკო დანდოლოს მაგალითიც კმარა, რომელმაც ოთხმოცდაათი (!) წლის ასაკში ბრწყინვალე „სავაჭრო ოპერაციად“ აქცია მე-4 ჯვაროსნული ლაშქრობა და ამით სათავე დაუდო ვენეციის შემდგომ სიმდიდრესა და ძლევამოსილებას. ამავე დროს, რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი იყო არა რომელიმე კონკრეტული დიპლომატის წარმატება, არამედ მთელი სისტემის დიპლომატიური საქმიანობის ისეთი ორგანიზაცია, რომ ვენეცია კარგა ხნით იქცა ევროპის თითქმის მთავარ დიპლომატიურ სასწავლებლად და დიპლომატიური კადრების მთავარ სამჭედლოდ. ვენეციის ერთპიროვნულმა მმართველმა სავაჭრო ოლიგარქიამ კი საიდუმლოებითა და უნდობლობით განაზავა მთელი დიპლომატიური საქმიანობა.

როგორც ზემოთ ითქვა, ვენეციამ ბიზანტიისაგან იქაური დიპლომატიური ილეთები და მეთოდები გადაიღო, შემდეგ კი ისე დახვეწა, რომ ხელოვნებად აქცია. ვირტუოზულ დონემდე იყო აყვანილი პირფერობა, მოხიბვლა, მოსყიდვა, ცინიზმი, სიცრუე, ღალატი, ჯაშუშობა. უამრავ სახელმწიფოსთან ჰქონდა ვენეციას დიპლომატიური კავშირები და გააჩნდა საელჩოები. ამავე დროს კი, გარდა ოფიციალური დიპლომატებისა, რესპუბლიკის სამსახურში იყო საიდუმლო აგენტთა და ტრივიალურ ჯაშუშთა მთელი არმია. ბიზანტიის მსგავსად, ვენეციაც ფართოდ იყენებდა ქალებსა და ბერებს; მათ ხომ

იოლად შეეძლოთ შეეღწიათ უცხო სახელმწიფოთა მკაცრად დაცულ საიდუმლოებათა საცავებში. განსაკუთრებულ შემთხვევებში ჯაშუშურ მისიებს ექიმებიც კი ასრულებდნენ. ასეთი ექიმების მიერ მომზადებული და ვენეციაში გადაგზავნილი მოხსენებები ზუსტ წარმოდგენას ქმნიდა იმ სახელმწიფოთა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო პოტენციალზე, სადაც ისინი ჰიპოკრატეს ფიცის აღსასრულებლად იყვნენ წარგზავნილნი. ვენეციის საელჩოების სამსახურში იყვნენ აგრეთვე რესპუბლიკის ე.წ. „ერთგული მეგობრები“ ადგილობრივი მოსახლეობიდან. ესენი იყვნენ სპეციალური დანიშნულების საიდუმლო აგენტები. ზოგი მათგანი ბერების ანაფორაში იმალებოდა, ზოგიც მოგზაური პილიგრიმის როლს ასრულებდა. „ერთგულ მეგობართა“ სიებში ირიცხებოდნენ გულუხვად სუბსიდირებული ადგილობრივი მაღალი რანგის მოხელეებიც და დაბალ სოციალურ საფეხურზე მდგომი პირებიც. ყოველ მათგანს საკუთარი ფუნქცია გააჩნდა დიპლომატიური სახურავის ქვეშ მოქმედ ფართო აგენტურულ ქსელში. ვენეციისათვის მაღალ ეფექტურ პოლიტიკურ და ფინანსურ სააგენტოებს წარმოადგენდა მთელს ევროპაში (განსაკუთრებით კი საფრანგეთში) არსებული ბანკები. მაგალითად, ლიონში მოქმედი მედიჩების სახლის ბანკი აფინანსებდა და ინახავდა თავისებურ საინფორმაციო ბიუროს, რომელიც უნიკალურ ინფორმაციას ფლობდა საფრანგეთის შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე.

ვენეციას კონკურენტი არ ჰყავდა საელჩოების ორგანიზაციის ხელოვნებაშიც: ზუსტად იყო რეგულირებული უცხოეთში რესპუბლიკის წარმომადგენლების ქცევისა და საქმიანობის ყოველი ნიუანსი, სამშობლოში დაბრუნებული ყოველი ელჩი კი ვალდებული იყო სახელმწიფოსათვის გადაეცა უცხოეთში მიღებული ნებისმიერი საჩუქარი. ელჩი არ შეიძლება დანიშნულიყო იმ ქვეყანაში, სადაც მას რაიმე საკუთრება (ქონება) გააჩნდა. მათვე მკაცრად ეკრძალებოდათ რესპუბლიკის საშინაო საქმეებზე უცხოელებთან მსჯელობა. ასევე ეკრძალებოდათ უცხოეთში ცოლების წაყვანა, რათა უკანასკნელთ შემთხვევით რაიმე სახელმწიფო საიდუმლოება არ გაემჟღავნებინათ. აი,

მზარეულის წაყვანა კი შეეძლოთ, მოწამვლის შიშით. სამშობლოში დაბრუნებული ელჩი ვალდებული იყო დაწვრილებითი ანგარიში წარედგინა ფინანსურ ხარჯებზე და ეს მაშინ, როდესაც მათი ხელფასი ვერანაირად ვერ ფარავდა აუცილებელ ხარჯებს. ელჩები იძულებულნი იყვნენ საკუთარ ჯიბეშიც ხშირად ჩაეყოთ ხელი, რაც ვალების დაგროვებითა და გაკოტრებით მთავრდებოდა. ამიტომაც იყო, რომ დიპლომატიის სამშობლო ქვეყანაში ყველა ცდილობდა თავი დაეძვრინა ამ საპატიო და ერთდროულად საზარალო მისიის შესრულებისაგან. ძნელია ირონიის გარეშე აღქმა იმ ფაქტისა, რომ იმდროინდელ ვენეციაში კანონთა მთელი კრებული მოქმედებდა ასეთი „დეზერტირების“ წინააღმდეგ – დაწყებული ფულადი ჯარიმებით და დამთავრებული სახელმწიფო სამსახურის აკრძალვით.

რაც შეეხება ასეთი არასახარბიელო მისიების ვადებს, მას თვითონ მისიის მნიშვნელობა განსაზღვრავდა: მე-13 საუკუნეში საშუალო ხანგრძლივობა 3-4 თვით განისაზღვრებოდა, მე-14 საუკუნეში კი უკვე 2 წლამდე იყო გაზრდილი. ვენეციელებმა პირველებმა დაიწყეს ელჩებთან დაშიფრული მიმოწერა და შემოიღეს მშიფრავთა თანამდებობები. ასე რომ, სწორედ ვენეციაში აიყვანეს დიპლომატია ხელოვნების დონემდე და ამიტომაც იქონია მან უდიდესი გავლენა შუა საუკუნეების ევროპის აბსოლუტური მონარქიების დიპლომატიაზე.

შუა საუკუნეების იტალიის დიპლომატიას წარუშლელი კვალი დაამჩნია ე.წ. „ფლორენციული დიპლომატიური მეთოდის“ ავტორმა და აღიარებულმა თეორეტიკოსმა ნიკოლო მაკიაველიმ. მიუხედავად იმისა, რომ იგი ვერ გახდა ელჩი და მისი დიპლომატიური მისიებიც დროებით ხასიათს ატარებდა, მან უდიდესი დიპლომატიური მემკვიდრეობა დაგვიტოვა ათასობით წერილების, დეპეშებისა და ანგარიშების სახით. მისი შემოქმედება სამართლიანად ითვლება XVI საუკუნის დიპლომატიის ქრესტომათიად. მის დეპეშებსა და ანგარიშებში გასაოცარი სიზუსტით და ანალიტიკური აზროვნებითაა გადმოცემული იმდროინდელი ევროპის დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკური

პრობლემები, ცალკეულ პერსონაჟთა (ძირითადად მონარქების) დახასიათებები, მათი ჩვევები და მმართველობის სტილი. ესპანეთში ელჩისათვის შედგენილ ერთ ინსტრუქციაში ნ. მაკიაველი წერდა, რომ ელჩი უნდა იყოს წესიერი ადამიანი, მიზანდასახული, ხელგაშლილი და რაც მთავარია, მან სხვები უნდა დაარწმუნოს, რომ რასაც ფიქრობს მუდამ იმასვე ლაპარაკობს, თუმცა იქვე დასძენს – არ შეიძლება იყო გულახდილი და გახსნილი, როდესაც საჭიროა საქმის რეალური მდგომარეობის დამალვაო. იმ შემთხვევაში კი, თუ გამოვლინდა ელჩის სიცრუე, მას საამისოდ დროულად უნდა ეზრუნა დამაჯერებელ არგუმენტებზე, თავის გასამართლებლად. მაკიაველი დაბეჯითებით ურჩევდა ელჩებს მუდამ თავშეკავებულნი ყოფილიყვნენ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით კატეგორიული განცხადებებისაგან. ელჩს უნდა შეეძლოს გულდასმით შეგროვილი ინფორმაციის დამაჯერებლად გადმოცემა, ხოლო საკუთარი აზრი კი უნდა გამოთქვას დიდი სიფრთხილიდ, შეპარვით, როგორც მის მიერვე გამოგონილი პერსონაჟის პოზიცია. თვითონ მაკიაველი სისტემატურად იყენებდა ამ ილეთს და მის ყოველ მოხსენებაში ფიგურირებს ადამიანი, რომელმაც თითქოს ისურვა ინკოგნიტოდ დარჩენილიყო. კლასიკად ქცეული მისი ნაშრომი „ხელმწიფე“ ისეა დაწერილი, რომ საუკუნეების განმავლობაში რჩებოდა პოლიტიკოსთა მაგიდის წიგნად. მისი რწმენით, ყოველგვარ ეთიკურ პრინციპებზე მაღლა დგას სახელმწიფოს ინტერესები. რაც შეეხება ადამიანთა მოდგმას, ნ. მაკიაველი არც თუ მაღალი წარმოდგენისაა მასზე – ადამიანები გულუბრყვილონი არიან და საჭიროა ხალხი საკუთარი გასაჭირით იყოს დაკავებული. ასეთ შემთხვევაში იოლია მისი გაბრიყვება და მოტყუება – ურჩევდა იგი სიუზერენს. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ასეთი აზრების მატარებელი და პროპაგანდისტი იმთავითვე იქნა შეჩვენებული და უარყოფილი, თუმცა არც ჩუმი მიმდევრებისაგან მივიწყებული.

XVI საუკუნის ევროპაში ეროვნულ სახელმწიფოთა ფორმირებამ თავისი კვალი დიპლომატიასაც დაამჩნია. იმდროინდელი წამყვანი ქვეყნები – ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, დანია,

შვედეთი სახელმწიფოებრივი ერთობის სტანდარტებს პასუხობენ. გაერთიანებული პროვინციების რესპუბლიკა ხდება ნიდერლანდები, იქმნება და იშლება კარლოს დიდი ჰაბსბურგის იმპერია. მთელი ევროპა მოიცვა ცალკეულ სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა ქსელმა და დღის წესრიგში დადგა მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობების (საელჩოების) აუცილებლობა, თუმცა ყველას როდი გააჩნდა უფლება ელჩი და საელჩო ჰყოლოდა უცხო სახელმწიფოში – ძლიერ უცხო მონარქზე დამოკიდებულ სუსტ სახელმწიფოს მხოლოდ დიპლომატიური აგენტი შეიძლება ჰყოლოდა პირველის კარზე. მუდმივად მოქმედ ელჩებთან ერთად ძალაში რჩებოდა საგანგებო ელჩობის პრაქტიკაც. ასეთები იგზავნებოდა, როგორც წესი, მონარქთა ტახტზე ასვლის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად. თვით რომის პაპიც იძულებული გახდა თავისი მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობები (ნუნციატურები) შეექმნა უცხო სახელმწიფოებში.

XVI საუკუნის ევროპაში დიპლომატიისა და მოლაპარაკებების ინტენსიურობას გახშირებული კონფლიქტებიც უწყობდა ხელს. იმ პერიოდისათვის ევროპაში წინააღმდეგობათა სამი კვანძი იკვრება: 1. ინგლისს, საფრანგეთსა და ესპანეთს შორის წამოჭრილი დავები სავაჭრო და კოლონიურ პოლიტიკაში; 2. ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობები ოსმალეთის იმპერიასთან; 3. ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოთა პრეტენზიები ბალტიის ზღვასა და მის სანაპიროებზე ბატონობის შესახებ.

ადრე თუ გვიან, ნებისმიერი კონფლიქტი და ძალისმიერი დაპირისპირება ლოგიკურ დასასრულამდე მიდიოდა და აუცილებელი ხდებოდა შედეგთა დაფიქსირება იძულებითი თუ ნებაყოფლობითი მოლაპარაკებებით. დიპლომატიური პრაქტიკის სრულყოფის შედეგად იბადება დიპლომატიური და საერთაშორისო სამართალი.

1582 წელს ესპანელი იურისტი, ბალთაზარ აიალა აქვეყნებს ტრაქტატს „ომის უფლებისა და სამხედრო უწყებების შესახებ“, სადაც სრულად იყო დასაბუთებული უცხო სახელმწიფოთა დიპლომატები-

სა და საელჩოების ხელშეუხებლობის აუცილებლობა. ცოტა მოგვიანებით კი 1585 წელს, იტალიელი მეცნიერი, შემდგომში ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ალბერიკო ჯენტილი წერს ნაშრომს „საელჩოების შესახებ“, რომელიც საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლის ჰუგო გრაციის წინამორბედად არის მიჩნეული (9). საინტერესოა, რომ ა. ჯენტილის ვაჟმა რობერტ ჯენტილიმ, თორმეტი წლის ასაკში დაამთავრა ოქსფორდი და ჩვიდმეტი წლის უკვე ლექციებს კითხულობდა ამავე უნივერსიტეტში.

მიუხედავად იმისა, რომ უცხო ქვეყნებში მუდმივი საელჩოების შენახვა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, XVI საუკუნიდან მოყოლებული, ევროპაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მუდმივი საელჩოების არსებობა. XVI-XVIII საუკუნეებში მკვიდრდება ახალი დიპლომატიური ცერემონიალი: უკვე იმპერატორ კარლოს დიდის დროს მკაცრად იცავდნენ სახელმწიფოში უცხო ელჩების ჩამოსვლისა და მათი მიღების ცერემონიალს. უცხო ქვეყნების ელჩების თავისებური „რანგთა ტაბელი“ თავდაპირველად ესპანეთში შემოიღეს, როდესაც ელჩების მიღების ცერემონიალი წარმომგზავნი სახელმწიფოს გავლენის დონეს ითვალისწინებდა. ესპანეთიდან საფრანგეთში გავრცელდა ანალოგიური პრაქტიკა და ევროპის დიდ სახელმწიფოთაგან უკანასკნელმა ინგლისმა აუწყო ფეხი დროს, თუმცა XVII საუკუნეშიც კი მმართველი დინასტიის პრინცი ქალაქის კარიბჭესთან ხვდებოდა ნებისმიერი სახელმწიფოს ელჩს, რის გამოც „დახვეწილი“ ფრანგი დიპლომატების საქილიკოდ იხდიდა თავს. ინგლისში მხოლოდ კარლ პირველი სტიუარტის დროს დამკვიდრდა კონტინენტზე კარგა ხნის წინ ნორმად ქცეული დიპლომატიური ცერემონიალი.

ზოგადად რომ ვთქვათ, შუა საუკუნეებში დამკვიდრებულ ცერემონიალს თითქმის ურთიერთობათა ხარისხის განმსაზღვრელი როლიც კი ენიჭებოდა საუკუნეთა მანძილზე საერთაშორისო ურთიერთობებში. ისე კი, თუ ჟიულ კამბონს ვენდობით, „არ არსებობენ ცერემონიალის ველურებზე უფრო მოყვარული ხალხები“. თუ ცერემონიალს თავაზიანობის აუცილებელ ნორმად მივიჩნევთ, იგივე ჟ. კამბო-

ნის ვერსიით, იგი შიშის გრძნობამ წარმოშვა. ასე უნდა ყოფილიყო კერძო პირებისა და სახელმწიფოების ურთიერთობებშიც. საკუთარი ვერსიის სასარგებლოდ ფრანგი დიპლომატი ბიბლიას იმოწმებს, სადაც აღწერილია თუ რა დაუნდობლად გაუსწორდა მეფე დავითი მოავიტელებს, თავისი ელჩების შეურაცხყოფისათვის, ხოლო როდესაც რომელიმე აზიელი მეფე რომის ელჩებს ღებულობდა, პატივისცემისა და ყურადღების გამომხატველ უამრავ ნიშნებში შიში უფრო იგრძნობოდა ვიდრე გულწრფელი თავაზიანობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ელჩის ქცევა დანიშნულების ადგილზე ჩასვლისას, პირველი აუდიენციის დროს და მიმღები ქვეყნის მონარქის, ან მინისტრის საპასუხო ქმედებები სახელმწიფოთა შორის არსებული ურთიერთობების დონისა და ხასიათის უტყუარი ბარომეტრი იყო. ყველაფერთან ერთად ამითაც განისაზღვრებოდა სახელმწიფოთა როლი და ადგილი საერთაშორისო არენაზე. ელჩების საზეიმო მიღების პროცესში დაშვებული ნებისმიერი, მიღებული წესიდან, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო გადახრაც კი, ცერემონიალის მონაწილეთათვის სახელმწიფოთა ურთიერთობებში მომხდარი ცვლილების მანიშნებელი იყო. ამიტომაც იყო ეტიკეტის ნებისმიერი დეტალის თანმხლები გაუთავებელი დავები და პრეტენზიები.

უდიდესი მნიშვნელობა გააჩნდა იმავე პერიოდში ფეხადგმულ დიპლომატიურ პროტოკოლს, რომელსაც დიპლომატთა რელიგიასაც უწოდებენ, სადაც ქურუმთა როლში ცერემონმეისტერები გამოდიან. საქმე ის არის, რომ არც ისე იოლია რეალური მნიშვნელობის მქონედ წარმოადგინო გარეგნული ეფექტისა და სიმბოლოების მთელი კასკადი, თანაც ისე, რომ არავის თავმოყვარეობა არ შელახო. უკვე ჟ. კამბონის დროს იყო მოძველებული და დაცინვის ობიექტად ქცეული შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი ნორმები, მაგრამ XVII საუკუნის მეორე ნახევარშიც კი უცხო არ იყო პროტოკოლთან დაკავშირებული დავების სისხლიანი გარჩევები. ზემოთ ნახსენებ ნაშრომში ჟ. კამბონი, 1661 წელს ლონდონში მომხდარ ინციდენტს იხსენებს, როდესაც ქალაქში შვედეთის ელჩის საზეიმო შესვლის დროს, ესპანეთისა და

საფრანგეთის ელჩებმა პროტოკოლით გათვალისწინებული ნორმები ვერ გაიყვეს და მსხვერპლიანი შეტაკების ინგლისის დედაქალაქის ქუჩები არენად აქციეს (10). შეიძლება ასეთი სისხლიანი სცენები გაიხსენეს ვენის კონგრესის მონაწილეებმა, როდესაც დღემდე მოქმედი წესი შემოიღეს: რომელიმე ერთ ქვეყანაში წარმოდგენილ ელჩებს შორის სიმბოლური უფროსობის სტატუსით სარგებლობს ის ელჩი, რომელიც დანარჩენებზე ადრე შეუდგა იქ თავისი მოვალეობის შესრულებას. დღემდე მას „დუაიენი“ ეწოდება.

რთული და დრამატულია დიპლომატიური ქრონიკები. მდიდარია მსოფლიოს უძველესი უნიკალური პროფესიის აქტივიცა და პასივიც. არავის დაუთვლია, თუ რამდენ ტრაგედიას გადაარჩინეს კაცობრიობა დიპლომატიის ჯადოქრებმა და რამდენჯერ ვერ აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე. შუა საუკუნეების ვაჭარ-მევახშეთა სიზუსტით და სკრუპულოზურობით დაახარისხა და დღემდე მოგვიტანა ისტორიამ ათეულობით და ასეულობით მილიონი ადამიანის ტრაგედია, რომლის მიზეზად სწორედ იმ სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული წუნი ითვლება (სამართლიანად თუ უსამართლოდ), ვისაც მხოლოდ ერთი რამ ევალებოდათ და ევალებათ – მშვიდობის შენარჩუნება და დღეს უკვე კაცობრიობის გადარჩენა. ამაზე დროული და კეთილშობილი მისია არც ერთ პროფესიას არ აკისრია. დიპლომატიისა და მისი საუკეთესო წარმომადგენლების მიერ განვლილი გრძელი გზის გახსენებაა წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანი და ამოცანა.

სოსო ცინცაძე



კარდინალი არმან დე რიშელიე -
ფრანგი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე
(1585-1642)

თავი პირველი
რიშელიედან ვილჰელმ ორანელამდე

თუ მართლაც დროის მოთხოვნა იყო XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის საფრანგეთში – ნაპოლეონ ბონაპარტე (ნაპოლეონე ბოუნაპარტე, კორსიკულად), მეორე მსოფლიო ომის პერიოდში – უინსტონ ჩერჩილი დიდ ბრიტანეთში, ფრანკლინ რუზველტი – ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო მეორე მსოფ-

ლიო ომის შემდგომ კი გენერალი შარლ დე გოლი, მაშინ ასეთივე ობიექტური კანონზომიერებითა და აუცილებლობით შეიძლება ავხსნათ კარდინალ რიშელიეს (ერისკაცობაში – არმან ჟან დუ პლესი) აღზევება და მმართველობა XVII საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთში. კონტინენტური ევროპის დიპლომატთა ქებაში ძუნწი (გარდა ოტო ფონ ბისმარკისა) ჰენრი კისინჯერიც კი ვერ მალავს ფრანგი კარდინალით აღტაცებას: „ბევრი ვერ დაიკვეხნის ისტორიაზე ასეთ გავლენას. რიშელიე იყო თანამედროვე სახელმწიფო სისტემის მამა“, – წერს მსოფლიო დიპლომატიის აღიარებული მეტრი. ანრი III და ანრი IV მაღალჩინოსნის უმცროსი ვაჟი არმანი, 21 წლის ასაკში, სორბონოში იცავს დისერტაციას და ღვთისმეტყველების დოქტორი ხდება. ერთი წლის შემდეგ კი უკვე ლუსონის ეპისკოპოსია. ვანდეის ამ პატარა და მიყრუებულ ქალაქში გამოავლინა მან თვისებები, რომლითაც მოგვიანებით მთელ ევროპაში გაითქვა სახელი; აბსოლუტური მონარქიის ფანატიური ერთგულება, საღი და სწრაფი გონება, მჭერმეტყველება, შრომისმოყვარეობა, კრიტიკულ სიტუაციებში გარკვევის საოცარი უნარი, სიმკაცრე და მიმტევებლობა ერთდროულად. მისი ვარსკვლავის საათი 1615 წლის 23 თებერვალს დადგა, როდესაც გენერალური შტატების სხდომაზე (ოცდარვა წლისა ის უკვე დეპუტატია სამღვდელოებიდან) ბრწყინვალე გამოსვლით, ყმაწვილი მეფის ლუდოვიკო XIII-ის და დედოფალ-რეგენტის მარია მედიჩის ყურადღება დაიმსახურა. მალე მარია მედიჩი, მეფის მეუღლის ანა ავსტრიელის სულიერ მოძღვრად ნიშნავს ახალგაზრდა ეპისკოპოსს (ეგებ, მართლაც მაშინ დაიბადა მისი უიღბლო სიყვარული, ასეთ დრამატულ ფერებში რომაა შემონახული „სამ მუშკეტერში?“). მალე რიშელიე მარია მედიჩის პირადი მრჩეველი, ხოლო 1616 წლის ნოემბერში კი საგარეო პოლიტიკისა და სამხედრო საქმეთა მინისტრის პოსტს იკავებს, თუმცა ცოტა ხნით. მეფე წამოიზარდა, ვერ შეეგუა დედამისის მბრძანებლურ ხასიათს, ქვეყნის ერთპიროვნულად მართვის ამბიციებს და ორივე – დედა დედოფალიც და მისი რჩეულიც პარიზიდან განდევნეს. სამ წელს გრძელდებოდა „ცივი ომი“ დედა-შვილს შორის. შერიგება რიშელიეს დიპლომატიური ძალისხმევით მოხერხდა, რაც მხედ-

ველობიდან არ გამორჩა მეფეს და 1624 წლის 13 აგვისტოს, 36 წლის რიშელიე, ამ დროისათვის უკვე კარდინალი, საფრანგეთის პირველი მინისტრი ხდება. კარდინალ რიშელიეს თვრამეტწლიანი მმართველობით იწყება საფრანგეთის ოქროს ხანა. რიშელიემ აქცია მის მიერ შექმნილი პრინციპი-დოქტრინა „რეზონ დეტატი“, შუა საუკუნეების უნივერსალური მორალური ღირებულებების წარმატებულ მემკვიდრედ. საფრანგეთის საგარეო (და საშინაო) პოლიტიკის მთავარ მზიდ კონსტრუქციად იქცა სახელმწიფოს ინტერესების პრევალირება ყოველგვარ მორალურ ღირებულებებზე. საუკუნის ამ რევოლუციურმა სიახლემ დაუდო სათავე კარდინალის სამშობლოს ხანგრძლივ დომინირებას ევროპაში და მის საპატიო ადგილს მსოფლიოს გრანდთა შორის. არაკეთილშობილი და ფუჭი მცდელობაა მკითხაობა თუ რა ელოდა საფრანგეთს რიშელიეს დიპლომატიური ტალანტისა და მომავლის ჭვრეტის საოცარი უნარის გარეშე, მაგრამ უდაოა, რომ სერიოზული საფრთხე არ ასცდებოდა ქვეყნის გეოპოლიტიკურ მომავალს. რიშელიემ უშეცდომოდ დაასკვნა, რომ ჰაბსბურგთა რომის საღვთო იმპერიის ერთი წარმატებული ძალისხმევა და საფრანგეთი იმპერიის სამფლობელოების სრულ გარემოცვაში აღმოჩნდებოდა. ამისათვის ჰაბსბურგებს 30-წლიან რელიგიურ ომში უნდა გაემარჯვათ. ომს კი წინ მარტინ ლუთერი, ჟან კალვინი, რეფორმაცია და კონტრრეფორმაცია უძღვოდა. როდესაც რიშელიემდე ასი წლით ადრე, ვიტენბერგის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების დოქტორმა, მარტინ ლუთერმა 1517 წლის 31 ოქტომბერს, თავისი, შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი „99 თეზისი“ მიაჭედა ვიტენბერგის ტაძარს, სადაც გერმანული სკრუპულოზურობით იყო დაფიქსირებული კათოლიკური სამღვდელოების ბოროტმოქმედებანი (პირველ რიგში ინდულგენციებით ვაჭრობა). გერმანია პროტესტანტულ ჩრდილოეთად და კათოლიკურ სამხრეთად გაიხლიჩა. თეოლოგიურ საკითხებში კომპრომისის მცდელობის მარცხს ორი პოლიტიკური კავშირის – პროტესტანტული შმალკადენის და კათოლიკური ნიუნბერგის ფორმირება მოჰყვა.

რელიგიური პროტესტის დენთით სავსე კასრმა 1618 წელს პრაღაში იფეთქა. მალე კონფლიქტში ჩართული აღმოჩნდა გერმანიის

ორივე კონფესიური ბანაკი და რამდენიმე უცხო სახელმწიფო. ასე დაიწყო ევროპის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამაჩანაგებელი და სისხლისმღვრელი 30-წლიანი ომი, რომლის საწყის ეტაპზეც წარმატება იმპერატორისა და მისი კათოლიკეების მხარეზე იყო. 1621 წელს ბავარიის კურფიურსტზე, ხოლო 1625 წელს დანიის არმიაზე გამარჯვებამ იმპერატორს ამოსუნქვის საშუალება მისცა, თუმცა არც თუ დიდი ხნით. საფრანგეთს ამ დროს უკვე რკინის ხელით და ბრწყინვალე დიპლომატიით მართავდა კარდინალი რიშელიე. უნიკალური და საინტერესო იყო იმპერატორ ფერდინანდ II-ის და რიშელიეს პირისპირ დგომა: დავიწყოთ იმით, რომ ორივეს რთული მემკვიდრეობა ერგოთ – სუსტი ნებისყოფის და ოლად მანიპულირებადი სასიათის ლუდოვიკო XIII-ს არც ძალა და არც სურვილი ჰქონდა არისტოკრატიის ზომაგადასული თვითნებობის ასალაგმავად, ხოლო შრომის, მუსიკისა და ნადირობის მოყვარული იმპერატორი ფერდინანდ II შეიძლება მართლაც კარგი მმართველი გამხდარიყო, თუ არა მისთვის და იმპერიისათვის საბედისწერო რელიგიური ფანატიზმი. მართალია, მისი ეპოქისათვის უცხო არ ყოფილა რწმენის ერთგულება და არც რიშელიე იყო პირად ცხოვრებაში ურწმუნო ათეისტი, მაგრამ სხვა შემთხვევებში ჩვეულებრივ ზომიერად გაწონასწორებული და საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი ფერდინანდი ყველა თავის რაციონალურ ჩვევებს კარგავდა, როგორც კი საკითხი რელიგიურ ჭრილში გადადიოდა. საფირმო ნიშნად ქცეული ფრაზა – „ჯობია უდაბნოს მართავდე, ვიდრე ერეტიკოსებით სავსე ქვეყანას“-ო, იქცა მისი პირადი ცხოვრებისა და მმართველობის კრედოდ. როგორც ჩანს, იმანაც შეასრულა თავისი როლი, რომ ადრე დაობლებული ფერდინანდი ბავარიაში, ქალაქ ინგოლშტატის უნივერსიტეტში იზრდებოდა იეზუიტი ბერების ქადაგებებით და მკაცრი მეთვალყურეობით. უკვე იმპერატორად ყოფნისას, მისი კაბინეტის მისაღებში გამუდმებით მორიგეობდა ორი იეზუიტი ბერი, ნებისმიერ მომენტში (ღამითაც კი) მასთან შესვლის უფლებით. რაც შეეხება რიშელიეს, მისთვის მთავარი სახელმწიფოს ინტერესები იყო და კათოლიკე კარდინალი უყოყმანოდ აფინანსებდა კათოლიკური რომის საღვთო იმპერიის მტრებს განურჩევლად უკა-

ნასკნელთა რწმენისა თუ ეროვნებისა. როდესაც კათოლიკე კარდინალი დარწმუნდა, რომ საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს მაჰმადიანურ თურქეთთან კავშირი ესაჭიროებოდა თავისი ერთმორწმუნე მეტოქე მეზობლის წინააღდეგ, არც ამაზე უთქვამს უარი. 1635 წელს დადებული პრაღის ზავით შეჩერებული იქნა იმპერიის დეზინტეგრაციის პროცესი. მხოლოდ რამდენიმე რადიკალურმა კალვინისტურმა სამთავრომ თქვა უარი დაზავებაზე. ზავის ყველაზე პრინციპული მოწინააღმდეგე კი რიშელიე იყო. მის გეგმებში არ შედიოდა ჰაბსბურგთა იმპერიის გაძლიერება და მას სულაც არ გასჭირებია საკუთარი მეფის დარწმუნება, რომ საფრანგეთის მტრის მტრების მხოლოდ სუბსიდირებით უკვე შეუძლებელი იყო ბრძოლის წარმოება. დადგა დრო, როდესაც საფრანგეთსაც უნდა „ამოეღო ქარქაშიდან ხმალი“. ბრძოლები ძირითადად გერმანიის, ესპანეთისა და ესპანეთის ნიდერლანდების ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. თავისი არმიის გასაძლიერებლად რიშელიემ პოლონეთში საფრანგეთის ელჩის შუამავლობით ორი ათასი უკრაინელი კაზაკიც იქირავა პოლკოვნიკ ბოგდან ხმელნიცკის მეთაურობით. თითქმის დასრულებამდე მისული ომი კიდევ 13 წლით გაჭიანურდა. მხოლოდ 1648 წელს გახდა შესაძლებელი ვესტფალის ზავის დადება და მშვიდობის დამყარება. ძვირად, ძალზედ ძვირად დაუჯდა ევროპას ფანატიკოსი იმპერატორის რწმენის ერთგულება: ერთი მესამედით შემცირდა გერმანიის მოსახლეობა, ხოლო ყოველი ხუთი ჩეხიდან მხოლოდ ერთი გადარჩა.

XVII საუკუნის რეალობისთვისაც კი უჩვეულო იყო იმპერატორ ფერდინანდის ხისტი ფანატიზმი, რომელიც იოტის ოდენა შანსსაც კი არ უტოვებდა ელემენტარულ პრაგმატიზმსა და საღ აზრს. ისედაც უზომოდ გაჭიანურებული ომის ღირსეულად დამთავრების შანსი გაჩნდა 1629 წლისათვის, როდესაც ქანცგაწყვეტილმა პროტესტანტებმა სრული პოლიტიკური მორჩილება შესთავაზეს ფერდინანდს რწმენის თავისუფლების სანაცვლოდ. მეტი რა უნდა ენატრა 12-წლიანი ომით დასუსტებული იმპერიის მპყრობელს? რიშელიე ცოცხალი თავით ხელიდან არ გაუშვებდა ასეთ შანსს. ფერდინანდის პასუხი კი უარზე უარესი იყო: იმავე წლის 6 მარტს, იმპერატორმა ხელი მოაწერა

ე.წ. რესტიტუციის ედიქტს, რომლითაც კათოლიკურ რელიგიას უბრუნდებოდა 1555 წელს, აუსბურგის ზავის შემდეგ ჩამორთმეული მიწები. პროტესტანტთა ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი კათოლიკეთა ხელში გადავიდა. საინტერესოა, რომ უკვე მომავალ წელსვე გახდა იძულებული იმპერატორი დათმობაზე წასულიყო, როდესაც ამომრჩეველთა ხმებზე იყო დამოკიდებული მისი შვილის გაიმპერატორობა. ამომრჩევლებმა (დაქუცმაცებული გერმანიის მმართველებმა), პროტესტანტთა რისხვის, სარდალ ჰერცოგ ვალენშტეინის გადაყენება მოითხოვეს საკუთარი ხმების სანაცვლოდ და გაიმარჯვეს – იმპერატორი დათმობაზე წავიდა. როგორც სჩანს, საარჩევნო კანონის დაცვის გარეშე შეუძლებელი იყო დინასტიის გაგრძელება.

ოცდაათწლიანი ომის დამთავრებას ვერც რიშელიე მოესწრო და ვერც ფერდინანდ II, თუმცა თუ ერთმა შესრულებული ისტორიული მისიის გრძნობით დატოვა ამქვეყნიერება და კაცობრიობის მეხსიერების საკუთრებად აქცია თავისი სახელი, მეორეს არც ღმერთმა (ყოველ შემთხვევაში „ამ ცხოვრებაში“) და არც შთამომავლობამ ოდნავაც არ დაუფასა უანგარო რელიგიური ერთგულება და პირადი თავგანწირვა. ეჭვმიუტანლად გულწრფელი იყო კარდინალი რიშელიე, როდესაც სიკვდილის წინ აღსარებაზე, მოძღვრის ტრადიციულ მოწოდებაზე შეენდო მისი მტრებისთვის, არატრადიციულად უპასუხა: „მე მტრები არ მყოლია. ჩემი მტრები საფრანგეთის მტრები იყვნენ“-ო. როგორც კი გამოჩნდებოდა საავდრო ღრუბელი საფრანგეთის ცაზე, კარდინალი უცებ ივიწყებდა სახარებასაც და ყველა რელიგიურ დოგმასაც, ამ მომენტიდან ის უყოყმანოდ იყო მზად ეშმაკსაც კი გარიგებოდა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ. მისი მთავარი საზრუნავი, რომ სახელმწიფოს და არა კათოლიკური რელიგიის (იგივე ფერდინანდ ჰაბსბურგისაგან განსხვავებით) ინტერესები იყო, ეს მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა 1627 წელს ინგლისთან ხანმოკლე ომის და ჰუგენოტების მიერ გამაგრებული ციხე-სიმაგრე ლა-როშელის აღების დროს. ინგლისის საზღვაო ოპერაციას დიუმას მკითხველთათვის კარგად ცნობილი ჰერცოგი ბეკინგემი სარდლობდა, საფრანგეთის ჯარს, მეფესთან ერთად, თავად კარდინალი ხელმძღვანელობდა. ინგ-

ლისელებმა შესძლეს პატარა კუნძულ რე-ს დაკავება და საიმედოდ გაუმაგრეს ზურგი აჯანყებულ ჰუგენოტებს. ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ, ალექსანდრე მაკედონელის მიერ გამოყენებული ხერხით (ზღვაში დამბის აშენებით) რიშელიემ ლა-როშელამდე მისასვლელი გადაუკეტა ინგლისის ფლოტს და ჰუგენოტებს ბრძოლის გაგრძელების შანსი არ დაუტოვა.

ერთი შეხედვით, ლა-როშელის კამპანიას რელიგიური დაპირისპირება ედო საფუძვლად, მაგრამ „რეზონ დეტატის“ ავტორისათვის რწმენის ფაქტორი მეორეხარისხოვანი მომენტი იყო (თუკი ჰქონდა მას რაიმე მნიშვნელობა კარდინალის პოლიტიკაში). მთავარი კი ის იყო, რომ ლა-როშელში გამაგრებული ჰუგენოტები სახელმწიფოს ებრძოდნენ და თანაც საგადასახადო პრივილეგიებსა და შეღავათებს ითხოვდნენ. რიშელიესათვის კი სწორედ სახელმწიფო და მისი სიმდიდრე იყო წმიდათა წმინდა მცნებაცა და რწმენაც. „ადამიანი უკვდავია, სახელმწიფო კი მოკვდავი“, – იმეორებდა კარდინალი და, თუკი მას მართლაც სწამდა სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობა, არც იმაში არ ეპარებოდა ეჭვი, რომ სახელმწიფოს (ცხადია, კათოლიკური საფრანგეთის) სიცოცხლისუნარიანობაზე ზრუნვა იმ ქვეყნადაც სათანადოდ დაუფასდებოდა.ეტყობა, ასე არ ფიქრობდა რომის პაპი ურბან VIII, რიშელიეს გარდაცვალებისთანავე მრავლისმეტყველად რომ დასძინა: „თუ ღმერთი არსებობს, მას ბევრ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა, თუ არა და, იღბლიანი იყო მისი ცხოვრება“-ო. კიდევ ერთი საოცრება – XVII საუკუნის დამდეგს თვით რომის პაპიც კი ღიად ეჭვობს ღმერთის არსებობაზე. მხოლოდ პოლიტიკური მოწინააღმდეგეები იყვნენ რიშელიესთვის ჰუგენოტები და როგორც კი ლა-როშელის დაცემის შემდეგ, ისინი აღარ წარმოადგენდნენ სახელმწიფოსათვის სერიოზულ საფრთხეს, რიშელიემ დიდსულოვნად შეიწყალა მათი უმრავლესობა, რის გამოც მტრებმა „ჰუგენოტთა კარდინალი“ შეარქვეს. იგი არასოდეს განასხვავებდა რელიგიური მრწამსით საფრანგეთის მოქალაქეებს და ამიტომ თვლიდნენ ცუდ კათოლიკედ რომის პაპის მიერ ნაკურთხ კარდინალს. მან ფრანგების ერთობა არა რელიგიური, არამედ ეროვნული და მოქალაქეობრივი მოტივაციით გაამყარა,

რითაც მთელი თავისი მმართველობის პერიოდში გაანეიტრალა რელიგიური კონფლიქტები. როდესაც პოლიტიკური ამბიციების გარეშე დატოვა საკუთარი ჰუგენოტები, რიშელიემ მეფეს ურჩია ახლა მეტი აქტიურობითა და ხელგაშლილობით დაეჭირა მხარი გერმანელი პროტესტანტებისათვის, რის სანაცვლოდაც საფრანგეთს ლოთარინგიის მიერთებისა და რეინამდე გასვლის შანსი გაუჩნდებოდა (რაც აღსრულდა კიდეც ვესტფალის ზავით). როგორც ჩანს, მისთვის იოლი გადასატანი იყო ის სულიერი დისკომფორტი (თუკი გააჩნდა ასეთი პრობლემა), რომ რომის ეკლესიის კათოლიკე კარდინალი, კათოლიკური ესპანეთისა და ავსტრიის პროტესტანტ მტრებთან კავშირისაკენ მოუწოდებდა საკუთარ კათოლიკე მონარქს. ამ მიზნით შეკრა 1631 წელს რიშელიემ კავშირი შვედეთის მეფე გუსტავ-ადოლფთან. „გერმანიის თავისუფლების აღსადგენად“ (საინტერესოა რომელი თავისუფლების?) წელიწადში ერთ მილიონ ლივრს უხდიდა საფრანგეთი შვედეთს, რომელიც გერმანიაში იმპერატორთან საომრად 30 ათას ქვეითს და 6 ათას კავალერისტს გზავნიდა. კარდინალი, გარდა დიპლომატიისა და სამხედრო ძალისა, პროპაგანდითაც მარჯვედ მოქმედებდა; ცნობილი პუბლიცისტი შანტერო-ლეფევრი, მისი დაკვეთით წერს პოლიტიკურ პამფლეტს სათაურით: „რა საშუალებით შეიძლება ლოთარინგიის საჰერცოგოს შემოერთება“, სადაც დასაბუთებულია, რომ ძველმა ფრანკებმა დაიპყრეს გალია, ანუ ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვას შორის მდებარე უდიდესი ტერიტორია, რომლის საზღვრებიც გადიოდა მდინარე რეინზე, პირენეის მთებზე და ალპებზე. გამოდიოდა, რომ ელზასი და ლოთარინგია, სავოია და ნიცა საფრანგეთის შემადგენლობაში იყო. გავა დრო და პარიზი რეალობად აქცევს კარდინალს ნაფიქრალს.

რიშელიეს დროს დაარსდა საფრანგეთში საგარეო საქმეთა სამინისტრო, რადგან მას სწამდა, რომ ვერანაირი მოლაპარაკებები ვერ იქნებოდა წარმატების მომტანი, თუ საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობა და ელჩების საქმიანობაზე კონტროლი ერთ სამინისტროში არ იქნებოდა თავმოყრილი. მან საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკაზე კონტროლი სპეციალური დეკრეტით დაუქვემდე-

რატებს; უკანასკნელნი დუელს საკუთარი ღირსების დაცვის ბუნებრივ უფლებად მიიჩნევდნენ. რიშელიეს კი სწამდა, რომ ჯან-ღონით სავსე მამაც ფრანგებს, მეფისა და სამშობლოს დასაცავად უნდა დაეღვარათ სისხლი და არა უაზრო სალონურ თუ სასიყვარულო ინტრიგებში გასარკვევად. ყველა მიმართულებით, სადამდეც კი მიუწვდებოდა ხელი (მას კი ძალზედ „გრძელი ხელი“ ჰქონდა) პირველ მინისტრს, იგი მიზანდასახულად მიჰყვებოდა დიდი მეფის, ანრი IV-ს მიერ გაკვალულ გზას: სახელმწიფოს გაძლიერებასა და ცენტრალიზაციას, საეკლესიო ხელისუფლებაზე საერო ხელისუფლებისა და პროვინციებზე ცენტრის პრიორიტეტს, პოლიტიკური ოპოზიციის განადგურებასა და ევროპაში ავსტრია-ესპანეთის ჰეგემონიის მოსპობას. რიშელიემ წარმატებით გაართვა თავი იმ სტრატეგიულ ამოცანას, რომლის გადაჭრაც რასტინიაკის ხანჯალმა არ აცალა რეფორმატორ მეფეს. ბევრ სხვა სიახლესთან ერთად, რიშელიეს სახელთანაა დაკავშირებული შემდგომში საქვეყნოდ სახელგანთქმული ფრანგული აკადემიაც თავისი „40 უკვდავით“. მანვე შემოიღო პირველი სისტემატური ხასიათის ბეჭდვითი ორგანო „გაზეთის“ სახელწოდებით. და მაინც, მიუხედავად ყველაფერი იმისა, რაც კარდინალმა რიშელიემ გააკეთა საფრანგეთის სახელისა და დიდებისათვის, თავისსავე სამშობლოში მას გაცილებით მეტი მტერი ჰყავდა, ვიდრე — მოყვარე. ნაცვლად იმისა, რომ ეროვნული გლოვის დღედ გამოცხადებულიყო 1642 წლის 4 დეკემბერი, როდესაც 54 წლის ასაკში გარდაიცვალა საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სახელმწიფო მოღვაწე, საყოველთაო სიხარულმა მოიცვა დიდგვაროვანთა სალონები. არისტოკრატიულმა პარიზმა შამპანურითა და ზეიმით „გააცილა“ უკანასკნელ გზაზე საფრანგეთის ერთგული შვილი. მართლაც, რომ „არ არსებობს წინასწარმეტყველი საკუთარ ქვეყანაში“.

როგორი მემკვიდრეობა დაუტოვა მომავალ თაობას დიდმა კარდინალმა? პირველ რიგში ქვეყანა, რომლის მოსახლეობა ესპანეთის, იტალიისა და ინგლისის ერთად აღებულ მოსახლეობას აღემატებოდა. იმდროინდელი საეკლესიო რეგისტრები დემოგრაფიულ ზრდაზე მეტყველებს. განუხრელად იზრდებოდა სოფლის მეურნეობის წარ-

მოება; საფეიქრო მრეწველობა. ფართო ფრონტით მიმდინარეობდა მშენებლობა. საფრანგეთი საკმაოდ მდიდარი იყო, რათა საჭირო მოკავშირეები ჰყოლოდა და გულუხვი სუბსიდიები ეხადა მათთვის. მას შეეძლო ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე ეომა და ევროპის საუკეთესო არმიებს გამკლავებოდა. ამავე დროს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა 1635 წლიდან მოყოლებული, როდესაც იგი ღიად ჩაერთო ოცდაათწლიან ომში. მეორეს მხრივ, ეკონომიკურ სირთულეებს ხელი არ შეუშლია რიშელიესათვის, რათა იმდროინდელი საფრანგეთის წინაშე მდგომი მთავარი ამოცანა გადაეჭრა — საბოლოოდ განემტკიცებინა აბსოლუტიზმი. პირველი მინისტრი ყველაფერს აკეთებდა მონარქის თვითმპყრობელური მმართველობის გასაძლიერებლად. ეს ის პერიოდია, როდესაც ბურჟუაზია დღითი-დღე იკრებს ეკონომიკურ ძალას და კარდინალიც ცდას არ აკლებს, რათა, რაც შეიძლება აქტიურად, ჩართოს ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ ცხოვრებაში დიდგვაროვანი არისტოკრატიის წარმომადგენლები. მისი ინიციატივა იყო სპეციალური სამეფო ორდონანსი, რომელიც ფრანგ ფეოდალებს საგარეო ვაჭრობაში ჩართვას ავალებდა. მტკიცედ იცავდა რა აბსოლუტიზმის (და პირადად მის) ერთგულ დიდგვაროვანი არისტოკრატიის ინტერესებს, რიშელიე დაუნდობელი იყო თავნება მოჯანყეებთან ბრძოლაში. როგორც წესი, ხელმწიფის ერთპიროვნული მმართველობის იდეას სწორედ სამეფო ოჯახთან ნათესაური კომბინაციებით დაკავშირებული გავლენიანი არისტოკრატები ვერ ეგუებოდნენ, რომელთა საკუთრებაშიც იყო ქვეყნის მსხვილი პროვინციები; 1626 წლის ზაფხულში გამოაშკარავდა პირადად კარდინალის წინააღმდეგ (მისი პოლიტიკის წინააღმდეგ) დაგეგმილი შეთქმულება, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ: დედოფალი ანა ავსტრიელი, მეფის ნახევარძმა ვანდომი, ცნობილი ჰერცოგი ლონგვილი, მეფის ნათესავი მარკიზი შალე და ჰერცოგინია შევრეზი. შალეს თავი მოკვეთეს. გარდა დედოფლისა, ყველა შეთქმული დაისაჯა სხვადასხვა ზომით. 1632 წელს მეფის ფავორიტმა, ლანგედოკის გუბერნატორმა, ჰერცოგმა მონმორანსიმ, შეიარაღებული აჯანყება წამოიწყო. მეფის ჯარებმა ჩაახშეს აჯანყება, ხოლო

ჰერცოგს ტულუზაში მოკვეთეს თავი. ცოტა ხანში ახალი შეთქმულება გახდა ცნობილი – სამეფო კართან დაახლოებულ არისტოკრატებს რიშელიეს პოლიტიკის შეცვლა სურდათ, შედეგად კი ეშაფოტზე დაასრულეს სიცოცხლე.

თვრამეტწლიანი მმართველობის პერიოდში რიშელიეს მუდამ პარალელურ რეჟიმში უხდებოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დრამატიზმით აღსავსე პრობლემებთან ჭიდილი. იშვიათი იყო (იყო კი?) მის თანამედროვე ევროპასა და საფრანგეთშიც მშვიდი, თუნდაც ხანმოკლე, პერიოდი და კარდინალიც წარმატებით ცდილობდა ყველგან ყველაფრის საქმის კურსში ყოფილიყო. ძალთა თანაფარდობა ერთნაირად პასუხობდა როგორც მთლიანად ევროპის, ასევე მისი შემადგენელი ნაწილის – საფრანგეთის ინტერესებს. საამისოდ კი აუცილებელი იყო ჰაბსბურგების იმპერიისა და ესპანეთის (ორი დიდი კათოლიკური სახელმწიფოს) საგარეო-პოლიტიკური გავლენის შემცირება. რამდენად იყო წარმატებული რიშელიეს პოლიტიკა აღნიშნული მიმართულებით? 1642 წლისათვის უკვე საფრანგეთის საკუთრებაში იყო ლოთარინგიის დიდი ნაწილი და ელზასი, ჩრდილოეთ იტალიაში ოკუპირებული იყო კაზალის სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-სიმაგრე და პინიეროლი, ესპანეთში – კატალონია, ხოლო პორტუგალია კი მადრიდს აუჯანყა პარიზმა. გარდა სამხედრო ოპერაციებისა, საფრანგეთის პირველი მინისტრი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დიპლომატიურ მეთოდებს: თავის „პოლიტიკურ ანდერძში“ იგი



ჯულიო მაზარინი
1602 - 1661 წ.წ.
რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწე,
საფრანგეთის პირველი მინისტრი
1643-1661 წლებში

დაბეჯითებით ურჩევდა მემკვიდრეებს, არასოდეს შეეწყვიტათ მოლაპარაკებები, მაშინაც კი, როდესაც ომი იყო გაჩაღებული. მისი აზრით, წარუმატებელ მოლაპარაკებებსაც მოაქვს სარგებელი როგორც ინფორმაციის უწყვეტ წყაროს.

1642 წელს რიშელიეს სიკვდილით არ შეცვლილა ფრანგული დიპლომატიის სტილი და მიზნები. მან სიცოცხლეშივე მოასწრო თავისი ღირსეული შემცვლელისა და მისი პოლიტიკური კურსის ერთგული გამგრძელებლის შერჩევა: წარმოშობით იტალიელი (რაც მას სიკვდილამდე არ აპატიეს ფრანგებმა) ჯულიო მაზარინი სამხედრო პირი იყო 28 წლის ასაკამდე. შემდეგ ვატიკანის დიპლომატიურ სამსახურშია და პაპის ნუნციაა პარიზში.

მხოლოდ ყოვლისშემძლე რიშელიეს შეეძლო კარდინალად ექცია არასასულიერო წოდების წარმომადგენელი უცხოელი და სიკვდილის წინ საფრანგეთის მთავრობის მეთაურის პოსტზე წარედგინა ლუდოვიკო XIII დასამტკიცებლად. როდესაც ერთი წლის შემდეგ რიშელიეს მეფეც გაჰყვა „უკეთეს სამყაროში“, ტახტის მემკვიდრე კი 5 წლის იყო, დედოფალმა ანამ ბევრი ფიქრის გარეშე დაივიწყა მირონცხებული მეუღლის ანდერძი რეგენტთა საბჭოზე და ქვეყნის ერთპიროვნულ მმართველად იქცა, რეალურად კი საფრანგეთს მისი ფავორიტი მაზარინი მართავდა. ისტორიაში ძნელად მოიძებნება მეორე უცხოელი მმართველი, რომელიც მაზარინს გაუტოლდებოდა ქვეყნის მოსახლეობის ტოტალურ სიძულვილში. იგი დასანახავად სძულდა რიგით ფრანგ ბოგანოსაც და არისტოკრატსაც. სძულდათ საფუძვლიანად და სამართლიანად; თავად უცოლშვილო პირველ მინისტრს იტალიელისთვისაც კი უჩვეულოდ მრავალრიცხოვანი ნათესაობა აღმოაჩნდა, რომელთა გამდიდრება და დაოჯახება უმძიმეს ტვირთად დააწვა სახელმწიფო ხაზინას. ხელმრუდე მინისტრს საყოველთაო რისხვისაგან, ცხადია, საიმედოდ იცავდა ქვრივი დედოფლის მძლავრი მფარველობა, მაგრამ ესეც არ იქნებოდა საკმარისი, თუ არა კრიტიკულ მომენტებში სიმშვიდის შენარჩუნების გასაოცარი უნარი და პოლიტიკური კომპრომისების დიპლომატიური ნიჭი, რითაც ასე უხვად იყო ბუნებისაგან დაჯილდოებული რიშელიეს პოლიტიკური მემკ-

ვიდრე. გარდა წმინდა სუბიექტური ფაქტორისა, არც ოცდაათწლიანი ომის შედეგებით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი არ უწყობდა ხელს მაზარინის პოპულარობას. ხაზინის შესავსებად (რომლის სავალალო მდგომარეობაში არც თვითონ იყო უცოდველი) პირველი მინისტრი იძულებული იყო მთელი რიგი არაპოპულარული ნაბიჯები გადაედგა: შემოიღო ახალი გადასახადები, რასაც ბურჟუაზიის (პირველ რიგში პარიზის) აღშფოთება მოჰყვა. დულილის წერტილს მიაღწია საზოგადოებრივმა უკმაყოფილებამ, რამაც აბსოლუტური რეჟიმის კრიზისი გამოიწვია, რაც ქვეყნის ისტორიაში „ფრონდას“ სახელით შევიდა. 1648 წლის 13 მაისს პარიზის პარლამენტმა ულტიმატუმის ხასიათის პროგრამა წარუდგინა ხელისუფლებას; კერძოდ, პარლამენტი მოითხოვდა უკან გაეწვიათ გადასახადების ამკრეფი ინტენდანტები, მხოლოდ არჩევითი ორგანოების თანხმობით მომხდარიყო ახალი გადასახადების შემოღება, ერთდღიანი ვადა დაწესებულიყო პატიმრებისათვის ბრალდების წასაყენებლად, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილიყო თანამდებობების მემკვიდრეობითობის წესი და სხვა. სახალხო პროტესტმა გაცილებით რადიკალური ფორმები მიიღო სოფლებში, სადაც გლეხებმა უარი თქვეს გადასახადების გადახდასა და ფეოდალებისადმი მორჩილებაზე.

საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, მაზარინი უარს არ იტყოდა სიტუაციის განეიტრალებაზე ზომიერი რეფორმებითა და კომპრომისებით, მაგრამ ამპარტავან ანა ავსტრიელს გაგონებაც არ სურდა ნებისმიერ დათმობაზე. საბოლოო ჯამში რეპრესიების გზა აირჩია სამეფო კარმა და პარლამენტის ჯიუტი წევრების დაპატიმრებები დაიწყო. პარიზში კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება: 1200 ბარიკადი გაჩნდა ერთ ღამეში. მეფის ოჯახი ქალაქიდან გაიქცა, ხოლო პარიზელები კი სამი თვე უმკლავდებოდნენ არმიას. მხოლოდ 1649 წლის მარტში შესძლო მეფის ხელისუფლებამ პარლამენტის მოთვინიერება, როდესაც მისმა თავმჯდომარე მოლემ კაპიტულაციას მოაწერა ხელი. ერთი წლის შემდეგ კვლავ დაიწყო აჯანყება – პირადად მაზარინის წინააღმდეგ ამხედრდნენ ბურბონების უმცროსი შტოს წარმომადგენელი პრინცები. ამჯერად სრულად იჩინა თავი მაზარინის დიპლო-

მატიურმა ელასტიუროზამ: მოჯანყე პრინცებმა გულუხვი პენსიები და სარფიანი თანამდებობები მიიღეს და დამშვიდდნენ. როგორც იქნა მისი საყვარელი საქმისათვის – საგარეო პოლიტიკისათვის მოიცალა პირველმა მინისტრმა მაზარინიმ. იგი ხომ (მტრების აღიარებითაც) სრულყოფილად ფლობდა დიპლომატიურ ხელოვნებას. ცოცხალი, მოქნილი ტვინი, გარეგნული უბრალოება, რბილი საურთიერთობო მანერა – ყველაფერი ეს თვალშისაცემად განსხვავდებოდა მკვეთრ მბრძანებლურ ტონს შესისხლხორცებულ რიშელიეს სტილისაგან.



ვილჰელმ III ორანელი (1650-1702 წ.წ.)

ეპოქალური მნიშვნელობის ორი სამშვიდობო ხელშეკრულება – ვესტფალისა და პირენეის ზავები იქცა საფრანგეთის ორი პირველი მინისტრის დიპლომატიური ოდისეის დამაგვირგვინებელ ტრიუმფად. 1648 წლის 24 ოქტომბერს მოაწერეს ხელი ზავს, რომელიც ვესტფალის ზავის სახელით შევიდა ისტორიაში და ახალ, ვესტფალის ეპოქას დაუდო სათავე. საფრანგეთის სახელით სამშვიდობო მოლაპარაკებებს მაზარინი აწარმოებდა, რომელსაც ბრწყინვალე ავსტრიელ დიპლომატ ტრაუტმანსდორფთან მოუხდა უაღრესად რთული დიპლომატიური ფარიკაობა. საქმე კი ის იყო, რომ იმპერატორის წარმომადგენელი თავიდან არც თუ წარუმატებლად ცდილობდა ფრანგების სტრატეგიული მოკავშირე შვედების ზომაგადასულად უძლები მადის დაკმაყოფილებას (ცხადია პარიზის ხარჯზე) და ამ გზით მოკავშირეთა შორის განხეთქილების შეტანას. ოსტატური დიპლომატიური მანევრით მაზარინიმ შესძლო ბრანდენბურგის კურფიურსტი დაეპირისპირებინა შვედებისათვის და ასე გაეზარდა უკანასკნელთათვის საფრანგეთთან კავშირის მნიშვნელობა. მაქსიმუმი, რისი

გაკეთებაც შესძლო ტრაუტმანსდორფმა – შეინარჩუნა მომავალი ავსტრიის სახელმწიფოებრივი და ტერიტორიული მთლიანობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ომში გამარჯვებულებმა მნიშვნელოვნად გაიფართოვეს საკუთარი ტერიტორიები: შვედეთმა დასავლეთ პომერანიის ნაწილი და აღმოსავლეთი პომერანია მიიღო, საფრანგეთმა საბოლოოდ დაიმკვიდრა ლოთარინგიის სამი საეპისკოპოსო: მეცის, ტულისა და ვერდენის და დამატებით ელზასიც მიიერთა (სტრასბურგის გამოკლებით). სამშვიდობო ტრაქტატმა აღიარა ჰოლანდიისა და შვეიცარიის დამოუკიდებლობა. პარიზისათვის ტერიტორიულ შენაძენებზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ ზავით საბოლოოდ განისაზღვრა გერმანულ სახელმწიფოთა შიდა პოლიტიკური მოწყობა, გამყარდა მათი პოლიტიკური დაქუცმაცება და დაიწყო იმპერიის ფაქტიური დეზინტეგრაციის პროცესი. განსაზღვრა რა კონტინენტური ევროპის სახელმწიფოთა საზღვრები, ვესტფალის ზავი იქცა ყველა შემდგომი ხელშეკრულებების ამოსავალ საერთაშორისო დოკუმენტად XVIII საუკუნის დასასრულამდე.

სამასამდე გერმანელმა კურფიურსტმა, თავადმა, გრაფმა, პრინცმა თუ ხელმწიფემ მიიღო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმართვის უფლება. მათ შეეძლოთ ნებისმიერ სახელმწიფოსთან ჰქონოდათ დიპლომატიური თუ სავაჭრო ურთიერთობები, დაედოთ ხელშეკრულებები, ეომათ და დაზავებულიყვნენ. ფორმალურად მათ მხოლოდ იმპერიისადმი მტრული პოლიტიკის გატარება ეკრძალებოდა, მაგრამ არავინ არ აქცევდა ყურადღებას ამ შეზღუდვას.

მხოლოდ 1659 წელს მოახერხა მაზარინიმ ესპანეთთან დაზავება. პირენეის ზავით საფრანგეთმა მიიღო ლუქსემბურგის ნაწილი, რუსილიონი, არტუა და გენეგაუ. ეს იყო ფრანგული დიპლომატიის ჭეშმარიტი ტრიუმფი. მაზარინმა შესძლო დიდი წარმატებით დაესრულებინა თავისი გენიალური წინამორბედის მიერ ჩაფიქრებული და დაწყებული პროექტი: საფრანგეთის ჰეგემონიისა და ევროპის „ფრანგული“ საუკუნის პროექტი. ოცდაათწლიანმა ომმა შეცვალა ევროპა – გამარჯვებულმა საფრანგეთმა და შვედეთმა, პოზიციები განიმტკიცეს, გერმანია კი კიდევ ორას წელს რჩებოდა დაყოფილი.

მკვეთრად შესუსტდა ჰაბსბურგთა გავლენა ევროპაში. ვესტფალის ზავი იყო პირველი თანამედროვე დიპლომატიური კონგრესი, საიდანაც დაიწყო სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტზე დამყარებული ახალი ევროპული წესრიგის ათვლა. საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა კონგრესის ყოველ მონაწილეს: საფრანგეთი რიშელიეს სცენარით მოქმედებდა და ავსტრიელ და ესპანელ ჰაბსბურგთა რკალის გარღვევას ცდილობდა (წარმატებით), შვედეთის საბოლოო მიზანი ბალტიაზე ჰეგემონია იყო, ესპანეთი და რომის საღვთო იმპერია კი ცდილობდნენ რაც შეიძლება ნაკლები ტერიტორიები დაეკარგათ. რაც მთავარია, ვესტფალის ზავმა იმ წინააღდეგობებს მოუღო ბოლო, რამაც ომი გამოიწვია: უფლებებში გაათანაბრა კათოლიკეები და პროტესტანტები, დააკანონა 1624 წლამდე განხორციელებული საეკლესიო მიწების კონფისკაცია; ზავმა ზღვარი დაუდო რომის საღვთო იმპერიის სწრაფვას დასავლეთ ევროპაში ერთპიროვნული ჰეგემონიისაკენ და შეარყია მისი ავტორიტეტი; ვესტფალის ზავიდან მოყოლებული, საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარი როლი სუვერენულ სახელმწიფოებს ეკუთვნოდათ; მკვეთრად გაიზარდა ეროვნულ სახელმწიფოთა მნიშვნელობა; ვესტფალის სისტემის შექმნით დასრულდა ისტორიული ეპოქა. ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდა რეფორმაციით წამოჭრილი საკითხი – ეკლესიის როლი გერმანიასა და მის მეზობელ ქვეყნებში; ზავმა რადიკალურად შეცვალა ავსტრიელ ჰაბსბურგთა საგარეო-პოლიტიკური ვექტორი; ესპანსიის მთავარ მიმართულებად სამხრეთ-აღმოსავლეთი იქცა.

კარდინალი მაზარინი რიშელიეს მიერ დასახულ კურსს საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში ისე მიჰყვებოდა, როგორც არქიტექტორი ნახაზს. არ შემცდარა რიშელიე, როდესაც თავის პოლიტიკურ მემკვიდრედ სწორედ მაზარინის კანდიდატურა შესთავაზა ლუდოვიკო XIII. დიუმას „სამ მუშკეტერზე“ გაზრდილი თაობისათვის, ალბათ, იოლი არ იქნება დიდი მწერლის გენიალური კალმის ტყვეობიდან განთავისუფლება, მაგრამ წარსულის ისტორიული ფაქტები მხატვრული შედევრებით არ იცვლება. საფრანგეთის მეფეთა კარზე კარდინალ მაზარინის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის და-

მაგვირგვინებელი აკორდი იყო სწორედ 1659 წლის 7 ნოემბერს, ესპანეთთან დადებული ზავი (პირენეის ზავი). ამით დასრულდა ჯერ კიდევ რიშელიეს დროს, 1635 წელს დაწყებული ომი. 124 მუხლისაგან შემდგარი ხელშეკრულებით, ესპანეთი საფრანგეთს უთმობდა ზემოთ ჩამოთვლილ ტერიტორიებს. პირენეების ჩრდილოეთით ესპანეთს დარჩა მხოლოდ ქალაქი ლივია, რომელიც დღემდე ანკლავს წარმოადგენს საფრანგეთის ტერიტორიაზე. ესპანეთი ასევე უარს ამბობდა 1639 წელს ფრანგების მიერ მიტაცებულ ელზასზე. სრული მოცულობით აღდგა ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა. როგორც კეთილი ნების გამოხატვა, საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV ცოლად ირთავდა ესპანეთის ინფანტას მარია ტერეზიას, რომელსაც ხუთასი ათასი ოქროს ეკიუ უნდა მოჰყოლოდა მზითვად, რაც წელიწადნახევარში უნდა გადაეხადა ესპანეთს. საქორწინო ხელშკრულებაში დათქმული იყო, რომ როგორც კი საფრანგეთში ჩააღწევდა მზითვად დადგენილი თანხა, საფრანგეთის დედოფალი უარს იტყოდა ესპანეთის ტახტის მემკვიდრეობაზე. ფაქტიურად ზავი „ესპანეთის საუკუნის“ დასასრულს მოასწავებდა. რაც შეეხება მზითევს, გამჭრიახმა მაზარინმა ზუსტად გათვალა, რომ მრავალწლიანი ომებით გაჩანაგებული ესპანეთი, ვერ გადაიხდიდა ამხელა თანხას. ეს კი, საჭიროების შემთხვევაში ომის დაწყების საბაბს მისცემდა საფრანგეთის მეფეს. შემდგომში ასეც მოხდა.

1661 წელს, 59 წლის ასაკში გარდაიცვალა ჯულიო მაზარინი. საფრანგეთის პირველ მინისტრად ქცეული ღარიბი სიცილიელი აზნაური. პირენეის ზავი იქცა კარდინალის უკანასკნელ სერიოზულ დიპლომატიურ გამარჯვებად მისი მეორე სამშობლოს 17 წლიან სამსახურში. მან ზავის გაფორმებამდე ერთი წლით ადრე ისე „ელეგანტურად“ მოისყიდა გერმანელი მმართველები, რომ როდესაც ახალ იმპერატორად ლეოპოლდ ჰაბსბურგი აირჩიეს, უკანასკნელს პირობა დაადებინეს ესპანეთს არ დახმარებოდა საფრანგეთთან ომში (იმ დროს ჯერ კიდევ ომობდნენ ესპანეთი და საფრანგეთი). იმავე წელს მაზარინიმ ხელშეკრულება გააფორმა ე.წ. რეინის კავშირთან (დაქუცმაცებული გერმანიის რამდენიმე თავადის კავშირი) ვესტფალის ზა-

ვის პირობების ერთად დაცვაზე. სრულ იზოლაციაში მოქცეული ესპანეთის დაყოლიება მადრიდისათვის ყოველმხრივ წამგებიან ზავზე, დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენდა მაზარინის დონის დიპლომატისათვის. ასე რომ, თავისი დიდი მასწავლებლისა და მფარველის მსგავსად, მანაც სავსებით ვალმოხდილმა დატოვა ცოდვილი სამყარო.

მიუხედავად იმისა, რომ მაზარინის გარდაცვალებამდე მთელი 13 წელი ატარებდა საფრანგეთისა და ნავარის მეფის ტიტულს ლუდოვიკო XIV, ჯერ მცირეწლოვანი ასაკის, მოგვიანებით კი, დედისა და მისი პირველი მინისტრის უალტერნატივო ტანდემის გამო, მხო-



ლუდოვიკო XIV
(1638-1715)
საფრანგეთის მეფე 1643-1715 წლებში

ლოდ მაზარინის გარდაცვალების შემდეგ გახდა 22 წლის ლუდოვიკო თვითმპყრობელი მონარქი. გამეფებისთანავე საჯაროდ განაცხადა ახალგაზრდა მეფემ, რომ საფრანგეთში დამთავრდა პირველმინისტ-

ცია არისტოკრატია, თუმცა ახლოს არ მიეშვა პოლიტიკურ ხელისუფლებასთან; „საკუთარი მოვალეობის საზღვრებში“ ჰყოლოდა მთელი სასამართლო სისტემა.

შესაშური ფიზიკური ჯანმრთელობა და „მეფური იერი“, მშვიდ მზერაში აღბეჭდილი საკუთარი ძალის ურყევი რწმენა, სიყმაწვილიდან იქცა საფრანგეთის ყველაზე ბრწყინვალე მეფის საფირმო ნიშნად. როგორც მისი ბიოგრაფები აღნიშნავენ, ლუდოვიკო XIV მისი რთული ეპოქისათვის იშვიათი ჯანმრთელობით გამოირჩეოდა. მხოლოდ მის რკინისებულ ორგანიზმს შეეძლო გადაეტანა უსასრულო სასიყვარულო თუ სხვადასხვა თავგადასავლები, სისტემატური მეჯლისები და, რაც მთავარია, შუასაუკუნეების მედიცინის საშიში ექსპერიმენტები; სამეფო კარის ექიმები, როგორც წესი, სისტემატურად იყენებდნენ „მკურნალობის“ ისეთ „უნივერსალურ“ მეთოდებს, როგორიცაა ინტენსიური სისხლდენა (შუბლზე ვენის გახსნითაც კი). ხშირად იყენებდნენ ისეთი ეგზოტიკური ინგრედიენტებისაგან დამზადებულ „წამლებს“, როგორიცაა: გამხმარი ასპიტის ფხვნილი და ცხენის ნეხვი. ასეთი „მკურნალობის“ შედეგი იყო: კუჭის მოქმედების აშლილობა, ნაწლავების ანთებითი პროცესები, ფურუნკულოზი და თავბრუსხვევები. დღემდე უკვირთ მკვლევარებს, თუ როგორ იტანდა ლუდოვიკოს ორგანიზმი ყოველივე ამას. ალბათ, ამიტომაც წერდა აღფრთოვანებით კარის ექიმი ვალო მეფის „გმირულ ჯანმრთელობაზე“, რაც სინამდვილესთან ახლოს იყო. აქვე დავძენთ, რომ მეფეს ბავშვობიდან სჭირდა ბულიმეი (უძღები მადა), თანაც საჭმელს დაუღეჭავს ყლაპავდა (ესეც ექიმების „დამსახურება“ იყო, ვინაიდან შეცდომით დააბრეს ზედა ყბის კბილები).

რთული და წინააღმდეგობრივი იყო ლუდოვიკო XIV პიროვნება. ამიტომაც იყო, რომ თუ მისი ეპოქის ბრწყინვალე მემუარისტმა სენსიმონმა, „მეფე მზის“ არც თუ სახარბიელო პორტრეტი დაგვიტოვა, ხოლო უინსტონ ჩერჩილი კი „ევროპის წყევლად და შავ ჭირად“ მოიხსენიებდა ლუდოვიკო XIV-ს, მისით აღტაცებული იყო თვით ნაპოლეონი და ვოლტერი. უკანასკნელი მასში ისეთ თვისებებს ხედავდა, როგორიცაა: შრომისმოყვარეობა, გაწონასწორებულობა, მჭევრმე-

ტყველება, სხვისი აზრის სმენის უნარი და საკუთარ ღირსებასთან შერწყმული დახვეწილი თავაზიანობა. ახალგაზრდა მეფემ გადაჭრით აღკვეთა დედამისის სწრაფვა ხელისუფლებისაკენ, მაგრამ სკრუპულოზურად ასრულებდა გულისხმიერი შვილის ყველა მოვალეობას. ყურადღებიანი შვილი, კარგი მშობელი და გარეგნულად ქრისტიანული ქცევის ნორმების ფანატიურად ერთგული მეოჯახე – ასეთად შეეცადა მეფის თანამედროვე გენიალური მოაზროვნე, მომავალ თაობათათვის შემოენახა ლუდოვიკოს პორტრეტი.

რას წარმოადგენდა სინამდვილეში როგორც პიროვნება და სახელმწიფო მოღვაწე საფრანგეთის ახალი მეფე? უპირველეს ყოვლისა, ცხადია, ის თავისი ეპოქის შვილი იყო, თუმცა მომგებიანად გამოირჩეოდა როგორც მამის, ასევე მემკვიდრეებისაგან პირველ რიგში შრომისმოყვარეობითა და ორგანიზებულობით, კარგად ესმოდა ჭკვიან ქვეშევრდომთა ფასი, უსმენდა და ჯეროვნად აფასებდა მათ. ამავე დროს ყოველგვარ გონივრულ ზღვარს სცილდებოდა სამეფო კარისა და მეფის ფავორიტთა ფუფუნება და ფლანგვა: ორი მილიონი ლივრის ბრილიანტები შეიძინა მეფემ მხოლოდ ერთ, 1685 წელს. ამავე დროს გათხოვდა მეფის ერთ-ერთი უკანონო ქალიშვილი და მოსიყვარულე მამამ უხვად დაასაჩუქრა სიძე-ქალიშვილი: მილიონი ლივრი ნაღდი ფულით, 100 ათასის სამკაულები და მილიონიც ყოველწლიური პენსიის სახით; ყოველთვიურად 50 ათას ლივრს ღებულობდა „ჯიბის ფულად“ ტახტის მემკვიდრე; მეფე ისტუმრებდა ძმის, შვილიშვილების და ოჯახის სხვა წევრების ხარჯებს – 1684 წლის აპრილში 400 ათასი ეკიუ გადაიხადა მხოლოდ დედოფლის ბანქოს ვალში. მეფის ნებისმიერი კაპრიზის უსიტყვოდ შემსრულებელი მთავარი ფინანსისტი კოლბერიც კი სისტემატურად ურჩევდა (წერილობით) მეფეს მეტი სიფრთხილით მოკიდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტს. ფინანსთა გენერალური კონტროლიორი სამართლიანად თვლიდა, რომ გაუმართლებელი იყო სამი ათასი ლივრის გადახდა მეფის ოჯახის ერთ სადილში. როდესაც 1697 წელს, მეფის შვილიშვილი ბურგუნდიის ჰერცოგი დაქორწინდა, პირადად ლუდოვიკო ხელმძღვანელობდა საქორწინო ზეიმის სამზადისს. ზეიმი კი მართლაც ზღაპ-

რული აღმოჩნდა: თანამედროვეთა გადმოცემით, ზოგიერთი ლამაზმანის მხოლოდ ქვედაწელის მოკაზმვაზე ორი კგ. ოქრო დაიხარჯა, ხოლო ქალთა ვარცხნილობის ოსტატთა („სტილისტების“) ჰონორარმა კი საათში ორას ლივრს მიაღწია.

რასაკვირველია, ლუდოვიკო XIV კარი გამონაკლისი არ ყოფილა იმდროინდელ ევროპაში, მისთვის ევროპული არისტოკრატიის ყველა მანკიერება იყო დამახასიათებელი. განსხვავება მხოლოდ მასშტაბებში თუ იყო. აქ კი პარიზს მართლაც არ ჰყავდა კონკურენტი: აზარტული თამაშები, ტოტალური ლოთობა და ტრივიალური გარყვნილება უმაღლეს დონეზე იყო აყვანილი; დაუფარავად ყვაოდა ჰომოსექსუალიზმი და ლესბოსელობა. ორლეანის ჰერცოგი მეფის ძმა, პრინც კონდეს ძმიშვილები, კოლბერის შვილი, გრაფი ვერმანდუა (მეფის კიდევ ერთი უკანონო შვილი) და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა არისტოკრატი საჯაროდ ითვლებოდნენ ჰომოსექსუალური „მოდის“ კანონმდებლებად. ვერსალში ხმამაღლა ჭორაობდნენ ჰერცოგინია დიურაზე, რომელიც, თურმე, მზად იყო მთელი თავისი ქონება გაეღო რათა ერთი სასიყვარულო ღამე გაეტარებინა მეფის ქალიშვილ, 15 წლის პრინცესა დე კონტისთან, მაგრამ უკანასკნელი მეფის გვარდიელებს ანიჭებდა უპირატესობას.

რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, მთელ სამეფო კარზე მხოლოდ მეფე გამოირჩეოდა თავშეკავებითა და უბრალოებით, თუმცა ისევე როგორც ევროპის სხვა ნებისმიერი მონარქის, მის პირად ცხოვრებაშიც განსაკუთრებული ადგილი ეკავათ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს. ისე კი, ამ „ინტერნაციონალურ“ საკითხშიც საკუთარი ხელწერა ჰქონდა „მეფე მზეს“. იგი ოფიციალურად ავალებდა კარისკაცებს დაუყოვნებლივ ეცნობებინათ მისთვის თუ შეამჩნევდნენ, რომ იგი რომელიმე მზეთუნახავის გავლენის ქვეშ ექცეოდა. „მე 24 საათი მეყოფა მისგან თავის დასაღწევად და თქვენს დასაწყნარებლად“ – ხშირად იმეორებდა მეფე. იგი მემკვიდრეებსაც კი აფრთხილებდა თავის „მემუარებში“, რომ „როგორც კი უფლებას მისცემთ ქალს სერიოზულ საქმეებზე დაგიწყოთ საუბარი, ის შეცდომაზე გაიბულებთ“-ო. იშვიათი შემთხვევა იყო, რომ ევროპის ისტორიაში უჩვეულოდ

შრომისმოყვარე და შრომისუნარიანი მონარქი, უამრავი საყვარლებისთვისაც პოულობდა დროს. მართალია, ყოველი მათგანი უხვად ღებულობდა მეგობრებისა და ნათესავებისათვის სარფიან თანამდებობებს, წოდებებსა და ტიტულებს, მაგრამ მხოლოდ ერთი მათგანი, მეფის მეორე ცოლი (არაოფიციალური) ფრანსუაზა დე მენტენონი სარგებლობდა სახელმწიფო საქმეებში ჩარევის უფლებით. მეორე გამონაკლისი იყო ჩვენთვის კარგად ცნობილი (კვლავ დიუმას უკვდავი რომანის წყალობით) ლუიზა დე ლავალიერი – მთელი ათი წელი გრძელდებოდა მეფესთან მისი გულწრფელი და აბსოლუტურად უანგარო რომანი, ხოლო როდესაც „მეფე მზემ“ ახალი საყვარელი გაიჩინა, ლუიზამ ჯერ პატიება გამოსთხოვა (და მიიღო) დედოფალ მარია ტერეზიას, შემდეგ კი, 1674 წელს, მრავალგზისი ხვეწნა-მუდარით, როგორც იქნა, დაიყოლია კარმელიტების მონასტრის დედა-წინამძღვარი მონაზვნად აღკვეთაზე (მონაზვნებად გოგონებს ღებულობდნენ და არა სკანდალური რეპუტაციის ქალებს).

ვერსალში გადასვლამდე ლუდოვიკო XIV ძირითადად პარიზში ცხოვრობდა, ჭუჭყიან და უწმინდურობით აყროლებულ დედაქალაქში. ქუჩების გასწვრივ მყრალი ნაკადულები მიედინებოდა, ზაფხულობით კი შავი მტვრის ბუღი იდგა ქალაქში. გამუდმებულ საცობებს ქმნიდნენ ქუჩებში დიდგვაროვანთა ეტლები და ღარიბთა ურიკები. პარიზში 24 საათი „მუშაობდნენ“ ქურდები და მკვლელები.

1662 წელს აირჩია ლუდოვიკო XIV-მ მზე თავის ემბლემად და საკუთარი პერსონის უკვდავყოფაზე დაიწყო ზრუნვა; მხოლოდ მონუმენტური არქიტექტურის შედევრი თუ დააკმაყოფილებდა განდიდების მანიით შეპყრობილ „მეფე მზეს“ და მთელი ნახევარი საუკუნე იქმნებოდა ფრანგული და მსოფლიო კულტურის ერთ-ერთი მართლაც ბრწყინვალე შედევრი – ვერსალის სასახლის არქიტექტურული ანსამბლი, 1252 ბუხრიანი და 600 უბუხრო ოთახით. სასახლის მისაღებ დარბაზებს ხუთი ათასამდე სტუმრის მიღება შეეძლოდ ერთდროულად. ზღაპრული თანხა – 60 მილიონი ლივრი – დაჯდა მისი მშენებლობა, სადაც 22 ათასი ადამიანი (და 6 ათასი ცხენი) მუშაობდა ყოველდღე. ვერსალში დასახლების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა

სამეფო კარის ეტიკეტი: თუ ადრე მას უბრალოება ახასიათებდა, ახლა მთელს ევროპაში გამოირჩეოდა საზეიმო და ზუსტად გაწერილი ცერემონიალით. ყოველდღიურად, გაღვიძებიდან დაძინებამდე, 198 ადამიანი ემსახურებოდა ნახევარღმერთად ქცეულ ლუდოვიკოს.

საინტერესოა, რომ სამეფო ოჯახის წევრებისადმი გულღია და უზომოდ ხელგაშლილი ლუდოვიკო განუხრელად იცავდა დისტანციას მასსა და ნებისმიერ ახლობელს შორის – არავის შეეძლო მეფეს გატოლებოდა. ბიოგრაფებმა ჩვენამდე მოიტანეს ასეთი ფაქტი: როდესაც საკუთარმა ძმამ თავისი ფეხმძიმე მეუღლისათვის მეფის დასწრებით ზურგიან სკამზე ჯდომის უფლება ითხოვა, კატეგორიული უარი მიიღო, თუმცა „დიდი წუხილით". მეორე შემთხვევა: როდესაც ლუდოვიკოს ერთ-ერთმა დიპლომატმა ინგლისელ კოლეგას გააცნო „მეფე მზის" მმართველობის პრინციპები, უკანასკნელი გაოცებული შეეკითხა მოსაუბრეს – თქვენ თურქეთში ხომ არ სწავლობდით სახელმწიფო სამართალსო?

ცხადია, ბუნებრივი იყო ადამიანის უფლებების პრიმატის გზაზე უკვე მყარად მდგარი ბრიტანეთის მოქალაქის რეპლიკა, მაგრამ ისიც ფაქტი იყო, რომ იგივე ინგლისელ მონარქებისაგან განსხვავებით, ლუდოვიკომ შესძლო იმდროინდელ ევროპაში საუკეთესო თუ არა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურად ორგანიზებული სახელმწიფო მმართველობის სისტემის შექმნა. მეფის დილის აუდენციის შემდეგ, კვირაში სამჯერ იმართებოდა სახელმწიფო საბჭოს სხდომები. მეფისგან ხელმარჯვნივ იჯდა საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი, რომელიც დოკუმენტებსა და უცხოეთში გასაგზავნი წერილების პროექტებს აცნობდა საბჭოს. ყველას შეეძლო საკუთარი აზრის გამოთქმა, რასაც მუდამ ყურადღებით ისმენდა მეფე. პრაქტიკულად სიკვდილამდის არ შეუცვლია ეს წესი ლუდოვიკოს. სხდომა ჩატარდა მეფის შვილიშვილის მეუღლის, ბურგუნდიის ჰერცოგინიას გარდაცვალების დღესაც კი. კვირაში ორჯერ იკრიბებოდა ფინანსური საბჭო, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავდა და გადასახადების რეგულირებას ახდენდა. საბჭო ფინანსთა გენერალური კონტროლიორის ზემდგომი ორგანო იყო და ფხიზლად

ადევნებდა თვალს სამეფოს პირველი ფინანსისტის საქმიანობას. როგორც წესი, სხდომებზე ლუდოვიკო XIV ცოტას ლაპარაკობდა და არასოდეს ჩქარობდა საკუთარი აზრის გამოთქმას. წესად ჰქონდა, ჯერ ბოლომდე მოესმინა სხვების აზრი, ხოლო უკვე მიღებული გადაწყვეტილებები კი განუხრელად ტარდებოდა ცხოვრებაში. მეფე ძვირად აფასებდა ერთგულ სამსახურს: ასე მაგალითად, ჰერცოგი ბოვილიე წელიწადში 20 ათას ლივრს ღებულობდა როგორც მუდმივი სახელმწიფო მდივანი, 18 ათასს – როგორც ფინანსური საბჭოს თავმჯდომარე, 36 ათასს – როგორც ჰავრის გუბერნატორი და 14 ათასს – როგორც სამეფო აპარტამენტების პირველი აზნაური. მთლიანობაში 88 ათას ლივრს აღწევდა მისი წლიური ხელფასი, რაც მაღალი კვალიფიკაციის მუშის ოთხ საუკუნიანი დაძაბული შრომის ანაზღაურებას უტოლდებოდა.

რაც შეეხება დიპლომატიასა და მოლაპარაკებებს, ლუდოვიკო XIV-ს მთავარ იარაღად სამხედრო ძალა იქცა, თუმცა ერთდროულად კიდევ უფრო დაიხვეწა და ეფექტური გახდა მოლაპარაკებების ტაქტიკა და სტრატეგია. პრაქტიკულად მთელ ევროპაში იბრძოდა საფრანგეთის არმია: რომის საღვთო იმპერიის ტერიტორიაზე, ნიდერლანდებში, იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში და თვით შორეულ ამერიკაშიც კი. ახალ-ახალი სამხედრო კამპანიებისათვის მზადება იყო ხანმოკლე შესვენებები. რიშელიეც, მაზარინიც, ლუდოვიკოც სამართლიან აუცილებლობად თვლიდნენ დაპყრობით ომებს, რამეთუ მიზანი ახალი ტერიტორიების შემოერთება, ანუ სახელმწიფო ინტერესების დაკმაყოფილება იყო. იმ დროს ასეთი მცნებაც კი არსებობდა: „დაპყრობის უფლება“ დიპლომატიურ ენაზე ლოთარინგიის ანექსია ღალატისათვის ვასალის სამფლობელოს კონფისკაცია იყო და არა აგრესიის აქტი, ხოლო მიმდებარე ტერიტორიების მიერთება კი მხოლოდ სამართლიანობის აღდგენა.

დიპლომატიის უმნიშვნელოვანეს ელემენტად ლუდოვიკოც მოლაპარაკებებს მიიჩნევდა – „ყველა სერიოზული მოვლენის თავისუფლად განხილვა და სხვადასხვა ადამიანთა რჩევების მოსმენა, სიფრთხილისა და საფუძვლიანობის გამოხატვაა და არა სისუსტისა და

სხვებზე დამოკიდებულებისა, როგორც ეს სულელებს მიაჩნიათ“ – წერდა საგარეო პოლიტიკის საკითხებში სახელმწიფო მდივანს ლუდოვიკო XIV. თვით ომის დროსაც კი აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს ფრანგი დიპლომატები, რათა განხეთქილება შეეტანათ მოწინააღმდეგეების ბანაკში. რიშელიეს მსგავსად, „მეფე მზეც“ სისტემატურად იყენებდა საიდუმლო დიპლომატიურ მისიათა შესასრულებლად ვაჭრებსა და სამღვდელოების წარმომადგენლებს. მას მიაჩნდა, რომ შუამავლების საშუალებით წარმოებული არაოფიციალური მოლაპარაკებები გაცილებით ეფექტური იყო, ვიდრე საჯარო ოფიციალური კონგრესები. ფრანგული დიპლომატიისათვის დამახასიათებელი იყო ფრთხილი და აუჩქარებელი სვლა საბოლოო მიზნისაკენ. ფრანგები არასოდეს ჩქარობდნენ საკუთარი პოზიციისა და წინადადებების დაფიქსირებას, ყურადღებით სწავლობდნენ მეორე მხარის პოზიციას და მუდამ იტოვებდნენ თავისუფალი მოქმედების სივრცეს. როდესაც ბოლომდე არ იყვნენ დარწმუნებულნი საკუთარი პოზიციის სიძლიერეში, მათ მუდამ მზად ჰქონდად სამშვიდობო ხელშეკრულებების რამდენიმე კომპრომისული ვარიანტი. სხვა შემთხვევაში კი ხისტად უალტერნატივო ენასაც არ თაკილობდნენ. მუდამ გაურბოდნენ დროებით დაზავებებს და გრძელვადიანი ხელშეკრულებებისათვის იბრძოდნენ. რიშელიეს პერიოდში დიპლომატიური მოლაპაარკებები ლათინურ და ფრანგულ ენებზე წარმოებდა, თუმცა ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომის პერიოდში, უკვე ფრანგული ითვლებოდა მთავარ „დიპლომატიურ ენად“.

XVII საუკუნის შუა პერიოდში საფრანგეთის საზღვრები, ბალტიიდან მოყოლებული ბოსფორამდე, საიმედოდ დაცულად გამოიყურებოდა. ვერსალის გეგმებით, შვედეთი, პოლონეთი, უნგრეთი და თურქეთი საფრანგეთის ბასტიონად უნდა ქცეულიყო, თუმცა „მეფე მზის“ დიპლომატიურ გათვლებს აშკარად აკლდა რიშელიეს შეუცდომელი ალღო და მაზარინის მოზომილი სიფრთხილე. მთავარი კი ის იყო, რომ ვესტფალის შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობები გაანგარიშებული იყო პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობებზე, ხოლო ახალი საფრანგეთი – სახელმწიფო, რომელსაც საზავო ხელშეკრულე-

ბით ეცალებოდა ყოფილიყო თანაფარდობის გარანტი – მზად იყო ფიქციად ექცია ნებისმიერი თანაფარდობა საკუთარი პოლიტიკური ამბიციებით, უპირატესი სამხედრო ძალით და დაპყრობითი ომებით. საფრანგეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკის ლოგიკური შედეგი იყო ოთხი სისხლისმღვრელი ომი, სადაც საფრანგეთს პრაქტიკულად მარტოს უხდებოდა ნახევარ ევროპასთან (დრო და დრო კი ფაქტიურად მთელ ევროპასთან) ბრძოლა. ნიშანდობლივი ფაქტია, რომ ყველა ომში ანტიფრანგული კოალიციების ორგანიზატორი იყო ჰოლანდია. საფუძვლიანი ეჭვით უყურებდა რა ძლევამოსილი მეზობლის საგარეო-პოლიტიკურ ამბიციებს, ჰოლანდიას სულაც არ აწყობდა დასუსტებულ და დაქსაქსულ გერმანულ მონარქთა და ასევე უსუსური ესპანეთის ნიდერლანდების (რომელიც პირველი ამოიღო მიზანში ლუდოვიკო XIV-მ) ნაცვლად, მემკვიდრეობით მიღებული გამარჯვებებითა და საკუთარი დიდების მანიით დაუოკებელი სახელმწიფო მიეღო. ჰოლანდიას „მიუძღვოდა ბრალი“ იმაში, რომ უშედეგოდ დამთავრდა ლუდოვიკოს ძვირადღირებული მცდელობები „თავისი კაცი“ დაესვა პოლონეთის ტახტზე. სულ უფრო და უფრო მეტ ფულს ითხოვდნენ საფრანგეთის ანგარიშიანი მოკავშირე შვედები და დროდადრო მოწინააღმდეგე ბანაკში გადასვლითაც კი იმუქრებოდნენ. არც მოკავშირეებისადმი ერთგულება იყო საფრანგეთის მონარქისათვის რელიგიური დოგმა: როგორც კი ჩათვალა, რომ ხელსაყრელი იყო იმპერატორ ლეოპოლდ პირველთან კავშირი, ზურგი შეაქცია მისი დახმარების იმედზე მყოფ, იმპერატორთან მებრძოლ უნგრელებს. „მეფე მზის“ გონებაში ღრმად ჩამჯდარი დინასტიური, პოლიტიკური, სამხედრო და პირველ რიგში პირადი დიდების იდეა ფარავდა ყველაფერს, რაც ევროპის საერთაშორისო ურთიერთობებში ცალკეულ სახელმწიფოთა როლისა და მნიშვნელობის ადეკვატურად შეფასების საშუალებას არ იძლეოდა. მეფე ჯეროვნად ვერ აფასებდა ჰოლანდიის ფინანსურ შესაძლებლობებს, ინგლისური პროტესტანტიზმის ძალას და მისი ყურადღების მიღმა აღმოჩნდა გერმანული ერთობის იდეის პირველი სიმპტომები. არც რიშელიესა და მაზარინის მიერ წამოწყებულ კოლონიურ პოლიტიკას აქცევდა სათანადო ყურადღებას. ევროპის

მთავარ პოლიტიკურ ფიგურად ლუდოვიკოს ცხადია საკუთარი თავი მიაჩნდა, ხოლო საფრანგეთს კი უძლეველ სახელმწიფოდ თვლიდა.

ლუდოვიკოს ასეთი დასკვნები (მცდარი, როგორც შემდგომში გაირკვა) იმ ობიექტურ ფაქტსაც ემყარებოდა, რომ საფრანგეთის მოსახლეობა იყო ყველაზე მრავალრიცხოვანი (21 მლნ.) იმდროინდელ ევროპაში; თვით რუსეთშიც კი 16 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. ერთად აღებული ინგლისისა და ესპანეთის მოსახლეობა 13 მილიონსაც კი ვერ აღწევდა. მხოლოდ საფრანგეთს შეეძლო 400-ათასიანი არმიის გამოყვანა. ლუდოვიკო არც თუ უსაფუძვლოდ თვლიდა თავის ქვეყანას ევროპის ეკონომიკურ ლიდერად. სხვა მოსაზრებებიც კვებავდა მის ყოველგვარ ზღვარს გადასულ სიამაყეს: თუ რომის წმინდა იმპერიის იმპერატორს პაპის კურთხევა ესაჭიროებოდა, ის მემკვიდრეობით ადიოდა ტახტზე, თანაც იმპერატორი ხომ კარლოს დიდის იმპერიის მხოლოდ ნაწილს მართავდა. რეალობაში საფრანგეთის მეფე არაფრით არ ჩამორჩებოდა პაპსაც და იმპერატორსაც, ხოლო ევროპის დანარჩენ მონარქებზე მაღლა კი ნამდვილად იდგა. ვერსალში თვლიდნენ, რომ მათ მონარქს სხვა უპირატესობებიც გააჩნდა: ინგლისში პარლამენტი ზღუდავდა ხელმწიფის ძალაუფლებებს, შვედეთში – არისტოკრატია, პოლონეთში – სეიმი და მუდამ მოჯანყე თავადაზნაურობა, შვეიცარიასა და გაერთიანებულ პროვინციებს სულაც არისტოკრატია მართავდა, საფრანგეთის მეფისათვის კი არანაირი შეზღუდვები არ არსებობდა. „მეფე მზე“ რიშელიეს მიერ გამყარებული აბსოლუტიზმით აშკარად და დემონსტრაციულადაც კი სარგებლობდა, მაგრამ როდესაც პოლონეთში საფრანგეთის ელჩს აზრად მოუვიდა ვარშავაშიც დაეცვა აბსოლუტიზმის იდეა, პარიზიდან მკაცრად გააფრთხილეს – ფრანგი კოლეგასავით შეუზღუდავი პოლონეთის მონარქი საფრანგეთისათვის რთულად სამართავი შეიძლება გამხდარიყო. გარდა ამისა, საფრანგეთის დიპლომატია არ ერევა უცხო ქვეყნების საშინაო საქმეებშიო. და ეს მაშინ, როდესაც რიშელიესა და მაზარინივით, ლუდოვიკოც დაუფარავად ეხმარებოდა იმპერატორის ოპოზიციას, მისი აგენტები აფინანსებდნენ ანტიჰაბსბურგულ ომებს უნგრეთსა და ტრანსილვანიაში, ვერსალში დიდი

პატივით ღებულობდნენ და ხელცარიელს არ ისტუმრებდნენ უნგრეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს ფერენც რაკოცის. საფრანგეთივე აფინანსებდა სიცილიის ბრძოლას იმპერიის წინააღმდეგ. დინასტიურ ინტერესებს ანაცვალა ლუდოვიკომ ზოგადევროპული ინტერესები, როდესაც თავი აარიდა თურქეთთან ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობას, თურქები კი დამონებით ემუქრებოდნენ.

საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიაში ვიწრო პრაგმატიზმზე დამყარებულ კურსს დროებითი დივიდენდები მოჰქონდა და კათოლიციზმის ინტერესების იგნორირებით მანევრირების საშუალებას იძლეოდა. მეფე დემონსტრაციულ თავაზიანობას ავლენდა პროტესტანტული ქვეყნების – ინგლისის, ბრანდენბურგის, დანიის, ჰოლანდიის ელჩების მიმართ და გაუგონარ შეღავათებსაც კი აწესებდა მათთვის: მარხვის დღეებში მათ ხორცის ყიდვის უფლება ჰქონდათ. ეს უკვე რიშელიეს მემკვიდრეობა იყო – კარდინალი ხომ სინდისის ქეჯნის გარეშე ყიდულობდა შვედ და გერმანელ პროტესტანტთა დახმარებას კათოლიკე ჰაბსბურგებთან ბრძოლაში, ხოლო რიშელიეს ნიჭიერი მოწაფე მაზარინი, ასევე რელიგიური განცდების გარეშე თანამშრომლობდა კრომველთან. ლუდოვიკოს ელჩები ერთნაირი მონდომებითა და პროფესიული ოსტატობით აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს შვეიცარიის როგორც პროტესტანტულ, ასევე კათოლიკურ კანტონებთან. როდესაც 1663 წელს ლონდონში ხმა გავრცელდა, რომ საფრანგეთის არმია კალვინიზმის ბასტიონის – ჟენევის ალყას გეგმავსო, მეფემ ლონდონში საფრანგეთის ელჩს დაავალა, ოფიციალური განცხადებით უარეყო ასეთი ვერსია. ისედაც დაძაბული იყო კანტონებს შორის დამოკიდებულება, ხოლო საფრანგეთის ინტერესები კი ერთიან შვეიცარიას ითხოვდა. ამავე დროს, რიშელიესა და მაზარინისაგან განსხვავებით, ლუდოვიკომ ვერ გამოძებნა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში (რელიგიურ საკითხთან მიმართებაში) აუცილებელი ბალანსი. საგარეო პოლიტიკაში განხორციელებული არარეალისტური და წინააღმდეგობრივი კურსი კონფლიქტურ სიტუაციებს ქმნიდა, რაც საფრანგეთის ინტერესებს ვნებდა. რწმენის საკითხში მკვეთრად აბსოლუტურ შეუწყნარებლობამდე მისული

საშინაო პოლიტიკა კი ძნელად ეგუებოდა პროტესტანტიზმისადმი ლოიალურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს და საბოლოო ჯამში ჯადოსნური წრე იკვრებოდა.

„საუკუნის შეცდომად“ შეაფასა ცნობილმა ფრანგმა მწერალმა შარლ სენტ-ბეფმა მეფის მიერ პაპ ანრი IV მიერ ხელმოწერილი „ნანტის ედიქტის“ გაუქმება, რომელმაც საფრანგეთში 32-წლიან რელიგიურ ომს მოუღო ბოლო. „ნანტის ედიქტით“ ჰუგენოტებს რწმენის თავისუფლება ეძლეოდათ მთელ საფრანგეთში (პარიზისა და რამდენიმე ქალაქის გარდა). ფრანგმა პროტესტანტებმა პოლიტიკური უფლებებიც მიიღეს; მათ სახელმწიფოებრივი თანამდებობების დაკავების უფლება მიეცათ. პროტესტანტ დიდგვაროვნებს საკუთარი შეიარაღებული რაზმებიც შეიძლება ჰყოლოდათ. „ერეტიკოსების“ საკუთრებაში რჩებოდა ორასამდე ციხე-სიმაგრე. თითქოს ჩაცხრა ქვეყანაში რელიგიურ ვნებათა ღელვა, თუმცა ეს მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილება იყო, სინამდვილეში კვლავ გრძელდებოდა პროტესტანტული ეკლესიის დევნა, რასაც უკვე ლუდოვიკო XIV უწყობდა ხელს. მან თავის „საინაგურაციო“ სიტყვაშიც კი არ დაივიწყა „ერესის ამოძირკვის“ აუცილებლობა. თავის ყოველდღიურ ჩანაწერებში („მემუარებში“) იგი გულახდილად აღიარებდა, რომ ამოცანად დაისახა „ნანტის ედიქტის“ გაუქმება, რათა რაც შეიძლება ნაკლები უფლებები დარჩენოდათ პროტესტანტებს. ჯერ იყო და აიკრძალა პროტესტანტების დაკრძალვა დღის სინათლეზე, შემდეგ ბავშვებს უფლება მიეცათ, მშობლების პოზიციის გაუთვალისწინებლადაც კი, გადასულიყვნენ კათოლიკურ სარწმუნეობაზე. კათოლიკურ სკოლებში, მიუხედავად მოსწავლეთა რაოდენობისა, მხოლოდ ერთი მასწავლებელი შეიძლება ყოფილიყო. აიკრძალა შერეული ქორწინებები. ის ეკლესია, სადაც ჯვარს დაიწერდა კათოლიკე და პროტესტრანტი, უნდა დანგრეულიყო, ხოლო ასეთი ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვები უკანონოდ დაბადებულებად ითვლებოდნენ და მემკვიდრეობის უფლებას კარგავდნენ. მხოლოდ ექვს წელიწადში 85 დისკრიმინაციული კანონი იქნა მიღებული პროტესტანტების წინააღმდეგ.

შევიწროვებისა და რეპრესიების მიუხედავად, სახელმწიფოსათვის პროტესტანტებთან ბრძოლა იოლი და უმტკივნეულო არ იყო. ორ მილიონამდე ჰუგენოტი ცხოვრობდა საფრანგეთში, ბევრი მათგანი წარმატებული და შეძლებული მოქალაქე იყო და როდესაც ისინი იძულებულნი გახადეს სამშობლო დაეტოვებინათ, იმ დროისათვის ასტრონომიული თანხა – 70 მილიონი (ზოგიერთი ცნობით – 60) ლივრი გაიტანეს უცხოეთში. საფრანგეთიდან გარბოდნენ არა მხოლოდ შეძლებული ვაჭრები და ხელოსნები – ათიათასობით ჯარისკაცი, ოფიცერი და მეზღვაური გახდა იძულებული უცხოეთში ეძებნა ბედი. მათ უმრავლესობას ხალისით ღებულობდა „მეფე მზის“ საბედისწერო მეტოქე ვილჰელმ ორანელი. შვედეთის მეფე კარლ XII არმიაშიც კი გაჩნდა „ფრანგული ლეგიონი“. ბერლინში, სადაც სულ 5-6 ათასი მკვიდრი ცხოვრობდა, სიამოვნებით მიიღეს 4 ათასი ფრანგი ერთმორწმუნე. დანიაში მარშალის კვერთხი შესთავაზეს ცნობილ ფრანგ გენერალ შარლ დე-ლაროშფუკოს. „მეფე მზეს“ რელიგიური შემწყნარებლობის ღია გაკვეთილი ჩაუტარა ტუნისის მუსულმანმა ბეიმ: მან საცხოვრებელი ადგილი გამოუყო საფრანგეთიდან გამოქცეულ ქრისტიანებს.

„ფონტენებლოს ედიქტმა“ (რომლითაც „ნანტის ედიქტი“ გაუქმდა) ძლიერი დარტყმა მიაყენა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკასაც, ევროპაში შეირყა ლუდოვიკოს პრესტიჟი და გაძლიერდა პროტესტანტთა სიძულვილი მისი პიროვნების მიმართ, რამაც საბოლოო ჯამში 1686 წელს ე.წ. აუგსბურგის ლიგის (ჰოლანდიის, იმპერიის, ესპანეთის, შვედეთის, ბავარიის, პფალცის, საქსონიის, 1689 წლიდან ინგლისის) შექმნა განაპირობა. პროტესტანტთა დევნამ უარყოფითი კვალი დაამჩნია ფრანგულ დიპლომატიას სწორედ იმ კრიტიკულ მომენტში, როდესაც მომავალი ხანგრძლივი და ქანცგამომცლელი ომის წინ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა ერთგული მოკავშირეების წრის გაფართოება და გაძლიერება. რაც ყველაზე ძნელად ასატანი იყო პატივმოყვარე ლუდოვიკოსათვის, კათოლიკური სამყაროს რელიგიურმა თავკაცმა, რომის პაპმა მას სულაც არ დაუფასა „ერესის“ წინააღმდეგ ბრძოლა: პაპი ინოკენტი XI, მართალია, თავი-

დან მოწონებით შეხვდა პროტესტანტთა დევნას, მაგრამ მალე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფრანგ მონარქს იმდენად რელიგიური მიზნები არ ამოძრავებდა, რამდენადაც პოლიტიკური. უფრო სწორად, პაპი იძულებული იყო ანგარიში გაეწია საფრანგეთში მიმდინარე პროცესით გამოწვეულ საერთაშორისო რეაქციისათვის. აქედან გამომდინარე კი უარი თქვა მისალოცი ბულა გაეგზავნა (თუმცა ადრე აპირებდა) ლუდოვიკოსათვის, როგორც კათოლიკური სამყაროს გმირისათვის. ლუვრში პაპის საგანგებო მადლობას ელოდნენ, პაპის პასუხი კი დიპლომატიური იყო: ასეთ საკითხში მხოლოდ ღმერთსა აქვს მადლობის თქმის უფლებაო. რომში საჯაროდ დაგმეს პროტესტანტების იძულებით გაკათოლიკების პრაქტიკაც. პაპის შეშფოთებას იწვევდა ევროპის პროტესტანტული სახელმწიფოების საპასუხო რეაქცია – ჰოლანდიის ქალაქებიდან კათოლიკეთა გაყრა დაიწყეს. გენერალურმა შტატებმა მკაცრი ზომების გატარება მოითხოვა საერთოდ კათოლიციზმის წინააღმდეგ, რაც ადვილად შეიძლება რეალობად ქცეულიყო, რომ არა ამსტერდამის მმართველთა ზომიერი პოლიტიკა. თვით ლუდოვიკოს მოკავშირე ინგლისის მეფემაც კი დაგმო პროტესტანტების დევნა და დახმარება აღმოუჩინა ფრანგ რელიგიურ დევნილებს. იმდენად ცხადი და მჭერმეტყველი იყო „ნანტის ედიქტის“ გაუქმებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი, რომ სიჯიუტით მთელ ევროპაში ცნობილი „მეფე მზეც“ კი იძულებული გახდა უკან დაეხია: 1699 წლის პირველი იანვრის საიდუმლო წერილით მან რელიგიურ საკითხებში მეტი სიფრთხილე დაავალა საფრანგეთის საერო და სასულიერო პირებს, ხოლო კერძო საუბარში ისიც აღიარა, რომ „შეიძლება შეცდომა იყო გაუქმებაო“. მისთვის და საფრანგეთისათვის აღიარებაც და უკან გადადგმული ნაბიჯიც უიმედოდ დაგვიანებული იყო: ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა.

ლუდოვიკო მეთოთხმეტემ არა მხოლოდ რელიგიურ საკითხში უგულებელყო ანრი IV-ის, რიშელიესა და მაზარინის მიერ დადგენილი ქცევის ნორმები – ჩვეულებრივ მოვლენად იქცა „ლირიული გადახვევები“ მკაცრად გაწონასწორებული საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკიდან: თუ ადრე პარიზი განუხრელად იცავდა

საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს, „მეფე მზე“, ასევე განუხრელად არღვევდა მათ; 1685 წლის მარტში მან ტურინში საფრანგეთის ელჩს უბრძანა დაუყოვნებლივ მოეხდინა სავოის ჰერცოგთან დადებული ხელშეკრულების დენონსირება ვადის ამოწურვამდე 4 წლით ადრე. საბაბი კი ის იყო, რომ პარიზში ეჭვი შეიტანეს ჰერცოგის ლოიალობაში. ამავე დროს საფრანგეთის საშინაო მდგომარეობა (განსაკუთრებით კი ლუდოვიკოს მეფობის საწყის ეტაპზე) არ იძლეოდა ძლიერი და ეფექტური საგარეო პოლიტიკისათვის აუცილებელ რესურსს. თითონ მეფე წერდა „მემუარებში“, რომ არსად არ იყო წესრიგი, ვერ ხერხდებოდა ხაზინის შევსება, არისტოკრატები უმოწყალოდ ჟლეტდნენ ერთმანეთს ჯერ კიდევ რიშელიეს მიერ აკრძალულ დუელებში, შეუძლებელი ხდებოდა სასამართლო სისტემის რეფორმირება და ა.შ.

ფრანგი ისტორიკოსებისა საერთო აზრით, ლუდოვიკო XIV არც საერთაშორისო ურთიერთობების კარგი მცოდნე იყო და არც დიპლომატიური ხელოვნების, თუმცა მუდამ ფლობდა ფართო ინფორმაციას. ვერც დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები ვერ გამოუმუშავდა, რითაც მომგებიანად გამოირჩეოდნენ განსვენებული კარდინალები. სამაგიეროდ, დიდხანს და საფუძვლიანად იხილავდა სერიოზულ საერთაშორისო პრობლემებს მრჩევლებთან ერთად. ამავე დროს მეფე სახელმწიფო საბჭოსაგან, სახელმწიფო მდივნებისა და ელჩებისაგან საიდუმლოდ აწარმოებდა მოლაპარაკებებს ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორიც იყო ესპანეთის მემკვიდრეობა, პორტუგალიასთან, მანტუისთან და სავოისთან ურთიერთობები. მან ხომ გამეფების პირველსავე დღეს, ჯერ კიდევ 22 წლის ჭაბუკმა, პირდაპირ განუცხადა სახელმწიფო საბჭოს წევრებს, რომ საფრანგეთში დასრულდა პირველი მინისტრების ერა – იგი თვითონ აპირებდა თავის პირველ მინისტრობას, რჩევებს კი მხოლოდ საკუთარი მოთხოვნის შედეგად თუ მიიღებდა. მაშინ ბევრმა არ დაუჯერა ახალგაზრდა მეფეს, თუმცა უკანასკნელმა დიდი დრო არ დაუტოვა მათ საკუთარ შეცდომაში დასარწმუნებლად. მალევე ჩამოყალიბდა მართვის მისი სტილი: სიტყვაძუნწი და ლაკონური იყო უცხოელ ელჩებთან საუბ-

რებში და არასოდეს არ იძლეოდა კონკრეტულ პასუხს მათ გაუთავებელ თხოვნებზე. მუდამ სახელმწიფო მდივანს ავალებდა საკითხში გარკვევას და ამით დროს იგებდა. უკიდურესად თავაზიანი იყო საუბრისას, თუმცა მუდამ თავს არიდებდა რაიმე ვალდებულებების აღებას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საიდუმლო მიღებებს მეფის სამლოცველოში. ჯიუტი და პატივმოყვარე ლუდოვიკო მოკლებული არ იყო საღ აზრს: ყურადღებით უსმენდა და აფასებდა საფრანგეთის დიპლომატიური სამსახურის ნიჭიერ და კარგად მომზადებულ, მის მიერვე შერჩეულ ხელმძღვანელებს. ამავე დროს, სხვადასხვა საშუალებებითა და ფორმით, მუდამ ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მის და, მხოლოდ მის, ხელში იყო დიპლომატიის მთელი უწყება. მაშინაც კი, როდესაც პარიზიდან შორს იმყოფებოდა, მუდმივი კავშირი ჰქონდა საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანთან, რეგულარულად ღებულობდა მისგან დოკუმენტებსა და ელჩების მოხსენებების ანალიზს.

მიუხედავად ყოვლისმომცველი ინტრიგებისა და ჩვეულებად ქცეული ფავორიტიზმისა, ლუდოვიკო XIV-ის მმართველობის პერიოდში გამორჩეული ნიჭისა და მომზადების ადამიანები იკავებდნენ როგორც საგარეო საქმეთა, ასევე სხვა საკვანძო მნიშვნელობის უწყებების ხელმძღვანელთა თანამდებობებს. მაგალითად, აშკარა ნეპოტიზმი ედო საფუძვლად მეფის ფავორიტის, კოლბერის (ეპოქის ერთერთი წამყვანი ფინანსისტის) ძმის, კრუასის დანიშვნას საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნად, მაგრამ სწორედ მან მიიყვანა ბოლომდე ჯერ კიდევ რიშელიეს დროს დაწყებული, საიდუმლო დიპლომატიური დოკუმენტების სისტემატიზირებისა და შენახვის საქმე. მანამდე ფართოდ იყო გავრცელებული საიდუმლო დიპლომატიური დოკუმენტებით ვაჭრობის პრაქტიკა. საქმე იქმდეც კი მივიდა, რომ 1664 წელს, საიდუმლო დოკუმენტის გაყიდვისთვის, გადამწერი, ვინმე ლა პოზი ჩამოახრჩეს. კრუასის ღირსეული შემცვლელი აღმოჩნდა მისი ვაჟი, მარკიზი დე ტორსი, რომელიც რვა წლის ასაკში უკვე ლათინურად წერდა, 16 წლისამ დაიწყო ძველი დიპლომატიური დოკუმენტების შესწავლა, ცხრამეტი წლისა გაემგზავრა პირველი სერიო-

ზული დიპლომატიური მისიით პორტუგალიაში. ფაქტიურად დე ტორსის დროს ჩამოყალიბდა საბოლოო სახით საგარეო-პოლიტიკური უწყება, დიპლომატების, მშიფრავების, თარჯიმნებისა და არქივარიუსების შტატით. ეს იყო ევროპაში პირველი კვალიფიციური დიპლომატიური სამსახური. დიპლომატების მომზადება დაეკისრა სპეციალურ სასწავლო დაწესებულებას – პოლიტიკურ აკადემიას – ასევე დე ტორსის მიერ დაარსებულს.

ლუდოვიკო XIV-ის ეპოქის მთავარი სიახლე მაინც ის იყო, რომ ევროპის დიდი სახელმწიფოები თავს აღარ იწუხებდნენ მორალური ნორმებისადმი მოჩვენებითი თუ გულწრფელი ერთგულების დემონსტრირებით. უმაღლესი ფასეულობა სახელმწიფოს ინტერესები იყო და მონარქთა მთავარი ვალი და მისია კი – სახელმწიფოს საზღვრების გაფართოება ნებისმიერი საშუალებებით. ძლიერი სახელმწიფოები უკვე დაუფარავად ცდილობდნენ სუსტთა (თუნდაც ერთმორწმუნეთა) ძარცვას. რელიგიური მორალი პირფერული შირმის ფუნქციასაც აღარ ასრულებდა. სუსტებმა კოალიციების შექმნა დაიწყეს საკუთარ ინტერესთა დასაცავად და ამით სათავე ძალთა თანაფარდობის დიპლომატიას დაუდეს. დასაწყისში ძალთა თანაფარდობისაკენ უფრო გადარჩენის ინსტიქტით, ვიდრე გათვლილი პოლიტიკით მიდიოდნენ. საღი აზრი მოითხოვდა ერთი რომელიმე სახელმწიფოს ჰეგემონიისაკენ სწრაფვის შეჩერებას გაერთიანებული ძალებით. 1758 წელს ფრანგი ფილოსოფოსი ამერიკ დე ვატელი წერდა, რომ განუწყვეტლივ წარმოებული მოლაპარაკებები თავისებურ რესპუბლიკას ამსგავსებდა ევროპას, რომლის შემადგენელი ნაწილები, თუმცა ცალ-ცალკე კი არიან დამოუკიდებლები, მაგრამ საერთო ინტერესით არიან გაერთიანებულნი მშვიდობისა და თავისუფლების შესანარჩუნებლად (11). სწორედ ამან მისცა ბიძგი ძალთა თანაფარდობის პრინციპის დამკვიდრებას, როდესაც არც ერთ სახელმწიფოს აღარ შეუძლია აბსოლუტური ბატონობა და სხვებზე დომინირება. 1661 წლიდან კი საფრანგეთი იქცა ევროპაში ერთპიროვნული ლიდერობის სერიოზულ პრეტენდენტად, აქედან გამომდინარე – საერთო საფრთხედ.

ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა საფრანგეთის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერობის ხანა. აქედან ლუდოვიკო XIV-ს მთელი ოცდაათი წელი არ გამოუყვანია ქვეყანა ბრძოლის ველიდან. მის დროს დასრულდა საფრანგეთის ტერიტორიების ფორმირება. „მეფე მზემ“ 50 ათასი კვ. კმ-ით გაზარდა საფრანგეთის ტერიტორია იარაღისა და დიპლომატიის ძალით: ელზასი სტრასბურგით, ფრანშ-კონტე, რუსიონი, ფლანდრიის ნაწილი, ენო, ორანჟი, ბარსელონეტი, ბეზონსონი, ლილი, დიუნკერკი – აი, შემოერთებული მიწების არასრული რეესტრი. საიმედოდ იცავდა პარიზს ციხე-სიმაგრეების „რკინის ქამარი“, საგრძნობლად გაიზარდა და განმტკიცდა საფრანგეთის გავლენა ლოთარინგიაში, სავოიში, ნიცაში.

ცხადია, ეს ყველაფერი ომებთან, სისხლის ღვრასთან და მშვიდობიანი მოსახლეობის ტრაგედიასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში ჯერ ხომ არსად არ დაუყენებიათ სასაზღვრო ბოძები მეგობრობითა და თანხმობით? მართალია, ძირითადად იარაღით ცდილობდა ლუდოვიკო სადაო საერთაშორისო საკითხების გადაჭრას, მაგრამ საფრანგეთის დიპლომატიური სამსახური უდავოდ საუკეთესო იყო იმდროინდელ ევროპაში. აქ სხვებზე ადრე ჩამოყალიბდა და დაიხვეწა გადაწყვეტილებების მიღების გააზრებული და კარგად ორგანიზებული სისტემა, სადაც „წამყვან რგოლებს“ წარმოადგენდნენ საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი თავისი აპარატით, ფინანსთა გენერალური კონტროლიორი (ეს თანამდებობა სიკვდილამდე ეკავა გენიალურ კოლბერს), სამხედრო საქმეთა სახელმწიფო მდივანი და სახელმწიფო საბჭო. პოლიტიკური იერარქიის კენწეროს, რასაკვირველია, მეფე წარმოადგენდა. საინტერესოა, რომ დრო და დრო მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხების გადაჭრის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქალებიც – მარკიზა მენტენონი, ჰერცოგინია ორლეანელი და პრინცესა იურსენი.

ღმერთმა უწყის, რითი დამთავრდებოდა „მეფე მზის“ ტრიუმფალური სვლა ევროპაში ბატონობისაკენ, თუ არა ჰოლანდიის შტატგალტერის (მმართველის), ვილჰელმ მესამე ორანელის რკინისებური

ნებისყოფა და ანტიფრანგული კოალიციების შექმნის გასაოცარი დიპლომატიური ოსტატობა.

ინგლის-საფრანგეთ-ჰოლანდიის 1672-1678 წლის ომის პერიოდში, ვილჰელმ მესამე გენერალ-ადმირალი (მთავარსარდალი) ხდება და პირველ წარმატებას აღწევს ფრანგებთან ომში: მისი ბრძანებით ჰოლანდიელებმა დამბები გახსნეს და ზღვის წყლით დატბორეს ფრანგების მიერ ოკუპირებული ტერიტორია. 1673 წელს საფრანგეთის წინააღმდეგ ჰოლანდიელებთან ერთად იბრძვის ესპანეთი, ავსტრია, დანია და ბრანდენბურგი. ომი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და 1678 წლის აგვისტოში დამთავრდა ნიმვეგემის ზავით. მშვიდობიან პერიოდში კი ვილჰელმ მესამემ დიპლომატიური კამპანია წამოიწყო საფრანგეთის პოლიტიკური და სამხედრო იზოლაციის მიზნით. საქმე ის იყო, რომ საფრანგეთის უზომო გაძლიერებამ და ბელგიისა და ჰოლანდიის დაპყრობის გეგმებმა უკვე შვედებიც (ფრანგების ძველი მოკავშირეები) დააფრთხო. შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და შესანიშნავმა დიპლომატმა ოქსენშენმა ზუსტად გათვალა საფრანგეთის გამარჯვების თანმხლები საფრთხე და 1681 წელს სამხედრო კავშირი შეკრა ვილჰელმ მესამესთან. ამავე დროს უკანასკნელმა თავისი პოზიციების განმტკიცება დაიწყო ინგლისში: მისი მეუღლე იორკის ჰერცოგის ქალიშვილი იყო, რაც გარკვეულ ვითარებაში ინგლისის ტახტზე პრეტენზიის უფლებას ნიშნავდა. მოხერხებულად ისარგებლა რა პროტესტანტი ინგლისელების შიშით, რომ ქვეყანაში კათოლიკური დინასტია შეიძლება დამკვიდრებულიყო, ვილჰელმმა იმას მიაღწია, რომ 1688 წელს ტორებისა და ვიგების ლიდერებმა მას ფორმალურად შესთავაზეს ინგლისის ტახტი. მან მიწვევა მიიღო და სპეციალური დეკლარაციით დადო ფიცი, რომ „დაიცავდა პროტესტანტულ რელიგიას, თავისუფლებასა და პარლამენტის დამოუკიდებლობას“ 1688 წლის ნოემბერში ვილჰელმი უკვე ლონდონში იყო, საიდანაც მეფე იაკობ II გაიქცა (12). იგი დაიჭირეს და დააბრუნეს, მაგრამ ვილჰელმმა მას ნება დართო ინგლისი დაეტოვებინა. შორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსმა უშეცდომოდ გათვალა, რომ უნებისყოფო და სამხედრო ნიჭს მოკლებული იაკობი

პატიმრობაში მეტი უსიამოვნებების მომტანი იქნებოდა, ვიდრე დევნილობაში, თანაც კანონიერი მონარქის სიკვდილით დასჯას არავისთვის მოუტანია არც პოლიტიკური დიდება და არც მორალური უპირატესობა.

ვილჰელმი არ შემცდარა თავის პროგნოზში, შეცდა თავნება და ჯიუტი ლუდოვიკო XIV, ბოლომდე რომ იმედოვნებდა არაფრისმაქნისი იაკობის მეშვეობით გასწორებოდა ვილჰელმ ორანელს, რომელიც 1689 წლიდან ინგლისის კანონიერი მეფეა. ამ დროისათვის დასრულებული იყო ე.წ. „დიდებული რევოლუცია", მიღებული იყო „უფლებათა ბილი" და ქვეყანა კონსტიტუციური მონარქიის გზაზე იდგა; პარლამენტი უკვე ყოველ წელს იკრიბებოდა. მეფეს აღარ შეეძლო კანონების მოქმედების შეჩერება და გადასახადების აკრეფა. პარლამენტივე აკონტროლებდა მეფის ხარჯებს და არმიას. გარანტირებული იყო საპარლამენტო დებატების თავისუფლება. მეფეს რჩებოდა პარლამენტის სესიების გახსნისა და დახურვის, ასევე მინისტრების დანიშვნისა და გათავისუფლების უფლება, თუმცა უკანასკნელნი პარლამენტის წინაშე იყვნენ ანგარიშვალდებულნი. ლუდოვიკომ არ ცნო „დიდებული რევულუციის" შედეგები და თავშესაფარი მისცა გამოგდებულ იაკობ II-ს, რის პასუხადაც, ვილჰელმმა, პარლამენტის თანხმობით, ომი გამოუცხადა საფრანგეთს. ბრძოლები მიმდინარეობდა როგორც კონტინენტზე, ასევე ზღვაზეც და ირლანდიაშიც, საიდანაც იაკობი ლუდოვიკოს დახმარებით ცდილობდა ტახტის დაბრუნებას. ვილჰელმმა ირლანდიაში კი გაიმარჯვა, მაგრამ კონტინენტზე დამარცხდა და მხოლოდ ზღვაზე გამარჯვებით იხსნა ინგლისი ინტერვენციისაგან. 1697 წლის სექტემბერში დაიდო რეისვეიკის ზავი, ოქტომბერში კი საფრანგეთი რომის საღვთო იმპერიასაც დაუზავდა. ასე დასრულდა „მეფე მზის" ცხრა წლიანი ომი ე.წ. აუგსბურგის ლიგის „დიდ ალიანსთან". ქალაქ რეისვეიკში (იგივე რეისვიკი) დღემდე შემორჩა ზავის სამახსოვრო ობელისკი. ზავის პირობებით აღდგა 1679 წლის საზღვრები: საფრანგეთმა რომის საღვთო იმპერიას დაუბრუნა ფრაიბურგი, ბრაიზახი და ფილიპსბურგი, თუმცა შეინარჩუნა სტრასბურგი, მიიღო სან-დომინგო და დაიბრუნა პონდი-

შერი (თექვსმეტი ათასი ლივრის საფასურად), ესპანეთმა დაიბრუნა კატალონია და რამდენიმე სასაზღვრო ციხე-სიმაგრე, კვლავ დამოუკიდებელი გახდა ლოთარინგიის საჰერცოგო, ლუდოვიკომ ინგლისის მეფედ სცნო ვილჰელმ მესამე ორანელი.

ზავის დადების შემდეგ ვილჰელმი ყოველნაირად ცდილობდა ლუდოვოკოსთან შეთანხმებას ესპანეთის მემკვიდრეობის საკითხში; ესპანეთის მეფეს, უშვილო კარლოს II ჰაბსბურგს ცალი ფეხი უკვე სამარეში ედგა და მალე „უპატრონოდ“ დარჩებოდა ევროპის ერთერთი მშვენიერი ქვეყანა თავისი უკიდეგანო კოლონიებით. ამავე დროს ვილჰელმი სამართლიანად თვლიდა, რომ საფრანგეთთან დადებული ზავი დროებით ხასიათს ატარებდა და გადამწყვეტი ომისთვის ემზადებოდა. აქ კი „მეფე მზის“ საბედისწერო მეტოქე გადაულახავ წინააღმდეგობას წააწყდა – 1699 წლის დასაწყისში პარლამენტმა გადაწყვიტა შვიდი ათასამდე შეემცირებინა ინგლისის არმია და უცხოელებს ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში სამსახური აუკრძალა. ინტრიგა კი იმაში მდგომარეობდა, რომ ინგლისის არმიის მთავარ დამრტყმელ ძალას სწორედ ვილჰელმის თანამემამულე ჰოლანდიელები (ანუ უცხოელები) წარმოადგენდნენ. ვილჰელმს დიდი ფიქრი არ დასჭირვებია რეალობაში გასარკვევად – განაწყენებულმა და ინგლისელი პარლამენტარების „უმადურობით“ შეურაცხყოფილმა მიატოვა ლონდონი და ჰოლანდიაში დაბრუნდა.

ამ დროისათვის, როგორც ვერსალის, ასევე მთელი ევროპის მთავარ საზრუნავად უკვე ესპანეთის ტახტის მემკვიდრეობა იქცა. ლუდოვიკო XIV-ის არგუმენტს წარმოადგენდა მარია ტერეზიასთან გაფორმებული საქორწინო კონტრაქტი. საკუთარი არგუმენტი გააჩნდათ ავსტრიელ ჰაბსბურგებსაც – ახლო ნათესაური კავშირი საგვარეულოს ესპანურ შტოსთან. გადამწყვეტ მომენტში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა ფრანგულმა დიპლომატიამ, როდესაც ვენის ცხვირწინ, ფრანგი პრინცის (ლუდოვიკოს უმცროსი შვილიშვილის) სასარგებლო ანდერძი გამოსტყუა მომაკვდავ კარლოს II. როგორც კი ესპანეთის მეფე გარდაიცვალა, განთავისუფლებულ ტახტზე, თანახმად ანდერძისა, ფრანგი პრინცი ავიდა ფილიპე მეხუთის სახელით. ახალი მეფის

ბაბუამ მყისვე ჯარი გაგზავნა ესპანეთში და საჯაროდ განაცხადა, რომ თავად იქნებოდა ესპანეთის რეალური მმართველი. „აღარ არსებობს პირენეები“, – მთელი ევროპის გასაგონად დაიტრაბახა „მეფე მზემ“. ახალი სიმწვავით დადგა ევროპული დიპლომატიის წინაშე პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობისა და მორიგი ანტიფრანგული კოალიციის საკითხი. ოპერატიულად იქმნება „ჰააგის დიდი ალიანსი“ და იწყება ლუდოვიკოს 9-წლიანი სამხედრო კამპანია, ამჯერად უკვე საბედისწერო „მეფე მზისა“ და საფრანგეთისათვის. ახალ კოალიციას კვლავ ვილჰელმ ორანელი ჩაუდგა სათავეში. რაც შეეხება ინგლისს, იგი მზად არ იყო საომრად – პარლამენტი შიშობდა, რომ მეფეს დიდი არმია შეიძლება აბსოლუტიზმის აღსადგენად გამოეყენებინა. საბოლოო ჯამში კი ომში ჩართვაზე გადაწყვეტილება პარლამენტმა ლუდოვიკოს „დახმარებით“ მიიღო: მისი დაუფიქრებელი გადაწყვეტილებით, ფრანგმა ვაჭრებმა ამერიკაში ესპანეთის კოლონიებთან ვაჭრობაში პრივილიგიები მიიღეს, რაც უკვე აუტანელი იყო ინგლისის მმართველი სავაჭრო ბურჟუაზიისათვის. ამას დაემატა ექს-მონარქის, სიკვდილი და ლუდოვიკოს კიდევ ერთი უადგილო გადაწყვეტილება ინგლისის მეფედ ეცნო გარდაცვლილის ვაჟი. პარლამენტმა სამხედრო ხარჯების გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო, რაც საფრანგეთთან ომის დაწყების ტოლფასი იყო.

1702 წელს ახალი ომი „მეფე მზის“ მთავარი მტანჯველის, ვილჰელმ III ორანელის გარეშე დაიწყო. საომარი სამზადისის დროს იგი ცხენიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა. ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომში, პრაქტიკულად, მთელი დასავლეთ ევროპა მონაწილეობდა. აქედან, საფრანგეთის მხარეს მხოლოდ ბავარიის კურფიურსტი იბრძოდა. ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომში ვერ მონაწილეობდა შვედეთი, რომლის ბედიც, იმავე პერიოდში ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპაში მძვინვარე მეორე ომში, ე.წ. „ჩრდილოეთის დიდ ომში“ წყდებოდა. ასე რომ, შვედებს ესპანეთის მემკვიდრეობისათვის არ ეცალათ, ხოლო დასავლეთ ევროპელებს საკუთარი თავსატეხი ჰქონდათ, რითაც მარჯვედ ისარგებლა რუსეთმა. ესპანეთის მემკვიდრეობი-

სათვის ბრძოლები კი ძირითადად ნიდერლანდებში, გერმანიისა და საფრანგეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

საფრანგეთის დამარცხება გარდუვალი იყო – გარდა იმისა, რომ ლუდოვიკოს გვერდით აღარ იდგნენ ისეთი გამოჩენილი მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ: კოლბერი, ლუვუა, მარშლები ტიურენი და კონდე, ქვეყანას აღარ შეეძლო მრავალწლიანი ომების ფინანსური და მატერიალური ტვირთის ზიდვა. ეკონომიკურმა კრიზისმა, მტრების შემოსევებმა, ეპიდემიებმა და შიმშილმა შანსი არ დაუტოვა საფრანგეთის ამპარტავან თვითმპყრობელს – პარიზი იძულებული შეიქნა ზავი ეთხოვა. უკეთეს დღეში არც კოალიციის წევრები იყვნენ, ომმა მათი ხაზინებიც დააცარიელა, მაგრამ ურყევი იყო მათი პოლიტიკური ნება: ერთხელ და სამუდამოდ მოეღოთ ბოლო საფრანგეთის ერთპიროვნული ბატონობის ამბიციებისათვის. ამიტომ იყო ზავის მათი პირობები უპრეცედენტოდ მკაცრი და შეურაცხმყოფელი საფრანგეთისათვის. შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაში პარიზისათვის მოულოდნელ საჩუქრად იქცა „რომის საღვთო იმპერიის“ უშვილო იმპერატორ იოსებ I-ის სიკვდილი: იმპერატორის ტახტი გარდაცვლილის ძმას, ერცჰერცოგ კარლოსს დარჩა, რომელიც აქამდე ესპანეთის ტახტის პრეტენდენტად ითვლებოდა.

დასავლეთ ევროპაში ავსტრიელ და ესპანელ ჰაბსბურგთა გაერთიანების პერსპექტივა გამოჩნდა, რაც სულაც არ შედიოდა კოალიციის გეგმებში. იმიტომ ხომ არ შეალიეს დაუსრულებელ ომებს გიგანტური მატერიალური და ადამიანური რესურსები, რომ ბურბონების ჰეგემონია ჰაბსბურგების ჰეგემონიით ჩანაცვლებულიყო? უკანასკნელის გათვალისწინებით კი საფრანგეთისათვის გაცილებით შეღავათიან პირობებში წარიმართა უტრეხტის სამშვიდობო კონგრესი 1713 წლის აპრილიდან, 1715 წლის თებერვლამდე. ზავის პირობებით საფრანგეთი იძულებული გახდა დიუნკერკის სიმაგრეები დაენგრია, ინგლისისათვის გადაეცა ნიუფაუნდლენდი, მიწები ჰუდსონის ყურეში და ახალ შოტლანდიაში. პარიზმა ინგლისის ტახტის კანონიერ მფლობელად ჰანოვერის დინასტია ცნო. თავის მხრივ, ლონდონმა ესპანეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრედ აღიარა ფილიპე V ბურბონი.

მასვე რჩებოდა ოკეანეს გაღმა სამფლობელოები, თუმცა სამუდამოდ უნდა ეთქვა უარი საფრანგეთის ტახტზე. ევროპაში აღარ უნდა ყოფილიყო სუპერ-სახელმწიფო. საფრანგეთი უარს ამბობდა ესპანეთისა და საფრანგეთის ნიდერლანდების ნაწილზე, ჰოლანდია კი საფრანგეთს უბრუნებდა ქალაქ ლილს და რამდენიმე დასახლებულ პუნქტს. საფრანგეთი პორტუგალიას უთმობდა ამაზონკის მიმდებარე ტერიტორიებს, ხოლო პრუსიას კი ნევშტალის საგრაფოსა და რამდენიმე ქალაქს ნიდერლანდებში. სავოის უბრუნდებოდა ნიცა. იმპარატორმა კარლოს V ცალკე ზავი დადო საფრანგეთთან 1714 წელს (რაშტატის ზავი), რის საფუძველზეც დაიბრუნა რეინის მარჯვენა სანაპიროზე განლაგებული გერმანული ქალაქები. იმპერატორმავე მიიღო ევროპაში ესპანეთის კუთვნილი რამდენიმე ქლაქი და სანაცვლოდ მანაც სცნო ფილიპე V ბურბონი. ასეთი შედეგებით დასრულდა ევროპაში „საფრანგეთის საუკუნე“. ესპანეთის „მემკვიდრეთა“ შორის ყველაზე მეტი ინგლისმა მიიღო, რომლის ტერიტორიულ შენაძენებს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე გიბრალტარიც შეემატა. ევროპაში ძალთა ბალანსის დრო დადგა.

ჰქონდა კი გამარჯვების შანსი ლუდოვიკო XIV-ის პოლიტიკას? შესაძლებლობის ზღვარზე ბალანსირებდა მისი ყოველი სამხედრო-პოლიტიკური კამპანია, სადაც ერთ კოქტეილად იყო ქცეული ბრწყინვალე და ეფექტური დიპლომატია, საღი აზრი, მეფის რკინა-ბეტონისებური სიჯიუტე და ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილებები. ამის საილუსტრაციოდ ინგლისთან და თურქეთთან ურთიერთობაც კმარა. უცნაური და რთულადასახსნელი ურთიერთობა დამყარდა საფრანგეთისა და ინგლისის ერთმორწმუნე მონარქებს შორის: როდესაც ლუდოვიკომ გადაწყვიტა საფრანგეთის გაერთიანებული ფლოტის გაგზავნა ჰოლანდიასთან ბრძოლაში კათოლიკე იაკობ II დასახმარებლად და საჯაროდ განაცხადა, რომ ინგლისის წინააღმდეგ განხორციელებულ პირველსავე გასროლას საფრანგეთზე თავდასხმად განიხილავდა და ომს დაიწყებდა, იაკობმა ასევე საჯაროდ თქვა უარი დახმარებაზე, რომელიც ნამდვილად არ იქნებოდა მისთვის ზედმეტი. უფრო მეტიც – საფრანგეთიდან ელჩი გაიწვია ლონდონმა, ხო-

ლო როდესაც საფრანგეთის არმიამ სამხედრო მოქმედებები დაიწყო, რაც აშკარად წაადგებოდა ინგლისის მეფის შერყეულ მმართველობას, უკანასკნელი რედენსბურგის შეთანხმების დარღვევაზე ალაპარაკდა და საფრანგეთის წინააღმდეგ კავშირი შესთავაზა ესპანეთსა და გაერთიანებულ პროვინციებს. ლონდონს ომი არ სურდა და ვილჰელმ ორანელთან შეთანხმებას ცდილობდა. პარიზში არ შეიძლება სწორი დასკვნები არ გამოეტანათ, მაგრამ მეფე ჯიუტად ცდილობდა საკუთარ ინტერესებში (ვილჰელმ ორანელის წინააღმდეგ) გამოეყენებინა იაკობ II. ლუდოვიკომ სპეციალური წერილიც კი მისწერა არასაიმედო მოკავშირეს და კიდევ ერთხელ აღუთქვა დახმარება. საპასუხო წერილში ლონდონი პარიზს სთხოვდა ყოველგვარი სამხედრო ოპერაციები შეეწყვიტა ჰოლანდიის წინააღმდეგ და 300 ათასი ლივრით დახმარებოდა ინგლისის ქარაფშუტა მეფეს. კიდევ რამდენჯერმე ითხოვა ფული იაკობმა და არც ერთხელ არ მიუღია უარი. პარიზიდან კი არც თუ უსაფუძვლოდ მოუწოდებდნენ ჰოლანდიასთან ომისაკენ დანაშაულებრივად უდარდელ იაკობს – ვილჰელმ ორანელი დაჩქარებული ტემპებით ემზადებოდა კუნძულზე შესაჭრელად. ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორ განვითარდა შემდგომში მოვლენები.

XVII საუკუნის 80-იანი წლებისთვის საგრძნობლად გამყარდა საფრანგეთის პოზიციები ევროპაში, თუმცა ერთდროულად უკეთესობისაკენ შეიცვალა რომის საღვთო იმპერიის მდგომარეობაც; 1683 წელს ვენის მისადგომებთან თურქების განადგურების შემდეგ, ქრისტიანული ევროპის ლიდერად იქცა იმპერატორი ლეოპოლდ I. ის, რასაც ყურადღების ღირსად არ ჩათვლიდნენ რიშელიე და მაზარინი, აუტანელი იყო „მეფე მზისათვის“. მართალია, ზღვებზე მეკობრეების განადგურებით მან ბევრი ქრიატიანი იხსნა მონებად გაყიდვისაგან, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, რათა ვატიკანსა და ევროპას სწორედ ლუდოვიკო XIV ეღიარებინა კათოლიციზმის მფარველად და ქომაგად. ამისათვის რაიმე განსაკუთრებით რეზონანსული აქტი სჭირდებოდა საფრანგეთის მეფეს და ასეთად პარიზში „ნანტის ედიქტის“ გაუქმება მიიჩნიეს – 1685 წლის 18 ოქტომბერს კანცლერმა ლე ტელიემ სახელმწიფო ბეჭდით დაადასტურა ე.წ. „ფონტენებლოს ედიქ-

ტი“. საფრანგეთში ოფიციალურად გამოცხადდა პროტესტანტებზე „ნადირობის სეზონი“, ზემოთ უკვე აღწერილი უარყოფითი შედეგების მთელი თაიგულით.

ურთიერთგამომრიცხავი წინააღმდეგობებით იყო დახუნძლული პარიზის დიპლომატია თურქეთთან ურთიერთობის სფეროშიც: ერთი მხრივ, მეფე ქრისტიანობის მთავარ მფარველად მიიჩნევდა საკუთარ თავს, მეორეს მხრივ კი – კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა ევროპისათვის „დამოკლეს მახვილად“ ქცეულ ისლამურ სახელმწიფოსთან, რათა სულთანი ჰაბსბურგთა საფრთხობელად გამოეყენებინა. ცხადია, იოლი არ უნდა ყოფილიყო „ქრისტიანთა მფარველი“ კათოლიკე მონარქისათვის სამოკავშირეო ურთიერთობა სულთანთან, რომლის ჯარიც 100 კილომეტრში იდგა ვენიდან და ვენეციიდან და 200 კილომეტრში – პოლონეთიდან.

ლუდოვიკო XIV-ის მმართველობის უკანასკნელი წლების ფრანგული დიპლომატია უკვე უძლური იყო სერიოზული როლი ეკისრა დიდ ევროპულ პოლიტიკაში. პარიზი კვლავ ჯიუტად ერთგულებდა თავის ძველ მოკავშირე შვედეთს და პოლტავის ბრძოლის შემდეგაც კი, 1712 წლის სექტემბერში დადებული ხელშეკრულებით ვარაუდობდა კარლ XII-ის დახმარებით პოზიციების გამტკიცებას ესპანეთში, ბუნებრივია, კვლავინდებურად ყოველწლიური მილიონი ლივრის სანაცვლოდ. სულ ცოტა ხნის შემდეგ კი შვედების უიღბლო მეფე, ერთი ჯარისკაცის თანხლებით (რაც მას შემორჩა 15-წლიანი კამპანიის დასასრულს), მიადგა შტარლზუნდის ციხე-სიმაგრეს, საიდანაც 60-ათასიანი ბრწყინვალე არმიით დაიწყო ტრიუმფალური ბრძოლები. ლუდოვიკოს მზე კი, ამჯერად უკვე პიდაპირი გაგებითაც, 1715 წლის პირველ სექტემბერს ჩაესვენა – იმ დროისათვის განუკურნებელმა სენმა – განგრენამ დაუსვა წერტილი XVII საუკუნის ევროპის ყველაზე ბრწყინვალე და წინააღმდეგობებით აღსავსე ხელმწიფის 62-წლიან მმართველობას. როგორც კი ექიმებმა სიკვდილი დააფიქსირეს, ვერსალის აივანზე გადმომდგარმა, ქუდზე შავბაბთიანმა ოფიცერმა ხმამაღლა წარმოთქვა რიტუალური სიტყვები – „მეფე მოკვდა!“, ცოტა ხნის შემდეგ იგივე ოფიცერი, უკვე თეთრი ბაბთით ქუდზე, კვლავ

გამოჩნდა აივანზე და ომახიანად დასჭექა – „გაუმარჯოს ლუდოვიკო XV-ს!“.

ცხოვრება გრძელდებოდა თავისი უცვლელი წესებითა და ჩვეულებით, მხოლოდ უკვე „მეფე მზის“ გარეშე. ნახევარ საუკუნეს დომინირებდა ევროპაში ლუდოვიკო XIV-ის საფრანგეთი. ბევრი რამ შეიცვალა ქვეყანაში მისი მეფობის წლებში – პარიზი ევროპის კულტურული ცხოვრების აღიარებულ ცენტრად იქცა, მაგრამ ფრანგების უმრავლესობისათვის ძველებურად სხვა მეფე – „კეთილი ანრი IV“ დარჩა ნოსტალგიურ სიმბოლოდ. ალბად ამიტომაც იყო, რომ პარიზელები საზეიმო განწყობილებით ხვდებოდნენ ვერსალიდან სენ-დენისაკენ მიმავალ სამგლოვიარო პროცესიას. „მე ვხედავდი ფანჩატურებს სენ-დენის გზაზე, სადაც ხალხი სვამდა, მღეროდა, იცინოდა“ – ასეთი მოგონება დაგვიტოვა იმ დღის ერთ-ერთმა თვითმხილველმა ახალგაზრდა ფრანგმა, მარი ფრანსუა არუემ (13), ვოლტერის სახელით რომ შევიდა მსოფლიო ისტორიაში.



პეტრე I
(1672-1725)
რუსეთის მეფე-იმპერატორი 1682-1725 წლებში

თავი მეორე
„ფრანგული საუკუნის“ დასასრული. რუსეთის ევროპული დებიუტი

„მეფე მზის“ სიკვდილის შემდეგ დასრულდა კიდევ ერთი სამხედრო პირისპირდგომა ევროპაში – 1721 წელს რუსეთისა და შვედეთის დაზავებით დაესვა წერტილი „ჩრდილოეთის დიდ ომს“. მას შემდეგ, რაც უშედეგოდ დამთავრდა 1718 წლის მაისში, ალანდის კუნძულებზე დაწყებული მოლაპარაკებები რუსეთსა და შვედეთს შორის, ხოლო იმავე წლის ნოემბერში, ნორვეგიის ერთ უმნიშვნელო სიმაგრის შტურმს შეაკვდა შვედების მოუსვენარი და „მოხეტიალე“ მეფე-რაინდი კარლ XII (მან არც ახლა უღალატა პირველ რიგებში ბრძოლის ჩვევას), ხოლო რუსეთის ფლოტმა კი ბალტიის ზღვაზე რიგრი-

გობით დაამარცხა ინგლისელები და შვედები, მომხდარ ფაქტად იქცა რუსეთის გამარჯვება „ჩრდილოეთის დიდ ომში“. ნიშტადტის სამშვიდობო ხელშეკრულებით რუსეთის „სამუდამო მფლობელობაში“ გადადიოდა ნიგერმანლანდია (მდინარე იჟორის სანაპირო ტერიტორია), კარელიის ნაწილი, ესტლანდია, ლიფლანდია რიგით, რეველით, დერპტით (დღევანდელი ტარტუ), ნარვით, ვიბორგით, ზღვის სანაპირო ვიბორგიდან რიგამდე კუნძულებით: ეზელით, დაგოთი და მოონით. რუსეთი შვედეთს უბრუნებდა მისი არმიის მიერ ოკუპირებულ ფინეთს, უხდიდა 2 მილიონ „ეფიმკას“ (დასავლეთევროპული ვერცხლის ტალერის იმდროინდელი რუსული სახელწოდება) და უარს ამბობდა შვედეთის ტახტის მაძიებელ ჰოლშტეინის ჰერცოგ, პეტრე I სიძის დახმარებაზე (14).

ჩრდილოეთის ომმაც მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ძალთა თანაფარდობაში; შვედეთი სამუდამოდ გამოემშვიდობა დიდი სახელმწიფოს სტატუსს, ხოლო რუსეთის გავლენა უჩვეულოდ გაიზარდა. სტრატეგიული მნიშვნელობის პორტების ფლობა და ბალტიის ზღვაზე ძლიერი ფლოტი, დასავლეთ ევროპასთან ვაჭრობის ზრდის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა რუსეთს.

ორი დიდი ომის – ესპანეთის მემკვიდრეობისა და ჩრდილოეთის ომების – დამთავრების შემდეგ, ევროპაში ძალთა ახალი თანაფარდობა დაფიქსირდა. საერთაშორისო ურთიერთობების მზიდ კონსტრუქციად ძალთა ბალანსი იქცა, ხოლო წამყვან სახელმწიფოთა პოზიციები კი ხუთმა სახელმწიფომ – ინგლისმა, საფრანგეთმა, ავსტრიამ, პრუსიამ და რუსეთმა გადაინაწილეს. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ევროპა უფრო ცხოვრებისეული ინსტიქტით, ვიდრე წინასწარ დაგეგმილი ტაქტიკითა და სტრატეგიით მიდიოდა ძალთა თანაფარდობის პრინციპისაკენ. უტრეხტის ზავმა გამორიცხა საფრანგეთის ჰეგემონია, ნიშტადტის შეთანხმებით „გაუქმდა“ შვედეთის გავლენა და ავტორიტეტი, ავსტრიისა და პრუსიის ქიშპობა არც ერთ მათგანს არ აძლევდა, ცენტრალურ ევროპაში დომინირების საშუალებას. ინგლისის ეკონომიკურ ძლევამოსილებას კარგა ხანს ანეიტრალებდა საფრანგეთის პოლიტიკური და სამხედრო რესურსი. და ბოლოს, ევროპის ყველაზე

ახალგაზრდა მტაცებლის – რუსეთის მთელი რიგი ობიექტური ფაქტორებით უზრუნველყოფილი სამხედრო-პოლიტიკური ამბიციები, საფუძველშივე გამორიცხავდა რომელიმე ერთი სახელმწიფოს გაბატონებას. ძალთა ბალანსის თვითონ პრინციპი ეფუძნებოდა სახელმწიფოს ძლევამოსილების მცნების ისეთ შემადგენელთა გათვალისწინებას, როგორიცაა: სახელმწიფოს ტერიტორიული სიდიდე, მოსახლეობის რაოდენობა და, აქედან გამომდინარე, მუშახელისა და არმიის წვევამდელთა რესურსით და ა.შ. XVIII საუკუნის ევროპის დიპლომატიურ ლანდშაფტს ძირითადად ორი ავტონომიური კონფლიქტი განსაზღვრავდა: ავსტრია-პრუსიისა და საფრანგეთ-ინგლისის, თუმცა ნეიტრალური მაყურებლის როლით არც სხვები (პირველ რიგში – რუსეთი) კმაყოფილდებოდნენ. საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინა პერიოდში, ზუსტად 35 წელს ომობდნენ ერთმანეთთან საფრანგეთი და ინგლისი (15). ქვეყნის სიმდიდრე აძლევდა ლონდონს იმის საშუალებას, რომ საკუთარი არმია და ფლოტი ოკეანეს გაღმა, კოლონიურ ომებში დაესაქმებინა, ხოლო კონტინენტზე კი თავისი მთავარი მტრის მტრები ეფინანსებინა და ახალ-ახალი კოალიციების შეკოწიწებით ყოფილიყო დაკავებული, რასაც ეფექტური დიპლომატიური ინტრიგებით ახერხებდა. რაც შეეხება ავსტრია-პრუსიის წინააღმდეგობებს, ამას ევროპული მასშტაბის ორი ომი მოჰყვა: ავსტრიის მემკვიდრეობისათვის (1740-1748 წწ.) და 7-წლიანი ომი (1756-1763 წწ.). გერმანულ სახელმწიფოთა ომებში სხვებიც ხალისით ებმებოდნენ, პირველ რიგში საფრანგეთი და ინგლისი, ცხადია, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

XVIII საუკუნის 30-იან წლებში ფრანგული დიპლომატია „პოლონეთის ფრონტზეც“ აქტიურად იღწვოდა: საქმე კი ის იყო, რომ 1733 წელს გარდაიცვალა პოლონეთის მეფე ავგუსტ II. ვინაიდან პოლონეთში მეფეს შლიახტა ირჩევდა განსაკუთრებულ სეიმზე, კულისებს მიღმა ინტრიგებისა და საიდუმლო გარიგებების მდიდარი გამოცდილება გააჩნდათ პრეტენდენტებსა და მათ სპონსორებს. ფრანგების ფავორიტი იყო ადრე პოლონეთის მეფედ უკვე ნამყოფი სტანისლავ ლეშჩინსკი, ამავდროულად – საფრანგეთის მეფე ლუდოვიკ XV-ის

სიძე. მეორე პრეტენდენტი კი, გარდაცვლილი მეფის ვაჟი, საქსონიის კურფიურსტი ფრიდრიხ ავგუსტი იყო, რომელსაც ავსტრიისა და რუსეთის მხარდაჭერა ჰქონდა გარანტირებული. ისე კი, რუსული სახელმწიფოს ინტერესები დიდ არაფერ შუაში არ ყოფილა: დახმარების სანაცვლოდ მთელ კურლანდიას შეპირდნენ იმპერატრიცა ანა იოანეს ასულის ფავორიტს, ავანტიურისტ ბირონს. მიუხედავად ასეთი ძლიერი კონკურენციისა, ფრანგმა დიპლომატებმა მაინც შესძლეს სამი მილიონი ლივრის საფასურად შლიახტასთან საერთო ენის გამონახვა და მეფედ სტანისლავ ლეშჩინსკი აირჩიეს ... სამი კვირით: რუსეთში გასამდიდრებლად ჩასული ბირონი ასე იოლად არ აპირებდა შეგუებოდა კურლანდიის დაკარგვას – 1733 წლის 24 ნოემბერს რუსეთის არმია პოლონეთში შეიჭრა „სამართლიანობის აღსადგენად“: რუსული ხიშტები ფრანგულ ვალუტაზე არანაკლებად დამაჯერებელი არგუმენტი აღმოჩნდა პოლონელი არისტოკრატებისათვის და ტახტიც ფრიდრიხ ავგუსტმა დაისაკუთრა ფრიდრიხ III სახელით. განაწყენებულმა საფრანგეთის მეფემ ჯავრი ავსტრიაზე იყარა და ომი გამოუცხადა. 5 წელი მიმდინარეობდა მდორე ომი, სანამ 1738 წელს, ვენაში ზავი არ დაიდო საფრანგეთსა და ავსტრიას შორის. ერთი წლის შემდეგ ზავს რუსეთიც შეუერთდა და საბოლოოდ გადაწყდა პოლონეთის ტახტის ბედი. პარიზმა კი სცნო პოლონეთის მეფედ თავისი მოწინააღმდეგების პროტეჟე, მაგრამ „უსამართლოდ დაჩაგრული“ არც საფრანგეთის მეფის სიძე დარჩენილა: მან სიკვდილამდე მეფის ტიტული, ლოთარინგია და ბარის საჰერცოგო მიიღო, თუმცა სიკვდილის შემდეგ ეს ტერიტორიები საფრანგეთის საკუთრებაში გადადიოდა. არც ლოთარინგიის ძველი ჰერცოგი დატოვეს „უსახლკაროდ“: კომპენსაციის სახით მან იტალიაში მიიღო პარმი, პიანჩეტო და ტოსკანა. მოგებული მაინც საფრანგეთი დარჩა: მან ლოთარინგიაც მიიღო და ესპანელი ბურბონების გავლენა განამტკიცა იტალიაში. განსაკუთრებულ აღნიშვნას კი ის ფაქტი იმსახურებს, რომ რუსეთი პირველად გამოვიდა დასავლეთ ევროპის დიდი პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრის მონაწილედ.

1740 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა იმპერატორი კარლ VI და, ისევე, როგორც არაერთგზის ადრე, ამჯერადაც მონარქის სიკვდილი ახალი სამხედრო ბატალიების მიზეზად იქცა. საქმე იმაში იყო, რომ ოფიციალური მემკვიდრის, გარდაცვლილი იმპერატორის ქალიშვილის, მარია ტერეზიის ლეგიტიმურობა პრუსიის მეფემ ფრიდრიხ დიდმა და ბავარიის კურფიუსტრმა კარლ-ალბრეხტმა ეჭვს ქვეშ დააყენეს. პირველს იმპერიის მიწებზე (სილეზიაზე) ეჭირა თვალი, მეორეს კი – თავად იმპერატორის ტახტზე. ვენისათვის განსაკუთრებით საშიში მოწინააღმდეგე ფრიდრიხ დიდი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიასთან პრუსიას მეგობრული ურთიერთობა და ტერიტორიული ხელშეუხებლობის ხელშეკრულებაც აკავშირებდა, როგორც კი დღის წესრიგში დადგა სახელმწიფოს ინტერესები, რიშელიეს პოლიტიკურმა მემკვიდრემ ყველაფერი პირადული და ზნეობრივი დაივიწყა და პრაგმატული დიპლომატიური სვლებითა და სამხედრო ძალით დაიწყო თავისი გეგმის სისრულეში მოყვანა. ფრიდრიხმა უშეცდომოდ გათვალა ინგლის-საფრანგეთის ურთიერთანტაგონიზმი, საჭიროების შემთხვევაში თითეულ მათგანთან კავშირის პერსპექტივა, რუსეთის როლი და საკუთარი არმიის შესაძლებლობები (16).

სილეზიისათვის პირველი ომით დაიწყო ახალი სამხედრო კონფლიქტი, რომელიც პრაქტიკულად მთელი ევროპის მონაწილეობით, თითქმის 25 წელი გრძელდებოდა. 1745 წლის დეკემბერში ავსტრიასა და პრუსიას შორის დადებული სეპარატული დრეზდენის ზავით პრუსიის საკუთრებად იქცა მთელი სილეზია. სამაგიეროდ, ფრიდრიხ დიდმა იმპერატორად სცნო მარია ტერეზიას ქმარი ფრანც სტეფანი (ფრანც I). 1748 წლის ოქტომბერში კი აახენის ზავით დასრულდა ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ომი. ზავის პირობებით საფრანგეთი დარჩა ყველაზე წაგებული, რომელსაც ინდოეთსა და ამერიკაში თავისი კოლონიების დიდი ნაწილი უნდა დაეთმო ინგლისისათვის. ფაქტიურად, მხოლოდ ინგლისი და პრუსია იყო კმაყოფილი, რასაც თითქმის ავტომატურ რეჟიმში მოჰყვა ახალი ომისათვის მზადება. ინიციატივა კი ამჯერად ვენიდან წამოვიდა, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო პრუსიის წინააღმდეგ ახალი კოალიციის შექმნა. მისთვის

უჩვეულო პრაგმატიზმი და ელასტიურობა გამოავლინა ავსტრიის დიპლომატიამ (დიპლომატიის ისტორიაში ეს შევიდა „დიპლომატიური რევოლუციის“ სახელით), როდესაც მარია ტერეზიას პირველმა მინისტრმა, მეტერნიხის ბრწყინვალე წინამორბედმა, თავადმა ვენცელ ანტონ ფონ კაუნიცმა, შესძლო რეალობად ექცია პრუსიის წინააღმდეგ მიმართული საფრანგეთის, რუსეთისა და ავსტრიის კოალიცია. ბარიკადების მეორე მხარეზე დარჩნენ ინგლისი და პრუსია.

საქსონიაში ფრიდრიხ დიდის შეჭრით დაიწყო ისტორიაში კარგად ცნობილი 7-წლიანი ომი. საწყის ეტაპზე, როსბახთან სისხლისმღვრელ ბრძოლაში, ფრიდრიხ დიდმა შესძლო სასტიკად დაემარცხებინა ავსტრია-საფრანგეთის გაერთიანებული არმია, მაგრამ ვითარება რადიკალურად შეცვალა რუსეთის არმიამ, რომელმაც ორი სერიოზული გამარჯვების შემდეგ ბერლინი აიღო. ომისა და ფრიდრიხ დიდის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო (იგი ტახტიდან გადადგომისათვის ემზადებოდა), როდესაც მას სულზე მოუსწრო ე.წ. „ბრანდენბურგის სახლის საოცრებამ“ (სწორედ ასეთივე „საოცრებას“ ელოდა ბერლინის ბუნკერში გამომწყვდეული ჰიტლერი და მისი უახლოესი გარემოცვა 1945 წლის აპრილში, ფრანკლინ რუზველტის გარდაცვალების შემდეგ): პეტერბურგში გარდაიცვალა იმპერატრიცა ელისაბედი (პეტრე დიდის ასული), ხოლო ფრიდრიხ დიდის თაყვანისმცემელმა ახალმა იმპერატორმა პეტრე III უმალ შეწყვიტა პრუსიასთან ომი. კოალიცია დაიშალა. 1763 წლის თებერვალში, ავსტრიას, საქსონიას და პრუსიას შორის სტატუს-ქვოს ფორმატში გაფორმდა გუბერსუსბურგის ზავი. სილეზია პრუსიას დარჩა. ზღვებზე კიდევ გრძელდებოდა ბრძოლები ინგლისსა და საფრანგეთს შორის. საბოლოო დაზავება 1763 წელს პარიზის ზავით გაფორმდა; ინგლისმა საფრანგეთისაგან მიიღო კანადა, კუნძული კეიპ-ბრიტანი, აღმოსავლეთი ლუიზიანა და რამდენიმე კუნძული ვესტ-ინდოეთში, აფრიკაში სენეგალი და საფრანგეთის კოლონიები ინდოეთში. ყოველივე ამის სანაცვლოდ კი ინგლისი საფრანგეთს უთმობდა კუნძულებს – სენ-პიერს და მაკელონს. ესპანეთი ინგლისს უთმობდა ფლორიდას და საფრანგეთისაგან ღებულობდა დასავლეთ ლუიზიანას ფულად კომპენსაციასთან

ერთად. ევროპაში 30-წლიანმა მშვიდობამ დაისადგურა. ლუდოვიკო XVI და მარია ანტუანეტას (მარია ტერეზიას ქალიშვილის) ქორწინებით თითქოს ბოლო მოეღო დიდ ომებს. რაც შეეხება ფრიდრიხ დიდის პრუსიას, მან ომი წააგო, მაგრამ არც ერთი ტერიტორია არ დაუკარგავს – იმ ეპოქისათვის უპრეცედენტო შემთხვევა. პირიქით, ბერლინში ახალი ტერიტორიების მიერთების გეგმებს აწყობდნენ, ამჯერად უკვე პოლონეთის ხარჯზე. დღის წესრიგში იდგა პოლონეთის გაყოფები.

პოლონეთის გაყოფები იქცა იმის კიდევ ერთ კლასიკურ ილუსტრაციად, თუ რა რთული და ეკლიანი გზა განვლო საერთაშორისო თანამეგობრობამ სუვერენულ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპის ფორმალურ აღიარებამდე. თუ უმეტეს შემთხვევებში ევროპაში ტერიტორიების გადანაწილება სისხლისმღვრელი და ხანგრძლივი ომებისა და რთული დიპლომატიური მოლაპარაკებების შედეგად ხდებოდა, პოლონეთის შემთხვევა „ამოვარდნილია“ ყოველგვარი წესებიდან და ტრადიციიდან. პოლონეთი არც ერთი დიდი ომის აქტიური მონაწილე არ ყოფილა და სამი გაუმაძღარი მტაცებლის (რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის) მიერ მისი ტერიტორიების მიტაცებებიც, ევროპის თავზე უღრუბლო ცის, ანუ მშვიდობიან პირობებში ხდებოდა.

XVIII საუკუნის შუა პერიოდიდან მოყოლებული, ფაქტიურად, პირობითად თუ წამოადგენდა პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფო ევროპის საერთაშორისო ურთიერთობების დამოუკიდებელ სუბიექტს; ავსტრია, პრუსია, საფრანგეთი და, უმეტეს წილად კი – რუსეთი, სისტემატურად და უცერემონიოდ ერეოდნენ მის საშინაო საქმეებში, ცდილობდნენ, საკუთარი კანდიდატები დაესვათ სამეფო ტახტზე. ქვეყნის საშინაო არასტაბილურობასვე უწყობდა ხელს სეიმში მოქმედი ე.წ. „ლიბერუმ ვეტოს“ პრინციპი, როდესაც მის ნებისმიერ რიგით წევრს ვეტოს უფლება ჰქონდა და საკუთარი პოლიტიკური თუ მატერიალური ინტერესებიდან გამომდინარე, უპრობლემოდ შეეძლო, თუნდაც ქვეყნის ინტერესებისათვის საჭირო და აუცილებელი გადაწყვეტილების ბლოკირება. „ლიბერუმ ვეტო“ მოსყიდვებისა და გარე-

დან ზეწოლის ობიექტად აქცევდა სეიმის ნებისმიერ წევრ-შლიახტიჩს.

მიუხედავად იმისა, რომ 7-წლიან ომში პოლონეთი ფორმალურ ნეიტრალიტეტს იცავდა და მხოლოდ ზომიერ სიმპათიას ავლენდა ფრანგულ-ავსტრიულ-რუსული კოალიციისადმი, ომის დამთავრებისთანავე ფრიდრიხ დიდმა დიდი ოდენობით გაავრცელა ყალბი ფული პოლონეთში, რითაც მკვეთრად გააუარესა ქვეყნის ისედაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. უპრეცედენტოდ გაიზარდა პოლონეთში რუსეთის გავლენა ეკატერინე II მმართველობის წლებში, როდესაც მისი ელჩი, თავადი ნიკოლოზ რეპნინი, ფაქტიურად გენერალ-გუბერნატორის ფუნქციას ასრულებდა. მისი ინიციატივით (ცხადია, ეკატერინეს დავალებით), მიღებული კონსტიტუციით გაუქმდა ადრე გატარებული ყველა პროგრესული რეფორმა – პეტერბურგს სულაც არ აწყობდა დამოუკიდებელი განვითარების გზით მიმავალი პოლონეთი. რეპნინისავე ბრძანებით, დააპატიმრეს და პოლონეთიდან გაასახლეს რამდენიმე პროგრესული სახელმწიფო მოღვაწე. ახალმა კონსტიტუციამ კიდევ უფრო განამტკიცა „ლიბერუმ ვეტოს“ პრაქტიკა. რუსეთი მარჯვედ იყენებდა პოლონელთა შიშს პრუსიისადმი, რომელიც ღიად აცხადებდა პრეტენზიას ქვეყნის ჩრდილო-დასავლედ რაიონზე, ვინაიდან ასე შესაძლებელი ხდებოდა დასავლეთი და აღმოსავლეთი პრუსიის ერთმანეთთან დაკავშირება. რეპნინის კატეგორიული მოთხოვნით, 1768 წელს, უფლებებში გათანაბრდნენ მართლმადიდებლები და კათოლიკეები, რასაც კათოლიკური ელიტის აღშფოთება და, საბოლოო ჯამში, სამოქალაქო ომი მოჰყვა. მეზობლებმა – ავსტრიამ, რუსეთმა და პრუსიამ, სამოქალაქო ომით გამოწვეული პრობლემები პოლონეთის პირველი გაყოფის საბაბად გამოიყენეს: 1772 წლის 19 თებერვალს, ვენაში ხელი მოაწერეს გაყოფის კონვენციას. პატრიოტული ძალები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ოკუპანტებს, მაგრამ საფრანგეთისა და ინგლისის პასიურობამ და რუსეთის მრავალრიცხოვანმა არმიამ შანსი არ დაუტოვა აჯანყებულებს – 1773 წლის 28 აპრილს, გენერალმა (იმდროისთვის „მხოლოდ“ გენერალმა) სუვოროვმა კრაკოვი აიღო და ამით წაუშლელი დამღა

დაასვა მომავალი დიდი მხედართმთავრის რეპუტაციას. მანამდე კი, 1772 წლის 22 სექტემბერს, სამი სახელმწიფოს მიერ, რატიფიცირებული იქნა პოლონეთის გაყოფის კონვენცია. რუსეთმა მიიღო მილიონ 300 ათასი ადამიანით დასახლებული 92 ათასი კვ. კმ. ტერიტორია; პრუსიამ – 36 ათასი კვ/კმ. 580 ათასი მოსახლით, ხოლო ავსტრიას კი – 2 მილიონ 600 ათასი ადამიანით დასახლებული 83 ათასი კვ/კმ. ტერიტორია ერგო. როგორც კი შეთანხმებით განსაზღვრული მიწები დაისაკუთრეს, პეტერბურგმა, ვენამ და ბერლინმა, პოლონეთის მეფეს, სტანისლავ პონიატოვსკის მოსთხოვეს სეიმის მოწვევა და მომხდარი ფაქტის დაკანონება. ეს უკვე არა თუ მხოლოდ უპრეცედენტო, არამედ ეპოქისათვისაც კი უჩვეულო ცინიზმი და ამორალური აქტი იყო, თუმცა ეკატერინეს წყალობით გამეფებულ პონიატოვსკის დიდი ფიქრი არ დასჭირდა მოძალადეთა მოთხოვნის შესასრულებლად. სეიმმა დაამტკიცა ქვეყნის გაყოფა. იმავე მოწვევის სეიმმა 1775 წლამდე იმუშავა და თავისი გადაწყვეტილებებით 30 ათასამდე შეამცირა არმია, შემოიღო ახალი გადასახადებები და დაგეგმა ახალი რეფორმები.



კარლო XII
(1682-1718)
შვედეთის მეფე 1697-1718 წლებში

თუ მხედველობაში არ მივიღებთ მიტაცებული ტერიტორიების სიდიდესა და მოსახლეობის რაოდენობას, სხვებზე მეტად პრუსიამ

ისარგებლა პირველი გაყოფით: პოლონეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის მიტაცებით მან საკუთარ კონტროლს დაუმორჩილა პოლონეთის საგარეო ვაჭრობის 80% და ყოველგვარ ზღვარს გადასული საბაჟო ტარიფებით სათავე დაუდო რეჩპოსპოლიტას სამომავლო ეკონომიკურ კრახს.

ისე კი, უნდა ითქვას, რომ პირველი გაყოფის შემდეგ განხორციელებულმა რეფორმებმა დადებითი შედეგი იქონია პოლონეთისათვის, რაც ძირითადად დანათლების სფეროს დაეტყო, უკანასკნელს კი ქვეყანაში პატრიოტული განწყობილების გაძლიერება მოჰყვა. ამავე პერიოდს დაემთხვა რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი. ამან კიდევ უფრო გააძლიერა რუსეთის გავლენისაგან განთავისუფლების იმედი. პრუსიის წაქეზებით სეიმი რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტისაკენ გადაიხარა და 1790 წლის მაისში ახალი კონსტიტუცია მიიღო, რომელმაც პრაქტიკულად გააუქმა რეპნინის კარნახით მიღებული კონსტიტუცია. პოლონეთმა უკვე რუსეთისაკენ მიუხედავად დაიწყო საკუთარი საშინაო პოლიტიკური კურსის გატარება.

სეიმმა 100 ათასამდე გაზარდა არმიის კონტინგენტი, მკვეთრად შეამცირა შლიახტის პოლიტიკური უფლებები და გაზარდა ბურჟუაზიის უფლებები. ბუნებრივია, რომ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ შეეგუებოდა ახალ რეალობას; საუკუნეთა მანძილზე ხომ არც მოსკოვი და არც პეტერბურგი არ იყო მიჩვეული ერთხელ მიტაცებულის უკან დაბრუნებას, ხოლო პოლონეთი კი 1772 წლის საზღვრებს არ ივიწყებდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გარდუვალი ხდებოდა შემდგომი გაყოფები. უნდა აღინიშნოს, რომ უთანასწორო ბრძოლებს მიჩვეული პოლონელები არც ამჯერად აპირებდნენ მორჩილად შეგუებოდნენ ბედს, მაგრამ მამაცი მცირერიცხოვანი პოლონელი პატრიოტებისათვის რუსეთის არმიასთან გამკლავება შეუძლებელი იყო. გადამწყვეტ მომენტში პრუსიამაც უღალატა მაისის კონსტიტუციის დამცველებს. 1793 წლის 23 იანვარს რუსეთმა და პრუსიამ ხელი მოაწერეს პოლონეთის მეორე გაყოფის კონვენციას. ამჯერად პრუსია ღებულობდა მილიონი პოლონელით დასახლებულ 58 ათას კვ/კმ. ტერიტორიას, რუსეთი – 3 მილიონით დასახლებულ

280 ათას კვ/კმ-ს. სეიმმა კვლავ მორჩილად დაადასტურა გაყოფის „კანონიერება“. პოლონელი პატრიოტები კვლავ ბრძოლაზე ფიქრობდნენ: კოსტიუშკოს აჯანყება (1794 წელი) და მისი გარდუვალი მარცხი მხოლოდ საბაბი იყო მესამე გაყოფისა და პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ლიკვიდაციისათვის. 1795 წლის 24 ოქტომბერს რუსეთი, პრუსია და ავსტრია ახალ საზღვრებზე შეთანხმდნენ: რუსეთმა მიიღო ლიტვის, ბელორუსიისა და უკრაინის მიწები საერთო ფართობით 120 ათასი კვ/კმ და 1,2 მილიონი მოსახლეობით, პრუსიამ – ვარშავა და ეთნიკური პოლონელებით დასახლებული ტერიტორიები მდინარეების – ბუგის, ნემანის, ვისლისა და პილიცის დასავლეთით, მილიონი ადამიანითა და 55 ათასი კვ/კმ. ტერიტორიით. ავსტრიას ერგო კრაკოვი და მდინარეებს – ვისლას, ბუგსა და პილიცის შორის მდებარე 47 ათასი კვ/კმ. ტერიტორია 1,2 მილიონიანი მოსახლეთი. მეფე სტანისლავ პონია-



კარიკატურა:
პოლონეთის პირველი დანაწილება
1772 წელი

ტოვსკი ჯერ გროდნოში გადაიყვანეს, შემდეგ კი ტახტზე ათქმევინეს უარი. „გამარჯვებულებმა“ 1797 წელს გააფორმეს „პეტერბურგის კონვენცია“. გაარჯვიეს პოლონეთის ვალების საკითხი და ვალდებულება იკისრეს, რომ რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის მონარქთა ტიტულების ჩამონათვალში არასოდეს არ იქნებოდა მოხსენებული „პოლონეთის სამეფო“. ნებისმიერ შემთხვევაში მაინც სამივე მონარქს მიუძღვოდა „დამსახურება“ ევროპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოს ფაქტიურ ლიკვიდაციაში. მიუხედავად იმისა, რომ სამივე ერთნაირი აგრესიითა და ცინიზმით გლეჯდა და ითვისებდა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიებს, თანამედროვეთა საკბილო რატომღაც მხოლოდ ავსტრიის იმპერატრიცა იქცა: „ყოველ ახალ შენაძენ პოლონურ მიწებს ის ტირილით ხვდებოდა, თანაც რაც მეტს ტიროდა, მით უფრო მეტს თხოულობდა“, – წერდა ერთი ევროპული გაზეთი. ყველაზე ხარბ და გაუმაძღარ მტაცებელს – რუსეთს, ძალზედ ძვირად დაუჯდა დროებითი შენაძენები (საბოლოო ჯამში ხომ არც მას შერჩა სხვისი ტერიტორიები): უღირდა კი უიმისოდაც თვალუწვდენელი იმპერიის მპყრობელ ეკატერინე დიდს დამატებითი ტერიტორიები იმ საუკუნოვანი სიძულვილის საფასურად, რის განეიტრალებასაც დღემდე არც თუ წარმატებით ცდილობს მოსკოვი?

რაც შეეხება, პოლონეთის ანექსირებული ტერიტორიების შემდგომ ბედს, რუსეთის მფლობელობაში გადასული მიწებიდან სამი გუბერნია შეიქმნა: კურლანდიის, ვილენსკისა და გროდნოსი. აქ შენარჩუნებული იქნა ძველი სამართლებრივი სისტემა, მოსამართლეების არჩევითობა და ბატონყმობა. პრუსიამ სამი ახალი პროვინცია დააარსა: დასავლეთი პრუსია, სამხრეთი პრუსია და ახალი აღმოსავლეთი პრუსია.ოფიციალურ ენად გამოცხადდა გერმანული, შემოიღეს პრუსიული სამართალი და გერმანული სკოლები. ავსტრიამ გალიცია და ლოდომერია დაარქვა თავის შენაძენს. აქაც დაარსდა გერმანული სკოლები და ავსტრიული სამართალწარმოება.

ისტორიულ ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიება მეოთხე გაყოფაც: ვარშავის საჰერცოგოს გაყოფა 1815 წელს ვენის კონგრესზე, პოლონეთის სამეფოს მიერთება რუსეთის იმპერიასთან 1832 წელს, თა-

ვისუფალ ქალაქ კრაკოვის მიერთება ავსტრიის იმპერიასთან 1846 წელს და პოლონეთის სავოევოდოების მიერთება მესამე რეიხთან 1939 წელს, ერთდროულად დასავლეთი უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მიერთება საბჭოთა კავშირთან.

ნაპოლეონის ტრიუმფის წლებში, ფრანგების იმპერატორის დიდსულოვნებამ და პოლონელი არისტოკრატ მარია ვალევსკაიას მომხიბვლელობამ, ცოტა ხნით შექმნა სამართლიანობის აღდგენის მოლოდინი, რომელიც გენიალური „პატარა კაპრალის“ მზესთან ერთად ჩაესვენა ვენის კონგრესზე.



ნაპოლეონ I ბონაპარტი
(1769-1821)
საფრანგეთის იმპერატორი 1804-1815 წლებში

თავი მესამე
ევროპა ნაპოლეონიდან მეტერნიხამდე

მოხდა ისე, რომ კონტინენტური ევროპის ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფო – საფრანგეთი, პოლონეთის დაყოფისას „თამაშგარე“ მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქმე ის იყო, რომ რევოლუციის უშუალო წინა პერიოდსა და შემდეგ კი რევოლუციის წლებში, პარიზში არავის

სცხელოდა პოლონეთისათვის მიუხედავად იმ დიდი კულტურული და პოლიტიკური სიახლოვისა, ისტორიულად რომ ახასიათებდა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მნიშვნელობა მხოლოდ ერთი ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური სისტემის გიგანტური ტრანსფორმაციით არ ამოწურულა; მან თავისი კვალი დაამჩნია ეპოქას და პრაქტიკულად მთელი ევროპა ჩაითრია უამრავი დრამატული სიახლეებით აღსავსე ქარტეხილში. მონარქიული ევროპის კლასიკურ სახელმწიფოში დანარჩენთა თვალწინ განადგურდა ტრადიციული უნივერსალური წყობილება, ხოლო კონტინენტის უბრწყინვალესი მონარქია კი რესპუბლიკით შეიცვალა, სადაც ყველა თანასწორი და უფლებებში გათანაბრებული უნდა ყოფილიყო დევიზით: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა!“.

ზოგადად, რევოლუციის დასაწყისად 1789 წლის 14 ივლისი ითვლება, როდესაც ახალგაზრდა ჟურნალისტის კამილ დე მულენის მოწოდებით, პარიზელებმა ბასტილიის ციხე აიღეს. დრამის დასასრულად კი, ზოგიერთი ფრანგი ისტორიკოსი 1794 წლის 27 ივლისს, ზოგი კი 1799 წლის 9 ნოემბერს მიიჩნევს. ორივე თარიღი სახელმწიფო გადატრიალებებს უკავშირდება: 27 ივლისი – თერმიდორიანულს, 9 ნოემბერი კი 18 ბრიუმერს (რევოლუციური კალენდრით).

XVIII საუკუნის დასასრულისათვის საფრანგეთში უკვე არსებობდა ყველა წინაპირობა დიდი რევოლუციური აფეთქებისათვის. ქვეყნის მმართველ წრეებშიც კი ფეხს იკიდებდა რწმენა, რომ განუვითარებელი საბაზრო ურთიერთობების პირობებში, მმართველობის სისტემაში დამკვიდრებული ქაოსი, სახელმწიფო თანამდებობებით ვაჭრობის კორუმპირებული პრაქტიკა, ზუსტად დაუდგენელი კანონმდებლობა და წოდებრივი პრივილეგიების არქაული სისტემა სერიოზულ რეფორმებს საჭიროებდა. არა მხოლოდ მოსახლეობის დაბალი ფენების, არამედ არისტოკრატიის, სამღვდელოებისა და ბურჟუაზიის ნდობასაც კარგავდა მეფის ხელისუფლება. უამრავი მიმდევრები გამოუჩნდნენ მონტესკიესა და რუსოს, რომელნიც თვლიდნენ, რომ მეფის ხელში თავმოყრილი უფლებები უზურპირებული იყო ხალხის უფლებებისა (რუსოს თვალსაზრისით) და წოდებათა და კორპორა-

ციათა წარმომადგენლების უფლებების ხარჯზე (მონტესკიეს აზრით). საზოგადოების მოწინავე ნაწილის მსოფლმხედველობის ტრანსფორმირებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ენციკლოპედისტებმა. საბოლოო ჯამში ლუდოვიკო XV-ის და XVI-ის მეფობის წლებში დაიწყო ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროების იმდენად დაგვიანებული და არათანმიმდევრული რეფორმირება, რომ მას არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა მთელი ძველი სისტემის კრახი (საბჭოთა იმპერიის ანალოგი?).

1789 წლის 24 იანვრის სამეფო რეგლამენტით იმავე წლის 27 აპრილისათვის დაინიშნა გენერალური შტატების მოწვევა. მეფე და მისი უახლოესი გარემოცვა იმედოვნებდა, რომ გენერალური შტატები შეძლებდა კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანას და „მუდმივი და უცვლელი წესრიგის დამყარებას მმართველობის ყველა სფეროში".

როგორც კი დაიწყო გენერალური შტატების სხდომები, თავი იჩინა შიდა წინააღმდეგობებმა: მესამე წოდებამ ქვეყნის მოსახლეობის 96%-ის წარმომადგენლად გამოაცხადა თავი და განსაკუთრებული უფლებები მოითხოვა. 17 ივნისს, მესამე წოდების დეპუტატებმა, რომელთაც მხარს უჭერდნენ თავადაზნაურობისა და სამღვდელოების დაბალი ფენების წარმომადგენლები, ემანუელ-ჟოზეფ სიეიესის (შემდგომში ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის) წინადადებით, თავი ეროვნულ კრებად გამოაცხადეს. 20 ივნისს ისინი ცალკე შეიკრიბნენ ვერსალის სპორტულ დარბაზში და ფიცი დადეს, რომ არ დაიშლებოდნენ, სანამ კონსტიტუციას არ შეიმუშავებდნენ. 23 ივნისს მეფემ გენერალური შტატების დეპუტატებს შესთავაზა წოდებათა მიხედვით გადანაწილებულიყვნენ და ცალ-ცალკე განეგრძოთ მუშაობა. დეპუტატები მეფეს არ დაეთანხმნენ და მირაბოს წინადადებით ხელშეუხებელი გამოაცხადეს ნებისმიერი დეპუტატის პიროვნება. ამავე დროს გაიზარდა მესამე წოდების წარმომადგენლების მომხრეთა რიცხვი – მათ მხარეზე გადავიდა სამღვდელოებისა და თავადაზნაურობის ბევრი წარმომადგენელი. 1789 წლის 9 ივლისს ეროვნულმა კრებამ თავი უკვე დამფუძნებელ კრებად გამოაცხადა. იგი მოიაზრებოდა როგორც ხალხის უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებ-

ლო ორგანო. საპასუხო სვლით მეფემ თანამდებობიდან გადააყენა და პარიზიდან გააძევა ხალხში პოპულარული რეფორმატორი მინისტრი ნეკერი, საფრანგეთში კი ამ დროს უკვე სახალხო აჯანყება მძვინვარებდა. 1789 წლის გაზაფხულ-ზაფხულში პიკს მიაღწია ეკონომიკურმა კრიზისმა და შიმშილმა. სოფლებში გლეხები მასობრივად იტაცებდნენ მემამულეთა პურის მარაგებს, ვაჭრებს კი ძალის გამოყენებით აიძულებდნენ „სამართლიანი“ (დაბალი) ფასებით ევაჭრათ (17). 1789 წლის გაზაფხულზე აჯანყდა მარსელის, ტულონისა და ორლეანის მოსახლეობა. მაისში აჯანყებამ იფეთქა პარიზშიც, რომლის ჩახშობაც არმიამ კი მოახერხა, მაგრამ ნებისმიერ დღეს იყო მოსალოდნელი გაცილებით ფართომასშტაბიანი გამოსვლები. პარიზში გავრცელებული ინფორმაციით, სამეფო კარი დამფუძნებელი კრების დასაშლელად და დეპუტატთა გასარეკად ემზადებოდა, რასაც 12 ივლისს ხალხსა და არმიას შორის ახალი შეტაკებები მოჰყვა. იარაღისაკენ მოუწოდებდა ხალხს კამილ დე მულენი. 14 ივლისს, პარიზელები ნაბათმა გააღვიძა. მალე ინვალიდთა სასახლიდან ხალხმა 12 ქვემეხი, 32 ათასი თოფი და დიდძალი ტყვია-წამალი გაიტაცა. შუადღეს ბასტილიის ქვემეხებმა ცეცხლი გაუხსნა შეიარაღებულ პარიზელებს, მაგრამ ამან მხოლოდ აჯანყებულთა მძვინვარება გააძლიერა. საღამოს ხალხს დანებდა ბასტილიის გარნიზონი. მეფე იძულებული იყო დამფუძნებელი კრების ლეგიტიმურობა ეცნო. მთელი საფრანგეთი რევოლუციის ქარიშხალმა მოიცვა. „პური! სიკვდილი გადამყიდველებს!“ – ასეთი იყო იმ დღეების ლოზუნგთა უმრავლესობა. აჯანყებულები მასობრივად იტაცებდნენ პურს, იკავებდნენ რატუშებს, წვავდნენ იქ შენახულ დოკუმენტებს. ამავე დროს სტიქიურად იქმნებოდა ხელისუფლების ახალი, არჩევითი ორგანოები – მუნიციპალიტეტები. დაარსდა პარიზის მერის თანამდებობა და ახალი შეიარაღებული ძალა – გვარდია.

განსაკუთრებული სასტიკი და სისხლიანი იყო რევოლუციური ექსცესები პროვინციებში. აქ გლეხები არბევდნენ და წვავდნენ არისტოკრეტების მამულებსა და კარ-მიდამოებს. ეს პერიოდი და მოვლენები საფრანგეთის ისტორიაში „დიდი შიშის“ სახელიდაა შესული.

პარიზში კი დამფუძნებელი კრება დეკრეტებს ერთი-მეორეზე მიყოლებით ღებულობდა. 4-11 აგვისტოს მიღებული ნორმატიული აქტებით გაუქმდა პირადი ფეოდალური ვალდებულებები, სენიორული სასამართლოები, საეკლესიო მეათედი, ცალკეული პროვინციების პრივილეგიები, გამოცხადდა კანონის წინაშე ყველას თანაბარი პასუხისმგებლობა და ვალდებულებები, ყველას შეეძლო დაეკავებინა სამოქალაქო, სამხედრო და საეკლესიო თანამდებობა. გაუქმდა მხოლოდ „ირიბი" ვალდებულებები, ძალაში რჩებოდა გლეხების ე.წ. „რეალური" ვალდებულებები, კერძოდ კი, მიწისა და სულადობის გადასახადები.

1789 წლის 26 აგვისტოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია". წოდებრივ პრივილეგიებზე და ხელისუფლების განუკითხაობაზე დაფუძნებულ ძველ რეჟიმს დაუპირისპირდა კანონის წინაშე თითეულის თანასწორობა, ადამიანის „ბუნებრივი" უფლებები, სახალხო სუვერენიტეტი, შეხედულებათა თავისუფლება, პრინციპი – „ყველაფერი, რასაც არ კრძალავს კანონი, ნებადართულია" საყურადღებოა, რომ დეკლარაცია ბუნებრივ უფლებად აღიარებდა კერძო საკუთრების უფლებას.

ვინაიდან დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კანონებსა და დეკლარაციებს ჯერ კიდევ ესაჭიროებოდა მეფის სანქცია, 5 ოქტომბერს პარიზელები ვერსალისაკენ დაიძრნენ, რათა ძალით აეძულებინათ მეფე მიღებული კანონებისა და დეკლარაციების სანქციონირებაზე. ეროვნული გვარდიის პირველმა სარდალმა, ლაფაიეტმა ბრძანება მიიღო ვერსალისაკენ დაეძრა გვარდია. მეფე იძულებული გახდა ვერსალი დაეტოვებინა და პარიზში, ტიულრის სასახლეში გადასულიყო.

დამფუძნებელმა კრებამ კი 1789 წლის ნოემბრის გადაწყვეტილებით, ეკლესიების მიწების კონფისკაცია მოახდინა, რომელიც „ეროვნულ ქონებად" გამოცხადდა და გასაყიდად გამზადდა. მთლიანობაში, ეკლესიების საკუთრებაში მყოფმა და ნაციონალიზებულმა ქონებამ, მთელი საფრანგეთის მიწათსაკუთრების და უძრავი ქონების 10% შეადგინა. ნაციონალიზაცია შეეხო აგრეთვე უცხოეთში გაქცეულ არის-

ტოკრატთა მამულებსაც. გატარდა ადმინისტრაციული რეფორმაც – პროვინციები 83 დეპარტამენტად გაერთიანდა. გაუქმდა მემკვიდრეობითი თავადაზნაურობის ინსტიტუტი, გერბები და ტიტულები. ეკონომიკური ლიბერალიზაციის კანონით მოიხსნა ვაჭრობაზე ყოველგვარი შეზღუდვები, გაუქმდა შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი ცეხური გილდიები და მეწარმეობის სახელმწიფო რეგლამენტაციები, თუმცა აიკრძალა გაფიცვები და მუშათა ორგანიზაციები – კომპანიონაჟი.

1790 წლის ივლისისათვის დამფუძნებელმა კრებამ დაასრულა საეკლესიო რეფორმა: ყველა 83 დეპარტამენტში დაინიშნენ ეპისკოპოსები, ეკლესიის ყველა მსახურს სახელმწიფო უხდიდა ხელფასს. ყველა მოძღვარი ამიერიდან სახელმწიფოს და არა რომის პაპის ერთგულებაზე დებდა ფიცს. ამის საპასუხოდ პაპმა დაგმო საფრანგეთის რევოლუცია, დამფუძნებელი კრების ყველა რეფორმა და განსაკუთრებით – „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია.“

1791 წლის 20 ივნისს მეფემ ქვეყნიდან გაქცევა სცადა, მაგრამ საზღვარზე იგი ფოსტის მოხელემ იცნო და პარიზში დააბრუნეს.

1791 წლის სამ სექტემბერს ეროვნულმა კრებამ ევროპის ისტორიაში მეოთხე კონსტიტუცია (ამერიკის ჩათვლით მსოფლიოში მეხუთე) მიიღო. კონსტიტუცია ითვალისწინებდა საკანონმდებლო კრების – ერთპალატიანი პარლამენტის მოწვევას მაღალი ქონებრივი ცენზის საფუძველზე. მთელ საფრანგეთში მხოლოდ 4,3 მილიონი ადამიანი აღმოჩნდა „აქტიური“ მოქალაქე, ვისაც ხმის უფლებას ანიჭებდა კონსტიტუცია. ეროვნული კრების დეპუტატები არ შეიძლება არჩეულნი ყოფილიყვნენ საკანონმდებლო კრებაში.

საკანონმდებლო კრება მუშაობას შეუდგა 1791 წლის 1 ოქტომბერს. ერთ-ერთ პირველსავე სხდომაზე, საშინაო პრობლემების გადაჭრის მთავარ საშუალებად კრებამ ევროპაში ომის წამოწყება მიიჩნია და 1792 წლის 20 აპრილს „მეფის წინადადებით“(!) ომი გამოუცხადა „უნგრეთისა და ბოჰემიის ხელმწიფეს“. 28 აპრილს ეროვნულმა გვარდიამ ბელგიას შეუტია, რაც სრული მარცხით დამთავრდა. პარიზში კი მოვლენები დრამატულად ვითარდებოდა: 10 აგვისტოს, 20 ათასმა

აჯანყებულმა (ე.წ. „სანკიულოტმა“) ალყა შემოარტყა მეფის სასახლეს. შტურმის შედეგად უკანასკნელ ჯარისკაცამდე დაიღუპა მეფის მცველ შვეიცარიელთა რაზმი. ლუდოვიკო XVI, ფაქტიურად, გადააყენეს, ხოლო ეროვნული გვარდიის სარდალი ლაფაიეტი კი ემიგრაციაში გაიქცა. რამდენიმე თვის განმავლობაში ქვეყნის პოლიტიკას თითქმის სრულად აკონტროლებდნენ „სანკიულოტები“. მათი მოთხოვნით გაუქმდა ვაჭრობის ლიბერალიზაცია, გაყინეს ფასები და ხელფასები, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს გადამყიდველებს. ყველა ეს სიახლე ძალაში რჩებოდა 1794 წლის ივლისამდე – რობესპიერის სიკვდილით დასჯამდე. მასობრივმა ტერორმა დაიდო ბინა მთელ საფრანგეთში. აგვისტოს ბოლოს საქმეში ჩაერთო პრუსიის არმია – 2 სექტემბერს პრუსიელებმა ვერდენი აიღეს და პარიზს დაემუქრნენ. 20 სექტემბერს გენერალმა დიუმურიემ შესძლო პრუსიელების შეჩერება და უკუგდება. საფრანგეთის რევოლუციური არმია ბელგიაში შეიჭრა და მალე რეინის მარცხენა სანაპირო დაიკავა. მანამდე კი, 1792 წლის 21 სექტემბერს მუშაობას შუდგა ეროვნული კონვენტი, რომელმაც იმავე დღეს საფრანგეთი რესპუბლიკად გამოაცხადა. თავად კონვენტი კი სამ მტრულ ფრაქციად გაიყო: მემარცხენეები (მონტანიარები) ლიდერებით – დანტონი, რობესპიერი და მარატი; მემარჯვენეები (ჟირონდისტები) ლიდერით – ბრისო და უკიდურესად სუსტი ცენტრისტებით. კონვენტში ადგილი არ მოიძებნა მონარქისტებისათვის. კონვენტის გადაწყვეტილებით დაიწყო სასამართლო პროცესი „მოქალაქე ლუდოვიკო ბურბონის“ წინააღმდეგ. მთავარი ბრალმდებელი იყო რევოლუციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი ლუი ანტუან სენ-ჟიუსტი. მეფეს ბრალი ედებოდა სამშობლოს ღალატსა და ხელისუფლების უზურპაციაში.

1793 წლის 21 იანვარს ლუდოვიკო XVI-ს გილიოტინაზე მოკვეთეს თავი. საინტერესოა, რომ მეფის გამსამართლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა, სენ-ჟიუსტით დაწყებული და რობესპიერით დამთავრებული, სულ მალე იქცა იმავე გილიოტინის „კლიენტად“. ეს კი მაშინ მოხდა, როდესაც რევოლუცია „თავისი შვილების ჭამას“ შეუდგა. გავა დრო და ვიქტორ ჰიუგო ზუსტად დაუთვლის მეფის

მსაჯულებს თავის ბრწყინვალე რომანში „93 წელი“, თუ ვის რამდენ-დღიანი სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი უიღბლო მეფის განკითხვის დღიდან.

ვერ მოუტანა საფრანგეთს სიმშვიდე მეფის სიკვდილით დასჯამ: ჯერ იყო და 1793 წლის გაზაფხულზე კონვენტმა ომი გამოუცხადა ინგლისს, ნიდერლანდებსა და ესპანეთს, ხოლო ქვეყნის შიგნით კი, ვანდეაში მძლავრი კონტრრევოლუციური აჯანყება დაიწყო. გარდა ამისა, სულ უფრო და უფრო მწვავე ფორმებს ღებულობს იაკობინელებსა და ჟირონდისტებს შორის დაპირისპირება. გენერალ დიუმურიეს ღალატს, რომელიც ახლო კავშირში იმყოფებოდა ჟირონდისტებთან და უკანასკნელთა მცდელობას პარიზისათვის დაეპირისპირებინათ პროვინციები, სადაც აგრარული ბურჟუაზიის ქმედებების პირდაპირი შედეგი იყო მაისის აჯანყება, საბოლოო ჯამში კონვენტიდან ჟირონდისტების გაძევება და იაკობინელთა დიქტატურა მოჰყვა. ეს უკვე საფრანგეთის დიდი რევოლუციის მესამე ეტაპი იყო. ასე დაიწყო, არა მხოლოდ რევოლუციის, არამედ ფრანგული სახელმწიფოს კრიტიკული პერიოდი: უცხოელ ინტერვენტთა ჯარები სამი მხრიდან შეიჭრნენ საფრანგეთში, მთელი ჩრდილო-დასავლეთი და, ნაწილობრივ, სამხრეთი კონტრრევოლუციონერთა ხელში იყო. ქვეყნის თითქმის ორ მესამედს აკონტროლებდნენ რევოლუციის მოწინააღმდეგენი. მხოლოდ იაკობინელთა გადამჭრელმა და კარგად ორგანიზებულმა ღონისძიებებმა, პლიუს მოსახლეობის რევოლუციურმა სულისკვეთებამ გადაარჩინა საფრანგეთის ახალგაზრდა რესპუბლიკა. 1793 წლის ივნის-ივლისში იაკობინელებმა მიიღეს ადრე არაერთხელ ბლოკირებული აგრარული კანონმდებლობა; გლეხებს გადაეცათ ემიგრანტების (რომელთა რიცხვი ყოველდღე იზრდებოდა) და სათემო მიწები. ამით გადაწყდა რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი – აგრარული პრობლემა. გლეხები მიწების თავისუფალ მესაკუთრეებად იქცნენ და მასობრივად იწყეს იაკობინელთა მხარეზე გადასვლა. 1793 წლის 24 ივნისს კონვენტმა ახალი, გაცილებით დემოკრატიული (საარჩევნო ცენზის გარეშე) კონსტიტუცია მიიღო, თუმცა ქვეყანაში შექმნილი კრიტიკული ვითარების გათვალისწინებით, გადაიდო მისი ამოქმე-

დება და დროებით, იგი რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის რეჟიმმა შეცვალა.

1793 წლის 23 აგვისტოს კონვენტი, რესპუბლიკის ტერიტორიიდან მტრების განდევნის მიზნით, ისტორიულ დეკრეტს ღებულობს ფრანგი ერის მობილიზაციის შესახებ. ამავე დროს მოსახლეობის ქვედა ფენების ზეწოლით კონვენტი ღებულობს დეკრეტს საყოველთაო მაქსიმუმზე – დადგინდა სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასების მაქსიმუმი. იგივე წესი გავრცელდა მუშების ხელფასებზე. 1794 წლის ზაფხულისათვის იაკობინელთა მიერ შექმნილმა ახალმა არმიამ შეძლო მკვეთრად შეეცვალა ვითარება ბრძოლის ველზე – 26 ივნისს რევოლუციურმა არმიამ გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა ფლორუსთან ბრძოლაში და მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადაიტანა საომარი მოქმედებები.


პარიზში კი უკიდურესად დაიძაბა შიდაპოლიტიკური მდგომარეობა – მზადდებოდა შეთქმულება რობესპიერისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ. მასობრივი ტერორი, რომლის მასშტაბებმაც უაზრო და სადისტული ხასიათი მიიღო, კონვენტის წევრთა დიდი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევდა. მოვლენათა განვითარება კი თვითონ რობესპიერმა დააჩქარა, როდესაც 1794 წლის 27 ივლისს (9 თერმიდორს) უმისამართო მუქარით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა კონვენტში. მას არ დაუსახელებია მუქარის ადრესატები, მაგრამ არავისთვის არ წარმოადგენდა საიდუმლოებას, თუ ვის ელოდა „მოუსყიდველის“ (ასეთი იყო ხალხის მიერ რობესპიერისთვის შერქმეული მეტსახელი) დაუნდობელიგანაჩენი. შედეგმაც არ დააყოვნა: 9 თერმიდორს, ეროვნული გვარდიელები შეიჭრნენ რატუშაში, სადაც უახლოეს თანამებრძოლებთან ერთად იმყოფებოდა რობესპიერი (იქვე იყო მისი ძმაც და სენ-ჟიუსტიც) და ყველანი დააპატიმრეს. ორი დღის შემდეგ ყველანი, სასამართლოს გარეშე, ვინაიდან კანონგარეშე იყვნენ გამოცხადებულნი, გილიოტინაზე აიყვანეს. იმ დღეს 71 ადამიანს („საფრანგეთის დიდი რევოლუციის“ ყველაზე იდეურ შემოქმედებს) მოკვეთეს თავი. „სანახაობას“ ჩვეულებრივ ბრბო ესწრებოდა. იგივე პარიზელები, სულ ცოტა ხნის წინ რომ აღმერთებდნენ ძმებს რობესპიერებსა და

სენ-ჟიუსტს, ამჯერად პირზე დორბლმორეულნი და სისხლმოწყურებულნი ბღაოდნენ: „სიკვდილი ტირანებს!“ (18). იაკობინელების დამარცხება განაპირობა შინაგანმა წინააღმდეგობებმა და, რაც მთავარია, იმ ფაქტმა, რომ ბურჟუაზია და გლეხობა იაკობინელთა ტერორს განუდგა. რევოლუციის ისტორიული დამსახურება კი ის იყო, რომ მან ბოლო მოუღო ფეოდალურ – აბსოლუტურ წყობას და გზა გაუხსნა კაპიტალისტურ ურთიერთობებს.

თერმიდორის გადატრიალების შემდეგ კონვენტში დაბრუნდნენ ცოცხლად დარჩენილი ჟირონდისტები. მათ ოპერატიულად გააუქმეს ყველა კანონი, რომელიც სახელმწიფოს ქვეყნის ეკონომიკაში ჩარევის უფლებას აძლევდა. ფართომასშტაბიან ლიბერალიზაციას ავტომატურად მოჰყვა გიგანტური ინფლაცია, ფასების მკვეთრი ზრდა, საშუალო ფენების გაღატაკება და სპეკულიანტების გამდიდრება. მთავრობის ფაქტიური მეთაური გახდა ყოფილი არისტოკრატი პოლ ბარასი – იაკობინელთა შეთქმულების მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. 1795 წელს ორჯერ გამოვიდნენ ქუჩაში პარიზელები მოთხოვნით „პური და 1793 წლის კონსტიტუცია!“. ორივეჯერ უშედეგოდ. კონვენტმა ახალი კონსტიტუცია მიიღო „მესამე წლის კონსტიტუციის“ სახელწოდებით. შემოღებული იქნა ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანო: ხუთასთა საბჭო და უხუცესთა საბჭო, ორივე მაღალი საარჩევნო ცენზით. რაც შეეხებოდა აღმასრულებელ ხელისუფლებას, იგი ხუთი დირექტორისაგან შემდგარ ორგანოს – დირექტორიას გადაეცა. დირექტორების კანდიდატებს ხუთასთა საბჭოს წარდგინებით ამტკიცებდა უხუცესთა საბჭო, რათა რესპუბლიკის მოწინააღმდეგეები არ აღმოჩენილიყვნენ ხელისუფლების სათავეში, კონვენტის გადაწყვეტილებით პირველი არჩევნების „ხუთასთა“ და „უხუცესთა“ ორ მესამედს კონვენტის წევრები დააკომპლექტებდნენ. უკანასკნელი ინიციატივა კანონიერი გზით ხელისუფლებაში მოსვლის შანსს არ უტოვებდა მონარქისტებს და მათაც აჯანყებით სცადეს სიტუაციის შეცვლა; არგუმენტად კი კონვენტის მიერ „ხალხის სუვერენიტეტის დარღვევა“ გამოცხადდა. 1795 წლის 5 ოქტომბერს (13 ვანდემიერს), ახალგაზრდა გენერალმა ბონაპარტემ იოლად ჩაახშო

მონარქისტთა ცუდად ორგანიზებული აჯანყება, 26 ოქტომბერს კი კონვენტმა თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. პრაქტიკულად მთელი ხელისუფლება დირექტორიისა და პირადად ბარასის ხელში აღმოჩნდა.

გარდა პირადი კეთილდღეობისა, დირექტორიის სერიოზულ საზრუნავად იქცა ბრძოლისუნარიანი რეგულარული არმიის შექმნა. საბოლოო ჯამში უკანასკნელზე იყო დამოკიდებული როგორც რევოლუციის შედეგების, ასევე დირექტორიისა და მთელი ახალი პოლიტიკური ელიტის ბედი. რთულ სიტუაციაში დაეკისრა არმიის შექმნა ენერგიულსა და ბრწყინვალე ორგანიზატორს, კარნოს. მან გასაოცრად მოკლე დროში შესძლო რამდენიმე არმიის დაკომპლექტება. არმიაში ხალისით მიდიოდნენ საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები – დაწყებული ამბიციური, დიდებასა და ბრწყინვალე კარიერაზე მეოცნებე თავზე ხელაღებული ავანტურისტებითა და დამთავრებული მთელ ევროპაში რესპუბლიკური და დემოკრატიული იდეების გავრცელებაზე გულანთებული მეოცნებეებით. ახალგაზრდობას ისიც იზიდავდა არმიაში, რომ აქ მხოლოდ პირად თვისებებზე იყო დამოკიდებული მათი მომავალი. აქედან იყო გზა გახსნილი ყველაზე მაღალი წოდებებისა და თანამდებობებისაკენ. რევოლუციური არმია კი თანდათანობით გადაიზარდა დამპყრობელ ძალად, როდესაც უცხო სახელმწიფოების ტერიტორიებზე გადაიტანა ბრძოლები. თავის მხრივ სწორედ დაპყ-



უილიამ პიტი - უმცროსი
(1759-1806)
დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი
1783-1806 წლებში

რობით ომებში ხედავდა დირექტორია დაცარიელებული ხაზინის შევსებისა და საკუთარი მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წყაროს. ამავე დროს, ბრძოლის ველზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებებით იოლი იყო მოსახლეობის ყურადღების გადატანა პატრიოტულ მოტივაციებზე, მით უმეტეს, რომ ჰორიზონტზე უკვე ბრწყინავდა არა მხოლოდ ეპოქის, არამედ კაცობრიობის ისტორიის კიდევ ერთი გენიის, კორსიკელი ღარიბი აზნაურის, უსამსახუროდ და უხელფასოდ დარჩენილი ყმაწვილი გენერლის ნაპოლეონ ბონაპარტეს (კორსიკულად – ნაპოლეონე ბოუნაპარტე) მზის პირველი სხივები.

ფრანგების მომავალი იმპერატორისათვის, როიალისტთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ,პარიზის გარნიზონის უფროსის საპატიო და გავლენიანი პოსტი მხოლოდ ტრამპლინი იყო. მწარედ მოტყუვდა ჩვეულებრივ გამჭრიახი და რევოლუციურ ქარცეცხლს (უფრო სწორედ კი რისკიან ინტრიგებს) გამოვლილი პოლ ბარასი: გულუბრყვილოდ დაუდევრული აღმოჩნდა მისი თვითდაჯერება, რომ იმედის მომცემი ახალგაზრდა გენერალი მხოლოდ მორჩილი დაშნის როლს დასჯერდებოდა, ხოლო თუ ჯერ კიდევ მომხიბლავ კრეოლ ქალს, მაგრამ მობეზრებულ საყვარელს, გენერალ ბოგარნეს ქვრივს, ჟოზეფინა ბოგარნესაც გადაულოცავდა, ამით საკუთარ სამსახურში ჩააყენებდა პერსპექტიულ სარდალს. თუმცა, როგორც ჩანს, სიფრთხილის ელემენტიც ერია ბარასის გადაწყვეტილებაში, როდესაც დათანხმდა იტალიაში სალაშქროდ გაეგზავნა (პარიზიდან მოეშორებინა) „პატარა კორსიკელი“. მით უმეტეს, რომ გარდა საპატიო ტიტულისა „მთავარსარდალი“, სხვა არაფერი მიმზიდველი არ ყოფილა ამ სამარ კამპანიაში: იტალიის არმია ხომ 30 ათასამდე ჩაუცმელ, მშიერ, ცუდად შეიარაღებულ და უხელფასო სახალხო ლაშქარს უფრო წააგავდა, ვიდრე ნორმალურ რეგულარულ ჯარს. თუ კამპანია მარცხით დამთავრდებოდა, რაც სულაც არ იყო გამორიცხული, გენერლის ამბიციებს ფრთები დაეჭრებოდა და ნირწამხდალი კორსიკელიც გაცილებით მორჩილი და თვინიერი გახდებოდა. ბარასმა ისიც კარგად იცოდა, ავსტრიელთა რა სიძლიერის არმიასთან მოუწევდათ ურთი-

ერთობების გარკვევა მშიერსა და ჩამოფლეთილ ფრანგ ჯარისკაცებს. ეს ყველაფერი ობიექტურად, ალბათ ძლიერი ანგარიშგასაწევი ფაქტორი იყო თავისთავად, მაგრამ არა ნაპოლეონისათვის. სარისკო, თუმცა მარჯვე მანევრიდ, მან ციცაბო ზღვისპირა „კარნიზზე“ გაატარა თავისი არმია, ინგლისის მოდარაჯე სამხედრო ფლოტის ცხვირწინ და უმოკლეს დროში სწორედ იქ აღმოჩნდა, სადაც მას არავინ არ ელოდა.

ნაპოლეონისათვის იტალიის ლაშქრობა პირველ დიდ კარიერულ გამოცდად იქცა. არმიაში მისულს არც თუ კეთილგანწყობილად შეხვდნენ მისი ახალი ხელქვეითი, ათობით ბრძოლებგამოვლილი უკვე ცნობილი გენერლები: მასენა, ოჟერო, ლაგარპი (რუსეთის მომავალი იმპერატორის, ალექსანდრე პირველის აღმზდელის ძმა), სერიურე. ყველა მათგანს მთავარსარდლის ტოლფასი – დივიზიის გენერლის წოდება ჰქონდა, საბრძოლო გამოცდილებიდე კი მათთან ახლოსაც ვერ მიდიოდა ნაპოლეონი. გარდა ამისა, საქილიკოდ იქცა მისი ფრანგულიც: საშინელ კორსიკულ აქცენტთან ერთად, იგი უხეში ფონეტიკური და აზრობრივი შეცდომებით საუბრობდა. მხოლოდ ბრძოლის ველზე შეეძლო ნაპოლეონს ყველასათვის დაემტკიცებინა საკუთარი უპირატესობა და რადიკალურად შეეცვალა მისდამი დამოკიდებულება, საამისოდ კი მუდამ მზად იყო. ავსტრიელებთან პირველი შეტაკება 1796 წლის 12 აპრილს, მონტენეტოსთან მოხდა. მთავარსარდალი პირადად ხელმძღვანელობდა ბრძოლას, რომელიც ფრანგების სრული გამარჯვებით დასრულდა. ორი დღის შემდეგ უკვე პიემონტის არმიამ იწვნია დამარცხება. კიდევ ერთი გამარჯვებით ნაპოლეონმა საბოლოოდ გამოთიშა ომიდან პიემონტი და 15 მაისს, პარიზში ხელი მოეწერა პიემონტსა და საფრანგეთს შორის ზავს. ფრანგების პირისპირ მხოლოდ ავსტრიელები რჩებოდნენ, თუმცა უკანასკნელთა რიცხობრივი და მატერიალური უპირატესობა იმდენად იყო თვალში საცემი, რომ ვენაში ეჭვი არ ეპარებოდათ საბოლოო გამარჯვებაში. ავსტრიელთა „აზრზე მოსვლა“, 7 მაისს, ლოდთან ბრძოლის შემდეგ მოხდა. მდინარე ადუზე, საერთო აზრით, მიუდგომელი ხიდის შტურმითა და აღებით ნაპოლეონმა მთელი ევროპის გაოცება

გამოიწვია. ალბათ შეიძლება ვენდოთ კლაუზევიცის შეფასებას: „გაბედული ნაპოლეონის მიერ წამოწყებული ღონისძიება წარმატებით დამთავრდა. საკამათო არ არის, რომ არც ერთ სამხედრო გმირობას არ გამოუწვევია მთელი ევროპის ასეთი გაოცება, როგორიც მდინარე ადუზე გადასვლას მოჰყვა... ასე რომ, როდესაც აცხადებენ ხიდის შტურმი არ იყო სტრატეგიულად მოტივირებული, რამეთუ მეორე დილით ნაპოლეონი მას მუქთად მიიღებდა, მხედველობაში აქვთ ტრატეგიისადმი მხოლოდ სივრცული დამოკიდებულება. თუმცა მორალური შედეგი არ განეკუთვნება სტრატეგიას?“ (19). ყველა ყველა, მაგრამ კლაუზევიცი ნამდვილად ერკვეოდა სამხედრო სტრატეგიაში. მართლაც შეიძლება უაზრო მსხვერპლად შეფასებულიყო ხიდის შტურმი, რომელსაც 6 ათასი ჯარისკაცი და 14 ქვემეხი იცავდა, მაგრამ ნაპოლეონმა უშეცდომოდ განსაზღვრა შეუძლებლის შესაძლებლად ქცევის სრული ეფექტი. გარდა ამისა, ახალგაზრდა მთავარსარდალს პირველად აქ მიეცა შესაძლებლობა, ერთხელ და სამუდამოდ დაეპყრო არმიის გული პირადი სიმამაცით. 26 მაისს საფრანგეთის არმია ტრიუმფით შევიდა მილანში. ლომბარდია განთავისუფლდა ავსტრიელთა ბატონობისაგან. ძველი რომის ტრიუმფატორებივით ხვდებოდნენ ფრანგ ჯარისკაცებსა და მათ ახალგაზრდა სარდალს იტალიელები. ყველაზე არისტოკრატიული სალონების კარებები გაიღო ფართოდ მათ წინაშე. ბუნებრივია, რომ განსაკუთრებული „მოთხოვნილება“ 27 წლის გმირზე იყო. მასთან სიახლოვეს ცდილობდნენ მთელ ევროპაში სილამაზით ცნობილი ბანოვანები, მაგრამ აბსოლუტურად უშედეგოდ – ნაპოლეონის გულის მონოპოლისტური მპყრობელი პარიზში დარჩენილი ჟოზეფინა იყო, რომელიც ყოველდღე, სპეციალური კურიერით, გრძელ-გრძელ სასიყვარულო წერილებს ღებულობდა მეომარი მიუღლისაგან. თავად ჟოზეფინა? სიბერისაკენ წასული (იმ ეპოქაში ხომ ქალისათვის 30 წელი უკვე კრიტიკული ასაკი იყო) კრეოლკა დარჩენილ დროს უქმად არ კარგავდა და სასიყვარულო რომანებს არ იკლებდა. იტალიაში კი იმდენად ბუნებრივი და ყოვლისმომცველი იყო ზეიმი, რომ მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა თუ იგრძნო 6-მილიონიანი კონტრიბუციის სიმ-

ძიმე. მილანში ყოფნისას, არმიისადმი გამოცემულ ბრძანებაში, ნაპოლეონი ბრუტუსისა და სციპიონის შთამომავლების თავისუფლებისათვის უანგარო მებრძოლებად მოიხსენიებდა ფრანგ ჯარისკაცებს, პარალილურად კი პარიზის ინსტრუქციებით მოქმედი მთავარსარდალი და დირექტორიის კომისარი სალიჩეტი, აქტიურად ატარებდნენ კონტრიბუციისა და ანექსიის პოლიტიკას. მხოლოდ ტოსკანის ჰერცოგს, ერთი მილიონი ოქროს ლირა უნდა გადაეხადა, 1800 ცხენი, 2 ათასი ხარი და დიდი ოდენობით ქერი და ხორბალი უნდა გადაეცა ფრანგული არმიის საჭიროებისათვის. პარმის ჰერცოგი იძულებული იყო 2 მილიონი ლირა „ესესხებინა" საფრანგეთისათვის. 20 მილიონი ლირა დაეკისრა ლომბარდიას. ისიც უნდა ითქვას, რომ მთავარსარდალიც და კომისარიც ცდილობდნენ კონტრიბუციის ტვირთი უბრალო ხალხს არ ეგრძნო.

1796 წლის იტალიის კამპანია სამუდამოდ დარჩა ყველაზე ბრწყინვალე და ბედნიერ პერიოდად ნაპოლეონის ბობოქარ და წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრებაში. ვერც შემდგომი იმპერიის დიდება და ვერც შემდგომი მქუხარე გამარჯვებები ვერ შეედრებოდა 1796 წლის რომანტიზმითა და ხიფათით გაჯერებულ გაზაფხულს. სწორედ იქ, იტალიაში, პატარა და მშიერი არმიით მოპოვებული მონტენეტოს, მილიზიმოს, დეგის, სან-მიქელეს, მოვდოვის, ლოდის ბრწყინვალე გამარჯვებების სერიამ დაამახსოვრა საბოლოოდ ევროპას კორსიკული წარმოშობის გენიალური ფრანგი სარდლისა და პოლიტიკოსის სახელი. იტალიაში ლაშქრობის დღეებში გაუჩნდათ მისდამი ფანატიური რწმენა ათას ქარ-ცეცხლში გამოვლილ მებრძოლ გენერლებს. მაშინ იქცა ის „ჩვენ პატარა კაპრალად" რიგითი ჯარისკაცებისათვის. „იტალიურ გაზაფხულზე" ირწმუნა საკუთარი ვარსკვლავი თავად ნაპოლეონმაც. იტალიაში გამოავლინა მან მანევრირებული ბრძოლების დიდოსტატის ტალანტი. როგორც სხვადასხვა თაობების სამხედრო საქმის თეორეტიკოსები აღნიშნავენ, სხვა გარემოებებმაც შეუწყო ხელი იმას, რომ სწორედ იტალიაში გამოვლენილიყო სრულად ნაპოლეონის შესაძლებლობები. ერთ-ერთი ასეთი გარემოება კი მისი ხელქვეითი გენერლების მაღალი პროფესიონალიზმი იყო –

იგივე ანდრე მასენა თავადაც შეიძლება გამხდარიყო დიდი მხედართმთავარი, ბედს რომ იგი ნაპოლეონთან არ დაეკავშირებინა. ტყუილად ხომ არ უწოდა მას ნაპოლეონმა „გამარჯვების საყვარელი შვილი“. იტალიაშივე იჩინა თავი ადრე თითქმის უცნობი გენერლის – ჟუბერის სამხედრო ნიჭმა და კრიტიკულ მომენტებში გასაოცარმა ინიციატიურობამ. ჯერ კიდევ ტულონის ალყის პერიოდიდან იკრებდა თავის ირგვლივ ნაპოლეონი ნიჭიერ, ყველასათვის უცნობ ახალგაზრდა ოფიცრებს. თავიდან სამნი იყვნენ ასეთნი: ჟიუნო, მარმონი და მიურონი. შემდეგ მათ რიგებს დიუროკი (ნაპოლეონის უახლოესი ადამიანი ბრძოლაში დაღუპვამდე) და მიურატი. შემდეგ ლანი, ბერტიე, სულკოვსკი, ლავალეტი შეუერთდნენ. უჩვეულო თუმცაღა რევოლუციური ეპოქისათვის ჩვეულებრივი იყო თითეული მათგანის კარიერა; მეჯინიბის შვილმა, ნაპოლეონის თანატოლმა ჟან ლანმა, რიგით ჯარისკაცად დაიწყო არმიაში სამსახური. 1796 წელს ის უკვე პოლკოვნიკი იყო. პირადი სიმამაცითა და ბრძოლის ველზე საზრიანობით, მან მალე მიიპყრო მთავარსარდლის ყურადღება და უკვე გენერალმა, სამხედრო ოპერაციების წარმოების შესანიშნავი უნარი გამოავლინა. 1796-1797 წლებში ლანმა ორჯერ გადაარჩინა სიკვდილს ნაპოლეონი. იდეალური იყო თავის ადგილას არმიის შტაბის უფროსი, გენერალი ალექსანდრე ბერტიე. თვით ნაპოლეონსაც კი აოცებდა მისი შრომისუნარიანობა, დაუჯერებელი პროფესიონალური მეხსიერება და მთავარსარდლის საერთო დირექტივების ბრძანების ზუსტ და კონკრეტულ პარაგრაფებად ჩამოყალიბების ტალანტი. ნაპოლეონი უცებ მიხვდა, რომ ბერტიე არ ივარგებდა დამოუკიდებელი როლისათვის, მაგრამ შეუცვლელი იქნებოდა როგორც შტაბის უფროსი. ამიტომაც არ შეუცვლია 1814 წლის კატასტროფამდე.

1796-ში შეამჩნია და დაიახლოვა ნაპოლეონმა ახალგაზრდა პოლონელი ოფიცერი ჟოზეფ (იოზეფ) სულკოვსკი. 26 წლის პოლონელ არისტოკრატს უკვე მოესწრო ბრწყინვალე განათლების მიღება; თავისუფლად ლაპარაკობდა ყველა ევროპულ ენაზე და რუსოსა და ფრანგ განმანათლებელთა მგზნებარე თაყვანისმცემელი იყო. სრუ-

ლიად ახალგაზრდა იბრძოდა ჯერ პოლონეთის თავისუფლებისათვის, შემდეგ საფრანგეთის რესპუბლიკისათვის.

იტალიაში ყოფნისას დაუახლოვდა ნაპოლეონი ანტუან-მარი ლავალეტს, რომელიც ფორმალურად მხოლოდ მისი ერთ-ერთი ადიუტანტი იყო, თუმცა რიგით ადიუტანტზე გაცილებით მეტი ნდობითა და გავლენით სარგებლობდა როგორც ჟოზეფინას ახლო ნათესავის ქმარი. მოხდა ისე, რომ ლავალეტის სახელი ისტორიაში შევიდა არა როგორც ნაპოლეონის ეპოქის თვალსაჩინო მოღვაწის, რასაც ის ნამდვილად იმსახურებდა, არამედ როგორც 1815 წელს მთელს ევროპაში გახმაურებული სკანდალის ფიგურანტის სახით; საქმე კი შემდეგში იყო: „ასი დღის“ პერიოდში ნაპოლეონის მხარეზე გადასვლისათვის სიკვდილით დასჯა მიესაჯა გრაფ ლავალეტს. განაჩენის აღსრულებამდე რამდენიმე საათით ადრე, სიკვდილმისჯილთან მეუღ-



უილიამ პიტი და ნაპოლეონი მსოფლიოს ინაწილებენ
ჯეიმს გილრეის კარიკატურა, 1805 წ.

ლე შეუშვეს საკანში, რომელმაც დარდისაგან წელში მოხრილმა და სახეზე პირბადე ჩამოშვებულმა არამყარი ნაბიჯით დატოვა საკანი. მსჯავრდებულის ეშაფოტზე წასაყვანად მისულთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც საკანში ლავალეტის ნაცვლად სილამაზით მთელ პარიზში განთქმული მისი მეუღლე დახვდათ. ძირითადად ასეთი იყო ნაპოლეონის კოჰორტა, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით – „გუნდი“ ბონაპარტე იყო მათთვის პირველი თანასწორთა შორის, რომლისაც უსიტყვოდ სჯეროდათ. რაც მთავარია ისინი რევოლუციის შვილები იყვნენ და რესპუბლიკისათვის იბრძოდნენ. იმ პერიოდში იდეური რესპუბლიკელი იყო თვითონ ნაპოლეონიც.

რაც შეეხება დირექტორიას, ის უკვე მზარდი ეჭვითა და უნდობლობით უყურებდა იტალიის არმიასა და მისი მთავარსარდლის დემონსტრაციულად დამოუკიდებელ ქმედებებს. 1796 წლის მაისში ნაპოლიონმა თავის ჯარისკაცებს აცნობა, რომ ამიერიდან ხელფასის ნახევარს მყარ ვალუტაში მიიღებდნენ. დირექტორია აღშფოთდა, მაგრამ ღია სკანდალს მოერიდა – უკვე მიღებული იყო გადაწყვეტილება იტალიის არმიის ორ ნაწილად გაყოფის შესახებ. ნაპოლეონს 25 ათასი ჯარისკაცი რჩებოდა, რომლითაც ის რომისა და ვენეციისაკენ უნდა დაძრულიყო. ნაპოლეონი პარიზს გადადგომით დაემუქრა. დირექტორიამ კვლავ დათმობა ამჯობინა, თუმცა სხვა გზა არც ჰქონდა: ავსტრიის წინააღმდეგ მოქმედი მოროსა და ჟურდანის არმიები მარცხდებოდნენ და სულ უფრო და უფრო მეტ ფულს თხოულობდნენ, ნაპოლეონი კი ყოველ სამ დღეში თითო გამარჯვებას ზეიმობდა და მილიონობით ოქროს გზავნიდა პარიზში. დირექტორია კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებდა იტალიის არმიას: რაც შეიძლება მეტი ფულისა და მხატვრული შედევრების გამოზიდვას, თანაც ყოველგვარი თავისუფლებისა და შეპირებების გარეშე. ნაპოლეონი კი, 1796 წლის 26 სექტემბერს იტალიელ ხალხს სპეციალური მიმართვით, გამოღვიძებისაკენ მოუწოდებდა: „დადგა დრო, როდესაც იტალია ღირსებით წარმოსდგება ძლევამოსილი ერების გვერდით... ლომბარდია, ბოლონია, მოდენა, რეჯო, ფერარა და რომანია ერთ მშვენიერ დღეს ევროპის გაოცებას გამოიწვევს და ჩვენ, იტალიის ყველაზე მშვენიერ დღეებს

ვნახავთ! იჩქარეთ იარაღისკენ! ხალხმრავალი და მდიდარია თავისუფალი იტალია“.

დირექტორიის საპასუხო რეაქციამ არ დააყოვნა: ნოემბრის დამლევს ნაპოლეონთან ჩავიდა დირექტორიის წარმომადგენელი გენერალი კლარკი, რომელიც ვენაში მიემგზავრებოდა ავსტრიასთან დასაზავებლად. ნაპოლეონზე ბევრად ბეცი და გულუბრყვილოც კი მიხვდებოდა, რომ დირექტორიას გადაწყვეტილი ჰქონდა მის ზურგს უკან დაედო ზავი ავსტრიასთან და ამით საერთოდ ჩამოეშორებინა იტალიის საქმეებიდან ჭირვეული მთავარსარდალი. ამ დროისათვის მტკიცედ გამოიყურებოდა დირექტორიის პოზიციები; მას შემდეგ, რაც ერთი მეორეზე მიყოლებით გაანადგურეს ჯერ მემარცხენე ოპოზიცია და შემდეგ კი როიალისტთა შეთქმულება, წარმატებით გრძელდებოდა „საქანელას“ (ასე უწოდებდნენ დირექტორიის კურსს) პოლიტიკა. გარდა ავსტრიელებთან მოლაპარაკებისა, გენერალ კლარკს ევალებოდა ნაპოლეონი მკაცრი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა. დირექტორიამ მტკიცედ გადაწყვიტა ჭკუა ესწავლებინა თავნება გენერლისათვის, თუმცა სერიოზულად შეცდა ძალთა თანაფარდობის გათვლაში. ბონაპარტემ გაცილებით საღად შეაფასა ვითარება და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დირექტორია მას ვერ სძლევდა. მას არც ის გარემოება გამორჩა მხედველობიდან, რომ 1796 წლის ნოემბერ-დეკემბერი კიდევ უფრო წარუმატებელი აღმოჩნდა მოროსა და ჟურდანისათვის – ერც-ჰერცოგმა კარლმა ორივე გენერლის არმიები რეინს გაღმა გადარეკა. ვენა სულაც არ თვლიდა თავს დამარცხებულად და რევანშისათვის ემზადებოდა. ავსტრიელებმა, ალვინცის 80-ათასიანი არმიის გარდა, ახალ რეზერვებს მოუყარეს თავი. ხანდაზმულ უნგრელ ფელდმარშალს პირადი ანგარიშიც ჰქონდა ნაპოლეონთან არკოლის ხიდზე მარცხის გამო. გარდა ამისა, მანტუაში 30-ათასიანი არმიით იდგა გენერალი ვურმზერი და დამატებით მაშველ ძალებს ელოდა. ყველაფერი ამის პირისპირ იდგა ნაპოლეონი 40 ათასი დაღლილი ჯარისკაცით. ამიტომაც გამოიყურებოდა ლოგიკურად ალვინცის გადაწყვეტილება, როდესაც მან ვენამდე არ მიუშვა გენერალ-დიპლომატი კლარკი. მას ნაპოლეონის სწრაფი განადგურების იმედი

ჰქონდა და სულაც არ ფიქრობდა ზავსა და ომის შეწყვეტაზე. თავის მხრივ ნაპოლეონმაც დაამტკიცა, რომ არც მისთვის იყო უცხო დიპლომატიური კულბიტები; მან ჯერ ცივად მიიღო ვენისაკენ აჩქარებული კლარკი, ხოლო როგორც კი დაინახა, რომ ვენას აზრადაც არ ჰქონდა საფრანგეთთან დაზავება და კლარკთანაც მოლაპარაკება არ ისურვა, რადიკალურად შეცვალა ტაქტიკა და მყისვე დაუტკბა კლარკს. მალე მთავარსარდლის თავაზიანობით მოხიბლული კლარკი თავისი „სამეთვალყურეო ობიექტის“ გავლენის ქვეშ აღმოჩნდა.

შექმნილ სიტუაციაში ნაპოლეონისათვის მთავარი პრობლემა ალვინცის 80-ათასიანი არმია იყო. თანაც დეკემბერში მას ციება შეეყარა და უიმისოდაც გამხდარი და ფერმკრთალი, მთლად ჩამოდნა და გაყვითლდა. საქმის კურსში მყოფი როიალისტები დღე-დღეზე ელოდნენ მის სიკვდილს. ნაპოლეონმა კი კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მტერსაცა და მოყვარესაც, რომ მათ ჩვეულებრივ ადამიანთან არ ჰქონდათ საქმე: 1797 წლის 14-15 იანვარს, რივოლისთან გამართული ბრძოლით ისტორია სამხედრო ხელოვნების კიდევ ერთი შედევრით გამდიდრდა – რევანშზე მეოცნებე ალვინციმ ავსტრიის არმიის ნარჩენებთან ერთად თავს სამარცხვინო გაქცევით უშველა. 20 ათასი ავსტრიელი ჯარისკაცი დანებდა ტყვედ ფრანგებს. მეორე დღეს, ნაპოლეონის გეგმით მოქმედმა გენერალმა მასენამ პირწმინდად გაანადგურა ალვინცის დასახმარებლად დაბრული ავსტრიელების კიდევ ერთი არმია, ორი კვირის შემდეგ კი კაპიტულაცია გამოაცხადა მანტუიში გამოკეტილმა ვურმზერმაც.

ნაპოლენისთვის უკვე გადაჭრილი იყო იტალიის საკითხი და დღის წესრიგში რომისა და ვენეციის რიგი დადგა. 19 თებერვალს, ტოლენტინოში ნაპოლეონმა ზავის პირობები უკარნახა რომის პაპის წამომადგენელს. მან შეგნებულად შეცვალა დირექტორიის მიერ შედგენილი ზავის პირობები, რათა უკვე ღიად ეგრძნობინებინა პარიზისათვის, თუ რეალურად ვინ წყვეტდა იტალიის ბედს, თუმცაღა დირექტორებს 30-მილიონიანი კონტრიბუციის ცნობით მწარე აბი დაუტკბო. ნაპოლეონმა არც მშობლიური კორსიკა დატოვა უყურადღებოდ და ბრძოლის გარეშე აიძულა ინგლისელები კუნძული

დაეტოვებინად. საინტერესოა, რომ ინგლისელებისაგან განთავისუფლებულმა კორსიკელებმა აქტიური კონტაქტების დამყარება დაიწყეს რუსეთთან და მზად იყვნენ პეტერბურგის ოფიციალურ პროტექტორატზეც კი დათანხმებულიყვნენ, ოღონდ ფრანგებისა და ინგლისელების მეურვეობისაგან განთავისუფლებულიყვნენ. ახლა უკვე თავად ნაპოლეონი ჩქარობდა ავსტრიასთან ზავის დადებას. მანამდე კი ავსტრიის საუკეთესო სარდლის, ერც-ჰერცოგ კარლის დამარცხება იყო აუცილებელი, რაც რეალობად იქცა ორ შეტაკებაში გამარჯვების შემდეგ. ვენას სხვა აღარაფერი დარჩა გარდა იმისა, რომ თავად ეთხოვა ზავი ნაპოლეონისათვის. აღსრულდა პატივმოყვარე ახალგაზრდა გმირის ოცნება – თვითონ რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი სთხოვდა ცოტა ხნის წინ საყოველთაოდ უცნობ ღარიბ კორსიკელს პატივი დაედო და საზავო მოლაპარაკებებზე დათანხმებულიყო. მოლაპარაკებები 1798 წლის 7 აპრილს დაიწყო და 10 დღეში დასრულდა. 18 აპრილს, ლეობენის მახლობლად, ეგენვალდის სასახლეში, საფრანგეთის მხრიდან ნაპოლეონ ბონაპარტმა, ავსტრიის მხრიდან კი გრაფმა მერველდტმა და მარკიზმა გალომ ხელი მოაწერეს პრელიმინარულ (წინასწარ) ზავს. ნაპოლეონმა კიდევ ერთხელ გამოავლინა გასაოცარი დიპლომატიური ალღო – თავიდან მაქსიმუმი მოითხოვა და როგორც კი გაარკვია, თუ რისი მიღება შეეძლო რეალურად, სწრაფად წავიდა კომპრომისზე. ზავის პირობებით ავსტრია უარს ამბობდა ბელგიაზე, ეგუებოდა ჩრდილოეთ იტალიის დაკარგვას, თუმცა ინარჩუნებდა რეინის მიწებს. საიდუმლო მუხლით, ავსტრია კომპენსაციის სახით იღებდა ვენეციის ოლქის ნაწილს.

ლეობენის შეთანხმება ეწინააღმდეგებოდა დირექტორიის მოთხოვნებს, რომელიც საფრანგეთისათვის რეინის ოლქისა და ლომბარდიის გადაცემას ითვალიწინებდა.


დირექტორიისათვის გაგზავნილ ანგარიშში ნაპოლეონი ასაბუთებდა თავისი გადაწყვეტილების სისწორეს და თანაც სამხედრო სამსახურიდან წასვლითაც კი იმუქრებოდა, თუ დირექტორია მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის რევიზიას გაბედავდა. ძლევამოსილ გენერალს ყოველგვარი რისკის გარეშე შეეძლო შანტაჟზე წა-

სვლა, ვინაიდან დირექტორია ფიქრსაც კი ვერ გაბედავდა პოპულარობის ზენიტში მყოფი, გამარჯვებების მჭედელი მთავარსარდლის გადაყენებაზე. უხალისოდ, მაგრამ შეთანხმება მაინც დაამტკიცა დირექტორიამ. ეს იყო ნაპოლეონის, უკვე როგორც დამოუკიდებლად მოქმედი დიპლომატის საზეიმო ნათლობა. მრჩევლების, მეთვალყურეებისა და პარიზის ინსტრუქციების დემონსტრაციული იგნორირებით, მან საკუთარი პოლიტიკური ხედვითა და გემოვნებით შეიმუშავა და ხელი მოაწერა რესპუბლიკური საფრანგეთის ერთ-ერთ პირველ ხელშეკრულებას ევროპის ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოსთან. გარდა იმისა, რომ საველე გენერლის მიერ საზავო მოლაპარაკების წარმოება და თანაც ზავის დადება უპრეცედენტო ფაქტი იყო ევროპული დიპლომატიის ისტორიაში, ეს არაორაზროვანი გზავნილიც იყო ევროპისა და, ცხადია, პირველ რიგში საფრანგეთის მმართველი წრეებისათვის. მსოფლიოს პოლიტიკურ კაბადონზე ახალი ვარსკვლავი იწყებდა ბრწყინვას.

რაც შეეხებოდა თავად გმირს, მისთვის ლეობენის ზავი „იტალიური გეგმის“ კარტ-ბლანში იყო. იმავე წლის მაისში, ვენეციის ტერიტორიაზე მოკლეს რამდენიმე ფრანგი ჯარისკაცი, რაც ვენეციაში შეჭრისა და დოჟების მთავრობის დამხობის საბაბად იქცა. ნაპოლეონს ახსოვდა ლეობენის შეთანხმების საიდუმლო მუხლი და, აქედან გამომდინარე, ვენეციაში ფრთხილობდა. აი, გენუის რესპუბლიკაში კი, სადაც საფრანგეთის არმია ვენეციის შემდეგ შევიდა, ნაპოლეონი გაცილებით თამამად იქცეოდა – 6 ივლისს გენუაში გამოცხადდა ლიგურიის რესპუბლიკის შექმნა. სახელმწიფო მოდელად საფრანგეთის რესპუბლიკის მესამე წლის კომსტიტუცია დამტკიცდა, ორი საბჭოთი და დირექტორიით. ივნისში უკვე ტრანსპადანისა და ცისპადანის რესპუბლიკები გაერთიანდა ერთ – ციზალპიის რესპუბლიკად, რომელსაც ნაპოლეონი მომავალი ერთიანი იტალიის საფუძვლად განიხილავდა. ციზალპიის რესპუბლიკას მჭიდრო კავშირი ჰქონდა საფრანგეთთან და უკანასკნელის გავლენის ქვეშაც იმყოფებოდა. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო; თუ არა რესპუბლიკური საფრანგეთის ძლიერი არმიის მხარდაჭერა, სხვა რის იმედზე უნდა ყოფილიყო

მტრული მონარქიებით გარშემორტყმული სუსტი რესპუბლიკა? ისტორიამ შემოინახა იმ ეპოქის იტალიის ბევრი საუკეთესო შვილის მოგონებები, რომელთაც სწამდათ, რომ ნაპოლეონი იტალიის ინტერესებში მოქმედებდა. ცნობილმა იტალიელმა მათემატიკოსმა მასკერონიმ ასეთი წარწერით უძღვნა მას თავისი წიგნი: „შენ გადმოლახე ალპები... რათა გაგეთავისუფლებინა შენთვის ძვირფასი იტალია“ (20). მეცნიერის თვალში ნაპოლეონი რჩებოდა იტალიის ერთგულ შვილად, მისთვის ის ნაპოლეონე დი ბუონაპარტე იყო. რასაკვირველია, ნაპოლეონის იტალიურ პოლიტიკას საფრანგეთის ინტერესები განსაზღვრავდა. საქმე ის იყო, რომ დირექტორიასა და ნაპოლეონს სხვადასხვაგვარად წარმოედგინათ საფრანგეთის ეროვნული ინტერესები: როდესაც დირექტორია გენერლისაგან მოითხოვდა ოქროს და კიდევ ოქროს, თანაც გულზე არ ეხატებოდა იტალიის დამოუკიდებელი რესპუბლიკები, ეს იყო საფრანგეთის ინტერესების ვიწრო გაგება, ხოლო გენერალი კი გაცილებით მასშტაბურად აღიქვამდა საფრანგეთის ინტერესებს. ნაპოლეონი ეპოქის საუკეთესო შვილი იყო და მან უშეცდომოდ აუწყო ფეხი მის კეთილშობილ იდეალებს. ამაში იყო მისი ძალა. ამიტომაც იქცა შედევრად გენიალური დავითის მიერ შექმნილი ტილო – გრძელთმებგაშლილი, ფერმკრთალი, გამხდარი, აღგზნებული მზერით, ხელში სამფეროვარი დროშით, არკოლის ხიდზე წინ გაჭრილი ჭაბუკი გენერალი. იგივე შთაგონებამ მისცა სტიმული დიდ ბეთჰოვენს უკვდავი „ჰეროიკული სიმფონიის“ შესაქმნელად. გამარჯვებები და დიდება ცვლიდა ნაპოლეონსაც, ან შეიძლება ის ერთნაირი ადეკვატურობით ეგუებოდა სიტუაციებს? ლაშქრობებში ჯარისკაცებთან ერთად, ფეხით ფარავდა ათეულ კილომეტრებს, მას მუდამ ყველაზე საშიშ უბნებზე ხედავდნენ მძაფრი ბრძოლებისას, უდრტვინველად იტანდა დამქანცველი ლაშქრობების ყველა გასაჭირს და როგორც კი ცოტა ხნით შეწყდა ქვემეხების გრუხუნი და დროებითი მშვიდობა დამყარდა, ნაპოლეონი მილანში დაბრუნდა, მონბულოს დიდებულ სასახლეში დაიდო ბინა და, ოი, საოცრება! – რესპუბლიკელმა გენერალმა პატარა სამეფო კარიც კი შეიქმნა. აქ უკვე უგვირგვინო დედოფლის შარავანდედით გაბრწყინდა ჟოზე-

ფინა, რომელიც ვეღარც კი ცნობდა თავის ქმარს – როგორ არ ჰგავდა მბძანებლური იერის მჭონე ძლევამოსილი სარდალი, მის ძველ მოუხეშავ და მორცხვ თაყვანისმცემელს.



შარლ ტალეირან-პერიგორი
(1754 - 1838 წ.წ.)
საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი 1815 წ. და
საგარეო საქმეთა მინისტრი 1799-1815 წლებში

პარიზში კი კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა ვითარება; მას შემდეგ, რაც, 1797 წლის მაისის არჩევნების შემდეგ, ორივე პალატაში როიალისტები და მათი მომხრეები მოვიდნენ უმრავლესობაში (ჯერ კიდევ არ არსებობდა არჩევნების გაყალბების ტექნოლოგიები), კვლავ არასტაბილური შეიქმნა დირექტორიის მდგომარეობა. საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატამ იოლად მიაგნო დირექტორიის „აქილევსის ქუსლს" – უმრავლესობამ ხარჯების ანგარიში მოსთხოვა გაზულუქებულ დირექტორებს: სად წავიდა იტალიიდან უწყვეტ ნაკადად წამოსული მილიონები? რატომაა სახელმწიფო ხაზინა მუდამ ცარიელი? დეპუტატები აღარ მალავდნენ „მეფის მკვლელებისადმი" ზიზღს და სწრაფი ანგარიშსწორებისათვის ემზადებოდნენ ხაზინის ქურდობასთან ბრძოლის პოპულარული საბაბით. თავის მხრივ, ისეთი გამოცდილი და გაიძვერა მედროვე, როგორიც პოლ ბარასი იყო, სულაც არ აპირებდა ბრიყვი ფანატიკოსი როიალისტების შურისძიების ობიექტად ქცევას. მისი ხსნა მხოლოდ არმიას, ანუ არმიის ნდობით აღჭურვილ გენერალს თუ შეეძლო. არჩევანი, ცხადია, ნაპოლეონზე შეჩერდა და მას პარიზში დაბრუნება სთხოვეს „რესპუბლიკის გადასარჩენად". თითქოს ზუსტად გათვალა ყველაფერი ბარასმა: გადამჭრელი ზომებით ნაპოლეონი დაუყოვნებლივ დაშლიდა ორივე პალატას, მაგრამ იტალიის განმათავისუფლებელ გმირს ანტიკონსტიტუციური ძალადობა ღირსებასა და პოპულარობას არ შეამატებდა? პალატის წევრები ხომ ნებისმიერ შემთხვევაში ხალხის რჩეულები იყვნენ... საბოლოო ჯამში კი პოლიტიკური დივიდენდები მხოლოდ ბარასს დარჩებოდა. გეგმა მართლაც იმდენად უზადო იყო, რამდენადაც მზაკვრული, თუ ნაპოლეონის ადგილზე ჩვეულებრივი გმირი გენერალი იქნებოდა. ნაპოლეონი კი სამხედრო ნიჭთან ერთად, სულ უფრო და უფრო ხშირად ავლენდა ფრთხილი და შორსმჭვრეტელი დიპლომატის ჩვევებსაც. იგი მყისვე მიუხვდა ბარასს ჩანაფიქრს, ამიტომ მან მკაცრად დაგმო როიალიტთა ინტრიგები და რესპუბლიკის დაცვის მოწოდებითაც მიმართა არმიას, მაგრამ ანტიკონსტიტუციური ქმედება საკუთარ სახელს არ დაუკავშირა და პარიზში უინტრიგო სალდაფონი და პოლიტიკიდან საერთოდ შორს

მდგომი გენერალი ოჟერო გაგზავნა, რომელმაც ორივე პალატის წევრთა დიდი ნაწილი დააპატიმრა, ხოლო ბევრ დეპარტამენტში კი რიგგარეშე არჩევნები დაინიშნა.

დირექტორია გადარჩა, თუმცა მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო დაეცა. პოლ ბარასი საბოლოოდ დარწმუნდა ნაპოლეონის განეიტრალების აუცილებლობაში. ნომერ პირველი დირექტორის გეგმით, საფრანგეთის ორი სახელოვანი გენერალი – ლაზარ გოში და ნაპოლეონ ბონაპარტე უნდა დაჯახებოდნენ ერთმანეთს, რისთვისაც ორივეს ცალ-ცალკე დაევალათ ავსტრიასთან ომის განახლება, თანაც ნაპოლეონი გოშს უნდა დაქვემდებარებოდა. გაცოფებულმა ნაპოლეონმა კიდევ ერთხელ ითხოვა გადადგომა. ვენა კი, რომელიც არასოდეს არ გამოირჩეოდა საღი აზრით (ცხადია, მეტერნიხის ერის დადგომამდე), საფრანგეთში როილისტთა დროებით გამოცოცხლების ეიფორიას აჰყვა და ლეობენის ხელშეკრულების დამტკიცება გადადო. შექმნილ სიტუაციაში მარჯვე ნაპოლეონმა დიპლომატიური სვლა გააკეთა: პიემონტის მეფეს „ავსტრიასთან სავარაუდო ახალი ომის საჭიროებისათვის“ 10 ათასი ჯარისკაცი მოსთხოვა. სენსაციურმა ცნობამ ელვის სისწრაფით ჩააღწია ვენაში და იმპერატორი ფრანცი დააფრთხო. ამ დროისათვის ოჟერომაც დაასრულა თავისი დამსჯელი მისია და პარიზში სტაბილურობა აღსდგა. ნაპოლეონთან ახალი ომის პერსპექტივით შეშინებულმა იმპერატორმა კი პირადი წერილი მისწერა ნაპოლეონს (საიმპერატორო ეტიკეტის უპრეცედენტო იგნორირება!) და მოლაპარაკებების გადაუდებელი დაწყება სთხოვა. მიზანი მიღწეული იყო და ნაპოლეონიც ხალისით დათანხმდა. 27 სექტემბერს დაწყებულ მოლაპარაკებებზე ავსტრიას იმპერიის საუკეთესო დიპლომატი გრაფი ლუდვიგ კობენცლი წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მილანიდან უდინომდე, სადაც მოლაპარაკებები უნდა გამართულიყო, პატარა მანძილი იყო, ნაპოლეონმა შეგნებულად დააგვიანა და პატივს მიჩვეული ავსტრიელი დიპლომატი მთელი დღე-ღამე ალოდინა. მოლაპარაკებები რთულად წარიმართა, ვინაიდან ვენა არ აპირებდა სერიოზულ დათმობებზე წასვლას, ხოლო დირექტორია კი შეუძლებელს მოითხოვდა. ნაპოლეონმა, რომელმაც ჯერ კიდევ უდი-

ნომდე დაამტკიცა, რომ დაშნასავით მარჯვედ ფლობდა დიპლომატიურ აკრობატიკას, „სხვათა შორის“ მიანიშნა თითქმის უკვე იმედგაცრუებულ გრაფს, რომ „გარკვეულ ვითარებაში“ გამორიცხული არ იყო საფრანგეთ-ავსტრიის კავშირი პრუსიის (გერმანულ სივრცეში ავსტრიის ტრადიციული მტრის) წინააღმდეგ. ვენისათვის ეს უკვე მიმზიდველი სატყუარა იყო და მოლაპარაკებებიც სწრაფად დაიძრა მკვდარი წერტილიდან. 9 ოქტომბრისათვის თითქმის ყველა პუნქტი იყო შეთანხმებული, მაგრამ მაინცთან და რეინთან დაკავშირებით თავი მოულოდნელმა პრობლემამ იჩინა. კვლავ ჩიხში აღმოჩნდა მოლაპარაკება, მაგრამ ნაპოლეონი არ აპირებდა უკან ხელცარიელი დაბრუნებას; მან ყვირილი დაუწყო ასაკით მასზე ბევრად უფროს პარტნიორს და მაგიდაზე მდგომი ეკატერინე მეორის მიერ ავსტრიის იმპერატორისათვის საჩუქრად მირთმეული უძვირფასესი ვაზა დაანარცხა იატაკს ხმამაღალი მუქარით, რომ ასეთივე დღეს დააყრიდა ავსტრიის იმპერიასაც. შემდეგ ის ოთახიდან გავარდა. ასეთი სცენის არა თუ მომსწრე არ ყოფილა მრავლის მნახველი და მრავალი დიპლომატიური შეხვედრების მონაწილე ავსტრიელი დიპლომატი, ეს საერთოდ გაუგონარი და დაუჯერებელი რამ იყო ევროპის დიპლომატიური ქრონიკებისთვის. გაოგნებულმა და შეშინებულმა ავსტრიელმა სასწრაფოდ შეიტანა ხელშეკრულების ტექსტში ფრანგების ყველა მოთხოვნა. ვენაში დაბრუნებული და გონზე მოსული საბრალო კობენცლი, თავს იმით იმართლებდა, რომ თითქოს ნაპოლეონი მთვრალი იყო და გიჟივით იქცეოდა. მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით კი ეს იყო უმაღლეს აქტიორულ დონეზე გათამაშებული სპექტაკლი, თანაც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ნაპოლეონი არასოდეს არ ითვრებოდა. ასე თუ ისე, მიღწეული შეთანხმებით, დოკუმენტზე საბოლოო ხელმოწერების გაცვლა უნდა მომხდარიყო სოფელ კამპოფორმიოში, ორივე მხარის რეზიდენციების შუა გზაზე, მაგრამ კობენცლი ისე იყო თავზარდაცემული, რომ არ დაელოდა ნაპოლეონის ჩასვლას დათქმულ ადგილზე და თვითონ ეახლა რეზიდენციაში, სადაც 18 ოქტომბერს გაიმართა კიდეც ხელ-

მოწერის ცერემონია. ავსტრიამ რეინის მარცხენა სანაპირო და მთელი ლომბარდია დაუთმო საფრანგეთს.

პარიზში დაბრუნებული ნაპოლეონი კი უკვე რეალურად ანგარიშგასაწევი ფიგურა იყო, რომლის იგნორირებაც აღარ შეიძლებოდა. იტალიის ლაშქრობისა და ავსტრიის დამარცხების შემდეგ, დირექტორიას სხვა რაღა დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ უჩვეულო პატივით მიეღო 28 წლის გმირი. და ეს მაშინ, როდესაც მთელი ორი წლის განმავლობაში გენერლის სამხედრო, პოლიტიკური თუ დიპლომატიური გადაწყვეტილებები სისტემატურად ეწინააღმდეგებოდა დირექტორიის მითითებებსა და ბრძანებებს.

თუნდაც 1779 წლის დეკემბერი გავიხსენოთ, როდესაც დირექტორიამ კატეგორიულად აუკრძალა თავის მთავარსარდალს ზავზე ფიქრი და ვენისაკენ სვლა უბრძანა. მან კი ისე გააფორმა კამპოფორმიოს ზავი, არც კი გახსენებია დირექტორიის აკრძალვა. განრისხებულ დირექტორებს კი სურდათ არ ეცნოთ ზავი და თვითნება გენერალიც გადაეყენებინათ, მაგრამ დროზე მიხვდნენ, რომ იტალიის უძლეველი არმიის სარდალი უკვე მხოლოდ რიგითი პოპულარული სარდალი აღარ იყო. ის საფრანგეთის დიდებისა და მომავლის იმედის სიმბოლოდ ქცეულიყო. მთავარი ის იყო, რომ საკუთარ მდგომარეობასა და შესაძლებლობებს ახალგაზრდა ტრიუმფატორი უშეცდომოდ აფასებდა. ამავე დროს მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ზუსტი წარმოდგენა საკუთარ მომავალზე – ერთის მხრივ, ის ზიზღით უყურებდა დირექტორიას, ხოლო მეორეს მხრივ კი, მისთვის ჯერ კიდევ წამოუდგენელი იყო საფრანგეთისათვის ნებისმიერი სხვა პოლიტიკური წყობა, გარდა რესპუბლიკისა. ისე გამოდიოდა, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ლეგალური გზით მონაწილეობა შეუძლებელი ხდებოდა. იყო იმის მცდელობები, რომ ხუთასთა საბჭოს დადგენილებით, როგორც გამონაკლისი (ასაკის გამო), დირექტორიის წევრი გამხდარიყო, მაგრამ ბარასმა დაბლოკა ასეთი ინიციატივა. ის საყოველთაო პატივი და აღტაცება, რაც ნაპოლეონს ნამდვილად არ აკლდა, რეალურ პოლიტიკურ ძალასა და გავლენას არ შეიცავდა, თუმცა მთელი სიცოცხლე ამაყობდა იგი აკადემიის წევრობით, რო-

დესაც 25 დეკემბერს „უკვდავად“ აირჩიეს. „თავისი არჩევანით მე პატივი დამდეს გამოჩენილმა მეცნიერებმა და ვიცი, რომ დიდხანს მომიწევს მათი მოწაფეობა, სანამ მათ გავუტოლდები“ – წერდა აკადემიის პრეზიდენტს სამადლობელო წერილში (21). ნაპოლეონი აკურატულად ესწრებოდა აკადემიის ფიზიკა – მათემატიკის მეცნიერებათა სექციის სხდომებს და სიამოვნებით ესაუბრებოდა ცნობილ მათემატიკოსებს ლაგრანჟეს, ლაპლასს, მონჟს, ბერტოლეს. იგი იმხელა მნიშვნელობას ანიჭებდა აკადემიის წევრობას, რომ ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმოწერისას არ ივიწყებდა ტიტულს „აკადემიის წევრი“. ყველას სურდა სახელოვანი და უცნაური გენერლის გაცნობა და მასთან დაახლოება; უჩვეულო სიგამხდრე, მხრებზე ჩამოშლილი გრძელი თმები და რაღაც დაუოკებელი ცეცხლით ანთებული თვალები მხოლოდ ნაწილობრივ თუ ავსებდა მის პორტრეტს. თვითონ გენერალი ჯერ კიდევ გაურბოდა პარიზის მაღალ საზოგადოებას და მხოლოდ ერთი ადამიანისთვის (გარდა მეცნიერებისა) აკეთებდა გამონაკლისს, ეს პიროვნება კი მთელი მისი შემდგომი კარიერის საბედისწერო მეგზური და 1814 წლის აპრილში მისი პოლიტიკური მესაფლავე (როდესაც რუსეთის მერყევი იმპერატორი ბურბონების დაბრუნების აუცილებლობაში დააჯერა) თავადი შარლ ტალეირანი იყო. მას შემდეგ, რაც 1797 წლის დეკემბერში, პირველად შეხვდნენ ერთმანეთს გენიალური მხედარმთავარი – პოლიტიკოსი და გენიალური ინტრიგანი – დიპლომატი და ეპოქის უკანასკნელი ვოლტერიანელი, ტალეირანმა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინტუიციით იგრძნო, რომ მის წინაშე უჩვეულო მონაცემებისა და მომავლის ახალგაზრდა იდგა. არც ნაპოლეონი არ ყოფილა გამჭრიახობასა და ადამიანთა ცნობის უნარს მოკლებული და უყოყმანოდ მიიღო 1798 წლის 3 იანვარს, საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარტამენტებში მიწვევა მინისტრ ტალეირანის მიერ მის საპატივცემულოდ დანიშნულ წვეულებაზე. იმდროინდელი პარიზის მთელი მაღალი საზოგადოება ესწრებოდა იმ 500-კაციან წვეულებას. სტუმართა შორის იყო თავმოყვეთილი მეფის ლეგენდარული მინისტრის, ნეკერის ქალიშვილიც, უკვე საქვეყნოდ ცნობილი მადამ დე სტალი – ევროპის ლიტერატუ-

რული წრეების ამომავალი ვარსკვლავი. სწორედ ბარასთან მისი პროტექციის წყალობით გახდა ტალეირანი მინისტრი. მამაკაცებზე იოლ გამარჯვებებს მიჩვეულმა ქალბატონმა გმირის დატყვევებაც ისურვა და გენერალს ჯიქურ შეეკითხა მაცდუნებელი ღიმილით: წარსულის, ან თანამედროვეობის რომელ მანდილოსანს მიანიჭებდე უპირატესობასო? ვინც ყველაზე მეტი შვილი გააჩინაო, მკვახედ მიუგო ნაპოლეონმა. ძაღლის ნაკბენივით დაუმახსოვრა ეს „გაუგონარი თავხედობა“ დე სტალმა საფრანგეთის მომავალ იმპერატორს და სადაც კი შეეძლო (მას კი ბევრგან და ბევრი შეეძლო), მუდამ მის დისკრედიტაციას ცდილობდა. საინტერესოა, რომ როდესაც შემდეგ ტალეირანს ჰკითხა ნაპოლეონმა თუ ვინ იყო ეს საკუთარ თავში ასე დარწმუნებული ქალბატონიო, განმაიარაღებელი ცინიზმით სავსე პასუხი მიიღო: „ინტრიგანი, თანაც იმ დონის, რომ მხოლოდ მისი წყალობით ვარ აქაო“ (22).

დირექტორიამ, რომელსაც ერთი სული ჰქონდა პარიზიდან როგორმე მოეშორებინა, მისთვის თავის ტკივილად ქცეული, საშიში კონკურენტი, ინგლისში შესაჭრელად დაგეგმილი არმიის სარდლობა დააკისრა ნაპოლეონს. იდეა მიმზიდველი იყო, თან ნაპოლეონიც ხვდებოდა, რომ რაღაც ახალი ოპერაციით უნდა გაემყარებინა საკუთარი ავტორიტეტი, რათა დავიწყებას არ მისცემოდა მისი სახელი. პარალელურად დაიბადა ეგვიპტეში ლაშქრობის გეგმაც – ამ საოცარი გაქანების ადამიანის ფათერაკებებითა და მოულოდნელობებით აღსავსე ცხოვრების ყველაზე უცნაური, ეგზოტიკური და ძნელად ასახსნელი გადაწყვეტილება.

1798 წლის 19 მაისს დილით, ნაპოლეონი ტულონიდან ეგვიპტისკენ დაიძრა. გიგანტური მასშტაბის ექსპედიციას თან მიჰყვებოდა მეცნიერთა დიდი ჯგუფი. 2 ივლისს, ალექსანდრიის მახლობლად, საფრანგეთის არმია ეგვიპტის სანაპიროს მიადგა. ნაპოლეონმა სწრაფად და ორგანიზებულად შესძლო არმიის ნაპირზე გადასხმა. სიჩქარე კი აუცილებელი იყო, რამე თუ ფრანგულ ესკადრას ფეხდაფეხ მისდევდა სახელგანთქმული ინგლისელი ადმირალი ნელსონი.

უკვე ხმელეთზე კი ფრანგებმა კვლავ უძლეველ მეომრებად იგრძნეს თავი, რაც წარმატებით დაამტკიცეს კიდეც 1798 წლის 21 ივლისს პირამიდებთან გამართულ ბრძოლაში. აქ წარმოთქვა ნაპოლეონმა თავისი ისტორიული მოწოდება: „ჯარისკაცებო, თქვენ ორმოცი საუკუნე გიყურებთ!“. ხანმოკლე აღმოჩნდა ნაპოლეონისთვის საზეიმო განწყობილება – აბუკირის ყურეში 1 აგვისტოს ნელსონმა მიაგნო საფრანგეთის ფლოტს და გაანადგურა. მართალია, აბუკირთან კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება ჩაიწერა აქტივში ნელსონმა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც ბრძოლის შემდეგ გაირკვა, ფრანგ ადმირალ ვილნევის „ხელშეწყობით“: თვით ინგლისელმა მეზღვაურებმაც კი აღიარეს, რომ ვილნევს სულ ცოტა სამჯერ შეეძლო ფრანგებისათვის გამარჯვების მოტანა – ბრძოლის პირველ საღამოს, ღამით და განთიადისას. ამისათვის კი საკმარისი იქნებოდა, რომ ადმირალი დროულად მიშველებოდა თავის თანამებრძოლებს. როგორც შემდგომში თავს იმართლებდა ვილნევი, იგი ესკადრის მეთაურის ნიშანს ელოდა, რომელიც კვამლის გამო ვერ შენიშნა. საოცარი დამთხვევა: გავა 16 წელი და ასევე საბედისწერო აღმოჩნდება საფრანგეთის არმიისათვის გენერალ გრუშის დაგვიანება ვატერლოოს ტრაგედიის გადამწყვეტ მომენტში – საკმარისი იქნებოდა გრუშის ზუსტად შეესრულებინა იმპერატორის ბრძანება და სულ სხვა შედეგით დამთავრდებოდა ვატერლოო. აბუკირის დამარცხებამ საგრძნობლად გაართულა ფრანგების მდგომარეობა ეგვიპტეში, რასაც ოქტომბერში ქაიროს მოსახლეობის აჯანყება მოჰყვა.

ისტორიამ შემოინახა საინტერესო მომენტი, როდესაც ნაპოლეონმა კიდევ ერთხელ გამოავლინა პრაგმატული მმართველის ნიჭი: აჯანყების ჩახშობის შემდეგ მან თავისთან მიიწვია აჯანყებულთა ლიდერი და იდეოლოგი, გავლენიანი შეიხი სადა. ნაპოლეონისა და შეიხის საუბარს შეესწრო გენერალი კლებერი, რომელიც სტუმრის ვინაობით დაინტერესდა და როდესაც ნაპოლეონმა მშვიდი ტონით უთხრა – „ეს აჯანყების ბელადიაო“, უსაზღვრო იყო კლებერის გაოცება: „და თქვენ არ გასცემთ მისი დახვრეტის ბრძანებას?“ – ემოციები ვერ დამალა კლებერმა. „არა,– ისევე მშვიდად უპასუხა ნაპოლეონმა, –

ეს ხალხი ძალზე შორს დგას ჩვენგან და ჩვენი ჩვევებიდან. მე მირჩევნია, რომ ამათ ასეთი ბელადები ჰყავდეთ, რომლებსაც ცხენზე ჯდომა და ხმლის ხმარება აღარ შეუძლიად, ვიდრე ისეთები, როგორნიც არიან მამლუქები – მურად-ბეი და ოსმან-ბეი. არანაირ სარგებლობას არ მოგვიტანს ამ უძლური ბერიკაცის სიკვდილი, ხოლო შედეგი კი, თქვენ რომ ფიქრობთ, იმაზე მეტად დამღუპველი იქნება“ (23).

სანამ ნაპოლეონი გარდამავალი უპირატესობით იბრძოდა ეგვიპტეში, ევროპაში საფრანგეთისათვის მოვლენები დრამატულად ვითარდებოდა: რუსეთისა და ავსტრიის ჯარებმა დუნაიზე გაანადგურეს ჟურდანის, ხოლო იტალიაში – შერერის არმიები. ლიკვიდირებული იყო იყო ციზალპიის რესპუბლიკა, კაზაკებმა ალპებს მიაღწიეს, მასენა კი რის ვაი-ვაგლახით იცავდა თავს შვეიცარიის მთებში. ეს ყველაფერი და კიდევ სხვა შემაშფოთებელი ამბები აბუკირის ბრძოლის შემდეგ გახდა ცნობილი ნაპოლეონისთვის, როდესაც თურქეთის არმიაში მივლინებულმა ინგლისელმა ოფიცრებმა, ჯენტლმენურად გადასცეს მას ევროპული გაზეთები. პარიზელები იტალიის არმიის დაბრუნებას ითხოვდნენ და ნაპოლეონიც საფრანგეთში დაბრუნების სამზადისს შეუდგა. საფრანგეთში ბრუნდებოდა მეცნიერთა ჯგუფიც უმდიდრესი „ნადავლით“– ევროპისთვის ცნობილი ხდებოდა ზემო და ქვემო ეგვიპტის უძველესი ძეგლების დეტალური აღწერები და ჩანახატები, სხვა უამრავი პირველწყაროები. არმიის სარდლად ნაპოლეონი თავდაპირველად გენერალ დეზეს დატოვებას ვარაუდობდა, მაგრამ გადაიფიქრა და არჩევანი გენერალ კლებერზე შეაჩერა. მთავარსარდლის ეს გადაწყვეტილება სასიკვდილო განაჩენად იქცა ორივე ბრწყინვალე სამხედროსათვის: დეზემ კი მოუტანა გამარჯვება ნაპოლეონს მარენგოს თითქმის უკვე წაგებულ ბრძილაში, მაგრამ საკუთარი სიცოცხლის ფასად, ხოლო კლებერი კი, ეგვიპტიდან ნაპოლეონის გამგზავრების შემდეგ, ქაიროს ქუჩაში მოკლეს მიპარვით.

მართალია, სირიის ლაშქრობისა და XIII საუკუნის ციხე-სიმაგრე სენ-ჟან დ’აკრთან განცდილი კატასტროფის შემდეგ, რამდენიმე გამარჯვებით ნაპოლეონმა შესძლო წესრიგის აღდგენა როგორც არმიაში, ასევე ეგვიპტის მმართველობის სისტემაში, მაგრამ ახალი სა-

ფრთხის წინაშე აღმოჩნდა – თუ დროზე არ გაასწრებდა, ეგვიპტის სანაპიროებიდან დროებით წასული ადმირალი ნელსონი კვლავ გადაუკეტავდა საფრანგეთისაკენ მიმავალ გზას. ამ პერიოდისათვის უკვე მყარად იყო ქცეული რისკი ნაპოლეონის ცხოვრების წესად, მით უმეტეს როცა სხვა გამოსავალი არც არსებობდა. მანაც გარისკა და გაუმართლა. 1799 წლის 25 ოქტომბერს ის უკვე პარიზში იყო. ორი კვირის შემდეგ კი, 9 ნოემბერს, (18 ბრიუმერს), დირექტორია საფრანგეთის ისტორიის საკუთრებად იქცა. რესპუბლიკის პირველი კონსული ნაპოლეონი კი – ფაქტიურ დიქტატორად. ნაპოლეონმა უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ ყველაფერთან ერთად ის შესანიშნავი დიპლომატიც იყო. სახელმწიფო გადატრიალების ფორსირებული ტემპებით სამზადისის დღეებში, მისი მთავარი ფიგურანტი თითქოს სულ სხვა რამეებით იყო დაკავებული: ყოველდღე დადიოდა აკადემიის სხდომებზე, დაწვრილებით ანგარიშს აბარებდა „კოლეგებს“ ეგვიპტის ექსპედიციის მეცნიერულ შედეგებზე. მას იმდენი თავისუფალი დროც კი აღმოაჩნდა, რომ მთელი საღამო დაჰყო განმანათლებლების ეპოქის ერთ-ერთი ცნობილი ფილოსოფოსის ღრმად მოხუცებულ მემკვიდრესთან.

18 ბრიუმერის გადატრიალებამ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა: სამი კონსული – ნაპოლეონ ბონაპარტე, როჟე დუკო და ემანუელ სიეიესი – თანაბარნი იყვნენ ყველაფერში და რიგ-რიგობით ხელმძღვანელობდნენ სხდომებს. სამი ხელმოწერით ფორმდებოდა ყველა დოკუმენტი. საფრანგეთში თითქოს შიდა სტაბილურობამ დაისადგურა. ასე იწურებოდა საუკუნის უკანასკნელი წელი. სირიაში განცდილი მარცხის შემდეგ ნაპოლეონი კიდევ უფრო ფრთხილი, თავშეკავებული რეალისტი გახდა. როდესაც სადისტმა ფუშემ, ახალი ხელისუფლების საამებლად, ოპერატიულად დააპატიმრა გადატრიალების ყველა მოწინააღმდეგე, ნაპოლეონის ინიციატივით ყველა დაპატიმრებული განთავისუფლდა და დამატებით, ყველა ადრე მიღებული რეპრესიული კანონიც გაუქმდა. პარიზში დაბრუნდა დირექტორიის მიერ დევნილი ლაზარ კარნოც, რომელსაც ნაპოლეონმა სამხედრო

მინისტრის პოსტი შესთავაზა. მისივე წინადადებით, ინვალიდ ჯარისკაცებს გადაეცა „მეფე-მზის“ ზღაპრული სასახლე ვერსალი.

კაბინეტის დაკომპლექტების შემდეგ, დღის წესრიგში მთელი სიგრძე-სიგანით დადგა ახალი კონსტიტუციისა და პირველობის საკითხი. თუ როგორ ესახებოდა ნაპოლეონს საკუთარი ადგილი პოლიტიკურ ძალთა ახალ თანაფარდობაში, ამაზე სრულ წარმოდგენას გვაძლევს ერთი კონკრეტული შემთხვევა, რომლის ნამდვილობა სხვადასხვა წყაროებით მტკიცდება: კონსულატის ერთ-ერთი სხდომის დამთავრების შემდეგ, სიეიესმა საიდუმლოდ აცნობა ნაპოლეონს, რომ თავის დროზე დირექტორებმა 800 ათასი ფრანკი გადამალეს „შავი დღისთვის“. „რა ვუყოთ ამ ფულს?“ – შეეკითხა იგი გენერალს. უკანასკნელმა კი დიდი ფიქრის გარეშე უპასუხა: „თუ ეს მე მეცოდინება, თანხა სახელმწიფო ხაზინაში წავა, ხოლო თუ არ მეცოდინება – ჯერჯერობით კი მე ეს არ ვიცი – იგი თქვენ და დუკომ შეგიძლიათ გაიყოთ. იჩქარეთ, ხვალ გვიან იქნება“ (24). ნათელი იყო, რომ მთელ საფრანგეთზე მეოცნებე კონსული, ცბიერი აბატის (სიეიესი აბატი იყო) პარტნიორი არ გახდებოდა სახელმწიფო ხაზინის ქურდობაში. რაც შეეხებოდა ახალ კონტიტუციას, წინა კონსტიტუციებისაგან განსხვავებით (1791, 1793 და 1795 წლების), აქ აღარ იყო ნახსენები აღარც ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და საერთოდ აღარანაირი უფლებები. კონსტიტუცია, რომელიც ნაპოლეონის კარნახით დაიწერა, („მოკლედ და გაუგებრად“, როგორც თვითონ განაცხადა) მთელ ხელისუფლებას გადასცემდა პირველ კონსულს – მოქალაქე ნაპოლეონ ბონაპარტეს. „ამ ადამიანმა ყველაფერი იცის, ყველაფერი სურს და ყველაფერი შეუძლია“! – ასეთი იყო საკუთარ გათვლებში მწარედ შემცდარ აბატ სიეიესის სევდიანი დასკვნა.

1799 წლის 15 დეკემბერს გამოქვეყნებული კონსტიტუციით საფრანგეთში ფაქტიური დიქტატურა მყარდებოდა. რაც შეეხება რევოლუციის შედეგად მოპოვებულ თავისუფლებას, პირველი დარტყმის სამიზნედ იქცა ქვეყანაში ყველაზე დიდი აუდიტორიის „მესაკუთრე“ – პრესა: 1800 წლის 17 იანვრის დეკრეტით, პარიზის 173 გაზეთიდან 160 აიკრძალა. დარჩენილი ცამეტის ბედი კი დამოკიდებული იყო

ქვეყნის მთავარ ინკვიზიტორზე, შინაგან საქმეთა მინისტრ ჟოზეფ ფუშეზე, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ახალი საუკუნის დადგომა მხოლოდ სიტყვის თავისუფლების აკრძალვით არ აღნიშნულა საფრანგეთში: 1800 წლის 6 იანვარს დაარსდა დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი საფრანგეთის ბანკი.

აბსოლუტური ხელისუფლების დაუფლებიდან ორი თვის შემდეგ, პირველმა კონსულმა საგარეო პოლიტიკისთვისაც მოიცალა: უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო ავსტრიის ფრონტზე რევანში, თანაც სწრაფი, ხანმოკლე და ეფექტიანი სამხედრო კამპანიით. ნაპოლეონმა ბრწყინვალედ გადაჭრა ეს რთული ამოცანა: შეძლო რამდენიმე ქვეყნის (ინგლისის, ავსტრიის, პრუსიის, რუსეთის) დაზვერვის მოტყუება თითქოს დიჟონში იქმნებოდა ახალი, ე.წ. „სარეზერვო არმია“, ავსტრიასთან საომრად, სინამდვილეში კი სხვადასხვა ადგილას თავმოყრილი რაზმები, ყველასათვის მოულოდნელად გააერთიანა ალპების მისადგომთან. სენ-ბერნარის და სენ-გოტარდის უღელტეხილების გადალახვით, ნაპოლეონმა კიდევ ერთი ფურცელი ჩაწერა ძნელად დასაჯერებელ, მაგრამ რეალობად ქცეულ გამარჯვებების ქრონიკებში. მართლაც წარმოუდგენლად გამოიყურებოდა 3 ათას მეტრზე მაღალ, უაღრესად რთულ რელიეფიან მთიან მასივზე გადასვლა, თანაც მძიმე არტილერიით. „ეს გზა განვლო თავის დროზე დიდმა ჰანიბალმაო“ – ამხნევებდა ჯარისკაცებს ნაპოლეონი, რაზეც პასუხად ესმოდა – „მხოლოდ ამდენ ქვემეხს არ მიათრევდაო“. თოვლსა და ყინვაზე, ხან ფეხით, ხან ჯორზე ამხედრებული სარდალი წინ მიუძღვოდა არმიას და როგორც ყოველთვის, პირადი მაგალითით ჰმატებდა ძალას. მაისის დამლევს, მიუვალი და მიუდგომელი მთებიდან ზვავით დაშვებული არმია ლომბარდიაში შეიჭრა – სწორედ იქ, სადაც ყველაზე ნაკლებ ელოდა მას ავსტრიელთა მთავარსარდალი მელასი. 2 ივნისს ბონაპარტე უკვე მილანში იყო, თუმცა ორი დღის შემდეგ გენუაში ხანგრძლივ ალყაში მყოფი ფრანგული გარნიზონი ავსტრიელებს დანებდა.

მილანში კი თითქოს დრო უკან დაბრუნდა – ისევე, როგორც ოთხი წლის წინ, ახალგაზრდა პირველ კონსულს და მის ახალგაზრდა

გენერლებს, რომელთა სახელებიც უკვე მთელ ევროპაში ჰქუხდა, ყველგან თან ახლდა მილანელების დემონსტრაციული კეთილგანწყობა. 10 ივნისს 8 ათასი ჯარისკაცით ნაპოლეონმა სასტიკად დაამარცხა ავსტრიელთა 20 ათასიანი არმია. ფრანგებისათვის იტალიის პირველი კამპანიის ტრიუმფი მეორდებოდა. გადამწყვეტი ბრძოლა 14 აგვისტოს, სოფელ მარენგოსთან გაიმართა. 23 ათასი ფრანგის პირისპირ ავსტრიელთა 45 ათასიანი არმია იდგა. ავსტრიელთა მხარეზე იყო არტილერიის აბსოლუტური უპირატესობა, რამაც თითქმის გადაწყვიტა ბრძოლის ბედი – უკვე დილის ათი საათისთვის ეჭვს არ იწვევდა ავსტრიელთა სრული გამარჯვება. დღის სამი საათისთვის ბრძოლა წაგებული იყო და ავსტრიელი კურიერები ვენისაკენ მიჰქროდნენ გამარჯვების ცნობით. კანონადა ორივე მხრიდან იყო ჩამცხრალი, როდესაც მაშველი დივიზიით გამოჩნდა გენერალი დეზე. წინა დღით იგი შეცდომით გაგზავნა ნაპოლეონმა სხვა მიმართულებით ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. გამარჯვებაში დარწმუნებულმა ავსტრიელებმა ვერ გაუძლეს ფრანგების გააფთრებულ შეტევას და გაიქცნენ. მარენგო აუსტერლიცთან ერთად იქცა მსოფლიო სამხედრო ხელოვნების კლასიკად, თუმცა ნაპოლეონს და ფრანგულ არმიას ძვირად დაუჯდა გამარჯვება: შეტევის დასაწყისშივე იმსხვერპლა ბრმა ტყვიამ გენერალი დეზე, როდესაც ის წინ მიუძღოდა თავის დივიზიას. ახალგაზრდა თაობის გენერალთა შორის დეზე ითვლებოდა ყველაზე ნიჭიერად. ის მაშინ ოცდათერთმეტი წლის იყო. სიკვდილის წინა დღეს ნაპოლეონმა მას სამხედრო მინისტრის პოსტი შესთავაზა. „მე ღრმა მწუხარებით განვიცდი ადამიანის სიკვდილს, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარდა და პატივს ვცემდი“ – წერდა იგი (25). მარენგოს გამარჯვებას ისეთი პანიკა მოჰყვა საფრანგეთის მტრების ბანაკში, რომ საქმე კურიოზებამდეც კი მივიდა: ნეაპოლში ინგლისის კონსულმა რამდენიმე დღის წინ ცოლად მოყვანილი ახალგაზრდა ლამაზმანი მიატოვა და ქალაქიდან გაიქცა (26).

პირველ კონსულს კი მარენგოსთან გამარჯვებამ ხელ-ფეხი დიპლომატიური ინიციატივებისათვის გაუხსნა – იგი რომის პაპს 1800 წლის ივნისში საფრანგეთში კათოლიციზმის აღდგენას სთავაზობს.

17 ივლისს ხელმოწერილი იქნა კონკორდატი. მოგვიანებით, უკვე წმინდა ელენეს კუნძულზე, ნაპოლეონმა გულწრფელად აღიარა, რომ ეს მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. ამიერიდან ის საკუთარ ინტერესებში იყენებდა კულტის მსახურთა მთელ არმიას, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი ინახავდა.1801 წლის 9 თებერვალს კი, ლუნევილში, ხელი მოწერა ზავს ავსტრიასთან. საფრანგეთის მმართველობაში გადადიოდა ბელგია და რეინის მარცხენა ნაპირი. გარდა ამისა, ავსტრია კარგავდა ვენეციის საფლობელოთა ნაწილს. ერთი წლის შემდეგ ციზალპიის რესპუბლიკა იტალიის რესპუბლიკად გამოცხადდა, ნაპოლეონი კი მის პრეზიდენტად. ამავე პერიოდში იწყებს იგი ფართომასშტაბიან დიპლომატიურ მანევრს რუსეთთან შესარიგებლად – სამშობლოში ბრუნდებიან 1799 წლის კამპანიის დროს დატყვევებული რუსი ჯარისკაცები. ნაპოლეონი ოსტატურად იყენებს ინგლისელების მიერ მალტის დაპყრობას და ცდილობს კიდევ უფრო გააღრმავოს ინგლისსა და რუსეთს შორის არსებული უთანხმოება. იმპერატორი პავლე I თავადაც მზადაა საფრანგეთთან კავშირისათვის, მაგრამ პეტერბურგის საზოგადოებრივი აზრი და მეფის უახლოესი გარემოცვა, რესპუბლიკურ საფრანგეთთან დამეგობრების კატეგორიული წინააღმდეგია. თანაც ეს ის დროა, როცა საფრანგეთის ტახტის პრეტენდენტი, მომავალი ლუდოვიკო XVIII, მთელი თავისი მრავალრიცხოვანი ამალით, მიტავაში ცხოვრობს რუსეთის იმპერიის ხარჯზე. ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ იმპერატორი პავლე მაინც ღებულობს საფრანგეთთან დაახლოების გადაწყვეტილებას. ლუდოვიკოს უცერემონიოთ სთხოვენ დატოვოს რუსეთის ტერიტორია. ელასტიური და კომპრომისული ტაქტიკით, ნაპოლეონი მიზანდასახულად მიიწევს სტრატეგიული მიზნისაკენ – რუსეთთან მყარი და ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობისაკენ. „საფრანგეთს მხოლოდ რუსეთი შეიძლება ჰყავდეს მეგობრად“ – ხშირად იმეორებს იგი ახლობლებთან საუბრებში. და მართლაც, ევროპის წამყვანი სახელმწიფოებიდან, მხოლოდ რუსეთისა და საფრანგეთის ინტერესები არ იკვეთებოდა მსოფლიოს არცერთ კუთხეში. მხოლოდ უილიამ პიტ-უმცროსის (ბრიტანეთის პრემიერის) ჯადოქრულად ეფექტურ

ინტრიგებს თუ შეეძლო სამკვდრო-სასიცოცხლო მტრებად ექცია ბუნებრივ მოკავშირეებად გაჩენილი ეს ორი ქვეყანა.

როგორც ჩანს, რუსეთის ექსცენტრიულ იმპერატორსაც ყელში ამოუვიდა „ვერაგი ალბიონის“ ეგოიზმი და იგი მეგობრულ წერილს სწერს პირველ კონსულს ორი ქვეყნის ინტერესთა თანხვედრაზე. პეტერბურგიდან დემონსტრაციულად აძევებენ უზომოდ ცნობისმოყვარე ინგლისის ელჩ უოტვორტს, ხოლო გენერალ ვასილი ორლოვის კაზაკები კი ინდოეთს უახლოვდებოდნენ. რუსეთის მიმართულების კრახმა ლონდონში უილიამ პიტ-უმცროსის კაბინეტის დაცემა გამოიწვია და ამ მომენტში, როდესაც ნაპოლეონი სულ უფრო და უფრო იმედის მომცემ ინფორმაციებს ელოდება პეტერბურგიდან, 11 მარტს ღამით, მიხეილის სასახლეში, იმპერატორ პავლეს თავის საძინებელ ოთახში ახრჩობენ. სიკვდილის ოფიციალური მიზეზის – აპოპლექსიის – რატომღაც არავის სჯერა. მალევე ხდება საყოველთაოდ ცნობილი მკვლელების სახელები: გრაფი პეტრე პალენი, გენერალი ლეონტი ბენინგსენი, ნიკიტა პანინი, ნიკოლოზ ზუბოვი. საფუძვლიანი ეჭვია, რომ შეთქმულების შესახებ საქმის კურსში იყო ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე (შემდეგში ალექსანდრე პირველად წოდებული). ნაპოლეონი ერთი წუთითაც არ დაეჭვებულა მკვლელობის რეალური ორგანიზატორის ვინაობაში: ლონდონის კაბინეტი, პირადად კი განსვენებული იმპერატორის მიერ არც თუ უსაფუძვლოდ ათვალწუნებული უოტვორტი.

რუსეთის ერთმმართველის შეცვლამ ადეკვატური რეაგირება მოითხოვა საფრანგეთის ერთმმართველის მხრიდან. ნაპოლეონისათვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა ძალთა ახალ თანაფარდობაში გარკვევა; მისთვის დღესავით ნათელი იყო უსიამოვნო ფაქტი: რუსეთი მისი მთავარი მტრის – ინგლისის მოკავშირე და მისი მოწინააღმდეგე ხდებოდა, რისი დაშვებაც ნაპოლეონს არ სურდა. თავისი კარიერის ნებისმიერ ეტაპზე, ერთნაირი მონდომებით ცდილობდა იგი რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებასა და შენარჩუნებას. ამავე დროს მას ჩვევად არ ჰქონდა ილუზიების ტყვეობაში ყოფნა და იმასაც აცნობიერებდა, რომ ლონდონი ყველაფერს გააკეთებდა,

რათა საკუთარ ბანაკში ჰყოლოდა რუსეთი. მიუხედავად ახალი საგარეო-პოლიტიკური რეალობისა, რაც მისგან დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა, პირველი კონსული წუთითაც არ ივიწყებდა ქვეყნის საშინაო პრობლემებს – 1800 წლის აგვისტოში დაარსდა სამოქალაქო კოდექსზე მომუშავე კომისია. ვინაიდან ნაპოლეონი ორგანულად ვერ იტანდა დიდ კომისიებს, მან სულ ოთხი წევრით დააკომპლექტა იგი, თუმცა ოთხივე, დარგის უმაღლესი დონის სპეციალისტი იყო. კოდექსმა შემდეგ „ნაპოლეონის კოდექსის“ სახელწოდება მიიღო და 1802 წელს სპეციალური დეკრეტით იქნა აღიარებული. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ის მხოლოდ „სამოქალაქო კოდექსის“ სახელითაა ცნობილი, ოფიციალურად არ გაუქმებულა. რევოლუციის მიზეზად ნაპოლეონს თავისუფლებისაკენ ლტოლვა კი არა, არამედ თანასწორობის სურვილი მიაჩნდა, ანუ კანონით დაცული, ყველასათვის ერთნაირი სამოქალაქო უფლებები. ამიტომაც კოდექსში აქცენტი გადატანილი იყო უნივერსალურ სამოქალაქო უფლებებზე. „თავისუფლება მხოლოდ საბაბი იყო“ – იმეორებდა იგი რევოლუციასთან მიმართებაში. ჯერ დასრულებული არ იყო გიგანტური მასშტაბის საკანონმდებლო საქმიანობა, რომ 1803 წლის მარტში ნაპოლეონი იძულებული გახდა ახალ კოალიციასთან ომში ჩართულიყო. ამ პერიოდში საფრანგეთი აკონტროლებდა იტალიის უდიდეს ნაწილს, დასავლეთ გერმანიის ბევრ ქალაქსა და ტერიტორიას, ბელგიასა და ჰოლანდიას. მისთვის სიახლეს არ წარმოადგენდა კოალიციებთან ბრძოლა, მთელი სიცოცხლე ებრძოდა ეკონომიკურად ჩამორჩენილ ფეოდალურ მონარქიებს, რომელთაც სათავეში, ეკონომიკურად მოწინავე, ევროპის უძლიერესი კაპიტალისტური ბრიტანეთის იმპერია ედგა. ურთიერთობათა გაწყვეტასა და ომს წინ უსწრებდა დიპლომატიური ფარიკაობა. როცა საჭირო იყო, ნაპოლეონს შეეძლო ბრწყინვალედ გაეთამაშებინა უზომო განრისხების, წონასწორობის დაკარგვისა და პარტნიორისათვის თავზარდამცემი გაცოფების სცენები. აქ მან ბევრი რამ ისწავლა მისი თანამედროვე, გენიალური ტრაგიკოს მსახიობ ტალმასაგან, ზოგ რამეს კი იქით ასწავლიდა – „ტალმა, მოდით ხოლმე ხანდახან ჩემთან სასახლეში“ – ურჩევდა იგი სახელგანთქმულ მსა-

ხიობს – „იქ თქვენ ნახავთ პრინცესებს, რომლებმაც შეყვარებულები დაკარგეს; მეფეებს, რომლებმაც სამეფოები დაკარგეს; ყოფილ ხელმწიფეებს, ომმა რომ წაართვად მაღალი წოდებები; ცნობილ გენერლებს, გვირგვინებს რომ მთხოვენ. ჩემს ირგვლივაა მოტყუებული პატივმოყვარეობა, ცხარე შეჯიბრი... ჩემს ირგვლივაა კატასტროფები, სულის სიღრმეში ჩამალული სევდა და გარედ ამობეთქილი უბედურება. რასაკვირველია, ყველაფერი ეს ტრაგედიაა. ტრაგედიითაა სავსე ჩემი სასახლე და მე თვითონ, რასაკვირველია ჩვენი დროის ყველაზე მეტად ტრაგიკული პირი ვარ. მერე რა, განა ჩვენ ხელებს ვწევთ მაღლა? ჩვენ ისევე ბუნებრივად ვსაუბრობთ, როგორც ვნებით ან ინტერესით აღფრთოვანებული ადამიანი. ასე იქცეოდნენ ისინიც, ვისაც ჩემამდე ეკავა მსოფლიო სცენა და ტრაგედიას თამაშობდნენ ტახტზე. აი, მაგალითები, რომელზეც ღირს დაფიქრება“ (27).

ინგლისში კი შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს საფრანგეთის მოვლენებსა და განსაკუთრებით პირველი კონსულის ენერგიულ სამზადისს ბულონის ბანაკში. ნაპოლეონმა სერიოზულად გადაწყვიტა კუნძულის დაპყრობა და ბულონში შეუდგა სათანადო სამზადისს. „სამი ნისლიანი დღე და ლონდონი, პარლამენტი და ინგლისის ბანკი ჩემი იქნება“ – მისი ეს სიტყვები უსაფუძვლო ტრაბახი არ იყო; ლონდონში სერიოზულად შიშობდნენ, რომ ადამიანისთვის, რომელმაც შესძლო თითქმის თვენახევარი ისე ეცურა უდიდესი არმადით ხმელთაშუა ზღვაში, თანაც გზა-გზა მალტაც დაეპყრო, რომ გამოცდილმა „ზღვის მგელმა“, ადმირალმა ნელსონმა მის კვალსაც ვერ მიაგნო, მცნება „შეუძლებელი“ მართლაც არ არსებობდა თანაც, ინგლისის სანაპიროებისაგან განსხვავებით, ხმელთაშუა ზღვაში ნისლი ხომ უჩვეულო მოვლენაა. გასაჭირის ჟამს, 1803 წელს ინგლისის ხელისუფლების სათავეში უილიამ პიტი – უმცროსი დაბრუნდა, მას ფრანგებთან ბრძოლის 8-წლიანი გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი. თავისი ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერის მანძილზე, მის მთავარ საზრუნავად საფრანგეთის წინააღმდეგ კოალიციების შექმნა იქცა. ჯერ კიდევ საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე ცდილობდა იგი რუსეთთან

შეთანხმებას საფრანგეთთან საომრად, მაგრამ ეკატერინეს თურქეთთან და არა საფრანგეთთან ომებში სჭირდებოდა მოკავშირე.

1786 წელს პიტმა მაინც შესძლო საფრანგეთის წინააღმდეგ პრუსიასთან სამხედრო კავშირის გაფორმება. უილიამ პიტის დიპლომატიური ხელწერა იყო პროვოკაციები, შანტაჟი, მოსყიდვა, მოკავშირეებისაგან რაც შეიძლება მეტის მიღება და რაც შეიძლება ნაკლების გაცემა. როდესაც მას არ გამოუვიდა რუსეთთან კავშირი, უკანასკნელს თურქეთი და შვედეთი აუმხედრა. 1787 წელს პიტმა მოახერხა ინგლისისათვის ძალზედ ხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკრულების დადება საფრანგეთთან მიუხედავად ოპოზიციის წინააღმდეგობისა ქვეყანას რაიმე კავშირი ჰქონოდა ისეთ „მემკვიდრეობით“ მტერთან, როგორიც საფრანგეთი იყო. აქვე უნდა ითქვას, რომ მამამისისაგან (პიტი – უფროსისაგან) განსხვავებით, ის სულაც არ გრძნობდა ბრმა სიძულვილს საფრანგეთისა და ფრანგებისადმი. როდესაც პარლამენტის სხდომაზე, ოპოზიციამ იგი მამის ხსოვნისადმი უპატივცემულობაში დაადანაშაულა, მან მშვიდად უპასუხა: „სისულელე და სიბრიყვე იქნებოდა გვეფიქრა, რომ ერთი ერი მუდამ შეიძლება იყოს მეორე ერის მტერი“. ისევე როგორც ასი წლის წინ ვილჰელმ ორანელის, პიტის ანტიფრანგული პოლიტიკაც გარემოებით იყო გამოწვეული და თუ არა მთელ ევროპაზე ბატონობის ნაპოლონის ამბიციები, მას არაფერი ექნებოდა საფრანგეთთან მეგობრობის საწინააღმდეგო. როგორც კი 1794 წლის პირველ თებერვალს, რევოლუციური საფრანგეთის კონვენტმა ომი გამოუცხადა ინგლისს, პიტიც ჩვეული ენერგიითა და დიპლომატიური ნიჭით შეუდგა საფრანგეთთან საომრად მეორე კოალიციის ფორმირებას. ამჯერად მან უკვე რუსეთის ჩართვაც მოახერხა, პრუსიასთან, სარდინიასა ნეაპოლთან ერთად. კოალიციის ყოველი წევრი გულუხვ სუბსიდიებს ღებულობდა ლონდონიდან. ასე, რომ ბრიტანეთის ოქრო და ფლოტი იქცა საფრანგეთის სერიოზულ მოწინააღმდეგედ. 1794 წლის კოალიციაში უკვე მონაწილეობდა ინგლისი, ავსტრია, პრუსია, რუსეთი, ესპანეთი, ჰოლანდია, სარდინია, პიემონტი, ნეაპოლი და რამდენიმე გერმანული სამთავრო. როდესაც 1796 წლის შემოდგომისათვის, ორივე მხარეს გაუჭირდა ომის ტვირ-

თის ზიდვა, დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები, თუმცა ლონდონშიც და პარიზშიც კარგად ესმოდად, რომ მყარი ზავი შეუძლებელი იყო ფუნდამენტური ხასიათის წინააღმდეგობათა გამო. როდესაც 1798 წელს, ნაპოლეონმა საფრანგეთისათვის „ბუნერივი საზღვრების შენარჩუნების“ პირობით შესთავაზა ლონდონს დაზავება, პიტმა მას პარლამენტში წარმოთქმული შთამბეჭდავი სიტყვით გასცა პასუხი – „რატომ უარვყობ მე მშვიდობას ხელახლა? იმიტომ, რომ იგი არასაიმედო და სახიფათოა. იმიტომ, რომ იგი არ შეიძლება დამყარდეს“. ორმოცი საუკუნის წინ წარმოთქმული ციცერონის ეს სიტყვები ზუსტად ასახავდა XVIII საუკუნის დასასრულის რეალურ ვითარებას; ნაპოლეონს მხოლოდ კოალიციის დაშლა სურდა და მანაც იცოდა, რომ მყარი და საიმედო მშვიდობა უკვე შეუძლებელი იყო მის თანამედროვე ევროპაში. არც ინგლისში იყო სიმშვიდე: მეფე გეორგის, რომლის ფსიქიკური მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა, გაუაზრებელმა რეპრესიებმა ირლანდიაში, საქმე აჯანყებამდე მიიყვანა, რაც 1798 წელს დაიწყო კიდეც. პიტმა ისიც იცოდა, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლ კუნძულზე აქტიურად მუშაობდა საფრანგეთის დაზვერვა. ფრანგებს კარგა ხნის წინ ჰქონდად დამყარებული მჭიდრო კავშირი ირლანდიელ პატრიოტებთან. აჯანყება პიტმა განსაკუთრებული სისასტიკით ჩაახშო, რაც დამახასიათებელი იყო ბრიტანული კოლონიური მმართველობისათვის (გავიხსენოთ სიპაების აჯანყება ინდოეთში). ამავე დროს პიტი შეეცადა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აემუშავებინა ირლანდიასთან ურთიერთობაში. ხელშეკრულება მოიწონა ინგლისის პარლამენტმა, მაგრამ ჩააგდო ირლანდიისამ. სამაგიეროდ, პიტმა ირლანდიის პოლიტიკური ელიტა მოისყიდა და მოჯანყე კუნძულთან უნიის გაფორმება შესძლო. პიტმა ისიც კი დააპირა, რომ პროტესტანტებთან უფლებებში გაეთანაბრებინა კათოლიკეები, მაგრამ ეს იდეა საზოგადოებრივმა აზრმა დაუბლოკა. კათოლიკეთა პათოლოგიური მტერი იყო მეფე გეორგ III, რომელსაც კათოლიკეები, არა მხოლოდ სახელმწიფო რელიგიის, არამედ ქვეყნის სახელმწიფო წყობის მტრებადაც მიაჩნდა.

საინტერესო ფაქტია, რომ მიუხედავად უილიამ პიტისადმი მეფის პიროვნული ანტაგონიზმისა, პრემიერმა მეხუთედ აიძულა პარლამენტი მეფისათვის დამატებითი, კანონით გაუთვალისწინებელი ფული გამოეყო, რაც აღვირახსნილი პრინციპების გასაფლანგავი უნდა გამხდარიყო. იცოდა რა პარლამენტის განწყობა ხსენებულ საკითხთან და რაც მთავარი იყო, საფრანგეთთან დაზავებასთან დაკავშირებით (პარლამენტი საფრანგეთთან ზავს ითხოვდა), პიტმა მიზანშეწონილად ჩათვალა გადამდგარიყო. 1802 წელს ინგლისსა და საფრანგეთს შორის ამიენის ხელშეკრულება დაიდო, რომელმაც მხოლოდ ერთი წელი იარსება. ნაპოლეონმა კვლავ დაიწყო მზადება კუნძულზე შესაჭრელად. ისევე როგორც 139 წლის შემდეგ გახდა აუცილებელი ჩერჩილის მოსვლა ხელისუფლებაში, ასევე ბუნებრივი იყო პიტის დაბრუნება მთავრობის სათავეში. ეს უკვე გედის სიმღერა იყო დიდი ინგლისელისა და დიდი დიპლომატისათვის; უკვე სერიოზულად დაავადებულმა პიტმა ბრწყინვალედ გაართვა თავი კრიტიკულ სიტუაციას, რომელშიც მისი სამშობლო აღმოჩნდა: მარჯვე დიპლომატიური მანევრებით და სოლიდური სუბსიდიებით, მან პრაქტიკულად მთელი ევროპის დარაზმვა შეძლო ნაპოლეონთან საომრად. განსაკუთრებული დიპლომატიური ელასტიურობა და მანევრირება რუსეთის ახალ იმპერატორ ალექსანდრე I-თან ურთიერთობაში დასჭირდა; როგორც კისინჯერი წერს, „ალექსანდრესთან მიმართებაში უილიამ პიტი ისეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორშიც ჩერჩილი 150 წლის შემდეგ სტალინთან ურთიერთობაში. პიტს გადაუდებლად სჭირდებოდა რუსეთის დახმარება, ვინაიდან სხვაგვარად ვერ წარმოედგინა ნაპოლეონის დამარცხება. მეორეს მხრივ კი ის, ისევე როგორც ჩერჩილი, სულაც არ იყო დაინტერესებული, რომ „ერთი ჰეგემონი ქვეყანა მეორე ჰეგემონით ჩანაცვლებულიყო“ (28). პრობლემას წარმოადგენდა აგრეთვე ალექსანდრეს მორიგი მსოფლმხედველობრივი გატაცება – 1804 წელს რუსეთის იმპერატორმა „საპროგრამო“ წერილით მიმართა პიტს, რომლითაც საყოველთაო და მუდმივი მშვიდობის თავისეულ კონცეფციას სთავაზობდა ინგლისის პრემიერს: უნდა გაუქმებულიყო ფეოდალიზმი და ყველგან კონსტი-

ტუციური წყობილება უნდა დამყარებულიყო. სახელმწიფოები უარს იტყოდნენ ძალის გამოყენებაზე და ნებისმიერ სადაო საკითხს არბიტრაჟი განიხილავდა. სხვა შემთხვევაში პიტს შიძლება საერთოდ უყურადღებოდ დაეტოვებინა პოლიტიკურ სიმპათიებში გზააბნეული და საკუთარ კაპრიზებში შეუზღუდავი მონარქის ფანტაზიური პროექტები, მაგრამ ნაპოლეონთან პირისპირ დარჩენის პერსპექტივა მოთმინებასა და თავაზიანობას მოითხოვდა მისგან. პიტის ზრდილობიანი საპასუხო წერილი დიპლომატიური „მასტერკლასის“ ნიმუშად იქცა: მარჯვედ აუარა რა გვერდი ალექსანდრეს პათეტიზმს, ისე რომ, არც კი გაუკენწლავს რუსი იმპერატორის უსაზღვრო პატივმოყვარეობა, პიტმა მთელი ყურადღება ძალთა თანაფარდობის აუცილებლობაზე გადაიტანა. ნებისმიერი პოლიტიკური ცვლილების, ნებისმიერი ახალი კონსტიტუციის ფუნდამენტი უნდა ყოფილიყო ძალთა თანაფარდობა. ნებით თუ უნებლიედ, პიტი თავისი ქვეყნის მთავარი მტრის – საფრანგეთის ისტორიის წიაღში დაბადებული პოლიტიკური კონცეფციის ერთგული მემკვიდრის როლში გამოდიოდა. რიშელიე რომ გაცოცხლებულიყო, უყოყმანოდ მოაწერდა ხელს ინგლისის პრემიერის წერილს. ისევე როგორც რიშელიე ვესტფალს, ვერც პიტი მოესწრო ვენის კონგრესს – აუსტერლიცით ნაპოლეონმა სასიკვდილო დარტყმა მიაყენა თავის ყველაზე საშიშ, ყველაზე ჭკვიან და ყველაზე შეურიგებელ მოწინააღმდეგეს: როდესაც ულმთან და აუსტერლიცთან მოპოვებული რეზონანსული გამარჯვებებით ფრანგების იმპერატორმა ნაცარტუტად აქცია პიტის მიერ ასეთი ოსტატობითა და მონდომებით შექმნილი კიდევ ერთი კოალიცია, ეს უკვე ვეღარ გადაიტანა ინგლისის ავადმყოფმა პრემიერმა. მადლიერმა ინგლისმა სათანადო პატივი მიაგო თავის ერთ-ერთ საუკეთესო შვილს: სამშობლოს სამსახურში გაღატაკებული დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენელი სახელმწიფოს ხარჯზე დაასაფლავეს ვესტმინსტერის სააბატოში და ტრადიციულად ხელმომჭირნე პარლამენტმაც გადაიხადა სამშობლოს სამსახურში დაგროვილი მისი ვალი (40000 გირვანქა სტერლინგი). არავისთვის არ იყო საიდუმლო, რომ განსვენებული პრემიერი სა-

კუთარი ჯიბიდან აფინანსებდა ინგლისისათვის აუცილებელ, მაგრამ არც თუ ლეგალურ ჯაშუშურ, მოსყიდვით და თვით ტერორისტულ ოპერაციებსაც კი (ნაპოლეონის მკვლელობის გეგმები და სხვა).

აუსტერლიცის და მესამე კოალიციის დაშლის შემდეგ, 1806 წელს იქმნება მეოთხე კოალიცია: რუსეთის, პრუსიის, ინგლისისა და შვედეთის მონაწილეობით. როგორც ყოველთვის, არც ამჯერად მისცა ამოსუნთქვის საშუალება მოწინააღმდეგეებს ნაპოლეონმა: ოქტომბერში იენასთან და აუერშტედთან ბრძოლები „ჩვეულებრივი“ შედეგით, ფრანგების მორიგი გამარჯვებით დამთავრდა და ნაპოლეონი ბერლინში შევიდა. კამპანიის შედეგი უპრეცედენტოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა როგორც პირადად ნაპოლეონისათვის, ასევე მთელი ევროპისათვის: 1806 წლის 21 ნოემბერს, ბერლინში ყოფნისას, ნაპოლეონმა ხელი მოაწერა ე.წ. კონტინენტურ ბლოკადას; ევროპას ეკრძალებოდა სავაჭრო და სხვა ნებისმიერი კავშირი ინგლისთან. დაგეგმილი იყო ინგლისის დამარცხება ეკონომიკური ომით, ვინაიდან ინგლისის პროდუქციის მთავარი ბაზარი ევროპა იყო. ეს იყო გენიალური ადამიანის ერთ-ერთი, მაგრამ ყველაზე ტრაგიკული შეცდომა (რუსეთში ლაშქრობაც ბლოკადის ლოგიკური შედეგი იყო). გარდა იმისა, რომ ევროპაში მირაჟად იქცეოდა მშვიდობის პერსპექტივა, ბლოკადა ორლესური მახვილიც იყო – ინგლისთან ვაჭრობას ხომ ევროპისთვისაც და რაც მთავარი იყო, რუსეთისთვისაც ჰქონდა სასიცოცხლო მნიშვნელობა.

1807 წლის ზაფხულში რამდენიმე დამარცხების შემდეგ (აუსტერლიცის შემდგომ), ალექსანდრე იძულებული იყო ზავი დაედო ნაპოლეონთან. ტილზიტში ხელმოწერილი იქნა ჯერ სამშვიდობო, შემდეგ კი სამოკავშირეო ხელშეკრულება. პრუსიისათვის ჩამორთმეული პოლონური მიწებისგან შეიქმნა ვარშავის საჰერცოგო საფრანგეთის პროტექტორატით. სწორედ ეს ტერიტორია იქცევა მალე რუსეთში შეჭრის პლაცდარმად. რუსეთი კონტინენტურ ბლოკადას შეუერთდა და ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა ინგლისთან, რასაც კატასტროფული შედეგები მოჰყვა არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკისათვის – რუსი არისტოკრატია, რომლის შემოსავლის წყაროსაც ძირითადად ინგ-

ლისთან ვაჭრობა წარმოადგენდა, ხმამაღლა აპროტესტებდა საკუთარი იმპერატორის პოლიტიკას. ალექსანდრე ანონიმურ წერილებსაც კი ღებულობდა, სადაც მამის ბედით ემუქრებოდნენ. მართალია, ტილზიტის ზავი დროებით შესვენებასა და ძალების მოკრეფის საშუალებას იძლეოდა, მაგრამ საბოლოო ჯამში აშკარად წამგებიანი იყო რუსეთისათვის. საცარია, როგორ ვერ ხვდებოდა მომავლის ჭვრეტის უნარის მქონე ფრანგების იმპერატორი, რომ ადრე თუ გვიან, ალექსანდრეს სწორედ ფართოდ აფიშირებული ტილზიტის ზავი აიძულებდა რადიკალურად შეეცვალა რუსეთის დიპლომატიური ვექტორი? სწორედ ტილზიტში გახდა გარდუვალი 1812 წლის კატასტროფა, თანაც მან ხომ იქ დაუსვა აბსოლუტურად ზუსტი დიაგნოზი ალექსანდრეს: „ყალბი, როგორც ზღვის ქაფი და ბასრი, როგორც სამართებლის პირი“. ისიც იცოდა, რომ არასოდეს არ მისცემდა რუსეთის იმპერატორს თურქეთის ნაწილის დაპყრობის იმედს. სულ მალე ამას ალექსანდრეც მიხვდა. უფრო მეტიც – პეტერბურგამდე ჩააღწია ხმამ, რომ ნაპოლეონი თურქებს აქეზებდა მეტი ენერგიით გაეწიათ წინააღმდეგობა რუსეთისათვის: იმ პერიოდში ხომ რუსეთსა და თურქეთს შორის ომი მიმდინარეობდა. ტილზიტის შემდეგ იყო ერფურტის ცნობილი შეხვედრა. გარედან მაყურებელს მართლაც შეეძლო ეფიქრა, რომ ორი ასეთი ახლობელი ადამიანი ევროპასა და მის გარედაც არ მოიძებნებოდა. ორი კვირის მანძილზე, მთელი გაოცებული ევროპის თვალწინ ეჯიბრებოდა ერთმანეთს ორი იმპერატორი ქათინაურებსა და საუკუნოვანი მეგობრობის დემონსტრაციაში. ეს გულამაჩუყებელი სცენები „გარე მოხმარებისათვის“ იყო განკუთვნილი: ავსტრიას უნდა სცოდნოდა, რომ ტყუილად ჰქონდა საფრანგეთთან მომავალ ომში რუსეთის იმედი, იგი უკვე ფრანგების მოკავშირე იყო; თურქეთს კი საფრანგეთის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა. ორივე იმპერატორი შესაშური დიპლომატიური ოსტატობით ცდილობდა ერთმანეთის მოტყუებას და ეს ორივემ კარგად იცოდა. ასევე ორივემ იცოდა ერთმანეთის ფასიც: ალექსანდრე გულწრფელად თვლიდა ნაპოლეონს უდიდესი გონების ადამიანად, ნაპოლეონი კი სამართლიანად მიიჩნევდა ალექსანდრეს ცბიერ და მარჯვე დიპლომატად – „ეს

ნამდვილი ბიზანტიელია“, – ამბობდა იგი ალექსანდრეზე. რუსეთის იმპერატორისთვის უკვე ცნობილი იყო, რომ ნაპოლეონი არათუ კონსტანტინოპოლს, არამედ მოლდავეთსაც და ვალახეთსაც თურქებს დაუტოვებდა. ერთადერთი რაც რეალური იყო და არ გამოიყენა ალექსანდრემ, ეს იყო ნაპოლეონის შეთავაზება, სამხედრო დახმარების სანაცვლოდ რუსეთისათვის დაეთმო გალიცია და კარპატების მიმდებარე ტერიტორიები. ალექსანდრემ არ მიიღო მაცდური შეთავაზება, რასაც მუდამ საყვედურობდნენ მას რუსი სლავიანოფილები. მეფე გაცილებით მგრძნობიარე გამოდგა თავად-აზნაურობის მხრიდან ზეწოლასთან დაკავშირებით, თუმცა ჰქონდა კი მას სხვა არჩევანი? უჭირდა ანტიფრანგული გადაწყვეტილების მიღება რუსეთის თვითმპყრობელს, მან ხომ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე... ნაპოლეონმა კი შვედებს ინგლისთან ძველი კავშირი გაუხსენა და დამსჯელი მისია ალექსანდრეს მიანდო. უკანასკნელმა 1808 წლის თებერვალში მთელი ფინეთი წაართვა საფრანგეთის „მოღალატე“ შვედებს. შენაძენი კი იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ მეფემ მაინც ვერ დაიბრუნა რუსული არისტოკრატიის ლოიალობა – მათთვის ხომ საკუთარი ჯიბე სახელმწიფო შენაძენზე გაცილებით ღირებული იყო.

ერფურტშივე დაფიქსირდა კიდევ ერთი საბედისწერო ფაქტი – აქ უღალატა პირველად ტალეირანმა თავის იმპერატორს. ის ყოველ საღამოს ხვდებოდა ერთ-ერთ არისტოკრატიულ ოჯახში რუსეთის იმპერატორს და ხანგრძლივ საუბრებში ნაპოლეონის წინააღმდეგ აქტიური ქმედებისაკენ მოუწოდებდა, რასაც თავის მემუარებში არც მალავს. თუ ეპოქის უდიდეს ცინიკოსსა და მატყუარას დავუჯერებთ, ამასაც საფრანგეთის მომავალზე ზრუნვით აკეთებდა. მისი მტკიცებით, იმ დროს მისთვის უკვე ცხადი იყო, თუ საითკენ მიჰყავდა ქვეყანა ევროპის ბატონობაზე დაციკლულ გენიოსს და მისი შეკავებით ცდილობდა საფრანგეთის გადარჩენას (29). კიდევ ერთი რამით იყო საინტერესო შეხვედრის (სამიტის, დღევანდელი ტერმინოლოგიით) დღეები: ნაპოლეონი ყოველდღე ხვდებოდა და ხანგრძლივად ესაუბრებოდა გამოჩენილ მეცნიერებს, მწერლებს, ისტორიკოსებს, პოეტებს. როდესაც მან გაიგო, რომ ერფურტში იმყოფებოდა გოეთე, მასთან

შეხვედრა ისურვა. აი, როგორ აღწერს ორი დიდი ადამიანის შეხვედრას ტალეირანი:

- „ბატონო გოეთე, მე აღფრთოვანებული ვარ, რომ თქვენ გხედავთ!“;

- „თქვენო უდიდებულესობავ, მე ვხედავ, რომ როდესაც თქვენ მოგზაურობთ, არ თაკილობთ არაფრისმაქნისი ნივთების შემჩნევას...“;

- „ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენ გერმანიის პირველი ტრაგიკოსი პოეტი ხართ“;

– „თქვენო უდიდებულესობავ, თქვენ აწყენინებთ ჩვენს ქვეყანას... ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენცა გვყავს დიდი ადამიანები – შილერი, ლესინგი, ვილანდი“ (30).

ეს მოკლე დიალოგი კიდევ ერთხელ ადასტურებს საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს, რომ ფრანგების იმპერატორი ოფიციალური შეხვედრებით, დიპლომატიური მოლაპარაკებებითა და სხვა უამრავი მიმდინარე საკითხებით ჯოჯოხეთურად დატვირთულ დღეებშიც კი მუდამ პოულობდა დროს, რათა გამოჩენილი თანამედროვეებისადმი თავისი განსაკუთრებული პატივისცემა დაედასტურებინა.

შარლ ტალეირანი კი ამ დროს, ნაპოლეონის ზურგს უკან, რუსეთის იმპერატორის ეჭვების გაძლიერებით იყო დაკავებული. მომავლისა და მოსალოდნელ შედეგთა განჭვრეტის გასაოცარმა ნიჭმა შეიძლება მართლაც უშეცდომოდ გათვალა მარენგოსა და აუსტერლიცის გმირის ბედი, შეიძლება მართლაც იყო მისთვის ყველაფერი გარკვეული და მან ისიც იცოდა, რომ როგორც წესი,ნაპოლეონი არასოდეს არ ცვლიდა საკუთარ გადაწყვეტილებებს. იმ ფაქტმა კი, რომ ტალეირანი სწორედ ერფურტში იქცა რუსეთის დაქირავებულ აგენტად, ბევრწილად განსაზღვრა ნაპოლეონის მომავალი. რაც შეეხებოდა თავად ალექსანდრეს, რასაკვირველია, ის სულაც არ თაკილობდა ტრივიალური, თუმცა ეფექტური ჯაშუშის სამსახურით სარგებლობას, მაგრამ მისი არისტოკრატიული ბუნება ძნელად ეგუებოდა სიბერეში გადასული სასარგებლო ინფორმატორის მლიქვნელობასა და გამომძალველობას. სხვა რითი შეიძლება აიხსნას ის ცინიზმი და გა-

მასხრება, რასაც დაუფარავად ავლენდა თავისი მაღალი წოდების აგენტისადმი? ცნობილია ასეთი ფაქტი, რომ როდესაც ტალეირანმა ფულის გაუთავებელი თხოვნით თავი მოაბეზრა რუსეთის იმპერატორს, უკანასკნელმა მას აცნობა: პეტერბურგში ფული არ გვენანება ინფორმაციის ასეთი ძვირფასი წყაროსათვის, მაგრამ ფულზე ძვირად თქვენი სიცოცხლე გვიღირს (აბა, რა, ტალეირანის ღალატი რომ ნაპოლეონს გაეგო, ხომ დახვრეტდა!) და ამიტომ „დიდი წუხილით“ ვერ ვასრულებდ თქვენს თხოვნასო.

ნაპოლეონს კი ერფურტის შემდეგ აღარც ტალეირანისათვის ეცალა და აღარც ალექსანდრესათვის, ესპანეთი იქცა მის მთავარ საზრუნავად, სადაც ეგვიპტისა და მთელი ევროპის დამპყრობი არმია გლეხების, ხელოსნებისა და მწყემსების აჯანყებას ვერ უმკლავდებოდა.

არც ალექსანდრეს საგარეო-პოლიტიკური კურსი არ შეცვლილა უცებ ერფურტის შემდეგ. ამას წინ უძღოდა იდეებმოზღვავებული იმპერატორის კიდევ ერთი „ლირიული გადახვევა“ სპერანსკითა და მისი რეფორმატული პროგრამით გატაცების სახით. სპერანსკი ერფურტში ახლდა ალექსანდრეს და იქიდან ნაპოლეონის პიროვნებით აღტაცებული დაბრუნდა – „განა შესაძლებელი იყო ნაპოლეონის გაცნობა და მისდამი გულგრილად დარჩენა?“, – ამბობდა იგი. რა სურდა სპერანსკის და რაში უჭერდა მას მხარს ალექსანდრე? ბატონყმობის გაუქმება? სულაც არა, მეფეცა და მისი რეფორმატორი ფავორიტიც საჯაროდ ავხადებდნენ, რომ რუსულ ბატონყმობას არაფერი ჰქონდა საერთო მონობასთან. ასევე ხელუხლებელი უნდა დარჩენილიყო მართლმადიდებლური ეკლესიის მთელი ქონება და პრივილეგიები. აბსოლუტიზმი? სწორედ მეფის აბსოლუტურ ძალაუფლებას განიხილავდა სპერანსკი თავისი რეფორმების ბერკეტად. რეფორმების მთავარი მიზანი იყო დონდლო, სანახევროდ აღმოსავლური დესპოტიზმის გარდაქმნა თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოდ, ეფექტური ბიუროკრატიული აპარატით, ფორმალური საკანონმდებლო სისტემით, ფინანსებსა და ადმინისტრაციაზე კარგად ორგანიზებული კონტროლითა და გუბერნატორების სატრაპებიდან პრეფექტებად ტრანსფორმირებით. ერთის შეხედვით უწყინარ პროექტში

უშეცდომოდ ამოიცნო თავისი მტერი მსხვილმა არისტოკრატიამ – სპერანსკი ხომ (მეფის თანხმობით!) ბურჟუაზიულ-აბსოლუტურ სახელმწიფოდ უპირებდა გადაქცევას ფეოდალურ-აბსოლუტურ რუსეთს, სადაც უკვე ორგანულად შეუთავსებელი იქნებოდა ბატონყმობა. თანაც მთელი პროექტი საფრანგეთისადმი სიმპათიით და რუსულ-ფრანგული კავშირის იდეით იყო გამსჭვალული.

1808-1812 წლებში, პეტერბურგსა და განსაკუთრებით კი მოსკოვში, ალექსანდრესათვის საშიში მასშტაბები და ფორმა მიიღო მისი საგარეო პოლიტიკისადმი ოპოზიციურმა განწყობილებამ. არისტოკრატიულ სალონებში არც ფინეთის ანექსია მოსწონდათ, ვინაიდან ეს ნაპოლეონის იდეა იყო. სუსტი წინააღმდეგობის შემდეგ, 1810 წლის დამლევიდან ალექსანდრემაც დაყარა ფარ-ხმალი, რაშიც ნაპოლეონსაც მიუძღოდა ბრალი: უკვე აღარავისთვის არ წარმოადგენდა საიდუმლოებას, რომ ნაპოლეონი არც კი ფიქრობდა ხელი შეეწყო რუსეთის გავლენის ზრდისათვის თურქეთსა და აღმოსავლეთში.

პეტერბურგისათვის უსიამოვნო სიურპრიზად იქცა ფრანგების „პოლონური“ პოლიტიკაც, რაც რეალურ საფრთხეს უქმნიდა რუსეთის საზღვრებს. ყველაფერთან ერთად კი, შეურაცხმყოფელ ფორმებს ღებულობდა პარიზის პროტესტები რუსეთის მიერ კონტინენტური ბლოკადის პირობების დარღვევებთან დაკავშირებით. ტილზიტის შემდეგ ალექსანდრესაც ნაპოლეონის ვასალად აღიქვამდნენ ევროპაში. ყველაფერ ამით გვარიანად გამწარებულმა ალექსანდრემ ნაპოლეონს დამოყვრებაზე უთხრა უარი (ჟოზეფინასთან გაცილებული იმპერატორი ახალ საცოლეს ეძებდა და არჩევანი ალექსანდრეს უმცროს დაზე – ანაზე შეაჩერა), თანაც არადამაჯერებელი საბაბით – ანა ჯერ პატარააო. რეალური მიზეზი იმდენად ცხადი იყო, რომ ევროპის დედაქალაქებში საფრანგეთ-რუსეთის მომავალ ომზეც კი ალაპარაკდნენ. ამას დაემატა 1811 წელს რუსეთში შემოღებული საბაჟო ტარიფები, კერძოდ კი მკვეთრად იზრდებოდა საბაჟო გადასახადები რუსეთში იმპორტირებულ ღვინოზე, აბრეშუმზე, ხავერდზე და ფუფუნების სხვა პროდუქციაზე, ანუ იმ საქონელზე, რომლის მთავარი ექსპორტიორი რუსეთში სწორედ საფრანგეთი იყო. პარიზის გაღიზია-

ნებულ პროტესტს პეტერბურგის ლოგიკური პასუხი მოჰყვა – კონტინენტური ბლოკადის შედეგად გაუარესებული ფინანსური მდგომარეობა რუსეთს სხვა გამოსავალს არ უტოვებდა. პარიზში ისიც იცოდნენ, რომ რუსეთში დიდი რაოდენობით შედიოდა კოლონიური საქონელი ფორმალურად ნეიტრალური ქვეყნების, სინამდვილეში კი ინგლისის გემებით, შემდეგ კი ეს საქონელი თავისუფლად გადიოდა გერმანიაში, ავსტრიასა და პოლონეთში, ბლოკადის ეფექტი კი ნულს უტოლდებოდა. მრავლისმეტყველ ინციდენტს ჰქონდა ადგილი 1811 წელს, ნაპოლეონის დაბადების დღის აღსანიშნავ საზეიმო მიღებაზე, როდესაც მთელი ევროპის წარმომადგენლების დასწრებით იუბილარმა უშვერი სიტყვებით გამოლანძღა რუსეთის ელჩი, თავადი კურაკინი და ომითაც დაემუქრა არაორაზროვნად. ევროპაში უკვე დღედღეზე ელოდნენ ომის დაწყებას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდისათვის ნაპოლეონს უკვე დაკარგული ჰქონდა ზომიერების გრძნობა: ჯერ იყო და საკუთარი დეკრეტით მიუერთა ჰოლანდია საფრანგეთს, შემდეგ კი ეს ქვეყანა საფრანგეთის იმპერიაში შემავალ ცხრა დეპარტამენტად დააქუცმაცა... მერე ჰამბურგის, ბრემენის, ლიუბეკის, ლაუენბურგ-ოლდენბურგისა და არენბერგის ჯერი დადგა. მალე მარშალმა დავუმ ჩრდილოეთ გერმანიის მთელი სანაპირო (ოლდენბურგთა დიდი საჰერცოგო) საფრანგეთის საკუთრებად გამოაცხადა – ამით ნაპოლეონი იმასაც კი არ მოერიდა, რომ ჰერცოგ ოლდენბურგის შვილის მეუღლე რუსეთის იმპერატორის ღვიძლი და იყო.

1812 წლის 14 მარტს პარიზში ხელი მოაწერეს ავსტრიასა და საფრანგეთს შორის სამხედრო შეთანხმებას: ვენა 30 ათასი ჯარისკაცით უნდა დახმარებოდა საფრანგეთს, რის სანაცვლოდაც რუსეთისათვის წართმეულ მოლდოვასა და ვალახეთს მიიღებდა. პრუსიას 20 ათასი ჯარისკაცი უნდა მიეცა ნაპოლეონისთვის. 1812 წლის გაზაფხულისათვის დიპლომატიური სამზადისი რუსეთის კამპანიისათვის უკვე დამთავრებული იყო. მთელი ვასალური ევროპა მორჩილად იყო მზად რუსეთთან საომრად. უკვე საფრანგეთის იმპერატორად გადაქცეული ნაპოლეონ I გენერალ ბონაპარტესათვის მიუღებელი თავდა-

ჯარებით და რისკების გაუთვლელად მიექანებოდა იმპერიისა და საკუთარი კრახისაკენ.

1812 წლის 12 მაისს, ღამით, ომის გამოცხადებისა და რაიმე პრეტენზიის წაყენების გარეშე, „დიდმა არმიამ“ გადალახა ნემანი და რუსეთის ტერიტორიაზე შეიჭრა. ალექსანდრემ პარლამენტარები გაუგზავნა ნაპოლეონს და ყველა სადაო საკითხის მოლაპარაკებებით გადაჭრა შესთავაზა. ომის ყველა დაწერილი და დაუწერელი კანონით, კამპანიის შეჩერება და საწყის პოზიციებზე დაბრუნება (რასაც ალექსანდრე ითხოვდა) უკვე შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, ნაპოლეონის სტილი არ იყო მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა... შემდეგ კი იყო უძლეველი არმიისა და მისი დაუმარცხებელი სარდლის პირველი განგაშის ზარი – 7 სექტემბერს, მოჟაისკიდან 12 კილომეტრით დასავლეთით, ბოროდინოს ისტორიული ბრძოლა. ნაპოლეონმა პირველად ვერ გაიმარჯვა გადამწყვეტ ბრძოლაში.

რუსეთში განცდილი კატასტროფის მასშტაბები და მისი საერთაშორისო მნიშვნელობა ნებისმიერ მთავარსარდალსა და მონარქს გადააფიქრებინებდა ბრძოლის გაგრძელებას. ნაპოლეონი კი მათ რიცხვს არ ეკუთვნოდა – ამ უჩვეულო ადამიანმა კიდევ შესძლო 1813-1814 წლებში ახალი არმიის შექმნაც და ახალი გამარჯვებების (თუმცა უკვე არაგადამწყვეტი) მოპოვებაც ავსტრიელებსა და რუსებზე. რაც მთავარია, პეტერბურგში, ვენასა და ბერლინში ჯერ კიდევ ძლიერი იყო პანიკური შიში „კორსიკელი უზურპატორისადმი“. ამ შიშის გამოძახილი იყო ის სამშვიდობო წინადადება, რომლითაც ავსტრიამ, პრუსიამ და რუსეთმა მიმართა ნაპოლეონს: მშვიდობის სანაცვლოდ მას უარი უნდა ეთქვა ვარშავის საჰერცოგოზე, ავსტრიისათვის უნდა დაეთმო ილირია, ჯარები გაეყვანა ჰამბურგიდან და ლიუბეკიდან და დამოუკიდებლობა უნდა დაებრუნებინა პრუსიისათვის. ნებისმიერი სხვა სიხარულით დათანხმდებოდა მოკავშირეთა წინადადებას, მაგრამ ნაპოლეონის ამაყი ბუნებისათვის მიუღებელი იყო ბრძოლით მოპოვებული თუნდაც ერთი პატარა სოფლის დაკარგვაც კი. თანაც როგორც თვითონ თვლიდა, ინგლისის დამარცხების გარეშე არსს კარგავდა მისი მმართველობა. შედეგმაც არ დააყოვნა: 1814 წლის პირველ

მარტს, ინგლისმა, რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ ხელი მოაწერეს თავდაცვით და შეტევით შეთანხმებას. ევროპის გმირისა და მბრძანებლის აღსასრული უკვე მხოლოდ დროის საკითხიღა იყო. 1814 წლის 30 მარტს, ინგლისის მიერ დაფინანსებული მოკავშირეები (ინგლისის გარეშე) პარიზში შევიდნენ. ტილზიტსა და ერფურტში ალექსანდრეზე მოხდენილმა შთაბეჭდილებამ უკანასკნელი სამსახური გაუწია ფონტენებლოს სასახლეში იმპერატოროზიდან გადამდგარ ნაპოლეონს – სწორედ ალექსანდრეს დაჟინებითი მოთხოვნთ ყოფილ იმპერატორს საცხოვრებლად და სამართავად კუნძული ელბა უბოძეს. ადამიანს, რომელსაც ევროპაც კი ეცოტავებოდა, ერთი ციცქნა კუნძული არც საცხოვრებლად ეყო და არც სამართავად. საფრანგეთის სამეფო ტახტზე დაბრუნებულმა ბურბონებმა კი „ყველაფერი გააკეთეს“ საიმისოდ, რომ ნაპოლეონი კვლავ აღმოჩენილიყო იმპერატორის ტახტზე და არმიის სათავეში. თავისი ლეგენდარული მმართველობის უკანასკნელი „ასი დღით“ მან კიდევ ერთხელ გააოცა მსოფლიო, მაგრამ ამჯერად უკვე ვეღარ შესძლო შეუძლებელი: ვატერლოო ლოგიკურ ფინალად იქცა ამ არაადამიანური მონაცემების მქონე ადამიანისათვის. პირობები, რომელშიც მას ინგლისელები „ინახავდნენ“, ერთდროულად გამოხატავდა მისდამი შიშსაც, სიძულვილსაც და მოწიწებულ უნებლიე პატივისცემასაც.



კლემენს ფონ მეტერნიხი
(1773 - 1859 წ.წ.)
ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი
1809-1848 წლებში

თავი მეოთხე
ვენის კონგრესი და კონგრესების სისტემის დასასრული

1814 წლის გაზაფხულზე რუსეთის არმია უძლიერესი იყო ევროპაში, რაც მომავალი სამშვიდობო კონგრესის მუშაობაში რუსეთის ხელმძღვანელი როლის გარანტად უნდა ქცეულიყო. სულ სხვა გეგმები ჰქონდა კონგრესის არაფორმალურ თავმჯდომარეს, ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრსა და ფაქტიურ პირველ მინისტრს, თავად კლემენს მეტერნიხს, XIX საუკუნის ევროპის კიდევ ერთ დიდ დიპლომატს. მეტერნიხის როლი ნაპოლეონის ბატონობის შემდგომი ევ-

როპის პოლიტიკურ ცხოვრებაში იმდენად დიდია, რომ ზედმეტი არ იქნება თუ მოკლედ შევჩერდებით პიროვნებაზე, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს XIX საუკუნის ევროპის პირველი ნახევრის დიპლომატიური არქიტექტორი.

კლემენს ვენცელ ლოთარ ფონ მეტერნიხ-ვინნებურგ-ბეილშტეინი, დაიბადა 1773 წლის 15 ივნისს ძველგვაროვან და მდიდარ არისტოკრატიულ ოჯახში. მამა – ფრანც-გეორგ მეტერნიხი, ტრირის კურფიურსტის სახელმწიფო მდივანი იყო, დედა – გრაფის ასული კაგენეტი, ჭკვიანი და ლამაზი ქალბატონი, ახალგაზრდობაში იმპერატრიცა მარია-ტერეზიას მეგობრად და მაღალი საზოგადოების ინტრიგების ქსოვის უბადლო ოსტატად ითვლებოდა. როგორც ჩანს, ავსტრიის იმპერიის საგარეო საქმეთა მომავალ მინისტრს დედისგან გამოჰყვა ის თვისებები, რომელიც უკვე პრაქტიკული საქმიანობის პერიოდში დახვეწა და უმაღლესი დიპლომატიური პილოტაჟის დონემდე აიყვანა: კლემენსმა ადრე ასაკში აითვისა არისტოკრატიული ქცევის უზადო მანერები და ფრანგული ენა, რომელიც შემდგომში მის მეორე მშობლიურ ენად იქცა. სიყმაწვილეშივე ეზიარა იგი იმ დროს უკვე მოდაში შემოსული რუსოსა და ვოლტერის იდეებს. განმანათლებლობის სულისკვეთება არც სტრასბურგისა და მანჰეიმის უნივერსიტეტებში ყოფილა უცხო, სადაც ის სწავლობდა. როდესაც რევოლუციური საფრანგეთის არმიამ მთლიანად დაიკავა რეინის მარცხენა სანაპირო, მეტერნიხთა ოჯახმა უცებ დაკარგა ქონებაცა და მიწებიც. დევნილი ოჯახი ვენაში გადასახლდა. რა გასაკვირია, რომ აქედან მოყოლებული სიკვდილამდე, კლემენს მეტერნიხი ყოველგვარი რევოლუციების მოსისხლე მტრად იქცა. ვენაში დედა მას სასწრაფოდ აქორწინებს ყოფილი კანცლერის, თავად კაუნიცის მდიდარ მზითვიან ქალიშვილზე. 1795 წლის 27 სექტემბერს, ევროპაში ჯერ კიდევ უცნობ სოფელ აუსტერლიცში დიდებული ქორწილი გაიმართა. გარდა დიდი ქონებისა, პატარძალს მზითვად პოლიტიკური წონა და იმპერატორის კარზე გავლენაც მოჰყვა. ეპოქის თავისებურებებიდან გამომდინარე, უჩვეულოდ არ უნდა მოგვეჩვენოს, რომ ცოლ-ქმარი უსიტყვოდ შეთანხმდნენ ყოფილიყვნენ ერთგული პარტნიორები,

მაგრამ სასიყვარულო საქმეებში ორივე სრულ თავისუფლებას იტოვებდა. საყურადღებოა, რომ სიცოცხლის ბოლომდე მხარეები პატიოსნად ასრულებდნენ შეთანხმებას. კლემენსი უაღრეს პატივს სცემდა და აფასებდა მეუღლეს, ხოლო უკანასკნელი კი ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა ქმარს, როგორც ინფორმატორი და პოლიტიკურ ინტრიგებში სანდო მოკავშირე.

1801 წელს, 28 წლის კლემენსი უკვე ავსტრიის ელჩია დრეზდენში, საქსონიის დედაქალაქში. აქ გაუგო მან გემო დიპლომატიურ კარიერასა და სასიყვარულო თავგადასავლებს. მალე საყოველთაოდ გახდა ცნობილი ახალგაზრდა ელჩის რომანი რუსეთის არმიის უკვე სახელგანთქმული გენერლის, წარმოშობით ქართველი თავადის პეტრე ბაგრატიონის მეუღლესთან – გრაფინია ეკატერინე ბაგრატიონ-სკავრონსკაიასთან (გენერლის ქორწინება რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა ერთპიროვნულად გადაწყვიტა და სასიძომაც მონარქს უარი ვერ უთხრა). როდესაც ეკატერინეს კლემენსისგან გოგონა შეეძინა, მეტერნიხმა ის უყოყმანოდ ცნო საკუთარ შვილად, ბავშვის დედასთან კი ათეული წლების შემდეგაც არ შეუწყვეტია მეგობრული ერთიერთობა (აქვე შევნიშნავთ, რომ ეკატერინე პეტრეს ფაქტიურად 1805 წელს გაშორდა და მას შემდეგ ევროპაში ცხოვრობდა).

გაუთავებელი სასიყვარულო ისტორიები სულაც არ უშლიდა ხელს მეტერნიხის დიპლომატიურ საქმიანობას. პირიქით, დრეზდენშიც და შემდეგაც, წარმატებით იყენებდა თავის დიდგვაროვან საყვარლებს, როგორც ინფორმაციის უნიკალურ წყაროს. მაღალი საზოგადოების მზეთუნახავებისათვის ხომ ფართოდ იყო ღია არისტოკრატიული სალონებისა და სახელისუფლებო აპარტამენტების ყველა კარი. დრეზდენშივე ჩაიწერა პირველი, უკვე კარიერული აქტივი მეტერნიხმა: საქმე კი ის იყო, რომ იმ დროისათვის უკვე არსებობდა საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული ავსტრიის, ინგლისისა და რუსეთის კავშირი. სასურველი იყო, რომ კოალიციას პრუსიაც მიერთებოდა და საამისო დიპლომატიური ბაზის შესაქმნელად ავსტრიის ელჩი აქტიურად მუშაობდა. თანაც, რაც ყველაზე გასაოცარი იყო და მის დიპლომატიურ ელასტიურობაზე მეტყველებდა, მეტერნიხი საფრან-

გეთის ელჩთანაც ინარჩუნებდა ახლო მეგობრულ ურთიერთობას. გასაკვირია, თუ როგორ ახერხებდა საფრანგეთის მტრის – ავსტრიის ელჩი (რაც თავისთავად უნდა ქცეულიყო გულუბრყვილო ფრანგი დიპლომატისათვის სიფრთხილის მოტივად), ერთდროულად ანტიფრანგული განწყობილების პროვოცირებასაც ბერლინის სამეფო კარზე და საფრანგეთის ელჩთან მეგობრობასაც.

1806 წელს კლემენს მეტერნიხი, 30 წლის დიპლომატი, უკვე პარიზშია – იმდროინდელი ევროპის პოლიტიკურ და დიპლომატიურ ცენტრში. კურიოზი იყო, რომ პარიზში ელჩად იგი ნაპოლეონის ჩარევით დაინიშნა, ხოლო ნაპოლეონთან კი მას სწორედ მისმა მეგობარმა ფრანგმა დიპლომატმა უშუამდგომლა, როგორც საფრანგეთისადმი ყველაზე „კეთილგანწყობილ“ ავსტრიელ დიპლომატს. პარიზში მეტერნიხის ამოცანა იყო თვალი ედევნებინა ნაპოლეონის საქმიანობისათვის და შესაძლებლობის ფარგლებში მისთვის დიპლომატიური პრობლემებიც შეექმნა. როგორც თვითონ წერდა მოგვიანებით მემუარებში, პარიზში კიდევ უფრო დახვეწა მეტერნიხმა თავისი დიპლომატიური ოსტატობა და საინფორმაციო წყაროდ მაღალი საზოგადოების მანდილოსნების გამოყენების სტრატეგია. მისი ინფორმატირები იყვნენ ნაპოლეონის და კაროლინა, მარშალ ჟიუნოს ცოლი ლორა და სხვა მრავალი ცნობილი პირების მეუღლეები.

პარიზში დაგროვილი ჭორ-მართალი დაედო საფუძვლად ვენაში მიღებულ გადაწყვეტილებას, რომ ავსტრიას რევანშის დრო დაუდგა და 1809 წლის აპრილში ავსტრიის არმიამ ბავარიის საზღვარი გადალახა. ერთ მომენტში, როდესაც მეტერნიხისათვის ცნობილი გახდა, რომ ფრანგები სწორედ მის მიერ ვენაში გაგზავნილი დეპეშების შედეგად განიხილავდნენ ავსტრიის საიმპერატორო კარის „გაკადნიერებას“, იგი დაპატიმრებასა და დახვრეტასაც კი ელოდა, მაგრამ ნაპოლეონმა თავისი რისხვის ღირსად არ ჩათვალა ახალგაზრდა დიპლომატის ინტრიგები და მეტერნიხი გართულებების გარეშე დაბრუნდა ვენაში, სადაც უკვე ფრანგები დახვდნენ. ვაგრამთან სასტიკი დამარცხების შემდეგ ავსტრია კი გახდა საფრანგეთის ფაქტიური ვასალი, მაგრამ პირადად მეტერნიხისათვის მისი სამშობლოს სირ-

ცხვილი და დამცირება იქცა ვარსკვლავის საათად – გადადგა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი და სწორედ მას ერგო პრესტიჟული თანამდებობა, თანაც თითქმის მთელი ორმოცი წლით. მოკლე დროში მეტერნიხი ავსტრიის ფაქტიურ მეორე პირად იქცა იმპერატორის შემდეგ. მისი მთავარი საზრუნავი საფრანგეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია ხდება, ვინაიდან გამჭრიახი მინისტრისათვის უკვე ცხადია, რომ ნაპოლეონის უზომოდ „გაჭიანურებულ“ ტრიუმფს დიდი დღე აღარ უწერია და აუცილებელია მხოლოდ დრო მოიგოს.

როდესაც ნაპოლეონმა, დინასტიის გაგრძელების ინტერესებიდან გამომდინარე, საბოლოოდ გადაწყვიტა გასცილებოდა უშვილო ჟოზეფინას და ახალ ქორწინებაზე ეფიქრა, მეტერნიხს მომგებიანი სამაჭანკლო-დიპლომატიური კომბინაციის შანსი გაუჩნდა: ალექსანდრეს მიერ დაწუნებული სასიძო ევროპის რომელიმე სამეფო კარზე ეძებდა ახალ საპატარძლოს, ხოლო ავსტრიის ერცჰერცოგინია მარია ლუიზა გასათხოვარ ასაკს იყო მიღწეული. ნაპოლეონი რომ დღე-დღეზე უნდა დაშორებოდა ჟოზეფინას, ეს მეტერნიხს პარიზიდან მეუღლემ კონფიდენციალურად აცნობა, რომელიც მორიგი სასიყვარულო რომანის გამო პარიზში რჩებოდა. მეტერნიხმა ისე დაიწყო სამაჭანკლო ოპერაცია, რომ არა თუ საპატარძლო, მისი მშობლებიც კი არ ჩააყენა საქმის კურსში. მალე წარმატებით დასრულდა „საქორწინო დიპლომატია“ და საფრანგეთის იმპერატორი საკუთარი ქვეყნის ისტორიული მტრის სიძედ იქცა, თუმცა ამას უკვე აღარანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მით უმეტეს, რომ ნაპოლეონმა მეტერნიხს დაუბრუნა მისი ოჯახისთვის ადრე ჩამორთმეული მამულები რეინის კავშირის სახელმწიფოებში. ამავე პერიოდს დაემთხვა იღბლიანი დიპლომატ-„დონ-ჟუანის“ მორიგი ბრწყინვალე გამარჯვება სასიყვარულო ფრონტზე – ამჯერად მისი გატაცების (ძალზედ ხანგრძლივი, გულწრფელი და კეთილშობილის) ობიექტი რუსი დიპლომატის, ინგლისში რუსეთის მომავალი ელჩის, თავადი ლივენის მზეთუნახავი მეუღლე, რუს ჟანდარმთა შეფის, გრაფ ბენკენდორფის ღვიძლი და იყო. მოგვიანებით, იმის შიშით, რომ მეტერნიხის სასიყვარულო წერილები ვინმე შანტაჟისტს არ ჩავარდნოდა ხელში, ქალმა ისინი საყვარელს და-

უბრუნა. ისე კი, შეყვარებულების სიფრთხილეს აზრი აღარ ჰქონდა: საფრანგეთის დაზვერვის ხელთ იყო ყველა წერილის ასლი, რაც კარგა ხნის შემდეგ გამოქვეყნდა კიდეც პარიზში.

მინისტრი მეტერნიხი კარგად ხედავდა, რომ ნაპოლეონის მიერ დაგეგმილ ევროპულ პოლიტიკურ კონსტრუქციაში ავსტრიისათვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილი არ მოიძებნებოდა, ამიტომ ახლო პერიოდში საჭირო იყო მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნება საფრანგეთთან, ხოლო ხანგრძლივი გათვლით კი – ტრადიციულ ძალთა თანაფარდობაზე ზრუნვა. იმავდროულად ავსტრიას თავი უნდა შეეკავებინა ნაპოლეონის სამხედრო კამპანიებში მონაწილეობისაგან. საოცარია, რომ ავსტრიისათვის კრიტიკულ პერიოდშიც კი, როდესაც ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის სამუშაო გრაფიკი ჯოჯოხეთურად იყო გადატვირთული, ეს გამოუსწორებელი მექალთანე მუდამ პოულობდა სასიყვარულო თავგადასავლებებისათვის საჭირო დროს, თუმცა არასოდეს სახელმწიფოებრივი მოვალეობების ხარჯზე. მისი ბიოგრაფების მტკიცებით, სწორედ ნაპოლეონის უკანასკნელ დიდ ლაშქრობასა და ვენის კონგრესს დაემთხვა მეტერნიხის ყველაზე სერიოზული რომანი გერმანელ ჰერცოგინია ვილჰელმინა ზაგანსკისთან. ურთიერთობამ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ ქალმა კატეგორიულად მოსთხოვა განქორწინება და მასზედ დაქორწინება, რაზეც თავაზიანი უარი მიიღო. ვენის კონგრესის მუშაობის დღეებში ერთი კურიოზული ინციდენტიც მოხდა: მეტერნიხი და რუსეთის იმპერატორი ერთმანეტს ეჭვიანობის ნიადაგზე წაიკიდნენ. საქმე კი შემდეგში იყო: ალექსანდრეს თაყვანისმცემელმა, მეტერნიხის საყვარელმა ვილჰელმინამ ორივე კავალერი (პრუსიელი ლამაზმანისადმი არც ალექსანდრე იყო გულგრილი) საზეიმო სადილზე დაპატიჟა, რასაც ეჭვისაგან გაცოფებული მეტერნიხის ულტიმატუმი მოჰყვა – „ან მე, ან მეფე!“ ქალმა ალექსანდრეს მიანიჭა უპირატესობა და მასვე მოუყვა ინციდენტის შესახებ. ახლა უკვე ალექსანდრეს გაცოფების ჯერი დადგა და მანაც დუელში გამოიწვია თავშეუკავებელი მეტოქე. მართალია, დუელი არ შედგა, მაგრამ მართლაც კურიოზია, თუ რაზე კარგავდნენ დროს ნაპოლეონის შემდგომი ევროპის ბედის

გამგებლები. მეორეს მხრივ, ისიც საინტერესო ფაქტია, რომ ამგვარ „ლირიულ გადახვევებს“ ოდნავაც არ შეუშლია ხელი კონგრესის წამყვან მონაწილეთათვის საფუძველი ჩაეყარათ ევროპის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდისათვის. მართლაც, რომ განუმეორებელი „შარმი“ ახასიათებდა XIX საუკუნეს!

ევროპის ისტორიაში ყველაზე წარმატებული სამშვიდობო კონგრესი კი მეტერნიხის ძალისხმევით ვენაში 1814 წლის გაზაფხულზე გაიმართა. მეტერნიხს დრო სჭირდებოდა, რათა ავსტრიას ოდნავ მაინც მოეთქვა სული და მოკავშირეები (გარდა რუსეთისა) ძალთა თანაფარდობის უზრუნველსაყოფად შეემზადებინა. შიში, რომ რუსეთის იმპერატორი საფრანგეთის ყოფილი იმპერატორის, როგორც ევროპის ერთმმართველის, ჩანაცვლებას მოინდომებდა, საყოველთაო და არც თუ უსაფუძვლო იყო. გარდა ამისა, ალექსანდრე ეჭვით უყურებდა საფრანგეთის ტახტზე ბურბონების დაბრუნების იდეას. იგი გრძნობდა, რომ საფრანგეთში ვეღარასოდეს ვერ იქნებოდა სტაბილური აბსოლუტური მონარქია და ადრე თუ გვიან მას ახალი რევოლუცია წალეკავდა. კონგრესის მუშაობის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ვენაში ჩავიდა თავადი ტალეირანი, ამჯერად უკვე როგორც ბურბონების საგარეო საქმეთა მინისტრი. მიუხედავად იმისა, რომ დიდი სახელმწიფოების წარმომადგენელთა შორის (სულ კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას ორასამდე მონარქი და საგარეო საქმეთა მინისტრი ღებულობდა) ტალეირანს, დამარცხებული ქვეყნის მინისტრს(!), ყველაზე სუსტი პოზიცია გააჩნდა, მან ზუსტად განსაზღვრა მთავარი სადაო პრობლემა – საქსონიისა და პოლონეთის საკითხი და მხარეთა წინააღმდეგობებით მანიპულირების გზით, სულ მოკლე ხანში იქცა კონგრესის ერთ-ერთ წამყვან ფიგურად. თავისი ბრწყინვალე გონების წყალობით და ადამიანთა ცნობის უნარით, ის სხვებზე ადრე პოულობდა ყველასათვის მისაღებ ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს. კონგრესის ვერცერთი წამყვანი ფიგურა – ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი რობერტ კასლრი, თავად მეტერნიხი, იმპერატორი ალექსანდრე თუ პრუსიის წარმომადგენელი, თავადი გარდენბერგი ახლოსაც ვერ მივიდოდნენ ტალეირანთან როგორც დიპლომატიური ნიჭითა

და ოსტატობით, ასევე იუველირული სიზუსტით გათვლილი ინტრიგებით. ტალეირანმა მომენტალურად აუღო ალღო მოკავშირეთა შორის არსებულ იმანენტურ წინააღმდეგობებს – საფრანგეთის ყოფილი იმპერატორის მემკვიდრეობა ხომ ისეთი მასშტაბებისა და მიმზიდველობის იყო,რომ აუცილებლად უნდა გადაკვეთილიყო ხარბი მემკვიდრეების ინტერესები. პრუსიის მეფეს საქსონიაზე ეჭირა თვალი, რუსეთის იმპერატორი ომითაც კი იმუქრებოდა, თუ პოლონეთზე ეტყოდნენ უარს. ტალეირანის მიზანი კი რამდენადაც კონკრეტული და მარტივი, იმდენადვე ძნელად მისაღწევი იყო: მას ბზარი უნდა შეეტანა საფრანგეთის დამმარცხებელთა ალიანსში (უკეთესი იქნებოდა თუ დაშლიდა). ამ დიდი ევროპული „აუქციონის“ პირობებში, ალბათ, შეუძლებელი იყო ვინმეს მოეფიქრებინა უკეთესი არგუმენტი – საფრანგეთის რევოლუციის „ცუდი მაგალითით“ და ნაპოლეონის მიერ სხვისი ტახტების „თავხედური უზურპაციით“ მონარქებზე უეჭველად უნდა ემოქმედა „ლეგიტიმიზმის პრინციპის“ არგუმენტს. ტალეირანისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა არგუმენტის ისე შეფუთვა, რომ ყველასათვის მიმზიდველად ექცია მისი იდეა. მიუხედავად ალექსანდრეს თადაპირველი სურვილისა, ამა თუ იმ ფორმით ნაპოლეონის დინასტიისათვის საფრანგეთის ტახტი შეენარჩუნებინა, საბოლოო ჯამში ისიც დანებდა ოტენის ყოფილი ეპისკოპოსის ოსტატურად დახვეწილი არგუმენტების ძალას. გამორიცხული არ იყო, რომ ტალეირანს, ნაპოლეონის დიდ მოღალატეს, მოსვენებას არ აძლევდა ნებისმიერი ბონაპარტეს მხრიდან სამომავლოდ სავარაუდო შურისძიების კოშმარი. იმპერატორის მეორე ცნობილი მოღალატე ფუშესაგან განსხვავებით, ტალეირანს არც რევოლუციაში მიუღია აქტიური მონაწილეობა და არც მეფისა და მისი ოჯახის სისხლში არ ჰქონდა ხელები გასვრილი. ის ხომ რევოლუციის მსხვერპლადაც კი ითვლებოდა.

1814 წლის ოქტომბერში ტალეირანს ხანგრძლივი და რთული საუბარი ჰქონდა ალექსანდრესთან პოლონეთის შესახებ და საერთოდ, ლეგიტიმიზმის საკითხებზე. შემდეგ რუსეთის იმპერატორმა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს კასლრის გააცნო პოლონეთის მო-

მავალი კონსტიტუციის მისეული პროექტი, მაგრამ ევროპის ყველაზე დიდი და ტრადიციული კონსტიტუციური მონარქიის წარმომადგენელმა ევროპის ყველაზე ავტორიტარული მონარქის მიერ შედგენილი კონსტიტუცია „ძალზედ ლიბერალურად“ ჩათვალა. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი შიშობდა, რომ პოლონეთის ლიბერალური კონსტიტუციით საფრთხე შეექმნებოდა როგორც ავსტრიას, ასევე პრუსიას. თავის მხრივ, ავსტრიას სულაც არ აწყობდა რუსეთის პოზიციების გაძლიერება პოლონეთში. ტალეირანს კი, რუსეთის გაძლიერებაზე მეტად ავსტრიისა და პრუსიის გაძლიერება არ მოსწონდა. სწორად განსაზღვრა რა სუსტი ადგილი მოკავშირეთა პოზიციაში, ტალეირანმა კონფიდენციალურად აცნობა რუსეთის იმპერატორს, რომ საფრანგეთი მხარს არ დაუჭერდა ინგლისსა და ავსტრიას პოლონეთის საკითხში და არც პრუსიისათვის საქსონიის გადაცემას დაეთანხმებოდა. მეორეს მხრივ კი, ყველასათვის იმდენად საშიში იყო რუსეთის გაძლიერება, რომ 1815 წლის პირველ მარტს, პრუსიამ, ავსტრიამ და ინგლისმა საიდუმლო კავშირიც კი გააფორმეს რუსეთის წინააღმდეგ. ალექსანდრემ, ცხადია, არაფერი იცოდა მის წინააღმდეგ შექმნილი კავშირის შესახებ (ამას ის ცოტა მოგვიანებით გაიგებს), მაგრამ იგრძნო რა, რომ იზოლაციაში რჩებოდა, ან რეალობას უნდა შეგუებოდა, ან ომი უნდა დაეწყო. ალექსანდრემ უკან დაიხია და პრუსიამ საქსონიის ნაწილი მიიღო. გაცილებით იოლად შეთანხმდნენ გერმანულ სახელმწიფოთა მომავლის საკითხში: ინგლისს ეს პრობლემა იმ დროს საერთოდ არ აინტერესებდა, ხოლო მარტოდ დარჩენილ პრუსიას კი არაფრის შეცვლა არ შეეძლო. საბოლოოდ ყველა დაეთანხმა მეტერნიხის გეგმას „გერმანული კავშირის“ თაობაზე – ორასზე მეტი გერმანული სახელმწიფოდან იქმნებოდა 38-სუბიექტიანი (ავსტრიისა და პრუსიის მონაწილეობით) კავშირი, ოგივე კონფედერაცია, რომლის მთავარი დანიშნულება უნდა ყოფილიყო, არ დაეშვა საფრანგეთის გაფართოება რეინის მიმართულებით. ავსტრიისათვის განკუთვნილი იყო ახალი კავშირის ფაქტიური ხელმძღვანელობა.

კონგრესი უკვე მუშაობას ამთავრებდა, როდესაც ნაპოლეონმა ერთხელ კიდევ შეახსენა თავი ევროპასაც და მსოფლიოსაც. მართლაც, რომ ცოტა რამ თუ იყო შეუძლებელი ამ განუმეორებელი ადამიანისთვის. ელბიდან თვითნებურად დაბრუნებულმა (ვერ ვიტყვით გამოქცეულმაო), სამ თვეში კინაღამ წყალში არ ჩაუყარა კოალიციას ამოდენა სისხლითა და დიპლომატიური ჯაფით მიღწეული მთელი შედეგი. ვატერლოო გედის სიმღერად იქცა გენიალური მეომრისა და „მენეჯერისათვის“. გინდ არ ეწვიმა ბრძოლის წინა დღეს და ამით მეტი ეფექტი ჰქონოდა ფრანგების საარტილერიო ჭურვებს, გინდ უქმად არ ებორიალა გზააბნეულ გენერალ გრუშის დივიზიას და დროზე მიშველებოდა იმპერატორს, გინდ კვლავ მის გვერდით ყოფილიყვნენ გენერლები მიურატი, დიუროკი, სულკოვსკი, სულტი, დეზე, დავუ და მთელი ძველი გვარდია თავისი მქუხარე სახელებით, ნაპოლეონის ბედი მაინც გადაწყვეტილი იყო. ევროპაზე ბატონობის მისი გეგმები იმთავითვე განუხორციელებული და განწირული იყო, რადგან მისთვისაც კი შეუძლებელი იყო ისტორიული კანონზომიერების დამარცხება. სწორედ უკანასკნელთან წააგო ომი და არა საშუალო დონის ინგლისელ სარდალ ველინგტონთან, რომელმაც ჯერ იყო და ურცხვად მიითვისა ბრძოლის ნათლიის როლი (სოფელ ვატერლოოში მხოლოდ ველინგტონის შტაბი იყო განთავსებული, ბრძოლა კი მოშორებით გაიმართა), შემდეგ კი ის დიდი ხე მოაჭრევინა, რომლის ქვეშაც იდგა ბრძოლის დროს, ინგლისში ჩაიტანა და მისგან სუვენირებად სათუთუნეები და ხელჯოხები დაამზადებინა. ინგლისში ვატერლოოს სახელი რკინიგზის სადგურს დაარქვეს, ამერიკაში კი 32 დასახლებულ პუნქტს. მოგვიანებით, ვატერლოოს სახელი დაერქვა კუნძულს ანტარქტიდაშიც, სადაც 2004 წელს რუსეთმა წმინდა სამების მართლმადიდებლური ეკლესია ააშენა.

ვატერლოოს ბრძლის მეორე დღეს, 1815 წლის 9 ივნისს, ვენის კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე, ხელი მოაწერეს 21 მუხლისა და 17 დანართისაგან შემდგარ დასკვნით აქტს.

კონგრესის მონაწილეები საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ჰოლანდია იღებდა ბელგიას, დანია – შლეზვიგსა და ჰოლშტეინს, ავსტრია –

ვენეციასა და გალიციას (დასავლეთ უკრაინას), პოლონეთი ხელახლა დაიყო სამ ნაწილად, ხოლო ვარშავის ყოფილი საჰერცოგოს ბაზაზე იქმნებოდა პოლონეთის სამეფო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში; პრუსიის შენაძენი იყო პოზნანი, დანციგი (გდანსკი) და გოსუნი; კრაკოვი ცხადდებოდა თავისუფალ ქალაქად; პოლონეთში დაკარგული მიწების სანაცვლოდ პრუსიამ მიიღო ჩრდილოეთ საქსონია, კუნძული რუგუნი და შვედეთის პომერანია. ინგლისმა, რომელიც პრინციპულად უარყოფდა ტერიტორიულ შენაძენებს ევროპის კონტინენტზე, მიიღო მალტა და იონიის კუნძულები და ამით კიდევ უფრო განიმტკიცა ნომერ პირველი საზღვაო სახელმწიფოს პოზიციები. რაც შეეხება რუსეთს, არმიის სიძლიერით მას უკვე ტოლი აღარ ჰყავდა ევროპაში.



ალექსანდრე I,
რუსეთის იმპერატორი
(1777-1837 წწ.)

ვენის კონგრესი სამ ძირითად მიზანს ისახავდა: საფრანგეთის მხრიდან სამომავლოდ მოსალოდნელი აგრესიის საწინააღმდეგო გარანტიების შექმნას; გამარჯვებულთა ტერიტორიული პრეტენზიების დაკმაყოფილებასა და საფრანგეთის რევოლუციის ყველა შედეგის აღმოფხვრას. სინამდვილეში მხოლოდ პირველი მიზანი იქნა სრულად რეალიზებული. კონგრესის დასკვნითი აქტით შეუძლებელი იყო იმდროინდელ ევროპაში არსებული ყველა წინააღმდეგობების ლიკვიდაცია, მითუმეტეს, რომ კონგრესის გადაყვეტილების მიღმა აღმოჩნდა აღმოსავლეთის საკითხი.

კონგრესის მიღწევა იყო, რომ ევროპაში დგინდებოდა ძალთა ბალანსი. ასე თუ ისე, შეიძლება არასრულად და არათანმიმდევრულად, მაგრამ მკვიდრდებოდა უილიამ პიტი-უმცროსის ხედვები ძალთა თანაფარდობაზე. ჰენრი კისინჯერი თავის „დიპლომატიაში“ კი კონგრესის „გენიალურ“ გადაწყვეტილებად გერმანულ სახელმწიფოთა კონფედერაციის შექმნას მიიჩნევს: „ის ძალზედ ძლიერი იყო საიმისოდ, რომ საფრანგეთი დასხმოდა თავს, მაგრამ ძალზედ სუსტი და დეცენტრალიზებული, რათა საფრთხე შეექმნა მეზობლებისათვის. კონფედერაცია ათანაბრებდა პრუსიის განსაკუთრებულ სამხედრო ძალას და ავსტრიის განსაკუთრებულ პრესტიჟსა და ლეგიტიმურობას. კონფედერაციის მიზანი იყო არ დაეშვა გერმანიის გაერთიანება ეროვნულ საფუძველზე, ტახტები შეენარჩუნებინა სხვადასხვა გერმანელი თავადებისა და მონარქებისთვის და წინ აღდგომოდა საფრანგეთის აგრესიას. ყველა ამ პუნქტში იქნა მიღწეული წარმატება“ (31). კისინჯერი აქვე იმაზეც მიუთითებს, რომ როდესაც გამარჯვებულები, დამარცხებულ მოწინააღმდეგესთან ურთიერთობის მშვიდობიან დარეგულირებაზე მუშაობენ, მოვალენი არიან გამარჯვებისათვის აუცილებელი შეურიგებლობიდან გააზრებულად გადაინაცვლონ ხანგრძლივი მშვიდობისათვის აუცილებელი შემრიგებლობისკენ.

კონგრესზევე წამოაყენა რუსეთის იმპერატორმა ე.წ. საღვთო კავშირის შექმნის იდეა, რომელიც 1815 წლის სექტემბერში გაფორმდა კიდეც. კავშირის დამფუძნებლები იყვნენ რუსეთი, ავსტრია და პრუსია. მალე კავშირში გაწევრიანდა ევროპის ყველა სახელმწიფო, გარდა ინგლისისა, თურქეთისა და ვატიკანისა. რევოლუციებთან ბრძოლა და ლეგიტიმურობის დაცვა – აი, ორი ძირითადი, ერთი მეორიდან გამომდინარე ამოცანა, რომელიც საღვთო კავშირის წევრებს აერთიანებდა. რაც შეეხება კავშირის მომავალს, მას თავიდანვე არ ეწერა დღეგრძელობა, რისი მთავარი მიზეზიც ევროპული დიპლომატიის „გორდიას კვანძი“ – „აღმოსავლეთის საკითხი“ იყო. როდესაც 1821 წელს ალექსანდრემ აჯანყებული ბერძნებისათვის დახმარების აღმოჩენა მოინდომა, სწორედ საღვთო კავშირის ფუძემდებელი პრინციპი იქცა გადაულახავ ჯებირად – ბერძნების აჯანყება ხომ „კანონიერი

მონარქის“, თურქეთის სულთნის წინააღმდეგ მიმართული რევოლუცია იყო? კავშირის ინიციატორი რევოლუციის დაცვას ითხოვდა. მართალია, პოლიტიკური ნების პირობებში, ორმაგი სტანდარტი სულაც არ იყო უცხო ევროპისათვის, მაგრამ რუსეთის გავლენის გაძლიერების ხარჯზე თურქეთის დასუსტების მომხრეები ძნელად თუ მოიძებნებოდნენ თვით ყოფილ მოკავშირეების რიგებშიც კი.

კონგრესზე მიიღეს აგრეთვე მთელი რიგი სხვა ხასიათის დოკუმენტებიც, მათ შორის „დეკლარაცია ზანგებით ვაჭრობის აკრძალვაზე“ და „დებულება დიპლომატიურ წარმომადგენელთა რანგთა შესახებ“ პირველად დადგინდა ერთიანი რანგთა ტაბელი: 1. ელჩი, პაპის ლეგატი და ნუნცია; 2. დესპანი; 3. საქმეთა წარმომადგენელი.

ნებისმიერი კრიტიკული შენიშვნების გათვალისწინებითაც კი უდიდესი იყო ვენის კონგრესის როლი XIX საუკუნის ევროპისათვის: დაიწყო „ევროპული კონცერტის“ – ძალთა ბალანსისა და თანაფარდობის ერა, პასუხისმგებლობა კი წამყვანმა სახელმწიფოებმა იკისრეს. აღიარებული იყო, რომ პერმანენტულად წამოჭრილი უთანხმოებებისა და კონფლიქტების გადასაჭრელად, ევროპის წამყვანი სახელმწიფოების წარმომადგენლები პერიოდულად კონგრესებზე უნდა შეკრებილიყვნენ. ისტორიამ სამი ასეთი დიდი შეხვედრა შემოგვინახა: 1856 წლის პარიზის კონგრესი, 1871 წლის ლონდონისა და 1878 წლის ბერლინის კონფერენციები. იყო სხვა, ნაკლებ მნიშვნელოვანი კონგრესებიც. მკვლევარები ერთხმად მიუთითებენ ვენის სისტემის განსაკუთრებულ მდგრადობაზე; მიუხედავად ომებისა, რევოლუციებისა და კრიზისებისა, პრაქტიკულად უცვლელი რჩებოდა ვენის სისტემის მიერ ფორმირებული საერთაშორისო ურთიერთობების სტილი. ასევე პირველ მსოფლიო ომამდე რჩებოდა უცვლელი წამყვან სახელმწიფოთა ჩამონათვალიც. რაც მთავარია, დიპლომატიის განვითარებამ ახალი სტიმული ევროპული კონცერტის ფუნქციონირების პერიოდში მიიღო. ვინაიდან „ევროპული კონცერტის“ სცენა ძირითადად დიპლომატიური სფეროთი შემოიფარგლებოდა, შედარებით უმნიშვნელო იყო ეკონომიკური პროცესების გავლენა საგარეო პოლიტიკაზე (გარდა კრიზისული სიტუაციებისა). ვენის კონგრესის ხუთმა მთა-

ვარმა მონაწილემ (ინგლისმა, რუსეთმა, საფრანგეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ), საიდანაც ოთხი ანტიფრანგული კოალიციის წევრად რჩებოდა, შესძლო ისეთი სიზუსტით გაეთვალა ძალთა თანაფარდობა, რომ მთელი 40 წელი არ ჩაბმულა ომში ევროპის არც ერთი დიდი სახელმწიფო. ყირიმის არც თუ დიდათ დამანგრეველი და სისხლისმღვრელი ლოკალური ომის შემდეგ კი, მთელი 60 წლით გახდა შესაძლებელი ევროპაში მშვიდობის შენარჩუნება. ამისთვის მართლაც რომ გენიალური მიგნება იყო ამორფული და მუდამ სხვისი მაცდუნებელი ორასზე მეტი გერმანული სახელმწიფო წარმონაქმნის კონსოლიდირება და არა გაერთიანება. პრინციპულად შეიცვალა რიშელიეს ლოკალოთი გამოჭრილი ცენტრალური ევროპის პოლიტიკური და გეოგრაფიული რუკა.

ისტორიულ ლიტერატურაში არა ერთი ნაშრომია შექმნილი მეტერნიხის როლზე ნაპოლეონის შემდგომ ევროპაში. ავსტრიის რეალურმა მმართველმა ღრმა და წარუშლელი კვალი დაამჩნია თავის ეპოქას. პირველ რიგში კი ის ფაქტი უნდა აღინიშნოს, რომ მას არც თუ ხელსაყრელი და გარანტირებული პოზიციებიდან უხდებოდა საკუთარი პროექტების რეალიზაცია. თანდათანობით გაქრა ევროპაში ნაპოლეონის „მესამედ მოსვლის“ შიში – ინგლისელებს ისე საიმედოდ ჰყავდათ ფრანგების ყოფილი იმპერატორი გამოკეტილი ღმერთისგან და ადამიანისგან დავიწყებულ შორეულ წმინდა ელენეს კუნძულზე, რომ „ელბა-2“ უკვე გამორიცხული იყო. გუშინდელი მოკავშირეები სულ უფროდაუფრო ხშირად აყენებდნენ საკუთარ ინტერესებს ერთობლივ პოლიტიკაზე მაღლა. მას შემდეგ, რაც ფრანგებმა ტალეირანის წყალობით შესძლეს „კანონიერი“ (ანუ რევოლუციამდელი) საზღვრების შენარჩუნება, ბურბონებს უდარდელი ცხოვრებისა და შურისძიების გარდა აღარაფერი არ აინტერესებდად და პარიზიც საერთაშორისო არენაზე კარგა ხნით პასიური მაყურებლის როლით კმაყოფილდებოდა. ლონდონი მიიჩნევდა, რომ კონტინენტზე 25-წლიანი სამხედრო აქტიურობით უკვე შეასრულა მისთვის განკუთვნილი ისტორიული როლი და ვენის კონგრესის შემდეგ, კონტინენტზე არმიის გაგზავნას აღარც ავსტრიის დასაცავად და აღარც ჯვაროსნული

მანიით შეპყრობილი რუსეთის იმპერატორის შესაჩერებლად აღარ გეგმავდა. ასეთ ვითარებაში კი ვენა შეიძლება რუსეთის პირისპირ დარჩენილიყო, რაც კარგს არაფერს უქადდა ავსტრიის ინტერესებს ბალკანეთში. ასე წარმოიშვა ის პიკანტური სიტუაცია, კისინჯერმა „მეტერნიხის დილემა“ (32) რომ უწოდა. მეტერნიხი სხვებზე უკეთ ხედავდა, თუ რა რეალური საფრთხის წინაშე დააყენა საფრანგეთის რევოლუციამ ავსტრიის მრავალეროვანი იმპერია, რომელიც ნაციონალიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგიის შემოტევას ვერანაირად ვერ გაუძლებდა. პატარ-პატარა ხალხებისაგან შეკოწიწებული იმპერია უკვე საუკუნის დასაწყისისათვის ისტორიულ ანაქრონიზმად იქცა და თუ მან კიდევ მთელი საუკუნე იარსება, ეს პირველ რიგში მეტერნიხის დამსახურება იყო. მან ზუსტად იცოდა, რატომაც სჭირდებოდა საღვთო კავშირი. ცხადზე ცხადი იყო, რომ ბრიტანეთის არც ერთი მთავრობა, არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა ჩარეულიყო კონტინენტის საშინაო საქმეებში, მით უმეტეს, უვადო სამხედრო ვალდებულება ეკისრა კონტინენტზე რევოლუციების ჩახშობის თვალსაზრისით. დილემა კი იმაში მდგომარეობდა, რომ მეტერნიხი მხოლოდ იმას ენდობოდა, ვისაც ვერანაირი დიპლომატიით ვერ „გააბრიყვებდა“ ნებაყოფლობით ეკისრა ევროპის ჟანდარმის როლი, რასაც ასეთი ენთუზიაზმით ასრულებდა რუსეთი, რომელსაც ერთი წუთითაც არ ენდობოდა. გაჭიმულ მართულზე ბალანსირების მხოლოდ მეტერნიხისეული დიპლომატიური მონაცემების მქონე ადამიანი თუ შესძლებდა რუსეთთანაც და ინგლისთანაც ემეგობრა პარალელურ რეჟიმში. ცამდის მართალი იყო ლორდი კასლრი, როდესაც საღვთო კავშირს „მისტიციზმისა და უაზრობის დახვეწილი ნიმუში“ უწოდა. ისე კი, იმ დახვეწილ უაზრობას კონკრეტული და პრაგმატული აზრი ჰქონდა მეტერნიხისათვის – სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ალექსანდრეს შეკავება, რომელსაც ყველაზე ძლიერი არმია ჰყავდა და მემკვიდრეობით მიღებული სიხარბით არ აშორებდა თვალს ბალკანეთსა და სრუტეებს. საღვთო კავშირი მხოლოდ ერთ ზვიგენზე – ლეგიტიმიზმზე იდგა და ეს სავსებით აკმაყოფილებდა მეტერნიხს. რუსეთმა, ანუ ყველაზე ძლიერმა იკისრა

ნებაყოფლობით ჟანდარმისა და „ღამის გუშაგის“ როლი და მეტი რა უნდოდა ჯერ საფრანგეთის რევოლუციითა და შემდეგ კი კარბონარიებით თავზარდაცემულ ავსტრიელ მინისტრს? გავა არც ისე დიდი დრო და ალექსანდრეს შემცვლელი იმპერატორი პეტერბურგში სამეჯლისო ცეკვებს შეაწყვეტინებს გვარდიის ოფიცრებს მოწოდებით: „ცხენებზე, ბატონებო, უნგრეთში რევოლუციაა!“ ეს უკვე მეტერნიხის დიპლომატიის რეალური დივიდენდი იყო.

საინტერესოა, რომ არც ალექსანდრე I და არც ნიკოლოზ I არ ყოფილან დილეტანტები დიდ პოლიტიკაში, რაც მათ არა ერთხელ დაამტკიცეს. გეოპოლიტიკური კონსტრუქციით რუსეთისათვის სულაც არ იყო ხელსაყრელი ავსტრიის ძველმოდური იმპერიის მიერთება ხელოვნურ სუნთქვაზე. ჯერ ერთი, რომ ვენა რუსეთის პოტენციური მოკავშირე სერბებისა და სლავური წარმოშობის სხვა ბალკანელი ხალხების მპყრობელი იყო და მეორე – რუსი მეფეებისა და პანსლავისტების ისტორიული ბროლის ოცნების – კონსტანტინეპოლისაკენ მიმავალ გზაზე, ასევე ისტორიული „შლანგბაუმი“ იყო ინგლისთან ერთად. გამორიცხულია, რომ პეტერბურგში წარმოდგენა არ ჰქონოდათ ამ ელემენტარულ რეალობაზე და მაინც, მეტერნიხის დამსახურება იყო, რომ იდეოლოგიამ კარგა ხნით გადაფარა გეოპოლიტიკა. რუსეთი ორი მისიონერი იმპერატორის მმართველობის წლებში იკავებდა თავს რეალურად არსებული ძალისა და შესაძლებლობების გამოყენებისაგან, რაც ასე უჩვეულო იყო მისთვის. მეტერნიხის მიერ დიპლომატიური დიდოსტატობით არგუმენტირებული კონსერვატიული ფასეულებები ხელ-ფეხს უკრავდა რუსეთის ორივე იმპერატორს. რაც არ უნდა უცნაურად გამოიყურებოდეს, ისიც ფაქტია, რომ ლიბერალურ იდეებზე აღზრდილი ალექსანდრეს დაუოკებელი ოცნება იყო არა მხოლოდ ევროპის მხსნელის, არამედ რეფორმატორის სახელითაც შესულიყო ისტორიაში. როდესაც ის საღვთო კავშირის პროექტს ამუშავებდა, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამით მთელ ევროპას მომავალი კატაკლიზმებისაგან დაიცავდა. გასაკვირია, რომ მესიის მანტიამორგებულ რუს მონარქს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მეტერნიხი, ფართო გაგებით, ლეგიტიმიზმსა და სტატუს-ქვოზე დაფუძნე-


ბულ კავშირს რუსეთისავე ისტორიული ინტერესების შემაკავებელ ჯებირად აქცევდა. ამავე დროს, ვინაიდან მისტიციზმი უცნაური ბუნების იმპერატორის ხშირი სტუმარი იყო, საბოლოო ჯამში კავშირს, რომელსაც ხელუხლებლად უნდა შემოენახა ევროპის სოციალურ-პოლიტიკური ანატომია, არც ფორმითა და არც შინაარსით, არაფერი ჰქონდა საერთო საერთაშორისო ხელშეკრულებასთან. შემთხვევითი არ იყო, რომ საერთაშორისო სამართლის ბევრი სპეციალისტი მას მხოლოდ სამი მონარქის ჩვეულებრივ დეკლარაციად მიიჩნევდა.

მეტერნიხისავე დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მიუხედავად ალექსანდრეს ეგზოტიკური პროჟექტებისა, საღვთო კავშირი მოკლე ხანში ანტიმონარქისტულ რევოლუციებთან ბრძოლის მისიით შემოიფარგლა. საღვთო კავშირის ოთხი კონგრესიც ხომ ძირითადად სწორედ აბსოლუტიზმის სისტემის შენარჩუნებასთან და გამტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავდა.

პირველი ასეთი დიპლომატიური კონგრესი 1818 წლის სექტემბერ-ოქტომბერში რეინის სანაპიროს ქალაქ აახენში გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ აახენის კონგრესის დღის წესრიგში მთავარ საკითხად საფრანგეთიდან საოკუპაციო ჯარების გამოყვანისა და კონტრიბუციის საკითხი იყო დასახელებული, კონგრესის მონაწილეები არ მალავდნენ, რომ მთავარი საკითხი რევოლუციურ იდეოლოგიასა და პრაქტიკასთან ბრძოლის საერთო სტრატეგიის შემუშავება იქნებოდა. ამავე დროს, ალექსანდრეს ყურადღების მიღმა არც ის ანტირუსული დიპლომატიური აქტიუროობა არ დარჩენილა, რომელიც პეტერბურგის „მოკავშირეების“ ყურადღებას რევოლუციებზე ნაკლებად არ იქცევდა. საკითხი კი რუსეთის შეკავებას ეხებოდა. როგორც ჩანს, რუსეთის სამივე ევროპელი მოკავშირე სთვლიდა, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთის არმიამ და ყინვამ ხერხემალში გადატეხა ნაპოლეონი, ძლიერი და თავნება რუსეთი პერმანენტული საფრთხის კერად იქცა ევროპისათვის. თავის მხრივ კი, რუსეთის იმპერატორმა ვენისა და ლონდონის დიპლომატიურ საპირწონედ საფრანგეთი აირჩია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდისათვის, გამარჯვებულ მოკავშირეებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შემუშავებული ერთიანი პოზიცია

საფრანგეთთან სამომავლო ურთიერთობებზე. 1818 წლის 15 ნოემბერს, ავსტრიამ, საფრანგეთმა, ინგლისმა და პრუსიამ ხელი მოაწერეს საფრანგეთში ჰიპოთეტური რევოლუციის წინააღმდეგ მიმართულ კიდევ ერთ შეთანხმებას. საფრანგეთიდან გამოიყვანეს საოკუპაციო ჯარები, ხოლო საფრანგეთი კი „ევროპული კონცერტის“ სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა.

უსაფუძვლო არ ყოფილა ევროპელ მონარქთა შიში, სწორედ ამ პერიოდში იწყება ბურჟუაზიული რევოლუციების სერია: ესპანეთში 1820-1823 წლებში, ცოტა ადრე კი ნეაპოლში, იტალიასა და პორტუგალიაში. ავსტრიისათვის განსაკუთრებით საშიში იყო იტალიის რევოლუცია, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მის ბატონობას. სწორედ იტალიის რევოლუციასთან ბრძოლის საკითხები იქნა განხილული მეტერნიხის ინიციატივით შეკრებილ ტროპაუს კონგრესზე, სადაც უკვე საფრანგეთიც იყო მოწვეული. ეს ყველაზე ხანგრძლივი შეკრებაა ხსენებული ფორმატის კონგრესების პრაქტიკაში: 1820 წლის 23 ოქტომბერს დაიწყო სილეზიაში და ხანმოკლე შესვენების შემდეგ, 1822 წლის აპრილამდე გაგრძელდა უკვე ლაიბახში (დღევანდელ ლუბლიანაში). ორმა კონსტიტუციურმა მონარქიამ – საფრანგეთმა და ინგლისმა კონგრესზე მხოლოდ მეთვალყურეები მიავლინეს. რაც შეეხება რუსეთს, ალექსანდრეს იდეა იყო მხო-



რობერტ კასლრი,
(1769-1822)
ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი
1812-1822 წლებში

ლოდ პოლიტიკური საშუალებებით, ძალის გამოყენების გარეშე შეეჩერებინათ ნეაპოლში დაწყებული რევოლუცია. მას არც მოსწონდა და არც აწყობდა ავსტრიის დამოუკიდებელი აქციები იტალიაში, თანაც მთელი ევროპის სახელით. მეტერნიხი ოპერატიულად გაურიგდა პრუსიას და ალექსანდრე უმცირესობაში დატოვა. 1820 წლის 19 ნოემბერს, ავსტრიის, პრუსიისა და რუსეთის მონარქებმა ხელი მოაწერეს წინასწარ ოქმს, რომლის თანახმადაც, მათ იმ ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება ეძლეოდათ, სადაც რევოლუცია მოხდებოდა, თანაც ადგილობრივი მთავრობების თხოვნისა და ნებართვის გარეშე. ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა უარი თქვეს „ჩარევის პრინციპის“ ცნობაზე. ამავე ოქმით ავსტრიას ევალებოდა ნეაპოლის სამეფოს ოკუპაცია. რევოლუციებთან ბრძოლის თემა იყო ლაიბახის კონგრესის მთავარი საკითხი, სადაც საბოლოოდ გადაწყდა ავსტრიის მიერ ნეაპოლის ოკუპაცია.

მიუხედავად საღვთო კავშირის აქტიურობისა, ევროპაში რევოლუციები კვლავ გრძელდებოდა. 1822-1823 წლებში უკვე რევოლუციის ხანძარი გიზგიზებდა ესპანეთში, სადაც ის-ის იყო სამეფო ტახტი უნდა დაეკარგა ბურბონთა დინასტიის ერთ-ერთ ყველაზე ოდიოზურ წარმომადგენელს – ფერდინანდ VII. მეტერნიხის ინიციატივით კვლავ ოპერატიულად შეიკრიბა მორიგი კონგრესი ვერონაში (1822 წლის 20 ოქტომბერი – 14 დეკემბერი). კონგრესის გახსნამდე ერთი თვით ადრე კი, ევროპა შეძრა ლონდონიდან მიღებულმა საზარელმა ცნობამ – ინგლისისა და მთელი ევროპის ერთ-ერთმა საუკეთესო დიპლომატმა და ვენის კონგრესის გავლენიანმა მონაწილემ, ლორდმა კასლრიმ სიცოცხლე თვითმკვლელობით – საძილე არტერიის გადაჭრით დაასრულა.

ბრიტანული დიპლომატიის ყველაზე „ევროპელი“ მინისტრის თვითმკვლელობის მიზეზად დღემდე პოლიტიკური მოტივია მიჩნეული (არსებობს სხვა ვერსიაც). ინგლისელი დიპლომატი არასოდეს მალავდა სიმპათიებს „ევროპული კონცერტისა“ და კონგრესების სისტემისადმი, ხოლო მთლიანად ბრიტანეთის კაბინეტი და ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი ასევე არ მალავდა თავის სკეპტიციმს ნებისმი-

ერი პოლიტიკური სტრუქტურისადმი, რომელიც თუნდაც ოდნავ იქნებოდა ასოცირებული „ევროპის მთავრობასთან“. ამიტომაც იყო, რომ აახენის კონგრესის შემდგომ კონგრესებზე, ინგლისი საგარეო საქმეთა მინისტრით აღარ იყო წარმოდგენილი (33). კასლრის მემკვიდრე ჯორჯ კანინგმა თავის ამოცანად სწორედ იმ ევროპული სტრუქტურის – კონგრესების სისტემის დაშლა დაისახა, რომლის შექმნის სათავეებთანაც მისი წინამორბედი იდგა. ბუნებრივია, რომ ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა ვერანაირად ვერ უზრუნველყოფდა ვერონის კონგრესის ერთსულოვნებას. კანინგმა საკუთარი მონაწილეობის ღირსად არ მიიჩნია კონგრესი და ველინგტონი მიავლინა ვერონაში, თანაც კონკრეტული და კატეგორიული დირექტივით: ინგლისს არანაირი ფორმით არ უნდა მიეღო მონაწილეობა ესპანეთის წინააღმდეგ ინტერვენციაში; არ უნდა დაეშვა რუსეთის ცალმხრივი აქციები თურქეთის წინააღმდეგ; ხელი არ უნდა მოეწერა კონგრესის არც ერთ დოკუმენტზე, სადაც დადასტურებული იქნებოდა ესპანეთის უფლება სამხრეთ ამერიკაში კოლონიების ფლობაზე. ასევე არ უნდა მოეწერა ხელი ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, სადაც ესპანეთის მეფის წინააღმდეგ მეამბოხეებად იქნებოდნენ მოხსენიებულნი თავისუფლებისათვის მებრძოლი სამხრეთამერიკელები. კონგრესი ლონდონის დიპლომატიური დემარშის გარეშეც რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: მას ისეთ საკითხებზე უნდა მიეღო გადაწყვეტილება, როგორიც იყო იგივე ესპანეთის რევოლუცია, საბერძნეთის აჯანყება და რუსეთ-თურქეთის კონფლიქტი. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის მონარქები უკვე შეთანხმებულნი იყვნენ, რომ საფრანგეთისათვის მიენდოთ ესპანეთის რევოლუციასთან ანგარიშის გასწორება (საქმე ხომ ბურბონებს ეხებოდა), თანხმობა თვითონ საფრანგეთის დელეგაციის შიგნით არ სუფევდა. ინტერვენციის კატეგორიული წინააღმდეგი იყო ინგლისიც. რამდენიმეკვირიანი ცხარე დებატების შემდეგ, 1822 წლის 7 ნოემბერს, ავსტრიის, პრუსიის, საფრანგეთისა და რუსეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს საიდუმლო ოქმს, რომელიც მწვანე შუქს უნთებდა

ფრანგების ინტერვენციას ესპანეთში. ოქმს ინგლისის წარმომადგენელმა ხელი არ მოაწერა.

დღის წესრიგის შემდეგი საკითხი იყო იტალიაში ავსტრიის საოკუპაციო რეჟიმის გაგრძელება, რასაც ნეაპოლისა და სარდინიის მონარქები ითხოვდნენ. მიუხედავად საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგობისა, ოკუპაცია გაგრძელდა. პარიზმა და პეტერბურგმა მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ ხელი შეუშალეს იტალიის ფედერალიზაციის მეტერნიხისეული გეგმის განხორციელებას. კონგრესმა ერთხმად დაგმო ბერძნების აჯანყება „კანონიერი მონარქის“ – თურქეთის სულთნის წინააღმდეგ და არ მიიღო ვერონაში სპეციალურად ჩასული აჯანყებულთა დელეგაცია. საბერძნეთის საკითხში მერყევი და არათანმიმდევრული იყო ალექსანდრეს პოზიციაც – იგი სიმპათიით იყო განწყობილი ერთმორწმუნე ბერძნებისადმი და სიამოვნებით შეუწყობდა ხელს რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი დამოუკიდებელი ბერძნული სახელმწიფოს შექმნას, მაგრამ გარდა საღვთო კავშირის ფუძემდებელი პრინციპისადმი ერთგულებისა, მისი თავშეკავება ინგლისისა და ავსტრიის კატეგორიული წინააღმდეგობითაც იყო განპირობებული. საბოლოო ჯამში ალექსანდრე იძულებული გახდა თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას დასჯერებოდა. კონგრესზე კვლავ დადგა ზანგი მონებით ვაჭრობის საკითხი (ინგლისის ინიციატივით), მაგრამ არცერთმა მონარქმა არ ისურვა კონკრეტული ვალდებულებების აღება და კონგრესი ზოგადი განცხადებით შემოიფარგლა, სადაც დაგმობილი იყო ადამიანებით ვაჭრობა.

ვერონის კონგრესზე განსაკუთრებული სიმწვავით იდგა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების (ევროპის კოლონიების) საკითხი; ამ დროისათვის უკვე წარმატებით მთავრდებოდა ესპანეთისა და პორტუგალიის კოლონიების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ინგლისი მზად იყო ეცნო მექსიკის, არგენტინის, კოლუმბიის, ბოლივიის, ჩილეს, ვენესუელის, პერუსა და სალვადორის დამოუკიდებლობა.

1822 წლის 14 დეკემბერს ვერონის კონგრესმა დაასრულა მუშაობა. რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ კონგრესის შედეგები დანარჩენ ევროპას სპეციალური ცირკულარით აცნობეს. ცირკულარი, რომელიც

მეტერნიხის ინიციატივით იქნა მიღებული, ამართლებდა სამი მონარქის პოზიციას იტალიასთან მიმართებაში, გმობდა ბერძნების აჯანყებას როგორც „რევოლუციურს“, იქვე იყო მოხსენიებული ესპანეთი, როგორც „დასანანი ფაქტი“ და ერთხელ კიდევ ადასტურებდა უცხო სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევის უფლებას. 1823 წლის თებერვალში, კონგრესის გადაწყვეტილების საფუძველზე, საფრანგეთმა ჯარი შეიყვანა ესპანეთში და ტახტი დაუბრუნა ფერდინანდ ბურბონს. ეს იყო ვერონის კონგრესის „ყველაზე დიდი“ მიღწევა. საერთოდ კი, 14 დეკემბრის ცირკულარიცა და ვერონის კონგრესიც, საღვთო კავშირის „გედის სიმღერად“ იქცა: მეტი ანალოგიური კონგრესი აღარ ჩატარებულა.



ოტო ფონ ბისმარკი
(1815-1898)
გერმანიის იმპერიის რეიხსკანცლერი
1871-1890 წლებში

თავი მეხუთე
ვენის სისტემის დასასრული და „აღმოსავლეთის საკითხი”

სახელმწიფო, რომელსაც XVIII-XIX საუკუნეების გასაყარზე ერთპიროვნულად ჰქონდა მონოპოლიზებული ევროპისა ყურადღება (შეიძლება მთელი მსოფლიოსიც) და, რომელსაც ზოგი იმედითა და აღ-

ტაცებით, ზოგიც ეჭვითა და შიშით შეჰყურებდა, ნაპოლეონის მტრების მიერ მისთვის გამზადებულ ხვედრს ნამდვილად არ იმსახურებდა.

1814 წლიდან 1850-იანი წლების დასაწყისამდე, ევროპის დედაქალაქებში ინერციით თუ მიიჩნევდნენ რიშელიეს და „მეფე მზის“ სამშობლოს ანგარიშგასაწევ ძალად. ცხადია, ნაპოლეონის შემდეგ, ნებისმიერი ლიდერი თუ ხელისუფლება ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც დანიელ დეფოს პერსონაჟებად (ანუ კუნძულის მკვიდრად) აღიქმებოდა, მაგრამ ამ „შეღავათის“ ფონზეც კი გაოცებას იწვევდა ოკუპანტების საბარგულებით იმპორტირებული ბურბონების სიბრიყვე და შურისძიების პარანოია. დევნილობაში გატარებულმა წლებმა მათ მართლაც „არც არაფერი დაავიწყა და არც არაფერი ასწავლა“. თუმცა რუსეთის იმპერატორის გონივრული რჩევით, ლუდოვიკო XVIII დაბრუნებისთანავე საზეიმოდ დადო პირობა, რომ საფრანგეთში ადგილი არ ექნებოდა „პოლიტიკურ შურისძიებას“, მაგრამ მისი გარემოცვისათვის და პირველ რიგში კი უშვილო მეფის მემკვიდრე გრაფ დ'არტუასათვის (შემდგომში, კარლ X) არაფერს ნიშნავდა უნებისყოფო მეფის „პატიოსანი სიტყვა“. ამიტომაც დაისადგურა საფრანგეთში „თეთრმა ტერორმა“.

პირველსავე არჩევნებში, რომელიც მეფემ დანიშნა, ნაპოლეონის დროინდელი 5-მილიონიანი ელექტორატი 88 ათასამდე შემცირდა. სულ მალე მთავრობის სამთვიანი მეთაურობიდან გადააყენეს შარლ ტალეირანი – ადამიანი, რომლის მცდელობისა და დაჯერების უნარის შედეგი იყო მოკავშირეთა თანხმობა ბურბონების დაბრუნებაზე. საბოლოო ჯამში გამართლდა ალექსანდრეს შიში, რომ ბურბონები საფრანგეთს ახალ რევოლუციამდე მიიყვანდნენ. მანამდე კი, 1817 წელს, საფრანგეთში ნაპოლეონის მიერ გაუქმებული ცენზურა აღდგა. 1824 წელს გარდაიცვალა „მრავალნარბენი“ ლუდოვიკო XVIII და საფრანგეთის ტახტზე კარლ X ავიდა, რომელმაც იმით დაიწყო ქვეყნის მართვა, რომ ფრანგებს შუა საუკუნეების წესების დაბრუნებასა და მეფის ხელის შეხებით ავადმყოფთა „განკურნებას“ დაპირდა. ზედიზედ მიღებული კანონებით, ნაპოლეონის დროს უმნიშვნელოდ მიჩნეული

დანაშაულებიც კი სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა, თუმცა ბურბონებისადმი სიძულვილი იმდენად საყოველთაო იყო, რომ სასამართლოებს ძირითადად გამამართლებელი განაჩენები გამოჰქონდათ. ასე მზადდებოდა 1830 წლის ივლისის რევოლუცია.

ავსტრიაში კი რევოლუცია „იგვიანებდა“ და ამით მეტერნიხის ეპოქას ახანგრძლივებდა. ისე კი, მხოლოდ რევოლუცია როდი ემუქრებოდა ვენის კონგრესის არქიტექტორს – სულ უფრო და უფრო ჭირდა რუსეთის იმპერატორის მანიპულირება კონსერვატიულ პრინციპებზე აპელირებით. ნეაპოლის, ესპანეთისა და საბერძნეთის რევოლუციებს კი გადაჰქონდა უკანა პლანზე რუსეთის ბალკანური ამბიციები, მაგრამ მეტერნიხს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ რუსეთი სულ მალე წარადგენდა გასანაღდებლად თავის „ბალკანურ ვექსილებს“. ელეგანტურად დახვეწილი დიპლომატიური სვლებით შესძლო მეტერნიხმა ლონდონის დარწმუნება (რასაც ლონდონშიც ხედავდნენ ნაწილობრივ), რომ რუსეთის შეკავება ავსტრიაზე მეტად ბრიტანეთს სჭირდებოდა. თავად ბრიტანეთს ნაკლებად აწუხებდა ბალკანეთის პრობლემა, მაგრამ თუ რუსეთი ერთ ფეხს მაინც ჩადგამდა ბალკანეთში, აქედან ნაბიჯიღა რჩებოდა სრუტეებამდე და ხმელთაშუა ზღვამდე, სადაც რუსეთის ხილვას ბრიტანეთის არც ერთი მთავრობა არ ისურვებდა. მეტერნიხი მთელი თავისი არსებით თანაუგრძნობდა ინგლისელებს, მაგრამ რუსეთის ზურგს უკან. საჯაროდ კი მისი დიპლომატიური ტაქტიკაცა და სტრატეგიაც პეტერბურგთან ნებისმიერ გაუგებრობას საფუძველშივე გამორიცხავდა. დიდი ალბათობით შეიძლება იმის ვარაუდიც, რომ თუ არა 1848 წლის სტუდენტური გამოსვლები და რევოლუცია, რასაც მეტერნიხის გადადგომა და ქვეყნიდან გაქცევაც კი მოჰყვა (ნიშანდობლივია, რომ რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე ლონდონში და არა პეტერბურგში გაიქცა), ავსტრია ან ყველაფერს გააკეთებდა, რათა ევროპას თავიდან აეცილებინა სულელური ყირიმის ომი, ან რაიმე „საფირმო“ დიპლომატიური კულბიტით შეძლებდა რუსეთთან მეგობრობის შენარჩუნებას. 1854 წლისათვის კი, როდესაც ევროპაში დენთის სუნი დატრიალა, აღარც კასლრი და აღარც მეტერნიხი აღარ იდგნენ დიპლომატიურ საგუშა-

გოზე. ერთი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო, მეორე კი, თუმცა სამშობლოში დაბრუნებული, მაგრამ უმუშევარი, უპენსიო და უგავლენო რიგითი მოქალაქე იყო იმპერიისა, რომელსაც თითქმის საუკუნით გაუხანგრძლივა სიცოცხლე.

ყირიმის ომმა და მისმა შედეგებმა ცხადჰყო, რომ ავზედითი „აღმოსავლეთის საკითხის“ „გამხსნელი კოდი“ მხოლოდ მეტერნიხისათვის იყო ცნობილი. ნებისმიერ შემთხვევაში, მხოლოდ იგი ახერხებდა მაღალპროფესიული „მეხანძრის“ ფუნქციის შესრულებას კრიტიკულ სიტუაციებში. როგორც კი მისმა უნიჭო მემკვიდრეებმა (რომელნიც გასაოცარი მონდომებითა და ეფექტურობით აუმჯობესებდნენ კატასტროფულ შეცდომათა საკუთარ რეკორდებს) ბალოვან პოლიტიკაზე აიღეს კურსი, ვენის სისტემის დემონტაჟის პროცესი ავტომატურ რეჟიმში გადავიდა. განხეთქილების ვაშლის როლი კი, როგორც მოსალოდნელი იყო, „აღმოსავლეთის საკითხმა“ შეასრულა: ჯერ კიდევ 1820-1830-იან წლებში საბერძნეთის აჯანყებამ დაამტკიცა, რომ ოტომანთა იმპერიის ოქროს ხანა დაუბრუნებელ წარსულს ჩაბარდა. 1827 წელს ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის გაერთიანებულმა ესკადრამ მთლიანად გაანადგურა თურქეთის ფლოტი ნავარინთან ბრძოლაში, ხოლო 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ გაფორმებული ადრიანოპოლის სამშვიდობო ხელშეკრულებით, რუსეთისა და ევროპული სახელმწიფოების გემებმა სრუტეებით თავისუფალი სარგებლობის უფლება, სერბებმა კი ავტონომია მიიღეს. რუსეთის პროტექტორატი გავრცელდა მოლდავეთსა და ვალახეთზე. სხვებს არც საფრანგეთი ჩამორჩა და 1830 წელს ალჟირს დაეუფლა. ევროპელების მაგალითს აჰყვა ეგვიპტის მმართველი (თურქეთის ვასალი) მოჰამედ ალი და სულთანს აუჯანყდა. მეტიც – რამდენიმე ბრძოლაში გაანადგურა თურქეთის არმია და სტამბოლს დაემუქრა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა სულთანმა მაჰმუდ II დახმარება რუსეთს სთხოვა, რომელმაც 10-ათასიანი არმია მიაშველა თურქებს და ოტომანთა იმპერია გადაარჩინა. მადლიერმა სულთანმა უნკიარ-ისკერიის ხელშეკრულების საიდუმლო მუხლით, ვალდებულება იკისრა განსაკუთრებულ შემთხვევაში, სრუტეები ყველასათვის ჩაეკე-

ტა, გარდა – რუსეთისა. მალე კვლავ დრამატულად განვითარდა მოვლენები თურქეთისათვის: მოჰამედ ალი ისევ უტევს სტამბულს და ისევ სასტიკად ამარცხებს სულთანის არმიას. ამჯერად უკვე მთელმა ევროპამ ითავა ოტომანთა იმპერიის გადარჩენა: 1840 წლის 15 ივნისს ლონდონში ინგლისმა, ავსტრიამ, პრუსიამ და რუსეთმა ხელი მოაწერეს კონვენციას, რომლის თანახმადაც მოჰამედ ალისა და მისი შთამომავლებისათვის გარანტირებული იქნებოდა ეგვიპტის მმართველობა სულთანისადმი ფორმალური მორჩილების საფასურად. მოჰამედ ალის ჯარები უნდა გაეყვანა სირიიდან და ლიბანიდან. ეგვიპტის ამაყმა მმართველმა არ ისურვა მისთვის წამგებიან დაზავებაზე დათანხმება და ბრძოლა განაახლა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ინგლის-ავსტრიის ფლოტმა ბეირუთი დაბომბა, ხოლო აკრა შტურმით აიღო, ლონდონის კონვენციის პირობები აღდგა.

1841 წლის ივლისში მოქმედების ვადა ამოეწურა უნკიარ-ისკელიის რუსეთ-თურქეთის შეთანხმებას და დასრულდა სრუტეებზე რუსეთის არაპირდაპირი კონტროლის ხანმოკლე პერიოდი. სანაცვლოდ, იმავე წელს გაფორმდა ლონდონის კონვენცია, რომლის ძალითაც ევროპის ქვეყნებმა შავ ზღვაში სამხედრო გემების შეყვანის უფლება მიიღეს, რაც წარმატებით გამოიყენეს კიდეც რუსეთის წინააღმდეგ 14 წლის შემდეგ. აქედან მოყოლებული, თურქეთს პრაქტიკულად აღარ გააჩნდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, მისი არსებობის საიმედო გარანტად კი ინგლისი, საფრანგეთი და ავსტრია იქცნენ. არც ერთ მათგანს არ აწყობდა რუსეთის გასვლა ხმელთაშუა ზღვაში და მისი მონოპოლიური კონტროლი სრუტეებზე. ავსტრიას კი, დამატებით ბალკანეთში არ სურდა რუსეთის შეშვება. ეგებ აქედან იღებს სათავეს რუსეთის ისტორიული ანტიდასავლური ფობია?

როგორც ყოველთვის, ყველაზე მოგებული კვლავ დიდი ბრიტანეთი აღმოჩნდა, რომელმაც, ჯერ კიდევ ყირიმის ომამდე, გააფორმა თურქეთთან ხელშეკრულება თავისუფალ ვაჭრობაზე და უმეტესი ხელშეწყობის სტატუსთან ერთად, უფლება მიიღო ყოველგვარი ბაჟისა და სხვა მოსაკრებლების გარეშე შეეტანა ქვეყანაში თავისი საქონელი. ამის შემდეგ მხოლოდ დროს საკითხად იქცა ინგლისის სრული

ეკონომიკური და პოლიტიკური კონტროლი თურქეთზე. გარდა თურქეთის მიმართულებისა, დიდი ბრიტანეთის შეშფოთებას იწვევდა რუსეთის ექსპანსიისა და გავლენის ზრდა კავკასიასა და შუა აზიაში. ლონდონში საფუძვლიანად თვლიდნენ რუსეთს მთავარ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგედ და დაუშვებლად მიაჩნდათ ოსმალეთის მომაკვდავი იმპერიის საშინაო საქმეებში მისი გავლენის ზრდა, მით უმეტეს, რაიმე ტერიტორიული შენაძენები. ბრიტანეთის ინტერესების სფეროში შედიოდა ირანიც, ხოლო მისკენ მიმავალი ყველაზე მოკლე და იაფი გზა კი შავ ზღვაზე გადიოდა, სადაც რუსეთს სევასტოპოლის ძლიერი სამხედრო-საზღვაო ბაზა გააჩნდა. „აღმოსავლეთის საკითხში“ ინგლისის ბუნებრივ მოკავშირედ გამოიყურებოდა საფრანგეთი, სადაც 1852 წლის დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად გაიმპერატორებული ნაპოლეონ III მისი დიდი ბიძის – ნაპოლეონ ბონაპარტის „რუსული ტრაგედიის“ რევანშზე ოცნებობდა, მით უმეტეს, თუ მის გვერდით ან თუნდაც ზურგს უკან დიდი ბრიტანეთის ფლოტიც იდგებოდა. რაც შეეხებოდა იმპერატორ ნიკოლოზ პირველს, მას ყირიმის ომის უკანასკნელ ზალპამდე სჯეროდა, რომ ავსტრიის მხარდაჭერა გარანტირებული ჰქონდა: მან ხომ ომამდე ცოტა ხნით ადრე ვენას ფასდაუდებელი სამსახური გაუწია, როდესაც უნგრეთის აჯანყებაც ჩააქრო და პრუსიასაც არ მისცა ავსტრიაზე თავდასხმის უფლება. გადამწყვეტი მაინც ფრანგი და რუსი იმპერატორების პირადი ანტიპატიები აღმოჩნდა: მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად არსად არ იკვეთებოდა ორი ქვეყნის ინტერესები, ვენის კონგრესის ყავლგასული პრინციპებისადმი ჯიუტი ერთგულებით (უფრო მეტად კი, ამ ერთგულების საჯარო დემონსტრირებით), ნიკოლოზ პირველმა მალე მოახერხა პირად შეურიგებელ მტრად ექცია ავადმყოფურად პატივმოყვარე საფრანგეთის იმპერატორი. ჩიტი კი ბდღვნად არ ღირდა – ნაპოლეონ III, ფაქტიურად, მხოლოდ ერთ არცთუ პრინციპულ „დათმობას“ სთხოვდა ევროპელ მონარქებს: ეცნოთ იგი თანასწორად და მიმოწერაში „ძმად“ მოეხსენებინათ, როგორც ეს იმდროინდელ ევროპაში იყო მიღებული. მაშინ, როდესაც ლონდონშიც და ვენაშიც

ყოველგვარი დრამატიზაციის გარეშე მიიღეს ფრანგული რეალობა და პროტოკოლის სრული დაცვით მიულოცეს ახალ უზურპატორს იმპერატორობა, მხოლოდ რუსეთის იმპერატორმა მოინდომა რომის პაპზე მეტად კათოლიკობა და მისალოც დეპეშაში „ძვირფასო მეგობარო“-ს არ გასცდა. ეს კი იმაზე მიუთითებდა, რომ პეტერბურგს ახსოვდა საფრანგეთის იმპერატორისათვის საძულველი ვენის კონგრესის გადაწყვეტილებების ის მუხლი, რომელიც ბონაპარტების ოჯახის ნებისმიერ შთამომავალს ერთხელ და სამუდამოდ უკრძალავდა საფრანგეთის ტახტის დაკავებას. ცხადი იყო, რომ პეტერბურგი არ სცნობდა საფრანგეთის ახალი იმპერატორის ლეგიტიმურობას. უკანასკნელის გათვალისწინებით გასაკვირი არ იყო, რომ როგორც კი მორიგ ნაპოლეონს შანსი მიეცა „ერთი გასროლით მოეკლა რამდენიმე კურდღელი“, ანუ თურქეთის ტერიტორიაზე ქრისტიანებზე ზრუნვით რომის პაპის გული მოეგო და თანაც რუსეთიც დაემცირებინა, მან ხელიდან არ გაუშვა ასეთი შესაძლებლობა. დიპლომატიური კოლიზია კი იმაში მდგომარეობდა, რომ პარიზიცა და პეტერბურგიც საერთაშორისო ხელშეკრულებებით აპელირებდნენ; საფრანგეთს ჯერ კიდევ რიშელიეს დროს ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება თურქეთთან, რომლის ძალითაც მას პალესტინის ქრისტიანული ძეგლების კონტროლისა და მათზე ზრუნვის უფლება გააჩნდა, რუსეთს კი ზუსტად ანალოგიურ უფლებას ანიჭებდა იგივე თურქეთთან 1757 და 1774 წლების ხელშეკრულებები. საფრანგეთმა მოითხოვა კათოლიკე ბერებისათვის გადაეცათ ბეთლე-



ნაპოლეონ III
(1808-1870)
საფრანგეთის იმპერატორი
1852-1870 წლებში

მის მართლმადიდებლური ეკლესიის გასაღები, რუსეთის იმპერატორის აზრით კი, გასაღები ადგილობრივ მართლმადიდებლური თემის განკარგულებაში უნდა დარჩენილიყო.

თურქეთს არც ერთი მხარის განაწყენება არ სურდა და სოლომონ ბრძენის ტაქტიკა აირჩია – ორივე მხარეს შეპირდა მათი პრეტენზიების დაკმაყოფილებას. ცხადია, მალე გაირკვა თურქული დიპლომატიის საფირმო ოინი და საფრანგეთის იმპერატორმა 1841 წლის ივლისის ლონდონის კონვენციის დარღვევით, სტამბოლის რეიდზე 90-ქვემეხიანი სამხედრო გემი დააყენა. სულთანს სხვა გზა აღარ ჰქონდა და 1852 წლის დეკემბერში ტაძრის (ფაქტიურად კი ომის) გასაღები ფრანგებს გადასცა. რუსეთის პასუხმაც არ დააყოვნა და მეფემ ჯარების კონცენტრაცია დაიწყო მოლდავეთისა და ვალახეთის საზღვრებზე.

ეს იყო პირველი სერიოზული კრიზისი ვენის კონგრესის შემდეგ, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაზრდილიყო და არც გადაიზრდებოდა ომში მეტერნიხის ეპოქაში. ერთ ევროპულ კონგრესს გართულებების გარეშე შეეძლო გადაეჭრა ავბედითი გასაღების კურიოზული პრობლემა, მაგრამ საქმეც ის იყო, რომ კონგრესების სისტემის ერთ-ერთი წევრი-სახელმწიფოს უზურპატორ-იმპერატორს ჭირის დღესავით სძულდა ვენის კონგრესიც და მისი სისტემაც. ლუი ნაპოლეონ III ბონაპარტე მშვენივრად ხედავდა, რომ ვენის სისტემის მთავარი ამოცანა მისი ქვეყნის შეკავება იყო, ხოლო მისი ამოცანა – ამ სისტემის სრული დემონტაჟი. სიტუაცია კი აბსურდული სცენარით ვითარდებოდა: ელემენტარული გათვლითაც ნათელი იყო, რომ თუკი რამე უნდა ყოფი-



კარლ ნესელროდე
(1780 – 1862 წ.წ.)
რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი
1816-1856 წლებში

ლიყო იმდროინდელი რუსეთისათვის არასასურველი და არახელსაყრელი, პირველ რიგში ეს ომი იყო. ქვეყნის არც სამხედრო და არც ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლეოდა ევროპის რომელიმე დიდ სახელმწიფოსთან წარმატებული სამხედრო კონფლიქტის შანსს.

საოცარია, რომ პეტერბურგის სამეფო კარზე არ მოიძებნა თუნდაც ერთი რეალისტი დიპლომატი, რომელიც გაბედავდა და შესძლებდა საკუთარ შესაძლებლობებსა და მითიურ მოკავშირეებში უზომოდ დარწმუნებული მონარქის ამბიციების დაცხრომას. ხომ იყო რეალისტურად გულწრფელი კანცლერი კარლ ნესელროდე ინგლისში რუსეთის ელჩთან პირად მიმოწერაში, როდესაც პესიმისტურად განიხილავდა მომავალ ომში რუსეთის შანსებს? „რუსეთს მარტოს მოუწევს მოკავშირეების გარეშე მთელ ევროპასთან ომიო", – წერდა კანცლერი ელჩ ბრუნოვს. სწორედ ის იყო რუსეთის ისტორიული ტრაგედია, რომ კატასტროფული კარიერული რისკის გარეშე ვერავინ გაბედავდა თვითმპყრობელ ხელმწიფესთან შეკამათებას. ასეთ რისკზე კი არავის სურდა წასვლა. მწარედ ცდებოდა ნიკოლოზ I, როდესაც შეუძლებლად თვლიდა ინგლის-საფრანგეთის კავშირს და ავსტრიისა და პრუსიის მადლიერების იმედზე იყო. ნესელროდე კი არ ცდებოდა, როდესაც ვარაუდობდა, რომ ინგლისის პრემიერი აბერდინი საღი გონებით გათვლიდა და საფრანგეთთან ერთჯერად კავშირს ამჯობინებდა საკუთარ ინტერესთა სფეროში რუსეთის გაძლიერებას. რასაკვირველია, შეეძლო ნესელროდეს ეცადა იმპერატორის გადარწმუნება, მაგრამ როგორც გამოცდილმა კარისკაცმა, იცოდა თუ რა ძვირად დაუჯდებოდა მას ასეთი მცდელობა. პეტერბურგში ხომ მაღალი რანგის მოხელე მანამდე ინარჩუნებდა თავის პოსტს, სანამ მისი ხედვა და პოზიცია ერთი-ერთზე ემთხვეოდა იმპერატორისას. ნესელროდეზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, იგი არავითარ შემთხვევაში არ გაგზავნიდა თურქეთში რთული დიპლომატიური მისიით 1853 წლის თებერვალში დიპლომატიაში სავსებით გამოუცდელ თავად მენშიკოვს, რომელსაც სულთანი უნდა დაერწმუნებინა ეცნო ელადის ეკლესიის უფლებები პალესტინაში და ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრებ 12 მილიონ ქრისტიანზე რუსეთის მფარვე-

ლობა ეღიარებინა. ყველაფერი ეს კი სპეციალური ხელშეკრულებით უნდა გაფორმებულიყო. რუსეთის იმპერატორი არ მალავდა, რომ მას ომი სწადდა. განსხვავებული იყო პარიზისა და ლონდონის რეაგირება პეტერბურგის დემარშზე: საფრანგეთის იმპულსურმა და „მჩატე“ იმპერატორმა სამხედრო ესკადრა გაგზავნა ეგეოსის ზღვაში, ფრთხილმა და მოსალოდნელ შედეგთა გათვლის ერთგულმა ინგლისელებმა ახალი ელჩი სტრადფორდ-რედკლიფი მიავლინეს სტამბოლში და სულთანს ურჩიეს ნაწილობრივ მაინც დაეკმაყოფილებინა რუსეთის მოთხოვნები, ომის შემთხვევაში კი სამხედრო დახმარებას შეჰპირდნენ. რუსეთს „ნაწილობრივი“ არაფერი არ აკმაყოფილებდა და დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტასთან ერთად, ჯარიც შეიყვანა თურქეთის ქვეშევრდომ დუნაის სამთავროებში. თურქეთის საპროტესტო ნოტის შედეგად ვენაში შეკრებილმა ავსტრიის, საფრანგეთისა და პრუსიის წარმომადგენლებმა, სამთავროებიდან რუსეთის ჯარის გაყვანა მოითხოვეს მისი მოთხოვნების დაკმაყოფილების სანაცვლოდ – კერძოდ კი რუსეთს ჰპირდებოდნენ თურქეთში მცხოვრებ მართლმადიდებელთა და პალესტინის წმინდა ადგილების მფარველობის ნომინალურ უფლებას. გარიგება სახის შენარჩუნების საშუალებას აძლევდა რუსეთის იმპერატორს და ისიც დათანხმდა. ინგლისის დახმარების იმედით გათამამებული სულთანი არ დაეთანხმა გარიგების პირობებს და მისი კორექტირება მოითხოვა, რაზეც უკვე რუსეთის იმპერატორი აღარ დათანხმდა. სულთანი, აბდულ-მეჯიდ I მიხვდა, რომ მას რუსებისათვის „ჭკუის სწავლების“ განუმეორებელი შანსი ეძლეოდა და 1853 წლის 4 ოქტომბერს ომი გამოუცხადა პეტერბურგს.

ყირიმის ომის პერიოდში ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკას ლორდი ჰენრი პალმერსტონი წარმართავდა. მისი კურსის განმსაზღვრელი ვექტორი რუსეთის დასუსტება იყო, რის შედეგადაც უნდა აღმდგარიყო პოლონეთის სამეფო როგორც რუსეთსა და გერმანიას (და არა პრუსიას) შორის ბარიერი; ავსტრიას, რომელიც არ ომობდა, მაგრამ ომით ემუქრებოდა რუსეთს, მოლდავეთი და ვალახეთი უნდა მიეღო, ხოლო ლომბარდია და ვენეცია სარდინიის სამე-

ფოსათვის დაეთმო. თურქეთისათვის უნდა გადაეცა რუსეთს ყირიმი და კავკასია, სადაც თურქეთის ვასალი ჩერქეზების სახელმწიფო უნდა დაარსებულიყო. ყველაფერ ამას კი ლონდონის კაბინეტი განიხილავდა როგორც „ცივილიზაციის ბრძოლას ბარბაროსებთან“.

ჰენრი პალმერსტონისაგან განსხვავებული გეგმები გააჩნდა საფრანგეთის იმპერატორს: მას ფანტაზიად მიაჩნდა რუსეთის დაქუცმაცების იდეა, თუმცა ჩუმად ყოფნას ამჯობინებდა. გარდა ამისა, ომის პირველსავე დღეებში გაირკვა, რომ შეცდა პალმერსტონი, როდესაც იოლ გასეირნებად ჩათვალა სევასტოპოლის აღება: ერთ კვირაში იყო ნავარაუდები შავ ზღვაზე რუსეთის მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზის აღება, სევასტოპოლი კი მთელი წელიწადი იცავდა თავს. პალმერსტონის გეგმის ერთადერთი პუნქტი, რომელიც ნაპოლეონ მესამის სიმპატიას იწვევდა, ეს იყო პოლონეთის განთავისუფლება, მაგრამ სწორედ ეს საკითხი აღმოჩნდა ყველაზე რთული, ვინაიდან ბერლინისა და ვენის წინააღმდეგობას წააწყდა, ხოლო უკანასკნელთა დახმარება საფრანგეთის იმპერატორს ვენის კონგრესის სისტემის დასამსხვრევად ჰაერივით სჭირდებოდა. არც რუსეთის უზომო დასუსტება და ინგლისის კიდევ უფრო გაძლიერება არ შედიოდა საფრანგეთის ინტერესებში. ამიტომაც იყო, რომ როგორც კი მოკავშირეებმა სევასტოპოლის სამხრეთი ნაწილი დაიკავეს და პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო ბაზის ბედი, ნაპოლეონ III პალმერსტონის გეგმის საწინააღმდეგოდ ამუშავდა და შეუძლებელი გახადა მისი რეალიზება.

1854 წელს, სამხედრო ოპერაციების პარალელურად, ვენაში დიპლომატიური მოლაპარაკებები დაიწყო. ინგლისისა და საფრანგეთის მოთხოვნა იყო სევასტოპოლის ბაზის ლიკვიდაცია, რუსეთისათვის სამხედრო ფლოტის აკრძალვა შავ ზღვაზე და უარის თქმა როგორც მოლდავეთისა და ვალახეთის პროტექტორატზე, ასევე სულთანის ქრისტიანი ქვეშევრდომების მფარველობაზე. წლის ბოლოსათვის ავსტრიამ უკვე ოფიციალურად გამოაცხადა თავი ინგლისისა და საფრანგეთის მოკავშირედ, ხოლო 1855 წლის თებერვალში, მოკავშირეებს 15-ათასიანი არმიით სარდინიის სამეფოც შეუერთდა. როდესაც 1855 წლის 18 თებერვალს იმპერატორი ნიკოლოზ I მოულოდნელად

გარდაიცვალა. ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. არ გამეორდა 1812 წლის პრეცედენტი, როდესაც რუსეთმა მარტომ გარეკა თავისი ტერიტორიიდან ნაპოლეონის დროშის ქვეშ გაერთიანებული ნახევარი ევროპის ჯარები. 1855 წლის დეკემბერში, უკვე ავსტრიამ წაუყენა რუსეთს 5 პუნქტისაგან შემდგარი ულტიმატუმი: 1. ვალახეთსა და სერბეთზე რუსეთის პროტექტორატი ევროპის დიდი სახელმწიფოების საერთო პროტექტორატით უნდა შეცვლილიყო; 2. დუნაის სათავეებზე უნდა დაწესებულიყო თავისუფალი ნაოსნობა; 3. რუსეთთან ერთად თურქეთსაც უნდა აკრძალვოდა შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლა და სანაპიროებზე გამაგრებული პუნქტები, არავის ესკადრას არ უნდა ჰქონოდა უფლება ბოსფორისა და დარდანელის გავლით შესულიყო შავ ზღვაში; 4. რუსეთს უარი უნდა ეთქვა თურქეთის ქრისტიანების მფარველობაზე; 5. რუსეთს მოლდავეთისათვის უნდა დაეთმო ბესარაბიის მიმდებარე ნაწილი.

მალე რუსეთის ახალმა იმპერატორმა პრუსიის მეფის წერილიც მიიღო მოთხოვნით დათანხმებულიყო ავსტრიის ულტიმატუმს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისიც ომით იმუქრებოდა. რუსეთი იძულებული გახდა დაეთმო. 1856 წლის 13 თებერვალს დაწყებული პარიზის სამშვიდობო კონფერენცია 18 მარტს დასრულდა ზავზე ხელის მოწერით. მოვა დრო (1866 და 1870 წლები) და, ვენაც და პარიზიც მწარედ ინანებს რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებას. ორივე შემთხვევაში მხოლოდ რუსეთს შეეძლო ბისმარკის შეჩერება (თანაც ომის გარეშე, მხოლოდ დიპლომატიური დემარშით), მანამდე კი რუსეთმა თურქეთს ყარსი დაუბრუნა; ნეიტრალურად ცხადდებოდა შავი ზღვა, ანუ გახსნილი იქნებოდა კომერციული ნაოსნობისათვის და დახურული სამხედრო გემებისათვის; დუნაიზე წესდებოდა თავისუფალი ნაოსნობის რეჟიმი, რის გამოც მოლდავეთს გადაეცა რუსეთის ტერიტორიის ნაწილი; რუსეთი კარგავდა 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის ზავით მოპოვებულ პროტექტორატის უფლებას მოლდავეთსა და ვალახეთზე, ასევე განსაკუთრებულ სტატუსს თურქეთის ქრისტიანთა მფარველობაზე; რუსეთს ეკრძალებოდა გამაგრებული პუნქტების დაარსება ალანდის კუნძულებზე. რუსეთისათვის ყველაზე კატასტრო-

ფული შედეგი, ცხადია შავ ზღვაზე ფლოტის აკრძალვა და ბალკანეთისაკენ მიმავალი გზის გადაკეტვა იყო.

ომმა რუსეთის ფინანსები მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა (რუსეთს 800 მილიონი რუბლი დაუჯდა ომი, ინგლისს – 76 მილიონი გირვანქა სტერლინგი). მხოლოდ 1870 წელს შეძლო რუსეთმა უდეფიციტო ბიუჯეტზე გასვლა და 1897 წელს – რუბლის საერთაშორისო კონვერტაციის აღდგენა. ომმავე დააჩქარა ბატონყმობის გაუქმება და 1860-1870-იანი წლების რეფორმები.

იმის გამო, რომ ომი არც ისეთი წარმატებით დასრულდა, როგორც ლონდონში იმედოვნებდნენ, პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა აბერდინის კაბინეტს და პრემიერი გახდა პალმერსტონი.

გარდა იმისა, რომ ომმა ტერიტორიული და მატერიალური ზარალი მოუტანა რუსეთს, მან მთელი სიგრძე-სიგანით წარმოაჩინა როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკური კურსის მანკიერება და ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან შეუთავსებლობა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ საიმპერატორო კარის ფრეილინებიც კი აღშფოთდნენ: აი, რას წერდა თავის დღიურში ერთ-ერთი მათგანი ანასტასია ტიუტჩევა: „ოცდაათი წელია, რაც რუსეთი ჯარისკაცობანას თამაშობს. დროს ატარებს სამხედრო წვრთნებსა და აღლუმებში, ერთობა დათვალიერებებით, აღფრთოვანებულია მანევრებით, გასაჭირის წამს კი მოუმზადებელი და დაუცველი ხვდება“ (33). საზოგადოებრივი აზრის რისხვის ობიექტად კი ძირითადად ავსტრია იქცა, რომელმაც მაქსიმალურად ისარგებლა ნიკოლოზ პირველის დახმარებით 1849 წელს, ხოლო ყირიმის ომის დღეებში ომითაც კი დაემუქრა.

1856 წლის 15 აპრილს, იმპერატორ ალექსანდრე მეორის რესკრიპტით, საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ალექსანდრე გორჩაკოვი, შემდგომში, ალბათ, რუსეთის საუკეთესო დიპლომატი. ორმოცი წელი იყო მინისტრი მისი წინამორბედი ნესელროდე – მომზადებული და ფრთხილი, ჭკვიანი დიპლომატი, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმპერატორის ნებისა და ბრძანებების მორჩილი და პუნქტუალური შემსრულებელი. რუს მკვლევართა აზრით, გორჩაკოვი იყო ერთადერთი მინისტრი, რომელიც პირადად განსაზღვრავდა ქვეყნის

საგარეო პოლიტიკურ კურსს. არც მანამდე და არც მის შემდეგ, ასეთი რამ აღარ მომხდარა. უცხოეთში რუსეთის საელჩოებისა და მისიებისადმი გაგზავნილ ცირკულარში ახალი მინისტრი წერდა: „ამბობენ, რომ რუსეთი ბრაზობს. რუსეთი კი არ ბრაზობს, რუსეთი ძალებს იკრებს“ („როსსია სოსრედოტოჩივაეტსია“). ისტორიაში შესული ეს ფრაზა იმის მაუწყებელი იყო, რომ რუსეთი ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდისათვის ემზადებოდა და ძალებს იკრებდა ომით დაკარგულის მშვიდობიანად დასაბრუნებლად. დაიწყო საგარეო პოლიტიკური კურსის ძირფესვიანი გადასინჯვა, განახლება და პრიორიტეტების რიგითობის ცვლა. მინისტრის პოსტზე თავისი საქმიანობის პირველივე წლის ანგარიშში, ცხადია, მთავარი შემოქმედის დასახელების გარეშე, მკაცრად იყო გაკრიტიკებული ნიკოლოზ პირველის საგარეო პოლიტიკა: კერძოდ კი, მოურიდებლად იყო აღნიშნული, რომ დიდი ხნის მანძილზე იყო შებოჭილი საგარეო პოლიტიკა „ტრადიციებით, მოგონებებითა და ინტიმური კავშირებით“. მკაცრი, მაგრამ ობიექტური იყო დასკვნაც: „ტრადიციული სიმპათიებისადმი შემდგომ ერთგულებას ჩვენი გადაუდებელი ინტერესების კომპრომეტირება შეუძლია“ (38). საღვთო კავშირის ნანგრევებიდან გამონთავისუფლებულმა რუსეთმა უცებ აღმოაჩინა, რომ საიმედო მოკავშირისა და გულწრფელი მეგობრის გარეშეა დარჩენილი. ინგლისი ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა – შავი ზღვით დაწყებული და წყნარი ოკეანით დამთავრებული – დაუღალავად ცდილობდა რუსეთის პოზიციების შესუსტებას, ვენამ ისე აშკარად ურცხვად და ცინიკურად გამოავლინა თავისი ზრახვები ყირიმის ომის პერიოდში, რომ პეტერბურგში ავსტრიის მიმართ მდგრადმა უარყოფითმა განწყობილებამ დაისადგურა. „ვენა ჩვენი მოწინააღმდეგეების პირველ რიგებშია“, – წერდნენ თავიანთ ანგარიშებში რუსი დიპლომატები. რუსეთის ტრადიციულ მხარდაჭერას მოკლებული, საფრანგეთთან ურთიერთობებგაფუჭებული, პრუსიიდან კარგი არაფრის მომლოდინე ავსტრიას ისღა დარჩენოდა, რომ ლონდონის იმედზე ყოფილიყო და უკანასკნელის პოლიტიკის ადეპტად ქცეულიყო, თანაც ყოველგვარი მადლიერებისა და დაფასების გარეშე.



ვილჰელმ II კაიზერი
(1859-1941)
გერმანიის იმპერატორი
1888-1918 წლებში

საერთო სურათიდან გამომდინარე, გორჩაკოვმა რუსეთის დიპლომატიას კონკრეტული ამოცანა დაუსახა: ყირიმის ზავის მძიმე პირობების გაუქმება და ბალკანეთში ძველი გავლენის აღდგენა. საიდუმლოს არ წარმოადგენდა, რომ გავლენიანი მოკავშირის გარეშე რუსეთი ვერ შესძლებდა ევროპის წამყვან სახელმწიფოთა მიერ გარანტირებული ხელშეკრულების გაუქმებას. უკანასკნელ საკითხში კი იმპერატორი და მისი მინისტრი განსხვავებულ პოზიციებზე აღმოჩნდნენ – იმპერატორს პრუსიისკენ მიუწევდა გული, მინისტრს კი ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გერმანიის გაერთიანების გზაზე მდგარი პრუსია ადრე თუ გვიან საფრანგეთს დაეტაკებოდა. ასეთ ვითარებაში, როგორც მინიმუმი, ინგლისის კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტი მაინც უნდა ყოფილიყო გარანტირებული რუსეთის დიპლომატიისათვის. ამავე პერიოდში შედგა ქორწინება პრუსიის ტახტის მემკვიდრე ფრიდრიხ ვილჰელმსა და ინგლისის დედოფალ ვიქტორიას ქალიშვილს შორის, რაც პრუსიაში უდიდეს დიპლომატიურ გამარჯვებად აღიქვეს. ლოგიკურმა გათვლებმა და გამორიცხვის თეორიამ გორჩაკოვი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ყირიმის ჩიხიდან გამოსვლა მხოლოდ საფრანგეთთან თანამშრომლობით იყო შესაძლებელი. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მეფესთან დისკუსიაში მინისტრმა გაიმარჯვა და თავისი გაიტანა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მინისტრის მხარეზე იყო რუსეთში მუდამ არსებული სიმპატია საფრანგეთისადმი, რასაც ვერც პირველმა

ნაპოლეონმა მოულო ბოლო და ვერც მესამემ. ჯერ კიდევ 1717 წელს, პარიზში ვიზიტით ყოფნისას, პეტრე I დაბეჯითებით სთავაზობდა ფრანგებს სტრატეგიულ კავშირს, მაგრამ იმ დროს პარიზს შვედეთთან კავშირი უფრო ხიბლავდა, რამაც დიდი ვერაფერი სარგებელი ვერ მოუტანა საფრანგეთის ინტერესებს. რაც შეეხებოდა თვითონ საფრანგეთს, 1856 წლისათვის ნაპოლეონ III თავისი პოპულარობის ზენიტში იმყოფებოდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ. იგი არც იმდენად გულუბრყვილო იყო, რომ ერთი პიკანტური დეტალი ვერ შეემჩნია: სევასტოპოლი ფრანგებმა აიღეს, შედეგით კი თურქეთმა და ავსტრიამ ისარგებლა, რომელთა ზურგს უკანაც ინგლისი იდგა. რუსულ დიპლომატიას ყოფილ მოკავშირეთა შორის პოტენციურად არსებულ წინააღმდეგობებზე პედალირების იშვიათი შანსი ეძლეოდა. საფუძვლიანად კორექტირებული პრიორიტეტებით მოდერნიზებული რუსული დიპლომატია უკვე ყოველგვარი პირადული სიმპათია-ანტიპათიის გარეშე ცდილობდა საფრანგეთთან საქმიანი, მხოლოდ საკუთარი ინტერესებით და არა იდეოლოგიურ-სოციალური მოტივაციების გავლენით განპირობებული პოლიტიკური კურსი გაეტარებინა პარიზთან ურთიერთობებში.

მას შემდეგ, რაც ნაპოლეონ III-მ გადაწყვიტა, რომ ყირიმში 1812 წლის რევანში უკვე აიღო, რუსეთთან ფართომასშტაბიანი კავშირის რეალიზებას ისიც მისთვის დამახასიათებელი ნაჩქარევი და ბოლომდე გაუაზრებელი ენთუზიაზმით შეუდგა. დასაწყისისათვის ნაპოლეონმა თავისი განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი შინაგან საქმეთა მინისტრი და ერთდროულად პუძუმტე, გრაფი მორნი მიავლინა პეტერბურგში ალექსანდრე II-ის კორონაციაზე. გზად გრაფმა ვილდბადში შეიარა, სადაც რუსეთის გარდაცვლილი იმპერატორის ქვრივი ალექსანდრა ისვენებდა. მასთან საუბრის შედეგად ფრანგ ემისარს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ პეტერბურგში არცთუ სუსტი იყო პრუსიისადმი სიმპათიები, პეტერბურგში ჩასული კი გააოცა იმ სითბომ და პატივმა, მის მიმართ რომ გამოავლინა ახალმა იმპერატორმა და მისმა უახლოესმა გარემოცვამ. უმაღლეს დონეზე მოულოდნელმა მიღებამ ისე აღაფრთოვანა მორნი, რომ დიპლომატიის

ყველა კანონის იგნორირებით (ის ხომ არც იყო დიპლომატი), გულახდილობის ექსტაზმა გაიტაცა და უცებ დააფრთხო ალექსანდრე საკუთარი იმპერატორის დანაბარები ექსტრავაგანტური წინადადებით – ორ იმპერატორს ერთად მოეხდინათ 1815 წლის ხელშეკრულებების მთელი პაკეტის გადასინჯვა. რუსეთის ახალი იმპერატორი დიდი დიპლომატიური ალღოთი არ გამოირჩეოდა, მაგრამ ისიც კი მიხვდა, რომ ყირიმის ლოკალური ტრიუმფით თავბრუდახვეული ფრანგი კოლეგა ევროპას მისი დიდი ბიძის დროინდელ საზღვრებში უპირებდა დაბრუნებას. უკანასკნელი კი, არც მეტი, არც ნაკლები, ევროპული ომების ახალ სერიას მოასწავებდა რუსეთისათვის ერთობ საეჭვო პერსპექტივიდ. ალექსანდრეს ისიც ახსოვდა, რომ ინგლისის ელჩთან საუბარში დაშვებულმა მამამისის დაუდევრობამ ყირიმის ომი დააჩქარა. საბოლოო ჯამში გაურკვეველი პასუხით დაბრუნდა პარიზში გრაფი მორნი. ნაპოლეონი ამ დროს ავსტრიელ ჰაბსბურგებთან აპირებდა ძველი ანგარიშის გასწორებას (მათ ხომ ცოლი და შვილი წაართვეს ბიძამისს). ავსტრიელების გაყრა იტალიიდან კიდევ ერთი რევანში იქნებოდა. იმდროინდელი ფრანგული დიპლომატიის მთავარი ნაკლი ის იყო, რომ ქვეუნის მმართველ იმპერატორს არც რამდენიმე სვლის გათვლა არ შეეძლო და არც ლოდინი. იმის გამო, რომ ის არასოდეს აცლიდა პრობლემებს „დამწიფებას“, მუდამ წაგებული რჩებოდა გრძელვადიან შედეგში, რამაც დაღუპა კიდეც საბოლოო ჯამში.

1857 წელს ნაპოლეონმა ალექსანდრესთან შეხვედრა აიკვიატა რისი ორგანიზებაც ვიურტემბერგის მეფემ ითავა და ორივე იმპერატორი შტუტგარტში მიიწვია საკუთარ იუბილეზე. შეხვედრის ატმოსფერო რუსეთის იმპარატორმა დაძაბა როდესაც ნაპოლეონის არადიდგვაროვან მეუღლესთან შეხვედრა იუკადრისა. ისე კი, ორი იმპერატორის ფლირტი თავიდანვე იყო განწირული: ნაპოლეონს ბიძამისის დროინდელ საზღვრებზე სურდა ალექსანდრესთან შეთანხმება (რეინისა და ალპების გასწვრივ), უკანასკნელს კი მხოლოდ 1856 წლის პარიზის ზავის შედეგების გადასინჯვა აინტერესებდა, რაზეც უხალისოდ რეაგირებდა საფრანგეთის იმპერატორი. როდესაც ნაპოლეო-

ნი პოლონეთის საკითხსაც გადასწვდა და კოლეგას პოლონელებთან ურთიერთობაში „ბრძნული და კეთილგანწყობილი“ პოლიტიკა ურჩია, ალექსანდრეს მოთმინების რესურსიც ამოიწურა – „ჩემთან პოლონეთზე საუბარი დაბედეს“ – ასეთი იყო გაცოფებული მონარქის კომენტარი. რაც შეეხებოდა ავსტრიასთან ურთიერთობის საკითხს, აქაც კატეგორიული იყო რუსეთის პოზიცია: იგი აღარასოდეს არ გაიმეორებდა 1849 წლის შეცდომას და აღარასოდეს არ იომებდა სხვისი ინტერესების დასაცავად. მაქსიმუმი, რითაც უნდა დაკმაყოფილებულიყო ფრანგული მხარე, ეს იყო რუსეთის კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტი. სანაცვლოდ ნაპოლეონმა პირობა დადო, რომ სათანადო ინსტრუქციებს დაუგზავნიდა საკუთარ ელჩებს ბალკანეთში რუსეთის ინტერესების დაცვის თაობაზე. შტუტგარტის შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პეტერბურგისათვის საღვთო კავშირი განვლილი ეტაპი იყო, რომლისკენაც მიბრუნებას ის აღარ აპირებდა. საქმე კი შემდეგში იყო: ალექსანდრეს გერმანელმა ნათესავებმა რატომღაც გადაწყვიტეს, რომ ხელსაყრელი მომენტი შეიქმნა საღვთო კავშირის სამი ბურჯის – რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის მონარქთა შეხვედრისა და ძველი კონსერვატიული სამხედრო-პოლიტიკური ტრიუმვირატის რეანიმაციისათვის. როგორც კი გერმანელ წვრილფეხა მონარქთა (ჯერ არ იყო დამდგარი ბისმარკის ერა) უადგილო ინიციატივამ გორჩაკოვის ყურამდე მიაღწია, რუსეთის მინისტრმა ცივი წყალი გადაასხა არამკითხე „საინიციატივო ჯგუფს“ – ყველას გასაგონად განაცხადა, რომ არანაირ ახალ კავშირზე ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა. „გათვითცნობიერებულმა“ პრუსიის მეფემ თავად თქვა უარი შეხვედრაში მონაწილეობაზე, ხოლო რუსეთისა და ავსტრიის იმპერატორის შეხვედრა კი უკანასკნელისათვის იმდენი დამამცირებელი წინაპირობების (ვენას ოფიციალურად უნდა განეცხადებინა, რომ იგი იყო შეხვედრის ინიციატორი, შეხვედრას არ უნდა დასწრებოდა რუსეთისათვის საძულველი ავსტრიის კანცლერი ბოული და ა.შ.) ფონზე გაიმართა, რომ წინასწარვე ცხადი იყო მისი შედეგები. ვეიმარში გამართული ხანმოკლე შეხვედრის მსვლელობაში ავსტრიის იმპერატორი უშედეგოდ შეეცადა რუსების დარწმუნებას, რომ „უბე-

დური აღმოსავლეთის საკითხის“ გარდა, ორ იმპერიას შორის სხვა არანაირი წინააღმდეგობა არ არსებობდა. არც „რბილ“ შანტაჟსა და დემაგოგიას არ მოერიდა ავსტრიის იმპერატორი ფრანც-იოსები: რაკი ვენაცა და პეტერბურგიც კონსერვატიული პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ საშინაო პოლიტიკაში, ბუნებრივი იქნებოდა, რომ იგივე პრინციპები განევრცოთ საგარეო ურთიერთობათა სფეროშიც. რუსეთის იმპერატორის პასუხი (სინამდვილეში მისი საგარეო საქმეთა მინისტრის) ცივი და კატეგორიული იყო: რუსეთისათვის „აღმოსავლეთის საკითხი“ გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე ერთად აღებული ყველა სხვა დანარჩენი. „ვენამ შეიგნო, რომ ჩვენს შორის გაჩნდა გადაულახავი უფსკრული – სლავური ტომების საკითხი“, – კატეგორიული იყო გორჩაკოვის კომენტარი (34).

შტუტგარტისა და ვეიმარის შეხვედრებიდან ერთი წლის შემდეგ, ნაპოლეონ III იტალიური პროექტის განხორციელება დაიწყო და საიდუმლო მოლაპარაკებები წამოიწყო პეტერბურგთან; თუ რუსეთი საფრანგეთთან ერთად ჩაებმებოდა ავსტრიასთან ომში, ის პრიზის სახით მიიღებდა გალიციას და 1856 წლის ხელშეკრულების ის მუხლებიც გაუქმდებოდა, შავ ზღვასა და ბესარაბიას რომ შეეხებოდა. ერთი შეხედვით შემოთავაზება მაცდუნებელი იყო: რუსეთს ხომ წესად არ ჰქონია უარი ეთქვა ამა თუ იმ ახალ ტერიტორიულ შენაძენზე. ის ფაქტი, რომ პეტერბურგში შორს დაიჭირეს თავი ნაპოლეონის გრანდიოზულ-ავანტურისტულ გეგმებში მონაწილეობისაგან, ახალი პრიორიტეტების კიდევ ერთი დადასტურება იყო. გორჩაკოვს ხანგრძლივი მშვიდობა სჭირდებოდა საშინაო პრობლემების დასარეგულირებლად (ის უკვე კანცლერიც იყო) და ახალ-ახალი ომები მის გეგმებში არ შედიოდა. ერთადერთი პუნქტი, სადაც შეიძლებოდა შეთანხმება, ყირიმის ომის შედეგების გადასინჯვა იყო, მაგრამ გორჩაკოვის კონტრწინადადებაზე, რომ სწორედ ამ პრობლემის ლიკვიდაციით დაწყებულიყო ფართომასშტაბიანი თანამშრომლობა პარიზსა და პეტერბურგს შორის, ტიულრის სასახლე არ წავიდა. არც სიტუაცია იყო ხელსაყრელი რუსეთისათვის: 1815 წლის ხელშეკრულებებით გარანტირებული ძალთა თანაფარდობის დარღვევისა და ევროპაში

საფრანგეთის ჰეგემონიის აღდგენის სანაცვლოდ მას სთავაზობდნენ პრობლემურ გალიციასა და ზოგად პერსპექტივას 1856 წლის ხელშეკრულებების გადასინჯვაზე. ყველაფერთან ერთად, როგორც მოსალოდნელი იყო, საფრანგეთთან წარმოებული მოლაპარაკებები არცთუ მთლად საიდუმლო აღმოჩნდა და ლონდონის რეაქციამაც არ დააყოვნა: პრემიერმა პალმერსტონმა კატეგორიულად გააფრთხილა ევროპელი პარტნიორები, რომ ინგლისი არ დაუშვებდა 1815 წლის ტრაქტატის გადასინჯვას. თავის მხრივ, სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა ავსტრიამ. ადეკვატური იყო გორჩაკოვიც, რომელმაც არაორაზროვნად აუხსნა საფრანგეთის ელჩს, რომ ნიკოლოზ პირველის დილეტანტური და გულუბრყვილო რუსული დიპლომატიის დრო წარსულს ჩაბარდა: „რაც ჩვენ გვსურს, იმის მოცემა არც თქვენ შეგიძლიათ და არც ავსტრიას“, – ასეთი იყო მისი ლაკონური რეზიუმე (35). პეტრე დიდიდან მოყოლებული რუსეთის დიპლომატიამ პირველად შეძლო მოკავშირეთა ინტერესებზე მაღლა დაეყენებინა საკუთარი ინტერესები, როდესაც 1859 წლის 3 მარტს პარიზში ხელმოწერილი, ე.წ. სამოკავშირეო ხელშეკრულებით საფრანგეთთან ურთიერთობაც შეინარჩუნა და დიდი ომიც თავიდან აიცილა. ნაპოლეონი კი იძულებული იყო ავსტრიასთან მომწიფებულ ომში რუსეთის მხოლოდ კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტით დაკმაყოფილებულიყო.



ვიქტორია
(1819–1901)
დიდი ბრიტანეთის დედოფალი
1837-1901

გორჩაკოვმა შესძლო ავსტრია-საფრანგეთის შეტაკების ლოკალური ხასიათის გარანტირება, მაგრამ არ გამართლდა მისი იმედი ომის შემდეგ 1856 წლის ხელშეკრულებების გადასინჯვაზე: ნაპოლეონი ისეთივე სისწრაფითა და დაუდევრობით ივიწყებდა საკუთარ დაპირებებს, როგორც არიგებდა. გორჩაკოვს კი ისღა დარჩა წყენის გასაქარვებლად, რომ სა-

ფრანგეთის იმპერატორი ზუსტად ასევე მოექცა თავის იტალიელ მოკავშირეებსაც: როგორც კი 1859 წლის ზაფხულში რამდენიმე ბრძოლაში დაამარცხა ავსტრიელები, იტალიელი მოკავშირეების ზურგს უკან, სამოკავშირეო პირობების სრული იგნორირებით დაუზავდა ავსტრიას და ორი მშვენიერი პროვინცია – ნიცა და სავოია მიიერთა. რაც შეეხებოდა რუსეთს, გორჩაკოვის მთავარი საზრუნავი ბალკანეთის პრობლემა იყო. პეტერბურგში სამართლიანად მიაჩნდათ სერიოზულ პოტენციურ რესურსად თურქეთის ბატონობაში მყოფი 11 მილიონი ქრისტიანი. მართალია, ევროპულ სახელმწიფოთა ზეწოლით 1856 წლის 18 თებერვალს სულთანი იძულებული გახდა „ჰატი ჰუმაუნით“ (უზენაესი ბრძანებულებით) მუსულმანებისა და ქრისტიანების თანაბარი უფლებები ეღიარებინა, მაგრამ ბრძანებულება მუსულმანებმა გაღიზიანებითა და აგრესიით მიიღეს, ქრისტიანებმა კი – ცივი უნდობლობით, რის გამოც ყველაფერი ძველებურად დარჩა.

როცა ევროპის წამყვანი სახელმწიფოები, პირველ რიგში დიდი ბრიტანეთი, სულთანს რეფორმებისაკენ უბიძგებდნენ, ისინი იმედოვნებდნენ, რომ სიცოცხლისუნარიანს გახდიდნენ სიღატაკის, ფანატიზმისა და ველური სისასტიკის სიმბოლოდ ქცეულ ოტომანთა იმპერიას, რომლის ბუნებრივი სიკვდილი, თუ არა რუსეთის ფაქტორი, არავის არ დაამწუხრებდა. ლონდონსა და ვენაში (ნაწილობრივ პარიზშიც) ფიქრიც კი არ სურდათ იმაზე, თუ რა მასშტაბებს მიაღწევდა რუსეთის ძლევამოსილება თურქეთის მემკვიდრეობის ხარჯზე.

საინტერესოა, რომ 1453 წელს, როდესაც 29 მაისს თურქები კონსტანტინოპოლში შეიჭრნენ და სამი დღე-ღამე ძარცვეს ქალაქი და ჟლიტეს მისი მოსახლეობა, სულთანი მეჰმედ II დამპყრობელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კონსტანტინოპოლის სამუდამო ფლობისა და ბატონობისათვის აუცილებელი იყო ქრიატიანებთან თანამშრომლობა. მითუმეტეს, რომ ახალი იმპერიის ევროპულ ნაწილში ათზე მეტი ქრისტიანი მოდიოდა ერთ მუსულმანზე. მეჰმედმა თავისთან მიიწვია იმდროინდელი გავლენიანი ქრისტიანი, სასულიერო იერარქი გენადი სკოლარი, დიდ პატივში ამყოფა და ხელი შეუწყო პატრიარქად მის არჩევას, ცხადია, ტაქტიკური მოსაზრებით: ქრისტიანულ-

მა ეკლესიამ უარი თქვა დამპყრობელებთან კონფრონტაციაზე და მათთან თანამშრომლობას დათანხმდა. პატრიარქს ფაშისა და ვეზირის ტიტული უბოძეს (ევროპული გაგებით, სრული გენერლის) და იანიჩართა სპეციალური დაცვაც დაუნიშნეს. მილეთ-ფაშის რანგში, გენადი სკოლარი ოტომანთა იმპერიის მთელი ქრისტიანული თემის გამგებელი გახდა. რელიგიური მრწამსის თვალსაზრისით, ქრისტიანული ეკლესია არასოდეს არ დამორჩილებია დამპყრობლებს და საუკუნეთა მანძილზე იმპერია რჩებოდა ერთმანეთისათვის უცხო ხალხების კონგლომერატად. სერბები, ბულგარელები, ბერძნები და ჩერნოგორიელები თურქულ სახელმწიფოს თავიანთ სამშობლოდ არ თვლიდნენ და ეროვნულ სახელმწიფოებრიობაზე ოცნებობდნენ. მართალია, XIX საუკუნეში ჰყავდა თურქეთს თავისი რეფორმატორები – მუსტაფა რაშიდ-ფაშა და აჰმედ მიდჰიტ ფაშა, მაგრამ ეროვნულ საკითხში ისინიც ასიმილაციის ერთგულნი იყვნენ. ასეთი რეალობის ფონზე რუსეთს აშკარად ჰქონდა შანსი, რომ თურქეთის მონობაში მყოფი ქრისტიანების დამცველის როლში გამოსულიყო. სწორედ ეს უკანასკნელი იყო წლების მანძილზე გორჩკოვის მთავარი ამოცანა. ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც უწყობდა ხელს მინისტრის საქმიანობის ეფექტს: ის იმპერატორის სრული ნდობით სარგებლობდა, რაც დამოუკიდებელი მოქმედებისათვის ხელ-ფეხს უხსნიდა და უზენაესი კონტროლისაგან ათავისუფლებდა. ამავე დროს კვლავ პრობლემატური რჩებოდა ავსტრიასთან ურთიერთობა: ერთის მხრივ, საფრანგეთთან ომში დამარცხებული და იტალიის განმათავისუფლებელი მოძრაობის მასშტაბებით დაშინებული ვენა რუსეთთან სამოკავშირეო ურთიერთობების აღდგენის გზებს ეძებდა, ხოლო მეორეს მხრივ კი, კვლავინდებურად დაუშვებლად მიიჩნევდა რუსეთის ჩარევას ბალკანეთის საქმეებში. ავსტრიის საიმპერატორო კარმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მადლიერების გრძნობა უცხო ხილი იყო მეტერნიხის მემკვიდრეებისათვის – რუსეთს ხომ შეეძლო ყოველგვარი რისკის გარეშე დაერტყა ნაპოლეონთან წარუმატებლად მეომარი ავსტრიისათვის, როგორც ეს ყირიმის ომის მსვლელობაში ავსტრიამ მოიმოქმედა დიპლომატიური მეთოდებით რუსეთთან მიმართებაში?

საფრანგეთის იმპერატორს კი 7-8 წელი ეყო, რათა მთელი ევროპა დაერწმუნებინა, რომ მისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ლონდონში, დედოფალი ვიქტორია უკვე საჯაროდ უწოდებდა „ყაჩაღურს“ ნაპოლეონის პოლიტიკას (სამწუხაროდ, ისტორიამ არ შემოგვინახა ზუსტი ცნობა, თუ როგორ აფასებდა ღვთისმოსავი დედოფალი თავად ინგლისის პოლიტიკას ინდოეთსა თუ ეგვიპტეში). გორჩაკოვი კი ოპერატიულად შეეცადა თავისი ქვეყნის სასარგებლოდ გამოეყენებინა პარიზსა და ლონდონს შორის გაჩენილი ბზარი და კიდევ ერთხელ სცადა საფრანგეთთან ტანდემში დაეძრა მკვდარი წერტილიდან ბალკანეთის პრობლემა, მაგრამ ამჯერად უკვე გორჩაკოვის რიგი მოვიდა დარწმუნებულიყო, რომ შეუძლებელი იყო საფრანგეთის მოუსვენარი იმპერატორის ექსტრავაგანტური ფანტაზიის დაოკება: პარიზში რუსეთის ელჩის კისელევის ფრთხილ დიპლომატიურ ზონდაჟს ტიულრის კიდევ ერთი ავანტურული პროექტი შეაგებეს – „აღმოსავლეთის საკითხი“ იტალიის პრობლემას მიაბეს და რუსეთის მხარდაჭერით იტალიისათვის ვენეციის გადაცემა, ავსტრიისათვის ადრიატიკის მიერთება, ხოლო რუსეთს კი ბათუმის დაკავება შესთავაზეს. ბუნებრივია, რომ გორჩაკოვმა კატეგორიული უარი თქვა ასეთ ფეთქებად მრავალსვლიან კომბინაციაში მონაწილეობაზე.

და მაინც, გორჩაკოვს სხვა გზა არ ჰქონდა, მას როგორმე უნდა გაენაღდებინა პარიზის მხარდაჭერა, თუნდაც მხოლოდ 1856 წლის ზავის იმ მუხლების გადასინჯვაში, რუსეთს თურქეთში მცხოვრებ ქრისტიანებზე ზრუნვას რომ უკრძალავდა. გარე აუდიტორიის დასამშვიდებლად გორჩაკოვი ხმამაღლა აცხადებდა: „რუსეთმა უკვე მიაღწია თავისი ძლევამოსილების აპოგეას და ყოველი ახალი გოჯი მიწა ჩვენს დასუსტებას იწვევსო“. ერთდროულად რუსული დიპლომატიისათვის აქტუალობა არ დაუკარგავს საფრანგეთთან ურთიერთობის მშვიდ რეჟიმს (რამდენადაც ეს ნაპოლეონის ხასიათის გათვალისწინებით იყო შესაძლებელი). აქ კი უკვე საკუთარი იმპერატორის ენთუზიაზმი ექცა პრობლემად გორჩაკოვს; მინისტრისაგან განსხვავებით, თვითმპყრობელი მონარქი არ გამოირჩეოდა თმენის უნარით, საფრანგეთთან გრძელვადიანი დიალოგი გორჩაკოვს შეატოვა და

თვითონ პრუსიისკენ დაიწყო ყურება და რევოლუციური შემოტევების წინააღმდეგ ერთობლივი კურსის შესამუშავებლად პრუსიის მეფე ვილჰელმთან (დედამისის ღვიძლ ძმასთან) შეხვედრა გადაწყვიტა. შეხვედრა 1860 წლის ოქტომბრისთვის დაიგეგმა ვარშავაში. მოულოდნელად ავსტრიის იმპერატორმა ფრანც-იოსებმაც მოინდომა შეხვედრაში მონაწილეობა. მისი თხოვნა დაკმაყოფილდა, რასაც პარიზის საფუძვლიანი ნერვიულობა მოჰყვა... გაცოცხლდა თითქმის მივიწყებული საღვთო კავშირის აჩრდილი. მთელი თავისი დიპლომატიური არგუმენტაცია დასჭირდა გორჩაკოვს, რათა ნაწილობრივ მაინც გაეფანტა ნაპოლეონის ეჭვები, მაგრამ ფრანგულ-რუსული ურთიერთობები კვლავ რუსეთის იმპერატორმა დააყენა საფრთხის ქვეშ: ალექსანდრეს თვალში უკვე იქცა საშიშ რევოლუციონერად საფრანგეთის ზეაქტიური იმპერატორი, რომლის დამსახურებაც იყო მონარქიული იტალიის წინააღმდეგ აზვირთებული ტალღა – იმ პერიოდში ერთი-მეორეზე მიყოლებით ხუთი იტალიელი მონარქი გამოემშვიდობა ტახტს. უკვე შეუძლებელი ხდებოდა ალექსანდრესა და მისი მინისტრის პოზიციების შეჯერება. მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეძლო გორჩაკოვმა, არ დაუშვა სამი მონარქის დაუფიქრებელი და შედეგებზე გაუთვლელი სპონტანური ინიციატივის რეალიზაცია. საქმე ის იყო, რომ მათ მოინდომეს სპეციალური მიმართვით მოეთხოვათ ნაპოლეონისაგან, რათა უკანასკნელს შეეწყვიტა რევოლუციების ინსპირირება ევროპაში.

კლემენს მეტერნიხის ეპოქისაგან განსხვავებით, სამი მონარქის ინიციატივას ავტომატურად უნდა მოჰყოლოდა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი სულისკვეთების გაძლიერება, რაც ძალებს უიმისოდაც იკრებდა: იტალიის შემდეგ განმათავისუფლელი ბრძოლისათვის სამზადისი უკვე პოლონეთში დაიწყო. პოლონელმა პატრიოტებმა, რომელთაც არასოდეს არ აკლდათ თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟინი და რომანტიკული თავგანწირვა, არაფრად ჩააგდეს ალექსანდრეს „კეთილი ნების ჟესტი“ – ადმინისტრაციული ავტონომიის ბოძება, პოლიტიკური ამინისტია და პოლონეთის სამეფოს მეფისნაცვლად პეტერბურგის სამეფო კარზე ყველაზე ლიბერალური და რე-

ფორმატორული რეპუტაციის მქონე დიდი მთავრის, კონსტანტინეს დანიშვნა. პოლონელებმა სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გადაწყვიტეს. 1863 წლის 10 იანვარს პოლონეთის აჯანყების ცენტრალურმა ეროვნულმა კომიტეტმა „პოლონელებს, ლიტველებსა და რუსებს“ საყოველთაო აჯანყებისაკენ მოუწოდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ პოლონელებს 1772 წლის საზღვრების აღდგენა სურდათ. ეს კი აჯანყების ბედს დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. ნაწილობრივ, ალბათ, ამასაც გულისხმობდა რუსეთის სამხედრო მინისტრი დიმიტრი მილიუტინი, როდესაც იმ მშფოთვარე დღეებში დღიურში წერდა, რომ „ფინელების საღი აზრით, პოლონეთი ფინეთს გაუსწორდებოდა მიღწევებშიო“ (36). პოლონელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ფინელებთან მიმართებაში მინისტრი ნამდვილად ცდებოდა: ზუსტად 76 წლის შემდეგ, 1939 წლის სუსხიან ზამთარში, ფინელებსაც დააკლდათ „საღი აზრი“, როდესაც სტალინის იმპერიას დაუპირისპირდნენ.

რაც შეეხებოდა საფრანგეთის პოზიციას, ნაპოლეონის რეპუტაციის ფონზე ბევრისათვის მოულოდნელი და უცნაური იყო მისი პირველივე რეაქცია აჯანყებაზე: მან საჯაროდ დაგმო პოლონელთა ბრძოლა და კერძო საუბარში აჯანყების ბელადებს „გამოუსწორებელი უგონონი“ უწოდა. ეჭვს არ იწვევდა ის ფაქტი, რომ აჯანყებულებს პარიზის დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდათ. არადა, ფრანგები პოლონეთისა და პოლონელებისადმი დაუოკებელი სიმპათიით იყვნენ განწყობილნი: აჯანყების პერიოდში პარიზში ვიზიტით მყოფ ალექსანდრეს სახელმწიფო დაწესებულებებშიც კი „გაუმარჯოს პოლონეთს“ – შეძახილებით ხვდებოდნენ, ხოლო ერთმა პოლონელმა პატრიოტმა მისი მოკვლაც კი სცადა. საკუთარი მოქალაქეების პირისპირ დარჩენილი ნაპოლეონი უკანასკნელ მომენტამდე ცდილობდა სერიოზული დიპლომატიური აქციის ორგანიზებას ინგლისთან და ავსტრიასთან ერთად, მაგრამ უკვე ყველას მოაბეზრა თავი.

საფრანგეთის დიპლომატიური პირუეტების ყველაზე ტრაგიკული შედეგი მაინც რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება იყო. არ ცდებოდა საფრანგეთის ელჩი პეტერბურგში, მონტებელო, როდესაც თავის მინისტრს წერდა, რომ ლონდონის მთავარი მიზანი რუსეთისა და საფრანგეთის წაჩხუბებაა და ეს მიზანი მიღწეულიაო. ყველაფერი გააკეთა საფრანგეთის მუდამ აფორიაქებულმა იმპერატორმა საიმისოდ, რომ ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც თეორიულადაც და პრაქტიკულადაც შეეძლო მისი დინასტიისა და საფრანგეთის ტერიტორიული მთლიანობის გადარჩენა, მხოლო გულგრილი მაყურებლის როლით დაკმაყოფილებულიყო ბისმარკის მიერ ბრწყინვალედ ორგანიზებული სამი ომის პერიოდში.



პენრი ჯონს პალმერსტონი, ლორდი
(1784 – 1865 წ.წ.)
დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი
1830-1834 წლებში,
პრემიერ-მინისტრი 1859-1865 წლებში

პოლონეთის აჯანყებისადმი გაცილებით დემონსტრაციული იყო პრუსიის პოზიცია: მინისტრ-პრეზიდენტად ახლად დანიშნულმა ბისმარკმა პოლონელთა ამბოხი რუსეთთან კავშირის გასამტკიცებლად გამოიყენა და, პრუსიის სოლიდარობის საილუსტრაციოდ, მან პეტერბურგს მეფის ადიუტანტი მიავლინა. ბიძის ასეთი საჯარო მხარდაჭერით გულაჩუყებული რუსეთის იმპერატორი აღფრთოვანებას ვერ მალავდა და მზად იყო სპეციალური კონვენცია გაეფორმებინა პრუსიასთან აჯანყებების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის თაობაზე. გორჩაკოვს გაგონებაც არ სურდა რუსეთის საშინაო საქმეებში უცხო სახელმწიფოთა ჩარევაზე – აჯანყება ხომ ფორმალურად რუსეთის საშინაო პრობლემა იყო. გარდა ამისა, გორჩაკოვი ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან იცნობდა პრუსიის ახალ კანცლერს და საფუძვლიანი ეჭვი ჰქონდა, რომ მის მიერ ინსპირირებული კონვენცია,

რომლის ძალითაც პრუსიას უფლება ეძლეოდა აჯანყებულთა დევნა რუსეთის ტერიტორიაზეც გაეგრძელებინა, ორლესურ მახვილად იქცეოდა პეტერბურგისათვის. საბოლოოდ კი მოხდა ისე, რომ კონვენცია მაინც იქნა ხელმოწერილი, თუმცა საშინაო და საგარეო რეაგირება ძალიან მკვეთრი აღმოჩნდა: ჯერ იყო და ბისმარკს თოთხმეტჯერ (!) მოუწია ახსნა-განმარტება მიეცა ლანსტაგისათვის, სადაც იმის მტკიცებამდეც მივიდა, რომ მეფის ადიუტანტს არანაირი უფლება არ ჰქონდა კონვენციაზე მოეწერა ხელიო. ცოტა ხნის შემდეგ უცხო ქვეყნების ტერიტორიებზე რევოლუციონერთა და აჯანყებულთა დევნის ავბედითი მუხლი კონვენციიდან საერთოდ ამოიღეს. ამის მიუხედავად, მაინც კიდევ დიდხანს იყო გორჩაკოვი იძულებული თავი დაეცვა ლონდონის, პარიზისა და ვენის საყვედურებისაგან. სერიოზული კოალიცია რუსეთის წინააღმდეგ კი იმ უბრალო მიზეზის გამო არ შედგა, რომ პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის საომრად მზად არავინ აღმოჩნდა.

1862 წელს, საბიუჯეტო კრიზისის წყალობით გაპირველმინისტრებულ ოტო ედუარდ ლეოპოლდ ბისმარკ ფონ შენჰაუზენს სულ ორი წელი დასჭირდა, რათა პირველი აგური დაედო ერთიანი გერმანული სახელმწიფოს მშენებლობაზე. საამისო სიტუაცია მისგან დამოუკიდებლად შეიქმნა, როდესაც 1864 წლისათვის დანიის მეფე ფრედერიკ VII გარდაიცვალა და ორი საჰერცოგოს – შლეზვიგისა და ჰოლშტეინის კანონიერ მფლობელობასთან დაკავშირებით ისეთი მემკვიდრეობით-სამართლებრივი აბლაბუდა შეიქმნა, რომ პალმერსტონმა სრული „სერიოზულობით“ იხუმრა: „ამ საკითხში მხოლოდ სამი ადამიანია გარკვეული – მათგან ერთი უკვე გარდაცვლილია, მეორე საგიჟეთშია, მესამე მე ვარ, მაგრამ მე აღარაფერი არ მახსოვსო“. ასაკში შესული პალმერსტონის მეხსიერებაზე კამათი ძნელია, მაგრამ ბისმარკს რომ ძილშიც ახსოვდა ერთიანი და ძლიერი გერმანიის შექმნის იდეა, ამაში ევროპაცა და მსოფლიოც სულ მალე დარწმუნდა. პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტმა უშეცდომოდ შეაფასა შექმნილი ვითარება და ხელიდან არ გაუშვა მოულოდნელი შანსი: 1864 წლის თებერვალში ავსტრიასთან ერთად (ვენა ცოცხალი თავით არ მისცემდა ექსკლუ-

ზავის უფლებას გერმანულ სახელმწიფოთა კავშირში მის მთავარ ვეტოიქეს), ორივე საჰერცოგოს ანექსია სერიოზული დიპლომატიური გართულებების გარეშე მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ ძალთა თანაფარდობის რღვევის ტენდენცია აშკარად გამოიკვეთა, ეს საგანგაშო ფაქტი საერთაშორისო რეაგირების მიღმა აღმოჩნდა. მიზეზი ზედაპირზე იდო: ევროპაში ძალთა თანაფარდობის მთავარი „ღამის დარაჯი" – დიდი ბრიტანეთი – არც პარიზთან და არც პეტერბურგთან ერთად არანაირ ერთობლივ დიპლომატიურ დემარშზე არ დათანხმდებოდა: ერთმა ლონდონი თავისი ევროპული აგრესიული ამბიციებით დააეჭვა, მეორემ – შუა აზიაში წამოწყებული ექსპანსიით. ამიტომაც გახდა შეუძლებელი ავსტრია-პრუსიის „ინიციატივის" დიპლომატიური ეგზეკუცია ტრადიციულ „ევროპული კონცერტის" ფორმატში და ამიტომაც აღმოჩნდა უდღეური დიდ სახელმწიფოთა ელჩების ლონდონის შეხვედრა. ცალკე აღნიშვნის ღირსია აგრეთვე პალმერსტონისათვის არადამახასიათებელი პოლიტიკური სიბეცე, როდესაც შემდეგ კურიოზულ დასკვნამდეც კი მივიდა: „თანამედროვე პრუსია ძალზედ სუსტია საიმისოდ, რომ პატიოსანი და დამოუკიდებელი იყოს თავის მოქმედებებში. მომავლის ინტერესების გათვალისწინებით, უაღრესად სასურველია, რომ მთლიანი გერმანია გაძლიერდეს, რათა შეეძლოს აღვირი ამოსდოს ორივე პატივმოყვარე და საომრად განწყობილ სახელმწიფოს – საფრანგეთსა და რუსეთს, რომლებიც ნას დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ბოჭავენ" (37). სულ რაღაც 5-6 წელი რჩებოდა გერმანიის გაერთიანებამდე და ლონდონი ტრადიციულად ევროპაში ძალთა თანაფარდობის მთავარ საფრთხედ საფრანგეთსა და რუსეთს მიიჩნევდა.

ძნელად ასახსნელი პარადოქსია, რომ პალმერსტონზე მეტ შორსმჭვრეტელობას თვით ალექსანდრე II ავლენდა, რომელიც ამავე პერიოდში საჯაროდ აცხადებდა, რომ ბერლინის მიზნები და მისი პოლიტიკის ხასიათი მასთან მჭიდრო კავშირს გამორიცხავსო. რუსეთში ხედავდნენ გერმანიის გაერთიანების გარდუვალობას, მაგრამ არ მოსწონდათ იუნკრებისა და მთლიანობაში სამხედრო ელიტის როლი ამ პროცესში. ბისმარკი კი დიდოსტატურად იყენებდა საფრანგეთის იმ-

პერატორის ქედმაღლურ ტრაბახს, რეალური სამხედრო ძალით რომ არ იყო გამაგრებული და აქტიურად ემზადებოდა გერმანული სახელმწიფოების კავშირიდან ავსტრიის გასაძევებლად. შეიძლება ითქვას, რომ შლეზვიგ-ჰოლშტეინი და ავსტრია-პრუსიის მომდევნო ომი ევროპის დიდ პოლიტიკაში ბისმარკის დებიუტი იყო. დანიასთან ბლიცკრიგის შემდეგ მან ვენას გონზე მოსვლა არ აცალა და ფორსმაჟორში მუშაობას მიუჩვეველმა ავსტრიულმა დიპლომატიამ მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ბერლინელი მოკავშირე გერმანული სივრციდან მის გაპანღურებას გეგმავდა. როდესაც 1866 წლის ივნისში ბისმარკმა გერმანიის კავშირის რეორგანიზაციის პროექტი წარმოადგინა, სადაც ავსტრია უკვე აღარ ფიგურირებდა, ვენას ომის გამოცხადების გარდა სხვა აღარაფერი დარჩენოდა.

„აგრესიის მსხვერპლი“ პრუსია კი მაქსიმალურად იყო მომზადებული საომრად როგორც სამხედრო, ასევე დიპლომატიური თვალსაზრისით. ამ დროისათვის უკვე ბრწყინავდა XIX საუკუნის ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო სტრატეგის ჰელმუტ მოლტკეს ვარსკვლავი: ელვისებური ომების უბადლო დიდოსტატმა არც ამჯერად შეირცხვინა თავი და ავსტრიასთან ერთად მთელი ევროპის მოლოდინს და პირველ რიგში კი საფრანგეთის პროგნოზებს ცივი წყალი გადაასხა – ერთი თვეც არ დასჭირდა პრუსიას გამარჯვების საზეიმოდ. ამავე პროცესში გამოავლინა ბისმარკმა დიპლომატისა და პოლიტიკოსისათვის კიდევ ერთი აუცილებელი, თუმცა არც თუ ფართოდ გავრცელებული თვისება – ზომიერება. სენსაციური ბრწყინვალე გამარჯვებით თავბრუდახვეული პრუსიელი იუნკრები და პირადად მეფე ვილჰელმი მაქსიმალურ დივიდენდებს მოითხოვდნენ – მეფეს დიდი ნაპოლეონის სტილში სურდა თეთრ ცხენზე ამხედრებულ ტრიუმფატორად შესულიყო ვენაში და იქ ეკარნახა იმპერატორისათვის ზავის პირობები. სულაც არ შედიოდა ბისმარკის გეგმებში ავსტრიის იმ დონემდე დამცირება, რომ მასთან სამომავლო კავშირი შეუძლებელი გამხდარიყო, მითუმეტეს, რომ ავსტრიის დამარცხებას იგი გერმანიის გაერთიანების გზაზე მხოლოდ პირველ სერიოზულ ნაბიჯად განიხილავდა. გადამწყვეტი ბრძოლა საფრანგეთთან იყო

მოსალოდნელი, რაზეც მომავალი „რკინის კანცლერი“ უკვე დღენიადაგ ფიქრობდა. ისევე, როგორც დღემდე არ დაუკარგავს გამოყენებითი მნიშვნელობა წარსულის დიდ მოჭადრაკეთა გამორჩეულ პარტიებს, ასევე დღესაც რჩება დიპლომატიური ოსტატობის კლასიკად ნაპოლეონის გასაბრიყვებლად და მშრალზე დასატოვებლად გათვლილი ბისმარკის ტაქტიკური სვლები. მას საფრანგეთის იმპერატორზე უკეთესად ესმოდა საფრანგეთის ჭეშმარიტი ეროვნული ინტერესები და დამატებით, თავის ევროპელ კოლეგებზე უკეთ იცნობდა ფრანგ მონარქს, რომელიც უკვე უგეგმო და უაზრო ავანტურისტული იდეების გენერატორად იყო ქცეული.

გენიალური ბიძისაგან განსხვავებით, „პატარა“ ნაპოლეონს ახალ-ახალი ტერიტორიების მიერთება სისხლისმღვრელ ბრძოლებში ძლიერ მოწინააღმდეგებზე გამარჯვებების გარეშე სურდა, უფრო სწორად კი – სხვისი გამარჯვებების ხარჯზე. ისევე როგორც დანარჩენი ევროპა, ნაპოლეონიც დარწმუნებული იყო, რომ პრუსიასთან ომში ავსტრია გაიმარჯვებდა, მაგრამ მხოლოდ ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ. როცა ორივე მხარე გვარიანად დასუსტდებოდა, თვითმარქვია მომრიგებლის როლში გამოსული საფრანგეთის იმპერატორი, სამშვიდობო კონგრესზე (რომელიც, ცხადია, პარიზში უნდა გამართულიყო მისი თავმჯდომარეობით) ისე დააზავებდა ვენასა და ბერლინს, რომ მოგებული მხოლოდ საფრანგეთი დარჩებოდა, რეინის იქით გადატანილი საზღვრით.

ორაზროვან დაპირებებში არც ბისმარკი ძუნწობდა, რომელიც მზად იყო გარკვეული დროით აჰყოლოდა მისი ხვალინდელი მსხვერპლის ფანტაზიებს. გათვლებში შეცდა გამოცდილი გორჩაკოვიც, რომლის ვარაუდითაც ხანგრძლივი და დიდმსხვერპლიანი ბრძოლები საზღვრების უმნიშვნელო კორექტირებით დასრულდებოდა. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ბისმარკი იყო იმდროინდელი ევროპის ერთადერთი პოლიტიკოსი, რომლის ყველა მოლოდინიც რეალობად იქცა. მან ბოლომდე გაიტანა თავისი, დაარწმუნა საკუთარი ხელმწიფე, რომ პრუსიას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეწვა ავსტრიასთან დამაკავშირებელი ხიდები და კონტინენტის

უდიდესი გერმანული სახელმწიფო არც უზომოდ არ უნდა დაესუსტებინა. სამომავლო ზავით ვენას სამხრეთ-გერმანიის კავშირის ლიდერობას უტოვებდნენ, ხოლო ჩრდილოეთის ერთპიროვნული გამგებელი პრუსიის მეფე ხდებოდა. უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა პეტერბურგი: ის ხომ უამრავი ნათესაური ძაფებით იყო დაკავშირებული წვრილ-წვრილ გერმანელ მონარქებთან, რომელთა გვირგვინებით ჟონგლიორობა ბისმარკმა „ურცხვად“ დაიწყო. ალექსანდრე II „ძვირფას ბიძას“ სთხოვდა, მეტი პატივისცემით მოპყრობოდა ლეგიტიმურ დინასტიებს, საქმე ხომ ლეგიტიმიზმის პრინციპს ეხებოდა, რაც ღმერთის გადასაწყვეტი იყო. თავის მხრივ ვილჰელმი არანაკლებად „საყვარელ დიშვილს“ უხსნიდა, რომ წვრილფეხა ჰერცოგები, გრაფები, თავადები თუ კურფიუსტრები გაუთავებლად კინკლაობენ ერთმანეთთან და ჩირქს სცხებენ ლეგიტიმიზმის კეთილშობილ პრინციპსო. ყურადღებიანმა ბიძამ (ანუ ბისმარკმა) ტიტულები მხოლოდ ვიუტემბერგის და ჰესენ-დარმშტადის სუზერენებს შეუნარჩუნა, როგორც რომანოვების ნათესავებს, დანარჩენმა თექვსმეტმა გერმანულმა სახელმწიფომ კი ჩრდილოეთ-გერმანიის კავშირი შექმნა თავისი კონსტიტუციითა და რეიხსტაგით. პრუსიის მეფე ერთდროულად კავშირის პრეზიდენტიც ხდებოდა, ბისმარკი – კანცლერი. სამ აგვისტოს პრაღაში ხელი მოეწერა პრუსიასა და ავსტრიას შორის ზავს. შლეზვიგი, ჰოლშტეინი და ლაუენბერგი პრუსიის საკუთრებად იქცა. ფაქტიურად პრუსიასავე დაექვემდებარა ჰანოვერი, ჰესენ-კასელი, ნასაუ და მაინის ფრანკფურტი. ტიტულებთან ერთად ბისმარკმა 400 ათასი ტალერი მიიღო ჯილდოს სახით.

როცა ბისმარკმა მომავალი იმპერიის კონტურები მოხაზა და ძირითადად წმინდა ევროპული პრობლემებით იყო დაკავებული, რუსული დიპლომატია ძლიერი და მეტ-ნაკლებად ერთგული მოკავშირის გარეშე რჩებოდა: დამარცხებული და პრესტიჟდაკარგული ავსტრია აღარც მეგობრად ვარგოდა და აღარც მტრად. პოლონეთის აჯანყებასთან დაკავშირებული თვითშემოქმედებით ნაპოლეონი უიმედოდ იყო დისკრედიტირებული პეტერბურგის კარზე. ბისმარკის პრუსიამ ისე დაუფარავად და მტაცებლურად გამოავლინა საკუ-

თარი გრძელვადიანი გეგმები, რომ ბერლინსა და პეტერბურგს მხოლოდ ბიძა-დისშვილს შორის შემორჩენილი თავაზიანი ურთიერთობაღა აკავშირებდა. ნაციონალისტურ-პატრიოტულად განწყობილ რუსულ საზოგადოებასა და პრესას ბისმარკის პირზე მაგალითი ეკერა და შავი ზღვის „დაბრუნებას“ კატეგორიული ტონით მოითხოვდა. მშვიდი კაბინეტური დიპლომატიისა და მრავალსვლიანი კომბინაციების ერთგული გორჩაკოვი არც საფრანგეთის, როგორც პოტენციური მოკავშირის „ჩამოწერას“ არ ჩქარობდა და არც ბისმარკის სტილში არ გეგმავდა ძალოვან მოქმედებებს. ყველა სიკეთესთან ერთად უკვე ხანში შესულ მინისტრს პერსპექტიული ოპონენტი საკუთარ ეპარქიაშიც გამოუჩნდა ნიკოლოზ იგნატიევის – ახალგაზრდა ბრწყინვალე ოფიცრისა და დიპლომატის სახით. მან 19 წლისამ დაამთავრა რუსეთის გენერალური შტაბის აკადემია, ხოლო 27 წლისა კი რუსეთის არმიის ყველაზე ახალგაზრდა გენერალი გახდა. 1860 წელს პეკინური მისიის წარმატებით შესრულების შემდეგ, როდესაც რუსეთმა უსურიის მხარე მიიერთა, ნიკოლოზ იგნატიევი სტამბოლში ელჩად დაინიშნა და რუსეთს თურქეთში მთელი 13 წელი წარმოადგენდა. აქ უკვე დიამეტრალურად დაშორდა ერთმანეთს ელჩისა და მინისტრის ხედვები: გორჩაკოვი ევროპის დედაქალაქებთან შეთანხმებული მოქმედების პრინციპული მომხრე იყო, ელჩი კი ფულითა და გულღია ხასიათით ცდილობდა ისეთი გავლენა მოეპოვებინა სულთანის კარზე, რომ რუსეთს ევროპისაკენ მიუხედავად შეძლებოდა აღმოსავლეთის პრობლემების მართვა.

1860-იანი წლების დამლევს, თურქეთის ქვეშევრდომობაში მყოფ ბერძნებსა და ბულგარელებს შორის გამწვავებულმა რელიგიურმა კრიზისმა რუსულ დიპლომატიას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. რასაკვირველია, მნიშვნელოვანი მიღწევა იყო, რომ სულთანმა ბულგარული ეგზარხატი დააწესა და ოფიციალურ დოკუმენტში ბულგარელები ერად პირველად მოიხსენია, მაგრამ კონსტანტინოპოლის ბერძნული საპატრიარქოს შეურიგებელ პოზიციას მართლმადიდებლური ეკლესიის გახლეჩა მოჰყვა, რაც, ბუნებრივია, რუსეთის ინტერესებს ხელს არ აძლევდა. გორჩაკოვს არც დუნაის სამთავროებში

მიმდინარე პროცესები ჰგვრიდა სიამოვნებას: რეფორმებმა აქ ღიად მიიღო პროევროპული ხასიათი – ადმინისტრაციული რეორგანიზაციითა და ნაპოლეონ პირველის სამოქალაქო კოდექსის შემოღებით დაწყებული და არმიის ფრანგულ ყაიდაზე გარდაქმნით დამთავრებული. შედეგმაც არ დააყოვნა – მოლდავეთსა და ვალახეთში ყირიმის ომის შემდეგ ისედაც შესუსტებული რუსული გავლენა კიდევ უფრო მიილია. „ენერგიით მჩქეფარე" საფრანგეთის იმპერატორი ასეთ ვითარებაში ჩარევის შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდა და კიდევ ერთხელ მიუბრუნდა აკვიატებულ იდეას – მოლდავეთსა და ვალახეთს ავსტრიელი ჰაბსბურგები მიიღებდნენ, ხოლო სანაცვლოდ კი ვენეცია იტალიას უნდა დარჩენოდა. რატომღაც ნაპოლეონმა საკუთარი თავი დაარწმუნა, რომ მთელ რუსეთში ერთი გონიერი დიპლომატიც არ მოიძებნებოდა, რომელიც ორმაგ თამაშზე გათვლილ ჩანაფიქრს მიუხვდებოდა: როგორც კი რუმინეთი ავსტრიის ხელში გადავიდოდა, რუსეთისათვის კონსტანტინოპოლისა და სრუტეებისაკენ მიმავალი გზა უკვე სამუდამოდ გადაკეტილი აღმოჩნდებოდა. ოსმალეთის სულთანი ჯერ პარიზის მსოფლიო გამოფენაზე ყოფნამ, შემდეგ კი ვენასა და ლონდონში განხორციელებულმა ვიზიტებმა დაარწმუნა, რომ მას ევროპის მხრიდან არანაირი საფრთხე არ ელოდა და შეეძლო იმ დროს კიდევ ერთხელ აჯანყებულ ბერძნებს უპრობლემოდ გასწორებოდა. პეტერბურგის მოსალოდნელი პროტესტები მას აღარ აფიქრებდა. სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა მას შემდეგ, რაც 1869 წლის თებერვალში, თურქების უკომპრომისო პოზიციის გამო, უშედეგოდ დასრულდა დიდ სახელმწიფოთა ელჩების შეხვედრა ლონდონში. ევროპას სერიოზულ კრიზისს ერთი პატარა ნაბიჯიღა აშორებდა. ხმამაღალი განცხადებებისაგან ჩვეულებრივ თავშეკავებული გორჩაკოვიც კი იძულებული იყო განეცხადებინა, რომ ევროპა და თურქეთი გაერთიანებული ძალებით ცდილობენ რუსეთის კუთხეში მიმწყვდევასო. აღარავინ აპირებდა ანგარიშის გაწევას შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის გარეშე დარჩენილი რუსეთისათვის. ამის გათვალისწინებით, ზომიერი კურსის ერთგულმა გორჩაკოვმა „პროგრესული სტატუს ქვოს" დოქტრინა გააჟღერა, ანუ პატარ-პატარა ნაბიჯებით,

სხვებისათვის შეუმჩნევლად, მაგრამ მიზანდასახულად სვლა საბოლოო მიზნისაკენ, ყირიმის ომის ყველაზე მტკივნეული შედეგების გადასინჯვისაკენ.

საფრანგეთ-პრუსიის გარდუვალი ომი კი დღითი-დღე ახლოვდებოდა. თვითონ ნაპოლეონმა გაუადვილა საქმე ბისმარკს – როგორც იქნა მიხვდა იმპერატორი, რომ 1866 წელს იგი პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტმა ბავშვივით გააბითურა და იმდროინდელი ნეიტრალიტეტისათვის ვადაგასული ანგარიში წაუყენა უკვე კანცლერ ბისმარკს, თანაც სოლიდური პროცენტით: საფრანგეთის იმპერატორი ლუქსემბურგის საჰერცოგოს ითხოვდა თოფის გაუსროლად. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ბერლინში მყოფმა საფრანგეთის ელჩმა გადაწყვიტა დიპლომატიურ სიბრიყვეში საკუთარი იმპერატორისათვის გაესწრო და ეგზომ დელიკატური და თავისი არსით მკაცრად კონფიდენციალური მოთხოვნა ბისმარკს საელჩოს ოფიციალურ ბლანკზე დაფიქსირებული გადასცა. უკანასკნელმა კონკრეტული პასუხისაგან თავი შეიკავა, ქაღალდი კი თავისთან დაიტოვა – ცხადია საჭიროების შემთხვევაში გასასაჯაროებლად. სხვათა შორის, იმავე 1867 წელს რუსეთმა იაფად (7,2 მლნ. დოლარად) მიყიდა ამერიკის შეერთებულ შტატებს ალიასკა მთელი თავისი ულევი წიაღისეულით. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო იმპერატორის ერთპიროვნული გადაწყვეტილება – გარიგებას ყველა მინისტრი უჭერდა მხარს: „მაინც ვერ ვუვლით და ვერ ვიყენებთო“. ეტყობა რუსეთის იმპერატორი და მთავრობა „უკეთ გამოყენებას“ უპირებდა ტაშკენტს, სამარყანდს, ხოჯენტს, ბუხარას, კოკანდასა და ხივას, რომელთა დაპყრობა-მიერთება ზუსტად იმავე პერიოდში ხდებოდა, თანაც ინგლისთან სერიოზული გართულების ხარჯზე.

ევროპა კი ამ დროს გულივერის ნაბიჯებით მიისწრაფოდა კიდევ ერთი პატარა, მაგრამ გრანდიოზულად შედეგიანი ომისაკენ – „კოშმარულ იზოლაციაში“ (ბრიტანული „ბრწყინვალე იზოლაციისაგან“ განსხვავებით) აღმოჩენილმა ნაპოლეონმა პრუსიასთან ომით მოინდომა ყველა თავისი პრობლემის გადაჭრა, რისი საბაბიც მალე მიეცა: 1870 წელს ტახტიდან ჩამოაგდეს ესპანეთის მმართველი დედოფალი

იზაბელა და ევროპაში „ვაკანსია გაჩნდა“. კორტესებმა ტახტზე მიიწვიეს პრუსიის სამეფო დინასტიის წარმომადგენელი, პრინცი ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენი. ოჯახის უფროსმა, პრუსიის მეფე ვილჰელმმა მას გამეფებაზე თანხმობა მისცა, მაგრამ სწორედ ამ დროს „აფეთქდა“ ოფიციალური და არაოფიციალური პარიზი – ესპანეთის ტახტი ხომ ლუდოვიკო მეთოთხმეტად მოყოლებული ფრანგი ბურბონების საკუთრებად ითვლებოდა. პრუსიის მეფემ ვერ გაუძლო ფრანგული პროპაგანდის შანტაჟს და ლეოპოლდისადმი გაცემული თანხმობა უკან წაიღო. თავის მხრივ, ტახტზე უარი თქვა პრინცმაც და დიპლომატიის ყველა კანონის ძალით, კრიზისი ისევე სწრაფად უნდა ჩამცხრალიყო, როგორც წარმოიშვა. მხოლოდ ორ ადამიანს არ აწყობდა მშვიდობიანი დასასრული: გერმანიის კანცლერს და საფრანგეთის იმპერატორს. ერთი ომით იმედოვნებდა გერმანიის გაერთიანებას, მეორე კი საკუთარი დინასტიის შექმნას. ბისმარკი არც ამჯერად შემცდარა სულსწრაფი ნაპოლეონის შეფასებაში, როდესაც მას ომის გამოცხადების საეჭვო პრივილეგია „დაუთმო“. საქმე კი ის იყო, რომ საომრად განწყობილ და იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულ ნაპოლეონს აღარ აწყობდა კონფლიქტის მშვიდობიანი ფინალი და პრუსიის მეფისაგან იმის ოფიციალური გარანტიაც მოითხოვა, რომელიმე გერმანელი პრინცის გამეფება ესპანეთში მომავალშიც რომ იქნებოდა გამორიცხული. თავისი კანცლერისაგან განსხვავებით, მეფე შინაგანად არ იყო მზად ომისათვის და საფრანგეთში გასაგზავნად დიპლომატიური ტაქტით შედგენილი დეპეშა გაამზადა, თუმცა ტექსტი გასაცნობად წინასწარ ბისმარკს გაუგზავნა. მოხდა ისე, რომ უკანასკნელს იმ მომენტში გადასცეს დეპეშის პროექტი, როდესაც სამხედრო მინისტრ როონთან და გენერალური შტაბის უფროსთან, უკვე ორი ბლიცკრიგის არქიტექტორ გენერალ მოლტკესთან ერთად სადილობდა. ბისმარკი გენერლებს საფრანგეთთან მოსალოდნელი ომის სავარაუდო შედეგზე შეეკითხა და როცა ორივემ უყოყმანოდ განაცხადა, „ეჭვი არ გვეპარება გამარჯვებაშიო“, დეპეშის ტექსტი ისე შეცვალა, რომ თავდაპირველი თავაზიანობის კვალიც აღარ დატოვა. პატრიოტულ გრძნობებში სულის სიღრმემდე შეურაცხყოფილი ფრანგული

საზოგადოება ყალყზე დადგა და იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულმა იმპერატორმაც, 1870 წლის 19 ივლისს გერმანიის ტერიტორიაზე ჯარი შეიყვანა. ამრიგად, პრუსია მეორედ იქცა მისივე კანცლერის მიერ დაგეგმილი და პროვოცირებული „აგრესიის მსხვერპლად“. ომი საფრანგეთისთვის წარუმატებლად განვითარდა და ბოლოს, 2 სექტემბერს ქალაქ სედანთან მომხდარ ბრძოლაში დამარცხებული ნაპოლეონ III 90-ათასიანი არმიით პრუსიელებს ტყვედ ჩაბარდა. 4 სექტემბერს აჯანყებულმა პარიზელებმა კი საბოლოოდ მოუღეს ბოლო მონარქიას, გამოცხადდა საფრანგეთის მესამე რესპუბლიკა.

დღევანდელი გადასახედიდან გაუგებრად გამოიყურება, რომ სულ რაღაც 5 წლის განმავლობაში, ზედიზედ ასეთი მასშტაბის დიპლომატიური დეფოლტი განიცადა მთელმა ევროპამ ბისმარკის პოლიტიკასთან მიმართებაში. ისევე როგორც ავსტრია-პრუსიის ომის წინა პერიოდში, ლონდონისა და პეტერბურგის საზრუნავი მხოლოდ ის იყო, რომ ავსტრიის „გარანტირებული“ გამარჯვების შედეგები ზომიერი ყოფილიყო, საბოლოო ჯამში კი ყველა ერთნაირად მოუმზადებელი შეხვდა პრუსიის „მოულოდნელი“ გამარჯვების შედეგებს. საფრანგეთ-პრუსიის ომის წინა დღეებშიც გორჩაკოვის „შეშფოთებას“ „გარდუვალი“ გამარჯვებით მადაზე მოსული საფრანგეთის უზომო ტერიტორიული ამბიციები ედო საფუძვლად. რუსულმა დიპლომატიამ კი იყარა ჯავრი ავსტრიაზეც და საფრანგეთზეც პრუსიის წყალობით, მაგრამ ულირდა კი პეტერბურგს დროებითი „გულის მოფხანა“ კარის მეზობლად ახალგაზრდა, ძლიერი და, მართლაც, უზომოდ ამბიციურ გიგანტთან გარდაუვალ სამომავლო პრობლემებად? რასაკვირველია, გერმანიის გაერთიანება ისტორიული აუცილებლობა იყო და ადრე თუ გვიან ეს მაინც მოხდებოდა, მაგრამ რუსეთს ინგლისის გარეშეც შეეძლო, როგორც მინიმუმი, მკვეთრი დიპლომატიური დემარშით ერთიანი გერმანიის შექმნა გაურკვეველი ვადით გადაედო. სამომავლოდ კი სულაც არ იყო გამორიცხული ეს პროცესი არა ბისმარკის სცენარით, არამედ „ქვემოდან“, დამპყრობლური ომებისა და იუნკრული იდეოლოგიის გარეშე დაწყებულიყო. შედეგი კი ის იყო, რომ რუსეთის იმპერატორისა და მისი მინისტრის მორიდებული

მოწოდებები ზომიერებასა და დიდსულოვნებაზე გერმანულ გულცივ პრაგმატიზმზე და კონკრეტული მომენტის მაქსიმალური ექსპლოატაციის ურყევ ნებაზე იმსხვრეოდა. ახსოვდა, ალბათ, ალექსანდრეს მამამისის კატეგორიული გამონათქვამი „ედინოი გერმანიი ნე ბივატ“, მაგრამ ნიკოლოზმა თავის „რკინის“ ხასიათთან ერთად სასუფეველში თავისი ეპოქაც თან გაიყოლია. ამიტომაც ირჯებოდა ტყუილად ალექსანდრე, როდესაც ბიძა ვილჰელმს სთხოვდა თავშეკავებული ყოფილიყო საფრანგეთის მიმართ ანექსიისა და კონტრიბუციის საკითხებში. ასევე უშედეგოდ ცდილობდა გორჩაკოვი ბისმარკის დარწმუნებას, რომ გამარჯვების მათრობელა ყოვლისშემძლეობით ნაიბუ-ლები მშვიდობა ახალი ომის წინაპირობად იქცეოდა. ბერლინიდან თავაზიანი, მაგრამ კატეგორიული პასუხი მოდიოდა: გერმანიის საზოგადოებრივი აზრი და არმია არ დაუშვებს, რომ მას გამარჯვება მოპარონო. ერთადერთი, რისი მიღწევაც შესძლო პეტერბურგმა, ის იყო, რომ მოგვიანებით ფრანკფურტში ხელმოწერილი საბოლოო საზავო ხელშეკრულებით, მართალია, ბერლინმა პარიზს 6-მილიარდიანი კონტრიბუცია 5 მილიარდამდე შეუმცირა, მაგრამ საფრანგეთმა დაკარგა ელზასი და ლოტარინგია. ამავე დროს არც იმის თქმა შეიძლებოდა, რომ ალექსანდრეს პრუსიის გამარჯვების მნიშვნელობა მნიშვნელობა სრულად ჰქონდა გათვითცნობიერებული. ამის ფაქტები საკმარისია – მაგალითად, როგორც კი პეტერბურგში სედანის კატასტროფის ცნობამ ჩააღწია, ნათესაური სოლიდარობით გაბრუებულმა რუსეთის იმპერატორმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნა ბიძას, ხოლო პრინცებს რუსეთის ფელდმარშლების წოდებები ჩამოურიგა. ასობით პრუსიელი გენერალი და ოფიცერი დაჯილდოვდა რუსეთის ორდენებით. მართლაცდა, არათანმიმდევრული და სტრატეგიული გრძელვადიანი გათვლების თვალსაზრისით, რუსეთის პოლიტიკა ქარაფშუტულადაც კი გამოიყურებოდა: პავლე პირველსაც კი ესმოდა, რომ შეუძლებელი იყო პარიზსა და პეტერბურგს ურთიერთშეუთავსებელი ეროვნული ინტერესები ჰქონოდათ. ინტერესთა გადაკვეთა პრინციპულ საკითხებში წარმოუდგენელი იყო. პრუსიასთან ურთიერთობაში კი წარსულიცა და მომავალიც უამრავ კითხვებს ბადებდა,

პეტერბურგს სრული საფუძველი ჰქონდა ბერლინის გულწრფელობაში ეჭვი შეეტანა. მეორეს მხრივ, თუ მართლაც გარდაუვალი იყო გერმანიის გაერთიანება, თავის ხარკს მოითხოვდა დიპლომატიური პრაგმატიზმი – რუსეთი არ უნდა შემოფარგლულიყო დაუინტერესებელი მაყურებლის როლით და გარდუვალი სტრატეგიული რისკების საფასურად თუნდაც ტაქტიკურ, მაგრამ მნიშვნელოვან დივიდენდებზე უნდა ეზრუნა.

სწორედ ასეთად იქცა გორჩაკოვის 1870 წლის 19 ოქტომბრის ცნობილი ცირკულიარი, რომლითაც პეტერბურგმა მსოფლიოს ამცნო, რომ ახალი რეალობის გათვალისწინებით, იგი აღარ აპირებდა 1856 წლის პარიზის ხელშეკრულების იმ მუხლების დაცვას, შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის არსებობას რომ უკრძალავდა. გორჩაკოვის მთელი უწყება მოსალოდნელ დიპლომატიურ ქარიშხალს კარგად მომზადებული შეხვდა. განსაკუთრებით ლონდონი მძვინვარებდა; ომითაც კი იმუქრებოდა, ცხადია, ძლიერ მოკავშირეებთან ერთად, მაგრამ ასეთები იმდროინდელი ევროპის ჰორიზონტზე არ ჩანდნენ. თეორიულად, მხოლოდ პრუსიის იმედი თუ შეიძლება ჰქონოდა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორდ გრენვილს, რაც არჩევანის სიმწირეზე მიუთითებდა. კი დაიწყო გრენვილმა დიპლომატიური ზონდირება ბერლინში, მაგრამ ბისმარკისთვის უკვე მეტისმეტი იქნებოდა მისთვის აბსოლუტურად უინტერესო პრობლემის გამო ბიძა-დიშვილის ურთიერთობის საბოლოოდ და სამუდამოდ გაფუჭება. ეს არ იყო ბისმარკის სტილი, რომლის კრეატიული გონება უკვე საიმისოდ ემზადებოდა, რომ საფრანგეთის სამომავლო იზოლაცია რუსეთთან მჭიდრო კავშირით უზრუნველეყო. ის, რომ ფრანგები არასოდეს არ შეეგუებოდნენ ელზას-ლოტარინგიის დაკარგვასა და გაათმაგებული ენერგიით დაიწყებდნენ მოკავშირეების ძებნას, ამაში რეალისტ კანცლერს ეჭვი არ ეპარებოდა. არც ბრიტანული დიპლომატიის სტილი იყო ცეცხლთან თამაში (თანაც მხოლოდ საკუთარ იმედზე) და ლონდონში უკვე იმაზე დაიწყეს ფიქრი, თუ როგორ შეეგუებოდნენ არასასიამოვნო რეალობასა და გარდუვალ დათმობებს ისე, რომ რაღაც სარგებელი თვითონაც ენახათ. ასეთი გამოცდილების არ-

სენალი კი ფორინ-ოფისს მუდამ სავსე ჰქონდა. გარდა ამისა, განა ლორდ ჰენრი ჯონ პალმერსტონს არ ეკუთვნოდა იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ პარიზის 1856 წლის სამშვიდობო ხელშეკრულება იმდენად მიუღებელი იყო რუსეთისათვის, რომ იგი 10 წელზე მეტს ვერ იარსებებდა? ასე, რომ გეგმა უკვე გადაჭარბებით იყო შესრულებული. მით უმეტეს, რომ გორჩაკოვი არ იღლებოდა იმის ჯიუტად გამეორებით (ამ თვალსაზრისით, ერთმა რუსმა მეცნიერმა იგი რომაელ კატონ უფროსსაც კი შეადარა), რომ პეტერბურგს აზრადაც არა აქვს 1856 წლის ხელშეკრულების გაუქმება, ის მხოლოდ რუსეთის დამამცირებელი რამდენიმე მუხლის შეცვლას ითხოვსო. როგორც მოსალოდნელი იყო, ხანმოკლე ჭირვეულობის შემდეგ დედოფალი ვიქტორიაც დათანხმდა ლონდონში ელჩების კონფერენციის ჩატარების იდეას. გადაუჭრელი რჩებოდა ერთი დელიკატური პრობლემა – კონფერენციაზე საფრანგეთის წამომადგენლობა. პარიზის ახალი ხელისუფლება გამჭვირვალედ მიანიშნებდა, რომ კონფერენციას პრუსია-საფრანგეთის ომისა და მოსალოდნელი ზავის საკითხიც უნდა განეხილა, რაც პრინციპშივე იყო მიუღებელი ბისმარკისათვის. ის არ დაუშვებდა, რომ ძლივს დამარტოხელებული ფრანგები ხელიდან დასხლტომოდნენ და თანამგრძნობ კამპანიაში ემსჯელად ზავის პირობებზე. კიდევ ერთი მოულოდნელი ბარიერის აღმართვას შეეცადნენ ინგლისელები: გრენვილის მიერ შედგენილი, კონფერენციის მონაწილეთათვის გასაგზავნი მოსაწვევი წერილი ისე იყო ფორმულირებული, თითქოს კონფერენცია რუსეთის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევის ფაქტზე სამსჯელოდ იკრიბებოდა. ცხადი იყო, რომ რუსეთი ამას არ დათანხმდებოდა.

კრიზისულ ვითარებაში ბრიტანულმა დიპლომატიამ კვლავ დაამტკიცა, რომ ტყუილად არ სარგებლობდა მაღალი რეპუტაციით: გრენვილმა „დიდსულოვნურად“ შესთავაზა რუსეთის ელჩს, ბარონ ბრუნოვს (რომელსაც უკვე 30 წლის განმავლობაში ეკავა ეს პოსტი), ერთად შეედგინათ ახალი ტექსტი. ელჩების კონფერენციამ მუშაობა 1871 წლის 17 იანვარს დაიწყო, მართალია, საფრანგეთის წარმომადგენლის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეთათვის წინასწარ

იყო ცნობილი შედეგი, ავსტრია, რომელიც უკვე საჭიროდ აღარ თვლიდა დაემალა ან შეენიღბა საკუთარი ანტირუსული განწყობილება, შეეცადა ხელი შეეშალა გორჩაკოვის ტრიუმფისათვის და სინოპში ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო ფლოტის ბაზირების უფლება მოითხოვა, ხოლო როდესაც უარი მიიღო, უკვე დუნაის შესართავში ითხოვა ევროპელთათვის სამხედრო ბაზის ნებართვა. აქ უკვე თურქეთის წარმომადგენელმა დაადო ვეტო ავსტრიის ელჩის ინტრიგებს. ამის შემდეგ უკვე მშვიდ ვითარებაში იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც რუსეთსა და ოსმალეთის იმპერიას შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება დაუბრუნდათ. ბოსფორი და დარდანელი უცხო სახელმწიფოთა სამხედრო გემებისათვის ჩაიკეტა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თვითონ სულთანი მისცემდა ამის ნებას „მეგობარ მოკავშირეებს“. ეს იყო უიშვიათესი შემთხვევა დიპლომატიის ისტორიაში, როდესაც თოფის გასროლის გარეშე იბრუნებდა სახელმწიფო იმ უფლებებს, რომლებიც ომის შედეგად იყო დაკარგული და საერთაშორისო ხელშეკრულებით დადასტურებული. მხოლოდ ეს ერთი ეპიზოდიც კი საკმარისი იქნებოდა, რათა გორჩაკოვს გამორჩეული ადგილი დაეკავებინა რუსული დიპლომატიის ისტორიაში. თუმცა მინისტრს ისედაც არ აკლდა პატივი და ჯილდოები, მაგრამ ამჯერად პიკს მიაღწია ალექსანდრეს, მართლაც, მეფურმა მადლიერებამ: სხვა ჯილდოებთან ერთად, გორჩაკოვი უკვე უგანათლებულესი თავადი და კანცლერი გახდა.

დიდი ევროპული პასიანსის ახალმა მოთამაშემ კი ისეთი იუნკრული უცერემონიულობით დაიწყო ახლად შექმნილი იმპერიის ხისტად მოურიდებელი პოლიტიკური კურსის დემონსტრირება, რომ ვენამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და დელიკატურად მიანიშნა ბერლინს, რომ მზად იყო უმცროსი პარტნიორის როლს შეგუებოდა. ლონდონში ჯერ კიდევ ჯიუტად არ სურდათ საფრთხედ აღექვათ ერთიანი გერმანია და საკუთარი კოლონიური ბატონობის მოკლევადიან და გრძელვადიან საფრთხედ მხოლოდ რუსეთს მიიჩნევდნენ. უმზითვო პატარძლის როლში აღმოჩენილი საფრანგეთი მზად იყო ნებისმიერი ძლიერი მოკავშირისათვის შეეთავაზებინა „გული და

ხელი“. მოხდა კი ისე, რომ კიდევ 20 წელი მოუწია „პერსპექტიული სასიძოების“ ლოდინი. მიუხედავად მოჩვენებითი სიმშვიდისა, სახეზე იყო ხანგრძლივი მშვიდობისათვის აუცილებელი ძალთა თანაფარდობის ვენის კონგრესისეული სისტემის სრული ეროზია. უფრო სწორედ კი, მისი ხსენებაც აღარ იყო და სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდებოდა ამ ფაქტის იგნორირება. საფრანგეთთან ომში გამარჯვებისა და გერმანიის გაერთიანების შემდეგ ბისმარკმა მკვეთრად შეცვალა ბერლინის საგარეო პოლიტიკა. ახლა მისი მთავარი მიზანი იყო ყველა დაერწმუნებინა, რომ ერთიან გერმანიას აღარავისთან აღარ ჰქონდა პრეტენზიები და არც კოლონიები იზიდავდა და რომ ერთიანი გერმანიის კანცლერის საგარეო პოლიტიკური კურსის საფირმო ნიშნად უკვე ზომიერება და სიფრთხილე იქცა. სხვა საკითხია, თუ რამდენად სჯეროდათ ევროპელებს იუნკრული ფასეულებების ბაზაზე შექმნილი გერმანული სახელმწიფოსი.

1875 წელს გერმანულმა პრესამ მოულოდნელად განგაში ატეხა: საფრანგეთის არმიამ 70 ათასი ცხენი შეისყიდა და ეს ფაქტი ფრანგებს გერმანიაში ომისათვის სამზადისად ჩაუთვალეს. ლონდონსა და განსაკუთრებით კი პეტერბურგში ეჭვობდნენ, რომ გერმანული პრესის ისტერიულად ანტიფრანგული კამპანია თავად კანცლერის მიერ იყო ინსპირირებული (საიდუმლოებას არ წარმოადგენდა ბისმარკის უნარი „საზოგადოებრივი აზრით“ მანიპულირების საქმეში), რის მიღმაც ბერლინის სურვილი იმალებოდა – წელში გამართვის საშუალება არ მიეცა საფრანგეთისათვის და სამუდამოდ გასწორებოდა თავის ისტორიულ მოწინააღმდეგეს. მით უმეტეს, რომ თვით ბისმარკისთვისაც კი მოულოდნელ სიურპრიზად იქცა ფრანგების შესაძლებლობა სულ რამდენიმე წელიწადში, ვადაზე ადრე გადაეხადათ გრანდიოზული რეპარაცია და ფართომასშტაბიანი გადაიარაღებაც დაეწყოთ. რასაკვირველია, ნაპოლეონ მესამის სისულელეებზე ჭკუანასწავლ რესპუბლიკურ ხელმძღვანელობას აზრადაც არ მოსვლია მეორედ გაება ქვეყანა ბისმარკის ხაფანგში ახალი ავანტიურით (პარიზში რევანშის იდეას გამორიცხავდნენ ძლიერი მოკავშირეების გარეშე). კვლავინდებურად ისევ ბისმარკი ეძებდა საბაბს, რათა საბოლოოდ

გადაეჭრა „ფრანგული დილემა“. მისთვის მუდამ უცხო იყო ილუზიები და მშვენივრად ესმოდა "რეალპოლიტიკის" ავტორს, რომ ადრე თუ გვიან, საფრანგეთიც მოიშუშებდა ომის იარებს და მოკავშირეებიც შეეძლო ეშოვნა – ტყუილად ხომ არ ტანჯავდა „რკინის კანცლერს“ „კოალიციების კოშმარი“.

ბისმარკმა კვლავ ნაცად დიპლომატიურ ილეთს მიმართა და პეტერბურგს პირველს დაუყარა საკენკი: დიპლომატიური არხებით მოსინჯა რუსეთის პოზიცია ახალი ომის შემთხვევაში. გორჩაკოვი მხოლოდ იმას არ დასჯერდა, რომ შორს დაეჭირა ნეიტრალიტეტის საფასურად გერმანიის საპასუხო სამსახურის იდეა და დიდ ბრიტანეთსაც მიმართა წინადადებით ერთობლივი დიპლომატიური დემარშის თაობაზე. ლონდონში ჯერ არ იყო სრულად აღდგენილი საფრანგეთისადმი ნდობა, მაგრამ უვადო და უპროცენტო ნდობის კრედიტით არც ბისმარკის გერმანია არ სარგებლობდა. მყისვე მიხვდა ბისმარკი, თუ რა რიგ შეიცვალა რეალობა მას შემდეგ, რაც ევროპის შუაგულში ასე თუ ისე მოკრძალებული პრუსია გერმანულმა გიგანტმა ჩაანაცვლა. მიხვდა და უკუსვლა ჩართო – ანტიფრანგული საომარი ყიჟინა უკვე მხცოვან ფელდმარშალ მოლტკეს გადააბრალა და ბერლინში გზად გავლილი რუსეთის იმპერატორისა და მისი კანცლერის დარწმუნებას შეეცადა, რომ მსოფლიოში გერმანიაზე უფრო მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო არ არსებობდა. იმავდროულად კი მისი შემოქმედებითად მოუსვენარი გონება უკვე მორიგ დიპლომატიურ კონსტრუქციას გეგმავდა სამი იმპერატორის კავშირით საფრანგეთის იზოლაციის გასახანგრძლივებლად.

დიპლომატიის ისტორიაში ერთი ხელის თითებზე თუ ჩამოითვლება ისეთი უნიკალური შემთხვევა, როდესაც კავშირის სამი წევრიდან ორის ინტერესები ორგანულად ყოფილიყო შეუთავსებელი. ასეთი დიპლომატიური ტრიოს შექმნა კი მხოლოდ ისეთი კვალიფიკაციის მაესტროს თუ შეეძლო, როგორიც გერმანიის კანცლერი იყო. მას რუსეთთანაც სჭირდებოდა კავშირი და ავსტრიასთანაც, თანაც არა თითოეულთან ცალ-ცალკე, არამედ ორივესთან ერთად. სწორედ ასეთი იყო 1873 წელს შექმნილი სამი იმპერატორის – გერმანიის, ავსტ-

რიისა და რუსეთის კონსერვატიული მონარქების კავშირი. მართალია, „სამი მონარქის კავშირი“ გარეგნულად საეჭვოდ ჩამოჰგავდა საღვთო კავშირს, მაგრამ XIX საუკუნის 70-იან წლებში სამხედრო-პოლიტიკური კავშირისათვის საკმარისი არგუმენტი მხოლოდ რევოლუციებთან ერთობლივი ბრძოლა უკვე აღარ იყო. ვის დააჯერებდა „რეალპოლიტიკის“ იდეოლოგი და პრაქტიკოსი, რომ ლეგიტიმიზმის დასაცავად ქმნიდა კავშირს? რეალური პოლიტიკა ხომ საფუძველშივე გამორიცხავს ნებისმიერ იდეოლოგიას, როგორც სახელმწიფო პოლიტიკური კურსის საფუძველს და მხოლოდ და მხოლოდ ინტერესებსა და რეალურ ძალას ეყრდნობა?

რასაკვირველია, ავსტრიისა და რუსეთისათვის შეუმჩნეველი არც საფრანგეთის 1871 წლის რევოლუცია და პარიზის კომუნა არ დარჩენილა, რომელმაც სულ რაღაც 72 დღე კი იარსება, მაგრამ ევროპის მონარქიული რეჟიმები კი კარგა გვარიანად შეაფუცხუნა. 1873 წლის 25 მაისს, შერბრუნში (ვენის მახლობლად), ალექსანდრესა და ფრანც იოსების მიერ ხელმოწერილი შეთანხმება, რევოლუციებთან ერთობლივი ბრძოლით იყო მოტივირებული, მაგრამ, იმავე წლის 11 ოქტომბერს გერმანიის მიერთებით, როდესაც ბისმარკმა ორთა კავშირი სამთა კავშირად აქცია, ახალი დატვირთვა შეიძინა ალიანსმა. კერძოდ კი, ბისმარკმა ზუსტად განსაზღვრა ყოველი მონაწილის ვიწრო პოლიტიკური ინტერესები: რუსეთს უკვე ანერვიულებდა გერმანიის დღითიდღე მზარდი თვითდაჯერებულობა და სამხედრო ძალა და მასთან მეგობრული კავშირით ცდილობდა ჯერ კიდევ ჰიპოთეტური საფრთხის განეიტრალებას (კარგა დრო იყო დარჩენილი ბერლინის კონგრესამდე); გერმანია ცდილობდა არ დაეშვა რუსეთ-საფრანგეთის კავშირი; ავსტრია ცდილობდა ბალკანეთში რუსეთის აქტივობის შეზღუდვას. დამატებით ბისმარკმა ინგლის-რუსეთისა და ინგლის-ავსტრიის ურთიერთობებში დიპლომატიური მანევრირების თავისუფლება შეინარჩუნა.

ისევე როგორც ნახევარი საუკუნით ადრე ცდილობდა მეტერნიხი (და თითქმის აღწევდა კიდეც) სიახლოვითა და საღვთო კავშირით დაეოკებინა ალექსანდრე I ამბიციები, ასევე ბისმარკიც დარწმუნე-

ბული იყო, რომ რუსეთის ექსპანსიონიზმის შეჩერება გაცილებით იოლი იყო კავშირებითა და შეთანხმებებით, ვიდრე კონფრონტაციითა და ომებით. „რეალპოლიტიკის“ დიდოსტატს ბოლომდე ჰქონდა გათვითცნობიერებული ის რისკებით აღსავსე რეალობა, რომ გერმანიით ნებისმიერ უკმაყოფილო ქვეყანას ავტომატურად ჰქონდა გარანტირებული საფრანგეთის პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერა. ამიტომაც იყო საფრანგეთის იზოლაცია ბერლინის სტრატეგიული ამოცანა, რომლის გადაჭრასაც ის კარგა ხანს ახერხებდა კიდეც რთულად გადანასკვულ-ჩახუჭუჭებული კავშირებით. თითქმის მთელი ოცი წელი შესძლო ბისმარკმა რუსეთ-საფრანგეთის კავშირისა და საფრანგეთ-ავსტრიის რევანშისტული წრეების ერთიანი პოზიციის საფრთხის ნეიტრალიზება. ისევე როგორც მეტერნიხი, არც ბისმარკი ენდობოდა რუსეთს (ენდობოდა კი ევროპაში ვინმე რუსეთს?), ისევე როგორც მეტერნიხი, ბისმარკიც ცდილობდა ბრიტანეთის გამოყენებას რუსეთის საპირწონედ, მაგრამ მეტერნიხისაგან განსხვავებით, წარუმატებლად – ლონდონი ცივად შეხვდა ბერლინთან კავშირის იდეას. როგორც ჩანს, მეტერნიხი მეტ ნდობას იწვევდა თავისი ეპოქის ბრიტანელ პოლიტიკოსებში. უკანასკნელი გარემოება კი უალტერნატივოს ხდიდა რუსეთთან კავშირს. „სანამ ინგლისში არ შეიგნებენ, რომ კონტინენტზე მხოლოდ გერმანია შეიძლება იყოს მათი საიმედო მოკავშირე, გერმანიისათვის ფასდაუდებელია რუსეთთან კარგი ურთიერთობა“, – ხშირად იმეორებდა ბისმარკი. ამავე დროს მას ისიც ესმოდა, რომ სამი მონარქის არაბუნებრივ კავშირს დიდი დღე არ ეწერა: 1876 წლის ბულგარეთის მოვლენები სიმტკიცეზე პირველ სერიოზულ გამოცდად იქცა კავშირისათვის, როდესაც სრულად გამოვლინდა მისი სუსტი მხარეები.

გარდა „აღმოსავლეთის საკითხისა“, სადაც ბისმარკი იძულებული იყო ავსტრიის ინტერესებზეც ეზრუნა, პეტერბურგმა ბერლინისაგან განსხვავებული პოზიცია კიდევ რამდენჯერმე გამოავლინა. „რკინის კანცლერი“ ყველაფერ ამას ხედავდა, მაგრამ რადგანაც რუსეთთან კავშირს ასე იოლად ვერ შეელეოდა, დიდად არ გასჭირებია არაეფექტურად ქცეული ალიანსის „კაპიტალური რემონტი“ – 1881 წლის

6 ივნისს ხელმოწერილი იქნა სამი იმპერატორის მეორე კავშირი. თავისი შინაარსიდან გამომდინარე, დიპლომატიურ წრეებში იგი „გადაზღვევის“ ხელშეკრულების სახელით გახდა ცნობილი. ახალი ხელშეკრულების პირველსავე მუხლში ნათქვამი იყო, რომ თუ ხელშეკრულების რომელიმე მონაწილე, მეოთხე დიდ სახელმწიფოსთან აღმოჩნდება ომში ჩაბმული, დანარჩენი ორი მოკავშირე კეთილგანწყობილ ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებდა. ასეთი პირობა ეხებოდა თურქეთთან ომს (ცხადია რუსეთისას) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამივე მოკავშირე წინასწარ იქნებოდა შეთანხმებული ომის შედეგებზე (ცხადია, რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში). სხვა მხრივ, რუსეთი, გერმანიის თანხმობით, ვალდებულებას კისრულობდა პატივი ეცა ავსტრია-უნგრეთის ინტერესებისათვის. ხელშეკრულება საიდუმლო იყო და მას ერთვოდა სპეციალური ოქმი, რომელიც ითვალისწინებდა ავსტრიის უფლებას, შესაფერის მომენტში მოეხდინა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ანექსია; ბულგარეთთან დაკავშირებით ოქმი ითვალისწინებდა სტატუს-ქვოს შენარჩუნებას და მაკედონიას ბულგარეთის მხრიდან სავარაუდო აგრესიისაგან იცავდა. 1884 წლის 15 მარტს ხელშეკრულების ვადა, უმნიშვნელო ცვლილებებით, სამი წლით გაგრძელდა.

ზემოხსენებული დიპლომატიური „სადაზღვევო“ ტაქტიკის პარალელურად, ბისმარკი ყოველნაირად ცდილობდა კოლონიური ექსპანსიებისაკენ წაეხალისებინა საფრანგეთი, რამეთუ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამ მიმართულებით გარდაუვალი იყო პარიზისა და ლონდონის ინტერესთა დაპირისპირება, უპირველეს ყოვლისა, თუნდაც იგივე ეგვიპტეში. ასევე დიდი ალბათობით იყო მოსალოდნელი პარიზის უთანხმოება რომთან ტუნისის გამო. მართალია, ბისმარკისათვის სულაც არ იქნებოდა მიუღებელი არც ვენისა და პეტერბურგის კოლონიური ამბიციების რეციდივები, მაგრამ მისთვის ასევე მიუღებელი იყო ომი მის ორ მოკავშირეს შორის; რეალისტურად აფასებდა რა ძალთა თანაფარდობას, იგი გამორიცხავდა ავსტრია-უნგრეთის გამარჯვებას, ხოლო რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში კი ბერლინს პეტერბურგის უმცროსი პარტნიორის როლი ელოდა. მოვლენათა გან-

ვითარებისა და მოსალოდნელი შედეგების ფრთხილი ანალიზის საფუძველზე ბისმარკი იმ ლოგიკურ დასკვნამდე მივიდა, რომ გრძელვადიანი სტრატეგიიდან გამომდინარე, მხოლოდ ავსტრია-უნგრეთი შეიძლება ყოფილიყო გერმანიის ერთადერთი სტრატეგიული მოკავშირე ამ ტერმინის სრული დატვირთვით. უკანასკნელის რეალიზაციისაკენ პირველ ნაბიჯად კი 1879 წელს ბერლინსა და ვენას შორის გაფორმებული საიდუმლო ხელშეკრულება იქცა, რომლითაც მოკავშირეები ერთმანეთს სამხედრო დახმარებას შეჰპირდნენ რუსეთთან ომის შემთხვევაში. რაც შეეხებოდა გერმანიის სავარაუდო ომს საფრანგეთთან, ვენა მხოლოდ კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტით შემოიფარგლებოდა. გავიხსენოთ, რომ ეს ბერლინის კონგრესის უშუალოდ შემდგომი პერიოდია, როდესაც მთელი რუსეთი გაცოფებული იყო „მოპარული გამარჯვების“ გამო, ხოლო „ქურდების“ მთავარ თანამოაზრედ „მოღალატე თავადი ბისმარკი“ იყო გამოცხადებული. ასე რომ, „მოღალატეს“ სრული საფუძველი გააჩნდა დროზე ეფიქრა საიმედო დაზღვევაზე, თუმცა მხოლოდ ვენის იმედზე ყოფნა ეცოტავებოდა და იტალიასთანაც მაცდური ფლირტი, წამოიწყო, მით უმეტეს, რომ ტუნისის პრობლემამ რომისა და პარიზის ურთიერთობებში შავი კატის როლი შეასრულა. ვირტუოზული დიპლომატიური ფინტებით შესძლო ბისმარკმა ვენის მისამართით არსებული იტალიელების უკმაყოფილების (ტრიესტისა და ტრენტინის გამო) განეიტრალება და 1882 წელს ევროპის დიპლომატიური სივრცე კიდევ ერთი კვანძით გადაიხლართა: ბერლინისა და ვენის 1879 წლის საიდუმლო კავშირს რომიც შეუერთდა. ასე დაიბადა „სამთა კავშირი“ – პირველი მსოფლიო ომის ჩამოყალიბებული ფიგურანტი.

1887 წელს, როდესაც „სამთა კავშირის“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა ამოიწურა, ბისმარკს არ გასჭირებია მისი პროლონგირება, რითაც კიდევ უფრო განამტკიცა სამოკავშირეო ურთიერთობა ვენასა და რომთან. კავშირის ერთი მახვილი საფრანგეთისკენ იყო მიმართული, მეორე – რუსეთისაკენ. იმავე წელს დაკარგა ძალა „სამი იმპერატორის კავშირმა“, რომელმაც ვეღარ გაუძლო ვენისა და პეტერბურგის მზარდ წინააღმდეგობებს. რუსეთის ახალმა იმპერატორმა

ალექსანდრე III, ბისმარკის დიპლომატიურ რებუსებზე თავის მტვრევას საერთოდ გარიდება ამჯობინა და უარი თქვა სამი იმპერატორის კავშირში შემდგომ ყოფნაზე. ბისმარკს არავითარ შემთხვევაში არ აწყობდა რუსეთის „უმეთვალყურეოდ“ დატოვება და თავისი დანარჩენი მოკავშირეების ზურგს უკან, რუსეთის იმპერატორი მხოლოდ ორმხრივ ხელშეკრულებაზე დაიყოლია: ახალი ხელშეკრულება ურთიერთნეიტრალიტეტს ითვალისწინებდა ნებისმიერ მესამე სახელმწიფოსთან ომის შემთხვევაში. გამონაკლისად იყო დათქმული რუსეთის თავდასხმა ავსტრია-უნგრეთზე და გერმანიისა საფრანგეთზე. რუსეთიცა და გერმანიაც დაზღვეულნი აღმოჩნდნენ ორ ფრონტზე ომისაგან, რის გამოც ხელშეკრულებას „გადაზღვევის ხელშეკრულება“ ეწოდა. რეალურად შემდეგნაირად გამოიყურებოდა საერთო სიტუაცია: იტალიასთან კავშირი გერმანიას აზღვევდა საფრანგეთთან ომის შემთხვევაში, ავსტრია-უნგრეთთან კავშირი – რუსეთთან ომის შემთხვევაში. ახალი ხელშეკრულება კი, უკვე რუსეთის მხრიდანაც აზღვევდა გერმანიას. ასეთ ლაბირინთში ეშმაკიც ადვილად მოიტეხდა ფეხს, მაგრამ არა ბისმარკი. სხვა საკითხია, რომ ასეთ რთულ კონსტრუქციას ობიექტურად არ შეეძლო დიდი ხნით უზრუნველეყო ინტერესთა ბალანსი და მხოლოდ სამი წელი იარსება, თუმცა საჭირო დრო მოაგებინა მის ინიციატორს.

ბისმარკის გეგმებში მუდამ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ინგლისს, რასაც ხელი არ შეუშლია იმ ფაქტისათვის, რომ ჯერ ლონდონმა არ მიიღო ბერლინის შეთავაზება კავშირზე, ხოლო მოგვიანებით, 1886 წელს უკვე ბისმარკმა გააწბილა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი როზბერი, როდესაც შორს დაიჭირა ლონდონის ანტირუსული კავშირის იდეა. „რკინის კანცლერი“ თავისი ხანგრძლივი მმართველობის უკანასკნელ დღემდე გაურბოდა რუსეთთან ღია დაპირისპირებას. გერმანიის იმპერიის მამა-დამფუძნებელი მაშინაც კი რჩებოდა რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობების ერთგული (თუნდაც ფარული ინტრიგებითა და ანტირუსული ხელშეკრულებებით), როდესაც გერმანიის გავლენიანი ბურჟუაზია ინგლისთან კავშირს ჯიუტად მოითხოვდა. გერმანელ მეწარმეებს სა-

მართლიანად მიაჩნდათ, რომ ასეთი კავშირი გერმანულ პროდუქციას მსოფლიოს ბაზრების კარს გაუხსნიდა. ამავე დროს, მიუხედავად ბისმარკის გულწრფელი სურვილისა და მცდელობისა, შეუქცევად ხასიათს ღებულობდა რუსეთ-გერმანიის ეკონომიკური წინააღმდეგობების ზრდა. საქმე ის იყო, რომ მხოლოდ ობიექტური მიზეზები აიძულებდა ბისმარკს პერმანენტურ რეჟიმში ეზარდა ტარიფები რუსულ იმპორტზე, პირველ რიგში ხორბალზე. თავის მხრივ რუსეთის ხელისუფლებაც ხდებოდა იძულებული საპასუხო ზომები გაეტარებინა გერმანული იმპორტისაგან საკუთარი ბაზრის დასაცავად, რათა ადგილობრივი მეწარმენი მძიმე მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყვნენ. რუსეთმა გერმანიის პორტების ბოიკოტირებაც კი დაიწყო, რაც ეკონომიკური ომის რეალობის ტოლფასი იყო. საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა ასეთი ვითარება ბისმარკის პოლიტიკას – არავითარ შემთხვევაში არ დაეშვა რუსეთთან ურთიერთობის ესკალაცია. ჩვეულებრივ იგი ეფექტურად იყენებდა გერმანიის ფინანსურ ბაზარს – რუსეთისათვის ღია იყო საკრედიტო ხაზები, 1887 წელს კი ეს არხიც გადაკეტა იმის იმედით, რომ სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩენილი რუსეთი (პეტერბურგს ხომ არასოდეს ყოფნიდა თავისი ფული), დამთმობი გახდებოდა საგარეო ვაჭრობის სფეროში, მაგრამ აქ კი მწარედ მოტყუვდა უშეცდომო გათვლების ოსტატი: რუსეთმა საფრანგეთის ბირჟებს მიაკითხა, სადაც მას ხელ-ჯიბე გახსნილები დახვდნენ. ევროპის პოლიტიკურ ჰორიზონტზე საფრანგეთ-რუსეთის კავშირის პირველი კონტურები მოიხაზა.

ბისმარკი სწრაფად მიხვდა საკუთარ შეცდომას და სოლსბერისთან დაიწყო გერმანია-ინგლისის კავშირისაკენ მიმავალი გზების პროექტირება, რაც უკვე საკუთარმა იმპერატორმა არ აცალა... 1890 წელს ევროპული დიპლომატიის „ოქროს კვარტეტის“ (რიშელიე, ტალეირანი, მეტერნიხი, ბისმარკი) უკანასკნელი მოჰიკანის 28-წლიანი ეპოქა დასრულდა: ახალგაზრდა კაიზერმა ვილჰელმ მეორემ მამამისის როლის გაგრძელება და გენიალური, მაგრამ იმავდროულად ჭირვეული და თავნება ბერიკაცის ჩრდილში ყოფნა არ ისურვა. მას ხომ კარგად ახსოვდა, თუ რა დღეში აგდებდა ერთპიროვნულ მართ-

ვას მიჩვეული მინისტრი საკუთარ იმპერატორს? ბისმარკისათვის ხომ არანაირი ავტორიტეტი არ არსებობდა დასახული მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში. ის, რომ მინისტრის ერთადერთი მიზანი გერმანიის დიდება იყო, ახალგაზრდა მამლაყინწა ვილჰელმის თვალში არგუმენტად არ ვარგოდა. მას იმაზე ფიქრიც კი ჰზარავდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მინისტრს მის მიერ შედგენილი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტი შეეძლო გაეყალბებინა, თუნდაც ამას ემსის დეპეშის ტოლფასი შედეგი მოჰყოლოდა. ძველ იმპერატორს ხშირად არ ესმოდა თავისი პირველი მინისტრის მრავალსვლიანი კომბინაციების არსი, უკანასკნელი კი დროს არ კარგავდა სუზერენის დიპლომატიურ განათლებაზე და როგორც კი წინააღმდეგობას აწყდებოდა, გადადგომის თხოვნით მიმართავდა ხოლმე საკუთარ იმპერატორს, რაც უკანასკნელის კაპიტულაციით მთავრდებოდა. ახალგაზრდა იმპერატორმა თავად მოინდომა გერმანიის ბისმარკობა, რაც საერთო კატასტროფით დასრულდა. ისე კი, ისიც უნდა ითქვას, რომ სიკვდილის ბოლომდე არ ასვენებდა ვილჰელმ მეორეს სინდისის ქეჯნა: გადადგომამდეც და შემდეგ ემიგრაციაშიც შემთხვევას არ უშვებდა, რომ თავი არ ემართლებინა „აზრად არ მქონია ბისმარკის გადაყენება, მისგან მხოლოდ ელემენტარული, ფორმალური სუბორდინაციის დაცვას მოვითხოვდი და ამასაც ვერ ვღებულობდიო“.



ალექსანდრე გორჩაკოვი
(1778-1883)
რუსეთის იმპერიის
საგარეო საქმეთა მინისტრი

თავი მეექვსე
რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლის ომი და ბერლინის კონგრესი

შეუდარებელი დიპლომატიური ალღოთი და კრეატიული გადაწყვეტილებების უნარით შესძლო ბისმარკმა რუსულ-ავსტრიული ორმხრივი ანტაგონიზმის პირობებშიც კი მიეკვლია ვენა-პეტერბურგისათვის მიმზიდველი დიპლომატიური კონსტრუქციისათვის და მასზე სამი იმპერატორის კავშირი აეგო. ახალ რეალობას, ერთი

მხრივ, საფრანგეთის რევანშისტური გეგმები უნდა მოეთოკა, მეორე მხრივ კი, თუნდაც დროებითი სიმშვიდე უნდა მოეტანა ვენისა და პეტერბურგის გაუთავებელი ინტრიგებითა და იარაღის ჟღარუნით გაწამებული ბერლინისათვის. თეორიულად ასეც უნდა მომხდარიყო და ამ მხრივ უზადო იყო ჩანაფიქრი, მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ თვით ბისმარკიც უძლური იყო დიდი ხნით გაენეიტრალებინა ევროპის წყევლად ქცეული "აღმოსავლეთის საკითხი."

დენთის კასრი 1875 წელს ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში აფეთქდა. ორივე სამთავროში ერთდროულად დაიწყო თურქეთის ბატონობისაგან განმათავისუფლებელი აჯანყება, რომელსაც მომდევნო წლის აპრილში ბულგარელების აჯანყებაც მოჰყვა. თურქეთს სერბეთის სამთავროც აუმხედრდა. ერთმორწმუნე სოლიდარობის სიკაშკაშით გაბრწყინდა რუსი სლავიანოფილების „ვარსკვლავური საათი“: აჯანყების დაწყებისთანავე 5 ათასი რუსი ოფიცერი გაემგზავრა მოხალისედ თურქებთან საომრად, ხუთი მილიონი მანეთი (იმ დროისათვის დიდი თანხა) შეაგროვეს მხოლოდ მოსკოვისა და პეტერბურგის სლავურმა საქველმოქმედო ორგანიზაციებმა აჯანყებულთა დასახმარებლად. სოლიდარობის მოძრაობამ პრაქტიკულად მთელი რუსეთი მოიცვა. თუ გარიბალდის მებრძოლებს (პირადად ლეგენდარულ ჯუზეპე გარიბალდისაც) პირდაპირ ბრძოლის ველზე უწევდა პროფესიულ დახმარებას სახელგანთქმული რუსი ქირურგი ნიკოლოზ პიროგოვი, ახლა უკვე არა ნაკლებ ცნობილი მეორე რუსი დასტაქარი ნიკოლოზ სკლიფასოვსკი გაეშურა აჯანყებულებთან ჰიპოკრატეს ფიცის აღსასრულებლად. საომრად მოუწოდებდა რუს ხალხს გენიალური ფედორ დოსტოევსკიც. მხოლოდ კანცლერი გორცაკოვის არ იზიარებდა საერთო-სახალხო აღტყინებასა და ოპტიმიზმს. იგი ზუსტად აფასებდა ძალთა თანაფარდობას და მალე გამართლდა კიდეც გამოცდილი დიპლომატის პესიმისტური პროგნოზი: თურქეთის რეგულარულ არმიას აჯანყებულთა რაზმების დამარცხება არ გასჭირებია. სერბეთის სამთავროს დედაქალაქი ბელგრადი კონსტანტინოპოლის ბედისაგან მხოლოდ სტამბულში რუსეთის ელჩის ულტიმატუმმა იხსნა. შესაბამისად, სულთანი რუსეთთან კონფლიქტს მოერი-

და და ბელგრადს აღარ შეუტია. თავის მხრივ, არც რუსეთი იყო მზად საომრად. 15 წელი დასჭირდა ქვეყანას, რათა ყირიმის ომით გამოწვეული ასტრონომიული ვალი - 800 მილიონი მანეთი გაესტუმრებინა. ყირიმის ომიდან მხოლოდ 20 წლის შემდეგ შესძლო რუსეთმა ომამდელი ფინანსური მდგომარეობის დაბრუნება. კაბინეტის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის, პირველ რიგში სამხედრო მინისტრ მილიუტინის აზრით, ახალი ომი რუსეთისთვის „ყირიმი-2"-ად იქცეოდა. გორჩაკოვისთვის ავსტრიის პოზიცია იყო კიდევ ერთი არგუმენტი: კანცლერის კონფიდენციალური ინფორმაციით, ვენა ზღაპრულ ფასს მოითხოვდა საკუთარი ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ. არსებობდა კიდევ ერთი დელიკატური მომენტი: გორჩაკოვი თითქმის დარწმუნებული იყო ბალკანეთის ბურჟუაზიის ლიდერების პრაგმატულ მიზანში – რუსეთის არმიის სისხლით მოპოვებული გამარჯვებისთანავე კურსის აღება დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობაზე. მართლაც რითი უნდა ყოფილიყო მათთვის მიმზიდველი რუსეთი? იმ დროისათვის მოწინავე პოლიტიკური წყობითა და კონსტიტუციური წესრიგით? სამოქალაქო თავისუფლებებით? მოწინავე ტექნიკური და სამრეწველო დონით? პრესისა და სიტყვის თავისუფლებით თუ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკით? ყველაფერი ამით სარგებლობა რომ მხოლოდ დასავლეთში იყო შესაძლებელი, ეს გორჩაკოვმაც მშვენივრად იცოდა და ამიტომაც შიშობდა, რომ რეგიონში რუსეთის პოზიციები წარმატებული ომის შემთხვევაშიც არ გაძლიერდებოდა, პირიქით, შეიძლება შემცირებულიყო კიდეც. გარდა ამისა, საკუთარი იმპერატორისაგან განსხვავებით, მას არანაირი თბილი ნათესაური გრძნობები არ უშლიდა ხელს საღად შეეფასებინა გერმანიის ფაქტორის როლი, ვილჰელმი ხომ დედამისის ძმა არ იყო. ამას ზედ ერთვოდა ბისმარკისა და გორჩაკოვის პირადი პრობლემური ურთიერთობა, რაც მთელი ევროპისათვის იყო ცნობილი. რუსეთთან გაფორმებული ხელშეკრულებების ინიციატორი გერმანიის კანცლერი, ბრიტანელ კოლეგა სოლსბერისთან საუბარში არ მალავდა, რომ თუ რუსეთი ომს დაიწყებდა, ის უეჭველად დამარცხდებოდა და მორჩილად მიიღებდა ლონდონისათვის ხელსაყრელ საზავო პირობებს, გერმანიას კი

საფრანგეთის საბოლოოდ გასანადგურებლად ხელ-ფეხი გაეხსნებოდა.

თავისი ხანგრძლივი დიპლომატიური კარიერის მანძილზე გორჩაკოვს არასოდეს გადაუდგამს ბოლომდე გაუთვლელი ნაბიჯი და არც ამჯერად აპირებდა ტრადიციის დარღვევას. მაგრამ როდესაც 1877 წლის დეკემბერსა და მარტში ერთი-მეორეზე მიყოლებით უშედეგოდ დასრულდა სტამბულსა და ლონდონში ელჩების შეხვედრები და ვერანაირად მოხერხდა სულთანის დაყოლიება გაეუმჯობესებინა საკუთარ ქრისტიან ქვეშევრდომთა აუტანელი პირობები, იგი უკვე უძლური იყო რუსი სლავიანოფილებისა და პრაქტიკულად მთელი რუსეთის საზოგადოებრივი აზრის ანტითურქული საპროტესტო ტალღა შეეჩერებინა. ქვეყანა დაჟინებით მოითხოვდა იმპერატორისა და მისი კანცლერისაგან გადამჭრელ ზომებს. 1877 წლის 12 აპრილს კუთხეში მიმწყდეულმა ალექსანდრემაც ხელი მოაწერა თურქეთთან ომის მანიფესტს. გენერალური შტაბის ოფიციალურ დოკუმენტში ომის მიზნად თურქეთის ტირანიისაგან ბულგარეთის განთავისუფლება იყო განცხადებული. თურქეთთან შეტაკებამდე ერთი სერიოზული დიპლომატიური დილემა იყო მოსაგვარებელი: რუსეთის არმიას რუმინეთის ტერიტორიაზე უნდა გაევლო, ბუქარესტი კი აქტიური ნეიტრალიტეტის პოზიციაზე იდგა. ის ფაქტი, რომ რუსეთის იარაღითა და რუსი ჯარისკაცების სისხლით ჰქონდა რუმინეთს მოპოვებული სახელმწიფო სუვერენიტეტით სარგებლობის ფუფუნება, ბუქარესტში აღარ ახსოვდად. ომის დაწყებამდე ორიოდე დღით ადრე შესძლო გორჩაკოვმა, ისიც სერიოზული დიპლომატიური ზეწოლით, რომ რუმინეთისათვის რუსეთის არმიის გავლის ნებართვა გამოეგლიჯა.

რუსეთის კანცლერი ომთან მიმართებაში სკეპტიკურად განწყობილი არ იყო, ჯერ-ჯერობით ომი რუსეთისთვის წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ მას უფრო მომავალი ზავის პირობები აფიქრებდა: რეალისტ დიპლომატს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ევროპა დამარცხებულ თურქეთს გამარჯვებული რუსეთის პირისპირ არ დატოვებდა. უკანასკნელი გარემოების გათვალიწინებით კი ზავის პირობები

ზომიერი უნდა ყოფილიყო, რათა კონფლიქტში ჩარევის საბაბი არ ჰქონოდათ, პირველ რიგში კი ლონდონს. გორჩაკოვს არ სურდა ბალკანეთის ქედის გადალახვა. მისი ვარაუდიდ, ქედს აქეთ უნდა ყოფილიყო ავტონომიური სამთავრო თურქული სიმაგრეების, ჯარისა და ჩინოვნიკების გარეშე, სამხრეთ ბულგარეთი კი, ბოსნიასა და ჰერცოგოვინასთან ერთად, ევროპის დიდ სახელმწიფოებთან შეთანხმებულ მმართველობას მიიღებდა. გაიზრდებოდა სერბეთის, ჩერნოგორიისა და რუმინეთის ტერიტორიები. რუსეთი დაიბრუნებდა სამხრეთ ბესარაბიას და შავ ზღვაზე ბათუმს მიიღებდა. არც იმის წინააღმდეგი იქნებოდა პეტერბურგი, თუ მომავალში ვენა ბოსნიასა და ჰერცოგოვინას დაეუფლებოდა. სამომავლო ზავის ასეთი პირობები გააცნეს პეტერბურგში ავსტრიის, გერმანიისა და ინგლისის ელჩებს.

გორჩაკოვის ზომიერება მიუღებელი აღმოჩნდა გენერალიტეტის, მთავარსარდლის (დიდი მთავარი ნიკოლოზის) და კაბინეტის რიგი წევრებისათვის. გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ობრუჩევი, რომლის სტრატეგიული გეგმაც დაედო საფუძვლად სამხედრო კამპანიას, კატეგორიულად მოითხოვდა კონსტანტინოპოლის აღებას, რის გარეშეც „საპატიო ზავი“ შეუძლებლად მიაჩნდა. მას მოსვენებას არ აძლევდა პრუსიელი კოლეგა მოლტკეს დიდება და სამ თვეში გეგმავდა ომის დამთავრებას ბრწყინვალე გამარჯვებით. მართლაცდა, პირველმა გამარჯვებებმა ყველას თავბრუ დაახვია, ხოლო ფრთხილი კანცლერი კი თავისი ზომიერი გეგმით ზურგს უკან საყოველთაო დაცინვის ობიექტად იქცა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ დიდმა მთავარმა ნიკოლოზმა გორჩაკოვის თანდასწრებით განაცხადა: „დიპლომატია ისეთ საქმეებში ერევა, მას რომ არ ეხებაო“. მაისის დამლევს კი კანცლერი პრაქტიკულად ჩამოაშორეს კიდეც საგარეო პოლიტიკას.

აღწერილი მოვლენებიდან სულ მოკლე ხანში გაირკვა, რომ ბრძოლის ველზე წარმატება სულაც არ ყოფილა საკმარისი სასურველი პოლიტიკური შედეგებისათვის. რამდენიმე გადამწყვეტი გამარჯვებისა და განსაკუთრებით ქალაქ პლევნის აღების (სადაც რუსეთის არმიამ 43 ათასი თურქი ჯარისკაცი დაატყვევა), ადრიანოპოლის და სან-სტეფანოს დანებების შემდეგ, ომის ბედი უკვე გადა-

წყვეტილი იყო, თუმცა ღიად რჩებოდა ვენისა და ლონდონის ეჭვებისა და ინტრიგების მოსალოდნელი შედეგი. საქმე კი ის იყო, რომ როდესაც მარჯვე გენერალმა და კარგმა დიპლომატმა ნიკოლოზ იგნატიევმა 1878 წლის 19 თებერვალს, შინაურებისა და გარეულებისთვისაც მოულოდნელად, თურქები აიძულა პრელიმინარულ ზავზე მოეწერათ ხელი (ტექსტი იგნატიევის მიერ იყო შედგენილი და იმ დონემდე გასაიდუმლოებული, რომ „თეთრი“ ვარიანტის გადაწერა მხოლოდ საკუთარ ცოლს ანდო), ამას ვენასა და ლონდონში ბომბის აფეთქების ეფექტი მოჰყვა. ხელმოწერიდან ორი დღის შემდეგ ლონდონში რუსეთის ელჩს პეტრე ოვს ოფიციალურად გადასცეს მემორანდუმი – „თუ რუსეთი სულთანის თანხმობის გარეშე დაიკავებდა სტამბოლს, ინგლისი დიპლომატიურ ურთიერთობას გაწყვეტდა რუსეთთან“. ეს უკვე იმის მომასწავებელი იყო, რომ ყველასგან იზოლირებულ რუსეთს ნახევარ ევროპასთან ახალი ომი ელოდა. გარდა ევროპული კონგრესისა, სადაც დეტალურად იქნებოდა განხილული სან-სტეფანოს ზავის ყოველი მუხლი, სხვა გამოსავალი აშკარად არ არსებობდა. რასაკვირველია, სერიოზული ძალა იყო მილიონ 800-ათასიანი რუსული არმია, მაგრამ განა რამდენ ფრონტს გასწვდებოდა? უკვე არსებული ბალკანეთისა და კავკასიის გარდა, მოსალოდნელი იყო ახალი ფრონტი ავსტრია-უნგრეთთან, გამორიცხული არ იყო ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტიც, შავ ზღვაში თურქეთისა და ბრიტანეთის ჯავშნოსანი ესკადრის შემოჭრა, თავდასხმები თეთრ ზღვაზე, შორეულ აღმოსავლეთში და ა.შ. ძნელად შესაგუებელი იყო, რომ მსხვერპლი, რომელიც მხოლოდ ცოცხალი ძალის სახით გაიღო რუსეთმა (250 ათასი დაღუპული, დაჭრილი და დაინვალიდებული ოფიცერი და ჯარისკაცი), ვენისა და ლონდონის დიპლომატიური ინტრიგების მსხვერპლად უნდა ქცეულიყო. დიდ პოლიტიკაში ხომ უამრავი ნიუანსებითაა გაჯერებული ისტორიული, პოლიტიკური თუ ჰუმანური სამართლიანობა. თითქოს საკმარისი არ იყო გორჩაკოვისათვის ინგლისელებთან და ავსტრიელებთან კაბინეტური დავები, დამატებით პრობლემად იქცა ჭირვეული წვრილფეხა მოკავშირეების გაუთავებელი კაპრიზები და ურთიერთდავები. ჯერ იყო

და ყველას მოაბეზრა თავი სერბეთის გავლენიანმა და რუსეთის სამეფო კართან ნათესაური ქსელებით დაკავშირებულმა ემისარმა, პოლკოვნიკმა კარაჯიმ, რომელსაც ბულგარეთთან საზღვრის გამიჯვნის პროექტი არ მოეწონა და ჯიუტად თხოულობდა მთელ კოსოვოს, ნიშას, პიროტასა და აკოპალანკის. შემდეგ უკვე ჩერნოგორიის წარმომადგენლობაც მოვიდა მადაზე და კოსოვოს ნაწილი, დასავლეთი ჰერცოგოვინა და ალბანური შკოდერი მოითხოვა. საერთოდ შეუძლებელი გახდა ბერძნების დამშვიდება, სადაც მთავრობა ყოველ კვირას იცვლებოდა და ყველა ერთად ითხოვდა ეპირისა და ფესალიის განთავისუფლებას, ცხადია რუსეთის ფლოტითა და არმიით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ომის დასასრულ ეტაპზე, როდესაც თურქეთის დამარცხება უკვე მომხდარ ფაქტად იქცა, რუსული დიპლომატია პირველად აღმოჩნდა იმ ლაბირინთული კოშმარის წინაშე, რომელიც ოდნავ იერშეცვლილი, ბალკანეთის ქვეყნების დაუსრულებელი ურთიერთ პრეტენზიების სახით, დღემდე გრძელდება. ცხადი იყო, რომ არავის შეეძლო ტერიტორიული გამიჯვნების ისეთი გეოგრაფიულ-პოლიტიკური რუკის შედგენა, ყველას რომ მოსწონებოდა. ორი მსოფლიო ომიც კი არ აღმოჩნდა საკმარისი ბალკანეთის პრობლემის გადასაჭრელად.



ბენჯამინ დიზრაელი
(1804-1881)
დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი
1868-1880 წლებში

ლონდონთან ერთი-ერთზე დარჩენილი ალექსანდრე გორჩაკოვი კი სასოწარკვეთილი ცდილობდა სან-სტეფანოს იმ მუხლების გადარჩენას, რომელთა გადარჩენაც კიდევ შეიძლებოდა. ლიბერალი უილიამ გლადსტონის მემკვიდრე, ინგლისის ისტორიაში

პირველი ებრაელი პრემიერი ბენჯამინ დიზრაელი გაცილებით წარმატებული იყო თავის მცდელობაში სრულ სეკვესტრამდე დაეყვანა გენერალ-დიპლომატ ნიკოლოზ იგნატიევის შემოქმედება.

ფორინ-ოფისის მობინადრენი არ იყვნენ მიჩვეულნი ხელიდან გაეშვათ მომგებიანი მომენტი. მით უმეტეს, რომ უკანასკნელი იშვიად შანსს აძლევდა ბრიტანეთს – თან რუსეთის გაძლიერება არ დაეშვა და თანაც თვითონაც ესარგებლა სხვისი გამარჯვებით, თუნდაც მის ხელში შემყურე სულთნის ხარჯზე. მოხდა ისე, რომ თუმცა უშედეგოდ დასრულდა სულთანის წინააღმდეგ დაგეგმილი მორიგი შეთქმულება, მაგრამ აბდულ ჰამიდი ისე დაფრთხა, რომ სასახლიდან მეჩეთშიც ვეღარ გადიოდა და ინგლისელ ადმირალს სთხოვდა მუდამ მზად ჰყოლოდა სამხედრო ხომალდი ქვეყნიდან მის გასაპარებლად. როგორც კი ინგლისელებმა დაარწმუნეს სულთანი, რომ მხოლოდ მათ შეეძლოთ მისი ფიზიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების გარანტირება, ანგარიშიც წარუდგინეს, თანაც „მტკიცე ვალუტაში“ – ლონდონს კარგა ხანია კუნძულ კვიპროსზე ეჭირა თვალი, სადაც სტრატეგიული მნიშვნელობის სამხედრო-საზღვაო ბაზის შექმნა მცირე დანახარჯებით შეიძლებოდა. კუნძულს, რომლის ნაპირზეც გამოვიდა ზღვის ქაფიდან ქალღმერთი აფროდიტე, უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა უკავია შავი ზღვის სრუტეების, მესოპოტამიის, სირიისა და ეგვიპტის მისადგომებთან. 30 მაისს დიზრაელმა უკვე ულტიმატუმით მოსთხოვა სულთანს კუნძულის დათმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში თურქეთი მოკავშირის გარეშე რჩებოდა რუსეთის ძლევამოსილი არმიის წინაშე. ინგლისისათვის კუნძულის გადაცემა მეორე დღესვე გაფორმდა „დიდ ბრიტანეთსა და თურქეთს შორის თავდაცვითი კავშირის კონვენციით“. საფრანგეთის პროტესტი ზომიერად ხმამაღალი და „უძლურად გაღიზიანებული“ იყო. ცხადი იყო, რომ ბრიტანეთმა უხეშად დაარღვია ძალთა ბალანსი აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში. რა შეეძლო საკუთარი არამყარი შიდა პოლიტიკური სიტუაციის შემყურე პარიზს? ღრმად ჩაემარხა გულში წყენა და „სერიოზულად“ მიელო სოლსბერის წუწუნი, რომ „როგორც ყოველთვის“ ამჯერადაც ლონდონი გახდა იძულებული მარტოს

ეკისრა აზიაში თურქეთის სამფლობელოების დაცვის რთული და უმადური მისია. მხოლოდ მალტის საშუალებით კი ეს შეუძლებელი ხდებოდა. „პატიოსანი სიტყვით“ არწმუნებდა ფრანგებს ინგლისელი მინისტრი, რომ ეგვიპტე, პარიზის მთავარი საზრუნავი, ხელშეუხებელი იქნებოდა ინგლისის ექსპანსიისაგან. სულ რაღაც ოთხი წლის შემდეგ კი ინგლისის არმიამ ქაირო აიღო და ქვეყნის ბატონ-პატრონი მთელი 25 წლით ინგლისელი კონსული, ლორდი კრომერი გახდა.



ალექსანდრე II
რუხეთის იმპერატორი
(1818-1881)

1878 წლის პირველ ივნისს ბერლინში საერთაშორისო კონგრესი მუშაობას შეუდგა. წამყვანი ტრიო ასე გამოიყურებოდა: მასპინძლის რანგში კონგრესს გერმანიის კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი თავმჯდომარეობდა, რუსეთის დელეგაციას ფორმალურად ხელმძღვანელობდა კანცლერი ალექსანდრე გორჩაკოვი, რომელიც ასაკისა და ხშირი ავადმყოფობის გამო, პრაქტიკულად ეპიზოდურად ჩნდებოდა სხდომათა დარბაზში. ბრიტანეთის მხარეს ერთდროულად წარმოადგენდნენ პრემიერი ბენჯამენ დიზრაელი და ბრიტანული დიპლომატიის ამომავალი ვარსკვლავი, მარკიზი რობერტ სოლსბერი. ვინაიდან პრინციპული მნიშვნელობის მქონე ყველა საკითხი უკვე ლონდონში იყო შეთანხმებული სოლსბერსა და რუსეთის ელჩს შუვალოვს შორის, ბერლინში დეტალებზე თუ იმართებოდა ცხარე კამათი. აქაც შუვალოვი და სოლსბერი იყვნენ ოპონენტები, ვინაიდან დიზრაელმა არც ფრანგული იცოდა და არც სადაო საკითხებში ერკვეოდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ როდესაც კონგრესზე ბრიტანეთის დელეგაციის ხელმძღვანელი ვრცელი სიტყვით უნდა გამოსულიყო,

იგი დააჯერეს, რომ დელეგატების სურვილი იყო ინგლისის საუკეთესო ორატორისათვის მშობლიურ ენაზე მოესმინათ. სხვაგვარად დიზრაელის ჩიქორთული ფრანგული მთელ ბრიტანულ დიპლომატიას მოჭრიდა თავს. ისე კი, დიზრაელის გამოსვლა მსოფლიო დიპლომატიური ფორუმების ისტორიულ მომენტად იქცა: საერთაშორისო დიპლომატიურ კონგრესზე ინგლისური ენა პირველად გაისმა. მიუხედავად იმისა, რომ კისინჯერი სწორედ დიზრაელს მიიჩნევს ბერლინის კონგრესის მთავარ ფიგურად (38), შემონახულია დოკუმენტი სოლსბერის კომენტარით, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა გორჩაკოვისა და დიზრაელის შეხვედრის ფაქტი ამიერკავკასიაში რუსეთ-თურქეთის მომავალი საზღვრების თაობაზე: „კი, მაგრამ გრაფ ბიკონსფილდს (დიზრაელის ტიტული – ს.ც.) არ შეუძლია ამ საკითხზე მოლაპარაკების წარმოება, მცირე აზიის რუკები მას თვალითაც არ უნახავს", – წამოიძახა გაოცებულმა მინისტრმა (39). უკანასკნელს ისიც აწუხებდა, რომ ფრანგულის არმცოდნე და სმენადაქვეითებული დიზრაელი ვერ გებულობდა ბისმარკის ჩლიფინს („რკინის კანცლერს" პანიკურად ეშინოდა დანტისტების და პირში ორიოდ კბილი ჰქონდა შემორჩენილი, თანაც მისი კომპლექციისათვის შეუფერებელი უცნაურად წვრილი ხმით მეტყველებდა) და ამიტომ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა კონგრესის მუშაობაზე.

1878 წლის პირველ ივლისს, ევროპის 7 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ბერლინის ტრაქტატს, რომლის ძალითაც დამოუკიდებლობა მიიღო სამმა სამთავრომ: რუმინეთმა, სერბეთმა და ჩერნოგორიამ; სან-სტეფანოს პირობებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა ბულგარეთის ტერიტორია; მან ვერ მიიღო ეგეოსის ზღვაზე გასასვლელი, ქვეყანა ბალკანეთის უღელტეხილით გაიყო და ჩრდილოეთ ნაწილს ვარნისა და სოფიის რაიონები მხოლოდ გორჩაკოვის უდიდესი ძალისხმევის შედეგად მიუერთდა. ჩრდილოეთ ბულგარეთმა ავტონომიური სამთავროს სტატუსით ფართო თვითმმართველობა მიიღო, სამხრეთ ბულგარეთი კი, აღმოსავლეთ რუმელიის სახელწოდებით, ღებულობდა ადგილობრივ თვითმმართველობასა და ქრისტიან გუბერნატორს. ბოსნია და ჰერცოგოვინა უვა-

დოდ იქნა ოკუპირებული ავსტრია-უნგრეთის მიერ. რუსეთს დაუბრუნდა სამხრეთ ბესარაბია, ხოლო რუმინეთმა, კომპენსაციის სახით, ეკონომიკურად გაცილებით განვითარებული და პერსპექტიული ჩრდილოეთ დობრუჯა მიიღო. უძღებ რუმინელებს ესეც ეცოტავებოდათ და სამხრეთ ბესარაბიასაც თხოულობდნენ, რის გამოც რუსეთთან ურთიერთობა მკვეთრად დაეძაბათ. კავკასიაში რუსეთმა მიიღო ყარსი, ართვინ-არტაანი (არდაგანი) და ბათუმი. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ცხარე დებატები გაიმართა: თურქეთი და ბრიტანეთი იმ ფაქტზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რომ ბათუმი არ ჰქონდა დაკავებული რუსეთის არმიას და ამ შემთხვევაში ვერ ამოქმედდებოდა „უტი პოსიდეტ“-ის („რასაც ფლობ“) კაზუსი. ოპონენტებს არ სურდათ რუსეთის გაძლიერება შავ ზღვაზე შესანიშნავი ყურეთი და იდეალური ადგილით სამხედრო-საზღვაო ბაზისათვის. დავა გორჩაკოვისა და დიზრაელის ზემოხსენებული შეხვედრის შედეგად გადაწყდა (როგორც ჩანს, ტყუილად არ შიშობდა სოლსბერი), თუმცა რუსეთის სრულ სუვერენიტეტს ბათუმზე თავისუფალი პორტის სტატუსი ზღუდავდა.

მიუხედავად იმისა, რომ შექმნილი საერთაშორისო ფონის გათვალისწინებით, კონგრესის შედეგები რუსეთისათვის კატასტროფული სულაც არ იყო და მან სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაისაკუთრა, ყველა წარმატება ბულგარეთის, ბოსნიისა და ჰერცოგოვინის საკითხში განცდილმა მარცხმა გადაფარა. განსაკუთრებით სლავიანოფილები ბობოქრობდნენ. პეტერბურგისა და მოსკოვის პრესა ცოფს ყრიდა საკუთარი „უნიათო“ დიპლომატიისა და ევროპის „მზაკვრული“ პოლიტიკის მისამართით. პირველ რიგში ყველა „მკვდარი კატა“ ბისმარკს ჩამოკიდეს კისერზე - მას ხომ მთელი რუსეთი ერთგულ მეგობრად აღიქვამდა, ის კი ინგლისელებს „შეეკრა“. გლოვამ მოიცვა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებაც: „ბერლინის კონგრესი ყველაზე შავი ფურცელია ჩემს სამსახურებრივ კარიერაში“, – წერდა გორჩაკოვი იმპერატორს. „ჩემშიც“, – იქვე მიაწერა ალექსანდრემ (40). როგორც ჩანს, არავის სურდა თვალი გაესწორებინა იმ მწარე რეალობისათვის, რომ ისტორიას ჩაბარდა პეტრე დიდის ეპოქა,

როდესაც მთელი ევროპა ლუდოვიკო მეთოთხმეტის შეჩერებით იყო დაკავებული და რუსეთს გვერდზე მიუხედავად შეეძლო ერთი ციცქნა შვედეთს გასწორებოდა (თუნდაც დიდი ვაი-ვაგლახიდ). XIX საუკუნის დამლევისათვის კი პეტრეს მემკვიდრეებმა მხოლოდ მათთვის მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ ქვეყანა მარტოდ-მარტო დარჩა თავისი ამბიციებითა და ზესახელმწიფოს პრეტენზიებით. მთავარი კი, ალბად, მაინც ის იყო, რომ რუსეთისაგან განსხვავებით, ლონდონსა და ვენას კონტინენტზე ხანგრძლივი მშვიდობის, ანუ „სტატუს ქვოს“ შენარჩუნება სურდათ, რასაც შეუძლებელს ხდიდა რუსეთის პოლიტიკა ბალკანეთში. რაც შეეხებოდა გერმანიას, გულწრფელი იყო ბისმარკი, როდესაც ხმამაღლა აცხადებდა: „ერთი პომერანელი გრენადერის ჩონხადაც არ მიღირს მთელი ბალკანეთიო“.



ალექსანდრე III
რუსეთის იმპერატორი
(1845–1894)

როდესაც მას ბერლინის კონგრესზე ალბანეთის წარმომადგენლებმა შესჩივლეს, რომ ბულგარელებს აძლევენ ჩვენს მიწებსო, „რკინის კანცლერმა“ იუნკრული მოურიდებლობით მიახალა: „მე საერთოდ არ ვიცნობ ალბანელ ერსო“. არც დიზრაელი მალავდა ანტიპატიას ბალკანეთისა და მის მკვიდრთა მიმართ – მისი აზრით, ბალკანეთი დენთით სავსე კასრი იყო, სადაც ცხოვრების წესად იყო ქცეული პოლიტიკური ინტრიგები, პარტიების ქიშპობები, ეროვნული სიძულვილი, რელიგიური მტრობა და რაც მთავარი იყო, უმაღლესი ხელისუფლების დეფიციტი, რის გამოც ელემენტარულ წესრიგი არსად იგრძნობოდა. უფრო სარკასტული იყო სოლსბერი: „პოტსდამში კოღოებია, აქ კი ბალკანეთის პატარა ქვეყნები. არ ვიცი, რომელი უფრო უარე-

სია“, – წერდა იგი ბერლინიდან მეუღლეს. ბრიტანეთის პრემიერსაც და საგარეო საქმეთა მინისტრსაც მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი არ დაეშვათ პანსლავიზმის ჰეგემონია ნახევარკუნძულზე, თუნდაც თურქეთის ტირანიის მეშვეობით და ამ კურსს პრინციპული თანმიმდევრობით მისდევდნენ. სწორედ ამ ორი ინგლისელის „ბერლინურ დუეტს“ უნდა „უმადლოდეს“ ევროპა, რომ დღემდე მოაღწია მაკედონიის გადაუჭრელმა პრობლემამ.

ბერლინის კონგრესის მონაწილეთათვის სენსაციად არ ქცეულა ის ფაქტი, რომ თურქეთზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ბალკანეთში რუსეთის გავლენა კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა. ამის მიზეზი კი მხოლოდ ლონდონისა და ვენის ინტრიგები არ ყოფილა – თავად რუსეთი იყო ამის მთავარი მიზეზი თავისი პოლიტიკური ანატომიითა და ცხოვრების დრომოჭმული წესებით. საბოლოო ჯამში კი, ალბათ, იმის თქმაც შეიძლება, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ევროპის ყველაზე „უხვმოსავლიანი“ დიპლომატიური ფორუმის შედეგები ძალთა თანაფარდობას ობიექტურად ასახავდა. უსაფუძვლო იყო რუსი სლავიანოფილებისა და მათი თანამოაზრე სამხედრო და პოლიტიკური წრეების იოლად ასახსნელ აღშფოთება, რადგანაც ბერლინში რუსეთმა მიიღო ზუსტად ის, რაც მის რეალურ ძალასა და შესაძლებლობებს შეესაბამებოდა. მართალია, ლონდონში რუსეთის ელჩი, გრაფი შუვალოვი ცდილობდა პეტერბურგის დარწმუნებას, რომ ინგლისსა და ავსტრია-უნგრეთს შორის არსებული ფარული უთანხმოების გამო შესაძლებელი იყო კონგრესის თავიდან აცილება, მაგრამ პეტერბურგში რატომღაც სჯეროდათ, რომ ბისმარკის თავმჯდომარეობით კონგრესი უპრობლემოდ დაამტკიცებდა ზავის ყველა მუხლს. როდესაც გაირკვა, რომ ასეთი ნეტარმორწმუნეობისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობდა, რუსული საზოგადოების ერთსულოვანი მწვავე რეაქცია სწორედ არარეალისტური მოლოდინის შედეგიც იყო.


ნებისმიერ შემთხვევაში, ბერლინის კონგრესი თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ევროპის დიპლომატიური ისტორიის ახალი ეტაპის დასაწყისად. მიუხედავად ბისმარკის დიპლომატიური ნოვაციებისა, რუსეთთან ურთიერთობებში გაჩენილი ბზარის ლიკვიდირება

უკვე პრაქტიკულად იყო შეუძლებელი. პეტერბურგის საგარეო პოლიტიკაზე, რომლის მძიმე ჯვარსაც ისტორიულად მეფის პირადი სიმპათია-ანტიპათიები და კაპრიზები წარ-მოადგენდა, სერიოზული გავლენა იქონია ალექსანდრე მეორის მკვლელობის შემდეგ ალექსანდრე მესამის გამეფებამ და კანცლერ ალექსანდრე გორჩაკოვის (ალბათ, რუსეთის ისტორიაში ყველაზე დიდი დიპლომატის) უკვე ოფიციალურმა გადადგომამ. კანცლერის წოდების არმქონე ახალი მინისტრი ნიკოლოზ გირსი, რომელიც გორჩაკოვის მინისტრობის ბოლო წლებში სამინისტროს მთელ საქმიანობას წარმართავდა, ჭკვიანი და კარგად მომზადებული პროფესიონალი დიპლომატი კი იყო, მაგრამ გორჩაკოვთან მრავალწლიანი მუშაობის შედეგად, უინიციტივო და მხოლოდ განკარგულებების პუნქტუალურად შემსრულებელ ჩინოვნიკად ჩამოყალიბდა. მას მეფესთან შეკამათების კი არა, რჩევის მიცემის სითამამეც არ გააჩნდა.

რაც შეეხება ბერლინის კონგრესის შემდგომი პერიოდის რუსეთის საგარეო-პოლიტიკური კურსის კონფიგურაციას, მის ფორმირებაში-აქტიურად მონაწილეობდა სამხედრო მინისტრი მილიუტინი, რომელსაც მიაჩნდა, რომ სანამ არმიის გაჭიანურებული რეორგანიზაცია მიმდინარეობდა, რუსეთს წყნარი და უპრობლემო საგარეო პოლიტიკა ესაჭიროებოდა. საჭირო იყო გერმანიასთან ძველი მეგობრული (თუნდაც არაგულწრფელი) ურთიერთობების აღდგენა. ამ მიზნით საგანგებოდ შეირჩა ელჩი საბუროვი, რომლის როგერმანული სიმპატიები კარგად იყო ცნობილი. მალე გაირკვა, რომ ახალი ელჩის პირადი განწყობილება საკმარის არგუმენტად არ გამოდგებოდა ვენისათვის, რომელიც მზარდი ეჭვით უყურებდა რუსეთის გააქტიურებას ბალკანეთში, რაც ჯებირად შეიძლება ქცეულიყო გერმანია-რუსეთის მეგობრობისათვის.

საერთო სიტუაციას დრამატიზმს მატებდა მსოფლიოში კოლონიებისათვის ბრძოლის ახალი ეტაპის დაწყება. ბისმარკის ეპოქაში მხოლოდ გერმანია იყო ამოვარდნილი საერთო ტენდენციიდან. ლონდონშიც და პარიზშიც ჯერ კიდევ სჯეროდათ იმპერიის ფაქტიური დამაარსებლის საზეიმოდ გაცხადებული ფიცისა, რომ სანამ ისაა

კანცლერი, გერმანიის იმპერია კოლონიების გარეშე იარსებებდა. განსხვავებულ აზრზე იდგა ახალი იმპერატორი ვილჰელმ II. „დაგვიანებული“ კაიზერი მოურიდებლად შეეცადა დაუფლებოდა სადაო ან „უპატრონო“ ტერიტორიებს. ასეთი მოქმედება კი შეუძლებელი ისეთ „ზვიგენებთან“ დაპირისპირების გარეშე, როგორნიც იყვნენ ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, პორტუგალია, ნიდერლანდები.



უილიამ გლადსტონი
(1800-1898)
დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი
1868-1874, 1880-1885, 1892-1894 წლებში

დრამატულად უნიკალურ სიტუაციაში იმყოფებოდა ავსტრია-უნგრეთიც: უპრეცედენტოდ მრავალენოვანი იმპერია-მეტროპოლია, ძალების უკიდურესი დაძაბვით რომ ინარჩუნებდა ტერიტორიულ მთლიანობას, კარგა ხნის წინ იქცა დესტაბილიზაციის მთავარ კერად. ნაცვლად იმისა, რომ მთელი ყურადღება ისტორიული ნაკუწებისაგან შეკოწიწებული იმპერიის შიდა ერთიანობაზე გადაეტანა, ვენამ ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ანექსიისათვის დაიწყო მზადება. გარდა ამისა, საუკუნის დამლევისათვის ევროპის სახელმწიფოების ინტერესთა კონფლიქტურ კვანძად ოტომანთა იმპერიის მადის აღმძვრელი მოსალოდნელი მემკვიდრეობა იქცა. საინტერესო იყო, რომ ბოსფორ-დარდანელის სრუტეების დაუფლებისა და „კონსტანტინოპოლის პროექტის“ საკითხში ყველა რუსეთის წინააღმდეგ იყო გაერთიანებული.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ დიპლომატიის ისტორიის მკვლევართათვის XIX საუკუნის მეორე ნახევრის ევროპამ უნიკალური პირველწყაროები დატოვა. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო,

ვინაიდან არა მხოლოდ ევროპის, მსოფლიო ისტორიაშიც ძნელად მოიძებნება მეორე ასეთი ხანმოკლე პერიოდი, როდესაც დიდ დიპლომატიურ ჰადრაკის დაფას ერთდროულად შემოუსხდნენ ისეთი დონის გროსმეისტერები, როგორნიც იყვნენ ოტო ფონ ბისმარკი, ბენჯამენ დიზრაელი, ჰენრი პალმერსტონი, გლადსტონი, გორჩაკოვი. დიპლომატიის ამ ჯადოქრებმა ეპოქას წარუშლელი კვალი დაამჩნიეს. შეიძლება მხოლოდ ის ფაქტი გამოიყურებოდეს უცნაურად, რომ მე-19 საუკუნეს სახელი იმ ქალმა მონარქმა მისცა, რომლის უფლებებიცა და მოვლენებზე ზემოქმედების პოტენციალი მაქსიმალურად იყო შეზღუდული „დაუწერელი" კონსტიტუციითა და ყოვლისშემძლე პარლამენტით. საუბარია დიდი ბრიტანეთის დედოფალ ვიქტორიაზე და „ვიქტორიანულ საუკუნეზე". საინტერესო ფაქტია, რომ ბრიტანეთის ლეგენდარული მონარქის ნათლობის სახელი ალექსანდრინაა და იგი დედოფლად ამ სახელითვე აკურთხეს. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი კურიოზული ფაქტი არსებობს: დედოფლის მომავალ მამას, კენტის ჰერცოგს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველთან პრივატულ საუბარში დაუწუწუნებია, რომ ცოლის შერთვის დრო დაუდგა, მაგრამ უფულობის გამო საცოლის შესარჩევად ევროპაში ვერ მოგზაურობს. ხელგაშლილ ალექსანდრეს ათასი „ჩერვონეცი" (დიდი თანხა იმ დროისათვის) უჩუქებია და ამ ფულით გამგზავრებულა ჰერცოგი გერმანიაში საპატარძლოს საძებნელად (გერმანია ტრადიციულად ევროპის სამეფო ოჯახების საკადრისი საპატარძლოების ინკუბატორად ითვლებოდა), სადაც შეარჩია კიდეც მომავალი დედოფლის – ვიქტორიას დედა. 1837 წელს, როდესაც ჰანოვერთა სახლის მამრობითი შტო შეწყდა, ამ ქვეყანაზე რუსი იმპერატორის „სპონსორობით" მოვლენილი 18 წლის გოგონა მსოფლიოს უდიდესი იმპერიის დედოფალი გახდა. მთელი 62 წელი იჯდა ბრიტანეთის ტახტზე ვიქტორია და არა მხოლოდ საუკუნეს, ცხოვრების სტილსაც კი დაამჩნია კვალი. ამავე დროს დედოფალი არც სილამაზით, არც განათლებითა და არც განსაკუთრებული ჭკუით არ ბრწყინავდა. ვიქტორიას მთავარი მახასიათებელი თვისებები რკინისებური ნებისყოფა და ცხოვრებისეულ პრინციპთა სიმყარე იყო. დედოფალმა ძლე-

ვამოსილი იმპერიის ელიტის საფირმო ნიშნად ყველაფერში სოლიდურობა, საფუძვლიანობა და მორალურ პრინციპთა სიმკაცრე აქცია. ვიქტორიამ ისიც კი მოახერხა, რომ კრომველის შემდგომ ინგლისში მონარქის ავტორიტეტი და გავლენა საოცრად გაზარდა. მინისტრები არა მხოლოდ ყურადღებით ისმენდნენ მის რჩევებს, არამედ ანგარიშსაც უწევდნენ მის აზრს. პირად ცხოვრებაში უბრალო, ერთგული მეუღლე და ყურადღებიანი დედა იყო ვიქტორია. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ პრემიერი, რომელთანაც გულწრფელად განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა დედოფალს, ბრიტანეთის ერთერთი ყველაზე ეფექტური და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ბენჯამენ დიზრაელი იყო. დიდი ბრიტანეთის ამ ორი თვალსაჩინო ფიგურის 6-წლიანი თანამშრომლობის პერიოდს ასე ახასიათებს დედოფლის ერთ-ერთი ბიოგრაფი: „ეს იყო აღფრთოვანების, ბედნიერების, დიდებისა და რომანტიკის წლები“ (41).

რამდენადაც არატრადიციული მონარქი იყო ვიქტორია, იმდენადვე არატრადიციულად გამოიყურებოდა პრემიერი დიზრაელი (1876 წლიდან გრაფი ბიკონსფილდი). მდიდარი და კულტურული ოჯახიდან გამოსული ბენჯამენი, რომელიც მამამ ანგლიკანური წესით მონათლა, ფუქსავატი ახალგაზრდის რეპუტაციით სარგებლობდა. უნივერსიტეტში სწავლას ბოჰემური ცხოვრება ამჯობინა და მყვირალა ფერების ტანსაცმელში გამოწყობილი, ათასნაირი ძეწკვებითა და „ბრელოკებით“ დამშვენებული, თავისი დროის „პლეიბოიდ“ გამოიყურებოდა. მისდა საუბედუროდ, ბირჟაზე თამაშიც წამოიწყო და ისე ღრმად ჩაეფლო ვალებში, რომ მხოლოდ 60 წლის ასაკში შესძლო მათი გასტუმრება. მისი ბიოგრაფები ირონიით იხსენებენ იმ კურიოზულ ფაქტს, რომ საკუთარ ფინანსურ პრობლემებმოუგვარებელმა დიზრაელმა ბრიტანეთის ხაზინის კანცლერის თანამდებობა დაიკავა და ქვეყნის ფინანსების მართვა ითავა. ბრწყინვალე პოლიტიკური ალღოსა და სხარტი, ნათელი გონების წყალობით, მან იოლად შეძლო უკან მოეტოვებინა თავისი ყველა ტიტულოვანი კონკურენტი და კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ლიდერად ქცეულიყო. მეტიც – მისი დამსახურება იყო კონსერვატიული პარტი-

ის მილეული ავტორიტეტისა და გავლენის რეანიმაცია. მან ეს შესძლო სოციალური პრობლემებისაკენ პარტიის შემობრუნებით. ამავე თემას მიუძღვნა მან თავისი ერთ-ერთი რომანიც სახელწოდებით „სიბილა ან ორი ინგლისი" (ერთდროულად იგი კარგი რომანისტიც იყო). დიზრაელის მმართველობის დევიზი იყო ფორმულა: „საკუთრება განუყოფლადაა დაკავშირებული ხალხის წინაშე მოვალეობის შესრულებასთან". 1867 წელს დიზრაელის ინიციატივითა და ძალისხმევით განხორციელდა ბრიტანეთის პარლამენტის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეფორმა, როდესაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება დაქირავებული შრომის ადამიანებაც მიეცათ. ფილანტროპებისაგან განსხვავებით, მუშებს ის დაჩაგრულ ადამიანებად არ განიხილავდა, ხოლო სოციალური კატაკლიზმების მომხრეთაგან განსხვავებით კი, არა როგორც რევოლუციურ პოტენციალად, არამედ როგორც საზოგადოების ღირსეულ წევრებად. იმპერიის დიდებაზე დაუღალავ მზრუნველს, მას რედიარდ კიპლინგის წინამორბედადაც მიიჩნევდნენ, ალბათ ერთი პატარა განსხვავებით: კიპლინგი ზოგადად „თეთრი ადამიანის" ტვირთზე ბჭობს, დიზრაელის საზრუნავი კი მხოლოდ ანგლო-საქსების მისია იყო. მის აქტივში ითვლება ინგლისის დედოფლის ინდოეთის იმპერატრიცად გახდომა და ფრანგების ცხვირწინ სუეცის არხის საკონტროლო პაკეტის დასაკუთრება. ვიქტორიას მსგავსად, საგარეო პოლიტიკაში დიზრაელიც რუსოფობი იყო, რაც ბუნებრივი იყო ცარიზმის ექსპანსიონისტური ამბიციების ფონზე. ამიტომაც იყო, რომ თუ 1876 წლის აპრილში, ბულგარეთის აჯანყების საწყის ეტაპზე, თურქეთის არმიის სიმხეცემ არა თუ ევროპა, ამერიკაც კი გააოცა და აღაშფოთა, დიზრაელის უკმაყოფილებას მხოლოდ ის იწვევდა, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკურად წამგებიანი გამოდგა. ბალკანელი სლავებისათვის იმ დრამატულ დღეებში დიზრაელის კაბინეტი რუსეთის რეაქციამ გადაარჩინა: როგორც კი რუსეთმა იარაღს მოკიდა ხელი, საზოგადოებრივი აზრი რადიკალურად შეიცვალა – ევროპის საზრუნავი უკვე რუსეთის შეკავება გახდა.

ამავე პერიოდის კიდევ ერთი საინტერესო პერსონაჟი (ცხადია, დიზრაელის დონის არა) იყო რუსეთის ელჩი ინგლისში, გრაფი

პეტრე შუვალოვი. ვინ იფიქრებდა, რომ რუსეთის იმპერატორის კანცელარიის ავადსახსენებელი მესამე განყოფილებისა და ჟანდარმთა კორპუსის შეფი, რომლის გავლენაც ისე ძლიერი იყო, რომ მას ზურგს უკან პეტრე მეოთხესაც კი უწოდებდნენ, ბრწყინვალე და საოცრად წარმატებული ელჩი გახდებოდა? ელჩობა კი პროფესიონალმა ჟანდარმმა მას შემდეგ „გაინაღდა“, რაც მან ალექსანდრე მეორეს სიმართლე არ დაუმალა: „თქვენი სასიყვარულო კავშირი ახალგაზრდა ეკატერინე დოლგორუკოვასთან საყოველთაოდ ცნობილი გახდა და უარყოფითად მოქმედებს თქვენს რეპუტაციაზეო“. განრისხებულმა იმპერატორმა მისი „შორს გადაკარგვა“ ბრძანა და უზომოდ გულახდილმა „პინკერტონმა„ ლონდონში ამოყო თავი (ბოლომდე არ გაწირეს და მართლაც არ გადაკარგეს). ნეოფიტი დიპლომატი ჩვეულებრივ თავდაჭერილ ბრიტანულ პოლიტიკურ ელიტას უცებ გაუშინაურდა – კომუნიკაბელობით, არამხოლოდ სამსახურეობრივ თემებზე საუბრისა და სმენის უნარით, უცხო ქვეყნის ჩვევებში „ჩაწერის“ ნიჭით და ბევრი სხვა პირადი თვისებებით შუვალოვმა ნდობის ღირსი პარტნიორის რეპუტაცია მოიპოვა (რაც უმნიშვნელოვანესი აქტივია დიპლომატისათვის და დღემდის იშვიათობაა რუს დიპლომატებისათვის). როგორც ნებისმიერი არისტოკრატი, ის ბავშვობიდანვე თავისუფლად მეტყველებდა ფრანგულად, ინგლისური კი ისე სწრაფად აითვისა, რომ დიზრაელიც კი გააოცა. ბრიტანეთის არისტოკრატიული სალონებისა და მთავრობის წევრების ქალაქგარედ რეზიდენციების ხშირი სტუმარი შუვალოვი ეფექტურად იყენებდა არაფორმალურ კონტაქტებს კონფიდენციალური ინფორმაციის წყაროებად. ინგლისში ჩასვლიდან ორიოდე თვის შემდეგ, ლონდონის სალონებში რუსეთის ელჩს მოფერებით „გრაფი შუ“ შეარქვეს. იგი დიდი წარმატებით სარგებლობდა ადგილობრივ ბანოვანებშიც, რასაც სამსახურეობრივ ინტერესებში მოურიდებლად იყენებდა. აღნიშნული მიმართულებით განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მისი კავშირი ლედი დერბისთან: 50 წელს გადაცილებულ ქალბატონს ეამაყებოდა კიდეც, რომ ევროპის ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოს ელჩი მასთან პოლიტიკურ თემებს განიხილავდა. თუ ამ ფაქტს იმ „დეტალ-

საც“ დავუმატებთ, რომ ლედი დერბის მეუღლე ლორდი ედუარდ დერბი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, გასაკვირი არ უნდა იყოს რუსეთის ელჩის სრული ინფორმირებულობა ბრიტანეთის კაბინეტში მიმდინარე დებატებსა და იქ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. თავად შუვალოვი მორიდებულად იუწყებოდა ინფორმატორზე და წერდა, რომ „მინისტრის მეუღლე დაუღალავად იღწვის კეთილი საქმისთვის“. „კეთილი საქმე“ კი, შუვალოვის გაგებით, ალბათ, ის იყო, რომ როდესაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გამოქვეყნებული ინგლისის კაბინეტის დოკუმენტები სპეციალისტებმა შუვალოვის მოხსენებებს შეადარეს, მათ შორის თითქმის ტექსტუალური დამთხვევა აღმოაჩინეს. შუვალოვის მთავარი ამოცანა იყო ხელი შეეშალა ინგლისის მონაწილეობისათვის რუსეთ-თურქეთის ომში და მან ეს გარკვეულწილად შესძლო კიდეც.



რობერტ სოლსბერი
(1830-1903)
დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი
1885-1902 წლებში

1877 წლის 6 მაისს საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ დერბიმ კონფიდენციალურად მიიწვია თავისთან შუვალოვი და ნოტის პროექტი გააცნო: თუ რუსეთის სამხედრო მოქმედებები დაემუქრებოდა ბრიტანეთის ინტერესებს, სუეცის არხიდან მოყოლებული კონსტანტინოპოლისა და სრუტეების ჩათვლით, ლონდონი ნეიტრალიტეტს ვეღარ შეინარჩუნებდა და ომში ჩაერთვებოდა. ელჩს რამენაირად უნდა დაერწმუნებინა ლონდონი, რომ პეტერბურგი არც კონსტანტინოპოლის დაპყრობას გეგმავდა და არც ეგვიპტისა და სრუტეების ხელში ჩაგდებას. ამავე დროს, არც დიზრაელს და არც ვიქტორიას არ სჯეროდა რუსეთის

ფიცის და მეტი გარანტიისათვის პეტერბურგში საიდუმლო მისიით (საკუთარი მთავრობის წევრებისთვისაც კი) პოლკოვნიკი უელსლი მიავლინეს, რომელმაც უკვე ალექსანდრე მეორეს გაუმხილა, რომ თუ რუსეთის არმია დაუყოვნებლივ არ შეწყვეტდა შეტევას, ინგლისიც „მეომარ მხარედ იქცეოდა“ (ცხადია, რუსეთთან მეომარ მხარედ). აქ კი უკვე შუვალოვის პროგნოზი გამართლდა: სერიოზული მოკავშირის გარეშე რუსეთთან ომს დიზრაელი არ დაიწყებდა და მისი მუქარა ბლეფი იყო. რაც შეეხებოდა გრძელვადიან პერსპექტივას, აქ შუვალოვი შეცდა: მინისტრი დერბი კი იყო რუსეთთან ომის კატეგორიული მოწინააღმდეგე, მაგრამ იგი ასეთივე მოწინააღმდეგე იყო ბალკანეთში რუსეთის გავლენის გაძლიერების მიმართაც. დიზრაელი მაინც არ ყრიდა ფარ-ხმალს და ცალ-ცალკე ამუშავებდა კაბინეტის წევრებს, რათა რუსეთთან დიპლომატიურ დაპირისპირებაში ერთიანი პოზიცია გამოეკვლინათ. თავისი როლი შეასრულა დედოფალმა ვიქტორიამაც, რომელმაც ჯერ საყვედურებით აავსო „მშვიდობისმოყვარე“ მინისტრები, შემდეგ კი დაიმუქრა: „ტახტზე ვიტყვი უარს, რუსეთის წინაშე კი არ დავიჩოქებო“. პეტრე შუვალოვი კვლავინდებურად ზუსტად იყო ინფორმირებული, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შეეძლო. თავის ანგარიშებში ის გაცოფებული წერდა „სანახევროდ გიჟ დედოფალზე“ და მის პრემიერზე, რომელსაც „ნიჭი არ აკლდა, მაგრამ პოლიტიკურ კლოუნად გადაგვარდა“. ელჩის მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, როდესაც 1878 წლის 27 მარტს მინისტრი დერბი თანამდებობიდან გადადგა და მისი პოსტი მარკიზმა სოლსბერიმ დაიკავა. შუვალოვი საიმედო ინფორმაციის წყაროს გარეშე დარჩა. ერთ ხანს თითქოს შეძლო შემცვლელის მონახვა ხაზინის კანცლერის მეუღლის სახით, რომელსაც ბიბლიის ერთად კითხვა-შესწავლაზე შეუთანხმდა, მაგრამ კანცლერი ყოფილი მინისტრივით გულუბრყვილო არ აღმოჩნდა: მან მეუღლეს მალე აუკრძალა თეოლოგიური „სემინარები“ უცხო ქვეყნის ელჩთან. ამ და კიდევ სხვა სერიოზული მიზეზების გამო რუსეთის დელეგაცია ბერლინის კონგრესზე მოუმზადებელი წარსდგა.



"სარაევოს გასროლამდე" რამდენიმე წუთით ადრე
ფრანც ფერდინანდი
ავსტრიის ერც-ჰერცოგი
(1863-1914)

თავი მეშვიდე
ანტანტა და „სამთა კავშირი“. დიდი ომის დასაწყისი

ავტორიტარული მმართველობის ერთ-ერთი საბედისწერო ხარვეზი მისი აბსოლუტური პერსონიფიცირებაა. როდესაც ათეული წლების განმავლობაში ერთი ფიგურა დომინირებს სახელმწიფო პოლიტიკაში, გარდაუვალი ცვლილებები მუდამ კრიზისულ ხასიათს იძენს. ისიც კანონზომიერია, რომ პოლიტიკიდან ძლიერი და ეფექტური მმართველის წასვლის შემდეგ ისეთი უამრავი პრობლემა იჩენს თავს, რომელთა მოგვარება „მემკვიდრეთა“ უნარს აღემატება. სწორედ ამ დღეში აღმოჩნდა ბისმარკის შემდგომი გერმანია. ახალი რეალობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ ინგლისი სულ უფრო და უფრო ხდებოდა იძულებული სერიოზული კორექტივები შეეტანა „ბრწყინვალე

იზოლაციის“ თეორიასა და პრაქტიკაში. აქ მუდამ საკმარისად მოიძებნებოდნენ პოლიტიკოსები, რომელთაც გეოპოლიტიკურ ცვლილებებზე ადეკვატური რეაგირების უნარიცა და პოლიტიკური ნებაც გააჩნდათ. თავის მხრივ, ვილჰელმ მეორემ გადაჭარბებულად შეაფასა როგორც ლონდონის, ასევე პეტერბურგის სურვილი კონტინენტის უძლიერესი სახელმწიფო თავიანთ მოკავშირედ გაეხადათ. ბერლინში რატომღაც გადაწყვიტეს, რომ ბრიტანეთისა და რუსეთისათვის გერმანიის მოკავშირეობას არა მხოლოდ სასურველი, არამედ სასიცოცხლო ინტერესიც კი ჰქონდა. ბისმარკის მემკვიდრეებმა უცებ დაივიწყეს „რკინის კანცლერის“ მთავარი პრინციპი - ზომიერება და დაუფიქრებლად გადაწყვიტეს ერთ პაკეტში მიეყიდად ორივე პოტენციური „კლიენტისათვის“ საკუთარი კავშირი, თანაც არარეალურ „საბაზრო ფასად“. როდესაც ორივე დედაქალაქიდან ცივი უარი მიიღეს, განაწყენდნენ და საკუთარ თავში ჩაიკეტნენ, რათა შემდეგ, როგორც ჩერჩილი ამბობდა, ქარქაშიდან ამოუღებელი ხმლის ქნევა დაეწყოთ.



ნიკოლოზ II
(1868-1917)
რუსეთის იმპერატორი 1894-1917 წლებში

ავის მომასწავებელი იყო ბისმარკის მიერ რუდუნებით ნაშენი იმპერიისათვის იმპერატორის პირველივე დიპლომატიური დემარში: კაიზერმა უარი

უთხრა ალექსანდრე მესამეს „გადაზღვევის ხელშეკრულების“ სამი წლით გაგრძელებაზე. ხელშეკრულება კი სამართლიანად ითვლებოდა და დღესაც ითვლება ბისმარკის უაღრესად ეფექტურ დიპლომატიურ პროექტად. სამი მოსაზრებით მიიღო ასეთი გადაწყვეტილება ბერლინმა: 1. გერმანიის საგარეო პოლიტიკა უნდა ყოფილიყო „უბრალო და გამჭვირვალე“; 2. ავსტრია უნდა დარწმუნებულიყო, რომ მასთან კავშირი გერმანიის პრიორიტეტი იყო; 3. კაიზერს მიაჩნდა, რომ ხსენებული ხელშეკრულება დიდ ბრიტანეთთან კავშირს ხელს უშლიდა. დიდი დრო არ დასჭირდა სამივე არგუმენტის უსაფუძვლობის გამოაშკარავებას. ერთადერთი არცთუ სტრატეგიული მნიშვნელობის დივიდენდი, რაც გერმანიამ რუსეთთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარით მიიღო, ეს იყო ინგლისთან მიღწეული შეთანხმება კოლონიებთან დაკავშირებით, კერძოდ კი, ინგლისი გერმანიისგან ღებულობდა ნილოსის სათავეებსა და გარკვეულ ტერიტორიებს აღმოსავლეთ აფრიკაში. თავის მხრივ, გერმანიამ მიიღო კუნძული ჰელჰოლანდი და მიწის პატარა ნაკვეთი, რომელიც მდინარე ზამბეზთან აერთებდა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკას. ამ ტერიტორიას შემდეგ, გერმანიის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ლეო კაპრივის საპატივსაცემოდ, „კაპრივის ზოლი“ ეწოდა. ხსენებულ გარიგებას დიპლომატიური ხასიათის საშიში გაუგებრობები მოჰყვა: ბერლინში იგი აღიქვეს როგორც ორ ქვეყანას შორის გაფორმებული სამოკავშირეო ხელშეკრულება, ხოლო პეტერბურგში კოშმარულ ფანტაზიებში უფრო შორს წავიდნენ და უკვე არსებულ სამთა კავშირში (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია) ინგლისის ჩართვის წინაპირობად ჩათვალეს. რეალურად კი საგანგაშო მხოლოდ „გადაზღვევის ხელშეკრულების“ აღარ არსებობა არ იყო. თუ რატომ, ამ კითხვას ამომწურავი პასუხი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გირსმა გასცა: „ვენა განთავისუფლდა თავადი ბისმარკის ბრძნული და კეთილგანწყობილი, მაგრამ ამავე დროს მკვეთრი კონტროლისაგან“ (42). შორს იყურებოდა კანცლერ გორჩაკოვის მრავალწლიანი „მარჯვენა ხელი“: მართლაც, როგორც კი ვენამ გერმანიის მხრიდან უპირობო დახმარების იმედი დაიგულა, თავდაჯერებული ენთუზიაზმით დაადგა ავანტიუ-

რისტულ კურსს, რაც ნებისმიერ შემთხვევაში საერთო-ევროპული კატასტროფით უნდა დასრულებულიყო. გაურკვეველი მხოლოდ დროის ფაქტორი იყო.

XIX საუკუნის დამლევს საფრანგეთიც აქტიურად ერთვება დიდ ევროპულ პოლიტიკაში. პარიზისათვის კარგ გაკვეთილად იქცა ნაპოლეონ III რომანტიული ავანტურიზმის შედეგები: 1870-1871 წლების კატასტროფის შემდეგ საფრანგეთის ყველა მთავრობების მთავარ პრიორიტეტად საშინაო პრობლემები იქცა. ბევრისათვის და პირველ რიგში ბისმარკისათვის მოულოდნელად, 1873 წლის 5 სექტემბერს, პარიზმა გიგანტური კონტრიბუციის უკანასკნელი მილიარდი გადაიხადა და ორი კვირის შემდეგ ბერლინს სხვა გზა არ დარჩენოდა, გარდა საოკუპაციო საჯარისო ნაწილების გაყვანისა საფრანგეთის მთელი ტერიტორიიდან. თვით უცდომელი ბისმარკიც კი შეცდა თავის გათვლებში – ორი წლის წინ სასტიკად დამარცხებულმა და გამაჩანაგებელი კონტრიბუციით ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისისათვის განწირულმა ქვეყანამ თვალსა და ხელს შუა მოიშუშა ომის ჭრილობები და რევანშისათვის ხელსაყრელ მომენტს, უფრო სწორედ კი ძლიერი მოკავშირეების გამოჩენას ელოდა. თუ როგორი იყო ამაზე ბისმარკის რეაქცია, ამის შესახებ წინა თავში ვისაუბრეთ. რუსეთმა და ბრიტანეთმა აღარ გაიმეორეს 1870 წლის შეცდომა, როდესაც ბისმარკს უძლიერესი იმპერიის შექმნის საშუალება მისცეს და მეორე „სედანის კატასტროფა“ აღარ დაუშვეს. თავის მხრივ, წარსულის შეცდომებზე ჭკუანასწავლი ფრანგები კარგად ხედავდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე ბისმარკისა და ახალი იმპერიის სახით, და საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად მოკავშირეებზე ზრუნვა გაიხადეს. პარალელურად საფრანგეთში სერიოზულად იზრდებოდა ეკონომიკის, განათლების, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის დაფინანსება. ხმაურისა და საჯარო განცხადებების გარეშე დაიწყო არმიის რეფორმა. ყველაფერი ამის შედეგი იყო, რომ უკვე 80-იანი წლებისათვის საფრანგეთი კვლავ ჩადგა ევროპის წამყვან სახელმწიფოთა რიგებში, თუმცა გერმანიასთან ომზე ფიქრიც არ შეეძლო. ტაქტიკა შეცვალა ბისმარკმაც: ის ჯერ კიდევ ბერლინის კონგრესზე მიანიშნებდა საფრანგეთის წარმომად-

გენლებს, რომ თანაგრძნობით მოეკიდებოდა პარიზის კოლონიურ ამბიციებს და, კერძოდ, გაგებით შეხვდებოდა ფრანგების მიერ ტუნისის ანექსიას. ზუსტი იყო იმპერიის კანცლერის გათვლა: კოლონიური ავანტურებით გართული პარიზი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად შეეჯახებოდა სადმე ინგლისის, ხოლო ტუნისთან დაკავშირებით – იტალიის ინტერესებს, ევროპის საქმეებისთვის კი საფრანგეთს რესურსი აღარ დარჩებოდა. ასეც მოხდა – ტუნისზე იტალიასაც ეჭირა თვალი და დასწრებაზე მოთამაშე ფრანგებმა იტალია-გერმანიის სამხედრო კავშირი დააჩქარეს. ცენტრალური აფრიკის, ინდოჩინეთისა და მადაგასკარის დაპყრობამ კი ინგლისთან დაძაბა ურთიერთობა. არც გერმანიაში იყო ყველა იმით აღფრთოვანებული, რომ სულ რაღაც 15-20 წელიწადში საფრანგეთი მსოფლიო კოლონიურ იმპერიად იქცა, რომლის საერთო ფართობი 17-ჯერ აღემატებოდა მეტროპოლიის ტერიტორიას. უძლიერესი გერმანია კი მხოლოდ 2-3 უმნიშვნელო კოლონიით უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საინტერესოა, რომ კოლონიებთან დაკავშირებულ საკითხებში საფრანგეთის პოლიტიკური წრეები ერთსულოვანნი არ იყვნენ: 1885 წელს პრემიერ ჟიულ ფერის მთავრობის დაცემა სწორედ კოლონიური პოლიტიკის სფეროში უთანხმოების შედეგი იყო. პრემიერს მსხვილი ბურჟუაზია უჭერდა მხარს, მრავალრიცხოვან წვრილ მეწარმეთა ინტერესების გამომხატველი ჟორჟ კლემანსო კი მიიჩნევდა, რომ ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად საშინაო პოლიტიკა და აღმოსავლეთი საზღვრების უსაფრთხოება (ცხადია, გერმანიისაგან) უნდა დარჩენილიყო. მიუხედავად ჟიულ ფერის მთავრობის დაცემისა და კლემანსოს გააფთრებული წინააღმდეგობისა (ტყუილად ხომ არ შეარქვეს მას „ვეფხვი“), კოლონიურ ექსპანსიებს ბოლო არ უჩანდა. საკმარისია ითქვას, რომ საფრანგეთის კოლონიების 90 პროცენტი 1885-1913 წლებში იქნა დაპყრობილი. აქტიური და ეფექტური კოლონიური პოლიტიკა დამატებით პრობლემებს ქმნიდა ინგლისთან ურთიერთობაში, მაგრამ რუსეთთან კავშირის „ბუნებრივ“ აუცილებლობასაც განაპირობებდა. თავისი გლობალური კოლონიური ამბიციებით საფრან-

გეთი არსად უპირისპირდებოდა რუსეთს, ხოლო პეტერბურგი კი ლონდონს მუდამ ანერვიულებდა.

ავსტრია-გერმანიის 1879 წლის კავშირს 1882 წელს იტალიაც შეუერთდა. ასე შეიქმნა „სამთა კავშირი“, რითაც ძალთა თანაფარდობის ევროპულ ბალანსში სერიოზული ბზარი გაჩნდა.

ახალ რეალობაში ობიექტურ აუცილებლობად იქცა ფრანგულ-რუსული ბალანსირი. თანაც პარიზსაც და პეტერბურგსაც ერთდროულად დაეძაბათ ურთიერთობა ლონდონთან. ცეტრალურ აფრიკაში დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმართული ფრანგული მარში საფრთხეს ნილოსის სათავეებს უქმნიდა, რაც საბოლოო შედეგით ეგვიპტეში ბატონობის პრობლემას ქმნიდა. რუსეთის არმია კი ავღანეთთან საზღვრისპირა რაიონებში იდგა და ხელსაყრელ მომენტში ინდოეთსაც მალე მიადგებოდა. ამიტომაც შეხვდა დაუფარავი სიამოვნებით ბრიტანეთის პრესა გერმანია-ავსტრია-იტალიის კავშირს, მით უმეტეს, რომ იტალია ინგლისთან ომის ვალდებულებას არ კისრულობდა.

როდესაც ბისმარკი სამთა კავშირს ქმნიდა, ცხადია, იმასაც ვარაუდობდა, რომ ძალთა თანაფარდობის რადიკალურად შემცვლელ ალიანსს დიდი ხნით ვერ გაასაიდუმლოებდა. სავარაუდოა, რომ ურთიერთგადამფარავი და ვირტუოზულად გადახლართული კავშირების გენიალური კონსტრუქტორი იმედოვნებდა, რომ რაიმე ორიგინალურად კრეატიული პროექტით შეძლებდა რუსეთის დამშვიდებას. მისი მემუარებიდანაც ჩანს, რომ ის პერმანენტულად ფიქრობდა პეტერბურგისათვის მიმზიდველ მორიგ შეთავაზებაზე, მაგრამ არ დასცალდა: მას ვერ წარმოედგინა, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ ჯანმრთელსა და საღად მოაზროვნეს, უცერემონიოდ ჩამოაშორებდნენ დიდ პოლიტიკას. ვინაიდან მის ეპოქაში მიღებული არ იყო სამსახურიდან უსამართლოდ გაშვების გასაჩივრება, კანცლერი უხმოდ დაემორჩილა უზენაეს გადაწყვეტილებას და თან გაიყოლა საიდუმლოება, თუ როგორ აპირებდა გერმანიის გამოყვანას ცეცხლის ხაზიდან. მანამდე კი, 80-იანი წლების დასასრულისათვის, სამთა კავშირი უძლიერეს სამხედრო ალიანსად და დიპლომატიურ კონსტრუქციად ჩამოყალიბ-


და. ბისმარკისათვის იგი ევროპაში მშვიდობის გარანტია იყო, ასე იმედოვნებდა ფრანგული რევანშიზმის ალაგმვას. ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა გერმანული მსხვილი ბურჟუაზიისათვის კი სამთა კავშირი ბალკანეთსა და თურქეთის აზიურ ნაწილში საკუთარი საქონლისა და კაპიტალის შეღწევის გარანტს წარმოადგენდა. საკუთარი ეგოისტური ინტერესები არ აკლდა ავსტრიასაც: ის კავშირის შემწეობით იმედოვნებდა რუსეთის საბოლოოდ განეიტრალებასა და ბალკანეთში უდრტვინველად ბატონობას; იტალიის მოტივაციაზე ზემოთ უკვე ვთქვით. გარდა ამისა, XIX საუკუნის დამლევისათვის მსხვილ გერმანულ კაპიტალს უკვე გააჩნდა მყარი პოზიციები აპენინების ნახევარკუნძულზე. რუსეთი და საფრანგეთი კი ერთმანეთისაგან იზოლირებულნი აღმოჩნდნენ და მძლავრ სამთა კავშირთან პირისპირ დარჩნენ. ინგლისთანაც ორივე მათგანს პრობლემური ურთიერთობა ჰქონდა.

ბუნებრივი იყო, რომ რუსულ-ფრანგული კავშირის იდეა სწორედ პარიზიდან წამოვიდა. სტრატეგიული სამხედრო კავშირები ცარიელ ადგილზე არ იქმნება და გამონაკლისი არც ეს შემთხვევა იყო: ჯერ კიდევ 1881-1882 წლებში კავშირის აქტიური პროპაგანდისტები იყვნენ ცნობილი ფრანგი პოლიტიკოსი ლეონ გამბეტა და სახელგანთქმული რუსი გენერალი, 1870 წლის თურქეთთან ომის გმირი ნიკოლოზ სკობელევი. იმ დროს ჯერ კიდევ უჭირდა ალექსანდრე III პეტერბურგისათვის ტრადიციად ქცეული პროგერმანული კურსის რევიზია და იმდენად ერიდებოდა ბერლინის იმპერატორის მომდურებას, რომ ბისმარკმა 1887 წლის ხელშეკრულებაზეც კი შესძლო მისი დაყოლიება. მეფის ორიენტაციის შეცვლას ხელი შეუწყო ბისმარკის გადაყენებამ და კავშირის გაგრძელებაზე კაიზერის ხისტმა უარმა. საფრანგეთთან კავშირის სასარგებლოდ არა მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური არგუმენტები მუშაობდა – რუსეთის თვალუწვდენელი ბაზარი ადრეც იზიდავდა ფრანგულ კაპიტალს, ხოლო 80-იან წლებში ფრანგი კრედიტორები რუსეთში ნებისმიერი ოდენობის კაპიტალის ინვესტირებაზე იყვნენ მზად, თუ რუსული სესხების გარანტად საფრანგეთის მთავრობა გამოვიდოდა. უკანასკნელი კი საამისოდ მზად

იყო, თუ რუსეთი სამხედრო კავშირზე დათანხმდებოდა. გიგანტური მასშტაბების ფრანგული კაპიტალის მოზიდვით რუსეთის ხელისუფლება ვარაუდობდა ხელი შეეწყო მრეწველობის განვითარებისათვის და ფართო ფრონტით გაეგრძელებინა სარკინიგზო მშენებლობა.

სწორედ ფრანგული კაპიტალის მეშვეობით გახდა შესაძლებელი რუსეთის ინდუსტრიალიზაციის მძლავრი ტემპები ალექსანდრე მესამისა და ნიკოლოზ მეორის დროს. საკმარისია ითქვას, რომ თუ 1888 წლისათვის ფრანგული კაპიტალდაბანდებანი რუსეთში დაახლოებით მხოლოდ 500 მილიონ ფრანკს უდრიდა, 1893 წელს – დაახლოებით 900 მილიონს, მოგვიანებით კი, 1912 წლისათვის, რუსეთში ინვესტირებულმა ფრანგულმა კაპიტალმა ზღაპრულ ციფრს – 13 მილიარდ ოქროს ფრანკს მიაღწია. საფრანგეთისა და რუსეთის ურთიერთობებში ახალი ერის მომასწავებელი იყო სამხედრო ესკადრების გახშირებული მეგობრული ვიზიტები კრონშტადტსა და ტულონში. ასე რომ, ორ ქვეყანას შორის სამხედრო კავშირისათვის როგორც პარიზში, ასევე პეტერბურგში ჯერ კიდევ 1890-იანი წლების დასაწყისისდან უკვე შინაგანად იყვნენ მზად. საჭირო იყო მხოლოდ სათანადო მომენტი, რომელიც 1890 წლის 17 მარტს დადგა კიდეც ბისმარკის გადაყენებით.

ცხადია, ბისმარკის 28-წლიანი მმართველობის დასასრულს მხოლოდ ერთი მიზეზი არ გააჩნდა, თუმცა ისიც ცხადია, რომ იმპერატორსა და კანცლერს შორის უთანხმოების სერიოზულ მიზეზად რუსეთთან ურთიერთობის საკითხიც იქცა. მთელ გერმანიაში არავინ იცნობდა ბისმარკზე უკეთ რუსეთსა და მის პოლიტიკურ ანატომიას, გადაწყვეტილებათა მიღების ტექნოლოგიას. ამიტომაც იყო, რომ „რკინის კანცლერი“ დიდ აღმოსავლელ მეზობელს ერთი წუთითაც კი არ ენდობოდა („რუსეთთან გაფორმებულ ხელშეკრულებას იმ ქაღალდზე ნაკლები ფასი აქვს, რომელზეც წერია“ – ხშირად იმეორებდა იგი), მაგრამ ამავე დროს რუსეთთან კონფლიქტი ტრაგიკულ შეცდომად მიაჩნდა, მით უმეტეს – საფრანგეთთან მეორე ფრონტის პირობებში. ახალი კაიზერი და მისი გარემოცვა კი რუსეთთან ომს ტრაგედიად არ განიხილავდა და ემზადებოდა კიდეც საამისოდ.



ევროპა პირველი მსოფლიო ომის წინ:
სამხედრო ალიანსები - ანტანტა და სამთა კავშირი

1891 წელს ვადა სამთა კავშირს მესამედ გაუგრძელდა, რაც საფრანგეთ-რუსეთის სამხედრო ხელშეკრულების კიდევ ერთ სტიმულად იქცა. 1891 წლის შეთანხმება საფრანგეთისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების წერილების სფუძველზე მოხდა. შემდეგ საქმეში უკვე სამხედროები ჩაერთვნენ და გენერალური შტაბების მიერ მომზადებული სამხედრო კონვენცია 1892 წლის აგვისტოში იქნა ხელმოწერილი.

პირველსავე მუხლში ჩაწერილი იყო, რომ „თუ საფრანგეთს თავს დაესხმება გერმანია, ან გერმანიის მხარდაჭერით იტალია, რუსეთი მთელ თავის არმიას გამოიყენებს გერმანიაზე თავდასასხმელად. თუ რუსეთს თავს დაესხმება გერმანია ან ავსტრია გერმანიის მხარდაჭერით, საფრანგეთი მთელ თავის არმიას გამოიყენებს გერმანიაზე თავდასასხმელად“;

მეორე მუხლი ითვალისწინებდა საფრანგეთისა და რუსეთის დაუყოვნებელ ერთდროულ მობილიზაციას სამთა კავშირის არმიის მობილიზაციის შემთხვევაში;

მესამე მუხლის თანახმად, საფრანგეთი გერმანიის წინააღმდეგ გამოიყვანდა მილიონ სამას ათასიან არმიას, ხოლო რუსეთი კი 700-800 ათასიან არმიას. „ეს ჯარები სრულად და შესაძლებელი სისწრაფით იქნებიან საქმეში ჩართულნი, რათა გერმანიას მოუწიოს ერთდროულად იომოს აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც".

1893 წლის დეკემბერში – მას შემდეგ, რაც ალექსანდრემ კონვენცია მოიწონა – მისი რატიფიკაცია მოხდა. 1891, 1892 და 1893 წლებში ისეთ უმკაცრეს რეჟიმში იყო გასაიდუმლოებული სამოკავშირეო დოკუმენტები, რომ მათი არსებობა რუსეთის ტახტის მემკვიდრემაც არ იცოდა. ისე კი, ორი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების რეგულარული ერთობლივი მანევრებიც საკმარისი უნდა ყოფილიყო ყურადღებიანი მეთვალყურისათვის, რათა ლოგიკურ დასკვნამდე მისულიყო.

რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო კავშირმა თავისი 23-წლიანი არსებობის მანძილზე ორი ეტაპი განვლო: პირველი – 1891–1907 წლები, როდესაც რუსეთის დიპლომატია ჯერ ინგლისთან დაძაბული ურთიერთობის, ხოლო შემდეგ კი იაპონიასთან დამარცხების გამო, გერმანიასთან ომის არანაირ სურვილს არ ამჟღავნებდა; მეორე ეტაპი 1907 წლის სექტემბერში დაიწყო, როდესაც რუსეთმა და ინგლისმა კოლონიური პოლიტიკის სფეროში არსებული ყველა უთანხმოება დაარეგულირეს: სპარსეთი გავლენის სამ სფეროდ გაყვეს ჩრდილოეთი რაიონი მიიღო რუსეთმა, ცენტრალური რაიონი ნეიტრალურად გამოცხადდა, ხოლო ნავთობის საბადოებით მდიდარი სამხრეთი ბრიტანეთს ერგო. ავღანეთი ინგლისის გავლენის სფეროდ აღიარდა. კაიზერის „დამსახურება" იყო, რომ რუსეთთან კავშირი იმდენად გახდა საჭირო ლონდონისათვის, რომ უკანასკნელი მზად იყო სრუტეებისაკენაც კი აენთო მწვანე შუქი პეტერბურგისათვის.

ასე რომ, მოკლედ შეიძლება ითქვას: 1891-1893 წლების რუსეთ-საფრანგეთის, ხოლო 1904–1907 წლების რუსეთ-ინგლისის ხელშეკრულებების საფუძველზე ჩამოყალიბდა „სამთა კავშირის" საპირისპირო სამხედრო ბლოკი „ანტანტა" (ფრანგულად - „თანხმობა").

1907 წლით თარიღდება ევროპული დიპლომატიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი – ე.წ. „კროუს მემორანდუმი". მისი ავტორი ეირ კროუ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანალიტიკოსი იყო. თავისი მემორანდუმით მან დამაჯერებლად განმარტა, თუ რატომ იყო ინგლისისათვის მიუღებელი და შეუძლებელიც, გერმანიასთან სამხედრო კავშირი: „ერთ სახელმწიფოში თავმოყრილი უდიდესი სახმელეთო არმია და უდიდესი სამხედრო-საზღვაო ფლოტი მსოფლიოს აიძულებს გაერთიანდეს, რათა ბოლო მოუღოს ამ კოშმარს", – წერდა მემორანდუმის ავტორი (43). 1909 წლისათვის ბრიტანეთს უკვე ჰქონდა ჩამოყალიბებული პოზიცია გერმანიასთან მიმართებაში: როდესაც კაიზერმა საფრანგეთთან და რუსეთთან ომის შემთხვევაში ბრიტანეთს ნეიტრალიტეტი მოსთხოვა საკუთარი საზღვაო შეიარაღების შემცირების სანაცვლოდ, ცალსახად კატეგორიული იყო ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გრეის პასუხი: „გერმანიის წინადადება – ეს არის მიპატიჟება დავეხმაროთ გერმანიას იმ ევროპული კომბინაციის განხორციელებაში, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ იქნება მომართული, როგორც კი ეს მას დასჭირდება. თუ ჩვენ მსხვერპლად შევწირავთ გერმანიას სხვა სახელმწიფოებს, შემდგომში ჩვენზე მოხდება თავდასხმა", – წერდა გრეი. სულ რაღაც 5-8 წლის წინ, თვით სოლსბერიც კი საჯაროდ არ მალავდა თავის სიმპატიებს გერმანიის მიმართ და მხოლოდ იმაზე სწუხდა, რომ ქვეყანას „ბერიკაცის (ბისმარკის – ს.ც.) განსაკუთრებული შორსმჭვრეტელობა აკლდა". ეტყობა კაიზერის პოლიტიკას კიდევ ბევრი სხვა რამეც დააკლდა ბისმარკის „სამსახურიდან მოხსნის" შემდეგ, რამეთუ ისტორიული განზომილებით მოკლე პერიოდში მოახერხა ბერლინმა სრულ იზოლაციაში ამოეყო თავი და მასზე ჩამოკიდებული, არაფრის მაქნისი ორი მოკავშირის შემყურე დარჩენილიყო.

არაკეთილშობილი მისიაა მკითხაობა, თუ რა მოხდებოდა XIX და XX საუკუნეების გასაყარზე, გერმანიის ბედი კვლავ ვილჰელმ პირველისა და ბისმარკის მაგვარი პოლიტიკოსების ხელში რომ ყოფილიყო. ალბად, მხოლოდ იმის თქმა თუ შეიძლება გადაჭრით, რომ ქვეყნისათვის საბედისწერო წლებში, ზომიერი საგარეო პოლიტიკითა

და მილიტარისტული რიტორიკისაგან თავშეკავებით გერმანია უპრობლემოდ შესძლებდა კარგა ხნით გამხდარიყო კონტინენტის წამყვანი სახელმწიფო. მას საამისოდ ყველაფერი ხელს უწყობდა.

როდესაც 1898 წლის შემოდგომაზე ნილოსის სათავეებს ერთდროულად მიაღწია საფრანგეთის არმიის რაზმმა პოლკოვნიკ მარშანის მეთაურობით და ინგლისის არმიის ნაწილებმა – ლორდი კიტჩენერის სარდლობით, ინგლის-საფრანგეთის შეიარაღებული კონფლიქტი გარდაუვლად ჩანდა. პრემიერი სოლსბერი ომით დაემუქრა ფრანგებს, თუ ფაშოდას სადავო ტერიტორიას დაუყოვნებლივ არ დატოვებდნენ. ფრანგები კუდამოძუებულნი განერიდნენ იქაურობას, ხოლო „ფაშოდა“ ყოველი ფრანგისათვის. ეროვნული დამცირების სიმბოლოდ იქცა. პრესა მოურიდებლად სვამდა კითხვას: ვინ იყო საფრანგეთის მთავარი მტერი – გერმანია თუ ინგლისი? იქამდეც მივიდა საქმე, რომ პარიზი და პეტერბურგი ბურებთან მეომარი ინგლისის წინააღმდეგ ერთობლივი დიპლომატიური დემარშის საჭიროებასაც კი განიხილავდნენ. ინგლისური პრესისათვის მოგვიანებით მიცემულ ინტერვიუში ვილჰელმ II ირწმუნებოდა, რომ ფრანგებმა და რუსებმა მასაც შესთავაზეს მონაწილეობა მიეღო ანტიინგლისურ აქციაში. ასეთი იყო საფრანგეთის პოლიტიკური ელიტისა და მთელი საზოგადოების განწყობილება. 1898-1900 წლებში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ანტიინგლისურმა განწყობილებამ დიდი სნით ჩაანაცვლა საფრანგეთის პოლიტიკაში ტრადიციული ანტიგერმანიზმი. საფრანგეთის საზოგადოებრი აზრი უკვე ინგლისს მოიაზრებდა მთავარ მტრად და „ეროვნული სირცხვილის“ ჩამორეცხვას მოითხოვდა. ვალში არც ინგლისელები რჩებოდნენ და დრეიფუსის პროცესის გამო ღვარძლიანი ეპითეტებით ამკობდნენ საფრანგეთის სამხედრო ელიტას. ბისმარკიც კი მოესწრო („რკინის კანცლერი“ 1898 წელს გარდაიცვალა) მის მიერ ჯერ კიდევ 70-იან წლებში წამოწყებული პარიზ-ლონდონის წაჩხუბების პროექტის პირველ შედეგებს. ჩამცხრალი არ იყო საფრანგეთში ფაშოდას ინციდენტით აზვირთებული ვნებათა ღელვა, რომ დიზრაელიმ სუეცის ხელში ჩაგდების ოპერაცია წამოიწყო. მას შემდეგ რაც ფრანგმა ინჟინერმა, ფერდინანდ დე ლესეპსმა

1869 წელს, სტრატეგიული მნიშვნელობის არხი გათხარა, რასაც გენიალურმა ჯუზეპე ვერდიმ მსოფლიო საოპერო მუზიკის ახალი შედევრი, „აიდა“ მიუძღვნა, ლონდონის ოცნებად იქცა ინდოეთისაკენ მიმავალი ამ საზღვაო-სატრანსპორტო არტერიის დაუფლება. 1875 წელს ინგლისმა ეგვიპტის გაკოტრებული ხედივის, სულთან ისმაილ-ფაშასგან შეიძინა არხის მისი კუთვნილი აქციები და საფრანგეთთან ერთად მსოფლიო საინჟინრო ხელოვნების ფასდაუდებელი ნიმუშის თანამფლობელი გახდა.

1882 წელს მკვეთრად შეიცვალა მდგომარეობა: რეგიონში ევროპელების წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომი დაიწყო და ინგლისი ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთო. საფრანგეთმა უარი თქვა ომზე და ინგლისი მარტოდ მარტო ებრძოდა ეგვიპტელებს. მათ ჯერ ალექსანდრია დაბომბეს და მსოფლიოში ცნობილი ბიბლიოთეკა დაწვეს, ხოლო შემდეგ კი ქაიროც დაიკავეს. იმავე წელს ინგლისელების წინააღმდეგ ნუბიელებიც აჯანყდნენ მოჰამედ-ახმედის მეთაურობით, რომელმაც მუჰამედის მემკვიდრის, მაჰდის ტიტული მიიღო და ათასობით ფანატიკოსი შემოიკრიბა. აჯანყებულებმა ხართუმი აიღეს და იქ დატყვევებული ინგლისელი გენერალი გორდონი მთელი თავისი რაზმით სიცოცხლეს გამოასალმეს. 1885 წლისათვის მაჰდისტებმა სუდანი ინგლისელებისაგან მთლიანად გაანთავისუფლეს და ეგვიპტეშიც შეუქმნეს საფრთხე მათ ბატონობას. მხოლოდ 13 წლის შენდეგ, 1898 წლის პირველ სექტემბერს შესძლეს ინგლისელებმა ხართუმის დაბრუნება, როდესაც ლორდმა კიტჩენერმა საბოლოოდ გაანადგურა მაჰდისტების არმია. სუდანი და ეგვიპტე დიდი ხნით გადავიდა ბრიტანეთის ერთპიროვნულ მფლობელობაში. ამ მოვლენებიდან ერთი წლის შემდეგ კი ინგლის-ბურების სამწლიანი ომი დაიწყო. თუ რა მასშტაბით დაიძაბა პარიზსა და ლონდონს შორის ურთიერთობა, ამაზე ზემოთ ნახსენები დიპლომატიური დემარშის იდეის გარდა ისიც მეტყველებს, რომ ლონდონის კაბინეტი უპრეცედენტოდ თამამ რისკზე წავიდა და კავშირი შესთავაზა გერმანიას. ბისმარკი ორივე ხელით ჩაებღაუჭებოდა ასეთ შანსს და ზომიერ ფასზეც დათანხმდებოდა, მაგრამ მისდა საუბედუროდ, კაიზერი ინგ-

ლისთან მიმართებაში მხოლოდ ერთი პრინციპით მოქმედებდა – „ყველაფერი ან არაფერი“. ინგლისელები „ყველაფერზე“ არასოდეს თანხმდებოდნენ და გერმანიისათვის ჰაერივით საჭირო კავშირიც არ შედგა.

ბერლინ-ლონდონის ურთიერთობებს ძირითადად ორი გარემოება განსაზღვრავდა: გერმანიის ეკონომიკური სიმძლავრე და მისი პროდუქციის მაღალი კონკურენტუნარიანობა. ინგლისელებისავე აღიარებით, ხარისხით კი ჩამოუვარდებოდა გერმანული პროდუქცია ინგლისურს, მაგრამ გაცილებით იაფი იყო. გარდა ამისა, გერმანელები საბითუმო მყიდველებს სერიოზული შეღავათებითა და კრედიტებითაც იზიდავდნენ და ბოლოს, მაღალპროფესიონალი კომივოიაჟერების არმიის წყალობითაც გააჩნდა გერმანულ პროდუქციას გასაღების ფართო ბაზარი. გერმანული საქონელი სისტემატურად „ჩაგრავდა“ ინგლისურს არა მხოლოდ რუსეთის, სამხრეთ ამერიკის, ჩინეთისა თუ იაპონიის ბაზრებზე, არამედ ბრიტანეთის კოლონიებსა და ლონდონშიც კი. საუკუნეთა მიჯნაზე უკვე სერიოზულ პრობლემად იქცა გერმანიის კონკურენცია ინგლისის მრეწველობისათვის. ასეთ გამოწვევას ლონდონი დიდი სხნით ვერ შეეგუებოდა, თუმცა როგორც სოლსბერის კონსერვატიული (1886-1892 წწ.), ასევე გლადსტონისა და როზბერის ლიბერალური (1892-1895 წწ.) და შემდეგ ისევ სოლსბერის კონსერვატიული კაბინეტებისათვის გერმანიასთან კონფრონტაცია დაუშვებელი ფუფუნება იყო. უბრალოდ, ბრიტანეთის საგარეო-პოლიტიკური სირთულეები ამის საშუალებას არ იძლეოდა: დიდ ბრიტანეთს გერმანიასთან ღია დაპირისპირებამდე სამი პრობლემა უნდა გაენეიტრალებინა – ირლანდიის განმათავისუფლებელი მოძრაობა, რუსეთთან სერიოზული უთანხმოება და შეიარაღებულ დაპირისპირებემდე მისული კონფლიქტი საფრანგეთთან.

XIX საუკუნის დამლევს მწვავე ფორმები მიიღო ირლანდიის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელიც როგორც პოლიტიკური, ასევე პარტიზანული ბრძოლის ხასიათსაც ატარებდა. ირლანდიელ პოლიტიკოსთა უმრავლესობა თავისი აღიარებული ლიდერის ო'კონელის მეთაურობით პოლიტიკური ბრძოლის მეთოდების მომხ-

რე იყო. მის სახელთან იყო დაკავშირებული კათოლიკეთა პოლიტიკური უფლებების შემზღუდავი კანონმდებლობის გაუქმება. 1890-იან წლებში ირლანდიელ პარლამენტართა ლიდერი ხდება ბრწყინვალე ორატორი და ორგანიზატორი ჩარლზ პარნელი. მან შესძლო ეფექტურად გამოეყენებინა ბრძოლის ლეგალური და პარტიზანული მეთოდები და ამ გზით ირლანდიის მოვლენები ინგლისის საზოგადოების ნომერ პირველ პრობლემად ექცია. ლიბერალთა კაბინეტის მეთაური გლადსტონი უკვე მზად იყო ადგილობრივი თვითმმართველობა შეეთავაზებინა ირლანდიელებისათვის, მაგრამ მარცხი განიცადა პარლამენტში და გადადგა. 1891 წელს პარნელი გარდაიცვალა და პრობლემამაც აქტუალობა დაკარგა.

ჯერ კიდევ მონელებული არ ჰქონდა ლონდონს ირლანდიის თავსატეხი, სადაც კვლავ გრძელდებოდა განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომ კონფლიქტის ახალ კერად იქცა სამხრეთ-აფრიკელ ბურებთან ურთიერთობა. საქმე შემდეგში იყო: 1895 წელს, ცნობილმა ინგლისელმა მილიონერმა და კოლონიური პოლიტიკის იდეოლოგმა სესილ როდსმა დააფინანსა თადარიგის პოლკოვნიკ ჯემისონის თავდასხმა ბურების დამოუკიდებელ რესპუბლიკა ტრანსვაალზე. ავანტიურა მარცხით დამთავრდა – ბურებმა წარმატებით მოიგერიეს შეტევა და საქვეყნოდ შეარცხვინეს ინგლისი, რომელიც ოფიციალურ დონეზე ყოველმხრივ უარყოფდა საკუთარ მონაწილეობას როდსისა და ჯეიმსონის აქციაში, თუმცა მისი არავის სჯეროდა. სოლსბერის კაბინეტისათვის დელიკატურ მომენტში, საკუთარი ნაციონალისტური პრესით წახალისებულმა კაიზერმა ვილჰელმმა გადაწყვიტა, რომ შანსი მიეცა საჯაროდ დაემტკიცებინა ინგლისელებისათვის თუ რაოდენ საჭირო იყო მათთვის გერმანიასთან სრულფასოვანი სამხედრო კავშირი. 1896 წლის დასაწყისში მან სპეციალური დეპეშით მიულოცა ტრანსვაალის პრეზიდენტ კრიუგერს „გარედან აგრესიაზე გამარჯვება“. ლონდონმა ორმაგად აღიქვა კაიზერის დემარში: როგორც დიპლომატიურ სილად და როგორც გერმანიის კოლონიურ ამბიციებად სამხრეთ აფრიკაში, რომელსაც ინგლისი საკუთარი გავლენის სფეროდ მიიჩნევდა.

მიუხედავად „კრიუგერის დეპეშისა“ და გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობის ფართო გეგმებისა, ბრიტანეთის მმართველი ელიტა ჯერ კიდევ არ იყო მზად საბოლოოდ ეთქვა უარი გერმანიასთან კავშირის პერსპექტივაზე და კურსი რუსეთ-საფრანგეთისაკენ აეღო. ქვეყანა ჯერ კიდევ მტკივნეულად განიცდიდა საფრანგეთის ეგვიპტურ ამბიციებს და რუსეთის მარშით სვლას შუა აზიაში. ლონდონში არ გამორიცხავდნენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს რუსეთი და საფრანგეთი გაერთიანებული ძალებით დაუპირისპირდებოდნენ ბრიტანეთის ინტერესებს აფრიკაში, ავღანეთსა და ჩინეთში. თუ ამ საგარეოპოლიტიკურ „კოშმარს“ გერმანიის სამხრეთ-აფრიკული პროექტიც დაემატებოდა, დიდ ბრიტანეთს მზეჩაუსვლელი იმპერიის დაცვა აშკარად გაუჭირდებოდა. იზოლაცია, თუნდაც „ბრწყინვალე“, ბრიტანეთის ისტებლიშმენტში სულ უფრო და უფრო მეტ კითხვებს ბადებდა. საბოლოო ჯამში კი მოხდა ისე, რომ „ბრწყინვალე იზოლაციის“ ტერმინის ავტორის სიცოცხლეშივე დაიწყო დისკუსიები ახალ საგარეო პოლიტიკაზე, ხოლო ტრადიციული ორიენტაციების გადასინჯვის კამპანიას სათავეში ჩაუდგა ინგლისის პოლიტიკური სივრცის მორიგი ფავორიტი, კოლონიების მინისტრი ჯოზეფ ჩემბერლენი. 1899 წლის ნოემბერში წარმოთქმულ საპროგრამო სიტყვაში ჩემბერლენმა „ტევტონური კავშირის“ იდეა ჩამოაყალიბა დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით. ისეთი დაუოკებელი ენთუზიაზმით შეუდგა იგი საკუთარი კურსის განხორციელებას, რომ კაბინეტთან შეუთანხმებლად დაიწყო ბერლინთან წინასწარი კონსულტაციები, რაც გაუგონარი პრეცედენტი იყო მუდამ ფრთხილი და მოზომოლი ბრიტანული დიპლომატიისათვის. ერთი წლის შემდეგ, ასაკში შესულმა სოლსბერიმ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დატოვა და „მხოლოდ“ პრემიერობა იკმარა. საგარეო საქმეთა მინისტრის ტრადიციულად პრესტიჟული პორტფელი ლორდ ლენდსდაუნს ერგო, რომელიც მეტი გაგებით მოეკიდა ჩემბერლენის იდეას, მაგრამ „ყველაფრის ან არაფრის“ მიმდევარმა კაიზერმა „ყველაფერი“ გააფუჭა და ორ ქვეყანას შორის კავშირი კვლავ იდეის დონეზე დარჩა.

კიდევ ერთი წლის შემდეგ კი ლენსდაუნმა იაპონიასთან გამოძებნა საერთო ენა: 1902 წლის 30 იანვარს, ლონდონში, ლენსდაუნმა და იაპონიის ელჩმა ხაიასიმ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის ძალითაც მხარეები ვალდებულებას კისრულობდნენ ნეიტრალიტეტი დაეცვათ, თუკი რომელიმე მათგანი ჩაბმული აღმოჩნდებოდა სხვა სახელმწიფოსთან ომში და სამხედრო დახმარება აღმოეჩინათ ერთმანეთისათვის, თუ რომელიმე მათგანს თავს დაესხმებოდა ორი ან მეტი სახელმწიფო. ასე რომ, ყველა სავარაუდო კომბინაციით, იაპონიამ ერთი-ერთზე დაიგულა რუსეთი, რაც მალე გამოიყენა კიდეც. თავის მხრივ ინგლისმა, როგორც იქნა, გამოძებნა ისეთი მოკავშირე, მისი ჩარევის გარეშე რომ შეაჩერებდა რუსეთს. კაიზერისათვის კი ჭკუის სასწავლებელი უნდა გამხდარიყო ის ფაქტი, რომ თავისი უაზრო კაპრიზებითა და ბავშვური ყოყლოჩინობით უცებ გაუქრო ინგლისელებს მასთან კავშირის ინტერესი. გერმანიისათვის ყველაზე მეტად საგანგაშო ომის შემთხვევაში ძლიერი მოკავშირის გარეშე დარჩენა იყო.

XIX საუკუნის დასასრულისათვის გერმანული ბლიცკრიგების უბადლო სტრატეგს გენერალ მოლტკეს ადგილი უკვე გენერალ შლიფენს ეკავა, რომელსაც მზად ჰქონდა ახალი სტრატეგიული გეგმის მონახაზი. ახალი გეგმა უკვე ორ ფრონტზე ომს ითვალისწინებდა გარდამავალი ინტენსიურობით. საინტერესო იყო, რომ როგორც მოლტკეს, ასევე შლიფენის გეგმა ნაკლებად ვარაუდობდა (უფრო სწორედ კი, საერთოდ არ ვარაუდობდა) ომში ინგლისის მონაწილეობას მოწინააღმდეგეთა მხარეზე. ამიტომ იყო, რომ კაიზერი უკანასკნელ წუთამდე ვერ ელეოდა ინგლისთან კავშირის პერსპექტივას, თუმცა კი ყველაფერს აკეთებდა (ცხადია, შეუგნებლად), რათა შეუძლებელი გაეხადა ასეთი კავშირი. კიდევ უფრო კატეგორიულად გამორიცხავდნენ ბერლინში ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ალიანსს. მაშინაც კი, როდესაც ანტანტა რეალურ ფორმებს იღებდა, ბერლინში გადაწყვიტეს ინსპირირებული კრიზისით დაერწმუნებინათ ფრანგები, რომ ტყუილად ჰქონდათ ინგლისელების დახმარების იმედი. ვილჰელმი იყო იმ ხელოვნური კრიზისის ავტორი, როდესაც 1905 წლის მარტში, კრუიზის დროს, სპეციალურად შეჩერდა მაროკოს პორტ

ტანჟერში, რათა მთელი მსოფლიოს გასაგონად განეცხადებინა გერმანიის მზადყოფნა მაროკოს დამოუკიდებლობის დასაცავად. და ეს მაშინ, როდესაც საფრანგეთი მაროკოს თავის საკუთრებად მიიჩნევდა! ერთის შეხედვით, კაიზერს ზუსტი დიპლომატიური გათვლა ამოძრავებდა: იაპონიასთან ახლად დამარცხებულ რუსეთს არც ომისა და არც დიპლომატიური აქტიურობის თავი არ ჰქონდა, იტალია გერმანიის მოკავშირე იყო, ამერიკა ღია კარის პოლიტიკას ერთგულებდა, ხოლო მარტოდ დარჩენილი ინგლისი საფრანგეთის კოლონიური ინტერესების დასაცავად აუტკივარ თავს არ აიტკივებდა. გულდამშვიდებული კაიზერისათვის სწორედ ლონდონის პოზიცია იქცა პირველ სიურპრიზად: ინგლისელებმა ღიად დაუჭირეს მხარი ფრანგებს და მათ გარეშე კრიზისთან დაკავშირებული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობაზეც კი უარი თქვეს.

ინციდენტიდან, რომელიც დიპლომატიაში „ტანჟერის კრიზისის" სახელით შევიდა, ექვსი თვის შემდეგ მოწვეული კონფერენცია (ესპანეთის კურორტ ალხესირასში) გერმანიის სრული დიპლომატიური ფიასკოთი დასრულდა: ფორუმის მონაწილე 13 სახელმწიფოდან მხოლოდ ავსტრია-უნგრეთი აღმოჩნდა გერმანიის მხარეზე. გერმანიის მოკავშირე იტალიაც კი მოერიდა საფრანგეთის განაწყენებას, რათა თურქეთთან მოსალოდნელ ომში პარიზის კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტის იმედი არ დაეკარგა. ორი საკითხი იქცა დავის საგნად კონფერენციაზე: ბანკის საკითხი, რომელიც მაროკოში გავლენის მთავარ ბერკეტად უნდა ქცეულიყო და მაროკოს პოლიციის ორგანიზაციისა და მისი დაქვემდებარების საკითხი. ყველა თანახმა იყო ბანკის ინტერნაციონალიზაციაზე, რაც სხვებზე მეტად ფრანგებს აწყობდათ – თურქებს მათი 63 მილიონი ფრანკი ემართათ, რაც აქციების წილზეც იმოქმედებდა. რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა რუსეთის დელეგაცია: მას უკვე მოკავშირედ ქცეული საფრანგეთისათვისაც უნდა დაეჭირა მხარი და გერმანიის წინააღმდეგაც ნაადრევად არ უნდა გამოსულიყო. ყველაფერთან ერთად კი პეტერბურგს, ომის ჭრილობების მოსაშუშებლად, ჰაერივით სჭირდებოდა ახალი ფრანგული კრედიტი, რასაც კონფერენციაზე საფრანგეთის ინტერესე-

ბის დაცვის შემთხვევაში თუ მიიღებდა. რუსეთის წარმომადგენელი კასინი ახალ-ახალ ინსტრუქციებს ღებულობდა პეტერბურგიდან და როდესაც გადამწყვეტ მომენტში ერთ-ერთმა ფრანგულმა გაზეთმა ეს საიდუმლო ინსტრუქციები გამოაქვეყნა (დღემდე გაურკვეველია, ვინ გადასცა), რუსეთის დელეგაცია იძულებული გახდა ღიად დაეჭირა მხარი ფრანგებისათვის. გერმანელები მაინც არ აპირებდნენ პოზიციების დათმობას და კონფერენციის ჩასაშლელადაც კი მზად იყვნენ. კრიტიკული სიტუაცია ავსტრიის იმპერატორმა განმუხტა: მან სპეციალური წერილით დაბეჯითებით მოუწოდა კაიზერ ვილჰელმს თვალი გაესწორებინა რეალობისათვის და შექმნილი ვითარების ადეკვატურად ემოქმედა. საბოლოო ჯამში კაიზერმა ვერც პოზიციები განიმტკიცა მაროკოში და ვერც ანტანტას გაუჩინა ბზარი.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ ალხესირასში არანაირი სენსაცია არ იყო მოსალოდნელი. კონფერენციის დაწყებამდე იყო ცნობილი ძალთა თანაფარდობა და, აქედან გამომდინარე, საბოლოო შედეგიც. გერმანიაში წინა 5-6 წელი უნდა აღექვათ სენსაციად, როდესაც კოსმოსური სისწრაფით იცვლებოდა ევროპის წამყვანი სახელმწიფოების დიპლომატიური მოტივაციები, ორიენტაციები და სიმპათია-ანტიპათიები. ზემოდ უკვე იყო საუბარი ბისმარკის ლოგიკურ ვარაუდებსა და პროგნოზებზე. თეორიულადაც და პრაქტიკულადაც შეუძლებელი იყო, რომ ორი მოქიშპე კონკურენტი კოლონიური იმპერია ყელში არ წვდომოდნენ ერთმანეთს უკვე გადანაწილებული კოლონიების რომელიმე კუთხეში. სულაც არ იყო დიდი ბრიტანეთისათვის იოლი დასათმობი მაროკო, რომელიც გიბრალტართანაც ახლოს იყო და სტრატეგიული მნიშვნელობის სანაპირო ზოლიც გააჩნდა. 1899-1902 წლებში ლონდონში საერთოდ გამორიცხავდნენ რომელიმე დიდი სახელმწიფოს ბატონობას მაროკოზე. რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ 3-4 წლის შემდეგ ინგლისმა თავის მთავარ კონკურენტს მაროკოსაკენ მიმავალი გზა დაულოცა? ხომ გამორიცხულია, რომ ლონდონში წარმოდგენა არ ჰქონოდათ პარიზის ფართომასშტაბიან კოლონიურ ამბიციებზე? XIX საუკუნის დასასრულს 32 მილიონი ადამიანით დასახლებული კოლონიების მართვაზე საფრანგეთი წლიურად 74 მი-

ლიონ ფრანკს ხარჯავდა, ხოლო ლონდონს 375 მილიონიანი კოლონიები კი მხოლოდ 62 მილიონი ფრანკი უჯდებოდა. მიუხედავად ასეთი არცთუ მომგებიანი „ინვესტიციებისა“, საფრანგეთის არცერთი მთავრობა არ აპირებდა კოლონიების ზრდის ტემპების შენელებას. როდესაც სუდანური „ფაშოდას ინციდენტმა“ ერთხელ და სამუდამოდ გადაუკეტა საფრანგეთს გზა აღმოსავლეთ აფრიკისაკენ, მისთვის მაროკო ღირსების საკითხად და რევანშის ტოლფასად იქცა. ამავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ გარდა სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორისა, ინგლისი იყო მაროკოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი, ვერცერთი ფრანგი პრემიერი თუ მინისტრი ვერ გაბედავდა მეორე ფაშოდას პროვოცირებას. ევროპული დიპლომატიის ყველა წამყვანი მოთამაშისათვის ცხადი უნდა ყოფილიყო, თუ რამ განაპირობა ინგლისელების ღიად პროფრანგული ტაქტიკა ალხესირასში – ყველასი, გარდა კაიზერისა და მისი დიპლომატებისა. უკანასკნელთათვის არც ინგლისის მეფე ედუარდის 1903 წლის პარიზის დემონსტრაციულად მეგობრული ვიზიტი იქცა მეტი დიპლომატიური ელასტიურობისათვის საკმარის არგუმენტად. კაიზერი დღემდე აუხსნელი სიჯიუტით ნაბიჯსაც არ იცვლიდა პოზიციიდან - „ყველაფერი ან არაფერი“. ამასობაში კი, პარიზსა და ლონდონს შორის მკაცრად გასაიდუმლოებული ერთწლიანი მოლაპარაკება 1904 წლის 8 აპრილს ინგლის-საფრანგეთის სამოკავშირეო ხელშეკრულებით დასრულდა.

არცთუ იღბლიანად დაიწყო რუსეთისათვის მე-20 საუკუნე. ყირიმის ტრაგედიიდან ზუსტად ნახევარი საუკუნის შემდეგ, პეტერბურგი მეორედ აღმოჩნდა წაგებული ომის თანმხლები სირთულეების წინაშე. ამავე დროს, ახალი საუკუნის დასაწყისი საერთაშორისო ურთიერთობათა ქრონიკებში ჩინეთში გავლენისათვის ბრძოლით აღინიშნა: ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს ამოიწურა ჩინელების თმენის რესურსი და „ცისქვეშეთის“ დიდ ქალაქებში ევროპელთა წინააღმდეგ მიმართული გამოსვლები (ე.წ. „ბოქსიორთა აჯანყებები“) სტიქიურად დაიწყო. როდესაც 1901 წლის გაზაფხულზე აჯანყებულებმა პეკინში ალყა შემოარტყეს ევროპელების დიპლომატიურ მისიებს და გერმანიის ელჩი მოკლეს, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია,

რუსეთი და იაპონია ერთობლივ სამხედრო მოქმედებებზე შეთანხმდნენ და ქვეყნის ოკუპაცია დაიწყეს. რუსეთმა თავის საოკუპაციო ზონად მანჯურია აირჩია, სადაც მას საკუთარი რკინიგზა და სერიოზული ეკონომიკური ინტერესები ჰქონდა. ჯერ კიდევ არ გასწორებოდნენ ევროპელები აჯანყებულებს, რომ მათ შორის თავი უთანხმოებამ იჩინა – ჩინეთთან მიმართებაში შემუშავებული "ღია კარების" პოლიტიკას აუცილებლივ უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც გავლენის სფეროებისათვის კინკლაობა. ყველა ცდილობდა სხვის ხარჯზე გაძლიერებას. ინგლისმა მანჯურიას დაადგა თვალი და რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ გერმანიასთან შეთანხმებას შეეცადა. კაიზერს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება რუსეთთან ღია დაპირისპირებაზე და ანტირუსული ინტრიგების ინიციატორობა იაპონიასა და ინგლისს „დაუთმო". არც ფრანგები იყვნენ აღფრთოვანებულნი ევროპიდან ასე დაშორებულ რეგიონში რუსეთის გაძლიერებით: პარიზში საფუძვლიანად შიშობდნენ, რომ ევროპაში კონფლიქტის შემთხვევაში მის მოკავშირე რუსეთს, ერთმანეთისაგან ძალზედ დაშორებულ ორ რეგიონში, აქტიური ქმედებისათვის ძალები არ ეყოფოდა. თავის მხრივ, პეტერბურგს სურდა სასწრაფოდ გაეფორმებინა ხელშეკრულება პეკინთან, მაქსიმალურად შეენარჩუნებინა პრივილეგიები მანჯურიაში და, შესაძლებლობისამებრ, ის მთელ ჩინეთზე განევრცო. მართალია, პეტერბურგსა და პეკინში შეთანმხდნენ კიდეც რუსეთისათვის ხელსაყრელი ხელშეკრულების ტექსტზე, მაგრამ როგორც კი მისი შინაარსი ცნობილი გახდა ამერიკის, ინგლისისა და იაპონიისათვის, უკანასკნელთა ერთიანი დიპლომატიური დემარშის შედეგად ხელმოწერა არ შედგა. იაპონია ანტირუსულ პოლიტიკაში ყველაზე შორს წავიდა: რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში ტოკიო ოფიციალურად შეჰპირდა პეკინს დახმარებას, ხოლო როდესაც პეტერბურგი შეეცადა მოკავშირედ გაეხადა იაპონია, ლონდონმა დასწრებაზე ითამაშა და თავად გახდა ტოკიოს მოკავშირე... რუსული დიპლომატია თავის მოქიშპეთა კონკურენციას აშკარად ვერ უძლებდა.

როგორც კი ლონდონში დარწმუნდნენ, რომ რუსეთს შორეულ აღმოსავლეთში საიმედო მეთვალყურე მიუჩინეს, ზრუნვა დაიწყეს პეტერბურგთან ურთიერთობაში არსებულ საკუთარ უთანხმოებათა დარეგულირებაზე. პირველი კონტაქტები და კონსულტაციები მძიმედ მიმდინარეობდა, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა რუსეთის სიძნელეები. თემზის სანაპიროზე არ იყვნენ საიმისოდ განწყობილნი, რომ კონკურენტის კრიზისიდან გამოსვლისათვის „მუქთად“ შეეწყოთ ხელი. ამჯერად უკვე გერმანიის კაიზერმა გაუწია რუსეთს დაუმსახურებელი სამსახური – როცა გერმანიაში მეორე საზღვაო პროგრამის განხორციელება დაიწყო დრედნოუტების, კრეისრებისა და წყალქვეშა ნავების მშენებლობით, ბრიტანელი ლორდები გვარიანად შეფუცხუნდნენ. გაჭიანურებული დიპლომატიური სერიალების დრო აღარ იყო და ლონდონ-პეტერბურგის მოლაპარაკებებიც ფინიშის სწორზე უცებ გავიდა. არანაკლებ ეჩქარებოდა იაპონიასაც. რასაკვირველია, მხოლოდ რუსეთი არ ეღობებოდა ტოკიოს ინტერესებს ჩინეთსა და კორეაში, მაგრამ მისი ვარაუდით, ყველაზე „ხელსაყრელი“ მოწინააღმდეგე მაინც რუსეთი იყო.

1904 წლის 22 იანვარს იაპონიის მთავრობამ საიდუმლო სხდომაზე მიიღო დადგენილება რუსეთთან ომის დაწყების თაობაზე. 23 იანვარს, ასევე საიდუმლოდ, ჯარებს ებრძანა კორეაში შესვლა და პორტ-არტურზე შეტევისთვის მზადყოფნა (პორტ-არტური იმ დროს წყნარ ოკეანეში რუსეთის მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა იყო). 24 იანვარს იაპონიამ ოფიციალურად გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან...

1904 წლის 27 იანვარს იაპონია ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს რუსეთის სამხედრო-საზღვაო ბაზას პორტ-არტურში (ბაზის უფროსი – გენერალი ანატოლი სტესელი) და ქვემეხების ცეცხლით მწყობრიდან გამოიყვანა რუსეთის წყნარის ოკეანის ესკადრის ორი თანამედროვე ხომალდი. ომი დაიწყო.

რუსეთის არმია წარუმატებლად მოქმედებდა. მართალია, პორტ-არტურის ბაზა თავს შეუპოვრად იცავდა, მაგრამ საბოლოდ მოწინააღმდეგეს დანებდა. იაპონიის არმიამ წარმატებას მიაღწია კორეაში

და მანჯურიაში, ცუსიმის საზღვაო ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა (უფრო სწორად, გაანადგურა) წყნარი ოკეანის ესკადრის დასახმარებლად გაგზავნილი ბალტიის ფლოტის ხომალდები... იაპონელები შეიჭრნენ კუნძულ სახალინზე...

ევროპაში ცოტა ვინმე თუ ვარაუდობდა რუსეთის დამარცხებას, თანაც მოკლე ვადაში, მაგრამ ცუსიმასთან რუსეთის ფლოტის საშინელმა კატასტროფამ პეტერბურგს ომის გაგრძელების შანსი აღარ დაუტოვა. ამასთან, მიუხედავად ზღვაზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებისა, იაპონიამ მაინც ვერ შესძლო რუსეთი კაპიტულაციაზე აეძულებინა. უკანასკნელის სრული კრახი არც ევროპას აწყობდა და არც ამერიკის შეერთებულ შტატებს. ლონდონმა ომის გაგრძელებისათვის აუცილებელ კრედიტებზეც კი უთხრა უარი თავის მოკავშირე იაპონიას. რუსეთ-იაპონიას შორის შუამავლის როლი ამერიკის პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა იკისრა და შეთანხმებაც რეკორდულად მოკლე ვადებში მოხდა: 1905 წლის 19 აგვისტოს აშშ-ის ქალაქ პორტსმუტში დაწყებული მოლაპარაკება, ფაქტიურად, ერთ კვირაში დასრულდა. რუსეთის დელეგაციას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სერგეი ვიტე ხელმძღვანელობდა. ძირითადად მხოლოდ ორი საკითხი იყო შესათანხმებელი: კონტრიბუცია და კუნძული სახალინის მომავალი. რუსეთის დელეგაციამ შესძლო უარი ეთქვა კონტრიბუციაზე (საინტერესოა, რომ სერგეი ვიტე აშშ-ში მოლაპარაკებაზე გამგზავრების წინ იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს შეხვდა, რომელმაც ასე უთხრა: „არავითარი კონტრიბუცია. რუსეთს თავისი ისტორიის მანძილზე მტრისთვის კონტრიბუცია არ გადაუხდიაო“) და იაპონიისთვის მხოლოდ სახალინის სამხრეთი დაეთმო. ამასთან, ტოკიოს ხელში გადავიდა პორტ-არტური და მასთან დამაკავშირებელი რკინიგზა მანჯურიაში (ჩინეთში). რუსეთს სხვა უმნიშვნელო დათმობებზეც მოუხდა წასვლა, თუმცა მაინც იოლად გადარჩა ამერიკის პრეზიდენტის დახმარებით.

რუსეთ-იაპონიის ომის მთავარი შედეგი შორეულ აღმოსავლეთში ძალთა თანაფარდობის კორექტირება არ ყოფილა - ომმა გაცილებით

მეტი მნიშვნელობა ევროპის მოვლენებზე იქონია, სადაც საშინელი კატასტროფა ახლოვდებოდა.

მას შემდეგ, რაც 1904 წლის 8 აპრილს ინგლის-საფრანგეთის კავშირი თავისი საიდუმლო მუხლით რეალობად იქცა, ფრანგულმა დიპლომატიამ ახალი სერიოზული გამარჯვება იზეიმა იტალიასთან ნეიტრალიტეტზე გაფორმებული ხელშეკრულების სახით. ჯერი უკვე რუსეთზე დადგა, რომელთანაც გერმანიაც ცდილობდა კავშირის გაფორმებას და კინაღამ მიაღწია კიდეც საწადელს: როდესაც 1905 წლის ზაფხულში, კაიზერის ტრადიციული კრუიზის დროს, კუნძულ ბერკთან ვილჰელმი და ნიკოლოზი ერთმანეთს შეხვდნენ, გერმანიის იმპერატორმა შესძლო სუსტი ნებისყოფისა და მერყევი ხასიათის რუსი კოლეგის დაყოლიება ხელი მოეწერა დოკუმენტზე, რომელიც გერმანიასთან სამხედრო კავშირის ფორმასა და შინაარსს ატარებდა. პეტერბურგში დაბრუნებულ ნიკოლოზს თითქმის მთელი მთავრობა დაემუქრა გადადგომით, თუ დაუფიქრებლად ხელმოწერილი დოკუმენტის დეზავუირებას არ მოახდენდა. მთავრობის წევრთა საბედნიეროდ, ნიკოლოზი არც დიდი ბაბუის (ნიკოლოზ პირველის) შეუვალი სიჯიუტითა და არც მამისა და ბაბუის სიფრთხილით არ გამოირჩეოდა და ხელმოწერილმა შეთანხმებამაც ძალა დაკარგა. საინტერესოა, რომ ამ დროისათვის უკვე მიმდინარეობდა კონსულტაციები რუსეთისა და საფრანგეთის გენერალურ შტაბებს შორის, ინგლისმა კი პეტერბურგს ანიშნა, რომ მზად იყო გარკვეული წვლილი შეეტანა რუსეთის სამხედრო პოტენციალის გაძლიერებაში. ამავე დროს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ხდება ცნობილი ანგლოფილი ალექსანდრე იზვოლსკი. გერმანიის უზომოდ გაძლიერებით გამოწვეული საფრთხე თავის მხრივ ხელს უწყობდა ისტორიული მეტოქეების – რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის იმპერიების დაახლოებას, რომლის კულმინაციადაც იქცა რუსეთის მიერთება ინგლის-საფრანგეთის კავშირთან 1907 წლის 31 აგვისტოს.

მიიღო თუ არა ორივე სამხედრო ალიანსმა დასრულებული კონსტრუქციის ფორმა, მათ შორის დაპირისპირება ახალ ფაზაში შევიდა. კაიზერის გერმანია უაზრო სიჯიუტით უარყოფდა ინგლისის

ყოველ წინადადებას გამალებული საზღვაო შეიარაღება რაიმე გონივრული კომპენსაციის სანაცვლოდ შეეჩერებინა.

რატომ ვერ ხვდებოდნენ ბერლინში, რომ მსოფლიოს უდიდესი კოლონიური იმპერიის მფლობელი კუნძულოვანი სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნდა უძლიერეს სამხედრო თუ სამოქალაქო ფლოტს? რა ძნელი მისახვედრი უნდა ყოფილიყო, რომ ინგლისი, რომლის საუკუნოვანი ძლევამოსილება და კოლონიების ეფექტური მართვა სწორედ უალტერნატივოდ ძლიერ ფლოტზე იყო დამოკიდებული და ამიტომაც ვერ შეეგუებოდა ნებისმიერ სახელმწიფოსთან თუნდაც პარიტეტს საზღვაო შეიარაღებაში?

გავა სულ რაღაც ათი წელი და გერმანელები თავად დარწმუნდებიან, რომ მართლაც წყალში გადაყარეს ფლოტის შექმნაზე დახარჯული დრო და ფული – მომავალ დიდ ომში მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს ინგლისისა და გერმანიის ესკადრები, თანაც ბრძოლაში, რომლის შედეგსაც არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა სტრატეგიული თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნისათვის პრაქტიკულად ყველა კონტინენტზე აღინიშნებოდა ევროპის დიდ სახელმწიფოთა ინტერესთა კონფლიქტები, კრიტიკულ ზღვარს სიტუაციამ მაინც ბალკანეთში მიაღწია. კრიზისმა დეტონატორის ფუნქცია კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ვენის უპასუხისმგებლო და შედეგზე გაუთვლელმა დიპლომატიამ არავის დაუთმო. საქმე კი ის იყო, რომ ჯერ კიდევ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, ავსტრია-უნგრეთს ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ანექსიის უფლება მიეცა. ბისმარკი ხვდებოდა თუ რა დრამატული შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა ამ ორი პრობლემური ტერიტორიის ანექსიას და ვენა აიძულა „შესაფერის მომენტამდე" გადაედო გადაწყვეტილების რეალიზაცია. ანექსიის კატეგორიული წინააღმდეგი იყო სერბეთიც, რომელიც შიშობდა, რომ გაუმაძღარი ჰაბსბურგები მხოლოდ ამ ორი პროვინციით არ დაკმაყოფილდებოდნენ და ადრე თუ გვიან, მასაც მიადგებოდნენ. ბოჰემია, ხორვატია, სლოვენია, სლოვაკია, გალიცია, ბუკოვინა, კრაკოვი უკვე იმპერიის შემადგენლობაში იყვნენ, რომლის მოსახლეობის 60 პრო-

ცენტს სლავები შეადგენდნენ. სერბეთისა და ჩერნოგორიისათვის ბოსნია-ჰერცოგოვინის საკითხი იმითაც იყო აქტუალური, რომ პროვინციის მოსახლეობის ნახევარზე მეტს აქაც სლავები შეადგენდნენ. აქვე ცხოვრობდნენ ე.წ. „ბოშნიაკები“ (მუსულმანი სლავები) და ხორვატები. აქვე უნდა ითქვას, რომ რუსეთისათვის ბოსნია და ჰერცოგოვინა არანაირ ეკონომიკურ ინტერესს არ წარმოადგენდა, მაშინ როდესაც ავსტრია-უნგრეთს, სერბეთს, ჩერნოგორიასაც და ნაწილობრივ იტალიასაც სერიოზული ეკონომიკური კავშირები გააჩნდათ როგორც ბოსნიასთან, ასევე ჰერცოგოვინასთან. ყველაფერ ამას ზედ დაერთო ოსმანთა იმპერიის მმართველი წრეების („მლადოთურქული“ რევოლუციის შემდეგ) მზარდი პრეტენზიები ბოსნია-ჰერცოგოვინაზე.

ბალკანეთის დიპლომატიურ ლაბირინთებში უკეთ გარკვევისათვის საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ ხსენებული პერიოდის თურქეთზე და „მლადოთურქულ“ რევოლუციაზე.

XIX საუკუნის დამლევისათვის ოსმანთა იმპერია უკვე მთლიანად იყო დამოკიდებული ევროპაზე. ერთი შეხედვით, სულთანი თითქოსდა შეუზღუდავი მბრძანებელი იყო, რომელიც, გარდა საერო ხელისუფლებისა, მსოფლიოს ყველა მუსულმანისთვის ხალიფის („წინასწარმეტყველის წარმომადგენლის“) პრეტენზიასაც აცხადებდა. ქვეყანა დებდა საერთაშორისო ხელშეკრულებებს, გააჩნდა ფლოტი და არმია, მაგრამ რეალობაში ეს იყო სუვერენული სახელმწიფოს მხოლოდ საგარეო მოხმარებისათვის განკუთვნილი ატრიბუტები, ვინაიდან ქვეყანას უცხოელები განაგებდნენ. პორტა (მთავრობა) მხოლოდ ფორმალურად ინარჩუნებდა სუვერენიტეტს. ეროვნული ხელისუფლების გარეშე წყდებოდა ტერიტორიული პრობლემები და მიმდინარეობდა იმპერიის „მემკვიდრეობის“ დანაწილება. უცხოელი მრჩევლებით იყო გავსებული ყველა სახელმწიფო სტრუქტურა, არმია, ფლოტი. არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებების („კაპიტულაციის რეჟიმი“) შედეგად, ადგილობრივ მოქალაქეებზე მეტი უფლებებით უცხოელები სარგებლობდნენ. დასავლეთევროპული სავაჭრო კომპანიების მიერ იყო მონოპოლიზებული მთელი საგარეო ვაჭრობა. იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ ევროპის სახელმწიფოები თურქეთის

ტერიტორიაზე არსებულ თავიანთ სავაჭრო კანტორებს არ დასჯერდნენ და საკუთარი ფოსტა და ტელეგრაფიც გაიჩინეს, სარკინიგზო მაგისტრალები მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის გაჰყავდათ. XIX საუკუნის შუა პერიოდში შექმნილი ე.წ. „ოტომანთა საიმპერიო ბანკი“ XX საუკუნის დასაწყისისათვის უკვე ფრანგულ-ინგლისური კაპიტალის საკუთრებას წარმოადგენდა. ყირიმის ომამდე თურქეთს საერთოდ არ გააჩნდა საგარეო ვალი და მხოლოდ ომ ის საჭიროებისათვის ისესხა მან საფრანგეთიდან 75 მილიონი ფრანკი, 40 წლის შემდეგ კი მის პროცენტებსაც ვეღარ იხდიდა. 1881 წელს სულთანი იძულებული გახდა სპეციალური განკარგულებით შეექმნა ოტომანთა საჯარო ვალის ადმინისტრაცია, რამაც ერთ დროს ევროპის რისხვა იმპერია ნახევრად კოლონიად აქცია. ადმინისტრაციის მმართველ საბჭოს განაგებდნენ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის წარმომადგენლები. გიგანტური საგარეო ვალის მომსახურეობის მიზნით ადმინისტრაციას უფლება ჰქონდა თავად აეკრიფა გადასახადები და საბაჟო შემოსავლები. მხოლოდ რუსეთს, ინგლისსა და ავსტრიას შორის ბალკანეთში არსებულმა წინააღმდეგობებმა თუ გადაარჩინა თურქეთი სრულ კოლონიზირებას.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ბალკანეთში მძლავრად განვითარებულმა ეროვნულმა მოძრაობამ სულთანი აბდულ-ჰამიდ მეორე ქვეყნის ისტორიაში უპრეცედენტო ნაბიჯზე – კონსტიტუციის შემუშავებაზე აიძულა. 1876 წელს თურქეთი კონსტიტუციურ მონარქიად იქცა ორპალატიანი პარლამენტით. დეპუტატთა პალატის წევრებს მაღალი ქონებრივი ცენზით ირჩევდნენ, ხოლო სენატის წევრებს სულთანი უვადოდ ნიშნავდა.

1877-1878 წლების რუსეთთან ომში დამარცხება აბდულ-ჰამიდმა კონსტიტუციის გაუქმების საბაბად გამოიყენა და თურქეთში ერთპიროვნული მმართველობის ტირანია აღადგინა. დაიწყო თურქეთის ისტორიისათვისაც კი უჩვეულო სიმკაცრის რეპრესიები. არავინ იყო გარანტირებული სიკვდილით დასჯისა და ქონების ჩამორთმევისაგან. პოლიციასა და ჟანდარმერიასთან ერთად მძვინვარებდა ე.წ.

„ბაშიბუზუკების“ (ირეგულარული შეიარაღებული რაზმები) და „ჰამიდიების“ (ირეგულარული კავალერია) ბანდები, რომლებიც ძირითადად ქურთების, ალბანელებისა და ჩერქეზებისაგან იყვნენ დაკომპლექტებულნი. სხვათა შორის, სწორედ მათ ედებად ბრალი სომეხთა 1894–1896 წლების პირველ გენოციდში. თეატრების რეპერტუარებიდან ამოიღეს შექსპირის „ჰამლეტი“ – ხალხს მონარქის მკვლელობა სცენაზეც კი არ უნდა ენახა. როდესაც 1903 წელს სერბეთის მეფე და დედოფალი მოკლეს (სასახლის ფანჯრიდან გადმოყარეს), თურქეთის პრესით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისინი ელვამ დახოცა. აკრძალული იყო სიტყვების – „რესპუბლიკა“, „კონსტიტუცია“, „თავისუფლება“, „სამართალი“ და სხვათა ხმარება. იმდროინდელი პოლიციის უფროსი ზია-ბეი მოგვიანებით წერდა, რომ სულთანის ყველა ბრძანების შესრულებისათვის დრო რომ ჰყოფნოდა, თურქეთის მოსახლეობა ერთი მესამედით შემცირდებოდა.

1889 წელს სტამბოლში დაარსდა საიდუმლო კომიტეტი „ერთობა და პროგრესი“, სადაც სამხედრო-სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები გაერთიანდნენ. გარდა თურქებისა, კომიტეტის წევრები იყვნენ ჩერქეზები და ალბანელები. კომიტეტის წესდების მთავარი პუნქტები იმპერიის ტერიტორიულ მთლიანობასა და კონსტიტუციის აღდგენას ითვალისწინებდა. ერთდროულად დაიწყო საპროტესტო გამოსვლებიც, განხორციელდა სულთანზე თავდასხმა, თუმცა უშედეგოდ. 1908 წლის 3 ივლისს, მაკედონიის ქალაქ რესენში აჯანყდა თურქეთის არმიის შენაერთი, რომელსაც სხვა ნაწილებიც შეუერთდნენ. ივლისის ბოლოსათვის აჯანყებამ იმდენად ფართო მასშტაბი მიიღო, რომ სულთანი იძულებული იყო კონსტიტუცია და პარლამენტი აღედგინა. შემდგომში ამ მოვლენებს „მლადოთურქული რევოლუციის“ სახელი დაერქვა, რომლის ლიდერები პანთურქიზმისა და პანოსმანიზმის მიმდევარი ნაციონალისტური ტრიუმვირატი წევრები ენვერ-ფაშა, თალაათ-ფაშა და ჯემალ-ფაშა იყვნენ. სულთნის ხელისუფლება შეიზღუდა, ხელისუფლებაში მნიშვნელოვანი პოსტები „მლადოთურქებმა“ დაიკავეს, განახორციელეს რიგი რეფორმები, თუმცა საბოლოო

ჯამში, თავიანთი ნაციონალისტური და ანტიდემოკრატიული მოქმედებით პოპულარობა თანდათან დაკარგეს.

დავუბრუნდეთ ისევ ბალკანეთის მოვლენებს.

სტამბული არ აპირებდა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის დათმობას, მაგრამ ვენაში ნაკლებად აინტერესებდათ თურქების აზრი და უფრო რუსეთთან გარიგებაზე ზრუნავდნენ. 1908 წლის სექტემბერში, ავსტრიის ქალაქ ბუხლაუში გაიმართა რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. რუსეთი იმ პირობით თანხმდებოდა ვენის მიერ ბოსნია-ჰერცოგოვინის ანექსიას, თუ უკანასკნელი წინააღმდეგი არ იქნებოდა, რომ რუსეთის სამხედრო ფლოტს ბოსფორითა და დარდანელით ესარგებლა.

ავსტრიიდან იზვოლსკი პარიზსა და ლონდონს გაემგზავრა, რათა ფრანგებისა და ინგლისელებისათვის ბუხლაუს გარიგების დეტალები გაეცნო. რასაკვირველია, პეტერბურგში არ ვარაუდობდნენ, რომ ანექსიის საკითხი მარტივად გადაწყდებოდა და სერიოზული დიპლომატიური ბატალიებისათვის ემზადებოდნენ. ვენასაც არ უნდა ეჩქარა ბუხლაუს შეთანხმებით და „შესაფერის მომენტს“ უნდა დალოდებოდა. სინამდვილეში კი გაირკვა, რომ ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რუსი კოლეგა ელემენტარულად მოატყუა: ვენამ ისარგებლა შეთანხმებით და 1908 წლის 7 ოქტომბერს იმპერატორმა ფრანც-იოსებმა ბოსნია-ჰერცეგოვინის ანექსია გამოაცხადა. ვენამ ისიც ოფიციალურად აღნიშნა, რომ რუსეთი ანექსიის თანახმა იყო. პარიზში მყოფმა იზვოლსკიმ ეს ყველაფერი ფრანგული გაზეთებიდან შეიტყო და სხვა არაფერი დარჩენოდა – მან ბუხლაუს შეთანხმების დეზავუირება მოახდინა. ოფიციალურ დონეზე კი პეტერბურგმა საპროტესტო ნოტით მიმართა ვენას. თურქეთმა (ოსმალეთის იმპერიამ), რომელსაც ეს ორი პროვინცია ბერლინის ტრაქტატით ნომინალურად ეკუთვნოდა, პროტესტი განაცხადა. რასაკვირველია, სტამბოლის პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია.

როგორც კი ცნობილი გახდა ანექსიის ფაქტი, სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადეს სერბებმა და ჩენოგორელებმა. ორივე ქვეყნის მმართველი წრეებიცა და ინტელიგენციაც თვლიდა, რომ ბოსნია-

ჰერცოგოვინა სერბეთის ისტორიული ტერიტორიებია, რომლის ნაწილი ჩერნოგორიას ეკუთვნის.



ფრანც-იოსებ I
(1830-1916)
ავსტრია-უნგრეთის იმპერატორი
1848-1916 წლებში

8 ოქტომბერს კაიზერმა ფრანც-იოსებს აცნობა, რომ მოვლენათა ნებისმიერი კურსით განვითარების შემთხვევაში ავსტრია-უნგრეთს შეეძლო გერმანიის უპირობო მხარდაჭერის იმედი ჰქონოდა. ეს კი საკმარისი იყო „ომის პარტიის“ და მისი ლიდერის, გენერალური შტაბის უფროს გეტცენდორფისთვის, რომ სერბეთთან საომრად გამზადებულიყო. ავსტრია-უნგრეთის ჯარებმა სერბეთთან საზღვარზე დაიწყეს თავმოყრა. ამავე დროს, ბერლინიცა და ვენაც მზად უნდა ყოფილიყვნენ რუსეთის ჩარევისათვის. უკანასკნელი რომ ბედის ანაბარას ვერ დატოვებდა ბალკანეთში თავის მთავარ მოკავშირეს, ეს ცხადზე უცხადესი იყო. კრიტიკულ მომენტში ვენამ მისი დიპლომატიური სტილისათვის უცხო თავშეკავება გამოავლინა და სერბეთის დიპლომატიურ იზოლირებაზე აიღო კურსი, რაც ომზე არანაკლებ ეფექტური გამოდგა: 1909 წლის თებერვალში ოსმალეთთან ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის ძალით, 2,5 მილიონი გირვანქა სტერლინგის საფასურად სულთანმაც თქვა უარი ნომინალურად კუთვნილ, მაგრამ ფაქტიურად სადაო პროვინციებზე.

ავსტრიამ გააღრმავა დიპლომატიური ძალისხმევა და რუსეთიც კი დაითანხმა სერბეთის მიმართ ზეწოლაზე: 1909 წლის 2 მარტს რუსეთმა, გერმანიამ, ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და იტალიამ ერთობლივად მოსთხოვა ბელგრადს ეცნო ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ანექსია, მაგრამ 10 მარტს სერბეთმა მაინც განაცხადა ოფიციალურად, რომ ანექსიას არ აღიარებდა. 17 მარტს რუსეთის იმპერატორმა მთავრობის საგანგებო სხდომაზე მოსალოდნელი ომის საკითხი განიხილა. მთავრობის წევრთა აზრით, ქვეყანა სერბეთის გულისთვის ორ ფრონტზე – გერმანიასთან და ავსტრიასთან საომრად მზად არ იყო. 22 მარტს პეტერბურგში გერმანიის ელჩმა ფრიდრიხ პურტალესმა საგარეო საქმეთა მინისტრს იზვოლსკის გადასცა „კრიზისის დასარეგულირებელი წინადადებები“. ულტიმატუმის ენაზე შედგენილი დოკუმენტი რუსეთისაგან კონკრეტულ პასუხს მოითხოვდა – ცნობდა თუ არა ერთხელ და სამუდამოდ რუსეთი ანექსიის ფაქტს. წინააღმდეგ შემთხვევაში ავსტრია-უნგრეთი სერბეთთან ომს დაიწყებდა. რუსეთს რეალურად დაემუქრა უპერსპექტივო ომში ჩართვა. ომის კატეგორიული მოწინააღმდეგენი იყვნენ იმპერატორი ნიკოლოზი და პრემიერ-მინისტრი კოკოვცევი. უკანასკნელს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ომს რევოლუცია მოჰყვებოდა. ნიკოლოზმა ტელეგრაფით აცნობა კაიზერს („კუზენ ვილის“), რომ რუსეთი თანახმა იყო გერმანიის პირობებზე.

მოკლედ, რუსეთის ბალკანურმა პოლიტიკამ მორიგი კრახი განიცადა. ვენისა და ბერლინის გაერთიანებული დიპლომატიური კომბინაციის შედეგად რუსეთის ბალკანელი მოკავშირეები საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდნენ. მტკივნეული დარტყმა მიიღო აგრეთვე რუსეთის პრესტიჟმა. კრიზისი კარგი გაკვეთილი იყო მთლიანად ანტანტისთვისაც, რომელმაც დაინახა, რომ გერმანია მზად იყო ავსტრია-უნგრეთის მოკავშირედ დარჩენილიყო, თუნდაც დიდი ომის ფასად. რუსეთის წარუმატებელი მინისტრი იზვოლსკი გადადგა, მოგვიანებით კი თანხმობა განაცხადა საფრანგეთში ელჩად წასვლაზე. საგარეო საქმეთა სამინისტრო კი, რომელიც ტრადიციულად მეფის პირდაპირ დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, პრემიერის კონტროლ-

ქვეშ გადავიდა. მას შემდეგ, რაც დიდმა სახელმწიფოებმა სცნეს ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ანექსია, ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერენტალმა გრაფის ტიტული მიიღო. რუსეთის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრის სავარძელი კი, ფრთხილმა და მრავალგზის გათვლილი გადაწყვეტილებების მომხრე, სერგეი საზონოვმა დაიკავა.

1910 წლის დამლევს პოტსდამში გერმანიის და რუსეთის იმპერატორების შეხვედრა გაიმართა. ვილჰელმი კიდევ ერთხელ შეეცადა „კუზენის" დარწმუნებას, რომ გერმანიას მოზეზრდა ვენის ბალკანური ამბიციები და რუსეთთან მეგობრობასა და კავშირზე აქვს კურსი აღებული. შეთანხმების პროექტიც კი ჰქონდა გამზადებული გერმანულ მხარეს, რომლის სპეციალური პუნქტით პეტერბურგი და ბერლინი ვალდებულებებს კისრულობდნენ ურთიერთსაწინააღმდეგო კავშირებსა და გაერთიანებებში მონაწილეობა არ მიეღოთ. ვილჰელმმა „ბიძაშვილს" სთხოვა, რომ დათანხმებოდა ბერლინ-ბაღდადის სტრატეგიული მნიშვნელობის რკინიგზის მშენებლობას, სამაგიეროდ, გერმანიაც ხელს არ შეუშლიდა და მხარს დაუჭერდა ირანში რუსეთის ინტერესების რეალიზებას. ნათელი იყო ბერლინის სტრატეგიული მიზანი: ანტანტიდან რუსეთის გამოთიშვა. ნიკოლოზმა მოიწონა ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის იდეა, მადლობა უთხრა ვილჰელმს ირანში მხარდაჭერაზე, მაგრამ კატეგორიულად უარყო ანტანტიდან გასვლის ვარიანტი.

პოტსდამის შეხვედრიდან ექვსი თვის შემდეგ მომხდარმა მორიგმა კრიზისმა უკვე რეალურად დააყენა დღის წესრიგში ომის საკითხი, რის საბაბადაც მაროკო ხდებოდა: 1911 წლის გაზაფხულზე მაროკოს დედაქალაქ ფესში აჯანყებამ იფეთქა, რაც ფრანგებმა ქვეყნის ოკუპაციის საბაბად გამოიყენეს. ზემოთ უკვე იყო საუბარი მაროკოში საფრანგეთის ინტერესებზე ჯერ კიდევ 1881 წელს. მოგვიანებით, მოიმიზეზა რა მაროკოელი ბერბერების თავდასხმები ალჟირზე, პარიზმა ხელში ჩაიგდო სასაზღვრო რაიონებში მდებარე რამდენიმე ოაზისი. 1901 წლის შეთანხმებით კი, მაროკოს სულთანი აბდულაზიზი ნებას რთავდა ფრანგებს „წესრიგის დაცვის ინტერესებიდან

გამომდინარე", ქვეყანაში საჯარისო ნაწილები შეეყვანა. ამ დროისათვის რომსა და პარიზს შორის უკვე არსებობდა საიდუმლო გარიგება: ფრანგები „გაგებით" შეხვდებოდნენ იტალიის ექსპანსიას ლიბიაში, რომი კი ფრანგებისას – მაროკოში.

აღსანიშნავია, რომ ამ კომბინაციებში გერმანია არავის გახსენებია არც პარტნიორად და არც კონკურენტად – „რკინის კანცლერს" ხომ საერთოდ კოლონიები არ აინტერესებდა, მაგრამ ბისმარკის გადაყენების შემდეგ მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა: მართალია, ევროპის წამყვან სახელმწიფოთა შორის გერმანია ინდუსტრიალიზაციის რელსებზე ყველაზე გვიან შედგა, მაგრამ ისეთი ტემპი აიღო, რომ სულ მალე ყველას გაუსწრო ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებითა და წარმოებული პროდუქციის ოდენობით. კაიზერისა და მისი უახლოესი გარემოცვისათვის კოლონიების ფლობა „პრივილეგირებულთა კლუბში" გაწევრიანების წინაპირობად იქცა. 1884 წელს დაარსებული „გერმანული კოლონიზაციის საზოგადოება" მზად იყო ღმერთამდეც კი მიეტანა თავისი „სარჩელი": „მე-15 საუკუნიდან მოყოლებული ჩვენს დღეებამდე გერმანია დედამიწის გაყოფიდან ცარიელი ხელით გამოვიდა და ეს მაშინ, როდესაც ევროპის კულტურული ხალხებიდან ყველა ფლობს მთელ ქვეყნებს სამყაროს სხვა ნაწილებში" – აღშფოთებას არ მალავდნენ საზოგადოების მამები და ხმამაღლა თხოულობდნენ „ადგილს მზის ქვეშ". ბერლინში გადაწყვიტეს, რომ დადგა დრო, როდესაც მათაც უნდა მოეთხოვათ „კანონიერი წილი" კაიზერმა ჯერ პატარა სამხედრო ხომალდი, კანონიერი „პანტერა" გაგზავნა მაროკოს აგადირის პორტში (აქედან წარმოიშვა ისტორიული ტერმინი „პანტერას ნახტომი"), ხოლო შემდეგ კი პატარა კანონირს დიდი კრეისერიც დაადევნა. საქმეში ოპერატიულად ჩაერთვნენ ფრანგი და გერმანელი დიპლომატები, თუმცა გადამწყვეტი სიტყვა ლონდონს ეკუთვნოდა. დიდი ბრიტანეთი არ დაუშვებდა გერმანიის დამკვიდრებას მაროკოში – ასეთი იყო ლონდონის კატეგორიული პოზიცია. ომითაც კი დაიმუქრა პრემიერი დევიდ ლოიდ-ჯორჯი. ამის შემდეგ პარიზსა და ბერლინს შორის კონფლიქტის დარეგულირება უკვე დიპლომატიური ტექნიკის საქმე იყო და შედგა

კიდეც შეთანხმება 1911 წლის ნოემბერში: გერმანიამ აღიარა საფრანგეთის პროტექტორატი მაროკოზე, ხოლო საფრანგეთმა კი კონგოს ნაწილი დაუთმო გერმანიას (230 000 კვ.კმ. 600 000-იანი მოსახლეობით).

უაღრესად დაძაბული ვითარების მიუხედავად, რიგით მოქალაქეთა შორის ყოფით დონეზე ურთიერთობა ჩვეულებრივ რიტმში გრძელდებოდა. როდესაც ვილჰელმ II საფრანგეთის მთავრობას „პარიზის კარიბჭემდე მისული" გერმანიის არმიით ემუქრებოდა, მოსაზღვრე გუბერნიებიდან მასობრივად მიემგზავრებოდნენ გერმანიაში ვაშლის საკრებად სეზონური რუსი მუშები და ასევე თავისუფლად გადმოდიოდნენ ჩეხები კიევში სამუშაოდ. საზღვარზე არც რუსეთის და არც ავსტრია-უნგრეთის მოქალაქეებს არავინ სთხოვდა უცხოეთის პასპორტს, შიდა პასპორტები კი მხოლოდ თურქეთსა და რუსეთში არსებობდა. მოკლევადიან ვიზიტორებს „ევროპის ჟანდარმი" რუსეთი თავის ტერიტორიაზე შესვლისთვისაც კი საჭირო საშვს ყოველგვარი გართულებების გარეშე აძლევდა. რუსულ ვოლინსკისა და პოდოლსკის გუბერნიებში ატარებდნენ უქმე დღეებს გალიციაში დაბანაკებული ავსტრიელი ოფიცრები, ხოლო ავსტრიულ ტერნოპოლსა და სტანისლავოვში – რუსი ოფიცრები. ყოველგვარი ვიზისა და დოკუმენტების გარეშე, სისტემატურად სტუმრობდა კიევს ავსტრიული ლემბერგიდან (დღევანდელი ლვოვი) ივან ფრანკო, რომლის სახელიც მოგვიანებიც ბოლშევიკებმა სტანისლავოვს მიანიჭეს.

მაროკოს მეორე კრიზისის პარალელურად, სტაბილურად იყო დაძაბული ვითარება ბალკანეთშიც: 1911 წლის სექტემბერში იტალიამ ომი გამოუცხადათ თურქეთს, მიზანი ტრიპოლი და კირენაიკა (დღევანდელი ლიბია) იყო. თავის მხრივ, არც რუსეთმა დააყოვნა ესარგებლა თურქეთის მძიმე მდგომარეობით და სულთანს ხელშეკრულება შესთავაზა, რომლის ძალითაც რუსეთის ფლოტს სრუტეებით სარგებლობის უფლება უნდა მიეღო. უკვე რუსეთის სტრატეგიული მოკავშირეების რანგში მყოფმა პარიზმა და ლონდონმა, როგორც მოკავშირეებს შეშვენოდათ, თავაზიანად აცნობეს პეტერბურგს, რომ „დიდი წუხილით", მაგრამ მხარს ვერ დაუჭერდნენ მის ინიციატივას. რუსეთმა კიდევ ერთი (მერამდენე!) მარცხი იწვნია სრუტეების

საკითხში. პეტერბურგს საკმარისზე მეტი გამოცდილება დაუგროვდა იმ ელემენტარულ ფაქტში დასარწმუნებლად, რომ თუ არა რაღაც განსაკუთრებული მოვლენა, არც ერთი მისი მოკავშირე არ შეუშვებდა რუსულ სამხედრო ფლოტილიას სრუტეებში.

უცნაურია, რომ მაშინაც კი, როდესაც ევროპის კარზე იყო მომდგარი გერმანიასთან დიდი ომი, ინგლისის ისტებლიშმენტშიც და მთლიანად საზოგადოებაშიც რუსეთისადმი სიმპათიას გერმანიისადმი სიმპათია მძლავრობდა. ამიტომ იყო, რომ რუსეთთან და საფრანგეთთან სამხედრო კავშირის პირობებშიც კი, ლონდონში უკანასკნელ წუთამდე ცდილობდნენ თავი აერიდებინათ გერმანიასთან სამხედრო დაპირისპირებისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდა ინგლისის სამხედრო მინისტრის ჰოლდენის 1912 წლის თებერვლის ვიზიტი ბერლინში. მართალია, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედვარდ გრეიმ წინასწარ გააფრთხილა პარიზი (და არა პეტერბურგი), რომ ვიზიტი არ ნიშნავდა საგარეო პოლიტიკური კურსის კორექტირებას, მაგრამ პარიზშიც და პეტერბურგშიც მშვენივრად იცოდნენ „ცბიერი ალბიონის" სიტყვის ფასი. ვერავინ იტყოდა, თუ როგორ მოიქცეოდა ლონდონი, კაიზერს რომ მეტი გონიერება გამოეჩინა და დასჯერებოდა იმას, რასაც ინგლისელები სთავაზობდნენ და რაც სავსებით საკმარისი იქნებოდა გერმანიის ეროვნული ინტერესებისათვის, უკანასკნელზე რომ სწორი წარმოდგენა ჰქონოდა კაიზერს. ლონდონი ხომ თანახმა იყო, რომ ბერლინის „საზღვაო პროექტის" შეჩერების სანაცვლოდ პრაქტიკულად მისი ყველა კოლონიური ამბიცია დაეკმაყოფილებინა და მონაწილეობა არ მიეღო გერმანიაზე თავდასხმაში, თუ კი ასეთი მოხდებოდა. ინგლისელი ემისრის უშედეგო ვიზიტმა კიდევ ერთხელ ცხადჰყო ორ სამხედრო ბლოკს შორის არსებულ წინააღმდეგობათა სიღრმე. ვიზიტიდან ზუსტად ერთი თვის შემდეგ ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა ყოველი ახალი გერმანული სამხედრო გემის საპირწონედ ორი ახალი გემი ჩაეშვა წყალში.

ჰქონდა კი ჰოლდენის ვიზიტს რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა, ან, თუნდაც, თეორიული შანსი, რომ რადიკალურად შეეცვალა ძალთა თანაფარდობა?

ნუ დავივიწყებთ, რომ ამ დროისათვის ინგლისის დიპლომატიურ სახარებად იყო ქცეული ე.წ. „კროუს მემორანდუმი“. გავიხსენოთ, რომ ბერლინში ჰოლდენის ვიზიტამდე ხუთი წლით ადრე, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბრწყინვალე ანალიტიკოსმა ეირ კროუმ ისეთი ლოგიკური დამაჯერებლობით დაასაბუთა თავის მემორანდუმში გერმანიასთან არსებული წინააღმდეგობების კანონზომიერება და შეურიგებელი ხასიათი, რომ თუ არა ლონდონში კიდევ შემორჩენილი გერმანოფილობა, კაიზერთან საერთო ენის ძებნა აზრად არავის უნდა მოსვლოდა.

ეირ კროუს აზრით, სტაბილურობას განსაზღვრავდა სტრუქტურა და არა მოტივი: გერმანიის განზრახვა და მოტივები მოუწესრიგებელი და სუმბურული იყო. ამიტომაც ენიჭებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ მის შესაძლებლობებს. აქედან გამომდინარე, კროუმ ორი ჰიპოთეზა წამოაყენა: ან გერმანია არაორაზროვნად და ცალსახად ისახავს მიზნად საყოველთაო პოლიტიკურ ჰეგემონიას და ზღვებზე ბატონობას, რაც დიდი ბრიტანეთის არსებობასაც კი უქმნის საფრთხეს, ან გერმანიისათვის უცხოა ყოველგვარი აგრესიული მიზნები და მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ მისი ეკონომიკური სიძლიერის შესაფერისი ადგილი დაიკავოს მსოფლიოში. ამავდროულად კროუს მიაჩნდა, რომ ეს განსხვავებები მოჩვენებითი იყო და ნებისმიერ შემთხვევაში პირველი სცენარის პრიმატი იყო მოსალოდნელი. საინტერესოა, რომ კროუს დედაც და ცოლიც გერმანელები იყვნენ, თვითონაც გერმანიაში დაიბადა (მამამისი ჯოზეფ კროუ ინგლისის გენერალური კონსული იყო ლეიპციგში), იქ იზრდებოდა 17 წლისა დაბრუნდა ინგლისში.

„ევროპის დიდი ომის“ (ასე ეწოდებოდა პირველ მსოფლიო ომს თავდაპირველად) გენერალურ რეპეტიციად ბალკანეთის ომები უნდა ჩაითვალოს: 1912 წლის ნოემბერში ჩერნოგორიამ პირველმა შეუტია თურქეთს, რომელსაც მალე მისი მოკავშირეები – სერბეთი, ბულგარეთი და საბერძნეთიც შეუერთდნენ. რასაკვირველია, რუსეთი ზოგადად ერთიანი ანტითურქული ბლოკის პრინციპული მომხრე იყო, მაგრამ ომს ნაადრევად თვლიდა და რაც მთავარი იყო, შიშობდა, რომ

თუ თურქეთი კონსტანტინოპოლს დაკარგავდა, საქმეში უეჭველად ევროპის დიდი სახელმწიფოები ჩაერეოდნენ, რუსეთი კი შემდგომი ესკალაციისათვის მზად არ იყო. ომის სწრაფად დასრულების მომხრე იყო ვენაც, რომელსაც სულაც არ ეპიტნავებოდა სერბების გამოჩენა ადრიატიკის სანაპიროებზე. უპრეცედენტო ფაქტი იყო, რომ რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის ინტერესები ბალკანეთში ერთმანეთს ემთხვეოდა. თანაც პარიზმა სერიოზულად გააფრთხილა პეტერბურგი, რომ საფრანგეთი არ აპირებდა ბალკანეთისათვის ეომა, სანამ „გერმანელებიც არ ამოიღებდნენ ქარქაშიდან მახვილს“. საბოლოო ჯამში, „ბალკანეთის პირველი ომი“ (ამ სახელითა შესული ეს მოვლენა დიპლომატიაში) 1912-1913 დეკემბერ-იანვრის ლონდონის სამშვიდობო კონფერენციით გაგრძელდა.

პრაქტიკულად, ეს კონფერენცია დიპლომატიური მეთოდებით დიდი ომის საფრთხის ნეიტრალიზების უკანასკნელი ცდა იყო. ფორუმი 17 დეკემბერს გახსნა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა – გრეიმ. ბალკანელი მოკავშირეები თურქეთისაგან მოითხოვდნენ მთელ მის ევროპულ ტერიტორიებს კონსტანტინოპოლის გამოკლებით: საბერძნეთს უნდა მიეღო ყველა კუნძული ეგეოსის ზღვაში, ბულგარეთს – ადრიანოპოლი. სამთა კავშირიცა და ანტანტაც მხარს უჭერდნენ საბერძნეთისა და ბულგარეთის მოთხოვნებს და თურქებიც დაიყოლიეს დათმობებზე, მაგრამ თურქეთში „მლადოთურქული რევოლუცია“ მოხდა და ახალმა მთავრობამ, გერმანიის საიდუმლო მხარდაჭერით, უარი თქვა ტერიტორიების დათმობაზე და საომარი მოქმედებები გააგრძელა. კონფერენციას ამ მომენტისათვის მხოლოდ ალბანეთის თავისუფლებაზე ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება. ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის დელეგაციების ინიციატივით მიღებული დეკლარაცია ევროპის სახელმწიფოთა პროტექტორატის ქვეშ მყოფ „თავისუფალ“ ალბანეთს გულისხმობდა, რომელსაც ადრიატიკისაკენ მიმავალი გზა უნდა გადაეჭრა სერბებისათვის.

1913 წლის თებერვალ-მარტში ბალკანელმა მოკავშირეებმა თურქეთის არმიაზე ახალი გამარჯვებები მოიპოვეს: ბულგარელებმა ად-

რიანოპოლი აიღეს და კონსტანტინოპოლზე შეტევისათვის დაიწყეს მზადება. თურქებმა ხელახლა ითხოვეს დაზავება და ლონდონშიც მოლაპარაკებები განახლდა. გერმანიის მხარდაჭერით დაიმედებული თურქები მაინც არ აპირებდნენ დათმობებზე წასვლას, სანამ გრეიმ ოლტიმატუმი არ წაუყენა – ან დაუყოვნებლივ მოეწერათ ხელი შეთანხმებაზე, ან ლონდონი დაეტოვებინათ. ახლა კი იძულებულნი იყვნენ თურქები ეღიარებინათ დამარცხების შედეგები. 1913 წლის 30 მაისს ლონდონში ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც, ბალკანელ მოკავშირეებსა და თურქეთს შორის „სამუდამო მშვიდობა“ მყარდებოდა, ოსმალეთი თანხმდებოდა თავისი ევროპული სამფლობელოები დაეტოვებინა (ალბანეთის გარდა, რომლის საკითხი ცალკე გადაწყდებოდა). ხელშეკრულებაში ერთი ნიუანსი იყო – მოკავშირეებს თვითონვე უნდა გაენაწილებინათ ოსმალეთის მიერ დატოვებული ტერიტორიები. და აი, სამწუხაროდ, ამ მიზეზით ერთი თვეც ვერ იარსება ამდენ ტანჯვაგამოვლილმა ხელშეკრულებამ: ერთმანეთს უკვე გამარჯვებული მოკავშირეები წაეკიდნენ – სერბებმა ადრიატიკისაკენ გასასვლელი ვერ მიიღეს, მაკედონიის ხარჯზე მოინდომეს გაფართოება და სამხრეთი მაკედონია მოითხოვეს, რომელზეც თვალი ბულგარელებსა და ბერძნებსაც ეჭირათ. ბალკანეთის კავშირის შენარჩუნებაში დაინტერესებული რუსეთი ყოველმხრივ ცდილობდა მოკავშირეთა ერთსულოვნების შენარჩუნებას, ავსტრია-უნგრეთის დიპლომატია კი კონფლიქტის გამწვავებაზე მუშაობდა და იმასაც მიაღწია, რომ 1913 წლის 29 მაისს, ბულგარეთი, სადაც ტახტზე ვენის პროტეჟე ფერდინანდ კობურგი იჯდა, სერბეთსა და საბერძნეთს დაესხა თავს. ასე დაიწყო „ბალკანეთის მეორე ომი“, ამჯერად უკვე ყოფილ მოკავშირეებს შორის.

მოვლენები სწრაფად განვითარდა: ბერძნებს და სერბებს რუმინეთი გამოესარჩლა და მისი ჯარი სოფიას მიადგა. ბულგარელების მძიმე მდგომარეობით ოპერატიულად ისარგებლა თურქეთმა და ადრიანოპოლი დაიბრუნა. უმოქმედოდ არც კაიზერი დარჩენილა რამდენიმე ეფექტური დიპლომატიური დემარშით არ დაუშვა დიდი სახელმწიფოების ჩარევა ლონდონის კონფერენციის დასაცავად.

ბულგარეთი ომში დამარცხდა. 1913 წლის 10 აგვისტოს და 29 სექტემბერს ბუქარესტში და კონსტანტინოპოლში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებებით, ბულგარეთმა ტერიტორიები დაკარგა, მათ შორის ადრიანოპოლიც, რომელიც თურქეთმა კვლავ დაიბრუნა. საბოლოო ჯამში, ბალკანეთის სლავები ძირითადად კი განთავისუფლდნენ თურქეთის ბატონობიდან, მაგრამ რეგიონი კვლავ დენთით სავსე კასრად რჩებოდა. რაც შეეხებოდა ძალთა ბალანსს, გერმანიამ საგრძნობლად გაიძლიერა პოზიციები თურქეთში, სადაც 1913 წელს სამხედრო მისიაც კი გაგზავნა ადგილობრივი არმიის რეორგანიზაციისათვის, რამაც რუსეთის მწვავე რეაქცია გამოიწვია.

ევროპა უკვე შეუჩერებლად მიექანებოდა ომისაკენ: ავსტრია-უნგრეთი ჩრდილო-დასავლეთით და თურქეთი აღმოსავლეთით ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ, რათა ერთს სერბეთთან გაესწორებინა ანგარიში, მეორეს კი ეგეოსის ზღვაში საბერძნეთთან მიერთებული „დაკარგული“ კუნძულები დაებრუნებინა. თავის საათს ელოდა გერმანიის კაიზერიც, რუსეთს კი პრინციპულად არ შეეძლო ღვთის ანაბარა, უფრო სწორედ ავსტრია-უნგრეთის პირისპირ დაეტოვებინა თავისი ერთმორწმუნე მოკავშირე სერბები. ყველაფერი კი მოსალოდნელი შედეგებით, უშუალოდ ეხებოდა როგორც საფრანგეთს, ასევე დიდ ბრიტანეთს. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, პარიზი იძულებული იყო არ დაეშვა რუსეთის დასუსტება, ვინაიდან მხოლოდ რუსეთის არმიის დახმარებით თუ შეძლებდა ელზასისა და ლოთარინგიის დაბრუნებას. საფრანგეთთან და რუსეთთან სამხედრო ვალდებულებებით დაკავშირებული ინგლისიც ცდილობდა გადამწყვეტი ბრძოლებისათვის შემოენახა რუსებისა და ფრანგების მთელი სამხედრო პოტენციალი, თუმცა არც ამჯერად ღალატობდა ბრიტანული დიპლომატიის სახარებად ქცეულ ცბიერებასა და ბოლომდე არ ხსნიდა კარტებს: ერთი მხრივ, საჯაროდ ზრუნავდა საფრანგეთთან მეგობრობის დემონსტრაციაზე (მეფე გეორგ მეხუთის ვიზიტი პარიზში 1914 წლის გაზაფხულზე), მეორე მხრივ კი ნეიტრალური პოზიცია ისეთ საკითხებში, როგორიც იყო ბაღდადის რკინიგზის მშე-

ნებლობის დაფინანსება, პორტუგალიის კოლონიების საკითხი, ალბანეთის საზღვრების დადგენა და სხვა.

1913 წლის დამლევს მკვეთრად დაიძაბა რუსეთ-გერმანიის ურთიერთობები: ნოემბერში კაიზერმა მორიგი სამხედრო მისია მიავლინა თურქეთში გენერალ სანდერსის მეთაურობით. მალე გაირკვა, რომ გერმანელი გენერალი სტამბულში დისლოცირებული თურქეთის არმიის სარდალი ხდებოდა და ბოსფორ-დარდანელის კონტროლი მის ხელში იქნებოდა. ცხარე დიპლომატიური დებატების შედეგად ბერლინი იძულებული გახდა უკან გაეწვია სანდერსი, თანაც უკვე ფელდმარშლის ტიტულით: იმდროინდელი გერმანული სამხედრო წესდებით ფელდმარშალი საველე მეთაური ვერ იქნებოდა. ბუნებრივია, გერმანიის ამ უხეშმა მცდელობამ საკუთარი კონტროლისათვის დაემორჩილებინა რუსეთისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის სრუტეები, კიდევ უფრო დაძაბა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა. ამავე პერიოდში, საფრანგეთის ინიციატივით დაიწყო რუსეთ-ინგლისის საიდუმლო მოლაპარაკებები სამხედრო-საზღვაო კონვენციის თაობაზე, რომელიც ისე გაჭიანურდა, რომ ომის დაწყებამდე შეთანხმება ვერ მოხერხდა.



"სარაევოს გასროლამდე" რამდენიმე წუთით ადრე
ფრანც ფერდინანდი
ავსტრიის ტახტის მემკვიდრე
(1863-1914)

1914 წლის ზაფხულისათვის ანტანტაც და სამთა კავშირიც ომის დასაწყებად მზად იყვნენ. საბაბად სარაევოს საბედისწერო გასროლა იქცა, როდესაც 1914 წლის 28 ივნისს, 19 წლის სერბმა ტერორისტმა გავრილო პრინციპმა ჰაბსბურგთა ტახტის მემკვიდრე, ავსტრია-უნგრეთის იმპერატორი ფრანც-ფერდინანდი და მისი მეუღლე მოკლა. როგორც შემდგომი ძიებით დადგინდა, ექვსი ტერორისტიდან სამი ტუბერკულოზით (იმ დროისათვის განუკურნებელი სენით) იყო დაავადებული. ტუბერკულო-

ზით ავადმყოფობდა მათი მსხვერპლი ფრანც-ფერდინანდიც. საინტერესოა, რომ ტერორისტებმა შემთხვევით მოახერხეს სამეფო ოჯახის დახოცვა: როდესაც პირველი ცდა მარცხით დამთავრდა და თვითნაკეთმა ბომბმა სხვა მანქანაში მსხდომნი დააზიანა, ფრანც-ფერდინანდმა მეუღლესთან ერთად დაჭრილთა მონახულება გადაწყვიტა. მანქანის ახალ მძღოლს გზა შეეშალა და ზუსტად იქ მიიყვანა სამეფო ოჯახი, სადაც, ერთ-ერთი ვერსიით, „შემთხვევით“ იმყოფებოდა მთავარი ტერორისტი პრინციპი, ხოლო სხვა ვერსიით, ახალი მძღოლი ტერორისტების თანამოაზრე იყო და შეგნებულად მიუყვანა ტერორისტს ობიექტი. გავრილომ ხელიდან აღარ გაუშვა შანსი და სასიკვდილოდ დაჭრილი ცოლ-ქმარი საავადმყოფოში გარდაიცვალნენ. ზოგიერთი წყაროს ცნობით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სერბეთის პრემიერ-მინისტრ პაშიჩს აგენტურული მონაცემები ჰქონდათ ტერაქტის სამზადისის თაობაზე, რაც მათ ავსტრია-უნგრეთის ხელისუფლებას შეატყობინეს. თუ კი მართლაც ასე იყო, მაშინ ან ვენაში არ ირწმუნეს საფრთხის რეალობა, ან სათანადო ზომები არ მიიღეს ტახტის მემკვიდრის უსაფრთხოებისათვის.

ვენა, რომელიც სერბეთის პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრის საბაბს ეძებდა, ვერ ბედავდა გერმანიის დახმარების გარანტიის გარეშე რადიკალური ნაბიჯის გადადგმას. კაიზერმა მომხდარის შესახებ ფლოტის კვირეულის ზეიმზე ყოფნისას გაიგო და ვერც ამჯერად შეიკავა თავი პათეტურ-თეატრალური რეპლიკებისაგან: „ან ახლა, ან არასოდეს!“ – ასეთი იყო მისი კომენტარი. ის ფაქტი, რომ ექვსივე ტერორისტი ავსტრია-უნგრეთის მოქალაქე იყო და არა სერბეთის, ვენისა და ბერლინისათვის არაფერს ნიშნავდა. 5-6 ივლისს კაიზერმა ოფიციალურად აღუქვა ვენას სრული და უპირობო მხარდაჭერა. ისე კი, ყოველი შემთხვევისათვის, ბერლინმა ლონდონის პოზიციაც დაზვერა: როგორი იქნებოდა ინგლისის რეაგირება, თუ კაიზერი არ შეეცდებოდა ავსტრიელების შეკავებას? პირდაპირ დასმულ კონკრეტულ კითხვაზე ტრადიციულად ორჭოფული და გაურკვეველი იყო ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გრეის პასუხი, რაც ბერლინში ლონდონის ნეიტრალიტეტის გარანტიად ჩათვალეს. მას

შემდეგ ბევრი მკვლევარს მიაჩნია, რომ თუ ლონდონი არაორაზროვნად დააფიქსირებდა საფრანგეთთან და რუსეთთან არსებულ სამოკავშირეო ვალდებულებებისადმი ერთგულებას, კაიზერი შეეცდებოდა და შესძლებდა კიდეც ვენის შეკავებას. სხვათა შორის, ამაზევე წერდა უკვე რევოლუციის შემდეგ ემიგრაციაში გადახვეწილი ყოფილი რუსი საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი საზონოვი.

როგორც კი ომის სუნი იყნოსა, დაფაცურდა ოსმალეთის „მლადოთურქული" მთავრობაც: საზღვაო მინისტრი აჰმედ ჯემალ-ფაშა პარიზს გაეშურა, სამხედრო მინისტრმა ისმაილ ენვერ-ფაშამ ბერლინში დაიწყო კონსულტაციები, პეტერბურგში გაემგზავრა შინაგან საქმეთა მინისტრი მეჰმედ თალაათ-ფაშა. საბოლოო გადაწყვეტილებით სტამბულმა გერმანიასთან კავშირზე აიღო კურსი.

ფრანც-იოსების მკვლელობის შემდეგ ვენაში სერბეთის მთავრობისათვის წასაყენებელი ულტიმატუმის შედგენას შეუდგნენ, რაც არც ისე იოლი აღმოჩნდა. საქმე ის იყო, რომ ულტიმატუმის პუნქტები მიუღებელი უნდა ყოფილიყო სერბებისთვის, რათა ავსტრია-უნგრეთს ომის საბაბი ჰქონოდა. როგორც იქნა, 14 ივლისისათვის ულტიმატუმი მზად იყო და 23 ივლისს ადრესატს გადაეცა. ულტიმატუმი, რომლის შედგენასაც ავსტრიელმა დიპლომატებმა მთელი თვე მოანდომეს, პასუხს 48 საათში ითხოვდა. სერბეთმა, ბუნებრივია, ვენის მოთხოვნები რუსეთს შეატყობინა. „ეს ომია ევროპაში!" – წამოიძახა სერგეი საზონოვმა, როდესაც დოკუმენტის შინაარსს გაეცნო. ორ ბალკანურ ომს გამოვლილი სერბეთი, რომელიც, ყველა სხვა „სიკეთესთან" ერთად, შიდა პოლიტიკურ კრიზისსაც განიცდიდა, ნამდვილად არ იყო მზად ავსტრია-უნგრეთთან საომრად, 48 საათიანი ვადა კი დიპლომატიური არხებით დროს გაყვანის საშუალებას არ იძლეოდა.

სერბებმა მობილიზაცია გამოაცხადეს, მაგრამ ხსნის ერთად-ერთ იმედად, ცხადია, რუსეთი რჩებოდა. ნიკოლოზი ბელგრადს ამშვიდებდა, „ყველაფერს ვიღონებ მშვიდობის შესანარჩუნებლადო" და აიმედებდა – „ნებისმიერ შემთხვევაში მარტონი არ დარჩებითო". 25 ივლისს, ვენისათვის მოულოდნელად ბელგრადმა ულტიმატუმი პრაქტიკულად მიიღო, მხოლოდ ერთი მუხლის გამოკლებით: საკითხი

ეხებოდა სერბეთის ტერიტორიაზე ავსტრიული გამომძიებლების დამოუკიდებელ მუშაობას, რაც ქვეყნის სუვერენიტეტს ბღალავდა. იმავე დღეს ფარული მობილიზაცია დაიწყო გერმანიამ. კრიზისის განმუხტვას დიპლომატიური მეთოდებითაც ცდილობდნენ: ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ გრეიმ საერთაშორისო კონფერენციის წინადადება წამოაყენა, რაც გერმანიისათვის აღმოჩნდა მიუღებელი. რუსეთი და საფრანგეთი ვენას მოუწოდებდნენ დათანხმებულიყო სერბეთის წინადადებაზე და საკითხი ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს გადასცემოდა. მრავლისმეტყველი იყო ბერლინის აქტიურობა: მან 26 ივლისს ულტიმატუმით მიმართა ბელგიას, სადაც ამტკიცებდა, რომ საფრანგეთი ბელგიის გავლით გეგმავდა მასზე თავდასხმას, რის გამოც გერმანია იძულებული იყო ჯარი შეეყვანა ბელგიაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბელგია გერმანიის მტრად ცხადდებოდა.

ერთიანი პოზიცია არ არსებობდა ლონდონშიც: აქ კვლავინდებურად ძლიერი იყო „ჩაურევლობის" მომხრეთა გავლენა, მით უმეტეს, რომ მათ მხარეზე იყო საზოგადოებრივი აზრიც. „ჩაურევლობის" კამპანიას უხვად აფინანსებდნენ ინგლისელი როტშილდები, რომელნიც ფინანსური ინტერესებით იყვნენ დაკავშირებულნი ავსტრიელ და ფრანგ როტშილდებთან. თუ ომის მთავარ მონაწილეებად ავსტრია-უნგრეთი, გერმანია და რუსეთი დარჩებოდა, ბუნებრივად გამოიყურებოდა ინგლისის ნეიტრალიტეტი, მაგრამ ინგლისისათვის კატეგორიულად მიუღებელი იქნებოდა საფრანგეთის განადგურება და კონტინენტზე გერმანიის ერთპიროვნული გაბატონება.

თავის მხრივ ფრთხილობდა რუსეთიც: იმპერატორს თითქმის ყოველდღე ჰქონდა ხანგრძლივი კონსულტაციები სამხედრო მინისტრ სუხომლინოვთან, საზღვაო მინისტრ გრიგოროვიჩთან და გენერალური შტაბის უფროსთან. ნიკოლოზ II ყოველნაირად ცდილობდა თავი აერიდებინა საომარი სამზადისისათვის, რათა ომის პროვოცირება არ მოეხდინა. როდესაც 26 ივლისს სამხედროებმა მეფე-იმპერატორი მაინც დაიყოლიეს ნაწილობრივ მობილიზაციაზე, მისი კატეგორიული მოთხოვნით მობილიზაცია ავსტრია-უნგრეთისა და

გერმანიის მოსაზღვრე ვარშავის ოკრუგს არ შეხებია. უნდა ითქვას, რომ ომისწინა დრამატულ დღეებში ინტენსიურად ამუშავდა პირდაპირი საკომუნიკაციო კავშირი პეტერბურგსა და ბერლინს შორის: ვილჰელმი დაბეჯითებით სთხოვდა რუს „კუზენ"-კოლეგას შეეჩერებინა მობილიზაციის პროცესი, რასაც ავტომატურად მოჰყვებოდა გერმანიის საპასუხო ნაბიჯი და შეუძლებელი გახდებოდა მშვიდობის შენარჩუნება. თუ ორი იმპერატორის დეპეშების პათოსს ვირწმუნებდ, ისიც უნდა დავიჯეროთ, რომ ომი არც ერთ მათგანს არ სურდა, მაგრამ არც ერთმა არ იცოდა, როგორ აევლოთ გვერდი უფსკრულისათვის, რომლისკენაც ასეთი დაუფიქრებელი ენთუზიაზმით მიაქანებდნენ მთელ ევროპას. უარყოფითი როლი შეასრულა რუსეთის იმპერატორის ყოყმანმაც: პეტერბურგიდან გერმანიის ელჩი და და სამხედრო ატაშე ბერლინს ატყობინებდნენ, რომ რუსები 1812 წლის ტაქტიკის გამეორებას აპირებენ, შეტევით ოპერაციებს არ გეგმავენ და უკან დაიხევენ ქვეყნის სიღრმეშიო. გერმანიის პრესა კი მუქ ფერებს არ იშურებდა, რათა მეტი „დამაჯერებლობით" დაეხატა რუსეთის იმპერიის „სრული გახრწნის" სურათი.

28 ივლისს ავსტრია-უნგრეთმა ომი გამოუცხადა სერბეთს, 29-ში კი დუნაის ფლოტილიამ ბელგრადი დაბომბა. იმავე დღეს გერმანიის კანცლერმა ბეტმან-გოლვეგმა მუქარის ნოტით მიმართა პარიზსა და პეტერბურგს: გერმანია ორივეს აფრთხილებდა, რომ თუ ისინი საომარ მზადებას დაიწყებდნენ, „შეუძლებელი გახდებოდა ევროპაში ომის თავიდან აცილება". მორიგი ინიციატივა წამოაყენა ლონდონმა: ავსტრიას ნება ეძლეოდა „გირაოს" სახით მოეხდინა სერბეთის ნაწილის ოკუპაცია, რათა დარწმუნებულიყო დიდი სახელმწიფოების მიერ ჩატარებული გამოძიების მიუკერძოებლობაში. რაც შეეხებოდა ინგლისის პრინციპულ გადაწყვეტილებას, საფრანგეთისა და რუსეთისათვის ეს მთავარი საკითხი კვლავ ბურუსით მოსილი რჩებოდა.

ნერვიული ვითარება აღინიშნებოდა პარიზშიც: გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა ჟოფრმა დაასრულა სრულმასშტაბიანი მობილიზაციისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები და პოზიციებზე არმიის განლაგებას მოითხოვდა. სიტუაციას დრამატიზმს

ფრანგებისათვის ისიც მატებდა, რომ კანონის თანახმად, მოსავლის აღების პერიოდში ჯარისკაცებს უფლება ჰქონდათ სახლებში წასულიყვნენ და ივლის-აგვისტოში ჯარის ნახევარი სოფლებში იყო მიმოფანტული. გარდა ამისა, ბოლომდე არ იყო გარკვეული ინგლისის პოზიცია და არც ის იყო გამორიცხული, რომ გერმანიასთან ერთად იტალიაც დასხმოდა თავს საფრანგეთს. რუსეთის მსგავსად, საფრანგეთიც ერიდებოდა ომის პროვოცირებას რაიმე სასაზღვრო ინციდენტით და ამიტომ ჟოფრმა ბრძანება მიიღო გერმანიის საზღვრიდან ათი კილომეტრის დაშორებით განელაგებინა ხუთი კორპუსი.

სამხედრო მობილიზაციის საკითხში არც რუსეთის მდგომარეობა იყო გარკვეული; როგორც კი ავსტრია-უნგრეთმა ომი გამოუცხადა სერბეთს, რუსეთმა ნაწილობრივი მობილიზაციის გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ იმპერატორისათვის საშიშ სიურპრიზად იქცა ის ფაქტი, რომ რუსეთის გენერალურ შტაბს თურმე არ გააჩნდა ნაწილობრივი, ანუ მხოლოდ ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ მობილიზაციის გეგმა. ასეთი გეგმები მხოლოდ თურქეთისა და შვედეთის წინააღმდეგ არსებობდა. ვინაიდან აქსიომად ითვლებოდა, რომ ბერლინის გარეშე ვენა ომს არასოდეს არ დაიწყებდა, ხოლო რუსეთი მხოლოდ ავსტრია-უნგრეთთან ომს არ გეგმავდა, არსებობდა ერთი საერთო მობილიზაციის გეგმა, რაც ეტყობა გერმანელებისთვისაც იყო ცნობილი. ამიტომაც არ იყო გასაკვირი კაიზერის დაჯინებითი გაფრთხილებები, რომ რუსეთის თუნდაც ნაწილობრივ მობილიზაციას გერმანიის არმიის მობილიზაცია და ომი მოჰყვებოდა. კრიტიკული რეალობის წინაშე აღმოჩენილმა რუსეთის იმპერატორმა გადაწყვიტა საერთოდ შეეჩერებინა მობილიზაცია და ცოტა კიდევ მოეცადა.

თავის მხრივ, ვილჰელმი თავის ბიძაშვილ ნიკოლოზს იმედის მომცემ დეპეშებს უგზავნიდა – ვენა კომპრომისისკენ იხრებაო, მაგრამ რამდენიმე დღეში ავსტრიელებმა რუსეთთან ყოველგვარ მოლაპარაკებებზე თქვეს უარი. 30 ივლისს, სამხედროების ზეწოლით, ნიკოლოზ მეორემ გასცა მობილიზაციის ბრძანება, თუმცა იქვე გააუქმა, ვინაიდან მორიგი დეპეშა მიიღო ბერლინიდან: ვილჰელმი კიდევ ცოტა დროს ითხოვდა ვენასთან კონსულტაციებისათვის. საპასუხო

დეპეშით რუსეთი დაინტერესებულ მხარეებს ჰააგაში შეხვედრას სთავაზობდა. სერგეი საზონოვი უკვე მზად იყო გერმანიის ელჩ ფრიდრიხ პურტალესთან შესახვედრად, რათა ერთად დაეზუსტებინად კრიზისიდან გამოსვლის პირობები. თითქოს გაიფანტა საავდრო ღრუბლები ევროპის ცაზე, მაგრამ ვენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი შეურიგებელი პოზიცია, თანაც გერმანიიდან არაოფიციალური არხებით მიღებული ცნობების თანახმად, კაიზერი გამალებული ემზადებოდა ომისათვის და რუსეთის საზღვრებთან საჯარისო შენაერთებს უყრიდა თავს. ახლა კი მეფეც დარწმუნდა, რომ „კუზენს“ უბრალოდ დრო გაჰყავდა და 31 ივლისს მობილიზაცია კვლავ გამოაცხადა. მეფის ბრძანებაში ისიც იყო მათქვამი, რომ თუ ავსტრია-უნგრეთი შეწყვეტდა სერბეთთან ომს (რაც არც ჰქონდა ფაქტიურად დაწყებული) და მოლაპარაკებებზე დათანხმდებოდა, რუსეთი გააუქმებდა მობილიზაციას. საპასუხოდ ვენამ უკვე რუსეთის წინააღმდეგ გამოაცხადა სრულმასშტაბიანი მობილიზაცია. თავისას არ იშლიდა კაიზერი ვილჰელმი და კიდევ ერთი დეპეშით პეტერბურგს კვლავ მოუწოდა გაეუქმებინა მობილიზაცია, რათა მას დრო ჰქონოდა მშვიდობის გადასარჩენად. არადა, ერთი საათის მიღებულიც კი არ ჰქონდათ პეტერბურგში დეპეშა, რომ გერმანიის მეორე და უკანასკნელმა იმპერატორმა ვილჰელმმა სასახლის აივნიდან ომახიანად გადმოსძახა ეგზალტირებულად აღფრთოვანებულ ბერლინელებს: „იძულებული ვარ ომი დავიწყოო“. საზეიმო სვლები გერმანიის ქალაქებში მთელი ღამე არ შემწყდარა. საფრანგეთმა კი ნეიტრალიტეტის მოთხოვნის ულტიმატუმი მიიღო ბერლინიდან: 18 საათში უნდა გადაეწყვიტა პარიზს, დაიცავდა თუ არა მომავალ ომში ნეიტრალიტეტს. დადებითი პასუხის შემთხვევაში, „კეთილი ნების“ გარანტად, გერმანელებს ორი ფრანგული სასაზღვრო სიმაგრე უნდა დაეკავებინათ. უსაზღვრო იყო გერმანელთა თავხედობით გამოწვეული ფრანგების აღშფოთება. ნაკლებად „ორიგინალური“ არ იყო რუსეთისათვის წაყენებული ულტიმატუმის ფორმაც: გერმანიის ელჩმა ფრიდრიხ პურტალესმა გვიან ღამით გააღვიძა რუსეთის მინისტრი სერგეი საზონოვი. ულტიმატუმის ვადა აქაც შეზღუდული იყო – 12 საათი, რათა, რაც

შეიძლება, ცოტა დრო დარჩენილიყო დიპლომატიური მანევრირებისათვის. საინტერესოა, რომ ამ მომენტისათვის რუსებს ფრანგების დახმარებაც არ ჰქონდათ გარანტირებული, ვინაიდან საფრანგეთის პარლამენტში ფრანგულ-რუსული სამოკავშირეო ხელშეკრულება ჯერ არ იყო რატიფიცირებული. სიტუაციაში სრული სიცხადე თავად გერმანელებმა შეიტანეს, როდესაც პირველი აგვისტოს გამთენიისას ლუქსემბურგის საზღვარი გადაკვეთეს და პატარა ქალაქი ტრუავერაჟი დაიკავეს. საფრანგეთმა იმავე დღეს უარყო ულტიმატუმი და მობილიზაცია გამოაცხადა. ომში ოფიციალურად ჩართვამდე პარიზი კატეგორიულად მოითხოვდა ინგლისისაგან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, კერძოდ კი, ინგლისის ფლოტს უნდა დაეცვა საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპირო, საფრანგეთის ფლოტს კი ხმელთაშუა ზღვაში უნდა ემოქმედა. ლონდონის კაბინეტის საგანგებო სხდომაზე 18 მინისტრიდან 12 საფრანგეთისათვის დახმარების წინააღმდეგი აღმოჩნდა და გრეიმ „წუხილით" ამცნო საფრანგეთის ელჩს, რომ არსებული მომენტისათვის ფრანგები (ისევე როგორც რუსები) დიდი ბრიტანეთის იმედზე არ უნდა ყოფილიყვნენ. ანტანტისათვის კრიტიკულ მომენტში ისევ კაიზერი ვილჰელმი აღმოჩნდა „მოწოდების სიმაღლეზე", როდესაც უპასუხოდ დატოვა ლონდონის კითხვა – აპირებდა თუ არა გერმანია ბელგიის ნეიტრალიტეტის დაცვას. ბელგიის ნეიტრალიტეტის ხელყოფას კი ვერც ერთი ინგლისელი პოლიტიკოსი ვერ აიტანდა, რაც აცნობეს კიდეც ბერლინს.

საინტერესოა, რომ გერმანიის გენერალური შტაბი ომის ოფიციალურად გამოცხადების გარეშე ითხოვდა საომარი მოქმედებების დაწყებას. ლოგიკა მარტივი იყო: ფაქტის პირისპირ დარჩენილი მოწინააღმდეგეები თითონ გამოუცხადებდნენ ომს გერმანიას და აგრესორების როლში აღმოჩნდებოდნენ. კანცლერი საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვას მოითხოვდა, რასაც ვილჰელმიც დაეთანხმა – ომის გამოცხადება ხომ ისტორიული მოვლენა იყო და საერთაშორისო ეფექტებზე დაციკლული კაიზერი ასეთ შანსს ხელიდან ვერ გაუშვებდა. 2 აგვისტოს გერმანიამ ოფიციალურად გამოუცხადა ომი რუსეთს და იმავე დღეს დაიწყო „შლიფენის გეგმის" რეალიზაცია: გერმანიის

არმიის 40 კორპუსი დასავლეთისაკენ (საფრანგეთისაკენ) დაიძრა. „შლიფენის გეგმა“ ითვალისწინებდა არმიის ორ ნაწილად გაყოფას, თავდაცვით ოპერაციებს რუსეთის ფრონტზე, საფრანგეთის სწრაფად განადგურებას და შემდეგ უკვე გაერთიანებული ძალებით რუსეთის დამარცხებას. 2 აგვისტოსვე გერმანიამ, პატარა ლუქსემბურგის ოკუპირების შემდეგ, ულტიმატუმით მოსთხოვა ბელგიას თავისი ჯარების საფრანგეთისკენ გატარების უფლება. მეფე ალბერტ პირველმა ბრძოლის გზა აირჩია და დახმარება სთხოვა მისი ნეიტრალიტეტის გარანტ სახელმწიფოებს. ლონდონს სხვა გზა აღარ გააჩნდა და ომის მუქარით ბერლინს ბელგიის ნეიტრალიტეტის პატივისცემა მოსთხოვა, მაგრამ სურვილიც ჰქონოდათ, გერმანელ შტაბისტებს აღარ შეეძლოთ ვითარების გადათამაშება და უინსტონ ჩერჩილმა, რომელსაც საზღვაო მინისტრის პოსტი ეკავა, ბრიტანეთის ფლოტს გერმანიის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყება უბრძანა. თავის მხრივ, გერმანიამ საფრანგეთს 3 აგვისტოს ომი გამოუცხადა „გერმანიის ტერიტორიის საჰაერო დაბომბვებისა“ და „ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევისათვის“ (უფრო ჭკვიანური საბაბი ვერ მოიფიქრეს ბერლინში). ევროპაში დაიწყო „დიდი ომი“, რომელიც მოგვიანებით „პირველი მსოფლიო ომის“ სახელით შევიდა ისტორიაში.

ომის დაწყების პირველმა ეტაპმა გერმანიის არმიას წარუმატებლობა მოუტანა: პარიზის ხელში ჩაგდებას დახარბებულმა გერმანელებმა ისე სწრაფად წაიწიეს წინ, რომ სოლივით შეიჭრნენ ფრანგთა და ინგლისელთა პოზიციებზე. 5-12 სექტემბერს ანტანტამ მდინარე მარნასთან ფლანგებიდან დაარტყა გერმანელებს და აიძულა უკან დახეულიყვნენ. მართალია, ბრძოლა გერმანელებმა წააგეს, თუმცა ანტანტამ გამარჯვება ვერ გამოიყენა;

მეომარმა მხარეებმა ომის პირველსავე დღეებიდან დაიწყეს ახალ-ახალი მოკავშირეების ძებნა: გერმანიამ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე იზრუნა თურქეთში გავლენაზე, რისი ლოგიკური შედეგიც იყო 1914 წლის 2 აგვისტოს ხელშეკრულება: თურქეთის არმიას პრაქტიკულად გერმანელი გენერლები ჩაუდგნენ სათავეში, სტამბულში კი ბინა გერმანიის სამხედრო მისიამ დაიდო.

გერმანიასთან ერთად თურქეთმაც გამოაცხადა მობილიზაცია, შავ ზღვაში კი გერმანიის ორი სამხედრო გემი „გებენი“ და „ბრესლაუ“ შევიდა. ოქტომბრის ბოლოს თურქებმა ოდესა, ნოვოროსიისკი და ფეოდოსია დაბომბეს. 2 ნოემბერს რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს. სამი დღის შემდეგ რუსეთს შეუერთდა საფრანგეთი და ინგლისი.

გრძელდებოდა დიპლომატიური ქიშპობა იტალიისათვის, რომელიც მართალია, სამთა კავშირის წევრი იყო, მაგრამ რომს გარკვეული პროანტანტური განწყობები ჰქონდა. ომის საწყის ეტაპზე დასავლეთის ფრონტზე მიღწეულმა გერმანელების წარმატებებმა რომის პროანტანტური განწყობა გააგრილა, თან გამარჯვების შემთხვევაში გერმანია იტალიას ჩრდილოეთ აფრიკასა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე საფრანგეთის ტერიტორიებს შეპირდა. თავის მხრივ არც ანტანტა ძუნწობდა დაპირებებში – მოვლენებს ცოტა წინ თუ გავუსწრებთ, სიტუაცია ასე განვითარდა: 1915 წლის გაზაფხულზე, ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ, 26 აპრილს საიდუმლო ხელშეკრულება გაფორმდა ანტანტასა და იტალიას შორის: ტრენტინო, ციზალპიის ტიროლი, ტრიესტი, ჰორიცუს საგრაფო და გრადისკუ, მთელი ისტრია კუნძულებით, დალმაცია და რამდენიმე პატარა კუნძული იტალიის საკუთრებაში უნდა გადასულიყო გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ. 1915 წლის 23 მაისს იტალიამ ჯერ ავსტრია-უნგრეთს გამოუცხადა ომი, ხოლო მომავალ წელს კი გერმანიას. „სამთა კავშირი“ დაიშალა, მაგრამ სულ მალე შეიქმნა „ოთხთა კავშირი“ – გერმანიას და ავსტრია-უნგრეთს ბულგარეთი და ოსმალეთის იმპერია ოფიციალურად მიემხრნენ.

მანამდე კი, ომის საწყის ეტაპზე, 1914 წლის 5 სექტემბერს რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი შეთანხმდნენ, რომ არც სეპარატულ ზავს დადებდნენ გერმანიასთან და არც სამშვიდობო მოლაპარაკებებს დაიწყებდნენ ურთიერთშეთანხმების გარეშე. პირველ სექტემბერს სერგეი საზონოვმა ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებს ომის შემდგომი ევროპის რუსული პროექტი გააცნო: რუსეთის შემადგენლობაში გადადიოდა მდინარე ნემანის ქვედა ნაწილი და აღმოსავლეთი გალიცია, აღდგებოდა პოლონეთის ავტონომიური სახელმწიფო (ცხა-

დია, რუსეთზე დამოკიდებული), რომლის შემადგენლობაში უნდა შესულიყო პოზნანი, სილეზია და დასავლეთი გალიცია. საფრანგეთს დაუბრუნდებოდა ელზასი და ლოთარინგია და დამატებით პარიზი თვითონ გადაწყვეტდა რეინის პროვინციის რა ნაწილს დაპატრონებოდა. ასევე გერმანიის ხარჯზე უნდა გაზრდილიყო ბელგიის ტერიტორია, დანიას კი შლეზვიგი და ჰოლშტეინი უნდა დაბრუნებოდა. უნდა აღმდგარიყო ჰანოვერის სამეფო. სერბეთს უნდა მიეღო ბოსნია, ჰერცოგოვინა და ჩრდილოეთ ალბანეთი. ბუნებრივია, რომ რუსეთისათვის შავი ზღვის სრუტეებს ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც ცალკე მოლაპარაკების თემა იყო.

1915 წლის თებერვალში ინგლის-საფრანგეთის ესკადრა დარდანელს მიადგა და არტილერიის ცეცხლით ყველა დამცავი სიმაგრე დაანგრია. 12 მაისს ინგლისმა ოფიციალურად იკისრა ვალდებულება რუსეთისათვის გადაეცა კონსტანტინოპოლი და ბოსფორის დასავლეთი სანაპიროს ნაწილი, გალიპოლის ნახევარკუნძული და სამხრეთ ფრაკია. ინგლის-რუსეთის შეთანხმებას საფრანგეთიც მიუერთდა.

იტალიის შემდეგ ბულგარეთი იქცა ვაჭრობის ობიექტად. სერბეთის შემდეგ სწორედ ის ითვლებოდა ბალკანეთის ყველაზე ძლიერ და სასურველ მოკავშირედ. ქვეყანა ერთდროულად ესაზღვრებოდა ბარიკადების მოპირდაპირე მხარეებზე მდგომ თურქეთსა და სერბეთს და ეს ფაქტორი მასთან კავშირს მიმზიდველობას მატებდა. საბოლოო ჯამში დიპლომატიურ აუქციონზე გერმანელებმა იმარჯვეს და 1915 წლის ნოემბერში ხელი მოეწერა ჯერ თურქეთ-ბულგარეთის, ხოლო შემდეგ კი გერმანია-ბულგარეთ-ავსტრია-უნგრეთის სამოკავშირეო ხელშეკრულებას. რუსეთისათვის ბულგარელების „ღალატი“ განსაკუთრებით მტკივნეული იყო – მათი „უმადურობით“ ყალყზე შემდგარი რუსული პრესა ცოფებს ყრიდა და სოფიას ბრალს სდებდა თურქეთთან ომებში დაღუპულ 25 ათასი რუსი ჯარისკაცის ხსოვნის შეურაცხყოფაში.

ანტანტამ ბულგარეთთან მარცხის რევანშის აღება რუმინეთის გადმობირებით შეძლო: 1916 წლის 17 აგვისტოს სამოკავშირეო ხელშეკრულებით რუმინეთი ომს უცხადებდა ავსტრია-უნგრეთს, რის სა-

ნაცვლოდაც, გამარჯვების შემთხვევაში ტრანსილვანიას, ბუკოვინის ნაწილს და ბანატს მიიღებდა.

სანამ მეომარ მხარეთა ჯარისკაცები იბრძოდნენ, დიპლომატები ომის შემდგომი პრიზების განაწილებით იყვნენ დაკავებულნი. პირველ რიგში, ცხადია, ანტანტის წევრები აქტიურობდნენ: ცხარე დებატების შემდეგ, რამდენიმე შეთანხმება გაფორმდა ინგლისსა და საფრანგეთს შორის თურქეთის აზიური სამფლობელოების გაყოფაზე – ინგლისი ჰაიფას და მესოპოტამიას მიიღებდა, საფრანგეთი – სირიას, „პატარა“ სომხეთს და ქურთისტანს; რუსეთი – ტრაპიზონის, ერზერუმის, ბაიაზეთის, ქურთისტანის ოლქებს და შავი ზღვის სანაპირო ზოლის გარკვეულ ნაწილს. იტალიას ანატოლიის ნახევრკუნძულის (დღევანდელი თურქეთის) დიდი ნაწილი შეხვდებოდა, პალესტინაზე კი საერთაშორისო კონტროლი უნდა დაწესებულიყო.

უმადობას არც გერმანია უჩიოდა: 1914 წლის 29 ოქტომბრით დათარიღებულ საგარეო საქმეთა სამინისტროს მემორანდუმში „ომის მიზნების შესახებ“, აღნიშნული იყო, რომ გერმანიას გამარჯვების შემთხვევაში უარი უნდა ეთქვა მხოლოდ იმაზე, „რის მონელებასაც ვერ შეძლებდა“, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იმ პორტებსა და სანაპიროებზე, საიდანაც თავისუფლად შეძლებდა მსოფლიო ოკეანეებში გასვლას. მას ასევე უნდა გაენაღდებინა ძლიერი პოზიცია კონტინენტზე, ეფიქრა ნედლეულით მდიდარ კოლონიებზე და გასაღების ბაზრებზე. მემორანდუმში „ისტორიულ მტრად“ იყო მოხსენებული საფრანგეთი, რომლის ქვანახშირისა და რკინის მადნები გერმანიის საკუთრებად უნდა ქცეულიყო. მემორანდუმის ავტორთა აზრით, „გერმანიას იმაზე გაცილებით მეტი უნდა მოეთხოვა, რის მიღებასაც ვარაუდობდა სინამდვილეში, რათა რუსეთი უფრო ადვილად შეგუებოდა სასაზღვრო ტერიტორიების დაკარგვას“ (53). ასეთ ფართომასშტაბიან გეგმებს საფუძვლად სწრაფი გამარჯვების რწმენა ედო, როდესაც გერმანია გამარჯვებულის რანგში, იოლად შეძლებდა ევროპის რუკის კორექტირებას. რეალობაში კი წარუმატებელმა ბლიცკრიგმა სიტუაცია რადიკალურად შეცვალა. გაჭიანურებული ომისათვის გერმანიას, მოწინააღმდეგეებისაგან განსხვავებით, არც ცოცხალი ძალა და

არც სამხედრო და ეკონომიკური რეზერვები ჰყოფნიდა. ყველაფერთან ერთად, ანტანტის მოკავშირე იყო (ჯერ არაოფიციალურად, შემდეგ კი უკვე ოფიციალურად), ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ომში ჩართვამდეც ეხმარებოდა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს.

აქვე უნდა ითქვას, რომ დიდმა ევროპულმა ომმა ამერიკის შეერთებული შტატები უნიკალურ მდგომარეობაში ჩააყენა: მთელი მეომარი ევროპა თხოულობდა და თხოულობდა მისგან სამხედრო აღჭურვილობასა და ათასგვარ ფაბრიკატებს, თანაც ნებისმიერ ფასებში და ნაღდი ანგარიშსწორებით. რეალური მყიდველი მხოლოდ ანტანტა იყო, ვინაიდან ინგლისის ფლოტმა ომის პირველსავე დღეებიდანვე მოახდინა გერმანიის ბლოკირება. ანტანტა მზად იყო ყველაფერი ეყიდა ამერიკაში, რისი ყიდვაც ფიზიკურად იყო შესაძლებელი. მხოლოდ გიგანტური სამრეწველო ბაზის მქონე ქვეყანა თუ შესძლებდა ასეთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ომის წლებში ამერიკაში გადაქაჩული ევროპული კაპიტალი, შემდეგ კვლავ ევროპაში დაბრუნდა მაღალპროცენტიანი კრედიტების სახით. რათა მეტ-ნაკლებად სრული სურათი შეგვექმნას ომის შედეგად ამერიკის გამდიდრების მასშტაბებზე, საკმარისია ითქვას, რომ პირველ პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონიდან მოყოლებული 1914 წლამდე, ე.ი. 125 წლის განმავლობაში, ექსპორტმა 9 მილიარდი დოლარით გადააჭარბა იმპორტს, ხოლო 1914 წლის აგვისტოდან 1918 წლის ნოემბრამდე კი, ანუ სულ რაღაც ოთხ წელიწადში, სხვაობამ უკვე 10,9 მილიარდი დოლარი შეადგინა. 1919 წლისათვის ამერიკის ოქროს მარაგმა იმ დროისათვის კოლოსალურ ოდენობას – სამ მილიარდ დოლარს მიაღწია (შედარებისათვის – 1914 წელს იგი მხოლოდ მილიარდ 887 მილიონ დოლარს შეადგენდა).

ომის დამთავრებისათვის ინგლისს ამერიკის 4,429 მილიონი დოლარი ემართა; საფრანგეთს – 2,705 მილიონი; კანადას – 462 მილიონი; იტალიას – 1,051 მილიონი; ბელგიას – 171 მილიონი. სათვალავში არ იყო მისაღები ისეთი „წვრილფეხობის“ ვალები, როგორებიც იყვნენ: რუმინეთი, საბერძნეთი, იუგოსლავია და ა.შ. (44). ბუნებრივია, რომ

ანტანტის დამარცხებას მისი მთავარი კრედიტორის – ამერიკის ბანკროტობა და კოლოსალური ზარალი მოჰყვებოდა. ასე რომ, პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი კონკრეტული პრაგმატული ინტერესებითაც ხელმძღვანელობდა, როცა ჯერ დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა გერმანიასთან, შემდეგ კი ომი გამოუცხადა.

ევროპაში კი მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა:

1915 წლის 19 იანვარს გერმანიის არმიამ პირველად გამოიყენა მომწამლავი გაზით გატენილი ჭურვები დასავლეთის ფრონტზე. ორი კვირის შემდეგ კი წყალქვეშა ომი წამოიწყო საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპიროებთან. ამის საპასუხოდ, ვაშინგტონმა 10 თებერვლის სპეციალური განცხადებით სრული პასუხისმგებლობა დააკისრა გერმანიას ამერიკის ფლოტისა და მოქალაქეებისათვის მიყენებული ზარალის გამო.

20 თებერვალს ცნობილი რევოლუციონერი ალექსანდრე პარვუსი (რუსეთის მოქალაქე გელფანდი), გერმანიის ხელისუფლებას რუსეთში სოციალური რევოლუციის ინსპირირების გეგმას სთავაზობს, რასაც მონარქიის დამხობა და ომიდან რუსეთის გამოსვლა უნდა მოჰყოლოდა. გეგმის სარეალიზაციოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული (ბოლშევიკური) პარტიის ლიდერის ვლადიმერ ლენინის (ულიანოვის) უახლოესი თანამებრძოლი ალექსანდრე პარვუსი 5 მილიონ მარკას ღებულობს;

22 აპრილს, კვლავ დასავლეთის ფრონტზე, გერმანელები პირველად იყენებენ მომწამლავ გაზ ზარინს;

1 მაისს გერმანიის წყალქვეშა ნავს იერიში მიაქვს ამერიკის ხომალდზე, ხოლო 5 ივლისს კი ინგლისის ლაინერ „ლუზიტანიაზე“, რის შედეგადაც 1198 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 128 ამერიკის მოქალაქე;

27 მაისს თურქეთის მთავრობა 1,8 მილიონი სომეხი ეროვნების მოქალაქის სირიასა და მესოპოტამიაში დეპორტაციის გადაწყვეტილებას ღებულობს. ერთმა მესამედმა მოახერხა გაქცევა, ერთი მესამედი – განადგურებული იქნა, დანარჩენი – დეპორტირებული;

23 ივნისს გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა ოფიციალურად მოითხოვეს სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება, 9 სექტემბერს კი ციმერვალდში მუშაობას ასრულებს პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია;

18 სექტემბერს გერმანიას წყალქვეშა ნავები გაჰყავს ლა-მანშიდან და დასავლეთ ატლანტიკიდან, რათა თავი აარიდოს ამერიკასთან კონფრონტაციას;

13 ნოემბერს გალიპოლის ნახევარკუნძულის ოპერაციის კრახის გამო ჩერჩილი მთავრობას ტოვებს;

1916 წლის 10 იანვარს რუსეთის კავკასიის არმიამ დაიწყო ე.წ. ერზერუმის ოპერაცია, რომელსაც თურქეთის მესამე არმიის განადგურება და ერზერუმის აღება მოჰყვა. ამ გამარჯვების შემდეგ, რუსეთს, საფრანგეთსა და ინგლისს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ომის შემდეგ რუსეთი დაეუფლებოდა შავი ზღვის სრუტეებს. 1917 წლისათვის დაიგეგმა რუსეთის არმიის დესანტის გადასხმა სრუტეების რაიონში და თურქეთის გამოყვანა ომიდან, მაგრამ რუსეთის რევოლუციამ ხელი შეუშალა ოპერაციის განხორციელებასა და რომანოვების სამასწლიანი ოცნების ახდენას...


21 თებერვალს დაიწყო ბრძოლა ფრანგული ქალაქ ვერდენისათვის – ომის ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი კამპანია. ფრანგებმა შესძლეს ვერდენის ბოლომდე დაცვა;

1916 წლის 20 მარტს მოკავშირეები თანხმდებიან თურქეთის სამომავლო დანაწილებაზე;

20 აპრილს ამერიკა გერმანიას აფრთხილებს დიპლომატიური ურთიერთობების სავარაუდო გაწყვეტაზე;

31 მაისს გაიმართა ინგლისისა და გერმანიის ფლოტების გენერალური ბრძოლა იუტლანდთან. ინლისელებმა დაკარგეს ფლოტის უდიდესი ნაწილი, მაგრამ გერმანიის ფლოტმა საზღვაო ბლოკადა მაინც ვერ გაარღვია და ომის დასასრულამდე საკუთარ პორტებში გამოკეტილი აღმოჩნდა;

1 ივლისს დაიწყო დასავლეთის ფრონტზე საფრანგეთ-ინგლისის ჯარების შეტევა სომთან. ინგლისმა და საფრანგეთმა ოპერაციის მსვლელობაში 620 ათასი ჯარისკაცი დაკარგეს, გერმანიამ – 450 ათასი. ინგლისელებმა აქ პირველად გამოიყენეს ტანკები;



პირველი ტანკები პირველ მსოფლიო ომში

12 დეკემბერს, სამშვიდობო ნოტით, გერმანიამ ანტანტას მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა; 20 დეკემბერს კი უკვე ამერიკის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი მოუწოდებს ომის მონაწილეებს მოლაპარაკებების დაწყებას. ანტანტამ უარყო ზავის წინადადება და განაცხადა, რომ „მშვიდობა მანამ არ იქნება უზრუნველყოფილი, სანამ მცირე სახელმწიფოების თავისუფლება და შელახული უფლებები არ აღდგებაო“, ანუ გერმანიისა და მისი მოკავშირეების საბოლოო დამარცხებამდე;

1917 წლის 2 იანვარს გერმანიამ ტოტალური წყალქვეშა ომი დაიწყო, რაზეც სპეციალური განცხადებაც გააკეთა;

3 თებერვალს გერმანიის წყალქვეშა ნავმა აშშ-ის სამგზავრო ხომალდი – „ჰაუსეტონიკი“ – ჩაძირა. საპასუხოდ, ვაშინგტონმა გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა;

27 თებერვალს რუსეთში ბოლშევიკების ხელშეწყობით სახელმწიფო გადატრიალება მოხდა (საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ეს მოვლენა შესულია „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის“ სახელით არის ცნობილი). იმპერატორი ნიკოლოზ მეორე ტახტიდან გადადგა, ჩამოყალიბდა რუსეთის დროებითი მთავრობა. ბოლშევიკები რუსეთის ომიდან გამოსვლას ითხოვენ. რუსეთში, ფაქტიურად, ორხელისუფლებიანობა მყარდება;

14 მარტს პეტროგრადის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების ბოლშევიკურმა საბჭომ თავისი პირველი დეკლარაციით ჯარისკაცებს ომის ფრონტებზე კომიტეტების არჩევისაკენ მოუწოდა. სამხედრო დისციპლინის ტოტალური მოშლის გამო არმია უმართავი და ბრძოლისუუნარო გახდა;

19 მარტს რუსეთის დროებითმა მთავრობამ განაცხადა, რომ სამოკავშირეო ვალდებულებების ერთგული რჩება და გამარჯვებამდე იბრძოლებს;

6 აპრილს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გერმანიას ომი გამოუცხადა;

16 აპრილს, გერმანიის, შვედეთისა და ფინეთის გავლით, გერმანიის სპეციალური მატარებლით, პეტროგრადში ბოლშევიკური პარტიის ლიდერი ვლადიმერ ულიანოვი (ლენინი) ჩავიდა; 12 მაისს გადადგა დროებითი მთავრობის სამხედრო მინისტრი გუჩკოვი, რადგან არმია მას აღარ ემორჩილებოდა;

ივნის-ივლისში სრული კრახით დასრულდა რუსეთის არმიის რამდენიმე წარმატებით დაწყებული შეტევა. ჯარებმა დატოვეს ტრაპიზონი, ერზერუმი და კავკასიის ფრონტის სხვა პოზიციები. მთავარი მიზეზია მასობრივი დეზერტირობა და ბოლშევიკთა პროპაგანდა. თურქეთის არმიამ დაიკავა ბათუმი, ახალციხე, ახალქალაქი. ამიერკავკასიის ადგილობრივი ხელისუფლება (კომისარიატი და სეიმი) იძულებული გახდა თურქეთთან მოლაპარაკება დაეწყო. 9 ივნისს ბათუმში დადებული შეთანხმებით არსებული ფაქტიური მდგომარეობა დაფიქსირდა;

ოქტომბრის ბოლოს რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალება (საბჭოთა ისტორიოგრაფიით – „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია“) მოხდა. საბჭოთა ხელისუფლებამ ვლადიმერ ლენინის ხელმძღვანელობით გერმანიასთან ზავის გასადებად მზადება დაიწყო, რაც გაფორმდა კიდეც ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით (ამაზე უფრო ვრცლად ქვემოთ);

1918 წლის 8 იანვარს აშშ-ის პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა კონგრესს სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტი წარუდგინა, რომელიც 14 პუნქტისაგან შედგებოდა, მათ შორის: ომის შეწყვეტა, შეიარაღების შემცირება, გერმანიის ჯარების გაყვანა რუსეთიდან და ბელგიიდან, პოლონეთის დამოუკიდებლობა და „ერთა გაერთიანების“ („ერთა ლიგის“) ჩამოყალიბება;

მარტ-ივლისში გერმანიამ დასავლეთის ევროპის ფრონტებზე ძლიერი შეტევა დაიწყო, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია;

აგვისტოში ანტანტამ, აშშ-ის ჯარების მონაწილეობით, ყველა ფრონტზე საპასუხო შეტევა წამოიწყო. მდინარე მარნასთან კიდევ ერთხელ გაიმართა დიდი ბრძოლა, რომელიც ისევე როგორც ადრე, ახლაც ანტანტას გამარჯვებით დასრულდა. ამჯერად მოკავშირეთა ჯარებმა ოპერაცია განავითარეს და საფრანგეთ-ბელგიის ტერიტორიები გერმანელებისაგან სრულიად გაათავისუფლეს. იგივე წარმატებულად მიმდინარეობდა ბრძოლები ბალკანეთშიც;

29 სექტემბერს ანტანტას დაუზავდა ბულგარეთი;

12 ოქტომბერს გერმანია და ავსტრია-უნგრეთი დათანხმდნენ პრეზიდენტ ვილსონის 14-პუნქტიან წინადადებას. გერმანიამ შეწყვიტა წყალქვეშა ომიც;

30 ოქტომბერს ოსმალეთმა (თურქეთმა) ხელი მოაწერა მუდროსის ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც ამიერკავკასიიდან ჯარები უნდა გაეყვანა, მათ შორის ბათუმიდან და ახალციხე-ახალქალაქიდან. მოგვიანებით, მათ ნაცვლად ბათუმში ანტანტის ჯარები შემოვიდა;

3 ნოემბერს იარაღი დაყარა ავსტრია-უნგრეთმა, 11 ნოემბერს კი ანტანტის წინაშე დამარცხება აღიარა ბერლინმა – კომპიენში, ფრანგ

მარშალ ფოშის ვაგონში გერმანიის დელეგაცია ხელს აწერს უსიტყვო კაპიტულაციაზე;

13 ნოემბერს საბჭოთა რუსეთმა ძალადაკარგულად გამოაცხადა გერმანიასთან ადრე გაფორმებული ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება;

1919 წლის 18 იანვარს პარიზში მუშაობა დაიწყო სამშვიდობო კონფერენციამ, 1919 წლის 28 ივნისს კი, ვერსალის სარკეებიან დარბაზში, გამარჯვებული ანტანტისა და დამარცხებული „ოთხთა კავშირის“ წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელიც „ვერსალის ზავის“ სახელით შევა მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში.



ვლადიმირ ლენინი (ულიანოვი)
(1878–1924)
საბჭოთა რუსეთის სახკომსაბჭოს
თავმჯდომარე
1917–1924 წლებში

თავი მერვე
თებერვლის რევოლუცია და რუსეთის გამოსვლა ომიდან

1919 წლის ივნისამდე მეომარ ევროპას გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი. ომის დაწყებიდან მალე გაირკვა მისი მსოფლიო მასშტაბი და ხანგრძლივობა. გაირკვა ისიც, რომ მიუხედავად მოწინააღმდეგეებთან შედარებით ცოცხალი ძალისა და ნედლეულის ბაზის სიმწირისა, გერმანიის დამარცხება რთული იქნებოდა. ვერც სამომავლო ნადავლს დახარბებული მოკავშირეები აღმოჩნდნენ სერიოზულ დამხმარე ძა-

ლად ანტანტისათვის; რამდენჯერმე გააფრთხილა რომი ოფიციალურად ბრიტანეთის კაბინეტმა: გამარჯვებაში შეტანილი თქვენი წვლილი ბევრად მცირეა თქვენს ამბიციებსა და ტერიტორიულ პრეტენზიებზეო. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ რუსეთის ცოცხალი ძალის რესურსი ორჯერ აღემატებოდა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ერთობლივ ანალოგიურ მაჩვენებელს, ომის პირველი ეტაპი ცენტრალურ სახელმწიფოთა მცირე, მაგრამ მაინც უპირატესობით აღინიშნა. დღემდე მიმდინარეობს დისკუსიები იმის თაობაზე თუ ვინ დარჩებოდა საბოლოოდ გამარჯვებული ამერიკის შეერთებული შტატები რომ არ ჩართულიყო ომში, თუმცა ამით არაფერი იცვლება. ისე კი საინტერესოა, რომ ამერიკის ჩართვა მას შემდეგაც კი არ იყო გარანტირებული, რაც ვაშინგტონმა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ბერლინთან. ოკეანეს გაღმა ბევრ პოლიტიკოსს მიაჩნდა, რომ ომში ჩართვაზე უკეთესი ნეიტრალიტეტის შენარჩუნება იქნებოდა. სწორედ იმ მომენტში, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტი ნეიტრალიტეტის მომხრეთა მომდურებას ერიდებოდა, გერმანიის დიპლომატიის უხეშმა შეცდომამ მკვეთრად შეცვალა ვითარება: 1917 წლის 28 თებერვალს, ვილსონმა გადაწყვიტა გამოექვეყნებინა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ არტურ ციმერმანის „მკაცრად საიდუმლო“ დეპეშა. ეს უკანასკნელი გერმანიის ელჩს მექსიკაში ეკჰარდტს ავალებდა მექსიკის პრეზიდენტისათვის ერჩია ომი გამოეცხადებინა ამერიკისათვის იმ შემთხვევაში, თუ ამერიკა ომს გამოუცხადებდა გერმანიას. გერმანია გაიღებდა ომის ხარჯებს, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში მექსიკა 1845-1848 წლებში დაკარგულ ტეხასს, არიზონასა და ნიუ-მექსიკოს დაიბრუნებდა. გარდა ამისა, მექსიკის პრეზიდენტს უნდა დაერწმუნებინა იაპონიის მთავრობა ურთიერთობა გაეწყვიტა ანტანტასთან და გერმანიის მხარეზე გაეგრძელებინა ბრძოლა.

დეპეშა 1917 წლის 19 იანვრით იყო დათარიღებული, ანუ ორი კვირით ადრე, ვიდრე გერმანია ტოტალურ წყალქვეშა ომს გამოაცხადებდა და ამერიკა მასტან დიპლომატიურ ურთიერთობებს გაწყვეტდა მასთან. ბუნებრივია, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპეშის გამოქვეყნებას ამერიკელთა საყოველთაო აღშფოთება მოჰყ-

ვა, მაგრამ პრეზიდენტი მაინც არ ჩქარობდა რადიკალური ნაბიჯის გადადგმას. ძალზედ აბსურდულად და ბრიყვულად გამოიყურებოდა დეპეშის შინაარსი: მექსიკის რომელ საღად მოაზროვნე ლიდერს მოუვიდოდა აზრად, ამერიკისათვის ომის გამოცხადება? ან ვინ დაუჭერდა მხარს ასეთ ავანტიურას? ლოგიკურ დასასრულამდე მოვლენათა განვითარება კი თვითონ ციმერმანმა დააჩქარა, როდესაც ამერიკის პრესაში ატეხილი ქარიშხალის მეორე დღესვე პრესკონფერენცია მოიწვია და საჯაროდ აღიარა, რომ თავად იყო დეპეშის ავტორი. თითქოს საკმარისი არ იყო ეს უპრეცედენტო დიპლომატიური სისულელე, რომ მან იქვე იმის მტკიცებაც დაიწყო, რომ მექსიკა არ ყოფილა დეპეშის ადრესატიო. ამას ზედ დაერთო ამერიკაში გერმანიის ელჩის იოჰან ბერნსდორფის გაუფრთხილებლობა, რომელმაც თავისი პირადი ნივთები შვედეთის დიპლომატიური ფოსტით გაგზავნა გერმანიაში. ფოსტა ინგლისელებმა ჩაიგდეს ხელში და თუმცა იქ საეჭვო ვერაფერი ნახეს, ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დაზვერვის სამსახურის იმდროინდელმა დირექტორმა, კაპიტანმა (შემდგომში ადმირალმა) ჰოლმა ნიუ-იორკში თავისი აგენტურის საშუალებით გაავრცელა ხმები, თითქოს ელჩის ნივთებში დეპეშის ასლი აღმოჩნდა. 1917 წლის 22 თებერვალს გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ამერიკის სამი გემი ჩაძირეს ატლანტიკაში, 21 მარტს კი პრეზიდენტმა ვილსონმა კონგრესის საგანგებოდ მოწვეულ სესიაზე განაცხადა, რომ ამერიკა იძულებული გახდა „მიეღო მტრის გამოწვევა“ და ომში ჩაბმულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსია არსებობს ომში ამერიკის ჩაბმის თაობაზე, აღიარებულ ფაქტად რჩება ბრიტანეთის დაზვერვის დამსახურება, რომელმაც ომის პირველსავე დღეებში შეძლო გერმანიის დაშიფრული დეპეშების წასაკითხი კოდების მოპოვება და გახსნა. ამ თვალსაზრისით, პირველი სერიოზული წარმატება 1914 წლის ოქტომბრით თარიღდება, როდესაც რუსმა მყვინთავებმა ჩაძირული გერმანული კრეისერ „მაგდებურგიდან“ ამოღებული კოდები ინგლისელებს გადასცეს. 1915 წლის მაისში კი ინგლისის სანაპიროებთან ჩაძირული გერმანული წყალქვეშა ნავიდან უკვე ინგლისელმა მყვინთავებმა შესძლეს მეტალის ყუთის

ამოღება, რომელშიც გერმანიის წყალქვეშა ნაღმების გეგმა და რამდენიმე ახალი კოდი აღმოჩნდა. იმავე პერიოდში ინგლისელმა მზვერავებმა საიდუმლო კონტაქტები დაამყარეს გერმანიის მიერ ოკუპირებული ბელგიის ცენტრალური რადიოსადგურის თანამშრომლებთან, რომელტა ფუნქციებში ბელგიის გერმანელი გენერალ-გუბერნატორის საიდუმლო მიმოწერის გაშიფვრა შედიოდა. საინტერესოა, რომ ომის შემდეგ ინგლისელთა ბელგიელი ინფორმატორის მამა საჯაროდ ამტკიცებდა, რომ, როგორც კი მისმა შვილმა გერმანული კოდის გასაღები ინგლისელებს გადასცა, იგი ინგლისელებმავე მოკლეს, რათა გერმანელებს „გაჟონვის არხისთვის“ არ მიეკვლიათო.



ალექსანდრე კერენსკი
(1881-1970)
რუსეთის დროებითი მთავრობის
მეთაური 1917 წლის 20 ივლისიდან
8 ნოემბრამდე

ის, რომ რუსეთის რევოლუციასა და ომიდან მის გამოსვლას რადიკალურად შეეძლო ძალთა თანაფარდობის შეცვლა, არცერთი მეომარი მხარისათვის არ წარმოადგენდა საიდუმლოებას: გერმანიას ომში რუსეთის მონაწილეობა ორ ფრონტზე ბრძოლას აიძულებდა.

იყო ისეთი პერიოდიც, როდესაც რუსეთის ფრონტზე მეტი გერმანული დივიზია იბრძოდა, ვიდრე დასავლეთის ფრონტზე. აქედან გამომდინარე, ბერლინის იმედი რუსეთის რევოლუციაზე ბუნებრივი იყო. როგორც ლენინის ამერიკელი ბიოგრაფი ლუის ფიშერი წერს (45), 1963 წელს მას ნიუ-იურკში რუსეთის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე კერენსკი უყვებოდა, რომ

რუსეთში მონარქიის დაცემისთანავე გერმანელები არაოფიციალური არხებით შეეცადნენ სეპარატულ ზავზე დაეყოლიებინათ დროებითი მთავრობა. პეტროგრადმა (კერენსკის ვერსიით) გერმანელების ინიციატივა მოკავშირეებს გააცნო და შესთავაზა, ერთად შეემუშავებინათ და გამოექვეყნებინათ საკუთარი პირობები, რისგანაც პარიზმა და ლონდონმა თავი შეიკავა.

დროებით მთავრობასთან წარუმატებელი ცდის შემდეგ ბერლინმა კურსი ლენინთან კავშირზე აიღო, მით უმეტეს, რომ უკვე არსებობდა პირველი კონტაქტები შვეიცარიაში მცხოვრებ რუსულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან: ჯერ კიდევ 1914 წლის სექტემბერში, ბერნში გერმანიის დიპლომატიურ მისიას გააჩნდა ლენინელების პოლიტიკური პროგრამა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად ქცევაზე, 1915 წლის აგვისტოში კი გერმანიის კანცლერი ბეტმან-გოლვეგი კოპენჰაგენიდანაც (ლენინის შუამავლებიდან) ღებულობს დაწვრილებით ინფორმაციას რუსეთში რევოლუციის პერსპექტივებზე და ლენინის გეგმებზე. ასე რომ, ცარიზმის დამხობის შემდეგ, როგორც კი გაირკვა დროებითი მთავრობის განზრახვა ომის გაგრძელებაზე, ლენინი და მისი თანამზრახველები კაიზერის გერმანიისათვის უალტერნატივო მოკავშირეებად იქცნენ. ისიც ფაქტია, რომ თუ არა ბერლინში მიღებული გადაწყვეტილება, ვერც ლენინი და ვერც მისი უახლოესი გარემოცვა შვეიცარიიდან რუსეთში კიდევ დიდ ხანს ვერ ჩააღწევდა (თუ კი საერთოდ როდესმე შესძლებდა ამას). გერმანიის წარმომადგენელს შვეიცარიაში ბარონ რომბერგს სულ რამდენიმე დღე დასჭირდა ლენინისა და მისი 30 თანამებრძოლის (ცოლის, ოფიციალური საყვარლის ინესა არმანდის, სიდედრის, ზინოვიევის ოჯახის, კარლ რადეკის, რომელიც რუსეთის მოქალაქეც კი არ იყო და სხვების) რუსეთში გამგზავრების ორგანიზება სპეციალური ვაგონით, გზაში საჭირო სურსათითა და კვალიფიციური მზარეულით. არსებობდა კაიზერის პირადი ბრძანება უმოკლეს ვადაში რუსი ემიგრანტების მშვიდობიანად რუსეთში ჩაყვანაზე. ერთ-ერთ სადგურზე გერმანიის კრონპრინცის მატარებელიც კი, მთელი ორი საათით გააჩერეს, რათა ლენინის მატარებელი არ შეფერხებულიყო.

1917 წლის პირველ აპრილს ლენინი დეპეშას უგზავნის სტოკჰოლმში ძველ თანამებრძოლ იაკოვ ფიურსტენბერგ-გენეცკის და ავალებს „ორი ათასი, უმჯობესია სამი ათასი შვედური კრონი“ გამოყოს ლენინის მგზავრობის უკანასკნელი ეტაპის საჭიროებისათვის. თანხა მნიშვნელოვანი იყო იმ პერიოდისათვის და, მისი წარმომავლობა, ცხადია, გერმანული იყო.

1917 წლის 3 (16) აპრილს, საღამოს 11 საათზე, ლენინი და მისი თანამგზავრები უკვე პეტროგრადის ფინეთის სადგურზე იყვნენ. როგორც მოგვიანებით იგონებდა კრუპსკაია, ლენინი ძალზედ აღელვებული და გაფითრებული იყო – „ილიჩი კითხულობდა, ხომ არ დაგვაპატიმრებენ მატარებლიდან ჩამოსვლისთანავეო“ არცთუ უსაფუძვლო იყო მსოფლიო პროლეტარიატის მომავალი ბელადის შიში, რადგან საომარი დროის ყველა კანონით, იგი სამშობლოს მოღალატე და მტრის დაქირავებული აგენტი იყო. ეს თეორიულად, რეალურად კი, საპყრობილის ნაცვლად იგი სადგურზე „მეფის“ ოთახში მიაცილეს, სადაც გულუბრყვილო მასპინძლების ოფიციალური მიღება ელოდა. მასპინძლებმა კი, პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარემ ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძემ და დროებითი მთავრობის შრომის მინისტრმა მიხეილ სკობელევმა (ორივე მენშევიკი) გულწრფელად მიულოცეს ლენინს სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება და იმედი გამოთქვეს, რომ ერთად შეუდგებოდნენ ახალი რუსეთის მშენებლობას. ასეთი დახვედრით გულმოცემულმა ლენინმა ზურგი შეაქცია (პირდაპირი გაგებით) ოფიციალურ დელეგაციას და სადგურზე თავმოყრილ ცნობისმოყვარეთა ბრბოს მიუბრუნდა: ის ხომ მათი დახმარებით აპირებდა ხელისუფლებაში მოსვლასა და კომუნიზმის დაყარებას.

მაინც როგორი გენერალური გეგმით დაბრუნდა ლენინი რუსეთში? ევროპული ყაიდის დემოკრატიის იდეალებით, სტალინმა რომ „გააყალბა“ და დიქტატურად აქცია? სულაც არა, მას საერთოდ სახელმწიფოს მოსპობა ჰქონდა დაგეგმილი, რაზეც დაუფარავად წერდა კიდეც თავის, ალბათ, ყველაზე ცნობილ და კითხვად წიგნში „სახელმწიფო და რევოლუცია“, რომელიც 1917 წლის აგვისტოში, სახელ-

მწიფო გადატრიალებამდე სამი თვით ადრე გამოიცა. მთელ ნაშრომს წითელ ზოლად მისდევს ფუძემდებელი თეზისი: „სანამ არსებობს სახელმწიფო, არ არსებობს თავისუფლება. როდესაც იარსებებს თავისუფლება, აღარ იარსებებს სახელმწიფო" (46). რასაკვირველია, ამა თუ იმ ფორმით, ნებისმიერი სახელმწიფო ზღუდავს პიროვნების თავისუფლებას, მაგრამ მას მისი დაცვა და გაძლიერებაც შეუძლია. ლენინის კატეგორიული „არ არსებობს თავისუფლება", საბოლოო ჯამში ტოტალიტარიზმის გამართლებად უნდა ქცეულიყო. წიგნში ლენინი მარქსისა და ენგელსის ციტატების ვულგარულ ინტერპრეტაციასაც არ მოერიდა. „პროლეტარული სახელმწიფოს გამარჯვებისთანავე იწყება მისი აღსასრული, ვინაიდან საზოგადოებაში, სადაც აღარ არსებობს კლასობრივი წინააღმდეგობა, სახელმწიფო საჭირო არაა და ის შეუძლებელიცაა", – წერს ლენინი (47).

ჯერ კი საჭირო იყო ხელისუფლების დაუფლება და მისი შენარჩუნება. რეალური სიტუაციის გათვალისწინებით, პირველი იოლად განსახორციელებელი ამოცანა იყო: როგორც მოსალოდნელი იყო, კრახით დამთავრდა 1917 წლის სექტემბერში გენერალ კორნილოვის მცდელობა „ავადმყოფი არმიით ავადმყოფი სამოქალაქო ხელისუფლება გადაერჩინა" (როგორც გაზეთები წერდნენ იმ დღეებში). როდესაც ბრძოლის გარეშე ჩაბარდა გერმანელებს რიგა, მემარცხენეებმა კაპიტალისტები ღალატში „ამხილეს": მათ კაიზერი ამჯობინეს კომუნიზმს და გარიგებით ჩააბარეს ქალაქი მტერსო. ლენინმაც დრო იხელთა და უკვე პირადად კერენსკის დასდო ბრალი ღალატში: 7 ოქტომბერს, ბოლშევიკთა პეტერბურგის საქალაქო კონფერენციისადმი გაგზავნილ საიდუმლო წერილში, როგორც მომხდარ ფაქტზე, ისე წერდა დროებითი მთავრობისა და „ინგლისის იმპერიალისტების" შეთანხმებაზე გერმანელებისათვის ჩაებარებინათ „პიტერი". სწორედ ამ მითიური ბრალდებით შესძლო ლენინმა პეტროგრადელი ბოლშევიკების დარწმუნება კერენსკის მთავრობის სასწრაფოდ ჩამოგდების აუცილებლობაში. ურცხვი პროპაგანდისტული კონტრშეტევით ცდილობდა ლენინი „ლიუდენდორფის აგენტის" საკუთარი რეპუტაციის ნეიტრალიზებას. მთავარი კი ის იყო, რომ არმია სულ უფრო და უფ-

რო მზარდი ენთუზიაზმით ასრულებდა ბოლშევიკ აგიტატორთა მოწოდებებს ბრძოლის შეწყვეტაზე. რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ უცებ გაითავისეს მარქსიზმი და კომუნიზმი. უბრალოდ, ყველას მობეზრდა ომი.

დროებით მთავრობას აღარ გააჩნდა ომის გაგრძელების საშუალება. სახელმწიფო გადატრიალებამდე ორი თვით ადრე ასე აფასებდა პეტროგრადში შექმნილ სიტუაციას რუსეთში დიდი ბრიტანეთის ელჩი ბიუკენენი: „მე მას (კერენსკის) ვუთხარი, რომ ყველაზე ძალიან მისი მთავრობის სოციალისტი წევრების საქციელი მაწუხებდა, რომელთაც არმიის გაძლიერების ეშინიათ, რათა მომავალში ვინმემ ის რევოლუციის წინააღმდეგ არ გამოიყენოს. მე ვერ დავუმალე მას ჩემი გულისტკივილი, პეტერბურგის მოვლენების გამო. მაშინ, როდესაც ბრიტანელი ჯარისკაცები რუსეთისათვის ღვრიან სისხლს, რუსი ჯარისკაცები ქუჩებში უსაქმოდ დაეხეტებიან, ნევაში თევზს იჭერენ და მატარებლებით დასეირნობენ, ყველგან კი გერმანელი აგენტებია. მან ვერ უარყო ეს ყველაფერი და შემპირდა, რომ სასწრაფოდ მიიღებდა ზომებს“ (48).

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, თუ იმ დრამატულ დღეებში პეტერბურგში ლენინი არ იქნებოდა, ოქტომბრის გადატრიალებაც არ მოხდებოდა. უბრალოდ, აჯანყებას ბოლშევიკური პარტიის ადგილობრივი ხელმძღვანელობა არ დაუშვებდა. თვით ფრიად პოპულარული ლევ ტროცკიც კი, რომელიც არასოდეს გამოირჩეოდა თავმდაბლობით, აღიარებდა, რომ ლენინის გარეშე ცნობილ ბოლშევიკთა წინააღმდეგობას ისიც ვერ დაძლევდა. გადატრიალება წარმატებით დასრულდა, ვინაიდან ჯარისკაცთა უმრავლესობა, მუშები, გლეხები და ინტელიგენცია, როდესაც ომისა თუ მშვიდობის საკითხი დადგა, ლენინისა და ტროცკის მხარეზე აღმოჩნდა. ასე იძია უმრავლესობამ შური ომზე და ომის გაგრძელების მომხრეებზე, მაგრამ იგივე უმრავლესობამ 25-27 ნოემბრის სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების დემოკრატიულ არჩევნებზე ბოლშევიკებს ნდობაზე უარი უთხრა. ისტორიკოსები ირონიად აფასებენ იმ ფაქტს, რომ რუსეთის ისტორიაში ერთადერთი თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნე-

ბი (ალბათ, დღევანდლამდე) უკვე ბოლშევიკების მმართველობის პერიოდში ჩატარდა. კრების არჩევა თვით ლენინისა და ტროცკის ინიციატივა იყო. კრებას უნდა შეემუშავებინა რესპუბლიკური კონსტიტუცია და მთავრობა ჩამოეყალიბებინა. გადატრიალებიდან მეორე დღეს, 8 ნოემბერს, ლენინმა საჯაროდ აღიარა დამფუძნებელი კრება როგორც ერთადერთ ორგანოდ, რომელსაც გადამწყვეტი ხმა ექნებოდა საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

ბოლშევიკების მიერ გამოქვეყნებული არჩევნების შედეგების მიხედვით, კრებაში 707 ადგილიდან 410 ადგილი მიიღეს სოციალისტ-რევოლუციონერებმა (ესერებმა), 175 მანდატი ერგოთ ბოლშევიკებს, 16 – მენშევიკებს, 17 – ნაციონალურ დაჯგუფებებს და ა.შ. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, რუსეთის ელექტორატის მხოლოდ მეოთხედმა დაუჭირა მხარი ბოლშევიკებს დაუჭირა, რომელნიც უკვე მართავდნენ ქვეყანას და ხელისუფლების გაყოფას არავისთან არ აპირებდნენ.

არჩევნებმა სერიოზული ექსცესების გარეშე ჩაიარა: როგორც თანამედროვენი მოგვიანებით ირწმუნებოდნენ, არავინ არ მოუკლავთ, ნაცემები კი ყველა პარტიის მხრიდან იყვნენ. პოლიტიკური ანგარიშსწორება კი დამფუძნებელი კრების შეკრების წინ დაიწყო: ლენინის მთავრობამ ოპერატიულად დააპატიმრა რამდენიმე ცნობილი ესერი და კადეტი დეპუტატი და კადეტთა პარტია საერთოდ აკრძალა. პარტიის რამდენიმე წამყვანი წევრი ჯარისკაცებმა და მატროსებმა საავადმყოფოში მოკლეს.

1918 წლის 19 იანვარს გვარიანად შეთხელებული დამფუძნებელი კრება თავრიდის სასახლეში შეუდგა მუშაობას, თუმცა კრებას ჯერ თავმჯდომარეც კი არ ჰყავდა არჩეული, რომ ბოლშევიკმა იაკოვ სვერდლოვმა მოითხოვა მისი პარტიის მიერ ადრე მიღებული ყველა დეკრეტის დადასტურება, რაზეც უარი მიიღო. შემდეგ კრებამ თავმჯდომარედ აირჩია მემარჯვენე ესერი ვიქტორ ჩერნოვი. მისი კონკურენტი იყო სახელგანთქმული მემარცხენე ესერი მარია სპირიდონოვა. ბოლშევიკებისა და მათი მხარდამჭერი მემარცხენე ესერების ყვირილისა და სტვენის ფონზე თავმჯდომარემ მაინც შესძლო პოლიტიკური

პროგრამის გაცხადება, რომლის თანახმადაც, ბოლშევიკებს ის-ის იყო მოპოვებული ხელისუფლება მათი მოსისხლე მტრების – მენშევიკებისა და მემარჯვენე ესერების ბლოკისათვის უნდა გადაეცათ და პარლამენტის ნებისმიერ გადაწყვეტილებას უნდა დამორჩილებოდნენ. იმ ელემენტარული ფაქტის გათვალისწინებით, რომ პარლამენტში, ანუ იგივე დამფუძნებელ კრებაში მტკიცე უმრავლესობას ბოლშევიკების მოწინაღმდეგეები ფლობდნენ, როგორც მინიმუმი მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ ლენინი „რაღაც“ დემოკრატიულ პროცედურას გადააყოლებდა ათეული წლების ბრძოლას და ხელისუფლებას მტრულად განწყობილ პარლამენტს გადასცემდა. ცხარე დისკუსიები გვიან ღამემდე გაგრძელდა. ისტორიამ შემოგვინახა „ბრწყინვალე ორატორული დუელი“ ბოლშევიკ ნიკოლოზ ბუხარინსა და მენშევიკ ირაკლი (კაკი) წერეთელს შორის, რომელიც ყაიმით დამთავრდა“ (49). როდესაც თავმჯდომარემ კენჭიყრაზე დააყენა დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ, მასთან მივიდა კრონშტადტის შეიარაღებული მატროსი და ყველას დარბაზის დატოვება მოსთხოვა ისტორიაში შესული მოკლე ფრაზით „ყარაული დაიღალაო“. როგორც გაირკვა, დამფუძნებელი კრების სხდომის დასრულების ბრძანება გასცა (ცხადია, თუ ვისი ინიციატივით) ბალტიის მატროსთა მეთაურმა, ბოლშევიკმა კომისარმა დიბენკომ. დილის ხუთის ნახევარზე კრება დაიშალა, რათა იმავე დღის 17 საათზე კვლავ შეკრებილიყო, მაგრამ ბოლშევიკების შეიარაღებულმა პატრულმა პარლამენტარები თავრიდის სასახლეში აღარ შეუშვა.

ასე დასრულდა რუსეთის ერთღამიანი საპარლამენტო ექსპერიმენტი.

შიდა ოპოზიციასთან ანგარიშის გასწორებისთანავე რუსეთის ახალი რეჟიმის მთავარ ამოცანად ხელისუფლების შენარჩუნება იქცა, რომელიც პირდაპირ იყო დამოკიდებული საომარი მოქმედებების შეწყვეტაზე. ის, რისი გაკეთებაც ვერ შესძლო კერენსკიმ (და რასაც გადაყვა კიდეც) უნდა გაეკეთებინათ და გააკეთეს კიდეც ლენინმა და ტროცკიმ: გადატრიალების მეორე დღესვე, 1917 წლის 8 ნოემბერს, საღამოს 11 საათზე, საბჭოების მეორე ყრილობის მიერ მიღებული ზე-

მოთ ხსენებული „დეკრეტი ზავზე“ ისე იყო პროპაგანდით აფიშირებული, რომ სკეპტიციზმის გარდა, ადრესატებში (რუსეთის მოკავშირეებში) არანაირი რეაქცია არ შეიძლებოდა გამოეწვია. თუ კაპიტალისტური სახელმწიფოები მხოლოდ საკუთარი ბატონობისა და გავლენის სფეროების გასაფართოებლად ომობდნენ, რასაც ომის პირველი დღიდანვე ქადაგებდა ლენინი, რა სტიმული უნდა ჰქონოდათ მათ „უანექსიო, უკონტრიბუციო, სამართლიანი“ ზავის დასადებად? ცხადია, არავითარი, რაშიც ეჭვი არ ეპარებოდათ ბოლშევიკებს, მაგრამ მათთვის ნებისმიერი ანატომიის მქონე ზავი იყო მთავარი (თუნდაც ომების ისტორიაში ყველაზე უსამართლო და შეურაცხმყოფელი). მხოლოდ ომიდან რუსეთის დაუყოვნებლივ გამოყვანას შეეძლო მილიონობით ახალი მომხრეებით შეევსო ბოლშევიკების მხარდამჭერთა რიგები. დეკრეტში არც მსოფლიო რევოლუციისაკენ მოწოდება იყო დავიწყებული: რუსეთის „დროებითი მუშურ-გლეხური მთავრობა“ (ასე მოიხსენიებდა საკუთარ თავს ლენინის ხელისუფლება დამფუძნებელ კრებამდე) მოუწოდებდა „მსოფლიოს ყველაზე მოწინავე სამი ერის – ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის შეგნებულ მუშებს“ დახმარებოდნენ რუს კოლეგებს (მათზე უფრო შეგნებულებს, ვინაიდან რუსეთში უკვე მოხდა რევოლუცია), რათა ბოლომდე მიეყვანათ მსოფლიო მშრომელების განთავისუფლების საქმე. ლენინი და მისი გარემოცვა „მსოფლიოს ყველაზე მოწინავე ერების“ მთავრობებს, ერთი მხრივ, საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენისაკენ მოუწოდებდა, ხოლო იქვე კი ამ მთავრობების დასამხობ რევოლუციაში ამავე მთავრობების ელექტორატს თანადგომას სთხოვდა.

ფაქტია, რომ ხელისუფლების უზურპირება გაცილებით იოლი აღმოჩნდა ბოლშევიკებისათვის, ვიდრე მისი შენარჩუნება. ამიტომ იყო, რომ გადატრიალებიდან სამოცდამეცამეტე დღეს ლენინი დაუფარავი სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ მისი რეჟიმი პარიზის კომუნაზე უკვე „მთელი ერთი დღით“ მეტს ცოცხლობდა (პარიზის კომუნამ ხომ 72 დღე იარსება). ევროპაში, პირველ რიგში კი გერმანიაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, რასაც ბოლშევიკები დიდი რევო-

ლუციური ტალღის გარდუვალობად აღიქვამდნენ, ხელისუფლების სათავეში მათი დარჩენის მთავარ გარანტად იყო აღქმული. ამავე დროს გადაუდებელ ამოცანად რჩებოდა გერმანელებთან დაზავებაც, მით უმეტეს, რომ ბერლინში ერთ პაკეტში განიხილავდნენ რუსეთის ლენინისათვის ჩაბარებასა და აღმოსავლეთის ფრონტის ლიკვიდაციას. რასაკვირველია, სურსათით ჯერ კიდევ მდიდარი რუსეთის მიერ (განსაკუთრებით, უკრაინის ხარჯზე) დამშეული გერმანიისა და ავსტრიის დაპურებაც არ იყო დავიწყებული. ავტონომიური სადისკუსიო თემაა რუსეთის მოკავშირეების პოლიტიკური ადეკვატურობა ოქტომბრის ტრაგედიასთან მიმართებაში: ომში ამერიკის ჩართვის შემდეგ მაინც, როდესაც პრაქტიკულად იყო გარანტირებული გამარჯვება, მათ ხომ შეეძლოთ მეტი სერიოზულობით და მეტი შორსმჭვრეტელობით დაკავებულიყვნენ თავიანთი გუშინდელი მოკავშირის სამომავლო პერსპექტივებით? რეალობაში კი მოხდა ისე, რომ ახალი რუსეთი, რომელიც, ყველა ლოგიკური გათვლით, მართლაც „დროებითი“ უნდა ყოფილიყო, მარტო აღმოჩნდა გარანტირებული დამარცხების მომლოდინე გერმანიის პირისპირ, რაც მისი გადარჩენის შანსს იძლეოდა. საკმარისი იქნებოდა 1917 წლის შემოდგომაზე დიდი ზავი რუსეთის გარეშე და ბოლშევიკებს ისღა დარჩებოდათ სანუგეშოდ, რომ მათმა რეჟიმმა პარიზის კომუნაზე რამდენიმე დღით თუ კვირით მეტი იარსება.

ნებისმიერ შემთხვევაში პარიზისა და ლონდონის დამსახურებაც იყო, რომ მიყრუებულ ბრესტ-ლიტოვსკში გერმანელები და ბოლშევიკები მარტონი მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას. საკამათო არ არის, რომ კაიზერის გერმანიის გადარჩენა რუსეთთან არანაირ ყაჩაღურ ზავს აღარ შეეძლო, მაგრამ კაიზერი და მისი სამხედრო გარემოცვა ასე არ ფიქრობდა. რაც შეეხებოდა ბოლშევიკებს, ისინი არჩევანის გარეშე იყვნენ დარჩენილნი და ლიუდენდორფის დიდსულოვნებისა და ზომიერების იმედზელა შეეძლოთ ყოფნა – მათ ხომ პირნათლად შეასრულეს ბერლინში მიცემული სიტყვა და გერმანელებს მტერი მილიონზე მეტი ჯარისკაცით შეუმცირეს.

გერმანიასთან სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებამდე საჭირო იყო რუსეთის არმიის ოფიციალური დემობილიზაცია, რა მიზნითაც 20 ნოემბერს ვლადიმერ ლენინი, ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი იოსებ სტალინი და წითელი გვარდიის სარდალი ნიკოლოზ კრილენკო მოგილევში დაუკავშირდნენ რუსეთის არმიის მთავარსარდალს გენერალ ნიკოლოზ დუხონინს. ორსაათიანი მოლაპარაკება უშედეგო აღმოჩნდა, რადგან გენერალი ეჭვქვეშ აყენებდა ლენინის მთავრობის ლეგიტიმურობას. ბოლშევიკებმა მთავარსარდლად ნიკოლოზ კრილენკო დანიშნეს და მატროსთა რაზმით მოგილევში გაგზავნეს. დუხონინმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, რის დროსაც ის ჯარისკაცებმა მოკლეს. 27 ნოემბერს ბოლშევიკების წარმომადგენლებსა და გერმანელ გენერლებს შორის პირველი კონტაქტი შედგა: მხარეები ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ, ხოლო სამშვიდობო მოლაპარაკებები 2 დეკემბრისათვის დაინიშნა ბრესტ-ლოტოვსკში, სადაც გერმანიის არმიის აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობა იყო დაბანაკებული.

ამავე დროს პეტროგრადში სრული ქაოსი სუფევდა. საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები უარს ამბობდნენ ახალ მინისტრად ლევ ტროცკი აღიარებაზე. 17 ნოემბერს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ანუ ცაკ-ის (საბჭოთა საპარლამენტო მოდელის) სესიაზე სტენოგრაფისტები გაიფიცნენ, რაც ლენინმა „საბოტაჟად“ შეაფასა.

საინტერესოა, რომ ცაკ-ის სესიის 670 დელეგატიდან ბოლშევიკები 300 დელეგატით იყვნენ წარმოდგენილნი და აშკარა უმცირესობაში იმყოფებოდნენ. მწვავე დისკუსია მოჰყვა სესიაზე მემარცხენე ესერის გრიგორი ზაკსის გამოსვლას, რომელმაც საგარეო-პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით ბრალი დასდო ლენინსა და ტროცკის იმაში, რომ მათ კურსი „სოციალისტურ რევოლუციაზე აიღეს“. „მეორე ნაპირზე გადებული პატარა ხიდის აფეთქებით ჩვენ სრულიად მარტონი ხომ არ ვრჩებით? – კითხულობდა მემარცხენე ესერი და იქვე განმარტავდა საკუთარი ეჭვის საფუძველს, – „ჩვენ ხომ დღემდე არსაიდან მიგვიღია რაიმე ქმედითი დახმარება. დასავლეთ ევროპა

სამარცხვინოდ დუმს. სოციალიზმის დეკრეტირება კი შეუძლებელია“ (50). ასეთი განცხადებებით ეჭვქვეშ დგებოდა „ნაპერწკლის“ („ისკრას“) კონცეფცია და თეორია, რასაც იმ პერიოდში ეფუძნებოდა მთელი საბჭოთა სტრატეგია და ლენინის რისხვამაც არ დააყოვნა: „მხოლოდ ბრმა თუ ვერ ხედავს იმ მღელვარებას, გერმანიისა და დასავლეთის მასები რომ მოიცვა... ჩვენ გვჯერა, რომ დასავლეთში რევოლუცია გაიმარჯვებს“, – პასუხობდა იგი პესიმისტებს.

რუს რევოლუციონერთა რიგებში კრიზისი დღითიდღე ღრმავდებოდა: ბოლშევიკების ოპონენტი სოციალისტების მტკიცებით, საბჭოთა მთავრობას უკიდურესად არამყარი ბაზა გააჩნდა საიმისოდ, რომ წარმატებით გამკლავებოდა სამოქალაქო ომს (რომელიც უკვე იწყებოდა) და მზარდ პოლიტიკურ და სამეურნეო სირთულეებს. ლენინსა და ტროცკის პარტიული კოალიციის გაგონებაც არ სურდათ, უკიდურეს შემთხვევაში, ისინი შეიძლება დათანხმებულიყვნენ (ისიც უკანასკნელ მომენტში) მემარცხენე ესერებთან დროებით კავშირზე, ისიც იმ მიზნით, რომ განხეთქილება გაეძლიერებინათ მყარად ანტილენინურ პოზიციებზე მდგომ პარტიაში. ასეთ ხისტ პოზიციას თვით ბოლშევიკურ მთავრობაში კრიზისი მოჰყვა: პროტესტის ნიშნად მთავრობა დატოვა კაბინეტის ოთხმა წევრმა, მათ შორის შინაგან საქმეთა კომისარმა რიკოვმა (მოგვიანებით, სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ). მათ შეუერთდა ბოლშევიკური ელიტის ხუთი წევრი, რომელთა ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამი იყო: „ჩვენ იმ თვალსაზრისზე ვდგავართ, რომ აუცილებელია სოციალისტური მთავრობის შექმნა ყველა საბჭოური პარტიების მონაწილეობით... ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამის გარეშე მხოლოდ ერთი გზა არსებობს: წმინდა ბოლშევიკური მთავრობის შენარჩუნება პოლიტიკური ტერორის შენარჩუნებით... ამას მივყავართ პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელობიდან მასობრივი პროლეტარული ორგანიზაციების გარიყვისაკენ და უპასუხისმგებლო რეჟიმის დამკვიდრებისაკენ“ (51). იმავე დღესვე ანალოგიური ხასიათის კიდევ ერთი განცხადება გააკეთეს რიკოვმა, კამენევმა, ზინოვიევმა და რამდენიმე ცნობილმა ბოლშევიკმა. მათ ერთდროულად დატოვეს პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ლენინს ერთი სტანდარტული პასუხი ჰქონდა ყველა ასეთ დემარშზე – რევოლუციის „საბოტაჟი“. ლენინმავე სასაცილოდ აიგდო ის ლიბერალი ბოლშევიკები, ანტისაბჭოური გაზეთების აკრძალვა რომ გააპროტესტეს.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობაში პოლემიკას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია: ფრონდისტები ცკ-ში დაბრუნდნენ. ლენინმა გაიმარჯვა. მეორე მხრივ, არც თუ დიდი გავიდა და სრულად გამართლდა მემარცხენე ესერი ზაკსის ავბედითი პროგნოზი, თუმცა ლენინი მხოლოდ მის პროლოგს მოესწრო.

როგორც ცნობილია, რუსეთის დროებითი მთავრობა ომიდან გამოსვლას არ აპირებდა. 1917 წლის 22 ოქტომბრის გადატრიალების მეორე დღეს, ბოლშევიკების ხელისუფლება (საბჭოების მეორე ყრილობა) ღებულობს დეკრეტს ზავზე, რომელიც ყველა მეომარ მხარეს მოუწოდებს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ბრძოლა და დაიწყონ სამშვიდობო მოლაპარაკებები. 27 ოქტომბერს ყრილობა ამტკიცებს ბოლშევიკურ მთავრობას – სახალხო კომისართა საბჭოს, რომელმაც ცეცხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე ნოტით მიმართა მოკავშირე სახელმწიფოთა ელჩებს. 9 ნოემბერს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლენინმა დეპეშა გაუგზავნა არმიას, რომლითაც ჯარისკაცებს მოუწოდებდა შეეწყვიტათ ბრძოლა და თავიანთი წარმომადგენლები აერჩიათ დროებით ზავზე მოსალაპარაკებლად. იმავე დღეს, პეტროგრადში გაიმართა მოკავშირე სახელმწიფოების ელჩების თათბირი, რომელზეც გადაწყდა საბჭოთა მთავრობის ნოტის იგნორირება, 10 ნოემბერს კი მოკავშირეთა სამხედრო მისიების წარმომადგენლებმა კოლექტიური საპროტესტო ნოტა გადასცეს გენერალ დუხონინს 1914 წლის 5 სექტემბრის ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებით. ხსენებული ხელშეკრულება ხომ მოკავშირეებს სწორედ სეპარატულ მოლაპარაკებებსა და ზავს უკრძალავდა. დუხონინმა ფრონტების სარდლებს ნოტის ასლები გადაუგზავნა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა კი ახლა უკვე ნეიტრალურ სახელმწიფოთა ელჩებს მიმართა წინადადებით შუამავლობა ეკისრად სამშვიდობო მოლაპარაკებების დასაწყებად. შვედეთის, ნორვეგიისა და

შვეიცარიის ელჩები იმით შემოიფარგნენ, რომ დაადასტურეს ნოტის მიღება. ესპანეთის ელჩი კი, რომელმაც მადრიდს გადაუგზავნა ნოტა, სამშობლოში გაიწვიეს. ამის შემდეგ ლენინის მთავრობა მარტო იწყებს სეპარატულ მოლაპარაკებებს გერმანელებთან.

1917 წლის 19 ნოემბერს რუსეთის მთავრობის სამშვიდობო დელეგაცია იოფეს მეთაურობით ბრესტ-ლიტოვსკში ჩავიდა, სადაც გერმანიის აღმოსავლეთის ფრონტის შტაბი მდებარეობდა. 20 ნოემბერს დაიწყო მოლაპარაკება. საბჭოთა მხარის პირობები იყო: 1. ექვსთვიანი დაზავება; 2. საომარი მოქმედებების შეწყვეტა ყველა ფრონტზე; 3. გერმანიის ჯარების გაყვანა რიგიდან და მოოზუნდის კუნძულებიდან; 4. გერმანელებს აღმოსავლეთის ფრონტიდან ჯარები დასავლეთის ფრონტზე უნდა გადაეყვანათ. მიღწეული იქნა შემდეგი დროებითი შეთანხმება: 1. დროებითი ზავი იდებოდა 24 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე; 2. ჯარები დაკავებულ პოზიციებზე რჩებოდნენ; 3. იკრძალებოდა ჯარების ყოველგვარი გადაადგილება. 27 ნოემბერს სახკომსაბჭომ განიხილა გერმანიასთან მომავალ მოლაპარაკებებზე რუსეთის დელეგაციის ინსტრუქცია. გადაწყდა, რომ მოლაპარაკებებზე რუსეთის პოზიციას საფუძლად უნდა დადებოდა „დეკრეტი ზავის შესახებ“.

1917 წლის 9 დეკემბერს დაიწყო რუსეთ-გერმანიის სამშვიდობო მოლაპარაკებები. გარდა გერმანელებისა, მასში მონაწილეობდნენ ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთისა და თურქეთის წარმომადგენლებიც. კონფერენციის თავმჯდომარე იყო გერმანიის წარმომადგენელი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ფონ კულმანი.

საბჭოთა დელეგაციის ხუთი წამყვანი წევრიდან, სამი ბოლშევიკი იყო: იოფე, კამენევი (როზენფელდი), სოკოლნიკოვი (ბრილიანტი) და ორი ესერი: ბიცენკო და მასლოვსკ-მსტისლავსკი. საბჭოთა დელეგაციაში შედიოდნენ აგრეთვე მატროსი ოლიჩი, რიგითი ჯარისკაცი ბელიაკოვი, კალუგელი გლეხი სტაშკოვი და მუშა ობუხოვი.

საბჭოთა დელეგაციისათვის მოლაპარაკებები ტრაგედიით დაიწყო: ექსპერტების სხდომის დროს პოზიციების დაზუსტებისას გენერალმა ვლადიმერ სკალონმა თავი მოიკლა. როგორც მოგვიანებით

გაირკვა, რუსმა ოფიცერმა გერმანელთა წინაშე ბოლშევიკთა კაპიტულანტური განწყობა ვერ გადაიტანა.

„საზავო დეკრეტის“ საერთო პრინციპიდან გამომდინარე, რუსეთის დელეგაციამ 6-პუნქტიანი პროგრამა წამოაყენა:

1. დაუშვებელი უნდა ყოფილიყო დაპყრობილი ტერიტორიების მიერთება და უკუპირებული ტერიტორიებიდან უმოკლეს ვადებში უნდა გასულიყვნენ ჯარები;
2. უნდა აღდგენილიყო იმ ხალხების სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ვინც ის ომის შედეგად დაკარგა;
3. ეროვნულ ჯგუფებს, რომელთაც ომამდე არ გააჩნდათ პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ან თავად უნდა აერჩიათ სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაშიც ისურვებდნენ ცხოვრებას, ან საკუთარი სახელმწიფო რეფერენდუმის შედეგად უნდა შეექმნათ;
4. ეროვნული უმცირესობებისათვის გარანტირებული უნდა ყოფილიყო კულტურულ-ეროვნული, შესაძლებლობის შემთხვევაში კი ადმინისტრაციული ავტონომია;
5. უარყოფილი უნდა ყოფილიყო კონტრიბუცია;
6. უნდა შეზღუდულიყო ძლიერი ერების მხრიდან სუსტი ერების თავისუფლების ხელყოფა.

სამდღიანი განხილვის შემდეგ, 12 დეკემბერს, კულმანმა განაცხადა, რომ გერმანია და მისი მოკავშირეები ღებულობდნენ რუსეთის მხარის წინადადებებს. იქვე მან აღნიშნა, რომ რუსეთის დელეგაციის წინადადებების სარეალიზაციოდ აუცილებელი იქნებოდა, რომ ომის დანარჩენ მონაწილეებსაც ზუსტად შეესრულებინათ რუსების მიერ ინიცირებული პუნქტები. ცხადი იყო, რომ გერმანელები სერიოზულად არ ფიქრობდნენ რუსეთთან დაზავებაზე. მალე ისიც გაირკვა, რომ „ზავი ანექსიის გარეშე“ გერმანელებს „თავისებურად“ ესმოდათ და ისინი სულაც არ აპირებდნენ ჯარების გაყვანას 1914 წლის საზღვრებამდე. მათი ვერსიით, პოლონელებს, ლიტველებსა და კურლანდიელებს არ სურდად რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა, რაც არც თუ შორს იყო სიმართლესთან. მოლაპარაკებები დროებით შეჩერდა. პეტროგრადში კი მოლაპარაკებების გაჭიანურება გადაწყვიტეს, გერმა-

ნიაში მოსალოდნელი რევოლუციის იმედით. როდესაც მოლაპარაკებები განახლდა, უკვე პირადად ტროცკი ხელმძღვანელობდა საბჭოთა დელეგაციას, რომელსაც ფანატიურად სწამდა გერმანიის რევოლუციის გარდუვალობა და ყოველნაირად ცდილობდა გაეჭიანურებინა ნებისმიერი შეთანხმება. გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელი კულმანი მოგვიანებით წერდა თავის მოგონებებში: „ხოგჯერ საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ჩამოვიდა კი ტროცკი ხელშეკრულების დადების განზრახვით, თუ მას მხოლოდ ტრიბუნა სჭირდებოდა, საიდანაც იგი ბოლშევიკური შეხედულებების პროპაგანდას შესძლებდა“ (52). საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გერმანიის მხარემ ოფიციალური პროტესტით მიმართა საბჭოთა დელეგაციას – ტროცკიმ გერმანელ ჯარისკაცებში რევოლუციის პროპაგანდა შეწყვიტოსო. რუსეთის დელეგაციამ კი ზეპირი პროპაგანდა არ იკმარა და იქვე, ბრესტ-ლიტოვსკში, გერმანულ ენაზე დაიწყო რევოლუციური გაზეთის – „ჩირაღდანის“ გამოცემა, რომელსაც გერმანელ ჯარისკაცებში ავრცელებდა. 13 დეკემბერს სახკომსაბჭომ საზღვარგარეთ რევოლუციური აგიტაციისათვის ორი მილიონი მანეთი გამოყო. ბოლშევიკების მთავარი სამიზნე გერმანია იყო, სადაც მართლაც მწიფდებოდა რევოლუციური სიტუაცია, მაგრამ არა კომუნისტური ჩამოსხმის.

გერმანელებთან მოლაპარაკებებზე რუსეთის დელეგაციის საინტერესო დახასიათება დაგვიტოვა გენერალმა ჰოფმანმა: „მე არასოდეს დავივიწყებ პირველ სადილს რუსებთან. მე ვიჯექი იოფესა და სოკოლნიკოვს შორის. ჩემს პირდაპირ მუშა იჯდა, რომელსაც დიდ უსიამოვნებას აყენებდა ჭურჭელი და დანა-ჩანგალი. ის ხან ერთს წაატანებდა ხელს, ხან მეორეს, მაგრამ ჩანგალს მხოლოდ კბილების საჩიჩქნელად ხმარობდა. თავად ჰოჰენლოეს გვერდით ტერორისტი ბიმენკო (ასეა ტექსტში – ს.ც.) იჯდა, მის მეორე მხარეს – ნამდვილი რუსული მოვლენა, გლეხი, ტყესავით გაზრდილი წვერით. მან პერსონალის ღიმილი გამოიწვია, როდესაც შეკითხვაზე – წითელ ღვინოს მიირთმევდა თუ თეთრს – პასუხობდა: „რამე უფრო ძლიერი“ (53).

1917 წლის 20 დეკემბერს ბოლშევიკებმა მოწინაღმდეგეებს მოლაპარაკებების სტოკჰოლმში გადატანა შესთავაზეს, რაზეც კატეგორიუ-

ლი უარი მიიღეს. 22 დეკემბერს გერმანიის კანცლერმა რეიხსტაგში განაცხადა, რომ ბრესტ-ლიტოვსკში, მოლაპარაკებებში მონაწილეობისათვის ჩავიდა უკრაინის ცენტრალური რადის დელეგაცია. გერმანია თანახმა იყო დამოუკიდებელი მოლაპარაკებები დაეწყო უკრაინელებთან. გენერალ ჰოფმანთან წინასწარი შეხვედრის შემდეგ, უკრაინელები დათანხმდნენ ავსტრია-უნგრეთის სასარგებლოდ ეთქვად უარი ბუკოვინასა და აღმოსავლეთ გალიციაზე. მათ მხოლოდ პოლონეთის მიმართ გააჩნდათ ტერიტორიული პრეტენზიები.

1917 წლის 27 დეკემბერს, როგორც იქნა, კონფერენციამ მუშაობა განაახლა. შესავალ სიტყვაში კულმანმა პირდაპირ განაცხადა, რომ შესვენების პერიოდში, მათ არ შეუერთდა ომის არც ერთი მონაწილე, რის გამოც „ოთხთა კავშირი" უარს ამბობს თავის ადრინდელ თანხმობაზე გაიზიაროს ფორმულა „უანექსიო და უკონტრიბუციო" ზავზე. ახალ სიტუაციაში გერმანია და მისი მოკავშირეები მხოლოდ რუსეთთან სეპარატულ გარიგებაზე იყვნენ თანახმანი. მეორე დღეს, 28 დეკემბერს, გერმანელებმა უკრაინის დელეგაცია მიიწვიეს სხდომაზე, რომლის ხელმძღვანელმა გოლუბოვიჩმა დამსწრედ გააცნო უკრაინის ცენტრალური რადის გადაწყვეტილება, რომ უკრაინაზე არ ვრცელდებოდა სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებები და უკრაინა დამოუკიდებლად აწარმოებდა მოლაპარაკებებს გერმანელებთან.

ამავე დროს გერმანიის უმაღლესი სარდლობაგაღიზიანებას არ მალავდა: გენერალი ლიუდენდორფი, დაბეჯითებით მოითხოვდა გენერალ ჰოფმანისაგან მოლაპარაკებების დაჩქარებას. საქმე ის იყო, რომ გერმანიაში მკვეთრად გაუარესდა სასურსათო პრობლემა. 1917-1918 წლის ზამთარში, გერმანიაში კვირის სასურსათო ნორმა შეადგენდა 3,3 კგ. კარტოფილს, 1,8 კგ.პურს, 240 გრ. ხორცს, 70-90 გრ. ცხიმებს. გაჭიანურებულ სამშვიდობო მოლაპარაკებებსა და შიმშილს გერმანიაშიც და ავსტრია-უნგრეთშიც საყოველთაო გაფიცვები მოჰყვა. 15 იანვარს გაიფიცნენ გერმანიის თავდაცვითი მრეწველობის მუშები, ნახევარი მილიონი ადამიანი იყო გაფიცული მხოლოდ ბერლინში, ახლად შექმნილი საბჭოები ომის დამთავრებასა და რესპუბლიკურ მმართველობაზე გადასვლას მოითხოვდნენ

1918 წლის 5 იანვარს, გენერალმა ჰოფმანმა საზავო პირობები გააცნო რუსეთის დელეგაციას: გერმანია, ავსტრია-უნგრეთთან ერთად ღებულობდა პოლონეთს, ლიტვას, ესტონეთს, ლატვიას, ბელორუსიისა და უკრაინის ნაწილს, მოოზუნდის კუნძულებსა და რიგის ყურეს, ბალტიის პორტებით. რუსეთის დელეგაციამ 10-დღიანი შესვენება მოითხოვა რათა საკუთარი მთავრობისათვის გაეცნო გერმანიის მოთხოვნები. მას შემდეგ, რაც 1918 წლის 6 იანვარს დამფუძნებელი კრება გარეკეს ბოლშევიკებმა, მკვეთრად იმატა გერმანელების თვითდაჯერებამ, ვინაიდან საყოველთაო აზრით, კრება „რევოლუციური თავდაცვითი“ ომისაკენ უბიძგებდა მთავრობას. როგორც მოგვიანებით წერდა ტროცკი, „დამფუძნებელი კრების გარეკვა მოასწავებდა ნებისმიერ ფასად ომის შეწყვეტისათვის მზადყოფნას. ამის შემდეგ კულმანის ტონი შესამჩნევლად გათავხედდა“ (54).

1918 წლის იანვარში ბოლშევიკურ ხელმძღვანელობაში თავი განხეთქილებამ იჩინა: „მემარცხენე კომუნისტები“, რომელთა სათავეში ბუხარინი იდგა, გერმანიის მოთხოვნების უარყოფას მოითხოვდნენ, ლენინი მოთხოვნების მიღების მომხრე იყო. ორ ფრაქციას შორის ლავირებდა ტროცკი „შუალედური“ პლატფორმით – „არც ომი, არც მშვიდობა“: „ჩვენ ომს ვწყვეტთ, ზავს არ ვდებთ, ვახდენთ არმიის დემობილიზაციას“. 11 იანვარს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, „მემარცხენე კომუნისტებთან“ ერთად, ლენინის წინააღმდეგ ღიად გამოვიდა ტროცკიც. ძერჟინსკი ლენინს სიმხდალეში სდებდა ბრალს, ხოლო ბუხარინი კი – გერმანიისა და ავსტრიის პროლეტარიატის ღალატში. სტალინი ზავის მომხრე იყო. საბოლოო ჯამში, ცხრა ხმით შვიდის წინააღმდეგ, მიიღეს მიიღეს ტროცკის ვარიანტი: გრძელდებოდა მოლაპარაკებების გაჭიანურების ტაქტიკა. ლენინი იძულებული გახდა შეგუებოდა უმრავლესობის პოზიციას და ბრესტ-ლიტოვსკში გამგზავრების წინ ტროცკის დაავალა მაქსიმალურად კი გაეჭიმა მოლაპარაკებები, მაგრამ თუ ულტიმატუმს წამოაყენებდნენ გერმანელები, ხელი მოეწერა შეთანხმებაზე.

მას შემდეგ, რაც 1918 წლის 21 იანვარს, მოსკოვის, ვოლგისპირეთისა და ურალის საბჭოების დელეგატთა ყრილობაზე, ტროცკიმ შუა-

ლედური (რევოლუციურ ომსა და ზავს შორის) გადაწყვეტილების წინადადება წამოაყენა – გერმანელებთან მოლაპარაკებების შეწყვეტა, ომიდან რუსეთის ოფიციალურად გამოსვლა და უარის თქმა სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებაზე, დელეგატთა უმრავლესობამ რევოლუციურ ომს დაუჭირა მხარი. მეორე დღეს ზავის საკითხს ბოლშევიკური პარტიის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო, ცენტრალური კომიტეტი განიხილავდა. ლენინი იძულებული იყო კორექტირება შეეტანა თავის პოზიციაში და ახლა უკვე ასე ჩამოაყალიბა თავისი წინადადება: „ჩვენ ყოველნაირად ვაჭიანურებთ ზავზე ხელმოწერას“.

1918 წლის 26 იანვარს, ტროცკი ბრესტ-ლიტოვსკში გაემგზავრა გერმანელებთან მოლაპარაკებების საწარმოებლად ფორმულით – „არც მშვიდობა, არც ომი“...

როგორც კი გერმანელი და ავსტრიელი დიპლომატები დარწმუნდნენ, რომ ტროცკისთან გაუთავებელ დისკუსიებს არანაირი რეზულტატი არ მოჰყვებოდა, შეწყვიტეს მოლაპარეკებები და 4 თებერვალს ბერლინში დაბრუნდნენ. როგორც თავის მემუარებში წერს გენერალი ლიუდენდორფი, გერმანელები ახლა მხოლოდ უკრაინასთან ზავის დადებასღა ელოდნენ, რათა ოფიციალურად შეეწყვიტათ ბოლშევიკებთან მოლაპარაკებები და ომი გაეგრძელებინათ. გადამწყვეტი უკვე უკრაინის საკითხი იყო.

როდესაც 1917 წლის დეკემბერში საბჭოებმა მსოფლიოს ყველა მეომარ ქვეყნებს მოუწოდეს საკუთარი წარმომადგენლები მიევლინებინათ ბრესტ-ლიტოვსკში სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობისათვის, დაზავებაზე სურვილი მხოლოდ უკრაინამ განაცხადა. ლენინი, რომელიც ოპოზიციაში ყოფნის პერიოდში უკრაინელებს მხოლოდ დამონებულ ერად მოიხსენებდა, მეფის რუსეთს კი, „ხალხების საპყრობილედ“, ცხადია, წინ ვერ აღუდგებოდა მის მიერ დანგრეული „საყრობილის“ ყოფილი „ტუსაღის“ თავისუფლებისაკენ სწრაფვას.

უკრაინა, ფაქტიურად, თებერვლის რევოლუციისთანავე გამოეყო რუსეთს და თავისი მთავრობა შექმნა ბელეტრისტ-მწერალ ვიქტორ ვინიჩენკოს მეთაურობით. ეს უკანასკნელი რუსეთის 1905 წლის რე-

ვოლუციის მონაწილე და უკრაინის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო (შემდგომში იგი გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგაც იბრძოდა და უკვე გასაბჭოებულ უკრაინაშიც ეკავა თანამდებობები). ერთი სიტყვით, ბიოგრაფიული მონაცემებით, ვინიჩენკო არ იყო ბოლშევიკებისათვის მიუღებელი. ამით იყო გამოწვეული ის გულთბილი მიღება, რომელიც ბოლშევიკებმა მოუწყეს ბრესტ-ლიტოვსკში უკრაინის დელეგაციას. როგორც ტროცკი წერდა, „ბრესტ-ლიტოვსკში გამოჩენისთანავე კიევის დელეგაცია უკრაინას ახასიათებდა, როგორც ფორმირების პროცესში მყოფი რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილს“ (55). განსხვავებული ხედვა ჰქონდათ ბერლინისა და ვენის წარმომადგენლებს: მათთვის დამოუკიდებელი უკრაინა სეპარატული ზავის (რუსეთისაგან დამოუკიდებლად) სუბიექტი და სასურსათო რეპარაციის მდიდარი ბეღელი იყო. აქ უკვე ისინი იქცნენ თვითგამორკვევის „უანგარო ქომაგებად“.

სანამ უკრაინის დელეგაცია ცალკე მოლაპარაკებებს აწარმოებდა მოწინაღმდეგეებთან, ბოლშევიკებმა ჯერ ისეთი ხელშეკრულება შესთავაზეს კიევს, რომელიც მათ უკრაინის ტერიტორიაზე წითელი არმიის შეყვანის უფლებას მისცემდა (კორნილოვისა და კალედინის წინააღმდეგ საომრად), ხოლო როდესაც ამაზე უარი მიიღეს, წითელმა არმიამ გართულებების გარეშე დაამხო უკრაინის რადა კიევი ბოლშევიკ მედვედევის მარიონეტულ მთავრობას გადასცა. იანვრის ბოლოს ბრესტ-ლიტოვსკში დაბრუნებულ ტროცკის თან ახლდა უკრაინის საბჭოთა მთავრობის თავდაცვის მინისტრი. ამასთან, უკრაინაში კი არსებობდა კვლავინდებურად ცენტრალური რადა, მაგრამ ის ქვეყნის ტერიტორიის უმნიშვნელო ნაწილსღა აკონტროლებდა. თავად ბრესტ-ლიტოვსკიც ბოლშევიკების მიერ საბჭოთა უკრაინის ტერიტორიად იყო გამოცხადებული.

ცხადია, გასაბჭოებული უკრაინა არ შედიოდა გერმანელი გენერლების გეგმებში და 1918 წლის 8 თებერვალს გაფორმდა ზავი უკრაინელ ნაციონალისტებთან: გერმანელები დათანხმდნენ უკრაინისათვის გადაეცათ პოლონეთის ხოლმსის რაიონი, რის სანაცვლოდაც უკრაინაში ჯარი შეჰყავდათ. 11 თებერვალს, მას შემდეგ, რაც ტროცკიმ

ოფიციალურად „აამოქმედა“ ლოზუნგი – „არც ომი, არც მშვიდობა“, იგი პეტროგრადში დაბრუნდა. 11 თებერვალს პეტროგრადის საბჭომ ხმათა დიდი უმრავლესობით რუსეთის დელეგაციის პოზიცია მოიწონა.

შეხვედრის მუშაობაში გამოცხადებული შესვენება გერმანელებმა უკრაინელებთან მოლაპარაკებისათვის გამოიყენეს. ცხრა იანვარს გერმანელების დასტურით, ცენტრალურმა რადამ „უკრაინელი ხალხის დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო“ გამოაცხადა. 16 იანვარს უკრაინაში ბოლშევიკურმა აჯანყებამ იფეთქა, რომელიც რადის არმიამ ერთ კვირაში ჩააქრო, მაგრამ ბოლშევიკების ხელში დარჩა ხარკოვი. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური რადა მთელ უკრაინას ვერ აკონტროლებდა, 1918 წლის 27 იანვარს გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის წარმომადგენლებმა რადასთან ზავს მოაწერეს ხელი. ცენტრალური რადა ვალდებულებას კისრულობდა 1918 წლის 31 ივლისამდე ბერლინისა და ვენისათვის მიეწოდებინა ერთი მილიონი ტონა ხორბალი, 400 მილიონი კვერცხი, 50 ათასი ტონა საქონლის ხორცი, შაქარი, მარგანეცი და სხვა ნედლეული. თავის მხრივ, ვენა ვალდებული იყო ავტონომიური უკრაინული ოლქი შეექმნა აღმოსავლეთ გალიციაში. ეს ხდება მაშინ, როდესაც ერთი დღით ადრე, მემარცხენე ესერის მურავიოვის ჯარები შტურმით იღებენ კიევს და მურავიოვი ლენინს აცნობებს – „კიევში წესრიგი აღდგენილია“. აპრილში კი გერმანელებმა ცენტრალური რადა გაყარეს და კურსი ჰეტმან სკოროპადსკისთან თანამშრომლობაზე აიღეს.

ბრესტ-ლიტოვსკში დროსუქმად არც კულმანი კარგავდა: მან უკვე ულტიმატუმით მოითხოვა საბჭოთა დელეგაციისაგან ზავის დადება. 28 იანვარს ლენინმა განმეორებით მოსთხოვა ტროცკის ხელისმოწერა, მაგრამ ტროცკიმ კულმანს აცნობა, რომ ის ამას არ გააკეთებდა. 16 თებერვალს, 12 საათზე, გერმანელებმა ომი განაახლეს. იმავე ღამით ლენინის მთავრობამ რადიოგრამით აცნობა ბერლინს, რომ ის თანახმა იყო ხელი მოეწერა ზავზე, თუმცა გერმანელებს შეტევა არ შეუჩერებიათ და სწრაფი მარშით მიიწევდნენ რუსეთის სიღრმეში. 24 თებერვალს გერმანელი მოტოციკლისტების პატარა რაზმმა ტყვედ აიყვანა

ფსკოვის მრავალრიცხოვანი გარნიზონი, მანამდე კი კიევი აიღეს და პეტროგრადი დაბომბეს. აი, როგორ იგონებდა შემდეგ ამ დღეებს გენერალი ჰოფმანი: „ჯერ არ მინახავს ასეთი უცნაური ომი. ჩვენ მას ვაწარმოებდით პრაქტიკულად მატარებლებითა და ავტომობილებით. მატარებელზე სვამ რამდენიმე ჯარისკაცს ერთი ქვემეხითა და ტყვიამფრქვევით და მიდიხარ შემდეგ სადგურამდე. იღებ სადგურს, აპატიმრებ ბოლშევიკებს და აგრძელებ გზას“ (56). „მემარცხენე კომუნისტებთან“ და ტროცკისთან ხანმოკლე კინკლაობის შემდეგ, ლენინი კვლავ უდასტურებს გერმანელებს ზავზე თანხმობას. 23 თებერვალს პეტროგრადში მიღებული პასუხი კიდევ უფრო მკაცრ პირობებს შეიცავს, მაგრამ ბოლშევიკებს არჩევანის ფუფუნება არ აქვთ: ცენტრალური კომიტეტის 23 თებერვლის ისტორიულ სხდომაზე, ლენინი გადადგომით დაიმუქრა ზავის უარყოფის შემთხვევაში. შვიდი ხმით (ოთხმა თავი შეიკავა) გადაწყდა ზავზე ხელის მოწერა.

პირველ მარტს რუსეთის დელეგაცია ბრესტ-ლიტოვსკში დაბრუნდა. 1918 წლის სამ მარტს მხარეებმა ზავს ხელი მოაწერეს. 14-16 მარტს საბჭოების IV საგანგებო ყრილობამ ისე მოახდინა ზავის რატიფიკაცია, რომ დელეგატებს წარმოდგენა არ ჰქონდათ მის შინაარსზე. გერმანელების შეტევის შიშით ყრილობამ პეტროგრადიდან დედაქალაქი მოსკოვში გადაიტანა. ზავის პირობების გამო მთავრობა დატოვეს მემარცხენე ესერებმა, ტროცკი კი საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობიდან გადადგა.

ზავით საბჭოთა რუსეთმა გერმანიას დაუთმო 780 ათასი კვ/კმ. ტერიტორია 56 მლნ. მცხოვრებლით. გერმანიისათვის გადაცემული მიწები რუსეთის მთელი სარკინიგზო ხაზის 26 პროცენტს მოიცავდა, საფეიქრო მრეწველობის – 33 პროცენტს, 918 ფაბრიკას, 574 ლუდსახარშ ქარხანას, 133 თამბაქოს ფაბრიკას, 1685 ღვინის ქარხანას, 244 ქიმიურ საწარმოს, 615 ცელულოიდის ფაბრიკას, 1073 მანქანათმშენებელ ქარხანას. ამ ტერიტორიებზე ცხოვრობდა ქვეყნის მრეწველობაში გაკავებული მუშების 40 პროცენტი და ა.შ. ბრესტის ზავმა გერმანიისა და მისი მოკავშირეებისათვის ომში გამარჯვების პერსპექტივაც კი დაბადა: ყველაფერთან ერთად მათ საშუალება მიეცათ დასავლეთის

ფრონტზე კოლოსალური სამხედრო რესურსი გადაესროლათ. თურქეთს კი კავკასიის ფრონტის ლიკვიდაციით მესოპოტამიასა და ახლო აღმოსავლეთში ინგლისელებთან ბრძოლაში გაეხსნა ხელ-ფეხი.

რუსეთთან დაზავების შემდეგ დასავლეთის ფრონტზე ანტანტის 178 დივიზიის წინააღმდეგ უკვე გერმანელთა და მისი მოკავშირეების 192 დივიზია იბრძოდა. სიტუაცია მხოლოდ მას შემდეგ შეიცვალა რაც ევროპაში ჩააღწია ამერიკის არმიამ. 1918 წლის აპრილში გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა ბოლშევიკურმა რუსეთმა.

საინტერესოა, რომ გარდა ბრესტ-ლიტოვსკის მთავარი ხელშეკრულებისა, ბერლინსა და მოსკოვს შორის, 1918 წლის 27 აგვისტოს, მკაცრად გასაიდუმლოებულ პირობებში იქნა ხელმოწერილი ე.წ. დამატებითი ხელშეკრულება და ფინანსური შეთანხმება. ამ უკანასკნელით ბოლშევიკების ხელისუფლება თანახმა იყო გიგანტური კონტრიბუცია – ექვსი მილიარდი მარკა გადაეხადა გერმანიისათვის, აქედან 1,5 მილიარდი ოქროთი. სექტემბერში გერმანიაში უკვე გაიგზავნა ორი „ოქროს“ ეშელონი 93,5 ტონა „სუფთა ოქროთი“. მოგვიანებით „რუსული ოქრო“ ფრანგებს დარჩათ – უკვე როგორც გერმანიის კონტრიბუციის ნაწილი. გერმანიასთან გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებითვე ბოლშევიკები აღიარებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ რუსეთის კონტროლს ქვეშ რჩებოდა ყირიმი და ბაქო, სადაც ჯერ ინგლისელები იყვნენ, შემდეგ კი თურქები.

დამატებით ხელშეკრულებას ერთვოდა ე.წ. „გენცეს ნოტა“ – საიდუმლო შეთანხმება: რუსეთსა და გერმანიას ერთად უნდა ებრძოლათ რუსეთში ანტანტის ინტერვენციის (მურმანსკში), მოხალისეთა არმიისა და აჯანყებული ჩეხოსლოვაკიის კორპუსის წინააღმდეგ. „გენცეს ნოტა“ „საიდუმლო დიპლომატიის“ კლასიკური ილუსტრაცია იყო, რის წინააღმდეგაც ასეთი „პრინციპულობით“ იბრძოდნენ ბოლშევიკები. ამ დროს კი, ერთი თვეღა რჩებოდა გერმანიის კაპიტულაციასა და დიდი ომის დამთავრებამდე. მხოლოდ ლენინისა და მისი თანამებრძოლების „დამსახურება“ იყო, რომ რუსეთი ფაქტიურად უკვე დამარცხებულ გერმანიასთან ომში დამარცხდა. რუსეთის არმიის


თავგანწირული შეტევა 1914 წელს, პარიზი რომ იხსნა, სამხედრო ბიუროკრატიის დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგად საარტილერიო ჭურვების გარეშე დარჩენილი არმიის გასაჭირი, ძალების მოკრეფა და ბრუსილოვის ლეგენდარული გარღვევა, 1917 წლის სამხედრო კამპანიის ბრწყინვალე დასაწყისი, როდესაც ხელის გაშვერაზე იყო სრული გამარჯვება – ყველაფერი ეს წყალში აღმოჩნდა გადაყრილი გერმანელებთან ლენინის გარიგების შედეგად.

ნიშანდობლივია, რომ თვით პრეზიდენტი პუტინიც კი, რომელსაც „საუკუნის ტრაგედიად" მიაჩნია საბჭოთა კავშირის კრახი, 2012 წლის 27 ივნისს, სენატორ ლისიცინის შეკითხვაზე, აპირებდა თუ არა რუსეთი პირველი მსოფლიო ომის მეასე წლისთავის აღნიშვნას, იძულებული იყო ბოლშევიკები დაედანაშაულებინა რუსეთის დამარცხებაში: „ეს იყო იმდროინდელი მთავრობის ღალატის შედეგი... ბოლშევიკებმა ეროვნული ღალატის აქტი ჩაიდინეს" (57). ისე კი, რუსეთის პრეზიდენტს არაფერი ახალი არ უთქვამს: ოქტომბრის გადატრიალებიდან დღემდის არსებობს სერიოზული ეჭვი (რეალურად დასაბუთებული) რუსეთის მტრებთან ლენინის მოღალატეობრივ კავშირზე. ორივე მხარე იყო დაინტერესებული ანტანტის ყველაზე ბრძოლისუნარიანი წევრის სამხედრო-პოლიტიკურ კატასტროფაში. ორივეს მტერი იყო რუსული ცარიზმი და საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანება მხოლოდ დროს საკითხი იყო. 1914 წლისათვის იმდენად მომწიფდა სიტუაცია, რომ შესაძლებელი გახდა პრაქტიკულ ქმედებებზე გადასვლა: გერმანული კაპიტალით სტოკჰოლმში იქმნება „ფიურსტენბერგის საბანკო კანტორა", რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს რუსეთთან. არაფერი იყო უჩვეულო თავად ფაქტში, ასეთი ორგანიზაციები ბევრი არსებობდა რუსეთშიც და ევროპაშიც, საინტერესო მხოლოდ ის იყო, რომ რუსეთის კონტრდაზვერვის მონაცემებით, ფიურსტენბერგი, იგივე ცნობილი რუსი რევოლუციონერი და ლენინის უახლოესი თანამებრძოლი იაკოვ განეცკი იყო.

ომის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიაზე, სოფელ პორონინში, ლენინის ბინაზე ბოლშევიკები იკრიბებიან. მასპინძელი ომის პირობებში ახალ ტაქტიკაზე საუბ-

რობს. მისი მტკიცებით, ბოლშევიკები ყველა საშუალებით უნდა შეეცადნენ ხელი შეუწყონ რუსეთის დამარცხებას. შეხვედრიდან ერთი კვირის შემდეგ, ლენინის ბინაში ჩხრეკვა ჩაატარეს ავსტრიელმა ჟანდარმებმა, რომლის დროსაც გარდა რევოლუციური ლიტერატურისა, რევოლვერიც აღმოაჩინეს. იარაღი მოწინააღმდეგე ქვეყნის მოქალაქის ხელში სახუმარო საქმე არ იყო და ლენინს აპატიმრებენ, თუმცა რამდენიმე დღეში ათავისუფლებენ და ძიებასაც წყვეტენ. მთელ მსოფლიოში მოქმედი საომარი დროის კანონის ძალით, ლენინი სასამართლოს წინაშე მაინც უნდა წარმდგარიყო იარაღის უნებართვო შენახვისათვის. ავსტრიის სამხედრო პროკურორის ბრძანებაში კი ცალსახად ეწერა: „ულიანოვი ვლადიმირი უნდა იქნეს განთავისუფლებული“ (58). უფრო მეტიც: ლენინს უბრუნებენ მის ყველა ხელნაწერს, მათ შორის გერმანიის კრიტიკის შემცველებსაც და მეუღლესთან და სიდედრთან ერთად შვეიცარიაში გამგზავრების უფლებასაც აძლევენ. განთავისუფლებიდან ორი კვირის შემდეგ კი ჩადის ლენინი შვეიცარიაში, მაგრამ ვერცერთმა მისმა ბიოგრაფმა ვერ შესძლო დაედგინა, თუ სად იმყოფებოდა და რითი იყო დაკავებული მსოფლიო პროლეტარიატის მომავალი ბელადი მთელი ორი კვირის განმავლობაში. სამაგიეროდ, საარქივო მასალებში შემონახულია შვეიცარიაში ჩასვლისთანავე დისადმი (ანასადმი) მიწერილი წერილი, რითაც დას ამშვიდებს, რომ ფული არ უჭირს, მისი პატიმრობა კი ხანმოკლე იყო და „განსაკუთრებული შეღავათებით დასრულდა“ (59). ზოგიერთი თანამედროვე რუსი მკვლევარის მტკიცებით, სწორედ ამ ხანმოკლე პატიმრობის პერიოდში მოხდა ლენინის „დავერბოვკება“ (60). უკვე შვეიცარიიდან ლენინს ინტენსიური მიმოწერა ჰქონდა ზემოთ ხსენებულ განეცკისთან, რომელსაც „ძვირფას მეგობრად და პარტიულ ამხანაგად“ მოიხსენიებდა. რევოლუციის შემდეგ სწორედ განეცკიმ გადაიტანა ავსტრიიდან რუსეთში ლენინის პირადი არქივი, სადაც ბელადის ხელმოწერილი ყველა დოკუმენტი ინახებოდა – გარდა ერთისა, რომელიც ავსტრიის შინაგან საქმეთა მინისტრთან მის კონტაქტებზე მეტყველებდა.

ისტორიული ჭეშმარიტების თვალსაზრისით, სარისკო და არაკეთილშობილი საქმეა კამათი, თუ რა ელოდა რუსეთის იმპერიას გერმანელებთან საეჭვო გარიგებისა და ოქტომბრის გადატრიალების გარეშე. ნებისმიერ შემთხვევაში რთული სავარაუდოა, რომ ვერსალში, ამერიკის იდეალისტი პრეზიდენტის ვილსონის გავლენის გათვალისწინებით, რუსეთი ყველა შეპირებულ ტერიტორიებს მიიღებდა.



ფრანგ მარშლის ფერდინანდ ფოშის სალონ-ვაგონი კომპიენის ტყეში. გერმანიის კაპიტულაცია 1918 წლის 8 ნოემბერი

თავი მეცხრე
გერმანიის კაპიტულაცია

1917 წლის გაზაფხულზეც კი, გერმანიის არმიის გენერალურ შტაბსა და სარდლობას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ შემოდგომამდე ომი გერმანიის გამარჯვებით დამთავრდებოდა. ბერლინის გათვლებით, პირველი ზავს მოითხოვდა წყალქვეშა ომით დასუსტებული ინგლისი. სამხედრო წრეებისაგან განსხვავებით, შედარებით რეალისტუ-

რად აფასებდა სიტუაციას ბურჟუაზია ინტელიგენციასთან ერთად და კატეგორიულად მოითხოვდა დაზავებას ომამდელი ტერიტორიული რეალიების ბაზაზე. მთლიანად გერმანიაში კი იმდენად დიდი იყო სამხედრო (იუნკრული) წრეების გავლენა, რომ თვით კანცლერი ბეტმან-გოლვეგიც ვერ ბედავდა კრინტი დაეძრა თუნდაც მხოლოდ ბელგიის განთავისუფლებაზე. რაც შეეხებოდა ანტანტას, 1917 წლის თებერვალში მოკავშირეთა მორიგმა კონფერენციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ურყევი გადაწყვეტილება – ეომათ სრულ გამარჯვებამდე. იმავე კონფერენციაზე, საფრანგეთი და რუსეთი (უკვე დროებითი მთავრობა) საიდუმლოდ შეთანხმდნენ, რომ ომის შემდეგ დამოუკიდებლად დაადგენდნენ თავიანთ საზღვრებს გერმანიასთან. დაადასტურა რა სამოკავშირეო ერთგულება, რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამით მსოფლიო აღიარების პროცესი დააჩქარა; მარტსა და აპრილში მსოფლიოს ყველა დიდმა სახელმწიფომ სცნო დროებითი მთავრობა.

გერმანია კი შიდაპოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა: ერთნაირი ენთუზიაზმით უტევდნენ კანცლერ ბეტმან-გოლვეგს ზავისა და ომის მომხრეები – ერთი დაჯგუფებისათვის ის მიუღებელი იყო მისი ადრინდელი პოზიციის გამო (ყველას ახსოვდა განცხადება: „ქაღალდის ნაფლეთია ბელგიის ნეიტრალიტეტი“-ო), ხოლო მეორე ჯგუფისათვის ის უზომოდ მშვიდობისმოყვარე და თავშეკავებული იყო. ვერ გაუძლო რა ორივე მხრიდან შემოტევას, 1917 წლის 14 ივლისს კანცლერი გადადგა. ხუთი დღის შემდეგ კი რეიხსტაგი, ხმათა დიდი უმრავლესობით ღებულობს ე.წ. „სამშვიდობო რეზოლუციას“, რომელმაც მხოლოდ დამატებით დაარწმუნა ანტანტა მოწინააღმდეგის გასაჭირში. კურიოზული ფიგურა იყო ახალი კანცლერი, ომის გაგრძელების მომხრეთა კანდიდატურა ოტო მიხაელსი; გაკანცლერებულ სურსათის კომისარს, მისივე აღიარებით, პოლიტიკა არასოდეს აინტერესებდა. ახლადგამომცხვარმა კანცლერმა ისიც კი აღიარა პრესის ფურცლებზე, რომ გრძნობდა თავის მოუმზადებლობას და კანცლერობაზე უარის თქმასაც აპირებდა, მაგრამ შემთხვევით ბიბლიის ისეთი ადგი-

ლი წაიკითხა, რომელმაც უარი ვეღარ ათქმევინა. აი, ასეთ ადამიანზე შეაჩერა არჩევანი იმპერატორმა, რომელმაც ბისმარკი დაიწუნა.

გასაკვირი ბისმარკის მემკვიდრეთა შორის არარაობა მიხაელსის მოხვედრა კი არ არის, არამედ 1918 წლის რეალობა იყო: გაზაფხულზეც კი ჯერ კიდევ გერმანელთა ხელში იყო ფსკოვი, ოდესა, ტაგანროკი, კავკასია, უხვმოსავლიანი უკრაინა, პოლონეთი, კურლანდია, ესტლანდია, ლიფლანდია. ლიტვა მზადაა გერმანიასთან გაერთიანდეს, ფინელებს კი სურთ საკუთარ მეფედ გერმანელი პრინცი სურთ. ნაპოლეონის იმპერიაც არ ყოფილა ამხელა. დიდი ტირაჟით გავრცელებულ ბროშურებში ავტორიტეტული გერმანელი სპეციალისტები ციმბირის სარკინიგზო მაგისტრალზე და ხივის, ბუხარის, თურქესტანის გერმანულ ყაიდაზე მოწყობაზე მსჯელობენ. ერთი სიტყვით, აღმოსავლეთის მიმართულებით ყველაფერი რიგზეა. რაც შეეხება დასავლეთის ფრონტს, როგორც კი აღმოსავლეთში გამონთავისუფლებული, დასვენებული დივიზიები დასავლეთში გადაინაცვლებენ, იქაც მალე მოწესრიგდება ვითარება. რუმინელებმაც ირწმუნეს გერმანული იარაღის უძლეველობა და 1918 წლის 7 მაისს ზავი გააფორმეს გერმანიასთან, ავსტრია-უნგრეთთან, ბულგარეთთან და თურქეთთან. ბუხარესტმა ვენას დაუთმო ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბულგარეთს – მთელი დობრუჯა. გერმანიის ხელში გადავიდა რუმინეთის ნავთობი და რკინიგზა. მხოლოდ ერთი საზრუნავი აქვთ იმპერატორსა და მის გენერლებს: არ მოტყუვდნენ ზავის საფასურში და „იაფად“ არ მიყიდონ იგი ფრანგებსა და ინგლისელებს. ჯერ კიდევ ბრესტ-ლიტოვსკამდე აიღო საკუთარ თავზე მომავალი საზავო მოლაპარაკებები გენერალმა ლიუდენდორფმა, რომელიც ოფიციალურად გენერალური შტაბის უფროსის პაულ ჰინდენბურგის მოადგილედ ითვლებოდა, მაგრამ რეალურად გაცილებით მეტი უფლებებით სარგებლობდა. მას საუბარიც არ სურს ფრანგებისათვის ელზას-ლოთარინგიის დაბრუნებაზე და ბელგიის დეოკუპაციაზე. საოცარია: ჩვეულებრივ საღად მოაზროვნე, ჭკვიან და გამჭრიახ ჰინდენბურგსა და ლუდენდორფს, 1918 წლის გაზაფხულზეც კი, როდესაც პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილია ომის საბოლოო შედეგიცა და აღმოსავ-

ლეთში მიღწეული წარმატებების ბედიც, გულუბრყვილო ნეტარმორწმუნეებივით სჯერად გამარჯვების და ბელგიის დათმობაც კი არ სურთ.

ისტორიის საიდუმლოებად რჩება, თუ რამ შეუშალა ხელი ყველაფერში სიზუსტესა და უშეცდომო გაანგარიშებებზე დაციკლულ გერმანელებს ადეკვატურად გარკვეულიყვნენ იოლად პროგნოზირებად სიტუაციაში. განა შეიძლება გადამწყვეტი ყოფილიყო ტოტალურად დამშეული გერმანიისა და მისი მოკავშირეებისთვის უკრაინაში ნაძარცვი 9132 ვაგონი ხორბალი? როგორც რეიხსტაგისათვის წარდგენილ მოხსენებაში წერდა სპეციალური კომისიის ხელმძღვანელი დელბრუკი, 75 მილიონი გირვანქა პური უნდა განაწილებულიყო 67 მილიონ გერმანელზე, ანუ ერთ სულზე დაახლოებით ერთი გირვანქა მოდიოდა. მართალია, გერმანიამ მოასწრო უკრაინიდან მიეღო 56 ათასი ცხენი და 5 ათასი სული ძროხა, მაგრამ ეს ოდნავაც არ იყო საკმარისი არმიისა და მოსახლეობისათვის. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ვერ გათვალეს გერმანელმა გენერლებმა: ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები იმდენად სასტიკი და გაუგონრად ყაჩაღური იყო, რომ გერმანიის წინააღმდეგ მეომარმა ქვეყნებმა ილუსტრირებულად წარმოიდგინეს, თუ რა ელოდათ დამარცხების შემთხვევაში და გაათმაგებული ენერგიით გააგრძელეს ბრძოლა.

დათვური სამსახური გაუწია გერმანიას მოკავშირე თურქეთმაც, როცა 1915-1916 წლებში მიზნად იმპერიის სომხური მოსახლეობის გენოციდი დაისახა: ჯერ იყო და 1914 წლის სექტემბერში განხორციელებული ტოტალური მობილიზაციის (სომხებით დასახლებულ ვილაიეთებში) შედეგად შრომისუნარიანი მამაკაცი არ დარჩენილა სომხურ ოჯახებში, ხოლო სარიყამიშში დამარცხების შემდეგ, როდესაც თავრიზი აიღო რუსეთის არმიამ და საზღვრისპირა რაიონებს დაემუქრა, დიდმა ვეზირმა თალაათ-ფაშამ და სამხედრო მინისტრმა ენვერ-ფაშამ, სომხების სრული განადგურების ფართომასშტაბიანი გეგმის განხორციელება დაიწყეს. „აღარ არსებობს სომხური საკითხი, ვინაიდან აღარ არსებობენ სომხები“, – ცინიკურად განაცხადა 1916 წელს თალაათ-ფაშამ (61). სომხეთის საპატრიარქოს მონაცემებით, 1,6 მი-

ლიონი სომეხიდან 182 ათასმა შესძლო რუსულ კავკასიაში (ძირითადად, საქართველოში) გაქცევა, 4200 ადამიანი გაიქცა ეგვიპტეში, 250 ათასმა შესძლო გადარჩენა (პროტესტანტებმა, კათოლიკეებმა, გამაჰმადიანებულებმა) ერთი მილიონი სომეხი კი თალაათ-ფაშას გეგმას შეეწირა (62). 1915 წლის დეკემბერში კი დაიწყო გადარჩენილთა ისლამიზაცია, რაც არანაკლები სისასტიკით წარიმართა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის კონსულები თურქეთში სისტემატურად ატყობინებდნენ ბერლინს თალაათ-ფაშისა და ენვერ-ფაშის მხეცობაზე და სტამბულზე გერმანიის გავლენის გათვალისწინებით, კაიზერის ერთი სიტყვა იქნებოდა საკმარისი კლასიკური ოსმალური სისასტიკის აღსაკვეთად, ოფიციალურ ბერლინს კი თითი-თითზე არ დაუკარებია უდანაშაულო ადამიანთა გადასარჩენად. მხოლოდ ამერიკის ელჩმა თურქეთში მორგენტაუმ ითავა სომხების გამოსარჩლება, მაგრამ უშედეგოდ: თალაათ-ფაშამ ლაპარაკიც არ ისურვა ამ საკითხზე – „განა ესენი ამერიკის მოქალაქეები არიან?“ – ირონიულად შეეკითხა იგი დიპლომატს. გერმანული გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში კი ასეთი „არგუმენტი“ მოიყვანა სომხების ჯალათმა: „ჩვენ გვსაყვედურობენ, რომ ერთმანეთისაგან არ ვასხვავებდით დამნაშავე და უდანაშაულო სომხებს, ეს კი აბსოლუტურად შეუძლებელი იყო, ვინაიდან დღევანდელი უდანაშაულონი ხვალ შეიძლება დამნაშავენი გამხდარიყვნენ“ (63). თალაათ-ფაშა იქამდეც კი მივიდა, რომ ამერიკის ელჩს დახმარება სთხოვა ამერიკის სადაზვევო კომპანიებში დაზღვეული და მის მიერ გაჟლეტილი სომხების სადაზღვევო თანხის მიღებაში. საქმე ის იყო, რომ თალაათ-ფაშა დედა-ბუდიანად ჟლეტთა სომხებს და მემკვიდრე არავის დარჩენია. ასეთ შემთხვევაში, თურქული კანონმდებლობით სახელმწიფო ითვლებოდა მემკვიდრედ. 1918 წელს თურქეთის დამარცხების შემდეგ გერმანიაში გაქცეულ თალაათ-ფაშას მთელი ხუთი თვე ეძებდა სომეხი სტუდენტი ტეილირიანი, რომელმაც იგი ბერლინის ქუჩაში მოკლა. ღია სასამართლო პროცესზე გამოვლენილი ფაქტები იმდენად შემზარავი იყო, რომ სასამართლომ მკვლელი გაამართლა, საზოგადოებრიობა კი კიდევ დიდხანს მოი-

თხოვდა თურქეთში უკვე ყოფილი ელჩის ვანგენჰეიმის მორალური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას.

წარსულისა და თანამედროვე ისტორიკოსების საერთო აზრით, ომის დასკვნით ეტაპზე, როდესაც საფრანგეთში სოციალურმა პრობლემებმა, გრანდიოზულმა ნგრევამ და მსხვერპლმა, ნებისმიერ ფასად ომის დამთავრებისაკენ სწრაფვა განაპირობა, ერთმა ადამიანმა შეძლო გამარჯვებით ომის დამთავრებისა და ახლო გამარჯვების რწმენა აღედგინა ფრანგებში. ამ ადამიანს ჟორჟ ბენჯამენ კლემანსო ერქვა. 1917 წლის 15 ნოემბერს, 76 წლის კლემანსო ქვეყნის პრემიერის პოსტს იკავებს. XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების მემატიანემ გრძელი გზა განვლო პოლიტიკაში, სანამ ქვეყნის ისტორიაში შეიძლება ყველაზე საბედისწერო მომენტში პრემიერის პოსტს ჩაიბარებდა: განათლებით ექიმი, მონმარტრის მუშათა უბანში დასახლდა, სადაც მოკლე ხანში დიდ პოპულარობას მიაღწია. 1870 წლის ოთხი სექტემბრის რევოლუციის შემდეგ ეროვნულ კრებაში პარიზის 43 დეპუტატთა შორის იყო. 1876 წლის არჩევნებში კვლავ იმარჯვებს და პალატის პირველსავე სხდომაზე კომუნარების ამნისტიის მოთხოვნით გამოდის. 1877 წელს კლემანსო იმ 363 დეპუტატს შორისაა, გამბეტას ირგვლივ რომ გაერთიანდნენ და მონარქისტების კოალიციას დაუპირისპირდნენ. შემდეგ იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, 1906-1909 წლებში – პრემიერი. მან პირველმა გამოიყენა ტერმინი „რკინის ფარდა“, რომელიც ბოლშევიკების ირგვლივ სურდა აღემართა. ომის პირველივე დღეებიდან კლემანსო მკაცრად აკრიტიკებდა პაციფისტებს და გერმანიის დამარცხებამდე ბრძოლას მოითხოვდა. როდესაც ის მეორედ გახდა პრემიერ-მინისტრი, სამხედრო მინისტრის პოსტიც შეითავსა და გარდა სამოქალაქოსი, სამხედრო ხელისუფლებაც საკუთარ ხელში აიღო. გერმანიასთან კომპრომისული ზავის მომხრეებთან დაუნდობელი ბრძოლით მიიყვანა მან გამარჯვებამდე საფრანგეთი. „არც ღალატს და არც ნახევარ ღალატს არ მოვითმენ“ – იმეორებდა იგი ხშირად. მის დროს დანაშაულებრივი უმოქმედობის ბრალდებით გაასამართლეს რამდენიმე მინისტრი, ერთი კი სულაც დახვრიტეს. როდესაც მას

პარლამენტში ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კურსზე დაუსვეს შეკითხვა, ასეთი იყო მისი პასუხი: „როგორია ჩემი პოლიტიკა? მე ომში ვარ. როგორია ჩემი საგარეო პოლიტიკა? მე ომში ვარ“ (64). ტყუილად ხომ არ კითხულობდა დამარცხების შემდეგ სევდიანად ლიუდენდორფი: „სად გვყავდა ჩვენ კლემანსო?“. შიდაპოლიტიკური ბრძოლების მძაფრი სტილის გამო მას „ვეფხვი“ შეარქვეს, ხოლო ომში გამარჯვებისათვის – „გამარჯვების მამა“. 1919-1920 წლებში კლემანსო პარიზის სამშვიდობო (ვერსალის) კონფერენციას თავმჯდომარეობდა. 1920 წელს კი საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა და სამუდამოდ ჩამოშორდა პოლიტიკას. სიცოცხლის უკანასკნელი ათი წელი კლემანსო ლიტერატურული მოღვაწეობით იყო დაკავებული. გახდა საფრანგეთის აკადემიის წევრი, გამოაქვეყნა ნაშრომები დემოსთენეს და მონეს შესახებ, ორტომეული – „საღამოს ფიქრები“ (პირადი ფილოსოფიური ანდერძი). მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა მისი წიგნი „გამარჯვების ბრწყინვალება და სიღატაკე“.

ნიშანდობლივია, რომ ადამიანი, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება დიდ პოლიტიკაში გაატარა, რამდენჯერმე იყო მინისტრი და პრემიერ-მინისტრი, სიღატაკეში გარდაიცვალა და მთავრობის ხარჯზე დაასაფლავეს. ამერიკაში გატარებულმა ოთხმა წელმა ღრმა კვალი დაამჩნია მის პოლიტიკურ მრწამს და გააძლიერა დემოკრატიულ-რესპუბლიკური იდეისადმი მისი ერთგულება.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, იგივე კლემანსოს ეფექტური მართვისა, ინგლისელების თავგანწირვისა და ბოლომდე ბრძოლის გენეტიკურად თანდაყოლილი ჩვევისა, რთული სავარაუდოა, თუ რითი დამთავრდებოდა ომი ანტანტისათვის, დროზე რომ არ მოესწრო ამერიკის გიგანტურ რესურსებს. 1918 წლის სექტემბრიდან მოყოლებული, ყოველდღე, ხან კი ყოველ 5-6 საათში ერთხელ, კალესა და ჰავრის ნავსადგურებში ამერიკის გემები იცლებოდა. გარდა ცოცხალი ძალისა, ამერიკიდან იმ ოდენობის სურსათი და სამხედრო ამუნაცია ჩამოდიოდა, რომ ომის დამთავრების შემდეგ წლების მანძილზე, თავისუფლად იყიდებოდა. ბოლოს კი თვით კლდესავით უდრეკი ჰინდენბურგი და ლიუდენდორფიც კი დარწ-

მუნდნენ, რომ ამ კოლოსალურ ძალასთან ომი უკვე უაზრო ავანტიურას ემსგავსებოდა. მათი კატეგორიული მოთხოვნით, ახალი კანცლერი ალექსანდრე მაქსიმილიან-ბადენის პრინცი, ოთხ ოქტომბერს, დაზავების თხოვნით მიმართავს ამერიკის პრეზიდენტ ვილსონს. სამშვიდობო მოლაპარაკებების სასტარტო პლატფორმად კი პრინცი ვილსონის „14 პუნქტს“ მიიჩნევდა, რომელიც ჯერ კიდევ 1918 წლის 8 იანვარს გააცნო კონგრესს ვილსონმა. გარდა ერთა ლიგის საკითხთან დაკავშირებული პუნქტებისა, საიდუმლო დიპლომატიაზე უარის თქმისა, საზღვაო მიმოსვლის თავისუფლებისა, განიარაღებისა და სხვა ზოგადი, ყველასათვის მისაღები პუნქტებისა, იყო რამდენიმე კონკრეტულიც: VI პუნქტი ითვალისწინებდა გერმანელების მიერ ოკუპირებული რუსული ტერიტორიების განთავისუფლებას; VII – ბელგიის განთავისუფლებასა და მისი სუვერენიტეტის აღდგენას; VIII – საფრანგეთის ტერიტორიის დეოკუპაციას და „1871 წელს პრუსიის მიერ საფრანგეთისათვის ელზას-ლოთარინგიის საკითხში მიყენებული ზიანის“ ლიკვიდაციას; IX – იტალიის საზღვრების კორექტირებას „ნაციონალური პრინციპის შესაბამისად“ (ტრენტინოსა და ტრიესტის მხარის იტალიისათვის გადაცემას); X – ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ყველა ეროვნებისათვის „ავტონომიური განვითარების შეუზღუდავ ხელშეწყობას“; XI – ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის სამხედრო ძალების ევაკუაციას რუმინეთიდან, სერბეთიდან და ჩერნოგორიიდან; XII – თურქეთის შემადგენლობაში მცხოვრები ყველა არათურქი ეროვნებისათვის სრულ ავტონომიებს, ხოლო დარდანელი კი ღია უნდა ყოფილიყო მსოფლიო ნაოსნობისათვის; XIII – პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, რომელსაც მიეერთდებოდა „პოლონელებით დასახლებული ტერიტორიები“. ამავე დროს პოლონეთს უნდა მიეღო ზღვაზე გასასვლელი. ასეთი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტების არსი.

როდესაც გერმანიამ ვილსონისადმი მიმართვაში თანხმობა განაცხადა „14 პუნქტის“ ბაზაზე ეწარმოებინა სამშვიდობო მოლაპარაკებები, ამით იგი შეეგუა ბრესტ-ლიტოვსკისა და ბუხარესტის ზავით მიღებული ყველა პრივილეგიის, ელზას-ლოთარინგიის და თავისი

აღმოსავლეთი პროვინციების (პოზნანის, დასავლეთი პრუსიის, სილეზიის ნაწილის) დაკარგვას, ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის დაქუცმაცებას. უფრო მეტიც, ბერლინმა მორჩილად მიიღო ამერიკის პრეზიდენტის 1918 წლის 27 სექტემბრის ულტიმატიური ფორმულირება, როდესაც ვილსონმა მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა: „ჩვენ ყველანი შევთანხმდით, რომ არანაირი ვაჭრობით და კომპრომისით არ შეიძლება მშვიდობის მიღწევა ცენტრალური იმპერიების მთავრობებთან. ჩვენ უკვე გვქონდა მათთან საქმე და დავინახედ როგორ მოექცნენ ისინი ამ ბრძოლაში მონაწილე სხვა მთავრობებს ბრესტ-ლიტოვსკში და ბუქარესტში. მათ ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ არ გააჩნიათ ღირსება და არ ისწრაფიან სამართლიანობისაკენ. ისინი არ იცავენ ხელშეკრულებებს, არ ცნობენ პრინციპებს, გარდა ძალისა და საკუთარი მოგებისა. ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე პირობებზე შევთანხმდეთ მათთან. მათ გახადეს ეს შეუძლებელი. გერმანელი ხალხი გაცნობიერებული უნდა იყოს, რომ ჩვენ ვერ მივიღებთ მათ სიტყვას, ვინც თავს მოგვახვია ეს ომი“(65). ამ გამოსვლის გაცნობის შემდეგ განაცხადა გერმანიის ლანცლერმა, რომ ის „განსაკუთრებით ეთანხმებოდა“ ამერიკის პრეზიდენტს. ყოველივე ამის შემდეგ უცნაურად გამოიყურებოდა გერმანიის პოლიტიკოსთა და ფართო საზოგადოებრიობის გაღიზიანება და საყვედურები, რომ თითქოს გერმანია მოტყუებით აიძულეს ზავზე, შეღავათიან პირობებს შეპირდნენ და შემდეგ ვერსალში უსამართლოდ დასაჯეს მკაცრად.

1918 წლის ოქტომბერში, გერმანიის მმართველ წრეებში დასადგურებულ ქაოსსა და არაადეკვატურობაზე მიუთითებს 17 ოქტომბრის კაბინეტის სხდომაც; როდესაც ვიცე-კანცლერი, ფონ პაიერი დღიურში წერდა, რომ ვილსონის საჯარო განცხადების შემდეგ, დეპრესიამ მოიცვა ყველა და ცხადი იყო, რომ საკითხი უკვე ჩვენ ყოფნა-არყოფნას ეხებოდაო. რატომღაც ხელახლა ოპტიმისტურად განწყობილი ლიუდენდორფი კი ყველას არწმუნებდა, რომ ავსტრიის არმიის საბრძოლო განწყობა და სულისკვეთება „გასაოცრად მაღალიაო“. და ეს მაშინ, როდესაც ორი კვირაც აღარ აშორებდა იმ დღეს, როდესაც სასოწარკვეთილებამდე მისულმა ავსტრიამ სეპარატული ზავი ითხოვა და

შემადგენელ ნაწილებად დაიშალა. ავსტრიის არმია კი ამ დროისათვის პრაქტიკულად აღარ არსებობდა. გაცილებით რეალისტი კანცლერი ბადენის პრინცი კი იმპერატორის გადარჩენით იყო დაკავებული და ამას მისი უფლებების შეზღუდვით ვარაუდობდა; 20 ოქტომბერს მან რეიხსტაგს მიაღებინა კანონი, რომლის ძალითაც მომავალში (ექნებოდა კი მომავალი იმპერიას?) მხოლოდ რეიხსტაგს ექნებოდა ომის გამოცხადების უფლება. გერმანია გადადიოდა მკვეთრად რეგლამენტირებულ საპარლამენტო მმართველობაზე,ხოლო კანცლერი კი მანამდე რჩებოდა თანამდებობაზე, სანამ რეიხსტაგის ნდობა ექნებოდა. ასევე მკვეთრად იზღუდებოდა იმპერატორის უფლებები.

ხვდებოდა, ალბათ, ვილჰელმ II, რომ დინასტიის გადარჩენის ერთადერთი (ისიც ეფემერული) შანსი მისი გადადგომა იქნებოდა, მაგრამ შეეძლო კი ეგოისტს, რომელიც ფილტვების ანთებით ავადმყოფი შვილის შორიდან შეხედვაზეც კი უარს ამბობდა (დაავადების გადადების შიშით), საკუთარი თავის გარდა ვინმეზე ეფიქრა? მას კი აბსოლუტურად ყველა ურჩევდა გადამდგარიყო და ასე გადაერჩინა დინასტია. აი, ჭკვიანი და მტკიცე ავანტურისტი ფერდინანდი (ბულგარეთის მეფე) კი, დროზე გადადგა და ტახტი შეუნარჩუნა კობურგთა დინასტიას.

1918 წლის 15 ოქტომბერს პრეზიდენტმა ვილსონმა ოფიციალურად მოითხოვა გერმანიის მმართველი დინასტიის დამხობა. ვილჰელმმა „ბრძოლის გაგრძელება“ გადაწყვიტა. მით უმეტეს, რომ სასახლეში მისული ლიუდენდორფი კვლავ ოპტიმიზმს აფრქვევდა. კანცლერი პრინცი კი ჯიუტად ცდილობდა ამერიკის პრეზიდენტის დარწმუნებას, რომ რეიხსტაგის მიერ მიღებული კანონის შემდეგ, გერმანია აღარ წარმოადგენდა მონარქიასა და იმპერიას და პოლიტიკური მმართველობის ამერიკულ მოდელზე გადადიოდა. ცხადია, კანცლერმა ვერაფერში ვერ დაარწმუნა პრეზიდენტი და 24 ოქტომბერს ბერლინში უკვე მესამე ნოტა მიიღეს ვაშინგტონიდან; მართალია ვილსონი თანახმა იყო, მოკავშირეებისათვის გადაეცა გერმანიის თხოვნა დაზავებაზე (ანუ დროებით ზავზე), მაგრამ იქვე დასძენდა, რომ მისი აზრით, მხოლოდ ისეთი დაზავება იქნებოდა მისაღები,

რომელიც შეუძლებელს გახდიდა გერმანიის მხრიდან „მტრული მოქმედებების განახლებას“. რათა ბერლინში ბოლომდე სწორედ გაეგოთ ამერიკის პოზიცია, ვილსონმა საჭიროდ ჩათვალა ისიც განემარტა, რომ ის მხოლოდ ისეთ დაზავებას გულისხმობდა, რომელიც სრულად გაითვალისწინებდა „ომში ჩართული ხალხების ინტერესებს და უზრუნველყოფდა მოკავშირე მთავრობების განუსაზღვრელ უფლებებს ძალით განეხორციელებინად ზავის ყველა დეტალი, რომელზეც დათანხმდა გერმანიის მთავრობა“ (66). დასასრულს ვილსონი წერდა, რომ მას გულახდილობა ავალდებულებდა, განემარტა თუ რატომ იყო აუცილებელი გერმანიის მხრიდან „საგანგებო გარანტიები“; მას არ სჯეროდა რეიხსტაგის მიერ ფორს-მაჟორულ რეჟიმში მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების ეფექტურობის. შეიძლება მომავალში მართლაც გერმანელი ხალხის გადასაწყვეტი გამხდარიყო ომების საკითხი, მაგრამ, როგორც ვილსონი მიუთითებდა, ომი, რომლის შედეგებზეც იყო მსჯელობა, არ ყოფილა გერმანელი ხალხის მიერ დაწყებული. მისი (ვილსონის) აზრით, პრუსიის მეფეს შეეძლო ამა თუ იმ ფორმით დარჩენილიყო ხელისუფლების სათავეში, ხოლო დაზავებასა და ზავზე მოლაპარაკებები უნდა ეწარმოებინათ „გერმანელი ხალხის ჭეშმარიტ წარმომადგენლებს“. იმ შემთხვევაში, თუ ამერიკა იძულებული იქნებოდა საქმე ჰქონოდა „გერმანიის გენერალიტეტთან და მონარქიულ ავტოკრატებთან“, მაშინ ის მოითხოვდა არა სამშვიდობო მოლაპარაკებებს, არამედ „უსიტყვო დანებებას“ – იტყობინებოდა ვილსონი. ცხადი იყო, რომ ამერიკელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ხელისუფლებიდან



პაულ ჰინდენბურგი
(1847-1934)
გერმანიის იმპერიის გენერალური შტაბის უფროსი
1916-1919 წლებში

გაეყარათ ევროპის ერთ-ერთი უძველესი დინასტია. აღარც ვილჰელმის გადადგომას ჰქონდა პრინციპული მნიშვნელობა, ვინაიდან უკვე შეუძლებელი იყო დინასტიის გადარჩენა.

კაპიტულაციაზე ჯერ არ ჰქონდათ ხელი მოწერილი ვენას და ბუდაპეშტს, რომ თურქეთის რიგი დადგა; სექტემბერში კავკასიიდან პალესტინაში გადასროლილმა თურქეთის არმიამ კატასტროფული დამარცხება იწვნია ინგლისელ გენერალ ალენბისაგან, რომელსაც 75 ათასი თურქი ოფიცერი და ჯარისკაცი ჩაბარდა ტყვედ. თურქებმა არა მხოლოდ პალესტინა, სირიაც დატოვეს. სამხედრო და სახელმწიფოებრივი კატასტროფის ზღვარზე აღმოჩნდა ოტომანთა მთელი იმპერია. თანამდებობიდან გადადგნენ და ქვეყნიდან გაიქნენ თალაათ-ფაშა და ენვერ-ფაშა. 1918 წლის 31 ოქტომბერს, მუდროსში დროებითი ზავი დაიდო თურქეთთან; თურქები ტოვებდნენ არაბეთს, მესოპოტამიას, სირიას, სომხეთს და კილიკიის ნაწილს. ანტანტა დროებით იკავებდა კონსტანტინოპოლსა და სრუტეებს.

3 ნოემბერს კაპიტულაციაზე დათანხმდა ავსტრია-უნგრეთი. ასეთ ვითარებაში ანტანტას ან უპასუხოდ უნდა დაეტოვებინა გერმანელთა თხოვნა, განსაზღვრულიყო სამშვიდობო მოლაპარაკებების დრო და ადგილი, ან ბრძოლა უნდა გაეგრძელებინა და კაპიტულაციაზე აეძულებინა ბერლინი. გერმანიის აგონიზირებული მთავარსარდლობა კი უკანასკნელ წუთამდე ცდილობდა გადაერჩინა ვილჰელმ მეორის გვირგვინი; 1918 წლის 24 ოქტომბერს, საღამოს ათ საათზე, ჰინდენბურგმა და ლუდენდორფმა არმიისადმი მოწოდება გაავრცელეს, სადაც „დასაბუთებული“ იყო ამერიკის პრეზიდენტის მოთხოვნათა „მიუღებელი ხასიათი და ბრძოლის გაგრძელების აუცილებლობა. გენერლების თვითშემოქმედებით გაცოფებულმა კანცლერმა ულტიმატუმი წაუყენა იმპერატორს: ან ლიუდენდორფი უნდა გადამდგარიყო დაუყოვნებლივ, ან თვითონ გადადგებოდა. მთელი თავისი არსებით იყო ლიუდენდორფის მხარეზე ვილჰელმი, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა და 26 ოქტომბერს ლიუდენდორფი გადააყენა. მთავარ პრობლემად ახლა მხოლოდ იმპერატორი რჩებოდა, რომელიც ვერა და ვერ ელეოდა ტახტსა და გვირგვინს. აი ასეთ დრამატულ სიტუა-

ციაში დაიწყო პროცესი, რომელმაც სულ მოკლე ხანში დააყენა ყველაფერი თავის ადგილას; გერმანიის ფლოტის მთავარ ნავსადგურ კილში ელვის სისწრაფით გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს საზღვაო სარდლობას გადაწყვეტილი ჰქონდა გენერალური საზღვაო ბრძოლა გაემართა ინგლისელებთან, რათა საკუთარი ფლოტისა და მეზღვაურთა დაღუპვის ფასად გამარჯვება „ჩაეშხამებინათ“ მტრისთვის. 28 ოქტომბერს ჯავსნოსან „მარკგრაფის“ მეზღვაურებმა უარი თქვეს კაპიტნის ბრძანების შესრულებაზე. მალე მათ სხვა გემების მეზღვაურებიც შეუერთდნენ და საერთო განცხადება მიიღეს იმის შესახებ, რომ მხოლოდ ინგლისელების თავდასხმის შემთხვევაში იომებდნენ, თავად კი არც ერთ შეტევით ოპერაციაში არ მიიღებდნენ მონაწილეობას. 3 ნოემბერს მეზღვაურთა გრანდიოზული მიტინგი გაიმართა ნაპირზე.

მეორე დღეს აჯანყებულებმა მოკლეს ერთი სამხედრო გემის კაპიტანი და ყველა გემზე დააწესეს საკუთარი კონტროლი. მეზღვაურებს ჯარისკაცებიც შეუერთდნენ და საერთო დეპუტატთა საბჭოები აირჩიეს. ხუთ და ექვს ნოემბერს აჯანყება მოედო ჰამბურგს, ლუბეკს, ჰანოვერს, ბრაუნშვეიგს, კელნს, მაინცს, ტრირს და ფრონტის ხაზს მიუახლოვდა. ერთი მთავარი მოთხოვნა ჰქონდათ აჯანყებულებს — დაუყოვნებელი დაზავება.

როგორც კი აჯანყების ცნობამ პოტსდამში მყოფ იმპერატორამდე ჩააღწია, მან სპას შეაფარა თავი, სადაც ჰინდენბურგის შტაბი იმყოფებოდა. გარდა იმისა, რომ იმპერატორი სრულად ენდობოდა ჰინდენბურგს, სპა ახლოს იყო ნეიტრალურ საზღვართან. დინასტიის ერთგული პრუსიელი მონარქისტების რწმენით, უკეთესი იქნებოდა გმირულად დაღუპულიყვნენ იმპერატორიცა და კრონპრინციც, ვიდრე ორივე ცოცხლად დარჩენილიყო მონარქიის სიკვდილის ხარჯზე. მონარქიისადმი ფანატური ერთგულებით გამორჩეულმა პომერანელმა არისტოკრატებმა ექსტრა-ვაგანტური გადაწყვეტილებაც კი მიიღეს: ფრონტზე იმპერატორთან ერთად გამგზავრებულიყვნენ და ყველანი გმირულად დაღუპულიყვნენ. ყოფილ კანცლერ მიხაელსს დაევალა დელიკატური მისია: იმპერატორისათვის გადაეცა პომერანელთა

წინადადება. 28 ოქტომბერს შუამავალმა კი შესძლო იმპერატორთან შეხვედრა, მაგრამ ერთობლივი სადილის დამთავრებისთანავე ვილჰელმი ისეთი სისწრაფით გამოემშვიდობა სტუმარს, რომ ბედოვლათმა მიხაელსმა სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო. იმპერატორი წინასწარ იყო გაფრთხილებული ექს-კანცლერის მისიაზე. 8 ნოემბერს აჯანყებულები ყველა ხიდს აკონტროლებდნენ რეინზე, 9 ნოემბერს კი, იმპერატორთან, მიწვევის გარეშე ცხადდებიან ჰინდენბურგი, ლუდენდორფი და კიდევ რამდენიმე ცნობილი გენერალი. იმპერატორს მოუხრიდებლად აცნობენ საქმის რეალურ ვითარებას – ბერლინში რევოლუცია დაიწყო, რომლის წინააღმდეგ არმია არ გამოვა. პრობლემები დრამატულად ვითარდება იმპერატორისა და მისი უახლოესი გარემოცვისათვის: კანცლერი ოფიციალურად ავრცელებს ცნობას იმპერატორის გადადგომაზე. „ღალატი, უსირცხვილო და აღმაშფოთებელი ღალატი“ – ასეთია ვილჰელმის რეაქცია.

საინტერესოა, რომ 1918 წლის 9 ნოემბერს, გერმანიის გამოცხადება რესპუბლიკად, კურიოზული შემთხვევის ნებით და არა ქვეყნის იმდროინდელი რევოლუციური პოლიტიკური ძალების ერთობლივი გადაწყვეტილების შედეგად მოხდა; მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ იმპერატორის შემდეგ კანცლერი, ბადენის პრინციც გადადგა, რეიხსტაგში შეიკრიფა გერმანიის უმსხვილესი პოლიტიკურ პარტიის სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობა. პარტიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი მომავალი პოლიტიკური წყობის საკითხი. მთავარი სოციალისტი ფრიდრიხ ებერტი (პროფესიით მეუნაგირე), კონსტიტუციური მონარქიის მომხრე იყო და საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის იდეაც კი ჰზარავდა.

ამავე დროს საყოველთაო გაფიცვამ მოიცვა ბერლინი. გაფიცულთა შორის მაღალი იყო მემარცხენე სოციალისტების, „სპარტაკის კავშირის“ წევრების გავლენა როზა ლუქსემბურგისა და კარლ ლიბკნეხტის მეთაურობით. მემარცხენე სოციალისტები იმპერატორის სასახლეში შეიკრიბნენ და რევოლუციური პროლეტარიატის სახელით, გერმანიის სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადებისათვის დაიწყეს სამზადისი. სასწრაფო კონტრზომები უნდა მიეღოდ რეიხსტაგში

შეკრებილ სოციალ-დემოკრატებს და კრიტიკულ მომენტში, თანაპარტიელებთან შეთანხმების გარეშე, საკუთარ თავზე აიღო დასწრებაზე თამაშის ინიციატივა სოციალ-დემოკრატების მეორე ლიდერმა ფილიპ შეიდემანმა: ის ენთუზიაზმით ეცა ფანჯარას და კენიგსპლაცზე შეკრების რამდენიმე ათას ბერლინელს, გერმანიის რესპუბლიკის დაბადება ამცნო. საზღვარი არ ჰქონდა ებერტის აღშფოთებას, მაგრამ მას უკვე არაფრის შეცვლა აღარ შეეძლო.

აი, ასე, თითქოს ბედნიერი შემთხვევით შეიქმნა გერმანიის რესპუბლიკა, როდესაც თვით სოციალისტებიც კი არ იყვნენ დარწმუნებულნი რესპუბლიკური წყობის უალტერნატივობაში, რასაკვირველია ძნელად მოიაზრებოდნენ მის მომხრეებად კონსერვატიული პარტიები. იშვიათი შემთხვევა იყო ხელისუფლებისათვის ბრძოლის მსოფლიო პრაქტიკაში, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერმა კონსერვატორებმა, სამხედროებთან ერთად, უარი თქვეს პასუხისმგებლობა ეკისრათ ქვეყნის მომავალზე და მერყევ სოციალ-დემოკრატებს შეაჩეჩეს ხელისუფლება. მომენტის ინტრიგა კი იმაში მდგომარეობდა, რომ გერმანიის არც ერთ რესპექტაბელურ პოლიტიკურ ძალას (რომ აღარაფერი ვთქვათ გენერალიტეტზე) არ სურდა საკუთარი სახელი დაეკავშირებინა კაპიტულაციის ხელშეკრულებასა და მომავალ ზავთან.

გერმანიის რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე კონსპირატიულ-დეტექტიურ ჟანრში დაიწყო მოვლენათა განვითარება; 9 ნოემბერსვე ღამით, რეიხსკანცელარიაში, ებერტის კაბინეტში სპეციალურმა საიდუმლო ტელეფონმა დარეკა, რომელიც რეიხსკანცლერს არმიის მთავარსარდლობასთან აკავშირებდა სპაში. ებერტს ძველი ნაცნობი, ლიუდენდორფის შემცვლელი, გენერალი ვილჰელმ გრენერი ურეკავდა. გრენერი კაიზერის გერმანიის სამხედრო ელიტის აღიარებული წევრი იყო. სწორედ მან გაუბედა კაიზერს პირდაპირ ეთქვა, რომ არმია აღარ ემორჩილებოდა იმპერატორს და უკანასკნელს ტახტზე უნდა ეთქვა უარი (ჰინდენბურგმა ეს ვერ გაბედა). გენერალი და სოციალისტების ლიდერი კონსტრუქციულად თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან 1916 წლიდან დაწყებული, როდესაც პირველი გერმანიის სამხედრო წარმოებაზე იყო პასუხისმგებელი და ურთიერთპატივისცემით იყვ-

ნენ გამსჭვალულნი. რესპუბლიკის გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე, კაიზერის გენერალს სწორედ პირველ სოციალისტ ებერტთან ჰქონდა ხანგრძლივი კონფიდენციალური საუბარი სამშობლოსა და მონარქიის გადარჩენის შანსებზე.

9 ნოემბრისათვის გენერალ გრენერს უკვე გადაყენებული ლიუდენდორფის თანამდებობა (თავისი მნიშვნელობით მეორე გერმანიის არმიაში) ეკავა. მხოლოდ წლების შემდეგ გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებრიობისათვის ცნობილი საიდუმლო სატელეფონო ხაზით საუბრის შინაარსი და გენერალსა და გერმანიის მომავალ პირველ პრეზიდენტს შორის შემდგარი სიტყვიერი შეთანხმება; ებერტი, რომელიც პრაქტიკულად უკვე განკარგავდა აღმასრულებელ ხელისუფლებას, თანახმა იყო ბოლო მოეღო ქვეყანაში ანარქიისა და ბოლშევიზმისათვის და არმიის ტრადიციული როლი შეენარჩუნებინა. თავის მხრივ სამხედროები მზად იყვნენ ხელი შეეწყოდ ახალი ხელისუფლების სიცოცხლისუნარიანობისათვის. ცხადია უაღრესად სარისკო იყო სუსტი დემოკრატიული წყობისათვის პრუსიულ იუნკრულ ტრადიციებზე აღზრდილი სამხედროების იმედზე დარჩენა, მაგრამ ჰქონდათ კი სხვა არჩევანი ლენინის რუსეთის შემყურე ევროპელ სოციალისტებს? მათთვის კოშმარი იყო რუსეთის რევოლუციის ბედი და არანაირი სურვილი არ ჰქონდათ კერენსკის ხვედრი გაეზიარებინათ. ამავე დროს მთელ გერმანიაში იქმნებოდა ჯარისკაცებისა და მუშების დეპუტატთა საბჭოები, რომლებმაც რეალურ პრეტენზიებს აცხადებდნენ ხელისუფლებაზე.

დეკემბერში ბერლინში გაიმართა გერმანიის საბჭოების პირველი ყრილობა. ყრილობაზე წარმოდგენილმა ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოების დელეგატებმა აგრესიული ხმაურით (რუს ბოლშევიკთა სტილში) მოითხოვეს ჰინდენბურგის გადადგომა, რეგულარული არმიის დაშლა და სამოქალაქო გვარდიის შექმნა, სადაც რიგითი ჯარისკაცები აირჩევდნენ თავიანთ ოფიცრებს. ხელისუფლების მთავარი ორგანო კი საბჭოები უნდა ყოფილიყო. ეჭვს აღარ იწვევდა გერმანიის რევოლუციის რუსული სცენარით განვითარების პერსპექტივა ლენინის ლოზუნგით: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“.

შობამდე ორი დღით ადრე, „სპარტაკის კავშირის“ კომუნისტთა კონტროლს დაქვემდებარებული საზღვაო ქვეითების „სახალხო დივიზია“ ვილჰელმშტრასეზე შეიჭრა, რეიხსკანცელარია დაიკავა და სატელეფონო კავშირი მოშალა. ებერტის განკარგულებაში დარჩენილი ზიმოთნახსენები საიდუმლო ხაზით იგი სასწრაფოდ დაუკავშირდა არმიის გენერალურ შტაბს და სამხედროებს სთხოვა დახმარება. ერთდროულად იზრდებოდა „სპარტაკის კავშირის“ სამხედრო ძალა ბერლინში. კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი უკვე მზად იყვნენ გერმანიის საბჭოთა რესპუბლიკის გამოსაცხადებლად. სამხედროები ებერტისაგან აქტიურობას მოითხოვდნენ ბოლშევიკურ საფრთხესთან ბრძოლაში. 10-17 იანვარი „სისხლიანი კვირის“ სახელწოდებით შევიდა გერმანიის ახალგაზრდა რესპურლიკის ქრონიკებში; არმიამ და მოხალისეთა კორპუსმა ერთად გაანადგურეს სპარტაკელები. ლიბკნეხტი და ლუქსემბურგი ტყვედ აიყვანეს გვარდიის კავალერისტული დივიზიის ოფიცრებმა და სიკვდილით დასაჯეს.

როგორც კი ბერლინში მეტ-ნაკლებად ჩაცხრა ვნებათა ღელვა მთელ გერმანიაში ჩატარდა ეროვნული დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელსაც ახალი კონსტიტუცია უნდა შეემუშავებინა. არჩევნებში კი მიიღეს ყველაზე მეტი ხმები სოციალ-დემოკრატებმა (ეროვნული კრების 421 ადგილიდან 185), მაგრამ დაკარგეს აბსოლუტური უმრავლესობა.

1919 წლის 31 ივლისს, ექვს თვიანი განხილვის შემდეგ მიიღო XX საუკუნის ყველაზე ლიბერალური და დემოკრატიული კონსტიტუცია. ამერიკის შეერთებული შტატებიდან იყო ნასესხები ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტი, ხოლო ინგლისისა და საფრანგეთის პრაქტიკიდან მთავრობის კაბინეტის შექმნის მექანიზმი. პროპორციული წარმომადგენლობისა და სიებით კენჭისყრის სისტემა ამომრჩეველთა ხმების დაკარგვის რისკს ამცირებდა, მაგრამ ხელს უწყობდა უამრავი წვრილ-წვრილი პარტიების არსებობას, რაც თავის მხრივ რეიხსტაგში სტაბილური უმრავლესობის ქრონიკულ საფრთხედ იქცა და მთავრობების ხშირ ცვლას იწვევდა. ხანგრძლივი მოქმედების ნაღმად იქცა პრეზიდენტის დიქტატორული უფლებამოსილება საგანგებო მდგო-

მარეობის შემოღებისას. ჰინდენბურგის მმართველობის პერიოდში სწორედ კონსტიტუციის ეს მუხლი გამოიყენეს ბოროტად რეიხსკანცლერმა ჰენრიხ ბრუნინგმა, ვიცე-კანცლერებმა ფრანც ფონ პაპენმა და კურტ შლეიხერმა, როდესაც რეიხსტაგის იზოლირებით მართავდნენ ქვეყანას და ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლამდე შეარყიეს გერმანიის დემოკრატიული მართვის მზიდი კონსტრუქცია.

გერმანელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ალბათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ] 10 ნოემბერს მათ სულ სხვა წყობაში გაიღვიძეს, როდესაც დილის ბინდში ავტომობილების ესკორტი მიადგა ჰოლანდიის საზღვარს. პირველი ავტომობილიდან კი გერმანიის უკვე ყოფილი იმპერატორი და რამდენიმე თანმხლები პირი გადმოვიდა. ჰოჰენცოლერნთა დინასტიამ, ასწლეულობით რომ მართავდა პრუსიას და 47 დიდების წლით იმპერიას, დაასრულა არსებობა. იმავე დღეს ბერლინში, იმპერატორის სასახლის სწორედ იმ აივანზე, საიდანაც ომის დაწყება ამცნო გახარებულ ბერლინელებს გერმანიის მესამე და უკანასკნელმა იმპერატორმა, ხელში წითელი დროშით იდგა კარლ ლიბკნეხტი და იმ ადამიანების მიერ ჩადენილ დანაშაულზე ელაპარაკებოდა „გონს მოსულ“ იმავე მსმენელებს, კატასტროფამდე, რომ მიიყვანეს ქვეყანა.

ჯერ კიდევ 1918 წლის 5 ნოემბერს, ვაშინგტონმა ოფიციალურად აცნობა გერმანიის მთავრობას, რომ მოკავშირეები თანახმანი იყვნენ დაზავებაზე. დროებითი ზავის პირობებს კი მოკავშირეთა არმიის მთავარსარდალი, მარშალი ფოში გააცნობდა გერმანიის წარმომადგენლებს. 6 ნოემბერს გერმანელთა დელეგაცია უპორთფელო მინისტრ ერცბერგერის ხელმძღვანელობით, ფოშთან შესახვედრად გაემგზავრა. გამარჯვებულთა და დამარცხებულთა ისტორიული შეხვედრა 1918 წლის 7 ნოემბერს, საღამოს გაიმართა კომპიენის ტყეში ფრანგი მარშლის ვაგონში. როგორც შემდეგ იხსენებდნენ გერმანიის დელეგაციის წევრები, ისინი სერიოზულად შიშობდნენ, რომ ფოში თავს ვერ შეიკავებდა სიტყვიერი შეურაცხყოფებისაგან, მაგრამ უკანასკნელში ფრანგულმა თავაზიანობამ იმძლავრა და მარშალი იმით დაკმაყოფილდა, რომ ხელი არ გაუწოდა „სტუმრებს“. შემდეგ მათ მოკავ-

შირეების მთავარი მოთხოვნები გააცნეს: გერმანელებს დაუყოვნებლივ უნდა გაეთავისუფლებინათ ბელგია, ლუქსემბურგი, ელზას-ლოთარინგია და საფრანგეთის ოკუპირებული ტერიტორიები; 15 დღეში უნდა გადაეცათ ანტანტისათვის ხუთი ათასი მძიმე ქვემეხი და მთელი საველე არტილერია, 25 ათასი ტყვიამფრქვევი, სამი ათასი ნაღმტყორცნი, 1700 აეროპლანი, რეინის მარცხენა სანაპიროდან უნდა გაეყვანათ ჯარები, სადაც ანტანტის ნაწილები უნდა განთავსებულიყვნენ; გერმანელებს არაფერი არ უნდა გაეტანათ დატოვებული ტერიტორიებიდან; ანტანტისათვის უნდა გადაეცათ 5 ათასი ლოკომოტივი, 150 ათასი სარკინიგზო ვაგონი, ხუთი ათასი ავტომობილი; გერმანიას თავისი ხარჯით უნდა შეენახა ანტანტის მთელი საოკუპაციო სამხედრო შენაერთები; უნდა გაეუქმებინა ბრესტ-ლიტოვსკისა და ბუხარესტის ხელშეკრულებები; ანტანტისათვის უნდა გადაეცა რუსეთისა და რუმინეთისაგან მიღებული ოქროს მთელი მარაგი, ასევე ბელგიიდან გატანილი ოქრო; ცალმხრივად უნდა გაეთავისუფლებინა ყველა სამხედრო ტყვე; ანტანტისთვის უნდა გადაეცა ყველა წყალქვეშა ნავი, რვა მსუბუქი კრეისერი, ათი დრედნოუტი; სამშვიდობო ზავის დადებამდე გრძელდებოდა გერმანიის ბლოკადა.

ბუნებრივია, რომ უსიტყვო კაპიტულაციის ტოლფასი იყო ეს პირობები და დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის პრესა ეჭვსაც კი გამოთქვამდა, რომ გერმანელები ხელს არ მოაწერდნენ ასეთ დაზავებას. 72 საათი მისცა მოსაფიქრებლად ფოშმა გერმანელ პარლამენტარებს. ერცბერგერი ტელეგრაფით დაუკავშირდა ჰინდენბურგს. უკანსკნელმა კი თავის პარლამენტარებს მითითება მისცა ყველაფერი გაეკეთებინათ ზავის პირობების შესამსუბუქებლად და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მოეწერად ხელი. გერმანელებმა ისიც იცოდნენ, რომ მოკავშირეებს დამთავრებული ჰქონდად ახალი დიდი შეტევის ყველა მოსამზადებელი სამუშაო. 1918 წლის 11 ნოემბერის თორმეტ საათზე არტილერიის სალუტმა (101 გასროლით) პარიზელებს ომის დასასრული ამცნო. დაზავებაზე ხელის მოწერიდან, სამი წლის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი ერცბერგერს: იგი ბერლინში მოკლეს "სამშობლოს ღალატისათვის"



ვუდრო ვილსონი
(1856-1924)
აშშ-ის პრეზიდენტი1913-1921 წლებში

თავი მეათე
ვერსალის სამშვიდობო კონფერენცია

„ორმოცდაშვიდ წელს ველოდი ამ წუთს“ – წამოიძახა კლემანსომ როდესაც ფოშის დეპეშით გაიგო, რომ ერცბერგერმა ხელი მოაწერა დროებითი ზავის პირობებს. ლა-მანშის მეორე ნაპირზე კი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ ლოიდ-ჯორჯი ინგლისელებს არწმუნებდა, რომ კაცობრიობის უკანასკნელი ომი დასრულდა – „ვიმედოვნებ, ამ საბედისწერო დილას ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ყველა ომების დასასრულის დრო დადგა“ (67). პარიზი კი მთელი 6 თვით იქცა დიპლომატიურ მექად; დეკემბრის პირველი რიცხვებიდან დაიწყეს ჩამოსვლა დელეგაციებმა (27 სახელმწიფო იყო

მიწვეული კონფერენციაზე). 13 დეკემბერს პარიზში ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი. 1919 წლის პირველ იანვარს კონფერენცია ოფიციალურად გაიხსნა. გადაწყდა, რომ გერმანიის დელეგაციას დასასრულ ეტაპზე მიიწვევდნენ. თუმცა 26 კომისია მუშაობდა და სულ 1446 სხდომა ჩატარდა, მაგრამ ფაქტიურად ყველა საკითხზე მხოლოდ ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლებს ჰქონდად გადამწყვეტი ხმის უფლება. ესენი იყვნენ: ამერიკის პრეზიდენტი ვილსონი, ინგლისის პრემიერი ლოიდ-ჯორჯი, საფრანგეთის პრემიერი ჟორჟ კლემანსო და იტალიის პრემიერი ვიტორიო ორლანდო.

7 მაისისათვის მთელი რიგი ნებაყოფლობითი თუ იძულებითი კომპრომისების ბაზაზე დაზუსტდა ზავის საბოლოო ტექსტი, რომელიც იმავე დღეს კონფერენციის თავმჯდომარე კლემანსომ ხელიდან ხელში გადასცა გერმანიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, გრაფ ბროკდორფ-რანცაუს. მანამდე კი, ისარგებლეს რა იმ წესით, რომ გერმანელებს წერილობით შეეძლოთ საკუთარი მოსაზრებების, შენიშვნებისა თუ პროტესტის გამოთქმა, მათ ასობით მემორანდუმი, შენიშვნა და მოხსენებითი ბარათი წრუდგინეს კონფერენციას. როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანელების კონტრწინადადებების აბსოლუტური უმრავლესობა განხილულიც არ ყოფილა. მხოლოდ რამდენიმე სრულიად უმნიშვნელო საკითხში წავიდა კომპრომისზე კონფერენცია. ბროკდორფ-რანცაუმ უარი თქვა ხელი მოეწერა ზავზე და საჯაროდ განაცხადა, რომ მოკავშირეებმა „თვითმკვლელობა შესთავაზეს გერმანიას“. პარიზიდან ის პირდაპირ ვეიმარში გაემგზავრა, სადაც ეროვნული კრება მუშაობდა და შეეცადა ზავის პირობების მიუღებლობაში დაერწმუნებინა იგი. უშედეგო ცდის შემდეგ კი თანამდებობიდან გადადგა. თავის მხრივ კრებამ მიიღო ზავზე ხელისმოწერის რეზოლუცია, თუმცა ტექსტიდან ამოიღო მუხლი, რომლითაც მხოლოდ გერმანიას ეკისრებოდა ომის დაწყებისათვის პასუხიმგებლობა. მას შემდეგ რაც მოკავშირეები ომის გაგრძელებით დაიმუქრნენ, ეროვნულმა კრებამ უკვე პირვანდელი ტექსტით დაამტკიცა ზავის ყველა მუხლი.

1919 წლის 28 ივნისს, ვერსალის სარკეებიან დარბაზში, სადაც ნახევარი საუკუნის წინ ბისმარკმა იმპერატორის გვირგვინი დაადგა თავზე ვილჰელმ პირველს, ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას. სიმბოლურიც და რეალურიც იყო ასპროცენტიანი რევანში, მაგრამ ზავის შედეგებით ერთნაირად იყვნენ უკმაყოფილონი გერმანელებიც და ფრანგებიც; საკუთარი შემდგომი უსაფრთხოებისათვის ფრანგებს აუცილებლად მიაჩნდათ გერმანიის დანაწილება და პირველ რიგში რეინის მარცხენა სანაპიროს „ჩამოჭრა“ და იქ „ავტონომიური სახელმწიფოს შექმნა“ საკუთარი პატრონაჟიდ. სტრატეგიული თვალსაზრისით, რეინის მარცხენა სანაპირო მართლაც იყო ბუნებრივი პლაცდარმი საფრანგეთზე მოულოდნელი თავდასხმისათვის. ვინ-



ჟორჟ კლემანსო
(1841-1929)
საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი 1906-1909 და
1917-1920 წლებში

ვინ და ფრანგებზე უკეთ ვინ იცნობდა გერმანელების ფენომენალურ უნარს მოკლე ხანში ფერფლიდან აღედგინათ და ტრადიციულ მრისხანე ძალად ექციათ საკუთარი არმია. ინგლისელებს კი 1917 წლიდან მოყოლებული, „რეინის ავტონომიური სახელმწიფოს“ გაგონებაც არ სურდათ, თანაც ვერსალში მათ საიმედო მოკავშირედ მოევლინათ ამერიკის პრეზიდენტი. რუსეთის რევოლუციამდე ფრანგების პოზიციის ერთგული მხარდამჭერი იყო პეტერბურგი, რაც ორ ქვეყანას შორის არსებული საიდუმლო შეთანხმებითაც იყო განმტკიცებული. ძლიერი თანამოაზრის გარეშე დარჩენილმა კლემანსომ იმასღა მიაღწია, რომ რეინის მარცხენა სანაპირო და მარჯვენა სანაპიროს 50-კილომეტრიანი ზოლი დემილიტარიზებულად ცხადდებოდა, მაგრამ რჩებოდა გერმანიის შემადგენლობაში და სუვერენიტეტში. 15

წლის მანძილზე ხსენებული ტერიტორიის განსაკუთრებულ პუნქტებში მოკავშირეთა საოკუპაციო ნაწილები უნდა დარჩენილიყვნენ. გარდა ამისა, ამერიკა და ბრიტანეთი ხელშეკრულებით უნდა ყოფილიყვნენ ვალდებულები დახმარებოდნენ საფრანგეთს სავარაუდო აგრესიის (ცხადია გერმანიის მხრიდან) მოგერიებაში. საფრანგეთი აშკარად წაგებული რჩებოდა, რაც მალე გამოაშკარავდა კიდეც – როგორც კი ამერიკის სენატმა უარი თქვა დაემტკიცებინა ვერსალის ზავი ყველა თავისი ვალდებულებებით, ფიქციად იქცა ვილსონის მიერ ნაკისრი სავარაუდო დახმარებაც.

ამერიკის გარეშე არც ინგლისის იმედზე ყოფნა შეეძლოთ ფრანგებს. გავა ცოტა ხანი და ჰიტლერი უპრობლემოდ შეიყვანს ჯარს რეინის დემილიტარიზებულ ზონაში. დღევანდელი გადასახედიდან აბსოლუტურად გაუგებარია საფრანგეთის იმდროინდელი მოკავშირეების, პირველ რიგში ბრიტანეთის, ყოველ საფუძველს მოკლებული და თითქმის პარანოიდალურად ფრთხილი პოზიცია „ევროპაში ბატონობის“ მითიურ ფრანგულ „ამბიციებთან“ დაკავშირებით. როგორც ჩანს, 100 წლის წინ ისე გვარიანად დააფრთხო ინგლისელები ნაპოლეონმა, რომ ფრანგული ექსპანსიონიზმისადმი შიში XX საუკუნემდე გამოჰყვათ უილიამ პიტი უმცროსის ჯენტლმენ მემკვიდრეებს. ძნელად დასაჯერებელი ფაქტია, რომ სამშვიდობო კონფერენციიდან მოყოლებული, მთელი ოცი წლის მანძილზე, ლონდონიცა და ვაშინგტონიც, ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარ საფრთხედ, სამხედრო ძლევამოსილების აღდგენის გზით მავალ გერმანიას კი არა, საკუთარი ძალის რწმენა დაკარგულ და დემორალიზებულ საფრანგეთს თვლიდნენ. თვითონ ფრანგებმა ხომ სხვებზე უკეთ იცოდნენ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, მათი ქვეყანა შეუჩერებლად თმობდა კონტინენტის უძლიერესი სახელმწიფოს პოზიციებს; თუ 1850 წელს საფრანგეთის ეკონომიკა ლიდერობდა კონტინენტზე, 1880 წლისათვის მას ყველა მაჩვენებლით უსწრებდა გერმანია. 1913 წელს საფრანგეთი მოიპოვებდა 41 მლნ. ტონა ქვანახშირს, მეზობელ გერმანიაში ეს მაჩვენებელი 279 მლნ. ტონას უდრიდა. 30-იანი წლების დასაწყისში გამარჯვებული საფრანგეთი

47 მლნ. ტონა ქვანახშირს მოიპოვებდა, დამარცხებული გერმანის – 351 მლნ. ტონას. ისევე როგორც 1815 წელს საფრანგეთს შეეძლო ცალცალკე აღებული იოლად დაემარცხებინა მისი დამმარცხებელი კოალიციის ნებისმიერი წევრი, ასევე 1918 წლის გერმანიასაც შეეძლო ანტანტის ნებისმიერი წევრის დამარცხება და ეს ფაქტი არ აძლევდა მოსვენებას ოფიციალურ პარიზს. ნამდვილად არ ცდებოდნენ ფრანგი პოლიტიკოსები, როდესაც ვერსალში დაჯინებით მოითხოვდნენ გერმანიის დაყოფას შემადგენელ ნაწილებად და მხოლოდ ეს მიაჩნდად საკუთარი უსაფთხოების რეალურ გარანტად.



დეივიდ ლოიდ ჯორჯი
(1863-1945)
დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი
1918-1922 წლებში

საფრანგეთის დელეგაცია ასევე კატეგორიულად მოითხოვდა საარის ქვანახშირის საბადოების მისთვის გადაცემას. გერმანელებმა მიწასთან გაასწორეს ჩრდ. საფრანგეთის მაღაროები, რისი კომპენსაციაც მხოლოდ საარით შეიძლებოდა. კლემანსო იმასაც იხსენებდა, რომ 1814 წელს, ნაპოლეონის პირველი გადადგომის შემდეგ, მოკავშირეებმა საფრანგეთის შემადგენლობაში დატოვეს საარი. კვლავ ვილსონმა და ლოიდ-ჯორჯმა დაბლოკეს ფრანგების ეს მოთხოვნაც. კონფერენციის ქრონიკებში სწორედ საართან დაკავშირებული დებატებია ასახული ყველაზე მწვავედ და დრამატულად; შვიდ აპრილს ვილსონი ამერიკაში დაბრუნებითაც კი დაიმუქრა. საინტერესოა, რომ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში საართან დაკავშირებული საფრანგეთის მცდელობა შეფასებულია, როგორც ფრანგული იმპერიალიზმის ევროპაზე ბატონობის ამბიცია, თუმცა ძნელი სავა-

რაუდოა, რომ ომგამოვლილ გაჩანაგებულ ქვეყანას მხოლოდ კლასიკური იმპერიალისტური ზრახვები ამოძრავებდა. მთავარი მოტივი გერმანიის მომავალი სიძლიერის ბლოკირების სტრატეგია იყო. უშეცდომოდ ხედავდა კლემანსო მომავალს: 30-იან წლებში, რურთან ერთად, საარი იქცა ჰიტლერის გერმანიის სამხედრო ინდუსტრიის გულად. ვერსალში კი ვილსონმა და ლოიდ-ჯორჯმა შანტაჟითა და ზეწოლით გამოგლიჯეს კლემანსოს კომპრომისი: საარის ქვანახშირის საბადოები მხოლოდ 15 წლით გადადიოდა საფრანგეთის მმართველობაში ერთა ლიგის მეთვალყურეობით.

ცხარე დისკუსიები გაჩაღდა რეპარაციის ოდენობასთან დაკავშირებით; ომში ყველაზე მეტად საფრანგეთი დაზარალდა და ბუნებრივი იყო კლემანსოს პოზიცია, როდესაც მან გერმანელების მიერ მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურება მოითხოვა, რისთვისაც გერმანიას ე.წ. ბლანკეტური ვალდებულება უნდა ეკისრა, ხოლო კონკრეტული თანხა კი შემდგომ დაზუსტდებოდა, როდესაც სპეციალური კომისია ზარალის ოდენობას დაადგენდა. ასეთი პროცედურის წინააღმდეგ კვლავ ინგლის-ამერიკული დუეტი წავიდა. კლემანსოს ოპონენტების ვერსიით ძალზედ რთულ და ხანგრძლივ პროცედურად იქცეოდა საერთო ზარალის ზუსტად დათვლა და უკეთესი იყო საწყის ეტაპზე დადგენილიყო რეპარაციის საერთო მოცულობა და ის ჩაწერილიყო სამშვიდობო ხელშეკრულებაში. ძირითადი დისკუსიები კლემანსოსა და ლოიდ-ჯორჯს შორის მიმდინარეობდა. ვილსონი შედარებით თავშეკავებულად, მაგრამ მაინც უკანასკნელის პოზიციას იზიარებდა. მთავარი მოტივი, რომლითაც ინგლისის პრემიერი ხელმძღვანელობდა, ისევ და ისევ, საფრანგეთის გაძლიერებისა და გერმანიის უზომოდ დასუსტების შიში იყო. სირთულედ იქცა ტრანსფერების პრობლემაც, ვინაიდან რეპარაციის ნაწილი გერმანიას ნედლეულით ან საქონლით უნდა გადაეხადა, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა მისი ექსპორტის ზრდა. რეპარაციის საკითხი იქცა იმ იშვიათ გამონაკლისად, სადაც 80 წელს მიღწეულმა „ვეფხვმა“ თავისი გაიტანა. მეტიც – კლემანსოს ძალისხმევით საფრანგეთის წარმომადგენელი დაინიშნა რეპარაციის სპეციალური კომისიის თავმჯდომარედ.

ვერსალში დიდი ოთხეულის კიდევ ერთ თავსატეხად იქცა პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვარი; ომი ჯერ დამთავრებული არ იყო, რომ პარიზში ბინადარმა პოლონეთის ეროვნულმა კომიტეტმა კამენეც-პოდოლსკის, ბრესტ-ლიტოვსკისა და როვნოს ოკუპაციის უფლება მოსთხოვა მოკავშირეებს, პოლონელების მტკიცებით, ეს ტერიტორიები მათი სამშობლოს აღმოსავლეთი საზღვრების უსაფრთხოების გარანტიად უნდა ქცეულიყო. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი პოლონეთისათვის მის პირველ გაყოფამდე (1772 წლამდე) არსებული საზღვრებიც კი მოითხოვა. ფრანგულ-პოლონურ ტანდემს კატეგორიულად დაუპირისპირდა ბრიტანეთის დელეგაცია, რომლის მთავარი არგუმენტი ვილსონის „14 პუნქტი“ იყო. ინგლისელების არგუმენტაციას ეთანხმებოდნენ ამერიკელებიც. დავა პოლონეთის საზღვრებზე არ შეწყვეტილა კონფერენციის დახურვის შემდეგაც და საკითხი 1923 წლის მარტს, უკვე ელჩების კონფერენციაზე გადაწყდა; პოლონეთს აღმოსავლეთ გალიცია გადაეცა.

დრამატული ექსცესების გარეშე არც იტალიის ტერიტორიული ამბიციების განხილვა მიმდინარეობდა. იტალიის დელეგაცია ორი დოკუმენტით წარსდგა კონფერენციაზე: 1915 წლის აპრილის ლონდონის ხელშეკრულებით და 1917 წლის აგვისტოს რომს, ლონდონსა და პარიზს შორის ნოტების გაცვლით, სადაც დაფიქსირებული იყო იტალიის სამომავლო ტერიტორიული შენაძენები. მართალია, ვერსალში იტალიის პრემიერიცა და საგარეო საქმეთა მინისტრიც მორცხვად სდუმდნენ იმ კატასტროფულ დამარცხებაზე, იტალიის არმიამ რომ იწვნია ავსტრიელებისაგან კაპორეტოსთან, როდესაც თუ არა ფრანგების თავგანწირული დახმარება, ბეწვზე ეკიდა იტალიის კაპიტულაციის საკითხი, მაგრამ ყველას კარგად ახსოვდა, თუ რა მიზერული წვლილი შეიტანეს იტალიელებმა საერთო გამარჯვებაში. ამიტომაც არავინ არ უწევდა დიდ ანგარიშს ორლანდოს გაუთავებელ წუწუნს და არავისზე არ იმოქმედა საბოლოოდ განაწყენებული იტალიის პრემიერის ქვითინმა (ორლანდო მართლაც ატირდა, როდესაც მას ქალაქ ფიუმეზე უთხრეს უარი). განსაკუთრებით კლემანსო გამოირჩეოდა თავისი „საფირმო“ ირონიული მჭერმეტყველებით: რო-

დესაც იტალიის დელეგაცია ფიუმეს თხოულობდა, კლემანსო ცალსახად იცავდა 1915 წლის საიდუმლო ხელშეკრულებას და იქვე დასძენდა, რომ სწორედ იტალიასთან დადებული ხელშეკრულებისადმი ერთგულება აიძულებდა მას უარი ეთქვა იტალიელების მოთხოვნაზე, ვინაიდან ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა მათთვის ქალაქის გადაცემას. მეორე დღეს კი, როდესაც ორლანდო უკვე დალმაციას თხოულობდა, კლემანსო საზეიმო პათეტიკით აღიარებდა ხსენებული ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას იტალიისათვის დალმაციის გადაცემაზე და იქვე „სხვათაშორის" დასძენდა, რომ დალმაციაში იტალიელები კი არა, სლავები ცხოვრებენ, რომლებმაც გმირულად იბრძოლეს და მათ მიმართაც გაგვაჩნია ლონდონის ხელშეკრულების შემდეგ წარმოქმნილი ვალდებულებებიო. არც იმან უშველა საქმეს, რომ იტალიის დელეგაციამ პროტესტის ნიშნად მიატოვა კონფერენცია 1919 წლის აპრილში. გამომშვიდობებისასაც კი ვერ შესძლო კლემანსომ უარი ეთქვა სიამოვნებაზე და კიდევ ერთხელ არ გაეკენწლა იტალიელები: „მოკავშირეები დიდი მწუხარებით აღიქვამენ თქვენ წასვლას, მაგრამ ვშიშობ, რომ თქვენ ინანებთ და უკან მობრუნდებით" – დახვეწილი ფრანგული თავაზიანობით გააცილა მან უზომოდ მადაგაღვიძებული არაფრის მაჭისი მოკავშირეები. მართლაც, ხანმოკლე აღმოჩნდა იტალიელების წყენაცა და პრინციპულობაც და ვერსალში დაბრუნდნენ. მით უმეტეს, რომ ის-ის იყო იზმირი უნდა მიეღოთ ბერძნებს, რაზეც თვითონ ეჭირათ თვალი. ქვითინით, ისტერიკებით, დემონსტრაციული დემარშებითა და კულისებს მიღმა ინტრიგებით ის მაინც მოახერხა იტალიის დელეგაციამ, რომ მთლად ხელცარიელი არ დაბრუნდა სამშობლოში: იტალიის ხელში გადავიდა სამხრეთ ტიროლი.

მსოფლიო რეპუტაციის მქონე ისტორიკოსთა აზრით, ვერსალის ზავის მთავარი მახასიათებელი ნიშანი მისი "ინდივიდუალური ხასიათი" იყო. ეს არ ყოფილა უნიკალური მოვლენა - 1807 წელს ასევე მოექცა ნაპოლეონი პრუსიას ტილზიტის ზავით, მაგრამ მას შემდეგ ასეთი რამ აღარ გამეორებულა ევროპის დიპლომატიურ ქრონიკებში: იმ სუბიექტიდან, რომელსაც შეეძლო სამხედრო ძალით დაეცვა და

განემტკიცებინა საკუთარი პოლიტიკური ნება, გერმანია ზავმა პასიური პოლიტიკური არსებობის ობიექტად გადააქცია: მას აღარ ჰქონდა უფლება ჰყოლოდა რეგულარული არმია (გარდა 94 ათასი სუსტად შეიარაღებული ჯარისკაცისა და ოთხი ათასი ოფიცრისა),



ლორდი ჯორჯ კერზონი
(1859-1925)
დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1919-1924 წლებში, ვერსალის კონფერენციის აქტიური მონაწილე, ე.წ. "კერზონის ხაზის" ავტორი

უქმდებოდა სამხედრო ვალდებულება, გენერალური შტაბი, ნადგურდებოდა არტილერია (გარდა 288 მსუბუქი ქვემეხისა), სამუდამოდ ნადგურდებოდა მთელი ავიაცია, ნადგურდებოდა ყველა სამხედრო სიმაგრე და სამხედრო პორტების დამცავი ნაგებობები, იკრძალებოდა იარაღის წარმოება და ა.შ. გერმანია არა მხოლოდ კარგავდა თავის ყველა კოლონიას, არამედ მას სამომავლოდაც ეკრძალებოდა კოლონიების ფლობა, მას ეკრძალებოდა რეინის მარცხენა სანაპიროზე და მდინარიდან აღმოსავლეთით 50-კილომეტრიან ზოლში ჯარის შეყვანა და რაიმე სამხედრო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობა. ყველა ჩამოთვლილი (და კიდევ სხვა მეორე ხარისხოვანი) შეზღუდვები გერმანიას ერთხელ და სამუდამოდ უსპობდა რაიმე სამხედრო მნიშვნელობასა და გავლენას საერთაშორისო პოლიტიკაში. ის სამუდამოდ რჩებოდა აბსოლუტურად დაუცველი არა თუ დიდი სახელმწიფოების მხრიდან სავარაუდო აგრესიის შემთხვევაში, არამედ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წინაშეც კი. სულ ახლო წარსულში მსოფლიოს ერთ-ერთი უძ-

ლიერესი იმპერიის თვით არსებობაც კი პირდაპირ დამოკიდებული ხდებოდა სხვა სახელმწიფოების კეთილ ნებაზე.

რაც შეეხებოდა გერმანიის ტერიტორიულ დანაკარგებს, ხელშეკრულების საბოლოო რედაქციით, იგი შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

1. გერმანია კარგავდა ელზას-ლოთარინგიას, 15 წლით გადადიოდა საფრანგეთის გამგებლობაში საარის ოლქი, შემდეგ აქ პლებისციტი უნდა ჩატარებულიყო;
2. ვერსალის შემდგომი პლებისციტით პოლონეთმა მიიღო ზემო სილეზიის ნაწილი, პოზნანი, თითქმის მთელი დასავლეთი პრუსია, პომერანიის ცალკეული რაიონები. თავისუფალ ქალაქად ცხადდებოდა დანციგი. ამრიგად, პოლონეთმა დანარჩენი გერმანიისაგან გათიშა აღმოსავლეთი პრუსია. ლიტვას გადაეცა აღმოსავლეთ პრუსიის ნაწილი და მემელი;
3. პლებისციტით უნდა გადაწყვეტილიყო ჩრდილოეთ შლეზვიგის ბედი. შემდეგ მისი ნაწილი დანიას დაუბრუნდა;
4. უარი ათქმევინეს გერმანიას თავის ყველა კოლონიაზე, რის შემდეგაც გერმანიამ უარი თქვა თავის წყალქვეშა სატელეგრაფო კაბელებზეც. ასეთი იყო ტერიტორიული დანაკარგები.

არა ნაკლებ მძიმე იყო სხვა მატერიალური ზარალიც:

1. გერმანია კარგავდა მთელ სავაჭრო ფლოტს;
2. გერმანია ვალდებული ხდებოდა 10 წლის განმავლობაში მოკავშირეებისათვის ყოველ წელს მიეწოდებინა 41-44 ათასი ტონა ქვანახშირი;
3. გერმანია საფრანგეთსა და ბელგიას გადასცემდა 371 ათას მსხვილფეხა პირუტყვს, აქედან 140 ათას მეწველ ძროხას;
4. და ბოლოს, გერმანია იძულებული იყო წინასწარ (ისე, რომ ზუსტი ციფრიც კი არ იცოდა) დათანხმებულიყო ფულად რეპარაციაზე (ზუსტი ციფრები 1921 წლის პირველ მაისს აცნობეს: 132 მილიარდი მარკა ოქროთი და ექვსი მილიარდი მარკა განსაკუთრებული გადასახადი ბელგიის სასარგებლოდ).

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გარანტია უნდა ყოფილიყო რეინის მთელი მარცხენა სანაპიროს 15-წლიანი ოკუპაცია. თვალში საცემი იყო ხელშეკრულების უჩვეულოდ დეტალური ხასიათი: მაშინ, როდესაც დიპლომატიურ პრაქტიკაში სამშვიდობო ხელშეკრულებებს სულ რამდენიმე გვერდი ეთმობათ, ვერსალის ხელშეკრულება 440 მუხლისაგან შემდგარ 208 გვერდს შეიცავდა.

ცალკე პუნქტი ავალდებულებდა გერმანიას გასასამართლებლად გადაეცა ყოფილი იმპერატორი. მას შემდეგ, რაც ვილჰელმის ექსტრადაციაზე უარი თქვა ჰოლანდიის მთავრობამ, ომის მთავარი დამნაშავე უდრტვინველად ცხოვრობდა ჰოლანდიაში შეძენილ სასახლეში. 20-იან წლებში გერმანიის მთავრობამ მას მთელი პირადი ქონება დაუბრუნა, რომელიც საგრძნობლად გაზარდა გერმანიის მძიმე მრეწველობაში ინვესტირებით.

მიუხედავად იმისა, რომ მძიმე საზავო პირობებს ელოდნენ გერმანიის წარმომადგენლები, მაინც მოულოდნელი და შოკის მომგვრელი აღმოჩნდა მათთვის ხელშეკრულების მუხლები. „მოთხოვნები, რომელთა წამოყენებაც სურს ანტანტას, ყველაზე მკაცრია, რაც კი რომელიმე სახელმწიფოს წამოუყენებია მას შემდეგ, რაც რომმა კართაგენს ზავის პირობები უკარნახა. ეს სასიკვდილო განაჩენია გერმანიისათვის“ – თავის დღიურში ჩაწერა გერმანიის დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა“ (68). გერმანიაში ერთკვირიანი ეროვნული გლოვა გამოცხადდა. „გახმება ის ხელი, რომელიც ვერსალის ტრაქტატს მოაწერს ხელს“, – საჯაროდ განაცხადა მთავრობის წევრმა შეიდემანმა. ცხადია, წინააღმდეგობის არანაირი საშუალება არ ჰქონდათ გერმანელებს, ხოლო დიდ ქალაქებში გამართული საპროტესტო დემონსტრაციები მოკავშირეების ვერც განწყობილებას ცვლიდა და ვერც პოზიციას. მათთვის ის იყო მთავარი, რომ გერმანია აღარ წარმოადგენდა საშიშ ძალას. მიუხედავად ამისა, გერმანელები კიდევ კარგა ხანს აგრძელებდნენ უშედეგო მიმოწერას კლემანსოსთან. როგორც წყალწაღებული ხავსს, ისე ებღაჭებოდნენ ამერიკის პრეზიდენტის „14 პუნქტს“, რაზეც კლემანსო იქეთ აყვედრიდა „უმადურობას“ და იმ „დათმობებზე“ მი-

უთითებდა, გამარჯვებულთა „კეთილი ნების შედეგად“ რომ მიიღეს დამარცხებულებმა – პომერანიის გერმანულ ნაწილზე და უმნიშვნელო სასაზღვრო ზოლებზე პოზნანსა და სილეზიაში. გერმანიის მმართველმა პარტიებმა შეკითხვით მიმართეს ყოფილ მთავარსარდალს, ფელდმარშალ ჰინდენბურგს – შეეძლო თუ არა გერმანიას ომის გაგრძელება? პასუხი არაორაზროვანი იყო: აღმოსავლეთით, პოლონეთთან გერმანიას შეეძლო ეომა და გაემარჯვა, დასავლეთით მას ომი არ შეეძლო. როდესაც ინგლისისათვის გადასაცემი გემების მეზღვაურებმა გაიგეს, რომ ზავი ხელმოწერილი იქნა, მათ გემები კი ჩაძირეს, მაგრამ ძვირად დაუჯდა გერმანიას საკუთარი მეზღვაურების უაზროდ რომანტიული ჟესტი: ჩაძირული გემების სანაცვლოდ ინგლისელებმა ყველა საზღვაო დოკის დანადგარები წაიღეს.

მაინც რატომ გახდა გერმანელებისათვის ასე მოულოდნელი და ძნელად შესაგუებელი ზავის პირობები, რომელიც 1919 წლის 7 მაისს გამოქვეყნდა ბერლინში?

როგორც ჩანს, ვეიმარის რესპუბლიკის პირველ თვეებში, როდესაც მთელი ყურადღება ახალ კონსტიტუციაზე და ახალ პოლიტიკურ წყობაზე იყო გადატანილი, ქვეყანამ თითქოს მიივიწყა ომში დამარცხების მოსალოდნელი შედეგები. ყოველ შემთხვევაში, გერმანელებს ნაკლებად აღელვებდათ ზავის მოსალოდნელი პირობები. რიგით ბიურგერებს (და არა მხოლოდ მათ) თვითკმაყოფილებით სჯეროდათ, რომ მას შემდეგ თვითონ მოულეს ბოლო ჰოჰენცოლერნებს, არ დაუშვეს ბოლშევიკების გამარჯვება და წარმატებით დაიწყეს დემოკრატიული რესპუბლიკური მთავრობის ფორმირება, მათ უფლება ჰქონდათ სამართლიანი (მათი გაგებით!) ზავი მიეღოთ. ათვლის წერტილად კი უნდა ქცეულიყო არა ომში დამარცხების ფაქტი, არამედ – ვილსონის „14 პუნქტი“.

გერმანიაში აღარავის სურდა გაეხსენებინა, თუ რა მოხდა სულ ერთი წლის წინ, 1918 წლის მარტში, როდესაც გამარჯვების მოზეიმე გერმანელმა გენერლებმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავი მოახვიეს თავს დამარცხებულ რუსეთს. ეს ზავიც ხომ უპრეცედენტოდ სასტიკი და

დამამცირებელი იყო. გერმანიამ ხომ რუსეთს ერთად აღებული ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის ტოლფასი ტერიტორია წაართვა.

1919 წლის 10 სექტემბერს, პარიზის მახლობლად, სენ-ჟერმენში, გამარჯვებულებმა ავსტრიასთან ზავს მოაწერეს ხელი. პრაქტიკულად ყოველგვარი მოლაპარაკებების გარეშე შედგა ხელმოწერა, ვინაიდან ავსტრია-უნგრეთის იმპერიის მემკვიდრე ახალი სახელმწიფოს საზღვრები უკვე დეტალურად იყო დაზუსტებული ვერსალში. ჯერ კიდევ 1918 წლის 28 ოქტომბერს ჩამოცილდა იმპერიას უნგრეთი და მასთან ცალკე ხელშეკრულება მზადდებოდა. იმ დროსვე გამოეყო ჩეხოსლოვაკიაც, რომელიც უკვე გამარჯვებულთა რიგებში იმყოფებოდა. თითქმის ყველა სამხრეთ-სლავური ოლქები, ავსტრიის არმიის განადგურებისთანავე გადავიდა იუგოსლავიის (ოფიციალურად ასე იწოდებოდა სერბულ-ხორვატულ-სლოვენური სახელმწიფოს) შემადგენლობაში. იუგოსლავიის შემადგენლობაში გადავიდა ჩერნოგორიაც, გაურკვეველი და სადავო საკითხებიც ბევრი რჩებოდა: გადასაწყვეტი იყო სომხეთის, სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის სტატუსი. ჯერ კიდევ საიკს-პიკოს მოლაპარაკებისას გადაწყდა, რომ სომხეთის ჩრდილოეთი ნაწილი რუსეთის კონტროლს დაექვემდებარებოდა, სამხრეთი – საფრანგეთისას, მაგრამ როდესაც მსოფლიოს დიდი პოლიტიკური სცენა მოულოდნელად დატოვა რუსეთმა და „უანექსიო და უკონტრიბუციო“ ზავის ლოზუნგი ააფრიალა, თანაც დომინირებულ რეალობად იქცა ერთა თვითგამორკვევის იდეა, სომხებმა დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა მოითხოვეს, რაც ოფიციალურად აცნობეს პარიზში საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს. გამარჯვებული სახელმწიფოების მფარველობით უნდა შექმნილიყო ახალი სახელმწიფო. სომხეთზე და კონსტანტინოპოლზე მანდატის იდეის აქტიური მომხრე იყო პრეზიდენტი ვილსონიც. ვერავინ დააბრალებდა ამერიკას, რომ სრუტეებისა და სომხეთის ანექსია სურდა და ბუნებრივად გამოიყურებოდა მისთვის მანდატის გადაცემაც. პრობლემა მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ჯერ ერთი 1918 წლის არჩევნების შემდეგ ამერიკის კონგრესის ორივე პალატაში რესპუბლიკელები იყვნენ უმრავლესობაში, რაც კარგ არა-

ფერს უქადდა დემოკრატ ვილსონს და მეორეც – გასათვალისწინებელი იყო ამერიკელების ტრადიციული შიში ნებისმიერ საერთაშორისო ვალდებულებებთან მიმართებაში. მიუხედავად ორივე მომენტისა, ვილსონი მაინც იმედოვნებდა, რომ სომხების მიერ გადატანილი უბედურება მისი იდეის წარმატების გარანტად იქცეოდა. შეიძლება ასეც მომხდარიყო ვილსონს, რომ მეტი დიპლომატიური ელასტიურობა და თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან მეტი კომუნიკაბელურობის უნარი გამოევლინა. მან რესპუბლიკელების იმ ლიდერებთანაც კი არ ისურვა კონსულტაციები, რომელნიც გულწრფელად იყვნენ მზად მხარი დაეჭირად საზავო ხელშეკრულების მთელი პაკეტისათვის, დაწყებული ერთა ლიგის პროექტით და დამთავრებული სრუტეებზე, კონსტანტინოპოლზე და სომხეთზე მანდატის იდეით. ლოიდ-ჯორჯის აზრით, პარიზში გადაწყვეტილების მიღებამდე მას, რომ სათანადო კონტაქტები ჰქონოდა რესპუბლიკელებთან და აუცილებელი განმარტებებითა და არგუმენტებით უზრუნველეყო სავარაუდო გადაწყვეტილებები, გადაულახავ წინააღმდეგობას არ წააწყდებოდა კონგრესში (69). ვიწროპარტიული მიდგომა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებში, მუდამ იყო პრეზიდენტ ვილსონის დამახასიათებელი თვისება.

ვილსონმა განსაკუთრებით მიუტევებელი შეცდომა 1918 წლის ნოემბრის შუალედური არჩევნების დროს დაუშვა, როდესაც სენატი და წარმომადგენელთა პალატა უნდა განახლებულიყო. ომი ჯერ არ იყო დამთავრებული და აუცილებელი იყო ფუნდამენტურ საკითხებში ორპარტიული კონსესუსის შენარჩუნება. სიფრთხილე და პრაგმატიზმი მოითხოვდა პრეზიდენტისაგან წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში მაინც უკუეგდო ვიწრო პარტიული მიდგომა. მას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა, რათა ქვეყნისათვის კრიტიკულ მომენტში ბოლომდე შეენარჩუნებინა რესპუბლიკური პარტიის ლოიალური განწყობილება, რომელიც ომის წლებში უპირობოდ უჭერდა მხარს ადმინისტრაციის ყოველ ნაბიჯს. ამასვე დაეინებით ურჩევდნენ უახლოესი მრჩევლები და ახლო მეგობრები. ისინი ხედავდნენ, რომ ახლო მომავალში ფატალური შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა პრეზიდენტი-

სა და მისი პარტიისათვის, არჩევნებში ღიად ჩარევას და რესპუბლიკელების საწინააღმდეგო აგიტაციას. ვილსონს აგრეთვე ურჩევდნენ, რომ რამდენიმე გავლენიანი რესპუბლიკელი სენატორი ჩაერთო სამშვიდობო კონფერენციაზე ამერიკის დელეგაციაში.

მიუხედავად ყველა გონივრული რჩევისა, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ვილსონმა სპეციალური განცხადებით მიმართა ამომრჩევლებს, რომ ხმა მხოლოდ დემოკრატებისათვის მიეცათ. როგორც ამერიკელი, ასევე ევროპელი პოლიტიკოსების აზრით, თუ არა ასეთი ხისტი და არადიპლომატიური ჩარევა წინასაარჩევნო კამპანიაში, დემოკრატებს არ უნდა გასჭირვებოდათ რესპუბლიკელების დამარცხება. ამომრჩეველთა ის დიდი ნაწილი, რომელიც ვიწროპარტიულ ინტერესებზე მაღლა ზოგად პრინციპებსა და ფასეულებებს აყენებდა, აღაშფოთა პრეზიდენტის უტაქტობამ და შედეგმაც არ დააყოვნა – დემოკრატებმა კატასტროფული მარცხი განიცადეს. აუნაზღაურებელი ზიანი მიადგა პირადად პრეზიდენტის ავტორიტეტსაც. გარდა იმისა, რომ თავისი მიუტევებელი შეცდომით ვილსონმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ჯერ არარსებული ხელშეკრულების რატიფიკაციის პერსპექტივა, მან სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ მიიღო მისი ძველი პირადი მოძულე კებოტ ლოჯი. ვიწროპარტიული სიძულვილით დაბრმავებულმა ვილსონმა თავის სიჯიუტეს ანაცვალა ერთა ლიგისა და მთელი ხელშეკრულების ბედი, როდესაც თავისი გაიტანა და პარიზში გასამგზავრებელ დელეგაციაში არ ჩართო ორი უაღრესად გავლენიანი (ლოჯზე მეტად გავლენიანი) რესპუბლიკელი სენატორი ტაფტი და რუტი. ორივენი ერთა ლიგის პრინციპული მომხრენი იყვნენ და საგარეო პოლიტიკის ყველა პრინციპულ საკითხში ადმინისტრაციის მხარეზე იდგნენ. მათ გავლენას სენატში მომავალი ხელშეკრულების რატიფიკაციის საიმედო გარანტადაც კი განიხილავდნენ. ვილსონმა კი ვერ შესძლო პირად სიმპატია-ანტიპატიებზე ამაღლებულიყო და უარი თქვა რესპუბლიკელების გვერდით მჯდარიყო ვერსალში. საბოლოო ჯამში კი ისე გამოვიდა, რომ თავისი მნიშვნელობით მსოფლიოს მომავლის განმსაზღვრელ ფორუმზე, პლანეტის უდიდესი დემოკრატიული სახელმწიფოს

დელეგაცია საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას არ წარმოადგენდა. ამიტომაც იყო, რომ ვილსონის პრეზიდენტობის მთელ პერიოდში პოლიტიკურ ეგზოტიკად იქცა ორპარტიული პოზიცია. ერთი მხრივ, ევროპაში ვილსონის უჩვეულოდ მაღალმა ავტორიტეტმა, ხოლო, მეორე მხრივ კი, მისმა უუნარობამ დროდადრო მაინც გამოეძებნა ოპონენტებთან საერთო ენა, ღრმა კვალი დაამჩნია კონფერენციის შედეგს; როდესაც ვილსონმა დაასრულა თავისი ევროპული მისია და სამშობლოში გაემგზავრა, მისი ევროპელი პარტნიორები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, ოპოზიციაზე ზეგავლენას შეძლებდა პრეზიდენტი. უკანასკნელიდან გამომდინარე კი, მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები (სომხეთის, სრუტეების, კონსტანტინოპოლის) გადაიდო სანამ ამერიკის სენატი ხელშეკრულებას არ დაამტკიცებდა.

უნდა ითქვას, რომ ამერიკაში დაბრუნებისთანავე ვილსონი ენერგიულად შეუდგა ვერსალის შეთანხმებათა პროპაგანდას, მაგრამ მანდატის იდეა იმდენად ეგზოტიკური იყო რიგითი ამერიკელებისათვის, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა სომხეთის, სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის საკითხთა ლობირება. განსაკუთრებულ ენერგიასა და დიპლომატიურ ელასტიურობას საჭიროებდა ერთა ლიგის პოპულარიზაცია. ვილსონი სამი სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: 1. რესპუბლიკური სენატი; 2. დემოკრატიული ქვეყნის პოლიტიკოსისათვის აუცილებელი მოქნილობისა და კომპრომისების ტაქტიკის კატასტროფული დეფიციტი; 3. პირადი ჯანმრთელობა (სექტემბერში, როდესაც დასავლეთის შტატებში თითქმის წარმატებით ეწეოდა ხელშეკრულების პროპაგანდას, მას ინსულტი დაემართა, ოქტომბერში კი დამბლამ საბოლოოდ გამოიყვანა მდგომარეობიდან). იმ პერიოდში დემოკრატებს არ გააჩნდად ვილსონის ყალიბის სხვა ლიდერი, ვიცე-პრეზიდენტისათვის საკუთარი ფუნქციების გადაცემას თავად ავადმყოფი პრეზიდენტი გამორიცხავდა – ეს უკვე უძლურების საჯარო აღიარება იქნებოდა, რაზეც ცოცხალი თავით არ სურდა წასვლა უზომოდ პატივმოყვარე ვილსონს. სახელმწიფო მდივან ლანსინგს წვრილ მოხელედ თვლიდა და არც პიროვნულად ენ-

დობოდა, ძველი გამოცდილი თანამებრძოლი და ერთგული მეგობარი, პოლკოვნიკი ჰაუზი, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჩამოიშორა და მისი დანახვაც აღარ სურდა. პრეზიდენტობის ორი დარჩენილი წლის მანძილზე, ვილსონი გასაოცარი სიჯიუტით (მისი ყველა ბიოგრაფი ხომ სიჯიუტეს ასახელებს მის მთავარ თვისებად) ებღაუჭებოდა ფიქციად ქცეულ თანამდებობას. მას არც გადადგომა სურდა, არც პრეზიდენტის ფუნქციის სხვისთვის გადაცემა და აღარც თითონ იყო შრომისუნარიანი.

ვილსონის მოულოდნელმა ავადმყოფობამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა სამშვიდობო კონფერენციის დანარჩენი წამყვანი მონაწილეები: ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა არა მხოლოდ ერთა ლიგის, არამედ სომხეთის, კონსტანტინოპოლისა და სრუტეების საკითხიც. ევროპელ პოლიტიკოსებს კარგად ესმოდად, რომ ვილსონის ძლიერი მხარდაჭერის გარეშე შანსი არ იყო, რომ ამერიკას მანდატის სერიოზული ტვირთი ეკისრა. გარდა ამისა, არც ცოცხალი პრეზიდენტის ჩათვლა შეიძლებოდა მიცვალებულად და მისი იგნორირებით კონგრესთან კონტაქტზე გასვლა, მით უმეტეს, რომ ამერიკელი ექიმების ვერსიით პრეზიდენტს დასვენება ესაჭიროებოდა, რის შემდეგაც გამოჯანმრთელდებოდა. საბოლოოდ ვაშინგტონში ლორდი გრეი მიავლინეს საგანგებო მისიით, რათა პირადად ვილსონთან გაერკვია საქმის ვითარება. უშედეგო აღმოჩდა მისია – ვილსონმა გრეისთან საუბარი არ ისურვა. ამავე დროს ვილსონი ევროპელებს ატყობინებდა, რომ ხელშეკრულების მასთან შეთანხმებულ ტექსტში ნებისმიერი ცვლილებების წინააღმდეგი იყო. კიდევ ერთი საჩოთირო მომენტი იყო ამერიკელების ხასიათი: მათ შეეძლოთ ათასგვარი ეპითეტებით შეემკოთ საკუთარი პრეზიდენტი, მაგრამ არ მოითმენდნენ უცხო ხელმწიფოთა მხრიდან მისი ავტორიტეტისადმი უპატივცემულობას. ამერიკასთან ურთიერთობის გაფუჭებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა იმდროინდელ ევროპაში. როგორც იქნა, 1920 წლის იანვრისათვის ევროპაში ჩამოაღწია სანდო ინფორმაციამ: ვილსონის ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა გამორიცხავდა მის შესაძლებლობას ზეგავლენა ექონია ამერიკის კონგრესსა და საზოგადოებაზე. 1920 წლის თე-

ბერვალში, ლონდონის კონფერენციაზე მოკავშირეები უკვე სხვა ალტერნატივებს განიხილავდნენ. „ძველი გვარდიიდან“ მხოლოდ ლოიდ-ჯორჯი ინარჩუნებდა თავის პოსტს. კლემანსოს ნაცვლად საფრანგეთს მილიერანი წარმოადგენდა, ორლანდო და სონინი ნიტიმ და ტიტონიმ შეცვალეს. შეცვლილი იყო თურქეთისადმი მიდგომაც – აღარაფერი დარჩა 1919 ივნისის ატმოსფეროდან, როდესაც კონფერენცია ოვაციებით შეხვდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ბალფურის საბრალდებულო სიტყვას თურქეთის მიერ სხვადასხვა დროს ჩადენილ სიმხეცეებთან დაკავშირებით. კლემანსოს, ვილსონისა და ორლანდოს დროს ყველას აუცილებლად მიაჩნდა თურქების აზიაში განდევნა, ლონდონის კონფერენციაზე კი გაირკვა, რომ მილიერანი და ნიტი უკვე შეთანხმებულიყვნენ კონსტანტინოპოლის თურქებისათვის დატოვებაზე და სულთანის რეზიდენციად აღიარებაზე. თავის მემუარებში ლოიდ-ჯორჯს დოკუმენტურად მოჰყავს თავისი გამოსვლა: „თურქები ასეული წლები ცხოვრობდნენ ევროპაში, მაგრამ მუდამ საძულველი მჩაგვრელები და ყველა უბედურებების სათავე იყვნენ. თურქები არ გახდნენ ევროპელები, არ შეითვისეს ევროპული ცივილიზაცია და მუდამ ომების მიზეზნი იყვნენ. ზომაგადასული ოპტიმისტი უნდა



ჟიულ კამბონი - ფრანგი დიპლომატი, ავტორი წიგნისა "დიპლომატი" (1845-1935)

იყო, რომ თურქების ხასიათის შეცვლას ელოდებოდე. ამავე დროს კონსტანტინოპოლი ცხადად განსხვავდება სხვა დედაქალაქებისაგან: ასე, პარიზი ნათლად გამოხატული ფრანგული ქალაქია, ლონდონი – ინგლისური, რომი – იტალიური, მაგრამ კონსტანტინოპოლი არ არის თურქული ქალაქი, თურქები არ შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას... ჩვენ ვშორდებით პრინციპებს, რომლის საფუძველზეც გადავჭერით ჩვენს წინაშე მდგომ საკითხთა უმრავლესობა და მტერ მონარქს უტოვებდ სამართავად მისდამი მტრულად განწყობილ მოსახლეობას. სულთანი კონსტანტინოპოლში ნიშნავს დასავლეთის სახელმწიფოთა შორის მუდმივ ინტრიგებს, ქიშპობასა და კამათის წყაროს... არსებობს საფრთხე, რომ თურქების დატოვება კონსტანტინოპოლში მოასწავებს არა პრობლემის გადაჭრას, არამედ ახალი უსიამოვნებების დაწყებას“ (70). ერთსულოვნება არსებობდა მხოლოდ სრუტეებზე კონტროლის საკითხში; კერძოდ გადაწყდა შექმნილიყო საერთაშორისო ზონა საფრანგეთის, იტალიის, ინგლისისა და ამერიკის მონაწილეობით, რომელსაც ხსენებულ სახელმწიფოთა სამხედრო შენაერთები გააკონტროლებდნენ.

თურქეთისა და სულთანის ბედზე განსაკუთრებული მონდომებით საფრანგეთის დელეგაცია ზრუნავდა. პარიზის ელჩი ლონდონში, XX საუკუნის ერთ-ერთი შესანიშნავი დიპლომატი, ჟიულ ი, მთელ თავის დიპლომატიურ ტალანტსა და ენერგიას არ ზოგავდა, რათა მაქსიმალურად გაენეიტრალებინა ინგლისელების ანტითურქული განწყობილება. ლონდონის კონფერენციაზე მან ისიც კი მოითხოვა, რომ მხედველობაში მიეღოთ თურქების მგრძნობიარობა გარედან ნებისმიერ დიქტატზე და რაც შეიძლება „რბილი“ კონტროლი დაეწესებინათ სრუტეებზე რათა დამცირებულად არ ეგრძნოთ მათ თავი. ძაღლის თავი კი იქ იყო დამარხული, რომ ევროპის დიდ სახელმწიფოთაგან სწორედ საფრანგეთს გააჩნდა ყველაზე მასშტაბური ფინანსური ინტერესები ოტომანთა იმპერიაში. ფრანგ მეწარმეებს ეკუთვნოდათ ოტომანთა ვალის ოთხმოცი პროცენტი,რაც 144 მლნ. გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. ფრანგმა მეანაბრეებმა ისედაც სერიოზული ზარალი განიცადეს რუსეთში და თურქეთში მაინც ფიქრობდნენ თა-

ვიანთი ინტერესების დაცვას. კურიოზი იყო, რომ სწორედ სოციალისტი მილიერანი გამოდიოდა ფრანგული კაპიტალის მთავარ ქომაგად თურქეთში და სწორედ საფრანგეთი ამოუდგა მხარში თურქ ნაციონალისტებს, როდესაც ისინი ღიად დაუპირისპირდნენ ვერსალის ხელშეკრულებებს.

1920 წლის 10 აგვისტოს, პარიზის მახლობლად სევრში, სამშვიდობო ტრაქტატი გაფორმდა გამარჯვებულებსა და თურქეთს შორის. მესოპოტამია, პალესტინა და არაბეთის დიდი ნაწილი ინგლისელებისა და მათი ადგილობრივი მოკავშირეების ხელში გადადიოდა. ინგლისელების მიერვე იყო ოკუპირებული ნავთობით მდიდარი მოსული. ფრანგებმა დაისაკუთრეს სირია; სმირნა – ბერძნებმა, ხოლო მცირე აზიის სანაპიროს ნაწილი – იტალიელებმა. რაც შეეხებოდა კონსტანტინოპოლს, ნომინალურად ის თურქეთს დარჩა, მაგრამ სრუტეებში ბრიტანეთის ფლოტი გაბატონდა. ხელშეკრულების ცალკე მუხლით ნებისმიერ ქვეყანას შეეძლო სრუტეებით სარგებლობა. სპეციალური მუხლი ითვალისწინებდა ქურთისტანის ავტონომიას. 8-9 მილიონი მოსახლეობა და 174 ათასი კვ. კმ. ტერიტორია – აი, რა დარჩა თურქეთს სევრის ზავით, თუმცა სწორედ სევრის ზავი იქცა იმ პერიოდის ყველაზე უდღეურ საერთაშორისო დოკუმენტად.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სამშვიდობო კონფერენციის მრავალთვიანი მუშაობის სტილსაც და დისკუსიებსაც არაერთგვარი კვალი დაამჩნია პრეზიდენტ ვილსონის განმსაზღვრელმა როლმა და „14 პუნქტმა“. ოფიციალური ვერსიით, უკანასკნელი უნდა დასდებოდა საფუძვლად კონფერენციის გადაწყვეტილებებს. როდესაც 1918 წლის 8 იანვარს, ვილსონმა კონგრესს გააცნო 14 პუნქტად ჩამოყალიბებული მისეული ხედვა მომავალ ზავზე და ახალ მსოფლიო წესრიგზე, ძნელად თუ მოიძებნებოდა ევროპაში პოლიტიკური ლიდერი, რომელსაც გულწრფელად სწამდა ამერიკის იდეალისტი პრეზიდენტის იდეების ეფექტურობის, თუნდაც ისეთის როგორიც იყო აბსოლუტურად გამჭვირველე შეთანხმებები, თავისუფალი ნაოსნობა, საბაჟო ტარიფების გაუქმება, საყოველთაო განიარაღება და სხვა მრავალის, სასიამოვნოდ მოსასმენი, მაგრამ ძნელად განსახორციელებელის.

გადაულახავ ბარიერებს წააწყდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, რომელიც მალე იქცა ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტების გენერატორად. როგორც კი ეს პოტენციურად ფეთქებადი პრინციპი სუვერენულ სახელმწიფოთა საზღვრებს შეეხო, კინაღამ საომარი მოქმედებები არ დაიწყო ჩეხებსა და უნგრელებს შორის, რუმინელებსა და უნგრელებს შორის, იუგოსლავებსა და გერმანელებს შორის. თვით გუშინდელი მოკავშირეები – რუმინელები და იუგოსლავები, პოლონელები და ჩეხები, იტალიელები და იუგოსლავებიც კი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მართლაც რომელ ერთა თვითგამორკვევაზე შეიძლებოდა საუბარი ვთქვად, უნგრეთის ყველაზე მდიდარ (სოფლის მეურნეობის პროდუქციით), ბანატის მხარეში, სადაც გვერდი-გვერდ ცხოვრობდნენ რუმინელები, მადიარები, გერმანელები, ხორვატები და სლოვაკები? როდესაც სპეციალური კომისია შეეცადა საზღვრების დადგენისათვის საჭირო ცნობების შეგროვებას, გაირკვა, რომ მხარის ერთ რაიონში ცხოვრობდა 160 ათასი იუგოსლავი, 140 ათასი გერმანელი და 130 ათასი მადიარი. რუმინეთისა და იუგოსლავიის არმიები მზად იყვნენ საომრად და თუ დროზე არ ჩადგებოდა მათ შორის საფრანგეთის არმია, გარდაუვალი იყო სისხლისღვრა. ანალოგიური სიტუაცია იყო 20-ზე მეტი სახელმწიფოს საზღვრებთან დაკავშირებით. ამ მხრივ საინტერესოა კვლავ გავიხსენოთ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობილი ანალიტიკოსის ეირ კროუს (ომის წინა პერიოდში გავრცელებული „კროუს მემორანდუმის“ ავტორის) მოსაზრება: „როდესაც ჩვენ ეთნოგრაფიულ სირთულეებს ვაწყდებით, აუცილებელია გავითვალისწინოთ, თუ რომელ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს ეხება საკითხი – ჩვენ მეგობრებს თუ ჩვენ მოწინააღმდეგეებს“ (71). ცხადია, რომ ვერანაირად ვერ ჩაითვლებოდა სამართლიანობის ზეიმად ვილსონის ზოგადსაკაცობრიო იდეის ასეთი ინტერპრეტაცია. რაც მთავარია, ეს არც ხანგრძლივ მშვიდობას არ შეუწყობდა ხელს.

მართალია, ინგლისისა და საფრანგეთის სრული დამოკიდებულება ამერიკასა და მის პრეზიდენტზე, ასე თუ ისე ბოჭავდა ლონდონსა და პარიზს, მაგრამ როგორც ინგლისელები, ასევე ფრანგები

ყოველნაირად ცდილობდნენ თავიანთი გრძელვადიანი სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით ემოქმედად. საფრანგეთასის დელეგაცია კლემანსოს ხელმძღვანელობით შანსს არ უშვებდა ხელიდან რათა გერმანელთა რაოდენობა შეემცირებინა პოლონეთში და არც უნგრელებს განიხილავდა სამომავლო მოკავშირეებად, რაც გამართლდა კიდეც მეორე მსოფლიო ომში.

თუ რამდენად იყო შეუძლებელი ერთა თვითგამორკვევის გარეგნულად მიმზიდველი პრინციპის პრაქტიკული განხორციელება და რარიგ საშიშია ამ პრინციპი-ლოზუნგით პოლიტიკური ჟონგლიორობა, ყველაფერი ამის ილუსტრაციად იქცა ჩეხოსლოვაკიის საზღვრების საკითხის განხილვა: მარჯვედ ისარგებლა რა კონფერენციის საერთო სიმპატიით (ჩეხი ჯარისკაცების დამსახურება იყო ავსტრიის არმიის შიგნიდან გახრწნა), ჩეხოსლოვაკიის დელეგაციამ და მისმა მჭერმეტყველმა მაგრამ არც თუ შორსმჭვრეტელმა ხელმძღვანელმა დოქტორმა ბენეშმა, შესძლო, წამყვან სახელმწიფოთა ლიდერების დარწმუნება, რომ ახლადშექმნილ ჩეხოსლოვაკიაში უნდა შესულიყო ასობით ათასი უკმაყოფილო მადიარი და მილიონობით გაბოროტებული გერმანელი. ასი პროცენტით იყო მართალი ავსტრიის სოციალისტური პარტიის ლიდერი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბაუერი, როდესაც 1919 წლის ივნისში, ავსტრიის დამფუძნებელი კრების წინაშე გამოსვლისას, მათ მიერვე აღიარებული პრინციპების ცინიკურ იგნორირებაში დაადანაშაულა გამარჯვებულები: „გამარჯვებულები აღარ თვლიან თავს იმ დემოკრატიულ პრინციპებზე დამოკიდებულად, გამარჯვებამდე, რომ აღიარებდნენ და აჟღერებდნენ. გამარჯვებულის უძველესმა მკაცრმა კანონმა ჩაანაცვლა შეპირებული სამართლიანი ზავი. დღეს უკვე სამართალი კი არ არის საკითხავი, არამედ ის, პასუხობს კი გამარჯვებულების ინტერესებს საკუთარი ძალის ასეთი გამოყენება?“ (72). 20 წელი დასჭირდა იმის გარკვევას, რომ მართლაც არ შედიოდა გამარჯვებულთა ინტერესებში სამნახევარი მილიონი გერმანელის ძალით შეყვანა სახელმწიფოში, სადაც სულ ექვსნახევარი მილიონი ჩეხი და ორი მილიონი სლოვაკი ცხოვრობდა. გარდა გერმანელებისა და სლოვაკებისა, ახალ სახელმწიფოში აღმო-

ჩნდა 750 ათასი უნგრელი, 500 ათასი უკრაინელი და 100 ათასი პოლონელი.

1919 წლის 15 ივნისს, კონფერენციამ მიიღო ბოჰემიის, მორავიისა და ავსტრიის მცხოვრებთა მემორანდუმი, რომლის ავტორებიც პირდაპირ აფრთხილებდნენ გამარჯვებულებს, რომ ჩეხების მმართველობაში გადაცემული გერმანელები არასოდეს არ შეეგუებოდნენ საკუთარ ბედს, მმართველი ერი კი ვერასოდეს ვერ შესძლებდა მათი კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მართალია ბენეში ოპტიმისტურად იყო განწყობილი და კონფერენციას არწმუნებდა, ახალ ჩეხოსლოვაკიაში ფართო ადგილობრივი ავტონომია ექნება ყველა ეროვნულ უმცირესობასო, მაგრამ კონფერენციაზე დეკლარირებულ სხვა უამრავ მივიწყებულ დაპირებებში არც ბენეშის პროჟექტები ყოფილა გამონაკლისი. ვინ წარმოიდგენდა ეგზომ ნანატრი და ნატანჯი გამარჯვებით თავბრუდამხვევ საერთო ატმოსფეროში, რომ იმავე თაობის სიცოცხლეში, იმავე ბენეშს, ცხვირში ძმრად ამოუდენდა დაუფიქრებლად და და შედეგის გაუთვლელად, დილეტანტის სიხარბით დაშვებულ საბედისწერო შეცდომას იმავე ომში დამარცხებული არმიის ეული ეფრეიტორი?

ვერსალის ყველაზე ეფექტური და ნოვაციური გადაწყვეტილება, უნივერსალური ხასიათის და მის ავტორთა რწმენით, პანაციური მისიის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციის – ერთა ლიგის შექმნა იყო. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ გრეის მიერ დიპლომატიური მინიშნებით „ჩაწოდებული“ იდეა ოპერატიულად გაითავისა ამერიკის პრეზიდენტმა და, როდესაც 1916 წლის მაისში ვილსონმა პირველად ახსენა „მშვიდობისა და სამართლიანობის უნივერსალური გარანტი“ საერთაშორისო ორგანიზაცია, მას გულწრფელად სჯეროდა, რომ ეს მისი პირადი რწმენის ნაყოფი იყო. 1919 წლის იანვარში ვილსონმა უკვე კონფერენციას წარუდგინა ერთა ლიგის წესდების მისეული ვარიანტი, რომელიც მიიღო კონფერენციამ და ერთა ლიგამ იარსება კიდეც ფორმალურად 1920 წლის 10 იანვრიდან 1946 წლის 18 აპრილამდე. წესდებას 80-მა სახელმწიფომ მოაწერა ხელი. 1920 წლისათვის, იმდროინდელ მსოფლიოში არსებული სამოცდახუთი მსხვილი

სახელმწიფოდან, ამერიკისა და საუდის არაბეთის (რომელიც 1932 წელს შეიქმნა) გარდა, შემდგომში ყველა იყო ლიგის წევრი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვადით.

სტრუქტურულად, ერთა ლიგა შედგებოდა წევრი სახელმწიფოებისაგან, ასამბლეის, საბჭოსა და სამდივნოსაგან, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლიგის გენერალური მდივანი პლიუს ტექნიკური კომისიები და დამხმარე სამსახურები. 6 მილიონ დოლარს შეადგენდა ლიგის წლიური ბიუჯეტი. ჟენევაში განთავსდა ლიგა. ასამბლეის წევრი იყო ლიგის ყველა წევრი, რომელნიც ყოველი წლის სექტემბერში იკრიბებოდნენ სესიაზე. დროდადრო იკრიბებოდა სპეციალური სესიაც. თითო ხმა ჰქონდა ლიგის ყოველ წევრ-სახელმწიფოს. ასამბლეის ფართო კომპეტენცია მოიცავდა ლიგის მთელ მოღვაწეობას. ფართო უფლებებით სარგებლობდა საბჭოც, სადაც მხოლოდ მის კომპეტენციაში შედიოდა ეროვნულ უმცირესობათა პრობლემები, მანდატების სისტემასთან დაკავშირებული საკითხები, დანციგისა (გდანსკის) და საარის პრობლემები. მუდმივ მოქმედი ორგანო იყო სამდივნო, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენდა ლიგის პოლიტიკაზე. 1940 წლისათვის სამდივნო 50 ქვეყნის წარმომადგენლით იყო დაკომპლექტებული. გამომდინარე იქიდან, რომ ლიგის მთავარ ფუნქცია მშვიდობის შენარჩუნება იყო, წამყვან მიმართულებას წარმოადგენდა შეიარაღების შეზღუდვა და შემცირება;

მიუხედავად იმისა, რომ ერთა ლიგამ შეძლო 40-ზე მეტი პოლიტიკური კონფლიქტის დარეგულირება, არაეფექტური აღმოჩნდა მისი მცდელობები კოლექტიური უსაფრთხოების თაობაზე წესდების XVI პარაგრაფის მეშვეობით გადაეჭრა ისეთი სერიოზული კრიზისები, როგორიც იყო იტალიის აგრესია ითიოპიაში, იაპონიის აგრესია მანჯურიაში, გერმანიისა და იტალიის სამხედრო ჩარევა ესპანეთის სამოქალაქო ომში. 1939 წელს, ერთა ლიგიდან საბჭოთა კავშირის გარიცხვის შემდეგ (ადრე არავის უფიქრია იტალიის გარიცხვაზე), ლიგაში იმდროინდელი მსოფლიოს მხოლოდ ერთი წამყვანი სახელმწიფო – დიდი ბრიტანეთიღა შემორჩა, რამაც საგრძნობლად დასცა მისი ავტორიტეტი და გავლენა. პრაქტიკულად უმოქმედო იყო ლიგა

1939 წლის კრიტიკულ პერიოდში, ხოლო 1940 წლის იანვრიდან კი საერთოდ შეწყვიტა პოლიტიკური პროცესების დარეგულირების ღონისძიებები. 1946 წლის 18 აპრილს, გაიმართა ერთა ლიგის უკანასკნელი სესია, რომელზეც მიღებული გადაწყვეტილებით ლიგა ოფიციალურად გაუქმდა, მისი ქონება კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გადაეცა.

მსოფლიოს პირველი საერთაშორისო ორგანიზაციის დასანანი კრახის გამომწვევ მიზეზთა შორის მთავარი, ალბად ამერიკის ბოიკოტი იყო; მსოფლიოს უმდიდრესი და უძლიერესი სახელმწიფოს გარეშე დარჩა ორგანიზაცია, რომლის ბირთვსაც ომით დასუსტებული რამდენიმე დემოკრატიული და უფრო მეტი რევანშისა და ახალი ტერიტორიული დაპყრობებისათვის სამზადისში მყოფი დიქტატორული რეჟიმები წარმოადგენდნენ. თუ კი ვინმეს შეეძლო ერთა ლიგის წესდების X მუხლით გათვალისწინებული ფუძემდებელი პრინციპის – წევრი სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, ეს ამერიკა იყო. მან კი (მისმა საკანონმდებლო ორგანომ) სწორედ ამ მუხლის გამო თქვა უარი წესდების რატიფიკაციაზე. სხვას ვის, თუ არა ამერიკას შეეძლო რეალობად ექცია იტალიის საწინააღმდეგო სანქციები და ეთიოპია გადაერჩინა? მხოლოდ ამერიკას შეეძლო „ჭკუაზე მოეყვანა“ იაპონია და მანჯურია გადაერჩინა. მართალია, 1934 წელს საფრანგეთის ინიციატივით 30-მა სახელმწიფომ მიიპატიჟა საბჭოთა კავშირი ლიგაში და იგი ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა, მაგრამ მოსკოვს არც საიმისო რეალური ძალა და, რაც მთავარია, არც სურვილი ჰქონდა მისი მსოფლმხედველობისთვის უცხო პრინციპების ქომაგად გამოსულიყო. მით უმეტეს, რომ არც დემოკრატიული სახელმწიფოები იკლავდნენ თავს საკუთარი პრინციპების დაცვით – ასე იყო, როდესაც აგრესორი იტალიის წინააღმდეგ კი მიიღო ლიგამ სანქციებზე გადაწყვეტილება, მაგრამ ფიქციად აქცია ის ინგლისმა თავისი უარით სუეცის არხის გადაეკეტა აგრესორისათვის, საიდანაც რომი ნავთობს ღებულობდა. ანალოგიურივე სიტუაცია შეიქმნა 1936 წელს, როდესაც გერმანიამ ცინიკურად გადააბიჯა ვერსალისა და ლოკარნოს ხელშეკრულებებს და ჯარი შეიყვანა რეინის დე-

მილიტარიზებულ ზონაში; 1936 წლის 14 მარტს, ლონდონში გაიმართა ერთა ლიგის საბჭოს სხდომა, სადაც ევროპის სამმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ – ინგლისმა, საფრანგეთმა და ბელგიამ – უარი თქვა მშვიდობისათვის საფრთხედ შეეფასებინათ (რაც გარდაუვალს გახდიდა სანქციებს) ჰიტლერის აქცია. საინტერესოა, რომ იმავე პერიოდში სამივე სახელმწიფოს წარმომადგენლები მორჩილად დათანხმდნენ გერმანიის მოთხოვნას ჰააგის ტრიბუნალისათვის გადაეცათ საფრანგეთ- საბჭოთა კავშირის 1935 წლის შეთანხმება.

როდესაც 1936 წელს, ესპანეთის მთავრობამ ერთა ლიგის ასამბლეაზე გერმანია-იტალიის ინტერვენციის საკითხი დააყენა, სწორედ დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა ამოიღეს იგი დღის წესრიგიდან და სახელდახელოდ შექმნილ ე.წ. „ჩაურევლობის კომიტეტს“ გადაულოცეს. მიუხედავად იმისა, რომ 1938 წლისათვის ეჭვს აღარ ტოვებდა ჩეხოსლოვაკიის ანექსიაზე ჰიტლერის გეგმა, ლიგამ დღის წესრიგშიც კი არ შეიტანა ე.წ. „სუდეტის კრიზისისა“ და ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე გერმანიის ჯარის კონცენტრაციის საკითხი. უკანასკნელი რეზონანსული აქცია იყო ერთა ლიგიდან საბჭოთა კავშირის გარიცხვა.



გუსტავ შტრეზემანი
(1878-1929)
გერმანიის (ვეიმარის რესპუბლიკის) რეიხსკანცლერი
და საგარეო საქმეთა მინისტრი 1920-1929 წლებში

თავი მეთერთმეტე
გერმანია: ვერსალიდან ჰიტლერამდე

როგორც შემდგომმა დრამატულმა მოვლენებმა დაადასტურა, გამარჯვებულებს მთავარი სირთულეები ვერსალის კონფერენციის შემდეგ ელოდათ. ევროპისა და მთელი მსოფლიოს საუბედუროდ, მათ არც იმის სიმტკიცე და ერთსულოვნება ეყოთ, რომ კარგა ხნით მაინც დაესუსტებინათ გერმანია და არც იმის დიდსულოვნება და პოლიტი-

კური სიბრძნე, რომ მყარად შემოერიგებინად და ისე არ დაემცირებინათ ხელების გადაგრეხვით, რომ სულ რაღაც 15 წელში, მოსახლეობის აღფრთოვანებული მხარდაჭერით, ხელისუფლებაში მანიაკი ფიურერი არ მოეყვანათ.

შეიძლება მართლაც გულწრფელია იგივე ლოიდ-ჯორჯი, ვერსალიდან 18 წლის შემდეგ გამოქვეყნებულ მემუარებში სინანულით რომ იხსენებს საკუთარ სისუსტეს, როდესაც ვერ დასძლია ვილსონის, განსაკუთრებით კლემანსოს სიჯიუტე და თუნდაც მთლიანად გერმანელებით დასახლებული ზემო სილეზია მაინც ვერ შეუნარჩუნა გერმანიას. სანანებელი კი მხოლოდ ზემო სილეზია არ გაუხდათ გამარჯვებულებს: მიუხედავად ერთსულოვანი გადაწყვეტილებისა, მათ ვერ შესძლეს დაერწმუნებინათ ან აეძულებინათ ჰოლანდია საერთაშორისო ტრიბუნალისათვის გადაეცა როგორც სამხედრო დამნაშავე, გერმანიის ყოფილი იმპერატორი ვილჰელმ II.

30-იანი წლების დასასრულს, როდესაც ევროპის ცაზე საავდრო ღრუბლების შეუმჩნევლობა სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდებოდა, ვერსალის კონფერენციის უკანასკნელი მოჰიკანი, უკვე მემუარების წერით დაკავებული ლოიდ-ჯორჯი, ოთხ მთავარ მიზეზს ასახელებდა კატასტროფის ისტორიაში „უკანასკნელი ომის“ დამასრულებელი „დიდი ზავის“ კრახის გამომწვევად:

1. მათ (მოკავშირეებმა. – ს.ც.) უარი თქვეს შეესრულებინათ გერმანიისათვის საზეიმოდ მიცემული პირობა – როგორც კი იგი განიარაღდებოდა, თვითონაც განიარაღებულიყვნენ;

2. ლიგის წევრი სუსტი ქვეყნების მიმართ განხორციელებული აგრესიის ყველა შემთხვევაში, დიდმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს მათ დახმარებაზე და აგრესიის შეკავებაზე.

3. სამარცხვინოდ იყო იგნორირებული სამშვიდობო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი – ეროვნული უმცირესობების უფლებების პატივისცემა.

4. იგნორირებული იყო დებულება, რომელიც ითვალისწინებდა ხელშეკრულების გადასინჯვას (73).

პოლიტიკური მემუარების ჟანრისა და მოტივაციის გათვალისწინებითაც კი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერის დასკვნა ჭეშმარიტებასთან ახლოსაა. მით უმეტეს, რომ მასვე ეკუთვნის ჯერ კიდევ ვერსალში, ვილსონისათვის გადაცემული ცნობილი მემორანდუმი, სადაც ზუსტად განჭვრიტა ვერსალის ზავის ყველა საბედისწერო ნაკლი და გერმანული რევანშის ობიექტური გარდუვალობა.

ვერსალის შემდგომი გერმანია კი თითქოს არანაირ საფუძველს არ იძლეოდა შეშფოთებისა და განგაშისათვის. 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ, ქვეყანაში ლიბერალური დემოკრატიის რეალური პერსპექტივა გაჩნდა. ვეიმარში შეკრებილმა ეროვნულმა დამფუძნებელმა კრებამ სახელმწიფო წყობად ფედერალური რესპუბლიკა განსაზღვრა (აქედან სახელწოდება – ვეიმარის რესპუბლიკა).

1919 წლის 31 ივლისის დემოკრატიული კონსტიტუციით, მმართველობის ფორმად საპრეზიდენტო-საპარლამენტო რესპუბლიკა განისაზღვრა. ქვეყნის პირველი პრეზიდენტი გახდა ფრიდრიხ ებერტი. მიუხედავად იმისა, რომ ებერტი სრულად პასუხობდა გარდამავალი ლიდერისა და ახალი სახელმწიფო წყობის მდგრადობის გარანტის როლს, ახალგაზრდა რესპუბლიკას პერმანენტულად ემუქრებოდა დესტაბილიზაცია და სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე. თავისი მმართველობის არასრული 6 წლის მანძილზე ებერტი იძულებული გახდა 135-ჯერ გამოეყენებინა პრეზიდენტის განსაკუთრებული უფლება – საგანგებო მდგომარეობის შემოღება და გარანტირებული სამოქალაქო უფლებების შეჩერება ზავის პირობების განსაჯაროების შემდეგ, როცა განსაკუთრებით მემარჯვენე ნაციონალისტური წრეები გააქტიურდნენ. მათი მტკიცებით, გერმანიის არმია „დაუმარცხებელი“ იყო ომის მსვლელობაში და ქვეყანამ ომი დემოკრატების ღალატის გამო წააგო. „მონარქიის დამხობით ჩასცეს ზურგში მახვილი ძლევამოსილ არმიასა და პატრიოტ ჯარისკაცებს“, – გაჰკიოდნენ ისინი.

გარდა საშინაო პრობლემებისა, რომელიც რესპუბლიკის არსებობას რეალურ საფრთხეს უქმნიდა, გერმანიას უმძიმეს ტვირთად აწვა

მხრებზე ზავის პირობები და, პირველ რიგში კი, გიგანტური რეპარაცია, რაც ქვეყნის ეკონომიკას ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა.

ვეიმარის რესპუბლიკის არამყარმა საშინაო პოლიტიკურმა ვითარებამ და საკონსტიტუციო კონსენსუსის უქონლობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ იმდროინდელ გერმანიას ირონიულად უწოდებდნენ „დემოკრატიას დემოკრატების გარეშე". დემოკრატიზაციის პროცესი არ შეხებია კაიზერის ეპოქიდან მემკვიდრეობით მიღებულ მმართველობის ინსტიტუტებს, იუსტიციასა და, რაც მთავარია, სამხედრო აპარატს. ჯერ კიდევ ფეხაუდგმელი რესპუბლიკა იძულებული იყო ერთდროულად მოეგერიებინა როგორც მარცხნიდან (კომუნისტები), ასევე მარჯვნიდან (გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა და გერმანიის ნაციონალური სახალხო პარტია) ინსცენირებული დარტყმები. ამავდროულად, მემარცხენეები სოციალ-დემოკრატებს ძველ ელიტასთან თანამშრომლობასა და მუშათა კლასის ინტერესების ღალატში ადანაშაულებდნენ, მემარჯვენეები-მთლიანად „ნოემბრის მოღალატეებს" აბრალებდნენ ომში დამარცხებას. რესპუბლიკის სიმტკიცის პირველ სერიოზულ გამოცდად იქცა 1920 წლის მარტის კაპის პუტჩი, როდესაც გენერალმა ლუტვიცმა ბერლინის სამთავრობო კვარტალი დაიპყრო და რეიხსკანცლერად პრუსიის რეგიონური მთავრობის ყოფილი მეთაური კაპი დანიშნა. კანონიერი მთავრობა ჯერ დრეზდენში, შემდეგ კი შტუტჰარტში გაიქცა და იქიდან მოუწოდა მოსახლეობას საყოველთაო გაფიცვისაკენ. საბო-



რაიმონ პუანკარე
(1860-1934)
საფრანგეთის პრეზიდენტი
1913-1920 წლებში

ლოო ჯამში კი, პუტჩის ჩაშლა მთავრობის მოწოდებას კი არა, სამინისტროების ჩინოვნიკთა უარს მოჰყვა შეესრულებინად კაპის ბრძანებები. რეიხსვერმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სამომავლოდ არ შეიძლებოდა მის იმედზე ყოფილიყო მთავრობა.

კაპის პუტჩის პარალელურად მუშათა აჯანყებამ მოიცვა რურის რეგიონი, რომელიც სერიოზული მსხვერპლის ფასად იქნა ჩახშობილი. დემილიტარიზებულ ზონაში გერმანიის სამხედრო ნაწილების შესვლის საპასუხოდ (აჯანყების ჩასახშობად), 1920 წლის მარტში, საფრანგეთის არმიამ გადალახა რეინი და ფრანკფურტი-მაინზე, დარმშტატი, განაუ, დეისბურგი და ჰამბურგი დაიკავა (მართალია, მხოლოდ ერთი თვით). 1921 წლის მარტში კი, როდესაც გერმანიამ შეაჩერა რეპარაციის გადახდა, უკვე ანტანტის ჯარებმა დაიკავეს დუისბურგი და დიუსელდორფი, სადაც იმავე წლის სექტემბრამდე დარჩნენ. ამავე საბაბით, 1923 წლის იანვარში, საფრანგეთისა და ბელგიის ჯარებმა კვლავ დაიკავეს რურის ოლქი. დუისბერგის პორტების ოკუპაციით ფრანგებს საშუალება ებლეოდათ ზუსტი ინფორმაცია მიეღოთ რურიდან ქვანახშირის, რკინის მადნისა და მზა პროდუქციის ექსპორტზე. ამ დროს უკვე მოქმედებდა 1921 წლის ხუთი მაისის ლონდონის ულტიმატუმი, რომლითაც დადგინდა 132 მილიარდი ოქროს მარკის ოდენობის რეპარაციის გადახდის ზუსტი გრაფიკი.

რურის ოკუპაციას წინ უსწრებდა მოკავშირეთა გადაწყვეტილება ნატურალური გადასახადით (ფოლადით, ხე-ტყით, ქვანახშირით შეეცვალათ ფულადი რეპარაცია, რაც ვეიმარის რესპუბლიკის მწვავე ეკონომიკური კრიზისით იყო გამოწვეული. 1923 წლის ცხრა იანვარს მოკავშირეთა მიერ შექმნილი სარეპარაციო კომისია ერთხმად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გერმანია შეგნებულად აფერხებდა გადახდებს. სწორედ უკანასკნელი არგუმენტი გამოიყენა საფრანგეთმა რურის საოკუპაციოდ.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ობიექტური საფუძველი ჰქონდა ფრანგების მიერ განხორციელებულ ოკუპაციას, თავიდანვე განწირული იყო მისი ეფექტურობა; ლონდონი და განსაკუთრებით კი

ვაშინგტონი ღია გაღიზიანებით შეხვდა პარიზის „თვითშემოქმედებას“, გერმანია კი საყოველთაო სახალხო პროტესტმა მოიცვა, რომლის მასშტაბები იმდენად გრანდიოზული იყო, რომ უპარტიო რეიხსკანცლერ ვილჰელმ კუნოს არ გასჭირებია მასობრივი „პასიური წინააღმდეგობის“ კამპანიის ორგანიზება. მთლიანად შეჩერდა რეპარაციის გადახდა. პარალიზებული იყო მრეწველობა, ტრანსპორტი და მმართველობის აპარატი. კომუნისტები და ყოფილი სამხედროები მასობრივად აწყობდნენ საბოტაჟის აქტებს და თავს ესხმოდნენ ფრანგ და ბელგიელ ჯარისკაცებს. მთავრობამ იკისრა რურის გაფიცული მუშების ხელფასის გადახდა, რაც დიდი ხნით ვერ გაგრძელდებოდა ინფლაციის საფრთხის გამო.

1923 წლის 26 სექტემბერს, ახალი რეიხსკანცლერი, გუსტავ შტრეზემანი იძულებული გახდა უარი ეთქვა „პასიურ დაუმორჩილებაზე“. ამ დროისათვის 4-5 მილიარდ ოქროს მარკას მიაღწია გერმანიის ეკონომიკის საერთო ზარალმა. თავის მხრივ, ამერიკისა და ბრიტანეთის ზეწოლამ საფრანგეთიც აიძულა ოკუპაციის დასრულებაზე და შეთანხმებაზე ამერიკის ბანკირ დაუესის გეგმით გაგრძელებულიყო რეპარაციის გადახდა.

მართალია, საფრანგეთმა უარი თქვა ოკუპაციაზე, მაგრამ პრემიერი რაიმონ პუანკარე მაინც იმედოვნებდა, რომ შესძლებდა ფრანგულ-გერმანული სინდიკატის შექმნას ფრანგული კაპიტალიდ, რაც საფრანგეთის მეტალურგიას ქვანახშირიდ, ქიმიური მრეწველობის ნახევარფაბრიკატებითა და საღებავებით მოამარაგებდა, ხოლო ელზასის საფეიქრო ნაწარმს კი უბაჟოდ შეიტანდა გერმანიის ბაზარზე. თავისთავად გეგმა მიმზიდველი იყო, მაგრამ მოვლენათა განვითარებამ სულ სხვა რეალობა განაპირობა; სჩანს არ ცდებოდა კლემანსო, როცა საჯაროდ აყენებდა ეჭვს ქვეშ პუანკარეს პოლიტიკურ გამჭრიახობას. საქმე კი ის იყო, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი აშკარად ცდებოდა, როდესაც კაპიტულაციად აღიქვამდა შტრეზემანის გადაწყვეტილებას „პასიური დაუმორჩილებლობის“ შეწყვეტაზე. სინამდვილეში ეს იყო ზუსტად გათვლილი დიპლომატიური სვლა: გერმანია სულაც არ აპირებდა სერიოზულ დათმობებზე წასვლას,

მით უმეტეს, რომ ბერლინში ზუსტ ინფორმაციას ფლობდნენ გამარჯვებულთა ბანაკში არსებულ აზრთა სხვაობებზე. 1923 წლის პირველ ოქტომბერს, ბრიტანეთის დომინიონების კონფერენცია ძირითადად ფრანგების „გაუმაძღრობის“ კრიტიკით იყო დაკავებული. არაფერ კარგს არ უქადდა ლონდონს საფრანგეთის პოზიციების ერთპიროვნული გაძლიერება გერმანიაში და საპასუხო სვლამაც არ დააყოვნა: 1923 წლის 12 ოქტომბერს, ინგლისმა ოფიციალურად მიმართა (ცხადია, წინასწარი ზონდაჟის შემდეგ) თავის ამერიკელ პარტნიორს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის წინადადებით, სადაც რეპარაციის პრობლება იქნებოდა განხილული. როგორც კი ამერიკის ელჩმა ლონდონში ჯორჯ ჰარვეიმ პრემიერ ბოლდუინს აცნობა, რომ ამერიკა მზა იყო კონფერენციაში მონაწილეობისათვის, მიპატიჟება მიიღო პუანკარემაც, რომელიც უხალისოდ დათანხმდა კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას. გამოხატავდა რა ფრანგების განწყობილებას, პუანკარე თვლიდა, რომ საფრანგეთმა დიდი ხნის წინ მიაღწია დათმობების ზედა ზღვარს, ხოლო ლონდონი და ვაშინგტონი ჯეროვნად არ აფასებდნენ მისი ქვეყნის – როგორც გერმანიის გარდუვალი სამომავლო აგრესიის მთავარი ჯებირის როლს.

სანამ ინგლისელები და ამერიკელები ევროპაში საფრანგეთის მითიური ჰეგემონიის ალაგმვის გეგმებს აწყობდნენ, გერმანიაში ჰიპერინფლაცია და სიღატაკე მძვინვარებდა; თუ 1922 წლის დეკემბერში კილოგრამი პური 130 მარკა ღირდა, 1923 წლისთვის მისმა ფასმა 300 მილიადს (!) გადააჭარბა. 1923 წლის ივლისში 262 ათას ქაღალდის მარკად ფასობდა ერთი ოქროს მარკა, ნოემბერში კი 100 მილიარდად. სულ რაღაც ოთხ თვეში 382 ათასჯერ გაუფასურდა ქაღალდის მარკა. 1923 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში ერთ ამერიკულ დოლარში 10 მილიონ მარკას იძლეუდნენ, თვის ბოლოს კი – 160 მილიონს. ცოტა ხანში უკვე მილიარდებს გადააჭარბა დოლარის ფასმა. ე.წ. სარენტო მარკის შემოღებით (1 სარენტო მარკა=1 მილიარდ ქაღალდის მარკას) შტრეზემანმა შესძლო ინფლაციის დაძლევა, თუმცა უფრო გაუარესდა წვრილი მეწარმეებისა და პენსიონერების მდგომარეობა. მო-

გებულები მრეწველები და გლეხები დარჩნენ, რომელთა კრედიტები და ვალები უცებ გაუფასურდა.

კრიზისული სიტუაციის გამოყენება სცადა კომინტერმა, რომელმაც გერმანელი კომუნისტების ხელმძღვანელობით წარუმატებელი აჯანყება წამოიწყო ჰამბურგში.

მიუნჰენის საბჭოთა რესპუბლიკის განადგურების შემდეგ ბავარია იქცა მემარჯვენე კონსერვატიული წრეებისა და ნაციონალ-სოციალისტური ძალების თავშესაფრად. იქიდან ისმოდა გაუთავებელი მოწოდებები „მარქსისტული ქაოსისაგან გერმანიის განთავისუფლებაზე". „პასიური დაუმორჩილებლობის" შეწყვეტამ საბაბი მისცა ბავარიის მთავრობას გენერალურ სახელმწიფო კომისრად, თანაც დიქტატორის უფლებებით, მემარჯვენე კონსერვატიული წრეების წარმომადგენელი ფონ კარა დაენიშნა. კარამ და ბავარიის სამხედრო ოლქის სარდალმა, გენერალმა ლოსოვმა გარკვეული როლი შეასრულეს 1923 წლის 8 ნოემბრის ჰიტლერის პუტჩის მომზადებაში. პუტჩის მიზანი იყო იტალიის სცენარით „ბერლინზე მარში". მართალია, პუტჩის მცდელობა ჩაიშალა, მაგრამ გავლენიანი სამხედრო წრეების მფარველობის შედეგად რეიხსპრეზიდენტმა ებერტმა ვერ შესძლო აჯანყების ორგანიზატორთა დასჯა.

1924 წლის 16 აგვისტოს ლონდონის კონფერენციამ დაამტკიცა საერთაშორისო ექსპერტების (ამერიკელი ბანკირის დაუესის ხელმძღვანელობით) მიერ მომზადებული გეგმა, რომლის მიზანიც იყო გერმანიის ფინანსური დახმარება, რათა უკანასკნელს რეპარაციების გადახდა შესძლებოდა. გეგმის მიხედვით, ამერიკისა და ნაწილობრივ ბრიტანეთის ბანკები, პირველ ეტაპზე გამოუყოფდნენ გერმანიას 200 მლნ. დოლარის სესხს მრეწველობის აღსადგენად. დაუესის გეგმას მოჰყვა მეორე – იუნგის გეგმა, რომელიც კრედიტების ზრდას და რეპარაციის ყოველწლიური გადასახადების შემცირებას ითვალისწინებდა. სულ, სხვადასხვა მონაცემებით, 1924–1929 წლებში გერმანიამ დაუესის გეგმით მიიღო ამერიკისაგან 2,5 მლრდ. დოლარი, ინგლისისაგან – 1,5 მლრდ. დოლარი (დაახლოებით 400 მლრდ. 1999 წლის კურსით). დაუესის გეგმის ერთ-ერთი თანაავტორი, გერმანელი ბანკირი

და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნიუნბერგის ისტორიული პროცესის ფიგურანტი, იალმარ შახტი, სიამაყით აცხადებდა 1929 წელს, რომ ხუთი წლის განმავლობაში გერმანიამ იმხელა კრედიტები მიიღო, რაც ამერიკამ 40 წლის მანძილზეო. ამ პერიოდისთვის გერმანიამ ინგლისს გაუსწრო სამრეწველო წარმოებით, რაც არც იყო გასაკვირი იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გერმანიაზე მოდიოდა ამერიკის მთელი უცხოური კაპიტალდაბანდების 70 პროცენტი. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ სწორედ დაუესისა და იუნგის გეგმებმა ჩაუყარა საძირკველი გერმანიის ეკონომიკის აღორძინებას, რაც ეფექტურად გამოიყენა ჰიტლერმა თავის მიზნებში. ყოველ შემთხვევაში ასეთ დასკვნამდე მიდის ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი რალფ ეპერსონი (74).

ამავე პერიოდში სულ უფრო და უფრო უარესდებოდა საფრანგეთის ეკონომიკური მდგომარეობა. დადებითი შედეგი არ მოჰყოლია პუანკარეს მცდელობას გადასახადების 20-პროცენტიანი ზრდით შეეჩერებინა ფრანკის კურსის ვარდნა. ყველაფერთან ერთად ინგლისის ბანკებმა ბაზარზე გაუშვეს დიდი რაოდენობით ფრანგული ვალუტა, რამაც კიდევ უფრო დასცა ფრანკის კურსი. არც ბრიტანეთის ეკონომიკა იყო სახარბიელო მდგომარეობაში, რომელსაც ჰაერივით სჭირდებოდა გასაღების ახალი ბაზრები. ომის შემდგომი ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების განხილვა-გადაჭრას ითვალისწინებდა 1922 წლის იანვარში ანტანტის უმაღლესი საბჭოს კანის კონფერენცია. საყურადღებოა, რომ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა გერმანია და სარეპარაციო კომისია. ლოიდ-ჯორჯის ინიციატივითა და დაჟინებითი მოთხოვნიდ, გადაწყდა იმავე წლის თებერვალ-მარტში, მოწვეული ყოფილიყო სპეციალური ფინანსურ-ეკონომიკური კონფერენცია რაპალოში (გენუის მახლობლად) საბჭოთა კავშირის, ავსტრიის, უნგრეთისა და ბულგარეთის მონაწილეობით. კონფერენციაზე მიიწვიეს ამერიკაც. ანტანტის უმაღლეს საბჭომ კანშივე დაამტკიცა მომავალი კონფერენციის წარმატებისათვის აუცილებელი ექვსი პირობა:

1. უცხო სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობა;

2. უცხოელი კრედიტორების ქონების, უფლებებისა და მოგების ხელშეუხებლობა;
3. კრედიტების ამღებ სახელმწიფოთა მიერ ყველა ძველი ვალების აღიარება:
4. ვაჭრობისათვის აუცილებელი ფინანსური პირობების უზრუნველყოფა;
5. სხვა სახელმწიფოთა მისამართით მტრული პროპაგანდისაგან თავის შეკავება;
6. მეზობლების საწინააღმდეგო ქმედებებისაგან თავის შეკავება.



ალექსანდრე მილიერანი
(1859-1943)
საფრანგეთის პრეზიდენტი 1920-1924 წლებში

ცალკე პუნქტად იყო აღნიშნული, რომ თუ საბჭოთა მთავრობა მოითხოვს ოფიციალურ აღიარებას, ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში თუ რუსეთი ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს მიიღებდა. ანტანტის უმაღლესი საბჭოს სახელით იტალიამ საბჭოთა რუსეთი მიიწვია მომავალ კონფერენციაზე, რაზეც მიიღო კიდეც მოსკოვის თანხმობა.

კანის კონფერენციის გადაწყვეტილებები მიუღებელი აღმოჩნდა საფრანგეთის იმ პოლიტიკური წრეებისათვის, რომელთაც საკუთარ ეკონომიკურ კრიზისზე მეტად გერმანიის გაძლიერება აწუხებდად. კლასიკურ ფრანგულ სტილში დაეცა არისტიდ ბრიანის მთავრობა და პრემიერი გახდა პუანკარე, რომელსაც, ლოიდ-ჯორჯის მტკიცებით, პათოლოგიურად სძულდა გერმანიაცა და გერმანელებიც.

ვინაიდან საფრანგეთის ახალი პრემიერი უარს ვერ იტყოდა გენუის კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობაზე, კურსი მის გაჭიანურებაზე აიღო; ჯერ იყო და მისი ინიციატივით, პარიზში გაიმართა რუსეთის კრედიტორთა კონფერენცია, რომელმაც კატეგორიულად მოსთხოვა საბჭოთა რუსეთს მეფის ვალების აღიარება, შემდეგ კი საფრანგეთის პრესაში, პუანკარეს მიერ ინსპირირებული რამდენიმე სტატია დაიბეჭდა რუსეთ-საფრანგეთის სავარაუდო კავშირზე. ეფექტური აღმოჩნდა ფრანგული დიპლომატიის მანევრები – ინგლისში ყველა როდი იყო აღფრთოვანებული ბოლშევიკურ რუსეთთან ურთიერთობის იდეით. გარდა ამისა, უკვე ცხადი იყო, რომ საფრანგეთის დახმარების გარეშე ინგლისი ვერ ახერხებდა მდგომარეობის ნორმალიზაციას ახლო აღმოსავლეთში. კუთხეში მიმწყდეულ ლოიდ-ჯორჯს, რომლის კაბინეტიც ბეწვზე ეკიდა, პუანკარესთან საერთო ენის ძებნის გარდა სხვა გზა აღარ დარჩა: 1922 წლის 25 თებერვალს, ორი პრემიერის ბულონში შეხვედრის შედეგად აპრილამდე გადაიდო გენუის კონფერენცია. მანამდე კი ლონდონში დაიგეგმა ექსპერტთა თათბირი. მარტის ბოლოს გამართულ თათბირზე განიხილეს ევროპის ეკონომიკის გაძლიერებისა და რუსეთთან მოლაპარაკების საკითხები. გადაწყდა საბჭოთა მთავრობისაგან მოეთხოვად მეფეების მიერ აღებული ვალების ცნობა, უცხოელების საკუთრებაში არსებული და ახალი ხელისუფლების მიერ ნაციონალიზებული საწარმოებისა და ქონების დაბრუნება ძველი მესაკუთრეებისათვის და უარის თქმა საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიაზე.

როდესაც 1922 წლის ათ აპრილს, მუშაობას შეუდგა გენუის (რაპალოს) კონფერენცია, ყველა ობიექტური პირობები არსებობდა საიმისოდ, რომ სახელშეკრულებო ფორმა მიეღო საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის 1920 წელს დაწყებულ ფლირტს. ევროპის დიდი პოლიტიკიდან გამარჯვებულთა მიერ დაუფიქრებლად გარიყულ გუშინდელ წამყვან სახელმწიფოებს ობიექტური რეალობა უბიძგებდა კავშირისა და თანამშრომლობისაკენ. 1921 წლის მაისიდან საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის უკვე მოქმედებდა სავაჭრო კავშირი. 1922 წლის აპრილის დასაწყისში, გენუის კონფერენციაზე გამგზავ-

რებულმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გიორგი ჩიჩერინმა, გზად ბერლინში შეიარა, სადაც ხანმოკლე მოლაპარაკებები გამართა კანცლერ იოზეფ ვირტთან და საგარეო საქმეთა მინისტრ ვალტერ რატენაუსთან. მიუხედავად საბჭოთა რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის, საგარეო საქმეთა სახკომის გიორგი ჩიჩერინის მცდელობისა, მან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე ვერ დაიყოლია გერმანელები.

როგორც გერმანია, საბჭოთა რუსეთიც პირველად ღებულობდა მონაწილეობას ასეთ წარმომადგენლობით ღონისძიებაში (სულ 34 სახელმწიფო იყო მიწვეული კონფერენციაზე. ამერიკელები არ ჩავიდნენ გენუაში), რაც უკვე დიპლომატიური გარღვევა იყო მოსკოვისათვის. სენსაცია კი 16 აპრილს, ღამის ორ საათზე მოხდა, როდესაც სასტუმროში, სადაც გერმანიის დელეგაცია იყო განთავსებული, ტელეფონის ზარი გაისმა – გიორგი ჩიჩერინი დილის 11 საათისათვის ეპატიჟებოდა რეიხსკანცლერ იოზეფ ვირტს ბერლინში დაწყებული მოლაპარაკების გასაგრძელებლად. ოპერატიულად გამართულ ღამის თათბირზე გერმანელებმა გადაწყვიტეს მიეღოდ ჩიჩერინის მიწვევა. მეორე დილით დაწყებული მოლაპარაკება დღის მეორე ნახევარში დასრულდა: ჩიჩერინმა და რატენაუმ ხელი მოაწერეს შეთანხმებას დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე, რომელიც დიპლომატიის ისტორიაში შევიდა „რაპალოს ხელშეკრულების" სახელით. თვით ხელშეკრულება არ იყო ვრცელი და სულ ექვსი მუხლისაგან შედგებოდა; მხარეები შეთანხმდნენ დიპლომატიური ურთიერთობების დაუყოვნებლივ აღდგენაზე, ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის დაწესებაზე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, უარს ამბობდნენ ურთიერთ ფინანსურ პრეტენზიებზე. ორივე ქვეყანა თავს აღწევდა პოლიტიკურ იზოლაციას. სამოქალაქო ომით დასუსტებული საბჭოთა რუსეთი იმედოვნებდა, რომ გერმანია საიმედოდ გამოთიშა ნებისმიერ სავარაუდო ანტისაბჭოურ კოალიციას და მჭიდრო ეკონომიკურ კავშირს ამყარებდა ასევე ომით დასუსტებულ, მაგრამ მაინც მოწინავე ეკონომიკურ სახელმწიფოსთან. რუსეთის სახით გერმანიასაც ესაჭიროებოდა მოკავშირე ვერსალის ზავის პირობების

გადასინჯვის სამომავლო პროცესში. გარდა ამისა, უკვე გამორიცხული იყო საფრთხე, რომ ლონდონთან და პარიზთან რაიმე გარიგებით რუსეთი მათ გადასცემდა გერმანულ რეპარაციაზე თავის უფლებებს.

საყურადღებოა, რომ გერმანიამ ასეთი მნიშვნელოვანი ხელშეკრულება ლონდონთან და პარიზთან შეთანმების გარეშე გააფორმა. უკანასკნელთ ორი დღე დასჭირდათ გერმანული სურპრიზით გამოწვეული შოკიდან გამოსასვლელად და იტალიასთან ერთად ხელშეკრულების დენონსტრირება მოსთხოვეს გერმანელებს, თუმცა უშედეგოდ. იმ დღეებში კანადის გაზეთ „ტორონტო დეილი სტარი"-ს კორესპონდენტი ევროპაში ერნესტ ჰემინგუეი წერდა, რომ მასთან პირად საუბარში ინგლისელი, განსაკუთრებით ფრანგი დიპლომატები შეშფოთებას არ მალავდნენ „ტევტონური მილიტარიზმისა და რუსული წითელი საფრთხის" კავშირის გამო, რასაც არნახულ კატასტროფამდე შეიძლება მიეყვანა ევროპა.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის მხრიდან, თვალნათლივ არსებული პრაგმატიზმი ედო საფუძვლად ბოლშევიკურ რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას, ხელშეკრულებას მწვავე რეაქცია მოჰყვა გერმანიის მემარჯვენე წრეების მხრიდან. არც რატენაუს ებრაული წარმოშობა იყო დავიწყებული – „მოკალით ვალტერ რატენაუ, ღმერთის მიერ დაწყევლილი ებრაელი ღორი" – გაჰკიოდა ულტრანაციონალისტური პრესა. 1922 წლის 24 ივნისს, გასაიდუმლოებული ნაციონალისტური ორგანიზაცია „კონსულის" წევრებმა მოკლეს კიდეც რატენაუ, ხოლო ივლისში კი იძულებული იყო თანამდებობა დაეტოვებინა ხელშეკრულების თანაავტორ იოზეფ ვირტს.

მართალია, თავის დასავლელ ყოფილ მოწინაღმდეგეებთან მოლაპარაკებებით, გერმანიამ შეძლო მისთვის მისაღებ კალაპოტში მოექცია სარეპარაციო გადასახადები და სერიოზულ კრედიტებზეც დაეყოლიებინა ამერიკა, რასაც ხელს უწყობდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში დასავლური ვექტორის გაძლიერება, მაგრამ უცვლელი რჩებოდა რაპალოს შეთანხმების ძირითადი მუხლები; 1925 წლის 12 ოქტომბერს გაფორმდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულება ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობაზე, 1926 წლის 24 აპარილს – „ხელშე-

კრულება გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობასა და ნეიტრალიტეტზე", გერმანიისაგან მიღებული კრედიტებით საბჭოთა კავშირი მისთვის აუცილებელ დანადგარებსა და მოწყობილობებს იძენდა, ვალს კი ნედლეულით იხდიდა. 20-იანი წლების დასასრულისათვის საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ერთი მესამედი მოდიოდა გერმანიაზე. რაპალოს ხელშეკრულებით დაიწყო ინტენსიური სამხედრო თანამშრომლობა გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის; რეიხსვერისა და წითელი არმიის ერთობლივი სასწავლო ცენტრები შეიქმნა ლიპეცკთან (სამხედრო-საავიაციო); ყაზანთან (სატანკო); სარატოვთან (ქიმიური ომის). საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შენდებოდა ქარხნები, გერმანიის დაკვეთებზე რომ მუშაობდნენ ვერსალის შეზღუდვების გვერდის ავლით. წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობა ხანგრძლივი მივლინებებით მიემგზავრებოდა გერმანიაში სამხედრო ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის ასათვისებლად.



არისტიდ ბრიანი
(1862-1932)
საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი 1909-1929 წლებში

ამასობაში, 1923 წლის დეკემბრის ვადამდელი არჩევნების შედეგად, ინგლისში ლეიბორისტები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში რამზეი მაკდონალდის პრემიერობით. შოტლანდიის მებადურთა პატარა ღარიბ სოფელში დაბადებული მაკდონალდი, მიზანდასახული შრომისა და მტკიცე ნებისყოფის წყალობით გახდა 1906 წელს, 40 წლის ასაკში ბრიტანეთის პარლამენტის წევრი. როგორც პარლამენტში, ასევე მეორე ინტერნაციონალში, იგი კლასთა შორის თანამშრომლობის ერთგული ქომაგი იყო. თავის უამრავ პუბლიკაციებსა და წიგნებში მაკდონალდი ჯიუტად და დაუღალავად ცდილობდა ინგლი-

სის საზოგადოების დარწმუნებას პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის თანამშრომლობის აუცილებლობაში. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და შემდგომაც, იგი უკომპრომისო პაციფიზმის პოზიციაზე იდგა, რაც საგრძნობლად უშლიდა ხელს მის კარიერულ წინსვლას. მხოლოდ 1924 წელს, როდესაც კონსერვატორებიცა და ლიბერალებიც უმცირესობაში აღმოჩნდნენ პარლამენტში, მაკდონალდი უალტერნატივო აღმოჩნდა პრემიერის პოსტზე.

რაც შეეხებოდა კონტინენტურ ევროპას, აქ რურის ავანტურის შემდეგ განუხრელად მცირდებოდა საფრანგეთის გავლენა. სიმტკიცეზე გამოცდას ვერ უძლებდა ევროპის პატარა საელმწიფოებთან პარიზის სამხედრო-პოლიტიკური კავშირების სტრატეგია, რითიც ბრიტანეთის დიპლომატია სარგებლობდა. როგორც კი პრემიერის სავარძელი დაიკავა, მაკდონალდმა სახელმწიფო პოლიტიკის დონემდე აიყვანა კურსი განიარაღებაზე და აქეთკენვე მოუწოდებდა (ხშირად კი აიძულებდა) ევროპელ მოკავშირეებსაც. 1924 წლის იანვარში, ლონდონმა ოფიციალური განმარტება მოსთხოვა იუგოსლავიას, რუმინეთსა და პოლონეთს საფრანგეთიდან მოსალოდნელი კრედიტების (იარაღის შესაძენად განკუთვნილი) თაობაზე. იუგოსლავიის მთავრობამ ოპერატიულად აცნობა ლონდონს, რომ 300 მლნ ფრანკის ოდენობის ფრანგული კრედიტი არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა გამოყენებული ინგლისის ინტერესების წინააღმდეგ, ხოლო რუმინეთის მთავრობამ კი საერთოდ უარი თქვა საფრანგეთის სამხედრო კრედიტებზე. საბოლოო ჯამში საფრანგეთმა მხოლოდ ჩეხოსლოვაკიასთან მოახერხა სრულმასშტაბიანი სამხედრო-პოლიტიკური კავშირის გაფორმება 1924 წლის იანვარში. საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ ხსენებული კავშირის პოტენციური სამიზნე უნგრეთი და გერმანია იყო, მაგრამ მას მაინც ეჭვით შეხვდა ბრიტანეთის მთავრობაცა და საზოგადოებრივი აზრიც. ერთ საგაზეთო წერილში ევროპაში მშვიდობის საფრთხედაც კი მოიხსენიებდა საფრანგეთის სამხედრო კავშირებს ე.წ. „მცირე ანტანტასთან“, ყოფილი პრემიერი ლოიდ-ჯორჯი. მისი აზრით, საფრანგეთს სურდა „შეიარაღებულ ბანაკად“ ექცია ევროპა. სინამდვილეში, თუკი რამე სურდათ დემორალიზებულ ფრანგ

პოლიტიკოსებს, პირველ რიგში თავის დაცვა გერმანიის მომავალი საფრთხისაგან, რასაც სულაც არ უწყობდა ხელს ლონდომის ნეტარმორწმუნე კურსი განიარაღებაზე.

1924 წლის მაისის არჩევნები უიღბლო გამოდგა პუანკარესა და პრეზიდენტ ალექსანდრ მილიერანისთვის: პარიზში რადიკალებით და რადიკალ-სოციალისტებით დაკომპლექტებული ე.წ. „მემარცხენე ბლოკი“ მოვიდა ხელისუფლების სათავეში. პრემიერის პოსტი ედუარდ ერიომ დაიკავა. არჩევნებიდან ერთი თვის შემდეგ, ბრიტანეთის პრემიერის ქალაქგარეთ რეზიდენცია ჩეკერსში შედგა საფრანგეთის ახლადარჩეული პრემიერის შეხვედრა ინგლისელ კოლეგასთან. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნული იყო, რომ რეპარაციისა და გერმანიასთან ურთიერთობების სხვა საკითხებში მხარეებს იდენტური პოზიციები ეკავათ. უფრო კონკრეტული იყო ფრანგ პარლამენტარებთან შეხვედრისას ერიო: მან, კერძოდ, მსმენელებს აუწყა ბრიტანეთის პრემიერის შეპირება, რომ გერმანიის მხრიდან რაიმე ანტიფრანგული ქმედებების შემთხვევაში ლონდონი პარიზის გვერდით იდგებოდა. ერიოს ვერსით, დიდმა ბრიტანეთმა ცალსახად იკისრა საფრანგეთის უსაფრთხოების გარანტის როლი. მან იგივე გაიმეორა ბელგიის გაზეთებისათვის მიცემულ ინტერვიუებშიც – გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში ინგლისი ბელგიისა და საფრანგეთის მხარეზე იბრძოლებსო. პრესა ხმამაღლა ალაპარაკდა პარიზსა და ლონდონს შორის თითქოს უკვე გაფორმებულ „მორალურ პაქტზე“.

მალე მაკდონალდსაც მოუწია საკუთარი პარლამენტისათვის განმარტებების მიცემა: ფრანგი კოლეგის მსგავსად, არც მას გააჩნდა მყარი უმრავლესობა საკანონმდებლო ორგანოში და როგორც კი ოპოზიციამ ე.წ. „მორალურ პაქტზე“ დაუსვა შეკითხვა, პრემიერმა კატეგორიულად უარყო ინგლისსა და საფრანგეთს შორის რაიმე შეთანხმების არსებობა, მით უმეტეს, საფრანგეთის წინაშე ნაკისრი სამხედრო ვალდებულება. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა კვლავ დაუბრუნდა ომის შემდგომ ეჭვნარევ უნდობლობას.

კიდევ უფრო დაიძაბა ურთიერთობა ორ მოკავშირეს შორის, როდესაც პრესაში მაკდონალდის 1924 წლის 25 ივნისით დათარიღებული წერილი გამოქვეყნდა, რომელშიც ის ლონდონში ბელგიის ელჩს წერდა, რომ საერთაშორისო ექსპერტთა წინადადებები (ძირითადად, რეპარაციის საკითხებზე) სცილდებოდა ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიაზე დაკისრებულ ვალდებულებებს და საჭირო იყო ახალი ოფიციალური დოკუმენტის შემუშავება, რომელსაც გერმანიის მხარეც მოაწერდა ხელს. ბუნებრივია, რომ ინგლისის პრემიერის ინიციატივამ უკიდურესად აღაშფოთა ფრანგული პრესა და მთელი საზოგადოება. მდგომარეობის დასარეგულირებლად ახლა უკვე მაკდონალდი გაეშურა პარიზს. 1924 წლის რვა-ცხრა ივლისის შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში აღნიშნული იყო, რომ ორივე მთავრობა აღიარებს ეკონომიკურ და ფინანსურ მოსაზრებათა მნიშვნელობას და მოკავშირეთა შორის ნდობის რეჟიმის აღდგენის აუცილებლობას, რაც პირველ რიგში მომავალ კრედიტორებს დაამშვიდებდა. ამავე დროს, კომუნიკე ამტკიცებდა, რომ ლონდონის კონფერენციაზე განხილული და დამტკიცებული იქნებოდა ექსპერტების რეკომენდაციები.

ინგლისის პარლამენტისათვის წარდგენილ ანგარიშში, მაკდონალდი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ფრანგები არასოდეს არ შეეგუებოდნენ დაუესის გეგმას, თუ უკანასკნელი ვერსალის ზავის რევიზიად აღიქმებოდა. ასეთ პირობებში დაიწყო 1924 წლის 18 ივლისს მუშაობა ლონდონის კონფერენციამ, რომელსაც წესისამებრ მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი მაკდონალდი თავმჯდომარეობდა. მან შესავალ სიტყვაშივე გაუსვა ხაზი გერმანიის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების აუცილებლობას, რამეთუ, მისი მტკიცებით, უკანასკნელზე იყო დამოკიდებული ხანგრძლივი და მყარი მშვიდობა ევროპაში. მყარი გარანტიებით უნდა ყოფილიყვნენ უზრუნველყოფილნი გერმანიის კრედიტორებიც. აღსანიშნავია, რომ ნაცვლად ჩვეულებრივი „დამკვირვებლისა“, ამერიკამ ოფიციალური დელეგაცია მიავლინა კონფერენციაზე. მწვავე სადისკუსიო თემად იქცა გერმანიის მიმართ ნავარაუდევი სანქციების პრობლემა: ვის

უნდა გადაეწყვიტა, რომ გერმანიამ წინასწარი განზრახვით დაარღვია ნაკისრი ვალდებულებები? ფაქტიურად, ამერიკელები და ინგლისელები მოითხოვდნენ, რომ პარიზს არ ჰქონოდა დამოუკიდებელი შეფასებისა და დასკვნის უფლება. თუ გერმანია შეგნებულად იტყოდა უარს რაიმე ვალდებულებების შესრულებაზე, ფრანგებს კი ეძლეოდათ სანქციების უფლება, მაგრამ ფაქტის კონსტატაცია, რომ მოხდა შეგნებული დარღვევა, სარეპარაციო კომისიას უნდა მოეხდინა, რომლის გადაწყვეტილებაც საარბიტრაჟო კომისიაში გასაჩივრებას ექვემდებარებოდა. კონფერენციის შემაჯამებელ გამოსვლაში მაკდონალდმა იმედი და რწმენა გამოთქვა, რომ ევროპამ „ზურგი შეაქცია ომის საშინელ წლებს და იმ პერიოდში გაბატონებულ აზროვნებას“.

ლონდონის კონფერენციის მთავარი შედეგი კი ასე გამოიყურებოდა:

1. კონფერენციამ უარყო რეპარაციის პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრის (ფრანგების მხრიდან) მეთოდი. სადავო საკითხები უნდა გადაეჭრა საარბიტრაჟო კომისიას ამერიკის წარმომადგენლების ხელმძღვანელობით;
2. კონფერენციამ დაგმო რურის ოკუპაცია და გადაწყვეტილება მიიღო მის დეოკუპაციაზე;
3. კონფერენციამ უარი თქვა სამხედრო ინტერვენციაზე და კურსი ფინანსურ-სამეურნეო ინტერვენციაზე აიღო. გერმანიაში უნდა შექმნილიყო საემისიო ბანკი უცხოელი კომისრის ხელმძღვანელობით. კერძო პირთა ხელში უნდა გადასულიყო სახელმწიფო რკინიგზები, რომელთა საერთო კონტროლი ასევე უცხოელ კომისარს დაევალებოდა;
4. კონფერენციამ აღიარა საფრანგეთის უფლება იძულებითი წესით მიეღო გერმანიისაგან ქვანახშირი და სხვა სამრეწველო საქონელი გარკვეული პერიოდის მანძილზე, თუმცა გერმანია უფლებას იტოვებდა საარბიტრაჟო კომისიისათვის მიემართა იძულებითი გადასახადების შემცირების, ან სულაც გაუქმების მოთხოვნით;

5. კონფერენციამ დაამტკიცა გერმანიის მიერ მოთხოვნილი 800-მილიონიანი სესხი, რომელსაც გასცემდნენ ინგლისელი და ამერიელი ბანკირები.

პრაქტიკულად, ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილებებსა და დაუესის გეგმას სერიოზული კორექტივები შეჰქონდა ევროპის ძალთა თანაფარდობაში: დომინირებულ ძალად იქცა ინგლის-ამერიკული ბლოკი, პირველ რიგში კი მკვეთრად იზრდებოდა ამერიკული კაპიტალის გავლენა. ლონდონმა შესძლო პუანკარეს პოზიციების დასუსტება და საფრანგეთის დამოუკიდებელი კურსის შებოჭვა, მაგრამ ვერ მოახერხა საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობების მთავარ არბიტრად ქცეულიყო.

გერმანიაში კი 1925 წლის არჩევნების შედეგად რეიხს-პრეზიდენტის პოსტი უკვე მხცოვანმა ფელდმარშალმა პაულ ფონ ჰინდენბურგმა დაიკავა. საინტერესოა, რომ ჰინდენბურგმა მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა არჩევნებში მონაწილეობა, ემიგრაციაში მცხოვრები ვილჰელმ მეორის თანსმობა რომ მიიღო. ვადამდელი არჩევნების მიზეზად კი რეიხსპრეზიდენტ ებერტის მოულოდნელი სიკვდილი იქცა – მას ბრმა ნაწლავის (აპენდიქსის) ოპერაცია დროზე ვერ გაუკეთეს. ხელისუფლების სათავეში ჰინდენბურგის მოსვლით დაიწყო მემარჯვენე პოლიტიკური კურსის გაძლიერება. 1926 წელს მიღებულ იქნა დებულება სახელმწიფო დროშის შესახებ – იმპერიულ შავ-წითელ-ოქროსფერ დროშასთან ერთად ხმარებაში დაბრუნდა კაიზერის დროინდელი შავ-თეთრ-წითელი სავაჭრო დროშაც.

1923 წლის აგვისტოდან ნოემბრის ჩათვლით, გერმანიის კანცლერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა სახალხო პარტიის ლიდერსა და ომის შემდგომი გერმანიის ყველაზე შორსმჭვრეტელსა და ეფექტურ პოლიტიკოსსა და დიპლომატს, გუსტავ შტრეზემანს. 1923 წლის ნოემბრიდან სიკვდილამდე (1929 წლამდე) შტრეზემანი იყო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი და მის მიერ დაარსებული სახალხო პარტიის ლიდერი. მის სახელთანაა დაკავშირებული ხსენებული პერიოდის გერმანიის ყველა საგარეო-პოლიტიკური მიღწევა,

რამაც საძირკველი გამოუთხარა ვერსალის ზავის მთელ მზიდ კონსტრუქციას.

მას შემდეგ, რაც შტრეზემანის ხელმძღვანელობით გერმანიამ ოფიციალურად უარყო ვერსალში ნაკისრი ვალდებულებების ბოიკოტის ტაქტიკა და „ვალდებულებათა შესრულების“ კურსი გამოაცხადა, დელიკატურ მდგომარეობაში აღმოჩნდა არა მხოლოდ საფრანგეთის, არამედ ინგლისის დიპლომატიაც. რეპარაციის საკითხში „მოთვინიერებული“ გერმანიის დისკრიმინაცია ახლა უკვე შეიარაღების სფეროში, ნამდვილად გაართულებდა გერმანელებთან ხანგრძლივ მშვიდობიან თანამშრომლობას. მეორე მხრივ კი, შეიარაღებული გერმანია ფრანგ პოლიტიკოსებს დააფრთხობდა და უკანასკნელნი სრული საფუძვლით მოითხოვდნენ იგივე ინგლისისაგან უსაფრთხოების გარანტიას სამხედრო კავშირის სახით. უკანასკნელის გათვალისწინებით ლონდონმა ითავა „სოლომონის გადაწყვეტილების“ ინიციატივა – 1925 წლის ზაფხულში მან პარტნიორებს (საფრანგეთსა და ბელგიას) ე.წ. „შეზღუდული ალიანსის“ იდეა შესთავაზა. სამივე მოკავშირე ერთად იზრუნებდა, რათა დაცული ყოფილიყო ბელგიისა და საფრანგეთის საზღვრები. იდეა მისაღები უნდა ყოფილიყო პარიზისთვისაც და ბრიუსელისთვისაც, მაგრამ კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა გერმანიისთვის. „ვალდებულებების შესრულების“ ტაქტიკის პოლიტიკური დივიდენდების ეფექტურობაში დარწმუნებული შტრეზემანი, იმდენად მყარად გრძნობდა თავისი ქვეყნის მდგომარეობასა და გავლენას, რომ ვეტოს რისკზეც კი წავიდა: „პაქტი გერმანიის გარეშე, გერმანიის საწინააღმდეგო პაქტია“ – საჯაროდ განაცხადა შტრეზემანმა და უცებ მოულო ბოლო ჩემბერლენის იდეასაც და ენთუზიაზმსაც, თუმცა არც ამით დაკმაყოფილდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი: 1925 წლის სექტემბრის დამლევს, გერმანიის ელჩებმა საფრანგეთის, ბელგიის, ინგლისისა და იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროებს გადასცეს ვერბალური ნოტები გერმანიის მზადყოფნის თაობაზე მონაწილეობა მიეღო სპეციალური კონფერენციის მუშაობაში, რომელიც განიხილავდა ე.წ. „საგარანტიო პაქტს“ გერმანიის მხრიდან ბელგიისა და საფრანგეთის საზღვრების აღიარებასა და

ხელუხლებლობაზე. უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო უმტკივნეულო ნაბიჯი შტრეზემანის მხრიდან – გერმანიის ნაციონალისტურ წრეებს გაგონებაც არ სურდათ რაიმე გარანტიაზე, რომელიც ელზას-ლოთარინგიაზე უარის თქმის ტოლფასი იქნებოდა.

საშინაო ოპონენტების დასამშვიდებლად შტრეზემანმა ორი წინაპირობა დაურთო კონფერენციის იდეას: 1. უარყოფილი უნდა ყოფილიყო ვერსალის ზავის მუხლი გერმანიის ერთპიროვნულ დანაშაულზე პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებაში; 2. მოკავშირეებს უნდა შეეწყვიტათ კელნის ზონის ოკუპაცია.

პირველ საკითხთან დაკავშირებით კონფერენციას უნდა განეხილა შტრეზემანის დეკლარაცია იმის თაობაზე, რომ გერმანელ ხალხს აღარ შეეძლო იმ „ყალბი" ბრალდებების თმენა, თითქოს მხოლოდ ისინი იყვნენ საშინელი ომის ინიციატორები. აქ უკვე შეუვალი იყო ლონდონის (პარიზზე რომ აღარაფერი ვთქვათ) პოზიცია – ომის დამნაშავეთა საკითხი არ განიხილებოდა კონფერენციაზე – ასეთი იყო ჩემბერლენის კატეგორიული პასუხი. მეორე საკითხთან დაკავშირებით კი გერმანელებს გასაგებად აუხსნეს, რომ ევაკუაციის დაჩქარება თივთონ გერმანიის მთავრობაზე იყო დამოკიდებული: რაც უფრო სწრაფად და პირნათლად შეასრულებდა გერმანია ნაკისრ ვალდებულებებს, მით უფრო სწრაფად დასრულდებოდა ევაკუაცია. საბოლოო ჯამში შტრეზემანი დათანხმდა წინაპირობების გარეშე გამგზავრებულიყო შვეიცარიაში, ლოკარნოში, სადაც 1925 წლის 5-16 ოქტომბერს, გერმანიის რეიხსკანცლერ ლუთერის, საგარეო საქმეთა მინისტრ შტრეზემანის, იტალიის – ბენიტო მუსოლინის (დუჩეს, ანუ ბელადს), დიდი ბრიტანეთის პრემიერ ჩემბერლენის, საფრანგეთის პრემიერ ბრიანის, ბელგიის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლების მონაწილეობით მუშაობდა კონფერენცია.

სულ შვიდი ხელშეკრულება შეიმუშავა კონფერენციამ, რომელთა ხელმოწერის ცერემონია უკვე ლონდონში გაიმართა 1 დეკემბერს. 1926 წლის სექტემბერში კი გერმანია ერთა ლიგაში მიიღეს. ლოკარნოს პაქტის მთავარი შედეგი იყო ევროპაში არსებული საზღვრების ორ კატეგორიად დაყოფა: ხელშეუხებელი დასავლეთის საზღვრები

(ანუ გერმანიის საზღვრები საფრანგეთსა და ბელგიასთან) და გერმანიისათვის არასავალდებულო საზღვრები აღმოსავლეთით, პირველ რიგში პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიასთან. მართალია გერმანიამ ორივე სახელმწიფოსთან გააფორმა საარბიტრაჟო ხელშეკრულება, რომლითაც უარს ამბობდა ტერიტორიული დავების სამხედრო ძალით გადაჭრაზე, მაგრამ ცხადი იყო, რომ აღმოსავლეთით ექსპანსია კვლავაც რჩებოდა გერმანიის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორად.

ლოკარნოს პაქტზე დაყრდნობით აპირებდა გერმანია საერთაშორისო იზოლაციის გარღვევასა და საბოლოო ჯამში რეინის ოლქის განთავისუფლებას. საამისოდ შტრეზემანი მზად იყო უარი ეთქვა ელზას-ლოთარინგიაზე, ეიპენზე, მალმედიზე და ერთა ლიგის გადაწყვეტილებებსაც კი დამორჩილებოდა. გარდა ამისა, 1925 წლის იანვარში გაუვიდა ვადა ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის ცალმხრივ რეჟიმს, რომლითაც გერმანია იყო შებოჭილი. ამიერიდან მას უფლება ეძლეოდა დამოუკიდებელი პოლიტიკა განეხორციელებინა საგარეო ვაჭრობაში. ლოკარნოს შემდეგ ძალას კარგავდა საფრანგეთსა და პოლონეთს შორის 1921 წელს გაფორმებული სამხედრო კავშირიც; ვინაიდან საგრანგეთ-გერმანიის საზღვრის დარღვევას ავტომატურად უნდა მოჰყოლოდა ხელშეკრულების გარანტ სახელმწიფოთა - დიდი ბრიტანეთისა და იტალიის ჩარევა, მომავალში საფრანგეთი სამხედრო დახმარებას ვეღარ აღმოუჩენდა პოლონეთს, ვინაიდან ეს რომთან და ლონდონთან ურთიერთობებს გაამწვავებდა. პოლონელების დასამშვიდებლად, 1925 წლის ოქტომბერში, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოფიციალურად დაადასტურა თავისი ქვეყნის ერთგულება პოლონეთთან გაფორმებული კავშირისადმი, მაგრამ ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ გერმანიის დასავლეთი საზღვრების გარანტიები არაფერი შეღავათი იქნებოდა პოლონეთის უსაფრთხოებისათვის. ვარშავის ყველა ცდა ლოკარნოს ანალოგიური გარანტიები მიეღო თავისი საზღვრებისათვის, შეუვალ წინააღმდეგობას აწყდებოდა გერმანიის მხრიდან.

ბოიკოტი, ეჭვი, გაღიზიანება და აგრესიული ნაციონალისტური რისხვა, რითაც გერმანიის პოლოტიკური სპექტის დიდი ნაწილი შეხვდა ლოკარნოს ხელშკრულებას, იმის ნათელ ილუსტრაციად იქცა თუ რა სოლიდური დისტანციით გაუსწრო შტრეზემანმა თავის თანამემამულეებს; საქმე ხომ ის იყო, რომ თუ გერმანიაში ვინმეს სურდა ვერსალის ბორკილებისაგან განთავისუფლება და ძველი ძლევამოსილების აღდგენა, მათ შორის პირველი შტრეზემანი იყო. უბრალოდ, მას სხვაზე უკედ ესმოდა, რომ მისი სამშობლო ჯერ კიდევ არ იყო მზად ღიად დაპირისპირებოდა გუშინდელ გამარჯვებულებს. შედეგი კი ის იყო, რომ პროტესტის ნიშნად მთავრობა მიატოვა გერმანიის ნაციონალურმა სახალხო პარტიამ. დეკემბრის დასაწყისში მთავრობა დატოვეს სოციალ-დემოკრატებმა და დემოკრატებმაც, რომელნიც ადრე მხარს უჭერდნენ მთავრობას. ლოკარნოს წინააღმდეგ გამოდიოდნენ ულტრა-მემარცხენეებიც, რომელთაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიისა და ინგლის-საფრანგეთის გაერთიანების ეშინოდათ.

1926 წელს „მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის", გუსტავ შტრეზემანი და მისი ფრანგი კოლეგა არისტიდ ბრიანი, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატები გახდნენ.

საბჭოთა კავშირის იზოლირების პოლიტიკა კი კვლავინდებურად ძალაში რჩებოდა. მხოლოდ 1926 წელს გერმანიასთან თავდაუსხმელობასა და ნეიტრალიტეტზე დადებული ხელშეკრულება ჩაიწერა მოსკოვმა თავის დიპლომატიურ აქტივში. ამავე დროს მოსკოვ-ბერლინის შეთანხმებამ ძალა გამოაცალა პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის თავდაცვით კავშირს საფრანგეთთან, რამე თუ საბჭოთა კავშირთან პოლონეთის ან ჩეხოსლოვაკიის ომის შემთხვევაში გერმანია თავის ტერიტორიაზე არ გაატარებდა საფრანგეთის არმიას.

ბუნებრივია, რომ ლოკარნოს პაქტით ინგლისის პოლიტიკური წრეები იყვნენ ყველაზე მეტად კმაყოფილნი: მათი ვარაუდით ხომ საბაბი აღარ ეძლეოდა საფრანგეთს ლამანშს გაღმა ეძება სამხედრო მოკავშირე, ვინაიდან პაქტმა ბოლო მოუღო ფრანგების შიშს. საჯარო გამოსვლებში ჩემბერლენი ლოკარნოს პაქტს ახასიათებდა როგორც

„ომისა და მშვიდობის წლების წყალგამყოფს. „პაქტი უნდა ვაღიაროთ დიპლომატიის ყველაზე სერიოზულ მიღწევად ევროპის დამშვიდებისა და აღდგენის საქმეში“ – წერდა იგი გაზეთ „მორნინგ პოსტის“ მოწინავე სტატიაში 1925 წლის პირველ დეკემბერს (75). იმავე წლის ნოემბერში კი მანჩესტერში, „ერთა ლიგის მეგობრების“, გერმანიასთან დაზავების მორიგი წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგზე, ინგლისის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ლორდი გრეი იმედოვნებდა, რომ ლოკარნოს პაქტი შეუძლებელს გახდიდა ახალი სამხედრო ბლოკების შექმნას: „საფრანგეთისა და გერმანიის ერთ ჯგუფში გაერთიანებით, ლოკარნო გაანეიტრალებს ევროპაში ორი დიპლომატიური დაჯგუფების ისეთ საფრთხეს, როგორიც მაშინ არსებობდა, როდესაც გერმანია ერთ ბლოკს ქმნიდა, საფრანგეთი მეორეს“ (76). სინამდვილეში კი ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების ურთიერთობებში არც ნდობა გაძლიერებულა და არც სიმშვიდე. განსაკუთრებით მწვავე ფორმები საფრანგეთისა და ინგლისის ურთიერთობამ მიიღო; ლონდონი დემონსტრაციულად იგნორირებდა პარიზის ნებისმიერ პრეტენზიებს გერმანიის მიმართ. ბრიტანული ოფიციოზი „ტაიმსი“ იმის მტკიცებამდეც კი მივიდა, რომ თითქოს „საფრანგეთი და გერმანია აბსოლუტურად თანაბარ“ პირობებში იმყოფებოდნენ. ჩემბერლენი ტრადიციულად ეფიცებოდა „ერთგულ მეგობრობას“ ომის დროინდელ მოკავშირეს, მაგრამ იქვე დასძენდა, რომ „აღარ არსებობენ მოკავშირეები, დროა ეს სამხედრო ტერმინი ამოვიღოთ პოლიტიკური ლექსიკონიდან“-ო.

პარალელურად ძლიერდებოდა ინგლისის კავშირები იტალიასთან. რომისა და ლონდონის სიახლოვე უკვე ლოკარნოში იქცა საერთაშორისო ურთიერთობების სერიოზულ ფაქტორად, ხოლო ლოკარნოს შემდეგ კი კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო ორი ქვეყნის დიპლომატიურმა თანამშრომლობამ. 1925 წლის დეკემბერში, რომში შესდგა ინგლისსა და იტალიას შორის აბისინიის საკითხზე ნოტების გაცვლის ცერემონიალი; საქმე ის იყო, რომ ჯერ კიდევ 1919 წელს შეეცადა იტალია ინგლისის დახმარებით გაემყარებინა პოზიციები აბისინიაში, თუმცა მაშინ გაგებით არ შეხვდა ლონდონი რომის ეს-

პანსიურ ამბიციას. ლოკარნოს შემდეგ კი ჩემბერლენი მზად იყო დახმარებოდა მუსოლინის. აბისინიის ნეგუსის (მეფის) ჰაილე სელასიე პირველის მტკიცე პოზიციამ (მან ერთა ლიგასაც მიმართა დახმარებისთვის) მუსოლინი აიძულა უკან დაეხია. მით უმეტეს, რომ ნეგუსს ვაშინგტონი უმაგრებდა ზურგს. იტალიელთა რისხვა კი მთლიანად საფრანგეთს დაატყდა თავს. მუსოლინი დარწმუნებული იყო, რომ ფრანგებმა ასწავლეს ნეგუსს ერთა ლიგისა და ვაშინგტონის გზა. 1926 წლის იანვრის დამლევს, სამხედრო ვალების თაობაზე ხელშეკრულება ფორმდება რომსა და ლონდონს შორის – პირველი მსოფლიო ომის პერიოდში დაგროვილი ვალების გასტუმრების საკითხში მიღწეული შეთანხმება საგრძნობი შეღავათი იყო იტალიის ეკონომიკისათვის. იმავე წლის ოქტომბერში, ლონდონის დიპლომატიური ლობირებით „მეგობრობის ხელშეკრულება“ ფორმდება რომსა და მადრიდს შორის. ფრანგული პრესის ვერსიით, ეს იყო საიდუმლო სამხედრო გარიგება ჩრდილოეთ აფრიკაში საფრანგეთის კოლონიების ხარჯზე. ვინაიდან საიდუმლოებას არ წარმოადგენდა იტალიის მადა ჩრდილოეთ აფრიკაში, ფრანგი ექსპერტები საფუძვლიანად ვარაუდობდნენ, რომ ესპანეთმა თანხმობა მისცა მუსოლინის საფრანგეთთან ომის შემთხვევაში მის გაკარგულებაში გადაეცა ხმელთაშუა ზღვაში სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ბალეარის კუნძულები.

1926 წლის სექტემბერში კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ჩემბერლენი დ მუსოლინი ლივორნოში. ევროპაში იტალიის პოზიციების გაძლიერების მორიგი ილუსტრაცია იყო 1927 წლის 5 აპრილს, უნგრეთთან გაფორმებული მეგობრობის ხელშეკრულება. პარალელურად იზრდებოდა იტალიის ეკონომიკური წონაც ევროპაში; 1925-1926 წლებში უკვე შთამბეჭდავი იყო იტალიის ექსპორტის მოცულობა ბალკანეთში, მცირე აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. ომამდელ პერიოდთან შედარებით 2-3-ჯერ გაიზარდა იტალიის ექსპორტი ბულგარეთში, საბერძნეთში, რუმინეთში, იუგოსლავიასა და თურქეთში. მიუხედავად ყოველივე ამისა, იტალიის მრეწველობის „აქილევსის ქუსლად“ რჩებოდა ნედლეულის პრობლემა: ქვანახშირი, ნაცთობი, მადნეული, ხორბალი, ხე-ტყე, ყველაფერი ეს უცხოეთიდან შეჰქონდა. აქტიური

ექსპანსიისაკენ უბიძგებდა მუსოლინის რეჟიმს გასაღების ბაზრებისა და ნედლეულის პრობლემა. „რომის იმპერიის აღდგენისა“ და „დიდი იტალიის“ იდეა მოსვენებას არ აძლევდა მუსოლინის. ვერსალის სისტემას კი რომელმაც „თავისი ადგილი“ მიუჩინა მის ქვეყანას, „ეროვნულ მტრად“ მოიხსენიებდა მეგალომანიურად პატივმოყვარე დუჩე. ხმელთაშუა ზღვის რაიონში გაბატონება იქცა იტალიის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ მიზნად, ხოლო პირველ სამიზნედ კი ბევრი რომის პროვინცია კართაგენი (თანამედროვე ტუნისი). 1925 წლიდან მოყოლებული, იტალიის ფაშისტური პრესა დაუფარავად ეწეოდა საფრანგეთთან ომის პროპაგანდას. 1926 წლის იანვარში, პარლამენტში გამოსვლისას, მუსოლინიმ მთელი ევროპის გასაგონად განაცხადა, რომ იტალიელი ერი უკვე მზად იყო პერმანენტული ომებისათვის. ბრძოლების მთავარ ველად კი ხმელთაშუა ზღვის არეალი მოიაზრებოდა. მუსოლინი ხშირად იმეორებდა, რომ იტალია აქ ან მბრძანებელი, ან ტყვე უნდა ყოფილიყო.

ევროპის მეორე პოტენციური მტაცებლის – გერმანიის პოლიტიკის პირველ ვიოლინოდ 20-იანი წლების დასასრულამდე შტრეზემანი რჩებოდა. ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი ჟორჟ ბლონდელი, რომელიც ახლო იცნობდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს, ასე ახასიათებდა მას წიგნში „გერმანიზმის ტრიუმფი“: „თვლიდა რა თავს ევროპის პირველ დიპლომატად, შტრეზემანი დიპლომატიის საშუალებით იმედოვნებდა მისთვის საჭირო მიზნების მიღწევას, ის ხვდებოდა, რომ გერმანიისათვის კატასტროფა იქნებოდა ახალი ომი. ის ცდილობდა ნიადაგი მოემზადებინა ხელშეკრულების (იგულისხმება ვერსალის ხელშეკრულება – ს.ც.) გადასინჯვისათვის და ევროპის ისეთ ორგანიზებას, სადაც გერმანია იქნებოდა წამყვანი სახელმწიფო“ (77). საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მისი მოღვაწეობის მთავარ მიზნად რჩებოდა ვერსალის ხელშეკრულების გაუქმება. მას აზრადაც არ ჰქონია ლოკარნოს პაქტის კეთილსინდისიერად შესრულება. თავის ამოცანად ის ვერსალის სამხედრო მუხლების სწრაფ გაუქმებასა და ამ მხრივ რეინის ოლქის ევაკუაციას მიიჩნევდა. ამისათვის სჭირდებოდა მას ერთა ლიგის წევრობაც. თუ კი ლიგა უარს იტყოდა ვერ-

სალის მშვიდობიან რევიზიაზე, შტრეზემანი დაუყოვნებლივ დატოვებდა მის რიგებს. „გუსტავ შტრეზემანი საშიში მოწინააღმდეგე იყო – ასკვნიდა ბლონდელი, – თუმცა ერთი შეხედვით მისი პოლიტიკა განსხვავდებოდა ჰიტლერის პოლიტიკისაგან, მაგრამ მან გაუკვალა გზა ჰიტლერს“ (78).

როდესაც 1926 წლის გაზაფხულზე დღის წესრიგში დადგა ერთა ლიგაში გერმანიის მიღების საკითხი, შტრეზემანმა ლიგის საბჭოში მუდმივი წევრის ადგილი კატეგორიულად მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპელ დემოკრატებს საბჭოთა რუსეთთან დაახლოებით დაემუქრა. ეს უკანასკნელნი იძულებულნი გახდნენ სრულად დაეკმაყოფილებინად მისი ულტიმატუმი. სხვა რაზე, თუ არა გერმანიის გავლენაზე მეტყველებდა ეს ფაქტი? ახლა უკვე საფრანგეთიც იძულებული იყო ტრადიციული ანტიგერმანიზმი მოეთოკა და ამბიციურ მეზობელთან დაახლოებაზე ეზრუნა: 1926 წლის 17 სექტემბერს, პრესისაგან მალულად, საფრანგეთ-შვეიცარიის საზღვრისპირა პატარა სოფელ ტუარიში, საიდუმლოდ შეხვდნენ ერთმანეთს საგარეო საქმეთა მინისტრები ბრიანი და შტრეზემანი. ბრიანი გერმანიის დახმარებით აპირებდა ფრანკის შერყეული კურსის გაძლიერებას, შტრეზემანი რეინის ოლქის ვადამდელ ევაკუაციაზე ოცნებობდა. მხარეები პრინციპში შეთანხმდნენ. საუბარში საბჭოთა კავშირთან სამომავლო ურთიერთობების საკითხიც განიხილეს. ბრიანის პროგნოზით, უკვე დათვლილი იყო ბოლშევიკების დღეები და უკრაინისა და საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრის დრო დგებოდა.. მართალია, შეხვედრის შემდეგ პრესაში გამოქვეყნებულ საფრანგეთის მთავრობის კომუნიკეში აღნიშნული იყო, რომ მთავრობამ მოიწონა საგარეო საქმეთა მინისტრის ანგარიში, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ თვითონ ბრიანმა უარყო ტუარიში მიღწეული შეთანხმება. მინისტრის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა მთლიანად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად პატიოსნად შეასრულებდა გერმანია ლოკარნოში ნაკისრ ვალდებულებებს. მიუხედავად ამისა, ფრანგულმა პრესამ მაინც წამოიწყო ფართომასშტაბიანი კამპანია „ტუარის კურსის“ წინააღმდეგ. ბრიანს ვერსალის ხელ-

შეკრულების რევიზიის ბრალდებაც კი წაუყენეს. 1926 წლის პირველ ნოემბერს საფრანგეთის ელჩმა ბერლინში ოფიციალურად აცნობა შტრეზემანს, რომ მისი მთავრობა უარს ამბობდა ტუარიში მიღწეულ შეთანხმებებზე. 1927 წლის იანვარში, პარლამენტში დასმულ შეკითხვაზე ბრიანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ტუარიში ის არაფერზე არ შეთანხმებია შტრეზემანს. ტუარის დიპლომატიური რანდევუ, თუმცა ერთ უმნიშვნელო ეპიზოდად დარჩა ევროპის დიპლომატიურ ისტორიაში, მაგრამ მაინც შეუწყო ხელი საერთო სიტუაციის გაუარესებას.

პარლამენტში ბრიანის გამოსვლამდე ერთი თვით ადრე კი მოკავშირეებმა სამხედრო კონტროლისაგან გაანთავისუფლეს გერმანია. სახეზე იყო ლოკარნოს მნიშვნელოვანი შედეგი: ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი მუხლის გაუქმება.

თუ ვინმე გრძნობდა იმდროინდელ ევროპაში მზარდი გერმანული საფრთხის რეალობას, პირველ რიგში, ეს ფრანგი პოლიტიკოსები და, კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრი, მთავრობის უამრავი კაბინეტის მუდმივი მობინადრე, ბრიანი იყო (იგი რამდენჯერმე იყო პრემიერი, თორმეტჯერ საგარეო საქმეთა მინისტრი და თვრამეტჯერ ხელმძღვანელობდა სხვადასხვა სამინისტროებს). მისთვის უცხო იყო ილუზიების ტყვეობა და კარგად ხედავდა, თუ როგორ ტოვებდა ბრიტანეთი გერმანიის პირისპირ მის ქვეყანას. ომის დროინდელი მოკავშირეებიდან ამერიკას თუ შეეძლო დამოუკიდებლად შეეჩერებინა გერმანია, მაგრამ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ვილსონმა თავის სიჯიუტესა და პირად სიმპატია-ანტიპატიებს გადააყოლა ვერსალის ხელშეკრულებაცა და ერთ ლიგაც, ფიქრიც აღარ შეიძლებოდა ამერიკელებთან სამხედრო კავშირზე. სამაგიეროდ, ამერიკაშივე გამოუჩნდა ბრიანს პაციფისტი მოკავშირე ჯორჯ შოტველის სახით – ამ უკანასკნელმა ბრიანს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში ომებზე უარის ფართომასშტაბიანი სამშვიდობო ინიციატივით გამოსვლა შესთავაზა. სულ არაფერს ბრიანმა რეზონანსული აქცია ამჯობინა და 1927 წლის აპრილს წინადადებით მიმართა ამერიკას გაეფორმებინათ ხელშეკრულება „მუდმივ მეგობრობასა და ომის, როგორც ეროვნული

პოლიტიკის საშუალების აკრძალვაზე". ბრიანის ამერიკელ კოლეგა კელოგს დიდი ფიქრი არ დასჭირვებია, რომ ამერიკული პრაგმატიზმით ჩასწვდომოდა პარიზის ინიციატივას: მხოლოდ აბსტრაქტულ კეთილ ნებაზე დაფუძნებული ხელშეკრულება, რომელიც კონკრეტულ ვალდებულებებს არ აკისრებდა ვაშინგტონს, ეფექტურ პროპაგანდისტულ აქციად იქცეოდა მოახლოებული არჩევნების პერიოდში. ამერიკულ რეალიებზე იყო მორგებული კელოგის საპასუხო შეთავაზებაც: უკიდეგანოდ გაეფართოებინათ მომავალი ხელშეკრულების მონაწილეთა რაოდენობა. საბოლოო ჯამში, 1928 წლის 27 აგვისტოს გაფორმებული პაქტის მონაწილენი გახდნენ: ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ-აფრიკის კავშირი, ირლანდია, ინდოეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და იაპონია. მოგვიანებით მიუერთდა პაქტს საბჭოთა კავშირი და კიდევ 48 სახელმწიფო. მიერთებაზე უარი თქვეს ჩეხოსლოვაკიამ, არგენტინამ, ბრაზილიამ, მექსიკამ, კოლუმბიამ და საუდის არაბეთმა. ისტორიულ ირონიად იქცა ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, დამატებით კიდევ 63 სახელმწიფო მიუერთდა პაქტს და უკანასკნელი იქცა მსოფლიოში ყველაზე გლობალურ შეთანხმებად, თუმცა ამან ოდნავაც ვერ დაიცვა იგივე მსოფლიო კიდევ ერთი, უპრეცედენტოდ საშინელი ომისაგან.

1930 წელს, ბრიან-კელოგის პაქტის ინიციატივისა და მომზადებისათვის ნობელის მშვიდობის პრემია მიენიჭად ბრიანსა და კელოგს. ბრიანი უკვე იყო 1926 წლის ლაურეატი ლოკარნოსათვის. ბრიან-კელოგის პაქტის მთავარ დამსახურებად, ალბად, ის ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს, რომ მან სამართლებრივი საფუძველი მისცა ნიურნბერგის პროცესს, რათა დამატებითი ბრალდება (საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევა) წაეყენებინა გერმანიისათვის. მანამდე კი, სანამ ნიურნბერგამდე დიდი დრო იყო, მთელი ევროპისა და მსოფლიოს თვალწინ უახლოვდებოდა გერმანია ზღვარს, რომლის მიღმაც წარსულის მოგონებად იქცეოდა ვერსალის ზავი თავისი სანქციებითა და შეზღუდვებით.

მას შემდეგ, რაც გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა, 1926 წლის ხელშეკრულებით გამოაცხადეს ურთიერთ ნეიტრალიტეტი, კიდევ ერთხელ შეიცვალა ძალთა თანაფარდობა ევროპაში; კოლექტიური უსაფრთხოების ისედაც მყიფ მდგრადობას კონტინენტის ორი წამყვანი სახელმწიფო გამოაკლდა, თანაც ორივე პოლონეთისადმი ღიად მტრულად განწყობილი. სიტუაციის პასიური მეთვალყურენი კი ფრანგები იყვნენ. ცხადია, რომ არჩევანის არსებობის შემთხვევაში ადექვატური იქნებოდა ბრიანის რეაგირება, მაგრამ საქმეც ის იყო, რომ პარიზი შეზღუდული რჩებოდა საკუთარ ქმედებებში: საკმარისი იქნებოდა გერმანიას რაიმე საბაბით ეთქვა უარი ვალდებულებების შესრულების კურსზე და პარიზს გარანტირებული ჰქონდა ლონდონისა და ვაშინგტონის ბრალდებები, აქედან გამომდინარე ყველა დიპლომატიური შედეგით. 1929 წელს კი მოქმედების ვადა გასდიოდა „დაუესის გეგმას“, ხოლო ახალ, ე.წ. „იუნგის გეგმას“ მძაფრი წინააღმდეგობით შეხვდნენ ნაცისტებისა და კომუნისტების მხარდაჭერით ზურგგამაგრებული გერმანელი კონსერვატორები. ვითარებას დრამატიზმი შემატა 1929 წლის სამ ოქტომბერს შტრეზემანის გარდაცვალებამ. მართალია, იგი სულაც არ ყოფილა „ნამდვილი ევროპელი“, რა გაგებითაც ევროპის დემოკრატიული წრეები მიიჩნევდნენ, მაგრამ მისი ფრთხილი, რბილი, არაკონფრონტაციული და გარეგნულად არააგრესიული კურსი სავსებით აწყობდა როგორც ლონდონსა და ვაშინგტონს, ასევე ნაწილობრივ პარიზსაც. კი იყო შტრეზემანის სტრატეგიული მიზანი გერმანიის სამხედრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ძლევამოსილების აღდგენა, მაგრამ მის სიცოცხლეში გამორიცხული იყო ჰიტლერის მოსვლა ქვეყნის სათავეში.

გერმანულ და მსოფლიო ისტორიოგრაფიაში ათეული წლების მანძილზე მიმდინარეობდა დისკუსია (რაც, დროდადრო დღესაც იჩენს თავს) ევროპის ერთ-ერთ უძველეს ცივილიზებულ საზოგადოებაში ფაშიზმის აღმოცენებისა და აღზევების გამომწვევ მიზეზებზე. მთავარი პოლიტიკური მიზეზი რასაკვირველია ომში დამარცხების შედეგები იყო. დამარცხების პოლიტიკური შოკი იმანაც გააძლიერა, რომ 4-წლიან ბრძოლაში გერმანია ხშირად უახლოვდებოდა საბო-

ლოო გამარჯვებას და ბრძოლები ძირითადად გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. რესურსების დეფიციტმა და სისხლისმღვრელმა ბრძოლებმა ჯერ ორ, შემდეგ ექვს (!) ფრონტზე ვილჰელმ მეორის რეჟიმის კაპიტულაცია გამოიწვია, თანაც გადამწყვეტ მომენტში კაიზერმა ხელიდან გაუშვა მეტ-ნაკლებად მისაღები ზავის შანსი. შემდეგ კი გამარჯვების 4-წლიანი ილუზია გაუჭრელი კოზირის კარტად იქცა ულტრა-ნაციონალისტების ხელში, რასაც არც ფართო მასების მხარდაჭერა არ აკლდა. გერმანელები სამშვიდობო ხელშეკრულებით ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებასაც ვარაუდობდნენ (ელზას-ლოთარინგიის გამოკლებით). ამიტომ იყო, რომ „პოლონეთის კორიდორი“ შოკისმომგვრელ კატასტროფად აღიქვეს მთელ გერმანიაში. ნაკლებად მტკივნეული არც რეინის ოლქის დემილიტარიზაცია და საარზე ფრანგების ამბიცია იყო. არ შეიძლებოდა საერთოსახალხო გულისწყრომა არ მოჰყოლოდა გრანდიოზულ რეპარაციას, არმიის დაშლას, ფლოტის დაკარგვას (თანაც ისტორიულად მძლავრი სამხედრო ტრადიციების მქონე ქვეყანაში). როგორც ცხადჰყო შემდგომმა მოვლენებმა, იმ გარემოებამ შეასრულა გადამწყვეტი როლი, რომ უკიდურესად რეპრესიული საზავო პირობებიც კი არ აღმოჩნდა საკმარისი გერმანიის თუნდაც იმ ვადით დასასუსტებლად, სანამ ახალი თაობა ვერსალის დამცირებას დაივიწყებდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სახელმწიფოებრივი ერთობა, რომელმაც გაუძლო მკაცრ გამოცდას. აქ უკვე თავი იჩინა ბისმარკის მიერ აშენებული სახელმწიფოს საშენი მასალის სიმტკიცემ: სამრეწველო, ფინანსური, დემოგრაფიული და სამეცნიერო პოტენციალი სწრაფად ამუშავდა ჩვეულ რიტმში. სულ მალე შეძლეს გერმანელებმა ევროპის ცხვირწინ აევლოთ გვერდი მკაცრი შეზღუდვებისათვის და რეალური არმია სპორტულ-განმაჯანსაღებელი საზოგადოებების შირმით შეექმნათ. ყველაზე საოცარ პარადოქსად კი ის იქცა, რომ დამარცხებული, საფუძვლიანად გაბარცული და ტერიტორიებდაკარგული გერმანია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ომამდელ პერიოდზე უკეთეს პოზიციებზე აღმოჩნდა: თუ ომამდე მას აღმოსავლეთით მძლავრი რუსეთის იმპერია, დასავლეთით – სამხედრო და ფინანსური თვალ-

საზრისით მძლავრი, ელზას-ლოთარინგიის დაბრუნებაზე მეოცნებე საფრანგეთი, სამხრეთით – ხარბი და კაიზერის ქრონიკული თავის ტკივილი – ავსტრია-უნგრეთი, ჩრდილოეთით კი ზღვათა მპყრობელი, დედამიწის თითქმის ერთი მეოთხედის მაკონტროლებელი დიდი ბრიტანეთი ესაზღვრებოდა, ომის შემდეგ, ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერ გერმანიას, აღმოსავლეთიდან პატარა-პატარა სუსტი ქვეყნები, სამხრეთიდან – ომისაგან ძალაგამოლეული და მწვავე დემოგრაფიულ კრიზისში მყოფი, პოლიტიკურ ნება დაკარგული საფრანგეთი ესაზღვრებოდა. არც ბრიტანეთი იყო ომამდელ „ფორმაში“– სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ომით დასუსტებულ იმპერიას, აღარ ძალუძდა მსოფლიოში უდიდესი სამხედრო ფლოტის შენახვა.

გერმანიაში ფაშიზმის გამარჯვების მეორე პოლიტიკურ მიზეზად იქცა ვეიმარის რესპუბლიკის სისუსტე. მართალია, მისი კონსტიტუცია სამართლიანად ითვლებოდა იმდროინდელ ევროპაში ყველაზე დემოკრატიულად, მაგრამ ეკონომიკურმა კრიზისმა, რევანშისტული განწყობილების გაძლიერებამ და მემარჯვენე ექსტრემისტულმა რეციდივებმა საპარლამენტო და სახელისუფლებო განუკითხაობა და კრიზისი განაპირობა. ფაშიზმმა, რომელიც მემარჯვენე ნაციონალისტურ, სანახევროდ გასამხედროებულ მიმდინარეობად წარმოიშვა, შესძლო საკუთარ ინტერესებში განეყენებინა ის დაბნეულობა და სულიერ-ფსიქიკური ტრავმა, რომელიც იმდროინდელი გერმანიის საზოგადოებას ტანჯავდა.

1930 წლის ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, გერმანიამ დროებით შეწყვიტა რეპარაციის გადახდა, 1933 წელს კი, უკვე ჰიტლერის მთავრობამ საერთოდ თქვა უარი გადახდაზე, რასაც ჩუმი თანხმობით შეხვდა ევროპის საზოგადოებრიობა. რეპარაციებზე უარი იყო ჰიტლერის ეკონომიკური პროგრამის მთავარი პუნქტი, რაც ფაშიზმის პოპულარობის ერთ-ერთ მიზეზად იქცა. იოლი ასახსნელი იყო უკანასკნელი ქვეყანაში, სადაც ყოველ მაღაზიაში, ნებისმიერი საქონლის ფასის დანამატად, მითითებული იყო სარეპარაციო თანხის გადასახადი. 1928 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა და მასთან ბრძოლაში გერმანიის მთავრობების უუნარობამ, გადამწყვეტი როლი შეასრულა

იმ ერთის შეხედვით ძნელად ასახსნელ პარადოქსში, რომ ერმა, რომელმაც კაცობრიობას მისცა დანტე, გოეთე, გუტენბერგი, ხელისუფლების სათავეში დაბადა ისეთი ურჩხული, როგორიც ჰიტლერი იყო.

ასე თუ ისე, 1933 წლის 30 იანვარს, გერმანიის პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა რეიხსკანცლერის პოსტი ადოლფ ჰიტლერს ჩააბარა. იმავე საღამოს, 25 ათასმა „მოიერიშემ“ („შტურმოვიკებმა“) ანთებული ჩირაღდნებით, საზეიმო სვლა მოაწყეს პრეზიდენტის სასახლის წინ. ერთი ფანჯრიდან მათ ჰინდენბურგი ესალმებოდა, მეორედან – ჰიტლერი. იწყებოდა თორმეტწლიანი რეიხი.

საინტერესოა, რომ ახალ კანცლერს გერმანიის მოქალაქეობის მხოლოდ ერთწლიანი სტაჟი ჰქონდა: მსოფლიო ომში გერმანიის არმიაში იბრძოდა ავსტრიელი ჰიტლერი და პირადი სიმამაცისთვის პირველი ხარისხის რკინის ჯვრითაც კი იყო დაჯილდოებული. ომის შემდეგ კი იგი ბავარიაში ემალებოდა მთელი ექვსი წელი ავსტრიის მთავრობას, რისთვისაც ავსტრიის მოქალაქეობა ჩამოერთვა. მოქალაქეობის გარეშე დარჩენილი გახდა იგი 1921 წელს გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ლიდერი. 1930 წელს კატეგორიული უარი თქვა მოქალაქეობის მიღებაზე „შემოვლითი“ (ანუ „პარტიული“ გზით), თუმცა ორი წლის შემდეგ ზუსტად ასე ხდება გერმანიის მოქალაქე: ბრაუნშვეიგში მას ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო მრჩევლად ირჩევენ, რაც ავტომატურად ნიშნავდა გერმანიის მოქალაქეობას.

1932 წლის მარტში, საპრეზიდენტო არჩევნებში ნაციონალ-სოციალისტები უკვე პრეზიდენტის პოსტზე აყენებენ ჰიტლერის კანდიდატურას. მართალია, ჰინდენბურგი იმარჯვებს (მეორე ტურში), მაგრამ იმავე წლის ივლისში, რეიხსტაგის არჩევნებში 37,4 პროცენტით, ჰიტლერის პარტია გადის პირველ ადგილზე (და არა 80-90 პროცენტით, რის მტკიცებასაც ხშირად ვხვდებით ჩვენს პუბლიკაციებში) და მთელი 16 პროცენტით უსწრებს მეორე ადგილზე გასულ სოციალისტებს. ჰინდენბურგი იძულებულია გაითვალისწინოს დემოკრატიული არჩევნების შედეგები და გამარჯვებული პარტიის ლიდერს ვიცე-კანც

ლერის პოსტს სთავაზობს. პარტიაში ყველას აწყობს ასეთი კომპრო-მისი, გარდა ლიდერისა: ჰიტლერი კანცლერის პოსტს ითხოვს და ღე-ბულობს კიდეც. ასე ხდება გერმანიის ახლადგამომცხვარი მოქალაქე ;ევროპისა და მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოს მმართ-ველი.

კანცლერად დანიშვნის მეორე დღესვე, რადიოთი გამოსვლისას, ჰიტლერმა კომუნიზმთან ბრძოლა დაასახელა თავისი მთავრობის მთავარ მიზნად: „მომეცით 4-წლიანი ვადა. ჩვენი მთავარი ამოცანაა ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ". კომუნისტური რუსეთით და-შინებული ევროპის დედაქალაქებში, ცხადია, ასეთ ლოზუნგს პროტესტი არ მოჰყოლია.

ოსტატურად ისარგებლა რა მოულოდნელობის ეფექტით და კონ-სოლიდაციის დრო არ მისცა ქვეყნის ანტინაციონალისტურ ძალებს, ჰიტლერს არც მერე დაუკარგავს დრო „ფუჭად": პირველ თებერვალს მან დაითხოვა პარლამენტი და ახალი არჩევნები დანიშნა. მემარცხენე ძალებს ეკრძალებოდად მიტინგების მოწყობა და ამომრჩევლებთან შეხვედრები ღია ცის ქვეშ, დარბაზებს კი მათ არავინ აძლევდა: ბრძა-ნებულებით – „გერმანელი ხალხის დაცვის შესახებ", იკრძალებოდა ნაციზმის ნებისმიერი სახით კრიტიკა, ნებადართული იყო ე.წ. „პრე-ვენტიული დაპატიმრებები" იურიდიული სანქციის გარეშე; შინაგან საქმეთა მინისტრის ჰერმან გერინგის „ბრძანებულებით სროლაზე", პოლიციას იარაღის გამოყენების უფლება მიეცა. 27 თებერვალს, რე-იხსტაგში ხანძარს ათი ათასი სოციალ-დემოკრატის, კომუნისტისა და სხვა „არასანდო" პარტიების აქტივისტთა დაპატიმრებები, კომპარტი-ისა და სოციალ-დემოკრატების ცალკეული ორგანიზაციების აკრძალ-ვა მოჰყვა; „მოღალატეებზე" მარტის ბრძანებულებაში პირველადაა ნახსენები საკონცენტრაციო ბანაკები, წლის ბოლომდე კი მათმა რაოდენობამ ასამდე მიაღწია; 29 მარტს ძალაში შედის ჩამოხრჩობით სიკვდილით დასჯის კანონი; უქმდება ადგილობრივი პარლამენტები (რჩება მხოლოდ პრუსიის); პირველ აპრილს – „ბოიკოტი" ებრაელებს; იკრძალება ქვეყნიდან თავისუფალი გასვლა; იზღუდება ადგილობ-რივი თვითმმართველობა. აღდგა ყველა ძველი ორდენი და ტიტული;

უნივერსიტეტებიდან აძევებენ პროფესორთა 15 პროცენტს; აპრილის ბოლოს იქმნება გესტაპო; ნოემბერში ტარდება რეფერენდუმი ერთა ლიგიდან გამოსვლაზე.

1934 წლის ზაფხულში ჰიტლერი უკვე საკუთარ პარტიაში აწყდება სერიოზულ ოპოზიციას; „ძველი გვარდია“ კიდევ უფრო რადიკალურ ნაბიჯებს და არმიაში მისი („შტურმოვიკების“) როლის გაძლიერებას მოითხოვს. სწრაფი და ხისტია ჰიტლერის რეაგირება: 30 ივნისი „გრძელი დანების ღამის“ სახელწოდებით შევიდა ფაშისტური მმართველობის ქრონიკებში: რამდენიმე ასეული ოპოზიციონერი ფიზიკურად გაანადგურეს. ჰიტლერი უკვე აბსოლუტური ძალაუფლების მპყრობელი ხდება. ამიერიდან არმიის ოფიცრები ფიცს სდებენ არა სამშობლოსა და კონსტიტუციის, არამედ ფიურერის ერთგულებაზე. „გერმანიის კანონი და კონსტიტუცია – ჩვენი ფიურერის ნებაა“ – საზეიმოდ აცხადებს უმაღლესი მოსამართლე.



ადოლფ ჰიტლერი
(1889-1945)
ფაშისტური გერმანიის რეიხსკანცლერი და ფიურერი

თავი მეთორმეტე
ფაშისტური გერმანია და ბოლშევიკური რუსეთი საერთაშორისო არენაზე

ევროპაში დამკვიდრებული პესიმიზმი იყო კიდევ ერთი მომენტი, რამაც გარკვეული პოლიტიკური ფონი შექმნა და გაადვილა ჰიტლერის მოსვლა გერმანიის სათავეში. როგორც ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰენრი სტიმსონი წერდა, „კონტინენტზე გაბატონებული იყო უიმედობის ატმოსფერო“ (79). ასეთ ვითარებაში დაიწყო მუშაობა ჟენევაში 1932 წლის ორ თებერვალს განიარაღების საერთაშორისო კონფერენციამ.

კონფერენციის მუშაობის ტონის მიმცემი ფრანგები და გერმანელები იყვნენ: ერთნი გერმანიის მილიტარისტული ამბიციების შეკა-

ვებას ცდილობდნენ, მეორენი „შეიარაღებაში გერმანიის თანასწორობის პრინციპზე“ იყვნენ ჩაციკლულები. მთავარი დირიჟორის ფუნქციას მაინც ინგლისის დელეგაცია ასრულებდა, რომელიც სარკისებურად ასახავდა იმ გაურკვევლობასა და პოზიციათა მერყეობას, რაც იმდროინდელი ბრიტანეთის საზოგადოების ქრონიკულ მახასიათებლად იქცა; ევროპაში „თანაფარდობის აღდგენის“ მომხრეები შეიარაღების საკითხში გერმანიის „თანაბარი უფლებების“ მომხრენი იყვნენ. იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ღიად უჭერდნენ მხარს გერმანიის მოთხოვნებს ვერსალის ხელშეკრულების „გადასინჯვაზე“. კონფერენციაზე ლონდონი მოითხოვდა წყალქვეშა ფლოტისა და ქიმიური იარაღის განადგურებას, საყოველთაო სამხედრო ვალდებულების გაუქმებას და შეიარაღებაზე შემდგომი კონტროლის მიზნით სპეციალური კომისიის შექმნას. გაცილებით შორს მიდიოდა ვაშინგტონი, რომელიც არმიების იმ დონემდე შემცირებას ითხოვდა, რაც ქვეყნის შიგნით წესრიგის დაცვისათვის იქნებოდა საკმარისი. წყნარ ოკეანეში თავისი „განსაკუთრებული“ მდგომარეობის გათვალისწინებით, ვაშინგტონისა და ლონდონის საზღვაო კონფერენციების გადაწყვეტილებების გადასინჯვას თხოულობდა იაპონიაც. იტალი კი გერმანიის სამხედრო გაძლიერებით, საფრანგეთის დასუსტებასა და მის ხარჯზე ტერიტორიულ შენაძენებს იმედოვნებდა.

გერმანიის შეიარაღების პარალელურად პარიზის არანაკლებ ინტერესს წარმოადგენდა რეპარაციის საკითხი. საქმე ის იყო, რომ 1930 წლის გაზაფხულიდან, რეპარაციის სახით საფრანგეთის ხაზინას ერთი მარკაც არ ჰქონდა მიღებული, თავად გერმანიამ კი უცხოური კაპიტალდაბანდებების სახით მხოლოდ 1924–1930 წლებში 25 მილიარდი მარკა მიიღო და ეს მაშინ, როდესაც საერთო ჯამში, გერმანიას სულ 10 მილიარდი მარკა ჰქონდა გადახდილი რეპარაციის სახით. მიუხედავად ასეთი სტატისტიკისა, გერმანიის მთავრობამ შესძლო საერთაშორისო ანგარიშსწორების ბაზელის ბანკის ექსპერტების დასკვნის მიღება, რომელიც ეკონომიკური კრიზისის მოტივით, შემდგომი გადახდებისაგან გერმანიის განთავისუფლებას გულისხმობდა. ხსენებული დასკვნის პესიმისტური პროგნოზით (დასკვნა რატომღაც

გერმანიის ფინანსურ კრახსა და რევოლუციასაც არ გამორიცხავდა) პანიკაში ჩავარდნილმა ბრიტანეთის პრემიერმა ჯეიმს რამზეი მაკდონალდმა რეპარაციით დაინტერესებულ მთავრობებს ლოზანაში, სპეციალურ კონფერენციაზე შეხვედრა შესთავაზა. ლოზანის კონფერენცია უკანასკნელ საერთაშორისო ფორუმად იქცა, რომელიც რეპარაციის პრობლემას მიეძღვნა. კონფერენციის გადაწყვეტილებით, გერმანიამ იკისრა 3 მილიარდ ოქროს მარკად გამოესყიდა თავისი სარეპარაციო ვალდებულებები. 15 წლით განისაზღვრა გამოსყიდვის ვადა, თუმცა ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ გერმანიის ყველა ვალდებულება ფიქციად იქცა.

ხელისუფლებაში მოსვლამდე კარგა ხნით ადრე, ჰიტლერს სრულად ჰქონდა ჩამოყალიბებული მსოფლიო ბატონობის გეგმა. ევროპა მხოლოდ საწყისი ეტაპი უნდა ყოფილიყო, პირველი ნაბიჯი კი საფრანგეთის სიფხიზლის მოდუნება და მოჩვენებითი მეგობრული ატმოსფეროს შექმნა იყო. აქ ჰიტლერი ოსტატურად იყენებდა თავად ფრანგულ პრესას: ერთ-ერთი პოპულარული ფრანგული გაზეთის „ინფორმასიონის“ პოლიტიკურ რედაქტორთან დე ბრინონთან საუბარში იგი ირწმუნებოდა, რომ მისი ოცნება იყო რეინის ნაპირზე აეგო გრანდიოზული მონუმენტი პირველ მსოფლიო ომში დაღუპულ ფრანგ და გერმანელ მეომართა უკვდავსაყოფად, „რომლებიც სიკვდილმა შეარიგა“. დაჟინებით ცდილობდა რა ყველას (პირველ რიგში ფრანგების) დარწმუნებას, რომ ბერლინსა და პარიზს შორის მხოლოდ საარის საკითხია გადაუჭრელი, ჰიტლერი იმასაც კი ირწმუნებოდა, რომ არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო საფრანგეთ-ინგლისის სამხედრო კავშირისა თუ ეს აუცილებელი იქნებოდა მის მშვიდობისმოყვარეობაში ევროპის დასარწმუნებლად. შედეგი კი ის იყო, რომ პარიზი დათანხმდა „მოესმინა ბერლინის წინადადებები“; 1933 წლის ნოემბერ-დეკემბერში საფრანგეთის ელჩი გერმანიაში ფრანსუა-პონსე ორჯერ შეხვდა ჰიტლერს, რომელმაც ასე ჩამოაყალიბა გერმანიის მოთხოვნები: 1. საარის მხარის დაუყოვნებელი გადაცემა გერმანიისათვის; 2. გერმანიის არმიის რიცხობრივი შემადგენლობის გაზრდა 300 ათასამდე; 3. შეიარაღებაზე საერთაშორისო კონტროლის დაწესება

თანასწორობის პრინციპით; 4. ათი წლის ვადით თავდაუსხმელობის პაქტის გაფორმება გერმანიის ყველა მეზობელთან. როგორც მოსალოდნელი იყო, ჰიტლერის წინადადებებმა კიდევ უფრო გაამწვავა შიდა პოლიტიკური დებატები ფრანგ პრო-და ანტიგერმანისტებს შორის.

იმავე პერიოდში, 1933 წლის ნოემბერში, ჰიტლერი პოლონეთის ელჩ იუზეფ ლიპსკის სთავაზობს შეთანხმებას ვერსალის ზავის იმ პუნქტის „შესწორებაზე", რომელიც პოლონეთ-გერმანიის საზღვარს ეხება. შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მხარეები იწყებდნენ მოლაპარაკებებს „ევროპაში მშვიდობის კონსოლიდაციის მიზნით, ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემების მოსაგვარებლად". ანალოგიური წინადადებით მიმართა ჰიტლერმა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტ ბენეშსაც, მაგრამ უკანასკნელმა უარი თქვა სეპარატულ მოლაპარაკებებზე თავისი მოკავშირე საფრანგეთის გარეშე.

1933 წლის აპრილში იტალიის დიქტატორ მუსოლინის ერთდროულად ეწვივნენ ჰიტლერის ემისრები ფონ პაპენი და გერინგი და ავსტრიის კანცლერი ენგელბერტ დოლფუსი. გერმანელების მიზანი ანშლუსის (გერმანიასთან ავსტრიის მიერთების) იდეის ლობირება იყო, რასაც კატეგორიული პროტესტი მოჰყვა არა მხოლოდ დოლფუსის, არამედ მუსოლინისა და რომის პაპის მხრიდანაც; მუსოლინის იტალიის ტიროლთან, ადრიატიკთან და ბალკანეთთან გერმანიის მიახლოება არ სურდა, ხოლო ვატიკანს კი პროტესტანტული გერმანიის მიერ კათოლიკური ავსტრიის გადაყლაპვა არ აწყობდა. ლონდონსა და პარიზში, მართალია, შეშფოთდნენ ავსტრია-გერმანიის კონფლიქტის პერსპექტივით, მაგრამ არც ფრანგებსა და არც ინგლისელებს არ სურდათ ჰიტლერთან დაპირისპირება ავსტრიის დასაცავად, მით უმეტეს, რომ ამ მისიას მუსოლინი იღებდა საკუთარ თავზე. თუ რა წონა ჰქონდა ჰიტლერისათვის იტალიის პოზიციას, ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი გასცა ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებს ბერლინში სტატს-მდივანმა ბიულოვმა: „გერმანიის მთავრობა არ დაუშვებს უცხო სახელმწიფოთა ჩარევას ავსტრია-გერმანიის ურთიერთობებში"-ო. 1933 წლის სამ ოქტომბერს ნაცისტმა ტერორისტმა მსუბუქად

დაჭრა დოლფუსი. გერმანია-ავსტრიის საზღვარზე მკვეთრად იმატა ინციდენტებმა. 1934 წლის თებერვალში მუსოლინიმ იტალიის ჯარების კონცენტრაცია დაიწყო ავსტრიასთან საზღვარზე. ვინაიდან ფიურერის გეგმებში არ შედიოდა მუსოლინისთან კონფლიქტი, 1934 წლის ივნისში ის ვენეციაში ხვდება დუჩეს. ოფიციალურ კომუნიკეში აღნიშნული იყო, რომ ყველა პრობლემა განხილული და გადაჭრილი იყო „გულითადი თანამშრომლობის სულისკვეთებით". მალე კიდევ უფრო გაძლიერდა ავსტრიელი ფაშისტების ტერორისტული საქმიანობა. უსაფრთხოების მიზნიდ, დოლფუსმა მუსოლინისთან გახიზნა ოჯახი და თითონაც მალე აპირებდა იტალიაში გადასახლებას. 1934 წლის 25 ივლისს, ავსტრიელი ფაშისტები ძალის გამოყენებით შეიჭრნენ ავსტრიის რადიომაუწყებლობის შენობაში და იარაღის მუქარით აიძულეს დიქტორი ეთერში გადაეცა ცნობა დოლფუსის მთავრობის გადადგომისა და რინტელენის ფაშისტური მთავრობის შექმნის შესახებ. ტერორისტთა მეორე ჯგუფი დოლფუსის კაბინეტში შეიჭრა და კანცლერი სასიკვდილოდ დაჭრა. მიუხედავად ამისა, 3 დღეში იქნა ლიკვიდირებული ფაშისტური პუტჩის მცდელობა მთელ ავსტრიაში. მუსოლინიმ საჯაროდ განაცხადა, რომ „უფრო ენერგიულად" დაიცავდა ავსტრიის დამოუკიდებლობას. ბერლინში ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებმა, საკუთარი მთავრობების დავალებით, ჰიტლერს ავსტრიის დამოუკიდებლობის საერთაშორისო გარანტიები შეახსენეს. უკანასკნელი იძულებული გახდა უკან დაეხია და ჰინდენბურგისა და თავისი სახელით სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა ვენას დოლფუსის მკვლელობასთან დაკავშირებით. 1934 წლის სექტემბერში, ერთა ლიგაში, ავსტრიის ახალმა კანცლერმა კურტ შუშნიგმა საზეიმოდ განაცხადა ავსტრიის მტკიცე გადაწყვეტილება ყველა საშუალებით დაიცვა ავსტრიის თავისუფლება.

დოლფუსის შემდეგ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლუი ბარტუს ჯერი დადგა; საქმე ის იყო, რომ 1934 წლის სექტემბერში ბარტუმ მნიშვნელოვან დიპლომატიურ წარმატებას მიაღწია, როდესაც ხელმოწერილი იქნა ინგლის-საფრანგეთ-იტალიის დეკლარაცია ავსტრიის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება-

ზე. ბერლინის საპასუხო სვლა ფაშისტ „შავხალათიანების“ სტილში იყო – ორი კვირაც არ იყო გასული ზემოაღნიშნული დიპლომატიური აქტიდან, რომ მარსელში სიცოცხლეს გამოასალმეს ბარტუ და ჰიტლერ-მუსოლინის კიდევ ერთი აქტიური მოწინააღმდეგე – იუგოსლავიის მეფე ალექსანდრე. ევროპაში ახალ სარაევოს გასროლაზე ალაპარაკდნენ.

ლუი ბარტუს მკვლელობა აუნაზღაურებელი დანაკარგი აღმოჩნდა საფრანგეთის არტიფაშისტური ძალებისათვის. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მის შემცვლელ პიერ ლავალს აბსოლუტურად არაფერი ჰქონდა საერთო თავის წინამორბედთან – იმდროიდელი საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ადამიანი, საფრანგეთის აკადემიის წევრი, ბრწყინვალე ორატორი და პუბლიცისტი, ავტორი ცნობილი გამოკვლევებისა მირაბოზე, ლამარტინზე, ჰიუგოზე, ვაგნერზე, ბოდლერზე, თოთხმეტჯერ იყო ის მინისტრი სხვადასხვა მთავრობებში, 1933 წელს, უკვე მთავრობის მეთაურის რანგში, ბარტუმ მტკიცე ხელით გაატარა ცხოვრებაში სამწლიანი სამხედრო სამსახურის კანონი. ასეთი დარჩა ლუი ბარტუ საფრანგეთისა და XX საუკუნის ევროპის ისტორიაში.

პროვინციელი მედუქნის შვილი, შემდგომში პარიზის უნივერსიტეტის ღარიბი სტუდენტი და იაფფასიანი ადვოკატი, პარიზის გარეუბნის მერი, პარლამენტის წევრი და სოციალისტური პარტიის ულტრამემარცხენე ფრთის წევრი, 30-იან წლებში უკვე მილიონერი, რამდენიმე პროვინციული გაზეთის, ნორმანდიაში მაღალშემოსავლიანი მამულის, ვიშის მინერალური წყლების აქციათა სოლიდური პაკეტისა და პარიზის პრესტიჟულ რაიონში არისტოკრატიული ვილა „სანდის“ მფლობელი პიერ ლავალი საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს უკვე „გამემარჯვენებული“ იკავებს. ის ჯერ კიდევ ჩუმი სიმპათიით არის განწყობილი ჰიტლერის გერმანიისადმი და ყველაფერს აკეთებს რათა საბრალდებულო სკამზე არ აღმოჩნდნენ ბარტუს მკვლელი უნგრელი ფაშისტები. ლავალი იოლად პოულობს საერთო ენას მუსოლინისთან და პირობას აძლევს, რომ საფრანგეთი „გაგებით“ შეხვდება იტალიის მიერ აბისინიის დაპყრობას. 1934 წლის შემოდგომიდან

მოყოლებული კი სახიფათოდ გაიზარდა შეიარაღებული ინციდენტები აბისინიასა და იტალიის სომალის საზღვარზე. დეკემბრის დასაწყისში იტალიის არმიამ გადალახა აბისინიის საზღვარი და ტანკებით, მძიმე არტილერიითა და ავიაციით შეუტია აბისინიის სუსტსა და ცუდათ შეიარარებულ არმიას. აფრიკის უკანასკნელი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო ერთა ლიგისა და ევროპის დიდი სახელმწიფოების ცინიკური წაყრუებით.

სანამ მუსოლინი აბისინიის საკითხს „აგვარებდა“, არა ნაკლებად აქტიური იყო მისი გერმანელი კოლეგა; გერმანიის აგენტურული ქსელის მიერ ჩატარებული ეფექტური პროპაგანდისტული კამპანიის შედეგიც იყო 1935 წლის იანვარში საარის ოლქში ჩატარებული პლებისციტის შედეგი – ოლქის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ გერმანიასთან გაერთიანებას მისცა ხმა. გადამწყვეტი თუ არა, მნიშვნელოვანი როლი პლებისციტის შედეგებზე ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის ნეიტრალურმა პოზიციამაც შეასრულა. ერთა ლიგის გადაწყვეტილება გერმანიისათვის საარის ოლქის გადაცემაზე, უკვე მხოლოდ ფორმალური აქტი იყო. უშედეგოდ დამთავრდა საფრანგეთის არმიის გენერალური შტაბის კატეგორიული მოთხოვნა საარის დემილიტარიზაციის შესახებ; საფრანგეთისავე მთავრობის თანხმობით, ფრანგი სამხედროების ინიციატივა მოხსნილი იქნა ერთა ლიგის დღის წესრიგიდან. პლებისციტის შედეგი და ევროპის წამყვან სახელმწიფოთა პოზიცია რეალისტურად შეაფასეს ბერლინში: შესაძლებელი ხდებოდა ტემპის შენარჩუნება და ფრონტალური შეტევა ვერსალის სხვა გადაწყვეტილებებზე. დღის წესრიგის მთავარი საკითხი კი გერმანიის გადაიარაღება იყო. „ან ყველა განიარაღდეს, ან გერმანიაც შეიარაღდება“ – ასეთი იყო ჰიტლერის პრინციპი და გასაკვირი მხოლოდ ის იყო, რომ მსოფლიოს უველაზე ფართომასშტაბიანი და ყველაზე პომპეზურ-გრანდიოზული სამშვიდობო კონფერენციიდან სულ რაღაც 15–16 წლის შემდეგაც კი არავინ აღმოჩნდა მზად დაეცვა მისი გადაწყვეტილებები და შეენარჩუნებინა მშვიდობა. ჰიტლერისათვის ამის შემდეგ პრობლემას არ წარმოადგენდა ვერსალის ზავის ე.წ. სამხედრო მუხლების იგნორირება. 1935 წლის მარტში გერმანიაში

ოფიციალურად შემოიღეს სამხედრო ვალდებულება. ევროპელ სპეციალისტთა გათვლებით, საყოველთაო სამხედრო ვალდებულება ფიურერს 500-600 ათასიანი არმიის არსებობის გარანტიას აძლევდა. ყველაზე საინტერესო და ნიშანდობლივი კი ის იყო, რომ მან შესაძლებლად ჩათვალა ყურადღების გარეშე დაეტოვებინა ინგლისისა და საფრანგეთის ერთდროული პროტესტი. ინტუიციამ კვლავ არ უმტყუნა ჰიტლერს: პარიზიცა და ლონდონიც არაფრის მომცემი დიპლომატიური დემარშით შემოიფარგლნენ. ისე კი, ინგლისელებმა სცადეს საერთო ენა გამოეძებნათ მოსკოვთან და ვარშავასთან კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის მსგზავსი სტრუქტურის შესაქმნელად; 1935 წლის მარტში ბრიტანეთის პოლოტიკური ელიტის ამომავალი ვარსკვლავი, ლორდი ენტონი იდენი მიავლინეს მოსკოვს. საბჭოთა კავშირის კომპარტიის გენერალურ მდივან იოსებ სტალინთან და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვიაჩესლავ მოლოტოვთან ხანგრძლივი საუბრების შემდეგ გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში ბევრი რამ იყო ნათქვამი ევროპაში მშვიდობის დასაცავად თანამშრომლობაზე, კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის აუცილებლობაზე, ორ ქვეყანას შორის მეგობრობასა და თანამშრომლობაზე, მაგრამ არაფერი კონკრეტულ ნაბიჯებზე. მოსკოვიდან იდენი ვარშავაში გაემგზავრა იდენი, სადაც საუბრის თემას ძირითადად აღმოსავლეთის პაქტის პერსპექტივა წარმოადგენდა. მოხუცმა მარშალმა იოზეფ პილსუდსკიმ არ ისურვა საფუძვლიანად განეხილა ინგლისელების იდეა და გვარიანად გააოცა ახალგაზრდა ლორდი, როცა ბუზღუნით ურჩია ინგლისელებს: ევროპას მოეშვით და საკუთარ კოლონიებს მიხედეთო. იდენთან საუბარში კიდევ უფრო კატეგორიული იყო საგარეო საქმეთა მინისტრი იოზეფ ბეკი: „პოლონეთი თვითონ იზრუნებს საკუთარ უსაფრთხოებაზეო“. მხოლოდ პრაღაში შეხვდნენ სრული თანაგრძნობით იდენის მისიას, მაგრამ ამას უკვე ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა.

აღნიშნული მიმართულებით კიდევ ერთი მცდელობა იყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პიერ ლავალის ინიციატივა ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის მონაწილეობით დიპლომატი-

ური კონფერენციის თაობაზე. მიუხედავად პროგერმანული განწყობისა, ლავალი ნათლად გრძნობდა გერმანიიდან მოსალოდნელ საფრთხეს და იტალიასთან კავშირით (ბრიტანეთთან ერთად) ცდილობდა მის ნეიტრალიზებას. კონფერენცია იტალიის ქალაქ სტრეზაში შეიკრიბა და, როგორც მოსალოდნელი იყო, კიდევ ერთი ზოგადი ხასიათის კომუნიკეთი დასრულდა, რომელიც, უკვე მერამდენედ, გმობდა ვერსალის ზავის პირობების ცალმხრივი დარღვევის ფაქტებს და იქვე უარყოფდა დამრღვევის მიმართ რაიმე სანქციებს. მიუხედავად იმისა, რომ ეჭვს არ იწვევდა კონფერენციის არაეფექტურობა, საფრანგეთისა და ინგლისის პრესამ მაღალფარდოვანი ეპითეტები არ დაიშურა ე.წ. „სტრეზას ფრონტის“ სადიდებლად, რომელიც „წინ აღუდგებოდა ნებისმიერ აგრესიას“.

შეიძლება სტრეზას კონფერენციის ერთად-ერთი დადებითი შედეგი ლავალის გადაწყვეტილება იყო ურთიერთდახმარების პაქტი გაეფორმებინა საბჭოთა კავშირთან. გაჭიანურებული კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების შედეგად, 1935 წლის ორ მაისს პარიზში გაფორმდა კიდეც ხელშეკრულება, რომლის საკვანძო, მეორე მუხლით მხარეები ვალდებულნი იყვნენ დაუყოვნებლივი დახმარება და მხარდაჭერა აღმოეჩინათ ერთმანეთისათვის, თუ კი რომელიმე მათგანი მესამე ევროპული სახელმწიფოს თავდასხმის ობიექტად იქცეოდა. ნათელი იყო, რომ ასეთი „მესამე ევროპული ქვეყანა“ მხოლოდ გერმანია შეიძლება ყოფილიყო. ისიც საყურადღებოა, რომ ფრანგულმა მხარემ მხოლოდ 1936 წლის თებერვალში მოახდინა პაქტის რატიფიკაცია. რაც შეეხებოდა ომის შემთხვევაში პრაქტიკულ დახმარებას, ამ საკითხზე დეტალურ მოლაპარაკებებს, 1939 წლის გაზაფხულზე, გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის შემდეგ დათანხმდა პარიზი. მოსკოვში 1939 წელს, უკვე ინგლისის მონაწილეობითაც წარმოებული მოლაპარაკებები თავიდანვე იყო განწირული წარუმატებლობაზე: ინგლის-ფრანგული დიპლომატია ჯერ კიდევ იმედოვნებდა ჰიტლერის დამშვიდებას და მშვიდობის შენარჩუნებას. პოლონელებს კი გერმანიაზე მეტად რუსეთის ეშინოდათ და ლაპარაკიც არ სურდათ საკუთარ ტერიტორიაზე წითელი არმიის გატარებაზე. პოლონეთმა

საერთოდ თქვა უარი საბჭოთა კავშირის მხრიდან ნებისმიერ დახმარებაზე. საბოლოო ჯამში, როდესაც პარიზმა და ლონდონმა მოსკოვისაგან ჰოლანდიისა და შვეიცარიის უსაფრთხოების გარანტიაც მოითხოვეს (ამ ქვეყნებზე თავდასხმის შემთხვევაში), სტალინმა ყოველგვარი ინტერესი დაკარგა მოლაპარაკებებისადმი. მოსკოვს იმ ქვეყნების დაცვაც უნდა ეკისრა, ვისთანაც დიპლომატიური ურთიერთობებიც კი არ ჰქონდა. ამის შემდეგ საბჭოთა დიქტატორმა დამოუკიდებლად წამოიწყო რთული დიპლომატიური გამბიტი გერმანელ კოლეგასთან. ამ დროისათვის მოსკოვს გარდა საფრანგეთისა, ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული ჩეხოსლოვაკიასთანაც (1935 წლის მაისში), რომელიც კი იყო პარიზ-მოსკოვის ხელშეკრულების იდენტური, მაგრამ ხელშეკრულების მეორე მუხლი სამმხრივი შეთანხმების იერს სძენდა დოკუმენტს: საბჭოთა მხარის მოთხოვნით, მოსკოვი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდა ვალდებული დახმარებოდა ჩეხოსლოვაკიას, თუ ამას ჯერ საფრანგეთი მოიმოქმედებდა.

ჰიტლერის მთავარ ამოცანად კი ჯერ კიდევ რჩებოდა მოჩვენებითი მშვიდობისმოყვარეობა და ნდობის ატმოსფეროს შექმნა, რაც მან შეძლო კიდეც. 1935 წლის გაზაფხულზე გერმანიაში დაიწყო 12 წყალქვეშა ნავის მშენებლობა, რაც ცხადია შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა საფრანგეთისა და ინგლისის დაზვერვისათვის, მაგრამ საერთო შეშფოთება ეფექტურად იქნა გადაფარული ბერლინის ე.წ. „სამშვიდობო პროგრამით“; ჰიტლერი თავდაუსხმელობის ხელშეკრულებებს სთავაზობდა უველა მეზობელ სახელმწიფოს. თუ რამდენად ზუსტი იყო მისი გათვლა, ამაზე ბრიტანული „თაიმსის“ სარედაქციო წერილი მეტყველებდა, სადაც დეტალურად იყო განხილული „სამშვიდობო პროგრამის“ ყველა მუხლი მრავლისმეტყველი დასკვნით: „არ შეიძლება ობიექტური ადამიანი დაეჭვდეს იმაში, რომ ჰიტლერის მიერ ჩამოყალიბებული პუნქტები გერმანიასთან ურთიერთობის სრულად დარეგულირების საფუძველია“. 1935 წლის 18 ივლისს კი ბრიტანეთმა გერმანიასთან საზღვაო შეთანხმება გააფორმა; ლონდონმა დაიკმაყოფილა ბერლინის თხოვნა და უკანასკნელს ნება ეძლეოდა

საგრძნობლად გაეზარდა საკუთარი ფლოტის ტონაჟი. ხელშეკრულების ცალკე მუხლში აღნიშნული იყო, რომ თუ გერმანია გადაწყვეტდა კიდევ უფრო გაეზარდა თავისი წყალქვეშა ფლოტი, ამის თაობაზე ინგლისის მთავრობა უნდა ჩაეყენებინა საქმის კურსში. უკანასკნელი კი იმას ნიშნავდა, რომ უქმდებოდა ყოველგვარი შეზღუდვა. რასაკვირველია, 1935 წლისათვის სიახლეს აღარ წარმოადგენდა ვერსალის ზავის ცალკეული მუხლების საჯარო იგნორირება, მაგრამ თუ აქამდე ამით მხოლოდ გერმანია იყო დაკავებული, ამჯერად უკვე, ზავის ერთ-ერთი მთავარი გარანტი-სახელმწიფო აღმოჩნდა თანამონაწილე. ამიერიდან გერმანიას უფლება ეძლეოდა ჰყოლოდა პრაქტიკულად საფრანგეთის ოდენა სამხედრო-საზღვაო ფლოტი, თანაც ფრანგულზე თანამედროვე და ძლიერი.

ევროპის დიპლომატიისა და ერთა ლიგისათვის განსაკუთრებით სავალალო 1935 წლის დასასრული აღმოჩნდა; როგორც ლიგის, ასევე ევროპის დედაქალაქების უსუსურობისა და უმოქმედობის ფონზე, ჯერ იყო და აბისინიაში შეიჭრა იტალიის არმია, დეკემბერში კი ლავალმა და ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰორმა ხელი მოაწერეს საიდუმლო შეთანხმებას იტალია-აბისინიის „მორიგებაზე“, ბუნებრივია, ეთიოპიის ხარჯზე. მართალია, ფრანგმა ჟურნალისტებმა ხელში ჩაიგდეს და გაასაჯაროეს ხსენებული საიდუმლო შეთანხმება, რასაც ჰორისა და ლავალის გადადგომები მოჰყვა, მაგრამ აბისინიის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. მეორეს მხრივ კი, სულ უფრო და უფრო მდგრადი კონსტრუქციის შინაარსსა და ფორმას ღებულობდა რომი-ბერლინის „ღერძი“.

1936 წლის შვიდი მარტისათვის გერმანელი ხალხის ფიურერს მორიგი სიურპრიზი ჰქონდა ვერსალის ზავის გარანტ-სახელმწიფოებისათვის მომზადებული: ამ დღეს, გერმანიის სამი დაუკომპლექტებელი ბატალიონი გადავიდა რეინის მეორე ნაპირზე და ფიქციად აქცია ვერსალისა და ლოკარნოს ხელშეკრულებების, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლი – ტერიტორიული პარაგრაფები 50-კილომეტრიანი ზონის დემილიტარიზაციაზე. უნდა ითქვას, რომ ჰიტლერს უცებ არ მიუღია უაღრესად სარისკო გადაწყვეტილება; ჯერ კიდევ

1935 წლის მაისში, რეიხსტაგში გამოსვლისას, მან „სხვათა შორის“ ახსენა ლოკარნოს შეთანხმების „იურიდიული საფრთხის ელემენტი“, რაც მისი აზრით, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას მოჰყვა. ნოემბერში კი, ბერლინში საფრანგეთის ელჩთან საუბრისას საყვედურებით აავსო უკანასკნელი მოსკოვთან გაფორმებული პაქტის გამო. გამოცდილი ფრანგი დიპლომატი, ელჩი ფრანსუა-პონსე მყისიერად მიხვდა, თუ რა ამოძრავებდა გერმანიის დიქტატორს და პარიზში გაგზავნილ დეპეშაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ პაქტს ჰიტლერი რეინის ოლქში შეჭრის საბაბად გამოიყენებდა. ელჩმა მხოლოდ ის არ იცოდა, რომ ბერლინში უკვე მიღებული იყო გადაწყვეტილება დემილიტარიზებული ზონის დაკავებაზე. 1936 წლის თებერვალში ჰიტლერი უკვე გარე სამყაროს მოსალოდნელ რეაქციას განიხილავდა საგარეო საქმეთა მინისტრ ნეირატთან და რიბენტროპთან თათბირზე. ფრთხილი ნეირატი პარიზთან და ლონდონთან მოლაპარაკებების მომხრე იყო, მომავალი მინისტრი რიბენტროპი კი, რომელიც არასოდეს გამოირჩეოდა არც სიფრთხილითა და არც შორსმჭვრეტელობით, დაუყოვნებელი რემილიტარიზაციის მომხრე იყო. ფიურერიც სწრაფი მოქმედების მოხრე იყო და საქმის კურსში ჩააყენა სამხედრო მინისტრი ბლომბერგი, გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ბეკი და სახმელეთო ჯარების სარდალი, გენერალი ფრიჩი. გენერლები დაბეჯითებით ითხოვდნენ თუნდაც მხოლოდ საფრანგეთთან მოლაპარაკებას. პროფესიონალმა სამხედროებმა კარგად იცოდნენ, რომ საფრანგეთის მხრიდან ნებისმიერი მასშტაბის სამხედრო წინააღმდეგობაც კი კატასტროფით დამთავრდებოდა გერმანიისათვის. ჰიტლერმა გენერლები დაარწმუნა, რომ ფრანგების წინააღმდეგობის შემთხვევაში გერმანელი ჯარისკაცები ბრძოლის გარეშე დატოვებდნენ რეინის ოლქს.

პარალელურად ნეირატის ხელმძღვანელობით მომზადდა ვრცელი დიპლომატიური დოკუმენტი, სადაც ბერლინის ავანტურა უნდა წარმოჩენილი როგორც „საპასუხო რეაქცია“ საფრანგეთ-საბჭოთა პაქტზე. განცხადებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული. რომ ბერლინს სუ-

ლაც არ სურდა ვერსალისა და ლოკარნოს ხელშეკრულებების დარღვევა და იგი აიძულეს მისთვის არახელსაყრელ ამ ნაბოკზე.



იოსებ სტალინი
(1879–1953)
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს (სახკომსაბჭოს) თავმჯდომარე 1941–1953 წლებში, გენერალისიმუსი

ამასობაში გერმანიის სადაზვერვო თვითმფრინავებმა საფრანგეთის არმიის შენაერთების კონცენტრაცია დააფიქსირეს საზღვარზე. გენერალი ბლომბერგი, რომელმაც სხვებზე უკეთ იცოდა, რომ გერმანელები რამდენიმე საათს თუ გაუძლებდნენ ფრანგების შეტევას, ჰიტლერს ემუდარებოდა დროზე გაეცა უკან დახევის ბრძანება. სულ მალე კი გაირკვა, რომ ფიურერს საკუთარ გენერლებზე ძლიერი ნერვები ჰქონდა – მან უბრალოდ იკითხა, საზღვარი თუ გადმოლახეს ფრანგებმაო და როდესაც უარყოფითი პასუხი მიიღო, დემილიტარიზაციის ოპერაციის გაგრძელება ბრძანა.

რა მოხდებოდა, ფრანგებს რომ სიმტკიცე გამოეჩინათ და წინააღმდეგობა გაეწიათ?

ამ კითხვაზე უკვე მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ჯარისკაცურად ზუსტი და ამომწურავი პასუხი, ფრანგ ოფიცრებს გასცა დაკითხვაზე გერმანიის სატანკო არმიის ყოფილმა სარდალმა, გენერალმა გუდერიანმა: „თქვენ, ფრანგები, 1936 წელს რეინის ოლქის მოვლენებში რომ ჩარეულიყავით, ჩვენ ყველაფერს დავკარგავდით და ჰიტლერის დაცემაც გარდაუვალი გახდებოდა“. თავად ფიურერ-

საც მრავალჯერ აქვს ნაღიარები ახლო გარემოცვაში, რომ რეინის ოლქში შეჭრის მომდევნო ორი დღე, ყველაზე საშინელი იყო მის ცხოვრებაში. ფრანგებს, რომ ძალა გამოეყენებინათ, „ჩვენ კუდამოძუებულები მოვცოცხავდით“-ო. მართლაც, 1936 წლის მარტში გერმანიას არანაირი პოტენციალი არ გააჩნდა თუნდაც მხოლოდ საფრანგეთთან საომრად, რომ აღარაფერი ვთქვათ ვერსალისა და ლოკარნოს მეორე მთავარ გარანტ დიდ ბრიტანეთზე. ჰიტლერმა გარისკა და გაიმარჯვა. მისი რისკი კი ზუსტ პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ გათვლებზე იყო დაფუძნებული; იმდროინდელი პარიზისა და ლონდონის შიდაპოლიტიკურმა კონიუნქტურამ და პოლიტიკური ნების კატასტროფულმა დეფიციტმა ფატალური შედეგი იქონია მთელი ცივილიზებული მსოფლიოსათვის. დემოკრატიულმა ევროპამ (გარკვეულწილად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც) ხელიდან გაუშვა „ადრეული“ ჰიტლერის შეჩერების უნიკალური შანსი. ყველამ შეიტანა თავისი წვლილი საერთო უმოქმედობაში: ფრანგი სამხედროები მთავრობას არწმუნებდნენ, რომ საყოველთაო მობილიზაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ერთი მუჭა გაუწვრთნელი გერმანელი ჯარისკაცების გაყრა რეინის ოლქიდან; ფინანსთა მინისტრი ეკონომიკური კრახით იმუქრებოდა, ლონდონი კი კონსულტაციების დაწყებასა და ერთა ლიგის ჩართვას თხოულობდა. საბოლოო ჯამში საფრანგეთის მთავრობამ სპეციალური განცხადებით დაგმო გერმანიის საქციელი და მზადყოფნა გამოთქვა ქვეყნის მთელი რესურსები გადაეცა ერთა ლიგის განკარგულებაში არსებული ხელშეკრულებების დასაცავად. ერთდროულად პარიზმა კვლავ დააყენა ლონდონის წინაშე „კონტინენტური ვალდებულების“ საკითხი, რაც ფრანგული დიპლომატიის მთავარ საზრუნავად იყო ქცეული 1919 წლიდან. კონკრეტულად კი საქმე ეხებოდა ინგლისის საექსპედიციო კორპუსის გაგზავნას საფრანგეთში. თავის მხრივ, ინგლისელ პოლიტიკოსთა პოზიციას იოტის ოდენა ცვლილებაც არ განუცდია პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. თვით ენტონი იდენიც კი, რომელიც ჩერჩილის თანამოაზრედ ითვლებოდა, კატეგორიული წინააღმდეგი იყო არა თუ ფრანგებთან ერთობლივი, არამედ თუნდაც მხოლოდ ფრანგების

ცალმხრივი სამხედრო აქციის. იგი გულუბრყვილოდ იმედოვნებდა, რომ დაარწმუნებდა ჰიტლერს რეინის ოლქიდან ჯარის გაყვანაზე და ამ საკითხზე მოლაპარაკებების დაწყებაზე. პროგერმანულ განწყობილებაში გაცილებით შორს მიდიოდნენ სხვა ბრიტანელი პოლიტიკოსები: „ბოლოსდაბოლოს გერმანელები საკუთარ ბოსტანში გადავიდნენ“ – საჯაროდ აცხადებდა ინგლისის ელჩი ამერიკაში, ლორდი ლოტიანი. ბოლო არ უჩანდა ბრიტანეთის პრემიერ ბოლდუინის წუწუნსაც, რომ ინგლისს „საკმარისი რესურსები არ გააჩნდა“, რომ „საზოგადოებრივი აზრი მხარს არ დაუჭერდა კონტინენტზე სამხედრო აქციას“ და ა.შ. თვით ბერნარდ შოუც კი ღიად გამოდიოდა გერმანელების დასაცავად. გერმანიის წინააღმდეგ სამხედრო აქციის მოწინააღმდეგეები იყვნენ დომინიონებიც. იმ დიდი წვლილის გათვალისწინებით, რაც მათ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებაში შეიტანეს, მართლაც ანგარიშგასაწევი იყო დომინიონების პოზიცია. ასეთი განწყობილების შედეგი კი ის იყო, რომ 1936 წლის მარტში, როდესაც ბრიტანეთის პარლამენტი რეინის კრიზისს განიხილავდა, მხოლოდ ჩერჩილმა დაუჭირა მხარი საფრანგეთთან „კოორდინირებული მოქმედების“ წინადადებას. რეალური ეფექტი არც ერთა ლიგის საბჭოს ლონდონის სხდომას არ მოჰყოლია, სადაც გერმანიის მხარეს რიბენტროპი წარმოადგენდა. საბჭოს მიერ მიღებულ განცხადებაში მხოლოდ დაფიქსირდა გერმანიის მიერ ვერსალისა და ლოკარნოს ხელშეკრულებების დარღვევის ფაქტი. ეს იყო და ეს. უფრო ნიშანდობლივი იყო საბჭოს თავმჯდომარის, ავსტრალიის წარმომადგენელ ბრიუსის შემაჯამებელი დასკვნა, როდესაც მან „უდიდესი აღფრთოვანება“ გამოთქვა საფრანგეთისა და ბელგიის „თავშეკავებული“ პოზიციის გამო. თავმჯდომარე არც „თანამშრომლობაზე რეიხსკანცლერ ჰიტლერის სურვილის“ გამო მალავდა კმაყოფილებას. ერთი სიტყვით, ჰიტლერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის უშეცდომოდ ერკვეოდა ევროპელ პოლიტიკოსთა ფსიქოლოგიაში. იგი იმ მინიმალურ დათმობაზეც არ წავიდა, რომ დროებით მაინც შეეკავებინა თავი რეინის ოლქში სამხედრო ინფრასტრუქტურის შექმნისაგან.

რეინის აქციიდან ოთხი თვის შემდეგ ჰიტლერი უკვე ბრწყინვალედ ორგანიზებულ ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე მასპინძლობდა მსოფლიოს სპორტსმენებსა და პოლიტიკოსებს. საზღვარი არ ჰქონდა სტუმრების აღტაცებას როგორც გიგანტური მასშტაბის ოლიმპიური შოუთი, ასევე ყურადღებიანი და კეთილგანწყობილი მასპინძლებით (განსაკუთრებით მთავარი მასპინძლით — ადოლფ ჰიტლერით).

გაოცებასაც კი იწვევს იმდროინდელი ევროპელი პოლიტიკოსების რეაგირება ჰიტლერის აშკარად რევანშისტულ კურსზე. მომდევნო თაობის მკვლევართა უმრავლესობა ამას საფრანგეთისა და ინგლისის მმართველი წრეების სიბეცითა და უუნარობით ხსნის, თუმცა ვითარება გაცილებით რთული და არაერთგვაროვანი იყო. სწორი არ იქნებოდა იმის მტკიცება, რომ პარიზსა და ლონდონში ჯეროვნად ვერ აფასებდნენ გერმანიაში დაწყებული პროცესის პოტენციურ საფრთხეს და რომ ეს შეშფოთებას არ იწვევდა. საქმე ის იყო, რომ ევროპის გამაჩანაგებელი დიდი ომიდან სულ რაღაც 15-16 წლის შემდეგ, ფრანგ და ინგლისელ პოლიტიკოსებს ახალ ომზე ფიქრიც კი ჰზარავდა. პირველ რიგში მათ, ვისაც გადაწყვეტილებები უნდა მიეღოთ და შედეგზე პასუხისმგებლობაც ეკისრათ. საფრანგეთი ცენტრალური ევროპის პატარა სახელმწიფოებთან პაქტებით იმედოვნებდა გერმანიის შეჩერებას, ბრიტანეთი — ჰიტლერთან მოლაპარაკებებით. ყველაფერს კი თან ერთვოდა ბერლინიდან ნიაღვრად წამოსული „სამშვიდობო ინიციატივები“. 1933 წლიდან მიუნჰენის გარიგებამდე ჰიტლერს ერთი, თუნდაც უმნიშვნელო შეცდომაც არ დაუშვია. მან ოსტატურად შეძლო არა მხოლოდ ევროპელი პოლოტიკოსების, არამედ საზოგადოებრივი აზრის მოტყუებაც. იგივე ბერნარდ შოუთი დაწყებული და თვით დევიდ ლოიდ-ჯორჯით დამთავრებული, ყველა იყო აღტაცებული ადამიანიდ, რომელმაც უმუშევრობას მოუღო ბოლო თავის ქვეყანაში, ეკონომიკა ააღორძინა, ცხოვრების პირობები გააუმჯობესა და „მხოლოდ“ საყოველთაოდ აღიარებულ „უსამართლო“ გადაწყვეტილებების მშვიდობიანი საშუალებებით გადასინჯვას თხოულობდა, თანაც „მხოლოდ“ იმიტომ, რომ კომუნიზმისაგან

დაეცვა გერმანიაცა და მთელი ევროპაც. ეს მართლაც ოქროს წლები იყო ნაციონალ-სოციალისტური გერმანიისა და მისი მმართველებისთვის. ჰიტლერისა და მისი ყველა წინამორბედის (ვეიმარის რესპუბლიკის პერიოდის) ლეგენდარული თარჯიმანი პაულ შმიდტი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოქვეყნებულ ავტობიოგრაფიულ ნაშრომში დაწვრილებით აღწერს ინგლისელ პოლიტიკოსთა და არისტოკრატთა ხშირ სტუმრობებს ბერლინში. აი, რას მოგვითხრობს ავტორი ჰიტლერისა და ლოიდ-ჯორჯის შეხვედრაზე 1936 წლის სექტემბერში: „ძალზედ მოხარული ვარ ჩემს სახლში მივესალმო ადამიანს, რომელსაც ჩვენ გერმანიაში, მუდამ ვთვლიდით მსოფლიო ომში ჭეშმარიტ გამმარჯვებელს“, „მე კი ვთვლი, რომ ბედმა გამიღიმა რათა შევხვედროდი ადამიანს, რომელმაც დამარცხების შემდეგ გააერთიანა გერმანელი ხალხი და წინ გაუძღვა აღმშენებლობისაკენ“ (80) – ქათინაურში ფიურერს ომის დროინდელი დიდი ბრიტანეთის პრემიერი დევიდ ლოიდ-ჯორჯიც არ ჩამორჩა. საინტერესო კი ის იყო, რომ გულწრფელად იყო გერმანიის ფიურერით აღტაცებული ბევრის მნახველი და გადამტანი, შორსმჭვრეტელობითა და გამჭრიახობით ცნობილი, XX საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკოსი. უფრო მეტიც – ჰიტლერთან შეხვედრიდან სასტუმროში დაბრუნებულ ლოიდ-ჯორჯს, შესასვლელში მისი ქალიშვილი დახვდა (იგი ოჯახთან ერთად მოგზაურობდა გერმანიაში) და ხუმრობით, მამას ნაცისტური მისალმებით „ჰაილ ჰიტლერ!“-ით შეეგება, რაზეც მამამ სერიოზული სახით უპასუხა: „კი, ნამდვილად „ჰაილ ჰიტლერ“, ამას მეც ვამბობ, ვინაიდან ის დიდი ადამიანია“. არა მხოლოდ ბრიტანეთის ყოფილი პრემიერი ფიქრობდა ასე: იგივე ინგლისში მილიონამდე წევრს ითვლიდა ნაცისტური პარტია, ხოლო ამერიკაში კი ახლად გაპრეზიდენტებული რუზველტი „კარგ ბიჭად“ მოიხსენიებდა გერმანიის დიქტატორს.

იმპულსური და უაღრესად აქტიური, არათანმიმდევრული და მუდამ აღგზნებული, კლასიკური მუსიკის (განსაკუთრებით ვაგნერის), თეატრის, ოპერის, ფერწერისა და ცხოველების გატაცებით მოყვარული, ინტუიციურ-ლოგიკური ტვინით, ფენომენალური მეხსიე-

რებითა და ძლიერი ნებისყოფით უხვად დაჯილდოებული ადოლფ ჰიტლერი აშკარად გამოირჩეოდა იმდროინდელ პოლიტიკურ ელიტაში. მას საშუალო სკოლაც არ ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ უაღრესად ნაკითხი იყო, კარგად ხატავდა, სწამდა ღმერთი და თავს მორწმუნე კათოლიკად მიიჩნევდა, თუმცა არასოდეს არ იცავდა რელიგიურ წესებს. ფანატიურად სწამდა, რომ მისი ისტორიული მისია იყო „შრომისა და დისციპლინის ახალი გერმანიის გამოჭედვა“. ასეთ გერმანიას წინ ვერაფერი აღუდგებოდა და მას გარანტირებული ექნებოდა მსოფლიო ბატონობა. მან მართლაც მოკლე დროში შესძლო შეექმნა „შრომისა და დისციპლინის გერმანია“, რომელიც ასევე მოკლე პერიოდში გადაჩეხა უფსკრულში.

XX საუკუნის 30-იანი წლების ბევრი დასავლელი მკვლევარი თანხმდება, რომ სწორედ რეინის წარმატებული ავანტურა აღმოჩნდა საბედისწერო ჰიტლერისათვის; მას იმდენად უიმედო რისკში გაუმართლა, რომ საბოლოოდ ირწმუნა საკუთარი გენიალობა და უშეცდომო გადაწყვეტილებების მიღების ღვთიური ნიჭი, რაც მართლაც მიუღწეველი იყო მისი მოწინაღმდეგეებისათვის.

როდესაც 1936 წლის მარტში ერთა ლიგის საბჭომ ლონდონში გამართულ სხდომაზე, ერთხმად მიიღო გერმანიის მიერ ვერსალისა და ლოკარნოს ხელშეკრულებების დარღვევის დამგმობი რეზოლუცია, გერმანიის სამმა სამხედრო ატაშემ ლონდონიდან ბერლინში პანიკური შიფროგრამა აფრინა. დამფრთხალმა გენერალმა ბლომბერგმა აკანკალებული ხელით (როგორც თითონ ჩაწერა დღიურში) გადასცა ჰიტლერს დეპეშა და შეევედრა სასწრაფოდ წასულიყო დათმობაზე. ფიურერმა კი წაკითხვის ღირსადაც არ მიიჩნია ინფორმაცია და გენერალს ურჩია პოლიტიკაში არ ჩარეულიყო. ამ სცენის მომსწრეები შემდეგ იგონებდნენ, რომ მათ ეჭვი არ ეპარებოდად ავანტურის ტრაგიკულ დასასრულში. არადა, მართლაც მართალნი შეიძლება აღმოჩენილიყვნენ გერმანელი გენერლები, მათ ფრანგ კოლეგას, საფრანგეთის არმიის გენერალური შტაბის უფროს მორის გამელენს, საკუთარი ჩინის ადეკვატური სიმტკიცე რომ გამოევლინა. ამ მომენტში სულ ცოტა აკლდათ ფრანგ პოლიტიკოსებს, რომ ძალის გამოყენების გადაწყვე-

ტილება მიეღოთ. კრიტიკულ მომენტში, გენერალმა გამელენმა შეძლო მათი დარწმუნება, რომ „დიდი ომის გარეშე“ ჰიტლერი უკან არ დაიხევდა. და ეს მაშინ, როდესაც, როგორც ზემოდ ვნახეთ, არათუ „დიდი ომი“, თოფის ერთი გასროლაც საკმარისი იქნებოდა დემილიტარიზებული ზონიდან გერმანელების გასაყრელად.

ჰიტლერს სრული საფუძველი ჰქონდა გამარჯვება ეზეიმა: სამხედრო თვალსაზრისით ჯერ კიდევ უძლურმა, ელემენტარული ბლეფით აიძულა პრინციპულ საკითხში უკან დახევაზე ბრიტანეთი და საფრანგეთი. იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მტკიცე ნებისყოფა და ძალის გამოყენების თუნდაც მოჩვენებითი მზადყოფნა, საკმარისი იყო მოწინააღმდეგეთა კაპიტულაციისათვის. მათი ნერვული სისტემა ხომ ახალ ომზე ფიქრსაც ვერ უძლებდა.

საერთაშორისო არენაზე მოპოვებული პრესტიჟი მაქსიმალურად გამოიყენა ჰიტლერმა ქვეყნის შიგნით საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებლად; მან დაითხოვა რეიხსტაგი და პლებისციტით მოითხოვა თავისი მმართველობის შეფასება. რასაკვირველია, ტრიუმფალურ აღლუმად იქცა მთელი კამპანია. ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს გადაუფრინა ფაშისტური ემბლემით მოხატულმა ახალმა დიდებულმა დირიჟაბლმა „ჰინდენბურგმა“ თვითმფრინავების ესკორტით. „მე არ მომიხდენია ჩემი თანამდებობის უზურპაცია“ – განაცხადა ჰიტლერმა მიტინგზე კარლსრუეში – „ის, რაც მე მოვიმოქმედე, ნაკარნახევია ჩემი სინდისით. მე აღსავსე ვარ ჩემს ხალხზე ზრუნვით და ვხელმძღვანელობ მისი პატივის დაცვის აუცილებლობით, რათა ღირსეული ადგილი დაუბრუნო მსოფლიოში. და თუ ჩემი ქმედებით სევდასა და ტანჯვას გრძნობს ჩემი ხალხი, მე ვთხოვ ზენაარსს, რომ დამსაჯოს“. არც თუ დიდი დრო, ზუსტად ცხრა წელი გავა და „ზენაარსი“ ყოველგვარი თხოვნის გარეშე, მსოფლიოს სისხლიან დიქტატორთა ისტორიაში მას ერთ-ერთ ყველაზე უსასტიკეს განაჩენს გამოუტანს. მანამდე კი, 1936 წლის მარტს, გერმანიის მოსახლეობის 98,8 პროცენტმა მისცა ხმა თავის ფიურერსა და მის პოლიტიკურ კურსს.

1936 წლის ივლისში, მაროკოში მცხოვრებმა ორმა ნაცისტური პარტიის წევრმა გერმანელმა, ესპანელი გენერლის ფრანსისკო ფრანკოს თხოვნა გადასცეს ჰიტლერს; გენერალმა ის-ის იყო აჯანყება წამოიწყო საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ და დახმარებას სთხოვდა გერმანიას. მიუხედავად რიბენტროპის რჩევისა, არ ჩარეულიყო ესპანეთის საქმეებში, რათა ინგლისთან არ გაეფუჭებინა ურთიერთობა, ჰიტლერმა ორი მომენტით ახსნა მეამბოხე გენერლისათვის დახმარების აუცილებლობა: კომუნიზმის გავრცელების ხელის შეშლით და გერმანული ლიუფტვაფეს (ავიაციის) გამოცდით. მან სწორად გათვალა, რომ ესპანეთში სამოქალაქო ომის გაჭიანურებით, სადაც უკვე ყურებამდე იყო ჩაფლული მუსოლინი, შეუძლებელი ხდებოდა უკანასკნელის სავარაუდო კავშირი საფრანგეთსა და ინგლისთან. იზოლირებული დუჩე კი იძულირებული იქნებოდა ბერლინში ეძებნა მოკავშირე.

ამასობაში ჰიტლერის პირად ტრიუმფად იქცა ბერლინის ოლიმპიური თამაშები: გერმანელმა სპორტსმენებმა ყველაზე მეტი - 33 ოქროს მედალი მოიპოვეს და დიდად გაუსწრეს მეორე ადგილზე გასულ ამერიკელებს. მასპინძლების გულუხვობითა და სტუმართმოყვარეობით თავბრუდახვეულმა უცხოელმა სტუმრებმა დაუმალავი სინანულით დატოვეს ბერლინი. საერთო განწყობილებას ჩრდილი ვერ მიაყენა იმ ფაქტმა, რომ თანამდებობიდან გადააყენეს ოლიმპიური სოფლის კომენდანტი ფიუსტნერი. იგი მივიდა თამაშების საზეიმო დახურვის ბანკეტზე და დემონსტრაციულად მოიკლა თავი: ფიუსტნერი ებრაელი იყო.

რეინისა და ოლიმპიური თამაშების წარმატებების შემდეგ, ჰიტლერის ხშირ სტუმრად იქცა მელანქოლია და დეპრესია. როგორც უკვე ომის შემდეგ იხსენებდა მისი და ანგელა, იმ პერიოდში ძმამ მიწის ნაკვეთი იყიდა და შეიტყო, რომ გამყიდველმა ის ათასი მარკით მოატყუა, რასაც ძალზედ განიცდიდა. დამშვიდების მიზნით დამ ხუმრობით უთხრა, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, როცა ჰიტლერი „ღრმად მოხუცი“ იქნებოდა, არანაირი მნიშვნელობა აღარ ექნებოდა ამ დასანან ინციდენტს, რაზეც ფიურერმა სევდიანი ხმით უპასუ-

ხა: „ჯერ ერთი, ეს ათასი მარკა სულაც არ არის უმნიშვნელო და გარდა ამისა, ძვირფასო ანგელა, მე არასოდეს არ ვიქნები „ღრმად მოხუცი“, მე ცოტა დრო მაქვს“ (81).

დიპლომატიური თვალსაზრისით, 1936 წელი უკანასკნელი ტრიუმფალური წელი გამოდგა ჰიტლერისათვის. მართალია, მან შემდგომშიც ჩაიწერა აქტივში თუნდაც იგივე მიუნჰენის გარიგება, მაგრამ ეს უკვე ავის მომასწავებელი „მიღწევა“ იყო. პარიზსა და ლონდონში აღარ სჯეროდათ მისი და დემოკრატიულმა ევროპამ მასთან საომრად მზადება დაიწყო.

გერმანიის დიქტატორისათვის განგაშის პირველ ზარად იქცა 1936 წლის დეკემბერში, ინგლისის მეფის ედუარდ VIII-ის ტახტიდან გადადგომა. მეფეს სერიოზულად შეუყვარდა „მდაბიო“ წარმოშობის ამერიკელი ქალი, თანაც (ოი, საშინელებავ!) განათხოვარი. უფრო მეტიც – ედუარდმა მასზე დაქორწინებაც კი განიზრახა, რამაც ეკლესია და პრემიერიც კი წონასწორობიდან გამოიყვანა. როგორც კი მეფე დარწმუნდა, რომ ის ვერ მიიღებდა ეკლესიისა და პარლამენტის თანხმობას ქორწინებაზე, ბევრი არ უფიქრია და სამეფო ტახტს საყვარელ ადამიანთან ყოფნა ამჯობინა (კიდევ იტყვიან, რომ ინგლისელები ცივი და უემოციო ხალხიაო!?). რადიოთი გამოსვლისას მეფემ გულახდილად განაცხადა, რომ საყვარელი ქალის დახმარებისა და მხარში დგომის გარეშე ის ვერ შესძლებდა ქვეყნის ხელმწიფის მოვალეობის შესრულებას.

ჰიტლერისათვის გაუგებარი იყო, რომ ქალის გულისათვის როგორ უნდა ეთქვა კაცს ხელისუფლებაზე უარი, თვითონ ხომ ჯერ არ იყო მხოლოდ ევა ბრაუნზე გაჩერებული და თვეში რამდენიმე საყვარელს იცვლიდა. მთავარი მაინც ის იყო, რომ მეფე ედუარდის პროგერმანული და პრონაცისტული სიმპატიები საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. ამიტომაც დაამწუხრა ფიურერი ხელწიფის „არამამაკაცურმა“ საქციელმა. როგორც კი მეფე გადადგა, ჰიტლერმა თავის ელჩს ბრიტანეთში რიბენტროპს დაურეკა და ურჩია „ჩემოდნები ჩაელაგებინა“. ახლა, როდესაც მეფე წავიდა, ინგლისში პარტნიორი აღარ გვრჩებაო“ – შესჩივლა მან ელჩს. და მაინც, მიუხედავად მონარქის

მოულოდნელი გადაწყვეტილებით გამოწვეული უსიამოვნებისა, ჰიტლერი ახალ, 1937 წელს შთამბეჭდავი დადებითი ბალანსით შეხვდა: პირველად თავის სიცოცხლეში მან უშფოთველად და ბედნიერად გაატარა საშობაო დღესასწაულები. როდესაც 1937 წლის იანვარში ოთხწლიანი მმართველობის ანგარიშით წარსდგა რეიხსტაგში, სრული საფუძველი ჰქონდა ეთქვა: „დღეს მადლობა უნდა უთხრა განგებას, რომლის ნებითაც მე, ყველასათვის უცნობ ჯარისკაცს, საშუალება მომეცა წარმატებულ შედეგამდე მიმეყვანა ჩვენი ღირსებისა და ერის უფლებებისათვის ბრძოლა“.

ისევე როგორც რუზველტმა ამერიკაში, ჰიტლერმაც გერმანიაში ძალზედ ბევრი გააკეთა დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისათვის. შთამბეჭდავი იყო ორივე ლიდერის (დემოკრატიული გზით არჩეულების) მიღწევები მრეწველობის აღდგენისა და უმუშევრობის მოთოკვის კუთხით. ჰიტლერმაც შეცვალა ქვეყნის იერი საავტომობილო გზატკეცილების (ავტობანების) ქსელით, „რათა ბორბლებზე გადაეყვანა მოსახლეობა“. მისი იდეა იყო „სახალხო ავტომობილი“ („ფოლკსვაგენი“), რომლის იაფი და კომპაქტური მოდელი ხელმისაწვდომი გახდა საშუალო გერმანელისათვის. მან სთხოვა იმ დროისათვის უკვე სახელმოხვეჭილ კონსტრუქტორ ფერდინანდ პორშეს, შეექმნა ავტომობილი, რომელიც 10 ლიტრა ბენზინზე მეტს არ დახარჯავდა 100 კილომეტრზე, ოთხ მგზავრს ჩაიტევდა და საჰაერო გაგრილება ექნებოდა. მაშინ ეს რევოლუციური სიახლე იყო. მანვე მოიფიქრა დიდ ქალაქებში მიწისქვეშა ავტოსადგომების ქსელის შექმნა, ტრანსპორტის მოძრაობისაგან თავისუფალი ცენტრებისა და მწვანე ნარგავებით მდიდარი სკვერებისა და პარკების გაშენება. ჰიტლერი იქცა იმდროინდელი მსოფლიოს პიონერ ლიდერად, რომელსაც მართლაც სერიოზულად აფიქრებდა სუფთა ჰაერისა და გარემოს შენარჩუნების პრობლემა. მისი მითითებით დაიწყო რურის ქარხნებზე ჰაერისა და წყლის დაბინძურების საწინააღმდეგო რთული დანადგარების დამონტაჟება. თავად უცოლშვილო დიქტატორის (ახალგაზრდობაში საყვარლისგან შეძენილ ვაჟს ის არანაირ ყურადღებას არ აქცევდა მას შემდეგაც, რაც მისი არსებობა შეიტყო) სერიოზული ზრუნვის საგნად იქცა ახალ-

გაზრდა თაობის კეთილდღეობა და პროფესიული მომზადება. რადიკალური რეფორმები გატარდა განათლების სისტემაში; თითქმის კლასიკურ გიმნაზიებს გაუტოლდა საშუალო სკოლები. აქცენტი გადატანილი იყო ფიზიკურ მომზადებაზე, რასობრივ ბიოლოგიაზე, გერმანულ ლიტერატურასა და გერმანიის ისტორიაზე. განათლების მთავარ მიზნად „ხასიათის ფორმირება“ იყო აღიარებული. ბავშვობის ასაკიდან იწყებოდა ახალგაზრდობის იდეოლოგიური დამუშავება; სკოლებში სადილს წინ უძღოდა გალექსილი ლოცვა-პანეგირიკი: „ფიურერო, ჩემო ფიურერო, ღმერთის მიერ ჩემთვის მოვლენილო, დამიცავი და შემინახე სანამ ვცოცხლობ! შენ გადაარჩინე გერმანია დიდი უბედურებისაგან. მე ყოველდღე შენი მადლობელი ვარ ჩემი პურისათვის. მუდამ იყავი ჩემთან, არ მიმატოვო, ფიურერო, ჩემო ფიურერო, ჩემო რწმენავ და ჩემო სინათლევ! ჰაილ, ჩემო ფიურერო!“ (83). ათი წლის ასაკიდან ბიჭებს „იუნტფოლკში“ (საბჭოურ „ოქტომბრელთა„ მსგავს ორგანიზაციაში) ღებულობდნენ, ხოლო შემდეგ კი უკვე „ჰიტლერიუგენდში“ (ეს უკვე კომკავშირს უტოლდებოდა), სადაც მათ ხანჯლებით (წარწერით „სისხლი და ღირსება“) ასაჩუქრებდნენ და ყავისფერი ხალათების ტარების უფლება ეძლეოდათ.

იმავდროულად, გერმანიაში იმ დონეს მიაღწია მოსახლეობის ჯანდაცვის დონემ, რომ მთელი ევროპის გულწრფელ გაოგნებას იწვევდა. თვით ინგლისზეც კი საგრძნობლად დაბალი იყო გერმანიაში ბავშვთა სიკვდილიანობა. მკვეთრად გაუმჯობესდა შრომის პირობები ქარხნებსა და ფაბრიკებში. ყველგან სანიმუშო სისუფთავე და ბევრი ყვავილები იყო. ე.წ. „შრომის ფრონტის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და სახელმწიფო სახსრებით, სისტემატურად ეწყობოდა კოლექტიური სვლები თეატრებსა და კონცერტებზე, გამოფენებზე. უცხოელები ყველაზე რევოლუციურ სიახლედ მიიჩნევდნენ მუშათა კლასის წარმომადგენლების ტურისტულ მოგზაურობებს სახელმწიფოს ხარჯზე. ყველაზე დაბალი კვალიფიკაციის მუშისათვისაც კი ხელმისაწვდომი გახდა შვებულების გატარება ფეშენებელურ ხომალდებსა და სასტუმროებში. იოზეფ ჰებელსის მაღალპროფესიული და მაღალეფექტური (ვაღიაროთ!) პროპაგანდისტური უწყება – ინფორ-

მაციის სამინისტრო – ჰიტლერს წარმოაჩენდა როგორც რიგით მშენებელს, მხატვარს, სტუდენტს, უბრალო საჰმელს მიჩვეულ ხალხის წიაღიდან გამოსულ ადამიანს. მუშებთან შეხვედრებისას თავად ფიურერი მუდამ ტრაბახობდა, რომ მას არ გააჩნდა დიდი უძრავი ქონება და აქციები, თუმცა იმ ფაქტზე კი მორცხვად სდუმდა, რომ წიგნმა „მაინ კამპფმა“ იგი მილიონერად აქცია.

ჰიტლერის ბევრი ბიოგრაფისა და უცხოელი მკვლევარის აზრით, მისი მთავარი მიღწევა იყო ერის გაერთიანება ოთხ წელიწადში. საერთო წარმატებების ფონზე თითქოს მეორეხარისხოვან მოვლენად იქცა ის ფაქტი, რომ მუშებს აეკრძალათ პროფკავშირების, მეწარმეებს კი პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნა. ქვეყნისა და მთლიანად ერის წარმატებასა და კეთილდღეობას შეეწირა თითეული ადამიანის თავისუფლება და უფლებები. მალე გაირკვა, რომ ეს არ იყო ჰიტლერის საშინაო პოლიტიკის ერთადერთი უარყოფითი შედეგი: მართალია, მან კრიზისიდან გამოიყვანა გერმანია და მოსპო უმუშევრობა, მაგრამ საბოლოო კატასტროფისაკენ მიჰყავდა ქვეყანა ფიურერის მანიაკალურ ახირებას ნებისმიერი საშუალებით გადაიარაღების დაჩქარებაზე. გარკვეულ პერიოდის მანძილზე ახერხებდა საშიში ეკონომიკური ავანტურის მოთოკვას ეკონომიკის ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი მინისტრი იალმარ შახტი, რომელმაც რამდენჯერმე დაბლოკა სამხედრო სამინისტროს გეგმები, უარი თქვა გენერალ ბლომბერგის იდეაზე გაეორმაგებინა ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვება, ვინაიდან ამას ეკონომიკური თანაფარდობის დარღვევა შეეძლო, მაგრამ 1937 წლის დასაწყისიდან შახტის გავლენა კატასტროფულად შემცირდა და მან ვეღარ შესძლო წინ აღსდგომოდა ჰიტლერის გადაწყვეტილებას გერმანიის არმიის მკვეთრ ზრდაზე, რასაც მოჰყვა კიდეც ეკონომიკის დისბალანსი. ამავე დროს ცხრა პროცენტით გაიზარდა ფასები იმპორტზე და ზუსტად ამდენითვე დაეცა ფასები ექსპორტზე. ყველაფერთან ერთად გერმანიაში ზედიზედ 2 წელი მოუსავლიანი აღმოჩნდა. სოფლის მეურნეობა ვეღარ აკმაყოფილებდა ქვეყნის მოთხოვნებს, ამოიწურა ნედლეულის მარაგი და თავი იჩინა სურსათისა და საწვავის დეფიციტმა. ყურს აღარავინ უგდებდა ეკონომიკის მინისტრის

იალმარ შახტის გაფრთხილებებს და მიღებული იქნა გადაწყვეტილება სინთეზური კაუჩუკის, რკინის მადნის, ცხიმებისა და ტექსტილის წარმოების ზრდაზე, საწვავის კრიზისის ლიკვიდაციაზე, რაც ნამდვილად არ შეეძლო ქვეყანას საკუთარი ძალებით. ამ დროისათვის შახტი უკვე გადაყენებული იყო, ხოლო ოთხწლიან ეკონომიკურ გეგმას ჰერმან გერინგი ხელმძღვანელობდა, რომელმაც მოკლედ და გასაგებად ჩამოაყალიბა საკუთარი პროგრამა: „მთავარია არა მომგებიანი წარმოება, არამედ უბრალოდ წარმოება“.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბევრი ისტორიკოსი წერდა, რომ თუ ჰიტლერი 1937 წელს მოკვდებოდა, ის გერმანიის ისტორიაში შევიდოდა როგორც უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე. მას უხვად ჰყავდა თაყვანისმცემლები ევროპის ინტელიგენციის, მეცნიერების, ხელოვნებისა თუ სხვა პროფესიის წარმომადგენელთა შორის. მისი ფანატიური გულშემატკივარი იყო ცნობილი შვედი მოგზაური და მკვლევარი, ეროვნებით ებრაელი სვენ ჰედინიც. პათოლოგიური ანტისემიტი ფიურერით იგი ისე იყო გატაცებული, რომ ჰიტლერის ანტისემიტიზმში თავად ებრაელებს ადანაშაულებდა; ჰედინის მტკიცებით, ჰიტლერის ანტისემიტიზმის მთავარი მიზეზი ის ყოფ, რომ „ებრაელებმა შექმნეს კომუნიზმისა და ბოლშევიზმის ავანგარდი“.

ჰიტლერის მმართველობის პირველი 4 წელი საკმარისი აღმოჩნდა, რათა ნაციზმი მიმზიდველი გამხდარიყო არა მხოლოდ უკმაყოფილოთა და უფლებააყრილთათვის, არამედ მოაზროვნე ინტელიგენციისთვისაც, რომელიც მხოლოდ ნაციზმში ხედავდა „ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ჯანსაღ ალტერნატივას“.



ადოლფ ჰიტლერი
(1889-1945)
ფაშისტური გერმანიის რეიხსკანცლერი და ფიურერი

თავი მეცამეტე
ტრიუმფალური მარშით კატასტროფისაკენ

XX საუკუნის დემოკრატიული ევროპის დიპლომატიის „აქილევსის ქუსლად“ იქცა ბერლინთან და მოსკოვთან მიმართებაში ადეკვატური კურსის შემუშავება და მისი თანმიმდევრული რეალიზება. ისტორიულ ჭრილში რუსეთიცა და გერმანიაც ევროპის ქრონიკული თავის ტკივილი იყო. გერმანიის სათავეში ჰიტლერისა და მისი პარტიის მოსვლის შემდეგ, წყალგამყოფი უკვე შიდა-პოლიტიკურ ანატომიებსა და ფასეულებებზეც გადიოდა. თუ გერმანიაში ძირითადად რასისტულ-პოლიტიკური ტერორი მძვინვარებდა, რუსეთში არისტოკრატია, ინტელიგენცია და შუა საუკუნეების მენტალობაში ჩარჩენი-

ლი ცარიზმის პირობებში რის ვაი-ვაგლახით შეკოწიწებული, მოაზროვნე ელიტა იქცა თვით იაკობინელთათვისაც კი შესაშური ტერორის მსხვერპლად. ევროპამ მსოფლიო ომის მთავარი ინიციატორი კაიზერის გასამართლებაც კი არ დაუშვა იმ მოტივით, რომ ცხელ გულზე ეს პოლიტიკურ ანგარიშსწორებას არ დაემსგავსოსო. ბოლშევიკებმა ფიქტიურ სასამართლოზეც კი „არ დაკარგეს დრო“, ისე ამოხოცეს მეფის მთელი ოჯახი ქალებითა და ბავშვებით. ბუნებრივია, რომ უჭირდა ლიბერალურ-დემოკრატიას საერთო ენის გამოძებნა ასეთ რუსეთთან. პოლიტიკურ დევნილად ქცეული ათი ათასობით რუსი არისტოკრატი და რიგითი ინტელიგენტი ბოლშევიკური კანიბალიზმის ცოცხალ მემატიანეებად იქცნენ ევროპელთათვის. რა გასაკვირი იყო, რომ შეძრწუნებულმა ევროპამ „ყავისფერ“ დიქტატორთან (ის ევროპელი მაინც იყო) შეთანხმება ამჯობინა წითელ დიქტატორთან კავშირს? ამიტომაც იქცა იგივე ინგლისელებისათვის გადაულახავ ფსიქოლოგიურ ბარიერად, მოსკოვთან, თუნდაც საერთო საფრთხის წინააღმდეგ, გაერთიანება. საჭირო გახდა ლონდონის გამანადგურებელი დაბომბვები და ჰიტლერის შეჭრა საბჭოთა რუსეთში, რათა ჩერჩილს ამ ბარიერის გადალახვა გაადვილებოდა. მიუნჰენის გარიგებამდე და ავსტრიის ანშლიუსამდე, ბრიტანეთის ყველა პრემიერი ძირითადად ჰიტლერთან მოლაპარაკებებითა და შეთანხმებებით ცდილობდა მშვიდობის შენარჩუნებას, ფრანგული დიპლომატია კი ვერა და ვერ განთავისუფლდა ისტორიული გამოცდილების წნეხიდან. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის არმია ევროპაში უძლიერესი და მრავალრიცხოვანი იყო, ვერსალის კონფერენციიდან მოყოლებული, გერმანიასთან პირისპირ დარჩენის კოშმარი ყველა მთავრობის მაპარალიზებელ რწმენად იქცა. აქედან გამომდინარე, შედეგზე გაუთვლელი და ხშირად არაეფექტური საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და კავშირებით გატაცება. სწორედ ასეთი კურსის შედეგი იყო იგივე „სტრეზას ფრონტი“. ასევე არაპროდუქტული იყო პარიზსა და მოსკოვს შორის, 1935 წლის მაისში გაფორმებული ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელზეც ზემოდ უკვე იყო საუბარი.

რაც შეეხებოდა „ევროპული კონცერტის“ კიდევ ერთ სოლისტს – დიდ ბრიტანეთს, ერთის მხრივ, ლონდონში დღითი-დღე ძლიერდებოდა „ომის ბილიკზე“ დამდგარი გერმანიით განპირობებული შეშფოთება, მეორეს მხრივ – ინგლისელ ჯენტლმენებს ჯერ კიდევ უალტერნატივოდ მიაჩნდათ ბერლინთან შეთანხმებისა და ფიურერის „დაშოშმინების“ კურსი. მათზე ხომ ბერძნულ-მითოლოგიური სირინოზების სიმღერასავით მოქმედებდა ჰიტლერის თავიდან ბოლომდე ყალბი რიტორიკა. თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ ძველი რომის სახელმოხვეჭილ ორატორებსაც კი შეშურდებოდათ ავსტრიელი ეფრეიტორის დემაგოგიური ტალანტისა, იოლი ასახსნელი ხდება ლონდონ-პარიზის ფატალური უმოქმედობა ყველაზე კრიტიკულ მომენტში, როდესაც მართლაც იოლი იყო „ყავისფერი ჭირისაგან“ კაცობრიობის ხსნა. განა თავისებური „შედევრი“ არ იყო რეინის ავანტურის დღეებში რეიხსტაგის ტრიბუნიდან წარმოთქმული ფიცი? – „ამ ისტორიულ საათს, როდესაც რეიხის დასავლეთ ოლქებში, თავისი მშვიდობიანი მომავლისაკენ მიდიან გერმანიის ჯარები, ჩვენ ყველანი უნდა გაგვაერთიანოს წმინდა ფიცმა: ჩვენ ვფიცავთ, რომ არ გამოვიყენებთ ძალას ჩვენი ხალხის ღირსების აღსადგენად... ჩვენ ასევე ვფიცავთ, რომ ახლა, ისე როგორც არასდროს, ვიზრუნებთ ევროპის ხალხებთან, განსაკუთრებით დასავლელ მეზობლებთან, ურთიერთგაგებაზე... ჩვენ არა გვაქვს ტერიტორიული პრეტენზიები ევროპაში! გერმანია არასოდეს არ დაარღვევს მშვიდობას!“. სჯეროდათ, ჯერ კიდევ სჯეროდათ საუკუნის გენიალური თაღლითისა და დემონის ფიცისა ევროპაში და რაც მთავარი იყო, პირველ რიგში ლონდონში. ასევე სჯეროდა ავსტრიის ახალ კანცლერ შუშნიგსაც, რომელიც მოგვიანებით წერდა მემუარებში: „ჩემი წინამორბედის (ჰიტლერის ბრძანებით მოკლული დოლფუსის – ს.ც.) საფლავთან როდესაც ვიდექი, მივხვდი, რომ ავსტრიის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად მშვიდობის კურსს უნდა მივმხრობოდი. ყველა ღონე უნდა გვეხმარა, რათა ინტერვენციის საბაბი არ მიგვეცა ჰიტლერისათვის“ (83). ასეთი ნეტარმორწმუნეობა ავსტრიის დამოუკიდებლობის დაკარგვად და-

უკდა შუშნიგს, ხოლო ინგლისელებსა და თითქმის მთელ მსოფლიოს – ხუთწლიან ჯოჯოხეთად.

ისტორიულ პარადოქსად შეიძლება ჩაითვალოს, რომ XX საუკუნის 30-იანი წლების ევროპული ფაშიზმის რეზონანსული საგარეო-პოლიტიკური წარმატებები, საშუალო ხანგრძლივობის გათვლითაც კი, უფსკრულისაკენ მიმავალ გზად იქცა. როდესაც 1936 წელს, ვიწრო წრეში საუბრისას ჰიტლერმა თავისი შეგრძნება გაუმხილა ახლობლებს – „ლუნატიკის“ (მთვარეულის – ს.ც.) თვითდაჯერებით მივდივარ წინ“-ო, შეიძლება ეს მისი ზუსტი თვითანალიზი იყო. და მაინც, 1937 წლის დამლევისათვის იგი ერთადერთ ევროპელ ლიდერად რჩებოდა, რომელსაც სამომავლო მოქმედების (თუნდაც მისთვის ფატალურის) ზუსტი გეგმა გააჩნდა. 1937 წლის ხუთი ნოემბრის ისტორიულ თათბირზე, რომელსაც ნაცისტური პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელობა და გენერალიტეტი ესწრებოდა, ჰიტლერმა დამსწრეთ განუცხადა, რომ მხოლოდ ძალით შეიძლებოდა გერმანიის წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრა, რისთვისაც აუცილებელი იყო ორ მოწინააღმდეგეზე – დიდ ბრიტანეთზე და საფრანგეთზე გამარჯვება. მისი აზრით, ეს ორი სახელმწიფო არასოდეს შეეგუებოდა გერმანიის პოზიციების გამყარებას როგორც ევროპაში, ასევე მის მიღმა. ორატორმა ვადებიც განსაზღვრა: 1943-1945 წლები. თავდასხმის პირველ ობიექტებად კი ჩეხოსლოვაკია და ავსტრია (შემდეგ რიგითობა შეიცვალა) დასახელდა. მერე უკვე პოლონეთის ჯერი უნდა დამდგარიყო, რაც რუსეთის პოზიციაზე იქნებოდა დამოკიდებული, უკანასკნელი კი იაპონიაზე იყო მიბმული. აქტიური მოქმედების დაწყება 1938 წლიდან ივარაუდებოდა. მხოლოდ საშინაო-ეკონომიკურ პრობლემებსა და არა საგარეო პოლიტიკის პრინციპულ საკითხებში პოზიციათა სხვაობას მოჰყვა დისკუსიები და საკადრო ცვლილებები. არავინ შეკამათებია ჰიტლერს საერთო სტრატეგიაში. უბრალოდ გერინგს, ნეირატს და შახტს მიაჩნდათ, რომ შეიარაღების დაჩქარებული ვადები მძიმედ დააწვებოდა ქვეყნის ეკონომიკას და ამიტომ ფრთხილი და ზომიერი მოქმედება იყო საჭირო. სწრაფი და გადამჭრელი ნაბიჯების მომხრეები იყვნენ რიბენტროპი, ჰებელსი და ჰიმლერი. უკა-

ნასკნელთა მხარე დაიკავა ჰიტლერმაც. შახტი გადადგა, ნეირატის პოსტს რიბენტროპი დაეუფლა – მიუხედავად იმისა, რომ ჩააფლავა მისია ინგლისში. თანამდებობებს გამოემშვიდობნენ აგრეთვე სამხედრო მინისტრი ბლომბერგი და ქვეითი ჯარების სარდალი ფრიჩი. აქედან მოყოლებული, ფაქტიურად ორ ჯგუფად იყო გაყოფილი არმიის ხელმძღვანელობა: ნაცისტურად და კონსერვატიულ-ნაციონალისტურად, რომლის წიაღშიც იშვა 1944 წელს ჰიტლერის მოკვლის იდეა.

საშინაო დისკუსიებს ხელი არ შეუშლია ჰიტლერისთვის, რათა საკუთარი გემოვნებით შეეცვალა ევროპის გეოპოლიტიკური იერი, ხოლო გერმანია კი, დამარცხებული და დამცირებული, მტრულ გარემოცვაში დარჩენილი ქვეყნიდან, კონტინენტის უძლიერეს სახელმწიფოდ ექცია, რომელიც უკვე ან შეშინებული და დემორალიზებული მეზობლებით, ან ახალი მოკავშირეებით იყო გარშემორტყმული.

1938 წელი კიდევ ერთ (უკვე მერამდენე) რუბიკონად იქცა გერმანელი ხალხის ფიურერისათვის. ის უკვე ისე ძლიერად გრძნობდა თავს, რომ ვერსალის შემდგომი ევროპის ტერიტორიულ რეალობაზე აღმართა ხელი. პირველ მსხვერპლად კი ავსტრია იქცა. ამჯერად ჰიტლერი მისთვის არატიპიური სიფრთხილით მოქმედებდა და აქცია დიპლომატიურად ჰქონდა გამყარებული. იტალიასთან ურთიერთობა უკვე სამოკავშირეო სიბრტყეში იყო გადატანილი. რაც შეეხებოდა ლონდონის პოზიციას, გერმანიასთან ურთიერთობის საკითხში კაბინეტი ერთსულოვანი არ იყო; ჩემბერლენი „სტრეზას ფრონტის“ რეანიმაციაზე ოცნებობდა და საამისოდ მზად იყო იტალიის მიერ ეთიოპიის დაპყრობა ეცნო, თუმცა ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის მიმართულებით გერმანიის გააქტიურებას სერიოზული ეჭვით უყურებდა. იდენი ჩემბერლენთან ერთად „ვერ ძოვდა“ და 1938 წლის თებერვალში გადადგა კიდეც საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან. „დამშვიდების“ თავგადაკლული მომხრე იყო ახალი მინისტრი ლორდი ედუარდ ჰალიფაქსი. მან ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე ჩააკითხა ჰიტლერს გერმანიაში და გაგებით შეხვდა ევროპის პოლიტიკურ რუკაზე მოსალოდნელი ცვლილებების ბერლინისეულ ვარიანტს. მას მხოლოდ ერთი დათქმა გააჩნდა: ეს ყველაფერი ომის გარეშე, მშვი-

დობიანი მოლაპარაკებებით უნდა განხორციელებულიყო. ბუნებრივი იყო, რომ ჰალიფაქსის გამინისტრება ლონდონის მიერ ანთებულ „მწვანე შუქად“ აღიქვეს გერმანიაში. ინგლისელებისათვის მთავარი მშვიდობის შენარჩუნება იყო, ფასი კი მსოფლიოს ნომერ პირველ ვაჭარ ერს რატომღაც არ აინტერესებდა.

ავსტრიის მიერთებას გერმანიასთან ვერსალისა და სენ-ჟერმენის ხელშეკრულებები კატეგორიულად კრძალავდა. როდესაც 1931 წელს გერმანიისა და ავსტრიის მთავრობებმა საბაჟო კავშირის შექმნა განიზრახეს, ესეც კი აკრძალეს გამარჯვებულმა მოკავშირეებმა. ჰიტლერის ეპოქის დასაწყისიდანვე იქცა ანშლუსის იდეა გერმანიის საგარეო პოლიტიკის ოფიციალური კურსის შემადგენელ ნაწილად. 1934 წლის ივლისის წარუმატებელი აჯანყების (რამაც კანცლერი დოლფუსი შეიწირა) შემდეგ ჰიტლერმა ტაქტიკა შეცვალა და 1936 წლის ივლისში კანცლერ შუშნიგთან გაფორმებული ხელშეკრულებით ოფიციალურად აღიარა ავსტრიის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა. პარალელურად კი გერმანიის ფინანსური დახმარებით ავსტრიელ ნაცისტთა საქმიანობა გააქტიურა. მათი ლიდერი, ინჟინერი რეინტალერი, ყოველთვიურად გერმანიიდან 200 ათას მარკას ღებულობდა. 1938 წლის თებერვალში ჰიტლერთან გამოიძახეს (გამოიძახეს და არა მიიპატიჟეს) კანცლერი შუშნიგი და სამხედრო ინტერვენციის მუქარით მოაწერინეს ხელი სამპუნქტიან ულტიმატუმზე: ავსტრიის შინაგან საქმეთა მინისტრად ინიშნებოდა ნაცისტი არტურ ზეის-ინკვარტი, ცხადდებოდა პოლიტიკური ამნისტია დაპატიმრებული ნაცისტებისათვის, ხოლო თავად ნაცისტური პარტია სამთავრობო კოალიციის წევრი ხდებოდა. იმავე წლის მარტში შუშნიგმა პლებისციტი დანიშნა ავსტრიის დამოუკიდებლობის საკითხზე, მაგრამ ვინაიდან მინისტრების იმედი არ ჰქონდა, მთავრობასთან შეუთანხმებლად მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, რაც კონსტიტუციის დარღვევა იყო. მოსალოდნელი ანტიკონსტიტუციური პლებისციტი ხელზე დაიხვია ჰიტლერმა და უკვე ღიად დაემუქრა შუშნიგს სამხედრო ინტერვენციით. მარტში შუშნიგი იძულებული გახდა პლებისციტიც გაეუქმებინა და თითონაც გადამდგარიყო ნაცისტ ზეის-ინკვარტის სასარგებლოდ.

ამ მომენტისთვის ბერლინში უკვე ცნობილი იყო ინგლისის პრემიერ ჩემბერლენის მიერ პარლამენტში გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ ავსტრიას არც ერთა ლიგის და არც ლიგის რომელიმე წევრის დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა. იმავე დღეებში ბერლინში ვითომდა ზეის-ინკვარტის მიერ ხელმოწერილი დეპეშა მიიღეს ავსტრიაში ჯარის შეყვანის თხოვნით, გაოცებულ ზეის-ინკვარტს კი „პოსტ-ფაქტუმ“ აცნობეს, რომ დეპეშა „მართლაც მისი სახელით“ იყო გაგზავნილი. ასე დასრულდა ბერლინში დაგეგმილი ოპერაცია კოდური სახელწოდებით „ოტტო“. ცამეტი მარტის საღამოს ვენაში საზეიმოდ ხვდებოდნენ „ნომერ პირველ ავსტრიელს“ ადოლფ ჰიტლერს. ავსტრიის მთავრობის წევრები გახდნენ ბერლინიდან ჩასული ბობოლა ნაცისტები ერნსტ კალტენბრუნერი და გერინგის სიძე ფრანც გუბერი. პირველი უშიშროების მინისტრი გახდა, მეორე – იუსტიციის. გერმანიასა და ავსტრიაში ერთდროულად ჩატარდა პლებისციტი ანშლუსზე. ოფიციალური მონაცემებით გერმანიაში 99,08 პროცენტმა მოიწონა ანშლუსი, ავსტრიაში – 99,75 პროცენტმა.

რას აძლევდა გერმანიას ავსტრიის მიერთება? პირველ რიგში სტრატეგიულ პლაცდარმს ჩეხოსლოვაკიის დასაპყრობად, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და ბალკანეთში ექსპანსიისათვის, გერმანიისათვის ჟანგბადივით საჭირო ნედლეულს, ცოცხალი ძალის რესურსსა და თანამედროვე სამხედრო მრეწველობის მძლავრ ბაზას. 17 პროცენტით გაიზარდა გერმანიის ტერიტორია, ათი პროცენტით – მოსახლეობა და ექვსი დივიზიით – არმია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ქვეყნის სახელის გაუქმებისა (ავსტრიას ეწოდა „აღმოსავლეთ რეიხი“, ხოლო 1942 წლიდან – ალპიური და დუნაის რეიხსგაუ) და გავლენიანი კათოლიკური ეკლესიის შევიწროებისა, მთლიანობაში ავსტრიელები ბოლომდე ლოიალურნი რჩებოდნენ ჰიტლერისადმი. მხოლოდ 1955 წლის მაისის ხელშეკრულებით დაიბრუნა ავსტრიამ დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი.

ავსტრიის ანშლუსის შემდეგ ყველაზე ურწმუნო ევროპელ თომასაც კი უნდა დაენახა და ერწმუნა ჰიტლერის შორსმიმავალი საშიში ექსპანსიონიზმი. ცხადი იყო, რომ რაკი ერთხელ გაუგო მტაცებელმა

გემო ტერიტორიების მიტაცებას, რთული იქნებოდა მისი შეჩერება და ვეგეტერიანელად ქცევა. ეს უკანასკნელი მხოლოდ ძალის გამოყენებით თუ იქნებოდა შესაძლებელი, თუმცა მას „დამშვიდების“ კურსი საფუძველშივე გამორიცხავდა.

ისტორიულ ლიტერატურაში „დამშვიდება“ ხშირადაა წარმოდგენილი როგორც მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდის ბრიტანული ნოვაცია. სინამდვილეში მის ფესვებს შტრეზემანის დრომდე მივყავართ. სხვა საკითხია, თუ რატომ ცდილობდა ასე ჯიუტად ჰიტლერთან კომპრომისების ძებნას ლონდონი მაშინ, როდესაც ამის მინიმალური შანსიც აღარ არსებობდა. გარეგნულად, კარიკატურულ შთაბეჭდილებასაც კი სტოვებდა ჰიტლერის მთავარი „დამამშვიდებელი“ ჩემბერლენი, როდესაც „მაქსებური“ დიპლომატიით შეეცადა გონივრულ გადაწყვეტილებამდე მიეყვანა უკვე აგრესიულ ფანატიკოსად ქცეული გერმანელი დიქტატორი. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ჩემბერლენი, როგორც ჭეშმარიტი ინგლისელი პოლიტიკოსი, ცდილობდა და გარკვეული დროით ახერხებდა კიდეც ბრიტანეთის საზოგადოებრიობის მთავარი დაკვეთის ადეკვატური პოლიტიკის გატარებას. მთავარი დაკვეთა კი მშვიდობის შენარჩუნება იყო. ნუ დავივიწყებთ, რომ იმ საბედისწერო წლებისდროინდელ ინგლისში საზოგადოებრივი აზრის პაციფისტური განწყობილება უალტერნატივო იყო. პირველი მსოფლიო ომის შედეგი იყო ის, რომ მამაკაცთა საერთო რაოდენობა 4 მილიონით ჩამორჩებოდა მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა რიცხვს (რაზეც ირონიულად ქირქილებდა მუსოლონი). რა გასაკვირი იყო, რომ არავის სურდა ამ საშიში თანაფარდობის კიდევ უფრო გაზრდა ახალი ომით? არც იმ ფაქტის იგნორირება შეეძლო ჩემბერლენს, რომ 1940 წლისათვის ინგლისში არჩევნები იყო დანიშნული, რომელშიც ლეიბორისტები მიმზიდველი ლოზუნგით – „არა ომს“ – მონაწილეობდნენ. ყველაფერს კი ის განსაზღვრავდა, რომ ყველა გათვლით, ბრიტანეთი ჯერ არ იყო მზად საომრად. სამხედრო ხარჯების ზრდა მხოლოდ 1939 წლიდან (მიუნჰენის გარიგების შემდეგ) უნდა დაწყებულიყო: თუ 1935 წელს შიდა ეროვნული პროდუქტის 2 პროცენტს შეადგენდა ინგლისის სამხედრო ბიუჯეტი (8 პრო-

ცენტი იყო გერმანიის) და 1938 წლამდე 2-2 პროცენტით იზრდებოდა (გერმანიაში 17 პროცენტს მიაღწია ამავე პერიოდში), 18 პროცენტამდე გაიზარდა 1939 წელს (გერმანიაში 23 პროცენტს უდრიდა). ანგარიშგასაწევი იყო დომინიონების პოზიციაც, რომელთათვის საერთოდ გაუგებარი იყო შორეული ევროპის პოლიტიკური საფრთხეები.

ნებისმიერ შემთხვევაში უამრავი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი ჰქონდა დიდი ბრიტანეთის პრემიერს, რათა მიზანდასახულად ეძებნა მითიური შეთანხმება საომრად მზადმყოფ ჰიტლერთან. ჩემბერლენისათვის ნებისმიერი კომპრომისის წინაპირობა ცალმხრივი აქციებისაგან გერმანიის თავშეკავება იყო. ანშლუსის შემდეგ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, დღის წესრიგში დაუყოვნებლივ დადგა ჩეხოსლოვაკიის პრობლემა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანიისათვის საძულველი რამდენიმე ხელშეკრულების შედეგად შექმნილი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა თომაშ მასარიკისა და ედუარდ ბენეშის სახელთან იყო დაკავშირებული: პირველი, მეეტლის შვილი, შემდგომში ცნობილი მეცნიერი და ქვეყნის პირველი პრეზიდენტი გახდა. გლეხის ოჯახიდან გამოსულმა ბენეშმა ჯერ პრაღის უნივერსიტეტი დაამთავრა, შემდეგ კი საფრანგეთის სამი უნივერსიტეტი. ის მრავალი წელი იყო საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო მასარიკის გადადგომის შემდეგ, 1935 წელს ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. ვინაიდან დიდ ომში გამარჯვებულებმა ჩეხოსლოვაკია ჰაბსბურგების იმპერიიდან „გამოჭრეს“, იგი დაარსებისთანავე იქცა ცენტრალური ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მრავალეროვან სახელმწიფოდ, რაც ქრონიკულ თავის ტკივილად იქცა ქვეყნის ხელისუფლებისათვის. მთელი ოცი წელი ცდილობდა ცენტრალური ევროპის ყველაზე დემოკრატიული და აყვავებული რესპუბლიკა ეროვნულ უმცირესობათა (პირველ რიგში გერმანელების, უნგრელებისა და პოლონელების) პრობლემის გადაჭრას, მაგრამ პრაქტიკულად უშედეგოდ. თვით სლოვაკებიც კი, რომელნიც ენით, კულტურითა და რასობრივი თვალსაზრისითაც სხვებზე ახლოს იდგნენ ჩეხებთან, უკმაყოფილონი იყვნენ საკუთარი მდგომარეობით და სულ უფრო და უფრო ფართო ავტონომიას ითხოვდნენ.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პრაღა არ სცნობდა და არ ასრულებდა 1918 წლის 30 მაისს ჩეხ და სლოვაკ ემიგრანტთა მიერ ხელმოწერილ პიტსბურგის ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც სლოვაკებისათვის გარანტირებული უნდა ყოფილიყო საკუთარი მთავრობა, პარლამენტი და სასამართლო. მიუხედავად ამისა, იგივე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით, ჩეხოსლოვაკიაში ეროვნული უმცირესობები არც თუ ისე ცუდათ გრძნობდნენ თავს: ისინი შეუზღუდავად სარგებლობდნენ ყველა დემოკრატიული და სამოქალაქო უფლებებით, ჰქონდათ საკუთარი სკოლები და კულტურული დაწესებულებები, მათი პოლიტიკური პარტიების ლიდერებს ხშირად ეკავათ ცენტრალური მთავრობის მინისტრების პოსტები და ა.შ.

ერთგვარ ირონიად გამოიყურებოდა ის ფაქტი, რომ ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ უმცირესობათა შორის ყველაზე კარგად სუდეტელი გერმანელები გრძნობდნენ თავს. მათი მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე მათი მოძმეებისა პოლონეთსა და ფაშისტურ იტალიაში. უბრალოდ, მათ არ სურდათ შეგუებოდნენ იმ გაბატონებული მდგომარეობის დაკარგვას, ბოჰემიასა და მორავიაში ჰაბსბურგების მართვის პერიოდში რომ გააჩნდათ. ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის მოსვლამდე ჩეხოსლოვაკელ გერმანელთა მოთხოვნები არ სცილდებოდა კულტურული ავტონომიის ჩარჩოებს და არჩევნებშიც სოციალ-დემოკრატებსა და სხვა დემოკრატიულ პარტიებს აძლევდნენ ხმას. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 1933 წლიდან მოყოლებული, როდესაც სუდეტელ გერმანელთა შორის სოციალ-ნაციონალიზმის ვირუსმა იწყო გავრცელება. იმავე წელს იქმნება სუდეტ-გერმანული პარტია, ფიზკულტურის მასწავლებელ კონრად გენლეინის თავმჯდომარეობით. 1935 წლიდან კი პარტიას საიდუმლოდ აფინანსებს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო. სულ რაღაც 2-3 წლის შემდეგ მთელი სუდეტელი გერმანელები აღმოჩნდნენ პარტიის გავლენის ქვეშ.

ავსტრიის ანშლუსიდან ორი კვირის შემდეგ კონრად გენლეინს 3-საათიანი საიდუმლო შეხვედრა აქვს ჰიტლერთან. როგორც მოგვია-

ნებით გახდა ცნობილი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორანდუმიდან, „სუდეტ-გერმანულ პარტიას ჩეხოსლოვაკიის მთავრობისათვის მიუღებელი მოთხოვნები უნდა წამოეყენებინა“ – ასეთი იყო ჰიტლერის ბრძანება. სამშობლოში დაბრუნებული გენლეინი უკვე დაუფარავად აცხადებდა: „ჩვენ მუდამ უნდა ვთხოულობდეთ ისე ბევრს, რომ შეუძლებელი იყოს ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილება“. სუდეტელი გერმანელების ხელოვნური პრობლება მხოლოდ მარჯვე საბაბი იყო ფიურერისათვის მთელი ჩეხოსლოვაკიის დასაპყრობად. სულ ცოტა დრო გავა და უკვე დანციგი იქცევა პოლონეთის დაპყრობის საბაბად.

საინტერესო კი ის იყო, რომ ინგლისისა და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრები ნევილ ჩემბერლენი და ედუარდ დალადიე ვერა და ვერ მიხვდნენ, თუ რა დაემართა ავსტრიას. მათ მთელი გაზაფხული და ზაფხული გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ ჰიტლერს ჩეხოსლოვაკიაში მხოლოდ საკუთარ თანამემამულეთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება სურდა. იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ გაზაფხულის დასასრულიდან პარიზი და ლონდონი ზეწოლას იწყებს პრაღაზე, რათა „მეტი გაგებით“ მოეკიდოს სუდეტელი გერმანელების მოთხოვნებს. პარალელურად, 12 მაისს, გენლეინი საიდუმლოდ ხვდება რიბენტროპს და დაწვრილებით ინტრუქციებს ღებულობს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მისი ტაქტიკა ინგლისელებთან საუბრისას, რაც იმავე საღამოსთვის იყო დაგეგმილი კერძოდ, გენლეინი ბრიტანეთის საგარეო



ედვარდ ბენეში
(1884–1948)
ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი
1935-1948 წლებში

საქმეთა სამინისტროს მთავარ დიპლომატიურ მრჩეველს, სერ რობერტ ვანსიტარტს და სხვა ინგლისელ პოლიტიკოსებს უნდა შეხვედროდა და უკანასკნელნი დაერწმუნებინა, რომ იგი და მისი პარტია სულაც არ მოქმედებდნენ ბერლინის ინსტრუქციებით.

ჰიტლერი კი ჩეხოსლოვაკიაში სამხედრო შეჭრისათვის ემზადებოდა; 17 მაისს მან თავის სამხედროებს ზუსტი და დაწვრილებითი ინფორმაცია მოსთხოვა ე.წ. „მაჟინოს ჩეხურ ხაზზე“ – სუდეტების მთებში არსებულ ჩეხების თავდაცვით ნაგებობებზე. გერმანელი გენერლების საერთო აზრით, იოლი არ იქნებოდა ჩეხების თავდაცვითი ხაზის გარღვევა. დღემდის არ არის ცნობილი ჰქონდა თუ არა ჩეხოსლოვაკიის დაზვერვას ზუსტი აგენტური ინფორმაცია ჰიტლერის სამზადისსა და ოპერაცია „გრუნ“-ზე (ჩეხოსლოვაკიაში შეჭრის ოპერაციის კოდური სახელწოდება), მაგრამ როდესაც 19 მაისს, ჩეხოსლოვაკიის არმიის გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ კრეიჩიმ თავისთან მიიწვია გერმანიის სამხედრო ატაშე, პოლოკოვნიკი ტუსენი და პირდაპირ განუცხადა, რომ „მის ხელთაა უდავო მტკიცებულებები, ჩეხოსლოვაკიის საზღვართან სრულ საომარ მზადყოფნაში მყოფი 10-12 გერმანული დივიზიის შესახებ”, გერმანელი პოლკოვნიკისათვის უკვე ცხადი იყო, რომ ჩეხები ზუსტ ინფორმაციას ფლობდნენ. მეორე დღეს, პრეზიდენტ ბენეშის თავმჯდომარეობით გამართულ მთავრობის სასწრაფო სხდომაზე მიღებული იქნა ნაწილობრივი მობილიზაციის გადაწყვეტილება. ავსტრიის მთავრობისაგან განსხვავებით, რომელიც ორი თვით ადრე ზუსტად ასეთსავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, ჩეხები უბრძოლველად დანებებას არ აპირებდნენ.

ცნობამ ჩეხების მობილიზაციაზე ობერზალცბერგში მყოფ ჰიტლერს დასვენება ჩაუშხამა. მისი პირველი რეაქცია ანტიჩეხური ისტერიკა იყო. პრეზიდენტი ბენეში იქცა მისი რისხვის მთავარ ობიექტად, რომელმაც შეგნებულად დაამცირა იგი მთელი ევროპის თვალში (ასე ფიქრობდა ფიურერი) და აგრესორად წარმოაჩინა.

ბერლინში, საგარეო საქმეთა სამინისტროში კი გაუთავებლად რეკავდნენ ინგლისისა და საფრანგეთის საელჩოებიდან – ლონდონი და პარიზი სერიოზულად აფრთხილებდა ბერლინს, რომ გერმანიის აგ-

რესიას ევროპული მასშტაბის ომი მოჰყვებოდა. მაისის იმ კრიტიკულ დღეებში უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია ინგლისის ზეწოლამაც, რაც აბსოლუტურად მოულოდნელი იყო ჰიტლერისათვის. პრაქტიკულად ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ფაშისტური გერმანის ასეთი მძლავრი დიპლომატიური წნეხის ქვეშ აღმოჩნდა. თვით ინგლისის ელჩი ბერლინში, სერ ნევილ ჰენდერსონიც კი, რომლის ანტიპატია ჩეხებისადმი კარგად იყო ცნობილი ბერლინის დიპლომატიურ წრეებში და რომლის მთავარი ფუნქცია (როგორც ეს პრემიერ ჩემბერლენს წარმოედგინა) ჰიტლერის „დამშვიდება“ იყო, დღეში რამდენჯერმე ხვდებოდა რიბენტროპს და „მეგობრულად აფრთხილებდა“ არ გადაედგათ საბედისწერო ნაბიჯი.

ბერხსტესგადენში გამოკეტილი ჰიტლერისათვის უკვე ცხადი იყო, რომ ავსტრიასავით იგი ჩეხოსლოვაკიას მარტოს უკვე ვერ დაიხელთებდა. ჩეხების მხარეზე იყვნენ ინგლისელები, ფრანგები და რუსებიც კი. საბოლოო ჯამში, გერმანელი ხალხის საყვარელი ფიურერი, იძულებული გახდა ღრმად ჩაემალა გულში სიამაყე და წყენა: 23 მაისს მისი დავალებით, ოფიციალურად აცნობეს ჩეხოსლოვაკიის ელჩს, რომ გერმანიას არავითარი აგრესიული გეგმები არ გააჩნდა მისი სამშობლოს მიმართ და სინამდვილეს არ შეესაბამებოდა ცნობები გერმანიის ჯარების კონცენტრაციის შესახებ.

კრიზისი დაძლეული იყო და პარიზსა და ლონდონშიც შვებით ამოისუნთქეს; ჰიტლერმა კარგი გაკვეთილი მიიღო და დარწმუნდა, რომ ავსტრიის პრეცედენტს ველარ გაიმეორებს. ჩემბერლენი კიდევ ერთხელ დარწმუნდა „დამშვიდების“ კურსის უალტერნატივობაში – „ჰიტლერს თურმე დიპლომატიის ენაც ესმისო“. სინამდვილეში მაისის კრიზისის შედეგები მხოლოდ ერთი მთავარი საბედისწერო დასკვნის საშუალებას იძლეოდა: ევროპაში დანაშაულებამდე ცუდად იცნობდნენ ნაცისტ დიქტატორს...

ერთი კვირაც არ იყო გასული კრიზისის დაძლევიდან, რომ ბერლინში დაბრუნებულმა ჰიტლერმა, 28 მაისს სახელმეიფო კანცელარიაში შეკრიბა ვერმახტის უმაღლესი გენერალიტეტი და ჩეხოსლოვაკიასთან მიმართებაში საკუთარი გადაწყვეტილება გააცნო. რვა

თვის შემდეგ, უკვე რეიხსტაგში გამოსვლისას, მან თავად გაუმხილა აუდიტორიას 28 მაისის თათბირის მიზანი: სუდეტების პრობლემის ძალის გამოყენებით გადაჭრის გეგმის განხილვა. მთელი სამხედრო სამზადისი 2 ოქტომბრისთვის უნდა დასრულებულიყო. „ჩემი ურყევი გადაწყვეტილებაა ჩეხოსლოვაკია რუკიდან წავშალო“, – დაუფარავად განუცხადა ჰიტლერმა თავის უახლოეს თანამებრძოლებს.

ჯერ კიდევ 1919 წლის ივნისის ბოლოს, ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერისას, ცხადი იყო, რომ ადრე თუ გვიან, ჩეხებს ბუმერანგად დაუბრუნდებოდათ პრეზიდენტ ბენეშის სიხარბე. მაშინ მან ვერ გაუძლო ცდუნებას და ბრიყვული დაუფიქრებლობით „დაითრია“ გერმანელებით დასახლებული გერმანული სუდეტის ოლქი. ვილსონის თვითგამორკვევის პრინციპიდან გამომდინარე, სუდეტელ გერმანელებს თვითონ უნდა გადაეწყვიტათ საკუთარი მომავალი, მაგრამ სენ-ჟერმენის ხელშეკრულებამ დააკანონა ჩეხოსლოვაკიის შექმნა „ისტორიულ საზღვრებში“, ბოჰემია-მორავიის, ზემო სილეზიისა და სლოვაკიის ჩათვლით. რეფერენდუმი სუდეტის ოლქში არ ჩატარებულა. 3 მილიონი გერმანელით დასახლებული გერმანიის მოსაზღვრე სუდეტის ოლქი, გარდა სამხედრო მრეწველობისათვის აუცილებელი წიაღისეულისა, ხელსაყრელი ჰიტლერისთვის პლაცდარმის სახითაც იყო მიმზიდველი. ომის შემდეგ აქედან გერმანელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაასახლეს და მათ ნაცვლად ჩეხები ჩაასახლეს.

გერმანიაში ნაციზმის გამარჯვების შემდეგ მთელ ოლქში დაიწყო პროგერმანული გამოსვლები ავტონომიის მოთხოვნით. ზემოთ უკვე ითქვა სუდეტელი გერმანელის კონრად გენლეინის საქმიანობის თაობაზე, რომელმაც 1932 წელს პოლიტიკური პარტია დააარსა და მიზნად ავტონომიის მიღწევა გამოცხადდა. პირველი სერიოზული ირედენტისტული საპროტესტო აქციები 1937 წელს დაიწყო. აქედან მოყოლებული ბერლინი აქტიურად იყენებდა გენლეინის პარტიას როგორც ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს ძირგამომთხრელ ინსტრუმენტს. ამავე დროს ჰიტლერი „ტერიტორიული სამართლიანობის

აღდგენას“ (ცხადია ჩეხოსლოვაკიის ხარჯზე) მოითხოვს ევროპაში „მშვიდობის შესანარჩუნებლად“.

ფრანგები ამჯერადაც ინგლისელებზე მწვავედ გრძნობდნენ მოსალოდნელ საფრთხეს, მაგრამ ძლიერი მოკავშირის გარეშე ვერ გაბედეს გერმანიასთან კონფლიქტის რისკზე წასვლა. სახალხო ფრონტის მეორე მთავრობამ, პრემიერ ლეონ ბლიუმისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ჯოზეფ პოლ-ბენკურის ინიციატივით, ცდა არ დააკლო პარიზ-ლონდონის ერთიანი პოზიციის გამომუშავებას, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიული მთლიანობა არასოდეს წარმოადგენდა ლონდონის პოლიტიკურ პრიორიტეტს. თანაც ბლიუმის კაბინეტმა, საუკეთესო ფრანგული ტრადიციების თანახმად, მხოლოდ ერთ თვეს იარსება და აპრილში ლონდონში ჩასულ ახალ პრემიერ დალადიეს ჩემბერლენმა გასაგებად აუხსნა, რომ არათუ ჩეხოსლოვაკიას, საფრანგეთსაც კი არ ჰქონდა გარანტირებული ინგლისის დახმარება, თუ პარიზი იარაღს მოკიდებდა ხელს ჩეხების დასაცავად. ასეთ სიტუაციაში ყველასათვის მოულოდნელ მძლავრ საერთაშორისო ფაქტორად იქცა მსოფლიო საზოგადოებრიობის უპრეცედენტო სოლიდარობა ჩეხებისადმი. ლონდონში არ იყვნენ მიჩვეულნი საზოგადოებრივი აზრის იგნორირებას და მაისში ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გერმანიის ელჩს აოცებს ლონდონის მტკიცე პოზიციით: თუ გერმანიის შეჭრას ჩეხოსლოვაკიაში ამ უკანასკნელთა დასაცავად ფრანგების გამოსვლა მოჰყვება, შეუძლებელი გახდება დიდი ბრიტანეთის ნეიტრალიტეტიო. ცხადია ეს აშკარა ბლეფი იყო: ჩემბერლენს აზრადაც არ ჰქონია სავარაუდო ომში ჩაბმა, მაგრამ ბლეფმა გაჭრა - ბერლინში საკუთარ შესაძლებლობათა ზღვარი დაინახეს. მით უმეტეს, რომ გერმანიაშიც პოპულარული იყო კომპრომისის იდეა. ერთ მომენტში ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულებაზეც კი ალაპარაკდნენ (იალმარ შახტი, ჰანს-ბერნდ გიზევიუსი, გენერალი ფრანც ჰალდერი), რათა ამ გზით დაესვათ წერტილი ფიურერის საშიში ავანტიურებისათვის.

რაც შეეხებოდა პრემიერ ჩემბერლენისა და „დამშვიდების“ კურსის ყველაზე შეურიგებელ ოპონენტს – უინსტონ ჩერჩილს, იმ პე-

რიოდში მას მხოლოდ აფორიზმებად ქცეული მწარე რეპლიკებით თუ შეეძლო ჯავრი ეყარა თავისი სამშობლოს – ინგლისის პოლიტიკური ისტებლიშმენტის კოლექტიურ სიბეცეზე. ინგლისელ ისტორიკოსთა აზრით, ჩერჩილს პარლამენტსა და მის გარედაც უმომავლო პოლიტიკოსად თვლიდნენ. თავისი ენისა და ხასიათის წყალობით მან ერთნაირად მოიმდურა როგორც კონსერვატორები, ასევე ლეიბორისტები. მართლაც, მას შემდეგ, რაც საჯარო მარცხი განიცადა ინდოეთის მართვის საკითხებში პრემიერ ბოლდუინთან ცხარე დისკუსიაში, ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი, რომ დასრულდა მისი ხანგრძლივი და მშფოთვარე პოლიტიკური კარიერა. საზოგადოება ბრწყინვალე ისტორიულ გამოკვლევებს უფრო ელოდა მისგან, ვიდრე წარმატებულ პოლიტიკურ დემარშებს. ალბათ ასეც მოხდებოდა 30-იანი წლებიდან, გერმანიის ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ, ჩერჩილის საჯარო გამოსვლებში ფაშისტური გერმანიიდან მოსალოდნელი საფრთხის თემას რომ არ ჩაენაცვლებინა ინდოეთის პრობლემა. სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდებოდა იმ ფაქტის შეუმჩნევლობა და იგნორირება, რომ სამხედრო რევანშის გზაზე დამდგარი, ევროპის ერთ-ერთი წამყვანი და დიდი ომის მთავარი გამმარჯვებელი ქვეყანა ყველას თვალწინ არღვევდა ვერსალის ზავის ფუძემდებელ მუხლებს და წარმატებით ახორციელებდა საკუთარი გადაიარაღების პროგრამას. ჩერჩილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ევროპის „მძიმეწონოსან“ პოლიტიკოსთა შორის პრაქტიკულად ის იყო პირველი, ვინც დროზე მიხვდა, თუ რა სერიოზულ საფრთხესთან იყო დაკავშირებული ჰიტლერის გეგმები და მოქმედება. მეორეს მხრივ, სულაც არ იყო პოპულარული იგივე ბრიტანეთის ფართო საზოგადოებაში, ბევრის აზრით, ჰიპოთეტური საფრთხის შესაკავებელი ზომები. ცხადია, მიმზიდველად გამოიყურებოდა პაციფისტთა რიტორიკა სამხედრო ხარჯებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირებაზე და სოციალური პროგრამების დაფინანსების ზრდაზე. ეს ის პერიოდია, როდესაც ჰიტლერს ჯერ არ დაუტოვებია განიარაღების ჟენევის კონფერენცია და ეფექტური დემაგოგიური ტაქტიკით კუთხეში ჰყავს მიმწყდეული ევროპელი დემოკრატები: ის ხომ მხო-

ლოდ და მხოლოდ თანასწორობის კეთილშობილი პრინციპის პრაქტიკაში რეალიზაციას მოითხოვს – ან ყველა თანაბრად განიარაღდეს, ან გერმანიაც სხვებს გაუტოლდეს. ვერსალის შემზღუდავი მუხლები? ამაზე ხომ უკვე გუშინდელი გამარჯვებულებიც მორცხვად სდუმან და გულახდილობის მომენტში ღიადაც კი აღიარებენ, რომ ვერსალში ზომაზე მეტად გაერთნენ შურისძიებით. ჩერჩილს სხვაზე მეტად ესმის, თუ რა იმალება „შეიარაღებაში თანასწორობის“ „ბუნებრივი“ ლოზუნგის ქვეშ: „გერმანელები თხოულობენ თანასწორობას შეიარაღებაში და არმიისა და ფლოტის ორგანიზებაში... ეს უაღრესად საშიში მოთხოვნებია. არაფერია ცხოვრებაში მუდმივი. თუ გერმანია მიაღწევს მეზობლებთან თანაბარ შეიარაღებას მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არის დაკმაყოფილებული მისი პრეტენზიები, ჩვენ ახლოს აღმოვჩნდებით საყოველთაო ევროპული ომის საფრთხესთან“, – ამბობდა იგი ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში 1933 წლის აპრილში (84). იმავე წლის ბოლოს კი ჰიტლერმა მიატოვა ჟენევის კონფერენცია. ცხადი იყო, რომ აზრი დაკარგა როგორც კონფერენციამ, ასევე ყოველგვარმა დისკუსიებმა განიარაღებაზე.

ჟენევის კონფერენციის ფიასკომ და შეიარაღების საკითხში ჰიტლერის უკომპრომისო პოზიციამ ფართო სადისკუსიო სივრცე შეუქმნა ჩერჩილს. სულ უფრო და უფრო რთული ხდებოდა მისი პოზიციის იგნორირება. თუ პირველი მსოფლიო ომის წლებში ჩერჩილის სახელთან იყო დაკავშირებული ტანკების წარმოებისა და ფართო მასშტაბებში გამოყენების ლობირება, ამჯერად სამხედრო ავიაცია იქცა მისი ინტერესის სფეროდ. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მომავალ დიდ ომში გერმანიასთან მოუწევდა სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება დიდ ბრიტანეთს და გეოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით სწორად სამხედრო ავიაციას შეეძლო გადამწყვეტი როლის შესრულება. ვინაიდან ყველაზე თავგადაკლული „დამამშვიდებლებიც“ აშკარად ხედავდნენ რეალურ საფრთხეს (ისინი მხოლოდ ჰიტლერის „დამშვიდებით“ აპირებდნენ მის ნეიტრალიზებას), უსაფრთხოების პრობლემა იქცა ბრიტანეთის საპარლამენტო დებატების პრაქტიკულად ყველაზე აქტუალურ და მწვავე დებატების თემად. აქ უკვე რო-

გორც თევზი წყალში ისე გრძნობდა თავს შეუდარებელი პოლემისტი ჩერჩილი; შეუძლებელი იყო მისი ლოგიკური და პრობლემის ღრმა ცოდნით გაჯერებული არგუმენტაციის იგნორირება. მისი შეურიგებელი ოპონენტებიც კი იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ, რომ დღითიდღე იზრდებოდა თითქოსდა „საარქივოდ“ განწირული ეული პოლიტიკოსის გავლენა და მისდამი საზოგადოების ინტერესი.

მართლაც გასაკვირი იყო ჩერჩილის ზუსტი ინფორმირებულობა, მას ხომ არანაირი თანამდებობა არ ეკავა და მიუხედავად ამისა, მის განკარგულებაში იყო მდიდარი ფაქტობრივი ინფორმაცია როგორც გერმანიაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზე, ასევე ბრიტანეთის არმიის, ფლოტისა და განსაკუთრებით კი ავიაციის მდგომარეობაზე. საქმე კი ის იყო, რომ ჩერჩილს ფართო სპექტრის ინფორმაციის წყარო გააჩნდა მისთვის საინტერესო სფეროს წამყვანი მეცნიერ-სპეციალისტებით დაწყებული და საგარეო საქმეთა სამისტროსა და თავდაცვის უწყებათა მაღალჩინოსნებით დამთავრებული, რომლებთანაც მას ხანგრძლივი პირადი მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა. ჩერჩილის ხშირი პირადი სტუმრები იყვნენ ლონდონში ვიზიტად მყოფი ფრანგი მინისტრები და პარლამენტის წევრები, რომლებსაც მხოლოდ სიტყვაუხვი მასპინძლის ისტორიულ-ლიტერატორული შემოქმედება არ აინტერესებდათ. 30-იანი წლების დასასრულისათვის მას უკვე იმდენი ოფიციალური თანამდებობები გაჩნდა გამოვლილი, რომ მშვენივრად ერკვეოდა როგორც ლონდონის, ასევე პარიზისა და ბერლინის სახელისუფლებო ლაბირინთებში და საკუთარი მაღალპროფესიული ანალიტიკური გონების წყალობით ბევრ ინგლისელ ოფიციალურ პირზე უკეთ ერკვეოდა კონტინენტზე შექმნილ საერთაშორისო სიტუაციაში. ამიტომაც შეარქვეს მას ამ პერიოდში „პატარა ფორინ ოფისი“ და ამიტომაც იყო მისი ყოველი საპარლამენტო თუ საჯარო გამოსვლა დამაჯერებლად არგუმენტირებული და ემოციურად ეფექტური. ისიც ბუნებრივი იყო, რომ გამოქვეყნებისთანავე იქცა ბესტსელერად ჩერჩილის გამოსვლების კრებული – „სანამ ინგლისს ეძინა“. სხვებთან ერთად კრებულმა ინგლისში ამერიკის ელჩი ჯოზეფ-პატრიკ კენედი, მომავალი პრეზიდენტის მამაც დააინტერესა,

რომელმაც 23 წლის ჯონ კენედის ურჩია უნივერსიტეტის სადიპლომო თემად მიუნჰენის გარიგება და მისი საერთაშორისო შედეგები აეღო. ლონდონში ამერიკის საელჩოს უნიკალურ დოკუმენტურ წყაროებსა და ჩერჩილის თეზისებზე (რომელიც განავრცო და გააღრმავა ჯონმა) დაყრდნობით დაწერილი სადიპლომო ნაშრომი იმდენად საინტერესო და აქტუალური აღმოჩნდა, რომ წიგნადაც გამოიცა „ინგლისისათვის ბრძოლის“ წინა პერიოდში სათაურით – „რატომ ეძინა ინგლისს“. ცხადია, ისიც ბესტსელერად იქცა.

სერ უინსტონი კი ძლიერი სამხედრო ავიაციისათვის ბრძოლას მარტოხელა რაინდივით განაგრძობდა. ის დაუღალავად და მზარდი ენერგიით მოუწოდებდა მთავრობას თვალი გაესწორებინათ რეალობისათვის და ერწმუნათ, რომ ისტორიას ჩაბარდა დრო, როდესაც დიდი ბრიტანეთის „დამცავი ფარი“ ფლოტი იყო. „ამ ეშმაკისეულმა გამოგონებამ (იგულისხმებოდა ავიაცია – ს.ც.) ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი მდგომარეობა. ჩვენ აღარა ვართ ის ქვეყანა, 20 წლის წინ რომ ვიყავით“ – წერდა იგი.

როდესაც 1935 წლის დასაწყისიდან, როგორც იქნა, ინგლისის მთავრობამ დაიწყო სერიოზული ფიქრი ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებზე, ჩერჩილი გაათმაგებული ენერგიით შეუდგა საკუთარი იდეის ლობირებას: მან მეფის სეფე-სიტყვაში ჩამატების პროექტიც კი წარუდგინა პარლამენტს, რაც იმის კონსტატაციას ითვალისწინებდა, რომ ინგლისის შეიარაღებული ძალების, პირველ რიგში კი ავიაციის მდგომარეობა, ვეღარ უზრუნველყოფდა „მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომთა უსაფრთხოებას“. მისი პროგნოზით, 1937 წლის დასასრულისათვის გერმანიის ავიაცია ინგლისის ავიაციაზე ორჯერ ძლიერი იქნებოდა. პრემიერმა ბოლდუინმა „უსაფუძვლო ფანტაზია“ უწოდა ასეთ პროგნოზს და საჯაროდ განაცხადა, რომ 2 წლის შემდეგაც და მომავალშიც, 50 პროცენტით ძლიერი იქნებოდა ინგლისის ავიაცია თავის გერმანელ მეტოქესთან შედარებით. არა თუ 2 წელი, 6 თვეც საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ იგივე ბოლდუინს საჯაროდ ელიარებინა საკუთარი შეცდომა: „მე ვცდებოდი მომავლის შეფასებაში. აქ მე, ცხადია, არ ვიყავი მართალი. ამ საკითხში ჩვენ მთლიანად

ვიყავით შეცდომაში შეყვანილნი“, – გულახდილად განაცხადა მან პარლამენტის ტრიბუნიდან და მთავრობასთან ერთად საკუთარი თავიც სცნო დამნაშავედ. სიჯიუტით ცნობილი ლორდი სტენლიც უსიტყვოდ ემორჩილებოდა ბრიტანული საპარლამენტო დემოკრატიისა და ჯენტლმენური დიდსულოვნების დაუწერელ კანონებს. მეორეს მხრივ კი, უკანასკნელს ხელი არ შეუშლია მისთვის საფირმო სიჯიუტით განეგრძო ჩერჩილის პოლიტიკური იგნორირება, თუმცა ეს უკვე მხოლოდ პოლიტიკა იყო. და მაინც, მიუხედავად მთელი კონსერვატიული პარტიის ანტიპატიისა ჩერჩილისადმი (მან ხომ აიძულა პარტიის ლიდერი საჯაროდ ეღიარებინა საკუთარი შეცდომა), მიუხედავად იმისა, რომ პირადად ბოლდუინს გაგონებაც არ სურდა ჩერჩილის გამინისტრებაზე, უკვე შეუძლებელი ხდებოდა უკანასკნელის სრული პოლიტიკური გარიყვა და თავად ბოლდუინმა შესთავაზა მას საიდუმლო კომიტეტის წევრობა, რომელსაც საჰაერო თავდაცვის სფეროში მიმდინარე კვლევითი სამუშაოებისათვის უნდა ეხელმძღვანელა. ჩერჩილმა შეთავაზება მიიღო, მაგრამ პრემიერი გააფრთხილა, რომ ის კვლავ თავისუფალი ხდებოდა თავის საჯარო გამოსვლებსა და განცხადებებში. მართალია, ჩერჩილი დროსა და ენერგიას არ ზოგავდა კომიტეტში საქმიანობისას, მაგრამ იმასაც ხედავდა, რომ არც მოქმედი პრემიერი და არც მისი მოსალოდნელი მემკვიდრე ჩემბერლენი შინაგანად არ იყვნენ განწყობილნი ჯეროვნად შეეფასებინათ ჰიტლერიდან მოსალოდნელი საფრთხე და ადეკვატურად ემოქმედათ. არა მხოლოდ თანამდებობისაკენ კარიერისტული ლტოლვა და ამბიციური პატივმოყვარეობა აიძულებდა ჩერჩილს სისტემატურად ეძებნა დაუნინგ-სტრიტისაკენ მიმავალი გზები, პირველ რიგში იგი ინგლისის უერთგულესი პატრიოტი იყო და ქვეყნის მომავალზე სწუხდა, რამეთუ ერთად აღებულ მთელი მთავრობის კაბინეტზე ნათლად ხედავდა გარდაუვალ საფრთხეს და უკეთ იცოდა, რა იყო გასაკეთებელი. თითქოს გამოჩნდა კიდეც 1936 წლის გაზაფხულზე საიმისო ვაკანსია მთავრობაში: განა ჩერჩილისთვის არ იყო ზედ გამოჭრილი თავდაცვის კოორდინაციის მინისტრის სავარძელი? ბოლდუინმა და კონსერვატორთა ელიტამ თვინიერი და იოლად სამართავი

ინსკიპი ამჯობინა „ხორკლიან“ ჩერჩილს. გრძელდებოდა ჰიტლერთან საერთო ენის ძებნის კურსი.

თუ როგორ ხედავდა უინსტონ ჩერჩილი ინგლისის საგარეო პლიტიკის (პირველ რიგში კონტინენტურ ევროპასთან მიმართებაში) ძირითად პრინციპს, ამაზე არაორაზროვან წარმოდგენას გვიქმნის მისი ვრცელი, საფუძვლიანი და როგორც ყოველთვის, ისტორიული ექსკურსებით შეზავებული გამოსვლა პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის კონსერვატორ წევრთა სხდომაზე 1936 წლის მარტში: „400 წლის მანძილზე ინგლისის საგარეო პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ კონტინენტზე წინ აღდგომოდა უძლიერეს, ყველაზე აგრესიულ, ყველაზე გავლენიან სახელმწიფოს, კერძოდ კი – არ დაეშვა ასეთი სახელმწიფოს მიერ ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის დაპყრობა“. მან იქვე გაიხსენა ესპანეთის მეფე ფილიპე II, ლუდოვიკო XIV, ნაპოლეონი და ვილჰელმ II. ჩერჩილს არც ის გარემოება გამოპარვია მხედველობიდან, რომ ინგლისს მუდამ შეეძლო ცდუნებას აჰყოლოდა, ძლიერთან გაერთიანებულიყო და მასთან გაეყო ნადავლი, მაგრამ ქვეყანა მუდამ ძნელ გზას ირჩევდა, კოალიციებს ქმნიდა სუსტებთან ერთად და ამარცხებდა ძლიერსო. „ასე შევინარჩუნეთ ევროპის თავისუფლება“-ო, ასკვნიდა ჩერჩილი და რასაკვირველია, იყო ამაში სიმართლე იმ „დეტალის“ მიჩუმათებით, რომ ოთხივე ჩამოთვლილ შემთხვევაში მისი სამშობლოს ეროვნული უსაფრთხოება და ეროვნული ინტერესები იყო განმსაზღვრელი ფაქტორი, რაც ასევე ბუნებრივი იყო. დასკვნის სახით, ჩერჩილი რიტორიკული კითხვით მიმართავდა დამსწრე პარლამენტარებს: „ევროპის რომელი სახელმწიფოა დღეს უძლიერესი და რომელი ისწრაფვის კონტინენტზე ჰეგემონიისაკენო?“. ცხადია იმ პერიოდში ჩერჩილიც საფრანგეთის არმიას მიიჩნევდა უძლიერესად, მაგრამ ის ხომ საფრთხეს არ წარმოადგენდა ინგლისისათვის. სხვა საკითხი იყო გერმანია, რომელსაც არავისი არ ეშინოდა, ქვეყნის ისტორიაში უპრეცედენტო ტემპებით იარაღდებოდა და რომლის სათავეშიც „ერთი მუჭა მოზეიმე თავზე ხელაღებულები იდგნენ“. ყველაზე საინტერესო კი დასკვნა იყო: „სულ მალე მათ მოუწევთ არჩევანის გაკეთება ეკონომიკურ-ფინან-

სურ კრახსა... და ომს შორის, რომელსაც, თუ წარმატებით დამთავრდება, არ შეიძლება ჰქონდეს სხვა მიზანი და რეზულტატი, გარდა ევროპის გერმანიზაციისა ნაცისტური კონტროლის ქვეშ". მართლაც, უკვე 1939 წელს, ჰიტლერის ერთ-ერთ „საომარ არგუმენტად" (ცხადია, შიდა მოხმარების თვალსაზრისით) იქცა გერმანიის ეკონომიკის მომავალი. ფრთხილი იალმარ შახტის პესიმისტური პროგნოზი „დიდი ანგარიშით" გამართლდა და სანედლეულო ბაზის დეფიციტის მარყუჟიდან თავის დაღწევის ყველაზე პერსპექტიულ საშუალებად ახალ-ახალი ტერიტორიების დაპყრობა იქნა მიჩნეული.

1936 წლის ზაფხულში, როდესაც ჰიტლერს უკვე საკმაო რაოდენობით ჰქონდა აქტივში ჩაწერილი ვერსალის ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი მუხლების ცალმხრივი დარღვევები (რეინის აკრძალულ ზონაში ჯარის შეყვანის ჩათვლით), ჩერჩილის ინიციატივით, ორდღიანი შეხვედრა ჰქონდა ოცამდე კონსერვატორ-პარლამენტარს პრემიერ ბოლდუინთან. მიუხედავად მიპატიჟებისა, შეხვედრას არ დაესწრნენ ლეიბორისტების და ლიბერალების ლიდერები. ცხადია, საგარეო პოლიტიკის საკითხი იყო განხილვის მთავარი თემა. ასევე ცხადია, რომ შეხვედრაზე ყველაზე მეტს და ყველაზე მწვავედ ჩერჩილი ლაპარაკობდა. მაქსიმუმი, რასაც მან მიაღწია, ეს იყო ხელისუფლებიდან წასასვლელად გამზადებული (ხანდაზმული ასაკის გამო) ბოლდიუნის პირობა, რომ შეძლებისგვარად გაეზარდა სამხედრო ხარჯები და უფრო აქტიურად ემოქმედა ერთა ლიგაში.

როდესაც, 1937 წლის გაზაფხულზე, ბოლდუინი გადადგა და პრემიერის პოსტი ნევილ ჩემბერლენმა დაიკავა, მთავრობაში ჩერჩილის შეყვანის საკითხი კვლავ იმანენტურად დადგა, მაგრამ იმდროინდელი ინგლისის ყველაზე შორსმჭვრეტელი და დროის მოთხოვნით ყველაზე საჭირო პოლიტიკოსი ხელისუფლებასთან კვლავ არ მიუშვეს. თუკი ვინმე იმსახურებდა იმ პერიოდში არა მხოლოდ ბრიტანეთის კაბინეტის რიგით წევრობას, არამედ პრემიერობასაც კი, რასაკვირველია ეს იყო ჩერჩილი. ჩერჩილსა და ახალ პრემიერს შორის უთანხმოების გადაულახავ უფსკრულად კვლავ საგარეო პოლიტიკა და ფაშიზმის საფრთხე იქცა. როგორც ყველა საშუალო ინტელექტუა-

ლური შესაძლებლობის ადამიანს, ჩემბერლენსაც დიდი წარმოდგენა ჰქონდა საკუთარ თვზე და როგორც ბოლდუინს, მასაც აღიზიანებდა ჩერჩილის გაუთავებელი, თანაც ძნელად გასანეიტრალებელი კრიტიკა. რასაკვირველია, არც ჩერჩილი იქნებოდა იმის წინააღმდეგი, თუ მხოლოდ საბჭოთა კავშირი გახდებოდა ჰიტლერის სამიზნე. მას ჩემბერლენსა და სხვა ნებისმიერ ევროპელ ცივილიზებულ პოლიტიკოსზე ნაკლებად არ სძულდა ფაშიზმის ტოლფასი წითელი უჩხული, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით, მან ერთ-ერთმა პირველმა ამოიცნო ინგლისისა და, საერთოდ, ევროპის მთავარი საფრთხე. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ როგორც ჰიტლერს, ისე არც ლენინს, ტროცკისა და მათ თანამებრძოლებსაც არ აუკანკალდებოდათ ხელი ასი ათასობით პოლიტიკური ოპონენტების ფიზიკურ განადგურებაში, მათი საბოლოო მიზანიც ერთპარტიული ტირანია იყო, მაგრამ გასული საუკუნის 30-იან წლებში ჰიტლერის გერმანია იყო ინგლისისა და მთელი ევროპის ნომერი პირველი, ძლიერი და დაუნდობელი მტერი, რომლის „დამშვიდებაც“ უკვე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ამას ვერ ხედავდა ჩემბერლენი, მაგრამ ამას ხედავდა ჩერჩილი. ეს აღარ იყო ტაქტიკურ საკითხებში აზრთა სხვაობა, როდესაც დისკუსიისა და კომპრომისის მექანიზმით კიდევ არის შესაძლებელი შიდა კონსესუსის გამოძებნა. აქ უკვე ორი რადიკალურად განსხვავებული სტრატეგიული ხედვა დაუპირისპირდა ერთმანეთს. პრემიერის მხარეზე იყო ქვეყნის მოსახლეობის (ამომრჩეველთა) აბსოლუტური უმრავლესობის ცალსახა, კატეგორიულად უალტერნატივო გადაწყვეტილება მშვიდობის შენარჩუნებაზე, თითქმის ნებისმიერი საშუალებებით და ადმინისტრაციული რესურსი – ყველა დროისა და ეპოქის ეს „უკვდავი კაშჩეი“. ჩერჩილის აქტივში იყო გიგანტური ინტელექტუალური პოტენციალი, ბრწყინვალე ორატორული ტალანტი და ბრიტანული დემოკრატიული ინსტიტუტების შეუზღუდავი შესაძლებლობები, რაც მეტ-ნაკლებად არაეფექტურად აქცევდა იგივე ადმინისტრაციულ რესურსს.

სანამ კუნძულზე ჩერჩილი გარდამავალი უპირატესობით ცდილობდა საკუთარ პოზიციაზე გადაეყვანა თანამოქალაქენი, პრაქტი-

კულად ფანტასტიური ტემპებით იზრდებოდა გერმანიის სამხედრო პოტენციალი. ალბათ, ისიც იყო ჰიტლერის ეფექტის მთავარი ეფექტი, რომ საოცრად მოკლე პერიოდში შესძლო გერმანელი ხალხის გაერთიანება „შრომისა და დისციპლინის“ ლოზუნგით. მით უმეტეს, რომ ერთიცა და მეორეც დღემდე გენეტიკურადა აქვს სისხლში გამჯდარი ყოველ გერმანელს. რაც უფრო ძლიერდებოდა გერმანია, მით უფრო გარდუვალი ხდებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მასსა და ევროპულ დემოკრატიას შორის და მით უფრო საეჭვოდ ეჩვენებოდა იგივე ჩერჩილს მხოლოდ ინგლისისა და საფრანგეთის შანსები მომავალ ომში. ეს ხომ ის პერიოდია, როდესაც თვით აშშ-ის პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტისთვისაც კი ფანტაზიად გამოიყურებოდა იზოლაციონიზმის ზენიტში მყოფი ამერიკის დაინტერესება ევროპის მომავლით. თანაც თავად პრეზიდენტი ჯერ კიდევ „კარგ ბიჭად“ თვლიდა გერმანელი ხალხის ფიურერს. ბუნებრივად ლოგიკურ კომბინაციად რჩებოდა ინგლის-ფრანგულ-რუსული ალიანსი. ჩერჩილს ჰიტლერის „დახმარება“ სჭირდებოდა იმ პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური „რუბიკონის გადასალახავად“, უკვე პირსისხლიან საბჭოთა რუსეთთან მოკავშირეობა რომ ერქვა და ფიურერმაც მალე „გაუწოდა დახმარების ხელი“ თავის ყველაზე საშიშ მტერს.

მიუნჰენისა და ჩეხოსლოვაკიის ანექსიის შემდეგ ჩერჩილი უკვე ხმამაღლა იწყებს სულ ცოტა ხნის წინ ტაბუირებული პროექტის ლობირებას. დიპლომატიურად ურთიერთგამომრიცხავი პასაჟებითაა გაჯერებული ამ პერიოდში ჩერჩილის გამოსვლები პარლამენტში (ეგებ ასეთიც უნდა იყოს საჭირო მომენტში უმაღლესი დიპლომატიური პოლიტესი?). იგი აქებს და ადიდებს ჩემბერლენს, როგორც მშვიდობისათვის მებრძოლ პოლიტიკოსს, რომელიც არაფერს ზოგავს მშვიდობის შესანარჩუნებლად და იქვე, იმავე გამოსვლაში რკინა-ბეტონისებური ლოგიკითა და არგუმენტაციით ასაბუთებს, რომ მიუნჰენში მშვიდობა კი არ იქნა დაცული, ომი იქნა მოახლოებული. უფრო მეტიც – იგი ახზადებდა, რომ „ჩვენ უომრად დავმარცხდით, რომლის შედეგებსაც კიდევ ძალიან დიდ ხანს ვიწვნევთ“. ასეთი მკვეთრი კრიტიკის ფონზე ერთის შეხედვით უცნაურადაც კი გამოიყურებოდა

იგივე ჩერჩილის პოზიცია, როდესაც პარლამენტმა 366 ხმით 116-ის წინააღმდეგ მოიწონა მიუნჰენის გარიგება, მან არც მოიწონა და არც დაგმო იგი, კენჭისყრის პროცესში თავი შეიკავა საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისაგან. საქმე კი ის იყო, რომ ჩერჩილის მთავარი მიზანი პარლამენტში „ჰაერის შერყევა“ კი არა, ხელისუფლებაში მოსვლა იყო, რათა რეალურად შეძლებოდა ჯვარი დაესვა „დამშვიდების“ კატასტროფული კურსისათვის და არ დაეშვა ფაშიზმის გლობალური ტრიუმფი. ის ზუსტად ერკვეოდა დიდი ბრიტანეთის სახელისუფლებო ლაბირინთებში და იცოდა, რომ მმართველი პარტიის ხელმძღვანელობის კეთილი ნების გარეშე, პრემიერის კი არა, მეორე ხარისხოვანი მინისტრის სავარძელსაც ვერ ეღირსებოდა. გასათვალისწინებელი იყო საზოგადოებრივი აზრი თავისი პაციფისტური სინდრომით – 1939 წლის მარტშიც კი, როდესაც ხუთი თვეღა რჩებოდა მეორე მსოფლიო ომამდე, მრავლისმეტყველი იყო ინგლისში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები: კითხვაზე, თუ ვინ იქნებოდა საუკეთესო პრემიერი ნევილ ჩემბერლენის გადადგომის შემთხვევაში, გამოკითხულთა 38 პროცენტმა ენტონი იდენი დაასახელა და მხოლოდ 7 პროცენტმა – უინსტონ ჩერჩილი და ერთ-ერთი მთავარი „დამამშვიდებელი“, საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ ჰალიფაქსი.

საკმარისი არ აღმოჩნდა პირველ მსოფლიო ომში გაწამებული ინგლისელებისათვის არც „მაინ კამპფი“, არც რეინისა და რურის ავანტიურა, არც ავსტრიის მიერთება და ჩეხოსლოვაკიის ტრაგედია, რათა თავი დაეღწიათ პაციფისტური ილუზიების ტყვეობიდან. ომის საფრთხის შემცველ გადამჭრელი ზომების მქადაგებელ ჩერჩილს ინგლისელ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი კვლავ ეჭვნარევი სიმპათიით (ეჭვი აშკარად ჭარბობდა სიმპათიას) უყურებდა. შეიძლება ისტორიის ბოროტ ხუმრობადაც კი შეფასდეს ის ფაქტი, რომ ამჯერადაც ადილფ ჰიტლერის უანგარო „დახმარებით“ გაჩნდა პოლიტიკური მოთხოვნილება ჩერჩილზე: როგორც კი ფიურერი პოლონეთს თავს დაესხა, ჩემბერლენმა იმავე დღეს ჩერჩილი დაუნინგ-სტრიტზე მიიწვია. ცხადი იყო, რომ წარმატებით მთავრდებოდა მისი მრავალწლიანი ბრძოლა ხელისუფლებისათვის. პრემიერმა ჩერჩილს სამხედრო კაბინეტის

წევრობა შესთავაზა, რაზეც თანხმობა მიიღო. ერთდროულად ჩერჩილმა მოითხოვა, რომ კაბინეტის წევრები გამხდარიყვნენ ლიბერალი არჩიბალდ სინკლერი და თანამდებობიდან გადამდგარი (იტალიასთან შეთანხმების პროტესტის ნიშნად) ანტონი იდენი. თითქოს გაირღვა ჯადოსნური რკალი და ჩერჩილის დრო დადგა, მაგრამ ბოლო მომენტში დროის გაჭიმვა დაიწყო რეალობის გრძნობა დაკარგულმა პრემიერმა: ტყუილად ელოდა მთელი ორი დღე ჩერჩილი საკითხის საბოლოოდ გადაჭრას, პრემიერი საეჭვოდ სდუმდა. ეს კი უკვე სერიოზული შეცდომა იყო უკანასკნელის მხრიდან, რადგან ჩერჩილი არ იყო ლეგენდარული ავანტურისტის, ჰერცოგ მალბოროს პირდაპირი შთამომავალი, რომ ჭკუათხელ ჩემბერლენს გაებითურებინა: 3 სექტემბერს მან მოკლე ბარათი გაუგზავნა პრემიერს, სადაც ორი დღის წინანდელი საუბარი შეახსენა და არცთუ დიპლომატიურად მიანშნა, რომ პრემიერისა და მისი კაბინეტისათვის ორმაგი თამაში სარისკო იყო. ჩემბერლენისათვის სიტუაციას ის ფაქტიც მატებდა დრამატიზმს, რომ გერმანიისათვის ომის გამოცხადებით მთავრობამ საჯაროდ აღიარა „დამშვიდების“ კურსის სრული მარცხი და ჩერჩილის პროგნოზების სიმართლე. სერიოზულად დამფრთხალი ნევილ ჩემბერლენი აღარ დაელოდა განრისხებული ჩერჩილის ხილვას პარლამენტის ტრიბუნაზე და პარლამენტის გუშინდელი მარტოხელა წევრი ოპერატიულად გახდა სამხედრო-საზღვაო მინისტრი, ანუ სამხედრო კაბინეტის გავლენიანი წევრი. მიუხედავად ახალი მინისტრის ენერგიული ზომებისა (იგი დღეში 18 საათს მუშაობდა და ბევრი სიახლის დანერგვაც შესძლო), ჩემბერლენის კაბინეტის გადარჩენა უკვე შეუძლებელი იყო: ნორვეგიის ოპერაციის მარცხსა და „უცნაური ომის“ დასასრულს, შემდგომ მოვლენებთან ერთად, ისეთი მასშტაბის ანტისამთავრობო რეზონანსი მოჰყვა მთელ ინგლისში, რომ პრემიერის ჩამოშორება თვით კონსერვატორთა ელიტამ ითავა. 1940 წლის 9 მაისს გადადგომას შეგუებულმა ჩემბერლენმა თავისთან მიიწვია ჩერჩილი, ჰალიფაქსი და კონსერვატიული პარტიის მთავარი საპარლამენტო ორგანიზატორი მარჯესონი, რათა ერთად შეერჩიათ ახალი პრემიერის კანდიდატურა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი აზრი-

ცა და ქვეყნის პოლიტიკური სპექტრიც ჩერჩილს მიიჩნევდა უალტერნატივო კანდიდატად, ჩემბერლენი უკანასკნელად შეეცადა გზა გადაეჭრა მისთვის მიუღებელი პიროვნებისათვის და მხარი ედუარდ ჰალიფაქსის კანდიდატურას დაუჭირა. ვინაიდან კაბინეტი უკვე პრაქტიკულად იყო ჩერჩილის გარეშე, ჩემბერლენი პირდაპირ შეეკითხა მას, დათანხმდებოდა თუ არა ჰალიფაქსთან ემუშავა კაბინეტის რიგით წევრად. ადამიანი, რომელიც მთელი სიცოცხლე იოტის ოდენა შანსსაც არ უშვებდა ხელიდან, რათა ყველგან და ყველაფერზე ელაპარაკა და რომლისთვისაც ჩუმად ჯდომა ტანჯვა იყო, ამჯერად პირში წყალდაგუბებულივით სდუმდა. ჰალიფაქსი ყველაფერს მიხვდა და ლორდის საკადრისი ელეგანტურობით შეინარჩუნა სახე: „ომის პირობებში პრემიერი აუცილებლად თემთა პალატის წევრი უნდა იყოს, მე კი ლორდთა პალატაში ვარ და ამიტომ პრემიეროზას ვერ შევძლებო“. ასე დადგა ჩერჩილისა და ინგლისის ვარსკვლავური საათი, თუმცა მანამდის ჩერჩილსაც და მთელ ევროპასაც დაუსჯელად გათამამებული ბოჰემური დიქტატორი არაერთ სურპრიზს უმზადებდა.

დავუბრუნდეთ მეორე მსოფლიო ომისწინანდელ გერმანიას. ჩეხოსლოვაკიის დაცვასთან დაკავშირებით ბრიტანეთის გააქტიურების კვალობაზე ჰიტლერმა, მისთვის დამახასიათებელი ცხოველური ინსტიქტით, დროზე იგრძნო საფრთხე და დროებით ჩაჩუმდა. ივლისში ჩემბერლენს უკვე თვითონ ფიურერმა შესთავაზა კომპრომისის საშუალებით გადაეჭრათ სადაო პრობლემა. გახარებულმა ჩემბერლენმა თავისი პირადი წარმომადგენელი ლორდი უოლტერ რენსიმენი აფრინა პრაღაში რათა, როგორც იმ დღეებში წერდა ინგლისის პრესა, ჩეხები დაერწმუნებინა „წასულიყვნენ თვითმკვლელობაზე“.

რაც შეეხებოდა საფრანგეთს, 1 სექტემბერს პარიზი პირველად დაინტერესდა მოსკოვის პოზიციით, თუ რუმინეთისა და პოლონეთის მთავრობები უარს იტყოდნენ საკუთარ ტერიტორიაზე გაეტარებინათ ჩეხოსლოვაკიის დასახმარებლად დაძრული წითელი არმია. მოსკოვის დაუყოვნებელ პასუხში ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა მხარე მზად იყო ზუსტად შეესრულებინა სამოკავშირეო ვალდებულება, ხოლო პოლონეთსა და რუმინეთზე ერთა ლიგას უნდა ეზრუნა. მოსკოვს

ასევე საჭიროდ მიაჩნდა საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის არმიების ხელმძღვანელების შეხვედრა და ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს წარმომადგენელთა კონფერენცია. შემდეგ უკვე ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ედვარდ ბენეში შეეკითხა მოსკოვს, იყო თუ არა მზად საბჭოთა კავშირი დახმარებოდა ჩეხებს სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში. პასუხი ახლაც ცალსახა იყო. მეტიც, წითელი არმიის კიევის განსაკუთრებულმა სამხედრო ოკრუგმა ბრძანება მიიღო სამხედრო ნაწილების დისლოცირების გაძლიერებაზე. ბენეშმა თითქმის გადაწყვიტა არ მიეღო საფრანგეთისა და ბრიტანეთის მოთხოვნა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ვერ გაუძლო მასირებულ ზეწოლას და იარაღი დაყარა.

ბუნებრივი იყო, რომ სექტემბრის ქრონიკებს ბერლინიდან ყურადღებით ადევნებდნენ თვალს და როდესაც ჰიტლერი მეორედ შეხვდა ჩემბერლენს, უკვე ახალი მოთხოვნები წამოაყენა: გარდა გერმანიისა, პრაღას უნგრეთისა და პოლონეთის ტერიტორიული პრეტენზიებიც უნდა დაეკმაყოფილებინა. ბუდაპეშტი უნგრელებით დასახლებულ ტერიტორიებს თხოულობდა, ვარშავა – ტიშინას რაიონს და სასაზღვრო ზოლს ტატრებში. კრიზისის დღეებში პოლონელებიც და უნგრელებიც ღიად დადგნენ პროგერმანულ პოზიციებზე.

როდესაც მოლაპარაკებების პარალელურად ჰიტლერმა ჯარების თავმოყრა დაიწყო ჩეხოსლოვაკიის საზღვართან, ბენეშმა პარიზისა და ლონდონის თანხმობით არმიის მობილიზაცია გამოაცხადა. პირველსავე დღეს მილიონი ჩეხი გამოცხადდა სამობილიზაციო პუნქტებზე, ხოლო 24 სექტემბრის საღამოსათვის მილიონნახევარზე მეტი, კარგად შეიარაღებული გაწვრთნილი ჩეხი ჯარისკაცი მზად იყო გერმანიასთან საომრად. 25-26 სექტემბერს ლონდონში კვლავ შეიკრიბნენ ინგლისისა და საფრანგეთის პრემიერები. გადაწყდა ჰიტლერისათვის ეცნობებინათ, რომ ჩეხები უარზე იყვნენ დაეკმაყოფილებინათ მისი ულტიმატუმი და ურჩევდნენ თავად შეხვედროდა ბენეშს ინგლისის წარმომადგენელთან ერთად. ფიურერის გაცოფება უსაზღვრო იყო. ახლა უკვე ვაშინგტონის რიგიც მოვიდა თავისი წვლილი შეეტანა კონფლიქტის დარეგულირებაში: რუზველტმა სპეციალური მიმართ-

ვა გაუგზვნა ჰიტლერს, ბენეშს, ჩემბერლენსა და დალადიეს, რომლის თანახმად, აშშ-ის პრეზიდენტი საერთაშორისო კონფერენციის იდეით გამოდიოდა. რუზველტმა მუსოლინსაც სთხოვა ჰიტლერის დაყოლიება ახალ მოლაპარაკებებზე. დუჩემ „ანგარიში გაუწია“ ამერიკის პრეზიდენტს და შუამავლობა იკისრა. თავის მხრივ, ჰიტლერიც დათანხმდა 24 საათით გადაედო გერმანიის არმიის მობილიზაცია, თანაც შეშფოთებული მსოფლიოს დასამშვიდებლად ისიც განაცხადა, რომ სუდეტი მისი უკანასკნელი ტერიტორიული პრეტენზია იყო. „ჩეხები ჩვენ არ გვჭირდებიანო“, – ირწმუნებოდა ფიურერი.

1938 წლის 29 სექტემბერს მიუნჰენში ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის წარმომადგენლების მონაწილეობით გამართული კონფერენცია სამუდამოდ შევიდა მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო, ცინიკური და, რაც მთავარია, კონტრპროდუქტიული ღონისძიება. ჩეხოსლოვაკიის მონაწილეობისა და მასთან თუნდაც ფორმალური კონსულტაციის გარეშე გადაწყდა ევროპის სუვერენული, დემოკრატიული, ერთა ლიგის წევრი სახელმწიფოს ბედი. კონფერენციაზე არც საბჭოთა კავშირი მიუწვევიათ, მიუხედავად იმისა, რომ ისიც დაინტერესებული მხარე იყო და კონფერენციის იდეა მას ეკუთვნოდა.

მიუნჰენის შეთანხმება შედგებოდა მთავარი ნაწილის, ზოგადი დამატებისა და სამი დამატებითი დეკლარაციისაგან. მთავარ ნაწილში საუბარი იყო სუდეტის ოლქის და გერმანელებით დასახლებული ტერიტორიების გერმანიისათვის გადაცემაზე. ხსენებულ ტერიტორიებს 1 ოქტომბრიდან გერმანიის არმია იკავებდა. ჩეხოსლოვაკია ვალდებული იყო გერმანიისათვის ხელუხლებლად გადაეცა იქ არსებული ყველა შენობა-ნაგებობა. ზოგად დამატებაში დაფიქსირებული იყო ინგლისისა და საფრანგეთის მზადყოფნა მონაწილეობა მიეღოდ ჩეხოსლოვაკიის ახალი საზღვრების ურღვეობის „საერთაშორისო გარანტიებში“. ცალკე გარანტიებში ნათქვამი იყო, რომ ჩეხოსლოვაკია ანალოგიური ხასიათის გარანტიებს მიიღებდა გერმანიის და იტალიის მხრიდანაც მას შემდეგ, რაც უნგრელ და პოლონელ უმცირესობებთან დაარეგულირებდა ურთიერთობებს – ვერსალში გამოვლენილი

სიხარბის კიდევ ერთ ბუმერანგს. კონფერენციის მუშაობის დასრულების შემდეგ ჩეხი დელეგატები სხდომათა დარბაზში შეიყვანეს, სადაც ჩემბერლენმა და დალადიემ (ჰიტლერმა და მუსოლინიმ არ ისურვეს მათთან შეხვედრა) მიღებული გადაწყვეტილებები გააცნეს და ისიც განუმარტეს, რომ ხელშეკრულების ტექსტში რაიმე ცვლილებების შეტანა გამორიცხული იყო. რამდენიმე საათის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ ოფიციალურად აღიარა მიუნჰენის გარიგების შედეგები.

მთავარი შედეგის – ჩეხოსლოვაკიის სრული ანექსიის გეგმა, ჰიტლერს კარგა ხნის წინ ჰქონდა შემუშავებული. მისი წაქეზებით, 1938 წლის ორ ოქტომბერს, პოლონეთის არმია ჩეხოსლოვაკიაში შეიჭრა და პოლონელებით დასახლებული ოლქები დაიკავა. 2 ნოემბერს, ვენაში,



ნევილ ჩემბერლენი და ადოლ ჰიტლერი
მიუნჰენის გარიგების დროს.
1938 წლის 29 სექტემბერი

„ვენის პირველი არბიტრაჟის“ ფორმატში გადაწყდა ჩეხოსლოვაკიის უნგრელი უმცირესობის საკითხი: იტალიამ და გერმანიამ, როგორც

„არბიტრებმა“, უნგრეთს გადასცეს სლოვაკიის სამხრეთი რაიონები და კარპატებს მიღმა უკრაინის ნაწილი მილიონიანი მოსახლეობით, თუმცა მომენტს დახარბებული უნგრეთის მთავრობა გაცილებით მეტს თხოულობდა. ჩეხოსლოვაკია ფედერაციად გადაკეთდა და შეიქმნა ორი ავტონომია: სლოვაკიის და „კარპატების უკრაინისა“. 1939 წლის მარტში ჰიტლერმა გააუქმა „კარპატების უკრაინა“ და იგი უნგრეთს გადასცა. რამდენიმე დღეში გერმანიის პატრონაჟით გამოცხადდა „დამოუკიდებელი“ სლოვაკია, რომლის მთავრობამაც „დახმარების თხოვნით“ მიმართა გერმანიას. ბერლინში გამოძახებულმა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ემილ გახამ (ედვარდ ბენეშის გადადგომის შემდეგ „არჩეულმა“) და საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანტიშეკ ხვალკოვსკიმ „გულწრფელად სთხოვეს“ ჰიტლერს „გერმანიის მფარველობაში“ აეყვანა ჩეხი ხალხი. ფიურერმაც არ დააყოვნა და 15 მარტს ჩეხეთისა და მორავიის ოკუპაცია განახორციელა, ხოლო ის, რაც დარჩენილი იყო ერთიანი ჩეხოსლოვაკიიდან, გერმანიის „პროტექტორატად“ გამოცხადდა. საბჭოთა კავშირის მოთხოვნით, ერთა ლიგის ასამბლეის სესიის დღის წესრიგში შეიტანეს ჩეხოსლოვაკიის საკითხი, მაგრამ განხილვა არ შედგა. ასე რომ, მიუნჰენი იქცა ჰიტლერის „დამშვიდების“ პოლიტიკის კულმინაციად და მეორე მსოფლიო ომის პრელუდიად.

ჩეხოსლოვაკიის მოვლენებთან დაკავშირებით, საკუთარი პარლამენტის წევრებისა და ჟურნალისტების მიერ დასმულ კითხვებზე ნევილ ჩემბერლენს სტანდარტული პასუხი ჰქონდა: „ჩეხოსლოვაკიამ არსებობა შეწყვიტა შიდა დაშლის შედეგად“. საფრანგეთში მხოლოდ კომუნისტებმა წამოიწყეს საპროტესტო აქციები (მიუნჰენის გარიგება ხომ პირველ რიგში მოსკოვს ემუქრებოდა, ვინაიდან ჰიტლერმა გზა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაიკვლია), პრემიერ-მინისტრმა ედუარდ დალადიემ კი პარლამენტართა მქუხარე აპლოდისმენტების ფონზე კომუნისტთა პროტესტის ძალით ჩახშობა მოითხოვა. ისტორიამვე შემოგვინახა ჩერჩილის სარკასტული შედევრი: „ინგლისს ომსა და სირცხვილს შორის უნდა გაეკეთებინა არჩევანი. მისმა მინისტრებმა სირცხვილი აირჩიეს, რათა შემდეგ ომიც მიეღოთ“.

სჯეროდა კი ჩემბერლენს, რომ ხანგრძლივი მშვიდობა იქნებოდა სირცხვილის საფასური? მას ხომ ჰიტლერთან ურთიერთობის საკმაო გამოცდილება გააჩნდა, რათა მისი „გარანტიების“ ფასი სცოდნოდა? გამოდის, რომ ის ისტორიული კინოქრონიკა, თვითმფრინავის ტრაპზე მდგომი პრემიერი თვითკმაყოფილი სიამაყით რომ აფრიალებს მიუნჰენის ტექსტს და თანაც დამხვდურთ აყვედრის, „მე თქვენ მშვიდობა ჩამოგიტანეთო“, დიდი ქვეყნის პოლიტიკოსისათვის სასირცხვილო ნეტარმორწმუნეობა და სიბეცე იყო, რაც მალე ძალზე ძვირად დაუჯდა მის ქვეყანასაც და მსოფლიოსაც.

ჰიტლერს კი უკანასკნელი ბარიერი ჰქონდა გადასალახავი, რათა არნახული ტრაგედიის ინიციატორად ქცეულიყო – საბჭოთა კავშირთან თუნდაც დროებითი, შეთანხმების გარეშე, დიდი სამხედრო კამპანიის დაწყება მისი ავანტურისტული ბუნებისთვისაც კი მიუღებელი იყო.



ბენიტო მუსოლინი
(1883-1945)
ფაშისტური იტალიის მთავრობის მეთაური
1922-1945 წლებში

1933 წელს გერმანიის ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის მოსვლისა და ანტისაბჭოურ-ანტიკომუნისტური ექსცესების გაძლიერების შემდეგ, საბჭოთა მთავრობამ შეზღუდა სამხედრო-ეკონომიკური თანამშრომლობა ფაშისტურ გერმანიასთან. მას შემდეგ კი, რაც სტალინი, ერთი მხრივ, დარწმუნდა, რომ ჰიტლერი გარდამავალი ეტაპის მარიონეტი არ იყო, ხოლო მეორეს მხრივ კი, არც საფრანგეთში და არც ინგლისში არავინ აპირებდა სათავეშივე აღეკვეთა ვერსალის ზავის რევიზიის უტიფარი პრაქტიკა, მან მკვეთრად შეცვალა გერმანიასთან დამოკიდებულება და 1936 წელს ბერლინს თავდაუსხმელობის პაქტიც კი შესთავაზა, რაზეც თავდაპირველად

უარი მიიღო. ჰიტლერმა მაშინ ის ფაქტი მოიმიზეზა, რომ ორ ქვეყანას საერთო საზღვარი არ აკავშირებდა.

მიუნჰენის შემდეგ კიდევ ერთხელ იცვლება მოსკოვის საგარეო პოლიტიკის ევროპული ვექტორი: ჩემბერლენისა და დალადიეს შემხედვარე სტალინი, რომელიც არც მანამდე განიცდიდა ევროპული დემოკრატიისადმი უნდობლობის დეფიციტს, საბოლოოდ დარწმუნდა ჰიტლერთან კონტაქტების აუცილებლობაში. მიუნჰენამდე არც ჰიტლერი ჩქარობდა მოსკოვთან ურთიერთობების გააქტიურებას: გარდა იმისა, რომ მან 1936 წელს უარი თქვა თავდაუსხმელობის პაქტზე, ერთი წლის შემდეგ მისივე მიზეზით უშედეგოდ დასრულდა ე.წ. „კანდელაკის მისია“, როდესაც სტალინის დავალებით მისი სპეციალური ემისარი, ძველი მეგობარი, კულაშელი დავით კანდელაკი (სსრკ-ის სავაჭრო წარმომადგენელი გერმანიაში) შეეცადა პოლიტიკური კავშირები სავაჭრო ურთიერთობებთან „მიება“

თუ მიუნჰენის შემდგომ ევროპაში კიდევ კრთოდა იმედის ნაპერწკალი, რომ უძღები ფიურერის ექსპანსიური მადა როგორღაც უკვე დაცხრებოდა და „ტერიტორიული სამართლიანობა“ მის თვალშიც აღდგებოდა, 1939 წლის მარტში უკანასკნელი ილუზიაც გაქრა. იმდენად შთამბეჭდავი იყო ომის მუქარით მიღწეული წარმატებები, რომ ბერლინში საჭიროდ აღარ ჩათვალეს დიპლომატიური შენიღბვები: ჩეხეთს მემელის მხარე მიჰყვა, ხოლო რამდენიმე დღეში რიბენტროპმა უკვე პოლონეთს წაუყენა ტერიტორიული პრეტენზიები. პოლონელებს გაგონებაც არ სურდათ რაიმე სახის კომპრომისებზე და ომისათვის დაიწყეს მზადება. მარტის დამლევს ლონდონისა და პარიზის მოთმინების ფიალაც აივსო და სხვა ხმით ალაპარაკდა ჩემბერლენიც: მან ოფიციალურად გააფრთხილა ბერლინი, რომ პოლონეთზე თავდასხმას საფრანგეთ-ინგლისის ადეკვატური პასუხი მოჰყვებოდა. ერთ კვირაში კი ჰიტლერმა ბრიტანეთ-პოლონეთის სამხედრო კონვენცია მიიღო სურპრიზად. თვით ბრიყვი რიბენტროპიც კი მიხვდა, რომ „დამშვიდების“ კურსი რადიკალურად იცვლებოდა. რაც შეეხებოდა ჰიტლერს, მას შეჩერების არც სურვილი და არც შესაძლებლობა აღარ გააჩნდა: აპრილის დამლევს მან დენონსირებულად

გამოაცხადა პოლონეთთან გაფორმებული თავდაუსხმელობის პაქტი და ინგლისთან მოქმედი საზღვაო კონვენცია. ევროპაში თვალსა და ხელს შუა ქრებოდა მშვიდობა. მოსკოვისთვის კი სიახლე იყო, რომ ჰიტლერმა კომუნისტების ლანძღვა დაივიწყა. მაისში, ბერლინში, იოახიმ რიბენტროპმა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გალეაცო ჩიანომ ხელი მოაწერეს „იტალიისა და გერმანიის პაქტს მეგობრობისა და კავშირის შესახებ“, რომელიც დიპლომატიის ისტორიაში „ფოლადის პაქტის“ სახელითაა ცნობილი. საომრად შემარ-



მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტზე
(სსრ კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულებაზე)
ხელმოწერა, 1939 წლის 23 აგვისტო, მოსკოვი

თულმა ევროპელმა დიქტატორებმა საჭიროდ ჩათვალეს რიტუალური ხარკი გაეღოთ საზოგადოებრივი აზრის სასარგებლოდ და ფაქტიური საომარი კავშირის პრეამბულაში საზეიმოდ აღნიშნეს მხარეების უპირველესი მიზანი“: „თანამშრომლობა ევროპაში მშვიდობის უზრუნველსაყოფად და ევროპული კულტურის საფუძვლების შესანარჩუნებლად”. ხელშეკრულების მესამე მუხლში ზუსტად იყო ფორმულირებული ამ „კეთილშობილი მშვიდობიანი მისიის“ რეალიზების მექანიზმი: „თუ ერთი მხარე აღმოჩნდებოდა ომში ჩაბმული, მეორე მხარე დაუყოვნებლივ გამოვიდოდა მის მხარეზე და სრულ დახმა-

რებას აღმოუჩენდა როგორც ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში" – ფაშისტური ცინიზმით უკვე შეუძლებელი იყო ვინმეს გაკვირვება.

მელანიც არ იყო შემშრალი „ფოლადის პაქტზე", რომ ბერლინში, გენერალიტეტის წინაშე გამოსვლისას ჰიტლერმა აუდიტორიას აუწყა თავისი „ურყევი გადაწყვეტილება" პოლონეთის დაპყრობასა და „აღმოსავლეთში სასიცოცხლო სივრცის" თაობაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ მან პირველად მოიხსენია გერმანიის მთავარ მტრებად ინგლისი და საფრანგეთი, რომლებთანაც ბრძოლა „სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი" იყო. ჰიტლერის ვარაუდით, პოლონეთის ბედი მოსკოვისათვის პრიორიტეტი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაშიც გერმანია პარიზსა და ლონდონს „რამდენიმე გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებდა". რაკი გარდაუვალი იყო ინგლისთან და საფრანგეთთან ომი, ბერლინის კონიუნქტურულ პრიორიტეტად იქცა სტალინთან ურთიერთობის ნორმალიზაცია. როდესაც 1939 წლის მაისში მოსკოვში, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პოსტზე ვიაჩესლავ მოლოტოვმა მაქსიმ ლიტვინოვი შეცვალა, გერმანულ პრესას საბჭოთა კავშირის კრიტიკა აეკრძალა. ოც მაისს მოლოტოვს უკვე მეგობრული საუბარი ჰქონდა გერმანიის ელჩთან მოსკოვში, გრაფ ვერნერ ფონ შულენბურგთან (რომელიც, სხვათა შორის, 1918 წელს საქართველოში კაიზერული გერმანიის ელჩიც იყო). საუბრის მსვლელობაში მხარეებმა დეტალურად განიხილეს ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისათვის „შესაფერისი პოლიტიკური ბაზის შექმნის პერსპექტივა". ამავე დროს სტალინმა მოლოტოვის უწყებიდან გამოითხოვა გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობათა ყველა დოკუმენტი და ხელშეკრულება, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ საბჭოთა ხალხის ბელადმა საჭიროდ ჩათვალა მისთვის დამახასიათებელი აუჩქარებელი საფუძვლიანობით შეესწავლა ურთიერთობათა ყველა ეტაპი და ისე მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება.

მოსკოვ-ბერლინის ურთიერთობების დათბობა შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა ლონდონისთვისაც და ჩემბერლენი მოსკოვში თავის ელჩს ავალებს ურთიერთდახმარების პაქტზე მოლოტოვთან კონ-

სულტაციები განაახლოს. კონსულტაციების იდეას მოლოტოვმაც (ე.ი. სტალინმაც) ოფიციალურად დაუჭირა მხარი, თუმცა საბჭოთა მხარემ საგანგებოდ განმარტა, რომ ამით იგი უარს არ ამბობდა „საქმიან ურთიერთობებზე“ იტალიასა და გერმანიასთან. აქვე შევნიშნავთ, რომ ხსენებული კონსულტაციების განახლების პერსპექტივა შეთანხმების არავითარ რეალურ პერსპექტივაზე არ მიუთითებდა. ე.წ. „წრის კვადრატურის“ პრობლემად იყო ქცეული სავარაუდო ურთიერთდახმარების პაქტის ამოქმედების პირობებიც: საბჭოთა კავშირს იმ მეზობლების დაცვა უნდა ეკისრა, რომელნიც სწორედ მოსკოვს მიიჩნევდნენ საკუთარი თავისუფლების ყველაზე საშიშ მტრად, თვით გერმანიაზე გაცილებით საშიშად. მწვავე ცაიტნოტში აღმოჩენილი ჰიტლერი კი, რომელსაც შემოდგომის წვიმებამდე უნდა დაესრულებინა პოლონეთის კამპანია, უკვე ყველაფერზე მზად იყო სტალინთან სასწრაფოდ გასარიგებლად. 1939 წლის ივლისის დამლევს, დიპლომატიური არხებით, ჯერჯერობით არაოფიციალურ დონეზე, იგი მოსკოვს „პოლიტიკურ დაახლოებას“ სთავაზობს. აგვისტოს დასაწყისში საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაზე უკვე ოფიციალურ გამცხადებას აკეთებს რიბენტროპი, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ კი მოლოტოვს სთავაზობს მოსკოვში შეხვედრას „გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობათა გასარკვევად“. გასარკვევი (თუ გასაყოფი) მართლაც ბევრი დაუგროვდა ორ დიქტატორს; სტალინი უშეცდომოდ ხვდებოდა გერმანელი „კოლეგის“ გასაჭირს, თუმცა აზრად არ მოსვლია „ლამაზი თვალებისთვის“ აენთო მწვანე შუქი ვერმახტის „აღმოსავლური ლაშქრობისათვის“. შულენბურგის მიერ შემოთავაზებულ ძალის გამოუყენებლობის დეკლარაციის ნაცვლად საბჭოთა მხარემ სრულფასოვანი პაქტი მოითხოვა, რაზეც ბერლინი სასწრაფოდ დათანხმდა. მოლოტოვმა ახლა სავაჭრო და საკრედიტო ხელშეკრულებაც მოითხოვა, რაზეც კვლავ ოპერატიული თანხმობა მიიღო. ისე კი, სტალინს რომ მძევლად ევა ბრაუნი მოეთხოვა, მოთმინებადაკარგული ჰიტლერი, ალბად, ამაზეც დათანხმდებოდა. დიპლომატიური პრაქტიკისათვის უჩვეულო ოპერატიულობით – ერთ დღეში მოაწერეს ხელი ფართომასშტაბიან ფინანსურ-ეკონომიკურ შეთანხმებას. რიბენტროპი მოს-

კოვში 26-27 აგვისტოსთვის მიიწვიეს. თითოეულ დღეს კი არა, თითოეულ საათს ჰქონდა მნიშვნელობა ჰიტლერისთვის, ამიტომ პირადად სთხოვა სტალინს რაც შეიძლება ადრე მიეღო რიბენტროპი. სტალინი თავისი გერმანელი „კოლეგის“ მდგომარეობაში შევიდა და ვიზიტი 23 აგვისტოს დაინიშნა. მოსკოვის პასუხის მიღებისთანავე გერმანიის სამხედრო ფლოტმა პოზიციების დაკავების ბრძანება მიიღო: უკვე დეტალებში იყო გადაწყვეტილი პოლონეთთან ომის საკითხი.


1939 წლის 23 აგვისტოს, ნაშუადღევს, რიბენტროპი მოსკოვში ჩაფრინდა, თუმცა კინაღამ სხვა სცენარით წარიმართა მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი: უკვე საბჭოთა საჰაერო სივრცეში მყოფ მის თვითმფრინავს საბჭოთა საზენიტო არტილერიამ შეცდომით გაუხსნა ცეცხლი და რუს მეზენიტეებს რომ ზუსტი სროლა სცოდნოდათ, ნოსტრადამუსიც ვერ გათვლიდა დამთხვეული ფიურერის რეაქციას. რეალობაში კი ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა და ადოლფ ჰიტლერის ემისარს შავსვასტიკიანი ნაცისტური დროშების ფრიალით საზეიმოდ დახვდნენ (დროშები კი, როგორც საბჭოთა ანტიფაშისტური ფილმების რეკვიზიტი, კინოსტუდია „მოსფილმიდან“ იყო ნათხოვარი).

რიბენტროპის შეხვედრა მოლოტოვთან და სტალინთან 3 საათზე მეტს გაგრძელდა. უკანასკნელის ინიციატივით ხელშეკრულების ძირითად ტექსტს დაემატა საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც დღეს „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის“ სახელითაა ცნობილი. ხელშეკრულების თავდაპირველი პროექტი ითვალისწინებდა პოლონეთის საზღვრების კორექტირებას პირველ მსოფლიო ომამდე არსებული მონაცემების მიხედვით, ბესარაბია გადადიოდა საბჭოთა საკუთრებაში. რაც შეეხებოდა კიდევ „გასაყოფ“ რეგიონს – ბალტიისპირეთს, ჰიტლერის ვერსიით, ლატვია გაიყოფოდა, ლიტვას გერმანია იტოვებდა, ესტონეთი და ფინეთი საბჭოთა გავლენის სფეროებად იქცეოდა. სტალინმა მთელი ლატვია მოინდომა და მიიღო კიდეც, ხოლო მოგვიანებით სრულად დაეუფლა ბალტიისპირეთს.

ფაქტია, რომ გადამწყვეტ მომენტში, სხვების ხარჯზე (პოლონელების, ბალტიისპირელების) გარიგებით სტალინმა საგრძნობლად გაუადვილა ჰიტლერს ჩანაფიქრის განხორციელება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის არცერთ პატარა ქვეყანას არ გააჩნდა არც თავისუფლების შენარჩუნებისა და არც ნეიტრალიტეტის რეალური სიკეთით სარგებლობის შანსი. პოლონეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელიც გასაოცარი გულუბრყვილობით ცდილობდა ჰიტლერთან მეგობრობის შენარჩუნებას, ესტონეთის, ლატვიისა და ფინეთის მთავრობებმა კატეგორიული უარი განაცხადეს საბჭოთა კავშირის მონაწილეობით მიღებულ ნებისმიერ გარანტიებზე. მათ აღარ სჯეროდათ ინგლისისა და საფრანგეთის, მაგრამ ვერმახტზე მეტად მაინც წითელი არმიის ეშინოდათ. ცოდვა გამხელილი სჯობს და ისიც უნდა ითქვას, რომ მოსკოვთან ურთიერთობაში არც პარიზი და ლონდონი გამოირჩეოდა გულწრფელობითა და ქმედითი კავშირის შექმნის სურვილით. როგორც ჰენრი კისინჯერი წერს, „არა თუ არცერთი მინისტრი (ფრანგი ან ინგლისელი – ს.ც.) არ ჩასულა მოსკოვში, ლონდონმა აგვისტომდე შეაჩერა მოლაპარაკებები ერთობლივ სამხედრო დაგეგმვებზე და შემდეგაც დელეგაციის ხელმძღვანელად ადმირალი დანიშნა, თუმცა მთავარი, თუ არა ერთადერთი საკითხი, რომელიც საბჭოთა კავშირს აინტერესებდა, სახმელეთო ოპერაციები იყო. ყველაფერთან ერთად კი ბრიტანეთის დელეგაცია გემით გაემგზავრა საბჭოთა კავშირში, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ინგლისელები სულაც არ ჩქარობდნენ. მორალური მოსაზრებების მიუხედავად, ბრიტანეთის თავშეკავებული პოზიცია ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობის გარანტიასთან დაკავშირებით, მოსკოვში პარანოიდალური ლიდერის მიერ შეფასდა როგორც ჰიტლერის მიპატიჟება საბჭოთა კავშირზე თადასხმაზე პოლონეთის გვერდის ავლით“ (85).

როგორც დასავლურ, ასევე რუსულ ისტორიულ ლიტარატურაში დღემდე გრძელდება საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დისკუსიები. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ გასულა ის ისტორიული პერიოდი, რომელიც აუცილებე-

ლია სტრატეგიული მნიშვნელობის ფაქტებისა და მოვლენების ისტორიული გადასახედიდან შესაფასებლად. ნებისმიერ შემთხვევაში, აქტუალობის ვადაგაუსვლელად დარჩება იმ მშფოთვარე დღეებისა და შემდგომი დრამატული მოვლენების თანამედროვისა და თანამონაწილის, უინსტონ ჩერჩილის საფირმო სიზუსტით გამორჩეული ვერდიქტი, რომლის თანახმად, „მხოლოდ ორივე ქვეყანაში არსებულ ტოტალიტარულ დესპოტიზმს შეეძლო ასეთ ოდიოზურ და არაბუნებრივ აქტზე წასვლაო“. რასაკვირველია, სტალინი ერთი წუთითაც არ ენდობოდა ჰიტლერს და მშვენივრად ერკვეოდა მის მიერ ხელმოწერილ შეთანხმებათა რეალურ ფასში, მაგრამ არც თუ უსაფუძვლოდ სთვლიდა, რომ ინგლისსა და საფრანგეთთან ომში ჩაფლული გერმანია გაცილებით ნაკლებ საფრთხედ იქცეოდა მისი ქვეყნისთვის. მოსკოვის სტრატეგიული ამოცანა იყო რაც შეიძლება შორს გადაეწია დასავლეთით გერმანიის არმიის სასტარტო პოზიციები, რათა დრო მოეგო და გიგანტურ იმპერიაში მიმოფანტული ძალების კონცენტრაცია მოესწრო. კრემლში ახსოვდათ 1914 წლის კატასტროფა, როდესაც რუსეთის არმია ისე ჩაება პირველ მსოფლიო ომში გერმანიასთან საომრად, რომ ჯარების მობილიზაცია არც ჰქონდა დასრულებული. 1939 წელს კი რუსეთის საზღვრები გაცილებით აღმოსავლეთით იყო გადაწეული. ამიტომ წერდა ჩერჩილი მეორე მსოფლიო ომზე დაწერილ ფუნდამენტურ ნაშრომში, რომ „რუსებს სჭირდებოდად ძალით ან მოტყუებით მოეხდინათ ბალტიის ქვეყნებისა და პოლონეთის დიდი ნაწილის ოკუპაცია მანამდე, სანამ გერმანია დაესხმოდა თავს. თუ კი ცივად გათვლილი იყო მათი პოლიტიკა, ამ მომენტში ის მაღალი დონით რეალისტურიც იყო“ (86).



ფაშისტური გერმანიის თავდასხმა პოლონეთზე.
1939 წლის 1 სექტემბერი

თავი მეთოთხმეტე
რუბიკონი

1939 წლის მარტისათვის ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში მხოლოდ ბოჰემია და მორავია იყო დარჩენილი, ანუ ის რესპუბლიკა, რომლის ხელშეუხებლობის გარანტის როლი სულ ცოტა ხნის წინ პათეტური რიტორიკით იკისრეს ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა, პრაქტიკულად აღარ არსებობდა. კვლავ სწორი აღმოჩნდა ჰიტლერის პროგნოზი – ჩემბერლენსა და დალადიეს არც უცდიათ ჩეხების დაცვა. თუ როგორი ცინიზმით ხდებოდა ევროპის დემოკრატიული რესპუბლიკის შეუნიღბავი ანექსია, ამაზე უკვე იყო საუბარი წინა თავში. აქ მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საიდუმლო დოკუმენტთა შორის აღმოჩენილ ერთ ფაქტზე შევჩერდებით, რომელიც პრეზიდენტ ემილ გახას საბედისწერო ბერლინურ ვიზიტს, კერ-

ბოდ კი, ჰიტლერთან მისი საუბრის ჩანაწერს ეხება: ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ დოკუმენტირებული ფაქტია, რომ ჯერ კიდევ ფორმალურად სუვერენული სახელმწიფოს დემოკრატი პრეზიდენტი ამაზრზენად ელაქუცებოდა თავისი სამშობლოს მესაფლავეს და ეფიცებოდა, რომ მას არასოდეს აინტერესებდა პოლიტიკა, იშვიათად ხვდებოდა ჩეხოსლოვაკიის დამაარსებელ თომაშ მასარიკსა და ედუარდ ბენეშს, არასოდეს არ თანაუგრძნობდა მათ და იმდენად იყო მისთვის მიუღებელი მათი მმართველობა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ (ანუ მიუნჰენის შემდეგ), ჩეხოსლოვაკიის „დამოუკიდებლობის მიზანშეწონილობაში“ სერიოზულად დაეჭვდა. ქვეყნის მთავარ პრობლემად და სირთულეების სათავედ გახას ბენეშის მომხრეები მიაჩნდა. რა გასაკვირი იყო, რომ ჰიტლერმა ენთუზიაზმით აიტაცა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის მიერ საკუთარი წინამორბედის კრიტიკა და დაუფარავად განუცხადა ჩეხ სტუმრებს, რომ თუ საბოლოოდ არ გაქრებოდა „ბენეშის სული“, გარდუვალი ჩეხოსლოვაკიის სრული განადგურება იქნებოდა. „ეს რომ არ მომხდარიყო“, ბერლინში მიიღეს გადაწყვეტილება ჩეხოსლოვაკია რეიხთან მიეერთებინათ, ანუ ის, რაც ქვეყნიდან დარჩა მიუნჰენის გარიგების შემდეგ. „ეს იქნება გერმანიის მხრიდან ჩეხებისათვის გაწეული კიდევ ერთი კეთილი სამსახური“, - სრული სერიოზულობით აუწყა ჰიტლერმა გაოგნებულ ჩეხ სტუმრებს. ჰიტლერმა ჩეხებთან შეხვედრა ღამის ორ საათზე დაასრულა და შემდეგ მორალურად განადგურებული გახას და მისი საგარეო საქმეთა მინისტრის „დამუშავებას“ უკვე რიბენტროპი და გერინგი შეუდგნენ: საჭირო იყო ოფიციალური დოკუმენტის გაფორმება, რომლის მიხედვითაც ჩეხები თხოვნით მიმართავდნენ გერმანიის ხელისუფლებას ჩეხოსლოვაკიიდან დარჩენილი ტერიტორიები დაუყოვნებლივ მიეერთებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში გერინგი გულახდილად შეპირდა პრეზიდენტსა და მინისტრს, რომ მისი ავიაცია დაბომბავდა და „ქვას ქვაზე არ დატოვებდა მშვენიერ ქალაქ პრაღიდან“ (რასაკვირველია, „დიდი გულისტკივილით“).

დილის ხუთ საათზე, მას შემდეგ, რაც ჰიტლერის პირადმა ექიმმა მორელმა ორი ინექციით როგორც იქნა გონებადაკარგული გახა მოა-

სულიერა, უკანასკნელმა უკვე ჰიტლერის თანდასწრებით, ხელი მოაწერა ჩეხოსლოვაკიის როგორც სუვერენული სახელმწიფოს გაქრობის დოკუმენტს. დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ „ცენტრალურ ევროპაში სიმშვიდის, წესრიგისა და მშვიდობის მისაღწევად ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა მზადყოფნა გამოთქვა ფიურერისა და გერმანიის რეიხის ხელში გადაეცა ჩეხი ხალხისა და ქვეყნის ბედი“. ერთი საათის შემდეგ გერმანიის ჯარები ბოჰემიასა და მორავიაში შევიდნენ...

როგორც მოგვიანებით ჰიტლერის ერთ-ერთი მდივანი იხსენებდა, დოკუმენტზე ხელმოწერისთანავე მათ სამუშაო ოთახში გახარებული ფიურერი შევარდა (საგანგებო მდგომარეობის გამო რეიხსკანცელარიის ყველა თანამშრომელი სამუშაო ადგილზე იმყოფებოდა), რიგ-რიგობით გადაკოცნა ყველა მდივანი ქალი და თვალცრემლიანმა განაცხადა: „ჩემო შვილებო, დღეს ჩემი ცხოვრების უდიდესი დღეა! ისტორიაში მე შევალ როგორც გერმანიის უდიდესი მოღვაწე!“. მას უკვე მართლაც გარანტირებული ჰქონდა ადგილი ისტორიაში. რას იფიქრებდა ეიფორიაში მყოფი გენიალური პარანოიკი, რომ ჩეხოსლოვაკიის დასასრულთან ერთად, 1939 წლის 15 მარტს, დილის 6 საათზე დაიწყო მისი დასასრულიც. ჩეხოსლოვაკია იქცა მესამე რეიხის ხანმოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი და ეფექტური, უსისხლო ტერიტორიული ექსპანსიების უკანასკნელ აკორდად.

მთავარი და საბედისწერო კი როგორც გერმანიისათვის, ასევე მსოფლიოსათვის, ალბად, ის იყო, რომ ამის შემდეგ ადოლფ ჰიტლერმაც და ბენიტო მუსოლინმაც (დუჩე) ირწმუნეს: არც საფრანგეთი და არც დიდი ბრიტანეთი არ წარმოადგენდა ანგარიშგასაწევ ძალას.

ჩეხოსლოვაკიის აგონიამდე ორი თვით ადრე ჩემბერლენი და ჰალიფაქსი რომში ჩავიდნენ ინგლის-იტალიის ურთიერთობათა გაუმჯობესების მიზნით. უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი, გრაფი გალეაცო ჩიანო დღიურში წერდა დუჩეს შეფასებაზე: „ეს ხალხი (ინგლისელები - ს.ც,) სხვა ცომისაგან არიან გაკეთებულნი. მათი ფრენსის დრეიკები და სხვა ბრწყინვალე ავანტიურისტები, ვინც იმპერია შექმნა, უკვე ისტორიაა. მათ უკვე

დაკარგეს ცხოვრების გემო. ესენი არიან მდიდრების მრავალ თაობათა შვილები. ესენი დაკარგავენ თავიანთ იმპერიას“ (87).

თუ რამდენად იყო ზუსტი მუსოლინის ვერდიქტი ჩემბერლენსა და მის კაბინეტზე (და არა იგივე ჩერჩილზე), ამაზე მეტყველებს ოფიციალური ლონდონის პოზიცია ჩეხოსლოვაკიის განადგურების ფაქტთან დაკავშირებით: როგორც კი ჰიტლერმა ბოჰემია და მორავია გადაყლაპა, ხოლო სლოვაკია კი „დამოუკიდებელი“ გახადა, ლონდონში ოფიციალურად განაცხადეს, რომ ვინაიდან ჩეხოსლოვაკია „საკუთარი ნებით“ დაიშალა, „მისი უდიდებულესობის მთავრობა აღარ სთვლის თავს ვალდებულად შეასრულოს მის მიმართ ნაკისრი ვალდებულებაო“ (88). შედარებით მკვეთრი იყო პარიზის რეაქცია: საფრანგეთის ელჩმა ბერლინში რობერ კულონდრმა რიბენტროპთან შეხვედრა ითხოვა და ვინაიდან მინისტრი პრაღაში იმყოფებოდა ჰიტლერთან ერთად, სტატს-მდივან ვაიცზეკერს განუცხადა მკაცრი პროტესტი თავისი მთავრობის სახელით: „საფრანგეთის მთავრობა კანონიერად არ თვლიდა გერმანიის მიერ განხორციელებულ ოკუპაციას“.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ სუდეტის ოკუპაციის პერიოდში ჰიტლერი ყოველნაირად ცდილობდა ინგლისის რეაგირების პროგნოზირებასა და ნეიტრალიზებას, 1939 წლის მარტში კი მას უკვე აღარც ლონდონის პოზიცია აინტერესებდა. ეს უკვე ფატალური შეცდომა იყო. უფრო კონკრეტულად კი მოხდა ის, რასაც არც ჰიტლერი ელოდა, არც დალადიე და არც ჩემბერლენი – ლონდონში, პრესასაც და პოლიტიკოსებსაც კოლექტიურად აეხილათ თვალი ფიურერის რეალურ გეგმებზე და კონკრეტულ საფრთხეზე. თვით პაციფისტურად მშვიდობისმოყვარე „თაიმსი“ და თემთა პალატაც კი აჯანყდა „დამშვიდების“ კურსის წინააღმდეგ. ასეთი რადიკალური ძვრები მართლაც მოულოდნელი იყო, როდესაც 16 მარტს პარლამენტში, ევროპაში მიმდინარე მოვლენებზე, მთავრობის სახელით გააკეთა ჩეულებრივი უხერხემლო განცხადება ლორდ-კანცლერმა ჯონ საიმონმა, რასაც, პრესის ცნობით, მოულოდნელად მოჰყვა „აღშფოთების არნახული აფეთქება“. მეორე დღეს ჩემბერლენს დაბადებიდან 70 წელი

უსრულდებოდა და პრემიერს მშობლიურ ბირმინჰემში საგანგებო გამოსვლა ჰქონდა დაგეგმილი. გამოცდილმა პოლიტიკოსმა წინა დღით პარლამენტში საიმონისათვის მოწყობილი „მიღების“ გათვალისწინებით, ოპერატიულად გადააკეთა გამზადებული სიტყვა და სულ სხვა ტექსტით წარსდგა ბირმინგემელთა და მთელი მსოფლიოს წინაშე (სიტყვა რადიოთი გადაიცემოდა). დასაწყისშივე პრემიერმა ბოდიში მოიხადა ორიოდე დღის წინ ჩეხოსლოვაკიის ანექსიასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების გამო („ძალიან ფრთხილი და ძალიან თავშეკავებული“, როგორც მან აღიარა) და იმედი გამოხატა, რომ ამჯერად ყველაფერს საკუთარ სახელს დაარქმევდა. მიხვდა კი დიდი ბრიტანეთის პრემიერი, რომ ის დამწყები უნიჭო პოლიტიკოსივით გააცურეს მიუნჰენში, სადაც მან ბრიყვულად ირწმუნა ჰიტლერის პირობა – სუდეტის შემდეგ ევროპაში ტერიტორიები აღარ მაინტერესებსო? „დიდი შეცდომა იქნება იმის რწმენა, რომ მხოლოდ იმიტომ, ვინაიდან ჩვენი ერი ომს უაზრო სისასტიკედ მიიჩნევს, მან იმ დონემდე დაკარგა საბრძოლო სულისკვეთება, რომ ყველა ღონეს არ იხმარს, რათა წინ აღუდგეს ამგვარ გამოწვევებს, თუ ის გამეორდება“, – განაცხადა ბირმინჰემში ჩემბერლენმა (89). ეს უკვე ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული სიახლე იყო, რასაც მყისიერად მიხვდა გერმანიის გამჭრიახი ელჩი ლონდონში ფონ ჰერბერტ დირქსენი; „ილუზიაა ფიქრი, თითქოს ინგლისისა და გერმანიის ურთიერთობებში არ მოხდა მკვეთრი შებრუნება“, – წერდა ის ბერლინს (90). ჰიტლერსა და მისი უახლოესი გარემოცვის აბსოლუტურ უმრავლესობას ჯიუტად არ სურდათ თვალი გაესწორებინათ ახალი რეალობისათვის.

1939 წლის მარტის დამლევს, საბოლოოდ გამოფხიზლებულმა და „აზრზე მოსულმა“ პრემიერმა ნევილ ჩემბერლენმა თემთა პალატას ამცნო, რომ მისი უდიდებულესობის მთავრობამ საფრანგეთთან ერთად იკისრა ვალდებულება საჭიროების შემთხვევაში „მის განკარგულებაში მყოფი ძალებით“ პოლონეთის დამოუკიდებლობა დაეცვა. ეს უკვე აღარ იყო სავარაუდო ან ჰიპოთეტურ საფრთხესთან დაკავშირებული გარანტია. ყველასათვის ვისაც წაკითხული ჰქონდა „მაინ კამპ-

ფი“, ვისაც შეეძლო ევროპის რუკის მიხედვით შეეფასებინა გერმანიის არმიის პოზიციები სლოვაკიაში, ვისაც შეეძლო გაეანალიზებინა ფიურერის მიუნჰენის შემდგომი დიპლომატიური სვლები, ნათელი იყო, რომ პოლონეთის ჯერი დადგა.

1939 წლის საშინელ 1 სექტემბრამდე თითქმის ერთი წლით ადრე, როდესაც ერთი თვეც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც პოლონეთის მთავრობამ გერმანიის ხელშეწყობით ჩეხოსლოვაკიის ნაწილი მიიტაცა, რიბენტროპმა, გერმანიაში პოლონეთის ელჩის ლიპსკის საპატივცემულოდ, ბერხსტენგადენში საზეიმო მიღება-სადილი გამართა. სადილის პროცესში მასპინძელმა სტუმარს ჰიტლერის „კარტები გაუხსნა“: დადგა ვარშავასა და ბერლინს შორის ურთიერთობათა საბოლოოდ გარკვევის დროო. უპირველეს ყოვლისა, გერმანიისათვის პოლონეთს დანციგი (დღევანდელი გდანსკი) უნდა დაებრუნებინა. რიბენტროპის სიტყვით, იგეგმებოდა სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლის დამყარება დანციგთან და აღმოსავლეთ პრუსიასთან, ორივე სატრანსპორტო ხაზი კი ექსტერიტორიალური უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, პოლონეთისაგან ბერლინი ანტიკომინტერნულ პაქტთან მიერთებასაც ითხოვდა. სამაგიეროდ, გერმანია 10-20 წლით გააგრძელებდა პოლონეთთან არსებულ ხელშეკრულებას და საზღვრების ურღვეობის გარანტიასაც იძლეოდა. ეს ყველაფერი ელჩს სიტყვიერად უნდა გადაეცა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბეკისათვის.

გერმანელების წინადადებაზე პასუხის მოსაფიქრებლად ვარშავაში დიდი დრო არ დასჭირდათ: ერთ კვირაში ლიპსკის ხელთ ჰქონდა თავისი მთავრობის უარყოფითი პასუხი, თუმცა პოლონელები გერმანიას სთავაზობდნენ, რომ დანციგთან მიმართებაში არსებული ერთა ლიგის გარანტიები პოლონეთ-გერმანიის გარანტიებით ჩანაცვლებულიყო. ვარშავის ვერსიით, ასე უკეთ იქნებოდა უზრუნველყოფილი დანციგის როგორც „თავისუფალი ქალაქის“ სტატუსი. „სხვა ხასიათის ცალმხრივ აქციას კონფლიქტი მოჰყვებაო“ – ირწმუნებოდნენ პოლონელები. რიბენტროპი „დიპლომატიურად დაამწუხრა“ პოლონელე-

ბის სოკიუტემ და ელჩს ურჩია ვარშავაში „თავი შეეწუხებინათ და სერიოზულად განეხილათ გერმანიის წინადადებები“.

არც ჰიტლერი კარგავდა დროს უქმად და 1938 წლის ნოემბრის ბრძანებით, არმიის სამივე სახეობის სარდლობას დაავალა 1939 წლის 10 იანვრისთვის პოლონეთის დაპყრობის დეტალური გეგმა მოემზადებინათ. რაც შეეხებოდა დანციგს, ჰიტლერი დარწმუნებული იყო, რომ ქალაქს ომის გარეშე დაიპყრობდა, იგი ხომ უკვე კარგა ხნის წინ მოექცა ადგილობრივი ნაცისტების კონტროლს ქვეშ.

ჰიტლერისათვის მოულოდნელად, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბეკი ავსტრიის კანცლერ შუშნიგისა და ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტ გახასავით იოლად შესაშინებელი და დამყოლი კაცი არ აღმოჩნდა. მან კატეგორიულად უარყო ბერლინის ყველა შეთავაზება და მუქარაც, თუმცა ბეკისათვის ჰიტლერის განაწყენება იოლი ნამდვილად არ იყო. პოლონელთა უმრავლესობასთან ერთად, ისიც რუსეთის საწინააღმდეგოდ იყო განწყობილი. არც ფრანგებისკენ მიუწევდა გული მას შემდეგ, რაც 1923 წელს იგი საფრანგეთიდან გააძევეს სამხედრო დოკუმენტებით ვაჭრობისათვის (მაშინ ბეკი პოლონეთის სამხედრო ატაშე იყო პარიზში). 1932 წელს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის დაკავებიდან მოყოლებული, ბეკი პრო-გერმანული კურსის ღია მომხრედ ითვლებოდა და ყველაფერს აკეთებდა გერმანიასთან დაახლოებისათვის, თანაც პირადი სიმპათიებიც გააჩნდა ნაციზმისადმი. ეს კი, ყველაფერთან ერთად, იმიტომაც იყო ალოგიკური, რომ ფაშისტური გერმანიის ინტერესები თავისი მეზობლებიდან ყველაზე მეტად სწორედ პოლონეთს ემუქრებოდა. იმდროინდელი პოლონეთის მმართველი პოლიტიკურად ბეცი სამხედროები გასაოცარ არაკომპეტენტურობას ავლენდნენ, როდესაც იმ ელემენტარულ ფაქტს ვერ ხედავდნენ, რომ ვერსალის ტერიტორიული მუხლებიდან „პოლონეთის კორიდორი“ ყველაზე მიუღებელი იყო გერმანიისათვის: ის ხომ მესამე რეიხს აღმოსავლეთ პრუსიას აშორებდა. თვით სუსტი და მშვიდობისმოყვარე ვეიმარის რესპუბლიკაც კი პოლონეთს გერმანიის ისტორიული მიწების მიმტაცებლად მიიჩნევდა. ჯერ კიდევ 1922 წელს გენერალმა ფონ სექტმა ასე ჩამოა-

ყალიბა გერმანიის მიზნები პოლონეთთან მიმართებაში: „პოლონეთის არსებობა აუტანელი და შეუთავსებელია გერმანიის არსებობის პირობებში. პოლონეთი უნდა გაქრეს და ის გაქრება ჩვენი დახმარებით, საკუთარი საშინაო სისუსტისა და რუსეთის ქმედებებით... პოლონეთის განადგურება უნდა იქცეს გერმანიის პოლიტიკის საფუძვლად... ეს კი მიღწეული იქნება რუსეთის ძალით და რუსეთის დახმარებით“ (91). ზუსტი წინასწარმეტყველებაა!

ცხადია, ბერლინში არავის სურდა იმის გაეხსენება, რომ ის მიწები, საიდანაც ვერსალში „კორიდორი“ გამოჭრეს, პრუსიამ იმ დროს მიითვისა, როდესაც რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ პოლონეთის სამეფო გაიყვეს. ამ მიწებზე ათასი წელი ცხოვრობდნენ პოლონელები და ჰიტლერის დროსაც ისინი უმრავლესობას წარმოადგენდნენ.

ვერსალის ზავის შემდეგ, ევროპის არც ერთი ქვეყანა არ აღმდგარა ფერფლიდან ისეთი ტემპებით, როგორც პოლონეთი. თავისი აღორძინების პირველსავე ეტაპზე, 1920-იანი წლების დასაწყისში, ერთი მხრივ, ვარშავა აგრესიულ ომებს აწარმოებდა რუსეთის, ლიტვის, გერმანიის და ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ ქვანახშირით მდიდარი ტუშინის რაიონისათვის, მეორე მხრივ კი, პოლიტიკურ თავისუფლებასა და თვითმმართველობას 150 წლით მოკლებულმა ქვეყანამ ვერც სტაბილური მთავრობისა და ვერც მრეწველობა – სოფლის მეურნეობის პრობლემების გადაჭრა ვერ შესძლო. 1926 წელს, 1918 წლის რევოლუციის გმირი, მარშალი იუზეფ პილსუდსკი ვარშავაში შევიდა, ხელისუფლებას დაეუფლა და ყოფილმა სოციალისტმა საკუთარი დიქტატურით შეცვალა ქაოტური დემოკრატია. სწორედ პილსუდსკიმ მოაწერა ხელი 1934 წლის იანვარში გერმანიასთან თავდაუსხმელობის პაქტს, რითაც ძირი გამოუთხარა კოლექტიური უსაფრთხოების კურსსა და საფრანგეთის მცდელობას თავდაცვითი ხელშეკრულებების ერთიან სისტემაში ჩაერთო გერმანიის აღმოსავლელი მეზობლები. მარშალის სიკვდილის შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდნენ ყოფილი პოლონეთის ლეგიონის (გერმანელების მხარეზე რომ იბრძოდა პირველ მსოფლიო ომში) წევრი პოლკოვნიკები, ნიჭიერი სარდლის, მაგრამ არაფრის მაქნისი სახელმწიფო მოღვაწის, მარშალ ედ-

ვარდ რიდზ-სმიგლას მეთაურობით. 1934 წლიდან პოლონეთი ყველაფერში გერმანიის მხარდამჭერი და ერთგული მოკავშირე იყო. პოლონეთთან მეგობრული ურთიერთობა დაეხმარა ჰიტლერს რეინის ოლქის დაკავებაში, ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობის ლიკვიდაციაში. ყველა ამ აქციებს, რომელიც ასუსტებდა პოლონეთსა და აძლიერებდა გერმანიას, ვარშავა კეთილგანწყობით ხვდებოდა, რაც ძნელად ასახსნელი პოლიტიკური სიბრიყვე იყო.

მართალია, 1939 წლის დასაწყისისათვის უკვე პოლონეთის ცაზეც გამოჩნდა საავდრო ღრუბლები, მაგრამ ჰიტლერი უკანასკნელ წუთამდე არ ღალატობდა ცინიზმზე, სიცრუესა და დემაგოგიაზე აგებულ ხელწერას. 1939 წლის იანვრის ბოლოს რეიხსტაგში წარმოთქმულ საიუბილეო სიტყვაში მან თბილად გაიხსენა „პოლონეთთან მეგობრობა“ და იგი დაახასიათა როგორც „ევროპის პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი“. განა რა მოხდა, თუ ოთხი დღის წინ ვარშავაში, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იაჰიმ რიბენტროპი თავის პოლონელ კოლეგას იუზეფ ბეკს ომით ემუქრებოდა? გერმანიას ხომ „საოცრად მოკრძალებული“ პრეტენზიები ჰქონდა პოლონელებისადმი? პოლონელი კოლეგა კი „უმადურად ჯიუტობდა“ და უკვე ლონდონისა და პარიზისაკენ ეჭირა თვალი.

1939 წლის მარტში საფრანგეთის პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდნენ ლონდონში. უკვე გააქტიურებულმა და რეალობაზე თვალახილულმა ჩემბერლენმა ფრანგებს შესთავაზა საბჭოთა კავშირთან და პოლონეთთან ერთად გამოსულიყვნენ ოფიციალური განცხადებით, რომ ოთხი ქვეყანა დაუყოვნებლივ იწყებდა კონსულტაციებს ევროპაში მოსალოდნელი აგრესიის აღსაკვეთად. 3 დღით ადრე კი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა (მინისტრმა) მაქსიმ ლიტვინოვმა უკვე მეორედ წამოაყენა საერთაშორისო კონფერენციის იდეა., რომელიც ჩემბერლენს რატომღაც „ნაადრევად“ მიაჩნდა. მაქსიმუმი, რაზეც მზად იყო ინგლისის პრემიერი, ეს იყო ოთხმხრივი განცხადება. იგი პათოლოგიურად არ ენდობოდა მოსკოვს და ამას არც მალავდა. ოთხმხრივი განცხადების იდეა კი რუსეთის ისტორიულმა მობულემ - პო-

ლონეთმა დაბლოკა. მიუხედავად იმისა, რომ პოლონელების უნდობლობას მეფისდროინდელი პეტერბურგიც იმსახურებდა და ბოლშევიკური მოსკოვიც, კრიტიკულ დღეებში პოლონელ პოლიტიკოსებს ნამდვილად მეტი შორსმჭვრეტელობა და ნაკლები რომანტიზმი მართებდათ.

21 მარტი მძიმე დღედ იქცა პოლონეთისათვის: იოახიმ რიბენტროპმა თავისთან მიიწვია პოლონეთის დესპანი ბერლინში იუზეფ ლიპსკი და როგორც შეხვედრის შემდეგ იგი ვარშავას ატყობინებდა, რიბენტროპი არა თუ ცივი, არამედ „უზომოდ აგრესიულიც“ იყო მასთან საუბარში. რიბენტროპმა ელჩს აცნობა, რომ „ფიურერი გაოცებული იყო პოლონელების საქციელით“ და ამიტომ მინისტრი იუზეფ ბეკი სასწრაფოდ უნდა ჩასულიყო ბერლინში, რათა განმარტება მიეცა ფიურერისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში უკანასკნელი იფიქრებს, რომ პოლონეთს აღარ სურს გერმანიასთან მეგობრობაო.

პოლონეთის საკითხის გადაწყვეტამდე კი, 1939 წლის 23 მარტს, ჰიტლერმა მემელის (დღევანდელი კლაიპედა) პორტზე ათქმევინა უარი ლიტვას, რაც პოლონელებისათვის უსიამოვნო სურპრიზად იქცა. მემელიდან ბერლინში დაბრუნებული ჰიტლერი გენერალ ვალტერ ბრაუხიჩთან თათბირობს პოლონეთთან ომზე, მას ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება. ჰიტლერმა თავი აარიდა ვარშავიდან პოლონეთის მთავრობის პასუხით დაბრუნებულ ლიპსკისთან შეხვედრას და დროს აჭიანურებდა. იგი კვლავ იმედოვნებდა, რომ პოლონეთის წინააღმდეგ ძალის გამოყენება აუცილებელი არ გახდებოდა, რასაც ინგლის-პოლონეთის კავშირის გამტკიცება მოჰყვებოდა.

საბოლოო ჯამში, ლიპსკიმ რიბენტროპს გადასცა პოლონეთის მთავრობის პასუხი, რომელმაც მინისტრის გაოცება გამოიწვია – პოლონელები ჰიტლერის არც ერთ წინადადებას არ ღებულობდნენ და მობილიზაციაც კი გამოაცხადეს. მეორე დღეს რიბენტროპს კიდევ ერთი შეხვედრა ჰქონდა პოლონეთის ელჩთან, რის შემდეგაც უკანასკნელი დარწმუნდა, რომ გერმანია იგივე ტაქტიკას გამოიყენებდა პოლონეთის წინააღმდეგ, რომელიც ასე წარმატებული აღმოჩნდა ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის შემთხვევაში. მინისტრი უკვე ღია მუქა-

რაზეც კი გადავიდა, მაგრამ უშედეგოდ. მარტის დამლევს უკვე ბეკმა მიიწვია გერმანიის ელჩი და მოურიდებლად განუცხადა, რომ თუ პოლონეთის არმიის მოქმედება დანციგის რაიონში განხილული იქნება როგორც აგრესია, მაშინ, თავის მხრივ, ვარშავაც აგრესიის აქტად ჩათვლის დანციგის სენატის ნებისმიერ გადაწყვეტილებას ქალაქის სტატუსის შეცვლაზეო. ამის შემდეგ ელჩისა და მინისტრის დიალოგი ასე წარიმართა:

„თქვენ გსურთ მოლაპარაკება პისტოლეტის მუქარით აწარმოოთ!“ – აღშფოთდა გერმანიის ელჩი.

„თქვენი მეთოდიც ხომ სწორედ ასეთია“, – უპასუხა პოლონეთის მინისტრმა.

აქვე უნდა ითქვას, რომ პოლონეთის მინისტრს შეეძლო უფლება მიეცა საკუთარი თავისთვის ჩეხ ბენეშზე უფრო მტკიცე ყოფილიყო გერმანელებთან ურთიერთობაში. ბეკმა იცოდა, რომ ინგლისის მთავრობა, რომელმაც თითი-თითს არ დააკარა მიუნჰენში ჩეხოსლოვაკიის გადასარჩენად, სულ სხვაგვარად იყო განწყობილი მიუნჰენიდან ერთი წლის შემდეგ და იოლად არ დაუთმობდა ჰიტლერს პოლონეთს.

30 მარტს ბეკს უკვე ხელთ ჰქონდა ინგლისისა და საფრანგეთის შეთავაზება ურთიერთდახმარების ხელშეკრულებაზე გერმანიის მხრიდან აგრესიის შემთხვევაში. საბჭოთა რუსეთის მონაწილეობა ხელშეკრულებაში გამორიცხული იყო. პოლონეთისა და ჩემბერლენის რუსოფობიის შედეგად მოსკოვი ანტიგერმანული კოალიციის მიღმა აღმოჩნდა. გავა 6 წელი და სტალინი თავის სტილში გაუხსენებს ლონდონში „ომგამოვლილ“ პოლონეთის მთავრობას პირადად მისი მისამართით გამოვლენილ უნდობლობასა და სიძულვილს...

1939 წლის მარტის დამლევს დიდი ბრიტანეთის მთავრობამ დაგვიანებით გააკეთა ის, რისი გაკეთებაც მას გაცილებით ნაკლები რისკითა და მეტი ეფექტურობით შეეძლო გაეკეთებინა როგორც მინიმუმ ერთი წლის წინ. ფაქტიურად ჩემბერლენის დახმარებით მიიღო ჰიტლერმა მეზობელი პატარა სახელმწიფოს ხარჯზე ყველაფერი, რაც კი მოისურვა. რეინის ოლქსა და ავსტრიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ,

ჩემბერლენმა დიდი სახელმწიფოს ლიდერისათვის დაუშვებელი უყურადღებობა გამოიჩინა ჩეხოსლოვაკიის კარგად გაწვრთნილი და თანამედროვე იარაღით აღჭურვილი 35 დივიზიის მიმართ, რომელიც მიუვალ მთაგორიან რაიონში იყო განლაგებული. მან დაუფიქრებლად გაწირა გერმანიის ერთადერთი დემოკრატიული მეზობელი სახელმწიფო. ეს ყველაფერი ხდებოდა მაშინ, როდესაც თვით გერმანელი გენერლების მტკიცებით, ჰიტლერს არა თუ ორ ფრონტზე ბრძოლა, მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის სიმაგრეების აღებაც არ შეეძლო. ყველაფერი ამის შემდეგ კი იგივე ჩემბერლენი ცალმხრივ გარანტიას აძლევდა პოლონეთს, რომელსაც ერთი მუჭა პოლიტიკურად უმწიფარი სამხედროები მართავდნენ. ისინი ხომ წლების მანძილზე თანამშრომლობდნენ ჰიტლერთან და მასთან ერთად მოუღეს ბოლო ევროპის მშვენიერ დემოკრატიულ ქვეყანას. მთავარი ის იყო, რომ ჩემბერლენმა მაინც ვერ იხსნა მსოფლიო ახალი ომისაგან. წლების მანძილზე იმდენჯერ „დაამშვიდა“ ჰიტლერი ჩემბერლენმა, რომ როცა მართლაც გადაწყვიტა წერტილის დასმა, გერმანიის დიქტატორს სრული საფუძველი ჰქონდა ბლეფად აღექვა ინგლისელი ჯენტლმენის საომარი მზადყოფნა.

ინგლისის მთავრობის ასე ნაუცბათევად და დიდი რისკის ფასად მიღებულმა გადაწყვეტილებამ ჰიტლერი ახალი რეალობის წინაშე დააყენა. მართალია, მას კიდევ კარგა ხანს არ სჯეროდა ჩემბერლენის გარდაქმნისა, მაგრამ ძნელად დასაჯერებელი ფაქტით გამოწვეული რეაქცია იმდენად ექსტრავაგანტური იყო, რომ ყველაფრის მნახველი ადმირალი ვილჰელმ კანარისიც კი გააოცა: ჰიტლერი გაცოფებული დარბოდა ოთახში, მუშტებს ურტყამდა მარმარილოს მაგიდას, დორბლებს ყრიდა და არმაგედონით ემუქრებოდა ინგლისელებს. ეს სცენა ზუსტად აღწერა დღიურში იმ მომენტში ფიურერთან მიღებაზე მყოფმა კანარისმა.

საინტერესოა, რომ მეორე დღეს, როდესაც ჰიტლერი სიტყვით უნდა გამოსულიყო ვილჰელმსჰაფენში, ახალი ლინკორის „ტირპიცის“ წყალში ჩაშვებისას, მან უკანასკნელ მომენტში თავისი გამოსვლის ტრანსლიაცია აკრძალა. როგორც სჩანს, არ იყო დარწმუნებული,

რომ შეძლებდა ემოციური აგრესიის მოთოკვას და ჯერ კიდევ ერიდებოდა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის პროვოცირებას. რეალური პასუხი კი სამ აპრილს გასცა ჰიტლერმა ბეკსა და ჩემბერლენს: ამ დღეს დაამტკიცა მან ზესაიდუმლო დირექტივა „ვაისი“ – პოლონეთზე თავდასხმის დეტალური გეგმა. დოკუმენტის პოლიტიკურ ნაწილში აღნიშნული იყო, რომ საფრანგეთის საშინაო სირთულეები და ამ უკანასკნელით გამოწვეული ინგლისის თავშეკავებული პოზიცია ახლო მომავალში შექმნიდა პოლონეთის საკითხის „გადაჭრისათვის“ ხელსაყრელ პირობებს. იქვე იყო ნავარაუდევი უნგრეთისა და იტალიის მხარდაჭერა, თუკი ამის საჭიროება შეიქმნებოდა. რუსეთთან დაკავშირებით კი დოკუმენტის ავტორები ირწმუნებოდნენ, რომ მოსკოვს, თუნდაც გადაეწყვიტა პოლონეთის დახმარება, ამაზე პოლონეთი იტყოდა უარს. ისევე როგორც ჩეხოსლოვაკიის შემთხვევაში, აქაც რამდენიმე თვით ადრე მონიშნა ჰიტლერმა პოლონეთის კამპანიის თარიღი: 1939 წლის 1 სექტემბერი. ორივე ვადა გერმანული პუნქტუალობით იქნა დაცული.

დირექტივა დირექტივად, მაგრამ, როგორც ჩანს, ჰიტლერი „მშვიდობიან სცენარსაც“ არ გამორიცხავდა. ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის მაგალითმა დათვური სამსახური გაუწია სროლის გარეშე გამარჯვებებს მიჩვეულ ეფრეიტორს. თანაც გერმანიის გენერალურ შტაბს ზუსტი ინფორმაცია ჰქონდა პოლონეთის სამხედრო პოტენციალზე - მოძველებული ავიაცია, დიდი და მოუქნელი, არამანევრირებადი, მამაცი, მაგრამ ცუდად შეიარაღებული არმია და საშინელი სტრატეგიული მდგომარეობა – პოლონეთი უკვე სამი მხრიდან იყო ალყაშემორტყმული გერმანიის არმიის მიერ. მაღალპროფესიონალი გერმანელი სტრატეგები (ასეთები კი მრავლად იყვნენ ჰიტლერის სამსახურში) იმ ფაქტსაც ითვალისწინებდნენ, რომ პოლონელები მაშინაც კი არ მიიღებდნენ რუსეთის ჰიპოთეტურ დახმარებას, გერმანიის არმია ვარშავის კარიბჭესთან რომ მდგარიყო.

სანამ ევროპის წამყვანი სახელმწიფოები მომავალი დიდი ომისათვის სამზადისითა და მისი თავიდან აცილების დიპლომატიური მანევრებით იყვნენ დაკავებულნი, ტერიტორიული ზრდის ეშხში შე-

სულმა ევროპის „მეორე ნომერმა“ დიქტატორმა დუჩემ დრო იხელთა და პატარა ღარიბი მეზობელი ალბანეთი მიიერთა. ერთი რამ მაინც უნდა ითქვას მუსოლინის „სასარგებლოდ“: ის თავის უფროს პარტნიორზე – ჰიტლერზე გაცილებით რეალისტი (და მშიშარაც) იყო. აპრილში მას ორი ხანგრძლივი მძიმე საუბარი ჰქონდა რიბენტროპთან. მუსოლინს შიშის ზარს სცემდა მთელი ევროპის (სავარაუდოდ, პლიუს რუსეთის) წინააღმდეგ დიდი ომის კოშმარი. მაქსიმუმი, რაზეც მისი დაყოლიება შესძლო რიბენტროპმა, ეს იყო ომი მინიმუმ 3 წლის შემდეგ.

იმავე პერიოდში მთელი ევროპა გააკვირვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ფრანკლინ დელანო რუზველტის მიმართვამ ჰიტლერისა და მუსოლინისადმი. ამერიკის პრეზიდენტი ხისტად ეკითხებოდა ევროპელ დიქტატორებს: იყვნენ თუ არა ისინი მზად თავდაუსხმელობის გარანტია მიეცათ მიმართვაში ჩამოთვლილი მსოფლიოს 31 სახელმწიფოსათვის. ასეთი რამ იმდენად უჩვეულო იყო ევროპული დიპლომატიური პრაქტიკისათვის, რომ დუჩემ ეს რუზველტის დაავადების რეციდივად, ხოლო გერინგმა კი „გონებრივი აშლილობით“ ახსნა. რუზველტი ჰიტლერს ახსენებდა მის არა ერთ ფიცს, რომ არც მას და არც გერმანელ ხალხს ომი არ სურდად. „თუ ეს სიმართლეა, ომი არ იქნება“, – ასკვნიდა ამერიკის პრეზიდენტი და აპრიორი განსაზღვრავდა მომავალი აგრესორის ვინაობას.

მუსოლინისაგან განსხვავებით, ჰიტლერი რუზველტის ინიციატივამ შეაცბუნა. იგი დუჩეზე მეტად მიუხვდა პრეზიდენტს და ამიტომ გადაწყვიტა ეპასუხა, რაც მან მიმართვის მიღებიდან ორი კვირის შემდეგ, რეიხსტაგში გამოსვლისას გააკეთა. მანამდე კი რიბენტროპის უწყებამ სპეციალური ცირკულარული დეპეშები დაუგზავნა თავის ელჩებს მიმართვაში ჩამოთვლილ ქვეყნებში. ამ ქვეყნებს ოფიციალურად უნდა გაეცათ პასუხი ორ კითხვაზე: პირველი – თვლიან თუ არა ეს ქვეყნები, რომ მათ გერმანია ემუქრებათ და მეორე – სთხოვეს თუ არა მათ რუზველტს ასეთი ინიციატივით გამოსვლა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბერლინმა ორივე კითხვაზე უარყოფითი პასუხი მიიღო, მათ შორის იუგოსლავიიდან, ბელგიიდან, დანიიდან, ნორვეგიი-

დან, ჰოლანდიიდან, ლუქსემბურგიდან, ანუ იმ ქვეყნებიდან, რომლებიც სულ მალე იქცნენ გერმანიის აგრესიის მსხვერპლად. მხოლოდ რუმინეთიდან იყო ორჭოფული პასუხი: „რეიხის მთავრობამ თავად უნდა იცოდეს, არსებობს თუ არა ასეთი საფრთხე“, – იქით ეკითხებოდა ბერლინს ბუქარესტი.

ჰიტლერმა 28 აპრილს რეიხსტაგში თავისი გამოსვლა ვერსალის „უსამართლო ზავზე“ ჩვეული წუწუნით დაიწყო, შემდეგ მარადიული სიყვარული შეჰფიცა ინგლისელებს და მკაცრად გააკრიტიკა მათი მთავრობა „უნდობლობისათვის“, რომელსაც ის გერმანიის მიმართ ავლენდა. ინგლისის შემდეგ ფიურერი პოლონეთს მიადგა და „საერთაშორისო პრესის მონაჭორად“ მიიჩნია ხმები, რომ თითქოს იგი პოლონეთზე თავდასხმისათვის ემზადებოდა. რასაკვირველია, მსმენელთა აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოდგენა არ ჰქონდა იმაზე, რომ პოლონეთზე თავდასხმის გეგმა უკვე დამტკიცებული იყო. გარდა ამისა, ჰიტლერმა ძალადაკარგულად გამოაცხადა ინგლისთან და პოლონეთთან ადრე გაფორმებული ხელშეკრულებები და ორივე ქვეყანას „უფრო მყარი, სამართლიანი და გრძელვადიანი“ ხელშეკრულებების გაფორმებისაკენ მოუწოდა. იყო დრო, როდესაც ასეთი ილეთი – აგრესიული აქტების გადაფარვა ყალბი სამშვიდობო წინადადებებით – თავბრუს ახვევდა და რეალიზმს აშორებდა ევროპელ დემოკრატებს, მაგრამ 1939 წლის გაზაფხულზე მისი უკვე აღარ სჯეროდათ. ასე რომ, მთლიანობაში ჰიტლერმა „პიარი“ კი მოუგო რუზველტს და რამდენიმე გეოგრაფიულ შეცდომაშიც „გამოიჭირა“ (მიმართვაში სირია და პალესტინა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იყო მოხსენებული), მაგრამ ამერიკის პრეზიდენტმა სტრატეგიულ მიზანს მიაღწია – მსოფლიოსა და საკუთარ ხალხს (რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო იზოლაციონისტებთან ბრძოლაში) დაანახვა, თუ ვინ იყო რეალური აგრესორი.

1939 წლის 23 მაისს მსოფლიო კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა საბედისწერო ზღვარს – ამ დღეს ჰიტლერმა გენერალიტეტის ნაღები რეიხსკანცელარიაში შეკრიბა და გულახდილად აცნობა, რომ უსისხლო აგრესიული კურსის ყველა შესაძლებლობა ამოწურული

იყო. უკვე შეუძლებელი იყო ახალი წარმატება ომის გარეშე. ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად, ჰიტლერის რწმენით, აუცილებელი ხდებოდა „სასიცოცხლო სივრცის გაფართოება“, ანუ სხვა სახელმწიფოების დაპყრობა. შერჩეული იყო პირველი სამიზნეც – პოლონეთი. რუსეთთან დაკავშირებით ფიურერი იმედოვნებდა, რომ პოლონეთის გულისთვის მოსკოვი გერმანიასთან ურთიერთობას არ გაიფუჭებდა, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში არც ორ ფრონტზე ომს არ მოერიდებოდა. ეს კი კაიზერის 1914 წლის საშინელი შეცდომის გამეორება იქნებოდა. ჰიტლერი მზად იყო კაიზერის მეორე შეცდომაც გაემეორებინა და ჰოლანდიისა და ბელგიის ნეიტრალიტეტი დაერღვია. როგორც მისი რიტორიკიდან ირკვეოდა, იგი ინგლისს მიიჩნევდა „წამყვან ანტიგერმანულ ძალად“. მან იქვე დააკონკრეტა ინგლისის ძლიერი და სუსტი მხარეები: ინგლისელები დაახასიათა როგორც „ამაყი, მამაცი, მტკიცე, შეუპოვარი და კარგად ორგანიზებული ერი“, რომელსაც სისხლში აქვს გამჯდარი თავგადასავლებისაკენ სწრაფვა და „ნორდიული რასის“ ვაჟკაცობა; თვით ინგლისი კი, როგორც მსოფლიო მასშტაბის იმპერია, უკვე სამი საუკუნეა რაც შინაგანი სიმტკიცით გამოირჩევა, მას ძლიერი და ერთგული მოკავშირეებიც ჰყავს, ყოველგვარ სიმდიდრეს ფლობს და სტაბილური გადამხდელუნარიანია, მისი გეოპოლიტიკური უსაფრთხოების გარანტიაა ძლიერი ფლოტი და მამაცი მფრინავები.

რაც შეეხებოდა ინგლისის სუსტ მხარეებს, ჰიტლერმა დამსწრე გენერლებსა და ადმირალებს (ამ თათბირს სულ 14 პიროვნება ესწრებოდა) შეახსენა, რომ თუ გერმანიას პირველ მსოფლიო ომში რამდენიმე ჯავსნოსანი კრეისერით მეტი ეყოლებოდა და თანაც იუტლანდის საზღვაო ბრძოლა დილიდანვე დაიწყებოდა, ინგლისის ფლოტი განადგურებული იქნებოდა, ინგლისი კი დამარცხებული. მისი მტკიცებით, თუ ნაპოლეონს ინგლისის დასამარცხებლად კუნძულზე გადასვლა სჭირდებოდა, ახალ რეალობაში ბრიტანეთის ფლოტის განადგურება და კუნძულის ბლოკადაც საკმარისი იქნებოდა, ვინაიდან, XIX საუკუნისაგან განსხვავებით, კუნძული საკუთარ მოსახლეობას ველარ გამოკვებავდა. თათბირის ძირითადი ნაწილი

ინგლისის და არა პოლონეთის პრობლემას დაეთმო. დასასრულს ფიურერმა კატეგორიულად გააფრთხილა მომავალი სამხედრო კამპანიის მასშტაბებითა და პერსპექტივებით თავბრუდახვეული სამხედროები, რომ „საიდუმლოება იყო წარმატების მთავარი პირობა“. ომის გეგმა საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო თვით იტალიისა და პოლონეთის უახლოესი მოკავშირეებისთვისაც. საინტერესოა, რომ ჰიტლერი უკვე აღარ ენდობოდა გენერალურ შტაბსა და მის უფროსს, გენერალ ჰალდერს: „გეგმას გენერალური შტაბი არ უნდა ამუშავებდეს, რათა სრული საიდუმლოება იყოს დაცული“, – დაასკვნა ფიურერმა და ეს მისია მისი პირადი ნდობით აღჭურვილ ოფიცერთა ჯგუფს მიანდო.

1939 წლის აგვისტოში, როდესაც ყოველი დღე ელვისებური სისწრაფით აახლოებდა კატასტროფას, გარდა საბჭოთა კავშირიდან მოსალოდნელი ჰიპოთეტური საფრთხის განეიტრალებისა, ჰიტლერს რომსა და ბუდაპეშტშიც გაუჩნდა მოულოდნელი თავსატეხები. უცნაური იყო უნგრეთის პრემიერის, გრაფი პალ ტელეკის საქციელი, როდესაც ერთ დღეს, 24 ივლისს, რამდენიმე საათის ინტერვალით, ორი ერთმანეთისაგან შინაარსობრივად რადიკალურად განსხვავებული წერილი გაუგზავნა მუსოლინსა და ჰიტლერს. პირველი წერილით ერთგულებას ეფიცებოდა „ღერძის“ ქვეყნების ლიდერებს და მომავალ ბატალიებში მათ გვერდით დგომას ჰპირდებოდა, ცოტა ხნის შემდეგ კი პირველს მეორე წერილი დაადევნა და ადრესატებს სთხოვა „სწორად გაეგოთ“ უნგრეთის პოზიცია, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ „მორალური მიზეზებით“ პოლონეთთან ვერ იომებდა. გაცოფებულმა ფიურერმა თავისთან დაიბარა უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი იშტვან ჩაკი და რიბენტროპის დასწრებით „აუხსნა“, თუ რა მოჰყვებოდა გერმანიის მეგობრობაზე უარის თქმას. არც იმის წაყვედრება დავიწყებია, რომ სწორედ გერმანიის წყალობით მიიღო უნგრეთმა ჩეხოსლოვაკიის საუკეთესო ნაწილი. კიდევ არა ერთხელ იგრძნობენ ჩაკიც და ბეკიც „დანაელთა ძღვენის მწარე გემოს“.

გაცილებით სერიოზული აღმოჩნდა იტალიასთან ურთიერთობაში წამოჭრილი პრობლემა: დუჩეს მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი,

რომ ზომიერების გრძნობადაკარგული (თუ კი როდისმე გააჩნდა ასეთი) ჰიტლერი ომში იტალიასაც ჩაითრევდა, რომლისთვისაც ის სულაც არ იყო მზად. იტალიის ელჩი ბერლინში ატოლიკო სულ უფრო და უფრო საგანგაშო დეპეშებს გზავნიდა რომში. მთელი ივლისი ცდილობდა ფიურერთან შეხვედრას დუჩე, მაგრამ უშედეგოდ. ათ აგვისტოს რიბენტროპთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ჩიანოს. მიუხედავად ტემპერამენტიანი ახალგაზრდა იტალიელის ლოგიკური არგუმენტებისა, რომ პოლონეთთან ომი ლოკალური არ იქნებოდა, შეუძლებელი იყო რიბენტროპის რწმენის შერყევა. მას ჰიტლერზე მეტად სწამდა, რომ პოლონეთისათვის არცერთი მესამე სახელმწიფო არ იომებდა. ამ შეხვედრიდან თითქმის ოთხი წლის შემდეგ, როდესაც 1943 წლის შობის წინა ღამეს, სიმამრის მიერ სასიკვდილოდ განწირული ჩიანო ვერონას ციხის საკანში ელოდა განაჩენის აღსრულებას, რიბენტროპთან ზემოთ ნახსენებ შეხვედრას იგონებდა და დღიურში წერდა, რომ გერმანელმა კოლეგამ ნიძლავი შესთავაზა - იგი ძველი გერმანული იარაღის უნიკალურ კოლექციას დათმობდა, თუ იტალიელთა შიში გამართლდებოდა და ფრანგები და ინგლისელები პოლონელების დასაცავად გამოვიდოდნენ, ხოლო თუ ბერლინის პროგნოზი გამართლდებოდა, ჩიანოს რომელიმე ძველი იტალიელი მხატვრის ტილო უნდა გადაეცა რიბენტროპისთვის. ნიძლავმოგებული სიკვდილმისჯილი სინანულით წერდა, რომ გერმანელ მინისტრს „დაავიწყდა“ პირობის შესრულება, ხოლო თითონ კი ისე კვდებოდა, რომ თვალითაც ვერ ნახა მოგებული იარაღი.

მანამდე კი, 1939 წლის აგვისტოში, ზალცბურგში ჩიანოს უკვე თავად ფიურერი მასპინძლობდა. იტალიელმა სტუმარმა საყვედურიც კი შეჰკადრა ფიურერს იმის გამო, რომ რომში არაფერი იცოდნენ პოლონეთის მომავალ კამპანიასთან დაკავშირებით. დუჩეს დესპანმა ისიც შეახსენა მასპინძელს, რომ ორიოდ თვის წინ პირადად მას არწმუნებდა რიბენტროპი, პოლონეთთან ომი დღის წესრიგში არ დგასო, ხოლო ფიურერი კატეგორიულად უარყოფდა დანციგის პრობლემის გადაჭრას ძალის გამოყენებით. როგორც შემდგომში გასაჯაროებული ჩანაწერებიდან ირკვევა, შეხვედრაზე ფიურერი თავის მინისტრზე

მეტად თავაზიანი და თავშეკავებული იყო, რიბენტროპი კი აღშფოთებას არ მალავდა და უხეშად მიახალა ჩიანოს: „თქვენ ჩვენ არ გვჭირდებით“, რაზეც სარკაზმით გაჟღენთილი პასუხი მიიღო: „ამას დრო გვიჩვენებს“. იტალია სამშვიდობო კონფერენციის ჩატარებას მოითხოვდა პოლონეთთან კონფლიქტის გადასაჭრელად. როგორც ჩანს, დუჩე ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო იმ ელემენტარულ ფაქტში, რომ მიუნჰენის „სამშვიდობო“ კონფერენცია ისტორიის საკუთრებად იყო ქცეული და აღარავის აწყობდა მისი პოლონური ანალოგი. მით უმეტეს, რომ დუჩესთვის ცნობილი იყო რიბენტროპის პასუხი ჩიანოს კითხვაზე: „თქვენ დანციგი გინდათ თუ კორიდორი?“ – „არც ერთი, არც მეორე, ჩვენ უკვე ომი გვინდა“.

ზალცბურგში შეხვედრის პირველ დღეს ჰიტლერს კონფერენციის მოწვევაზე უარი არ უთქვამს, მხოლოდ ჩიანო გააფრთხილა, რომ პოლონეთის საკითხის განხილვისას მოსკოვის იგნორირება შეუძლებელი იქნებოდა. შეკითხვაზე, თუ როდისთვის იგეგმებოდა პოლონეთზე თავდასხმა, ჰიტლერმა უპასუხა, რომ ეს უნდა მომხდარიყო შემოდგომის წვიმების დაწყებამდე, ვინაიდან პოლონეთში მხოლოდ 2-3 ნორმალური გზა იყო, ტალახში მოძრაობა კი ტანკებსაც გაუჭირდებოდად და მოტორიზებულ შენაერთებსაც. ასე გახდა იტალიელებისათვის ცნობილი ომის დაწყების დრო – აგვისტოს დასასრული.

შეხვედრის მეორე დღეს ჰიტლერმა კატეგორიულად უარყო როგორც კონფერენციის, ასევე შეხვედრის შედეგებზე კომუნიკეს გამოქვეყნების იდეა, თანაც კიდევ ერთხელ მოატყუა ორ ცეცხლს შუა აღმოჩენილი იტალიელები – ორი საათიც არ იყო გასული გერმანიიდან ჩიანოს გამგზავრების შემდეგ, რომ მესამე რეიხის ოფიციალურმა საინფორმაციო სააგენტომ („გერმანიის საინფორმაციო ბიურომ“) შეხვედრის კომუნიკე გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამი იყო, რომ შეხვედრისას განიხილეს „ყველა აქტუალური საკითხი, მათ შორის დანციგის პრობლემაც და მიღწეული იყო ასპროცენტიანი ურთიერთგაგება“. კომუნიკეში ისიც იყო აღნიშნული, რომ ვინაიდან არც ერთი საკითხი არ დარჩენილა განუხილავი, აღარ არსებობდა ახალი შეხვედრების საჭიროება. ელჩი ატოლიკო ცოფებს ყრიდა: მან ოფიციალური პრო-

ტესტი განუცხადა რიბენტროპს და კომუნიკეს „მაკიაველის სულისკვეთებით“ შედგენილი დოკუმენტი უწოდა, რომლითაც გერმანიას სურდა საკუთარ პოლიტიკაზე „მიება“ იტალია პოლონეთთან ომის შემთხვევაში. რაც შეეხებოდა ჩიანოს, იგი იტალიაში ბრუნდებოდა გერმანელებისადმი და მათი ფიურერისადმი ზიზღით გამსჭვალული. „მათ გვიღალატეს და მოგვატყუეს, ახლა კი სურთ ჩაგვითრიონ ავანტიურაში, რომელიც სრულიად არ გვჭირდება და რომელსაც შეუძლია ჩვენი რეჟიმისა და ქვეყნის კომპრომეტირება“, – დღიურში ასე ჩაწერს იგი რომში დაბრუნების შემდეგ. სულ მალე კი იტალიის ახალგაზრდა მინისტრს ძვირად დაუჯდება გერმანელებისა და მათი კერპისადმი გამოვლენილი „უმადურება“: ჰიტლერსა და მის უახლოეს გარემოცვას მიუძღოდა ლომის წილი დუჩეს სიძე-მინისტრის სიკვდილით დასჯაში. რომში მოქმედი გერმანიის მრავალრიცხოვანი აგენტურისათვის კარგად იყო ცნობილი ჩიანოს დაჟინებითი, მაგრამ უშედეგო მცდელობები ანტიგერმანულად განეწყო სიმამრი. „დუჩე სისტემატურად იცვლის შეხედულებებს, – წერდა ჩიანო დღიურში აგვისტოს დრამატულ დღეებში, – თავიდან მეთანხმება, შემდეგ კი ამბობს, რომ ღირსების გრძნობა აიძულებს გერმანიასთან ერთად გამოვიდეს“. თუკი საერთოდ ფიგურირებდა ღირსების გრძნობა, უკანასკნელი ნამდვილად არ ყოფილა პრიორიტეტული მუსოლინისთვის. ევროპაში ტერიტორიების გადანაწილების ახალი ეტაპი იწყებოდა და მას არ სურდა თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენა. ეს იყო და ეს. კონკრეტულად კი უძღებ დიქტატორს თვალი ხორვატიასა და დალმაციაზე ეჭირა. ჩიანოს ვერსიით, აგვისტოს მეორე ნახევრიდან მოყოლებული მუსოლინი თითქოს რწმუნდებოდა, რომ ევროპელ დემოკრატებს ამჯერად სერიოზულად ჰქონდათ გადაწყვეტილი ჰიტლერის შეჩერება, მაგრამ ერთ დღეს რომ ასე ფიქრობდა, მეორე დღეს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ჰიტლერი ამჯერადაც შესძლებდა უომრად მიეღო, რაც მას სურდა. ამ შემთხვევაში კი ყველაფერი დუჩეს გარეშე გადაწყდებოდა, რისი წარმოდგენაც იტალიელების პატივმოყვარე ბელადს არ სურდა – ასე ხომ იგი „კანონიერი“ პრიზის გარეშეც შეიძლებოდა დარჩენილიყო და გერმანიაც მოემდურებინა. ფიურერის

ხასიათიდან გამომდინარე, არც იმის გამორიცხვა შეიძლებოდა, რომ მას დროებით გადაედო პოლონეთთან ომი და მთელი ჯავრი დუჩეზე ეყარა, მის დასაცავად კი ევროპელი დემოკრატები კრინტსაც არ დაძრავდნენ. მან დაუფიქრებლად მოაწერა ხელი „ფოლადის პაქტს“ და ამით არც არჩევანისა და არც მანევრირების საშუალება არ დაიტოვა.

ერთ მომენტში, როგორც ჩანს, შედეგი გამოიღო ჩიანოს დაუღალავმა მცდელობამ (მუსოლინის სიძე იყო მაინც, რაც არ უნდა ყოფილიყო) და 23 აგვისტოს რეიხსკანცელარიაში ერთი-მეორეზე მიყოლებით მიიღეს ორი გამაფრთხილებელი წერილი რომში არსებული გერმანიის საელჩოდან. ელჩი ჰანს ფონ მაკენზენი იტყობინებოდა, რომ იტალიის პოზიცია რადიკალურად შეიცვალა: რომში თვლიდნენ, რომ თუ გერმანია თავს დაესხმოდა პოლონეთს, ამით იგი „ფოლადის პაქტს“ დაარღვევდა, სადაც ცალსახად იყო ნათქვამი, რომ 1942 წელზე ადრე ომი არ უნდა დაწყებულიყო. გარდა ამისა, გერმანელებისაგან განსხვავებით მუსოლინი დარწმუნებული იყო, რომ ომში აუცილებლად ჩაერეოდა ინგლისი და საფრანგეთი, ხოლო „ორიოდ თვის შემდეგ შეერთებული შტატებიც“. დუჩეს იმისიც ეშინოდა, რომ სანამ გერმანია პოლონეთს გაუსწორდებოდა, ფრანგები და ინგლისელები მას შავ დღეს დააყრიდნენ.

იტალიასთან ურთიერთობის გასარკვევად 25 აგვისტოს ჰიტლერმა მუსოლინს პირადი წერილი მიწერა, რომელშიც სიტუაცია დაწვრილებით იყო აღწერილი, მისი გადაწყვეტილება კი – დასაბუთებული. წერილი იმავე დღეს გადასცა დუჩეს ელჩმა მაკენზენმა. ამ უკანასკნელის ცნობით, ადრესატმა ორჯერ გადაიკითხა წერილი და ელჩს განუცხადა, რომ სავსებით ეთანხმება ფიურერის შეფასებებს. პოლონეთთან ომი კი მასაც აუცილებლად მიაჩნდა. მუსოლინმა ელჩი დაარწმუნა, რომ გერმანიის ერთგულ მოკავშირედ რჩებოდა. საპასუხო წერილში კი სულ სხვა რამეს წერდა ჰიტლერს: როგორც ჰიტლერის თარჯიმანი შმიდტი თავის მემუარებში იხსენებს, მუსოლინის საპასუხო წერილმა „აფეთქებული ბომბივით“ იმოქმედა ჰიტლერზე. მუსოლინი მზადყოფნას გამოთქვამდა პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარება აღმოეჩინა გერმანიისათვის იმ შემთხვევაში, თუ პოლო-

ნეთთან ომი ლოკალური ხასიათის იქნებოდა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პარიზი და ლონდონიც დაიწყებდნენ ბრძოლას, იტალიას ძალიან ბევრი ნედლეული და სამხედრო აღჭურვილობა დასჭირდებოდა. მუსოლინი კიდევ ერთხელ შეახსენებდა სამხედრო მოკავშირეს, რომ შეთანხმების ძალით ომი არ უნდა დაწყებულიყო 1942 წლამდე.

„იტალიელები ისევე იქცევიან, როგორც 1914 წელს“, – ასეთი იყო ფიურერის კომენტარი. მისთვის ცხადი იყო, რომ ევროპაში გერმანიას არ ჰყავდა ბოლომდე სანდო მოკავშირე. მართალია, „რუსული საფრთხე“ განეიტრალებული ჩანდა, მაგრამ ინგლის-პოლონეთის შეთანხმებით ლონდონი შეუქცევადს ხდიდა კონფლიქტში საკუთარ მონაწილეობას.

ახალი რეალობის პირისპირ აღმოჩენილ ჰიტლერს მკვეთრად შეეზღუდა დიპლომატიური მანევრირების სივრცე. მას ან ჯიუტად უნდა გაეგრძელებინა ომისაკენ სვლა, ან გადაედო ანონსირებული აგრესიის დაწყება, რომიდან და ლონდონიდან მიღებული საგანგაშო ცნობების გათვალისწინებით (შეიძლება საერთოდ გაეუქმებინა). 25 აგვისტოს საღამოს „პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის“ ოფიციალური მიზეზით გადაიდო ოპერაცია „ვაისი“ (პოლონეთზე თავდასხმა). როგორც თავის გენერლებს აცნობა, ჰიტლერს „დრო სჭირდებოდა მოლაპარაკებისათვის“. საჭირო იყო ინგლისის ნეიტრალიზება. ფიურერს ძვლებურად სჯეროდა, რომ კრიტიკულ მომენტში კვლავ უმტყუნებდა ნერვები ბრიტანეთის პრემიერს. მეორეს მხრივ, ისიც უცნაურია, რომ პოლიტიკოსმა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ უშეცდომოდ ერკვეოდა იმდროინდელი ევროპის დიპლომატიურ ლაბირინტებსა და რეალურ სიტუაციებში, ასე მოკლე დროში დაკარგა გასაოცარი პოლიტიკური ინტუიცია და წარმოდგენა აღარ ჰქონდა ბრიტანეთის საზოგადოებრივ აზრსა და მთავრობაში მომხდარ ძვრებზე.

არანაკლებ კურიოზული იყო ჰიტლერის შიდა ოპოზიციის განწყობა. როგორც კი ოპოზიციონერ გენერლებისათვის ცნობილი გახდა, რომ მუსოლინის დემარშისა და ლონდონის მოულოდნელი მტკიცე ნაბიჯის გამო ფიურერი იძულებული იყო გადაედო პოლონეთის კამპანია, მათ რიგებში ეიფორიამ დაისადგურა. ერთ-ერთმა ყველაზე

ენერგიულმა და ავტორიტეტულმა ოპოზიციონერმა, პოლკოვნიკმა ჰანს ოსტერმა ასეთი საკუთარი კომენტარით ამცნო ახალი ამბავი შახტსა და გიზევიუსს: „ახლა კი ჰიტლერი დამთავრებულია“. თვით თავისი სიფრთხილითა და ეშმაკობით ცნობილი ადმირალი კანარისიც კი აღმოჩნდა ილუზიების ტყვეობაში და დაიჯერა, რომ „ჰიტლერი ვერ გადაიტანდა ამ დარტყმას“. „მშვიდობა გადარჩენილია უახლოესი ოცი წლით“, – წერდა ის დღიურში. შეთქმულებმა ჩათვალეს, რომ აღარ იყო დიქტატორის ძალით ჩამოშორების აუცილებლობა. ოპოზიციონერებს სისტემატური კავშირი ჰქონდად ლონდონთან და იცოდნენ, რომ აღარც ერთი ინგლისელი პოლიტიკოსი აღარ წამოეგებოდა რეალობის გრძნობადაკარგული დიქტატორის დემაგოგიაზე და ინგლისელები იომებდნენ ისეთი შეუპოვრობით, როგორც ომობდნენ პირველ მსოფლიო ომში და ნაპოლეონის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, საღად მოაზროვნე გერმანელ სამხედროებსაც არ სურდად დაეჯერებინა“, რომ მათი მთავარსარდალი უფსკრულში გადაჩეხავდა მის მიერვე ფეხზე დაყენებულ ქვეყანას. გარდა ამისა, გერმანელ გენერლებს არაფერი ჰქონდათ საერთო სამხრეთ ამერიკელ კოლეგებთან და მათთვის შინაგანად ძალზედ რთული იყო პუტჩებში მონაწილეობა. ამიტომაც სჯეროდა სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ ფრანც ჰალდერს თავისი კოლეგების, ვინც დარწმუნებული იყო – „ჰიტლერი ისე არ გაგიჟებულა, რომ დიდი ომი დაიწყოს“-ო.

1939 წლის აგვისტოს უკანასკნელ კვირას უკვე ყველასათვის ცხადი იყო, რომ თუკი რამეს შეეძლო მშვიდობის გადარჩენა იმ მომენტში, მხოლოდ კიდევ ერთ მიუნჰენს. ბერლინი დატოვეს უკანასკნელმა ინგლისელებმა და ფრანგმა მოქალაქეებმა, თუმცა გაათმაგებული ენერგიით განაგრძობდნენ მუშაობას დიპლომატიური წარმომადგენლები. სექტემბრისათვის გადაიდო ნაცისტური პარტიის „მშვიდობის ყრილობა“, სექტემბრიდან კი მთელ გერმანიაში შემოიღეს სასურსათო ბარათები. ნორმები დაწესდა კვების პროდუქტებზე, საპონზე, ტანსაცმელზე, ფართლეულზე, ქვანახშირზე. ბერლინის ქუჩები აღმოსავლეთით დაძრული საჯარისო კოლონებით იყო სავსე. ჰიტლერმა

თათბირი ჩაატარა რეიხსკანცელარიაში, სადაც კიდევ ერთხელ დააფიქსირა პოლონეთისადმი წაყენებული მოთხოვნა-მინიმუმი: დანციგის დაბრუნება და „კორიდორის“ საკითხის გადაჭრა, წინააღმდეგ შემთხვევაში – ომი. აქვე მოსკოვსაც გადაწვდა და კვლავ გააოცა აუდიტორია: „საბჭოთა კავშირთან პაქტი – ეს არის პაქტი სატანასთან“. საყურადღებოა, რომ ამ დროისათვის გერმანიაში უკვე აღარ არსებობდა თავისუფალი პრესა. გერმანელებს წარმოდგენა არ ჰქონდათ მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებზე. ერთ პერიოდში ობიექტური ინფორმაციის მიღება კიდევ შეიძლებოდა შვეიცარიიდან შემოტანილი გერმანულენოვანი გაზეთებით, მაგრამ შემდეგ ჰებელსის უწყებამ – პროპაგანდის სამინისტრომ ისიც აკრძალა.

მართალია, ჰიტლერს უკანასკნელ წუთამდე არ სურდა დაეჯერებინა, რომ ინგლისი (და ცხადია საფრანგეთიც) ჩაებმებოდა ომში პოლონეთის დასაცავად, მაგრამ არც იტალიის, როგორც მოკავშირის დაკარგვა უნდოდა. იტალიელებს ხომ საფრანგეთის რამდენიმე დივიზიის „დაბმა“ მაინც შეეძლოთ თავიანთ საზღვართან. ასეთი სცენარი მუსოლინსაც აწყობდა, მით უმეტეს, რომ მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა თავისი დამთხვეული მოკავშირის საბოლოო მიზნებზე. ომის წინა დღეებში ჰიტლერის უმთავრეს საზრუნავად იქცა დემაგოგიური „სამშვიდობო“ ინიციატივებით ჟონგლიორობა ერთადერთი მიზნით – ლონდონისათვის ომში ჩაბმა გადაეფიქრებინა.

ჰიტლერის დიპლომატიური სვლები და გათვლები შაბლონურად მარტივი, ხისტი და ყალბი იყო: აპოკალიპსის მუქარით პოლონეთისაგან მოითხოვდა დანციგს, „კორიდორზე“ გასვლის უფლებასა და საარის ანალოგიურ რეფერენდუმს. ჰიტლერის გათვლებით, ეს ყველაფერი მისაღები უნდა ყოფილიყო ლონდონისათვის და აბსოლუტურად მიუღებელი ვარშავისათვის, რასაც მოკავშირეთა შორის განხეთქილება და გერმანიის პირისპირ პოლონეთის დარჩენა უნდა მოჰყოლოდა. სცენარი არ გამოირჩეოდა კრეატიული სიახლით – ჰიტლერი „ნორმალურ“ საბაბს შეაჩეჩებდა ხელში ჩემბერლენს, რათა უკანასკნელს „სახის დაუკარგავად“ შესძლებოდა პოლონელების „გადაგდება“. საქმე მხოლოდ ის იყო, რომ სიბერეში „გამოფხიზლებული“ პრე-

მიერი, ტრადიციულად აღარ აზროვნებდა და რეალურ გარანტიებს თხოულობდა მიუნჰენელი პარტნიორისაგან.

როგორც კი ლონდონში ცნობა მიიღეს გერმანია-საბჭოთა კავშირის სენსაციურ შეთანხმებაზე, რაიმე გაუგებრობისაგან დაზღვევის მიზნით, ჩემბერლენის მთავრობამ ოპერატიულად გამოაქვეყნა სპეციალური კომუნიკე, რომ ორ ქვეყანას შორის გაფორმებული თავდაუსხმელობის პაქტი ვერანაირად ვერ იმოქმედებდა პოლონეთის წინაშე ნაკისრ ბრიტანეთის ვალდებულებებზე. მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკეში ეს ყველაფერი ნათლად და არაორაზროვნად იყო ნათქვამი, ჩემბერლენმა, ჰიტლერის სავარაუდო ეჭვების გაფანტვის მიზნით, პირადი წერილი მიწერა, სადაც ხაზგასმით იყო განმარტებული, რომ უხეში შეცდომა იქნებოდა, თუ ბერლინში დაასკვნიდნენ, რომ მოსკოვთან შეთანხმება ძალას უკარგავდა ინგლისის მიერ პოლონეთის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს. ესეც არ იკმარა ჩემბერლენმა და ისტორიაში ექსკურსი შესთავაზა ფიურერს – „დღესაც ფიქრობენ, რომ საკმარისი იქნებოდა 1914 წელს მისი უდიდებულესობის მთავრობას უფრო მკაფიო პოზიცია დაეკავებინა და თავიდან იქნებოდა აცილებული დიდი კატასტროფაო“, – წერდა ჩემბერლენი. ეტყობა, პრემიერი მაშინდელი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, გრაფი საზონოვის ევროპაში გახმაურებულ მემუარებს გულისხმობდა. ერთი სიტყვით, ოფიციალური ლონდონი ცდას არ აკლებდა, რათა „ურწმუნო თომად“ ქცეული ჰიტლერი როგორმე დაერწმუნებინა ინგლისის შეუცვლელ გადაწყვეტილებაში – ებრძოლა პოლონეთისათვის. წერილს მხოლოდ გერმანიის მბრძანებლის მორიგი ისტერიკა მოჰყვა. როგორც კი მორჩა ჰიტლერი ინგლისისა და პოლონეთის ლანძღვას, ინგლისის ელჩ ჰენდერსონს (რომელმაც პირადად გადასცა ჩემბერლენის წერილი) უკვე პოლონეთში მცხოვრები გერმანელების „აუტანელი ყოფით“ „აუჩუყა“ გული. არც „კასტრაციის ექვსი შემთხვევა“ დავიწყებია. ამ ამოჩემებული მითით კი მოაბეზრა მან თავი შინაურსაც და გარეულსაც, მაგრამ რატომღაც სწამდა, რომ ასეთი ზღაპრებით პოლონეთის დაცვაზე ლონდონს უარს ათქმევინებდა. შეხვედრის დასასრულს ჰიტლერი ჰენდერსონს შეპირდა, რომ უმოკ-

ლეს ვადაში აცნობებდა პასუხს ჩემბერლენს. საინტერესოა, რომ როგორც მოგვიანებით იხსენებდა თარჯიმანი შმიტი, გავიდა და თუ არა ჰენდერსონი ოთახიდან, ჰიტლერმა ირონიულად ჩაიცინა და ჩემბერლენს „წირვა გამოუყვანა“: „ჩემბერლენი ვერ გადაიტანს ამ საუბარს. ამ საღამოსვე დაიცემა მისი კაბინეტი“. ეს ფრაზა კიდევ ერთხელ ადასტურებს წინანდელი რეალისტი ფიურერის „დღევანდელ“ არაადეკვატურობას. 1939 წლის აგვისტოში კი მხოლოდ ადეკვატურ კურსს შეეძლო გერმანიის ხსნა.

ჰენდერსონთან შეხვედრიდან რამდენიმე საათის შემდეგ რეიხსკანცელარიას მზად ჰქონდა ლონდონში გასაგზავნი საპასუხო წერილი. ამჯერად ჰენდერსონმა დაწყნარებული და კეთილგანწყობილი ჰიტლერი იხილა: „არც ერთხელ არ აუწევია ხმისთვის“, – წერდა ჰენდერსონი ანგარიშში. ფიურერი ელჩს გაენდო, რომ მას ურჩევნია ახლა, როდესაც 50 წლისაა, დაიწყოს ომი, ვიდრე მოგვიანებით, როდესაც ხანდაზმული იქნება. მან არც 1914–1918 წლების მოვლენები დატოვა კომენტარის გარეშე და ინგლისელებს ის „საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება“ შეახსენა, რომ ომი არ იქნებოდა წაგებული, ჰიტლერი რომ ყოფილიყო იმ დროს გერმანიის კანცლერი.

რაც შეეხებოდა პასუხს, ის არ შეიცავდა ჩემბერლენისათვის რაიმე სიახლეს. ცხადია, ვარშავის მთავრობა იყო ყველაფერში დამნაშავე, რომელიც „პოლონეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მილიონნახევარ გერმანელს გაუსაძლის პირობებში ამყოფებდა“. არც კასტრირების „ექვსი შემთხვევა“ იყო დავიწყებული. ჩემბერლენმაც მიიღო თავისი წილი საყვედური, რომელმაც „აღაფრთოვანა და დაუფარავ ტერორზე წააქეზა პოლონელები“. მთლიანობაში კი ისევე, როგორც ჩემბერლენი ირწმუნებოდა, რომ ვერაფერი იმოქმედებდა ინგლისის გადაწყვეტილებაზე, ასეთსავე პირობას იძლეოდა ფიურერიც, რომ შეუძლებელი იყო მისი შეჩერება, როდესაც საკითხი რეიხის ინტერესებს ეხებოდა.

რამდენიმე დღეში ჰიტლერი კვლავ შეხვდა ჰენდერსონს რეიხსკანცელარიაში. ელჩი ლონდონს ატყობინებდა, რომ მასპინძელი უაღრესად კეთილგანწყობილი იყო ინგლისისადმი და მზადყოფნა გამოთქვა ლონდონთანაც გაეფორმებინა თავდაუსხმელობის ხელშეკ-

რულება და ბრიტანეთის იმპერიის ტერიტორიული მთლიანობის გარანტიასაც კი იძლეოდა. სენტიმენტალიზმის ეშხში შესული ფიურერი კიდევ ერთხელ „გაენდო“ ჰენდერსონს – „ბუნებით მხატვარი ვარ და როგორც კი პოლონეთის საკითხს გადავჭრი, პოლიტიკიდან წავალო“. საოცარი ფაქტია, რომ ფიურერმა ჰიტლერიზმის კარგ მცოდნედ აღიარებული ბრიტანეთის ელჩიც კი გააბრუა. ჰქონდა კი რაიმე ფასი ჩემბერლენისა და მისი კაბინეტისათვის ჰიტლერის ფიცს, რომ ჰოჰენცოლერნებისაგან განსხვავებით, ის არასოდეს შეუქმნიდა საფრთხეს დიდი ბრატინეთის იმპერიას? 1939 წლის ზაფხულზე, ისევე როგორც ადრე, ბრიტანეთისათვის (ისევე როგორც სტალინისათვის) ყველაზე დიდ საფრთხეს სწორედ ევროპაში გაბატონებული გერმანია წარმოადგენდა. ამ საფრთხის ლიკვიდაციისათვის კი პოლონეთის დაცვა და რეიხის შეჩერება იყო აუცილებელი.

პოლონეთზე თავდასხმის გადაწყვეტილება ჰიტლერს ვერც ვარშავასა და ლონდონს შორის გაფორმებულმა ახალმა, უკვე ურთიერთდახმარების ორმხრივმა ხელშეკრულებამ ვერ შეაცვლევინა. ხელშეკრულებას საიდუმლო ოქმი ერთვოდა, სადაც პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ სახელმწიფო, რომლის მხრიდანაც აგრესიის შემთხვევაში პოლონეთს ინგლისი უნდა დახმარებოდა, გერმანია იყო. ამ ჩანაწერმა იხსნა ინგლისი კატასტროფისაგან, ვინაიდან დაზუსტების გარეშე მას საბჭოთა კავშირთანაც მოუწევდა ომი. მოსკოვმა ხომ ჯარი შეიყვანა პოლონეთში მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის ძალიდ.

პოლონეთ-ინგლისის ურთიერთდახმარების ხელშეკრულება უკვე იმის მომასწავებელი იყო, რომ კრახით დასრულდა ფიურერის მცდელობა ისევე ეყიდა ბრიტანეთის ნეიტრალიტეტი, როგორც სტალინის ნეიტრალიტეტი იყიდა. ყოველივე ამის შემდეგ დიპლომატიურ კურიოზად იქცა შვედი ბიზნესმენისა და გერინგის მეგობარ ბირგერ დალერუსის კეთილშობილი, თუმცა დილეტანტურად ზეაქტიური ქმედებები იმის გადასარჩენად, რისი გადარჩენაც უკვე შეუძლებელი იყო. დაუღალავი და სუპერაქტიური შვედი რამდენიმე დღე დაფრინავდა ლონდონსა და ბერლინს შორის გერინგის პირადი თვითმფრინავით. როგორც ნიუნბერგის პროცესზე აღიარა გერინგმა,

1939 წლის აგვისტოს მიწურულშიც კი ჰქონდათ იმედი მას და მუსოლინს, რომ ახალი მიუნჰენი შესაძლებელი იყო. ერთი საინტერესო მომენტიც გაიხსენა იგივე ნიუნბერგში მოწმის სახით ჩვენების მიცემისას დალერუსმა: ომის წინა კრიტიკულ დღეებში ჰიტლერთან შეხვედრისას ეს უკანასკნელი შეეკითხა მას, როგორც ინგლისის კარგ მცოდნეს, თუ რატომ მთავრდებოდა უშედეგოდ ლონდონთან შეთანხმების მისი ყოველი ცდა? მცირე ყოყმანის შემდეგ, როცა შვედმა შუამავალმა გაბედა და უპასუხა – „არ სჯერათ თქვენი ინგლისელებსო“, ჰიტლერი გულწრფელად აღშფოთებულა: „იდიოტები! განა მე ერთხელ მაინც მითქვამს ტყუილი ჩემს სიცოცხლეში?“. მართლაც, რომ „ნეტარ არს მორწმუნე!“.

ომის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრეც კი, როდესაც გერინგის მფრინავები უკანასკნელ ინსტრუქციებს იღებდნენ პოლონეთის დასაბომბავად გაფრენის წინ, ჰიტლერი კვლავ კატა-თაგვობანას ეთამაშებოდა ლონდონს და დაბეჯითებით თხოულობდა პოლონეთის „უფლებამოსილი წარმომადგელის“ ჩასვლას ბერლინში „სამშვიდობო“ ხელშეკრულების გასაფორმებლად. ცხადია, გერმანიის „დიდსულოვანი“ წინადადებების გათვალისწინებით. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბეკს კარგად ახსოვდა, როგორ მიიღეს ბერლინში „სამშვიდობო“ მისიით ჩასული შუშნიგი და გახა და, შესაბამისად, მათი ბედის გაზიარება სულაც არ აწყობდა. არც ლონდონი ურჩევდა „კანოსაში წასვლას“ პოლონელ მოკავშირეს („კანოსაში წასვლა“ – XI საუკუნეში წმინდა რომის იმპერიის მმართველები მორჩილებით უნდა ხლებოდნენ რომის პაპს კანოსას ციხე-სიმაგრეში. თანამედროვე გაგებით ნიშნავს „მორჩილებით მისვლას“). გერმანელებმა კარგა ხნით ადრე „გატეხეს“ პოლონელების საიდუმლო კოდი და ყველაფრის საქმის კურსში იყვნენ: რიბენტროპს მაგიდაზე ელაგა ვარშავა-ლონდონის მიმოწერა.

თვითმხილველთა გადმოცემით, უცნაური იყო 1939 წლის 2 სექტემბერი – უკანასკნელი მშვიდობიანი დღე ბერლინში: დილის შვიდ საათზე საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი, ანტინაცისტი ვაიცზეკერი ტელეფონით დაუკავშირდა შეთქმულების ერთ-ერთ მო-

ნაწილე ფონ ჰასელს და გადაუდებელი შეხვედრა სთხოვა. სტატსმდივანი, რომელმაც იცოდა, რომ მომავალ დღეს ომი იწყებოდა, გამოსავალს იმაში ხედავდა, რომ ინგლისის ელჩ ჰენდერსონს პოლონეთის ელჩი ლიპსკი კომპრომისის (ანუ ჰიტლერის მოთხოვნების დაკმაყოფილების) აუცილებლობაში უნდა დაერწმუნებინა. ვაიცზეკერსაც და ჰესელსაც, რომელთაც ლონდონსა და პარიზში „კარგ გერმანელებად“ მიიჩნევდნენ, გულწრფელად სურდად მშვიდობის შენარჩუნება, მაგრამ მხოლოდ პოლონეთის ხარჯზე. მართლაც, ორჯერ შეხვდა იმ დღეს ჰესელი ჰენდერსონს და ერთხელ გერინგს. გამოცანად დარჩა, თუ რატომ ვერ ხვდებოდა ევროპული დიპლომატიის ვეტერანი ჰესელი, რომ კრიზისის სიღრმე და სიმძაფრე უკვე გამორიცხავდა კომპრომისს ერთ-ერთი მხარის საჯარო და სამარცხვინო კაპიტულაციის გარეშე, უკანასკნელი კი გამორიცხული იყო. ჰენდერსონთან საუბარში კრიზისის შეგნებულ ინიციატორებად ჰესელი სამართლიანად ასახელებდა ჰიტლერსა და რიბენტროპს, თუმცა პოლონელებსაც არ აკლებდა კრიტიკას, რომელთაც „პოლონური კუდაბზიკობით, სლავური უსაქმურობითა და ინგლის-საფრანგეთის იმედით“ მშვიდობის შანსი გაუშვეს ხელიდან. თუკი ასე მწარედ ცდებოდა უაღრესად განათლებული, გამოცდილი და ანტინაცისტი დიპლომატი, რა გასაკვირი იყო, რომ ჰიტლერმა იოლად გააბრიყვა ათეული მილიონობით რიგითი გერმანელი?

საღამოს 9 საათზე გერმანიის ყველა რადიოსადგურმა უკანასკნელად გადასცა ჰიტლერის „სამშვიდობო“ წინადადებები. არაფერი იყო ნათქვამი იმ ფაქტზე, რომ ომამდე ერთი დღით ადრე გახდა ეს წინადადებები სრული სახით ცნობილი ინგლისის მთავრობისათვის. მთავარი იყო გერმანელებს დაეჯერებინათ, რომ მათმა ფიურერმა ყველა ღონე იხმარა მშვიდობის გადასარჩენად. ამ მიზანს ჰიტლერმა მიაღწია – იგი კვლავ რჩებოდა მისტიფიკაციის დიდოსტატად. ბოლო აკორდად კი საჭირო იყო „პოლონეთის თავდასხმა“ გერმანიაზე, რათა ყველას დაენახა „ვინ დაიწყო ომი“. პოლონეთის „თავდასხმის“ ობიექტად ადრევე იყო შერჩეული საზღვრისპირა რადიოსადგური გლეივიცთან. საიმპერიო შინაგან საქმეთა მინისტრის ჰენრიჰ ჰიმლერისა

და საიმპერიო უშიშროების უფროსის რეინჰარდ ჰეიდრიხის „სს“-ელებმა უზადოდ ჩაატარეს ოპერაცია: იყო მსხვერპლიც (ნარკოტიკებით გაბრუებული საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეები), იყო „თავდამსხმელი პოლონელების“ 3-4-წუთიანი გასვლა ეთერში განცხადებით, რომ „პოლონეთი ომს იწყებდა გერმანიის წინააღმდეგ“ და იყო „ადგილზე აღმოჩენილი“ პოლონური სიგარეტებიც. ნიურნბერგის პროცესზე პროვოკაციის მონაწილე „სს“-ელი ალფრედ ნაუიოქსი დეტალურად ჰყვებოდა, თუ როგორ იგეგმებოდა და ხორციელდებოდა „პოლონელების თავდასხმის“ ინსცენირება. ნაუიოქსმა მხოლოდ ის არ უთქვამს, რომ თითქმის ყველა „თავდამსხმელი“ მალევე იქნა ლიკვიდირებულნი.

მთელი საღამოს განმავლობაში ბერლინი იზოლირებული იყო გარე სამყაროდან. მხოლოდ გერმანიის დედაქალაქიდან ვრცელდებოდა საზღვარგარეთ ცნობები ჰიტლერის „სამშვიდობო“ წინადადებებსა და პოლონელების თავდასხმაზე.

ომის წინა დღით ჰიტლერმა იმის დროც გამოძებნა, რომ საპასუხო დეპეშა გაეგზავნა უინძორის ჰერცოგისათვის, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობდა დიდი ბრიტანეთის ტახტის მიტოვების შემდეგ. მშვენიერ ხასიათზე იყო ფიურერი და იმედით შეჰყურებდა მომავალს. სულ სხვა განწყობილება სუფევდა უნიათო და უიღბლო შეთქმულთა რიგებში: როდესაც კანარისმა თანამოაზრე გიზევიუსი სამხედრო ოპერატიული შტაბის ჩაბნელებულ დერეფანში გაიყვანა და მღელვარებისაგან აკანკალებული ხმით უთხრა: „ეს გერმანიის დასასრულიაო“, ასობით გერმანულმა თვითმფრინავმა გამანადგურებელი იერიში მიიტანა პოლონეთის საზღვრისპირა რაიონებზე: იბომბებოდა ჯარის კოლონები, იარაღით დატვირთული ეშელონები, ხიდები, რკინიგზის სადგურები და მაგისტრალები, დაუცავი ქალაქები. სულ რამდენიმე წუთში ნახეს და იგრძნეს პოლონელებმა ციდან გადმოფრქვეული სიკვდილის ეფექტი. ასეთი რამ ჯერ არ მომხდარიყო მსოფლიო ომების ისტორიაში.

ღრუბლიანი და დახუთული იყო ომის პირველი დღე – 1939 წლის 3 სექტემბერი ბერლინში, ქუჩებში ხალხმრავლობა არ იგრძნობოდა. ეს

სულაც არ ჰგავდა 1914 წლის ომის პირველ დღეს, როცა ქუჩები ვერ იტევდა მოზეიმე ბერლინელებს, ქალები ყვავილებს ესროდნენ სამხედროებს და ყველა აღფრთოვანებით ეგებებოდა მთავარსარდალ ვილჰელმ მეორეს, გვიან ღამემდე გრძელდებოდა მოზეიმე ხალხის დემონსტრაციები. ამჯერად არანაირი დემონსტრაციები არ ყოფილა და რეიხსკანცელარიიდან რეიხსტაგისაკენ მიმავალ მთავარსარდლის ესკორტსაც არავინ ესალმებოდა. არც ჰიტლერის გამოსვლა იყო რეიხსტაგში ტიპიური. იგი თითქოს თავს იმართლებდა. არადამაჯერებლად, მომაბეზრებლად და გაჭიანურებულად ცრუობდა, როდესაც დარბაზს ახსენებდა, რა მონდომებით ცდილობდა „მშვიდობიანი გზით გადაეჭრა“ რეინის, ავსტრიის, სუდეტის, ბოჰემიისა და მორავიის პრობლემები. იქამდეც მივიდა, რომ მტკიცება დაიწყო – „რაც ახლა ხდება, ეს ომი არ არის. ეს მხოლოდ პოლონეთის გაუთავებელი შემოტევების საპასუხო ქმედებაა“-ო. ერთადერთი სიმართლე, უთავბოლო სიცრუის ნიაღვარში ის იყო, რომ პირობა დადო



ადოლფ ჰიტლერი ვარშავაში

– „ან გავიმარჯვებ, ან მოვკვდებიო“. მან თავისი მემკვიდრეც დაასახელა, თუ თვითონ რამე დაემართებოდა – გერინგი. რიგით შემდეგი იყო რეიხსმინისტრი რუდოლფ ჰესი. თუ ჰესიც რაიმე ფათერაკს გადაჰყვებოდა, მაშინ „კანონის შესაბამისად შეიკრიბებოდა სენატი და თავისი რიგებიდან აირჩევდა ღირსეულს“. რომელი კანონი? რომელი სენატი? არც ერთი და არც მეორე ბუნებაში არ არსებობდა...

როდესაც პირველ სექტემბერს, გერმანიის არმია უკვე რამდენიმე ათეული კილომეტრით იყო შეჭრილი პოლონეთში და სწრაფად მიიწევდა წინ, შვედი თვითმარქვია შუამავალი დალერუსი და ინგლისის ელჩი ჰენდერსონი უკვე აღარარსებული მშვიდობის გადარჩენას ახლადმოვლენილი დონ-კიხოტებივით ცდილობდნენ. გერინგმა დალერუსი დააჯერა, რომ თუ პოლონეთის მარშალი რიდზ-სმიგლა ბერლინში ჩავიდოდა და მას შეხვდებოდა, ომის შეჩერება შესაძლებელი იქნებოდა. ამგვარი ილუზიების მაპროვოცირებელი ფაქტი კი ის იყო, რომ ლონდონსა და პარიზს ჯერ არ ჰქონდათ ომი გამოცხადებული გერმანიისათვის. კიდევ ერთ კურიოზად იქცა მუსოლინის იდეა ხუთ სექტემბერს დანიშნულიყო ევროპის დიდ სახელმწიფოთა (პოლონეთის მონაწილეობით) კონფერენცია, რომელიც განიხილავდა „ამდენი უბედურების მომტან ვერსალის კონფერენციის მუხლებს“. დუჩე ევროპას ვერსალის გენერალურ რევიზიას სთავაზობდა! ისიც კურიოზი იყო, რომ პარიზმა კონფერენციის იდეა მოიწონა. მშვიდობის ფანტასტიური ენთუზიასტების უდროო და უადგილო იდეას ბოლო მოულო ვარშავიდან მიღებულმა პასუხმა, სადაც არცთუ თავაზიანად უხსნიდნენ ფრანგ და იტალიელ „შუამავლებს“, რომ პოლონელები „არაპროვოცირებულ აგრესიასთან“ ბრძოლით იყვნენ დაკავებულნი და ფრანგებს შეახსენებდნენ, რომ „კონფერენციების მოწვევის კი არა, სამოკავშირეო ვალდებულებების შესრულების დრო იყო“. ამ მომენტისთვის პარიზიდან და ბერლინიდან მხოლოდ გაფრთხილება ჰქონდათ ბერლინში მიღებული, რაზეც ჰიტლერი პასუხს აგვიანებდა. ლონდონში არ გამორიცხავდნენ, რომ ჰიტლერს განზრახული ჰქონდა რაც შეიძლება მეტი ტერიტორია დაეპყრო, შემდეგ შეეწყვიტა საომარი მოქმედებები და სამშვიდობო მოლაპარაკებებზე დათანხმებუ-

ლიყო. ასეთი სიტუაციის თავიდან ასაცილებლად ორ სექტემბერს ინგლისმა საფრანგეთს შესთავაზა შუაღამით ულტიმატუმით მიემართათ გერმანიისათვის და უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, უკვე ოფიციალურად გამოეცხადებინად ომი. პარიზი კი ულტიმატუმის ენაზე გადასვლას არ ჩქაროზდა. იმავე საღამოს, ფრანგ კოლეგასთან ჩემბერლენს გულახდილი სატელეფონო საუბარი ჰქონდა. სიტუაცია თემთა პალატაში კი ისეთი იყო, რომ კაბინეტის გადასარჩენად ჩემბერლენი შეიძლება სულაც საფრანგეთზე ადრე ჩართულიყო ომში. საზოგადოებრივი აზრი ბრიტანეთის პრემიერისაგან გადამჭრელ ზომებს თხოულობდა. ჰენდერსონს მითითება მიეცა სამ სექტემბერს, კვირას, დილიდანვე ეთხოვა რიბენტროპთან აუდიენცია. რიბენტროპი მოუცლელი აღმოჩნდა და ჰენდერსონმა თარჯიმან შმიტს წაუკითხა ბრიტანეთის მთავრობის ულტიმატუმი: თუ გერმანია დაუყოვნებლივ არ შეწყვეტდა აგრესიას და ჯარს არ გამოიყვანდა პოლონეთიდან, „ორი ქვეყანა საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა“. ელჩმა დაუყოვნებლივ დატოვა საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხოლო შმიტი ლონდონის ულტიმატუმით რეიხსკანცელარიაში ჰიტლერისა და რიბენტროპის წინაშე წარსდგა. მემუარებში შმიტი იგონებს, რომ როდესაც ფიურერსა და მის მინისტრს გერმანულად გადაუთარგმნა ულტიმატუმის ინგლისური ტექსტი, ჰიტლერი ისეთი მკაცრი ტონით შეეკითხა მინისტრს – „ახლა რა?“, რომ თითქოს მინისტრს დაეწყოს ომიო. შმიტის გადმოცემით, კიდევ უფრო დათრგუნული ვითარება იყო ჰიტლერის მისაღებში, სადაც ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობას მოეყარა თავი. ალბათ, გერინგმა გამოხატა საერთო განწყობილება ფრაზით: „ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ომი წავაგოთ“. „კუთხეში იდგა დამწუხრებული და საკუთარ აზრებში წასული ჰებელსი. ყველა უაღრესად შეძრწუნებული იყო“, – წერს შმიტი.

იმავე დღეს საფრანგეთის ულტიმატუმიც ჩაბარდა რიბენტროპს. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის პირისპირ მდგომი მთავარი სამხედრო ძალა საფრანგეთის არმია იყო და ინგლისის მცირერიცხოვანი საექსპედიციო კორპუსი საფრთხეს არ წარმოადგენდა გერმანიისათვის, ჰიტლერის რისხვა მაინც ინგლისს დაატყდა თავს. ინგლისს

მიიჩნევდა ფიურერი გერმანიის ყველაზე საშიშ მტრად და პირველსავე პრობლამაციაში დასავლეთის ფრონტის გერმანელ ჯარისკაცებს ინგლისელებთან დაუნდობელი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

1939 წლის 3 სექტემბრის 11 საათზე, ამერიკელი ჟურნალისტი უილიამ შერერი ბერლინის ქუჩაში ისმენდა გერმანიის მთავრობის განცხადებას ინგლისის ულტიმატუმზე. აი, როგორად დაიმახსოვრა მან ის დილა: „მე ვიდექი რეიხსკანცელარიის მოპირდაპირე მხარეს, ვილჰელმშტრასეზე, როდესაც რეპროდუქტორმა მოულოდნელად გამოაცხადა, რომ ინგლისმა ომი გამოუცხადა გერმანიას. მზიან ქუჩაში 250-ზე მეტი კაცი არ იქნებოდა. ისინი ჩუმად და ყურადღებით უსმენდნენ. როდესაც დიქტორმა დაამთავრა კითხვა, ხმა არავის არ ამოუღია, ხალხი გაოგნებული იდგა. მათ უჭირდათ იმის შეგნება, რომ ჰიტლერმა ისინი მსოფლიო ომში გადაჩეხა" (92). იმავე საღამოს ცხრა საათზე, როდესაც სპეციალური მატარებლით ჰიტლერი პოლონეთის ფრონტზე გაემგზავრა, გერმანიის წყალქვეშა ნავმა გაფრთხილების გარეშე მიიტანა იერიში და ჩაძირა ლივერპულიდან მონრეალისაკენ მიმავალი ინგლისის ლაინერი „ათენია". 1400 მგზავრიდან 112 დაიღუპა, მათ შორის ოცდარვა ამერიკის მოქალაქე.

მეორე მსოფლიო ომი დაიწყო.



თავი მეთხუთმეტე
ორი დიქტატორი

ჯერ საბჭოთა კავშირსა და შემდეგ რუსეთში დამკვიდრებული ვერსიით, საბჭოთა კავშირი 1941 წლის 22 ივნისის გამთენიისას ჩაერთო მეორე მსოფლიო ომში, როდესაც გერმანია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა. სინამდვილეში კი მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან 17 დღის შემდეგ, წითელმა არმიამ, 618 ათასი ჯარისკაცითა და 4733 ტანკით, პოლოცკიდან კამენეც-პოდოლსკის მონაკვეთზე გადალახა პოლონეთთან საზღვარი და საომარი მოქმედებები დაიწყო პოლონეთის წინააღმდეგ. გერმანიისა და ორმხრივი აგრესიის მსხვერპლ პოლონეთის შემდეგ, მოსკოვი მესამე მონაწილედ იქცა ომის, რომელიც მალე მსოფლიო მასშტაბის კატასტროფად იქცა.

ფაქტიურად, მოსკოვმა იმავე წლის 23 აგვისტოს გადაწყვიტა პოლონეთის ბედი მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტით, თუმცა პოლონეთთან მას 1932 წლის 25 ივლისიდან აკავშირებდა თავდაუსხმელობის ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადაც 1937 წელს, 1945 წლამდე იქნა გაგრძელებული. საერთაშორისო იურიდიული ძალის მქონე

ხელშეკრულების უტიფარი იგნორირება მსოფლიო დიპლომატიური პრაქტიკისათვის მანამდე უცნობი „არგუმენტით“ იქნა „გამართლებული“ – მოსკოვში პოლონეთის ელჩ გჟიბოვსკისათვის გადაცემულ ნოტაში ნათქვამი იყო: „გერმანია-პოლონეთის ომმა ხადჰყო პოლონეთის სახელმწიფოს შინაგანი გაჯოტრება. აქედან გამომდინარე თავისი მოქმედება შეწყვიტა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის გაფორმებულმა ხელშეკრულებამ“. ელჩის არგუმენტი, რომ სახელმწიფო მანამდე არსებობს, სანამ იბრძვის მისი რეგულარული არმია, ცხადია, უპასუხოდ დატოვა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე პოტიომკინმა, რომელსაც მხოლოდ შიკრიკის ფუნქცია თუ ევალა. ვერც ემოციურმა საყვედურმა – „სად გაქრა სლავური სოლიდაროზაო“, ვერ აუჩუყა გული რუს ჩინოვნიკს. უფრო მეტიც – სტალინს პოლონეთის ელჩისა და მისი თანამშრომლების დაპატიმრებაც კი სურდა, მაგრამ დროზე ჩაერია საქმეში გერმანიის ელჩი შულენბურგი (!) და ჟენევის კონვენციის არსებობა შეახსენა მოსკოველ მოკავშირეებს. პოლონეთის არმია კი მართლაც არსებობდა და იბრძოდა: 18-22 სექტემბერს გამართულ ბრძოლებს თვით გებელსის გაზეთი „ფოლკიშერ ბეობახტერიც“ კი „გააფთრებულად” მოიხსენიებდა. გერმანელების ყველა შეტევა მოიგერია ბრესტის მცირერიცხოვანმა პოლონურმა გარნიზონმა და მხოლოდ მას შემდეგ დაეუფლნენ მას გერმანელები, რაც მათ წითელი არმია მიეშველა მძიმე არტილერიით, 1 ოქტომბერს კი, ბრესტში ვერმახტისა და წითელი არმიის ნაწილების ერთობლივი „გამარჯვების აღლუმი“ გაიმართა, გენერლების გუდერიანისა და კრივოშეინის სარდლობით.

საინტერესოა, რომ სექტემბრის ბოლომდე ჰიტლერს არ ჰქონდა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება პოლონეთის მომავალზე. უბრალოდ, ფიურერი არ გამორიცხავდა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან „სეკვესტრირებული“ პოლონეთის გამოყენებას დასავლეთთან სავაჭრო კომპრომისად. სტალინის დიპლომატიური გათვლები კი არც პოლონეთის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას ითვალისწინებდა და არც ლონდონთან და პარიზთან გერმანიის დაზავებას, ასე ხომ ჰიტლერის მთავარ პრიორიტეტულ სამიზნედ საბჭოთა კავშირი

დარჩებოდა. ამიტომ მოითხოვდა დაჟინებით მოსკოველი დიქტატორი ბერლინელი კოლეგისაგან პოლონეთის სრულ ანექსიას, რაც შეუძლებელს გახდიდა ნებისმიერ დაზავებას. ასე მოხდა კიდეც, როდესაც 27-28 სექტემბერს, მოსკოვში რიბენტროპის ვიზიტის დროს, ორმა დიქტატორმა მთლიანად გაიყო პოლონეთი. ვიზიტის მსვლელობაში ხელმოწერილ დოკუმენტებში, უკვე „სამუდამო მეგობრობაზე“ იყო ლაპარაკი. მოვლენის მნიშვნელობის შესაფერისი იყო კრემლში გამართული წვეულებაც. როგორც შემდეგ იგონებდა მოსკოვში გერმანიის საელჩოს მრჩეველი ილგერი, 22 სადღეგრძელო წარმოთქვა სტალინმა (ეს რაც დაიმახსოვრა, სანამ თვლის უნარს ინარჩუნებდა). კრემლის „ხაზეინს“ ისე მოსწონებია რიბენტროპის სავარძლის უკანმდგომი, შავ ფორმაში გამოწყობილი, წარმოსადეგი „სს“-ელი ადიუტანტი შულცე, რომ პირადად შეუვსია მისთვის სასმისი და მისი სადღეგრძელო წარმოუთქვამს, როგორც დამსწრეთა შორის ყველაზე ახალგაზრდასი. პირობაც ჩამოურთმევია, რომ კვლავ ეწვეოდა საბჭოთა კავშირს, თანაც აუცილებლად სამხედრო მუნდირში. თუ ჰილგერს ვენდობით, შულცემ პირობა შეასრულა და ერთ-ერთმა პირველმა გადმოლახა საბჭოთა კავშირის საზღვარი 1941 წლის 22 ივნისს (93).



იოაჰიმ ფონ რიბენტროპი
(1893-1946)
ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი
1938-1945 წლებში

1939 წლის დეკემბერში, ჰიტლერი „გულითადად“ ულოცავდა დაბადებიდან მესამოცე წელს სტალინს, საპასუხო დეპეშაში კი გულაჩუყებული (თუკი კიდევ შემორჩენოდა ამის უნარი) ბელადი წერდა: „ჩვენი ხალხების სისხლით შედუღაბებულ მეგობრობას სრული საფუძველი აქვს იყოს მტკიცე და ხანგრძლივიო“.

მიუხედავად იმისა, რომ 1939 წლის აგვისტო-სექტემბრის მოვლენები საბჭოთა დიპლომატიის წარუშლელ შავ ლაქად დარჩა, თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფია ჯიუტად ცდილობს გამამართლებელი ახსნა მოუძებნოს ფაშიზმთან მოკავშირეობას. რასაკვირველია, 150-200 კმ-ით საზღვრის გადაწევა სერიოზულ რესურს ქმნიდა სამომავლო ეშელონური თავდაცვითი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად და რთულია ასეთი შანსის იგნორირება. მეორე მხრივ, ისიც ხომ ფაქტია, რომ მთელი ეს ტერიტორია გერმანელებმა ომის დაწყებიდან 2-3 დღეში გამოიარეს მარშით და მათი შეჩერება მხოლოდ მოსკოვთან, ძალების ტიტანური დაძაბვითა და დიდი მცხვერპლის ფასად გახდა შესაძლებებელი.

არადამაჯერებელია ოფიციალური ვერსიაც, რომ საბჭოთა კავშირმა „უკრაინელი და ბელორუსი ძმები ნაცისტური ოკუპაციისაგან იხსნა“ საქმე ის არის, რომ ახლად მიერთებულ ტერიტორიებზე მცხოვრები 13 მლნ. ადამიანიდან, ოქტომბერშივე იქნა დაპატიმრებული 107 ათასი და გადასახლებული 390 ათასი. პირველი, ვინც „ძმების გადარჩენის“ ვერსია გააპროტესტა, ჰიტლერი იყო: ელჩმა შულენბურგმა მოლოტოვს პირადად გადასცა „ანტიგერმანული ფორმულირებით“ გამოწვეული ფიურერის სერიოზული უკმაყოფილება. როგორი იყო მოსკოვის პასუხი? საბჭოთა მთავრობა წუხდა, რომ „ვერ ხედავს სხვა საბაბს, რათა საზღვარგარეთ გაამართლოს თავისი ჩარევაო“. ყველა-ყველა, მაგრამ „დიპლომატიურ არაგულახდილობაში“ ნამდვილად ვერ დაადანაშაულებ ფორმულირების ავტორს. მოსკოვი ბერლინს იმ რთული სიტუაციის გათვალიწინებასაც სთხოვდა, რომელშიც საბჭოთა კავშირი აღმოჩნდა და არ დაეშვა, „ასეთ წვრილმანს შეეფერხებინა ორი ქვეყნის სვლა საერთო გზით“

სტალინისათვის მოულოდნელი არ იყო გერმანიის თავდასხმა პოლონეთზე და მისი გადასახედიდან სავსებით ბუნებრივი და ადეკვატური იყო კრემლის დიპლომატიური რეაგირება: დასაწყისში, სანამ ლონდონისა და პარიზის რეაქციას ელოდა, როგორც საშინაო, ასევე საგარეო მოხმარებისათვის განკუთვნილი ინფორმაცია ნეიტრალური ტონალობისა იყო. მხოლოდ 14 სექტემბერს, როდესაც რიბენ-

ტროპმა (ცხადია ჰიტლერის დავალებით) კატეგორიულად მოითხოვა აღმოსავლელი მოკავშირისაგან პოლონეთთან ომში ჩართვა შეთანხმებული ტერიტორიების ანექსიით, პარტიის მთავარ რუპორ, გაზეთ „პრავდაში", პირველი, ღიად აგრესიული წერილი გამოქვეყნდა (94), სადაც ვრცლად და მუქ ფერებში იყო აღწერილი, თუ როგორ „ჩაგრავდნენ" პოლონელები მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს, კერძოდ კი გერმანელებს. „ამიტომაც არ სურს არავის იბრძოლოს ასეთი სახელმწიფოსათვის", – ასკვნიდა გაზეთი. ამ პერიოდში ჯერ კიდევ გრძელდებოდა დიპლომატიური ფარიკაობა ჰიტლერსა და სტალინს შორის: ბერლინი მოსკოვისაგან დაუყოვნებლივ ითხოვდა პოლონეთში შეჭრას, რათა პარიზსა და ლონდონთან მისი ჰიპოთეტური კავშირიც კი გამოერიცხა. სტალინი კი მაქსიმალურად შესაფერის მომენტს ელოდა და თანაც ბისმარკისეული „გადაზღვევის" დიპლომატიით ვარაუდობდა თავად ექცია ილუზიად ფრანგებთან და ინგლისელებთან გარიგებაზე ბერლინის ცდები.

ორივე დიქტატორი მშვენივრად ერკვეოდა ერთმანეთის ფარულ დიპლომატიაში და ხისტად უტარებდნენ ერთმანეთს „რეალ-პოლიტიკის" ღია გაკვეთილებს. ისე კი, სტალინი ცოტა დაგვიანებით მიხვდა, რომ რკინის ნერვებითა და თმენის უნარით არ გამოირჩეოდა ფიურერი და თუ დროზე არ შეუტევდა პოლონეთს, მოსალოდნელ პრიზს დაკარგავდა. ამიტომაც მოხდა, რომ „ფორს მაჟორში" მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, წითელი არმიის ბევრი მეთაური (რიგით ჯარისკაცებზე რომ არაფერი ვთქვათ) ბოლო წუთებამდე იყო დარწმუნებული – „ფაშისტებთან საომრად მივდივართო". თვით პოლონელებიც კი უცებ ვერ მიხვდნენ, რომ ეს დახმარება კი არა, ტრადიციული რუსული აგრესია იყო. სიტუაციაში გარკვევის შემდეგ კი პოლონელებმა გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს ოკუპანტებს გროდნოსთან, შაცკთან, ორანთან, ხოლო პერემიშლთან კი გენერალ ანდერსის ულანებმა მთლიანად გაანადგურეს წითელი არმიის ორი პოლკი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი მაშინ ხდებოდა, როდესაც ორ ფრონტზე ბრძოლის უპერსპექტივობაში დარწმუნებულ პოლონეთის მთავრობის მეთაურს უკვე ნაბრძანები

ჰქონდა წინააღმდეგობა არ გაეწიათ წითელი არმიისათვის და რუმინეთში მოეხდინათ ინტერნირება.

ოქტომბრის დასაწყისში მოსკოვი უკვე პოლონელებზე „ბრწყინვალე" გამარჯვებას ზეიმობდა. „წარმოგიდგენიათ, რამდენ წელს იბრძოდა ცარიზმი ლვოვის შემოერთებისათვის. ჩვენმა ჯარებმა 7 დღეში დაიკავეს მთელი ეს ტერიტორია" – აღფრთოვანებას ვერ მალავდა სტალინის ძველი თანამებრძოლი კაგანოვიჩი. 31 ოქტომბერს კი უკვე მოლოტოვი ხარობდა, რომ „აღარაფერი არ დარჩა ვერსალის ხელშეკრულების ამ მახინჯი ნაშიერიდანო". საბჭოთა კავშირის ცენტრალური გაზეთების კარიკატურებზე გამოსახული იყო წითელი არმიელის ჩექმით წაქცეული სასაზღრო ბოძი და სევდიანი პოლონელი მასწავლებელი, ბავშვებს რომ ეუბნებოდა: „ამით ჩვენ ვამთავრებთ პოლონეთის სახელმწიფოს ისტორიის შესწავლასო" 14 ოქტომბერს პარიზში, სიკორსკის მეთაურობით შექმნილ პოლონეთის დევნილ მთავრობას კი გაზეთი „პრავდა" ფელეტონით გამოეხმაურა: „ახალი მთავრობის მთელ ტერიტორიას შეადგენს 6 ოთახი, სააბაზანო და ტუალეტი. მასთან შედარებით მონაკო უკიდეგანო იმპერიად გამოიყურებაო".

გარდა დიდი პოლიტიკისა, სტალინს პირადი ანგარიშიც ჰქონდა გასასწორებელი პოლონელებთან: 1920 წელს, როდესაც პოლონელებმა კუდით ქვა ასროლინეს წითელ არმიას, სტალინი სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი იყო. თანამედროვეთა მოგონებით, პოლონეთის ხსენებაზე წონასწორობას კარგავდა „პანების" მიერ კიდევ ერთი ნაბერტყი წითელი მარშალი ტუხაჩევსკი.

ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საბჭოთა კავშირში მცხოვრები ეთნიკური პოლონელების რეპრესიები. მოკლე ხანში დააპატიმრეს 143 810 ადამიანი, აქედან 111 091 დახვრიტეს, დანარჩენს კი ციმბირში უკრეს თავი. „პატარა სამხედრო გასეირნება დიდი სტრატეგიული შედეგით" – ასე აფასებდა საბჭოთა პარტიული ნომენკლატურა „პოლონეთის ოპერაციას". „პოლონეთში განმათავისუფლებელი ლაშქრობა" განიხილებოდა ნებისმიერი მომავალი ომის ნიმუშად, რომელსაც საბჭოთა კავშირი მაშინ დაიწყებდა, როცა მოისურვებდა და წარმატებით დაასრულებდა, როცა ინებებდა. რაც არ უნდა უცნაურად გამოი-

ყურებოდეს, ასეთ საერთო განწყობის პირობებშიც კი გამოჩნდა ადამიანი, რომელიც შეეცადა (თუმცა უშედეგოდ) თანამებრძოლები ეიფორიისაგან ეხსნა – „ჩვენ საშინლად დაგვაზარალა პოლონეთის კამპანიამ. მან ჩვენ გაგვათამამა. ჩვენი არმია დროზე ვერ მიხვდა, რომ ომი პოლონეთში, სამხედრო გასეირნება იყო და არა ომი“, – ასე შეაფასა ომის ფსიქოლოგიური შედეგი 1940 წლის 17 აპრილს, წითელი არმიის უმაღლესი სარდლობის დახურულ თათბირზე იოსებ სტალინმა.

ნებისმიერ შემთხვევაში, თანამედროვე რუსი ისტორიკოსების აზრით, 1939 წლის აგვისტო-სექტემბერი იყო იოსებ სტალინის დიპლომატიის „ვარსკვლავის საათი“ – უკვე დაწყებულ მეორე მსოფლიო ომში ჩაურთველად, მცირე სისხლით, მან ყველაფერი მიიღო, რაც კი ისურვა.

სრულ 2 წელსაც კი არ მოიცავს პერიოდი პოლონეთში შეჭრიდან გერმანიის თავდასხმამდე, მაგრამ დროის ამ მოკლე მონაკვეთშიც კი სამ დიპლომატიურ ეტაპად იკვეთება საბჭოთა საგარეო პოლიტიკა: 1939 წლის სექტემბრიდან საფრანგეთის დამარცხებამდე 1940 წლის ივნისში; აქედან მოყოლებული ბერლინში ვიაჩესლავ მოლოტოვის ვიზიტამდე 1940 წლის ნოემბერში და შემდეგ უკვე 1941 წლის 22 ივნისამდე. პირველ ეტაპზე სტალინის მთავარი დიპლომატიური პრიორიტეტი იყო ჰიტლერთან გაფორმებული საიდუმლო ხელშეკრულებების რეალიზაცია. შემდეგი ეტაპია ახლად შემოერთებული ტერიტორიების „სოვეტიზაცია“ 1940 წლის ივნისში უკვე ბესარაბიის რიგი დადგა; 26 ივნისს მოლოტოვმა სპეციალური ნოტით მოსთხოვა რუმინეთის მთავრობას რუსეთის მიერ 1918 წელს, ვერსალის ზავით დაკარგული ბესარაბიის დაბრუნება და კიდევ ერთი იოლი გამარჯვება: 1940 წლის აგვისტოში ბესარაბია საბჭოთა მოლდავეთს მიუერთდა. თანაც მოსკოვმა ჩრდილოეთ ბუკოვინაც „გამოაყოლა ხელს“, რომელიც მუდამ ავსტრია-უნგრეთის შემადგენელი იყო. კრემლში არც იმას მიაქციეს ყურადღება, რომ ბუკოვინა ნახსენები არ იყო გერმანიასთან დადებულ საიდუმლო ხელშეკრულებებში და არც ჰიტლერის გაღიზიანებას მოერიდნენ.

სტალინი მარჯვედ კი სარგებლობდა გერმანელების „ფრანგული ბლიცკრიგის“ შედეგად მარტოდ დარჩენილი ინგლისის მძიმე მდგომარეობით, მაგრამ სწორედ უკანასკნელის გათვალისწინებით შიშობდა, რომ შეიძლება ლონდონი ბერლინს დაზავებოდა. მას კი კიდევ ერთი ტერიტორიული პრობლემა ჰქონდა მოსაგვარებელი – ლენინგრადიდან ძალზე ახლოს გადიოდა ფინეთ-საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი. სტალინი ჯერ დიპლომატიის მეშვეობით შეეცადა პრობლემის გადაჭრას და ტერიტორიების გაცვლა შესთავაზა ჰელსინკს: რამდენიმე სტრატეგიული მნიშვნელობის კუნძულისა და კარელიის ყელის სანაცვლოდ, საბჭოთა კარელიის ორჯერ მეტი, თუმცა მწირედ დასახლებული და აუთვისებელი ტერიტორია შესთავაზა ფინეთს, რაზეც ცივი უარი მიიღო. ამის შემდეგ წითელი არმიის გენერალურ შტაბს სამხედრო ოპერაციის გეგმის შედგენა დაევალა. ხუთი თვე გასტანა სამზადისმა ზეწოლასა და სამხედრო მუქარასთან ერთად; მოსკოვი ახალ-ახალ მოთხოვნებს უყენებდა ფინელებს, „მანერჰეიმის ხაზის“ დემონტაჟის ჩათვლით. ცხადია, ჰელსინკში აცნობიერებდნენ, რომ სტალინის მოთხოვნების დაკმაყოფილება აბსოლუტურად დაუცველს გახდიდა ქვეყანას აგრესორი გიგანტის წინაშე, მით უმეტეს, რომ კრემლი არც ცდილობდა საკუთარი გეგმების შენიღბვას: 1938 წლის ოქტომბერში, უმაღლესი საბჭოს სესიაზე სიტყვით გამოსვლისას, მოლოტოვმა ღიად განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი ფინეთისაგან თავდაცვითი ინჟინრული სისტემების ლიკვიდაციას მოითხოვდა, რაც თურმე ფინეთისავე ინტერესებში შედიოდა. ზუსტი იყო სტალინის გათვლა: დემოკრატიულ ქვეყნებს ფინეთისათვის არ ეცალათ, ხოლო ჰიტლერთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ბალტიის ქვეყნებთან ერთად, ფინეთი საბჭოთა გავლენის სფეროდ იყო აღიარებული.

1939 წლის 28 ნოემბერს, საბჭოთა კავშირმა საბაბად გამოიყენა ორი დღით ადრე მომხდარი სასაზღვრო ინციდენტი და ცალმხრივ გააუქმა ორ ქვეყანას შორის არსებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულება. როგორც მოგვიანებით ნიკიტა ხრუშჩოვი ირწმუნებოდა, სტალინი დარწმუნებული იყო, რომ ფინელები დაფრთხებოდნენ და

დათმობებზე წავიდოდნენ, მაგრამ ერთი ციცქნა ქვეყანამ ომი ამჯობინა სამარცხვინო კაპიტულაციას. 30 ნოემბერს წითელმა არმიამ საბრძოლო მოქმედებები დაიწყო.

ომის დაწყებისთანავე გაირკვა, რომ მიუხედავად 5-თვიანი ინტენსიური სამზადისისა, აგრესორმა სამხედრო კამპანია პრაქტიკულად აბსოლუტურად მოუმზადებელმა დაიწყო: არა მხოლოდ შეიარაღება აკლდა წითელ არმიას, საშინელ ყინვაში ზამთრის ფორმაც კი დეფიციტს წარმოადგენდა. საქმეს ვერც სასწრაფოდ მობილიზებულმა მოხალისე კომკავშირელებმა უშველეს და ვერც სპორტმენმა მოთხილამურეებმა, რომელთა უმრავლესობაც უაზროდ დაიღუპა. ფინელები სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ და გიგანტურ ფასს ახდევინებდნენ აგრესორებს საკუთარი მიწის ყოველ მეტრში. მხოლოდ მარტის დასაწყისში, ახალი რეზერვების ჩართვის შედეგად შესძლო წითელმა არმიამ ფინელების დაცვითი ხაზის გარღვევა. 1940 წლის 12 მარტის ზავის პირობებით, საბჭოთა კავშირმა მიიღო კარელიის ყელი ვიპურით (ვიბორგით), ვიბორგის ყურე კუნძულებით, ლადოგის ტბის დასავლეთი და ჩრდილოეთი სანაპიროები ქალაქებით – კეკგოლმით, სორტავალით, სუოიასვით, რამდენიმე კუნძული ფინეთის ყურეში, ტერიტორიები მიმდებარე ნახევარკუნძულებზე, იჯარით ხანკოს ნახევარკუნძული სამხედრო ბაზებისა და გარნიზონის განსათავსებლად – ანუ მთლიანობაში ხუთჯერ მეტი ტერიტორია, ვიდრე ომამდე გაცვლით ითხოვდა სტალინი ფინეთისაგან. გარდა მატერიალური ზარალისა, ომი საბჭოთა კავშირს 290 ათასი ჯარისკაცის სიცოცხლის და უდიდესი მორალური დანაკარგის ფასად დაუჯდა. ჰიტლერი კი საბოლოოდ დარწმუნდა საბჭოეთის სამხედრო სისუსტეში და ომის დაწყების აუცილებლობაში. სტალინმა კი შესძლო რამდენიმე ასეული კილომეტრით გადაეწია სახელმწიფო საზღვარი, მაგრამ რაც მთავარი იყო – საბჭოთა დიპლომატიამ ვერ შესძლო ჰიტლერის დარწმუნება მოსკოვთან ომის უაზრობაში. პირიქით, დამთხვეულ ფიურერთან ურთიერთობაში აღებულმა ხისტმა დიპლომატიურმა ტაქტიკამ, ბერლინი დაარწმუნა, რომ მოსკოვისათვის არც

დაგეგმილი და დაწყებული გადაიარაღების დრო არ უნდა დაეტოვებინა და არც ახლად მიერთებული ტერიტორიების გამაგრების.

სტალინისათვის განგაშის ზარი იყო 1940 წლის 27 სექტემბერს, გერმანიის იტალიისა და იაპონიის მიერ გაფორმებული „სამთა კავშირი". მართალია, ბერლინიდან წინასწარ მიიღო სათანადო ინფორმაცია მოლოტოვმა, მაგრამ მსოფლიოს სამი „წამყვანი" აგრესორის სამხედრო ალიანსიდან მოსალოდნელი საფრთხე სტალინზე გაცილებით ნაკლებად ეჭვიან ადამიანსაც დაუფრთხობდა ძილს. ტრიუმვირატის გაფორმებიდან სამი დღის შემდეგ „პრავდა" წერდა, რომ ხელშეკრულება „ომის შემდგომ გამწვავებასა და მისი მოქმედების სფეროს გაფართოებას ნიშნავსო" (95). გაზეთი, მართალია ხაზგასმით იმოწმებდა პაქტის იმ ნაწილს, სადაც ნათქვამი იყო, რომ ხელშეკრულება არ ეხება მონაწილე ქვეყნების ურთიერთობებს საბჭოთა კავშირთანო, მაგრამ კრემლში ამისი არავის სჯეროდა. სტალინის გრძელვადიანი დიპლომატიური მანევრის დასაწყისად შეიძლება შეფასდეს იგივე „პრავდა"-ში ერთი თვის შემდეგ გამოქვეყნებული უჩვეულოდ ვრცელი რეპორტაჟი ლონდონიდან, სადაც საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტოს კორესპონდენტმა ქალაქში განთავსებული ერთ-ერთი საზენიტო ბატარეა დაათვალიერა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ინგლისელები ბოლომდე იბრძოლებდნენ და არანაირ გარიგებაზე არ წავიდოდნენ ადოლფ ჰიტლერთან. რეპორტაჟი გაჟღენთილი იყო „შეუდრეკელი ინგლისელებისადმი" დაუფარავი სიმპათიით. კონტინენტზე კი ჰიტლერის მორიგ სამიზნედ უკვე ბალკანეთი იკვეთებოდა, რასაც ენთუზიაზმით ვერ შეხვდებოდა რუსეთის ისტორიულ გავლენის სფეროებზე თვალდადგმული სტალინი. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე იყო ბერლინ-მოსკოვის ურთიერთობების სერიოზული პრობლემები, „ხაზეინი" მაინც არ ჩქარობდა (თუმცა აჩქარება არასოდეს ყოფილა მისთვის დამახასიათებელი) იგივე ინგლისთან კონტაქტების გააქტიურებას. მხოლოდ ცენტრალურ პრესაში იმატა ბრიტანეთისადმი ლოიალურმა სტატიებმა და საერთოდ გაქრა ომში ამერიკის ჩართვის საწინააღმდეგო პუბლიკაციები. ვინც მეტ-ნაკლები ყურადრებით აკვირდებოდა სტალინის

დიპლომატიურ სერპანტინებს, იოლად მიხვდებოდა, რომ კრემლში რამდენიმე კალათაში იწყებდნენ კვერცხების გადანაწილებას, თან ორი-სამი წლით ვარაუდობდნენ გერმანიასთან ღია დაპირისპირების გადაწევას, თან ახალ მოკავშირეებზეც იწყებდნენ ფიქრს. მოსკოვის თავზე კი ცა იქუფრებოდა: 1940 წლის დასასრულისთვის ჰიტლერის ბატონობის ქვეშ იყო ოთხი მოლიონი კვ. კმ. ტერიტორია 335 მლნ. მოსახლეობით. პრაქტიკულად მთელი კონტინენტის ეკონომიკა მუშაობდა გერმანიის მიერ წამოწყებული ომის საჭიროებაზე, რამაც ჰიტლერს საშუალება მისცა ვერმახტისათვის გამოენთავისუფლებინა ახალგაზრდა გერმანელების დიდი ნაწილი.



ვიაჩესლავ მოლოტოვი
(1890–1986)
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი
1939–1956 წლებში

ყველაფერ ამას ყურადღებით აკვირდებოდნენ მოსკოვში და ისიც იცოდნენ, რომ ერთადერთი ქვეყანა, ვისთან საომრადაც შეიძლებოდა დასჭირებოდა დიდი არმია გერმანიას, საბჭოთა კავშირი იყო. თავის მხრივ, როგორც ჩანს, ჰიტლერსაც მობეზრდა გაუთავებელი დიპლომატიური კინკლაობა სტალინთან და საბოლოო „წერტილების დასასმელად“ იოაჰიმ რიბენტროპი თავის რუს მოკავშირე-კოლეგას ბერლინში იწვევს.

1940 წლის 12 ნოემბერს, ექსპერტ-მრჩეველთა დიდი ამალით, ვიაჩესლავ მოლოტოვი ბერლინში ჩადის. ჰენრი კისინჯერის აზრით, სწორედ ამ ვიზიტმა დააჩქარა ჰიტლერის გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებაზე. მიზეზი კი იყო უკომპრომისო, ყოყლოჩინა დიპლომატიური სტილი, პლის თავად საბჭოთა მინისტრის ლეგენდად ქცეული არაკომუნიკაბელობა და საერთაშორისო პარტ-

ნიორებთან ურთიერთობის გამომწვევი მანერა. რასაკვირველია, ყველაფერმა ამანაც შეიტანა თავისი წვლილი მისიის კრახში, მაგრამ ვიზიტი თავიდანვე იყო განწირული – კრემლში რატომღაც გადაწყვიტეს, რომ ჰიტლერს ისევე სჭირდებოდა სტალინის მოკავშირეობა, როგორც პოლონეთში შეჭრის წინა დღეებში. მაშინ სტალინი რეალური მოგების „წილში ჩაუჯდა“ ფიურერს, 1940 წლის ნოემბერში კი მოლოტოვს ჰიპოთეტური გავლენის სფეროების განაწილებაში პარტნიორობას სთავაზობდნენ, თანაც იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი „სამთა კავშირს“ მიუერთდებოდ.ა ეს კი უკვე დაწყებულ ომში ჩართვას გულისხმობდა. გრძელვადიანი ანალიზის მოყვარული სტალინი, გრძნობდა, რომ ადრე თუ გვიან, მას მაინც მოუწევდა ომში ჩართვა და კატეგორიულად არ სურდა გარედან მაყურებლის როლში აღმოჩენილიყო იმ გადამწყვეტ მომენტში, როცა გამარჯვებულები პრიზების გაყოფას შეუდგებოდნენ. იგი საკუთარ ადგილს მათ შორის ხედავდა, მაგრამ ბუნებით ფრთხილსა და ეჭვიანს ვერ გადაეწყვიტა, თუ რომელ მხარეს ჰქონდა გამარჯვების მეტი შანსი. ამიტომაც იყო მომენტის ადეკვატური მისი დიპლომატიური სტრატეგია – მეომარ მხარეთა შორის ძალთა თანაფარდობის სისტემატური მონიტორინგი (თანამედროვე ტერმინოლოგიით) და ომისათვის ფორსირებული მზადება. პრობლემა კი ის იყო, რომ ჰიტლერს უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი საამისო დრო და საშუალება არ მიეცა უკვე გამოუსადეგარი და გამაღიზიანებლად არასაიმედო „მოკავშირისათვის“

ნებისმიერი პოლიტიკოსისათვის, ვისაც თუნდაც ერთხელ ჰქონდა თვალი გადავლებული ადოლფ ჰიტლერის „მაინ კამპფ“-ისთვის (კრემლში კი აუცილებლად ექნებოდათ შესწავლილი წიგნის სრული თარგმანი), ცხადზე ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ უპირველეს ყოვლისა, მისი ავტორი გერმანიის „სასიცოცხლო სივრცედ“ რუსეთს განიხილავდა. როგორც კი ყეყეჩი იოაჰიმ რიბენტროპი შეეცადა ვიაჩესლავ მოლოტოვის დარწმუნებას, რომ გავლენის სფეროების გადანაწილებისას გერმანიას მხოლოდ მისი ყოფილი აფრიკული კოლონიები აინტერესებდა, რუსი მინისტრისათვის უაზრობად იქცა შემდგომი მოლაპარაკებები. ჩვეულებრივზე მეტად მკვახე და ხორკლიანი

იყო მოლოტოვი ჰიტლერთან შეხვედრისას, რამაც ისე გააცოფა ფიურერი, რომ სტუმრის საპატივცემულოდ გამართულ ვახშამზეც კი არ მივიდა, თუმცა მხოლოდ ამ ფაქტმა არ განაპირობა წვეულების „ორიგინალურობა" – სტუმრებს ლუკმაც არ ჰქონდათ გადაყლაპული, რომ ინგლისის ავიაციამ ბერლინის მორიგი დაბომბვა დაიწყო და დარბაზიც ელვის სისწრაფიდ დაცარიელდა.

როგორც გერმანიის არქივებში შემონახული დოკუმენტებიდან ირკვევა (რუსეთის არქივები ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გახსნილი), პრინციპში სტალინი თანახმა იყო მიერთებოდა „სამთა კავშირს", თუმცა სანაცვლოდ ჰიტლერისათვის მიუღებელი საზღაური მოითხოვა, კერძოდ კი საბჭოთა გავლენის სფეროში უნდა შესულიყო მთელი აღმოსავლეთ თურქეთი და ჩრდილოეთ ირანი ერაყით. გარდა ამისა, მოსკოვს სამხედრო-საზღვაო ბაზები უნდა შეექმნა ბოსფორსა და დარდანელში, გერმანიას ჯარი უნდა გაეყვანა ფინეთიდან, იაპონიას თავისი კონცესია უნდა გაეუქმებინა ჩრდილოეთ სახალინზე და საბჭოთა გავლენა უნდა გავრცელებულიყო ბულგარეთზე. მიუხედავად რამდენიმე შეხსენებისა, მისმა გერმანელმა კოლეგამ აღარ ისურვა მოლაპარაკებების გაგრძელება (ცხადია ჰიტლერის მითითებით). ბერლინში გადაწყვიტეს, რომ რუსებმა, რომლებმაც რამდენიმე თვის წინ, რის ვაი-ვაგლახით შესძლეს პატარა ფინეთის დამარცხება, საბოლოოდ დაკარგეს ზომიერების გრძნობა. მართლაც პოლიტიკური ემბულია შეეყარა უცებ სტალინს თუ კონკრეტულ დიპლომატიურ მიზანს ისახავდა მისი დაუჯერებლად ზომაგადასული პრეტენზიები? ნუთუ იმ მასშტაბით მოსწყდა რეალობას „რეალ-პოლიტიკის" მეტრი, რომ მეორე მხარისათვის ასე აშკარად მიუღებელი მოთხოვნების პაკეტით გაგზავნა ბერლინში მოლოტოვი? გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ სტალინი „სამთა კავშირში" მიპატიჟებაზე უარის დიპლომატიურ და არა პოლიტიკურ საბაბს ეძებდა და მოძებნა კიდეც – საბოლოო ჯამში ისე გამოვიდა, რომ მოსკოვს უარი არ უთქვამს მიპატიჟებაზე, მხოლოდ პირობებზე ვერ შეთანხმდნენ. ჰიტლერი, რომელიც ვერმახტის ტექნიკისათვის საჭირო საწვავის მუდამ მწვავე დეფიციტს გაცდიდა, ცოცხალი თავით რომ არავის შეუშვებდა ერაყსა და

ირანში. განა ამას ვერ ხვდებოდნენ კრემლში? ძნელად დასაჯერებელია.

როგორც ჩანს, მოლოტოვის ვიზიტისაგან დიდ არაფერს არც ჰიტლერი ელოდა. კომპიენში საფრანგეთთან დაზავების შემდეგ, რიბენტროპის უწყების პრიორიტეტად აღმოსავლეთ ევროპასა და ბალკანეთში პოზიციების გამტკიცება განისაზღვრა. რომი-ბერლინ-ტოკიოს სამხედრო კავშირით („ღერძით") იტალიას სმელთაშუა ზღვის რეგიონი უნდა მიეღო გავლენის სფეროდ, იაპონიას – აღმოსავლეთ აზია, ხოლო გერმანიას კი დაუკონკრეტებელი „ევროაფრიკული სივრცე". ოფიციალურ დოკუმენტებში საერთოდ არ იყო რუსეთი ნახსენები. ეტყობა, მოლოტოვის ვიზიტამდე ჰიტლერი მაინც იტოვებდა მოსკოვთან შეთანხმების მინიმალურ შანსს, თუმცა ვერმასტის გენერალური შტაბი დაჩქარებულ რეჟიმში მუშაობდა „ბარბაროსაზე" (საბჭოთა კავშირთან ომის გეგმაზე). პარალელურად დღითი-დღე ძლიერდებოდა გერმანიის გავლენა უნგრეთსა და რუმინეთზე. გარდა იმისა, რომ გერმანიისათვის ერთად-ერთი ხელმისაწვდომი ენერგორესურსი რუმინეთის ნავთობსაბადოები იყო (პლოეშტში), იგი სამხრეთ-დასავლეთიდან რუსეთში შეჭრისათვის საჭირო პლაცდარმადაც ვარგოდა. მას შემდეგ, რაც 1940 წლის სექტემბერში, რუმინეთის მეფე კაროლ მეორემ, გერმანიასთან კავშირს გადადგომა და ემიგრაციაში წასვლა ამჯობინა, პროგერმანულად განწყობილი გენერალი იონ ანტონესკუ იქცა ქვეყნის ბატონ-პატრონად, რომელმაც ჯერ გერმანელთა მრავალრიცხოვანი სამხედრო მისია მიიწვია რუმინეთში, ხოლო შემდეგ „ღერძს" მიუერთდა. ეს ყველაფერი კი მაშინ ხდებოდა, როცა სტალინი პაქტთან შეერთების საფასურად ბერლინისაგან რუმინეთიდან გერმანიის სამხედრო ნაწილების („მისიის") გაყვანას ითხოვდა.

1941 წლის აპრილის დასაწყისში ჰიტლერმა ანტონესკუს აცნობა, რომ ჯერ კიდევ „გაურკვეველი" იყო საბჭოთა კავშირთან სამომავლო ურთიერთობა და შესაძლო ომისათვის დაჩქარებული მზადება მოსთხოვა, თანაც ისე, რომ „საყოველთაო მობილიზაციით რუსები არ დაეეჭვებინა". რუმინეთის დიქტატორს კი სულაც არ სჭირდებოდა საომრად წახალისება. ის იქეთ აჩქარებდა გერმანელებს დროზე დაეწ-

ყოთ ომი და ირწმუნებოდა, რომ კარგათ გაწვრთნილი და შეიარაღებული 30 დივიზიით შეუერთთდებოდა ვერმახტს. 11 ივნისს ანტონესკუ ბერლინში გამოიძახეს და კონფიდენციალურად აცნობეს, რომ უკვე მიღებული იყო საბოლოო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებაზე (ზუსტი თარიღი ბენიტო მუსოლინმაც კი არ იცოდა). მომავალ ომში ანტონესკუ რუმინეთის ფრონტის სარდლად დაინიშნა და მასვე დაევალა კონსტანცის ყურისა და დუნაიზე ხიდების დაცვა.

გერმანელების მოკავშირე იყო უნგრეთის დიქტატორი მიკლოშ ჰორტიც. ე.წ. ვენის არბიტრაჟის გადაწყვეტილებით (როდესაც ბერლინსა და რომს მიანდეს უნგრეთმა და რუმინეთმა საკუთარი ტერიტორიული დავების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება), უნგრეთმა ჩრდილოეთ ტრანსილვანია და სამხრეთ სლოვაკია მიიღო, კარპატებს გაღმა უკრაინის ნაწილით და „ღერძს“ შეუერთდა. საბჭოეთთან ომში უნგრეთს ევალებოდა გერმანიის ზურგის დაცვა ბალკანეთ-დუნაის სივრცეში და იუგოსლავიის ნეიტრალიზება საჭიროების შემთხვევაში, მისი სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციით. ასეთ ვითარებაში უცნაურად გამოიყურებოდა ჰიტლერის თანხმობა უნგრეთ-იუგოსლავიას შორის „სამუდამო ზავის“ გაფორმებაზე, რომელიც 1940 წლის 12 დეკემბერს იქნა ხელმოწერილი ბელგრადში. კურიოზული ფაქტია, რომ სწორედ ამ ხელშეკრულებას მიიჩნევდნენ როგორც იუგოსლავიისა და უნგრეთის პატრიოტული ძალები, ასევე ლონდონი და ვაშინგტონი, ბალკანეთში გერმანიის აგრესიის შემაკავებელ ჯებირად. ბერლინში კი ზუსტი წარმოდგენა ჰქონდათ რეგიონში მიმდინარე პროცესებზე და ადეკვატურად აფასებდნენ ხსენებული ხელშეკრულების რეალურ მნიშვნელობას. საქმე კი ის იყო, რომ დიდ დემოკრატიულ სახელმწიფოებს არც პოლიტიკური ნება და არც ძალა არ გააჩნდად რათა კრიტიკულ მომენტში წინ აღდგომოდნენ ფაშისტურ აგრესიას ბალკანეთში. საბჭოთა კავშირთან ომის არანაირი სურვილი არ ჰქონდა უნგრეთის პრემიერ ტელეკის, მაგრამ უსუსური და არაეფექტური იყო ქვეყნის დემოკრატიულ და ფაშისტურ დაჯგუფებებს შორის დიპლომატიური მანევრირების მისი ცდები.

6 აპრილს, ომის გამოცხადების გარეშე, გერმანია იუგოსლავიაში შეიჭრა და მისი სრული ოკუპაცია მოახდინა. უნგრეთმა, როგორც აგრესიისა და ოკუპაციის თანამონაწილემ, უკან დასახევი ყველა გზა მოიჭრა და ნებაყოფლობით იქცა ჰიტლერის უმცროს პარტნიორად. რასაკვირველია, უნგრეთის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, ბერლინისათვის გამორიცხული იყო მისი ნეიტრალიტეტი აღმოსავლურ სამხედრო კამპანიაში, მაგრამ ფიურერის დიპლომატიურ პასიანსში უნგრელ ფაშისტებს „ორიგინალური" როლი ჰქონდათ განკუთვნილი – მომავალ დიდ ომში ვერმახტის რიგებში ბრძოლის პატივი მათ თვითონ უნდა ეთხოვათ. ზუსტი გამოდგა ფსიქოლოგიური გათვლა: მიკლოშ ჰორტიმ პრესიდან შეიტყო ომის დაწყება და ანერვიულდა – მხოლოდ ომში მონაწილეობა აძლევდა უნგრეთის მმართველ ფაშისტებს ნადავლის გაყოფაში მონაწილეობის შანსს. მეორეს მხრივ, თუ გერმანელები იქეთ დააყვედრიდნენ უნგრელებს ომში მონაწილეობის ნებართვას, გამარჯვების შემთხვევაში (რაშიც არც ბერლინსა და არც ბუდაპეშტში არ ეპარებოდად ეჭვი) ბერლინი ნაკლებად იქნებოდა ვალდებული სრულად დაეკმაყოფილებინა მიტმასნებული მოკავშირის ტერიტორიული ამბიციები. საბოლოო ჯამში, მხოლოდ ომის გამოცხადებიდან მეორე დღეს, კეთილი ნების ჟესტის სახით მიიღო ბუდაპეშტმა ომში ჩართვის „მოსაწვევი ბარათი". 27 ივნისს უნგრეთმა ომი გამოუცხადა საბჭოთა კავშირს. გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური ელიტა უნგრელებზე ერთგულ მოკავშირეებად მაინც ფინელებს განიხილავდა, თუნდაც როგორც საბჭოთა აგრესიის მსხვერპლს. თავის მხრივ ფინეთის პრემიერი რუტიც და მარშალი მანერჰეიმიც მზად იყვნენ, რათა სამხედრო კავშირზე წასულიყვნენ გერმანიასთან, ვინაიდან იმ პერიოდში არ ჩანდა სხვა რეალური მოკავშირე, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი გახდებოდა წართმეული ტერიტორიების დაბრუნება. ამავე დროს, რუმინელების, უნგრელებისა და ნორვეგიელებისაგან განსხვავებით, ფინელები კატეგორიულად მოითხოვდნენ გერმანელებისაგან საკუთარი სამშობლოს სრული სუვერენიტეტის შენარჩუნებას 1939 წლის საზღვრებში. მას შემდეგ, რაც ფინეთის მმართველმა წრეებმა დამატებითი გარან-

ტიები მოითხოვეს და მიიღეს კიდეც, რომ უნგრეთის, რუმინეთის, საფრანგეთისა თუ ნორვეგიის მსგავსად, მათაც არ მოუწევდათ ღიად ანტიეროვნული, პროფაშისტური ხელისუფლების პირობებში ცხოვრება, 25 ივნისს ფინეთმა ომი გამოუცხადა საბჭოთა კავშირს.

ევროპაში ომის დაწყების დღიდან, ფაშისტური დიპლომატიის მთავარ სამხრეთულ პრიორიტეტს თავის მხარეზე თურქეთის გადაბირება წარმოადგენდა. ჯერ კიდევ ოტომანთა იმპერიიდან მოყოლებული, ევროპელებისათვის (ისევე როგორც რუსებისათვის) ურთულეს პრობლემად იქცა აღმოსავლურად ჩახლართულ-ჩახუჭუჭებულ თურქეთის დიპლომატიურ ლაბირინტებში გზის გაკვლევა. სტამბოლიცა და ანკარაც მუდამ ცდილობდა „ყველა კვერცხი ერთი კალათით არ ეტარებინა“ თურქები ვირტუოზული ოსტატობით ახერხებდნენ მრავალვექტორული საგარეო-პოლიტიკური კურსის ეფექტურობას და ტრადიციის გადასინჯვას არც გერმანიასთან ურთიერთობის ჭრილში აპირებდნენ. თურქ პოლიტიკოსებს კარგად ახსოვდათ პირველ მსოფლიო ომში სწორედ პროგერმანული კურსის შედეგების მთელი „ეშხი“. მართალია, 1939 წლის 19 ოქტომბერს, თურქეთმა ურთიერთდახმარების ხელშეკრულება გააფორმა ინგლისსა და საფრანგეთთან, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათის ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას მუდამ კონკრეტულ მომენტში არსებულ ძალთა თანაფარდობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობდა.

საფრანგეთის კრახამდე ანკარა ბალკანეთში ინგლისის გავლენის შენარჩუნებას უჭერდა მხარს, მაგრამ როგორც კი ახალი რეალობა შეიქმნა, საფრანგეთის კაპიტულაციამ, კონტინენტზე ინგლისის დამარცხებამ, გერმანიის პოზიციების გამყარებამ იუგოსლავიასა და საბერძნეთში, უდიდესი გავლენა იქონია თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე: მოკლე დროში გერმანიისათვის ხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკრულებები გაფორმდა ორ ქვეყანას შორის, გაიზარდა თურქეთის სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეულის (ქრომი და სპილენძი) ექსპორტი გერმანიაში. 1941 წლის მარტში ჰიტლერმა პირადი მეგობრული წერილი გაუგზავნა თურქეთის პრემიერ ისმეთ ინენიუს.

საპასუხო წერილით კი პრემიერმა დიპლომატიურად მიანიშნა ადრესატს, რომ მისი მთავრობა გაითვალისწინებდა გერმანიის ინტერესებს. ანკარაში ვარაუდობდნენ, რომ მალე დაიწყებოდა გერმანია-საბჭოთა კავშირის ომი და ჰიტლერს აშკარად დასჭირდებოდა პოლიტიკური მხარდაჭერა, ცხადია გარკვეული საზღაურის საფასურად. აღნიშნული მიმართულებით უკვე აწარმოებდა საიდუმლო მოლაპარაკებებს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ შუქრიუ სარაჯოღლუსთან გერმანიის ელჩი ფონ პაპენი, განიხილებოდა ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების პერსპექტივა. ფრთხილმა თურქებმა თავი მაინც დაიზღვიეს და მოლაპარაკებების თაობაზე საქმის კურსში ლონდონი ჩააყენეს. ინგლისელებს ხელშეკრულების დაბლოკვა არ შეეძლოთ და იმით დაკმაყოფილდნენ, რომ თურქები დაითანხმეს ადრე ნაკისრ ვალდებულებათა ერთგულნი დარჩენილიყვნენ.

ანკარა ლონდონსა და ვაშინგტონს არწმუნებდა, რომ გერმანიასთან ხელშეკრულებით ერთიანი ანტიკომუნისტური ფრონტის შეკვრაზე ზრუნავდა. პარალელურად, შუქრიუ სარაჯოღლუ გერმანიის ელჩს ჭკვიანურ, თუმცა განუხორციელებელ რჩევას აძლევდა – გერმანიას ჯერ ინგლისსა და ამერიკასთან უნდა დაერეგულირებინა ურთიერთობები და შემდეგ შეეტია რუსეთისათვის, მთელი ცივილიზებული დასავლეთის მანდატით. ასეთი პერსპექტივა უღრღნიდა ტვინს იოსებ სტალინსაც. ეტყობა, თურქები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბერლინიდან უცნაურად გაქცეული რუდოლფ ჰესი უკვე აწარმოებდა საიდუმლო მოლაპარაკებებს ლონდონში. საბედნიეროდ, ინგლისს ჩემბერლენი კი არა, უკვე ჩერჩილი მართავდა და, შესაბამისად, ჰესის მისიაც და თურქების რჩევებიც ფანტაზიად დარჩა. ჰესსაც და სარაჯოღლუსაც ძვირად დაუჯდათ საკუთარი ინიციატივები: პირველმა მთელი სიცოცხლე ჯერ ინგლისის, შემდეგ კი გერმანიის შპანდაუს ციხეში გაატარა, თურქი მინისტრის არამკითხე რჩევებმა კი ფონ პაპენი მცდარ დასკვნამდე მიიყვანა – ბერლინს ახარა, თურქეთი პრაქტიკულად ჩვენი მოკავშირეაო. მეტი რა უნდოდა ცანცარა რიბენტროპს და ანკარას

საიდუმლო ხელშეკრულების გაფორმება მოსთხოვა, რომლის ძალითაც გერმანია სამხედრო ტვირთისა და ცოცხალი ძალის ტრანზიტად გამოიყენებდა თურქეთის ტერიტორიას. ანკარაში არავის სურდა ასე შორს წასვლა და დამოუკიდებელი მანევრირების შესაძლებლობის დაკარგვა. ვაშინგტონის გაფრთხილებამაც დროზე მოუსწრო და ბერლინმა არაფრის მავალდებულებელი მეგობრობის ხელშეკრულებაც კი ძლივს გამოსტყუა პრემიერ ისმეთ ინენიუს მიერ გვარიანად შეჯორილ შუქრიუ სარაჯოღლუს. ჰიტლერი დარწმუნებული იყო, რომ რამდენიმე თვეში დაასრულებდა „რუსულ კამპანიას“ და სიმძიმის ცენტრს ინდოეთისა და ბრიტანეთის აფრიკული კოლონიებისაკენ გადაიტანდა. ეს უნდა ყოფილიყო მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლის დასკვნითი ეტაპი, იმ შემთხვევაშიც კი თუ ომში ამერიკაც ჩაებმებოდა. თურქეთი, ირანი და ესპანეთი, რომელსაც გიბრალტარი უნდა დაეკავებინა, თავს ვეღარ დააღწევდნენ გერმანიის სამხედრო მოკავშირეობას.

იოსებ სტალინის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებულ ისტორიულ ლიტერატურაში ზღვა მასალაა თავმოყრილი იმის თაობაზე, თუ როგორ უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა მოსკოვში დაზვერვითი და ოფიციალური ინფორმაცია ჰიტლერის სამზადისზე საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის. გარდა მთელ ევროპაში გავრცელებული ხმებისა, იოსებ სტალინის განკარგულებაში იყო უამრავი სანდო კერძო წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია და ლონდონისა და ვაშინგტონის გაფრთხილებებიც. რთულია იმის მტკიცება, რომ კრემლის მთავარ ბინადარს ბრმად სჯეროდა ჰიტლერის და ბოლომდე ენდობოდა მას. მანიაკალურად ეჭვიანი „ბელადი“ საერთოდ არავის არ ენდობოდა. 1941 წლის 5 მაისს, კრემლში სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულებთან შეხვედრაზე, სტალინი 40 წუთის განმავლობაში მოუწოდებდა მსმენელებს საბრძოლო ოსტატობის ამაღლებისა და აგრესიის აღკვეთისათვის მზადყოფნისაკენ. ვის მოიაზრებდა ორატორი აგრესორად, როდესაც ორ თვეზე ნაკლები იყო დარჩენილი ომამდე? მეორე დღეს კი საბჭოთა მოქალაქეებმა გაზეთებიდან შეიტყვეს, რომ მათ მთავრობის ახალი მეთაური ჰყავდათ. ეროვნულ საკითხში სა-

ხალხო კომისრის პოსტის შემდეგ (1917 წლიდან 1924 წლამდე), სტალინმა ოფიციალური თანამდებობა პირველად დაიკავა. ამ პერიოდისათვის ქვეყანა უკვე იყო გადასული ექვს სამუშაო დღიან კვირაზე, გაზრდილი იყო ჯარში გასაწვევი ასაკის ჩარჩოები და საიდუმლო ბრძანებით მიმდინარეობდა ჯარების კონცენტრაცია დასავლეთის საზღვრისპირა რაიონებში. მიუხედავად ყოველივე ამისა, ძალაში რჩებოდა მკაცრი მითითება – არავითარ შემთხვევაში არ ჩამოეგდოთ საჰაერო საზღვრის დამრღვევი გერმანიის ასობით მზვერავი თვითმფრინავი და ომის დაწყების უმნიშვნელო საბაბიც კი არ მიეცათ ჰიტლერისათვის (სანამ სრულად არ გაიხსნება საბჭოთა კავშირის დახურული არქივები, მკვლევარებს მხოლოდ მარჩიელობა მოუწევთ სტალინის „მშვიდობისმყოფელობის“ რეალურ მიზეზზე). საქმე კი იქამდე მივიდა, რომ თვით გერმანიის ელჩმა მოსკოვში, შულენბურგმა და მისი ნდობით აღჭურვილმა მრჩეველმა (დასავლელი ისტორიკოსების ინფორმაციით) საბჭოთა მთავრობის გაფრთხილება სცადეს კარს მომდგარი ომის თაობაზე: 22 ივნისამდე 10 დღით ადრე, ელჩის რეზიდენციაში საიდუმლოდ მიიწვიეს იმ დღეებში მოსკოვში მყოფი გერმანიაში საბჭოთა ელჩი, ლავრენტი ბერიას პროტეჟე ვლადიმირ დეკანოზოვი და დოკუმენტურად გააცნეს ჰიტლერის გეგმები. გერმანელი დიპლომატების აზრით, მოსკოვს სასწრაფოდ უნდა ჩაეთრია ჰიტლერი ახალ მოლაპარაკებებში, რათა დიპლომატიურ ბორკილებდადებულ ფიურერს ომი ვერ დაეწყო. საბჭოთა ლიდერებზე ათასჯერ ნაკლებად იდეოლოგიზირებული და მიმნდობი პოლიტიკოსებიც კი პროვოკაციად ჩათვლიდნენ უცხო ქვეყნის ელჩის ასეთ ეგზოტიკურ გულახდილობას. ზოგიერთი ცნობით, სტალინი მაინც შეფიქრიანებულა და პირადი წერილი მიუწერია ჰიტლერისათვის, სადაც ომზე გავრცელებულ ხმებზე და საზღვართან გერმანიის ჯარების კონცენტრაციაზე მიუთითებდა. საპასუხო წერილში ჰიტლერი თითქოს „სახელმწიფოს ღირსებას“ იძლეოდა იმის გარანტად, რომ ბერლინი მოსკოვთან გაფორმებული პაქტის ერთგული რჩებოდა. ცხადია, ეს ყველაფერი ზეპირი სიტყვიერებაა და არანაირი ხელმისაწვდომი საარქივო დოკუმენტით არ დასტურდება.

მხოლოდ ის ერთი ფაქტიც კი, რომ ჰიტლერი ზუსტად იმ დღეს შეესია იუგოსლავიას, როცა მოსკოვმა მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულება გააფორმა ბელგრადთან, არაორაზროვნად ღაღადებდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ-დიპლომატიური ინტერესების იგნორირებაზე და აბუჩად აგდებაზე. მეორეს მხრივ კი, იგივე ხელშეკრულება და ერთი კვირის შემდეგ კი იაპონიასთან ხელმოწერილი ნეიტრალიტეტის შეთანხმება თითქოს იმაზე მეტყველებდა, რომ კრემლის მაღალ ჭერიან კაბინეტებში პოლიტიკური ნეტარმორწმუნეები არ ისხდნენ. ან შეიძლებოდა კი თვალის დახუჭვა იმ ფაქტზე, რომ მხოლოდ 1941 წლის გაზაფხულზე 5 ათასი გერმანელი ჯაშუში დააკავეს საზღვარზე, სასაზღვრო ინციდენტებისას კი 1300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი იქნა დაჭრილი და მოკლული (96). მთლიანობაში კი 1941 წლის აპრილ-ივნისში 30-ჯერ მეტი გერმანელი აგენტი იყო გაუვნებელყოფილი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

ომის წინა პერიოდში, მოსკოვში მიღებულ უამრავ სადაზვერვო ინფორმაციებში განსაკუთრებული ადგილი ეკავა შორეული ტოკიოდან მიღებულ ზუსტ ცნობებს. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო დაზვერვის ისტორიაში უპრეცედენტო ეპიზოდი იყო ტოკიოში მოქმედ საბჭოთა მზვერავ რიჰარდ ზორგესა და მისი უნიკალური ინფორმაციის ბედი: 1995 წელს ბაქოში, გერმანელი მენავთობე ინჟინრის ოჯახში დაბადებული (დედით რუსი) ზორგე 16 წლის ასაკში, ოჯახთან ერთად გადასახლდა გერმანიაში, სადაც ვეიმარის რესპუბლიკის მშფოთვარე რევოლუციურ წლებში კომუნისტური პარტიის წევრი და იდეური მარქსისტი გახდა. როგორც გავლენიანი გერმანული გაზეთების კორესპონდენტს, საბჭოთა კავშირშიც მოუწია რამდენიმე წლით ცხოვრება. შემდეგ შანხაიში, საიდანაც ტოკიოში გადადის, ხოლო მანამდე კი გერმანიის ნაცისტურ პარტიაში გაწევრიანებასაც ასწრებს. მოსკოვში ცხოვრების პერიოდში საკუთარი ინიციატივით ხდება საბჭოთა დაზვერვის აგენტი. რიჰარდ ზორგეს, როგორც საბჭოთა მზვერავის კარიერა, მართლაც იმდენად თავბრუდამხვევი, ხოლო მის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კი იმდენად

სენსაციური იყო, რომ მოსკოვში მისი დაჯერება არ სურდათ. არადა, ზორგეს ინფორმაციის ფაქტიური წყარო იაპონიის პრემიერ-მინისტრი, პრინცი კანოე იყო, რომლის უახლოესი მეგობარი და პოლიტიკური მრჩეველი, ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი ჟურნალისტი ხოძუმი ოძაკა რიჰარდ ზორგეს მიერ შექმნილი აგენტურული ქსელის აქტიური წევრი იყო. თავად ზორგე კი იმდენად დაუახლოვდა იაპონიაში მყოფ გერმანიის ელჩ ეიგენ ოტოს, რომ უკანასკნელმა იგი საელჩოს საინფორმაციო ბიუროს ხელმძღვანელად და თავის მრჩევლად დანიშნა. ომის დაწყებამდე ორი თვით ადრე, რიჰარდ ზორგე უკვე ატყობინებდა მოსკოვს, რომ 22 ივნისისათვის იყო მოსალოდნელი გერმანიის თავდასხმა. 1941 წლის 18 ოქტომბერს იაპონიის კონტრდაზვერვამ შესძლო ზორგეს დაპატიმრება. საინტერესოა, რომ ზორგესთვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი მხოლოდ სამი წლის შემდეგ, 1944 წლის 7 ნოემბერს მოიყვანეს სისრულეში. მისი ბედი პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილი იყო და იაპონიის ხელისუფლება, რომელიც ყველაფერზე იყო წამსვლელი, ოღონდ კი იოსებ სტალინი თავდაუსხმელობის ხელშეკრულების ერთგული დარჩენილიყო, დიდი ალბათობით შეიწყალებდა უკვე გაუვნებელყოფილ საბჭოთა მზვერავს, თუკი მოსკოვი მისი სიცოცხლით დაინტერესდებოდა, მაგრამ თვით სასიკვდილო განაჩენმაც კი ვერ დაარწმუნა იოსებ სტალინი რიჰარდ ზორგეს ერთგულებაში.

რასაკვირველია, შეუძლებელი იყო უცხო ქვეყნების დაზვერვისათვის შეუმჩნევლად დაეგროვებინად გერმანელებს საბჭოთა კავშირის საზღვრებთან გრანდიოზული შეტევითი ძალა. ცხადია, კრემლში ეს იცოდნენ და ზომებსაც ღებულობდნენ (მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, არაადექვატურს). საზღვარზე თავიანთი ჯარების კონცენტრაციას ბერლინი ინგლისში შეჭრის სამზადისით ხსნიდა, მოსკოვი კი – „რკინიგზის მუშაობის ხარისხის შემოწმებით“. ისიც ფაქტია, რომ კრემლი ჰიტლერის სამზადისზე სხვადასხვა არხებით აურაცხელ ინფორმაციას ღებულობდა. ისიც ფაქტია, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ არავის გასჩენია სურვილი ობიექტური კვლევის მასალებით შეევსო დიქტატორის ყოვლისმომცველ მანიაკალურ უნდობლობა-ეჭ-

ვიანობაზე ცალმხრივად შექმნილი სურათი. იყო კი სინამდვილეში იმდენად ეფექტური საბჭოთა დაზვერვა, რომ კრემლის ყველაზე „ურწმუნო თომაც“ დაერწმუნებინა საკუთარი ინფორმაციის სანდოობაში? ომის დამთავრებიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, მოსკოვში, „ფსბ“-ს მიერ გამოქვეყნებული კრებულის წინასიტყვაობაში საინტერესო აღიარებას ვხვდებით იმის თაობაზე, რომ „ჰიტლერის სამომარ სამზადისზე მიღებული ინფორმაცია პასუხს არ იძლეოდა მთავარ კითხვაზე: რა იყო სამზადისის მიზანი, ჰქონდა თუ არა გერმანიის მთავრობას მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება თავდასხმაზე, როდის იყო მოსალოდნელი აგრესია, როგორი იყო მოწინააღმდეგის სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნები“ (97). ლეგენდა იყო საბჭოთა კავშირში ფართოდ გავრცელებული ვერსიაც, რომ საბჭოთა დაზვერვას თითქოს „ბარბაროსას“ გეგმაც კი ჰქონდა მოპარული. სინამდვილეში გეგმის სულ 9 ეგზემპლარი არსებობდა, საიდანაც 6 ჰიტლერის პირად სეიფში ინახებოდა ომის დამთავრებამდე, დანარჩენი სამი კი 1940 წლის დეკემბერში გადაეცა გერინგს, ბრაუხიჩს და რედერს. „ბატონ მთავარსარდლებს“ მიღებული ჰქონდად ფიურერის სასტიკი ბრძანება არანაირი დოკუმენტი არ შეექმნათ გეგმასთან დაკავშირებით და საკუთარი მოსაზრებები პირადად მისთვის გადაეცათ სიტყვიერად. მხოლოდ 18 ივნისს მიიღეს ვერმახტის ნაწილებმა პაროლი „დორტმუდი“ და რამდენიმე ათასი ადამიანისათვის გახდა ცნობილი ომის დაწყების ზუსტი თარიღი. ჯარისკაცებს კი 21 ივნისს, ღამის პირველ საათზე წაუკითხეს ფიურერის ბრძანება.

საბჭოთა კავშირზე თავდასხმის უშუალოდ წინა პერიოდში გერმანიის დაზვერვა ოთხი მიმართულებით ეწეოდა აქტიურ და შედეგიან სადეზინფორმაციო კამპანიას: მოსკოვის ყურამდე მიდიოდა თავდასხმის სხვადასხვა თარიღები, რაც კრემლის სიფხიზლეს ადუნებდა – „მგელი მოდის, მგელი მოდის“ ეფექტით; გერმანელებმა შესძლეს წითელი არმიის გენერალური შტაბის და პირადად სტალინის დარწმუნება, რომ ომის შემთხვევაში თავდასხმა მოსალოდნელი იყო აღმოსავლეთ პრუსიიდან, ჩრდილოეთის მიმართულებით, ფინეთიდანაც კი, რის შედეგადაც გერმანელების ტოტალური

შემოჭრის პირისპირ მხოლოდ საბჭოთა მეოთხე არმია აღმოჩნდა, თანაც ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის გარეშე; ასევე ოსტატურად გავრცელდა დეზინფორმაცია, რომ თავდასხმამდე ჰიტლერი რაიმე ულტიმატუმით მიმართავდა სტალინს, კერძოდ კი, ან „ღერძთან“ მიერთებას, ან სურსათისა და ნავთობის მიწოდების მკვეთრ გაზრდას მოითხოვდა; და ბოლოს, 1941 წლის გერმანელები შეიჭრნენ საბერძნეთში, მისი ოკუპირება მოახდინეს, დაიკავეს ხმელთაშუა ზღვის კუნძული კრეტა, ხოლო მაისის დამლევს კი ერაყში სახელმწიფო გადატრიალება მოაწყეს და რაშიდ ალის პროგერმანული მთავრობა მოიყვანეს ხელისუფლების სათავეში. ყოველივე ამით კი ილუზია შექმნეს, რომ რუსეთზე ნაკლებად არც ახლო აღმოსავლეთი იზიდავდა ბერლინს. როგორც უკვე ომის შემდეგ იგონებდა მარშალი ჟუკოვი, 1941 წლის მაისში, კრემლში გამართული ერთ-ერთი თათბირის დროს სტალინი კედელზე დაკიდებულ მსოფლიოს დიდ რუკასთან მივიდა, ჩიბუხით მიუთითა ახლო აღმოსავლეთზე და წარმოთქვა: „აი, საით წავლენ ისინიო“.



უინსტონ ჩერჩილი
(1874-1965)
დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი
1940-1945 და 1951-1955 წლებში

არანაკლებ ეფექტურად ავრცელებდა დეზინფორმაციას უნგრეთის დაზვერვაც, რომლის აგენტები მთელ ევროპაში ავრცელებდნენ ხმებს 1941 წლის გაზაფხულ-ზაფხულში ბრიტანეთში მოსალოდნელ შეჭრაზე. მაისის შუა რიცხვებში სტალინის სამუშაო მაგიდაზე იდო რომიდან მიღებული ცნობა, რომ „ღერძის“ ქვეყნებს „ინგლისზე დიდი შეტევა ჰქონდათ გადაწყვეტილი“. იმავე დღეებში უნგრეთის თავდაცვის სამინისტროში მიიწვიეს საბჭოთა სამხედრო ატაშე და ოფიციალურ დონეზე შესთავაზეს დამოუკიდებლად ემოგზაურა საბჭოთა კავშირთან სასაზღვრო რაიონებში, რათა თავად დარწმუნებულიყო, რომ ინგლისელების მიერ გავრცელებული საბჭოთა კავშირზე თავდა-

სხმის ხმები დეზინფორმაცია იყო. მარტოლაც შეიდგა ატაშესა და მისი თანაშემწის მგზავრობა და როგორც მოსალოდნელი იყო, რუსმა სამხედრო დიპლომატებმა საომარი მზადების კვალი ვერ აღმოაჩინეს. „რევიზორებს" აზრადაც არ მოსვლიათ, რომ უნგრელებს იოლად შეეძლოთ სამხედრო სამზადისის კვალის გაქრობა.

სტალინის ტოტალური კრიტიკის წლებში, როდესაც ერთ მღვრიე კოკტეილად იქცა გარდაცვლილი დიქტატორის მითიური და რეალური შეცდომებიცა და დანაშაულებიც, რუსულ ოფიციალურ თუ „მეცნიერულ" ლიტერატურაში ხშირად იმოწმებდნენ სტალინის ცნობილ რეზოლუციას სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარ ვსევოლოდ მერკულოვის მოხსენებით ბარათზე; საკითხი ეხებოდა გერმანიის შეიარაღებულ ძალებში მოსკოვის რეალურად ყველაზე სანდო და გავლენიანი აგენტის, ვერმახტის ავიაციის შტაბის თანამშრომლის შულცე-ბოიზენის ინფორმაციას. გარდა იმისა, რომ სტალინმა სერიოზულად არ აღიქვა ინფორმაცია, რეზოლუციით აგენტი უხამსოდ მოიხსენია. რით დაიმსახურა მაღალი რანგის აგენტმა უნდობლობა და შეურაცხყოფა? საქმე ის იყო, რომ როგორც შულცე-ბოიზენი იტყობინებოდა, ომის პირველსავე დღეს ლიუფტვაფეს (გერმანიის ავიაციას) კარელიის ელექტროსადგური და მოსკოვის ქარხნები უნდა დაებომბა. მართლაც ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ომის დაწყებისთანავე გერმანიის ავიაციის სამიზნედ იქცეოდა ღრმა ზურგში განლაგებული რამდენიმე ობიექტი და არა ფრონტისპირა ზონის აეროდრომები და ცოცხალი სამხედრო ძალა. სულ ერთი კვირის შემდგომმა მოვლენებმა ცხადჰყო, რომ „წყაროს" ლანძღვა-გინებისთვის „ხაზეინს" სრული საფუძველი გააჩნდა.

შეიძლება ათამდე კოლეგა-დიქტატორს ჰყოფნოდა საჯოჯოხეთოდ სტალინის ცოდვები, მაგრამ ზერელე აზროვნებაში, პოლიტიკურ სიბეცესა და ავანტურულ სიბრიყვეში იგი ნამდვილად არ ყოფილა შემჩნეული. იგივე რიჰარდ ზორგესთან მიმართებაში სტალინი მართლაც უნდობლობით ეკიდებოდა უახლოეს დღეებში თავდასხმაზე ცნობებს, მაგრამ მას უპრობლემოდ დაუჯერა, რომ იაპონია არ გეგმავდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმას და ტოკიოს აგრესია „სამხ-

რეთის მარშრუტით“ წარიმართებოდა. დაუჯერა და მარჯვედ გამოიყენა კიდეც ტოკიოდან მიღებული ინფორმაცია, როდესაც 1941 წლის ნოემბრისათვის მოსკოვისაკენ დაიწყო შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის დივიზიების გადასროლა. სტალინს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ადრე თუ გვიან გარდუვალი იქნებოდა გერმანიასთან ომი, მაგრამ ხელმძღვანელობდა რა სამხედრო სტრატეგიის კლასიკური ლოგიკით, რომ გადამწყვეტია დივიზიების რაოდენობა, საბრძოლო მასალის კილოტონები, ფრონტის ხაზის კილომეტრები და ტანკების ჯავშნების მილიმეტრები, მიაჩნდა, რომ ჰიტლერის მხრიდან დაუშვებელი ავანტიურა იქნებოდა მეორე ფრონტის გახსნა ისეთი ამოუწურავი რესურსების მქონე გიგანტთან, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო. კიდევ რის იმედზე უნდა ყოფილიყო სტალინი? უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ომის წინ საბჭოთა კავშირს „თოფქვეშ“ ჰყავდა 5 მლნ. 774 ათასიანი არმია, რაც შეადგენდა 303 დივიზიას და 19 ბრიგადას, 25784 ტანკით, 24488 თვითმფრინავით, 117581 ქვემეხითა და ნაღმტყორცნით. მათ შორის პირველ ეშელონში იყო კონცენტრირებული 190 დივიზია 15687 ტანკით, 10743 თვითმფრინავითა და 59787 ქვემეხით. ამავე პერიოდში გერმანიის განკარგულებაში იყო 145 დივიზია, 3 მლნ. 920 ათასი სამხედრო მოსამსახურით, 3754 ტანკით, 4322 თვითმფრინავითა და 40354 ქვემეხით (98). რაც არ უნდა გაზვიადებულად გამოიყურებოდეს საბჭოთა შეიარაღების მონაცემები, ცხადია, რომ მოგონილი იყო საბჭოთა კავშირში შემდგომში გავრცელებული ვერსია შეიარაღებაში გერმანელების დიდ უპირატესობაზე. ასე რომ, საბჭოთა კავშირზე თავდასხმა ნებისმიერ შემთხვევაში წმინდა წყლის ავანტურად გამოიყურებოდა.

დასავლელ ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, ორმა ფაქტორმა იმოქმედა ჰიტლერის საბედისწერო გადაწყვეტილებაზე: ერთი, რომ რასისტული თეორიით გაბრუებული ფიურერი არასრულყოფილ ადამიანებად მიიჩნევდა მთლიანად სლავებს და სერიოზულად არ აღიქვამდა მათ არმიას და მეორეც – მას ხომ სრული და დეტალური ინფორმაცია ჰქონდა წითელი არმიის ხელმძღვანელობაში ჩატარე-

ბულ წმენდაზე, რასაც არ შეიძლებოდა მის ბრძოლისუნარიანობაზე არ ემოქმედა.

კიდევ იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი: ომის წინა თვეებში გოლიკოვის უწყებაში (არმიის დაზვერვა) ერთი შეხედვით ლოგიკურ დასკვნამდე მივიდნენ – რუსეთის ცივი ზამთრის გათვალისწინებით, გერმანიასა და მის სატელიტ ქვეყნებში აუცილებლად უნდა დაწყებულიყო ცხვრის მასობრივი კვლა მისი ტყავისგან თბილი ჯუბაჩების („პოლუშუბკების") დასამზადებლად. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ბაზრებზე ცხვრის ხორცის სპონტანურ სიუხვეს მასზე ფასების ვარდნა უნდა მოჰყოლოდა და ამის დასადგენად ევროპაში მოქმედ საბჭოთა აგენტებს დაევალათ ცხვრის ხორცზე ფასების დინამიკის შესწავლა. ფასები სტაბილური რჩებოდა და დაზვერვის სამსახურის დასკვნაც ცალსახა იყო – 1941 წელს თავდასხმა გამორიცხულიაო. „გაუგებრობას" კი ელემენტარული ახსნა გააჩნდა: სტალინგრადის ეპოპეის შემდეგ დატყვევებულმა ფელდმარშალმა პაულიუსმა, რომელსაც ომის წინ გენშტაბის გენერალ-კვარტირმეისტერის პოსტი ეკავა, დაკითხვისას განაცხადა, რომ როგორც კი ჰიტლერთან შეხვედრისას, ზამთრის კამპანიისათვის სამზადისზე ჩამოაგდო სიტყვა, უკანასკნელმა კატეგორიულად შეაწყვეტინა: „არავითარი ზამთრის კამპანია არ იქნება. გიკრძალავთ ზამთრის კამპანიაზე ჩემთან ლაპარაკს".

არც გერმანიის დაზვერვა გამოირჩეოდა დიდი ეფექტურობით ომის წინა პერიოდში. გარდა იმისა, რომ საერთოდ რთული იყო რაიმე ინფორმაციის მოპოვება ისეთ ტოტალურად დახურულ საზოგადოებაში, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო, არსებობდა სხვა მომენტებიც: აბვერის შეფი, ადმირალი ვილჰელმ კანარისი და მისი უახლოესი თანამშრომლები საბჭოთა კავშირთან ომის კატეგორიული მოწინააღმდეგეები იყვნენ და ზოგიერთი ვერსიით, შეგნებულადაც კი აყალბებდნენ მათ ხელში ჩავარდნილ ისედაც მწირ ინფორმაციას. შეიძლება ესეც იქცა იმის მიზეზად, რომ ჰიტლერმა მალე დაკარგა ნდობა მის მიმართ და საბოლოო ჯამში კანარისი მის სამივე მოადგილესთან ერთად სიკვდილით დასაჯა შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით.

გერმანიის პოლიტიკურ დაზვერვას უმაღლესი კლასის პროფესიონალი შელენბერგი ხელმძღვანელობდა, რომლის უწყება სრულად იყო დაკომპლექტებული უცხო სახელმწიფოებში დესტაბილიზაციის, გადატრიალებების, პროვოკაციების, ადამიანების მოტაცებებისა და პოლიტიკური მკვლელობების სფეროს სუპერპროფესიონალებით, მაგრამ მწვავე ნაკლებობას განიცდიდა პროფესიონალი სამხედრო ანალიტიკოსების სფეროში. ასე თუ ისე, ფაქტია, რომ ჰიტლერმა საბჭოთა კავშირზე ობიექტური და კვალიფიცირებული ინფორმაციის გარეშე დაიწყო გრანდიოზული სამხედრო კამპანია. გულახდილი კეკლუცობის თავი არ უნდა ჰქონოდა კეიტელს, როცა ნიუნბერგის პროცესზე აღიარებდა: „ომამდე ჩვენ ზერელე წარმოდგენა გვქონდა საბჭოთა კავშირზე და წითელ არმიაზეო“.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირზე მოსალოდნელი თავდასხმის თაობაზე, წლების მანძილზე იყრიდა თავს სერიოზული სადაზვერვო ინფორმაცია ვაშინგტონშიც. მთელი საიდუმლოება კი იმაში მდგომარეობდა, რომ ჯერ კიდევ 1934 წლიდან, ბერლინში, ამერიკის საელჩოში, კომერციული ატაშეს მოკრძალებული თანამდებობა ეკავა მაღალკვალიფიციურ მზვერავს ედისონ ვუდს. განათლებით ინჟინერს, საქმოსანსა და დიპლომატს, მას თავისი თანამდებობისათვის უჩვეულოდ მაღალ სამხედრო და პოლიტიკურ წრეებთან ჰქონდა ახლო კონტაქტები. ვუდსის ახლო მეგობარი იყო გერმანიის მაღალი არისტოკრატიული წრეების ერთ-ერთი ანტიფაშისტი წარმომადგენელი, რომლისთვისაც ერთნაირად იყო ხელმისაწვდომი როგორც ჰიტლერის ადმინისტრაციის, ასევე რეიხსვერის თითქმის ყველა საიდუმლო გადაწყვეტილება. 1940 წლის აგვისტოში, ხსენებულმა გერმანელმა მეგობარმა ვუდს საიდუმლო ვითარებაში (თეატრში სპექტაკლის დროს) გადასცა პატარა ბარათი ლაკონური შინაარსით: „ჰიტლერის რეზიდენციაში გამართულ თათბირზე საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის მზადება გადაწყდა“. სახელმწიფო დეპარტამენტში უნდობლად შეხვდნენ მიღებულ ცნობას, ვინაიდან სახელმწიფო მდივანი კორდელ ჰილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ჰიტლერი ბრიტანეთის კუნძულზე და არა რუსეთში შესაჭრელად ემზადებოდა.

1940 წლის აგვისტოში, თვით ჰიტლერისგანაც კი ნაკლებად იყო მოსალოდნელი ორ ფრონტზე ბრძოლის ინიციატივა. 1941 წლის იანვარში ვუდს უკვე გააჩნდა ჰიტლერის ცნობილი ნომერი 21 დირექტივის და შეტევის სამი მიმართულების ასლები. როგორც დოკუმენტებიდან ირკვეოდა, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მოსამზადებელი სამუშაოები 1941 წლის გაზაფხულისათვის უნდა დასრულებულიყო. ამ დროისათვის სახელმწიფო დეპარტამენტს უკვე შეეძლო სხვა დამატებითი წყაროებიდან მიღებული ცნობებითაც გადაემოწმებინა ვუდსის ინფორმაცია და მის სანდოობაში დარწმუნებულიყო. იანვრის ბოლოს სახელმწიფო მდივანმა პრეზიდენტი ჩააყენა საქმის კურსში. ოვალურ კაბინეტში ჩატარებული რამდენიმე თათბირის შემდეგ რუზველტმა მოსკოვის გაფრთხილება გადაწყვიტა.

1941 წლის 1 მარტს, სახელმწიფო მდივნის მოადგილე უელესმა თავისთან მიიწვია საბჭოთა ელჩი უმანსკი და სრულად გააცნო ვუდსის მიერ მოპოვებული დოკუმენტების შინაარსი. მოსკოვისათვის ეს იყო უცხოეთიდან უკვე დიპლომატიური არხით მიღებული პირველი სერიოზული გაფრთხილება, რომელსაც იგივე ტრაგიკული ბედი ეწია, რაც აგენტურული ქსელებით მოპოვებულ უამრავ სხვა ინფორმაციას – სტალინმა ესეც დეზინფორმაციად ჩათვალა.

რაც შეეხებოდა დიდ ბრიტანეთს, მართალია, ზორგესა და ვუდსის მსგავსად ლონდონს არავინ აწვდიდა უნიკალური ღირებულების სადაზვერვო ინფორმაციას, მაგრამ ჩერჩილისათვის, მის ხელთ მოხვედრილი თითო-ოროლა ცნობაც კი საკმარისი იყო სწორი ანალიტიკური დასკვნებისათვის. 40-იანი წლებიდან ლონდონი ძირითადად ბალკანეთიდან ღებულობდა მეტ-ნაკლებად ღირებულ დაზვერვით ინფორმაციას, სადაც ჰიტლერმა ფრონტის კიდევ ერთი ხაზი გახსნა. სწორედ ბალკანეთიდან მიღებულ ცნობებს ეცნობოდა ჩერჩილი, როდესაც მისი ყურადღება გერმანიის სატანკო არმიების მარშრუტის შეცვლამ მიიპყრო: კერძოდ, როგორც აგენტურა იტყობინებოდა, იუგოსლავიისა და საბერძნეთისაკენ დაძრული გერმანელების ხუთი სატანკო დივიზიიდან სამი მოულოდნელად კრაკოვისაკენ შემობრუნდა, ანუ საბჭოთა საზღვრისაკენ. თუ ადრე ჩერჩილი ეჭვით

უყურებდა იგივე ვუდსის მიერ მოპოვებულ დოკუმენტებს (რომელიც მას ვაშინგტონმა გააცნო), ახლა უკვე დარწმუნებული იყო, რომ იუგოსლავიისა და საბერძნეთის შემდეგ რუსეთის რიგი დგებოდა. აპრილში, პრემიერისათვის წარდგენილ მოხსენებაში, ბრატინეთის დაზვერვის გაერთიანებული კომიტეტი ადასტურებდა გერმანიის ჯარების თავმოყრას საბჭოთა საზღვრისპირა რაიონებში, თუმცა უახლოეს 2-3 თვეში ომს არ ვარაუდობდა.

რასაკვირველია, ჩერჩილის წუხილს არ იწვევდა გერმანია-საბჭოეთის ომის პერსპექტივა. პირიქით, მისთვის ეს იმის გარანტია იყო, რომ ჰიტლერი ბრიტანეთის კუნძულებზე შეჭრაზე ვეღარ იოცნებებდა. საჭირო იყო სტალინი მომზადებული შეხვედროდა ომს, რომელიც, რაც უფრო სისხლისმღვრელი და ხანგრძლივი იქნებოდა, მით უფრო დაასუსტებდა გერმანიას. ყველაფერი ეს სტალინსაც მშვენივრად ესმოდა და ამიტომაც ჯიუტად არ იჯერებდა, რომ ჰიტლერი ასეთ „გულუხვობას“გამოიჩენდა და ასეთ საჩუქარს მიართმევდა ჭირის დღესავით მოძულე სერ უინსტონ ჩერჩილს. არც სტალინი წარმოადგენდა ბრიტანეთის პრემიერის ტრფობის ობიექტს, მაგრამ პოლიტიკა პოლიტიკაა და ეს ის უნიკალური შემთხვევა იყო, როდესაც კომუნისტების ყველაზე სტაჟიანი ევროპელი მოძულე გულწრფელად იყო დაინტერესებული მისთვის პათოლოგიურად მიუღებელი საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობაში. სწორედ ამის დაჯერება ვერ შესძლო „ულვაშის უკანასკნელ ღერამდე“ იდეოლოგიზირებულმა სტალინმა. ამიტომაც არ იყო გასაკვირი, რომ მოსკოვში ინგლისის ელჩისთვის, რომელსაც თავისი პრემიერის პირადი გამაფრთხილებელი წერილი უნდა გადაეცა სტალინისთვის ან მოლოტოვისთვის, მიუწვდომელი აღმოჩნდა ერთიცა და მეორეც. კრემლში ხვდებოდნენ, თუ რატომ იკლავდა თავს მაღალ დონეზე შეხვედრისათვის ელჩი და აბსოლუტურად არ აინტერესებდათ საგანგებოდ კონფიდენციალური გზავნილი. მხოლოდ 2-კვირიანი დაბეჯითებითი თხოვნის შემდეგ შესძლო კრიპსმა წერილის გადაცემა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კანცელარიისათვის – ესაა უპრეცედენტო ფაქტი ცივილიზებული სამყაროს დიპლომატიურ პრაქტიკაში.

უინსტონ ჩერჩილის დონის პოლიტიკოსისათვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა სტალინის მოტივაციაში გარკვევა. ვიწრო წრეში საუბრისას ის პირდაპირ ამბობდა, რომ ჰიტლერიცა და სტალინიც, ერთი იმედით, მეორე კი შიშით, ვარაუდობდნენ, რომ ინგლისისა და ამერიკის „მემარჯვენე კაპიტალისტური წრეები“ შეეცდებოდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაერთიანებას. ჩერჩილის რწმენით, ორივე დიქტატორი სცდებოდა. უკვე „ცივი ომის“ წლებში ჩერჩილის ყოფილი მდივანი კოლვილი იგონებდა თავისი ყოფილი შეფის პასუხს მის შეკითხვაზე, თუ როგორ აპირებდა არქიანტიკომუნისტი ინგლისის პრემიერი რუსეთის დახმარებაზე ლაპარაკს თემთა პალატაში: „ჩემი ერთადერთი მიზანი ჰიტლერის განადგურებაა და თუ ჰიტლერი ჯოჯოხეთში შეიჭრება, მე ამ პალატაში ეშმაკზეც კი კეთილგანწყობილად ვილაპარაკებ“ – ასეთი იყო პრემიერის პასუხი.

1941 წლის 9 ივნისს, როდესაც 2 კვირაზე ნაკლები რჩებოდა ომამდე, სტალინს უკვე საკუთარმა ჩეკისტებმა აცნობეს, რომ გერმანიის საელჩოში დოკუმენტების დაწვა დაიწყეს და პერსონალი ევაკუაციისათვის ემზადებოდა. ვერც ამ ფაქტმა აიძულა სტალინი აქტიურ თავდაცვით ღონისძიებებზე, რაც, ცხადია, ვერ შეცვლიდა საერთო ვითარებას, მაგრამ ასი ათასობით წითელ არმიელს კი (შეიძლება მის ვაჟს იაკობსაც), დიდი ალბათობით, სამარცხვინო ტყვეობას გადაარჩენდა.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინს ჯიუტად არ სურდა დაეჯერებინა 1941 წელს გერმანიის მხრიდან თავდასხმის შესაძლებლობა, 1930-იანი წლების მიწურულიდან მისთვის ცხადი იყო, რომ ჰიტლერის აღმოსავლური კამპანია პოლონეთით არ შემოიფარგლებოდა. მეორეს მხრივ, რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტმა და მეგობრობის ხელშეკრულებამ რამდენიმეწლიანი მშვიდობის ილუზია შექმნა. კრემლში დაიჯერეს, რომ ბისმარკის თაყვანისმცემელი ფიურერი არავითარ შემთხვევაში არ უღალატებდა „რკინის კანცლერის“ ანდერძს და ორ ფრონტზე ომს არ დაიწყებდა, ხოლო სანამ ინგლისი იბრძოლებდა, საბჭოთა კავშირს საომრად უკეთ მოსამზადებელი დრო დარჩებოდა. განსაკუთრებული მისია ეკისრებოდა საბჭოურ დიპლომატიას, რომელსაც უსაფრთხოების თავისებური ჯებირი უნდა შეექმნა აღმოსავ-

ლეთ ევროპის პატარა სახელმწიფოებთან გაფორმებული მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებებით. 1939 წლის შემოდგომაზე უკვე დაწყებული იყო მოლაპარაკებები ბულგარეთთან: 1877-78 წლებში გაწეული სამსახური და სლავური სოლიდარობის იდეა, პლიუს ბულგარეთის მუშათა მოძრაობის სოციალური შემადგენელი, თითქოსდა ორ ქვეყანას შორის მტკიცე კავშირის გარანტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ოფიციალური სოფიის უარი სათანადო ხელშეკრულების გაფორმებაზე მოსკოვისათვის არასასიამოვნო სიურპრიზად იქცა.

ომის წინა პერიოდის სტალინის დიპლომატიის მკვლევართა ხელთ არსებული ფაქტობრივი მასალის ანალიზი იმდენი ურთიერთგამომრიცხავი დასკვნებისაკენ უბიძგებს ნებისმიერ ობიექტურ ექსპერტს, რომ პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელიც კი ხდება ცალსახად არაორაზროვანი პასუხის გაცემა ბევრისათვის დღემდის უპასუხო კითხვაზე: იყო თუ არა მოულოდნელი სტალინისათვის 1941 წლის 22 ივნისი? შეიძლება კითხვის ფორმა ვერ ასახავს ზუსტად მის შინაარსს, ვინაიდან ტრაგედიის კონკრეტული თარიღი აშკარად მოულოდნელი აღმოჩნდა ბელადისათვის, მაგრამ ომის საფრთხეზე მას უშეცდომო გათვლა ჰქონდა. კიდევ ერთ საინტერესო ცნობას იძლევა თავის დროზე საბჭოთა კავშირის „მთავარი დივერსანტი", გენერალი პავლე სუდოპლატოვი თავის მემუარული ხასიათის ნაშრომში (99): 1940 წელს, კრემლში დამართულ მორიგ თათბირზე სტალინს კატეგორიულად მოუთხოვია საიდუმლო სისხლიანი ოპერაციების ორგანიზატორებისაგან ლევ ტროცკის ლიკვიდაცია „გარდუვალი ომის დაწყებამდე" მოეხდინათ. მას ესპანეთის სამოქალაქო ომის გამოცდილება გაუხსენებია და შეხვედრის მონაწილენი გაუფრთხილებია, რომ ცოცხალი ტროცკი გაართულებდა „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთსულოვნებას", საბჭოთა კავშირისათვის მხარდაჭერის თვალსაზრისით.

კიდევ ერთი ვერსია, რომელსაც „მზის ქვეშ ადგილის" უფლება აქვს, ესაა სტალინის გეგმები „ომის დასწრებაზე", ანუ გერმანიის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყებაზე, როგორც კი შეტევითი

ოპერაციისათვის აუცილებელი სამხედრო ძალა იქნებოდა თავმოყრილი დასავლეთის სამხედრო რაიონებში. ვინაიდან სტალინს სწამდა, რომ გერმანიასთან ომი მაინც გარდაუვალი იყო, რატომ უნდა დაელოდებოდა ინგლისზე მის გამარჯვებას ან დაზავებას? გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ ჰიტლერიც გრძნობდა ასეთ საფრთხეს მისთვის დამახასიათებელი ინტუიციით და დასწრება ამჯობინა. არც ის უნდა დაელოდებოდა იმ მომენტს, როდესაც წითელი არმია მოიშუშებდა „წმენდით" მიყენებულ ჭრილობებს. კიდევ ვიმეორებთ, რომ სანამ სრულად არ გაიხსნება რუსეთის არქივები, მკვლევარებს მხოლოდ ჰიპოთეზებზე შეუძლიათ საუბარი. ისე კი, სულ უფრო და უფრო მეტი რუსი ექსპერტი განიხილავს სერიოზულად „დასწრების" ვარიანტს. უკანასკნელის ჭრილში განიხილება კრემლის პერმანენტული ცდები იგივე ბულგარეთთან მოკავშირეობაზე, რაც შეტევით ოპერაციაში უფრო წაადგებოდა წითელ არმიას, ვიდრე თავდაცვითში. კავშირზე პირველი უარის შემდეგ მოსკოვმა კვლავ მიმართა სოფიას ახალი, წინაზე მეტად ხელსაყრელი წინადადებით: მოსკოვი გარანტიას იძლეოდა, რომ ხელუხლებელი დარჩებოდა ბულგარეთის პოლიტიკური (მონარქიული) და სოციალური წყობა, ქვეყანა მიიღებდა ფართო ფინანსურ-ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას ნებისმიერი მესამე ქვეყნის (ანუ გერმანიის) მხრიდან განხორციელებული აგრესიის შემთხვევაში. ბულგარეთის მთავრობამ მეორედ განიხილა მოსკოვთან ხელშეკრულების საკითხი მეფე ბორისის თანდასწრებით და კვლავ უარყო საბჭოთა კავშირთან პაქტის იდეა. 1941 წლის იანვარში კი გერმანიის ელჩს ვერნერ ფონ დერ შულენბურგს ოფიციალურად განუცხადეს მოსკოვში, რომ საბჭოთა მთავრობა თავის უსაფრთხოების ზონად განიხილავდა ბალკანეთის აღმოსავლეთს და გულგრილი ვერ დარჩებოდა, თუ მას რაიმე საფრთხე შეექმნებოდა. მეტი დამაჯერებლობისათვის, ანალოგიური განცხადებით ბერლინში საბჭოთა საელჩომ იოაჰიმ რიბენტროპის უწყებასაც მიმართა. მსოფლიო დიპლომატიურ პრაქტიკაში მუდამ ომით დამუქრებად აღიქმებოდა ასეთი „გულახდილი" გაფრთხილებები. რა უნდა ეფიქრათ მოსკოვში, როდესაც საბჭოთა შეთავაზებაზე უარის თქმის შემდეგ,

1941 წლის პირველ მარტს, ბულგარეთის მთავრობა „ღერძთან" მიერთებაზე ღებულობს გადაწყვეტილებას? მოსკოვს ისღა დარჩენოდა, რომ არაფრის შემცველი საპროტესტო ნოტით მოეფხანა გული. ცხადზე უცხადესი იყო, რომ ბერლინში საერთოდ აღარ აინტერესებდათ გუშინდელი მოკავშირის არც უსაფრთხოება და არც ინტერესები. კრემლისათვის დამატებით პრობლემად იქცა ანკარის გაუთავებელი ლავირება ბერლინსა და ლონდონ-პარიზს შორის: მხოლოდ მას შემდეგ, რაც თურქები გვარიანად დაფრთხნენ ბულგარეთში გერმანიის ჯარის გამოჩენით, გახდა შესაძლებელი მოსკოვსა და ანკარას შორის შეთანხმება – მხარეები ნეიტრალიტეტის გარანტიას აძლევდნენ ერთმანეთს რომელიმე მათგანზე თავდასხმის შემთხვევაში.

1941 წლის იანვრიდან მოყოლებული ორი პარალელური მიმართულებით აქტიურობდა ფაშისტური დიპლომატია: ერთის მხრივ ელჩი შულენბურგი მითითებებს ღებულობდა ყველა ხელმისაწვდომი საშუალებებით გაევრცელებინა მოსკოვში ხმები გერმანიის სამხედრო სიძლიერეზე – სტალინის ყურამდე უნდა მისულიყო ცნობა, რომ მხოლოდ რუმინეთში სრულ მზადყოფნაში იყო გერმანიის 680-ათასიანი არმია მძლავრი ავიაციით, სატანკო დივიზიებითა და მოტორიზებული ნაწილებით. მეორე მხრივ, სტალინს ეჭვი არ უნდა აეღო, რომ ეს გრანდიოზული ძალა მასთან საომრად ემზადებოდა. გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულებაც კი გაფორმდა მდინარე იგორკიდან ბალტიის ზღვამდე საზღვრის დემარკაციის თაობაზე, შულენბურგს კი სათანადო კომისიების შექმნის პროცესის გაჭიანურება და სადემარკაციო მონაკვეთებზე საბჭოთა სპეციალისტების არდაშვება დაევალა, რათა მათ გერმანელების სამხედრო სამზადისის დამადასტურებელი ფაქტები არ ჩავარდნოდათ ხელში. რეალურად კი უკვე შეუძლებელი ხდებოდა ორ ქვეყანას შორის მზარდი დაძაბულობის შენიღბვა – 1941 წლის 27 მარტს იუგოსლავიაში დაემხო ცვეტკოვიჩის პროგერმანული მთავრობა. 5 აპრილს კი მოსკოვსა და ბელგრადს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულებით მხარეებმა ვალდებულება იკისრეს „მეგობრული ურთიერთობის პოლიტიკა" გაეგრძელებინათ იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მათგანზე

მოხდებოდა თავდასხმა. ფორმულირება თვით დიპლომატიური „ელეგანტურობის" გათვალისწინებითაც კი უზომოდ ბუნდოვანი იყო. ძნელი სავარაუდოა, რომ სტალინს გათვითცნობიერებული არ ჰქონდა, თუ რა მტკივნეული დარტყმა იქნებოდა ჰიტლერისათვის პრორუსული კურსის გამარჯვება ბელგრადში. ფიურერი ხომ ჯერ არ იყო მიჩვეული სერიოზულ წარუმატებლობებსა და საკუთარი გეგმების ჩავარდნებს. იყო კი 1941 წლის აპრილში მზად საბჭოთა კავშირი გერმანიასთან ღიად დასაპირისპირებლად? ამიტომაც იყო ლოგიკური მოსკოვის რეაგირება იუგოსლავიაში გერმანიისა და მისი მოკავშირე უნგრეთის შეჭრაზე, რომელიც ზუსტად ბელგრად-მოსკოვის ხელშეკრულების გამოქვეყნების დღეს განხორციელდა. ამჯერადაც მხოლოდ საპროტესტო ნოტას დასჯერდა სტალინი, რომლის ადრესატიც არა რეალური აგრესორი გერმანია, არამედ მისი ნების უსიტყვოდ შემსრულებელი უნგრეთის მთავრობა იყო. საერთაშორისო ურთიერთობების დამწყები სპეციალისტისთვისაც კი ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ ევროპის ორი დიდი სახელმწიფოს მმართველი დიქტატორების პირისპირ დგომის კვანძი მალე უნდა გახსნილიყო.

ომის წინა თვეებში სამჭოთა დიპლომატიის სერიოზულ მიღწევად იქცა იაპონიასთან გაფორმებული ნეიტრალიტეტის ხელშეკრულება. ანალოგიური აქტი ჯერ კიდევ 1925 წელს გაფორმდა მოსკოვსა და ტოკიოს შორის, თუმცა მას შემდეგ იყო 1939 წლის სამხედრო კონფლიქტი მდ. ხალხინ-გოლთან და ურთიერთობათა ხანმოკლე დაძაბულობის პერიოდი. 1939 წლის დამლევისათვის ტოკიო უკვე მზად იყო ნეიტრალიტეტზე ხელშეკრულების გასაფორმებლად, მაგრამ ვინაიდან ინიციატივა იაპონიიდან მოდიოდა, მოსკოვმა ბონუსის სახით ჩრდილოეთ სახალინზე მოქმედი იაპონური კონცესიის გაუქმებაც მოითხოვა, რაზეც იმ ეტაპზე იაპონელები არ დათანხმდნენ. 1941 წლის მარტში, ევროპაში მიმავალმა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იესუკე მაცუოკიმ გზად მოსკოვში შეიარა და ვიაჩესლავ მოლოტოვს თავდაუსხმელობის ხელშეკრულება შესთავაზა. პასუხი ევროპიდან გზად მომავალს უნდა მიეღო.

ბერლინში მაცუოკის ჩასვლამდე, ჰიტლერს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა იაპონიის ელჩ კურუსუსთან, რომელიც გამოსამშვიდობებელი ვიზიტიდ ეწვია ფიურერს. საუბრისას ჰიტლერმა გამჭვირვალედ მიანიშნა იაპონელ დიპლომატს, თუ რა მიმართულებით შეიძლებოდა განვითარებულიყო ბერლინ-მოსკოვის ურთიერთობები. მისი მტკიცებით, ინგლისელები და ამერიკელები იყვნენ გერმანიისა და იაპონიის საერთო მტრები, რუსეთი კი იმ მომენტისათვის მტერი არ იყო, მაგრამ ორივე ქვეყნისათვის წამოადგენდა საფრთხეს. ჰიტლერს კი სჯეროდა სტალინის, მაგრამ მასთან დადებულ ხელშეკრულებაზე უკეთესი გარანტია 85 დივიზია იქნებოდა, ბერლინის მთავარი მიზანი კი ომში იაპონიის ჩართვა იყო. ამასვე ითხოვდა გერმანიის არმიის სარდლობაც. გერმანელი გენერლების ვარაუდით, „ბარბაროსას“ გეგმა შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის შესაკავებლად განთავსებულ იაპონიის სამხედრო ძალებს ინგლისელებთან ბრძოლისათვის გამოანთავისუფლებდა. როგორც სჩვეოდა, სულელურად გულახდილი და „მიმწოლი“ იყო რიბენტროპი, რომელიც ბერლინში ჩასულ მაცუოკის იოლ გამარჯვებასა და ოქროს მთებს ჰპირდებოდა: გერმანიის ნომერ პირველი დიპლომატის გათვლებით, 3-4 თვეს თუ გაუძლებდა საბჭოთა კავშირი ვერმახტის შეტევას, ხოლო მარტოდ დარჩენილი ინგლისის ბედი კი უკვე გადაწყვეტილი იყო და როდესაც გამარჯვებულები მსოფლიოს უდიდესი კოლონიური იმპერიის გაყოფას შეუდგებოდნენ, იაპონიაც უნდა ყოფილიყო მათ შორის.

მართლაც რომ სრულ იდიოტიზმამდე მიდიოდა რიბენტროპის შაბლონური აზროვნება – ზუსტად ასეთივე „არგუმენტებით“ ცდილობდა იგი ერთი წლის წინ მოლოტოვის დახარბებას „ცოცხალი დათვის ტყავის“ გაყოფაზე. ბერლინში იაპონელებისათვის განკუთვნილი პირველი პრიზიც კი ჰქონდად მონიშნული - სინგაპური. იესუკე მაცუოკის ბერლინში ვიზიტის მიზანი კი გაცილებით პროზაიკული და მოკრძალებული იყო: იაპონიის სამხედრო მრეწველობას გერმანული წარმოების დანადგარები სჭირდებოდა საკუთარი წყალქვეშა ნავების ფლოტის შესაქმნელად და იაპონელი მინისტრიც „საფირმო“ ღიმილიდ უქნევდა თავს კოლეგის „სოლიდარობით“ ეშხში შესულ

რიბენტროპს. მაცუოკის სასარგებლოდ უნდა ითქვას - მან ისე დატოვა ბერლინი, ვერც რიბენტროპმა და ვერც ჰიტლერმა ვერ გამოსძალეს პირობა იმაზე, რომ მოსკოვთან არავითარი პოლიტიკური ხელშეკრულება არ გაეფორმებინა. მთავარი ის იყო, რომ ტოკიოში უკვე მიღებული იყო პოლიტიკურ-სამხედრო გადაწყვეტილება ე.წ. „სამხრეთ მიმართულებაზე", ანუ იაპონიის აგრესიის ვექტორი ომს კი არა თავდაუსხმელობის გარანტიას ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში. 1941 წლის 13 აპრილს მოსკოვში გაფორმდა ნეიტრალიტეტის (სტალინის კატეგორიული მოთხოვნიდ „თავდაუსხმელობა" „ნეიტრალიტეტით" შეიცვალა) ხელშეკრულება. 1941 წლის 2 ივნისს, ტოკიოში, „საიმპერატორო კონფერენციაზე", მიღებული იქნა გადაწყვეტილება „სამხრეთ მიმართულებით მოქმედების აქტივიზაციაზე", რაც ბრიტანეთთან და ამერიკასთან ომსაც არ გამორიცხავდა. 4 თვის შემდეგ კი შორეული აღმოსავლეთიდან სასწრაფოდ გადმოსროლილი საბჭოთა დივიზიები უკვე მოსკოვის მისადგომებს იცავდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო საბჭოთა დიპლომატიის უდიდესი მნიშვნელობის გამარჯვება.

რასაკვირველია,იაპონიასაც აწყობდა საბჭოეთიდან ჰიპოთეტურად მოსალოდნელი საფრთხის ნეიტრალიზება, მაგრამ საკმარისია ერთი წუთით წარმოვიდგინოთ შურეულ აღმოსავლეთში ხელფეხშეკრული საბჭოთა კავშირი იქ უქმად „მოყურყუტე" ათეულობით ბრძოლისუნარიანი დივიზიებით და „აღმოსავლეთის ფრონტის" საშინელი პერსპექტივით (რისი გამორიცხვაც არ შეიძლებოდა) და იმანენტურად თვალში საცემი გახდება 13 აპრილის დოკუმენტის ისტორიული მნიშვნელობა. ტოკიო კი რუსეთისაკენ მოუხედავად გადაეშვა მასშტაბურ ავანტიურაში, რამაც, ახალი ტერიტორიების ნაცვლად, მას ჰიროსიმა და ნაგასაკი მოუტანა.

1941 წლის ივნისის უკანასკნელი მშვიდობიანი დღეების არასრული ქრონიკა კი ასე გამოიყურებოდა:

18 ივნისს საბჭოთა მესაზღვრეებს გერმანელი ფელდფებელი ჩაბარდა, რომელსაც სიმთვრალეში ოფიცრისათვის ხელი გაერტყა და დახვრეტა ემუქრებოდა. გამოქცეულმა რუს გენერალ ფედიუნინსკის

აცნობა, რომ 22 ივნისს, დილის 4 საათზე, მის ნაწილს საზღვარი უნდა გადმოელახა. „ტყუილად ვპანიკიორობთ“ – ასეთი იყო რუსი გენერლის რეაგირება მაშინ, როდესაც წინა დღით გერმანელ დივერსანტთა ჯგუფი იყო შეპყრობილი.

19 ივნისს კუბომილის სასაზღრო რაზმის მონაკვეთზე, მდინარე ბუგის მეორე ნაპირზე გამოჩნდა გლეხი ქალი, რომელიც ხმამაღლა უყვიროდა საბჭოთა მესაზღვრეებს, რომ გერმანელებს უკვე გადასატანი ხიდები ჰქონდად დამზადებული საბჭოთა ნაპირზე გადასასვლელად. როგორც ჩანს, გერმანელ გენერლებს იმის დაჯერებაც არ სურდათ, რომ საბჭოთა სარდლობამ ხიდებიც კი არ დანაღმა. ამ მომენტში მესაზღვრეები კლუბიდან ბრუნდებოდნენ, სადაც ლიუბოვ ორლოვას მონაწილეობით გადაღებულ კინოკომედიას, „მხიარულ ბიჭებს“ უყურებდნენ. საინტერესოა, რომ მთელ გახაფხულ-ზაფხულში კვირა (22 ივნისი) პირველად გამოცხადდა ჯარებისათვის დასასვენებელ დღედ.

21 ივნისს, გვიან საღამოს, მოსკოვის სამხედრო ოკრუგის სარდალ სერგეი ტიულენევს პირადად სტალინი ურეკავს და მოსკოვის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვაზე ეკითხება (კარგი დროც იყო – ს.ც.), შემდეგ ბრძანებას აძლევს 75 პროცენტამდე გაზარდოს საბრძოლო მზადყოფნა. გენერალი ხვდება, რომ „ბელადმა“ ახალი ინფორმაცია მიიღო გერმანელების გეგმებზე და თავის მხრივ 100-პროცენტიანი მზადყოფნის ბრძანებას იძლევა. ომის დაწყებამდე კი საათებიღაა დარჩენილი.

მინსკში კი ამ დროს ოფიცერთა სახლში სპექტაკლს ესწრება დასავლეთის განსაკუთრებული სამხედრო ოკრუგის სარდალი, არმიის გენერალი პავლოვი თავის მოადგილეებთან ერთად. შუა სპექტაკლში ლოჟაში გამოჩნდა შტაბის დაზვერვის უფროსი, რომელმაც ყურში რაღაც ჩასჩურჩულა გენერალს, რომელზეც მოკლე პასუხი მიიღო – „ეს შეუძლებელია“.

ომი უკვე დაწყებული იყო, როცა სამხედროებმა, როგორც იქნა, დაარწმუნეს სტალინი თანხმობა მიეცა „ნომერ პირველ დირექტივაზე“ – სრულ საომარ მზადყოფნაზე, თუმცა მან იქვე კატეგორიულად აუკრძალა საბჭოთა მეთაურებს „საარტილერიო ცეცხლი გაეხ-

ნათ“ გერმანელების წინააღმდეგ. გენერალ პავლოვის გაოგნებული მოადგილე, ყოველგვარი სამხედრო სუბორდინაციის იგნორირებით უყვიროდა ტელეფონის ყურმილში თავდაცვის სახკომ ტიმოშენკოს: „ეს როგორ? რატომ არ გავუხსნათ ცეცხლი? ჩვენი ჯარები უკან იხევენ, ქალაქები იწვის, ხალხი იღუპება!“. კრემლის პასუხი იყო მხოლოდ მტრის ტერიტორიაზე 60 კილომეტრის სიღრმეში დაზვერვით შემოფარგლულიყვნენ, გერმანელები კი 100 კილომეტრზე მეტად იყვნენ შემოჭრილნი საბჭოთა ტერიტორიაზე.

მშვიდი, მზიანი დილა დათენდა 1941 წლის 22 ივნისს მოსკოვში. ჩვეულებრივ რითმში შეუდგა ცხოვრებას უზარმაზარი ქვეყნის დედაქალაქი. სამსახურში მიმავალი მოსკოველები მეტროსა და ტროლეიბუსებში კითხულობდნენ „პრავდას“, სადაც ყველაფერზე იყო ლაპარაკი, გარდა დაწყებული ომისა. ოკეანის გაღმა კი ყველა გაზეთი დიდი ანშლაგით გამოვიდა – „გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს“. მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ გაისმა რუსი დიქტორის მკაცრი ხმა: „ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური...“. ამ დროს უკვე პირველ პროგნოზებს აქვეყნებდა ინგლისის პრესა: „ოპტიმისტურს“, რომ საბჭოთა კავშირი სამ თვეს გაუძლებდა გერმანიის შეტევას და „პესიმიტურს“ – მხოლოდ ექვს კვირას. არც იყო გასაკვირი ასეთი განწყობა: ევროპაც და ამერიკაც ჯერ კიდევ არ გამოსულიყო საფრანგეთის ელვისებური კრახის შოკიდან. ჯერ კიდევ ცოცხალი იყო პირველ მსოფლიო ომში ფრანგების თავგანწირვისა და სიმტკიცის მომსწრე თაობა. ბევრს ახსოვდა, თუ რა ფასად უჯდებოდათ გერმანელებს ყოველი მეტრი ფრანგული მიწის დაპყრობა და მათთვის მართლაც შოკის მომ-



ადოლფ ჰიტლერი და ფრანგი მარშალი ანრი პეტენი

გვრელი იყო, რომ ომის დაწყებიდან ორ თვეში, ვერმახტის ოფიცრები უპრობლემოდ სეირნობდნენ მონმარტრსა და ელისეს მინდვრებზე. ვინ იფიქრებდა, რომ ლეგენდარული მარშალ ფოშის სახელოვან თანამებრძოლს, მარშალ პეტენს, 84 წლის ასაკში ხელიც კი არ აუკანკალდებოდა და ისე დაადასტურებდა კომპიენის ტყეში დიდ ფრანგულ სირცხვილს.

რასაკვირველია, ჰიტლერის „ფრანგულმა ბლიცკრიგმა“ და დიუნკერკიდან ინგლისელების კუდამოძუებულმა გაქცევამ სტალინზეც მოახდინა გავლენა, თუმცა ევროპელებისაგან განსხვავებით, არცთუ ხანგრძლივი: კრემლის დიქტატორის უდრეკმა ნებისყოფამ და რკინის ნერვებმა (რაზეც 70 წლის შემდეგ გაოცებული წერდა ჰენრი კისინჯერი), სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, მალე ჩაუშხამა ჰიტლერს „ფრანგული გასეირნებით“ მიღებული სიამოვნება.



ფრანკლინ დელანო რუზველტი
(1882-1945)
ამშ-ის პრეზიდენტი 1933-1945 წლებში

თავი მეთექვსმეტე
ამერიკა: იზოლაციონიზმიდან კოალიციისაკენ

ათასობით გამოკვლევაა დაწერილი და ასობით ფილმია გადაღებული მეორე მსოფლიო ომზე. ისე დამთავრდა კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ავანტიურა როგორც უნდა დამთავრებულიყო მისი ავტორებისათვის. ამავე დროს კაცობრიობისავე ისტორიაში ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი სისხლიანი ეპოპეა, როდესაც დიპლომატია ტანკებზე, ავიაციაზე და ჯარისკაცების სიმამაცეზე ნაკლებ როლს არ ასრულებდა (ზოგ მომენტებში კი მეტსაც).

უამრავი „ბუნებრივი“ და „უცნაური“ სამხედრო-პოლიტიკური კოალიცია შემოგვინახა ისტორიამ, მაგრამ ამ უსასრულო ქრონიკებში

თავისი უნიკალურობით მაინც ანტიჰიტლერული კოალიცია გამოირჩევა. მართლაც რამდენად საშიში და უძლეველი უნდა ყოფილიყო ერთი საშუალო სიდიდისა და რესურსების მქონე სახელმწიფოდან წამოსული საფრთხე, რომ პრინციპულად შეურიგებელი იდეოლოგიებისა, სოციალურ-პოლიტიკური წყობისა, ერთმანეთის მოსპობაზე მეოცნებე სახელმწიფოებს, თუნდაც დროებით მიევიწყათ პირადი მტრობა და საერთო სასიკვდილო საფრთხედ ეღიარებინათ ფაშიზმი.

დღეს უკვე არაპროდუქტიულია იმაზე კამათი, თუ ვის ინტერესებს უფრო მეტად პასუხობდა კოალიცია – მოსკოვის თუ ანგლო-საქსების. როგორც წმინდა სამხედრო, ასევე პოლიტიკურ-დიპლომატიური თვალსაზრისით, უფსკრულის პირას აღმოჩნდა ბრიტანეთი 1940 წლის 19 მაისს, როდესაც დიუნკერკის შემდეგ, კუნძული პრაქტიკულად დაუცველი აღმოჩნდა. ეტყობა, სრული საფუძველი გააჩნდა ახლად გაპრემიერებულ ჩერჩილს მწარედ ეხუმრა პარლამენტში გამოსვლისას (როდესაც გამამხნევებელი ოფიციალური განცხადების შემდეგ მიკროფონს ხელი დააფარა): „შემოჭრილებს ლუდის ცარიელ ბოთლებს დაუშენთ, ვინაიდან სხვა არაფერი გაგვაჩნიაო"). არადა, მართლაც სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა ჯერ კიდევ ნახევარი მსოფლიოს მესაკუთრე იმპერიის შეიარაღება – 500 საველე ქვემეხი, 200 საშუალო და მძიმე ტანკი, 446 ავიაგამანადგურებელი, 491 ბომბდამშენი. აი, მთელი არსენალი, რის იმედზეც უნდა ყოფილიყო კბილებამდე უახლესი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი ვერმახტის პირისპირ დარჩენილი „ზღვათა მპყრობელი."

რა მოხდა დიუნკერკში?

1940 წლის მაისში ვერმახტმა პირველად განახორციელა ე.წ. „მოდერნიზებული ბლიცკრიგი", როდესაც ყოველგვარი საარტილერიო მომზადების გარეშე, მოულოდნელი შეტევით, სატანკო არმიები ამსხვრევდნენ მოწინააღმდეგის თავდაცვის ზღუდეს, გადიოდნენ ოპერატიულ სივრცეში და ელვის სისწრაფით მიექანებოდნენ მტრის ღრმა ზურგში, გზადაგზა ანადგურებდნენ რა მართვის, კავშირგაბმულობისა და მომარაგების სისტემებს. ტანკების მარწუხები მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში იკვრებოდა და მას კავშირგაბმულობისა და სა-

ბრძოლო მასალის გარეშე ტოვებდა. რეზულტატი სტანდარტული იყო – გიგანტური პანიკა მტრის არმიებში. ტანკების უსაფრთხოებას კი მოიერიშე ავიაცია უზრუნველყოფდა. ეს თვისებრივად ახალი იარაღი იყო, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე, როგორც ევროპაში, ასევე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, წარმატებით იყენებდნენ გერმანელი გენერლები. ასე გაარღვიეს ფრანგების თავდაცვა გუდერიანისა და კლეისტის ტანკებმა მაისში და ლა-მანშს მიადგნენ. იმავე დღეებში კაპიტულაცია გამოაცხადა ბელგიის არმიამ და ამით გერმანელების გამანადგურებელი დარტყმის საფრთხის ქვეშ დააყენა ბრიტანეთის მთავარი საჯარისო ნაწილი – საექსპედიციო კორპუსი, რომელიც უკვე დაძრული იყო დიუნკერკისაკენ, საიდანაც ინგლისში უნდა გაქცეულიყო. დიუნკერკს კი ინგლისელებზე ორი დღით ადრე მიადგნენ გუდერიანის (ჯერ მხოლოდ პოლკოვნიკის) ტანკები. წინ აღარაფერი უდგა ხაფანგში გამომწყვდეული ინგლისელებისა და მათი ევროპელი მოკავშირეების (საფრანგეთ-ბელგიის) 300-ათასიანი არმიის სრულ განადგურებას. 23 მაისს გერმანელების ხელში გადავიდა კალეს პორტი. თავისუფალი მხოლოდ დიუნკერკი რჩებოდა, რომლის აღებაც არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა გერმანელებისათვის. 24 მაისს გერმანელი მთავარსარდლის რუნდშტედტის შტაბში ჰიტლერი ჩადის და ყველასათვის მოულოდნელად, უცნაურ ბრძანებას იძლევა: დიუნკერკზე შეტევა გადაიდო. ბრძანება, რომელიც რატომღაც ღია ტექსტით გადაიცა გერმანელების საჯარისო ნაწილებში, მყისიერად გახდა ცნობილი ინგლისელებისთვისაც. სამხედრო თვალსაზრისით არანაირი ახსნა არ ჰქონდა „სტოპ-ბრძანებას" მაშინ, როდესაც გერმანელებს სერიოზული დანაკარგების გარეშე შეეძლოთ ბრიტანეთი ბრძოლისუნარიანი ელიტარული არმიის გარეშე დაეტოვებინათ. უსაზღვრო იყო გერმანელი გენერლების უკმაყოფილება. ომის დამთავრების შემდეგ რამდენიმე ვერსია შეიქმნა ფიურერის სენსაციური ბრძანების თაობაზე; თითქოს ჰიტლერი საკუთარ ტანკებს გაუფრთხილდა, თუმცა მოკავშირეების არმიას მაისის დღეებში პრაქტიკულად აღარ გააჩნდა ტანკსაწინააღმდეგო იარაღი; ზოგი ავტორი გერინგს ადანაშაულებდა, რომელმაც თითქოს სა-

კუთარ თავზე აიღო საექსპედიციო კორპუსის განადგურება მხოლოდ ავიაციით და ა.შ. საინტერესოა, რომ 26 მაისს ჰიტლერმა განაახლა შეტევა, მაგრამ ორდღიანი სიმშვიდე საკმარისი აღმოჩნდა ინგლისელებისათვის, რათა საკუთარი პოზიციები გაემაგრებინათ და ევაკუაციაც წარმატებით დაეწყოთ.

მაინც რა მოხდა 24-ან 26 მაისამდე? საფუძველს არ არის მოკლებული ვერსია, რომ პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ჰიტლერს კარგად ახსოვდა ორ ფრონტზე ბრძოლის მთელი „ეშხი“ და კიდევ ერთხელ შეეცადა ლონდონთან დაზავებას. ორ ფრონტზე ბრძოლის დამღუპველ შედეგებზე ხომ ჯერ კიდევ „მაინ კამპფ“-ში წერდა ნაეფრეიტორალი მთავარსარდალი. ცნობილი ფაქტია, რომ ჰიტლერი უკანასკნელ მომენტამდე ცდილობდა დაზავებაზე დაეყოლიებინა ბრიტანეთის მთავრობა. ჩემბერლენის პრემიერობის შემთხვევაში, ალბად, შესძლებდა კიდეც, ჩერჩილის დროს კი – გამორიცხული იყო. და მაინც, 1940 წლის გაზაფხულზე ჰიტლერს ჯიუტად არ სურდა შეგუებოდა ორი ფრონტის პერსპექტივას. ამიტომ მისცა ჩერჩილს „გონზე მოსვლის“ ორდღიანი შანსი. თუ ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩენილი ბრიტანეთის პრემიერი უარს იტყოდა ზავზე, ეს უკვე იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ ინგლისელები მათთვის ჩვეული შეუპოვრობით ბრძოლისათვის იყვნენ გამზადებულნი და აზრი აღარ ჰქონდა სამშვიდობო მცდელობებს, თუმცა დიუნკერკის დღეებიდან ზუსტად ერთი თვის შემდეგ ჰიტლერი კიდევ ერთხელ შეეცადა ზავზე დაეყოლიებინა ლომდონი. უშედეგოდ. ამის შემდეგ ფორსირებული ტემპებით იწყება გერმანიის სამხედრო ძალების თავმოყრა საბჭოთა კავშირის საზღვრების მიმდებარე რაიონებში.

იმანენტურად იბადება კითხვა; თუ მართლაც ასე გაურბოდა ჰიტლერი ორ ფრონტზე ბრძოლას, მაშინ რამ აიძულა იგი 1941 წლის 22 ივნისს? არც აქ არსებობს ცალსახა პასუხი. შეიძლება აღმოსავლეთის ფრონტზე სწრაფი გამარჯვების რწმენამ, შეიძლება „დასწრებაზე“ ზემოდ უკვე განხილულმა ვერსიამ. შესაძლოა საფრანგეთზე თავბრუდამხვევმა გამარჯვებამ საბოლოოდ დააკარგვინა ზომიერებისა და სიფრთხილის უიმისოდაც მიზერული გრძნობა, მით უმეტეს, რომ სა-

ფრანგეთი კარგა ხნით იყო იზოლირებული, ხოლო ინგლისელებთან ანგარიშის გასწორება გერინგსა და მის პირმშოს – „ლიუფტვაფეს“ დაეკისრა. თავად ავიაციის შეფი კი (პირველ მსოფლიო ომში სახელმოხვეჭილი სამხედრო მფრინავი) ჯერ დიდი რკინის ჯვრით დაჯილდოვდა, შემდეგ კი რეიხსმარშალი (უმაღლესი სამხედრო წოდება) გახდა. გერმანიის ავიაციის სტრატეგიულ ამოცანად, გამუდმებული გამანადგურებელი დაბომბვებით ზავზე ლონდონის იძულება დაისახა. დაიწყო დიდი ბრიტანეთის ისტორიის ყველაზე დრამატული პერიოდი: ლეგენდად ქცეული „ბრძოლა ინგლისისათვის“.

საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მომენტისათვის ჰიტლერს სრული საფუძველი ჰქონდა ემტკიცებინა, რომ გერმანია ორ ფრონტზე არ ომობდა. ინგლისს კონტინენტზე სამხედრო ოპერაციების თავი აღარ ჰქონდა, ხოლო ამერიკის პრეზიდენტს კი, გარდა იმისა, რომ ნეიტრალიტეტზე კონგრესის მიერ მიღებული კანონებით ჰქონდა ხელ-ფეხი შებოჭილი, არც ანგარიშგასაწევი არმია გააჩნდა (75 000 ჯარისკაცი და ოფიცერი!).

დიუნკერკზე შეტევის შესახებ ჰიტლერის უაზრო გადაწყვეტილებამ და საერთოდ ე.წ. „უცნაურმა ომმა“, როდესაც თვეების მანძილზე გერმანიისა და საფრანგეთის არმიები უმოძრაოდ იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, მშვიდობის იმედის ნაპერწკალი გაუჩინა ამერიკის პრეზიდენტ რუზველტს. პირად საუბრებში კი აღიარებდა, რომ ევროპაში მშვიდობის შანსი „ათასიდან მხოლოდ ერთი“ იყო, მაგრამ აქტიურ მოქმედებას მიჩვეულმა პრეზიდენტმა მაინც გადაწყვიტა თუნდაც ამ „ერთი“ შანსის გამოყენება. ყველაფერთან ერთად, ვაშინგტონში სერიოზულად განიხილებოდა გერმანიის გამარჯვების შესაძლებლობა და ფაშისტურ ევროპასთან ერთი-ერთზე დარჩენის არასახარბიელო პერსპექტივა. რუზველტის ყალიბის პოლიტიკოსისათვის ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ ჰიტლერი ძნელად თუ დათანხმდებოდა უკვე ამოძრავებული გიგანტური სამხედრო მანქანის შეჩერებაზე, მაგრამ მეორე მხრივ, ამერიკის მრეწველობას, პოლიტიკური ნებისა და დაკვეთის შემთხვევაში, ერთ-ორ წელიწადში შეეძლო რამდენიმე

მილიონიანი არმიის ჩაცმა და შეიარაღება, რაც მან დაამტკიცა კიდეც 1942-1943 წლებში.

ვაშინგტონის პირველი სამშვიდობო ინიციატივა ჯერ კიდევ 1939 ოქტომბერში ამოქმედდა, როდესაც ამერიკის ბიზნესის წარმომადგენლებს დიპლომატიური მისია დაეკისრათ: მსოფლიოში ცნობილ ამერიკულ გიგანტს „ჯენერალ მოტორს“ გერმანიაშიც ჰქონდა ქარხნები, ხოლო კომპანიის უცხოეთის ფილიალების პრეზიდენტ ჯეიმს მუნის მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები აკავშირებდა გერმანიის მსხვილი ბუზნესის გავლენიან წარმომადგენლებთან.

1939 წლის ოქტომბერში, როდესაც პოლონეთის რიგ რაიონებში ჯერ კიდევ ბრძოლები მიმდინარეობდა, ჯეიმს მუნი ბერლინიდან პარიზში ჩავიდა და საფრანგეთში ამერიკის ელჩის უილიამ ბულიტის მეშვეობით ვაშინგტონს აცნობა თავისი დიპლომატიური მისიის პირველი შედეგი – რეიხის მეორე კაცმა, გერმან გერინგმა მასთან საიდუმლო შეხვედრისას, სურვილი გამოთქვა რუზველტს ეთავა სამშვიდობო მოლაპარაკებების იდეა, რომელიც რომელიმე ნეიტრალურ ქვეყანაში უნდა გამართულიყო. ამავე დროს რუზველტმა საკუთარი ინიციატივით მიმართა 46 ნეიტრალური სახელმწიფოს ხელმძღვანელს, რათა მათ განეხილად მშვიდობის აღდგენის შესაძლებლობა და ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის საკითხი. როგორც მოსალოდნელი იყო, ნეიტრალური ქვეყნების ინტერესები იმდენად მრავალფეროვანი აღმოჩნდა, რომ ამერიკის პრეზიდენტის ინიციატივა იდეის დონეზე დარჩა. რუზველტის უკანასკნელი ცდა იყო სახელმწიგო მდივნის მოადგილის უელესის მივლინება ევროპაში, რათა ადგილზე შეესწავლა „სამართლიანი და მუდმივი ზავის შესაძლებლობა, ამავე დროს აუცილებელი იყო ეჭვი არავის შეეტანა ნეიტრალიტეტისადმი პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის ერთგულებაში. მოგზაურობიდან დაბრუნებული უელესი, პრეზიდენტისათვის წარდგენილ მოხსენებით ბარათში წერდა, რომ ბერლინში მას 2-საათიანი საუბარი ჰქონდა რიბენტროპთან, რომელიც „დელფუსის ორაკულივით თვალდახუჭული“ ისე უსმენდა ამერიკელ დიპლომატს, რომ არც კი დაინტერესებულა ამერიკის პრეზიდენტის ინიციატივის არსით. „იშვია-

•თად შევხვედრივარ ვისმეს, ვინც მასზე ნაკლებად მომწონებოდეს. ეს •ძალზედ სულელი ადამიანია“ – წერდა უელესი. დამთრგუნავი შთა•ბეჭდილება დარჩა რუზველტს უელესის პარიზული შთაბეჭდილებე•ბიდანაც: 70 წელს მიღწეულ პრეზიდენტ ალბერ ლებრენს, სხვა, რომ ::არაფერი ვთქვათ, არც ერთი იმ დიდი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწის ზგვარი აღარ ახსოვდა, ვისი პორტრეტებიც პრეზიდენტის სასახლის კედლებს ამშვენებდა. პრემიერ ედუარდ დალადიეს კი უკვე მოფიქრებული ჰქონდა (გერმანელებთან გადამწყვეტი ბრძოლების დაწყებამდე) რომისა და ბერლინის დასამშვიდებელი პრიზები: იგი მზად იყო იტალიასთან „გაეყო“ სომალი, ტუნისი და სუეცი, ხოლო დანიგი კი გერმანიის „კანონიერ საკუთრებად“ ეღიარებინა სუდეტებთან და დასავლეთ პოლონეთთან ერთად. არც იმდროინდელი საფრანგეთის –ყველაზე მტკიცე ანტიგერმანელმა“, ფინანსთა მინისტრმა პოლ რეინომ დატოვა უკეთესი შთაბეჭდილება უელესზე. ნათელი იყო, რომ საფრანგეთის მთელი ხელისუფლება, სხვადასხვა დონით, კაპიტულანტურად იყო განწყობილი, საერთოდ არ იგრძნობოდა საბრძოლო სულისკვეთება. ამ მხრივ, პარიზისაგან დიდად არც ლონდონი განსხვავდებოდა. არც აქ იგრძნობოდა რეალური საფრთხის სიახლოვე. უელესი სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ „ინგლისელებსა და ფრანგებს წარმოდგენა არ ჰქონდათ მათ თავს არსებული საფრთხის ხარისხზე“ – მოახსენებდა იგი პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტს. საბოლოო დასკვნა კი ასეთი იყო: „მოწინააღმდეგეთა შორის მოლაპარაკების არანაირი შანსი არ არსებობს“. უელესის დაბრუნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1940 წლის 9 აპრილს, გერმანიის ჯარები დანიასა და ნორვეგიაში შეიჭრნენ და სწრაფად მოახდინეს ორივე ქვეყნის ოკუპაცია. იმავე დღეს, საგანგებოდ დანიშნულ პრესკონფერენციაზე ფრანკლინ რუზველტმა დიპლომატიური კამუფლიაჟების გარეშე განუცხადა ჟურნალისტებს: „ის, რაც ხდება, ბევრ ამერიკელს აიძულებს დაფიქრდეს ამ ომის პოტენციურ შესაძლებლობებზე“. კიდევ უფრო პირდაპირი იყო პრეზიდენტი 15 აპრილს – „ჩვენ ვიცით, რომ რაც ხდება ძველ სამყაროში (ევროპაში – ს.ც.), პირდაპირ

და უშუალოდ ეხება ახალი სამყაროს (ამერიკის – ს.ც.) კეთილდღეობას“.

კარგად ერკვეოდა რა საკუთარი ხალხის იზოლაციონისტური განწყობილების ფესვების სიღრმეში, რუზველტმა ამოცანად დაისახა დამაჯერებლად აეხსნა ამერიკელებისათვის, თუ რა სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა მათ სამშობლოს ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში დიქტატორული რეჟიმების გამარჯვების შემთხვევაში. აპრილში რუზველტი აღარ ფიქრობდა რაიმე დიპლომატიური ინიციატივით ევროპაში ომის შეჩერებაზე. მას უკვე მტკიცედ სწამდა, რომ ჰიტლერის შეჩერება მხოლოდ მისი დამარცხებითა და განადგურებით იყო შესაძლებელი. ამიტომაც უგულებელჰყო რომის პაპის თხოვნა კიდევ ერთხელ გამოსულიყო სამშვიდობო ინიციატივით. საფრანგეთის მორიგ პრემიერ პოლ რეინოს (ყოფილ ფინანსთა მინისტრს) კი ჯერ კიდევ სწამდა სამშვიდობო დიპლომატიის ყოვლისშემძლეობის და დონ-კიხოტური ოპერაცია წამოიწყო გერმანიისაგან იტალიის იზოლირების მიზნით. რაც შეეხებოდა დუჩეს, მისთვის უკვე ცნობილი იყო, თუ რას მიიღებდა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ფრანგებისაგან: ჰიტლერი მას სომალისა და ტუნისის რაღაც ნაჭრებს კი არა, ნახევარ იუგოსლავიასა და ხმელთაშუა ზღვაში ინგლის-საფრანგეთის მთელ კუთვნილ ტერიტორიებს ჰპირდებოდა. „გამდიდრების“ ეშხში შესულმა მუსოლინმაც „დღევანდელ ქათამს ხვალინდელი კვერცხი“ ამჯობინა და ახლოს არ გაიკარა მოსალაპარაკებლად გამზადებული ფრანგები. არც რუზველტის არაორაზროვანმა გაფრთხილებამ იმოქმედა იტალიის დიქტატორზე – გერმანელი მოკავშირის ევროპული ბლიცკრიგი ხომ ისეთ ზღაპრულ პერსპექტივებს ჰპირდებოდა ფიურერის ყველა თანამებრძოლს, რომ მუსოლინიზე ბევრად ფრთხილი პოლიტიკოსიც კი შეიძლება იოლად გაბრიყვებულიყო. რუზველტმა ჯერ თავის ფინანსთა მინისტრს უბრძანა არ დაეშვა იტალიის ფონდების გატანა შეერთებული შტატებიდან, შემდეგ კი რომში თავის ელჩს უილიამ ფილიპსს დაავალა სიტყვიერად გადაეცა შენიღბული მუქარით შეზავებული პრეზიდენტის წერილი დუჩესათვის ისე, რომ ბეჭდვითი ტექსტი ელჩსავე დარჩენოდა.

წერილში კი პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ თუ იტალია გერმანიის გვერდით აღმოჩნდებოდა უკვე დაწყებულ ომში, ეს იმდენად გააფართოებდა კონფლიქტის ზონას, რომ ნეიტრალური ქვეყნებიც კი (პირდაპირი მინიშნება ამერიკაზე) აღმოჩნდნებოდნენ ომში ჩაბმულნი. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ამერიკის პრეზიდენტი არცთუ შენიღბულად მიანიშნებდა ომში თავისი ქვეყნის შესაძლო მონაწილეობაზე. ყველაფერი ეს კი ხდებოდა მაშინ, როდესაც ამერიკაში რამდენიმე კანონი კრძალავდა არათუ უშუალო მონაწილეობას ომში, არამედ იარაღით ვაჭრობასაც კი მეომარ ქვეყნებთან. თვით პრეზიდენტის პარტიის უმრავლესობაც (კანონმდებლების ჩათვლით) ევროპაში გაჩაღებულ კიდევ ერთ დიდ ომში მონაწილეობის კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

ისევე როგორც რუზველტის სამშვიდობო ინიციატივები, სრული მარცხით დამთავრდა მისივე ცდა არ დაეშვა იტალიის ჩართვა ომში. ამერიკის პრეზიდენტის მუქარაზე ძალიან დუჩეს იმისი ეშინოდა, რომ გამარჯვებული ფიურერი (მის გამარჯვებაში კი ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი იმდროინდელ ევროპაში) წილის გარეშეც დატოვებდა და ნეიტრალიტეტსაც მწარედ ანანებდა. რუზველტს ისღა დარჩენოდა, რომ კონგრესში დამატებით მილიარდ 800 000 დოლარი ეთხოვა სამხედრო ხარჯებისათვის.

1940 წლის მაისის მონაცემებით, ამერიკის არმიაში სულ 80 ათასი მეომარი და ტექნიკური მოსამსახურე ირიცხებოდა, ხოლო საწყობებში ინახებოდა 500 ათასიანი არმიისათვის საჭირო შეიარაღება, რომლის დიდი ნაწილიც პირველი მსოფლიო ომის დროინდელი იყო, თუმცა სავსებით აწყობდათ როგორც ინგლისელებს, ასევე ფრანგებს. საქმე ის იყო, რომ 30-იან წლებში ევროპელ პოლიტიკოსთა თვითმიზნად ქცეული განიარაღებით გატაცება პირველ რიგში ძვირად განიარაღების მებაირახტრე ინგლისელებს დაუჯდათ: ომი დაიწყო და პირველსავე დღეებში გაირკვა, რომ არმიას უბრალო შაშხანებიც კი კატასტროფულად აკლდა. რუზველტი მზად კი იყო იარაღით დახმარებოდა ინგლისელებს, მაგრამ ამას ნეიტრალიტეტზე კანონები უკრძალავდა. მაშველ რგოლად გამოდგა სამხედრო სამინისტროს

მიერ შეთავაზებული სქემა: ამერიკისათვის ჭარბი და გამოუსადეგარი იარაღი შეიძლებოდა ეყიდა რომელიმე ნეიტრალურ სახელმწიფოს ინგლისელებისა თუ ფრანგებისათვის შემდგომი გადაყიდვით. სქემის სუსტი ადგილი ის იყო, რომ მხოლოდ არმიის შტაბის უფროსს შეეძლო განესაზღვრა, თუ რომელი იარაღი იყო „ჭარბი და გამოუსადეგარი“. შტაბის უფროსმა, გენერალმა მარშალმა კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა – „ევროპაში ომის კრიტიკულ ფაზაში ერთ ვაზნასაც ვერ გავყიდი, ეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას შეასუსტებსო“ - და კრიჭაში ჩაუდგა თავის მინისტრსაცა და მთავარსარდალსაც. ისეთ პრეზიდენტსაც კი, როგორიც იყო რუზველტი, არ შეეძლო კანონზე მაღლა დამდგარიყო (ანუ არც ამერიკული დემოკრატია ყოფილა „უნაკლო“).

პარიზში კი 15 მაისს, როდესაც სამხედრო მინისტრთან ედუარდ დალადიესთან ამერიკის ელჩი იმყოფებოდა, საღამოს 8 საათზე, მინისტრს მთავარსარდალმა მორის გემელენმა დაურეკა და აცნობა, რომ გერმანელების ტანკებმა ფრონტი გაარღვიეს და შემოვლითი მანევრი დაიწყესო. ელჩის შეკითხვაზე – „ანუ საფრანგეთის არმია განწირულია?“, მინისტრმა ლაკონურად უპასუხა – „კი, განწირულია“ და იქვე დასძინა: „ერთი სიტყვაც კი არავისთან დაგცდეს. მე ამას პრემიერ-მინისტრსაც კი არ ვეტყვი“. საინტერესოა, რა ხნით აპირებდა მინისტრი ეროვნული კატასტროფის დამალვას? ან ჰქონდა კი ამას რაიმე აზრი? ელჩმა შეიძლება მართლაც არ გაასაჯაროვა „საიდუმლო“ ინფორმაცია, მაგრამ ვაშინგტონს კი აცნობა. საფრანგეთის არმიას მხოლოდ ღმერთის ისეთი საჩუქარი გადაარჩენდა, როგორიც პირველი მსოფლიო ომის დროს მარნაზე ბრძოლა იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ღმერთს საფრანგეთისათვის აღარ ეცალა და პრემიერმა რეინომაც ამერიკისაკენ გაიშვირა ორივე ხელი დახმარების თხოვნით: ჯერ ჯართად ჩამოსაწერად გამზადებული თვითმფრინავების მიყიდვა სთხოვა, ხოლო 18 მაისს კი აშშ-ის ელჩს უილიამ ბულიტს აცნობა – „რუზველტს უნდა ვთხოვო, რომ კონგრესს გერმანიასთან ომის დაწყების წინადადებით მიმართოსო“. პირველ თხოვნას სახელმწიფო მდივანმა

კორდელ ჰილმა სისულელე უწოდა, მეორე კი ელჩმა გადააფიქრებინა „სახურავ დაცურებულ“ პრემიერს.

რით შეეძლო რუზველტს რეალურად დახმარებოდა ინგლისსა და საფრანგეთს? გარდა ზემოთ ნახსენები არმიისა, პრეზიდენტის განკარგულებაში იყო 160 ავიაგამანადგურებელი და 52 მძიმე ბომბდამშენი, პლიუს 250 მფრინავი. 16 მაისს რუზველტმა გრანდიოზული ამოცანა დაუსახა ქვეყნის სამხედრო მრეწველობას — 50 ათასი სამხედრო თვითმფრინავი წლიურად! იგი საჯაროდ აცხადებდა, რომ ერთ მეომარ სახელმწიფოს გააჩნდა აბსოლუტური უპირატესობა ავიაციის სფეროში, რაც საგანგაშო ფაქტორად მიაჩნდა. ცხადია, იგი ნაცისტურ გერმანიას გულისხმობდა. რეალისტ პოლიტიკოს პრეზიდენტს კარგად ესმოდა, რომ 50 ათასი თვითმფრინავი წელიწადში ზღაპრული ციფრი იყო, მაგრამ მან ისიც იცოდა, თუ რა როლი გააჩნდა პოლიტიკაში პათოსს, ემოციების წარმოქმნასა და მასების განწყობილების კონსტრუირებას. განწირული ქვეყნის განწირული პრემიერი პოლ რეინო კი უკვე ღია შანტაჟსაც აღარ თაკილობდა და 22 მაისს რუზველტს აფრთხილებდა, რომ თუ ამერიკა დაუყოვნებლივ არ განაცხადებდა საჯაროდ, რომ არ დაუშვებდა საფრანგეთისა და ინგლისის დამარცხებას, პარიზი იძულებული იქნებოდა სეპარატისტული ზავი გაეფორმებინა გერმანიასთან, რაც ინგლისს მარტოს დატოვებდა მტერთან ბრძოლაში, ამერიკა კი ხელმისაწვდომი გახდებოდა გერმანიის სამხედრო ძალისათვის.

ის, რომ რუზველტზე შთაბეჭდილებას არ ახდენდა საგრანგეთის პრემიერის წივილ-კივილი, სულაც არ მეტყველებდა პრეზიდენტის უმოქმედობაზე. მას გათვითცნობიერებული ჰქონდა როგორც გერმანული ფაშიზმის საფრთხე, ასევე საფრანგეთის გადარჩენის შეუძლებლობაც: 30-იანი წლებიდან მოყოლებული, საფრანგეთის მთავრობებმა ერთი-მეორეზე მიყოლებით ყველაფერი გააკეთეს, რათა ქვეყანა, რომელსაც ევროპაში ყველაზე დიდი, მშვენივრად შეიარაღებული არმია გააჩნდა, ომს მორალურად და პოლიტიკურად მოუმზადებელი შეხვედროდა. ამიტომ იყო ბუნებრივი და ადეკვატური ვაშინგტონის გადაწყვეტილება — მთელი ყურადღება გადაეტანა ქვეყანაზე, რომ-

ლის მთავრობაცა და ხალხიც მზად იყო ბოლომდე ებრძოლა. ეს ქვეყანა იყო დიდი ბრიტანეთი, რომლის ახალი პრემიერი უინსტონ ჩერჩილი „მხოლოდ სისხლს, ცრემლსა და ოფლს“ შეპირდა ინგლისელებს და ამ უჩვეულო „ლოზუნგით“ დარაზმა ქვეყანა.

1940 წლის 22 მაისს, როდესაც ერთი თვეც აღარ იყო დარჩენილი 14 ივნისამდე („თავისუფალ“ პარიზში გერმანელი ფაშისტების შესვლამდე), ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ოფიციალურად განაცხადა, რომ პირველ მსოფლიო ომის დროს დამზადებული შაშხანები, ტყვიამფრქვევები და ქვემეხები, როგორც „ბალასტი“, აღარ გამოდგებოდა ქვეყნის არმიისათვის და ამიტომ ინგლისში იგზავნებოდა. დღეს უკვე შეუძლებელია იმის შემოწმება, თუ რა დონის „ბალასტს“ ღებულობდა ინგლისის არმია, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ კუნძული ენერგიულად ემზადებოდა გერმანელების დასახვედრად და ზოგიერთი ცნობებით, ლონდონის მუზეუმებიდან შუა საუკუნეების შუბებიც გამოჰქონდათ მოსახლეობის შესაიარაღებლად, გლეხები კი ფიწლებსა და ფოცხებს ამზადებდნენ. ყველაფერთან ერთად, ფრანკლინ რუზველტი მისთვის დამახასიათებელი დიპლომატიური მოქნილობითა და მიზანდასახულობით ემზადებოდა ამერიკულ იზოლაციონიზმზე გადამწყვეტი შეტევისათვის. ივნისის დასაწყისში, როდესაც ეჭვს აღარ იწვევდა ჰიტლერის გამარჯვება ევროპაში, იგი ვრცელი სიტყვით გამოდის ჯეფერსონის მიერ დაარსებულ ვირჯინიის უნივერსიტეტში (ქალაქი შარლოტსვილი). მან იზოლაციონიზმის იდეას „მარტოხელა კუნძული“ უწოდა იმ „ზღვაში, სადაც ძალაა გაბატონებული“. პრეზიდენტმა აქ პირველად თქვა, რომ მხოლოდ მოკავშირეთა გამარჯვებას „ძალისა და სიძულვილის ღმერთზე“ შეუძლია ამერიკა გეოსტრატეგიული პოზიციების გაუარესებისაგან იხსნას.

საკმარისი არ იქნება მხოლოდ იმის თქმა, რომ საფრანგეთის მომენტალური კატასტროფა მოულოდნელი იყო. ეს შოკზე მეტი იყო, ვინაიდან „უცნაური ომის“ პერიოდშიც კი საფრანგეთის სამხედრო ავტორიტეტი ძალზე მაღალი ჩანდა. ჰოდა, პარიზის შოკისმომგვრელი დამარცხებით თვით ამერიკის იზოლაციონისტური კონგრესიც კი

ისე დაფრთხა, რომ მორჩილად დააკმაყოფილა ადმინისტრაციის თხოვნა ოთხი მილიარდი დოლარის გამოყოფაზე სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად. ასევე ტრადიციული დებატების გარეშე დაამტკიცეს კანონმდებლებმა პრეზიდენტის აქტიური საგარეო პოლიტიკის ცნობილი ორი მომხრის კანდიდატურა – 73 წლის რესპუბლიკელი სტიმსონი, რომელიც ზუსტად 30 წლის წინ იყო სამხედრო მინისტრი, კვლავ ამ პოსტს დაუბრუნდა, სამხედრო-საზღვაო ძალების მინისტრი კი ნოქსი გახდა.

მართალია, 1940-იანი წლების დასაწყისისათვის რუზველტმა რამდენიმე მტკივნეული დარტყმა მიაყენა იზოლაციონიზმსა და იზოლაციონისტებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ამერიკა უკვე იყო შეგუებული ომში ჩართვის აუცილებლობას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ როგორც საბჭოურ, ასევე პოსტსაბჭოურ ისტორიულ ლიტერატურაში დაუმსახურებლად მოკრძალებული ადგილი აქვს დათმობილი ამერიკული იზოლაციონიზმის ისტორიას, თუნდაც მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის წინ, გადამწყვეტი ათწლედის პერიოდში.

საშინაო ფრონტზე რუზველტის ბრწყინვალე გამარჯვებების ნუსხაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი სწორედ იზოლაციონიზმზე გამარჯვებას უკავია. ამიტომ არ იქნება ზედმეტი, თუ ცოტა ხნით შევჩერდებით ამ საინტერესო დიპლომატიური დუელის ზოგიერთ გადამწყვეტ მომენტზე;

ამერიკულ იზოლაციონიზმს ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნდა, მაგრამ „განხეთქილების ვაშლად“ 1935 წლის 31 აგვისტოს ნეიტრალიტეტის შესახებ მიღებული კანონი იქცა და აქედან იწყება გააფთრებული, თუმცა არც ხანგრძლივი ბრძოლა იზოლაციონიზმის მომხრეთა და მოწინააღდეგეთა შორის. კანონი აბისინიაზე იტალიის თავდასხმის უშუალოდ წინა პერიოდში იქნა მიღებული, როდესაც პირველ მსოფლიო ომში ამერიკის მიერ გაღებული მსხვერპლით შებრწუნებულ გავლენიან პოლიტიკურ წრეებში აშკარად იგრძნეს, რომ ევროპა კვლავ შეიძლებოდა კიდევ ერთი დიდი ომის კერად ქცეულიყო. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში მოსალოდნელ ნებისმიერ ომში

ამერიკის ჩაურევლობაზე კონსესუსი არსებობდა, ხსენებული კანონი კონგრესს ცხარე დებატების გარეშე არ მიუღია. რიგ კანონმდებელთა პროტესტი კანონპროექტის პირველსავე მუხლის განხილვას მოჰყვა, რომელიც იარაღის, ტყვია-წამლისა და სხვა სამხედრო პროდუქციის ექსპორტს კრძალავდა მეომარ ქვეყნებში. ვინაიდან უკვე ცნობილი იყო, რომ აკრძალვა დღე-დღეზე მოსალოდნელ იტალია-აბისინიის ომის მონაწილეებს შეეხებოდა, კანონმდებელთა ნაწილი სამართლიანად მიუთითებდა მომავალი კანონის სერიოზულ ხარვეზზე – აგრესიის მსხვერპლ სუსტ ქვეყნებს საშუალება არ ექნებოდათ ამერიკაში თავის დასაცავად საჭირო მინიმალური იარაღი მაინც შეეძინათ.

როდესაც 1935 წლის ოქტომბერში ფაშისტური იტალიის ავიაციამ აბისინიის მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვები დაიწყო, ერთა ლიგამ აგრესორად სცნო იტალია და მის წინააღმდეგ არაეფექტური, მაგრამ მაინც სანქციები დააწესა. იზოლაციონისტთა გავლენით, ვაშინგტონმა ასეთი მოჩვენებითი სანქციებიც კი არ ცნო იმის შიშით, რომ რომელიმე მეომარი მხარის მხარდამჭერის შთაბეჭდილება არ შექმნილიყო. ასევე უშედეგო აღმოჩნდა საფრანგეთის გაუბედავი მცდელობა ბრიან-კელოგის პაქტის მოშველიებით აეძულებინა ვაშინგტონი ხმა აემაღლებინა იტალიის მხრიდან აშკარა აგრესიის წინააღმდეგ; სახელმწიფო მდივანმა კორდელ ჰილმა ევროპაში თავისი საელჩოების მეშვეობით აცნობა აბისინიის ყველა პრინციპულ თუ უპრინციპო დამცველებს, რომ პაქტის ამოქმედებაზე ლაპარაკი სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე თუ იქნებოდა შესაძლებელი, ხოლო იტალიაში ამერიკის ელჩმა დამატებით განუმარტა მუსოლინის, რომ მისი ქვეყანა არავითარ შემთხვევაში არ მიუერთდებოდა ანტიიტალიურ სანქციებს, ვინაიდან ამას „მძიმე შედეგები მოჰყვებოდა ამერიკაში და სიტუაციას გაართულებდა ევროპაში“.

თავად სანქციებზე უკვე იყო საუბარი წინა თავებში, კერძოდ, სანქციები არ კრძალავდა იტალიისათვის ნავთობის, ქვანახშირისა და სხვა მადნეულის მიწოდებას, რითიც სხვაზე ნაკლებად არც ამერიკა სარგებლობდა: მხოლოდ 1935 წლის განმავლობაში ამერიკიდან იტა-

ლიასა და იტალიის აფრიკაში ექსპორტირებული ნავთობის ღირებულება 1084 ათასი დოლარიდან 2674 ათას დოლარამდე გაიზარდა.

1936 წლის 29 თებერვალს გაუდიოდა ვადა 1935 წლის კანონის პირველი მუხლის მოქმედებას. ოქტომბერში სახელმწიფო დეპარტამენტმა უკვე დაიწყო კანონში შესატან დამატებებზე მუშაობა. რუზველტი ისეთი პუნქტის შეტანას ითხოვდა, რომელიც პრეზიდენტს ნებას დართავდა თითონ შეერჩია ის საქონელი, რომლის ექსპორტიც მეომარ ქვეყნებში შეიზღუდებოდა. სახელმწიფო დეპარტამენტმა კი საერთოდ ევროპის ქვეყნებში ამერიკის ელჩების წინადადებები და მოსაზრებები მოითხოვა ნეიტრალიტეტზე კანონთან მიმართებაში. ელჩების უმრავლესობის აზრით, მეომარ ქვეყნებში სამხედრო ექსპორტი არ უნდა გაზრდილიყო.

1936 წლის 3 იანვარს, ამერიკის კონგრესში ნეიტრალიტეტზე კანონის განხილვა დაიწყო და კონგრესისადმი ტრადიციულ მიმართვაში რუზველტმა დეტალურად განმარტა ადმინისტრაციის პოზიცია კანონთან და საერთოდ იზოლაციონალიზმთან დამოკიდებულებაში. თუ ჯერ კიდევ რა გავლენით სარგებლობდნენ ქვეყნის მთავარ საკანონმდებლო ორგანოში იზოლაციონისტები, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ პრეზიდენტი იძულებული იყო იარაღის ექსპორტზე ემბარგოს მომხრედ გამოსულიყო, მეორე მხრივ, პრეზიდენტის განმარტებები იმაზეც მიუთითებდა, რომ მისი ადმინისტრაცია რეალისტურად აფასებდა ევროპაში ძალაკრეფილ პროცესებს და საერთოდ მსოფლიოში არსებულ ფაშიზმის საფრთხეს. რუზველტის ხედვით, მსოფლიოს მოსახლეობის 10-15 პროცენტი ართულებდა საერთო სიტუაციას და საფრთხეს უქმნიდა საყოველთაო მშვიდობასა და კეთილდღეობას. ევროპაში იმ ფაქტსაც მიაქციეს ყურადღება, რომ რუზველტის მიერ ყველასათვის გასაგებად მინიშნებული სახელმწიფოების – გერმანიის, იტალიისა და იაპონიის მოსახლეობის ჯამური რაოდენობა (65 მლნ. 90 მლნ. და 42 მლნ.) მსოფლიოს მოსახლეობის სწორედ 10-15 პროცენტს შეადგენდა. პრეზიდენტის მიმართვამ კი რომის, ბერლინისა და ტოკიოს მწვავე რეაქცია გამოიწვია, მაგრამ ამერიკელ იზოლაციონისტებზე არანაირად არ იმოქმედა, რაც არც იყო გასაკვი-

რი: ზოგიერთი სენატორი იმის მტკიცებამდეც კი მივიდა, რომ იტალიისათვის ნავთობის მიწოდების შეწყვეტას „ამერიკის დამოუკიდებელი პოლიტიკის კრახი მოჰყვებოდა“.

1936 წლის 4 იანვარს, რესპუბლიკური პარტიის ეროვნულ კლუბში გამოსვლისას, გავლენიანმა რესპუბლიკელმა კონგრესმენმა ფიშმა, „რუზველტის დაუყონებლივი შეჩერება“ მოითხოვა, ვინაიდან „პრეზიდენტს გერმანიის, იტალიისა და იაპონიის მტრობამდე მიჰყავს ქვეყანაო“. როდესაც 1935 წლის 3 ოქტომბერს იტალია ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს აბისინიას, რაც ღია აგრესია იყო, ამერიკის მთავრობის დეკლარაციით, აიკრძალა იარაღის ექსპორტი ორივე ქვეყანაში. ამ დროს იტალია შეუფერხებლად ღებულობდა შეიარაღებას გერმანიიდან, აბისინიას კი თავდაცვის ელემენტარული საშუალებაც არ გააჩნდა.

1935 წლის 24 აგვისტოს აშშ-ის სენატში ნეიტრალიტეტის შესახებ ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული კანონპროექტის განხილვა დაიწყო. ინტერნაციონალისტები (ანუ ნეიტრალიტეტის მოწინააღმდეგეები) მოითხოვდნენ, რომ მხოლოდ ექვსი თვით გაგრძელებულიყო კანონის მოქმედების ვადა, ვინაიდან მათი აზრით, იგი ხელს არ უწყობდა მშვიდობის გამტკიცებას. ინტერნაციონალისტების მწვავე კრიტიკის ობიექტად იქცა პირველი მუხლი, რომელიც პრეზიდენტს საგარეო პოლიტიკაში მანევრირების საშუალებას არ აძლევდა. გარდა ამისა, პროექტი ერთმანეთისაგან არ განასხვავებდა აგრესორსა და მის მსხვერპლს. საბოლოო ჯამში მხოლოდ ორმა სენატორმა არ მისცა ხმა ნეიტრალიტეტზე რეზოლუციას. 31 აგვისტოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ნეიტრალიტეტის კანონს, სადაც ნათქვამი იყო, რომ ომის დაწყების შემთხვევაში ან მის მსვლელობაში, პრეზიდენტმა განცხადება უნდა გააკეთოს ფაქტზე, რის შემდეგაც კანონით აიკრძალება იარაღის, საბრძოლო მასალის და სამხედრო აღჭურვილობის ექსპორტი ამერიკიდან, ან მისი ნებისმიერი სამფლობელოდან, მეომარი ქვეყნების რომელიმე პორტში. იარაღის ემბარგოს ვადა 1936 წლის 29 თებერვლამდე განისაზღვრა.

1936 წლის იანვარში, ამერიკელი სოციალისტების ლიდერმა, სენატორმა თომასმა, წინადადება შეიტანა ნეიტრალიტეტზე კანონის მოქმედება 1937 წლის პირველ მაისამდე გაგრძელებულიყო, რასაც სენატის უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. კიდევ უფრო იზღუდებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების, პირველ რიგში პრეზიდენტის უფლებები. მუსოლინის სრული საფუძველი ჰქონდა, მთავრობის სხდომაზე, საფირმო მჭერმეტყველებით, „მთელი იტალიელი ხალხის სახელით“ გადაეხადა მადლობა ამერიკის კონგრესისათვის. ორი წლის შემდეგ კი მიუნჰენის ავადსახსენებელ კონფერენციაზე ჰიტლერს გაენდო: ამერიკის პოზიციის გარეშე ერთ კვირასაც ვერ გავძლებდი ბრიტანიაშიო.

ამერიკის იზოლაციონიზმი კიდევ ერთხელ ჩადგა აგრესორების სამსახურში ესპანეთში სამოქალაქო ომის წლებში. ისევე როგორც ორი წლის წინ ფაშისტი დუჩე, ასევე კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული მომავალი კაუდილიო, გენერალი ფრანცისკო ფრანკოც, გართულებების გარეშე ღებულობდა მისთვის საჭირო შეიარაღებას გერმანიისაგან. ესპანეთის კანონიერი მთავრობისათვის კი ამერიკის იარაღის ბაზარი ჩარაზული აღმოჩნდა. როდესაც ესპანეთის ელჩმა დე ლოს რიოსმა „თავი მოაბეზრა“ ვაშინგტონს იარაღის მიყიდვის თხოვნით, სახელმწიფო დეპარტამენტში „მეგობრულად“ ურჩიეს ევროპისათვის მიემართა, რამეთუ „ისინი ჩვენზე მეტად არიან შეწუხებულნი ეპანეთის მოვლენებით“-ო. მადრიდის თხოვნებს განხილვის გარეშე უგზავნიდა ვაშინგტონი ე.წ. „ჩაურევლობის კომიტეტს“, სადაც ევროპის 27 ქვეყანა იყო წარმოდგენილი. სიტუაცია განსაკუთრებით იმ ფაქტის ფონზე გამოიყურებოდა ალოგიკურად, რომ გელაპის ინსტიტუტის მონაცემებით, 1937 წლის თებერვალში გამოკითხულ ამერიკელთა 65 პროცენტი მხარს უჭერდა ესპანეთის რესპუბლიკურ მთავრობას, ხოლო ზუსტად ერთი წლის შემდეგ კი – 76 პროცენტი. საზოგადოებრივი აზრისა და იმ კაზუსის გათვალისწინებით, რომ ნეიტრალიტეტზე მიღებულ არც 1935 წლის და არც 1936 წლის კანონში არაფერი იყო ნათქვამი სამოქალაქო ომის შემთხვევაზე, 1937 წლის დასწყისში რუზველტმა კონგრესში დააყენა „ეს-

პანეთის მოვლენებთან დაკავშირებით ნეიტრალიტეტზე კანონის არსებითი შეფასების“ საკითხი. ვინაიდან საიდუმლოებას არ წარმოადგენდა გერმანიისა და იტალიის მონაწილეობა ესპანეთის სამოქალაქო ომში პუტჩისტების მხარეზე, კონგრესში დებატებისას ასეთი კითხვაც გაჩნდა: შეეხებოდა თუ არა ახლად „სრულყოფილი“ ნეიტრალიტეტის კანონი გერმანიასა და იტალიას? ჰქონდა პრეზიდენტს უფლება ემბარგო დაეწესებინა ამ ქვეყნებში გასაგზავნად გამზადებულ იარაღზე? იზოლაციონისტებმა სხვა სიბრტყეში გადაიტანეს დებატები და წინა პლანზე სამოქალაქო ომების აბსოლუტიზირების პრობლემა წამოწიეს. პრეზიდენტი ითხოვდა, რომ არსებულ კანონში დამატება-შესწორებების აუცილებლობა კონკრეტულად ესპანეთის პრეცენდენტზე ყოფილიყო დაფუძნებული, იზოლაციონისტები კი მოითხოვდნენ, რომ კანონის ახალი რედაქცია ზოგადად, მომავალში ნებისმიერ სამოქალაქო ომს შეხებოდა. მათი გავლენიანი ლიდერების, ჯერალდ ნაისა და არტურ ვანდერბერგის არგუმენტით, თუ მომავალში ამერიკის კონტინენტის რომელიმე ქვეყანაში დაიწყებოდა სამოქალაქო ომი, ვაშინგტონი ისეთსავე სიტუაციაში აღმოჩნდებოდა, როგორშიც ესპანეთის შემთხვევაში აღმოჩნდა.

1937 წლის შვიდ იანვარს სენატმა ერთხმად მიიღო ესპანეთში იარაღის ექსპორტის ამკრძალავი რეზოლუცია. წარმომადგენელთა პალატაში რეზოლუციას 411-მა კონგრესმენმა მისცა ხმა და მხოლოდ ერთი, ფერმერულ-მუშური პარტიის წარმომადგენელი ბერნარდი გამოვიდა რეზოლუციის წინააღმდეგ, რომელმაც მას „ნეიტრალიტეტის ფიქცია“ უწოდა. მისი განცხადებით, მაშინ, როდესაც „ფაშიზმი ღიად ძალადობდა ესპანეთში“, მისი კოლეგები ხმას აძლევდნენ ესპანეთის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ ემბარგოს. გერმანიასა და იტალიას თავისუფლად შეეძლოთ შეუზღუდავად შეეძინათ ნებისმიერი იარაღი ამერიკაში და შემდეგ იგი მეამბოხეებისათვის გადაეცათ. როგორც ადრე, არც ფრანკო იყო მუსოლინიზე ნაკლებად პათეტური რუზველტისადმი მადლობებში: „ისე იქცევა პრეზიდენტი რუზველტი, როგორც ნამდვილი ჯენტლმენი. ნეიტრალიტეტზე მისი კანონი და სისწრაფე, რომლითაც ის იყო მიღებული და

ცხოვრებაში გატარებული, ის ჟესტია, რომელსაც ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ“ (100).

ახლოვდებოდა 1937 წლის პირველი მაისი – ნეიტრალიტეტზე კანონის მოქმედების ვადა და კონგრესში 20 ახალი კანონპროექტი იყო შესული. 18 კონგრესმენის სახელით ითხოვდა ბერნარდი, რომ ნეიტრალიტეტზე კანონის მოქმედება გავრცელებულიყო გერმანიაზე, იტალიაზე და პორტუგალიაზე. მაკ რეინორდლის დამატება ითვალისწინებდა საბრძოლო მასალების გატანის უფლებას ყველასათვის, ვინც ნაღდ ფულს გადაიხდიდა და საკუთარი გემებით გაიტანდა ნაყიდს. შემდგომში ეს პრინციპი ცნობილი იყო ტერმინით - „გადაიხადე და წაიღე!“ ინიციატივის ავტორის აზრით, თუ ამერიკა საბრძოლო მასალას გაყიდდა ნაღდ ფულზე და შესყიდულის გატანა კი ამერიკის დროშით მცურავი გემებით არ მოხდებოდა, მინიმალური იქნებოდა ომში ჩართვის საფრთხე. ასეთ ვარიანტს უჭერდა მხარს ცნობილი იზოლაციონისტი ფიშიც. საინტერესო იყო იზოლაციონიზმის მდგრადი და გავლენიანი იდეოლოგის, სენატორ ნაის პოზიციის ტრანსფორმირება: მისი რეზოლუციის პროექტი უკვე დასაშვებად მიიჩნევდა ესპანეთის რესპუბლიკური მთავრობისათვის იარაღის მიყიდვას – მოქმედი კანონი აგრესიის მსხვერპლს თავდაცვის საშუალებას არ აძლევსო, აღიარებდა სენატორი.

აღსანიშნავია, რომ „გადაიხადე და წაიღეს“ რეალური ავტორი და იდეოლოგი, ცნობილი და გავლენიანი ფინანსისტი ბარუხი იყო, რომელიც მუდამ ეჭვით უყურებდა ნეიტრალიტეტის პრაქტიკას. მას აბსურდად მიაჩნდა აბსოლუტური ნეიტრალიტეტი. უნდა ითქვას, რომ კომერციის თვალსაზრისით, „გადაიხადე და წაიღემ“ მართლაც გაამართლა: 1937 წლის სავაჭრო ბალანსი 261 597 ათასი დოლარით გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით. რვაჯერ გაიზარდა სავაჭრო ბალანსი ერთ წელიწადში და მოგებამ 776084 ათასი დოლარი შეადგინა. უკანასკნელიდან გამომდინარე, წარმომადგენელთა პალატაში მომძლავრდა ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით პრეზიდენტის უფლებების გაზრდის მომხრეთა გავლენა. კონგრესმენ მაკ რეინორდლის კანონპროექტი ითვალისწინებდა პრეზიდენტის უფლებას დამოუკი-

დებლად განესაზღვრა, თუ რომელი კატეგორიის სამხედრო მასალის გაყიდვა იქნებოდა დასაშვები. სენატში კი, სადაც იზოლაციონისტების გავლენა ჭარბობდა, გაგონებაც არ სურდათ პრეზიდენტის უფლების ზრდაზე. სენატორი ვანდერბერგი, რომელიც მოგვიანებით, უკვე ტრუმენის ადმინისტრაციას უშრობდა სისხლს, კონგრესმენებს აფრთხილებდა, რომ ქვეყნის კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების უფლების ზრდა საკანონმდებლო ორგანოს უფლებათა ხარჯზე. თუ პრეზიდენტის სიტყვა იქნებოდა გადამწყვეტი „გადაიხადე და წაიღე" პრინციპის ამოქმედებისას, „პირველ ადგილზე პრეზიდენტი აღმოჩნდება, კონგრესი კი მეორეზე"-ო, აშინებდა იგი კონგრესმენებს. ორივე პალატაში გაჩაღებულ ცხარე დებატებში იზოლაციონისტები შიშს გამოთქვამდნენ, რომ ფართო უფლებებით აღჭურვილ პრეზიდენტს არ გაუჭირდებოდა ნეიტრალიტეტის დარღვევა. მათი რწმენით, არ შეიძლებოდა მხოლოდ პრეზიდენტის გადასაწყვეტი გამხდარიყო თუ ვინ იყო მსხვერპლი და ვინ აგრესორი. მხოლოდ კონგრესს უნდა მიეღო გადაწყვეტილება საგარეო პოლიტიკის ნებისმიერ აქტუალურ საკითხზე რათა ერთი ადამიანის მცდარი გადაწყვეტილებით ქვეყანა ომში ჩაბმული არ აღმოჩენილიყო. პრეზიდენტის უფლებების გაზრდის მომხრე ინტერნაციონალისტები, კომპრომისის სახით, თანახმა იყვნენ პრეზიდენტის უფლებამოსილება მხოლოდ ორი წლით გაზრდილიყო. წარმომადგენელთა პალატაში კენჭისყრისას, 393 დამსწრე კონგრესმენიდან, კანონპროექტს მხარი 276-მა დაუჭირა. გაცილებით ცხარე დებატები გაიმართა სენატში: იზოლაციონისტების ლიდერები ნაი, ვანდერბერგი და ბონე ისტორიასაც კი იშველიებდნენ არგუმენტად და კოლეგებს პირველი მსოფლიო ომის პრეცენდენტს ახსენებდნენ, როდესაც სწორედ დემოკრატმა პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა ჩართო ამერიკა ომში. საბოლოო ჯამში, იმავე დღეს, 1937 წლის 19 მარტს, როდესაც წარმომადგენელთა პალატამ, შესწორებებითა და დამატებებით, მაგრამ მაინც მიიღო მაკ რეინორდლის ბილი, სენატმა იგი უარყო. კონგრესის ორივე პალატის ზომიერმა წევრებმა თხოვნით მიმართეს პრეზიდენტს, რათა ეგებ საკუთარი ავტორიტეტით გამოეყ-

ვანა ჩიხიდან სიტუაცია. რუზველტმა, თავის მხრივ, სთხოვა გავლენიან სენატორებს კონგრესმენებთან შეეკერებინათ საკუთარი პოზიცია. ძალზედ კი გაჭირდა ვანდერბერბერგის პოზიციის „შეკერება“, რომელიც ჯიუტად ცდილობდა ყველას დარწმუნებას, რომ დაუშვებელი იყო კონგრესიდან აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში გადასულიყო საგარეო პოლიტიკის ბედი, მაგრამ მაინც მოიძებნა გამოსავალი და 30 აპრილს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ახალ კანონს. ძალაში იგი 1937 წლის 1 მაისს შევიდა.

ახალი კანონი პრეზიდენტს უფლებას აძლევდა პირადად განესაზღვრა საომარი მდგომარეობა, დაეწესებინა მეომარი მხარეებისათვის ემბარგო იარაღის შესყიდვაზე, ამერიკის პორტებში არ შეეშვა მეომარი მხარეების გემები, აემოქმედებინა პრინციპი „გადაიხადე და წაიღე“, განესაზღვრა საექსპორტოდ აკრძალულ სამხედრო მასალათა ნუსხა და ნეიტრალიტეტზე კანონი აემოქმედებინა სამოქალაქო ომის შემთხვევაში. მართალია, მაშინაც და შემდგომშიც რუზველტს ხშირად საყვედურობდნენ, რომ ესპანეთის რესპუბლიკის დასაცავად არ გამოიყენა ახლად მინიჭებული უფლებები, მაგრამ შორსმჭვრეტელმა და ფრთხილმა პრეზიდენტმა გადაწყვიტა სერიოზული გამაღიზიანებლის გარეშე ედროვებინა იზოლაციონისტებისათვის პრინციპული მარცხის მონელება. როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, ასევე უსამართლო იყო პოლიტიკური (ძირითადად საგარეოპოლიტიკური) ჟურნალისტიკის ამომავალი ვარსკვლავის, ლიპმანის გესლიანი რეპლიკა – „ის (ახალი კანონი – ს.ც.) დიდებულად იმუშავებს, თუ არასოდეს არ მოგვიწევს მისი ამოქმედება“-ო. გავა სულ 2-3 წელი და რუზველტი არა მხოლოდ მთელი ძალიდ „აამოქმედებს“ ხსენებულ კანონს, არამედ სწორედ მას გამოიყენებს იზოლაციონისტების მიერ წლების მანძილზე რუდუნებით ნაგები ჯებირების დასანგრევად. მანამდე კი პრეზიდენტი, ევროპელი ფაშისტების „დახმარებით“, ზომიერი სიფრთხილითა და ზედმეტი ხმაურის გარეშე, ეტაპობრივად ამზადებდა საკუთარ ელიტასა და ხალხს იზოლაციონიზმის ბორკილებიდან განთავისუფლებისათვის. ზუსტად იყო რა ინფორმირებული ევროპაში მიმდინარე პროცესებზე, რუზველტს ეჭვი არ ეპარე-

ბოდა, რომ პერმანენტულ რეჟიმში იყო გადასული ჰიტლერის ექსპანსიონიზმი და ოსტატურად ცდილობდა საკუთარი იზოლაციონისტების პოზიციებზე იერიშისათვის გამოეყენებინა ფიურერის ყოველი ნაბიჯი. ასე მოჰყვა ავსტრიის ანშლიუსს დემოკრატ სენატორ კინგის მიერ ინიცირებული ბილი ნეიტრალიტეტზე კანონის გაუქმებაზე. ძნელი იყო კინგთან შედავება, როდესაც ის ამტკიცებდა, რომ აგრესორებს ხელს აძლევდა ნეიტრალიტეტზე კანონი და დაუცველად ტოვებდა პატარა ქვეყნებს. ნეიტრალიტეტის შესახებ არსებული კანონმდებლობის რადიკალური გადასინჯვა მოითხოვა კონგრესმენმა სკოტმაც. გელაპის ინსტიტუტის მონაცემებით, იზოლაციონისტების მთავარ დასაყრდენ შტატებში – მინესოტაში, ვისკონსინში, აიოვაში, კანზასში, ნებრასკაში, მისურიში, დაკოტაში გაქრა ევროპის მოვლენებისადმი გულგრილი დამოკიდებულება. ამერიკის ნებისმიერ პრეზიდენტს საზოგადოებრივი აზრისადმი ყურადღება ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი და გამონაკლისი არც რუზველტი და მისი ადმინისტრაცია არ ყოფილა. რაც უფრო მეტ დაინტერესებას ავლენდნენ რიგითი ამერიკელები ევროპაში განვითარებული მოვლენებისადმი, მით უფრო აქტიური ხდებოდა ამერიკული დიპლომატიის ევროპული ვექტორი და თეთრი სახლისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველი განცხადება და დიპლომატიური აქცია იზოლაციონისტების საკანონმდებლო ციხე-სიმაგრეს თითო აგურს აცლიდა.

თავის მხრივ, არც გერმანიის დიქტატორი აკლებდა მცდელობებს, რათა ოკეანეს გაღმა შეშფოთების რაც შეიძლებოდა მეტი საბაბი და მიზეზი ჰქონოდათ. ბერლინის ხანგრძლივ და მოკლე ვადიან გეგმებზე ზუსტი ინფორმაციით ამარაგებდა ვაშინგტონს საფრანგეთიდან ელჩი ბულიტი, რომელმაც (ცხადია, პრეზიდენტის დავალებით) 1937 წლის ბოლოს პოლონეთსა და გერმანიაში იმოგზაურა. გერინგმა მას გულახდილად გაანდო უკვე მიღებული გადაწყვეტილება – სუდეტელი გერმანელები, ისევე როგორც სხვა მოსაზღვრე ქვეყნებში მცხოვრები გერმანელები, დედა-სამშობლოს უნდა დაუბრუნდნენ. ბულიტის დაკვირვებით, ჰიტლერის „მენიუს“ შემდეგი კერძი ჩეხოსლოვაკია უნდა ყოფილიყო. მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარე-

ბის საშიშროებას სხვაზე მეტად ჩეხები გრძნობდნენ. მათთვის ისიც იყო ცნობილი, რომ პრაღის არც ერთი მოკავშირე არ აპირებდა მათ დასაცავად გერმანიასთან სერიოზულ დაპირისპირებას. უიმედო მდგომარეობაში აღმოჩენილმა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ბენეშმა ვაშინგტონშიც კი სცადა ბედი და ამერიკის დიპლომატიურ წრეებში თავისი გავლენით ცნობილ ჩეხ დიპლომატ ჰერბანს სახელმწიფო დეპარტამენტში ნიადაგის მოსინჯვა დაავალა. 1938 წლის 14 მარტს ჰერბანს სახელმწიფო მდივნის მოადგილე უოლესთან ჰქონდა უშედეგო შეხვედრა. ამერიკის პოლიტიკას განსაზღვრავდა და დღესაც განსაზღვრავს ევროპის საქმეებში ჩაურევლობაო – ასეთი იყო ოფიციალური ვაშინგტონის პასუხი. დიახ, წინა წლებთან შედარებით, 1938 წლისათვის, ამერიკა კარგა გვარიანად იყო დაშორებული ნეიტრალიტეტის კურსს და ხსენებული შეხვედრიდან სულ რაღაც ოთხი თვის შემდეგ ყველას გასაგონად განაცხადა კანადაში ვიზიტის დროს რუზველტმა - ამერიკა „უსაქმური მაყურებლის“ როლში არ დარჩება თუ საფრთხე ამერიკის კონტინენტს დაემუქრებაო, მაგრამ იმ კონკრეტულ მომენტში ხომ ამერიკის კონტინენტს კი არა, მხოლოდ შორეული ევროპის ერთ პატარა ქვეყანას ემუქრებოდა საფრთხე. როდესაც ამერიკის სახელმწიფო მდივანს მემუარების წერის ჟამი დაუდგა, იმით იმართლებდა თავს, რომ ვაშინგტონის მხრიდან ჩეხოსლოვაკიის დასაცავად გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს იზოლაციონისტების გაცოფება მოჰყვებოდა და ეს უკვე ევროპის საშინაო საქმეებში ჩარევად შეფასდებოდაო (101).

ამერიკელებზე რომ არაფერი ვთქვათ, ევროპელი დემოკრატების მხრიდან პოლიტიკური ნების გამოვლენის პირობებში, დაუძლეველ პრობლემად არ იქცეოდა ჰიტლერის შეჩერება, მაგრამ პრობლემაც სწორედ ის იყო, რომ ევროპაში დღისით – მზისით, სანთლითაც არ მოიძებნებოდა პოლიტიკური ნება, რითაც ერთი მეორეზე მიყოლებით სარგებლობდა ბერლინი. რუზველტს კი, ოკეანეს გაღმა სარისკო პარტიის წამოწყების არც სურვილი და არც შესაძლებლობა არ გააჩნდა. მეორე მხრივ კი, თუ ვისმეს ესმოდა ფაშიზმის საფრთხის გლობალური ხასიათი, ერთ-ერთი პირველი ამერიკის პრეზიდენტი იყო. მან

ამჯერადაც ოსტატურად გამოიყენა ანექსიონიზმის სინდრომს გადაყოლილი „დამთხვეული ეფრეიტორის“ მორიგი ავანტურა; 1939 წლის იანვარში, როგორც კი 76-ე მოწვევის კონგრესი მუშაობას შეუდგა, დღის წესრიგში შეიტანა ნეიტრალიტეტზე კანონის გადასინჯვის საკითხი. ზუსტი იყო პრეზიდენტის გათვლა: ამერიკელები ნამდვილად არ დაუჭერდნენ მხარს აუტკივარი თავის ატკივების რისკს შორეული, მათთვის მართლაც უცნობი ქვეყნისათვის, მაგრამ ზოგადად აგრესიისა და აგრესორის ხელის შემწყობი (როგორც პრეზიდენტი ამბობდა) კანონის რევიზია მათთვის მისაღები უნდა ყოფილიყო. კონგრესში გამართული დებატები კი იმაზე მეტყველებდა, რომ მიუხედავად ევროპაში ვითარების გამწვავებისა, იზოლაციონისტებს აზრად არ ჰქონდათ ბრძოლის გარეშე დაეთმოთ პოზიციები. რუზველტს კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპის ერთგულებასა და ერთა ლიგასთან თანამშრომლობაშიც კი სდებდნენ ბრალს. არც ამჯერად იგრძნობოდა რეზოლუციის პროექტის მოწინააღმდეგეთა სიმცირე. 1939 წლის 18 აპრილს, კონგრესმენმა ფიშმა უკანასკნელი კოზირის კარტი „ისროლა“ – ამერიკის დემოკრატიის მამების – ვაშინგტონის, ჯეფერსონის, მონროს, ედისონის პრინციპებისადმი ერთგულებისაკენ მოუწოდა კოლეგებს: ისინი ხომ ნეიტრალიტეტისა და ქვეყნის გარეთ კონფლიქტებში ჩაურევლობის მომხრენი იყვნენ. მთავარ საფრთხედ ისევ და ისევ პრეზიდენტის უფლებების ზრდა სახელდებოდა, რასაც იმავე ფიშის მტკიცებით, „ომი, დიქტატურა და კომუნიზმი“ უნდა მოჰყოლოდა.

ფიშის ხელმძღვანელობითვე შეიქმნა კომიტეტი – „შევინარჩუნოთ ამერიკა ომის მიღმა“, სადაც 50 მოქმედი და ყოფილი კონგრესმენი გაწევრიანდა. ნეიტრალიტეტის აქტიური მომხრე და გერმანიის, იტალიისა და იაპონიის წინააღმდეგ ნებისმიერი სანქციის პრინციპული მოწინააღმდეგე იყო ყოფილი პრეზიდენტი ჰუვერი. ამავე დროს, ევროპაში ფაშიზმის გააქტიურებამ აიძულა იზოლაციონისტთა ნაწილი სხვა თვალით აღექვათ „ევროპული საფრთხის“ გეოგრაფიული საზღვრები, მაგრამ ფუნდამენტალისტი და ტრანსფორმირებული იზოლაციონისტებისთვისაც ერთნაირად იყო მიუღებელი აღმასრულებელი ხელისუფლების შემდგომი გაძლიერების იდეა.

დებატების შედეგი ის იყო, რომ რეზოლუციის მხარდამჭერი ხმების რაოდენობა არასაკმარისი აღმოჩნდა ოვალური კაბინეტისათვის სასურველი გადაწყვეტილების მისაღებად. ადმინისტრაცია სენატის თანხმობით დაკმაყოფილდა, რომ კვლავ განხილულიყო ნეიტრალიტეტის კანონი კანგრესის შემდგომ სესიაზე. ჯერ კიდევ დებატების პერიოდში იტყობინებოდა პარიზიდან ბულიტი, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების აზრით, ჰიტლერი აუცილებლად დაიწყებდა ომს ევროპაში თუ მის მოწინააღმდეგეებს ამერიკიდან იარაღის მიღების შესაძლებლობა არ ექნებოდათ. ანალოგიური ხასიათის გაფრთხილებებს ღებულობდა ვაშინგტონი ბრიუსელიდანაც, სადაც ელჩი დევისი გაღიზიანებას ვერ მალავდა კონგრესის პოზიციის გამო, რაც „აგრესორთა გეგმების გადამწყვეტი ფაქტორი შეიძლება გახდეს“-ო.

1939 წლის 7 სექტემბერს, ომის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ, რუზველტმა ოფიციალურად გამოთქვა იმედი, რომ უახლოეს მომავალში მოწვეული იქნებოდა კონგრესის საგანგებო სესია, რომელიც ნეიტრალიტეტზე კანონს მიუბრუნდებოდა. ადმინისტრაცია თანახმა იყო შენარჩუნებულიყო პრინციპი „გადაიხადე და წაიღე“, თუ გაუქმდებოდა ემბარგო იარაღის ექსპორტზე.

21 სექტემბერს მუშაობა დაიწყო კონგრესის რიგგარეშე სესიამ. პრეზიდენტმა კატეგორიულად მოითხოვა მეომარ ქვეყნებში იარაღის გატანაზე ემბარგოს გაუქმება. მისი ღრმა რწმენით, მხოლოდ ასე შეიძლებოდა ამერიკა „ომის მიღმა“ დარჩენილიყო. აშკარად ცუღლუტობდა (თუ არ ცრუობდა) ქვეყნის პრეზიდენტი – გულუბრყვილონი არც იზოლაციონისტები იყვნენ. მათ არ სჯეროდათ პრეზიდენტის და სწამდათ, რომ ემბარგოს გაუქმების მთავარი მიზანი ინგლისისა და საფრანგეთისადმი დახმარება იყო, ეს კი ომში ჩარევად აღიქმებოდა. იზოლაციონისტებმა კიდევ ერთი ახალი ორგანიზაცია დააფუძნეს - „მშვიდობის ბლოკი“ და შეეცადნენ მაქსიმალურად გაესაჯაროებინად კონგრესის მუშაობა. ბლოკის აქტივისტები რადიოსა და პრესას იყენებდნენ ფარად და შედეგმაც არ დააყოვნა: ყოველდღე ათასობით წერილს ღებულობდა კონგრესი ევროპის ომში ჩაურევლობის მო-

თხოვნით. იზოლაციონისტურ კამპანიაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამერიკაში ღიად მოქმედი გერმანული საზოგადოებრივი კავშირები და გაერთიანებები. როგორც საჯაროდ აცხადებდა ერთი კონგრესმენი, მან ორი ათასამდე წერილი მიიღო და აქედან მხოლოდ 17 იყო ადმინისტრაციის მხარდამჭერი.

არც აქტიური საგარეო პოლიტიკური კურსის მომხრეები ისხდნენ გულხელდაკრეფილები: რუზველტის მომხრეები მწვავე პოლიტიკურ და საინფორმაციო ბრძოლაში თანდათანობით აძლიერებდნენ საკუთარ პოზიციებს. გელაპის ინსტიტუტის მონაცემებით, 1939 წლის გაზაფხულზე ამერიკელთა 43 პროცენტი უჭერდა მხარს იარაღის ექსპორტზე ემბარგოს გაუქმებას და 57 პროცენტი იყო წინააღმდეგი, სექტემბრის მონაცემებით კი, მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა რაოდენობა გათანაბრდა. გააფთრებული ენერგიით იბრძოდა პირადად პრეზიდენტიც: თითქმის ყოველდღე ესაუბრებოდა ოფიციალურად და არაოფიციალურად ორივე პარტიის წამომადგენელ კანონმდებლებს. სექტემბრის დამლევს კენჭისყრა ჩატარდა სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტში. ემბარგოს გაუქმებას მხარი დაუჭირა 16-მა სენატორმა 7-ის წინააღმდეგ. ეს უკვე პირველი სერიოზული გამარჯვება იყო. 2 ოქტომბერს სენატში კანონპროექტის განხილვა დაიწყო. კომიტეტში მარცხის მიუხედავად, იზოლაციონისტები უკანასკნელ მომენტამდე თავგანწირვით იცავდნენ ემბარგოსა და ნეიტრალიტეტს, თუმცა მათ რიგებში ბველი ერთობა აღარ იყო: ბევრი გუშინდელი მათი მომხრე უკვე მხარს ღიად უჭერდა ემბარგოს გაუქმებას. კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა პრინციპიც „გადაიხადე და წაიღე“. საქმე ის იყო, რომ ემბარგოს გაუქმების შემთხვევაში, როდესაც მკვეთრად გაიზრდებოდა ამერიკიდან იარაღის ექსპორტი მხოლოდ უცხოეთის გემებით, ქვეყნის სავაჭრო ფლოტის დიდი ნაწილი და ათი ათასი ამერიკელი მეზღვაური თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ამის თაობაზე პრეზიდენტს საგანგებოდ მიმართა ნიუ-იორკის „საზღვაო ასოციაციამ“, სადაც ნათქვამი იყო, რომ თუ ამერიკის გემებს უფლება არ მიეცემოდათ მათაც გაეტანად გაყიდული იარაღი, ამას „დამღუპველი შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა ქვეყნის ეკონომიკისათვის“.

1939 წლის 27 ოქტომბერს, სენატმა ემბარგოს გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო. რეზოლუციას ხმა 63-მა სენატორმა მისცა. სირთულეები წარმოიშვა წარმომადგენელთა პალატაში, სადაც იზოლაციონისტები იარაღს არ ყრიდნენ. გერმანელ ჟურნალისტთან საუბარში მათი ლიდერი ფიში აცხადებდა, რომ დანციგი და სხვა ტერიტორიები ომის გარეშეც უნდა მიეღო გერმანიას, ვინაიდან ვერსალის ზავი უსამართლო იყო, ხოლო ჰიტლერის მოთხოვნები კი სამართლიანიაო. როდესაც კენჭისყრაზე დადგა საკითხი, ემბარგოს გაუქმებას მხარი დაუჭირა 243-მა კონგრესმენმა, წინააღმდეგი იყო 122. 1939 წლის ოთხ ნოემბერს რუზველტმა ხელი მოაწერა კანონს იარაღის გაყიდვაზე ემბარგოს გაუქმებაზე და გამოაქვეყნა საომარი ზონების განმსაზღვრელი დეკლარაცია. ამერიკის გემებს შესვლა ეკრძალებოდათ ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვებში, აგრეთვე ლა-ლანშსა და ინგლისის სანაპიროებში. არ იზღუდებოდა ინდოეთისა და წყნარი ოკეანის პორტებში შესვლა, თუ გემებზე იარაღი არ იქნებოდა. ასევე თავისუფლად შეიძლებოდა შესვლა ხმელთაშუა და შავი ზღვის ნეიტრალური ქვეყნების პორტებში. იარაღის ამერიკელ ექსპორტიორებს თავისუფლად შეეძლოდ იარაღის მიყიდვა მეომარი ქვეყნებისათვის პირობით, რომ დაცული იქნებოდა პრინციპი „იყიდე და წაიღე“.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ძალაში რჩებოდა ნეიტრალიტეტზე კანონი, იარაღის ექსპორტზე ემბარგოს გაუქმებით რუზველტმა ფაქტიურად უარყო ქვეტყნის ნეიტრალიტეტი და რაც მთავარი იყო იურიდიული საფუძველი შექმნა ფაშიზმთან მეომარ ქვეყნებთან სამხედრო თანამშრომლობისათვის.

რაც უფრო ფართო მასშტაბებს ღებულობდა მეორე მსოფლიო ომი, მით უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკა მსოფლიო რეალობებს ვეღარ პასუხობდა. ამას პრეზიდენტი ხვდებოდა და ადმინისტრაცია უკვე მუშაობდა მისი უშუალო ხელმძღვანელობით ახალ დიპლომატიურ პროექტზე, რომელიც ისტორიაში ლენდ-ლიზის სახელწოდებით შევიდა. ნოვაციის არსი, რომელსაც მომენტის სპეციფიურობისა და ვაშინგტონის ისტებლიშმენტის განწყობის გათვალისწინებით, რევოლუციურიც შეიძლება ეწოდოს, იმა-

ში მდგომარეობდა, რომ ამერიკა შეიარაღებით, სტრატეგიული ნედლეულითა და სურსათით მოამარაგებდა ფაშიზმთან მებრძოლ ქვეყნებს. პრეზიდენტი თავად განსაზღვრავდა იმ ქვეყნებს, რომელთა დამოუკიდებლობის შენარჩუნებასაც „სასიცოცხლო მნიშვნელობა“ ენიჭებოდა ამერიკის უსაფრთხოების თვალსაზრისით. ფორმალურად პროგრამის მთავარი მიზანი იყო ანტიფაშისტური ძალების გაძლიერება, რასაც ომში ამერიკის ჩართვის საჭიროება უნდა გამოერიცხა.

როგორც კი 1941 წლის 10 ივნისს კონგრესი ლენდ-ლიზის კანონპროექტის განხილვას შეუდგა, სრული მასშტაბით გამოვლინდა იმ მორიგი ბარიერის სირთულე, რომლის გადალახვაც მოუწევდა პრეზიდენტსა და მის ადმინისტრაციას. პრეზიდენტის ტრადიციულ მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ ამერიკა „დემოკრატიის არსენალად“ უნდა ქცეულიყო. რუზველტი პირობას დებდა, რომ ის კონგრესს საქველმოქმედო პროგრამას არ სთავაზობდა: „დახმარების საფასურს ომის შემდეგ მივიღებთ ჩვენთვის საჭირო საქონლის სახითო“ – აცხადებდა რუზველტი. პასუხგაუცემელ კითხვად დარჩა პრეზიდენტის გულწრფელობა. სჯეროდა კი ანგარიშიანი და პტაგმატული ამერიკელების ლიდერს, რომ ბევრწილად მართლაც გიგანტურ ქველმოქმედებაზე დასტურს არ ითხოვდა კანონმდებლებისაგან? დღეს მხოლოდ იმის საფუძვლიანი მტკიცებაა შესაძლებელი, რომ რეალობის ადეკვატური აღქმით ცნობილ დიდ პოლიტიკოსს მტკიცედ სწამდა, რომ ჰიტლერი მის ქვეყანასაც უქმნიდა სასიკვდილო საფრთხეს და საკუთარი მტრის მტრების დახმარება მისივე ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა.

როგორც ადრე, იზოლაციონისტების სამიზნე ამჯერადაც პრეზიდენტის უფლებების ზრდა იქცა. მათი ურყევი რწმენით, დახმარების დიდი ნაწილის ადრესატად პრეზიდენტი ინგლისს ვარაუდობდა, რასაც ომში ამერიკის მონაწილეობა მოჰყვებოდა. კანონპროექტს, რომელიც სიმბოლური ნომრით 1776-ით იყო დარეგისტრირებული, ადმინისტრაციის წამომადგენლები ენერგიულად იცავდნენ – სახელმწიფო მდივანი ჰილი, ფინანსთა მინისტრი მორგენტაუ, სამხედრო მინისტრი სტომსონი, საზღვაო მინისტრი ნოქსი. თავისი არგუმენ-

ტების საფუძველზე უკანასკნელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ინგლისის დამარცხება მონროს დოქტრინასაც მოუღებდა ბოლოს.

1941 წლის იანვარში, როდესაც მესამედ დაიკავა რუზველტმა ოვალური კაბინეტი, ამერიკელებისადმი მიმართვაში მან პირდაპირ განაცხადა, რომ ქვეყანა ჯერ არნახული საშიშროების წინაშე იდგა: „ჯორჯ ვაშინგტონის დროს ამერიკელებს ერი („ნაცია“) უნდა შეექმნათ და ეს იყო მთავარი ამოცანაო, აბრაამ ლინკოლნის დროს კი ერის მთლიანობის შენარჩუნება იყოო მთავარი ამოცანა, ახლა კი ერისა და მისი ინსტიტუტების გადარჩენაა მთავარი ამოცანაო“ – უხსნიდა პრეზიდენტი ამერიკელებს და მათ „სულისა და რწმენის მობილიზაციისაკენ“ მოუწოდებდა. იგი კონგრესს „გადაახტა“ (რაც შემდეგაც არა ერთხელ გაუკეთებია) და უშუალოდ ხალხს სთხოვა მხარში დგომა.

1941 წლის რვა თებერვალს წარმომადგენელთა პალატამ 260 ხმით 165-ის წინააღმდეგ მოიწონა კანონპროექტი უმნიშვნელო შესწორებებით. მომხრეთა შორის იყო 236 დემოკრატი და 26 რესპუბლიკელი, მოწინააღმდეგეთა შორის 135 რესპუბლიკელი და 25 დემოკრატი. როგორც ვხედავთ, ჩვენში ძვალ-რბილში გამჯდარი „პარტიული სოლიდარობა“ ამერიკელი კანონმდებლების ბიბლიად არასოდეს არ ქცეულა. ისიც საინტერესოა, რომ როგორც ლენდ-ლიზის ბევრი მოწინააღმდეგე კონგრესმენი აცხადებდა, მათთვის პირველ რიგში, ერთი პიროვნების ხელში (კონკრეტულად პრეზიდენტის) უპრეცედენტო უფლებების კონცენტრაცია იყო მიუღებელი. მართლაც, ქვეყნის ისტორიაში არც ერთ პრეზიდენტს არ ჰქონია ისეთი უფლებები, რუზველტი რომ ითხოვდა და ღებულობდა. საერთოდ კი ისიც ფაქტი იყო, რომ 1799 წლიდან მოყოლებული, 85-ჯერ გაგზავნეს პრეზიდენტებმა უცხოეთში, ომის გამოუცხადებლად, ამერიკის ჯარი და სამხედრო ფლოტი კონგრესის თანხმობის გარეშე.

სენატში 1941 წლის რვა მარტს გაიმართა ლენდ-ლიზზე კენჭისყრა: 60 მომხრე და 31 წინააღმდეგი. აქაც ორივე პარტიის წარმომადგენლები იყვნენ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. 11 მარტს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს. მას უფლება ეძლეოდა მილიარდ 300 მლნ დოლარის ღირებულების იარაღი მიეწოდებინა ფაშიზმ-

თან მეომარი სახელმწიფოებისათვის. საწყის ეტაპზე კანონის მოქმედება მხოლოდ ინგლისსა და საბერძნეთზე ვრცელდებოდა. მართალია, აღნიშნული თანხის გადაჭარბების შემთხვევაში კონგრესის ნებართვა (ანუ ახალი დებატები) იქნებოდა საჭირო, მაგრამ 15 მარტს თეთრ სახლში ერთ-ერთ შეხვედრაზე, პრეზიდენტმა კერძო საუბარში აღნიშნა, რომ ასიგნება შვიდ მილიარდამდე გაიზრდებოდა. ახალი კანონის ცხოვრებაში გატარება რუზველტმა თავის უერთგულეს თანამოზრესა და პირად მეგობარს ჰარი ჰოპკინსს დააკისრა. ლენდ-ლიზზე კანონი იქცა ამერიკული იზოლაციონიზმისა და ნეიტრალიტეტის ეპიტაფიად. როგორც სამართლიანად წერს წიგნში „რუზველტი და ჰოპკინსი“, ამერიკელი ჟურნალისტი შერვუდი, „არჩევნებში რუზველტმა 27 მილიონზე მეტი ამერიკელის ხმა მიიღო და კონგრესის წევრებმა საკუთარ თავს ამ ფაქტის იგნორირების უფლება ვერ მისცეს“ (102).

ლენდ-ლიზის შეფასებაში არც გერმანელები შემცდარან – მათი პასუხი იყო წყალქვეშა ომი ამერიკის სამოქალაქო ფლოტის წინააღმდეგ. მოკლე ხანში ნაცისტთა წყალქვეშა ნავების მსხვერპლად იქცნენ ამერიკული ლაინერები: „კირნი“, „დუბინ ჯეიმსი“, „ბოლდ ვერჩერი“, „ლიკაი“, „ტიგლი“ და სხვები. რუზველტმა არაორაზროვნად დააფიქსირა ამერიკის პოზიცია – „ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ გერმანიის გეგმებს მსოფლიო ბატონობაზე“-ო. ამერიკაში მკვეთრად შეიზღუდა რეიხის დიპლომატიური, საზოგადოებრივი და ფინანსური წრეების საქმიანობა. იზოლაციონისტებმა ადმინისტრაციის ნაბიჯები ომში ჩართვის“ პროპაგანდისტულ სამზადისად“ მონათლეს, მაგრამ მათი ძალისა და ავტორიტეტის დრო უკვე წასული იყო. საგანგებო დეკლარაციით პრეზიდენტმა შეზღუდული საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რაც ეროვნული თავდაცვის გაძლიერებასაც ითვალისწინებდა. ადმინისტრაცია კონგრესისა და ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილი ნეიტრალიტეტის რუდიმენტების სრული იგნორირებით ზრდიდა კრიტიკულ სიტუაციაში მყოფი ინგლისისადმი დახმარებას, რის კლასიკურ მაგალითად იქცა 50 ვითომდა მოძველებული საესკადრო ნაღმოსნის გადაცემა სამხედრო ბაზებისათვის საჭირო ტე-

რიტორიების სანაცვლოდ. „ჩეინჯის“ მთელი ეშხი კი ის იყო, რომ არც ერთი ნაღმოსანი არ ყოფილა მოძველებული, ხოლო ბაზებისათვის „საჭირო“ ტერიტორიები კი პენტაგონს დიდად არ სჭირდებოდა.

1941 წლის ოქტომბერში ადმინისტრაციამ კონგრესს ნეიტრალიტეტზე კანონის უკვე არსებითი გადასინჯვა (ფაქტიურად გაუქმება) მოსთხოვა. პირველ რიგში პრეზიდენტი 1939 წლის ოთხი ნოემბრის კანონის მეექვსე მუხლის გაუქმებას ითხოვდა, რომელიც ამერიკის სავაჭრო ფლოტის შეიარაღებას კრძალავდა. ამ დროისათვის უკვე ისე კარდინალურად იყო შეცვლილი სიტუაცია, რომ პრეზიდენტის ინიციატივას ოფიციალურად დაუჭირა მხარი რესპუბლიკური პარტიის ასმა ცნობილმა წევრმა 40 შტატიდან და 1940 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელების კანდიდატმა უილკიმაც კი. ისინი კონგრესს მოუწოდებდნენ საერთოდ გაეუქმებინა ნეიტრალიტეტის კანონი როგორც ანაქრონიზმი. მიუხედავად ამისა, კონგრესმენი რესპუბლიკელები არ იყვნენ ერთსულოვნად განწყობილნი ნეიტრალიტეტის საწინააღმდეგოდ: „100 რესპუბლიკელი ვერ განსაზღვრავს 20 მლნ. მხარდამჭერის განწყობასო“ – ასეთი იყო რესპუბლიკელი კანონმდებლების პასუხი. ძველმა იზოლაციონისტმა, სენატორმა ვანდერბერგმა ოპერატიულად მოიშველია გელაპის ინსტიტუტის მონაცემები, რომლის მიხედვითაც გამოკითხულთა 64 პროცენტს ინგლისის გამარჯვება სურდა, მაგრამ სტუდენტთა 92 პროცენტი ომში ამერიკის ჩართვის პერსპექტივას ეწინააღმდეგებოდა. უკვე ტრადიციად ქცეული ცხარე დებატების შემდეგ, მაინც იქნა მიღებული ერთობლივი რეზოლუცია, რომელიც აუქმებდა ნეიტრალიტეტზე კანონის მეორე, მესამე და მეექვსე მუხლებს: სავაჭრო ფლოტი შეიძლებოდა შეიარაღებული ყოფილიყო და სამხედრო მოქმედებათა ზონაში ეცურა. საინტერესოა, რომ 1941 წლის ნოემბერშიც კი, იზოლაციონისტებმა მხოლოდ 18 ხმით წააგეს ბრძოლა. ზედა პალატაში კი, სენატორთა მხოლოდ ნახევარმა დაუჭირა მხარი ადმინისტრაციას. „როდესაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ხმაშეწყობილი მოქმედებს, ეს სიკეთის მომტანი ვერ იქნებაო“ – აღშფოთებულმა დაასკვნა ერთ-ერთმა იზოლაციონისტმა.

რასაკვირველია, XX საუკუნის 40-იან წლებში უკვე დრომოჭმული იყო დიდ სახელმწიფოთა ნეიტრალიტეტის იდეა და ნეიტრალიტეტზე არსებული კანონები. ამერიკის ეროვნული ინტერესები მოითხოვდა კრეატიულ გადაწყვეტილებებს, მაგრამ რუზველტის დამსახურება იყო, რომ შედარებით მოკლე პერიოდში, უკიდურესად მწვავე საპარლამენტო პაექრობებში, დემოკრატიული ნორმების სრული დაცვით მოახერხა აბსოლუტურად იზოლაციონისტურად განწყობილი ელექტორატისა და მისი წამომადგენლების დარწმუნება ალტერნატიული კურსის აუცილებლობაში. თანაბარ პირობებში მიმდინარეობდა ბრძოლა კონგრესის კედლებშიც და მის გარეთაც. მხოლოდ ის თუ ჩაითვლებოდა „ადმინისტრაციულ რესურსად“, რომ რუზველტი საკუთარი მაღალი ავტორიტეტით ცდილობდა დაეწმუნებინა (და არა აეძულებინა) ოპონენტები ხმა მიეცათ მისი კანონპროექტებისათვის. ამიტომაცაა, რომ რუზველტის თითქმის ყველა დასავლელი (და არამც და არამც საბჭოთა) თუ პოსტსაბჭოთა რუსი ბიოგრაფი, მის ხანგრძლივ პოლიტიკურ კარიერაში განსაკუთრებით გამოყოფს იზოლაციონიზმთან ბრძოლის პერიოდს როგორც ლიდერის მიერ საკუთარი ხალხის პოლიტიკური კულტურის ტრანსფორმაციის გასაოცარ მაგალითს.

შეიძლება სწორედ იზოლაციონიზმზე გამარჯვებით გაუწია პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა ყველაზე დიდი სამსახური ამერიკელებსა და ამერიკას.



საბჭოთა არმიის ნაწილების შესვლა
ირანის ქალაქ თავრიზში.
1941 წლის 30 აგვისტო

თავი მეჩვიდმეტე
რთული პარტნიორობა. „ცივი ომის“ პირველი სუსხი

მართალია, იზოლაციონიზმთან საკანონმდებლო ბრძოლის პერიოდში რუზველტის მთავარი ამოცანა იყო ხელ-ფეხი გახსნოდა ინგლისის დასახმარებლად, რომელიც მთელი წელი იყო მასზე ძლიერ მტერთან პირისპირ მარტო დარჩენილი, მაგრამ დემოკრატიისათვის არა ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენდა იაპონიის აგრესია ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამიტომ ვაშინგტონის მიერ დაწესებული სანქციები გერმანიასა და იტალიასთან ერთად (შეიძლება მეტადაც) იაპონიასაც წვდებოდა. ნავთობით, რკინის მადნითა და სხვა სტრატეგიული ნედლეულით ღარიბი იაპონია სხვაზე მეტად განი-

ცდიდა სანქციების სიმწვავეს, რასაც ზედ დაერთო მისი აქტივების გაყინვა ამერიკაში და ვაშინგტონის უარი ჯერ კიდევ 1911 წელს ამერიკის ინიციატივით გაფორმებული ხელშეკრულების გაგრძელებაზე.

1941 წლის 17 აგვისტოს რუზველტმა ოფიციალურად თქვა უარი იპონიის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე, რასაც დაჟინებით ითხოვდა ტოკიო. ერთ-ერთი მიზეზი კი ის იყო, რომ ერთი თვით ადრე იაპონიამ საფრანგეთის ინდოჩინეთში შეიყვანა ჯარი. როდესაც 1941 წლის 15 ნოემბერს, ახალი ხელშეკრულების პროექტით ვაშინგტონში ჩასულმა იაპონიის ახალმა ელჩმა საბურო კურუსუმ პრეზიდენტ რუზველტთან შეხვედრა ითხოვა, მას ოფიციალურად უთხრეს აუდიენციაზე უარი, ხოლო ათი დღის შემდეგ სახელმწიფო მდივანმა ელჩს შემხვედრი წინადადებები გააცნო – ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისა და ორმხრივი ვაჭრობის აღდგენისათვის აუცილებელი პირობა იყო იაპონიის ჯარების გაყვანა ჩინეთიდან და ინდოჩინეთიდან. საინტერესოა, რომ აგრესიის შეწყვეტის მოთხოვნა, რასაც რამდენიმე წლის წინ იაპონიისაგან ითხოვდა ერთა ლიგაც, თანამედროვე რუსულ ისტორიულ ლიტერატურაში ამერიკის მიერ მსოფლიოზე ბატონობის პრეტენზიადაა შეფასებული (103). რუსი ისტორიკოსების მტკიცებით, იაპონიას არ შეეძლო „სახის დაკარგვა“ და „აშშ-ის კოლონიად ქცევა“ და ამიტომ გახდა იძულებული ომზე შეეჩერებინა არჩევანი.

მას შემდეგ, რაც ომში ჩართული აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატები თავისი გრანდიოზული რესურსით, პრაქტიკულად გამარჯვების ნულოვანი შანსი რჩებოდათ „ღერძის“ ქვეყნებს და დროის საკითხადღა იქცა ანტიფაშისტური კოალიციის გამარჯვება. წმინდა სამხედრო-ოპერატიული თვალსაზრისით, მეორე ანტიგერმანული კოალიცია (თუ პირველად 1914-1918 წლებს ჩავთვლით) იმითაც იყო უნიკალური, რომ ომის დასკვნით ეტაპამდე, მოკავშირეთა გენერალურ შტაბებს შორის სამხედრო მოქმედებების თითქმის არანაირი კოორდინაცია არ არსებობდა. როგორც წესი, სტალინი მხოლოდ სერიოზულ მარცხებსა და წარმატებებზე აწვდიდა ლაკონურ ცნობებს ვაშინგტონსა და ლონდონს და სულ უფრო და უფრო მეტ დახმარებას

თხოულობდა, რაც ბუნებრივი იყო წითელი არმიის როლის გათვალისწინებით. ომი ისე დასრულდა, რომ ყველაზე კრიტიკულ დღეებშიც კი ვერ მოხერხდა უნდობლობის დაძლევა. ამ თვალსაზრისით, სიტუაციურ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს, ირანში ინგლის-საბჭოთა კავშირის ერთობლივი ოპერაცია. მეორე მხრივ, სწორედ „ირანის ექსპერიმენტის“ პროცესში იჩინა თავი „ცივი ომის“ პირველმა რეციდივმა.

შეიძლება ეს პირველი შემთხვევაც კი იყო ისტორიაში, როდესაც ტოტალიტარულ-დიქტატორული და დემოკრატიული ორი სახელმწიფო ურთიერთ შეთანხმებით ახდენდა სუვერენული ქვეყნის ოკუპაციას და საამისოდ დიქტატორულ რეჟიმს მეტი სამართლებრივი საფუძველი გააჩნდა. საქმე ის იყო, რომ რსფსრ-სა და სპარსეთს შორის არსებული 1921 წლის 26 თებერვლის ხელშეკრულების მეექვსე მუხლი შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „ორივე მაღალი შემთანხმებელი მხარე თანხმდება, რომ თუ მესამე მხარიდან ადგილი ექნება სპარსეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული ჩარევით, დამპყრობლური პოლიტიკის განხორციელების, ან რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო გამოსვლისათვის სპარსეთის ტერიტორიის ბაზად ქცევის მცდელობას, თანაც საფრთხეს შეუქმნის რუსეთის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისა და მისი მოკავშირე ქვეყნების საზღვრებს. თუ რსფსრ-ის მთავრობის მხრიდან გაფრთხილების შემდეგ, სპარსეთის მთავრობა თავად ვერ შესძლებს ამ საფრთხის აღკვეთას, რუსეთის საბჭოთა მთავრობას უფლება ექნება თავისი ჯარი შეიყვანოს სპარსეთის ტერიტორიაზე, რათა აუცილებელი სამხედრო ზომები მიიღოს თავდაცვის მიზნით. რუსეთის საბჭოთა მთავრობა ვალდებულებას კისრულობს დაუყოვნებლივ გაიყვანოს სპარსეთიდან თავისი ჯარები არსებული საფრთხის გაუვნებელყოფის შემდეგ“ (104). ემუქრებოდა კი საბჭოთა კავშირს ხელშეკრულებაში დაფიქსირებული საფრთხე? 1940-იანი წლების დასაწყისისათვის ძალზედ ძლიერი იყო გერმანიის გავლენა ირანში. ორ ქვეყანას შორის ერთიერთობა განსაკუთრებით ინტენსიურ ეტაპზე გავიდა მას შემდეგ, რაც ვეიმარის რესპუბლიკა მესამე რეიხმა ჩაანაცვლა. გერმანია უკვე აქტიურად

მონაწილეობდა ირანის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და შაჰის არმიის მოდერნიზაციაში. ათასობით ირანელი სტუდენტი და ოფიცერი იმაღლებდა კვალიფიკაციას გერმანიაში, რომელთაც იოზეფ გებელსის პროპაგანდა „ზარატუშტრას შვილებად“ მოიხსენიებდა. სპარსელები გამოცხადდნენ სუფთა სისხლის მქონე არიელებად და სპეციალური დეკრეტით მათზე ნიუნბერგის ცნობილი რასობრივი კანონმდებლობა არ ვრცელდებოდა. 1940-1941 წლებში გერმანიაზე მოდიოდა ირანის ვაჭრობის 46 პროცენტი, საბჭოთა კავშირზე – 11 პროცენტი, ინგლისზე კი – მხოლოდ 4 პროცენტი.

სწრაფი ტემპებით იზრდებოდა ირანში გერმანული იარაღის ექსპორტი. მიუხედავად ოფიციალური ნეიტრალიტეტისა, ომის დაწყებისთანავე გააქტიურდა ირანში გერმანიის დაზვერვა. პროგერმანულად განწყობილი რეზა-შაჰის ხელშეწყობით, ირანი მთელ შუა აღმოსავლეთში გერმანიის დაზვერვის მთავარ ცენტრად იქცა. ბუნებრივია, რომ გერმანიისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ირანის ჩათრევას საბჭოთა კავშირთან ომში. 1941 წლის აგვისტოში თეირანში საიდუმლოდ ჩავიდა აბვერის შეფი ადმირალი ვილჰელმ კანარისი. მისი ვიზიტის მიზანი იყო ადგილზე სიტუაციის შეაწავლა და სახელმწიფო გადატრიალების მომზადება. საბჭოთა და ბრიტანეთის სადაზვერვო ინფორმაციის მიხედვით, ჰიტლერისათვის საკმარისი არ იყო მოხუცი შაჰის პროგერმანული სიმპატიები და მას სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყანაში ახალგაზრდა, ენერგიული და შაჰზე შედარებით უფრო მორჩილი მმართველი სჭირდებოდა. მოკავშირეთა ხელთ არსებული ინფორმაციით, გადატრიალება აგვიტოს ბოლოსათვის იყო დაგეგმილი. ისიც უნდა ითქვას, რომ ირანელებს ჰქონდათ საფუძველი კმაყოფილნი ყოფილიყვნენ გერმანიასთან თანამშრომლობით: მაღალკვალიფიცირებული და არაკორუმპირებული გერმანელი სპეციალისტების შრომის შედეგი იყო, რომ მათი ქვეყანა სწრაფი ტემპებით გამოდიოდა ფეოდალური ეკონომიკის მარწუხებიდან. გერმანელებმა დაგეგმეს და გაიყვანეს ტრანსირანის რკინიგზის ხაზი, რომელმაც ქვეყნის სამხრეთი რეგიონები ცენტრთან დააკავშირა. გერმანელების მიერვეა გაყვანილი თეირან-გორგანის რკინიგზა,

რომელიც კასპიის ზღვამდე გადის და რომელიც დღესაც კი, ურთულესი რელიეფის გათვალისწინებით, სარკინიგზო მშენებლობის შედევრად ითვლება. გერმანელებმა ააშენეს აგრეთვე უამრავი ხიდი, ელევატორი და ბევრი სხვა ობიექტი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მოსკოვისა და ლონდონის თავის ტკივილად იქცა ათასობით გერმანელი სპეციალისტის „გაშინაურება“ ირანში. მართალია, საბჭოთა კავშირზე თავდასხმიდან მესამე დღეს თეირანმა მოსკოვს თავისი ნეიტრალიტეტი აცნობა, მაგრამ არც მოსკოვი და არც ლონდონი არ აპირებდა თვალი დაეხუჭა სერიოზულ პოტენციურ საფრთხეზე და „გაგებით“ შეხვედროდა ახლო მეგობრობაში გადაზრდილ ბერლინ-თეირანის საქმიან კონტაქტებს. მოკავშირეებმა სამ-სამჯერ მიმართეს საპროტესტო ნოტებით შაჰს და ირანში გერმანელი სპეციალისტების ყოფნის მოსალოდნელ ნეგატიურ შედეგებზეც ღიად მიანიშნეს. უფრო ადრე, ირანში შეჭრის წინადადებით მიმართა ჩერჩილმა მოსკოვს, რაზეც მოსალოდნელი თანხმობა მიიღო. 1941 წლის 16 აგვისტოს ვიაჩესლავ მოლოტოვმა უკანასკნელად გააფრთხილა თეირანი გერმანული აგენტურის გააქტიურებაზე და წინადადებით მიმართა ქვეყნიდან გაეძევებინა გერმანიის ყველა მოქალაქე. შაჰმა, ისევე როგორც ორი დღის შემდეგ ლონდონს, მოსკოვსაც უარით უპასუხა. დიპლომატიურ „პინგ-პონგს“ აზრი აღარ ჰქონდა და 1941 წლის 25 აგვისტოს, სავარაუდო გადატრიალებამდე სამი დღიდ ადრე, გამთენიისას, ჩრდილოეთ ირანში საბჭოთა წითელი არმია, სამხრეთსა და სამხრეთ-დასავლეთში კი ინგლისის სამხედრო შენაერთები შევიდნენ. 29 აგვისტოს ირანის არმია ინგლისელებს დანებდა, 30-ში კი წითელ არმიას. 18 დეკემბერს წითელი არმიის ნაწილები თეირანში შევიდნენ. რეზა-შაჰი უკვე გადამდგარი იყო და ინგლისელების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებოდა. იგი ჯერ კუნძულ მავრიკიაზე გადაასახლეს, პროგერმანულად განწყობილ უმცროს შვილთან ერთად, მოგვიანებით კი სამხრეთ აფრიკაში – იოჰანესბურგში. შაჰურ ცხოვრებაში დაბერებული რეზასათვის დევნილობა მძიმე ასატანი იყო, მაგრამ სტალინის „გულაგთან“ შედარებით (რაც გარანტირებული ექნებოდა, თუკი „ნკვდ“ – შინსახკომს ჩაუვარდებოდა ხელში) იოჰანესბურგიც

სამოთხე იყო. ნოსტალგიამ მაინც თავისი გაიტანა და ორი წლის შემდეგ რეზა ალაჰისაკენ მიმავალ გზას გაუყვა.

1942 წლის 22 იანვარს საბჭოთა კავშირმა, დიდმა ბრიტანეთმა და ირანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც ოკუპანტები პირობას სდებდნენ „პატივი ეცათ ირანის ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის“. მოკავშირეებმა ვალდებულება იკისრეს ირანი გერმანიის ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს აგრესიისაგან დაეცვათ. მოკავშირეებს უფლება ეძლეოდათ ირანის ტერიტორიაზე განეთავსებინათ სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალები. მათსავე კონტროლს დაექვემდებარა ირანის მთელი საკომუნიკაციო ქსელი. ხელშეკრულებაში განსაკუთრებული მუხლით იყო დადასტურებული, რომ ირანს მოკავშირეთა შეიარაღებული ძალები ომის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში დატოვებდნენ. ცოტა მოგვიანებით, თეირანიდან გავიდნენ საოკუპაციო ჯარები და 22 წლის მუჰამედ რეზა ფეჰლევი მონარქად ფორმალურად იქნა აღიარებული. 1943 წელს კი ირანში ამერიკის სამხედრო შენაერთებიც შევიდნენ.

საბჭოთა კავშირისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მის სამხრეთ საზღვართან ეფექტურად მომუშავე აგენტურული ქსელის ნეიტრალიზაციას, ბაქოს დაცვას, რომელიც საბჭოთა კავშირში მოპოვებული ნავთობის სამ მეოთხედს იძლეოდა, იმ ფაქტს, რომ რეგიონში მოკავშირეთა ჯარების ყოფნა თურქეთის შემაკავებელ ფაქტორად იქცა. ასევე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სამხრეთიდან მოსალოდნელი საფრთხის გაუვნებელყოფით შესაძლებელი გახდა გამოთავისუფლებული სამხედრო შენაერთების გადასროლა გერმანიის ფრონტზე.

არც ის ფაქტი წარმოადგენდა საიდუმლოებას, რომ ჯერ კიდევ სამმხრივი ხელშეკრულების გაფორმებამდე, საბჭოთა კავშირი აქტიურად ეხმარებოდა ჩრდილოეთ ირანელ სეპარატისტებს. საბჭოთა ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ორი უკანონო სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი — მეჰაბადის ქურთების რესპუბლიკა და ე.წ. სამხრეთ აზერბაიჯანი არსებობდა. ომის დამთავრების შემდეგაც კი, 1946 წლის მარტში, მოსკოვი შეეცადა გაეფართოებინა მის მიერ

კონტროლირებული ტერიტორია, მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის მკვეთრმა რეაგირებამ და გაეროს უშიშროების საბჭოს პოზიციამ მოსკოვი აიძულა ჩრდილოეთ ირანი დაეტოვებინა.

ომის წლებში კი ყველაფერთან ერთად, საბჭოთა კავშირისათვის შეუფასებელი იყ, ირანის როგორც ლენდ-ლიზის დერეფნის როლი. როდესაც გერმანიის წყალქვეშა ნავებმა კატასტროფულად გაზარდეს „ჩრდილოეთის მარშრუტის" რისკი, 1941 წლის აგვისტოდან ლენდ-ლიზით გათვალისწინებული ტვირთის ნაკადი საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთის პორტებისაკენ დაიძრა, მათი აბსოლუტური უმრავლესობა კი სახიფათოდ ახლოს იმყოფებოდა საბრძლო მოქმედების რაიონთან. კერძოდ, მურმანსკის, არხანგელსკის, მოლოტოვსკისკენ (დღევანდელი სეველოდვინსკი) მიმავალ საზღვაო ტრასებს, რომელთა დადგენაც ადვილად შეეძლო გერმანიის დაზვერვას, სულ მოკლე მანძილი აშორებდა ნორვეგიაში ბაზირებულ გერმანიის ავიაციასა და წყალავეშა ნავებს. ასობით სამხედრო გემი და ავიაგამანადგურებელი აცილებდა საბჭოთა პორტებისაკენ მიმავალ ქარავნებს, მაგრამ სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა. იყო შემთხვევა, როდესაც 50 გემიდან მხოლოდ 12-მა შეძლო დანიშნულების პორტამდე ჩაღწევა. ასეთ ვითარებაში ბუნებრივი იყო სამხრეთის მარშრუტის მიმზიდველობა. ტვირთის გადაზიდვა დაიწყო სპარსეთის ყურეში, იქიდან კი სახმელეთო გზით, ჩრდილოეთით მისი ტრანსპორტირება. ამ მიზნით, 1943 წლის დეკემბერში, ირანში ბინა დაიდო სპარსეთის ყურეში ამერიკის სარდლობის ტექნიკური მომსახურების მძლავრმა ქვედანაყოფმა. ათასობით ირანელი მუშაობდა ანდიმეშკში განთავსებულ ამწყობ ქარხანაში („პატარა დეტროიტში"), სადაც პირველსავე წელს რამდენიმე ათეული ათასი ამერიკული სატვირთო ავტომანქანა „სტუდებეკერი" და სამხედრო ყველაზანმავალი „ვილისი" იქნა აწყობილი და საბჭოთა კავშირში გაგზავნილი.

1943 წლის სექტემბერში ირანმა ომი გამოუცხადა გერმანიას და გაეროში გაწევრიანების უფლება მოიპოვა, ახალგაზრდა შაჰმა კი

დასავლულ მოკავშირეთა არმიის რიგებში (და არა წითელ არმიაში) ბრძოლის სურვილი გამოთქვა.

საყურადღებო ფაქტია, რომ 1942 წლის გაზაფხულზე, როდესაც ხარკოვის ოპერაციის საშინელი კრახის შედეგად საბჭოთა კავშირმა სამი ბრძოლისუნარიანი არმია დაკარგა (გერმანელთა დანაკარგმა 20 ათასი სამხედრო შეადგინა) და გერმანელებს გზა სამხრეთისაკენ გაეხსნათ, ინგლისელებმა რამდენჯერმე შესთავაზეს სტალინს ჯარისა და ავიაციის შეყვანა ამიერკავკასიაში: სამხრეთის ფრონტი პრაქტიკულად აღარ არსებობდა და ამერიკელებთან ერთად, ბრიტანეთის არმიის სარდლობაც შიშობდა, რომ ჰიტლერს შეეძლო სერიოზული საფრთხე შეექმნა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ ირანის ნავთობის საბადოებისთვისაც. მოკავშირეებისადმი სტალინის უნდობლობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მან შეთავაზებული დახმარების ზურგს უკან, ამიერკავკასიაში საკუთარი პოზიციების გამაგრებაზე ბრიტანელების სურვილი დაინახა და უარი თქვა დახმარებაზე. ეს კი მაშინ ხდებოდა, როცა ომის დაწყებიდან, მოკლულთა და ტყვედ ჩავარდნილთა სახით (დაჭრილთა ჩაუთვლელად), შვიდ მილიონამდე მებრძოლი ჰყავდა დაკარგული. შედარებისათვის: ვერმახტის დანაკარგი 519 ათასს შეადგენდა (სხვა მონაცემებით – მილიონს).

სამხედრო მოკავშირისაგან დახმარების მიღებას „ბელადმა“ არმიაში „დისციპლინის გამტკიცება“ არჩია – 1942 წლის ივლისს, მან ხელი მოაწერა ავად ცნობილ ბრძანებას – „არც ერთი ნაბიჯი უკან“, რომლის სრული ტექსტიც მხოლოდ 1988 გამოქვეყნდა. ბრძანება, სადაც პირადად სტალინს ეკუთვნოდა ფრაზა, რომ საბჭოთა ადამიანები „წყევლიდნენ“ წითელ არმიელებს გამუდმებული უკანდახევისათვის, გარდა საჯარიმო ბატალიონებისა (ჰიტლერმა სტალინზე ადრე შექმნა ასეთები), ითვალისწინებდა ჩეკისტებით დაკომპლექტებულ ე.წ. გადამღობი რაზმების შექმნასაც, რომელთა“აქტივშიც“ მალე 26 000 ჯარისკაცი და ოფიცერი იყო დახვრეტილი ფრონტის ხაზის მიტოვებისათვის. რეპრესიები არა მხოლოდ მეომრებზე ვრცელდებოდა: 1941 წლის 17 აგვისტოს სტალინმა, მოლოტოვმა, ბუდიონმა, ვოროშილოვმა და ჟუკოვმა ხელი მოაწერეს „სტავკის“ ნომერ 270-ე

ბრძანებას, რომელსაც რუსი ისტორიკოსის, მარკ სოლონინის მტკიცებით, ანალოგი არ გააჩნია ცივილიზებული ქვეყნების სამხედრო ანალებში: ტყვედ ჩავარდნილი მეთაურები და პოლიტხელები „ბოროტ დეზერტირებად“ ითვლებოდნენ, რომელთა ოჯახის წევრები დაპატიმრებას ექვემდებარებოდნენ. ბრძანება შედარებით „ლმობიერი“ იყო ტყვედ ჩავარდნილი რიგითი ჯარისკაცების მიმართ – მათ ოჯახებს „მხოლოდ“ პურის ბარათებს ჩამოართმევდნენ. თუ რას ნიშნავდა უბარათოდ დარჩენა, ამაზე იმ პერიოდის მონაცემები მეტყველებს: 400 მანეთი იყო საშუალო ხელფასი, ხოლო 1 კგ. შავი პურის საბაზრო ფასი იყო 100 მანეთი. ბრძანება 1956 წლამდე იყო იყო ძალაში და ყოფილი სამხედრო ტყვეების სარეპრესიო იურიდიული ბაზის როლს ასრულებდა. ველური დაუნდობლობისა და განუკითხაობის რეკორდი მაინც „გამარჯვების მარშალ“ გიორგი ჟუკოვს ეკუთვნოდა, რომელმაც 1941 წლის სექტემბერში, როდესაც ლენინგრადის ფრონტს სარდლობდა, ტყვედ ჩავარდნილი სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრების დახვრეტის ბრძანება გამოსცა. ეს უკვე იმ რეჟიმისთვისაც გაუგონარი ველურობა იყო – დანარჩენ ფრონტებზე ტყვეების ოჯახის წევრებს უპუროდ ტოვებდნენ, ლენინგრადში კი ხრეტდნენ... სიკვდილზე განწირული ათასობით ლენინგრადელის ბედზე იზრუნა კომუნისტური პარტიის ცკ-ს მდივანმა, სტალინის ნდობით აღჭურვილმა მალენკოვმა, რომელიც იმ დღეებში იქ იმყოფებოდა და შეძლო თავნებობით სახელგანთქმული მარშალის დაჯერება – გაეუქმებინა საკუთარი ბრძანება. ასე თუ ისე, 1942 წლის დასასრულისათვის მოხერხდა ფრონტის მეტ-ნაკლებად სტაბილიზირება და დაიწყო სტალინგრადის გმირული ეპოპეა, რომელმაც, საერთო აღიარებით, ხერხემალში გადატეხა ვერმახტი და გადამწყვეტი როლი შეასრულა გამარჯვებაში – როგორც სამხედრო, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით: ტექნიკაზე რომ აღარაფერი ითქვას, ცოცხალი ძალის ამხელა დანაკარგის შესავსები რეზერვი ჰიტლერს პრაქტიკულად აღარ გააჩნდა.

იმავე პერიოდში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ირანის სატრანსპორტო მაგისტრალებისა და პორტების კონტროლი ამერიკე-

ლებმა აიღეს საკუთარ ხელში, საგრძნობლად გაიზარდა მათი გამტარუნარიანობა და 1943 წლის დასაწყისიდან, სსრ კავშირი ირანის მარშრუტით ყოველთვიურად 10 000 ავტომანქანას ღებულობდა. ცხადია, თითეული მანქანა მაქსიმალურად იყო დატვირთული, სათადარიგო ნაწილებით დაწყებული და ტანსაცმლითა და სურსათით დამთავრებული. მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, 1943 წლის ივლისიდან 1944 წლის ივლისამდე, ირანსა და ერაყში აიწყო და საბჭოთა კავშირში გაიგზავნა 2900 თვითმფრინავი.

ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ ირანის მარშრუტის როლი მკვეთრად შემცირდა. 1944 წლის დამლევიდან მოყოლებული საბჭოთა კავშირი ტვირთს მხოლოდ ჩრდილოეთისა და შორეული აღმოსავლეთის პორტებით ღებულობდა. ლენდ-ლიზზე შეთანხმების თანახმად, ომის დამთავრების შემდეგ, გადარჩენილი სამხედრო და სამოქალაქო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები, საბჭოთა კავშირს ამერიკისათვის უნდა დაებრუნებინა, თუმცა შესყიდვაც შეეძლო, რაც მოსკოვისათვის ნაკლებად სახარბიელო იყო. ვინაიდან ომის დამთავრების მომენტისათვის უკვე გვარიანად იყო გაუარესებული მოკავშირეთა შორის ურთიერთობები, ამერიკელებმა საბჭოეთში გადარჩენილი ტექნიკის ბედი მათთვის დამახასიათებელი კრეატიული ორიგინალურობით გადაწყვიტეს: 1946-1947 წლებში, ჩრდილოეთისა და შორეული აღმოსავლეთის საბჭოთა პორტებში შეიყვანეს რამდენიმე ცარიელი გიგანტური ბარჟა და მძლავრი წნეხებით აღჭურვილი სპეციალური ხომალდი. ამერიკელების მიმღები კომისია დიდი ყურადღებით ამოწმებდა ყოველი მანქანისა და თვითმფრინავის საქარხნო კომპლექტაციებს და როგორც კი დაადგენდა, რომ ტექნიკა გამართულ მდგომარეობაში იყო, საბჭოთა წარმომადგენლების თვალწინ, აკურატულად დაწნეხილ „კუბებს“ ჯართის სახით ტვირთავდა ბარჟებზე. რთული წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა განწყობით შეჰყურებდნენ მთელ ამ პროცედურას საბჭოთა მეთვალყურეები.

ირანში კი ამ დროს „ადგილობრივი მასშტაბის“ ინტრიგა ვითარდებოდა; ოკუპაციის პერიოდში, გარდა სამხედროებისა, ირანში მრავლად იმყოფებოდნენ საბჭოთა სამოქალაქო პირებიც, მათ შორის გეო-

ლოგებიც. უკანასკნელთა დასკვნებით, გორგანის, მაზანდარანისა და გილიანის რაიონები მდიდარი იყო პერსპექტიული ნავთობსაბადოებით, რომელიც საბჭოთა აზერბაიჯანის საბადოებს ჩრდილო-დასავლეთიდან ემიჯნებოდა, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – საბჭოთა თურქმენეთისას. გეოლოგები იმასაც ატყობინებდნენ მოსკოვს, რომ მათ მიერ აღმოჩენილი საბადოების სამრეწველო დამუშავება უდიდეს კაპიტალდაბანდებებთან იქნებოდა დაკავშირებული და თუ ირანი „გასხვისდებოდა“, მათი დამუშავება აზრს კარგავდა. იმავდროულად, გულხელდაკრეფილები არც ინგლისელები და ამერიკელები ისხდნენ. ჯერ კიდევ 1943-1944 წლებში, ორმა ამერიკულმა კომპანიამ – „სტანდარტ ვაკუუმმა“ და „სინკლერ ოილმა“, ინგლისურ „შელთან“ ერთად, ინგლის-ამერიკის საელჩოების აქტიური დახმარებითა და ირანის ხელისუფლების კეთილგანწყობილი თანხმობით, თეირანში მოლაპარაკებები დაიწყეს სამხრეთ ირანში (ბელუჯისტანში) კონცესიის მიღებაზე. მოკავშირეთა აქტიურობით აფორიაქებულმა მოსკოვმა ფორსირებული ტემპებით დაიწყო სათავისო კონცესიის პროექტზე მუშაობა.

საბჭოთა კავშირში აღნიშნულ მიმართულებას იმ პერიოდში სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლავრენტი ბერია კურირებდა. 1944 წლის მარტისთვის უკვე მზად იყო გაერთიანება „საბჭოთა-ირანული ნავთობის“ დაფუძნებისა და საკონცესიო ხელშეკრულების დოკუმენტაცია, მაგრამ ბერიას ეცოტავა საბჭოთა მხარის მოთხოვნები და საბჭოთა წილისა და მოგების მატების კუთხით დოკუმენტაციის გადამუშავება მოითხოვა. იმავე წლის აგვისტოში, სტალინისა და მოლოტოვისათვის წარდგენილ ანალიტიკურ მოხსენებაში, რომელშიც დეტალურად იყო განხილული როგორც მსოფლიოში ნავთობის მარაგისა და მოპოვების, ასევე აღნიშნულ სფეროში ინგლისისა და ამერიკის პოლიტიკის საკითხები, ლავრენტი ბერია ითხოვდა „მეტი ენერგიით“ წარმართულიყო თეირანთან მოლაპარაკებები ჩრდილოეთ ირანში ნავთობის მოპოვებაზე კონცესიასთან დაკავშირებით. მისი ინფორმაციით, ინგლისელები (შეიძლება ამერიკელებიც) უკვე ფარულად მუშაობდნენ თეირანში, რათა საბჭოთა

კავშირს კონცესია არ მიეღო. ნავთობზე მეტად (რომელიც თავისიც ყოფნიდა მოსკოვს) კრემლს მის სამხრეთ საზღვრებთან მისდამი მტრულად განწყობილი დაჯგუფების შექმნის პერსპექტივა აწუხებდა. და ეს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო მთავარ მტრებთან ომი დამთავრებული. შორს იყურებოდა ლავრენტი ბერია - კონცესიითა და სხვა ერთობლივი პროექტებით ფიქრობდა ირანში გავლენის გაძლიერებას. გამარჯვებამდე მიყვანილი ომის სავარაუდო შედეგები და გეოგრაფიული სიახლოვე იმის გარანტად უნდა ქცეულიყო, რომ ირანი ბარიკადების მეორე მხარეზე არ აღმოჩნდებოდა ომისშემდგომ დაპირისპირებებში, რომლის კონტურებიც სულ უფრო და უფრო ნათლად სწორედ ირანში იკვეთებოდა.

1944 წლის სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში თეირანში ჩავიდა მაღალი დონის საბჭოთა დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის სერგო ქავთარაძის მეთაურობით. მოლაპარაკებები უმთავრესად კონცესიას შეეხებოდა. მისია სრული კრახით დასრულდა – ორ დეკემბერს ირანის მეჯლისმა ქვეყანაში ნავთობის მოპოვებაზე უცხო ქვეყნებისათვის არა მხოლოდ ახალი კონცესიების გაცემა, არამედ ამ საკითხზე მოლაპარაკებებიც კი აუკრძალა აღმასრულებელ ხელისუფლებას. ირანის მმართველი წრეები, შაჰის მეთაურობით, უკვე დაუფარავად იხრებოდნენ ამერიკასთან დაახლოებისაკენ, რათა ასე დაებალანსებინათ არა მხოლოდ მოსკოვის, არამედ თვით ლონდონის გავლენაც. ასეთ სიტუაციაში ბუნებრივი იყო ვაშინგტონის (წარმატებული) მცდელობა მაქსიმალურად გამოეყენებინა ხელსაყრელი ვითარება. მალე თეირანის მიწვევით ირანში ჩავიდა ამერიკის ფინანსური მისია ბანკირ მილსპის ხელმძღვანელობით. ამერიკელი ბანკირი ირანის ფინანსების გენერალურ ადმინისტრატორად დაინიშნა. ფაქტიურად ამერიკელების კონტროლქვეშ აღმოჩნდა ირანის მთელი საშინაო და საგარეო ვაჭრობა, მრეწველობა, სასურსათო რესურსები, საქონლის ნორმირება და განაწილება, ავტოტრანსპორტი და საავტომობილო გადაზიდვები.

ირანში მუშაობდა ამერიკელთა სამხედრო მისიაც: ამერიკელი პოლკოვნიკი ეხმარებოდა შაჰს ჟანდარმერიის რეფორმირებაში და

ამერიკელი გენერალი – არმიის გაძლიერებაში. შეიქმნა სიტუაცია, როდესაც ამერიკელების საელჩო იქცა ქვეყნის მთავრობის მრჩევლად საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხებშიც. მოსკოვი აბსოლუტურად დეზორიენტირებული აღმოჩნდა. ჯერ კიდევ კომინტერნის დროიდან, თეირანში მოქმედ ინფორმატორზე დაყრდნობით კრემლში მიაჩნდათ, რომ ანტისაბჭოური ინტრიგების ინიციატორები ინგლისელები იყვნენ, რომელთა წაქეზებითაც მეჯლისმა უცხოელებზე სანავთობო ლიცენზიების გაცემა აკრძალა. ლონდონი მართლაც იყო შეშფოთებული ირანში საბჭოთა კავშირის გავლენით, მაგრამ იმედს კულუარულ ინტრიგებზე კი არა, ომის დამთავრების შემდეგ ირანიდან საბჭოთა ჯარების გაყვანაზე ამყარებდა. „სულითა და ხორცითი ბრიტანელი ჩერჩილი“ (როგორც მას ლონდონში ჰარი ტრუმენის ელჩი ჯონ დევისი მოიხსენიებდა), ინგლისის ისტორიული გავლენის სფეროდ განიხილავდა ირანს და არავისთან არ აპირებდა საუკუნოვანი გავლენის გაყოფას.

ვინაიდან საბჭოთა ხელმძღვანელობას უკვე ჰქონდა მიღებული სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომელსაც შესაშური სიჯიუტით ერთგულებდა მთელი მომავალი ნახევარი საუკუნის მანძილზე – იოტის ოდენაც კი არაფერი დაეთმო ფაქტიურად უკვე ყოფილი მოკავშირეებისათვის, ამიტომაც დაიწყო ირანიდან ჯარის გაყვანის პროცესის გაჭიანურება. ეს იყო სტალინის ხელში დარჩენილი უკანასკნელი ბერკეტი, რომლის მაქსიმალური გამოყენებითღა იმედოვნებდა თეირანზე ზემოქმედებას.

ომის დამთავრების მომენტში ირანში რჩებოდა დაახლოებით 4 ათასი ამერიკელი სამხედრო, 25 ათასი ინგლისელი და 30 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი. 1945 წლის 19 მაისს თეირანმა ოფიციალური თხოვნით მიმართა საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს 1942 წლის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადაზე ადრე გაეყვანათ თავიანთი ჯარები. ირანში საბჭოთა კავშირის „შეღწევით“ შეფიქრიანებულმა ლონდონმა მხარი დაუჭირა თეირანის თხოვნას და 31 მაისს წერილით მიმართა ვიაჩესლავ მოლოტოვს, რათა შეთანხმებულიყვ-

ნენ ირანიდან ჯარების ვადამდელ გაყვანაზე. მოსკოვმა უპასუხოდ დატოვა მოკავშირის მიმართვა. ასეთივე ბედი ეწია მოსკოვში ამერიკის ელჩის წერილსაც.

ამერიკელებსაც და ინგლისელებსაც კიდევ ერთხელ მოუხდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ სტალინს ჩვევად არ ჰქონდა ჯარის გაყვანა ტერიტორიიდან, რომელიც სათავისოდ ჰქონდა მონიშნული. თუ „ფლობა" მართლაც იყო სამომავლო „საკუთრების" გარანტი, რა შეიძლება ყოფილიყო საოკუპაციო არმიაზე და რეჟიმზე მეტად მყარი გარანტი?

ვიაჩესლავ მოლოტოვისათვის წარდგენილ მოხსენებით ბარათში კი სერგო ქავთარაძე იმ არგუმენტებით ასაბუთებდა საბჭოთა ჯარების ყოფნას ირანში, რომ მათ გამოყვანას აუცილებლად მოჰყვებოდა ქვეყანაში „რეაქციის გაძლიერება და დემოკრატიული ორგანიზაციების განადგურება". ეტყობა სწორედ ასეთ „დემოკრატიულ ორგანიზაციად" ითვლებოდა ჩრდილოეთ ირანის სახალხო პარტია („თუდე"), რომელმაც 1945 წლის ზაფხულში შეიარაღებული აჯანყება მოაწყო და თავრიზის (ირანის აზერბაიჯანის) დაკავება სცადა. იქ განთავსებული საბჭოთა სამხედროების დახმარებით მეამბოხეებმა რამდენიმე სახელმწიფო დაწესებულება დაიკავეს და საგანგებო მანიფესტით მოითხოვეს ადმინიტრაციული და კულტურული ავტონომია. როდესაც ირანის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ჟანდარმერია გაგზავნა წესრიგის აღსადგენად, მას გზა გადაუკეტა და საოკუპაციო ზონაში არ შეუშვა წითელი არმიის ქვეგანაყოფმა. საბჭოთა კავშირის ფულითა და საორგანიზაციო დახმარებით შეიქმნა ახალი, ოპოზიციური აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტია. მოსკოვი ღიად ეხმარებოდა პარტიას, რომლის პროგრამაც კრემლის კაბინეტებში იყო დაწერილი. პარტიის ბირთვს ყოფილი კომუნისტები წარმოადგენდნენ, რომელთა უმრავლესობაც საბჭოთა საოკუპაციო ჯარებმა გაათავისუფლა ციხეებიდან. პარტიის პოლიტბიუროს ყველა წევრს საბჭოთა პარტიულ სასწავლებლებში ჰქონდათ განათლება მიღებული. უდავოა, რომ მოსკოვისათვის სტრატეგიული გარღვევა იქნებოდა მის სამხრეთ საზღვრებთან, საბჭოთა აზერბაიჯანთან ეთნიკურად დაკავშირებული

ირანელი აზერბაიჯანელების ავტონომია. ეს არა მხოლოდ ირანში, მთელ შუა აღმოსავლეთშიც გაზრდიდა მის გავლენას. თუ მიზანი მართლაც ამართლებს საშუალებას, ღირდა საამისოდ „ცივი“ კონფრონტაციის რისკზე წასვლა გუშინდელ მოკავშირესთან. მით უმეტეს, რომ გარდა ჩერჩილისა, არც ამერიკის ახალ პრეზიდენტთან ურთიერთობას უჩანდა კარგი პირი. და აი, უკვე 1945 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე, სტალინი ყოველგვარი დიპლომატიური შენიღბვის გარეშე მიდის სერიოზულ რისკზე: 19 ნოემბერს ყაზვინის საბჭოთა გარნიზონი უცერემონიოდ ახდენს პროსაბჭოური მეამბოხეების წინააღმდეგ გაგზავნილი შაჰის ორი ათასიანი რაზმის ბლოკირებას, ხოლო ერთი თვის შემდეგ კი ირანის აზერბაიჯანი, თეირანის იგნორირებით, საკუთარ მეჯლისსა და ეროვნულ მთავრობას ირჩევს. მთავრობის თავმჯდომარე ხდება დემოკრატიული პარტიის ლიდერი და მოსკოვის აგენტი სეიდ ჯაფარ პიშევარი. ირანის მთავრობა იძულებულია მოსკოვსავე სთხოვოს თავის პროვინციაში წესრიგის აღსადგენად ჯარის შეყვანის ნებართვა, რაზეც კატეგორიულ უარს ღებულობს. უკვე ლონდონსა და ვაშინგტონშიც რწმუნდებიან სტალინის გადაწყვეტილებაში საოკუპაციო სამხედრო ძალის მეშვეობით მოიკიდოს ფეხი ირანში. ნოემბრის ბოლო რიცხვებში მოლოტოვმა დიპლომატიური ნოტით აცნობა ირანის მთავრობას, რომ ირანის აზერბაიჯანში ცენტრალური ხელისუფლების ჯარის შეყვანას „შეიძლება სისხლისღვრა მოჰყოლოდა“. უკანასკნელი კი საბჭოთა მთავრობას აიძულებდა დამატებითი სამხედრო კონტინგენტი გაეგზავნა ირანში თავისი სამხრეთი საზღვრების დასაცავად. ანალოგიური შინაარსის წერილები მიიღეს მოსკოვში ინგლისისა და ამერიკის საელჩოებმაც.

თეირანში საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ აზრი აღარ ჰქონდა მოსკოვთან პირდაპირ მოლაპარაკებებს და გაეროში გადაწყვიტეს დავის გადატანა. ამავე დროს, ჩერჩილის მდგრადი ისტორიული მეხსიერება პერმანენტულ რეჟიმში უბიძგებდა შაჰს ვაშინგტონთან მეგობრობისაკენ. როდესაც 1945 წლის 30 ნოემბერს, ირანის ელჩმა ჰასან ალამ რწმუნების სიგელები გადასცა პრეზიდენტ ტრუმენს, აღმოსავლურად „დავარცხნილი“ რიტორიკით სთხოვა ირანის უფლებების

დაცვა: „მხოლოდ თქვენ ქვეყანას შეუძლია ჩვენი გადარჩენა, ვინაიდან თქვენ მუდამ იცავდით ზნეობრივი იდეალების პრინციპებს და სუფთაა თქვენი ხელები“. მართლაც რომ „დრონი მეფობენ და არა მეფენი“ - შაჰ-აბას დიდის შთამომავალი ქართველი დამპყრობლისგან დაცვას ემუდარებოდა გადამთიელ ქრისტიანს. ან რომელ „ზნეობრივ იდეალებზე“ ლოცვაში ატარებდნენ საუკუნეებს მჭერმეტყველი ელჩის წარმგზავნელის წინაპრები? უძველოა დიპლომატის ენა.

1945 წლის დეკემბერში, გამარჯვებული მოკავშირეების საგარეო საქმეთა მინისტრების გეგმური შეხვედრა იყო გათვალისწინებული და იქ დააპირა თეირანმა საბჭოთა ჯარების გაყვანის საკითხის წამოჭრა. დელეგაციაც კი გაგზავნა შაჰმა პრემიერის მეთაურობით, მაგრამ გაირკვა, რომ მოსკოვი მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა ირანიდან თავისი ჯარების გაყვანის საკითხის განხილვას, თუ იქვე განიხილავდნენ საბერძნეთიდან ინგლისისა და ჩინეთიდან ამერიკის ჯარების გაყვანის საკითხსაც. ვერაფერს იტყვი – სამართლებრივ-დიპლომატიური თვალსაზრისით აბსოლუტურად გამართული პოზიცია იყო და ამ მხრივ მოლოტოვის უწყების მოთხოვნა უზადოდ გამოიყურებოდა, მაგრამ ვაშინგტონისა და ლონდონის ერთიან დიპლომატიურ ფრონტს „დაუსწრებლად“ უმაგრებდა ზურგს ამერიკის ბირთვული მონოპოლია, რაც დასავლეთის მხრიდან ნებისმიერ კომპრომისს გამორიცხავდა. უკანასკნელი გარემოება უალტერნატივოს ხდიდა გაეროს ტრიბუნას, რასაც აქტიურად უჭერდა მხარს ვაშინგტონი და რაც სულაც არ ეპიტნავებოდა მოსკოვს.

1946 წლის 19 იანვარს ლონდონში შეიკრიბა გაეროს გენერალური ასამბლეა, სადაც ირანის დელეგაციის ხელმძღვანელმა ტაკიზადემ, ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელს გადასცა თავისი მთავრობის თხოვნა – განხილული ყოფილიყო „ირანის საშინაო საქმეებში საბჭოთა კავშირის ჩარევის ფაქტები“. გრძნობდა რა თავისი პოზიციის სისუსტეს, მოსკოვმა საკუთარ დელეგაციას დაავალა ორმხრივი განხილვის რეჟიმში გადაეყვანა ირანის პრეტენზიები. შემდგომ მოლაპარაკებებში საბჭოთა წარმომადგენლები კვლავ მიუბრუნდნენ 1944 წლის წინადადებას კონცესიაზე, ხოლო

ჯარების გაყვანასთან დაკავშირებით ირანს ურჩევდნენ მოლაპარაკებები ეწარმოებინა საბჭოთა აზერბაიჯანის ხელმძღვანელობასთან. ამ დროისათვის უკვე მკვეთრად იყო გაუარესებული მოსკოვ-თეირანის ურთიერთობა. 1946 წლის პირველ იანვარს ირანი უკანასკნელმა ამერიკელმა ჯარისკაცებმა დატოვეს, ლონდონმა კი ოფიციალური განცხადებით დაადასტურა, რომ ორი მარტისათვის დაამთავრებდა თავისი ჯარების გაყვანას. მოუქნელ დიპლომატიურ მანევრებზე იძულებული მოსკოვიც აცხადებს, რომ ისიც ორი მარტიდან დაიწყებდა ირანის „შედარებით მშვიდი" რაიონებიდან ჯარის გაყვანას. ოთხ და ხუთ მარტს კი, მოულოდნელად, საბჭოთა სატანკო კოლონებმა სამი მიმართულებით — ერაყის, თურქეთისა და თეირანისაკენ დაიწყეს სვლა. ირანის მთავრობამ კატეგორიულად მოითხოვა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა. ირანელებს, ასევე კატეგორიულად უჭერდნენ მხარს მოსკოვის ყოფილი მოკავშირეები. ნემსის ყუნწში ძვრებოდა გაეროში საბჭოთა წარმომადგენელი ანდრეი გრომიკო, რათა როგორმე გადაედო სხდომა და როდესაც ამას ვერ მიაღწია, პროტესტის ნიშნად სხდომის დარბაზი დატოვა, ირანის ინციდენტი იქცა სტალინის დიპლომატიის პირველ დამარცხებად ახლად შექმნილ უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციაში. დასავლეთისთვისაც და აღმოსავლეთისთვისაც სახეზე იყო მწარე რეალობა: „ცივ ომს" გარანტირებული ჰქონდა საწვავის დიდი მარაგი.

მძლავრი დიპლომატიური ზეწოლისა და პრეზიდენტ ჰარი ტრუმენის მრავალმნიშვნელოვანი გაფრთხილების შედეგად იოსებ სტალინმა ერთადერთი გონივრული გადაწყვეტილება მიიღო — აუცილებელი იყო ირანიდან ჯარების გამოყვანა. რამდენიმე დღის შემდეგ თეირანის რადიომაც დაადასტურა, რომ დაიწყო საბჭოთა ჯარების გაყვანა. კრემლისთვის ცნობილი იყო, რომ 1945 წლის დეკემბერში დაასრულა პენტაგონმა მუშაობა პრეზიდენტისათვის განკუთვნილ მოხსენებაზე, სადაც, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების გამწვავების შემთხვევაში, დაზუსტებული იყო ბირთვული დარტყმების სამიზნე საბჭოთა ქალაქებისა და სხვა სტრატეგიული ობიექტების სია.

ირანთან მიღწეული კომპრომისული შეთანხმებით, საბჭოთა კავშირს თვენახევარში უნდა გაეყვანა ჯარები ირანის მთელი ტერიტორიიდან, ხოლო ირანი ერთობლივი სანავთობო საზოგადოების შექმნაზე დათანხმდა. არცერთ სხვა სადაო საკითხებზე თეირანი არც დათმობაზე და არც კომპრომისზე არ წავიდა. მან ფორმალურად გამოთქვა სურვილი მშვიდობიანი საშუალებებით დაერეგულირებინა ურთიერთობა ირანის აზერბაიჯანის ეროვნულ მთავრობასთან და ისეთი შთაბეჭდილებაც შექმნა, რომ „პრემიერმა“ სეიდ პიშევარიმ არ ისურვა უკონფლიქტოდ გადაეჭრა პრობლემა. ჯარების გაყვანის პროცესის დაწყებამდე ერთი დღით ადრე სტალინმა საჭიროდ ჩათვალა პირადი წერილით მიემართა ბედის ანაბრად (უფრო სწორედ კი შაჰის ჟანდარმების ანაბარად) მიტოვებული უიღბლო კლიენტისათვის. წერილში ბელადმა მისთვის ჩვეული სკრუპულოზობითა და საფუძვლიანობით აუხსნა ადრესატს ობიექტურად არსებული სირთულეები და სამომავლოდ მხოლოდ მორალურ დახმარებას შეპირდა. იოსებ სტალინი იმის რწმენასა და იმედსაც გამოთქვამდა, რომ „გონივრული ქცევის“ პირობებში, სეიდ პიშევარი შესძლებდა „პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობის პიონერად ქცეულიყო მთელ შუა აღმოსავლეთში“.

1946 წლის ცხრა მაისს ირანი უკანასკნელმა საბჭოთა ჯარისკაცმა დატოვა. დიდი დრო არ გამხდარა საჭირო იმის გასარკვევად, რომ სტალინი მწარედ შეცდა თავის პროგნოზებში: ირანის ახალგაზრდა რეფორმატორმა შაჰმა რეზა ფეჰლევიმ არც სეიდ პიშევარსა და არც „პროგრესულ-დემოკრატიულ მოძრაობას“ არავითარი შანსი არ დაუტოვა... როგორც კი თეირანმა საბჭოთა ტანკებისაგან დაცულად იგრძნო თავი, თავრიზელი სეპარატისტებისათვის მოიცალა და სასტიკად გაუსწორდა პროსაბჭოურ ძალებს. მოსკოვის ერთპიროვნულ პრიორიტეტად უკვე ევროპა იყო ქცეული და სხვა რა დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ „მეგობრულად“ გაეფრთხილებინა ირანის პრემიერი აჰმედ კავამა – „რეპრესიები ჩვენს ურთიერთობებს არ წაადგებაო“. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს, ალბათ, არც ის წაადგებოდა, რომ 1947 წელს, ახლად არჩეულმა მეჯლისმა უარი თქვა ირან-

საბჭოთა კავშირის ერთობლივი სანავთობო საზოგადოების დაარსების შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების რატიფიკაციაზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, იოსებ სტალინს არც უფიქრია მშვიდად შეგუებოდა დამამცირებელ მარცხსა და დემონსტრაციულ აბუჩად აგდებას: ან კი როგორ აპატიებდა ჰიტლერისა და მისი გენერალიტეტის დამმარცხებელი გენერალისიმუსი ამერიკელების მეგობრობას დახარბებულ „ლაწირაკ" შაჰს „თავხედობას"? ირანის ქურთისტანში („მეჰაბადის რესპუბლიკაში", ანუ როგორც ოფიციალურად უწოდებდნენ – „ქურთთა სახალხო რესპუბლიკაში") დაიწყო ირანელი ქურთების საბრძოლო რაზმების წვრთნა და შეიარაღება. 1947 წლის გაზაფხულზე ქურთ მებრძოლთა ორი ათასიანი რაზმი, მოლა მუსტაფა ბარზანის მეთაურობით ირანის აზერბაიჯანში შეიჭრა და შაჰის არმიასთან ბრძოლაში ჩაება. მუსტაფა ბარზანი მოსკოვისაგან მოითხოვდა საბჭოთა ტერიტორიაზე შექმნილიყო ქურთების პროფესიონალური სამხედრო შენაერთები, მაგრამ კრემლმა სტრატეგია შეცვალა: თავზე ხელაღებული და შეუპოვარი ქურთების გამოყენება უფრო მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დივერსიული ოპერაციების ჭრილში. კერძოდ, თუ მოსკოვსა და მის ყოფილ მოკავშირეებს შორის შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მივიდოდა საქმე, რაც იმ პერიოდში ფანტაზიად არ გამოიყურებოდა, ქურთების მობილურ დივერსიულ რაზმებს მწყობრიდან უნდა გამოეყვანათ ნავთობსადენები ირანისა და ერაყის ტერიტორიებზე.

მთლიანობაში „ირანის კრიზისის" შედეგები შორს გასცდა რეგიონალურ საზღვრებს. მის ფონზე გამოიკვეთა რელიეფურად ახლად ნაომარი „დიდი პოლიტიკის" ის კომპონენტები, რომელთა ერთობლიობამაც „წარმატებით" შეასრულა „ცივი ომის" მყარი ფუნდამენტის როლი.

ომის დასასრულ ეტაპზევე იჩინა თავი საბჭოთა დიპლომატიის სამხრეთის ვექტორის მეორე სუბიექტთან – თურქეთის რესპუბლიკასთან ურთიერთობის პრობლემამ. ორი ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულების ძირითად სამართლებრივ ბაზას წამოადგენდა საბჭოთა კავშირ-თურქეთის 1925 წლის 17 დეკემბრის პარიზის ხელშეკრულება

მეგობრობასა და ნეიტრალიტეტზე. გარდა ფუძემდებელი სამხედრო-პოლიტიკური მომენტისა, მხარეები ეკონომიკური ხასიათის ფართო ვალდებულებებსაც კისრულობდნენ; კერძოდ კი თავი უნდა შეეკავებინათ მეორე მხარის წინააღმდეგ მიმართულ ფინანსურ და ეკონომიკურ სანქციებში მონაწილეობისაგან (105).

ქემალ ათა-თურქის გარდაცვალების მომენტისათვის (1938 წლის 10 ნოემბერი), თურქეთს უკვე დიდი გზა ჰქონდა გავლილი პირველ მსოფლიო ომის დროინდელ მტრებთან დაახლოებისაკენ. როდესაც გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, ანკარამ ურთიერთდახმარების ხელშეკრულება გააფორმა ერთდროულად ინგლისთან და საფრანგეთთან. თურქებს საბჭოთა კავშირთანაც სურდათ ანალოგიური ხელშეკრულების გაფორმება, მაგრამ სტალინმა იუარა – ბერლინში შეიძლება ეს არამეგობრულ ჟესტად ჩაეთვალათ. პოლონეთში გერმანული ბლიცკრიგის შემდეგ ანკარამ მეგობრობისა და თავდაუსხმელობის პაქტი გააფორმა ბერლინთან, თან მტკიცედ გადაწყვიტა არცერთი მეომარი მხარის ზეწოლას არ აჰყოლოდა და ნეიტრალიტეტის კურსიდან არ გადაეხვია. პოლონეთის გაკვეთილმა ღრმა კვალი დაამჩნია თურქეთის ისედაც ფრთხილ დიპლომატიას – 1941 წლის ზაფხულში ანკარამ თავის ტერიტორიაზე არ გაატარა სირიისა და ერაყისაკენ დაძრული არც ინგლისისა და არც შარლ დე გოლის „თავისუფალი საფრანგეთის“ რაზმები და არც ვერმახტისა და ვიშისტური საფრანგეთის სამხედრო შენაერთები. ამავე დროს, საბჭოთა კავშირთან ომის საწყის ეტაპზე გერმანელების თითქმის ფანტასტიურმა წარმატებებმა უცებ გააძლიერა პროგერმანული განწყობილება თურქეთში. ანკარაში აქტიურად და ეფექტურად მუშაობდა გერმანიის ელჩი, გამოცდილი და კვალიფიციური პროფესიონალი დიპლომატი ფრანც ფონ პაპენი. თუ გერმანია ომს გამოუცხადებდა საბჭოთა კავშირს და კავკასიამდე მოაღწევდა, ელჩი ჰიტლერის სახელის, საბჭოთა აზერბაიჯანისა და თურქულ ენოვანი ხალხებით დასახლებულ ტერიტორიებს ჰპირდებოდა ანკარას პრიზის სახით. ზოგიერთი დასავლელი და რუსი მკვლევარის აზრით, 1942 წლის შემოდგომაზე, როდესაც გერმანელები კავკასიის ქედის გადასასვლე-

ლებს მოადგნენ, ხოლო სტალინგრადისათვის ბრძოლის შედეგი კი გაურკვეველი იყო, შეიძლება გადამწყვეტი როლიც კი შეესრულებინა თურქეთის მიერ ახალი ფართომასშტაბიანი ფრონტის გახსნას. ერთი სიტყვით, რეალური იყო ცდუნება, მაგრამ თურქეთის მთავრობამ ამას გაუძლო. „ამ თემაზე (საბჭოთა ტერიტორიების ექსპანსიაზე – ს.ც.) მხოლოდ საბჭოთა კავშირის დამარცხების შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ“ – ასეთი იყო თურქეთის პრემიერ ისმეთ ინენიუს პასუხი. ისე კი საკითხავია, თუ გერმანელები მარტონი დაამარცხებდნენ საბჭოთა კავშირს, რომელი ტერიტორიული ფილანტროპი იყო ჰიტლერი, რომ თურქებისათვის ნახევარი კავკასია „ეფეშქაშა“? ნებისმიერ შემთხვევაში სტალინგრადის ბედის გადაწყვეტამდე, თურქეთს გაგონებაც არ სურდა რომელიმე მეომარი ქვეყნისადმი მიმხრობაზე. ფრანც პაპენის აგენტურული ქსელი კი რამდენიმე მიმართულებით ააქტიურებდა მუშაობას: ცხოვრების ევროპული წესითა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პერსპექტივით ხიბლავდა თურქეთის ინტელიგენციისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, მოლებად „ქცეული“ გერმანელი აგენტები კი ჰიტლერის “მუსულმანობაზე“ ავრცელებდნენ ხმებს. იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ გავლენიანი თურქული გაზეთის „ჯუმჰურიეთის“ ვერსიით, ჰიტლერი იყო ერთადერთი დასავლელი პოლიტიკოსი, რომელსაც სწორად ესმოდა ათა თურქის პოლიტიკა. პანთურქისტების ერთ-ერთი ლიდერი, სომხების ჟლეტის ინიციატორის ენვერ-ფაშის ძმა ნური-ფაშა კი ღიად აკრიტიკებდა ათა-თურქის პოლიტიკას როგორც „ოპორტუნისტულს“ სახელმწიფო საზღვრების საკითხში და გერმანელებთან კავშირით ითხოვდა „ისტორიული სამართლიანობის აღდგენას“. სწორედ ნური-ფაშას ინიციატივით შეიქმნა ტყვე წითელარმიელებისაგან თურქესტანისა და ვოლგისპირა თათართა ლეგიონები. მხოლოდ 1943 წლის ზამთარში, როდესაც წითელმა არმიამ გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწია სტალინგრადის ფრონტზე და კავკასიის მისადგომებთან, საბოლოოდ გაქრა თურქეთის მხრიდან მოსალოდნელი თუნდაც ჰიპოთეტური საფრთხე. პარალელურად კი, ინგლისის ზეწოლით, თურქეთმა ანტიჰიტლერული კოალიციისაკენ დაიწყო დრეიფი. 1943 წლი 29 ნოემ-

ბერს, თეირანის კონფერენციაზე, ჩერჩილი სრუტეებისა და მოკავშირეთა მხარეზე ომში თურქეთის ჩართვის საკითხს შეეხო. სტალინისათვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა ბრიტანეთის პრემიერის დიპლომატიური ინიციატივის მოტივის გაშიფრვა: ომში თურქეთის ჩართვას ავტომატურად უნდა მოჰყოლოდა მეორე ფრონტის ბალკანეთში გახსნა, რაც ბრიტანეთის დიპლომატიის „ბროლის ოცნებად“ იყო ქცეული. თუ ამერიკელებიც გაიზიარებდნენ ამ ვერსიას, სულ სხვა სცენარით შეიძლება განვითარებულიყო ომის შემდგომი მოვლენები, პირველ რიგში აღმოსავლეთ ევროპაში. ამერიკელებისაგან განსხვავებით, ევროპისა და რუსეთის ისტორიული ურთიერთობების ბრწყინვალე მცოდნე სერ უინსტონს ძნელად თუ გამოეპარებოდა „მისი მეგობარი მარშალი სტალინის“ განზრახვა სრუტეებზე კონტროლით განემტკიცებინა საბჭოთა სამხედრო გავლენა ხმელთაშუა ზღვასა და სუეცის არხის რეგიონში.

სრუტეების რაიონში საბჭოთა გავლენის კატეგორიული მოწინააღმდეგეები იყვნენ თურქებიც, მხოლოდ მათ სტალინის გაღიზიანება არ სურდათ და ლონდონის ჩარევით ცდილობდნენ ამ დელიკატური პრობლემის გადაჭრას. სწორედ იქცეოდა ანკარა როდესაც არ ჩქარობდა ომში ჩართვას, რასაც სრუტეების საკითხის ფორსირებულად გააქტიურება მოჰყვებოდა. აღმოსავლური დიპლომატიური სკოლის კვალიფიციურ პროფესიონალ თურქ პოლიტიკოსებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ შეუთავსებელთა შეთავსება (ანუ მოსკოვის კავშირი ვაშინგტონ-ლონდონთან) გერმანიის დამარცხებამდე თუ გასტანდა, რასაც სტრატეგიული უთანხმოებისა და დიპლომატიური „გაუგებრობების“ ხანგრძლივი პერიოდი უნდა მოჰყოლოდა. მეორე მხრივ, გარდაუვალი ხდებოდა გერმანიის დამარცხებაც და ანკარას ზუსტად უნდა გაეთვალა გამარჯვებულთა მხარეზე ომში ჩართვა, თანაც ომის დამთავრებამდე. მანამდე კი ისმეთ ინენიუს მთავრობას სურდა ბოლომდე გარკვეულიყო მოსკოვის გეგმებში როგორც სრუტეებთან, ასევე მთლიანად ბალკანეთთან მიმართებაში. ამ მიზნით 1944 წლის მარტში, როდესაც წითელი არმია რუმინეთს მიადგა და ბალკანეთს დაემუქრა, თურქი დიპლომატები ანკარაში, საბჭოთა საელჩოში

შეეცადნენ პასუხი მიეღოთ კითხვაზე, თუ რას ელოდებოდა მოსკოვი თურქეთის მხრიდან.

ვინაიდან წინასწარ იყო ცნობილი, რომ საკითხი ომში ჩართვა-არჩართვას ეხებოდა, პასუხიც ხისტად პირდაპირი და ლაკონური იყო: „ჩვენ აუცილებლად არ მიგვაჩნია ომში თურქეთის ჩართვა“. დიპლომატიურ ენაზე, რაც თურქებს არ ესწავლებოდათ, ეს იმას ნიშნავდა, რომ სტალინს არ სურდა ომის შემდეგ ხელ-ფეხ შეკრული ყოფილიყო რაიმე სამოკავშირეო ვალდებულებებით. ომში თურქეთის ჩართვის თაობაზე ინგლისელების დაჟინებითი მოთხოვნის ფონზე თითქოს უცნაური იყო სტალინის პოზიცია და 2 თვის შემდეგ ანკარა კიდევ ერთხელ შეეცადა უშეცდომოდ გარკვეულიყო მოსკოვის გეგმებში: თურქეთის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, რომელიც საბჭოთა კავშირთან მეგობრობის მომხრედ ითვლებოდა, წერილი გამოაქვეყნა პრესაში, სადაც კატეგორიულად მოითხოვდა საბჭოთა კავშირთან სამხედრო კავშირის გაფორმებას. როგორც მოსალოდნელი იყო, სტატიას ფართო გამოხმაურება მოჰყვა ანკარის პოლიტიკურსა და დიპლომატიურ წრეებში. იყვნენ იდეის მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც, მაგრამ რაც ყველაზე ძალიან აინტერესებდათ თურქეთის მმართველ წრეებს, ამ მხრივ ისინი გაწბილებულნი დარჩნენ: პუბლიკაციას საბჭოთა პრესაში არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

უინსტონ ჩერჩილის ინიციატივას რომ მივუბრუნდეთ, ნიშანდობლივი იყო იოსებ სტალინის რეაქცია: მან „მეორეხარისხოვანი“ უწოდა თურქეთის საკითხს და კიდევ ერთხელ მოითხოვა ნორმანდიაში მეორე ფრონტის გახსნის დაჩქარება.

თეირანის კონფერენციის (1943 წლის 28 ნოემბერი – 1 დეკემბერი) შემდეგ, რუზველტი და ჩერჩილი თურქეთის პრეზიდენტს ქაიროში შეხვდნენ და 1944 წლიდან თურქეთის აეროდრომებზე ინგლის-ამერიკის ავიაციის ბაზირების შექმნის უფლება სთხოვეს. ინენიუმ უარით უპასუხა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ მზად არ იყო გერმანიასთან საომრად, თუმცა დიდხანს ვერ გაუძლო ძირითადად ჩერჩილის ზეწოლას და რვა თვის შემდეგ ჯერ ეკონომიკური და დიპლომატიური

ურთიერთობები გაწყვიტა გერმანიასთან, ხოლო 1945 წლის თებერვალში ომიც გამოუცხადა.



"დიდი სამეული" თეირანის კონფერენციაზე
1943 წლის 28 ნოემბერი - 1 დეკემბერი

სწორედ ამ დროს გაჟღერდა თურქეთის მისამართით საბჭოთა კავშირის პრეტენზიები: 1945 წლის 19 მარტს მოსკოვმა ოფიციალურად მოითხოვა ნეიტრალიტეტზე 1925 წლის პარიზის ხელშეკრულების დენონსირება და მონტრეს კონვენციის გადასინჯვა, რომელიც შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობის საკითხებს არეგულირებდა. სტალინი ბოსფორში სამხედრო ბაზის შექმნის უფლებასაც ითხოვდა. მოსკოვში ანკარის ელჩს სელიმ სარფერს ნოტა გადაეცა 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებით თურქეთისათვის გადაცემული ქალაქების – ყარსის, ართვინის და არდაგანის დაბრუნებაზე. 1945 წლის 7 ივლისს, სომხეთის კომპარტიის ლიდერმა გრიგორი არუთინოვმა და ახლად არჩეულმა პატრიარქმა გევორქ მეექვსემ სტალინს თურქეთის შემადგენლობაში მყოფი სომხური ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების თხოვნით მიმართეს. საქართველოს ხელისუფლება კი ართვინისა და ბათუმის ოკრუგის სამხრეთი ნაწილის დაბრუნების საკითხს აყენებდა.

სრუტეების საკითხი 1945 წლის ზაფხულში პოტსდამის კონფერენციაზეც განიხილებოდა. ინგლის-ამერიკის წინადადება როგორც სამხედრო, ასევე სავაჭრო გემებისათვის სრუტეებით თავისუფალ სარგებლობაზე, სტალინმა დაბლოკა და მისი მოთხოვნით საკითხის განხილვა გადაიდო. ჩრდილოელი მეზობლის პოზიციით შეშინებულმა თურქებმა ამერიკელებს მიმართეს დახმარებისთვის, რასაც 1946 წლის აპრილში სტამბულში ამერიკის სამხედრო გემების ვიზიტი მოჰყვა. ერთი წლის შემდეგ კი თურქეთმა ამერიკული იარაღის შესაძენად ვაშინგტონისაგან 100 მლნ. დოლარი მიიღო შეღავათიანი კრედიტის სახით. დასავლეთთან დაახლოების პროცესის ლოგიკური შედეგი იყო 1952 წელს თურქეთის ნატოში გაწევრიანება. სტალინის სიკვდილის შემდეგ კი „კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნებისა და მშვიდობის განმტკიცების ინტერესებიდან გამომდინარე", საბჭოთა კავშირმა უარი თქვა ყველა ტერიტორიულ პრეტენზიებზე. კურიოზული იყო ოფიციალური განცხადების ის ნაწილი, სადაც მოსკოვი კატეგორიულად უარყოფდა ტერიტორიული პრეტენზიების ავტორობას და ამტკიცებდა, რომ თურქეთის ტერიტორიებს „საქართველოს და სომხეთის მთავრობები ითხოვდნენო".

თუ ირანთან მიმართებაში შედარებით ნაკლებად იგრძნობოდა სტალინის დიპლომატიის მემკვიდრეობითი ხასიათი, რუსეთ-თურქეთის ხანგრძლივი სამხედრო-დიპლომატიური სამეზობლო პოლიტიკას საუკუნეების მანძილზე წითელ ზოლად გასდევს მემკვიდრეობითი ვექტორი. ამიტომ გამოიყურებოდა „ლოგიკურად და ბუნებრივად" სრუტეებში გაბატონებაზე სტალინის იდეა-ფიქსი.

ვინაიდან ნამდვილი ნაშრომი ძირითადად სტუდენტურ წრეებზეა გათვლილი, ზედმეტი არ იქნება რუსეთ-თურქეთის ურთიერთობათა მოკლე ისტორიული ექსკურსი, რაც იმის უტყუარი „ნივთმტკიცებაა", რომ იოსებ სტალინის დიპლომატია წმინდა ბოლშევიკური ფანატიზმით აგრძელებდა რუსი დიდი მთავრებისა და მეფე-იმპერატორების მიერ დადგენილ საგარეო-პოლიტიკურ კურსს.

მსოფლიოს დიდ პოლიტიკურ არენაზე გამოჩენიდან მოყოლებული, რუსული დიპლომატიის აუხდენელ ოცნებად რჩებოდა სრუ-

ტეებზე კონტროლი და ხმელთაშუა ზღვაში სამხედრო ყოფნა. თავის მხრივ, მტკიცე იყო ევროპის წამყვანი სახელმწიფოების (პირველ რიგში დიდი ბრიტანეთის) გადაწყვეტილება რუსეთის ფლოტი სრუტეების მხოლოდ მეორე მხარეზე ეხილათ. მას შემდეგ, რაც 1714 წელს უტრეხტის ზავით ბრიტანეთმა გიბრალტარი მიიღო, ლონდონმა დიდი გულმოდგინეობით დაიწყო საკუთარი სამხედრო ინფრასტრუქტურის შექმნა ხმელთაშუა ზღვის აუზში. რაც შეეხებოდა რუსეთს, ბოსფორის სანაპიროებზე 866 წელს გამოჩნდნენ დღევანდელი რუსების წინაპრები, როდესაც ნოვგოროდის სამთავროს დამაარსებელი რიურიკის შთამომავალმა, კიევის მთავარმა ასკოლდმა კონსტანტინოპოლის შემოგარენი გაძარცვა. შემდეგ იყო „გულთმისანი ოლეგის“, იგორის, სვიატოსლავის, „წმინდა ვლადიმერის“ და სხვა მთავრების ლაშქრობები. მოგვიანებით მოსკოვის სამეფოს საზრუნავი უკვე თურქეთი (ოსმალეთი) კი არა, ყირიმის სახანო წარმოადგენდა. ოტომანის (ოსმალეთის) პორტასთან (მთავრობასთან) რუსეთის პირველი (ან ერთ-ერთი პირველი) სერიოზული სამხედრო კონფლიქტი 1637 წლით თარიღდება – დონის კაზაკებმა მოსკოვთან შეუთანხმებლად დაიკავეს აზოვის ციხე-სიმაგრე და დონის შესართავი. ხუთი წლის შემდეგ მეფე მიხეილ ფედორის-ძე მოერიდა თურქებთან ურთიერთობის გამწვავებას და მათ აზოვი დაუბრუნა. პეტრე დიდი კი აღარ აპირებდა ანგარიში გაეწია თურქეთისათვის და 1695-1696 წლებში, დიდი დანაკარგის საფასურად, მაგრამ მაინც დაიბრუნა აზოვი, თუმცა მალე გაირკვა, რომ იმდროინდელ რუსულ ფლოტს არ შეეძლო ქერჩის სრუტის გავლა სანაპიროებზე განლაგებული თურქეთის ძლიერი არტილერიის შიშით.

1712 წელს, პოლტავის „ვიქტორიით“ (გამარჯვებით) გამოწვეულ ეიფორიაში მყოფმა პეტრემ ჯეროვნად ვერ შეაფასა თურქეთის არმიის ძალა, დაუფიქრებლად ენდო რუმინელების, ბულგარელებისა და სერბების შეპირებულ დახმარებას და ე.წ. პრუტის ლაშქრობა წამოიწყო მოლდავეთში, სადაც მხოლოდ ცნობილი რუსი დიპლომატის, პეტრე შაფიროვის წყალობით გადაურჩა დატყვევებას: შაფიროვმა მარჯვედ მოახერხა თურქი დიდვეზირის (მთავარი მინისტ-

რის) მოქრთამვა, რომელმაც ყურად არ იღო თურქეთში მყოფი შვედეთის დამარცხებული მეფე კარლ XII ხვეწნა-მუდარა და პეტრეს სამშვიდობოზე გაღწევის საშუალება მისცა. რუსეთი იძულებული შეიქნა შავი ზღვის თავისი სამხედრო ფლოტი გაენადგურებინა, ხოლო აზოვისა და ტაგანროგის სიმაგრეები დაენგრია.

ნახევარსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ, „კონსტანტინოპოლის პროექტს“ ახალი პატრონი გამოუჩნდა ეკატერინა II სახით. გამართლმადიდებული და გარუსებული ძლევამოსილი თვითმპყრობელი, უკვე მისუსტებულ ოტომანთა იმპერიის ადგილას ძველი ბიზანტიის აღდგენაზე ოცნებობდა, თანაც რუსი იმპერატორით. ეკატერინეს უფროს შვილიშვილ ალექსანდრეს რუსეთის იმპერიის ტახტი ელოდა, უმცროსი კონსტანტინე კი ახალ კონსტანტინეპოლში უნდა კურთხეულიყო მართლმადიდებელ იმპერატორად.

რიგ მიზეზთა გამო სანახევროდ მოხერხდა ეკატერინეს „პროექტის“ განხორციელება – რუსეთმა „მხოლოდ“ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის (თავრიდის) და ყირიმის მიერთება შესძლო (ამ საკითხში დიდი წვლილი მიუძღვის რუს სახელმწიფო მოღვაწეს, გენერალ-ფელდმარშალ გრიგორი ალექსანდრე ძე პოტიომკინს, შავი ზღვის ფლოტის დაამარსებელს). ჩესმენთან საზღვაო ბრძოლაში (1770 წლის ივლისი) თურქეთის ფლოტის გ›მანადგურებელი ალექსი ორლოვის ესკადრა, სრუტეების გავლით კი არა, ბალტიის ზღვიდან შევიდა ხმელთაშუა ზღვაში. აი, ფედორ უშაკოვის ესკადრა კი, ფრანგებს რომ ებრძოდა იონიის კუნძულებთან. უკვე სრუტეების გავლით მოხვდა მეორე მხარეზე – 1797-1798 წლებში პეტერბურგი და სტამბული უკვე მოკავშირეები იყვნენ და ერთად ებრძოდნენ რესპუბლიკურ საფრანგეთს. როდესაც ხსენებული კავშირის თაობაზე პეტერბურგიდან ამცნეს უშაკოვს, თურქებთან არა ერთი ბრძოლის მონაწილე ადმირალს უნებლიედ წამოსცდა: „კუბოში გადაბრუნდება გრიგოლ ალექსანდრეს-ძეო“ (პოტიომკინი – ს.ც.). დედის წარმატებით გულმოცემულმა პავლე პირველმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ხმელთაშუა ზღვაში დასამკვიდრებლად და ფრანგების მიერ მალტიდან გაძევებული მალტის ორდენის დიდი მაგისტრის ტიტული მიიღო. ის კურიოზუ-

ლი „დეტალი“ კი, ორდენი რომ კათოლიკური იყო, ხოლო ახალი დიდი მაგისტრი მართლმადიდებელი, არც ერთ მხარეს არ აწუხებდა. ამჯერად უკვე პირველი დიდი ინკვიზიტორის, ტორკვიმედას კუბოში გადაბრუნების დრო დადგა: ორი წლის შემდეგ ბრიტანელმა ლეგენდარულმა ნელსონმა ფრანგები გაყარა მალტიდან და კუნძული თავისთვის მოითხოვა დიდმა მაგისტრმა პავლემ, მაგრამ ლონდონმა „უკომენტაროდ“ დატოვა ექსცენტრიული მაგისტრ-იმპერატორის პრეტენზიები.

ტილზიტსა და ერფურტში შეხვედრებისას ნაპოლეონმა გრანდიოზული პროექტი შესთავაზა პირველს: თუ რუსეთი ევროპის საქმეებში არ ჩაერეოდა, საჩუქრად მიიღებდა თურქეთის დიდ ნაწილს და სპარსეთისა და ინდოეთის ნახევარს. კონსტანტინოპოლსა და სრუტეებს ფრანგების გენიალური იმპერატორი ვერ ელეოდა, რათა რუსები ლაჟვარდოვან სანაპიროზე, იტალიისა და ეგვიპტის სიახლოვეს არ ეხილა.

XIX საუკუნეში, როდესაც თურქეთი, საყოველთაო დიაგნოზით, „ევროპის ავადმყოფ ადამიანად“ იქცა, ევროპული დიპლომატიის დღის წესრიგში „ოტომანთა მემკვიდრეობის“ საკითხი დადგა. მხოლოდ პოტენციური მემკვიდრეების სიხარბემ და სტამბულის დიპლომატიურმა მანევრებმა იხსნა ანაქრონიზმად ქცეული იმპერია.

1821 წელს, რელიგიურმა მისტიციზმმა და მართლმადიდებლურმა მესიანობამ ოდნავაც არ შეუშალა ხელი იმპერატორ ალექსანდრეს, ცივი უარი ეთქვა თურქეთის ტირანიის წინააღმდეგ აჯანყებული ბერძნებისათვის დახმარებაზე – „ერთი მონარქის ქვეშევრდომმა ბუნტოვშჩიკებმა მეორე მონარქისაგან დახმარება არ უნდა მიიღონ“-ო, ასეთი იყო მსოფლიოს მართლმადიდებლების მფარველის ტიტულის პრეტენდენტი „მეორე მონარქის“ ვერდიქტი.

უფრო შორს წავიდა ნიკოლოზ I, როდესაც 1833 წელს, თურქეთის სულთანის თხოვნით ეგვიპტის ფაშის (სულთანის ურჩი ვასალის) წინააღმდეგ საექსპედიციო კორპუსი გაგზავნა ეგვიპტეში. ყველაფერ ამასთან ერთად, პეტერბურგში აქტუალობას არ კარგავდა კონსტანტინოპოლსა და სრუტეებზე გაბატონების გეგმები. მით უმეტეს, რომ

ამ საკითხში მთელი იმდროინდელი ელიტა იდგა მეფის გვერდით. „ჯვარი წმინდა სოფიაზე“ – ეს ლოზუნგი აერთიანებდა სლავიანოფილებსა და მედასავლეთეებს, რეტროგრადებსა და ლიბერალებს. „თურქეთმა არსებობა უნდა შეწყვიტოს. რუსეთს კონსტანტინოპოლის დაკავების უფლება აქვს“ – უაპელაციოდ აცხადებდა ივან აქსაკოვი, გვარდიის ოფიცერი და სლავიანოფილების ერთ-ერთი იდეოლოგი (დღევანდელი გაგებით). ისტორიკოსი როსტისლავ ფადეევი „რუსეთის იმპერატორს ბიზანტიის მმართველის, დიდი კონსტანტინეს ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ“ მიიჩნევდა. ცნობილი პოეტი და დიპლომატი თევდორე ტიუტჩევი ლექსად გარითმულად აანონსებდა „პირჯვრის გადაწერისა“ და „ცარგრადში“ „ზარის ჩამოკვრის“ დროს. რუსეთის არმიის გენშტაბის უფროსი, გენერალი ობრუჩევი, მეფისათვის მომზადებულ მოხსენებით ბარათში რუსეთის სამხედრო ფლოტის სისუსტეს არ მალავდა, მაგრამ იქვე დასძენდა: „კონსტანტინოპოლს თუნდაც ნავებით უნდა შევუტიოთ“-ო.

მთავარი პრობლემა რუსეთისათვის არა თურქეთის სისუსტე ან სიძლიერე, არამედ ევროპის წამყვან სახელმწიფოთა პოზიცია იყო. ლონდონი და პარიზი მზად არ იყვნენ მსოფლიო ბალანსის მკვეთრი და სარისკო ცვლილებებისათვის. ამიტომაც არ უნდა ყოფილიყო ნიკოლოზ პირველისათვის მოულოდნელი ლონდონის უარის ტოლფასი ორჭოფული პასუხი, როდესაც ყირიმის ომამდე ერთი წლით ადრე, 1852 წელს ინგლისელებს თურქეთის გაყოფა შესთავაზა. რუსეთის თვითმპყრობელი გაკვირვებული და განაწყენებული დარჩა: თუ თავის დროზე ბებიამისმა ავსტრიასა და პრუსიას პოლონეთი „ჯენტლმენურად“ გაუყო, რატომ ჭირვეულობდნენ ინგლისელი ლორდები? რუსი მონარქები წყენას არასოდეს ივიწყებდნენ და არც ნიკოლოზი იყო გამონაკლისი – 5 თვის შემდეგ საბაბად გამოიყენა მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს შორის დაწყებული დავა იერუსალიმში „გასაღების“ თაობაზე და საომარი მოქმედებები წამოიწყო. მართალია, რუსეთის ფლოტმა იზეიმა თურქეთის ფლოტზე გამარჯვება სინოპთან გამართულ ბრძოლაში (1853 წლის 18 ნოემბერს, ზღვაზე ბრძოლების ისტორიაში საიალქნო ფლოტების უკანასკნელ შეტაკებაში),

მაგრამ ყირიმის ომის საბოლოო შედეგით რუსეთს შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ქონაც აუკრძალეს და სევასტოპოლში ბაზაც მოანგრევინეს.

საინტერესო დატალი: 1814 წელს პარიზი რუს გენერალ მიხეილ ორლოვს ჩაბარდა. ყირიმის ომის შემდეგ იმავე პარიზში, მიხეილ ორლოვის უმცროსმა ძმამ ალექსიმ მოაწერა ხელი წაგებული ომის დამამცირებელ ზავს. ლონდონმა სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანა გადაჭრა – საიმედოდ გადაუკეტა რუსეთს სრუტეებისაკენ მიმავალი გზა და ამის შემდეგ აღარ სურდა მტრული ურთიერთობის გაგრძელება. პარიზის ზავზე ხელის მოწერის შემდეგ ლონდონის ელჩი ლორდი რედკლიფი ინგლისელი ჯენტლმენისათვის მიუღებელი უტაქტობით შეეკითხა პარიზში უგუნებოდ მყოფ ალექსი ორლოვს: „იმედია თქვენ განაწყენებული არა ხართ ჩვენზე?“, „არაფერია, ჩვენ კვლავ მეგობრები ვართ“, – მიუგო გოლიათმა რუსმა თავადმა და ისეთი ძალით ჩაიხუტა საბრალო ლორდი, რომ დამსწრეთა ხუმრობით, ნეკნებს ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა.

საფრანგეთ-პრუსიის 1870 წლის ომის შემდეგ, რუსეთის ყველა დროის საუკეთესო დიპლომატმა, კანცლერმა და უგანათლებულესმა თავადმა ალექსანდრე გორჩაკოვმა დრო იხელთა და პარიზის ზავი, მთელი თავისი ანტირუსული მუხლებით, გაუქმებულად გამოაცხადა. თურქეთთან მორიგი ომი კი (სულ 12 ომი იყო ორი ქვეყნის ურთიერთობაში) ექვსი წლის შემდეგ დაიწყო. როდესაც ძლევამოსილ რუსულ არმიას სულ რაღაც 12 კმ. აშორებდა კონსტანტინოპოლსა და სრუტეებს, როცა სან-სტეფანოში დადებული საზავო ხელშეკრულებით სლავიანოფილების საუკუნოვანი ოცნება თითქმის აღსრულდა, ლონდონმა ბოსფორში კრეისერები შეიყვანა და ზავის გადასინჯვა მოითხოვა.

1912 წელს, ცნობილი „ბალკანეთის ომების“ ერთ მომენტში, ბულგარელები სტამბულს ჭოგრიტებით ხილვის მანძილზე მიუახლოვდნენ, მაგრამ რუსეთი დიდი ომისათვის მზად არ იყო და ბულგარელებს საწყის პოზიციებზე დაბრუნება მოსთხოვა. შეიძლება ამის გამოც გადაუხადეს ბულგარელებმა სამაგიერო პეტერბურგს, როცა ორი

წლის შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ ომში გერმანიის მხარეზე ჩაებნენ. დასავლეთის პუბლიცისტურ წრეებში ისეთი ვერსიაც კი მუსირებდა, რომ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, ბრიტანეთის საზღვაო მინისტრის უინსტონ ჩერჩილის არაოფიციალური თანხმობით, ხმელთაშუა ზღვაში გერმანელების კრეისერები „გებენი“ და „ბრესლაუ“ არ გაანადგურეს და შავ ზღვაში შეუშვეს რუსეთისაგან სრუტეების დასაცავად.

სრუტეებთან დაკავშირებული პრინციპული სიახლე იყო 1923 წლის ლოზანის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მშვიდობიან პერიოდში, მსოფლიოს ყველა ქვეყნის სამხედრო გემებს შეეძლოთ სრუტეებით სარგებლობა, ხოლო ომის დროს – იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი არ იქნებოდა ომში ჩაბმული და ნეიტრალიტეტს დაიცავდა. თუ თურქეთიც ომობდა, მაშინ მხოლოდ ნეიტრალური ქვეყნების სამხედრო გემებს შეეძლოდ სრუტეებით სარგებლობა. საბჭოთა კავშირი არ მიუერთდა ხელშეკრულებას და განაცხადა, რომ იგი საბჭოეთის უსაფრთხოების წინააღმდეგ იყო მიმართული. მოსკოვის ვერსიით, საბჭოთა კავშირს თავისუფლად უნდა შესძლებოდა ხმელთაშუა ზღვაში გასვლა, შავი ზღვა კი სანაპირო ქვეყნების შიდა ტბად უნდა ქცეულიყო. მხოლოდ 13 წლის შემდეგ მოიძებნა კომპრომისული ვარიანტი – 1936 წლის 21 ივლისს მონტრეში (შვეიცარია) ხელმოწერილი კონვენცია მეტ-ნაკლები წარმატებით მოქმედებს დღემდე.

კონვენციის თანახმად, სრუტეებით თავისუფლად სარგებლობა შეუძლიათ ნებისმიერი ქვეყნის სავაჭრო გემებს როგორც მშვიდობიან, ასევე ომიანობის პერიოდში. რაც შეეხება სამხედრო გემებს, მშვიდობიან პერიოდში მათაც თავისუფლად შეუძლიათ სრუტეებით სარგებლობა, მხოლოდ ეს წინასწარ უნდა იყოს ცნობილი თურქეთის ხელისუფლებისათვის (ნებართვა საჭირო არაა). ამავე დროს სამხედრო ხომალდის ჯამური ტონაჟი არ უნდა აღემატებოდეს 30 ათას ტონას და სრუტეების რაიონში ისინი 21 დღეზე მეტს არ უნდა რჩებოდნენ. თურქეთს სრუტეების დახურვის უფლებაც აქვს, თუ თავად მონაწილეობს ომში ან თუ ჩათვლის, რომ საფრთხე მის უსაფრთხოებას ექმნება. კონვენციით აღდგა თურქეთის სრული სუვერენიტეტი სრუტეე-

ბის ზონაზე და გაუქმდა ლოზანაში შექმნილი სრუტეების კონტროლის საერთაშორისო კომისია.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ საბჭოთა კავშირს მეტ-ნაკლებად მაინც არ აწყობდა მონტრეს კონვენციის პირობები. 1939 წლის აგვისტოს დამლევს, უმაღლესი საბჭოს სესიაზე გამოსვლისას, ვიაჩესლავ მოლოტოვმა დელეგატებს აცნობა, რომ საბჭოთა კავშირმა სრუტეებში სამხედრო ბაზის შექმნის უფლება სთხოვა თურქეთს, მაგრამ უარი მიიღო. „თუმცა მარჩიელობას ნუ დავიწყებთ, ინანებს თუ არა ამას თურქეთი" – მრავლისმთქმელად დასძინა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა. გავიხსენოთ, რომ ეს მაშინ ხდებოდა, როცა მოსკოვს რიბენტროპის პაქტით ჰქონდა ზურგი გამაგრებული, ხოლო პოლონეთზე ჰიტლერის თავდასხმამდე ერთი დღე იყო დარჩენილი.

1940 წლის ნოემბერში, ბერლინში ვიზიტის დროს, ვიაჩესლავ მოლოტოვს სწორედ სრუტეებთან დაკავშირებით სურდა გერმანელების პოზიციის გარკვევა, რაზეც არც ფიურერმა და არც რიბენტროპმა დეტალური საუბარი არ ისურვეს. იოსებ სტალინისათვის კი უკვე გადაჭრილი იყო არა მხოლოდ სრუტეების, არამედ მთლიანად თურქეთის პრობლემაც: „ჩვენ თურქებს აზიაში გავყრით. ეს რა თურქეთია? იქ ორი მილიონი ქართველი, მილიონ ნახევარი სომეხი და ერთი მილიონი ქურთი ცხოვრობს. თურქები 6-7 მილიონი თუ არიან" – ეუბნებოდა „ბელადი" 1940 წლის 25 ნოემბერს კომინტერნის ხელმძღვანელ გიორგი დიმიტროვს.

რუსი ისტორიკოსი გორიანოვის ცნობით, მეორე მსოფლიო ომის დასასრულ ეტაპზე სტალინი მზად იყო ბულგარეთიდან და კავკასიიდან შეჭრილიყო თურქეთში, მაგრამ ინგლისელებისა და ამერიკელების რჩევით თურქებმა ომი გამოუცხადეს გერმანიას და ამით გადარჩნენ – სტალინსაც კი ეხამუშა ახლად გამომცხვარ „მოკავშირესთან" ომში ჩაბმა.

ის ფაქტი, რომ ომის დამთავრების შემდეგ მოსკოვს ომამდელთან გაცილებით ცუდი ურთიერთობა ჰქონდა ირანთან და თურქეთთან (ერთი მათგანი მის მოწინააღმდეგე სამხედრო ბლოკშიც კი აღმოჩნდა), პირველ რიგში საბჭოთა დიპლომატიის სამხრეთის მიმართუ-

ლების მარცხზე მეტყველებს. სტალინი აქ მთელი ტერიტორიების ანექსიას ვარაუდობდა, რეზულტატად კი ახალი ომის შემთხვევაში დამატებითი ფრონტის პერსპექტივა მიიღო.

რაც შეეხება „ცივი ომის" სათავეებს, მხოლოდ ირანთან და თურქეთთან ურთიერთობებში წამოჭრილ პრობლემებს არ შეუსრულებია მძლავრი კატალიზატორის როლი: ომის დამთავრებამდე მიეცა სტალინს საბაბი დასავლელი მოკავშირეები სამოკავშირეო ეთიკისა და ნაკისრი ვალდებულებების იგნორირებაში დაედანაშაულებინა: ომის დაწყების პირველივე დღეებიდან იყო ცნობილი ჰიტლერის აკვიატებული სურვილი ინგლისთან გარიგებაზე და მხოლოდ აღმოსავლეთის ფრონტზე ბრძოლაზე. 1942 წლის დასაწყისში ლონდონთან დიალოგის გზების ძებნით იყო დაკავებული ჰიტლერის წინამორბედი კანცლერი ფონ პაპენი. დიპლომატიური ზონდაჟი მიმდინარეობდა ანკარაში ინგლისის საელჩოსთანაც, მაგრამ ჩერჩილმა წერტილი დაუსვა სეპარატისტული მოლაპარაკებების ყოველ მცდელობას. მისი ოფიციალური პოზიციით, ასეთ მოლაპარაკებებს მხოლოდ საბჭოთა კავშირის მონაწილეობით ექნებოდა აზრი, რაც პრინციპშივე გამორიცხავდა ჰიტლერის დაიტერესებას.

1943 წელს შვეიცარიაში ბინას იდებს ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული სამსახურის ევროპული ცენტრი ალენ დალესის ხელმძღვანელობით. ცენტრის შტატი გერმანიის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებთან ნათესაური, ან სხვა სახის კავშირების მქონე ექსპერტებითა და საზოგადო მოღვაწეებით კომპლექტდება. დალესის მარჯვენა ხელს წარმოადგენს ფონ შულცე-გევერნიცი, ჰიტლერის მოსვლის შემდეგ ამერიკაში გაქცეული გერმანელი არისტოკრატი, ცნობილი მეცნიერისა და ვეიმარის რესპუბლიკის კონსტიტუციის ერთერთი ავტორის შვილი. გევერნიცი რურის მაგნატის, სტინესის ქალიშვილზე იყო დაქორწინებული და, რასაკვირველია, ჰიტლერის გარემოცვიდან ინფორმაციის მიღების სოლიდურ არხებსაც ფლობდა. მისი შუამდგომლობით შეხვდა დალესი 1943 წლის თებერვალში ბერნში, თავად ჰოჰენლოეს, ფელდმარშალ ბრაუხიჩს, გენერალ ცეიტლერს და გერმანიის სამრეწველო და მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული

წრეების სხვა ლიდერებს. იმავე წლის აგვისტოში, გერმანიის რეიხსბანკის პრეზიდენტი და ეკონომიკის მინისტრის იალმარ შახტის ახლო ნათესავი და ამავე დროს ბრიტანეთის დაზვერვის აგენტი რუზერი პარიზში შეხვდა მაღალი რანგის გერმანელ გენერლებს. როგორც შვეიცარიაში, ასევე საფრანგეთში გამართული შეხვედრების საუბრის თემა იყო ომიდან გერმანიის გამოსვლა, თუ იგი ოკუპირებული არ იქნებოდა წითელი არმიის მიერ და მთლიანობაში როგორც გერმანიის, ასევე ევროპის სამომავლო პოლიტიკური მოწყობის საკითხი.

1944 წლის აპრილში, ალენ დალესს შეხვედრა უკვე ჰიტლერის წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულების მონაწილეებთან ჰქონდა. ფიურერის მოსაკლავად გამზადებულ გერმანელ სამხედროებს მასთან ერთი შეკითხვა ჰქონდათ: თუ ჰიტლერს თავიდან მოიშორებდნენ, იქნებოდა თუ არა ზავის სხვა პირობები, გარდა უსიტყვო კაპიტულაციისა? უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ შეთქმულები დალესთან აღარ გამოჩენილან. ომის შემდეგ გამოქვეყნებულ წიგნში – „საიდუმლო კაპიტულაცია“ (106), დალესი ბევრგან წერს, რომ მასთან კონტაქტებს ეძებდნენ გერმანელი მრეწველები, დიპლომატები, „სს“-ელები, სამღვდელოების წარმომადგენლები. მისივე ცნობით, მასთან აქტიურად თანამშრომლობდა შვეიცარიის დაზვერვაც. ცხადია, დალესის უწყება არანაირ ინფორმაციას არ აწვდიდა საბჭოთა სპეცსამსახურებს.

1945 წლის თებერვალში, რომის პაპის კამერჰერი და ბიზნესმენი, ბარონი პარინი გევერნიცთან კონტაქტზე გადის. იტალიელი შუამავლის ვერსიით, იტალიაში განლაგებული „სს“-ელთა სარდლობა, ზედმეტი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, მზად იყო ამერიკელებთან თანამშრომლობისათვის. კერძოდ, იტალიაში სს-ისა და პოლიციის ხელმძღვანელი, გენერალი კარლ ვოლფი, საკუთარ თავზე იღებდა იტალიაში მოქმედი ვერმახტისა და „სს“-ის კაპიტულაციას, პირადი უსაფრთხოების გარანტიის სანაცვლოდ. შეთავაზება უაღრესად მიმზიდველი იყო იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკელებს უკვე ჰქონდათ სრული წარმოდგენა გერმანელების ბრძოლისუნარიანობა-

ზე და საკითხი ათეულ ათასობით ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლის შენარჩუნებას ეხებოდა.

ალენ დალესი მაინც ფრთხილობდა და გერმანელებს გამოცდაც კი მოუწყო – გულწრფელობის დასამტკიცებლად მათ იტალიის წინააღმდეგობის ორი სიკვდილმისჯილი ხელმძღვანელი უნდა გაეთავისუფლებინათ, რაც იოლი საქმე არ იყო. რამდენიმე დღეში ორივე იტალიელმა პარტიზანმა შვეიცარიის კერძო კლინიკაში დაიწყო გერმანელების პატიმრობაში შერყეული ჯანმრთელობის აღდგენა. მარტის დამლევისათვის, როდესაც თითქმის გადაწყვეტილი იყო იტალიის ბრძოლის გარეშე განთავისუფლება (დალესმა სახელიც მოუძებნა ოპერაციის – „სანრაიზი"), გერმანელებმა მკვეთრად შეამცირეს ანტიპარტიზანული ოპერაციები და რეპრესიები ჩრდილოეთ იტალიაში.

22 მარტს კი ვიაჩესლავ მოლოტოვის უწყებამ უკიდურესად მკვეთრი საპროტესტო ნოტა გადასცა ინგლისის ელჩს მოსკოვში: საბჭოთა მთავრობისათვის ცნობილი გახდა მოკავშირეთა მოლაპარაკებები გერმანელებთან. მოსკოვის დემარშს სტალინსა და რუზველტს შორის მიმოწერა მოჰყვა: აშშ-ის პრეზიდენტი საბჭოთა ლიდერს აშშ-ვიდებდა, რომ გერმანიასთან დაზავება გამორიცხული იყო და რომ შვეიცარიაში წარმოებული მოლაპარაკება კონკრეტულ საკითხს იტალიაში გერმანელთა დაჯგუფების კაპიტულაციას ეხებოდა, რაც საბჭოთა კავშირის ინტერესებშიც უნდა ყოფილიყო. რაკი საამისო საბაბი მიეცა, სტალინი შეეცადა მაქსიმალური დიპლომატიური ბონუსები მიეღო უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენილი მოკავშირეებისაგან იგი დაწვრილებით ახსენებდა რუზველტს ყველა იმ მომენტს, როდესაც საბჭოთა კავშირი საკუთარი ინტერესების საზიანოდ (მისი მტკიცებით) პირნათლად ასრულებდა სამოკავშირეო ვალდებულებებს და ერთხელაც არ უცდია ვაშინგტონისა და ლონდონის ზურგს უკან ეწარმოებინა რაიმე მოლაპარაკება საერთო მტერთან. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ფრანკლინ რუზველტმა კიდევ ერთი წერილი მისწერა სტალინს, სადაც შვეიცარიის ინციდენტი „წარსულს ჩაბარებულად" მოიხსენია. ცხრა აპრილს ამერიკელებმა და ინგლისელებმა იტალიაში შეტევა დაიწყეს. იმავე დღეს გერმანელებმა კაპიტუ-

ლაციაზე მოლაპარაკების დაწყება შესთავაზეს მოკავშირეებს. ლაკონური და კატეგორიული იყო მოკავშირეთა პასუხი: გერმანელებს ხელი უნდა მოეწერათ კაპიტულაციის იმ ტექსტზე,რომელსაც მოკავშირეები დაუდებდნენ მაგიდაზე.

16 აპრილს წითელმა არმიამ ბერლინის შტურმი დაიწყო, ხოლო 20 აპრილს ალენ დალესმა ხელმძღვანელობის კატეგორიული ბრძანება მიიღო – რუსებთან კონფლიქტის გამო ყოველგვარი კონტაქტები შეეწყვიტა გერმანელებთან. ბრძანება ერთნაირად მოულოდნელი და არასასიამოვნო იყო – დალესს უბრძანებდნენ ხელის ერთი მოსმით გადაეყარა წყალში გერმანელებთან დიდი ოსტატობითა და რუდუნებით ამუშავებული კონტაქტები. გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩენილი დალესისათვის ცნობილი გახდა, რომ მასთან შესახვედრად უკვე მიემგზავრებოდნენ „სს“-ელი გენერალი ვოლფი და იტალიაში გერმანელთა სარდლობის ნდობით აღჭურვილი დელეგაცია. მან დამატებითი ინსტრუქციები მოითხოვა. ვაშინგტონიდან დალესს უბრძანეს თავი შეეკავებინა ნებისმიერი ისეთი ნაბიჯისაგან, რაც რუსებს ახალი ბრალდებების საბაბს მისცემდა. თუკი შვეიცარიელები საკუთარი ინიციატივით დაიწყებდნენ გერმანელებთან საუბრებს (არა როგორც შუამავლები) და შემდეგ საქმის კურსში ჩააყენებდნენ დალესს, უკანასკნელს შეეძლო ინფორმაცია გადაეცა მოკავშირეთა მთავარსადლობისათვის ქალაქ კაზერტაში (ნეაპოლთან ახლოს).

29 აპრილს კაზერტაში, საბჭოთა არმიის გენერალ კისლენკოს მონაწილეობით შედგა შეხვედრა გერმანელებთან და იტალიაში მოქმედი ვერმახტის და „სს“-ის ნაწილების კაპიტულაციის ხელმოწერა. წინა დღეს კი პარტიზანებმა ბენიტო მუსოლინი დახვრიტეს. ომის დამთავრებიდან კარგა ხნის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ შვეიცარიიდან მოსკოვი რეგულარულად ღებულობდა სრულ ინფორმაციას თავისი აგენტ როსლერის („ლუცი“) საშუალებით.



იალტის კონფერენცია.
სამუშაო პროცესი

თავი მეთვრამეტე
ომი და დიპლომატია. ბირთვული დიპლომატიის კორექტივები

ანტიფაშისტური კოალიციის ანატომიაზე, მის მონაწილეთა შორის არსებულ იდეოლოგიურ და ღირებულებრივ წინააღმდეგობებზე ზემო თავებში უკვე იყო საუბარი. ბევრი მაჩვენებლებით უნიკალურმა სამხედრო კავშირმა თავისი კვალი დაამჩნია მოკავშირეთა ომისა და ომის შემდგომ ურთიერთობებს, დიპლომატიურ სტილსა და მოტივაციებს. ყველა ადრინდელ დიდ ომებში, პირველი მსოფლიო ომის ჩათვლით, ქვემეხების „ალაპარაკებამდე" წლებით ადრე იწყებოდა მოკავშირეების კონფიგურაციათა მოხაზვა. იგივე პირველ მსოფლიო ომში მთავარ მოკავშირეებს – საფრანგეთსა და რუსეთს შორის მომავალ სამხედრო კავშირზე სასინჯი მოლაპარაკებები ომის დაწყებამდე 20 წლით ადრე დაიწყო. ბერლინმა კი ჯერ კიდევ ბისმარკის დროს

ჩაუყარა საძირკველი იტალიასთან კავშირს. თუ კაიზერი ვილჰელმ მეორე ბოლო წუთამდე ცდილობდა რუსეთის ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას, 1941 წლის ზაფხულში ჰიტლერმა „საკუთარი ინიციატივით“ ჩართო ომში საბჭოთა კავშირი და რამდენიმე საათში გააერთიანა იმდროინდელი მსოფლიოს ორი ყველაზე სტაჟიანი მოსისხლე მტერი – სტალინი და ჩერჩილი. მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული დიპლომატიური პროცედურის გარეშე იქცა რეალობად მოსკოვისა და ლონდონის სამხედრო-სტრატეგიული კავშირი. შედარებით სწრაფად აღმოჩნდა ომში ჩართული გუშინდელი პრინციპული იზოლაციონისტი ამერიკის შეერთებული შტატები და ასე, საიდუმლო მოლაპარაკებებისა და საიდუმლომუხლებიანი ხელშეკრულებათა გარეშე, მძლავრი ანტიჰიტლერული კოალიცია პრაქტიკულად დეფაქტო წარმოიშვა.

მოსკოვზე შეტევის მოგერიების, სტალინგრადისა და კურსკის გენერალურ ბრძოლებში წითელი არმიის გამარჯვებების შემდეგ, რეალობად იქცა გერმანიის გარდუვალი დამარცხება. 1943 წლის დამლევს ომი იმ სტადიაში შევიდა, როდესაც უკვე ყველაფერს მეომარი მხარეების რესურსთა მარაგი წყვეტდა. ნახევარ მსოფლიოსთან ხანგრძლივი ბრძოლისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ცოცხალი ძალა არც გერმანიას გააჩნდა და არც მის მოკავშირეებს. მეორე მხრივ, უკვე დროული იყო ომის შემდგომ მსოფლიოზე ფიქრი და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება. გადაუდებელ ამოცანად კი რამდენჯერმე გადადებული მეორე ფრონტის საკითხი რჩებოდა. არანორმალურად გამოიყურებოდა ისიც, რომ სამი მთავარი მოკავშირე – სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი, ჯერ კიდევ არ შეხვედროდნენ ერთმანეთს. მართალია რუზველტი ადრეც სთავაზობდა სტალინს არაოფიციალურ პრივატულ შეხვედრას, მაგრამ კრემლში მიაჩნდათ, რომ სანამ საბოლოოდ არ გაირკვეოდა ომის ბედი, პირადი შეხვედრების დრო არ იყო დამდგარი. მეორეხარისხოვანი ფაქტორი არც სტალინის პათოლოგიური ეჭვიანობა იყო - კრიტიკულ პერიოდში ბელადი რამდენიმე დღითაც ვერავის ანდობდა ქვეყანასა და არმიას. ის ხომ რუზველტივით ნახევრად ფიქტიური

მთავარსარდალი არ იყო და ტყუილად არ ატარებდა მარშლის სამხრეულებს. 1943 წლის მიწურულშიც კი, როდესაც უკან იყო მოტოვებული გადამწყვეტი გამარჯვებებიცა და ხარკოვზე შეტევის ტრაგედიაც, სტალინი საბჭოთა საზღვრებთან მაქსიმალურად ახლოს, ირანის ტერიტორიაზე დათანხმდა შეხვედრაზე – 28 ნოემბერ – 1 დეკემბერს თეირანში დაიგეგმა „დიდი სამეულის" პირველი შეხვედრა.

27 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადმა თვითმფრინავმა „წმინდა ძროხამ" ქაიროდან, სადაც იმ დროს იმყოფებოდა რუზველტი, კურსი თეირანისაკენ აიღო. რამდენიმე საათში, პრეზიდენტი თეირანის სიახლოვეს, საბჭოთა ჯარების მიერ კონტროლირებულ სამხედრო აეროდრომზე დაეშვა და პირველად აღმოჩნდა საბჭოთა უშიშროების სამსახურის გარემოცვაში. მხოლოდ ერთი ღამე გაატარა რუზველტმა ამერიკის საელჩოს რეზიდენციაში. უსაფრთხოების მიზნით (საბჭოთა წამომადგენლებმა მოსკოვში ამერიკის ელჩს ავარელ ჰარიმანს აცნობეს მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ) სტალინმა საბჭოთა საელჩოში დაბინავება შესთავაზა რუზველტს და უკანასკნელმაც მიპატიჟება მიიღო.

პრეზიდენტისათვის მოულოდნელად შედგა სტალინთან მისი პირველი შეხვედრა: რუზველტი საძინებელ ოთახში იმყოფებოდა, როდესაც მას სტალინის სტუმრობა აცნობეს. იგი სასწრაფოდ შეაგორეს ინვალიდის ეტლით დიდ მისაღებ დარბაზში, სადაც მისკენ უკვე მიემართებოდა საშუალო სიმაღლის, უკანასკნელ ღილამდე შეკრულ მარშალის კიტელში გამოწყობილი, საგრძნობლად შეთხელებული ჟღალულვაშებიანი საბჭოთა დიქტატორი. საათნახევრიანი საუბრის მსვლელობაში, რუზველტი შეეცადა ზოგადად, თუმცა გარკვევით მოეხაზა მსოფლიოს ორი უძლიერესი სახელმწიფოს პოლიტიკის მისეული ხედვა. პირველ რიგში, მან დაუფარავად განუცხადა სტალინს, რომ მისი აზრით, ევროპულმა მეტროპოლიებმა „ისტორიული მანდატი დაკარგეს ნახევარი მსოფლიოს პყრობაზე". კერძოდ, საფრანგეთის ბატონობისაგან უნდა განთავისუფლებულიყო ინდოჩინეთი, ხოლო ინდოეთში „საბჭოთა მოდელის მსგავსი" რეფორმა უნდა გატარებულიყო, რაც სტალინის აზრით, რევოლუციას მოასწავებდა. რუზველ-

ტი ძლიერი ჩინეთის მომხრეც იყო. ცხადია, ეს ყველაფერი მკვეთრად შეცვლილა ომამდელ მსოფლიოს. პრეზიდენტი კმაყოფილი დარჩა სტალინთან პირველი შეხვედრით.

რუზველტისა და სტალინის მეორე შეხვედრა 28 ნოემბერს გაიმართა. აქ უკვე სამხედრო საკითხები განიხილებოდა. სტალინი უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ გერმანია სულ უფრო და უფრო მეტ დივიზიებს გზავნიდა აღმოსავლეთის ფრონტზე, რაც, მისი აზრით, სხვა ფრონტებზე ინგლის-ამერიკის სამხედრო ნაწილების არაეფექტურობაზე მეტყველებდა. რუზველტი „ოვერლორდზე“ (მეორე ფრონტზე) ამახვილებდა ყურადღებას. მისი პროგნოზით, ჰიტლერი მალე გახდებოდა იძულებული 30-40 დივიზია გადაესროლა აღმოსავლეთის ფრონტიდან სხვა ფრონტებზე.

თეირანში გამგზავრებამდე, ქაიროში გაიმართა ამერიკის, ინგლისისა და ჩინეთის ლიდერების კონფერენცია. ეს ის პერიოდია, როდესაც ჩინეთს ჩან კაიში ერთპიროვნულად (პრეზიდენტის, პრემიერისა და მთავარსარდლის რანგში) მართავდა. როგორც ჩანს, თეირანში რუზველტს უკვე ჰქონდა ნათელი წარმოდგენა ომის შემდგომი მსოფლიოს კონსტრუქციაზე, სადაც სტაბილური მშვიდობისა და წესრიგის გარანტი „ოთხი პოლიციელი,“ ანუ ამერიკა, დიდი ბრიტანეთი, საბჭოთა კავშირი და ჩინეთი იქნებოდა. არც თეირანსა და არც იალტაში ამერიკის პრეზიდენტი სერიოზულ ანგარიშგასაწევ ძალად არ მიიჩნევდა საფრანგეთს, რაც გარკვეულწილად ვიშისტების კოლაბორაციონიზმით და გენერალ დე გოლის ზომაგადასული (მისი აზრით) პრეტენზიებით იყო გამოწვეული. ამერიკულად პრაგმატული პრეზიდენტისათვის გაუგებარი და გამაღიზიანებელი იყო ფრანგი „უარმიო გენერლის“ უკომპრომისო სიჯიუტე ნებისმიერ, თუნდაც მეორეხარისხოვან საკითხში, თუკი უკანასკნელი რაიმე ნაირად შეეხებოდა საფრანგეთის ეროვნულ ღირსებას. ცხადია, პროდასავლურად განწყობილი 400-მილიონიანი მომავალი ჩინეთის მნიშვნელობასთან ახლოსაც ვერ მივიდოდა გერმანელებთან მოთანამშრომლე პეტენის საფრანგეთი.

რაც შეეხებოდა სტალინს, ერთი მხრივ, მას აზრადაც არ მოსვლია „ცოცხალი დათვის ტყავის“ გაყოფით საკუთარი ხელ-ფეხი შეეკრა ჩინეთის მომავალთან დაკავშირებული რაიმე სიტყვიერი შეთანხმებებითაც კი, მეორე მხრივ, როდესაც საბჭოთა კავშირის მთავარი სამრეწველო ცენტრების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გერმანელების ხელში იყო, ნაადრევი იქნებოდა პოლიტიკურ დისკუსიებში ჩაბმა ჩინეთის მომავალზე. სტალინმა „გაატარა“ მისთვის დელიკატური პრობლემა, რასაც გაგებით შეხვდა რუზველტი. მოსკოვისათვის პრიორიტეტული – მეორე ფრონტის ადგილი და თარიღი მისთვის მისაღებ კონტექსტში გადაწყდა, ხოლო რუზველტი კი სტალინის პირობით – გერმანიის დამარცხებიდან ორ-სამ თვეში ჩაბმულიყო იაპონიასთან ომში – დაკმაყოფილდა.

თეირანში ყველაზე მძიმე მდგომარეობაში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი აღმოჩნდა: ისტორიზმის განსაკუთრებული გრძნობით გაჟღენთილი უინსტონ ჩერჩილი გრძნობდა, რომ იგი განწირული იყო მარტოს ეწარმოებინა არიერგარდული ბრძოლები მთელი დასავლეთის სახელით და მინიმალურ დიპლომატიურ შესაძლებლობასაც არ უშვებდა საამისოდ ხელიდან. თვინიერად კი დათანხმდა მომავალი წლის ზაფხულში ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრას, მაგრამ მანამდე სამხრეთ ევროპაში პოზიციების გაძლიერებას იმედოვნებდა. ჩერჩილის გენიალურად ანალიტიკურ გონებაში უკვე იყო მომწიფებული მოკავშირეთა მხარეზე ომში ჩასაბმელად თურქეთზე ზეწოლისა და ბალკანეთში იუგოსლავიის პლაცდარმის გაძლიერების გეგმა, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა დაწვრილებით საუბარი. ჩერჩილი იმედს არ კარგავდა, რომ მიუხედავად სტალინთან ურთიერთაგაგების ატმოსფეროს შექმნის სურვილისა, რუზველტს საბოლოოდ არ ჰქონდა უარყოფილი მოკავშირეთა არმიების აღმოსავლეთ ევროპაში შეხვედრის გეგმა. სტალინისა და რუზველტისათვის მოულოდნელად, მან წინადადება წამოაყენა დეტალურად განეხილათ იუგოსლაველ პარტიზანებისათვის სერიოზული სამხედრო ძალით დახმარებისა და ცენტრალური ევროპის დაბლოზე სამხრეთიდან შეჭრის გეგმა. თეირანში სტალინი ჯერ კიდევ სათუთად უფრთხილდებოდა

რუზველტთან ურთიერთობას და თავი ისე დაიჭირა, თითქოს მისთვის უცნობი იყო რუზველტის გეგმები. ამიტომ საბჭოთა მარშალის მთელი რისხვა ჩერჩილსა და მის გეგმას დაატყდა თავს: სტალინისთვის კარგად იყო ცნობილი ინგლისის პრემიერის ე.წ. „ევროპის რბილი საზარდულის“ იდეის არსი – რაც შეიძლება მაქსიმალურად შეზღუდულიყო წითელი არმიის ოპერატიული სივრცე ევროპის მიმართულებით და ამიტომ კატეგორიულად გამორიცხავდა მოკავშირეთა მხარეზე თურქეთის სამხედრო გამოსვლის ვარიანტს. მისი მტკიცებით, ევროპის არა სამხრეთში, არამედ ჩრდილოეთში იყო საბებნი გერმანიის გავლენის ზონის სუსტი ადგილი. ამ მხრივ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა ჩრდილოეთ საფრანგეთი. რუზველტმა და სტალინმა ერთად შესძლეს ჩერჩილის „ბალკანური გადახრის“ დაძლევა. საკვირველია, რომ ისტორიზმით ასე გატაცებულ ჩერჩილს და „აღმოსავლეთის საკითხში“ გაწაფულ მის თანმხლებ დიპლომატებს არანაირი ეჭვი არ გაუჩნდად ბალკანეთში საბჭოთა პოლიტიკაზე. თეირანიდან დაბრუნებული ინგლისის გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ბრუკი გარანტირებულად არწმუნებდა სამხედრო კაბინეტს – რუსებს არავითარი ინტერესი არა აქვთ ბალკანეთშიო.

თეირანში სტალინისათვის, ალბათ, სასიამოვნო სურპრიზი იყო მეორე ფრონტთან დაკავშირებული რუზველტის დემონსტრაციულად ანტიბრიტანული პოზიცია: რიგ შემთხვევებში აშკარად გადამეტებული მონდომებითაც კი ცდილობდა ამერიკის პრეზიდენტი სტალინის დარწმუნებას, რომ ამერიკელებს აზრად არ ჰქონდათ რუსებისათვის შეესწროთ აღმოსავლეთ ევროპაში, რის სურვილსაც ვერ მალავდა ბრიტანეთის პრემიერი. კონფერენციის პირველი სესიის დასასრულს, სტალინსა და ჩერჩილს შორის მორიგი მწვავე პოლემიკის შემდეგ, რუზველტმა მტკიცედ და ცალსახად დააფიქსირა ამერიკის პოზიცია მეორე ფრონტის გახსნის კიდევ ერთხელ გადადების დაუშვებლობაზე. მას შემდეგ, რაც სტალინმაც კუთხეში მიიმწყვდია ჩერჩილი შეკითხვით – „ნამდვილად სჯერა პრემიერს „ოვერლორდისა“, თუ მხოლოდ რუსების დასამშვიდებლად ლაპარაკობს“-ო, ამერიკელებისაგან მიტოვებულ „ინგლისის ლომს“ სხვა გზა აღარ

ჰქონდა და ოფიციალურად დათანხმდა 1944 წლის მაისში, საფრანგეთში მეორე ფრონტის გახსნაზე.

რუზველტის გეგმით, ომის შემდეგ, როცა ამერიკელი ჯარისკაცები ევროპას დატოვებდნენ, საფრთხის გაჩენის შემთხვევაში (საოცარია, რომ იგი მშვიდობისათვის საფრთხედ საფრანგეთს მიიჩნევდა), ამერიკა სამხედრო ფლოტსა და ავიაციას გაგზავნიდა ევროპის სანაპიროებისაკენ, ხოლო ინგლისი და საბჭოთა კავშირი კი ჯარს მიაშველებდა სამშვიდო ოპერაციას. მას გულწრფელად სჯეროდა, რომ ურთიერთნდობა სწორედ ასეთი ერთობლივი სამხედრო გეგმებით იბადება და მტკიცდება. მომავალ თაობას კი მხოლოდ ის რჩებოდა სანანებლად, რომ ვერასოდეს გაიგებდა, თუ რას ფიქრობდა კაპიტალისტებთან სამომავლო „ურთიერთნდობაზე“ პროფესიონალი მარქსისტი იოსებ სტალინი.

თვალში საცემი იყო, რომ თეირანში წამოჭრილ ნებისმიერ კამათში რუზველტი მუდამ სტალინის მხარეზე იდგა. ნუთუ იმდენად გულუბრყვილო იყო იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსი, რომ ასეთი პრიმიტიული ტაქტიკით ცდილობდა მოკავშირეთა შორის ბუნებრივად არსებული იდეოლოგიურ-სტრატეგიული უფსკრულის ამოვსებას?

ჩერჩილი,რომლისთვისაც ნათელი და გასაგები იყო ყველაფერი, ცდას არ აკლებდა, რომ ამერიკის პრეზიდენტი „ღრუბლებიდან დედამიწაზე ჩამოეყვანა“, რომლის პოზიციაზეც იყო საბოლოო ჯამში ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ დამოკიდებული. მას კარგად ახსოვდა თუ რა საბედისწერო აღმოჩნდა ევროპისათვის ამერიკის ერთ-ერთი პრეზიდენტის (ვუდრო ვილსონის) არაამქვეყნიური იდეალიზმი 25 წლის წინ ვერსალში და შიშობდა, რომ ამჯერად უკვე მთელ ცივილიზებულ სამყაროს არ დაჯდომოდა ძვირად მეორე პრეზიდენტის ნეტარმორწმუნეობა. კონფერენციის მეორე დღეს, ინგლისის პრემიერმა პრივატულ საუზმეზე მიიწვია ბრიტანეთის საელჩოში ამერიკის პრეზიდენტი (ბრიტანეთის საელჩოს საერთო კედელი ჰყოფდა საბჭოთა საელჩოსაგან). რუზველტმა კატეგორიული უარი თქვა თქვა მი-

პატიჟებაზე და კვლავ დემონსტრაციულად განმარტოვდა სტალინთან და მოლოტოვთან.

ჩერჩილს კიდევ არაერთხელ ჰქონდა საშუალება დარწმუნებულიყო, რომ არც რუზველტი და არც მისი მემკვიდრე ჰარი ტრუმენი (მხოლოდ პოტსდამის კონფერენციამდე) არ აპირებდა ანტისაბჭოური დიპლომატიური ფრონტის შექმნას ინგლისელებთან ერთად. თეირანში, სწორედ სტალინთან და მოლოტოვთან შეხვედრის დროს გააცნო რუზველტმა საბჭოთა მოკავშირეებს ერთა ლიგის მემკვიდრე საერთაშორისო ორგანიზაციის იდეა, სადაც 35-40 სახელმწიფო გაერთიანდებოდა. ისინი პერიოდულად შეიკრიბებოდნენ სხვადასხვა ქალაქებში ერთობლივი რეკომენდაციების გამოსამუშავებლად. სტალინს არც „ოთხი პოლიციელის“ იდეა მოსწონდა და არც ჩინეთის როლის რუზველტისეული შეფასება. მისი აზრით, კონტინენტური ევროპა არ მიიღებდა ოთხი სახელმწიფოს დიქტატს, ხოლო ჩინეთი კი იმ პერიოდში ჯერ არ წარმოადგენდა რეალურ ძალას და გარდა ღატაკი მოსახლეობის სიმრავლისა, სხვა არავითარი რესურსი არ გააჩნდა. რუზველტის არგუმენტმა, რომ უმჯობესი იყო 400-მილიონიანი ერი მეგობრად გყოლოდა, ვიდრე პოტენციური საფრთხის მატარებლად, „მსოფლიო პროლეტარიატის – (იგივე ღატაკების) „ბელადზე“ გავლენა ვერ მოახდინა. შეიძლება თავის მოკავშირეებზე შორს იყურებოდა და უფრო გლობალურად აზროვნებდა ამერიკის პრეზიდენტი, მაგრამ არც სტალინის პოზიცია იყო საღ აზრს მოკლებული: მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ევროპელები ადვილად შეეგუებოდნენ „ჩინელი პოლიციელის“ ფუნქციებს. უსაფუძვლო იყო აგრეთვე რუზველტის აგრესიულად ანტიფრანგული პოზიცია – გაუგებარი რჩებოდა, თუ რა ისეთი საფრთხე იყო მოსალოდნელი ომისშემდგომი საფრანგეთიდან, რომ იქ რამდენიმე ამერიკული დივიზიის ყოფნა იქნებოდა აუცილებელი. სტალინი მხოლოდ გერმანიიდან და იაპონიიდან ვარაუდობდა სამომავლო საფრთხეს და ამიტომ კატეგორიულად ითხოვდა მაკონტროლებელი მექანიზმის შექმნას. რუზველტი ეთანხმებოდა სტალინს და სრული გაგებით ხვდებოდა საბჭოთა კავშირის უსაფრთხოების პრობლემას. ზოგადად შემაჯამებელი იყო ჩერჩილის

პოზიცია: „ერები, რომლებმაც ომის შემდგომ უნდა მართონ მსოფლიო, სრულად უნდა დაკმაყოფილდნენ, რათა ტერიტორიული ან სხვა ამბიციები აღარ ჰქონდეთ... საშიშნი არიან მშიერი და ამბიციური ქვეყნები, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები კი მდიდრები და ბედნიერები უნდა იყვნენ“ (107) .

მიუხედავად იმისა, რომ თეირანში ნათლად გამოიკვეთა რუსულ-ამერიკულ ხედვათა შორის არსებული სერიოზული წინააღმდეგობები ორ მთავარ საკითხში (დასავლეთ ევროპა და ჩინეთი), აშკარად მეტი წინააღმდეგობები დაფიქსირდა რუზველტ-ჩერჩილის პოზიციებში. დღევანდელი გადასახედიდან პარადოქსადაც კი აღიქმება ის ფაქტი, რომ „დიდი სამეულის“ პირველსავე შეხვედრაზე გამართულ დისკუსიებში უინსტონ ჩერჩილი სისტემატურად მარტო რჩებოდა.

თეირანში ყოფნისას, 30 ნოემბერს, ჩერჩილს 69 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით საზეიმო მიღება გაიმართა ინგლისის საელჩოში. სტალინმა იუბილარს შავი კარაკულის ქუდი აჩუქა, რუზველტმა ძველებური ავღანური ნოხი. სტალინმა ამერიკული იარაღის სადღეგრძელო შესვა, რომლის გარეშეც „ომი წაგებული იქნებოდა“. ღამის ორ საათზე რუზველტმც წამოსთქვა სადღეგრძელო: „ჩვენ, აქ თეირანში დავრწმუნდით, რომ ჰარმონულად შეუძლიათ არსებობა ჩვენი ერების განსხვავებულ იდეალებს საყოველთაო სიკეთისათვის სწრაფვაში“. მეორე დღეს, არათუ განსხვავებულმა, ასი პროცენტით იდენტურმა იდეალებმაც ვერ აიძულა რუზველტი ირონიულად არ გაეკენწლა თავისი მთავარი „ერთმორწმუნე“ მოკავშირე: „დღეს უინსტონი კაპრიზობს, ჩანს იმ ფეხზე არ ადგაო“. სტალინს „ბიძია ჯო“-თ მიმართა. იმავე დღეს რუზველტი პირველად ალაპარაკდა კონკრეტულად გერმანიის მომავალზე. მისი აზრით, გერმანია ხუთ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უნდა დაყოფილიყო. გარდა ამისა, უნდა შექმნილიყო ორი განსაკუთრებული, თვითმმართველობის უფლებით აღჭურვილი რეგიონი (კილი-ჰამბურგი და რური-საარი). აქ უკვე იდეალთა ჰარმონიულმა ერთობამაც ვეღარ შეაკავა ჩერჩილი და მართლაც ინგლისური ბულდოგივით ჩააფრინდა პრეზიდენტის იდეას. განა იმიტომ შეალია მან ნახევარი სიცოცხლე კომუნიზმთან

ბრძოლას, რომ რუსეთი მისი აქტიური მონაწილეობით ქცეულიყო ევროპის უძლიერეს სახელმწიფოდ? ერთადერთი კომპრომისი, რაზეც კიდევ შეიძლებოდა მისი დაყოლიება, ეს იყო პრუსიის ჩამოშორება დანარჩენი გერმანიიდან. ბავარია, ბადენ-ბადენი, ვიურტენბერგი და საქსონია „დუნაის სახელმწიფოთა კონფედერაციაში“ უნდა შესულიყვნენ. ასეთი იყო ჩერჩილის პროექტი. ასეთი კონფედერაცია ძლიერიც იქნებოდა და გერმანულიც. სტალინმა იმწამსვე მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ თუ მოკავშირეთა საბოლოო მიზანი გერმანიიდან მოსალოდნელი საფრთხის სამუდამო ლიკვიდაცია იყო, ნებისმიერი ძლიერი გერმანული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი მართლაც მიუღებელი უნდა ყოფილიყო. არც ჩერჩილი მალავდა საკუთარი შეშფოთების საფუძველს: ევროპაში საბჭოთა კავშირის პირისპირ აღმოჩნდებოდნენ პატარ-პატარა სუსტი სახელმწიფოები, რაც სულ რაღაც 10-15 წლის წინანდელი სიტუაციის გამეორებად იქცეოდა. ცხადია, ინგლისელ ჯენტლმენად რჩებოდა თუნდაც გაცოფებული ჩერჩილი და შორს არ წავიდა საჩოთირო ანალოგიებში. გადამწყვეტი სიტყვა ამერიკის პრეზიდენტზე რჩებოდა: „ვეთანხმები მარშალს (ანუ სტალინს – ს.ც.), გერმანია სწორედ მაშინ იყო ცივილიზაციისათვის ნაკლებად საშიში, როდესაც ის 107 პროვინციისაგან შედგებოდა“ – ასეთი იყო რუზველტის ვერდიქტი. მიუხედავად ამისა, თეირანში მაინც ვერ მოხერხდა გერმანიის მომავალზე გადაწყვეტილების მიღება. არც ისე იოლი იყო ჩერჩილის დაყოლიება, როდესაც მას განსხვავებული მოსაზრებები გააჩნდა. გადაწყდა გერმანიის საკითხი განსახილველად გადაეცათ ახლადშექმნილი კომისიისათვის.

რთული პრობლემა იყო პოლონეთის საკითხი. ეს იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მის განსახილველად რუზველტმა სტალინი ჩერჩილის გარეშე მიიწვია. მან გულახდილად გაანდო მარშალს საკუთარი გადაწყვეტილება მეოთხე ვადით ეყარა კენჭი, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იქნებოდა ამერიკის ისტორიაში. რამდენიმე რთულ საარჩევნო კამპანიებგამოვლილ რუზველტს კარგად ესმოდა თითოეული ამომრჩევლის ხმის მნიშვნელობა, ამერიკაში კი შვიდ მილიონამდე ეთნიკური პოლონელი ცხოვრობდა, რომელთათვისაც დიდი

მნიშვნელობა ჰქონდა პრეზიდენტის პოზიციას ომისშემდგომი პოლონეთის საზღვრებთან დაკავშირებით. ვინაიდან სტალინი ჯიუტად ითხოვდა ომამდელ, ე.ი. რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტით მიტაცებულ ტერიტორიებსაც, რუზველტისათვის, რომელიც ვერც პოლონური წარმოშობის ამერიკელი ამომრჩევლების ხმებს ელეოდა და ვერც სტალინთან დაპირისპირებას რისკავდა, სიტუაცია მართლაც კრიტიკული იყო. რუზველტმა იმდენჯერ დაუთმო სტალინს, რომ სრული საფუძვლით ჰქონდა საპასუხო ჟესტის იმედი, როდესაც პოლონეთისათვის პოლონური ქალაქი ლვოვი ითხოვა. ცინიზმამდე „ორიგინალური“ იყო რუს-ქართველა დიქტატორის პასუხი: მას დიდი სურვილი ჰქონდა სიამოვნება მიენიჭებინა პრეზიდენტისათვის, მაგრამ მას ასევე უკიდურესად სჭირდებოდა უკრაინელი ამომრჩევლების ხმები და ამიტომ უნდა დარჩენილიყო პოლონური ქალაქი უკრაინის შემადგენლობაში. ნუთუ სტალინს სჯეროდა, რომ ამერიკის პრეზიდენტს, ან მთლიანობაში დასავლეთს, წარმოდგენა არ ჰქონდა საბჭოთა „არჩევნების“ ანატომიაზე? მეტი საოცრება კი ის იყო, რომ ამ მრავლის მეტყველმა ფაქტმაც კი ვერ შეარყია რუზველტის ფანატიური რწმენა სტალინთან სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობაზე.

დაახლოებით ანალოგიური სიტუაცია იყო ბალტიის რესპუბლიკებთან დაკავშირებითაც. პრაგმატიკოსი რუზველტიც კი ვერ აუვლიდა გვერდს ლიტველების, ლატვიელებისა და ესტონელების უფლებას თვითგამორკვევაზე. რუზველტი შეეცადა სტალინის დარწმუნებას, რომ ამ სამი პატარა რესპუბლიკის მოსახლეობა მაინც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნას ამჯობინებდა და მოსკოვი არაფერს რისკავდა თავისუფალი არჩევნების შემთხვევაში. სტალინს სხვა შეხედულება (ამერიკელებზე გაცილებით ობიექტური) ჰქონდა ბალტიისპირელების განწყობაზე და შორს დაიჭირა პრეზიდენტის ინიციატივა: „ამ ქვეყნებს ავტონომიაც კი არ ჰქონიათ მეფის დროს, როცა ამერიკაც და ინგლისიც რუსეთის მოკავშირენი იყვნენ და ახლა რა აუცილებელია ამ საკითხის წამოჭრაო“ – გაიკვირა სტალინმა. რუზველტი ამერიკის საზოგადოებრივი აზრის მოშველიებასაც შეეცადა, მაგრამ რკინისებურ „არგუმენტს“ წააწყდა: „ამერიკელებისათვის საბ-

ჭოთა პოზიციის ახსნაა საჭირო და არა უდროო არჩევნების ჩატარება ბალტიისპირეთშიო". რუზველტს სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ სერიოზულად მიეღო სტალინის პირობა პლებისციტით ან სხვა დემოკრატიული პროცედურით მიეცა საშუალება ბალტიისპირელებისათვის, ღიად დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია. შვებით ამოისუნთქა „მიღწეულით" გახარებულმა პრეზიდენტმა — „ეს მე მაწყობსო". პარტნიორის კმაყოფილებით დაჯერებულმა სტალინმა კი იქვე დაიზღვია თავი და დასძინა: „რასაკვირველია, სავარაუდო პლებისციტი საერთაშორისო კონტროლის პირობებში არ უნდა ჩატარდესო". „რასაკვირველია, არაო" — კვერი დაუკრა პრეზიდენტმა. ყველა მწვავე პრობლემის „გადაჭრით" კმაყოფილმა რუზველტმა შეხვედრის დასასრულს იმედი გამოთქვა, რომ მოსკოვი დიპლომატიურ ურთიერთობებს დაამყარებდა პოლონეთის დევნილ მთავრობასთან. სტალინმა „კომენტარის გარეშე" დატოვა პრეზიდენტის იმედი.

კონფერენციის ბოლო დღეს მაინც მოხერხდა პოლონეთის საზღვრებზე შეთანხმება: დასავლეთით იწევდა აღმოსავლეთის საზღვრები, დასავლეთის საზღვრები კი მდინარე ოდერამდე და ნოისამდე გადაიწევდა. კმაყოფილი რუზველტი თეირანიდან კვლავ ქაიროში გაფრინდა. საშინაო პოლიტიკის საკითხებში გაბედულად და უშეცდომოდ, მაღალი ეფექტით მოქმედმა პრეზიდენტმა აშკარად ვერ ჩააბარა დიდი საერთაშორისო დიპლომატიის პირველივე სერიოზული გამოცდა. სტალინს კი, რომელსაც ამ დროისათვის რუზველტზე მეტი გამოცდილებაც ჰქონდა საერთაშორისო სფეროში (მარტო ჰიტლერთან ერთიერთობის გაკვეთილები რად ღირდა) და მეტი იდეოლოგიურ-პოლიტიკური მოტივაციაც გააჩნდა, სამართლიანად შეეძლო ეამაყა, რომ ასი პროცენტით მიაღწია დასახულ მიზნებს მსოფლიოს ორ უდიდეს „კაპიტალისტურ ზვიგენთან" პაექრობაში. მისთვის წარმატებული გამოდგა პირველი „ცოცხალი კონტაქტი" ამერიკის პრეზიდენტთან.

სულ სხვა განწყობილებით ტოვებდა თეირანს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი: სერიოზულად შეაშფოთა მისი პირადი ექიმი ომის ყველაზე კრიტიკულ დღეებშიც კი ოპტიმისტი და სიცოცხლის

ხალისით აღსავსე პაციენტის „შავმა მელანქოლიამ“, თუმცა მიუხედავად იმედგაცრუებისა (ის სულ სხვა შედეგს ელოდა თეირანიის კონფერენციიდან), ჩერჩილს წუთიც არ უფიქრია დასვენებაზე და პირდაპირ იტალიაში გაფრინდა ინგლისის არმიის სარდალთან, გენერალ ალექსანდერთან შესახვედრად. „იგი შეიძლება იქცეს ჩვენს უკანასკნელ იმედად. რაღაც უნდა მოვუხერხოთ ამ დაწყევლილ რუსებს“ – გაენდო იგი ენტონი იდენს, საგარეო საქმეთა მინისტრს. მართლაც, ყველაფერს იფიქრებდა საერთაშორისო პოლიტიკის ხორცშესხმული ენციკლოპედისტი ბრიტანეთის პრემიერი, მაგრამ თეირანის სიურპრიზს, მის წინააღმდეგ მიმართულ რუსულ-ამერიკულ ტანდემს, კოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდა. მის პიროვნულ ტრაგედიად იქცა მომავლის სწორად განჭვრეტის უნარი და კომუნისტური სისტემის ექსპანსიონისტური ბუნების ცოდნა. ტრაღედია იყო, რომ ჩერჩილი თავს არ იტყუებდა ომის შემდგომი მსოფლიოს ძალთა ბალანსის გათვლაშიც: ზესახელმწიფოებად მკვიდრდებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი,ხოლო ჯერ კიდევ ჩერჩილის ახალგაზრდობაში ზღვათა და ნახევარი ხმელეთის მპყრობელ დიდ ბრიტანეთს მეორე ხარისხოვანი ქვეყნის ბედი და სტატუსი ელოდა. განსაკუთრებით მტკივნეული და ძნელად ასატანი იყო „არაბუნებრივი“ ურთიერთობა მთავარ „ბუნებრივ“ მოკავშირესთან. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სულ ახლო მომავალში მთელი ძალით იჩენდა თავს „ბუნებრივი“ იდეოლოგიური, ღირებულებითი, პოლიტიკური წინააღმდეგობები დემოკრატიულ დასავლეთსა და ტოტალიტარულ საბჭოეთს შორის. მართალია, ჯერ კიდევ სერიოზული მსხვერპლი იყო გასაღები ფაშიზმის დასამარცხებლად, რისი დიდი ნაწილიც სწორედ ტოტალიტარულ რუსეთს უნდა გაეღო, მაგრამ ვინაიდან ეს მხოლოდ დროის საკითხი იყო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ომის შემდგომი მსოფლიოს არქიტექტონიკა. ამ პროცესში კი უმდიდრესი და უძლიერესი ზესახელმწიფოს – აშშ-ის ლიდერს მოსკოვი და არა ლონდონი მიაჩნდა მთავარ პარტნიორად და მოკავშირედ. ვაშინგტონისაგან დამოუკიდებლად კი ლონდონს კარგა ხანია, რაც აღარაფრის შეცვლა არ შეეძლო.

რუზველტს კი თეირანში კიდევ უფრო განუმტკიცდა საკუთარი შეხედულება მოსკოვის საგარეო პოლიტიკაზე. მან საბოლოოდ იწამა, რომ საბჭოთა კავშირი მზად იყო სამომავლო კოლექტიური თანამშრომლობისათვის და შეძლო ლოიალურ პარტნიორადაც ქცეულიყო. ამასთან, პირველმა ჩერჩილმა იგრძნო პრეზიდენტის სტრატეგიულ კურსსა და ხედვებში რეალურად მოსალოდნელი კორექტივები. თეირანის შემდეგ ქაიროს მეორე კონფერენციაზე რუზველტმა აღარ ისურვა გენერალისიმუს ჩან კაიშისთან შეხვედრა და ადრე შეპირებული დახმარებაც გადაიფიქრა. რა „ობიექტური მიზეზებითაც“ არ უნდა დაესაბუთებინა ღიად პროდასავლურად განწყობილი ჩინელი ლიდერის „გადაგდება“ რუზველტს, ის ვერასოდეს ვერ შესძლებდა ჩერჩილის მოტყუებას – უკანასკნელმა უშეცდომოდ იგრძნო პრეზიდენტისა და სტალინის პრივატული საუბრების შედეგი. ინგლისის პრემიერისათვის არასასიამოვნო მოულოდნელობად იქცა ის ფაქტი, რომ რუზველტმა ერთპიროვნულად, მასთან თუნდაც სიტყვიერი შე-



"დიდი სამეული" იალტის კონფერენციაზე.
1945 წლის 4–11 თებერვალი

თანხმების გარეშე გადაწყვიტა დასავლეთის ფრონტზე მოკავშირეთა არმიის მთავარსარდლად ამერიკელი გენერლის, დუაიტ ეიზენჰაუერის დანიშვნა (მეტსახელად „აიკი“). ინგლისელ ლორდთა პალატლმენურ ტრადიციებზე აღზდილი სერ უინსტონისათვის გაუგებარი იყო პირად ურთიერთობათა კოვბოური სტილი. სამშობლოში შობის წინა დღეს დაბრუნებული პრეზიდენტი კი, სადღესასწაულო მიმართვაში (რადიოთი) ოპტიმიზმითა და რწმენით იყო შეპყრობილი. ომის შემდეგ ის ისეთ მსოფლიოს ჰპირდებოდა ამერიკელებს „რომელსაც შეეძლო გაემართლებინა ომის ყველა მსხვერპლი.“

ისე კი, რა დიპლომატიური აქტივით დაბრუნდა სახლში „დიდი სამეულის“ პირველი კონფერენციიდან რუზველტი? მან დე-ფაქტო აღიარა მოსკოვის მიერ ბალტიისპირეთის სამი პატარა ქვეყნის ანექსია, საბჭოთა რუსეთს გადაულოცა ნიცშეს მშობლიური კენიგსბერგი, დაეთანხმა პოლონეთის მომავალი საზღვრების საბჭოურ ვერსიას, გაიზიარა სტალინის გეგმები გერმანიისა და იაპონიის ომის შემდგომ კონტროლზე და ტერიტორიულ კორექტივებზე, ზურგი შეაქცია ჩან კაიშის, რითაც აუცილებლად ისარგებლებდნენ ადგილობრივი კომუნისტები და, რაც მთავარი იყო (რითიც განსაკუთრებით ამაყობდა), მინიმუმამდე დაიყვანა სტალინის შიში ინგლის-ამერიკის ბლოკირებაზე. ერთადერთი გლობალური მნიშვნელობის დილემა, სადაც რუზველტმა ნამდვილად გამოავლინა სიფრთხილე, ეს იყო ბირთვული იარაღის საკითხი: მიუხედავად იმისა, რომ დარგის სპეციალისტები დაბეჯითებით ურჩევდნენ ანტიჰიტლერული კოალიციის გამაერთიანებელ და არა დამშლელ ფაქტორად ექცია ვაშინგტონს ბირთვული იარაღი (მათი აზრით, ამერიკა დიდი ხნით მაინც ვერ შეინარჩუნებდა მონოპოლიას), რუზველტმა გადაწყვიტა მოსკოვისაგან მკაცრად დაეცვა მანჰეტენის პროექტის საიდუმლოება.

ვირტუალურ სივრცეში მოტივტივე ვარიაციებად დარჩა თეირანში რუზველტ-ჩერჩილის სოლიდარული კურსი. ამერიკის პრეზიდენტს რომ მეტი ეფიქრა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიის გადარჩენაზე, ვიდრე ტოტალიტარულ საბჭოურ რეჟიმთან ომის შემდეგ თანამშრომლობაზე, რა ალტერნატივა რჩებოდა

სტალინს, გარდა სერიოზულ კომპრომისებზე წასვლისა? მართალია, მის სტრატეგიულ აქტივში იყო სტალინგრადი და კურსკი, მაგრამ მინსკი და ბელორუსიის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გერმანელების ხელში იყო და კვლავ ბლოკადაში იმყოფებოდა ლენინგრადი. არც ამერიკის დახმარება იყო მეორეხარისხოვანი საკითხი. ასე თუ ისე, ნებისმიერ შემთხვევაში, გაცილებით ზომიერი იქნებოდა, თუ სტალინი დასავლელ მოკავშირეთა ერთიან დიპლომატიურ ჯგუფს წააწყდებოდა. მისთვის ხომ საკითხთა საკითხი, რის გამოც თეირანში გაემგზავრა, მეორე ფრონტი იყო, თანაც ჩრდილოეთ საფრანგეთში და არა ბალკანეთში, რასაც დაბეჯითებით ითხოვდა ჩერჩილი.

„დიდი სამეულის“ მეორე და რუზველტისათვის უკანასკნელი შეხვედრა ომის მიწურულს დაიგეგმა. ამ პერიოდისათვის უკვე საყოველთაოდ იყო ცნობილი რუზველტის ჯანმრთელობის სერიოზული გაუარესება, მაგრამ სტალინს ნაკლებად აინტერესებდა ამერიკის პრეზიდენტის ფიზიკური შესაძლებლობები და მეორე შეხვედრაც მოსკოვიდან მაქსიმალურ სიახლოვეს, ამერიკიდან კი მაქსიმალურად დაშორებულ იალტაში გაიმართა 1945 წლის 4–11 თებერვალს. ხანგრძლივი, მძიმე გადაფრენის შემდეგ, მოგზაურობის ბოლო მონაკვეთი, 170 კმ პრეზიდენტს ავტომობილით უნდა გაევლო დათოვლილ გზაზე. ამჯერად შეხვედრის მთავარი საკითხი იყო ევროპაში ახალი საზღვრების დადგენა, „პოლონეთის საკითხი“ და გაერო. ერთი სიტყვით, ყირიმში წყდებოდა ომის შემდგომი ევროპისა და მსოფლიოს მოწყობის ბედი. აქვე გადაწყდა, რომ 1945 წლის 25 აპრილს, სან-ფრანცისკოში უნდა შემდგარიყო ახალი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია.

ისევე როგორც თეირანამდე ქაიროში, ახლაც იალტამდე, მალტაში შედგა რუზველტისა და ჩერჩილის შეხვედრა. უკანასკნელი კვლავ მყისიერად დარწმუნდა, რომ პრეზიდენტისათვის მთავარ პრიორიტეტად სტალინთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება რჩებოდა. რუზველტს იდეა-ფიქსად ექცა „ბრიტანეთის იმპერიალიზმის“ ლიკვიდაცია, ხოლო კოლონიურ სისტემას იგი სამართლიანი მსოფლიო წესრიგის დამყარების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად მიიჩნევდა

(სამწუხაროდ, ამერიკის ერთ-ერთმა საუკეთესო პრეზიდენტმა საფლავში წაიღო იმის საიდუმლოება, თუ რის შემაფერხებლად მიიჩნევდა მსოფლიო კომუნისტურ სისტემას). მეორე მხრივ, ვაშინგტონასათვის მაინც ლონდონი რჩებოდა ნომერ პირველ მოკავშირედ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩერჩილისათვის არ არსებობდა „მანჰეტენის პროექტის“ საიდუმლოება, სტალინი კი მხოლოდ ლავრენტი ბერიას აგენტების მეშვეობით იყო ინფორმირებული ამერიკული ბირთვული ბომბის პერსპექტივებზე.

ყირიმში მოკავშირეები კვლავ მიუბრუნდნენ გერმანიის საკითხს: ჩერჩილის წინადადებით, გერმანიას უნდა „ჩამოჭროდა“ პრუსია, ხოლო დანარჩენი ნაწილიდან შექმნილიყო სამხრეთ-გერმანული სახელმწიფო დედაქალაქით ვენაში. პარტნიორები დათანხმდნენ გერმანიის დანაწევრებაზე, ოღონდ არანაირი კოკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღიათ. მცირე დავის შემდეგ გადაწყდა საფრანგეთისთვისაც გამოეყოთ საოკუპაციო ზონა გერმანიაში. რუზველტის აზრით, „თანაოკუპანტ“ ფრანგებზე ზეგავლენის მოხდენა იოლი იქნებოდა. სტალინმა კვლავ წამოაყენა რეპარაციის საკითხი გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების დემონტაჟითა და ყოველთვიური გადასახადებით. მან 20 მილიარდ დოლარად მოითხოვა რეპარაციის ოდენობის განსაზღვრა, საიდანაც ნახევარი საბჭოთა კავშირს უნდა მიეღო. რუზველტმა სტალინის ამ მოთხოვნასაც დაუჭირა მხარ, მაგრამ ჩერჩილის მწვავე წინააღმდეგობას წააწყდა, რომლისთვისაც მიუღებელი იყო მომავალი გერმანიის უზომო დასუსტება. საბოლოო ჯამში საკითხი ღიად დარჩა. რუზველტის იდეა იყო გაეროს მეურვეობის დაწესება კოლონიებზე და სათანადო დოკუმენტიც წარადგინა კონფერენციის განსახილველად, რასაც ჩერჩილის „აფეთქება“ მოჰყვა – არაინგლისურად გაცხარებულმა პრემიერმა კატეგორიულად განაცხადა, რომ იოტის ოდენა ჩარევასაც კი არ დაუშვებდა იმპერიის საქმეებში. „აბა, როგორ შეხვდება სტალინი ყირიმის ინტერნაციონალიზაციის იდეას?“ – გესლიანად კითხულობდა ჩერჩილი. რუზველტმა თავი აარიდა „ბულდოგის“ ხახაში მოქცევას და სასწრაფოდ „დააზუსტა“: ამერიკელები მხოლოდ ჰიტლერის ბატონობისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიებს, მაგა-

ლითად, წყნარი ოკეანის კუნძულებს ვგულისხმობთო. გადაწყდა, რომ გაეროს მეურვეობა შეიძლება გავრცელებულიყო გერმანიისათვის ჩამორთმეულ ტერიტორიებზე და მათზე, ვინც ამას თავად ისურვებდა. ჩერჩილის ყურადღების ცენტრში იყო იუგოსლავია და საბერძნეთი: საბერძნეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, სადაც ბრიტანეთის არმია მეამბოხე კომუნისტების წინააღმდეგ ომში ღებულობდა მონაწილეობას. წინა წელს სტალინმა აღიარა ბრიტანეთის გავლენა საბერძნეთზე, რაც ყირიმშიც დაადასტურა. ძალაში დარჩა იუგოსლავიაში პარიტეტზე ადრე მიღწეული გადაწყვეტილებაც, სადაც კომუნისტი იოსიპ ბროზ ტიტო პროდასავლურ ლიდერებს უნდა შეთანხმებოდა, თუმცა ჩერჩილი რეალობით კვლავ უკმაყოფილო იყო. გაურკვეველი რჩებოდა იუგოსლავიას, ავსტრიასა და იტალიას შორის არსებული ტერიტორიული პრობლემები. „სამეულმა“ მოილაპარაკა, რომ ეს საკითხი ჩვეულებრივი დიპლომატიური არხებით დარეგულირებულიყო. ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღეს რუმინეთთან, უნგრეთთან და ბულგარეთთან მიმართებაშიც, სადაც უკვე წითელი არმია „ამყარებდა წესრიგს“.

უნიკალური შემთხვევა დაფიქსირდა კონფერენციის მეოთხე დღეს: რუზველტი და ჩერჩილი ერთად შეეცადნენ სტალინზე „რბილი ძალით“ ზეწოლას – ჯერ პრეზიდენტს ეყო გამბედაობა კვლავ წამოეჭრა პოლონეთის საზღვრებში ლვოვის დატოვების საკითხი, შემდეგ პრემიერმა აუბა მას მხარი და საფირმო მჭევრმეტყველებით შეეცადა გული აეჩუყებინა „გულაგის“ ინიციატორისათვის: „თქვენი პოზიცია პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრებთან დაკავშირებით ძალას კი არა, სამართალს ეფუძნებაო“ – ეთანხმებოდა ჩერჩილი სტალინს და „მეგობრულად“ სთხოვდა „დიდსულოვნება“ გამოეჩინა სუსტ მეზობელთან საზღვრების დადგენაში, ანუ ლვოვთან დაკავშირებით რუზველტის თხოვნას დათანხმებოდა. როგორც ჩანს, სტალინთან ურთერთობის საკმარისი გამოცდილება არ ჰქონდათ დასავლეთის სამყაროს ორ ყველაზე ძლევამოსილ ადამიანს, რათა ფუჭად არ ეხარჯათ დრო კრემლის „ხაზეინის“ კეთილ ნებაზე საცდუნებლად. სტალინმა მომენტალურად დაუმტკიცა სტუმარ-მოკავშირეებს, რომ

მისთვის ერთადერთი არგუმენტი სამხედრო ძალთა თაფარდობა იყო: უცებ დაივიწყა თავაზიანი მასპინძლის როლი, ფეხზე წამომდგარმა და ხმააწეულმა მკვახედ შეახსენა თანამოსაუბრეებს, რომ „კერზონის ხაზის“ დამდგენლები სწორედ ინგლისელები და ამერიკელები იყვნენ 1918-1919 წლებში ვერსალში, სადაც რუსეთი მიწვეული არ ყოფილაო. „ასე რომ, ლენინს არ დაუდგენია ეს საზღვარი და რას იტყვიან უკრაინელები და ბელორუსები დღეს, რომ მათ საზიანოდ შეიცვალოს საზღვრები? – რიტორიკულ კითხვას სვამდა სტალინი და იქვე პასუხობდა: „ისინი იტყვიან, სტალინი და მოლოტოვი კერზონზე და კლემანსოზე უარესად იცავენ რუსეთსო“. მართლაც, რომ ტყუილად არ ითვლებოდა სტალინი „რკინისებური არგუმენტების“ უბადლო ოსტატად. როგორც კი გასაგებად დაარწმუნა დასავლელი პარტნიორები, რომ უაზრობაა მასთან რაიმე დათმობებზე საუბარი, სტალინმა ახალი ტერიტორია მოითხოვა. საკითხი ეხებოდა მდინარე ოდერსა და გეორლიცის ნოისეს შორის მდებარე ოლქებს. საქმე ის იყო, რომ ორი ნოისე არსებობდა, რასაც თეირანში რუზველტმა და ჩერჩილმა ყურადღება არ მიაქციეს. ჩერჩილის შენიშვნაზე, რომ ამას 7-8 მილიონი გერმანელის აყრა და გასახლება მოჰყვებოდა, სტალინს მზად ჰქონდა პასუხი: იქაური გერმანელები წითელი არმიის გამოჩენისთანავე უკვე გაიქცნენო. საბოლოო გადაწყვეტილება კვლავ ომის შემდგომი სამშვიდობო კონფერენციისათვის გადაიდო, რაც მისაღები იყო სტალინისათვის.

როდესაც მოკავშირეებმა, ავად თუ კარგად, განსაზღვრეს პოლონეთის საზღვრები, ჯერი მის მთავრობაზე მიდგა. სტალინმა გადაჭრით განაცხადა, რომ ვარშავის მთავრობას (კომუნისტებს) არავითარი კონტაქტი არ ექნებოდა ლონდონის დევნილ (კანონიერ) მთავრობასთან. ისევე როგორც ომის საწყის ეტაპზე ჩერჩილი მარტო ებრძოდა ფაშისტურ დიქტატურას, პრაქტიკულად ახლაც მარტოს უხდებოდა დემოკრატიული ფასეულებებისათვის ბრძოლა, მხოლოდ უკვე ძლევამოსილ „მოკავშირესთან“. ეტყობა, არჩევნებში გამარჯვებულ რუზველტს უკვე ნაკლებად ადარდებდა საკუთარი პოლონელი ამომრჩევლების განწყობა და ნახევარი ძალით თუ უჭერდა მხარს ჩერჩილს,

რომელიც საფუძვლიანად ასაბუთებდა, რომ პოლონეთის მოსახლეობის ერთი მესამედიც არ იყო კომუნისტების მომხრე. ვინაიდან პოლონეთს წითელი არმია აკონტროლებდა, სტალინმა შესაძლებლად ჩათვალა „დათმობაზე“ წასვლა და პირობა დადო, რომ პოლონეთის მთავრობაში რამდენიმე „ლონდონელ“ მინისტრს შეიყვანდა. რუზველტმა ჯერ პოლონეთის საპრეზიდენტო საბჭოს შექმნის იდეა წამოაყენა, შემდეგ თითონვე უარყო თავისი წინადადება. სტალინსა და რუზველტს შორის ცხარე დისკუსიის შედეგად გადაწყდა „ფართო დემოკრატიულ საფუძველზე“ შექმნილიყო პოლონეთის დროებითი მთავრობა და შესაძლებლად მოკლე ვადაში ჩატარებულიყო თავისუფალი არჩევნები.

პრაქტიკულად იალტაში გადაწყდა, რომ მთელი აღმოსავლეთ ევროპა რჩებოდა საბჭოთა გავლენის ზონად, დასავლეთი ევროპა და ხმელთაშუაზღვისპირეთი კი ინგლის-ამერიკის გავლენის ზონად. საბჭოთა კავშირის განკარგულებაში რჩებოდა ტერიტორია მდინარე ელბამდე. ამერიკის ჯარებს ეკავათ ტიურინგიის, საქსონიისა და მეკლენბურგის დიდი ნაწილი — ტერიტორია, რომელიც, შეთანხმებისამებრ, საბჭოთა საოკუპაციო ზონაში უნდა შესულიყო.

იალტაში საბოლოოდ გადაწყდა, რომ ევროპაში ომის დამთავრებიდან 2-3 თვის შემდეგ, საბჭოთა კავშირი ომს გამოუცხადებდა იაპონიას. სანაცვლოდ სტალინმა შორეულ აღმოსავლეთში პოზიციების სერიოზულად გაძლიერების გარანტია მოითხოვა და რუზველტის მზარდაჭერის შედეგად მიიღო კიდეც — ფაქტიურად, საბჭოთა კავშირს უბრუნდებოდა 1904-1905 წლებში რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ დაკარგული ყველა ტერიტორია და პლუს პრივილეგია დაეუფლებოდა რამდენიმე სტრატეგიული მნიშვნელობის კუნძულს, რომელთა გამო დღემდის ვერ ფორმდება სამშვიდობო ხელშეკრულება რუსეთსა და იაპონიას შორის.

ერთადერთი, ისიც სიმბოლური, დათმობა რომელზეც სტალინი წავიდა იალტაში, ეს იყო ამერიკელების მიერ მომზადებული დოკუმენტის — „განთავისუფლებული ევროპის დეკლარაციის“ მიღება. დეკლარაცია საზეიმოდ აღიარებდა ევროპისათვის დემოკრატიულ პრი-

ნციპებს. კონკრეტულად, მოკავშირე სახელმწიფოების ხელმძღვანელები ვალდებულებას კისრულობდნენ ერთმანეთთან შეთანხმებით გადაეჭრათ ევროპის განთავისუფლებული ხალხების „დროებითი“ ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები. მოკავშირეებს თავისუფალი არჩევნების გზით უნდა შეექმნათ დემოკრატიული მმართველობისათვის საჭირო პირობები. გასაკვირი არ არის, რომ დეკლარაციის აბსოლუტურად ყველა მუხლი ქაღალდზე დარჩა. მიზეზებზე „ისტორია სდუმს“. რასაკვირველია, კეთილშობილი ფრაზებით დამშვენებული დეკლარაცია ვერ გადაფარავდა იმ მწარე და დასავლელ დემოკრატთათვის სამარცხვინო რეალობას, რომ კაცობრიობის მიერ გაღებული უდიდესი მსხვერლის დე ფაქტო შედეგი იყო ბიპოლარული მსოფლიო, „რკინის ფარდით“ გაყოფილი ევროპით. იალტაში „დაკანონებული“ სისტემის უსამართლო და, აქედან გამომდინარე, არამყარ საფუძველზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მან მხოლოდ ოდნავ გადააბიჯა 40-წლიან ასაკს.

იალტის კიდევ ერთი, მორალური თვალსაზრისით, სადაო ღირებულების გადაწყვეტილება იყო დასავლელ მოკავშირეთა თანხმობა სამხედრო და სამოქალაქო პირთა იძულებით რეპატრიაციაზე: ხსენებული შეთანხმებით ინგლისელებმა საბჭოთა მხარეს გადასცეს მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩენილი არა მხოლოდ საბჭოთა მოქალაქეები, არამედ ყოფილი საბჭოთა მოქალაქეებიც, რომელთაც ჯერ კიდევ ომამდე ჰქონდათ მიღებული უცხო ქვეყნების მოქალაქეობა. მთლიანობაში საბჭოთა კავშირს გადაეცა სარეპრესიოდ განწირული 2,5 მლნ ადამიანი. განსაკუთრებით ტრაღიკული ბედი ელოდათ კაზაკებსა და მათი ოჯახის წევრებს: ის, რომ კაზაკები ოქტომბრის რევოლუციის (გადატრიალების) პირველივე დღეებიდან უნდობლობით შეხვდნენ კომუნისტურ რეჟიმს, კარგად იყო ცნობილი მთელი მსოფლიოსათვის, მათ შორის ინგლისელებისთვისაც. თავის დროზე საბჭოთა ხელისუფლებამ „კულაკებთან“ გაათანაბრა ნებისმიერი კაზაკი მთელი ოჯახით და დაიწყო ე.წ. „განკაზაკების“ ტოტალური ოპერაცია. ორენბურგის გუბერნიაში წამოწყებული და შემდეგ მთელ სამხრეთ რუსეთს მოდებული, კაზაკების, როგორც სოციალუ-

რი ფენის განადგურების კამპანიის პირდაპირი შედეგი იყო, რომ კაზაკები თეთრგვარდიელთა რიგებში აღმოჩდნენ, თუმცა დასაწყისში გამონაკლისიც იყო: „წითელმა კაზაკებმა“ გაათავისუფლეს დონის კაზაკთა დედაქალაქი ნოვოჩერკასკი, მაგრამ როდესაც საკუთარი თვალით იხილეს ქალაქში დაბრუნებული ჩეკისტების შურისძიების მასშტაბები, თეთრგვარდიელთა რიგებში ბრძოლა ამჯობინეს. იმდროინდელი მონაცემებით, მხოლოდ 1918-1919 წლებში ჩეკისტებმა ყუბანში, სტავროპოლსა და დონის ოლქში ექვსი ათასი კაზაკი დახვრიტეს.

1942 წელს გერმანელებმა ნოვოჩერკასკი დაიკავეს. ჰიტლერმა მოიწონა გერმანიის პატრონაჟით კაზაკთა გაერთიანებების შექმნის იდეა, ვინაიდან კაზაკებს ძველი გოთების შთამომავლებლად, ე.ი. არიელებად მიიჩნევდა, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო „დაბალ“ რასობრივ საფეხურზე მდგარ სლავებთან. 1944 წელს ბერლინის გადაწყვეტილებით შეიქმნა კაზაკთა არმიის სამმართველო. იმავე წელს კაზაკები ოჯახებიანად დაასახლეს ჩრდილოეთ იტალიაში. მათ საკუთრებაში მიიღეს მიწები, გამოსცემდნენ გაზეთ „კაზაკთა მიწას“, „სტანიცებად“ გადაკეთდა ბევრი ადგილობრივი სოფელი. კაზაკების მთავარი მოვალეობა პარტიზანებთან ბრძოლა იყო და რადგან იტალიელი (ისევე როგორც ფრანგი) პარტიზანების ბირთვს კომუნისტები წარმოადგენდნენ, მათთვის ეს უკვე გადამწყვეტი მოტივაცია იყო.



რუსი კაზაკები გერმანიის ვერმახტის რიგებში

იტალიაში გერმანელების კაპიტულაციის შემდეგ, 40000 კაზაკმა (ოჯახებითურთ), იტალიელ პარტიზანებთან გააფთრებული ბრძოლები შეძლო ალპების გადალახვა და ქ. ლინცში დაბანაკება. კვლავ ჩეკისტების ხელში რომ არ მოხვედრილიყვ-

ნენ, აქ აპირებდნენ ისინი ინგლისელებს ჩაბარებულიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ კაზაკთა მეთაურები ყოველნაირად შეეცადნენ ინგლისელებისა და ამერიკელებისათვის აეხსნათ გერმანელებთან მათი კავშირის ყველა იძულებითი გარემოება და საბჭოთა კავშირში დაბრუნების შემთხვევაში მათი გარანტირებული უსაფრთხო მომავალი, იალტის შეთანხმების საფუძველზე, დასავლელ მოკავშირეებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი ყველა საბჭოთა მოქალაქე გადაეცათ მოსკოვისათვის. ინგლისის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა ისე უფრთხოდა თვით განიარაღებული კაზაკებიდან მოსალოდნელ წინააღმდეგობასაც კი, რომ ლონდონელმა ჯენტლმენებმა ტრივიალური ტყუილიც კი არ ითაკილეს: საგანგებო „თათბირზე“ კაზაკების 1500 მეთაური მიიწვიეს, დააპატიმრეს და რუსებს გადასცეს. კაზაკებს ხომ აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ ასეთ სამარცხვინო საქციელს იკადრებდნენ ბრიტანელი ოფიცრები. პირველ ივლისს ინგლისის ჯარმა ტანკებითა და სატვირთო მანქანებით შემოარტყა ალყა კაზაკთა ბანაკს, სადაც ამ დროს სამგლოვიარო წირვა ტარდებოდა. იყო წინააღმდეგობის გაწევის მცდელობაც, რაც სასტიკად იქნა ჩახშობილი მსხვერლით. დაახლოებით 22 ათასი კაზაკი და მათი ოჯახის წევრი გადაეცა „ნკვდ“-ს ჯარებს. კაზაკებისა და ემიგრანტების დეპორტაცია მოხდა იუგოსლავიიდან, ავსტრიიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ინგლისიდან, დანიიდან და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებიდან. კაზაკთა ძირითადი მასა, სტალინის ბრძანებით, დახვრიტეს, მათი ოჯახის წევრებს კი „გულაგ“-ში უკრეს თავი. 1955 წელს კაზაკთა ნარჩენების ამნისტია მოხდა. ცხადია, დიდი გამარჯვების ისტორიაში ადგილი არ მოიძებნა ამ რამდენიმე შავი ფურცლისათვის. ისე კი საინტერესოა, თუ ბალტიისპირელი „ტყის ძმების“ მიმართ ამა თუ იმ ფორმით მაინც აღდგა სამართლიანობა, რა განსაკუთრებული დანაშაულის გამოა დღემდის ჩაჩუმებული ამ უნიკალური ბედის მქონე ხალხის არცთუ შორეული წარსული?

ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში კი თვეებიღა რჩებოდა ომის დამთავრებამდე. ამერიკელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მათთვის მთავარი პრიორიტეტი თავიანთი ჯარისკაცების („ბი-


ჭების“) სიცოცხლე იყო და ეიზენჰაუერმა პირადი წერილით დაუთმო სტალინს ბერლინის აღების შარავანდედი, რასაკვირველია ცოცხალი ძალის გიგანტური მსხვერპლით – ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ გერმანელები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ დასანგრევად განწირული დედაქალაქისთვის.

მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელი (არა მხოლოდ ომების, არამედ კაცობრიობის ისტორიაში) უპრეცედენტო მოვლენა იყო ამერიკელების მიერ ბირთვული იარაღის გამოყენება იაპონიის წინააღმდეგ ჰიროსიმასა და ნაგასაკში, 1945 წლის ექვს და ცხრა აგვისტოს. მანამდე კი ორი კვირით ადრე, პოტსდამის კონფერენციაზე, აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა ოთხი წლის „საიდუმლოება“ გაანდო იოსებ სტალინს – ამერიკელებს არნახული დამანგრეველი ძალის ახალი იარაღი გაუჩნდათო, თუმცა არ დაუკონკრეტებია რა იარაღს გულისხმობდა ან როდის აპირებდნენ ამერიკელები მის გამოყენებას. მრავალი წლის შემდეგ ტრუმენი მემუარებში წერდა, რომ სტალინმა დიდი ინტერესი არ გამოავლინა ახალი იარაღისადმი და ეტყობა, ვერ მიხვდა მის მნიშვნელობასო. ანალოგიურსავე დასკვნამდე მივიდა ჩერჩილიც, რომელმაც უკვე იცოდა, თუ რა უნდა ეცნობებინა სტალინისათვის ტრუმენს და დაძაბული აკვირდებოდა მარშალის რეაგირებას. პრეზიდენტისთვისაც და პრემიერისთვისაც არასასიამოვნო სიურპრიზი იქნებოდა შეხვედრის შემდეგ მოლოტოვსა და სტალინს შორის გამართული საუბარის მოსმენა: სტალინმა მოლოტოვს დაავალა, რომ კურჩატოვს (საბჭოთა ბირთვული პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელს) დაკავშირებოდა და „რუსულ ბომბზე“ სამუშაოების დაჩქარება ეთხოვა.

ლონდონისა და ვაშინგტონისათვის არც იმის გაგება იქნებოდა ინტერესს მოკლებული, რომ სტალინი ტრუმენზე გაცილებით ადრე და დეტალურად იყო ინფორმირებული „მანჰეტენის პროექტზე“.

შეუძლებელია, რომ კრემლი საქმის კურსში არ ყოფილიყო ბირთვული ენერგიის სფეროში ჯერ კიდევ 30-იანი წლების დამლევს მიღწეულ ეპოქალური მნიშვნელობის აღმოჩენებზე. 1939 წელს ფრანგმა ფიზიკოსმა ფრედერიკ ჟოლიო-კიურიმ პირველმა იწინასწარმეტყვე-

ლა ურანის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა. საკითხი ეხებოდა ენერგიის პრინციპულად ახალ წყაროს და უდიდესი დამანგრეველი ძალის ფეთქებად ნივთიერებას. მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები – ნილს ბორი, ლეო სცილარდი და ჯონ უილერი (აშშ-ში), იაკობ ფრენკელი, იაკობ ზელდოვიჩი და იული ხარიტონი (საბჭოთა კავშირში), თითქმის ერთდროულად მივიდნენ ბირთვული ენერგიის გამოყოფის შესაძლებლობის დასკვნამდე.



"მანჰეტენის პროექტის" პირმშო - ატომური ბომბი "პაწაწინა"

ეს ის დროა, როდესაც ევროპა დღითიდღე უახლოვდება ახალ დიდ ომს, რაც აათმაგებდა ზემძლავრი იარაღის ფლობის ეშხს. მეორე მხრივ, როგორც ჩანს, მხოლოდ 1913 წლის ნობელის პრემიის ლაურეატს, დანიელ ფიზიკოს ნილს ბორს ეყო მოქალაქეობრივი გამბედაობა სამხედრო მიზნებში ბირთვული ენერგიის აკრძალვის მოთხოვნით მიემართა მსოფლიოს მთავრობებისა და სალხებისათვის. მას არავინ მიაქცია ყურადღება, ამერიკაში კი ლეო სცილარდისა და იუჯინ ვიგნერის თხოვნით, პრეზიდენტ რუზველტს ალბერტ ეინშტეინმა ბირთვული იარაღის შექმნისათვის საჭირო სამუშაოების დაწყების წინადადებით მიმართა. პრეზიდენტისათვის წერილის გადაცემა ნიუ-იორკელმა ეკონომისტმა, რუზველტის ძველმა მეგობარმა საქსმა ითავა. 1939 წლის 11 ოქტომბერს შედგა ისტორიული შეხვედრა პრეზიდენტთან. თავიდან რუზველტი უყურადღებოდ უსმენდა საქსის არგუმენტებს, მაგრამ როდესაც სტუმარმა უსაყვედურა, რომ იგი საკუთარი ფულით ჩავიდა ვაშინგტონში და არც უქმად დროს კარგვას იყო მიჩვეული, რუზველტმა უკვე ყურადღებით მოისმინა მცირე პოპულარული ლექცია ბირთვული იარაღის პერსპექტივასა და ამ სფეროში ჰიტლერულ გერმა-

ნიაში ფართო მასშტაბით დაწყებულ სამუშაოებზე. მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონის სახელისუფლებო კულუარებში უკვე არსებობდა მკვეთრად სკეპტიკური განწყობილება თვალით უხილავი „რაღაც ატომის“ ფანტასტიურ ძალაზე, რუზველტმა საკუთარ თავზე აიღო 2-მილიარდ დოლარიანი (ეს მხოლოდ დასაწყისისათვის) პროექტის რისკი. ასე დაიბადა „მანჰეტენის პროექტი“. უცნობია, იყო თუ არა ამერიკის პრეზიდენტისათვის ცნობილი ფრანგების გენიალური იმპერატორის საბედისწერო შეცდომა, როდესაც ნაპოლეონმა ფანტაზიად ჩათვალა ორთქლის ძრავაზე მომუშავე ფლოტის იდეა და სასაცილოდაც კი აიგდო იდეის ავტორი რობერტ ფულტონი – „თქვენ გსურთ დამაჯეროთ, რომ ორთქლს შეუძლია ხომალდი მართოს? ორთქლის ადგილი სამზარეულოში, თავსახურიან ქვაბშია“ – ასე გაისტუმრა ეპოქის ერთმა უდიდესმა მხედართმთავარმა და სახელმწიფო მოღვაწემ მისი თანამედროვე უდიდესი გამომგონებელი. შედეგად კი ფულტონის იდეით, ინგლისმა მსოფლიოში პირველმა შექმნა ჯავშნოსანი ორთქლმავალი სამხედრო ფლოტი, რომელმაც ასანთის კოლოფებივით დაწვა ყირიმის ომში რუსეთის იალქნიან-ხისკორპუსიანი ფლოტი, ნაპოლეონმა კი ღმერთისა და ადამიანებისაგან მივიწყებულ კუნძულზე დაასრულა ერთ დროს მსოფლიო შარავანდედით გაბრწყინებული სიცოცხლე.

ფრანკლინ რუზველტმა ირწმუნა მეცნიერთა იდეები და ამერიკული მაშტაბითა და გაქანებით დაიწყო ახალ ზეიარაღზე მუშაობა, რომელსაც 1941 წლის ზაფხულში ინგლისელმა ფიზიკოსმა ჯეიმს ჩედვიკმა პირველად უწოდა ნამდვილი სახელი – ატომური ბომბი: „ჩვენ გვჯერა, რომ ატომური ბომბის შექმნა რეალობაა და მას ომში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია“. ანალოგიური შეფასებები გაისმოდა საბჭოთა კავშირშიც, მაგრამ ამ დროისათვის ხსენებული სფეროს წამყვანი მეცნიერების ნაწილი ციმბირის ტაიგაში ოქროს რეცხავდა (მარშალ ტუხაჩევსკისთან სიახლოვის ბრალდებით), მეორე ნაწილისთვის კი 22 ივნისის შემდეგ აღარავის ეცალა. გერმანელების მიერ ინგლისის ინტენსიური დაბომბვებით შეშინებულმა ჩერჩილმა ამჯობინა ამერიკელებისათვის გადაეცა ბირთვული კვლევის უმნივ-

ნელოვანესი დოკუმენტაცია სპეციალისტებთან ერთად, რამაც „მანჰეტენის პროექტზე“ მომუშავე ლოს-ალამოსის ლაბორატორიის პოტენციალი გააძლიერა.

მოსკოვში კი მხოლოდ 1943 წლის ბოლოს შეიქმნა საიდუმლო ლაბორატორია, სადაც იგორ კურჩატოვი ამერიკელთა ანალოგიური კვლევებით იყო დაკავებული. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ომის წლებში ერთი დღითაც არ შეუწყვეტია ნაყოფიერი მუშაობა დაზვერვას, რომლის ინფორმაციითაც ხდებოდა საბჭოთა პროგრამის კორექტირებები. თუ „ნკვდ“-ს ყოფილ მაღალჩინოსან პავლე სუდოპლატოვს დაეჯერება, ცოლ-ქმარი ფრედერიკ და ირენ ჟოლიო-კიურებიც კრემლზე მუშაობდნენ და საბჭოთა კავშირში ჩამოსვლაც სურდათ, მაგრამ ბერიამ და სტალინმა გადაწყვიტეს, რომ ისინი ამერიკაში უფრო სასარგებლონი იქნებოდნენ თავიანთ კოლეგებში პაციფისტური პოზიციის გასაძლიერებლად. ამ მხრივ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა „ცივი ომის“ წლებში, როდესაც იგივე სუდოპლატოვის ვერსიით, ამერიკელმა ფიზიკოსებმა შორს დაიჭირეს ლეგენდარულ საბჭოთა მზვერავის, პოლკოვნიკ რუდოლფ აბელის შეთავაზება თანამშრომლობის გაგრძელებაზე. როგორც ჩანს, ისინი მიხვდნენ, რომ მშვიდობის დასაცავად თანამშრომლობის მიზნით, მათ ელემენტარულ ჯაშუშობას სთავაზობდნენ.

პოტსდამში ჰარი ტრუმენის ჩასვლის დღეს, 1945 წლის 16 ივლისს ქალაქ ალამაგორდოს მიდამოებში, ამერიკელებმა მსოფლიოში პირველი ატომური ბომბი გამოცადეს. შედეგმა ბევრად გადააჭარბა ყველაზე ოპტიმისტურ პროგნოზებს. დადგა პრაქტიკული მოქმედების დრო.


ჯერ კიდევ 1944 წლის სექტემბერში, რუზველტის მამულში (ჰაიდ-პარკში, ნიუ-იორკთან ახლოს) შეხვედრისას, აშშ-ის პრეზიდენტი და ჩერჩილი შეთანხმდნენ, რომ ბირთვული იარაღი იაპონიის წინააღმდეგ იქნებოდა გამოყენებული. ამ პერიოდისათვის ამერიკელების დანაკარგი 200 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს შეადგენდა, რომლის ნახევარიც იაპონიასთან ომზე მოდიოდა. გაცილებით დიდი მსხვერპლი იყო მოსალოდნელი ცენტრალურ კუნძულებზე შეჭრისას.

თეთრ სახლსა და პენტაგონში ვარაუდობდნენ, რომ ბირთვული დაბომბვების მატერიალური ზარალი და ფსიქოლოგიური შოკი იაპონელებს სწრაფ კაპიტულაციაზე აიძულებდა. ყოველ შემთხვევისათვის 26 ივლისს ამერიკის, ინგლისისა და ჩინეთის მთავრობებმა (მოსკოვი ჯერ არ იყო იაპონიასთან ომში ჩართული), ტოკიოს უსიტყვო კაპიტულაცია პოტსდამის დეკლარაციით მოსთხოვეს. დეკლარაციის ტექსტი გადაიცა რადიოთი და თვითმფრინავით ფურცლებზე დაბეჭდილი გაიფანტა იაპონიის ქალაქების თავზე. 28 ივლისს იაპონიის პრემიერმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ დეკლარაცია სხვა არაფერი იყო, თუ არა ქაიროს დეკლარაციის გამეორება და მთავრობის სახელით უარყო კაპიტულაცია. იაპონიის სანაპიროებთან ახლოს მდებარე და საგანგებოდ დაცულ კუნძულ ტინიანზე კი ამერიკულ კრეისერ „ინდიანოპოლისს“ უკვე გადატანილი ჰქონდა ლოს-ალამოსის პირველი „პროდუქტი“ – ატომური ბომბი „პაწაწინა“. ერთი თვით ადრე სამიზნის შემრჩევმა კომიტეტმა რამდენიმე ქალაქი დაასახელა დაბომბვის კანდიდატებად. ესენი იყო ქვეყნის უმსხვილესი სამრეწველო ცენტრი კიოტო, სამხედრო პორტი და არმიის საწყობების ცენტრი ჰიროსიმა, სამხედრო მრეწველობის ცენტრი იაკოჰამა, უმსხვილესი სამხედრო არსენალი ბოკურუ და მანქანათმშენებლობის ცენტრი და პორტი ნიიგატა. კომიტეტმა უარყო კონკრეტული სამხედრო სამიზნეების დაბომბვის იდეა, ვინაიდან დიდი სიმაღლიდან ჩამოგდებული ბომბი შეიძლება აცდენოდა პატარა სივრცეს. გარდა ამისა, სამხედრო მინისტრმა სტომსონმა სიიდან ამოიღო კიოტო, სადაც მას თავის დროზე თაფლობის თვე ჰქონდა გატარებული და ისტორიული ქალაქის კულტურულ მემკვიდრეობას გაუფრთხილდა. ისე კი, პირველ რიგში სამხედროები მთავარ სამიზნედ კიოტოს განიხილავდნენ, ვინაიდან ქალაქი განათლების მაღალი დონით იყო ცნობილი და იაპონია ადეკვატურად შეაფასებდა ბირთვული იარაღის მნიშვნელობას. არჩევანი ჰიროსიმაზე შეჩერდა, სადაც იმ დროს 240 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა, თანაც იქ იყო განთავსებული მეორე მთავარი არმიის შტაბი. ჰიროსიმა, ისევე როგორც ნაგასაკი, ძირითადად ერთ და ორ-სართულიანი ხის ნაგებობებით იყო გაშენებული, ხოლო მო-

ძველებული ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა და არაკვალიფიციური პერსონალი, რაც ხაზგასმით იყო აღნიშნული კომიტეტის მოხსენებაში, მშვიდობიან პერიოდშიც კი გიგანტური ხანძრის საფრთხეს ქმნიდა.

ექვს აგვისტოს, ღამის ორ საათზე, ამერიკული ბომბდამშენი „B-29“, რომელსაც პოლკოვნიკი ტიბეტსი მართავდა, ტინიანის აეროდრომიდან აფრინდა და კურსი ჰიროსიმისაკენ აიღო. თვითმფრინავის მთავარი ტვირთი ბომბი „პაწაწინა“ იყო. მას ექვსი თვითმფრინავისაგან შემდგარი ესკორტი აცილებდა. ჰიროსიმის თავზე ცა მოწმენდილი იყო და საჭირო არ გახდა სამიზნეს შეცვლა. დილის რვა საათზე იაპონური რადარის ოპერატორმა რამდენიმე ამერიკული თვითმფრინავი შენიშნა, ჩვეულებრივ მზვერავებად ჩათვალა და საჰაერო განგაშიც არ გამოცხადებულა. რადიოს დიქტორმა, ყოველი შემთხვევისათვის, მოსახლეობას თავშესაფრებში ჩასვლა ურჩია. ადგილობრივი დროით რვა საათსა და 15 წუთზე, ცხრა კილომეტრის სიმაღლიდან ქალაქის ცენტრის თავზე პარაშუტით დაეშვა „პაწაწინა“, რომელიც დედამიწიდან 600 მეტრის სიმაღლეზე აფეთქდა. ეპიცენტრიდან 800 მეტრის რადიუსში მყოფ ადამიანთა 90 პროცენტი რამდენიმე წუთში დაიღუპა, აფეთქების ტალღამ კი ერთი ფანჯარაც არ დატოვა მთელი 19 კმ-იან რადიუსში. ქაღალდივით აალდა ყველაფერი, რაც კი შეძლებოდა დამწვარიყო. რადიაციული გამოსხივებით დაღუპულ პირველ ჰიროსიმელად იქცა ცნობილი იაპონელი თეატრის მსახიობი ქალი მიდორი ნაკა, რომელიც 24 აგვისტოს გარდაიცვალა. ითვლება, რომ სწორედ პოპულარული მსახიობის გახმაურებული სკვდილის შედეგად გახდა ცნობილი სიმართლე „უცნაურ ავადმყოფობაზე“ და ამ ფაქტმა დააჩქარა გამოკვლევები ბირთვული ფიზიკისა და მედიცინის ურთიერთკავშირზე, რამაც შემდგომში შესაძლებელი გახადა რადიაციით დასხივებული ბევრი ადამიანის გადარჩენა. აფეთქებისთანავე გაწყდა სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი ჰიროსიმასთან. იაპონიის არმიის გენერალურმა შტაბმა იცოდა, რომ ადგილი არ ჰქონია ჰიროსიმის მასიურ დაბომბვას და არც დიდი რაოდენობის ფეთქებადი მასალა არ ინახებოდა ქალაქში, ასეთი ნგრევა და ხანძარი

რომ გამოეწვია. ტოკიოდან ჰიროსიმაში სასწრაფოდ გაფრინდა გენერალური შტაბის ახალგაზრდა ოფიცერი, რათა ადგილზე შეესწავლა ვითარება და ზუსტი ინფორმაციით დაბრუნებულიყო. შტაბში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ჰიროსიმაში არაფერი სერიოზული არ მომხდარა და ხმები ჭორების სახით ვრცელდებოდა. სამსაათიანი ფრენის შემდეგ, როდესაც ჰიროსიმამდე 160 კმ. იყო დარჩენილი, ოფიცერმა და მფრინავმა კვამლის ღრუბლებში გაარჩიეს ჰიროსიმას ნანგრევები. ისინი საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ – ქალაქის ადგილას დარჩენილი ნანგრევები იწვოდა. მთელი სიმართლე კი იაპონელებმა 16 საათის შემდეგ გაიგეს, როდესაც ვაშინგტონმა პირველი ინფორმაცია გაავრცელა. უშუალოდ აფეთქების შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 70-80 ათასი ადამიანი შეადგინა, 1945 წლის ბოლოსათვის კი გარდაცვლილთა რაოდენობამ უკვე 170 ათასს მიაღწია, ხუთი წლის შემდეგ კი 200 ათასს გადააჭარბა. 2013 წლის მონაცემებით, იაპონიაში კიდევ ცხოვრობდა 201 779 „ხიბაკუსი“, ანუ ატომური დაბომბვებისას დაზარალებულები. საერთო მსხვერპლმა 450 ათას ადამიანს მიაღწია: 286 818 – ჰიროსიმაში და 162 083 - ნაგასაკში.



იაპონიის ქალაქი ჰიროსიმა ატომური ბომბის აფეთქების შემდეგ

სასწაულებრივ გადარჩა აფეთქების ეპიცენტრიდან 160 მეტრში მდებარე ჩეხი არქიტექტორის იან ლეტცელის მიერ აშენებული შენობის გუმბათის კარკასი. იგი დღემდეა შემონახული როგორც ჰიროსიმის ტრაგედიის ყველაზე ცნობილი ექსპონატი. 1996 წელს, მიუხედავად ვაშინგტონისა და პეკინის სერიოზული წინააღმდეგობისა, იუნესკომ „ატომური გუმბათი“ მსოფლიო მემკვიდრეობის რანგში აიყვანა.

6 აგვისტოსვე, როგორც კი აფეთქებისა და მისი პირველი შედეგების ცნობა მიიღო, ჰარი ტრუმენმა სპეციალური განცხადება გააკეთა, სადაც ნათქვამი იყო, რომ სწორედ იაპონიის ნგრევასა და მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად პოტსდამის დეკლარაცია-ულტიმატუმი. „თუ არც ამჟამად მიიღებს იაპონია ჩვენს პირობებს, პლანეტას რომ არ ახსოვს, ისეთ ნგრევას უნდა ელოდეს ჰაერიდანო“, შეპირდა იაპონელებს პრეზიდენტი. იაპონიის იმპერატორი ჯერ კიდევ ივნისიდან მოითხოვდა ომის შეწყვეტას, მაგრამ თავდაცვის მინისტრი და სამხედროები კაპიტულაციის კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ. გაურკვეველი იყო საბჭოთა კავშირის პოზიცია, რომელმაც მხოლოდ ჰიროსიმიდან მესამე დღეს, ცხრა აგვისტოს გამოუცხადა ომი იაპონიას. ეტყობა, მიხვდა სტალინი, რომ სარისკო იყო მეტი დაყოვნება – იაპონია შეიძლება მართლაც დათანხმებულიყო უსიტყვო კაპიტულაციას და მოსკოვი შეპირებულ პრიზს გამოემშვიდობებოდა. იაპონიის არმიის ხელმძღვანელობამ ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობის შემოღებისათვის მზადება დაიწყო, ამერიკელებმა კი 11 აგვისტოსათვის დაგეგმილი მეორე ბირთვული დარტყმა ცხრა აგვისტოსთვის გადმოწიეს, ვინაიდან სინოპტიკოსები ათდღიან უამინდობას ელოდნენ. ახალ სამიზნედ კოკური შეირჩა, სათადარიგოდ – ნაგასაკი. პირველ აგვისტოს, ნაგასაკის „ჩვეულებრივი“ საჰაერო დაბომბვის შემდეგ ქალაქიდან გახიზნული იყო მოსახლეობის დიდი ნაწილი და რაც მთავარია ბავშვები. ქალაქში 200 ათასამდე ადამიანი იყო დარჩენილი სამხედროებიანად.

9 აგვისტოს ღამის 3 საათზე, მაიორ სუინის „ბ-52“-მა, ბომბ „სქელით“ კოკურისაკენ აიღო კურსი. კოკურის თავზე ღრუბლიანობის გამო, მთავარი სამიზნე სათადარიგოთი შეიცვალა. დილის 11 საათისათვის ბომბდამშენი უკვე ნაგასაკის თავზე იმყოფებოდა, მაგრამ აქაც მაღალი ღრუბლიანობა დახვდა. მოულოდნელად ბომბარდირმა ბიხანმა ღრუბლებში გაჩენილ ნაპრალში ნაგასაკის სტადიონის სილუეტი შეამჩნია და ბომბი გაუშვა, რომელიც 500 მეტრის სიმაღლეზე აფეთქდა. თუმცა „სქელი“ „პაწაწინაზე“ ძლიერი იყო, ქალაქის რელიე-

ფის გამო ამჯერად მსხვერპლი ნაკლები იყო. გარდა ამისა, აფეთქების ეპიცენტრი ქალაქის სამრეწველო ცენტრში იყო და საცხოვრებელი რაიონები ძლიერ არ დაზიანდა. აფეთქების ტალღამ 110 კმ. მოიცვა და ქალაქის 52 ათასი შენობიდან 15 ათასი დაანგრია. მსხვერპლმა 60-70 ათასი ადამიანი შეადგინა, ხუთი წლის შემდეგ კი დაღუპულთა რაოდენობამ 140 ათასს გადააჭარბა.

ამერიკის მთავრობის ვარაუდით, კიდევ 5 ბომბი იქნებოდა მზად აგვისტოს შუა რიცხვებისთვის და 3-3 – სექტემბერ-ოქტომბერში. სამხედრო სამინისტრო წინააღმდეგი იყო პრეზიდენტის პირადი მითითების გარეშე ყოფილიყო გამოყენებული ახალი ბომბები, მით უმეტეს, სანამ საბოლოოდ არ გაირკვეოდა ტოკიოს პოზიცია. 10 აგვისტოს ღამით ტოკიოში გაიმართა „დიდი ექვსეულის" (წამყვანი მინისტრებისა და სამხედროების) თათბირი კაპიტულაციის თაობაზე. როდესაც ხმები შუაზე გაიყო, საქმეში იმპერატორი ხიროხიტო ჩაერია და კაპიტულაციისაკენ გადაწონა სასწორი, რის შესახებაც დილით ამერიკელებს აცნობეს. ტოკიოს ერთადერთი მოთხოვნა იყო იმპერატორის ნომინალური ხელისუფლების შენარჩუნება. 14 აგვისტოს პრესამ გაავრცელა იმპერატორის სპეციალური განცხადება კაპიტულაციაზე, რომელიც მეორე დღესვე შევიდა ძალაში, სამხედრო გადატრიალების მცდელობის მიუხედავად. მალე იაპონიის ტერიტორიაზე 70 ათასამდე ამერიკელი ჯარისკაცი განთავსდა.

ორ სექტემბერს, ამერიკული ლინკორის „მისურის" გემბანზე გაიმართა უსიტყვო კაპიტულაციაზე ხელმოწერის ცერემონია. ფორმალური ზავი 1951 წლის რვა სექტემბერს გაფორმდა სანფრანცისკოში.

მსოფლიოში, პირველ რიგში თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში, დღემდე არ შეწყვეტილა დისკუსია, თუ რამდენად აუცილებელი იყო გამარჯვებისათვის ჰიროსიმისა და ნაგასაკის ტრაღედია. აჯამებდა რა ხსენებულ საკითხთან დაკავშირებულ ისტორიოგრაფიას, 2005 წელს ამერიკელი ისტორიკოსი უოკერი წერდა, რომ არასოდეს არ დასრულდებაო კამათი დაბომბვების მიზანშეწონილობაზე. დაბომბვების მომხრეების ვერსიით, იაპონიამ უარი თქვა კაპიტულა-

ციაზე, ხოლო იაპონელ სამხედროთა ფანატიზმის გათვალისწინებით, სამხედრო ოპერაციების გაგრძელებას და კუნძულზე შეჭრას 100 ათასამდე მხოლოდ ამერიკელი ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირებოდა. გაცილებით კატეგორიული და სამხედრო თვალსაზრისით სადაოა დაბომბვების მოწინააღმდეგეთა ვერდიქტი, რომ ეს იყო „ფუნდამენტურად ამორალური“ აქტი და „სახელმწიფო ტერორიზმის გამოვლინება“. უდაო ფაქტი კი მხოლოდ ის არის, რომ 1945 წლისათვის მსოფლიოში არ არსებობდა სამართლებრივი აქტი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად კრძალავდა ბირთვული იარაღის გამოყენებას როგორც ომის წარმოების საშუალებას.

ამერიკის ბირთვული მონოპოლიის ხანმოკლე ერის დადგომას დაემთხვა მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელი, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე დიპლომატიური ფორუმი – პოტსდამის კონფერენცია. შეხვედრისა და „სამმხრივი თათბირის“ იდეის ავტორი ჩერჩილი იყო. მისი აზრით, შეხვედრა უნდა გამართულიყო გერმანიის „რომელიმე დანგრეულ ქალაქში“, მაგრამ არავითარ შემთხვევაში საბჭოთა საოკუპაციო ზონაში. „ჩვენ უკვე ორჯერ დავთანხმდიდ შეხვედრის ადგილზე სტალინის მოთხოვნასო“, – წერდა იგი ტრუმენს. უკანასკნელისათვის მისაღები იქნებოდა ციმბირი ან ალიასკა, მაგრამ მრჩევლებმა დროზე გადააფიქრებინეს ორივე ვარიანტი და გერმანიასა ან ვენაზე შეჩერდნენ. ვინაიდან წინასწარვე იყო ცნობილი, რომ სტალინი არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა ისეთ ქალაქზე, საიდანაც შეუძლებელი იქნებოდა ოპერატიული კავშირი მოსკოვთან. საბოლოო ჯამში უალტერნატივო ვარიანტად იქცა პოტსდამი, სადაც პირობებიც ნორმალური იყო და რკინიგზის ხაზიც მიდიოდა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო თვითმფრინავების მოძულე სტალინისათვის. თავისი როლი შეასრულა იმ ფაქტმაც, რომ ამერიკელებს თავი არ მოუკლავთ მასპინძლობისათვის, ხოლო ჩერჩილი კი ინგლისში არჩევნების წინ (რომელიც 26 ივლისს უნდა გამართულიყო) ზედმეტ ხარჯებს მოერიდა. თანაც მოსკოვმა ორჯერ უკვე დაამტკიცა, რომ მას შეეძლო მაღალ დონეზე უზრუნველეყო ასეთი დონის შეხვედრაცა და უსაფრთხოებაც, ამიტომ ჩერჩილი „ნათლიის“ (მან მოიფიქრა და

რუსებთან შეათანხმა შეხვედრის კოდური სახელწოდება – „პალმა“) როლით დაკმაყოფილდა და პოტსდამზე დათანხმდა.

სტალინის პირადი განკარგულებით, შეხვედრისათვის საჭირო ყველა მოსამზადებელი სამუშაოების ხელმძღვანელობა საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირს ლავრენტი ბერიას დაევალა, რომლის მაღალ ორგანიზაციულ ნიჭშიც ეჭვი არავის ეპარებოდა.


ჰარი ტრუმენმა შეხვედრაზე განსახილველი მთავარი საკითხების წინასწარი მოთელვისათვის თავისი გარდაცვლილი წინამორბედის, ფრანკლინ რუზველტის ორი მთავარი მრჩეველი – ჰოპკინსი და ბევინი მოსკოვსა და ლონდონში მიავლინა. რთული სათქმელია, თუ რამდენად იყო გამართლებული პრეზიდენტის საკადრო არჩევანი: ჰოპკინსისათვის ბიბლიური ჭეშმარიტება იყო რუზველტის რწმენა სტალინთან თანამშრომლობაზე და თავის ამოცანად ამ თანამშრომლობის პერსპექტივის გადარჩენა მიაჩნდა ნებისმიერ ფასად. რაც შეეხებოდა მდიდარ ბანკირსა და ინვესტორ დევისს, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე იყო რუზველტის ელჩი მოსკოვში და ამიტომ ითვლებოდა რუსეთის მცოდნედ, მან იმით დაამახსოვრა ყველას თავი, რომ საკუთარი სახსრებით გადაიღო „დოკუმენტური“ ფილმი 1937 წლის მოსკოვის პოლიტიკურ პროცესებზე, სადაც სტალინისა და ვიშინსკის სასამართლო მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ღია და დემოკრატიულ მართლმსაჯულებად იყო გამოყვანილი. რუსეთის კომუნისტური დიქტატურის 30-წლიანი სტაჟის მქონე „ექსპერტი“ ბრიტანეთის პრემიერი შეეცადა დევისისათვის აეხსნა მომავალი შეხვედრის გადამწყვეტი მნიშვნელობა ევროპული დემოკრატიისათვის და მოკლე ლექციაც კი წაუკითხა პრეზიდენტის საგანგებო დესპანს სტალინის რეჟიმის ანატომიაზე. რა ხასიათზე უნდა დამდგარიყო ჩერჩილი, საპასუხოდ მეტიჩარა ამერიკელი მილიონერის ირონიული შეკითხვა რომ მიიღო: ხომ არ შეცდა პრემიერი და მთელი ბრიტანეთი, როდესაც ჰიტლერის ნაცვლად სტალინი გაიხადა მოკავშირეთო? უშედეგოდ დასრულდა ჩერჩილის მცდელობა – პოტსდამამდე ლონდონში შეევლო ტრუმენს, რათა კარდინალური მნიშვნელობის საკითხებში შეთანხმებულიყვნენ და ერთიანი პოზიციით დახვედროდნენ სტალინს.

ტრუმენი, რომელიც ჯერ კიდევ მემკვიდრეობით მიღებული რუზველტის მრჩევლების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, პრინციპულად მოერიდა დასავლური ტანდემის შთაბეჭდილების შექმნას. ტრუმენისათვის შეხვედრის თარიღს ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა რადგანაც ივლისის შუა რიცხვებისთვის იყო დაგეგმილი ამერიკული ატომური ბომბის გამოცდა და პრეზიდენტსაც კონფერენციის მუშაობის დღეებში სურდა სურპრიზად ექცია სტალინისთვის ეს ფაქტი. იგი ისე შეუთანხმდა თარიღზე სტალინს, რომ ჩერჩილის თვალსაზრისით არცკი დაინტერესებულა. ჩანს, ვაშინგტონს უკვე განკუთვნილი ჰქონდა ლონდონისათვის უმცროსი პარტნიორის ადგილი. ჩერჩილს ივნისი უფრო აწყობდა, რათა ინგლისში არჩევნების დღეს ლონდონში ყოფილიყო. იგი აშკარად განაწყენდა, მაგრამ ვიღას ახსოვდა ის დრო, საერთაშორისო ამინდს რომ ქმნიდა დიდი ბრიტანეთის პრემიერის განწყობილება? თუმცა ოფიციალურ დონეზე ჩერჩილს გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა და ამიტომ კონფერენციაზე მაინც წაიყვანა ოპოზიციის ლიდერი, ლეიბორისტი კლემენტ ეტლი. მისდა სამწუხაროდ, თადარიგი გამართლებული აღმოჩნდა.

შეხვედრის ადგილისა და თარიღის გადაწყვეტის შემდეგ დაიწყო ინფრასტრუქტურაზე ზრუნვა: ბერლინის გარეუბან ბაბელსბერგში, სადაც მოკავშირეთა მრავალრიცხოვანი დელეგაციები უნდა განთავსებულიყვნენ, კი იყო საკმაოდ შემორჩენილი ვილები, მაგრამ კოლოსალური სამუშაოები იყო ჩასატარებელი მიმდებარე ტერიტორიების გასაწმენდად: დათვალიერების შედეგად გაირკვა, რომ გასატანი და გასაუვნებელყოფელი იყო ათასობით ჭურვი, ფაუსტპატრონა, ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ნაღმები, ასობით ავიაბომბი. მოსაშორებელი იყო მწყობრიდან გამოსული ათობით ტანკი, ქვემეხი და სხვა სახეობის იარაღი. დილიდან დაბნელებამდე გაჰქონდათ წითელი არმიის სატვირთო მანქანებს ჯართად ქცეული იარაღი. მიმდებარე ტერიტორიების გაწმენდის შემდეგ, იქაურობას ყურადღებით ამოწმებდნენ საბჭოთა არმიის საინჟინრო-გამნაღმავი ქვეგანაყოფები. სერიოზული სამუშაოები იყო ჩასატარებელი თავად

ცეცილიენჰოფის სასახლე-მამულში, სადაც შეხვედრა უნდა გამართულიყო.

შეხვედრის დასაწყისისათვის მოღუშულმა სასახლემ სულ სხვა იერი მიიღო: 176 ოთახიდან 40-მდე კაპიტალურად გარემონტდა, ათი ათასი ვარდი დაირგა სასახლის მახლობლად დიდ სკვერში, მიდამოს კეთილმოწყობით სამუშაოებზე პირადად აგებდა პასუხს შინაგან საქმეთა კომისრის მოადგილე სერგეი კრუგლოვი, რომელიც შეხვედრის დამთავრების შემდეგ, გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ივან სეროვთან ერთად, ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. გარდა ამისა, სახელმწიფო უშიშროების 2850 მუშაკი დაჯილდოვდა შეხვედრის მოსამზადებელი სამუშაოების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. „დიდი სამეულის“ შეხვედრის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შეხვედრამდე თვენახევრიდ ადრე ჩავიდა ადგილზე „ნკვდ“-ს შვიდი პოლკი. სასახლეში „წესრიგს“ იცავდა 150 სათანადოდ გაწვრთნილი ჩეკისტი და ათასი ჯარისკაცი. პოტსდამი გადაივსო საბჭოთა კონტრდაზვერვის, „სმერში“-ს („სმერტ შპიონამ“) და სხვა სპეცდანიშნულების ორგანოთა თანამშრომლებით, თუმცა არც ინგლისელებისა და ამერიკელების დაცვის სიმცირე არ იგრძნობოდა.



´დიდი სამეული¨ პოტსდამის კონფერენციაზე
1945 წლის 17 ივლისი - 2 აგვისტო

მთლიანობაში თვეზე ნაკლებ პერიოდში გარემონტდა და აღდგა გზები, ხიდები, ავტოფარეხები, სატელეფონო კვანძები, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემები. პოტსდამსა და ბაბელსბერგში ამუშავდა ორი ელექტროსადგური, ყველა ტიპის თვითმფრინავების მისაღებად მზად იყო ორი აეროდრომი. თავიდან გახდა შესატანი მთელი ავეჯი შენობებში, სადაც უნდა ეცხოვრათ და ემუშავათ დე-

ლეგაციის წევრებს. არც შენობაში და არც ბერლინში არ აღმოჩნდა პლენარული სხდომისათვის საჭირო ზომის მრგვალი მაგიდა, რომელიც საბოლოო ჯამში მოსკოვში იქნა საგანგებოდ დამზადებული. ივლისის პირველ დეკადაში მოსკოვიდან პოტსდამში მატარებლით ჩაიტანეს სტალინის, მოლოტოვისა და ბერიას ავტომანქანები. მოსკოვიდანვე ჩაიტანეს (ყოველი შემთხვევისათვის) სახანძრო მანქანები და ჩაიყვანეს გამოცდილი მეხანძრეები. მოსკოვიდანვე ჩავიდა მთელი მომსახურე და დამხმარე პერსონალი.

2 ივლისს ლავრენტი ბერიამ ოფიციალურად მოახსენა იოსებ სტალინსა და ვიაჩესლავ მოლოტოვს ჩატარებული სამუშაოების დეტალებზე. მზადყოფნაში იყო სპეციალური მატერებელიც.

17 ივლისს, დღის 12 საათზე გაიმართა სტალინისა და ტრუმენის პირველი შეხვედრა, მოლოტოვისა და ჯეიმს ბირნსის (აშშ-ის სახელმწიფო მდივნის) მონაწილეობით. ტრუმენმა თავიდანვე განაცხადა, რომ მას სურდა გენერალისიმუს სტალინის მეგობარი ყოფილიყო – „მე დიპლომატი არ ვარ და პირდაპირი ლაპარაკი მიყვარს". თავის მხრივ სტალინმა ამერიკასთან „ერთად სვლის" მზადყოფნა დაუდასტურა პრეზიდენტს. 24 ივლისს, საღამოს, უინსტონ ჩერჩილი „დროებით" გამოემშვიდობა პარტნიორებს – კლემენტ ეტლისთან ერთად ის ლონდონში მიემგზავრებოდა, სადაც არჩევნების შედეგებს უნდა დალოდებოდა. ჰარი ტრუმენი მემუარებში წერს, რომ გამომშვიდობებისას იოსებ სტალინმა იხუმრა: „თუ ბატონ ეტლის სახის გამომეტყველებით ვიმსჯელებთ, ის ჩერჩილის ადგილის დაკავებას აპირებსო". საბჭოთა სტილში „ორიგინალური" იყო კონსერვატორების დამარცხების მიზეზზე ლონდონში საბჭოთა საელჩოს ვერსია: ტორების გამარჯვებას შეიძლება საბჭოთა კავშირთან ომი მოჰყოლოდა, რაც, ცხადია, სწორად გაითვალისწინეს ინგლისელმა ამომრჩევლებმაო". დიდი ბრიტანეთის ახალი ლეიბორისტი პრემიერ-მინისტრი კლემენტ ეტლი ლონდონში 28 ივლისამდე დარჩა, მას დრო სჭირდებოდა ახალი მთავრობის ფორმირებისათვის.

როდესაც 28 ივლისს, დიდი ბრიტანეთის ახალი პრემიერი, ახალი საგარეო საქმეთა მინისტრ ერნსტ ბევინით და მნიშვნელოვნად განახ-

ლებული დელეგაციით კონფერენციაზე დაბრუნდა, მთავარ საკვანძო საკითხებზე ან უკვე მიღწეული იყო შეთანხმება, ან გარკვეული იყო მხარეთა პოზიციები.

პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებით, პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრებმა მდინარე ოდერ-ნოისემდე გადაიწია დასავლეთით. ტერიტორიული ცვლილებებით, 1937 წელთან შედარებით, გერმანიის ტერიტორია 25 პროცენტით შემცირდა. ჩამოჭრილი მიწების უდიდესი ნაწილი პოლონეთს ერგო. საბჭოთა კავშირმა მიიღო აღმოსავლეთ პრუსიის ერთი მესამედი დედაქალაქ კენიგსბერგით, რომლის სახელიც 1946 წლის მარტში კალინინგრადით შეიცვალა. მოგვიანებით მოსკოვმა ლიტვას გადასცა ქ. კლაიპედა (მემელი).

ცხარე დისკუსიის თემად იქცა გერმანიის ფლოტის პრობლემა. ინგლისელების კატეგორიული მოთხოვნიდ გერმანიის წყალქვეშა ფლოტის დიდი ნაწილი განადგურდა, დარჩენილი გამარჯვებულებმა გაიყვეს.

22-23 ივლისს სტალინმა და მოლოტოვმა კონფერენციას წარუდგინეს თურქეთის მისამართით არსებული ტერიტორიული პრეტენზიები. ძირითადად ეს სრუტეების საკითხს ეხებოდა, სადაც საბჭოთა მხარე განსაკუთრებულ რეჟიმს თხოულობდა თავისთვის, რაც სრუტეების რაიონში საბჭოთა სამხედრო ყოფნასაც არ გამორიცხავდა. საბჭოთა დელეგაციამ ტანჟერსა და იტალიის რომელიმე კოლონიაზე მეურვეობაც მოითხოვა, რაც „ბუნებრივი“ იყო: აბა, მხოლოდ ვიბორგსა და სევასტოპოლში სამხედრო აღლუმების ჩასატარებლად ხომ არ სჭირდებოდა სტალინს გერმანიის ფლოტის უდიდესი ნაწილი? ვინაიდან ამ საკითხების განხილვის დროს ჯერ კიდევ ჩერჩილი იმყოფებოდა პოტსდამში, სტალინმა ვერ შესძლო დასავლელ მოკავშირეთა ერთობლივი წინააღმდეგობის დაძლევა, თუმცა ცდები არ დაუკლია.

ისევე როგორც პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ამჯერადაც ურთულეს პრობლემად იქცა რეპარაციის პრობლემა. მწვავე დისკუსიების შემდეგ, რაც ზოგჯერ იმდენად ცხარე ფორმებს იღებდა, რომ პლენარულ სხდომათა დარბაზში „მოკავშირეობის“ ფორმალური ატმოსფეროც კი ქრებოდა, გადაწყდა, რომ თითეული

მხარე საკუთარი ზონიდან ამოიღებდა მისთვის კუთვნილ რეპარაციას. სტალინი ამჯერადაც იძულებული გახდა კიდევ ერთ მარცხს შეგუებოდა – მას ხელი არ ჩააყოფინეს უცხოეთის ბანკებში შენახულ გერმანიის ოქროს მარაგსა და ავუარებში. საბჭოთა კავშირს უარი უთხრეს რურის ოკუპაციასა და დემილიტარიზაციაში მონაწილეობაზე. სამაგიეროდ, მოსკოვმა უფლება მიიღო სამშვიდობო ხელშეკრულებები დაედო გერმანიის სატელიტებთან – უნგრეთთან, რუმინეთთან და ბულგარეთთან. სტალინმა კატეგორიულად უარყო ამ ქვეყნებში ჩასატარებელ არჩევნებზე საერთაშორისო კონტროლის იდეა.

პოტსდამის კონფერენციის ოფიციალური ოქმის მიხედვით, შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო გერმანიის მთლიანობა. უფრო სწორედ იმ ნაწილისა, რაც ომამდელი ტერიტორიიდან დარჩა. რაც მთავარი იყო, პოტსდამში არავის გახსენებია აშშ-ის განსვენებული პრეზიდენტის „ბროლის ოცნება“ – „ოთხი პოლიციელის“ იდეა. უკანასკნელიდან გამომდინარე კი რეალურ კოშმარად იქცა ახალი მსოფლიო წესრიგის რუზველტისეული კონცეფციის უპასუხო კითხვა: რა მოხდებოდა, თუ რომელიმე „პოლიციელი“ უარს იტყოდა კეთილსინდისიერ თანამშრომლობაზე? მით უმეტეს ისეთი მძიმეწონიანი „პოლიციელი“, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო. კიდევ ერთმა გარემოებამ განსაზღვრა კონფერენციის „ანტირუზველტიზმი“: მოულოდნელად გაპრეზიდენტებულ ჰარი ტრუმენს, რომელსაც ცხონებული პრეზიდენტის დროს ახლოსაც არ აკარებდნენ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებთან, არც საამისო დრო და არც გამბედაობა გააჩნდა, რომ საკუთარი პოლიტიკური გემოვნებით შეექმნა ახალი გუნდი და ისე წასულიყო პოტსდამში. მისი მრჩევლების ძირითად ბირთვს რუზველტის მიერ „თავის ჭკუაზე მოყვანილი“ ადამიანები შეადგენდნენ, ხოლო სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებული საინსტრუქციო დოკუმენტები „მამაო ჩვენო“-სავით იმეორებდა, რომ ქვეყანაზე არ არსებობს გავლენის სფეროებზე მეტი ბოროტებაო. პოტსდამში კი სწორედ იალტაში დაპროექტებული გავლენის სფეროების დაკანონება მოხდა, მხოლოდ „ოთხი პოლიციელის“ გარეშე.

შემთხვევითი არ იყო, რომ მთლიანობაში კმაყოფილი ტოვებდა პოტსდამს საბჭოთა დელეგაცია; საფუძვლიანად ამშვიდებდა მოლოტოვი ბულგარელი კომუნისტების ლიდერ დიმიტროვს: ბალკანეთი საბჭოთა გავლენის სფეროდ არის აღიარებულიო.

არც ტრუმენი ბრუნდებოდა ვაშინგტონში უკმაყოფილო, რამეთუ კომპრომისების ბაზაზე გადაწყდა სადაო საკითხთა აბსოლუტური უმრავლესობა. ალბათ, ბრიტანეთის ახალი პარლამენტის ახალი უმცირესობისა და ახალი ოპოზიციის ლიდერ ჩერჩილისათვის ცნობილი იყო ის, რაც მალე აღიარებულ ფაქტად იქცა: კონფერენციაზე ახალი მსოფლიო წესრიგი ფუძნდებოდა, ხოლო დიპლომატიის ისტორიაში კი ცენტრალურ ადგილს ბირთვული იარაღის ფაქტორი იკავებდა. ამ მხრივ პოტსდამი ახალი დიპლომატიური ერის პიონერადაც შეიძლება ჩაითვალოს.

საინტერესო მომენტებიც შემოგვინახა კონფერენციის ქრონიკებმა: პლენარული სხდომის ერთ-ერთი შესვენების დროს ტრუმენი როიალს მიუჯდა, რათა დაძაბულობა მუზიცირებით მოეხსნა. სტალინმა ჯერ საკუთარ სტილში იხუმრა – „კარგია მუზიკა, ადამიანიდან ცხოველს გამოდევნისო", შემდეგ კი გადაწყვიტა ამერიკის პრეზიდენტისათვის ეჩვენებინა, თუ რა განსხვავებაა ნამდვილ პიანისტსა და მოყვარულს შორის და მოსკოვიდან „გამოიწერა" მსოფლიო დონის საბჭოთა პიანისტი ემილ გილელსი, რომელმაც, ცხადია, ბრწყინვალედ შეასრულა ჩაიკოვსკის ცნობილი ნაწარმოებები, რისთვისაც სტალინის კოცნა დაიმსახურა.

პოტსდამის კონფერენციის პარალელურად, 1945 წლის ივლის-აგვისტოში, მოსკოვი კიდევ ერთ დიპლომატიურ ფრონტზე იბრძოდა. მიუხედავად იმისა, რომ სტალინს უკვე განაღდებული ჰქონდა რევოლუციამდელი რუსეთის მიერ 1904-1905 წლებში დაკარგული ყველა ტერიტორიული და ეკონომიკური აქტივების დაბრუნება, ჩინეთთან ფართომასშტაბიანი ხელშეკრულების გარეშე შეუძლებელი იყო შორეულ აღმოსავლეთში სტაბილური ფორპოსტის შექმნა. აქ უკვე დროულად წაადგა რუზველტის გარდაცვალება ტრადიციულ რუსულ ექსპანსიონიზმს. პოტსდამში რომ დილეტანტურად ვიწრო გეოპო-

ლიტიკური ხედვების მატარებელი ტრუმენის ნაცვლად რუზველტი ყოფილიყო, ხოლო ეტლის ნაცვლად ჩერჩილი, სტალინს არც სალონურ კითხვას დაუსვამდნენ – რა ხდება ჩინეთშიო და არც არაფრის მთქმელ პასუხს დასჯერდებოდნენ – დიდი არაფერიო. ჩინეთში კი ბევრი რამ საინტერესო ხდებოდა როგორც საბჭოთა კავშირისათვის, ასევე მისი დასავლელი მოკავშირეებისთვისაც.

მას შემდეგ რაც 1931 წელს იაპონიამ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში მანჯურიის ოკუპაცია მოახდინა და იქ მარიონეტული „სახელმწიფო" მანჯოუ-გო შექმნა, 1937 წელს უკვე მთელი ჩინეთის წინააღმდეგ წამოიწყო აგრესია. ამ დროისათვის ჩინეთში ორი ძლიერი პოლიტიკური პარტია არსებობდა საკუთარი არმიებით და იდეოლოგიურად დაპირისპირებული ამბიციებით: ცენტრალურ ეროვნულ ხელისუფლებას პარტია „გომინდანი" წარმოადგენდა ლიდერ ჩან კაიშით და პლუს კომუნისტური პარტია მაო ძედუნისა და ჯოუ ენლაის მეთაურობით. საკითხავი არ უნდა იყოს, თუ ვისკენ იხრებოდა მოსკოვის სიმპატიები, მაგრამ სტალინი იძულებული იყო იმ გარემოებისთვისაც გაეწია ანგარიში, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ჩან კაიშის ლეგიტიმური ხელისუფლების მომხრე იყო. ამიტომ მოსკოვს ოფიციალური ურთიერთობა მხოლოდ ჩან კაიშისთან ჰქონდა, თუმცა ასევე ოფიციალურად უჭერდა მხარს ორი პარტიის ერთიანი ანტიიაპონური ფრონტის იდეას.

1937 წლის 21 აგვისტოს, საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის დაიდო თავდაუსხმელობის ხელშეკრულება. საყურადღებო იყო ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ხელმოწერისას, მხარეებმა გაცვალეს მკაცრად კონფიდენციალური ზეპირი დეკლარაციები, რომელიც არ ექვემდებარებოდა გასაჯაროებას. დეკლარაციებში აღნიშნული იყო, რომ სანამ არ მოხდებოდა ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობების ნორმალიზაცია, საბჭოთა კავშირი ტოკიოსთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას არ გააფორმებდა. იაპონია კი ახალ-ახალ წარმატებებს აღწევდა ჩინეთთან ომში: 1937 წლის შემოდგომაზე ჩინელები სასტიკად დამარცხდნენ შანხაისთან და ნანკინთან ბრძოლებში. დეკემბერში იაპონელებმა ნანკინის აღება შესძლეს, სადაც,

სხვადასხვა ცნობებით, 300 ათასი ადამიანი ამოხოცეს რამდენიმე დღეში. 1938 წლის ზაფხულში ჩან კაიში იძულებული გახდა ქ. უხანში გადაეტანა მთავრობის ადგილსამყოფელი. 1937-1939 წლებში გაძლიერებულმა სამხედრო დახმარებამ ჩინეთი იაპონიის წინაშე კაპიტულაციისაგან იხსნა. მტრის ზურგში აქტიურად იბრძოდნენ ჩინელი კომუნისტების პარტიზანული რაზმები.

არაერთგვაროვანი იყო ჩან კაიშის რეაქცია მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტზე: ერთი მხრივ, საბჭოთა ელჩთან საუბარში იგი იმედს გამოთქვამდა, რომ გერმანიასთან ურთიერთობის დარეგულირება მოსკოვს საშუალებას მისცემდა მეტი დახმარება აღმოეჩინა ჩინეთისათვის, მეორე მხრივ, მის შეშფოთებას იწვევდა იაპონიასთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობების გაუმჯობესების პერსპექტივა, რის თაობაზეც ადრეც იყო ხმები. 1939 წლის აგვისტოს, მოსკოვში ჩინეთის ელჩმა, მოლოტოვის ერთ-ერთ მოადგილეს პირდაპირ განუცხადა, რომ მის მთავრობას უკიდურესად აწუხებს მოსკოვსა და ტოკიოს შორის მოსალოდნელ ხელშეკრულებაზე გავრცელებული ხმებიო. ელჩი დაჟინებით თხოულობდა პასუხს კითხვაზე: როგორი იქნებოდა საბჭოთა პოზიცია თუ იაპონია მართლაც შესთავაზებდა მოსკოვს თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას? როგორც მოსალოდნელი იყო, საბჭოთა დიპლომატმა თავი აარიდა პირდაპირ პასუხს და მხოლოდ ის დაადასტურა, რომ მართლაც მუსირებდა ხმები ხელშეკრულებაზე.

1940-1941 წლებში ორი ძირითადი პრობლემა განსაზღვრავდა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობათა ფონს: ჩინეთის ერთიანი ეროვნული ფრონტის გაძლიერება და საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკებები. საქმე კი ის იყო, რომ აღნიშნულ პერიოდში კიდევ უფრო დაიძაბა ჩინელი კომუნისტების ურთიერთობა გომინდანთან, რაც მოსკოვის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და იაპონიისა და მისი მოკავშირეების წისქვილზე ასხამდა წყალს. იმ ფაქტიდან გამომდინარე რომ საბჭოთა დიპლომატებიცა და გენერლებიც ძირითადად მაო ძედუნის „დამშვიდებაზე“ ზრუნავდნენ, შეიძლება დავასკვნათ, რომ სიტუციის გამწვავებლები კომუნისტები იყვნენ. დახმარების უდიდეს ნაწილს ჩინეთი საბჭოთა კავშირიდან ან საბჭოთა კავშირის გავლით

ღებულობდა, რაც, კომუნისტების აზრით, კლასობრივი და იდეოლოგიური მოკავშირის მხრიდან ღალატს უდრიდა. მარტივი გასაშიფრი იყო მაოს ჩანაფიქრი: დაძაბულობის მიყვანა ახალ სამოქალაქო ომამდე და მომხდარი ფაქტის წინაშე მოსკოვის დაყენება, ანუ იმ სცენარის დაჩქარება, 40-იანი წლების დამლევს რომ განხორციელდა და „ჩრდილოეთის დიდი“ ლაშქრობითა და კომუნისტთა დიქტატურით დამთავრდა. როგორც შემდგომში გაირკვა, არც სტალინი იყო ასეთი სცენარის პრინციპული მოწინააღმდეგე, უბრალოდ, კრემლის „ხაზეინის“ სტილში არ იყო მოვლენათა ხელოვნური დაჩქარება. თავდაპირველად სტალინმა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ნაცადი ზედამხედველი – კომინტერნი გამოიყენა ჩინელი კომუნისტების აგრესიული ამბიციების მოსათოკად: რეიხსტაგის დაწვაში ეჭვმიტანილმა და ჰიტლერის სასამართლოს მიერ გამართლებულმა (!) გიორგი დიმიტროვმა მკაცრი წერილით გააფრთხილა ჩინელი უმცროსი მოკავშირე, რომ მოსკოვს ხელს არ აძლევდა კიდევ ერთი სამოქალაქო ომი ჩინეთში. შედეგმაც არ დააყოვნა და 1941 წლის გაზაფხულზე, საბჭოთა საელჩოს შუამავლობით ორგანიზებულ შეხვედრაზე ჩან კაიში და ჯოუ ენლაი შეთანხმდნენ უკანა პლანზე გადაეწიათ ურთიერთწინააღმდეგობები და ერთიანი ფრონტით ებრძოლათ იაპონელების წინააღმდეგ. ამავე პერიოდში იქნა ხელმოწერილი საბჭოთა კავშირ-იაპონიის პაქტი ნეიტრალიტეტზე. ჩინელი დიპლომატები და ჟურნალისტები ღიად ლაპარაკობდნენ და წერდნენ ჩინელებისათვის კიდევ უფრო სახიფათო მომენტზე – თავდაუსხმელობის პაქტის შესაძლებლობაზე. მოსკოვში ახსოვდათ 1937 წლის აგვისტოში ჩინეთთან გაფორმებული ხელშეკრულების კონფიდენციალური ზეპირი დეკლარაცია, რომლის ძალითაც საბჭოთა კავშირი ვალდებულებას კისრულობდა ჩინეთ-იაპონიის ომის დამთავრებამდე არ გაეფომებინა იაპონიასთან თავდაუსხმელობის პაქტი და მიუხედავად იაპონელების არაერთგზისი მცდელობისა, მოსკოვმა კატეგორიულად უარყო თავდაუსხმელობის ხელშეკრულების იდეა და ტოკიოც იძულებული გახდა ნეიტრალიტეტს დასჯერებოდა(108). ბუნებრივია, რომ მხოლოდ ჩინეთის ინტერესები არ ამოძრავებდა სტალინს, მგრამ ეტყობა

უკანასკნელმა გარემოებამაც შეასრულა გარკვეული როლი. არც ნეიტრალიტეტი იყო საჩუქარი ჩინეთისათვის: ჩან კაიში ჯერ კიდევ 1939 წლიდან იმედოვნებდა საბჭოთა კავშირის ჩართვას იაპონიასთან ომში. საბჭოთა ელჩთან საუბრებში მას არასოდეს ავიწყდებოდა ხსენებული ხელშეკრულება და სისტემატურად იმეორებდა, რომ თუმცა პირადად გაგებით ეკიდებოდა მოსკოვის გადაწყვეტილებას იაპონიასთან ხელშეკრულებაზე, მაგრამ გარკვეულ შეშფოთებას გამოთქვამდა, რომ ჩინელი ხალხი და განსაკუთრებით იაპონელ აგრესორებთან მეომარი არმია „მწვავე წუხილით“ აღიქვამდა საბჭოთა დიპლომატიის „იაპონურ გამბიტს“. ეტყობა ჩინელების მორიდებულმა, მაგრამ გაუთავებელმა „წუხილმა“ იმდენად სისტემატური ხასიათი მიიღო, რომ სტალინი იძულებული იყო სპეციალური დეპეშით დაემშვიდებინა ჩან კაიში და კიდევ ერთხელ დაედასტურებინა საბჭოთა კავშირის პრინციპული გადაწყვეტილება იაპონელ ოკუპანტებთან საბოლოო გამარჯვებამდე მდგარიყო ჩინელი ხალხის გვერდით. მართლაც, ჩინეთისადმი დახმარება არც გერმანიის თავდასხმის შემდეგ არ შეუწყვეტია სტალინს. თავად ჩან კაიშიმ კი 1941 წლის ივლისის პირველ რიცხვებში გაწყვიტა გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობა, თუმცა მიზეზი საბჭოთა კავშირზე თავდასხმა არ ყოფილა – ბერლინმა ჩინეთის ცენტრალურ ხელისუფლებად მარიონეტული მანჯოუ-გოს „მთავრობა“ აღიარა. პარალელურად ჩან კაიში კვლავ აგრძელებდა დიპლომატიურ „ზეწოლას“ სტალინზე იაპონიასთან ომში ჩათრევის მიზნით. ვინაიდან ჩინეთის ნაციონალური (ეროვნული) ხელისუფლების ლიდერს მხოლოდ ეპისტოლარულ ჟანრში ჰქონდა ურთიერთობა საბჭოთა კოლეგასთან და მას პირადად არ იცნობდა, არც მასზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობაზე გააჩნდა წარმოდგენა. უკანასკნელი გარემოება კი დრო და დრო განტევების ვაცის მდგომარეობაში აყენებდა ჩინეთის ელჩს მოსკოვში.

არც ისე იოლი აღმოჩნდა ჩან კაიშის დარწმუნება, რომ როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის ბედი, როდესაც ვერმახტი კავკასიასაც უახლოვდებოდა და თითქოს შეუძლებელი იყო მისი შეჩერება, ფანტაზია იყო იმაზე ფიქრიც კი,

რომ სტალინს რამდენიმე ათეული დივიზია მოეხსნა დასავლეთის ფრონტიდან და ფართო მასშტაბიანი სახმელეთო ოპერაცია წამოეწყო შორეულ აღმოსავლეთში. 1941 წლის რვა დეკემბერს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი მოსკოვის ბედი, ჩან კაიშიმ თავის რეზიდენციაში მიიწვია საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩები და დასავლელ მოკავშირეთა მხარდაჭერის იმედით კიდევ ერთხელ შეეცადა საბჭოთა ელჩ ალექსანდრე პანიუშკინის დარწმუნებას, რომ თავად საბჭოთა კავშირისთვის იყო „აუცილებელი და სტრატეგიულად ხელსაყრელი" დაუყოვნებლივ ჩართულიყო იაპონიასთან ომში. მართალია, მხოლოდ მისთვის იყო ცნობილი, თუ რომელი ისტორიული გამარჯვების გამო გახდა გენერალისიმუსი, მაგრამ მისი სამხედრო გამოცდილებაც კი უნდა ყოფილიყო საკმარისი (ცხადია, მისივე რწმენით), რათა რეალურად შეეფასებინა საბჭოთა კავშირის იმდროინდელი შესაძლებლობები. კვლავ გახდა სტალინი იძულებული უკვე მერამდენედ აეხსნა ჯიუტი მოკავშირისათვის, რომ წითელი არმიის გმირული ბრძოლა „ღერძის" ქვეყნებთან, იაპონიასთან ბრძოლის შემადგენელი ნაწილი იყო, ვინაიდან საერთო მტერს ასუსტებდა.

უნდა ითქვას, რომ არც ჩერჩილი და რუზველტი არ აკლებდნენ ცდებს სტალინის გაბრიყვებას, რათა იგი დაუყოვნებლივ ჩაბმულიყო იაპონიასთან ომში. იგივე 1941 წლის დეკემბერში, როდესაც საბჭოთა ელჩი ჩან კაიშის რეზიდენციაში გაერთიანებული დიპლომატიური შეტევის ობიექტად იქცა, ბრიტანეთის არმიის შტაბების უფროსებისადმი განკუთვნილ სამახსოვრო ბარათში ჩერჩილი წერდა: „საყოველთაო ყურადღების ცენტრშია ჩინეთსა ან რუსეთში ავიაბაზების შექმნის საკითხი, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა იაპონიის ქალაქების დაბომბვები. ამიტომ უაღრესად სასურველია რუსეთის ჩართვა იაპონიასთან ომში" (109). იაპონიასთან ომის დაწყების საკითხს სისტემატურად აყენებდნენ სტალინთან გახშირებულ შეხვედრებზე რუზველტის უახლოესი მრჩევლები ჰარიმანი და ჰოპკინსი, რაზეც სტანდარტული იყო პასუხი: წითელი არმიის მთელი რესურსი გერმანიასთან ომშია გამოყენებული. რაც შეეხება იაპონიას, საბჭოთა კავ-

შირი აუცილებლად ჩაერთვება მასთან ომში, მხოლოდ მოგვიანებით. იმ მსხვერპლის გათვალიწინებით, რაც წითელ არმიას გერმანელების შესაკავებლად უჯდებოდა, მართლაც უცნაურად გამოიყურებოდა დამატებითი ფრონტის გახსნა არა პრიორიტეტული მნიშვნელობის რეგიონში. სტალინი დასავლეთში ითხოვდა მეორე ფრონტის გახსნას, რათა მის წინააღმდეგ მოქმედი გერმანული დივიზიების რაოდენობა შეემცირებინა, მისგან კი მის განკარგულებაში არსებული, გერმანელებთან ბრძოლებში ჩაბმული დივიზიების შემცირებას ითხოვდნენ. რატომ უნდა დათანხმებულიყო ასეთ სახიფათო ავანტიურაზე? ისიც გასაკვირია, თუ დღემდე რატომაა, თუნდაც რუს მკვლევართა მხრიდან, უყურადღებოდ დატოვებული ის პერმანენტული დიპლომატიური ზეწოლა, რასაც იაპონიასთან ომის დაწყების იდეასთან დაკავშირებით, წლების მანძილზე განიცდიდა სტალინი და მხოლოდ მისი რკინის ნერვები იყო დიპლომატიური წონასწორობის შენარჩუნების გარანტი.

როდესაც 1942 წლის გაზაფხულზე ბირმაც იაპონელების ხელში გადავიდა, ჩინეთის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, ვინაიდან თითქმის მთლიანად მოხდა უცხოეთიდან დახმარების მარშრუტების ბლოკირება. საბჭოთა დიპლომატიის ამოცანად კვლავ რჩებოდა ორი უმლიერესი პოლიტიკური პარტიის – გომინდანისა და კომპარტიის ერთობის შენარჩუნება. ახალი კონფრონტაცია და სამოქალაქო დაპირისპირების გამწვავება რთული არჩევანის წინაშე დააყენებდა მოსკოვს, რისთვისაც ის ჯერ მზად არ იყო. ამავე დროს პერიოდულად გრძელდებოდა ჩან კაიშისა და მაო ძედუნის რაზმებს შორის სისხლისმღვრელი შეტაკებები, რასაც „გაუგებრობით“ ხსნიდა ორივე მხარე. 1942 წლის 16 ივნისს, მოლოტოვის მითითებით, საბჭოთა საელჩოში მიიწვიეს ჯოუ ენლაი და კატეგორიულად მოსთხოვეს ჩან კაიშისთან შეხვედრა და ურთიერთობის ნორმალიზაცია. 1942 წლის ნოემბერში და 1943 წლის მარტში, ჩან კაიშის რეზიდენციაში გამართული მოლაპარაკებების შედეგად, თითქოს იქნა კიდეც მიღწეული შეთანხმება. საბჭოთა დიპლომატიურ აქტიურობას დელიკატურ იერს მატებდა ის ფაქტი, რომ დასავლელ მოკავშირეებისაგან განსხვავებით,

მოსკოვი იაპონიასთან არამეომარი ქვეყანა იყო. 1942 წელს, ხარკოვის ოპერაციის კრახის შემდეგ, ჩან კაიშიმ კორექტივების შეტანა დაიწყო მოსკოვთან ურთიერთობაში: გაზაფხულ-ზაფხულში სინძიანში დაიწყო მასობრივი რეპრესიები პროსაბჭოურად განწყობილი სახელმწიფო მოხელეებისა და კომუნისტების წინააღმდეგ. პროვინციის გუბერნატორმა საბჭოთა კონსულს მოსთხოვა სამ თვეში დაეტოვებინა ჩინეთი ყველა საბჭოთა სპეციალისტს. საპასუხოდ, ჩან კაიშის მკაცრი წერილით მიმართა მოლოტოვმა, სადაც არაორაზროვნად მიანიშნა ანტისაბჭოური კურსის ყველა მოსალოდნელ შედეგზე. მეტი ეფექტისა და დამაჯერებლობისათვის დოკუმენტს სტალინის მინაწერი ამშვენებდა: „თანახმა ვარ". სტალინგრადის დამცველთა გმირობამ და ვერმახტის ელიტარული ნაწილების უძლურებამ ფინალამდე მიეყვანა წარმატებით დაწყებული შეტევა, ჯეროვანი შთაბეჭდილება მოახდინა ჩან კაიშიზე და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაც ძველ კალაპოტს დაუბრუნდა.

1943 წლის დამლევს და 1944 წლის დასაწყისში კვლავ დაიძაბა ურთიერთობა გომინდანსა და კომუნისტებს შორის. სტალინი ჩვეულებისამებრ არიდებდა თავს მტყუან-მართლის გარჩევას და კვლავ დიმიტროვსა და კომინტერს იყენებდა ახალ სამოქალაქო ომსმოწყურებული მაო ძედუნის გონს მოსაყვანად. საპასუხო წერილში მაო ძედუნი „კომუნისტურ სიტყვას" იძლეოდა, რომ „არ აჰყვებოდა გომინდანის პროვოკაციებს" (110). ჩინელი კომუნისტების ლიდერის პოზიციაზე განსხვავებულ ცნობებს იძლევა ხსებულ პერიოდში იქ მომუშავე საბჭოთა სპეციალისტი ვლადიმიროვი: „მაო მე მიმტკიცებდა, რომ ჩან კაიში მოვალე იყო კომუნისტებისთვისაც მიეცა თანამდებობები მთავრობაში, რომ მას ბევრი იარაღი ესაჭიროებოდა იაპონელებთან ბრძოლისათვის და კრინტიც არ დაუძრავს იმაზე, რომ მცირდებოდა იაპონიასთან ბრძოლის მასშტაბები. ეს უკვე უდაო ფაქტია. მაო მხოლოდ სიტყვით აღიარებს ერთიან ანტიიაპონურ ფრონტს, მთელი მისი აზრები ჩუნცინითაა (ჩან კაიშის ადგილსამყოფელი – ს.ც.) დაკავებული" (111). 1944 წლის აპრილში, ვლადიმიროვი თავის დღიურში წერს: „აი, მაო ძედუნის მიზნები: დაამშვიდოს საზოგადო-

ებრივი აზრი, რომელიც უკმაყოფილოა გომინდანსა და კომუნისტებს შორის არსებული უთანხმოებებით; მოსკოვის თვალში გაამართლოს მისი ანტიგომინდანური პოლიტიკა". ერთდროულად მაო ძედუნი კონტაქტებს აძლიერებდა მოსკოვთან და სამართლიანად თვლიდა, რომ თუ კრიტიკული სიტუაცია შეიქმნებოდა უკანასკნელი მის მხარეზე გამოვიდოდა. მოსკოვი კი ყოველნაირად ცდილობდა თავი დაეძვრინა მაოსთვის საოცნებო კრიტიკული სიტუაციიდან, მით უმეტეს მაშინ, როდესაც გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა გერმანიასთან ომი.

1944 წლის ბოლოს მაო ძედუნმა უკვე პრინციპულად დააყენა ცენტრალური მთავრობის რეორგანიზაციის საკითხი. განსაკვირი კი ის იყო, რომ რეორგანიზაციის იდეას აქტიურად დაუჭირა მხარი პრეზიდენტმა რუზველტმა. ვაშინგტონში წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ რა მოჰყვებოდა კომუნისტების პრეტენზიების ბაზაზე განხორციელებულ „რეორგანიზაციას" ჩან კაიშისთვის კი არც ერთი კითხვის ნიშანი არ არსებობდა და კონტრწინადადება წამოაყენა ეროვნული კონგრესის მოწვევისა და კონსტიტუციის გამოქვეყნების თაობაზე. ეს ყველაფერი კი იაპონიასთან ომის დამთავრების შემდეგ უნდა მომხდარიყო. 1945 წლიდან რადიკალურად იცვლება ამერიკის პიზიცია. „ახლო მანძილიდან" ჩინელ კომუნისტებზე ხანმოკლე დაკვირვების შემდეგ რუზველტი ღიად დებს ფსონს გომინდანზე. ჩან კაიშის გარემოცვაში მკვეთრად მატულობს ამერიკელ მრჩეველთა რაოდენობა და ამერიკელების მიერ გაყვანილი ლედოსის სატრანსპორტო მაგისტრალით იწყებს ჩინეთი ფართომასშტაბიანი ამერიკული დახმარების მიღებას. იწყება ინტენსიური მოლაპარაკებები ჩინეთის მრეწველობაში ამერიკული ინვესტიციების დაბანდებაზე და, რაც განსაკუთრებით არასასიამოვნო იყო მოსკოვისათვის, შორეული აღმოსავლეთის ომის შემდგომ მოდერნიზაციაზე.

1944 წლის სექტემბერ-დეკემბერი იაპონიასთან ომში ჩინეთის სერიოზული გამარჯვებებით, აღინიშნა. 1944 წლის 11-16 სექტემბერს, კვებეკში შეხვედრისას, რუზველტი და ჩერჩილი იაპონიის კუნძულებზე შეჭრის სამხედრო ოპერაციას და ამ პროცესში ჩინეთის როლზე მსჯელობდნენ. ინტრიგულად საინტერესო იყო, რომ როდესაც

შეხვედრის შედეგების გასაცნობად მოსკოვს ჰარიმანი ეწვია სტალინის „გაოცება“ გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილ ემისარს სიტყვაც არ დასცდენია იაპონიასთან ომში საბჭოთა კავშირის მონაწილეობაზე. შეიძლება ამჯერად უსაფუძვლო არ იყო მანიაკალურად ეჭვიანი „ბელადის“ წინაგრძნობა, რომ რაც უფრო ახლოვდებოდა მოკავშირეთა გამარჯვება, მით უფრო ნაკლებად სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ლონდონსა და ვაშინგტონში წითელი არმიის როლს იაპონიასთან ომში? ყოველ შემთხვევაში, სტალინმა თავისი „გაოცება“ არ დაუმალა ჰარიმანს და კვლავ დაუდასტურა იაპონიასთან ომში ჩართვაზე მოკავშირეებისათვის მიცემული პირობა. როგორც ჩანს, ჰარიმანმა დეტალურად გადასცა პრეზიდენტს სტალინთან საუბრის დეტალები, რადგან რუზველტმა სპეციალური წერილით აცნობა სტალინს მისი და ჩერჩილის „იმედი“, რომ საბჭოთა კავშირი, შეთანხმებისამებრ, ჩაებმებოდა იაპონიასთან ომში. სტალინმაც სექტემბრის ბოლოს გენერალურ შტაბს დაავალა დაეწყო შორეულ აღმოსავლეთში ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციისათვის მზადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან სწორი დასკვნა გამოიტანა ჩან კაიშიმ – საბჭოთა რუსეთი შორეულ აღმოსავლეთში ბრუნდებოდა, რასაც სრულ მზადყოფნაში უნდა დახვედროდა ჩინეთის დიპლომატია.

1941 წლის დეკემბერში, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სუნ გივენმა, თავის ქალაქგარეთ რეზიდენციაში „მეგობრულ სადილზე“ მიიწვია საბჭოთა ელჩი სკვორცოვი. სადილს ესწრებოდა მოსკოვში ჩინეთის ყოფილი ელჩი საო ლიციც. მინისტრს სურდა საბჭოთა ელჩისაგან გაეგო თუ რომელი საკითხები იყო გადაუჭრელი ორი ქვეყნის ურთიერთობებში, რაც მეგობრული ატმოსფეროს შემდგომ გამტკიცებას უშლიდა ხელს. მინისტრისავე განცხადებით, მომავალი წლის თებერვალში იგი საიდუმლო ვიზიტით მიემგზავრებოდა მოსკოვში და მანამდე სურდა მოეგვარებინა ყველა გადაუჭრელი პრობლემა. ჩან კაიში მართლაც ყველაფერს აკეთებდა, რათა ნაყოფიერი ყოფილიყო მინისტრის მოსკოვური ვიზიტი. მან ამერიკელებსაც კი სთხოვა მოსკოვთან შუამავლობა. ვიზიტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ

მოსკოვშიც: კრემლში გადაწყდა სწორედ ამ შეხვედრისას განეხილათ შორეულ აღმოსავლეთის პრობლემათა მთელი პაკეტი. მოლოტოვის უწყების პირველ აღმოსავლეთის განყოფილებაში მომზადდა ჩინელებთან განსახილველი საკითხების ნუსხა: 10-20 წლით თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმება; ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის სამხედრო თანამშრომლობა; იარაღის მიყიდვა; ჩინეთის სამხედრო ტვირთის ტრანზიტი; სინძიანის პრობლემა; საბჭოთა კავშირის მონაწილეობა ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთში წიაღისეულის მოპოვების სამუშაოებში; სინძიანსა და საბჭოთა კავშირს შორის ვაჭრობის განახლება; საავიაციო ქარხნის მშენებლობა და ავიახაზ „ჰამიატას“ მუშაობა.

მალე ჩუნცინში საბჭოთა საელჩოს ეწვია ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი და ერთდროულად მოსკოვში მოლაპარაკებების თარჯიმანი ცზიან ცზინგო. ჩინელ სტუმარს ჩან კაიშის დავალებით, პირველწყაროდან სურდა სცოდნოდა, განიხილებოდა თუ არა შორეული აღმოსავლეთის საკითხი იალტის კონფერენციაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, საელჩო სტანდარტული პასუხით შემოიფარგლა: შეხვედრის შემდეგ გავრცელებული განცხადებებიდან ირკვევა, რომ იალტაში ჩან კაიშისათვის საინტერესო საკითხები არ განხილულაო. თუმცა შეიძლება საელჩო სრულად არც არის ინფორმირებულიო – დიპლომატიურად დაიზღვია თავი საელჩოს საქმეთა რწმუნებულმა. ეს მაშინ, როცა სამხრეთ სახალინსა და კურილის კუნძულებზე, რომ არაფერი ვთქვათ, იალტაში გადაწყდა აგრეთვე გარე მონღოლეთის (მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის) „სტატუს კვოს“ და სავაჭრო პორტ დაირენის ინტერნაციონალიზაცია; საბჭოთა უმეტესი ინტერესების აღიარება, ჩინეთის სრული სუვერენიტეტი მანჯურიაზე; პორტ-არტურის სამხედრო-საზღვაო ბაზაზე საბჭოთა არენდის აღდგენა; სამხრეთ-მანჯურიისა და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზის ერთობლივი ექსპლუატაცია; საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ერთობლივი სავაჭრო-ეკონომიკური საზოგადოების და ორ ქვეყანას შორის კიდევ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი შეთანხმების საკითხები. ასე რომ, სალონური ინტერესი არ ამოძრავებდა ჩან კაიშის იალტი-



ჩან კაიში,
გენერალისიმუსი
(1887-1975)
ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი
1946-1975 წლებში

სადმი. მისთვის სასიხარულო არ უნდა ყოფილიყო იმის გაგებაც, რომ იალტაშივე, სტალინის თხოვნისა თუ წინადადების საფუძველზე, რუზველტს დაეკისრა ზემოხსენებულ პუნქტებთან დაკავშირებით ჩან კაიშის თანხმობის უზრუნველყოფა.

1945 წლის 29 ივნისს მოსკოვში ჩასული ჩინეთის დელეგაცია უმაღლეს დონეზე იქნა მიღებული სტალინის პირადი განკარგულებით. მოლაპარაკებებისა და ხელშეკრულების ძირითადი პარამეტრები ადრევე იყო შეთანხმებული ამერიკელების შუამდგომლობით. ვიზიტს მკვეთრი რეაქცია მოჰყვა ჩინელი კომუნისტების მხრიდან: მაო ძედუნის მიერ მოსკოვში გაგზავნილ დეპეშებსა და ვრცელ წერილებში დაუფარავად იყო გაცხადებული უკმაყოფილება და პროტესტი. ჩინელი კომუნისტების „იმედგაცრუებასა და გაუგებრობას იწვევდა“ ზოგიერთი საკითხი: პირველი – ის, რომ მაოსთვის ცნობილი არ იყო, გეგმავდა თუ არა მოსკოვი მოლაპარაკებებს ჩან კაიშისთან, მით უმეტეს, ხელშეკრულების დადების მიზნით; მეორე – ის, რომ საბჭოთა კავშირი ჩან კაიშის აღიარებდა ომის პერიოდში ჩინეთის ლიდერად; მესამე – გარდა ამისა, ჩინელ კომუნისტებს საკუთარი პოზიცია გააჩნდათ მანჯურიასთან და კორეასთან მიმართებაში.

მოსკოვში არავის ეცალა ჩინელი უმცროსი იდეოლოგიური მოკავშირის პრეტენზიებისათვის და მაო ძედუნმაც მოსკოვთან ურთიერთობის გარკვევა უკეთესი მომავლისათვის გადადო. ან ჰქონდა კი სხვა არჩევანი? ორ ივლისს კრემლში ყველაზე მნიშვნელოვანი მოლა-

პარაკებები დაიწყო. ვინაიდან ამერიკელებთან უკვე იყო „გავლილი“ იალტის შეთანხმების შორეული აღმოსავლეთის პაკეტი, სტალინი მოლაპარაკების დასაწყისშივე შეეკითხა ჩინეთის დელეგაციის ხელმძღვანელს, თუ იცნობდა იგი იალტის შეთანხმებებს. გაირკვა, რომ ამერიკის ახალ პრეზიდენტ ტრუმენს უკვე გადაეცა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრისათვის სრული ინფორმაცია. პირველივე საკითხის – მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობის განხილვისას გაჩნდა მხარეთა პოზიციებს შორის არსებულმა პრინციპული განსხვავება. ვინაიდან ჩინელებისათვის მიუღებელი იყო მონღოლეთის დამოუკიდებლობა და ამას ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად აფასებდნენ, დელეგაციის ხელმძღვანელმა მოითხოვა საერთოდ არ განხილულიყო მოსკოვში მონღოლეთის საკითხი. სტალინის არგუმენტაციით კი შეუძლებელი იყო დღის წესრიგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის იგნორირება. ვინაიდან მონღოლეთის დამოუკიდებლობის აღიარება საბჭოთა კავშირის სტრატეგიულ პოზიციას გააძლიერებდა იაპონელებთან ომში. ჩინელების აზრით კი, სტალინს არ ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩინეთისათვის მის იურისდიქციაში მონღოლეთის დაბრუნებას. გაუჭირდებოდა ჩან კაიშის ჩინელებისათვის აეხსნა, თუ რატომ უნდა ეთქვა 8-წლიანი სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ უარი ამ ტერიტორიაზე. კომპრომისის სახით სტალინმა შემდეგი სქემა წამოაყენა: მომავალ შეხვედრაზე მხარეები მიიღებდნენ გადაწყვეტილებას მონღოლეთის დამოუკიდებლობაზე, მაგრამ ეს მხოლოდ იაპონიაზე გამარჯვების შემდეგ გამოცხადდებოდა. სტალინი ჩინელებს არწმუნებდა, რომ იაპონიაზე გამარჯვების შემდეგ ისინი ახალ ტერიტორიებს მიიღებდნენ და ნაკლებად იდარდებდნენ მონღოლეთის დაკარგვას. ჩინეთის დელეგაციამ დრო ითხოვა ჩან კაიშისთან კონსულტაციისათვის. იოლად დათანხმდა რა დაირენის პორტის ინტერნაციონალიზაციას, ჩინეთის მხარემ უარყო პორტ-არტურის იჯარის იდეა იმ მოტივით, რომ არასასურველი იქნებოდა პრეცენდენტის შექმნა. სტალინი დათანხმდა და პირობა დადო, რომ იჯარის ნაცვლად რაიმე სხვა ფორმას გამოძებნიდა. გართულების გარეშე გადაწყდა

სარკინიგზო მაგისტრალის საკითხიც. ამავე დროს ახალმა გაუგებრობამ იჩინა თავი მონღოლეთთან დაკავშირებით: გაირკვა, რომ მხარეები განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევდნენ ტერმინ „სტატუს-კვოს“ – საბჭოთა მხარე ტერმინში გულისხმობდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის 24-წლიან დე-ფაქტო დამოუკიდებლობას, ხოლო ჩინელები კი ამოდიოდნენ მონღოლეთზე ჩინეთის (1824 წლის) საერთაშორისო-სამართლებრივი სუვერენიტეტის ფიქსაციიდან. სხვა უკეთესი რომ ვერაფერი მოიფიქრეს, ჩინეთის დელეგაციის წევრებმა ჩინეთში საბჭოთა ელჩს (რომელიც იმ დროს მოსკოვში იმყოფებოდა) სთხოვეს დახმარება, როგორც ჩინეთის რეალობის მცოდნეს, მას შეეძლო (ჩინელების აზრით) ზეგავლენა მოეხდინა სტალინზე, აეხსნა მისთვის, თუ რატომ ვერ იტყოდა მონღოლეთზე უარს ჩან კაიში. ელჩმა მხოლოდ ის შესძლო, რომ ვრცელი ლექცია წაეკითხა ჩინელებისათვის ერთა თვითგამორკვევის პრინციპისადმი იოსებ სტალინის ერთგულებაზე. ბოლოს მაინც სტალინს მოუწია არადიპლომატიურად გულახდილი დისკუსიის შეჯამება: „თუ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საკითხი არ მოგვარდება, ისე მოლაპარაკებები მკვდარი წერტილიდან არ დაიძვრებაო“. ეს უკვე ჩიხი იყო, თანაც სტალინისათვის მისაღებ შედეგზე გათვლილი ჩიხი. ცხრა ივლისის სხდომაზე ჩინეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა საზეიმო-სამგლოვიარო ტონით განაცხადა, რომ თუ ჩინეთი აღიარებდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტს, იგი სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ წავიდოდა, მაგრამ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის ინტერესების გათვალისწინებით, ჩან კაიში მზად იყო ასეთ მსხვერპლზე წასულიყო. სტალინს გაცილებით სუსტი კარტებითაც კი ჰქონდა პარტიები მოგებული უცხოელ პარტნიორებთან. ჩან კაიში მაინც შეეცადა სახის შენარჩუნებას და სამი წინადადება წამოაყენა კომპრომისის სახით: 1. ჩინეთი თანახმა იყო პორტ-არტურის ერთობლივ ექსპლუატაციაზე იქ სამხედრო-საზღვაო ბაზის გაძლიერებით და 20 წლით დაირანის ღია პორტად გამოცხადებით; 2. ჩინეთის მთავრობა ისურვებდა საბჭოთა კავშირის დახმარებას სინძიანში წესრიგის აღდგენასა და ვაჭრობის განახლებაში; 3. იმის

გამო, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტია ცალკე სამხედრო და ადმინისტრაციულ ორგანიზაციად იქცა, ჩინეთის ცენტრალური ხელისუფლება ვერ ახერხებს საკუთარი იურისდიქციის ქვეშ ქვეყნის გაერთიანებას. ცენტრალურ ხელისუფლებას სურდა, რომ მხოლოდ ის ყოფილიყო საბჭოთა კავშირის სამხედრო, პოლიტიკური და მორალური დახმარების ერთადერთი ადრესატი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მონღოლეთის დამოუკიდებლობის აღიარების სანაცვლოდ ჩან კაიში თხოულობდა მანჯურიის ტერიტორიულ სუვერენიტეტს, რასაც ისედაც ითვალისწინებდა იალტის შეთანხმება, დახმარებას, რათა სინძიანში აღდგენილიყო წესრიგი, რაც საბჭოთა ინტერესებშიც შედიოდა და მოსკოვის უარს დახმარებოდა ჩინეთის კომუნისტურ პარტიას, რისი თუნდაც დოკუმენტური პირობა ცოტას თუ ნიშნავდა სტალინის თვალში.

როდესაც ძირითად საკითხებში უკვე მიღწეული იყო შეთანხმება, ჩან კაიშიმ პირადად სტალინის მიერ ხელმოწერილი პირობა მოითხოვა, რომ მოსკოვი აღარანაირ დახმარებას აღარ აღმოუჩენდა ჩინელ კომუნისტებს და ეთანხმებოდა ჩინეთის პოზიციას სინძიანსა და მანჯურიასთან დაკავშირებით. სტალინის პირველივე რეაქცია ნაკისრი ვალდებულების ნეიტრალიზება იყო – „ჩვენ კავშირსა და მეგობრობაზე ვდებთ ხელშეკრულებას, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა და რაღა საჭიროა უკვე დეკლარირებულ ვალდებულებათა დუბლირებაო, მაგრამ აქ უკვე სალი კლდესავით დადგა ჩან კაიში და სტალინიც იძულებული გახდა დაეთმო: 1945 წლის 14 აგვისტოს მოსკოვში, საბჭოთა კავშირის და ნაციონალური ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ორ ქვეყანას შორის კავშირისა და მეგობრობის ხელშეკრულებას.

იაპონიის კაპიტულაციის შემდგომმა მოვლენებმა თავისი წვლილი შეიტანა ვაშინგტონ-მოსკოვის ურთიერთობებში გაჩენილი ბზარის გაღრმავებასა და, საბოლოო ჯამში, ამ ბზარის უფსკრულად გადაქცევაში. მიუხედავად სურვილისა და სტალინის დახმარების საფუძვლიანი იმედისა, იაპონიასთან ომის დასრულების მომენტში კომუნისტები უძლურნი იყვნენ საკუთარი მმართველობის ქვეშ მოექ-

ციათ მთელი ჩინეთი. საომრად არც გომინდანი იყო მზად: ჩან კაიში დიახაც აკონტროლებდა ქვეყნის უდიდეს ნაწილს, მაგრამ ამერიკელების მიერ გაწვრთნილი და აღჭურვილი მისი საუკეთესო დივიზიები ჯერ კიდევ ინდოეთსა და ბირმაში იმყოფებოდნენ. მაოს არ სურდა ასეთი ხელსაყრელი მომენტის ხელიდან გაშვება და რამდენიმე მნიშვნელოვანი რაიონი დაიკავა ჩრდილოეთ ჩინეთში. 1945 წლის ნოემბრისათვის კი უკვე კომუნისტების ხელში იყო მანჯურიის დიდი ნაწილი. ამერიკელებმა საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტით დაიწყეს ჩინეთს მიღმა დარჩენილი ჩან კაიშის არმიის ნაწილების ჩინეთში გადაყვანა, მაგრამ უკვე გვიან იყო – საბჭოთა არმიამ ძალის გამოყენებით არ მისცა ამის საშუალება ამერიკელებს. 1947 წლიდან მოყოლებული, სტალინი ოფიციალურად ამარაგებდა ყველა სახეობის იარაღით ჩინელ კომუნისტებს. მაო ძედუნის განკარგულებაში იყო რამდენიმემილიონიანი არმია საარტილერიო, სატანკო დივიზიებითა და ავიაციით. 1949 წლის პირველ ოქტომბერს პეკინში საზეიმოდ გამოცხადდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ჰარი ტრუმენს, რომელიც კატეგორიული წინააღმდეგი იყო ჩინეთის სამოქალაქო ომში ჩართვის და სტალინისგანაც ამასვე ელოდა, უნიკალური შესაძლებლობა მიეცა პირადად დარწმუნებულიყო ომისდროინდელ მთავარ მოკავშირესთან შეთანხმების რეალურ ფასში. სტალინისათვის ის იყო გადამწყვეტი, რომ სოციალისტურ (კომუნისტურ) ბანაკს მიეერთდა 10 მლნ კვ/კმ გადაჭიმული ქვეყანა 600 მლნ. მოსახლეობით, რაც საგრძნობლად ცვლიდა ძალთა თანაფარდობას მსოფლიოში. მართალია, სტალინი ვერც ჩინეთ-საბჭოთა კავშირის 8000-კილომეტრიანი საზღვრის პრობლემებს, ვერც „კულტურული რევოლუციის“ ველურ ექსცესებსა და ვერც „საბჭოთა რევიზიონისტებთან“ გაჩაღებულ ომს ვერ მოესწრო, თუმცა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში აღარც ჩინელ კომუნისტებს მიიჩნევდა ერთგულ იდეოლოგიურ მოკავშირეებად და არც დასავლეთთან მის მიერვე ჩამტვრეული ხიდების აღდგენა მიაჩნდა შეუძლებლად.

სტალინის მხრიდან არც იმ ფაქტის იგნორირება იქცა სწორ დიპლომატიურ გადაწყვეტილებად, როდესაც მისი პოლიტიკის შედეგად,

ამერიკამ კონტინენტური ჩინეთისადმი დახმარება შეწყვიტა და მთელი ყურადღება კომუნისტებისაგან ტაივანის დაცვაზე გადაიტანა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიწასთან გასწორებული ეკონომიკის აღდგენა კისერზე ჩამოკიდებულ წისქვილის ქვებად იქცა უფრო მეტად თუ არა, არც ნაკლებად გაპარტახებული საბჭოთა კავშირისათვის. მაო ძედუნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის მიერ აშენებულ „სპეციალური დანიშნულების“ საწარმოებს, რამაც წლების შემდეგ ჩინეთი ბირთვულ სახელმწიფოდ აქცია. სტრატეგიული მნიშვნელობის სამხედრო-სამრეწველო ობიექტების მშენებლობისა და საპროექტო-ტექნიკური ლიტერატურის და სამუშაო ნახაზების სანაცვლოდ ჩინეთი საბჭოთა კავშირს აწვდიდა ჩაის, ხილს, სხვადასხვაგვარ ზეთოვან და სუბტროპიკულ კულტურებს. „ჩეინჯი“ აშკარად არაექვივალენტური იყო. ამავე დროს სტალინი მხოლოდ სიტყვიერად აღიარებდა კომუნისტურ ჩინეთს თანასწორუფლებიან მოთამაშედ მსოფლიო სცენაზე. დროდადრო „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი“ აგდებულადაც კი მოიხსენიებდა ჩინეთის და თავად მაოს როლს დიდ პოლიტიკაში.



თავი მეცხრამეტე
ტრუმენი და სტალინი: ორი კერკეტი კაკალი

1945 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში, „ყოვლად წმინდის“ სადღეგრძელოდ იქცა ჯერ მოკავშირეთა არმიების შეხვედრა მდინარე ელბაზე, შემდეგ კი, რვა მაისის ღამით გამართული გრანდიოზული ბანკეტი.

რუს და ამერიკელ ჯარისკაცთა პირველი კონტაქტი 25 აპრილს, 13 საათსა და 30 წუთზე, რიზას რაიონში, ელბის საბჭოთა ნაპირზე დაფიქსირდა, როდესაც ყოფილმა პოლტაველმა ზეინკალმა, გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა გრიგორი გოლობოროდკომ თავის სიცოცხლეში პირველად იხილა ცოცხალი ამერიკელი მოკავშირე, ყოფილი ტეხასელი სტუდენტი, ლეიტენანტი ალბერტ კოცებუ. აქედანვე დაიწყო კურიოზების მთელი სერია: კოცებუ ისე გამოთვრა რუსული არყით, რომ ოფიციალური შეხვედრის ცერემონიალზეც კი ვერ მივიდა. ამავე დროს ამერიკელ მზვერავთა ერთი ჯგუფი დაცარიელებულ ქალაქ ტორგაუში აღმოჩნდა და შემთხვევით რუსი სამხედრო ტყვეების ბანაკს მიადგა. მდინარის მეორე ნაპირზე განთავსებულმა საბჭო-

თა არტილერისტებმა ამერიკელები გერმანელებად მიიღეს და ცეცხლი გაუხსნეს. მხოლოდ ამერიკელების მიერ განთავისუფლებული ტყვეების ყვირილის შემდეგ შეწყდა ცეცხლი. საქმე კი ის იყო, რომ მოკავშირეები საფუძვლიანად ემზადებოდნენ შეხვედრისათვის და ტრაგიკული ინციდენტების თავიდან ასაცილებლად შეთანხმდნენ: ვიზუალური კონტაქტის შემთხვევაში საბჭოთა სამხედროებს წითელი შუშხუნა უნდა გაეშვათ, ამერიკელებს – მწვანე. ტორგაუში შესულ ამერიკელ მზვერავებს კი თან არ აღმოაჩნდათ მწვანე შუშხუნა და რომ არა რუსი სამხედრო ტყვეები, ისინი ნამდვილად ვერ მოესწრებოდნენ გამარჯვების ზეიმს. ვინაიდან საბჭოთა ტყვეების ბანაკები გერმანიის ყველა ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში არ იყო, მწვანე და წითელი შუშხუნების გარეშე ხან ამერიკელები და ინგლისელები რჩებოდნენ, ხან კი რუსები, არც თუ იშვიათი იყო ტრაღიკული გაუგებრობები. წითელი არმიის ალყაში მომწყვდეული გერმანელთა მცირერიცხოვანი შენაერთები მასობრივად მიმართავდნენ შემდეგ ხერხს: ამერიკელ ჯარისკაცთა ფორმაში გამოწყობილები, ამერიკული დროშითა და ინგლისურ ენაზე რამდენიმე ფრაზის ყვირილით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს უმართავდნენ „მეგობრული შეხვედრისათვის“ გამზადებულ წითელ არმიელებს. ასეთი შემთხვევაც დაფიქსირდა: როდესაც ადრე ამგვარდ მოტყუებულმა საბჭოთა სამხედრო ნაწილმა ერთ-ერთი პატარა ქალაქის შენობაში გამაგრებული ამერიკელები გერმანელებად მიიღო (მათ მისასალმებელი წითელი შუშხუნის საპასუხოდ შენობიდან ამერიკული დროშა გადმოკიდეს – როგორც ჩანს, არ ჰქონდათ მწვანე შუშხუნა), რუსებმა ქვა ქვაზე არ დატოვეს შენობისაგან. დედამიწაზე ასე თუ ისე კიდევ შესაძლებელი იყო მტერ-მოყვრის გარჩევა, მაგრამ გაცილებით რთული ვითარება შეიქმნა ცაში: ჯერ ამერიკელების „მუსტანგებმა“ ჩამოაგდეს რვა საბჭოთა „იაკი“, შემდეგ საბჭოთა „ასი“ ივან კოჟედუბი შეუბრალებლად გაუსწორდა სამ „მუსტანგს“. ომის შემდეგ კოჟედუბი ჰყვებოდა, რომ როდესაც მან ტრაგიკულ გაუგებრობაზე მოახსენა თავის უფროსს, გენერალ ევგენი სავიცკის, მისგან საყვედურის ნაცვლად „უცნაური“

ფრაზა მოისმინა: „არავის უთხრა ამის შესახებ, შენი გამარჯვება მომავალი ომის ანგარიშშიაო“.

ჩრდილოეთ გერმანიაში, სადაც მარშალ კონსტანტინე როკოსოვსკის ბელორუსიის მეორე ფრონტი იბრძოდა, ორ მაისს ვიტენბერგის რაიონში მოხდა ამერიკელებთან შეხვედრა. ამერიკელებს პირველი მიესალმა გვარდიელ-კავალერისტთა პოლკის მეთაური, პოლკოვნიკი მავლიდ ვასაიტოვი, ეროვნებით ჩეჩენი. ვაინახებისა და ინგუშების დეპორტაციის შემდეგ, 20 ათასი ჩეჩენი და ინგუში მოხსნეს ფრონტებიდან და თანამემამულეთა გზას გაუყოლეს. ვასაიტოვს „გაუმართლა“, მას ომი დაამთავრებინეს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაასახლეს, უკვე ისტორიაში შესული და ამერიკული ორდენით დაჯილდოვებული.

როგორც კი დასავლელ მოკავშირეებთან საბჭოთა მეომრების კონტაქტებმა მასობრივი ხასიათი მიიღო, მოსკოვიდან მკაცრი დირექტივები დაიგზავნა არმიაში: პირველ რიგში „გამყოფი ხაზი“ უნდა გავლებულიყო მოკავშირეთა შორის. მოკავშირეებისადმი დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო „კეთილგანწყობილი“, მაგრამ „მათთვის ცნობილი არ უნდა გამხდარიყო ჩვენი გეგმები და საბრძოლო ამოცანები“. საბჭოთა სამხედროებს უარი არ უნდა ეთქვათ „მოკავშირეების მიერ მოწყობილ საზეიმო შეხვედრებში მონაწილეობაზე“, თუმცა „თავი უნდა შეეკავებინათ მეგობრული შეხვედრების ორგანიზებისაგან“, ინგლისელებისა და ამერიკელების ყოველ მიპატიჟებაზე საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინათ, როგორც მინიმუმი, კორპუსის მეთაური, რომელსაც უნდა მიეღო გადაწყვეტილება მიპატიჟების მიღებაზე. კორპუსის მეთაურსავე უნდა გადაეწყვიტა, მოეწყო თუ არა საბჭოთა მხარეს საპასუხო მიღება. საბჭოთა წარმომადგენლებად გამოყოფილ ყველა ოფიცერსა თუ გენერალს უნდა ჩატარებოდა საფუძვლიანი ინსტრუქცია, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა სამხედრო საიდუმლოების დაცვის აუცილებლობას. თუ დასავლელ მოკავშირეებს სტუმრობის იდეა მოუვიდოდათ თავში, „სტუმრები არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეღოთ შტაბის

შენობაში“. რაც შეეხებოდა რიგით ჯარისკაცთა დონეზე კონტაქტებს, ეს „არასასურველად“ ითვლებოდა.

კურიოზი იყო, რომ მაღალ დონეზე გამართულ ერთ-ერთ საზეიმო შეხვედრაზე ამერიკელების სამხედრო ორკესტრმა „ინტერნაციონალი“ შეასრულა საბჭოთა ჰიმნად, მათ არ იცოდნენ, რომ მოსკოვს ახალი ჰიმნი ჰქონდა. თავის მხრივ, არც საბჭოთა სამხედროებმა იცოდნენ, რომ ამერიკის არმია რასობრივი სეგრეგაციის პრინციპზე იყო დაფუძნებული და იქ „თეთრი“ და „შავი“ შენაერთები არსებობდა. ასევე უცნაურად გამოიყურებოდა ბრჭყვიალა ეპოლეტებსა და წითელ ლამპასებიან შარვლებს მიჩვეული საბჭოთა სამხედროების თვალში ამერიკელი გენერლების ფორმა, რომელიც ჯარისკაცის ფორმისაგან არცთუ თვალში საცემი ვარსკვლავების რაოდენობით გამოირჩეოდა. რაც შეეხებოდა რასობრივ სეგრეგაციას, რომელიც მხოლოდ 1948 წელს გაუქმდა ამერიკის არმიაში, უჩვეულო ფაქტია, რომ ეს „რასისტული სიმბოლო“ საბჭოთა პროპაგანდის მიღმა დარჩა. ერთ საზეიმო სადილზე, წითელი არმიის კორპუსის მეთაურმა გენერალმა კუზნეცოვმა, არც აცია, არც აცხელა და რუზველტისა და სტალინის სადღეგრძელო წარმოსთქვა: „როდესაც ისეთი ხელმძღვანელები გვყავს, როგორნიც არიან ამხანაგი სტალინი და ამხანაგი რუზველტი, ჩვენთვის გადაუჭრელი ამოცანა არ არსებობსო“. ამერიკელებმა იქვე შეუსწორეს – „რუზველტი გარდაცვლილია, ახალ პრეზიდენტს ჰარი ტრუმენი ჰქვიაო“, მაგრამ სადღეგრძელოს ეშხში შესულმა გენერალმა ყურადღება არ მიაქცია ამერიკელების შესწორებას და კიდევ რამდენჯერმე შესვა რუზველტის სადღეგრძელო.

სულ სხვა დონეზე ტარდებოდა საბჭოთა მარშლების შეხვედრები დასავლელ თანამებრძლებთან: 1945 წლის ხუთ მაისს მარშალი ივანე კონევი, ტორგაუდან 40 კილომეტრში, ცნობილ ამერიკელ გენერალ ომარ ბრედლის (ამერიკის არმიის გაერთიანებული შტაბების მომავალ უფროსს) ღებულობდა. ბრედლიმ მარშალს ორდენი გადასცა, სანაცვლოდ კი საჩუქრად დონის ბედაური და ძვირფასად ინკრუსტირებული პისტოლეტი მიიღო. როგორც ჩანს, კონევამდეც მიაღწია ცნობამ ძვირფასი იარაღისადმი ბრედლის საყოველთაოდ ცნობილ

სიყვარულზე. მაღალი ამერიკელი სტუმრის (ბრედლის) საპატივცემულოდ გამართულ კონცერტზე ამერიკელების აღტაცება გამოიწვია რუს მზეთუნახავ გოგონათა მოცეკვავე ანსამბლმა, რომელიც სტუმრებს „არმიაში მომსახურე გოგოებად“ წარუდგინეს. ტეხასელი თავზეხელაღებული გენერლის გაცურება იოლი არ აღმოჩნდა და 17 მაისს უკვე კონევის საპატივცემულოდ გამართულ მიღებაზე რუს მარშალსა და გენერლებს, რიგითი ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი, ამერიკიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი ვირტუოზი მევიოლინე ართობდა. „აი, როგორი რიგითი ტალანტები გვყავს არმიაშიო“, – „ხურდა დაუბრუნა“ რუს მარშალს ამერიკელმა გენერალმა. საჩუქრად ივან კონევმა ამერიკული ავტომატი და ამერიკული სიგარეტებით სავსე საბარგულიანი ახალი „ვილისი“ მიიღო.

გამარჯვების ზეიმის დამაგვირგვინებელი გრანდიოზული ბანკეტი კი უსიტყვო კაპიტულაციის აქტზე ხელმოწერის შემდეგ გაიმართა კარლსჰორტის სამხედრო-საინჟინრო სასწავლებლის სასადილოში. გულგრილი არავინ დატოვა გენერალ კონსტანტინე ტელეგინისა და მარშალ გიორგი ჟუკოვის ცეცხლოვანმა რუსულმა ცეკვებმა, ხოლო მომავალმა მარშალმა ვასილი ჩუიკოვმა კი, რომელიც ვეებერთელა რუსულ დათვს ჰგავდა, მას შემდეგ კი, რაც ორი ლიტრა არაყი დალია, კიტელი გაიხადა და ისეთი ურთულესი წინა სალტო შეასრულა მოპრიალებულ პარკეტზე, რომ ცირკის აკრობატს შეშურდებოდა. ასეთი რამ ნამდვილად არ ენახათ ამერიკელებს.

მანამდე კი ამერიკელები, რომლებმაც ჯერ კიდევ 12 აპრილს მიაღწიეს იალტის კონფერენციაზე დადგენილ მათთვის განკუთვნილ მიჯნას, ორ კვირაზე მეტს ელოდნენ საბჭოთა შენაერთების გამოჩენას. უშედეგოდ არწმუნებდა დუაიტ ეიზენჰაუერს იგივე გენერალი ომარ ბრედლი, რომ ბერლინამდე სულ 50 კმ იყო დარჩენილი, გერმანელები მასობრივად ნებდებოდნენ ამერიკელებს, ხოლო რეიხის დედაქალაქი „მის ფეხქვეშ იყო“. მთავარსარდალს ბერლინის შტურმის გაგონებაც არ სურდა და როდესაც თავიდან ვერ მოიშორა ჰიტლერის უკანასკნელი ბუნაგის აღების პატივმოყვარე წყურვილით ატაცებული და თავნებობით ცნობილი გენერალი, თვითონაც ვეღარ შეიკავა

თავი: „ბოლოს და ბოლოს ამ დაწყევლილ ომში მე ვარ მთავარსარდალიო“ – იყვირა ჩვეულებრივ თავშეკავებულმა მომავალმა პრეზიდენტმა. ტეხასელი გენერლისათვის არც თუ მთლად დამაჯერებელი აღმოჩნდა ეიზენჰაუერის არგუმენტი და შემდგომშიც არა ერთხელ იხსენებდა „ხელიდან გაშვებულ ისტორიულ შანსს“. ეიზენჰაუერი კი თავს იმით იმართლებდა, რომ მისთვის მტრის დედაქალაქის აღებაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო „ამერიკელი ბიჭების სიცოცხლე, რომელთაც სახლებში მშობლები, ცოლშვილი და საცოლეები ელოდნენ“. არც ბრედლის არგუმენტები იყო ლოგიკას მოკლებული: ომის დასკვნით ეტაპზე არათუ ვერმახტის რიგითი მეომრები, უმაღლესი სარდლობაც კი (ჰიტლერისა და გებელსის გამოკლებით) მზად იყო უბრძოლველად დანებებოდა დასავლელ მოკავშირეებს. გერმანელები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მხოლოდ რუსებთან საომრად იყვნენ მზად - ანუ იცოდნენ, რაც ელოდათ საბჭოთა ტყვეობაში და დანებებაზე არ ფიქრობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ „დიდი სამეულის“ სამ შეხვედრა-კონფერენციაზე, ომის შედეგებთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა საკითხი იქნა განხილული და თითქმის შეთანხმებული, ომის უკანასკნელი ზალპიდან რეკორდულად მოკლე დროში გაირკვა, რომ მოკავშირეთა ერთობის ერთადერთი გარანტი საერთო მტერი – ჰიტლერი და ვერმახტი იყო. რასაკვირველია, სამივე მოკავშირეს ჰქონდა გათვითცნობიერებული, რომ გაქრებოდა თუ არა ფაშიზმის საფრთხე, მისსავე გზას „სისხლით შეკრული“ ტრიუმვირატიც გაუყვებოდა. რაღა უნდა ჰქონოდა საერთო დასავლურ დემოკრატიას კომუნისტურ დიქტატურასთან? სტალინისა და ჩერჩილისათვის ნაომარი მსოფლიოს პოლიტიკური ანატომია ნათელი და კლასიკურად ტრადიციული იყო – ომის შედეგებზე დაფუძნებული ძალთა ახალი თანაფარდობა, სამაგიეროდ, რუზველტი რიშელიესა და ბისმარკის მემკვიდრეებზე შორს იყურებოდა და ძალთა თანაფარდობის ნაცვლად გაერო და „ოთხი პოლიციელი“ სურდა ექცია მშვიდობის გარანტად. 1943 წლის კვებეკის კონფერენციიდან მოყოლებული, დურბანტონ-ოქსით დამთავრებული, რუზველტს „ოთხი პოლიციელი“ არცერთ შეხვედრაზე

არ დავიწყებია. ამავე საკითხის დეტალების დაზუსტებას გეგმავდა იგი 23 აპრილისათვის დაგეგმილ გაეროს სან-ფრანცისკოს და 17 ივლისისათვის დაგეგმილ პოტსდამის კონფერენციებზე. საუბედუროდ, მას არც პირველი დასცალდა და არც მეორე – 1945 წლის 12 აპრილს, აშშ-ის 32-ე პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი ტვინში სისხლის ჩაქცევამ იმსხვერპლა. „საშინლად მტკივა თავი" – ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. ისე კი, არც უცებ გაპრეზიდენტებულ ტრუმენს არ ელოდა ნაკლები თავის ტკივილი. 1946 წლიდან სერიოზული ცვლილებები დაფიქსირდა საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის საკითხში დასავლეთისა და პირველ რიგში ამერიკის საზოგადოებრივი აზრის პოზიციებში. ლიბერალურ-ინტელექტუალურ წრეებშიც კი მკვეთრად იმატა კრიტიკულმა დამოკიდებულებამ. გაპრეზიდენტებამდე ტრუმენისათვის პრინციპული განსხვავება არ არსებობდა ფაშიზმსა და კომუნიზმს, ჰიტლერსა და სტალინს შორის. სენატორობის პერიოდში იგი მუდამ მოურიდებლად აფიქსირებდა საკუთარ პოზიციას: „ორივე პოლიტიკური რეჟიმი ორგანულად ანტიდემოკრატიული და, აქედან გამომდინარე, ანტიამერიკულია და რაც უფრო მეტად დაასუსტებენ ისინი ერთმანეთს, მით უკეთესია ამერიკისთვისო" – ასეთი იყო მისი პოლიტიკური კრედო. მას შემდეგ, რაც ამერიკაც ჩაება ომში და სტალინი „დე-ფაქტო" იქცა მისი სამშობლოს სტრატეგიულ მოკავშირედ, მისურის შტატის სენატორმაც შეცვალა თავისი საჯარო ლექსიკა, მაგრამ რწმენა იგივე დარჩა. ის არასოდეს არ ყოფილა რუზველტის თანამოაზრე ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიც იყო საბჭოთა კავშირთან ომისშემდგომი თანამშრომლობა და მით უმეტეს „მეწყვილე-პოლიციელობა". მეორეს მხრივ, იქიდან გამომდინარე, რომ იგი არც გარდაცვლილი პრეზიდენტის ახლო გარემოცვის წევრი არ იყო, თეთრ სახლში დიდი ნდობითა და ავტორიტეტით არ სარგებლობდა. მას არც საკუთარი გუნდი გააჩნდა და ძალაუნებურად უნდა გაჰყოლოდა რუზველტის მიერ გაკვალულ გზას. ამიტომაც იყო, რომ პოტსდამში მორჩილად ასრულებდა მოსკოვთან მეგობრული კურსის არამკითხე ფანატიკოსი ჯოზეფ დევისის რჩევებს „ალერსიანი ყოფილიყო სტალინთან". იმ პერიოდში თეთრ

სახლშიც და მთლიანად ვაშინგტონის ისტებლიშმენტშიც, ჯერ კიდევ იმდენად ძლიერი იყო რუზველტის ხსოვნისადმი პატივისცემა, რომ თუ არა სტალინის აქტიური „ძალისხმევა“, კიდევ საკითხავია – იქნებოდა კი ასე სწრაფწარმავალი რუსეთთან თანამშრომლობის ყველა პროექტი?

სტალინის ხისტად არადემოკრატიულმა გადაწყვეტილებებმა აღმოსავლეთ ევროპასთან დაკავშირებით, მისმა მცდელობებმა რეალობად ექცია მეფის რუსეთის ოცნება თურქეთთან, ირანთან და სრუტეებთან მიმართებაში, ოფიციალურად ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა ცინიკურად იგნორირებამ შორეულ აღმოსავლეთში, პოლიტიკური რეპრესიების ახალმა ტალღამ საბჭოთა კავშირში და, რაც მთავარი იყო, დასავლელ მოკავშირეებთან ურთიერთობებში ნდობის ფაქტორის გადამწყვეტი როლის შეუფასებლობამ, „ცივი ომი“ უალტერნატივოდ აქცია, მაგრამ სიტუაციას განსაკუთრებული დრამატიზმი მაინც ამერიკის ახალი პრეზიდენტის სიმტკიცემ შესძინა.

ომის წლებში და განსაკუთრებით კი მის დასასრულ ეტაპზე, სამომავლო თანამშრომლობის ინტერესებიდან გამომდინარე, რუზველტი შეგნებულად ხუჭავდა თვალს თავისი კომუნისტი მოკავშირის „ლირიულ გადახვევებზე“, რამაც შესაძლოა მცდარი შთაბეჭდილება შექმნა კრემლში დასავლეთისათვის საბჭოეთთან თანამშრომლობის რეალურ მნიშვნელობაზე. ამიტომაც იქცა გადამწყვეტ ფაქტორად პრეზიდენტის როლი იმ უაღრესად ფართო უფლებამოსილებებით, რასაც ქვეყნის კონსტიტუცია ანიჭებს ოვალური კაბინეტის დროებით მესაკუთრეებს. მართალია, ჰარი ტრუმენი, ამერიკელების საყვარელი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, საჭირო დროს საჭირო ადგილზე მყოფ ადამიანად მოევლინა ქვეყანას, იგი უაღრესად არაპოპულარული იყო. საქმე იქამდეც მივიდა, რომ 1951 წლის დეკემბერში ამერიკელების მხოლოდ 23 პროცენტი აფასებდა მის მოღვაწეობას დადებითად და ეს მაშინ, როდესაც მოგვიანებით, „უოტერგეიტის სკანდალის“ დროინდელი გამოკითხვებით, რიჩარდ ნიქსონის ანალოგიური მაჩვენებელი 24 პროცენტი იყო. პრეზიდენტის ასეთი კატასტროფული რეიტინგის შემდეგ გასაოცარი უნდა ყოფილიყო 1980 წელს, გელაპის ინსტიტუ-

ტის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემები: მესამე ადგილი ამერიკის ყველა დროის პრეზიდენტთა სიაში – ჯონ კენედისა და ფრანკლინ რუზველტის შემდეგ (!).

ნებისმიერ შემთხვევაში, ისტორიულ ლიტერატურაში უსამართლოდაა ჩრდილში მიტოვებული ჰარი ტრუმენის დამსახურება ომისშემდგომი ამერიკის საგარეო პოლიტიკური კურსის ტრანსფორმირებაში. როგორც საბჭოურ, ასევე რუსულ ლიტერატურაში მისი პიროვნება მხოლოდ „ცივი ომის“ მთავარ გამჩაღებლად (უინსტონ ჩერჩილთან ერთად) თუ მოიხსენიება. ამიტომ არ იქნება ზედმეტი, თუ მოკლედ შევჩერდებით მისი მმართველობის სტილსა და ხელწერაზე.

როდესაც 1922 წელს 38 წლის ტრუმენმა გაპოლიტიკოსება გადაწყვიტა, მას უკვე ნაცადი ჰქონდა ბედი სოფლის მეურნეობაში, მესაქონლეობაში და მამაკაცის ტანსაცმლით ვაჭრობაში. ახალგაზრდობაში იგი პრეზიდენტ ვუდრო ვილსონით იყო გატაცებული, იბრძოდა პირველ მსოფლიო ომში, საფრანგეთში, გენერალ პერშინგის არმიაში. ომი კაპიტნის ჩინით და მამაცობისათვის მიღებული ჯილდოთი დაასრულა. 1922 წელს, გაკოტრების შემდეგ, როგორც ომის ვეტერანმა და სამხრეთის უძლიერესი პარტიის სტაჟიანმა მომხრემ, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი ორატორული ნიჭით არ გამოირჩეოდა, მაინც მოახერხა კანზას-სიტის დემოკრატი ბოსების ნდობის დამსახურება. მალე იგი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი ეფექტური ხელმძღვანელი ხდება და 50 წლის ასაკში ვაშინგტონში უკვე მისურის შტატის სენატორის რანგში ჩადის. მას არ გააჩნდა ფედერალური მასშტაბის პოლიტიკოსის გამოცდილება, მაგრამ სწორად ესმოდა, თუ რისი გაკეთება შეეძლო ფედერალურ მთავრობას დეპრესიის შედეგად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილი ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მას შემდეგ, რაც წარმატებით ჩაიარა მისმა პირველმა შეხვედრამ პრეზიდენტ რუზველტთან, ტრუმენი „ახალი კურსის“ ერთგული მომხრე ხდება. მას გაუმართლა, როდესაც სენატის ისეთ კომიტეტში განწესდა, სადაც გარკვეული მონაცემების პირობებში შესაძლებელი იყო თავის გამოჩენა. მალე გაითქვა კიდეც სახელი სარკინიგზო ტრანსპორტზე თაღლითი მენეჯერების მხილებით. 1940 წელს, სენატორ

უილესთან ერთად ტრანსპორტის შესახებ ახალი კანონის ავტორიც ხდება. 1940 წლის არჩევნებში სენატორობაც შეინარჩუნა და შეიარაღების პროგრამის კვლევის კომიტეტის თავმჯდომარეც გახდა. პირლ-ჰარბორის შემდეგ ერთი-ორად გაიზარდა კომიტეტის მნიშვნელობა, რამაც ტრუმენს ეროვნული ცნობადობა მოუტანა. იგი საერთაშორისო ორგანიზაციებში ამერიკის მონაწილეობის აქტიური მომხრე იყო, რაც ისეთ იზოლაციონისტურ ქვეყანაში, როგორიც აშშ იყო, კარიერულ რისკს არ უნდა ყოფილიყო მოკლებული. როდესაც 1944 წლის საარჩევნო სიაში მემარცხენე რეპუბლიკის მქონე ვიცე-პრეზიდენტი უოლესი მეორედ ვეღარ გახდა რუზველტის მეწყვილე, არჩევანი უმნიშვნელო უპირატესობით, ტრუმენზე შეჩერდა. თავის თავად ბევრის მთქმელია ის ფაქტი, რომ მან მხოლოდ რუზველტის სიკვდილის შემდეგ შეიტყო „მანჰეტენის პროექტის“ არსებობა.

რაც უფრო ახლოვდებოდა ომის დასასრული, მით უფრო რთულდებოდა რუზველტის კურსის გაგრძელება სტალინთან ურთიერთობაში. არც ჩერჩილი იყო „საჩუქარი“, რის გამოც სიამოვნებით შეხვდა ეტლის გაპრემიერებას, რომელსაც სუსტ პოლიტიკოსად და ადამიანადაც კი მიიჩნევდა. მალე ტრუმენი კარდინალურად შეიცვლის აზრს ჩერჩილზეც და სტალინზეც. პოტსდამში პოლონეთის დასავლეთ საზღვრებთან დაკავშირებულ ცხარე დისკუსიებში ტრუმენმა უცებ იგრძნო, თუ რა არაადეკვატური ცვლა გამოგზავნეს ინგლისელმა ამომრჩევლებმა: ნული იყო ჩერჩილთან შედარებით ეტლის, როგორც სტალინთან დებატებში მხარდამჭერის ფასი. მეორე მხრივ, სწორედ პოტსდამში, სტალინთან და მის დიპლომატიურ სტილთან პირადმა კონტაქტმა დაარწმუნა ტრუმენი, რომ შეუძლებელი თუ არა, ძალზედ რთული იქნებოდა საბჭოთა კავშირთან ცივილიზებული თანამშრომლობა.

პარალელურად, ახალი პრეზიდენტი შეუფერხებლად აგრძელებდა რუზველტის დროს წამოწყებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროექტებს: გაეროს შექმნასა და სრულყოფას, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის შექმნას.

ჰარი ტრუმენის ბიოგრაფების საერთო აზრით, იგი ბევრს ფიქრობდა ატომურ იარაღზე, რაც არც უნდა იყოს გასაკვირი: ის ხომ ერთადერთი მთავარსარდალი იყო, რომლის ბრძანებასაც ერთბაშად ნახევარ მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ოფიციალურად ის მუდამ ამართლებდა ჰიროსიმასაც და ნაგასაკსაც, რამაც, ალბად, მართლაც იხსნა უამრავი ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლე. გარდა ამისა, არც ომის წარმოების იაპონური პრაქტიკა იძლეოდა ლმობიერების საბაბს: ომის გამოუცხადებლად, მოულოდნელი და მუხანათური თავდასხმა აშშ-ის მთავარ სამხედრო-საზღვაო ბაზა პირლ-ჰარბორზე (ჰავაის კუნძულები), ტყვეების მასობრივი დახვრეტები ფილიპინებზე (როგორც ამერიკელი, ასევე ჩინელი და კორეელი ტყვეებისა), ოკუპირებული ქალაქების მოსახლეობის წამებები და სამურაების შთამომავლების სხვა უამრავი არაადამიანური საქციელი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა არა მხოლოდ ამერიკის პრეზიდენტსა და სამხედროებზე, არამედ მთელ საზოგადოებაზე. ამავე დროს ტრუმენის პრეზიდენტობის დროს იყო რამდენიმე მომენტი, როდესაც ამერიკელი გენერლები აგრესიის აღსაკვეთად ითხოვდნენ ბირთვული იარაღით პრევენციულ დარტყმას (კორეის ომი, დასავლეთ ბერლინის პირველი კრიზისი), მაგრამ ტრუმენმა საკითხის განხილვაც კი არ ისურვა. ატომურ ბომბს ის მხოლოდ პოლიტიკურ იარაღად განიხილავდა, რომელიც მხოლოდ საბჭოთა კავშირთან სამომავლოდ შესაძლო სამხედრო კონფრონტაციის პირობებში შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული, ისიც თუ ამერიკის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგებოდა.

სტალინის მიერ პოლონეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში ჩატარებული „არჩევნები“, ოკუპირებული გერმანიის ცენტრალურ-ეკონომიკური სამმართველოს ცინიკური იგნორირება, სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებამდე პოლონეთის დასავლეთი საზღვრების თვითნებური გადაწევა ოდერსა და ნოისამდე, მოკავშირეებთან შეუთანხმებელმა „ინიციატივებმა“ ირანში, მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისი სავალუტო ფონდთან თანამშრომლობაზე უარი (ანუ იმ ინსტიტუტებთან, რომელთა დაწიშნულებაც მსოფლიო ეკონომიკის

აღდგენა იყო) და კორეის ომში აგრესორთან სოლიდარობა, საკმარისზე მეტი საბაბიც იყო და მიზეზიც, რათა ტრუმენი დარწმუნებულიყო, რომ სტალინის სახით მას საქმე ჰქონდა პოლიტიკოსთან, რომელსაც არაფრად არ უღირდა მიცემული სიტყვის ღალატი და მიღწეულ შეთანხმებაზე უარის თქმა – ანუ პარტნიორთან, რომლის ნდობაც შეუძლებელი იყო. ტრუმენსა და მისი თაობის პოლიტიკოსებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დავიწყებული მათთვის ავად სახსენებელი კომინტერნი (კომუნისტური ინტერნაციონალის) და კომინფორმის (იგივე კომინფორმბიუროს – კომუნისტური საინფორმაციო ბიუროს) დაარსებაზე მიღებული გადაწყვეტილების საქმის კურსშიც იყვნენ. უკანასკნელი კი შეფასებული იყო როგორც მოსკოვის სურვილი, ომით გამოწვეული პაუზის შემდეგ, კვლავ გაეგრძელებინა ბრძოლა მსოფლიო კომუნისტური რევოლუციისათვის.

რამდენად შეესაბამებოდა კომინფორმთან დაკავშირებული დასავლური პროგნოზები რეალობას და რა დიპლომატიურ-პოლიტიკურ როლს უმზადებდა სტალინი ახალ საერთაშორისო კომუნისტურ სტრუქტურას? საერთოდ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე რუსი ისტორიკოსები მორცხვად უვლიან გვერდს როგორც კომინტერნის, ასევე (მით უმეტეს) კომინფორმის თემას. თითო-ოროლა საჟურნალო სტატიასა და ინტერნეტ-გამოცემებში ყურადღება გამახვილებულია ვერსიაზე, რომლის მიხედვითაც, კომინფორმი იყო „მარშალის გეგმის“ საპასუხო ნაბიჯი (ომისშემდგომი ევროპის აღდგენისათვის პროგრამა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ მარშალმა წამოაყენა). სინამდვილეში მართლაც სახეზეა ქრონოლოგიური დამთხვევა, თუმცა სტალინმა ერთი დღით „დაასწრო“ მარშალს, თანაც მოსკოვი რამდენიმე თვე ემზადებოდა კომუნისტური პარტიების საგანგებო თათბირისათვის, სადაც საბოლოო გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო მიღებული. ყველაფერში ფრთხილმა და ეჭვიანმა სტალინმა არც ამჯერად უღალატა ჩვეულებას და თათბირის მოწვევის ინიციატივა პოლონელი კომუნისტების ლიდერს ვლადისლავ გომულკას დაავალა. პოლონეთშივე უნდა ჩატარებულიყო თათბირიც.

1947 წლის ოთხ ივნისს ევროპის ქვეყნების ათმა კომუნისტურმა პარტიამ (გერმანელები და ჩინელები არ მიუწვევიათ) ისე მიიღო გომულკას მიწვევა, რომ არც დაპატიჟებულებს და არც მასპინძელს წარმოდგენა არ ჰქონდათ კომინფორმზე. ხუთ ივნისს ამერიკაში თავისი გეგმა გაასაჯაროვა მარშალმა, რამაც კორექტივები შეიტანა სტალინის გეგმაში, მაგრამ იტალიელ და ფრანგ კომუნისტთა უზომო გატაცება (სტალინის აზრით) ბრძოლის პარლამენტური გზით, ხოლო იუგოსლაველ კომუნისტთა ასევე უზომო სწრაფვა (ესეც სტალინის აზრით) ფართო რეგიონული ავტონომიისაკენ, გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა. ვინაიდან სტალინის გეგმა მოსკოვის როლის აფიშირებას არ ითვალისწინებდა, ის თავად არ დასწრებია თათბირს და დირიჟორად იმ დროისათვის საბჭოთა იერარქიაში მეორე კაცად ცნობილი ანდრეი ჟდანოვი მიავლინა. ჟდანოვის მოხსენებამ თათბირის მონაწილეებს სტალინის გეგმებზე თვალი აუხილა. მათთვის ცნობილი გახდა მსოფლიოს ორ ბანაკად გაყოფის ახალი სცენარი: „აგრესიულ-იმპერიალისტურად“ და „დემოკრატიულ-ანტიფაშისტურად“ მოხსენებაში იდეოლოგიურად იყო დასაბუთებული ახალი კურსი ყოფილ მოკავირეებთან ურთიერთობებში: „დათმობების“ ტაქტიკიდან მკვეთრი შემობრუნება და ე.წ. „ბუფერული“ სახელმწიფოების იდეის უარყოფა. აქამდე სტალინი არ ეწინააღმდეგებოდა აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ სახელმწიფოთა „ბუფერულ“, „დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ხიდის“ ფუნქციის როლს. ჟდანოვის მოხსენების საფუძველზე, 1947 წლის 27 სექტემბერს, თათბირმა კომუნისტური პარტიების საინფორმაციო ბიუროს (კომინფორმის) შექმნის თაობაზე მიიღო გადაწყვეტილება. ახალი სტრუქტურის ოფიციალურ ფუნქციად კომუნისტური პარტიების საქმიანობის კოორდინაცია ცხადდებოდა, რაც რეალობაში მხოლოდ იმის მაუწყებელი შეიძლება ყოფილიყო, რომ სტალინი ახალი შემართებით აპირებდა გაეგრძელებინა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ტაქტიკისა და სტრატეგიის ერთპიროვნულად განმსაზღვრელი ლიდერის როლი. თუ დასავლეთ ევროპის წამყვანი სახელმწიფოების (საფრანგეთის, იტალიის) ძლიერი ელექტორალური ბაზის მქონე და პარლამენ-

ტშიც სოლიდური ფრაქციებით წარმოდგენილი პარტიები უცხოეთიდან (ანუ სსრ კავშირიდან) მიღებული დირექტივებით ამოქმედდებოდნენ, თანაც ამ უცხო სახელმწიფოს მმართველი ელიტა საკუთარი აგრესიული ბუნების შენიღბვაზეც კი აღარ ზრუნავდა, მართლაც ექნებოდა თუ არა დასავლეთს შეშფოთებისა და საპასუხო რეაგირების საბაბი?

სტალინის იდეით, კომინფორმს პოლონეთში უნდა დაედო ბინა, მაგრამ, როგორც ჩანს, გომულკამ ისიც საკმარისად მიიჩნია, რომ მისდა უნებლიედ თავად იქცა მისივე მაკონტროლებელი უწყების დამფუძნებლად და კატეგორიული უარი განაცხადა კიდევ ერთ სარისკო მასპინძლობაზე. სტალინისათვის საინტერესო უნდა ყოფილიყო არგუმენტი, თუ რატომ არ შეიძლებოდა ვარშავაში განთავსებულიყო კომინტერნი: გომულკას აზრით, ამით დასავლეთთან ურთიერთობა გაურთულდებოდა. არგუმენტი არადამაჯერებელი გამოდგა სტალინისათვის და დასავლეთის სანაცვლოდ, „მწვად-შამფურში“ გზააბნეულ პოლონელ კომუნისტთა უიღბლო ლიდერს, ურთიერთობა ბელადთან გაურთულდა, თანაც იმდენად, რომ მალე „გულაგის“ ბინადრად იქცა. არავის პატიებდა სტალინი საკუთარ გადაწყვეტილებათა რევიზიას.

ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ სტალინისათვის არავითარი პოლიტიკური ან დიპლომატიური დივიდენდის მოტანა არ შეეძლო და არც მოუტანია რუდიმენტ კომინფორმს თავისი ცხრაწლიანი არსებობის მანძილზე, გარდა იმისა, რომ კიდევ უფრო გააღრმავა „ცივი ომის“ უფსკრული, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიკიდა იუგოსლაველი კომუნისტების ლიდერი იოსიპ ბროზ-ტიტო და ეს მაშინ, როდესაც სწორედ ტიტოს ვარაუდობდა სტალინი თავის მემკვიდრედ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ლიდერის პოსტზე.

სახელმწიფო მოღვაწეთა მთავარი ვალდებულება რეალურად არსებულ გამოწვევებზე დროული რეაგირებაა და არა შედეგის ლოდინი. ჰოდა, ვაშინგტონში სტალინის ახალი ინიციატივა რეალურ გამოწვევად იქნა აღქმული. ტრუმენის ადმინისტრაციისათვის, ამერიკის უსაფრთხოების გლობალურ კონტექსტში, დასავლეთ ევროპასა

და იაპონიას სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნდა. არც პენტაგონი, არც სახელმწიფო დეპარტამენტი, არც სპეცსამსახურები და არც პირადად ტრუმენი არ ელოდა პირდაპირ სამხედრო კონფლიქტს საბჭოთა კავშირთან. მათთვის ცხადზე უცხადესი იყო, რომ სტალინის იმპერიის უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა ახალ ომს ფიზიკურად ვერ გაუძლებდა. გარდა ამისა, თავისი ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერის მანძილზე სტალინი ერთხელაც არ ყოფილა შემჩნეული სერიოზულ ავანტიურისტულ ქმედებაში. ვაშინგტონში უფრო ის აფიქრებდათ, რომ კომინფორმითა და სხვა ანალოგიური ინსტრუმენტებით მოსკოვს შეეძლო ფსიქოლოგიური გავლენა მოეპოვებინა დასავლეთ ევროპის დასუსტებულ დემოკრატიაზე. ჰარი ტრუმენს მიაჩნდა, რომ ეკონომიკურ კეთილდღეობას, ფსიქოლოგიურ თვითშეგნებას და თავდაცვისუნარიანობას ერთმანეთთან პირდაპირი კავშირი ჰქონდა. თუ ევროპაში სწრაფი აღმშენებლობის რწმენა არ დამკვიდრდებოდა, მოსკოვის გავლენა გარანტირებულად გაძლიერდებოდა და კრიტიკულ ზღვარსაც კი მიაღწევდა. ასეთი მოსაზრებები დაედო საფუძვლად „შეკავების“ თეორიას, რომლის კონცეპტუალურ მზიდ კონ˙სტრუქციადაც იქცა ჯორჯ ქენანის ე.წ. „გრძელი დეპეშა“.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1945-1946 წლის ზამთარში ამერიკის ხაზინამ (ფინანსტა სამინისტრომ) განმარტება სთხოვა მოსკოვში საელჩოს, თუ რითი იყო გამოწვეული საბჭოთა კავშირის უარი ეთანამშრომლა ახლად შექმნილ მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. შეკითხვაზე პასუხი მოსკოვში ამერიკის საელჩოს საშუალო რანგის ახალგაზრდა დიპლომატს, ჯორჯ ქენანს უნდა მოემზადებინა. ნიჭიერი ანალიტიკოსისათვის იოლი მისახვედრი იყო, რომ დასმულ კითხვაზე არ არსებობდა ლაკონური პასუხი და საპასუხო დეპეშაც რვა ათასი სიტყვიანი გამოუვიდა. ასე გაიგზავნა მოსკოვიდან ვაშინგტონში მსოფლიოში, ალბათ, ყველაზე გრძელი დეპეშა. ისევე როგორც პირველი ომის წინა პერიოდში ქენანის ინგლისელმა კოლეგამ კროუმ, რომელმაც სპეციალური მემორანდუმით დაასაბუთა, თუ რატომ იყო შეუძლებელი გერმანიასთან კავშირი, ასევე ქენანმა თავისი „გრძელი დეპეშით“ დაუსვა წერტილი საბჭოთა

კავშირის როგორც მშვიდობიან პერიოდში მოკავშირისა და პარტნიორის როლთან დაკავშირებულ ეჭვებსა და დებატებს.

პირველი, რასაც ქენანი ტრუმენის ადმინისტრაციას სთავაზობდა, ეს იყო საბჭოთა კავშირთან პარტნიორობის რუზველტისეული გეგმების დავიწყება. მისი მტკიცებით მოსკოვი მხოლოდ ძალას სცემდა პატივს – საბჭოთა ხელმძღვანელობას არ სჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო ამერიკასთან მშვიდობიანი თანაარსებობა; საბჭოეთისათვის დამახასიათებელი იყო თანდაყოლილი ექსპანსიონიზმი, ხოლო ამერიკის საპასუხო ქმედება კი მისი შეკავება უნდა ყოფილიყო. ამერიკა წინ უნდა აღდგომოდა მოსკოვის ცდებს გავლენის არსებულ სფეროებს მიღმა ეწარმოებინა ექსპანსია.

ბუნებრივია, რომ ქენანის დეპეშა ცარიელ ადგილზე არ დაბადებულა. მან პირველმა იგრძნო იმ ცვლილებათა გარდუვალობა, რაც უნდა მოჰყოლოდა ომის დამთავრებისთანავე წინა პლანზე წამოწეულ სოციალ-პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და მორალურ ღირებულებათა გადაულახავ წინააღმდეგობებს. უკანასკნელს კი დრამატიზმს ცარისტულ-კომუნისტური დიპლომატიური კოქტეილი და სტალინის პიროვნული თვისებები მატებდა.

თავის საფუძვლიან ანალიზში ჯორჯ ქენანი თავდაპირველად ყურადღებას საბჭოთა კავშირის მსოფლმხედველობის განსაკუთრებულ მომენტებზე ამახვილებდა: მისი აზრით, მიუხედავად ბრწყინვალე გამარჯვებისა, მოსკოვში თვლიდნენ, რომ ქვეყანა კვლავინდებურად „კაპიტალისტურ გარემოცვაში“ იმყოფებოდა, რაც შეუძლებელს ხდიდა გრძელვადიან მშვიდობიან თანაარსებობას. ამავე დროს, ქენანისავე დასკვნით, ბუნებრივი არ იყო ასეთი მსოფლმხედველობა რუსი ხალხისათვის, ვინაიდან მისი დიდი ნაწილი კეთილგანწყობილი იყო გარე სამყაროსადმი და მისი მთავარი სურვილი იყო მშვიდობიან გარემოში ცხოვრება და თავისი შრომის შედეგით სარგებლობა. პოლიტიკური კურსი პროპაგანდისტური აპარატის მიერ თავსმოხვეული თეზისი იყო, რომლის ბაზას წარმოადგენდა პარტია, საიდუმლო პოლიცია და მთავრობა. სწორედ ამ უკანასკნელთან უწევდა ამერიკას საქმის დაჭერა. წინაპირობა კი, რომელსაც საბჭოთა პოლიტი-

კური კურსი ეფუძნებოდა, ყალბი იყო, ვინაიდან სავსებით შესაძლებელი იყო კაპიტალისტური და სოციალისტური სახელმწიფოების მშვიდობიანი თანამშრომლობა. „თუ ასეა, რატომ აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი მცდარი იდეა? – სვამდა კითხვას ქენანი და იქვე პასუხობდა – იმიტომ, რომ საბჭოთა პოლიტიკური კურსი არ ეფუძნება „რუსეთის საზღვრებს მიღმა მიმდინარე პროცესების ანალიზს“. იგი მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე არასწორი წარმოდგენის შედეგია. საერთაშორისო ურთიერთობებზე კრემლის მანიაკალური თვალთახედვის სათავეებს, ქენანი რუსეთისათვის მახასიათებელ ტრადიციულ და ინსტიქტურ დაუცველობის გრძნობაში ხედავდა და იქვე დასძენდა, რომ ეკონომიკურად მასზე განვითარებულ დასავლეთთან კონტაქტების განვითარებასთან ერთად, რუსეთში გაჩნდა შიში კომპეტენტური, ძლევამოსილი, ორგანიზებული საზოგადოების მიმართ. ამასთან, ეს დაუცველობის შეგრძნება შიშს ჰგვრიდა რუსეთის მმართველებს და არა რიგით მოქალაქეებს. მმართველები ხედავდნენ საკუთარი მმართველობის არქაიზმს, სისუსტესა და ხელოვნურ ბუნებას, ხვდებოდნენ, რომ ეს ყველაფერი მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების სისტემასთან შედარებას ვერ უძლებდა და ამიტომ განიცდიდნენ „უცხოური შემოჭრის“ მუდმივ შიშს, გაურბოდნენ დასავლეთთან კონტაქტებს, ყველაფერს აკეთებდნენ, რათა რუს ხალხს სიმართლე არ გაეგო გარე სამყაროზე, ან გარე სამყაროს არ გაეგო სიმართლე რუსეთის ცხოვრებაზე. რუსეთის მმართველები საკუთარი უსაფრთხოების გაძლიერებაში და არა შეთანხმებებსა და კომპრომისებში ხედავდნენ უცხო ქვეყნებთან კონკურენციას.



ჯორჯ ქენანი

ქენანის დაკვირვებით, კიდევ უფრო დრამატული არსი შეიძინა დაუცველობის გრძნობამ ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ. ლენინის ინტერპრეტაციით, კიდევ უფრო გააგრესიულებულმა მარქსის დოგმებმა ბოლშევიკების გონება ძველ მმართველებზე მეტად მოიცვა. ისინი მზად იყვნენ მარქსიზმის სახელიდ ეთქვათ უარი ნებისმიერ ფასეულებებზე. რის შედეგადაც პირფერობაზე დაფუძნებული აღმოჩნდა საბჭოეთის როგორც საგარეო პოლიტიკა, ასევე მთელი პოლიტიკური კურსი. ამ კურსის ავტორთა უმრავლესობა კი იმდენადაა გაურკვეველი საგარეო პოლიტიკაში და ისე ძლიერია მათი თვითრწმენა, რომ ავტომატურად იჯერებენ ყველაფერს, რაც მათთვის მისაღები და კომფორტულია.

ქენანი „ამოუცნობელ საიდუმლოებად" მიიჩნევდა იმას, თუ ვინ ღებულობდა „ამ დიდ ქვეყანაში" ზუსტსა და ობიექტურ ინფორმაციას გარე სამყაროზე. როდესაც ქენანი თავის დეპეშაზე მუშაობდა ამერიკის საელჩოში, სტალინს ჯერ კიდევ ფართო სტრატეგიული გეგმები ჰქონდა ირანთან და თურქეთთან დაკავშირებით. ქენანი არც იმას გამორიცხავდა, რომ ევროპაში კომუნისტების გაძლიერების შემთხვევაში, სტალინს სამხედრო ბაზების უფლება შეიძლება მოეთხოვა, თუნდაც გიბრალტარში.

პრაქტიკულ დასკვნებს ეძღვნებოდა „გრძელი დეპეშის" სპეციალური ნაწილი: მთავარი დასკვნა იმაში მდგომარეობდა, რომ ამერიკის წინაშე იდგა პოლიტიკური ძალა, რომელსაც ფანატიკურად სწამდა ამერიკის შინაგანი ჰარმონიის დემონტაჟის, ამერიკელების ცხოვრების წესის განადგურებისა და ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის დაკნინების აუცილებლობა. ყველაფერ ამას კი საბჭოთა ხელისუფლების უსაფრთხოება ითხოვდა. ეს პოლიტიკური ძალა, რომელმაც შესძლო დაემორჩილებინა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ხალხის ენერგია და მსოფლიოს უმდიდრესი ეროვნული ტერიტორიის რესურსები, სათავეს რუსული ნაციონალიზმიდან იღებდა, მის განკარგულებაში იყო მაღალკვალიფიური, გასაოცრად მოქნილი აპარატი, რომელსაც მართავდნენ იატაკქვეშ მუშაობის უპრეცედენტო გამოცდილებისა და უნარის მქონე ადამიანები. მთელი ეს რესურსი კი

უცხოეთში მოსკოვის გავლენის ინტერესებს ემსახურებოდა. „ჩვენს წინაშე დგას ამ ძალასთან გამკლავების ურთულესი ამოცანა. ასეთი რთული პრობლემის წინაშე ჯერ არ აღმოჩენილა ჩვენი დიპლომატია და გავბედავ ვივარაუდო, რომ შეიძლება არც მომავალში აღმოჩნდეს“ – წერდა ქენანი. იგი პრინციპულ განსხვავებას ხედავდა საბჭოთა და ჰიტლერის რეჟიმებს შორის, ვინაიდან პირველს, მეორისაგან განსხვავებით, სქემატიზმი და ავარტურიზმი არ ახასიათებდა, იგი არ მიჰყვება ხისტად განსაზღვრულ გეგმებს, და არც რისკებზე მიდის უკიდურესი აუცილებლობის გარეშე და ძალის ლოგიკას ემორჩილება. აქედან გამომდინარე, არც უკან დახევას თაკილობს, როდესაც ძლიერ წინააღმდეგობას აწყდება. თუ მოწინააღმდეგე ძლიერი ხვდება, თანაც ძალის გამოყენების მზადყოფნასაც ავლენს, თავად არასოდეს მიმართავს ძალას, რაც შესაძლებელს ხდის თავიდან იქნეს აცილებული მოწინააღმდეგესთან დამამცირებელი მოლაპარაკებები.

ამავე დროს ქენანს უდავო ფაქტად არ მიაჩნდა საბჭოთა სისტემის, როგორც ხელისუფლების ფორმის, წარმატება ქვეყნის შიგნით. მისთვის საინტერესო ექსპერიმენტი იყო ერთი პიროვნებიდან მეორეზე ხელისუფლების გადაცემის ფორმა და შედეგი. მაგალითად, მას მიაჩნდა, რომ ლენინის შემდეგ ხელისუფლებაში სტალინის მოსვლის შედეგი იყო 15-წლიანი ტრაგედია. სტალინის შემდეგ ხელისუფლების შეცვლის მეორე შემთხვევა, დეპეშის ავტორის აზრით, სიმტკიცეზე რეჟიმის გამოცდად არ იქცეოდა, რადგან რუსული ბოლშევიზმისათვის რეალურ საფრთხედ მას უფრო ტერიტორიული ექსპანსიები მიაჩნდა. საინტერესოა, რომ ქენანამდე 90 წლით ადრე ამავე საფრთხეზე მიუთითებდა კანცლერი გორჩაკოვიც, როდესაც წერდა, რომ ქვეყნის ტერიტორიის უსასრულო ზრდა იმავდროულად სახელმწიფოსათვის საფრთხის ზრდის ტოლფასიაო.

ქენანი აღიარებდა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დიქტატორული მმართველობის წარმატებულ ინსტრუმენტად იქცა, მაგრამ იქვე იმაზეც მიუთითებდა, რომ მან დაკარგა „ემოციური შთაგონების წყაროს ფუნქცია“. „ჩვენ დარწმუნებული ვართ – წერდა ქენანი, – რომ სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, რუსი ხალხი

არასოდეს ყოფილა ემოციურად ასე დაშორებული კომუნისტური პარტიის დოქტრინისაგან". უკანასკნელი ფაქტი კი იმ დასკვნის საფუძველს იძლეოდა, რომ არ შეიძლებოდა გარანტირებულად მიჩნეულიყო კომუნისტური მოძრაობის შინაგანი სიმტკიცე და სტაბილურობა.

ვრცელი და მეცნიერულად არგუმენტირებული ანალიზის შემდეგ დეპეშა რეკომენდაციებსაც შეიცავდა მოსკოვთან ურთიერთობის თაობაზე:

1. ვაშინგტონი უნდა ჩასწვდომოდა კომუნისტური მოძრაობის ბუნებას. საჭირო იყო მისი შესწავლა ისეთივე „მონდომებით, ობიექტურობითა და კომპეტენტურობით, როგორითაც ექიმი სწავლობს გაუგონარ და არაგონიერ პაციენტს";

2. ამერიკის ხელისუფლება დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ ამერიკელები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი რუსეთში არსებულ მდგომარეობაზე. თავად ქენანი ფიქრობდა, რომ ამერიკაში გაცილებით იშვიათი იქნებოდა „ისტერიული ანტიკომუნიზმი", თუ ხალხს მეტი ეცოდინებოდა საქმის რეალურ მდგომარეობაზე. რუსეთთან ურთიერთობაში არსებულ პრობლემებზე ღია საუბარს შეიძლება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა გაუარესება მოჰყოლოდა, მაგრამ ქენანს მიაჩნდა, რომ თუ მართლაც არსებობდა ასეთი რისკი, ადმინისტრაცია უნდა წასულიყო ამაზე. ისე კი, იგი ვერ ხედავდა რისკს, ვინაიდან ამერიკას არ გააჩნდა იმ დონის კაპიტალდაბანდება რუსეთში, რომელსაც დაცვა დასჭირდებოდა, რუსეთში არ ცხოვრობდნენ ამერიკის მოქალაქეები, რომელთაც დახმარება დასჭირდებოდათ კრიზისის შემთხვევაში. ამერიკა მხოლოდ იმის დაკარგვას რისკავდა, რის მოპოვებასაც სამომავლოდ ვარაუდობდა და არა იმისას, რაც უკვე გააჩნდა;

3. ქენანს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბევრი რამ იყო დამოკიდებული ამერიკის საზოგადოების ენერგიასა და ჯანმრთელობაზე, ვინაიდან „მსოფლიო კომუნიზმი იმ ავთვისებიან პარაზიტს ჰგავს, რომელიც მხოლოდ არაჯანსაღი უჯრედებით იკვებება". ამიტომ, მას ამერიკელთა საზოგადოებრივი დისციპლინა და მაღალი მორალური სულის-

კვეთება მიაჩნდა მოსკოვზე დიპლომატიური გამარჯვების წინაპირობად;

4. ამერიკას სხვა სახელმწიფოთა განსახილველად უნდა წარედგინა თავისი პოზიტიური და კონსტრუქციული ხედვა მომავალ მსოფლიოზე. შეცდომა იქნებოდა დანარჩენი მსოფლიოს იძულება ბრმად გაჰყოლოდა ამერიკის პოლიტიკურ კურსს. იგივე ევროპელები იმდენად იყვნენ გაწამებულნი ახლო წარსულის გამოცდილებით, რომ მათ საკუთარი უსაფრთხოება უფრო აინტერესებთ, ვიდრე საყოველთაო მშვიდობა;

ჯორჯ ქენანი ვაშინგტონს ურჩევდა რუსებზე უკეთესი დახმარება შეეთავაზებინა ევროპისათვის. საინტერესო და საყურადღებო იყო „ენანის საბოლოო დასკვნაც: „ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც ჩვენ გვემუქრება, ესაა დავემსგავსოთ მათ, ვისთანაც დღეს საქმის დაჭერა გვიხდებაო".

მიუხედავად იმისა, რომ „გრძელი დეპეშის" ადრესატი მხოლოდ სახელმწიფო მდივანი იყო, მალე რამდენიმე ათასი ამერიკელი სახელმწიფო მოხელისათვის გახდა ცნობილი მისი სრული შინაარსი. ესენი იყვნენ ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული სპეციალისტები. საზღვაო მინისტრ ფორესტოლის ბრძანებით კი დეპეშის ტექსტი გაამრავლეს და კაბინეტის წევრებსა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი რანგის ოფიცრებს დაუგზავნეს. თავის მხრივ სახელმწიფო დეპარტამენტმა დეპეშის ტექსტი საკვანძო ხასიათის პოლიტიკური ინფორმაციის სახით დაუგზავნა ამერიკის საელჩოებს. ფართო გაგებით, ქენანის ანალიზის მთავარი მაპროვოცირებელი სტალინი იყო თავისი ხისტად გაშიშვლებული „რეალპოლიტიკით". სტალინისტური დიპლომატიის ექსცესების პირისპირ აღმოჩენილ ტრუმენსა და მის ადმინისტრაციას სასწრაფოდ ესაჭიროებოდა კონცეპტუალურ ანალიზზე დაფუძნებული სტრატეგია. ისიც ცხადია, რომ რუსული ექსპანსიონიზმის პროფესიონალური ანალიზი სპონტანურად ვერ დაიბადებოდა ქენანის გონებაში. იგი ხომ მოსკოვში ჯერ კიდევ ამერიკის პირველი ელჩის, ბულიტის თარჯიმანი იყო, სრულყოფილად ფლობდა რუსულ ენას, ბევრს კითხულობდა რუსეთისა და

საბჭოთა კავშირის ისტორიაზე და წიგნის დაწერასაც აპირებდა რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე. ამიტომაც იქცა აღმოჩენად ტრუმენისათვის მაღალპროფესიული, თანაც რეალისტი „რუსისტი“. მანამდე ჰოპკინს ებარა „რუსეთის უბანი“, რომელიც ვერა და ვერ განთავისუფლდა რუზველტისეული ილუზიებისაგან და ამასთან ერთად დღითიდღე უარესდებოდა მისი ჯანმრთელობა. ქენანის ანალიზმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია პრეზიდენტს სტალინთან დაკავშირებული ეჭვების მდგრად პოლიტიკურ-დიპლომატიურ სტრატეგიად კონსტრუირებაში. რა გასაკვირია, რომ თავბრუდამხვევი იყო ქენანის შემდგომი კარიერაც: იგი ტრუმენის პრეზიდენტობის მთელი პირველი ვადის ყველაზე გავლენიან მრჩევლად იქცა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის სფეროში. მას უფლება ჰქონდა პირადად პრეზიდენტისაგან მიეღო დავალებები და პირადად პრეზიდენტისათვის მოეხსენებინა თავისი დასკვნები და შეფასებები.

მოხსენებებმა და ხედვებმა არა მხოლოდ პრეზიდენტსა და მის ადმინისტრაციაზე იქონია სერიოზული გავლენა: უკვე 1946 წელს გამოკითხულ ამერიკელთა მხოლოდ 33 პროცენტი ენდობოდა საბჭოთა კავშირს, როდესაც წინა წელს ეს ციფრი 55%-ს უდრიდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის ისტორიის ბრწყინვალე მცოდნე ქენანმა საფუძველშივე გამორიცხა საბჭოთა დიპლომატიის წმინდა იდეოლოგიური საფუძვლით ახსნის ვერსია: საბჭოთა სახელმწიფოს იგი განიხილავდა როგორც მეფის რეჟიმის მონაცვლეს, ანალოგიურივე თვითმპყრობლური ინსტიტუტებითა და გარე სამყაროდან იზოლაციის ტენდენციით.

ომისშემდგომი პერიოდის სტაბილური, არაკონფრონტაციული მშვიდობისათვის ის ფაქტიც აღმოჩნდა საბედისწერო, რომ სხვა ომებისაგან განსხვავებით, მეორე მსოფლიო ომს კლასიკური რეგულირება არ მოჰყოლია. ნაცვლად ამისა, ნაბიჯ-ნაბიჯ იქმნებოდა გავლენის ორი სფერო და ეს ხდებოდა არა ოფიციალური შეთანხმებით, არამედ მომხდარი ფაქტის ჩუმი აღიარებითა და თამაშის წესის დაუდგენლად. შეუძლებელი და არაპროდუქტიულია იმაზე მსჯელობა, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მსოფლიო, რუზველტს რომ

პრეზიდენტობის მეოთხე ვადის დასრულებაც დასცლოდა, ან სტალინს რომ კიდევ რამდენიმე წელი ეცოცხლა და მისი საფირმო სიჯიუტით ეცადა ჩანაფიქრი შედეგამდე მიეყვანა (1952 წლის „სამშვიდობო“ ინიციატივა). მხოლოდ ის დარჩა ისტორიულ ფაქტად, რომ მსოფლიომ მიიღო არსებული რეალობებით განპირობებული, კლასიკური სახელშეკრულებო ბაზის გარეშე შექმნილი დე-ფაქტო ნაომარი სამხედრო-პოლიტიკური პანორამა.

თუ ომით გაჩანაგებული მსოფლიო, საღი აზრის საწინააღმდეგოდ, მაინც რჩებოდა დენთით სავსე კასრად, ბიქფორდის ზონარი კვლავ ევროპაში იყო გამზადებული. სიახლე მხოლოდ ტრადიციული ბალანსირის – დიდი ბრიტანეთის სისუსტე იყო. ლონდონს ფიზიკურად აღარ შეეძლო კონტინენტზე ძალთა გამათანაბრებლის ჩვეული როლის შესრულება, რასაც ის რანდენიმე საუკუნის მანძილზე დიდი დიპლომატიური ოსტატობით ასრულებდა.

ჯერ კიდევ 1914-1918 წლებში, ევროპაში პოზიციების შესანარჩუნებლად გახდა იძულებული დიდი ბრიტანეთი დომინიონებისა (თეთრკანიანი მოსახლეობით) და კოლონიების მოსახლეობის განწყობა გაეთვალისწინებინა და იმპერიული პოლიტიკის გარკვეულ ლიბერალიზაციაზე წასულიყო. 1941-1942 წლებში კი ლონდონი უკვე იძულებული იყო ეტაპობრივად თავისუფლების მინიჭებასაც კი შეპირებოდა ომის შემდეგ ინდოეთს, რათა უკანასკნელი ცდუნებას არ აჰყოლოდა და „სამთა პაქტის“ მხარეზე არ აღმოჩენილიყო. ახალ ზელანდიას უკვე ჰქონდა კურსი აღებული ამერიკელებთან ფართო სამხედრო-პოლიტიკურ კავშირზე იაპონელებთან ბრძოლაში.

1945 წლის ივლისის არჩევნების ყველასათვის მოულოდნელმა შედეგმა კარგახნით ჩამოაშორა სახელმწიფო მართვის სადავეებს ძველი იმპერული ტრადიციების უკანასკნელი მძიმეწონოსანი მეციხოვნე ჩერჩილი. ლეიბორისტებისათვის სოციალური რეფორმები იყო პრიორიტეტული სფერო და ჩერჩილის წლებთან შედარებით საგრძნობლად მოკრძალებული იყო მათი საგარეო-პოლიტიკური ინიციატივები. მზად აღმოჩნდა საიმისოდ ბრიტანელ ამომრჩეველთა უმრავლესობა, რომ ახალი გიგანტებისათვის დაეთმო მსოფლიო პოლი-

ტიკის პირველი რიგები. ტრადიციებზე დაციკლულმა კუნძულმა საშინაო პოლიტიკის რეფორმირებაზე აიღო კურსი ახალ სიტუაციასთან შესაგუებლად.

ევროპის კიდევ ერთი, ფორმალურად გამარჯვებული ქვეყანა იყო შარლ დე გოლის საფრანგეთი. მართალია, საფუძვლიანი იყო გერმანელების გაოცება, როდესაც უსიტყვო კაპიტულაციაზე ხელმოწერის მაგიდასთან საფრანგეთის წარმომადგენელიც დახვდათ: „როგორ, ომი საფრანგეთთანაც წავაგეთ!?“ – გაოგნებულმა კი წამოიძახა გერმანელმა გენერალ-ფელდმარშალმა ვილჰელმ კეიტელმა, მაგრამ ეს უკვე არაფერს ცვლიდა: საფრანგეთმა თავისი საოკუპაციო ზონაც მიიღო და ზარალის ანაზღაურებაც მოითხოვა. ეს იყო და ეს. მალევე დასრულდა დე გოლის პირველი მმართველობის პერიოდი და ქვეყანა ტრადიციულ შიდა არასტაბილურობასა და უპერსპექტივო კოლონიურ ავანტურაში ჩაეფლო.

საბოლოო ჯამში კი ახდა ტოკვილის ასი წლის წინანდელი პროგნოზი და მსოფლიოში ორი ქვეყანა – ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი) აღმოჩნდა ძლევამოსილი გამარჯვებულის როლში. უდიდესი მსხვერპლის საფასურად მოპოვებულმა სამხედრო წარმატებებმა, სტალინის მიზანდასახულმა პოლიტიკამ შედეგი გამოიღო, როგორც კი ომი დამთავრდა: ფაქტიურად საბჭოთა კავშირი აღმოჩნდა ყველაზე მოგებული მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად მისი მოსახლეობა, ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა დაზარალდა.

ომის შემდეგ ევროპაში, მდ. ელბამდე კონტროლის დამყარებით, მოსკოვმა შესძლო პერსპექტივაშიც კი გამოერიცხა ნებისმიერი ანტისაბჭოური კომბინაცია აღმოსავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. მთლიანად იყო გამორიცხული 1920-30-იანი წლების კონსტრუქციები. შექმნილი ობიექტური რეალობის ფონზე პარადოქსად თუ აღიქმებოდა ის „გაუგებრობა“, რომ მაშინაც კი, როდესაც სტალინმა შესძლო აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მუქარით შემომყურე უძლიერესი „იმპერიალისტ“- მოქიშპეების – გერმანიისა და იაპონიის გაუვნებელყოფა, კვლავ „იმპერიალისტურ გარემოცვა-

ში“ გრძნობდა თავს. როგორც გაირკვა, მოსკოვმა კი შესძლო თითქმის ჰეგემონური მდგომარეობისათვის მიეღწია ევროპაში, მაგრამ არ გაითვალისწინა თავისუფალი ევროპის დამცავი რეაქცია. რუზველტს შეჩვეული სტალინისათვის მოულოდნელი უნდა ყოფილიყო ისტორიული რუსული ექსპანსიონიზმის შეკავებაზე გამიზნული ტრუმენის გლობალური სტრატეგია. რუზველტი ხომ თეირანშიც და იალტაშიც არ უმალავდა სტალინს საკუთარ გადაწყვეტილებას ომის დამთავრებისთანავე გაეყვანა ევროპიდან ჯარები. ცხადია, სტალინს არ შეეძლო სცოდნოდა თუნდაც იმ წერილის შინაარსი, ამერიკის პრეზიდენტი ბრიტანეთის პრემიერს რომ სთხოვდა გაგებით შეხვედროდა მის გადაწყვეტილებას ევროპიდან ამერიკელი ჯარისკაცების გაყვანაზე („გემუდარებით, ნუ მთხოვთ ამერიკის ჯარები დავტოვო საფრანგეთში. მე, უბრალოდ, არ შემიძლია ამის გაკეთება! ისინი სახლში უნდა დავაბრუნო. როგორც ადრე გეუბნებოდით, მე უარს ვამბობ ბელგიის, საფრანგეთის და იტალიის მეურვეობაზე: ეს თქვენ გევალებათ თქვენი ბავშვების აღზრდა და დასჯა. იმის გათვალისწინებით, რომ მომავალში შეიძლება თქვენს ბასტიონად იქცნენ ისინი, ახლავე უნდა შეუდგეთ მათ აღზრდას“) (112), მაგრამ საიმისო ინფორმაცია კი გააჩნდა, რომ ევროპაში ოკეანის გაღმელი ზესახელმწიფოს სამხედრო გააქტიურება გამოერიცხა. 1944-1945 წლებში, დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში შექმნილი „პლაცდარმი“, გარკვეული პაუზის შემდეგ, შეიძლებოდა საერთაშორისო პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული გავლენის გასაფართოებლად ყოფილიყო გამოყენებული. შესაძლებელი იყო სწორედ ასეთი სცენარითაც კი განვითარებულიყო მოვლენები, თუ ვაშინგტონში დიდ ხანს გასტანდა მოსკოვთან ურთიერთობის ფორმებთან დაკავშირებული დებატები. ქენანის მთავარი დამსახურება ამ სალონური დისკუსიებისათვის წერტილის დასმა იყო. მისი ანალიზისა და ტრუმენის პოლიტიკური ნების შედეგი იყო „შეკავების პოლიტიკა“, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ძალთა გლობალური თანაფარდობა და ძალის ახალი ცენტრების შექმნა ევროპასა და იაპონიაში. ცხადია საბჭოთა მოსალოდნელი ექსპანსიონიზმის გასანეიტრალებლად.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ზოგიერთი საბჭოთა და ამერიკელი მკვლევარი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ აუცილებლობით არ იყო გამოწვეული როგორც ქენანის „გრძელი დეპეშა“, ასევე ტრუმენის რეაგირება და ის, რომ თითქოს ამერიკა სტალინზე ადრე დაადგა „ცივი ომის ბილიკს“. ასეთი ვერსია მალევე იქნა უარყოფილი ომისა და უშუალოდ ომის შემდგომი პერიოდის დასავლელ მკვლევართა უმრავლესობის მიერ. კერძოდ, ინგლისელმა ისტორიკოსებმა დოკუმენტურად დაამტკიცეს, რომ ქენანსა და ტრუმენზე ადრე ჩერჩილი და თვით ეტლიც კი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შეუძლებელი იქნებოდა ხანგრძლივი პარტნიორული თანამშრომლობა მოსკოვთან. ან რომელ თანამშრომლობაზე შეიძლებოდა თუნდაც ფიქრი ორ ორგანულად მტრულ, მხოლოდ საერთო მომაკვდინებელი საფრთხის პირობებში, სამხედრო კავშირში დროებით გაერთიანებულ ანტაგონისტურ სამყაროებს შორის? ასეთი ნეტარმორწმუნე ილუზია ხომ სასაცილოდაც არ ეყოფოდათ მსოფლიო დიპლომატიის მეტრებს – რიშელიეს, პიტს, ტალეირანს, მეტერნიხსა თუ ბისმარკს? თუ იგივე პიტს სწამდა (და არც ცდებოდა), რომ შეუძლებელი იქნებოდა ნაპოლეონთან შეთანხმება და თანამშრომლობა, რა ზეციერმა ძალამ შთააგონა რუზველტს სტალინთან ნაყოფიერი პარტნიორობის შესაძლებლობა, როცა მოსკოვს ჰიტლერი აღარ ემუქრებოდა?

ვერავინ უარყოფს, რომ ომის შემდეგ სტალინი ძალასა და სახსრებს არ იშურებდა, რათა რაც შეიძლებოდა მეტ ევროპულ ქვეყანაში გაბატონებულიყვნენ კომუნისტები. ფაქტიურად კომუნისტების მიერ იყო წამოწყებული სამოქალაქო ომი საბერძნეთში, სადაც უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა კომუნისტ-პარტიზანების დასახმარებლად იარაღი ალბანეთიდან, იუგოსლავიიდან და ბულგარეთიდან. საგარეო საქმეთა მინისტრების ლონდონის თათბირზე ხომ მოითხოვა კატეგორიული ტონით მოლოტოვმა ტრიპოლიტანიაზე (ლიბიაზე) პროტექტორატი, რათა ხმელთაშუა ზღვამდე ჩაეღწია საბჭოთა სამხედრო ფლოტს. უფრო მეტიც – ხომ გაიხსენა მეფეების ოცნება სრუტეებზე სტალინმა? ასე რომ, ქენანის დეპეშაც, ტრუმენის დოქტრინაცა და „მარშალის გეგმაც“ მოვლენათა კანონზომიერი განვითარების შე-

დეგი იყო იმის გათვალისწინებით, რომ მოკავშირეთა შორის „გაუგებრობებმა“ ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე იჩინა თავი, რაზეც უკვე იყო საუბარი წინა თავებში. მართალია, იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ ტრუმენმა სცნო საბჭოთა კავშირის უფლება კურილიის კუნძულებზე და სახალინის ნაწილზე, მაგრამ კატეგორიული უარი განაცხადა იაპონიაში საოკუპაციო ტერიტორიის გამოყოფაზე. დაძაბულობის გარეშე ხომ არც იალტაში განსაზღვრული გავლენის სფეროების „ათვისება“ წარიმართა აღმოსავლეთ ევროპაში. კი დაიყოლია რუზველტმა ლივადიის სასახლეში სტალინი ხელი მოეწერა „ევროპის განთავისუფლების დეკლარაციაზე“, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, მოკლე დროში გაირკვა, რომ მხარეებს განსხვავებულად ესმოდათ ევროპის (პირველ რიგში, აღმოსავლეთ ევროპის) განთავისუფლების ფორმა და შინაარსი: 1945 წლის 20 აგვისტოს, ამერიკელმა და ინგლისელმა დიპლომატებმა ერთობლივი პროტესტი განაცხადეს რუმინეთისა და ბულგარეთის მთავრობების მხოლოდ კომუნისტებით დაკომპლექტებასთან დაკავშირებით. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ლონდონი და ვაშინგტონი ერთიანი დიპლომატიური ფრონტით გამოვიდა მოსკოველი მოკავშირის წინააღმდეგ. სტალინისათვის გასაგები უნდა გამხდარიყო, რომ არც იალტაში და არც პოტსდამში დასავლელ მოკავშირეებს „კარტ-ბლანში“ არ მიუციათ მისთვის, მაგრამ ძლევამოსილმა გენერალისიმუსმა არ ისურვა ამის გაცნობიერება. როდესაც ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ქვეყანაში არანაირი არჩევნები არ ჩატარდებოდა, სანამ მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის დასავლელ წევრებს ადგილზე დაკვირვების შესაძლებლობა არ მიეცემოდათ და მთავრობაში ოპოზიციაც არ იქნებოდა წარმოდგენილი, სტალინმა ლაკონური ბრძანება გაუგზავნა ბულგარეთში საბჭოთა ჯარების სარდალს ფედორ ტოლბუხინს: „არავითარი დათმობები, არავითარი ცვლილებები მთავრობაში“.

საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე მოლოტოვს ევალებოდა მაქსიმალურად გამოეყენებინა იტალიის პრეცედენტი. გაგრიდან (სადაც სტალინი ისვენებდა) გაგზავნილი დეპეშით იგი ავალებდა

თავის მინისტრს, რათა მას საერთოდ არ დაეშვა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებთან დაკავშირებული დისკუსიები. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: მოლოტოვი ისე დათანხმდა ამერიკის სახელმწიფო მდივნის ბირნსის წინადადებას, გერმანიის სატელიტებთან – ფინეთთან, უნგრეთთან და რუმინეთთან საზაო ხელშეკრულების გაფორმების პროცესში საფრანგეთისა და ჩინეთის წარმომადგენლებსაც მიეღოთ მონაწილეობა, რომ სტალინის ნებართვა არ გამოუთხოვია, რაც სანანებელი გაუხდა კიდეც – ბელადის მკაცრი გაკიცხვის შემდეგ თავისი თანხმობა მოლოტოვმა უკანვე გაიწვია. რუს ისტორიკოსთა აზრით, ამ ინციდენტის შემდეგ სტალინმა მოლოტოვისადმი ნდობა დაკარგა. მინისტრთა თათბირმა კი პროცედურული წინააღმდეგობებიც კი ვერ დაბლია და უშედეგოდ დასრულდა. უკანასკნელ მომენტში ისევ ბირნსი შეეცადა შეხვედრის გადარჩენას და ახალი წინადადებით მიმართა მოლოტოვს: ვაშინგტონსა და მოსკოვს 25-წლიანი ხელშეკრულება დაედოთ გერმანიის რემილიტარიზაციაზე. „ჭკუა ნასწავლმა“ მოლოტოვმა სტალინს ჰკითხა რჩევა, თანაც აცნობა, რომ ამერიკელების წინადადება მისაღები იქნებოდა, თუ მოსკოვს ბალკანეთში თავისუფალი მოქმედების უფლება მიეცემოდა. სტალინი თავის მინისტრზე შორს იყურებოდა და საპასუხო დეპეშით დეტალურად აუხსნა „გულუბრყვილო“ მინისტრს ბირნსის ინიციატივის „მზაკვრული“ ჩანაფიქრი:

პირველი – ბირნსს სურდა საბჭოთა კავშირის ყურადღება ჩამოეშორებინა შორეული აღმოსავლეთიდან, სადაც ვაშინგტონი ისე იქცეოდა, როგორც „იაპონიის ხვალინდელი მეგობარი” (აქ სტალინი მართლაც არ ცდებოდა);

მეორე – საბჭოთა კავშირის ფორმალური თანხმობით, ანალოგიური უფლებები მოეპოვებინა ევროპაში, რათა შემდგომში ინგლისთან ერთად, ამერიკას საკუთარ ხელში აეღო ევროპის ბედი;

მესამე – გაეუფასურებინა საბჭოთა კავშირის მიერ ევროპის ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებები;

მეოთხე – უაზროდ ექცია მოსკოვის მიერ რუმინეთთან, ფინეთთან და სხვა ქვეყნებთან მომავალში გაფორმებული ნებისმიერი სამოკავშირეო ხელშეკრულება (113).

სტალინის სურვილი იყო ევროპის მსგავსად იაპონიაშიც შექმნილიყო მოკავშირეთა საკონტროლო კომისია, სადაც მოსკოვსაც ეყოლებოდა წარმომადგენელი, მაგრამ ბირნსმა და ბევინმა ამ საკითხის განხილვაზეც კი უარი თქვეს. მოლოტოვისათვის გაგზავნილი კორესპონდენციები სრულ წარმოდგენას იძლევა მოსკოვსა და დასავლელ მოკავშირეებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე: „ერთი მთავარი მოკავშირე აცხადებს, რომ ის უკმაყოფილოა იაპონიაში შექმნილი მდგომარეობით, ხოლო ის ხალხი, ვინც მოკავშირეებს უწოდებს საკუთარ თავს, ამ უკმაყოფილების განხილვაზეც კი უარს აცხადებს", – ცოფებს ყრიდა სტალინი (114).

უნდა ითქვას, რომ სტალინის ცნობილმა ტაქტიკამ მუდამ უკმაყოფილოდ და უსამართლობის მსხვერპლად წარმოეჩინა თავი, რითაც პარტნიორებს აიძულებდა თავის მართლების რეჟიმში ყოფილიყვნენ, შედეგიც კი გამოიღო მოკლე ვადით. ბირნსი მართლაც სწუხდა, რომ კრახით დასრულდა მისი დიპლომატიური დებიუტი (საგარეო საქმეთა მინისტრების ლონდონის შეხვედრა) და მდგომარეობის გამოსასწორებლად მოსკოვში ელჩ ჰარიმანს დაავალა პირადად შეხვედროდა სტალინს და ჩიხიდან გამოსავალი მოეძებნა. ამერიკული მხარის დიპლომატიური დემარში კი სტალინმა ვაშინგტონის სისუსტედ აღიქვა და „კეთილი ნების" ჟესტად აქცია თანხმობა ელჩი გაგრაში მიეღო.

ჯეიმს ბირნსის ტაქტიკურ დიპლომატიურ შეცდომას სტალინმა სტრატეგიული შეცდომით უპასუხა: დარწმუნებულმა, რომ თითქოს ტრუმენი მხოლოდ რუზველტის კურსის უნიჭო გამგრძელებელი იყო და მიუხედავად ბირთვულ იარაღზე მონოპოლიისა, პოლიტიკური ნების ნასახიც არ გააჩნდა, ჰარიმანს ჯერ გენერალ დუგლას მაკარტურის გამო მოსთხოვა ანგარიში, რომელიც მისი თქმით, ანგარიშს არ უწევდა შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ინტერესებს, შემდეგ კი ასე შეაჯამა შექმნილი სიტუაცია: „მე მუდამ იზოლაციის წინააღმდეგი

ვიყავი, მაგრამ, როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირი იძულებულია ამ გზას დაადგესო". ზედაპირზე იდო სტალინის გადაწყვეტილების ქვეტექსტი – „ამერიკელებმა რაც გინდათ ის აკეთეთ და ნურც ჩემს საქმეებში ჩაერევითო", მაგრამ ჰარიმანს ჯიუტად არ სურდა თვალი გაესწორებინა მწარე რეალობისათვის და ვაშინგტონის დარწმუნებას ცდილობდა, რომ შესაძლებელი იყო „ღია კარის" კურსის გატარება აღმოსავლეთ ევროპაში. სტალინმა კი გაგრაშივე მიიღო პოლონელი კომუნისტების დელეგაცია და არაორაზროვნად მოსთხოვა „ღია კარის მიხურვა". ისიც ნიშანდობლივი იყო, რომ მოსკოვი გამარჯვებად მიიჩნევდა ლონდონის თათბირის ფაქტიურ ბლოკირებას: „ჩვენი მტკიცე პოზიციის წყალობით გავიმარჯვეთ ლონდონის თათბირზე გამართულ ბრძოლაშიო", გაგრიდან გაგზავნილი დეპეშით ულოცავდა სტალინი კრემლში მყოფ პოლიტბიუროს. ვერაფერს იტყვი, აბსოლუტურად სწორი დასკვნა იყო მისი თვალსაზრისით: იგი ხომ უკვე გამარჯვებად მიიჩნევდა მოკავშირეებთან ნებისმიერი შეთანხმების ჩაშლას.

წინა თავებში იყო საუბარი სტალინის დიპლომატიის „სამხრეთული ვექტორის" წარუმატებლობაზე, თუმცა ირანისა და თურქეთის თემა კვლავ იქცა მოკავშირეთა შორის დიპლომატიური ბატალიების საბაბად 1945 წლის საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის შეხვედრაზე: როდესაც ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებსა და თურქეთში მასობრივად გავრცელდა ხმები თურქეთ-საბჭოთა კავშირს შორის მოსალოდნელ ომზე, რასაც თურქეთის დიდ ქალაქებში ფართომასშტაბიანი ანტისაბჭოური მიტინგები და დემონსტრაციები მოჰყვა, ანკარაში საბჭოთა ელჩმა სერგეი ვინოგრადოვმა თავს უფლება მისცა ჭკუის სწავლება დაეწყო კრემლისათვის: დაბეჯითებით ურჩევდა საბჭოთა ხელმძღვანელობას „ფაშისტურ საფრთხედ" წარედგინა ვაშინგტონისა და ლონდონისათვის თურქეთში გაჩაღებული ანტისაბჭოური კამპანია, რაც, მისი აზრით, თავისუფალი მოქმედებისათვის ხელ-ფეხს გაუხსნიდა მოსკოვს. სწრაფად გაირკვა, რომ ელჩს წარმოდგენა არ ჰქონდა არც მოკავშირეთა შორის გართულებულ ურთიერთობათა ნიუანსებზე და არც კრემლის უკვე „მოდერნიზებულ"

ტაქტიკაზე. შვიდი დეკემბრის სტალინის წერილი ცივ შხაპად იქცა მეტიჩარა ელჩისთვის – „ხაზეინმა“ მას ჯერ ელჩის ფუნქციები აუხსნა, შემდეგ კი ავის მომასწავლებლად ურჩია შემდგომში კარგად დაფიქრებულიყო, სანამ „პოლიტიკური გართულებების ინიციატივებით გამოვიდოდა“. საქმე კი ის იყო, რომ ამ პერიოდისათვის სტალინი უკვე ხედავდა თურქეთთან პრეტენზიების უპერსპექტივობას და სიმძიმის ცენტრი ირანზე გადაიტანა, სადაც, მისი გათვლებით, უკეთესი შანსი ჰქონდა. 1946 წლის თებერვალში მოსკოვში სამი კვირით (!) იმყოფებოდა ირანის პრემიერ-მინისტრი აჰმად კავამი. მას სტალინთან და მოლოტოვთან ჰქონდა ინტენსიური მოლაპარაკებები. როგორც ცნობილია, საბჭოთა მხარე დაჟინებით ითხოვდა სანავთობო კონცესიას, ხოლო ირანის პრემიერი მეჯლისის პოზიციას იშველიებდა, რომელიც კონცესიის პრობლემის გადაჭრას ქვეყნიდან უცხოეთის ჯარების (ჩათვალე – საბჭოთა სამხედრო ნაწილების) გაყვანას უკავშირებდა. ირანში მალე არჩევნები უნდა ჩატარებულიყო და კავამი სტალინს ახალი მეჯლისის თანხმობას ჰპირდებოდა. ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, თუ რითი დასრულდა ირანის პრემიერის უზომოდ ხანგრძლივი ვიზიტი: სტალინი იძულებული იყო კონცესიაც დაევიწყებინა და ჯარიც გამოეყვანა ირანიდან. მან „თავისიანებზე“ იყარა ირანის ჯავრი: შავი დღე დააყარა მოლოტოვსა და მთელ საგარეო საქმეთა სამინისტროს, თუმცა არავინ დაუსჯია, რაც მისთვის უჩვეულო იყო.

„ირანული პარტიის“ დემონსტრაციულ ფინალამდე კიდევ ერთი დიპლომატიური მარცხი იწვნია მოსკოვმა ისევ თურქეთის მიმართულებით: 1946 წლის აგვისტოში კიდევ ერთხელ სცადა ბედი მოლოტოვის უწყებამ და ნოტით მიმართა ანკარას სრუტეებზე „ერთობლივი კონტროლის“ წინადადებით, რის სანაცვლოდაც სამუდამოდ დაივიწყებდა ყველა დანარჩენ პრეტენზიებს. ვერც ამჯერად აღმოჩნდა მოვლენათა ადეკვატური საბჭოთა დიპლომატია: ანკარა უკვე იმ დონეზე გრძნობდა ვაშინგტონისა და ლონდონის მხარდაჭერას, რომ მისი უარი არადიპლომატიურად ხისტი და უკმეხი იყო.

თურქეთ-ირანთან დაკავშირებულ ნერვების ომში საბჭოური დიპლომატიის დამარცხების მთავარი დრამატული შედეგი მაინც ის იყო, რომ ტრუმენის ადმინისტრაციის თვალში მოსკოვი ომის შემდგომი მშვიდობის მთავარ საფრთხედ იქცა.

თითქოს საკმარისი არ იყო სტალინის დიპლომატიის აგრესიული ნაბიჯები ვაშინგტონთან ურთიერთობის გამწვავებისათვის და ამას ჯაშუშური სკანდალებიც დაემატა: ოტავაში საბჭოთა საელჩოდან გაიქცა არმიის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს („გრუს“) მშიფრავი იგორ გუზენკო, რომელმაც თან გაიყოლა კოლოსალური მნიშვნელობის მონაცემები საბჭოთა დაზვერვის ქსელზე. გაირკვა, რომ საბჭოთა სამხედრო დაზვერვის აგენტებს შორის იყვნენ არა მხოლოდ კანადის, არამედ ამერიკის ცნობილი მეცნიერები, მწერლები და სახელმწიფო მოღვაწეები. ამერიკის გამოძიებათა ფედერალურ ბიუროში („ფბრ“) გამოცხადდა ამერიკის მოქალაქე ელიზაბეტ ბენტლი, რომელმაც აღიარებითი ჩვენება მისცა მოსკოვის სასარგებლოდ საკუთარ ჯაშუშურ საქმიანობაზე. მისი აღიარებით, იგი ამერიკელი კომუნისტების არალეგალური ქსელის ხელმძღვანელი იყო, რომლის წევრებსაც წამყვანი თანამდებობები ეკავათ ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურებში. მთელი ქსელი უანგაროდ, იდეური მოსაზრებებით მუშაობდა საბჭოთა დაზვერვაზე.

ხსენებულ ჯაშუშურ სკანდალებს, რასაც ჩვეული პროფესიონალიზმითა და დეტექტიური ჟანრის სტილში აშუქებდა ამერიკის პრესა, მთიდან დაგორებული თოვლის გუნდის ეფექტი მოჰყვა: გარდა იმისა, რომ ტრუმენმა თავისი ეჭვების უტყუარი მტკიცებულებები მიიღო, საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ოქროს ფასად ღირებული რამდენიმე ათეული წყაროს (აგენტის) „კონსერვაცია“ მოეხდინა არა მხოლოდ კანადასა და ამერიკაში, არამედ ინგლისშიც. აღმოჩნდა, რომ გაურკვეველი დროით მოსკოვი ვერავითარ ინფორმაციას ვერ მიიღებდა ამერიკის მმართველ წრეებში განვითარებულ მოვლენებზე. და ეს მაშინ, როდესაც ტრუმენის ადმინისტრაცია ფორსირებულად ემზადებოდა მოსკოვთან თანამშრომლობის პოლიტიკის შესაცვლელად „შეკავების“ სტრატეგიით.

საბჭოთა დაზვერვამ მხოლოდ 1947 წლიდან (და ისიც შეზღუდული მასშტაბით) განაახლა თავისი „მოღვაწეობა“ ამერიკაში. პირველსავე წარმატებად კი ქენანის დეპეშის სრული ტექსტის მოპოვება იქცა. ძნელი დასაჯერებელია, რომ სტალინსა და მოლოტოვს გათვალისწინებული არა ჰქონოდათ ინგლის-ამერიკის სრულყოფილი ალიანსის გეოპოლიტიკური შედეგები: ამერიკის ეკონომიკური პოტენციალი, ატომურ იარაღზე მონოპოლია, პლუს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში განთავსებული ბრიტანეთის იმპერიის სამხედრო ბაზები. ამ კომბინაციას ხომ საშიშ ალყაში ჰყავდა მომწყვდეული საბჭოთა კავშირი. და თუ მიუხედავად ასეთი ობიექტური რეალობისა, სტალინი მაინც უკან მოუხედავად მიჰყვებოდა ერთხელ არჩეულ კონფრონტაციულ კურსს, ეს, ალბად, ტოტალურად იდეოლოგიზირებული საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტებით თუ აიხსნება. როგორც ჩანს, კრემლში მართლაც სახარებასავით სწამდათ ლენინის თეზა იმპერიალიზმზე: კაპიტალისტურ ქვეყნებს, ადრე თუ გვიან, ერთმანეთი უნდა დაეჭამათ. გარდა ამისა, შეიძლება სტალინი მართლაც ელოდა ომის შემდეგ კაპიტალისტური სამყაროს კიდევ ერთ დიდ კრიზისს, რაც რევოლუციამდე მიიყვანდა შიდა კრიზისს?

მიუხედავად ზემოთქმულის შესაძლო რეალობისა, მაინც არ იქნებოდა სწორი, რომ ერთპიროვნულად მხოლოდ სტალინს მიეწეროს „ცივი ომის“ წამოწყების „დამსახურება“. ამერიკის გადაქცევა მსოფლიო ზესახელმწიფოდ, ტრუმენის გადაწყვეტილება თავისი ქვეყნის მთელი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ძლევამოსილება გამოეყენებინა ევროპაში ლიბერალური კაპიტალიზმის ასაღორძინებლად და მთელი მსოფლიოს მასშტაბით „შეეკავებინა“ საბჭოთა ექსპანსია, მთავარ გამაღიზიანებელ სიურპრიზად იქცა სტალინისათვის. მას სწამდა, რომ მისმა ქვეყანამ და ხალხმა შეასრულა გადამწყვეტი როლი გერმანიაზე გამარჯვებაში, ხოლო ნადავლი კი გაღებული მსხვერპლისა და დამსახურების არაადექვატური იყო დასავლელი მოკავშირეების ინტრიგების წყალობით. გარდა ამისა, სტალინს დათვური სამსახური გაუწია რუზველტთან თანამშრომლობის გამოცდილებამაც. როგორც უკვე ზემოთ ითქვა, მას ვერ წამოედგინა, რომ რუ-

ზველტის მემკვიდრე მზად აღმოჩნდებოდა დარჩენილიყო დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში, რათა საბაზრო-ლიბერალურ რელსებზე შეეყენებინა ომისდროინდელი მოკავშირეებიცა და მტრებიც. სტალინი ვარაუდობდა, რომ როგორც ომის წლებში ახერხებდა, შემდგომშიც ასევე მოახერხებდა ამერიკელებთან საერთო ენის გამოძებნას და მსოფლიოში საბჭოთა გავლენის გაძლიერებას ისე, რომ არსად წააწყდებოდა ვაშინგტონის წინააღმდეგობას. ამიტომ შეხვდა მოუმზადებელი ტრუმენის „გაუგებარ“ გადაწყვეტილებას – მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში წინ აღდგომოდა საბჭოთა ექსპანსიონიზმს და თვით აღმოსავლეთ ევროპაშიც კი ეჭვის ქვეშ დაეყენებინა საბჭოთა გავლენის ლეგიტიმურობა.

მკვლევართა საერთო აზრთ, სტალინმა მაინც შესძლო ერთი უდიდესი შეცდომიდან თავის დაზღვევა: იგი ავანტურისტული გატაცებით არ ცდილობდა დასავლეთთან ურთიერთობის უკიდურესად დაძაბვას და მუდამ საგულდაგულოდ ფუთავდა საბჭოურ ექსპანსიონიზმს ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვით თუ ანტიკოლონიური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებით. არც უკან დახევა იყო მისთვის მიუღებელი, თუ სადმე „წითელ ხაზს“ წააწყდებოდა.



უინსტონ ჩერჩილი ფულტონში

თავი მეოცე
„ცივი ომის“ ქრონიკები

როგორც კი ამერიკის სამხედრო ძალებმა ევროპა დატოვეს, საბჭოთა კავშირი ავტომატურად იქცა კონტინენტზე დომინირებულ სამხედრო ძალად, რაც კრემლს მაცდუნებელი პოლიტიკური პერსპექტივების წინაშე აყენებდა. ერთდროულად იზრდებოდა ევროპის დემოკრატიული წრეების შიშნარევი შეშფოთება ადგილობრივი პრომოსკოური კომუნისტური პარტიების გავლენის სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით. კომუნისტები წარმოდგენილნი იყვნენ დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებში. ბუნებრივი იყო, რომ ვაშინგტონი დიდ ხანს ვერ დარჩებოდა ოკეანის გაღმელი მაყურებლის როლში. პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და სახელმწიფო დეპარტამენტში ექსპერტთა რამდენიმე ჯგუფი უკვე მუშაობდა რეალური საფრთხის საპასუხო კურსის ფორმირებაზე. საჭირო იყო დიპლომატიური კონსტრუქცია, რომელიც ერთდროულად თეორიულ ბაზად და საგზაო რუკად უნდა ქცეულიყო. სწორედ

ასეთ უნივერსალურ პოლიტიკურ ინსტრუმენტად იქცა ქენანის ანალიზი და დასკვნები.

მსოფლიოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის შუმჩნეველად კაცობრიობა თავისი განვითარების ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო „ცივი ომის“ ფაზაში შედიოდა.

როდესაც ბრიტანული ყოველკვირეული გაზეთ „ლონდონ ტრიბუნის“ 1945 წლის 19 ოქტომბრის ნომერში მწერალმა და პუბლიცისტმა ჯორჯ ორუელმა სტატია გამოაქვეყნა სათაურით „შენ და ატომური ბომბი“, სადაც პირველმა იხმარა ტერმინი „ცივი ომი“, მას შემდეგნაირად ჰქონდა წარმოდგენილი თანამედროვეობა: ამერიკის შემდეგ ატომურ ბომბს ორი-სამი ქვეყანაც შექმნიდა, შემდეგ ეს ქვეყნები „ურჩხულ ზესახელმწიფოებად“ იქცეოდნენ, მაგრამ შეთანხმდებოდნენ, რომ არასოდეს არ გამოიყენებდნენ ამ საშინელ იარაღს ერთმანეთის წინააღმდეგ და ასე იარსებებდნენ „ცივი ომის“ მდგომარეობაში. სიტუაციის ასეთი განვითარება ბოლოს მოუღებდა „მასშტაბურ ომებს“ და უსასრულოდ გაახანგრძლივებდა „მშვიდობას, რომელიც არ არის მშვიდობა“. გამოდის, რომ აქედან უნდა დავიწყოთ „ცივი ომის“ ქრონიკების ათვლა?

მკვლევართა უმრავლესობა „ცივი ომის“ დასაწყისად 1945 წლის თებერვალს მიიჩნევს, როდესაც „დიდი სამეულის“ყირიმის შეხვედრაზე პოლიტიკურად გახდა შესაძლებელი მსოფლიოს გაყოფა გავლენის სფეროებად. რამდენიმე თვის შემდეგ კი საბჭოთა კავშირმა ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა თურქეთს, ხოლო უინსტონ ჩერჩილმა საბჭოთა კავშირთან ჰიპოთეტური ომის სამზადის გეგმებზე მუშაობის დაწყების ბრძანება გასცა.

„ცივი ომის“ დაწყების ფორმალურ, კონკრეტულ თარიღად სპეციალისტები 1946 წლის 5 მარტს თვლიან.

დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერი ჩერჩილი 1945-1946 წლის ზამთარს ამერიკაში ატარებდა, ექიმების რჩევით. სამშობლოში დაბრუნების წინ მიწვევა მიიღო მისურის შტატის ქ. ფულტონის ვესტმინსტერის კოლეჯისგან, რათა სიტყვით გამოსულიყო კოლეჯის გაფართოების აღსანიშნავ ზეიმზე. თემა,

რაზეც იმდროინდელი მსოფლიოს აღიარებულ ნომერ პირველ ორატორს უნდა ესაუბრა, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები იყო. ჩერჩილი დათანხმდა, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით: მასთან ერთად ამერიკის პრეზიდენტიც უნდა გამგზავრებულიყო და გამოსვლას დასწრებოდა. ჰარი ტრუმენი სიამოვნებით დაჰყვა სტუმრის მოთხოვნას, მით უმეტეს, რომ ფულტონი მისი მშობლიური ქალაქი იყო, სადაც ბავშვობა ჰქონდა გატარებული. 1946 წლის 4 მარტს, ამერიკის მოქმედი პრეზიდენტი და დიდი ბრიტანეთის ყოფილი და მომავალი პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტის მატარებლით გაემგზავრნენ ფულტონში, სადაც 5 მარტს, აუდიტორიას ორატორი პირადად პრეზიდენტმა წარუდგინა. სხვადასხვა ქალაქებიდან რამდენიმე ათასი ამერიკელი ჩავიდა ფულტონში ჩერჩილის მოსასმენად. ჩასულ სტუმრებს ვერ იტევდა სასტუმროები, კაფეები და რესტორნები. ბრიტანელი სტუმრის გამოჩენამდე 15 წუთით ადრე გადაადგილებაც კი აუკრძალეს მის მოსასმენად მისულ ხალხს. როგორც შემდეგ ამერიკის პრესა წერდა, ეს იყო დიდებულად ორგანიზებული ღონისძიება, თავად ჩერჩილის „ვარსკვლავის საათი.“

გამოსვლა ჩერჩილმა იმ ფაქტის კონსტატაციით დაიწყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „მსოფლიო ძალის მწვერვალზე იმყოფებოდა“, რაც განსაკუთრებით პასუხსაგები მდგომარეობა იყო, ვინაიდან მას ორ მოწინააღმდეგესთან უხდებოდა პირისპირ დგომა „ომთან და ტირანიასთან“. ერთადერთ ინსტრუმენტად, რომელსაც შეეძლო ომის თავიდან აცილება და ტირანიასთან ბრძოლა, ორატორის აზრით, „ინგლისურენოვანი ხალხების ძმური ასოციაცია“ იყო.

შემდეგ ჩერჩილმა მოკლედ მიმოიხილა ევროპასა და აზიაში შექმნილი სიტუაცია, ღიად დაასახელა საბჭოთა კავშირი „საერთაშორისო სირთულეების მიზეზად“: „არავინ არ იცის, რა ჩანაფიქრი აქვს საბჭოთა კავშირსა და საერთაშორისო კომუნისტურ ორგანიზაციას და არსებობს თუ არა მათი ექსპანსიის საზღვრები“ – ასეთი იყო ჩერჩილის ხედვა, თუმცა იქვე დასძენდა: „მე პატივს ვცემ და აღფრთოვანებული ვარ გმირი რუსი ხალხით და ომის დროინდელი ჩემი მეგობრით მარშალ სტალინით. ჩვენ გვესმის, რომ რუსეთმა უსაფრთხო

უნდა გახადოს თავისი დასავლეთი საზღვრები და ბოლო უნდა მოუღოს გერმანიის აგრესიის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, ჩემი მოვალეობაა და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს თქვენცა გსურთ, ისე წარმოგიდგინოთ ფაქტები, როგორც მათ მე ვხედავ". შემდეგ იყო ისტორიაში შესული ფრაზა: „რკინის ფარდა მთელ კონტინენტზე ჩამოეშვა – ბალტიკაზე შტეტინიდან, ადრიატიკაზე ტრიესტამდე".

ფართოდაა გავრცელებული ვერსია, რომ პირველმა ჩერჩილმა იხმარა ტერმინი „რკინის ფარდა". სინამდვილეში ფულტონამდე თითქმის სამი ათეული წლით ადრე, ტოტალიტარიზმსა და დემოკრატიას შორის „რკინის ფარდაზე" საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟორჟ კლემანსო საუბრობდა ვერსალის სამშვიდობო კონფერენციაზე და მან ახსენა პირველმა ეს ტერმინი. ორ ორატორს შორის იმაში მდგომარეობდა არსებითი ხასიათის განსხვავება, რომ კლემანსოს „რკინის ფარდით" სურდა ევროპის დაცვა „ბოლშევიკური შავი ჭირისაგან", ჩერჩილი კი სწორედ ბოლშევიკებს ადანაშაულებდა „რკინის ფარდის" ჩამოშვებაში.

ჩერჩილის დაკვირვებით, ყველგან იზრდებოდა კომუნიზმის საფრთხე, „გარდა ბრიტანეთის თანამეგობრობისა და შეერთებული შტატებისა, სადაც კომუნიზმი ჯერ ბავშვობაშიაო" ჩერჩილმა პირველი მსოფლიო ომის დასასრულიც გაიხსენა, როდესაც იყო იმის რწმენა, რომ ომების დრო წარსულს ჩაბარდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი, რომელიც სულ ახალი დამთავრებული იყო, მას აღარც იმდროინდელი რწმენა ჰქონდა და აღარც იმედი. ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ორატორს გარდუვალად მიაჩნდა ახალი ომი. მას არც იმისი სჯეროდა, რომ საბჭოთა კავშირს კიდევ ერთი ომი სურდა. მას მხოლოდ ომის დივიდენდები და „თავისი ხელისუფლებისა და იდეოლოგიის შეუზღუდავი გაფართოება" სურდა.

საინტერესო იყო ომის წლებში რუსებზე მისი დაკვირვების შედეგიც: „არაფერი არ აღაფრთოვანებთ მათ [რუსებს] ისე, როგორც ძალა და არაფერს არ სცემენ ისინი სისუსტეზე ნაკლებ პატივს". ჟურნალისტებმა და ექსპერტებმა შემდეგ დაითვალეს, რომ ჩერჩილმა მხოლოდ თითოჯერ ახსენა „ბრიტანეთი" და „დიდი ბრიტანეთი", ექვს-

ჯერ – „ბრიტანეთის თანამეგობრობა და იმპერია“ და რვაჯერ „ინგლისურად მოლაპარაკე ხალხები“ და „მონათესავე ხალხები“. ასეთი არითმეტიკა კი იმაზე მიუთითებდა, რომ ორატორი მხოლოდ ინგლისის ინტერესებზე კი არ ამახვილებდა ყურადღებას, არამედ მთელი ინგლისურენოვანი მსოფლიოს ინტერესებზე.

დაინტერესებულ წრეებს არც ის ფაქტი გამორჩენიათ ყურადღებიდან, რომ ჩერჩილის მიერ გამოყენებული ეპითეტები – „კონტინენტზე დაშვებული ჩრდილი“, „მეხუთე კოლონა“, „პოლიციური სახელმწიფო“, „სრული მორჩილება“ და „ხელისულების უპირობო გაფართოება“, ადრე მხოლოდ ფაშისტური გერმანიის მიმართ თუ გამოიყენებოდა.

რა აზრის იყო თავად ორატორი საკუთარ გამოსვლაზე? კოლეჯის პრეზიდენტთან გამომშვიდობებისას ჩერჩილმა მას უთხრა: „იმედი მაქვს მე სტარტი მივეცი ფიქრებს, რომელიც ისტორიის მსვლელობაზე იმოქმედებს“.

გავა 40 წელი და აშშ-ის პრეზიდენტი რონალდ რეიგანი დაადასტურებს, რომ გამართლდა ყველა დროის ნომერ პირველი ინგლისელის იმედი: „უინსტონ ჩერჩილის ფულტონის სიტყვიდან დაიბადა არა მხოლოდ თანამედროვე დასავლეთი, არამედ მშვიდობა ჩვენს პლანეტაზე“ – ასეთი იყო, შეიძლება გადაჭარბებულად კატეგორიული, მაგრამ მსოფლიოს კიდევ ერთი პოლიტიკური გრანდის ვერდიქტი.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს „რკინის ფარდის“ გამოღმა ნაწილის შეფასებებიც: იმარჯვა საბჭოთა დაზვერვამ და უკვე 6 მარტს სტალინსა და მოლოტოვს მაგიდაზე ედოთ ფულტონის ტექსტის სრული თარგმანი. სტალინმა არც ამჯერად უღალატა ჩვეულებას - ემოციას არ აჰყვა და სანამ საკუთარ შეფასებებს გაასაჯაროებდა, დასავლეთის რეაგირებას დაელოდა. შემდეგ ჯერ ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსის ევგენი ტარლეს კომენტარი გამოქვეყნდა „იზვესტიაში“ სათაურით „ჩერჩილი იარაღს აყალარუნებს“ და მხოლოდ 14 მარტს უკვე „პრავდაში“დაიბეჭდა სტალინის ფრთხილად დოზირებული ინტერვიუ, სადაც იგი მეტი სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა დასავლელ

„მოკავშირეებს“. ამავე დროს რისი სტალინი იქნებოდა სტალინი, სა-პასუხო მათრახი რომ არ გადაეწნა ჩერჩილისათვის? „უნდა აღინიშ-ნოს, – პასუხობდა იგი ჟურნალისტის შეკითხვას, – რომ ბატონი ჩერ-ჩილი და მისი მეგობრები გასაოცრად გვაგონებენ ჰიტლერსა და მის მეგობრებს. ჰიტლერმა იმით დაიწყო ომის გაჩაღება, რომ რასობრივი თეორია გაახმოვანა. მან განაცხადა, რომ მხოლოდ გერმანულ ენაზე მოლაპარაკენი წარმოადგენენ სრულფასოვან ერებს. ბატონი ჩერჩი-ლიც რასობრივი თეორიით იწყებს ომის გაჩაღების ცდებს, ამტკიცებს რა, რომ მხოლოდ ინგლისურენოვანი ერები არიან სრულყოფილი ერები და მოწოდებულნი, გადაწყვიტონ მთელი მსოფლიოს ბედი“ (115).

„ინგლის-საქსონური რასიზმი“ იქცა საბჭოთა პროპაგანდის მთავარ ლეიტმოტივად 1940-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული 50-იანი წლების დასაწყისამდე. როგორც კი ჩერჩილისათვის ცნობილი გახდა სტალინის კომენტარები, მან სევდანარევი ირონიით დაასკვნა ერთ-ერთ ინტერვიუში: „მორჩა, ამის შემდეგ ერთ მარცვალ ხიზილალასაც კი ვეღარ მივიღებ მოსკოვიდანო“. საქმე ის იყო, რომ ომის წლებში მოსკოვში ვიზიტისას ჩერჩილს კასპიის ხიზილალა მოეწონა და მას შემდეგ სტალინი სისტემატურად უგზავნიდა ძღვენის სახით საქვეყნოდ ცნობილ რუსულ დელიკატესს. ასე რომ, ჩერჩილის აზრით, ავტომატურად შეწყდებოდა მოსკოვური ამანათები, მაგრამ „მწარედ“ შეცდა ამჯერად ჩვეულებრივად გამჭრიახი სერ უინსტონი: როდესაც კრემლშიც ჩააღწია ჩერჩილის „წუხილმა“, სტალინმა ამანათების გაორმაგება ბრძანა. კარგად ვერ იცნობდა კავკასიურ ბუნებაშემორჩენილ მოკავ-შირეს „ბრიტანეთის ლომი“.

ქენანის გრძელი დეპეშა, ჩერჩილის გამოსვლა ფულტონში, სტა-ლინის მიერ იალტასა და პოტსდამში მიღწეულ შეთანხმებათა ეტა-პობრივი იგნორირება დროში დაემთხვა და რიგ შემთხვევაში გადა-ფარა კიდეც თავისი სიმძაფრით ომის შემდგომი ერთ-ერთი ისტორი-ული მნიშვნელობის მოვლენა – ნიუნბერგის სასამართლო პროცესი. კაცობრიობის ისტორიაში გამარჯვებულები პირველად იხილავდნენ

სასამართლოში დამარცხებულთა მიერ სხვადასხვა დროს ჩადენილ უპრეცედენტო მასშტაბების დანაშაულებს.

ჯერ კიდევ 1943 წლის პირველ ნოემბერს, მოკავშირეთა საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის შეხვედრისას, ხელმოწერილი იქნა 18-პუნქტიანი დოკუმენტი – „დეკლარაცია ჰიტლერელების მიერ ჩადენილ მხეცობაზე“. ორ ნოემბერს კი დეკლარაცია უკვე სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის ხელმოწერით გამოქვეყნდა „პრავდაში“ (116). იალტის შეხვედრაზე ჩერჩილმა წამოაყენა წინადადება, რომ „მთავარი სამხედრო დამნაშავენი დაჭერისთანავე დაეხვრიტათ“. სტალინი არ დაეთანხმა და თქვა, რომ ისინი ჯერ უნდა გასამართლებულიყვნენ. ჩერჩილის შეკითხვაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სასამართლო – იურიდიული თუ პოლიტიკური, რუზველტმა განაცხადა, რომ პროცედურა არ უნდა ყოფილიყო „გადაჭარბებულად იურიდიული“ და სასამართლოზე არ უნდა დაეშვათ კორესპონდენტები და ფოტოგრაფები. თავის მხრივ, ჩერჩილი დათანხმდა მოსაზრებას გასამართლებაზე, თუმცა დაამატა, რომ სასამართლო ყოფილიყო „პოლიტიკური და არა იურიდიული აქტი“. მისივე აზრით, ომის დამთავრებამდე სასამართლოს შესახებ არავითარი ცნობა არ უნდა გამოქვეყნებულიყო, რათა მთავარ დამნაშავეებს წინასწარ არ ეძიად შური სამხედრო ტყვეებზე.

1945 წლის აგვისტოში, საგარეო საქმეთა მინისტრების უკვე ლონდონის შეხვედრაზე, სადაც საფრანგეთიც იყო წარმოდგენილი, შემუშავებული და ხელმოწერილი იქნა საბოლოო შეთანხმება საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალზე. ტრიბუნალის წესდება გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა, ხოლო 29 აგვისტოს გამოქვეყნდა 24 მთავარი დამნაშავის – ნაცისტი პოლიტიკოსების, სამხედრო პირებისა და ფაშიზმის იდეოლოგების სია.

პირველად მსოფლიო სასამართლო პრაქტიკაში, ბრალდების ობიექტად ცხადდებოდნენ გარკვეული „ჯგუფები და ორგანიზაციები“. არსებითი ხასიათის სიახლე იყო ისიც, რომ როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარეს, შესაძლებლობა ეძლეოდა ეჭვის ქვეშ დაეყენებინა სასამართლოს კომპეტენტურობა. 1943 წლის მოსკოვის შეხვედრაზევე

იქნა მიღებული გადაწყვეტილება გერმანული მხარის უპირობო დანაშაულზე. უკანასკნელიდან გამომდინარე კი უსაფუძვლოდ ითვლებოდა უდანაშაულობის პრეზუმფციაზე აპელირება. ტერმინი „სამხედრო დანაშაულებები“ ადრე ლეიპციგის პროცესზე ფიგურირებდა ვილჰელმ მეორისა და მისი გენერალიტეტის წინააღმდეგ აღძრულ საქმეში. თუმცა ლეიპციგის პროცესს არ გააჩნდა საერთაშორისო სტატუსი, მაგრამ იურიდიულ სტატუსს ნებისმიერ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი.

როგორც გერმანიაში, ასევე დანარჩენ მსოფლიოში არავის ეპარებოდა ეჭვი იმ ფაქტში, რომ პროცესი ბრალდებულთა დანაშაულის დამტკიცებით დასრულდებოდა. მთავარი იყო დანაშაულის კონკრეტიზირება და კვალიფიკაცია. მთავარ დამნაშავეთა სიაში არ მოხვდნენ ჰიტლერი, გებელსი და ჰიმლერი, რომელთა სიკვდილი დადასტურებული იყო. ასევე დაუსწრებლად იხილებოდა მარტინ ბორმანის საქმე, რომლის სიკვდილი არ იყო დადასტურებული.

პროცესის დაწყებამდე მოკავშირეები ჯენტლმენურად შეთანხმდნენ, რომ პროცესზე მსჯელობის თემად არ იქცეოდა „არასასურველი საკითხები“: ჰიროსიმა და ნაგასაკი, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი, კატინის დახვრეტები, საბჭოთა მოქალაქე ეთნიკურ გერმანელებთან დაკავშირებული ექსცესები და სხვა „პიკანტური“ მომენტები.

ტრიბუნალის წევრები იყვნენ: საბჭოთა მხრიდან – საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე იონა ნიკიტჩენკო და იუსტიციის პოლკოვნიკი ალექსანდრე ვოლჩკოვი. ამერიკის მხრიდან – შეერთებული შტატების ყოფილი გენერალური პროკურორი ფრენსის ბიდლი და ჯონ პარკერი. დიდი ბრიტანეთის მხრიდან – მთავარი მოსამართლე ჯეფრი ლოურენსი და ნორმან ბირკეტი. საფრანგეთის მხრიდან – სისხლის სამართლის პროფესორი ანრი დონედიე დე ვაბრი და რობერ ფალკო. ოთხივე მხარემ პროცესზე მიავლინა მთავარი ბრალმდებლებიც: რომან რუდენკო (მოსკოვიდან), რობერტ ჯექსონი (ვაშინგტონიდან), ჰართლი შოუკროსი (ლონდონიდან) და ფრანსუა დე მენტონი (პარიზიდან).

სასამართლო პროცესის სცენარის ავტორი და მთელი პროცესის წამყვანი ფიგურა იყო ამერიკელი ბრალმდებელი რობერტ ჯექსონი.

ბევრი საინტერესო დეტალია შემონახული სასამართლო დოკუმენტებში, მათ შორის ჯექსონის ბრწყინვალე საბრალმდებლო სიტყვა. აი, მისი ერთი ფრაგმენტი: „საფლავში არ წაუღია ჰიტლერს მთელი პასუხისმგებლობა. ჰიმლერის სუდარაში არ არის შეფუთული მთელი დანაშაული. ეს მიცვალებულები აირჩიეს თავიანთ თანამზრახველებად შეთქმულთა ამ გრანდიოზულ საძმოში ამ ცოცხლებმა და თითოეულმა მათგანმა უნდა აგოს პასუხი ერთად ჩადენილ დანაშაულზე... ესენი ისე დგანან ამ სასამართლოს წინაშე, როგორც სისხლით მოსვრილი გლოსტერი (იგულისხმება რიჩარდ გლოსტერი, ინგლისის მეფე რიჩარდ მესამე – ს.ც.) იდგა მოკლული მეფის გვამის წინ. ის ემუდარებოდა ქვრივს ისე, როგორც ესენი თქვენ გემუდარებიან – „თქვი, რომ მე არ მომიკლავს ესენი“ და დედოფალმა უპასუხა: „მაშინ თქვი, რომ ესენი დახოცილნი არ არიან, მაგრამ ესენი მკვდრები არიან“. თუ თქვენ იტყვით, რომ ეს ადამიანები უდანაშაულონი არიან, ეს იგივეა, რომ თქვათ, არ იყო ომი, არ არიან დახოცილები, არ იყო დანაშაული“ (117).

ნიუნბერგში, დიდი ბრიტანეთის წამომადგენლის ჯეფრი ლოურენსის თავმჯდომარეობით 403 სასამართლო სხდომა ჩატარდა პროცესზე წარმოდგენილ უამრავ მტკიცებულებათა შორის პირველად გაკრთა რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი, რომლის არსებობასაც მანამდე და შემდეგაც, მოსკოვი მრავალი წლის განმავლობაში უარყოფდა. პროცესზე პაქტის არსებობა ბრალდებულ რუდოლფ ჰესის ადვოკატმა ახსენა.

ტრიბუნალმა დამნაშავე ორგანიზაციად სცნო „გესტაპო“, „ეს-ეს“-ი, „ეს-დე“ და ნაცისტური პარტია. ამავე დროს დამნაშავედ არ ცნო ნაცისტური მინისტრთა კაბინეტი, გენერალური შტაბი და ვერმახტის უმაღლესი სარდლობა, რაც შემდეგ გააპროტესტა საბჭოთა მხარემ, ისევე როგორც ფრანც პაპენის, იალმარ შახტისა და ჰანს ფრიჩეს გამართლება. გერმან გერინგმა, რუდოლფ გესმა, იოაჰიმ რიბენტროპმა, ფრიც ზაუკელმა, ალფრედ იოდლმა, ვილჰელმ კეიტელმა, არტურ

ზეის-ინკვარტმა, ვალტერ ფუნკმა, კარლ დენიცმა და კონსტანტინ ნეირატმა შეწყალების თხოვნით მიმართეს მოკავშირეთა კონტროლის კომისიას. მათგან გერმან გერინგმა, ალფრედ იოდლმა და კეიტელმა - ჩამოხრჩობის ნაცვლად დახვრეტა, თუ შეწყალებაზე უარს ეტყოდნენ. ერიხ რედერმა სიკვდილით დასჯა ითხოვა მუდმივი პატიმრობის ნაცვლად. არც ერთი შუამდგომლობა არ იქნა დაკმაყოფილებული. 1953 წელს მიუნჰენის სასამართლომ ალფრედ იოდლი გაამართლა (სიკვდილის შემდეგ), მაგრამ ამერიკელების ზეწოლით, სასამართლოს გადაწყვეტილება ანულირებული იქნა.

1946 წლის 15 აგვისტოს ამერიკის ინფორმაციის სამმართველომ გამოაქვეყნა გერმანიაში ჩატარებული სპეციალური გამოკითხვის შედეგები: გამოკითხულთა 80 პროცენტი ნიურნბერგის პროცესს სამართლიანად მიიჩნევდა, ნახევარს კი მიაჩნდა, რომ ბრალდებულები სიკვდილით დასჯას იმსახურებდნენ. 16 ოქტომბერს ნიურნბერგის ციხის სპორტულ დარბაზში სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. ჩამოხრჩობას გადაურჩა გერინგი, რომელსაც ცოლმა გამოსამშვიდობებელ შეხვედრაზე კოცნისას საწამლავის გადაცემა მოახერხა. მოწმეთა ჩვენების თანახმად, სახრჩობილესაკენ მიმავალთა აბსოლუტური უმრავლესობა (გარდა რიბენტროპისა), სულიერ სიმტკიცეს ბოლომდე ინარჩუნებდა. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს ამერიკელმა პროფესიონალმა ჯალათმა ჯონ ვუდსმა და სერჟანტმა (მოხალისემ) ჯოზეფ მალტამ. „ეს-ეს“-ელთა უმრავლესობამ შესძლო თავი აერიდებინა სასამართლოსათვის (მაგალითად, ვალტერ შელენბერგმა), ან ხანმოკლე პატიმრობის შემდეგ იქნენ შეწყალებულნი. სამუდამო პატიმრობა მისჯილთაგან, ალბერტ შპეერს და ბალდურ შირახს 1966 წელს ამნისტია შეეხოთ. შპანდაუს ციხეში მხოლოდ რუდოლფ ჰესი დარჩა, რომელიც 1987 წლის 17 აგვისტოს ჩამომხვრჩვალი იპოვეს ციხის ბაღის პავილიონში. დღემდე უპასუხოდაა დარჩენილი კითხვა, თუ როგორ შესძლო დაუძლურებულმა და ავადმყოფმა ბერიკაცმა, დამოუკიდებლივ გადაადგილებაც კი რომ უჭირდა, თავის ჩამოხრჩობის არც თუ იოლი პროცედურის განხორციელება? სამაგიეროდ, უამრავი ვერსიები არსებობს რუდოლფ ჰესის სიკვდილთან დაკავში-

რებით ინგლისელების დაინტერესებაზე: 1980-იანი წლების დასასრულისათვის გერმანიაშიც და მის გარეთაც (გარდა საბჭოთა კავშირისა) უკვე მომწიფებული იყო აზრი მის შეწყალებაზე. მიუხედავად ფიზიკური სისუსტისა, მნახველებსაც და მცველებსაც აოცებდა საღი გონებით, სულის სიმტკიცითა და ფენომენალური მეხსიერებით განთქმული შპანდაუს უკანასკნელი ტუსაღი. მეორე მხრივ, ბურუსით იყო მოსილი და ჰესის „უდროო“ სიკვდილის გამო ასევე დარჩა მისი ინგლისში გაქცევის (თუ ზესაიდუმლო მისიით გაფრენის) მოტივაცია და დეტალები. დასავლელ ექსპერტთა და ჟურნალისტთა ნაწილის აზრით, ლონდონს სულაც არ აწყობდა თავისუფალი ჰესის ალაპარაკება.

უკვე განთავისუფლებული ალბერტ შპეერი მოგონებებში წერდა, რომ მოსამართლის ერთ-ერთ შეკითხვაზე, მან ასეთი პასუხი გასცა: „ჰიტლერს რომ მეგობრები ჰყოლოდა, მე მისი მეგობარი ვიქნებოდი. მე ისევე ვარ მისგან დავალებული ჩემი ახალგაზრდობის დიდებითა და შთაგონებით, როგორც გვიანდელი საშინელებითა და დანაშაულით“. პროცესთან დაკავშირებით კი იგი ერთ ფოტოდოკუმენტს იგონებდა (მტკიცებულებად წარდგენილს), რომელზეც გამოსახული იყო გაზის კამერის შესასვლელში, სიკვდილისაკენ მიმავალი ებრაული ოჯახი – ცოლ-ქმარი ბავშვებით: „სასჯელმა ბოლო მოულო ჩემს მოქალაქეობრივ არსებობას, ამ ფოტომ კი საფუძველი გამოაცალა ჩემს ცხოვრებას. ის განაჩენზე უფრო ხანგრძლივ ვადიანი აღმოჩნდა“ (118).

როდესაც 1945 წლის 18 ოქტომბერს თითოეულ ბრალდებულს საბრალდებო დასკვნა გადაეცა, მათვე სთხოვეს გაცნობის შემდეგ იქვე დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი ბრალდებაზე. აი, ზოგიერთი მათგანი: გერინგი – „გამარჯვებულები მუდამ მოსამართლეები არიან, დამარცხებულები კი ბრალდებულები“; კეიტელი – „ჯარისკაცისათვის ბრძანება მუდამ ბრძანებაა“; შტრეიხერი – „ნამდვილი პროცესი მსოფლიო ებრაელების ტრიუმფია“; შირახი – „მთელი უბედურება რასობრივი პოლიტიკიდანაა“; ნეირატი – „მე მუდამ წინააღმდეგი ვიყავი ისეთი ბრალდებისა, რომელიც ბრალდებულს დაცვის შესაძლებლობა არ აქვს“; იოდლი – „სინანულს იწვევს სამარ-

თლიანი ბრალდებებისა და პოლიტიკური პროპაგანდის კოქტეილი“; ზეის-ინკვარტი – „მინდა იმედი მქონდეს, რომ ეს მეორე მსოფლიო ომის ტრაგედიის უკანასკნელი აქტია“; ფრიჩე – „ეს ყველა დროის საშინელი ბრალდებაა. მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს უფრო საშინელი: ბრალდება, რომელსაც ჩვენ გერმანელი ხალხი წამოგვიყენებს მისი იდეალების ბოროტად გამოყენებისათვის“.



გერმანელი სამხედრო დამნაშავეები ნიურნბერგის პროცესზე

ევროპასა და ამერიკაში დღემდე არ დასრულებულა მეცნიერ-სპეციალისტთა კამათი ნიურნბერგის პროცესის ლეგიტიმურობასა და სამართლიანობაზე. ამ მხრივ, როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანელები სხვებზე მეტად აქტიურობენ. პრეტენზიები არსებობს როგორც წმინდა იურიდიული, ასევე მორალური ხასიათისა. კერძოდ, ჰქონდა კი მორალური უფლება ზოგიერთ ბრალმდებელს ბრალი წაეყენებინა იმ დანაშაულებებში, თვითონ რომ ჰქონდათ ორივე ხელი გასვრილი საკუთარ ქვეყანაში? იგივე რომან რუდენკო ხომ 1930-იანი წლების მასობრივი პოლიტიკური რეპრესიების ინიციატორი თუ არა, აქტიური მონაწილე და განმახორციელებელი იყო უკრაინაში. ასევე ასობით უდანაშაულო ადამიანისათვის ჰქონდა სასიკვდილო განაჩენი გამოტანილი საბჭოთა მოსამართლე იონ ნიკიტჩენკოს - სტალინი ხომ დამწყებ და „გამოუცდელ“ პროკურორებსა და მოსამართლეებს არ ანდობდა ისტორიულ პროცესში მონაწილეობას. გარდა ამისა, ამერიკელი მოსამართლეების სინდისზე იყო ამერიკელი იაპონელებისათვის საკონცენტრაციო ბანაკების ორგანიზაცია მთელი ამერიკის მასშტაბით.

იურიდიული თვალსაზრისით, ძნელი ასახსნელი იყო შემდეგი გარემოებებიც: სასამართლო წარმოება მიმდინარეობდა მოკავშირეთა

ანუ დაზარალებული მხარის სახელით, რაც არ შეესაბამებოდა მრავალსაუკუნოვან იურიდიულ პრაქტიკას. უხეშად იყო დარღვეული გამოტანილი ვერდიქტის კანონიერებისათვის ისეთი აუცილებელი პირობა, როგორიცაა მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და ნეიტრალურობა. პროცესის ფორმულირება შეიცავდა სასამართლო წარმოების ტრადიციისათვის ორ უცხო პუნქტს: „სამხედრო თავდასხმისათვის სამზადისს“ და „მშვიდობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს“. ამგვარად, იგნორირებული იყო პრინციპი, რომლის მიხედვითაც არავის არ შეიძლება წაეყენოს ბრალდება დანაშაულის შემადგენლის ადრე ფორმულირებისა და შესაძლებელი სასჯელის ზომის განსაზღვრის გარეშე. გერმანელი იურისტების აზრით, განსაკუთრებით სადაო იყო „ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის“ პუნქტი, რომელიც ერთნაირად შეიძლებოდა გამოყენებულიყო როგორც ბრალდებულების (რომელთა ბრძანებით იბომბებოდა კოვენტრი, როტერდამი და სხვა ქალაქები), ასევე ბრალმდებლების (რომლებმაც დაბომბეს დრეზდენი, ჰიროსიმა, ნაგასაკი) წინააღმდეგ.

თავისი სინანული ტრიბუნალის მიერ ჰუმანიზმის არასაკმარის დოზებში გამოვლენის გამო ღიად გამოთქვა ეკლესიამაც: ფულდეში მოწვეულ კათოლიკე ღვთისმსახურთა კონფერენციაზე კი იქნა აღიარებული გასამართლებისა და გაკიცხვის საჭიროება, მაგრამ ისიც აღინიშნა, რომ პროცესზე გამოყენებულ „სამართლის განსაკუთრებულ ფორმას“ დენაციფიკაციის პროცესში გამოვლენილი ბევრი უსამართლობა მოჰყვა, რაც უარყოფითად აისახა ერის მორალზე.

ნიურნბერგის პროცესის ოფიციალურ დოკუმენტებში არ ასახულა რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტთან დაკავშირებული ერთი ბურუსით მოსილი ინციდენტი; თავდაპირველად საბჭოთა მხრიდან მთავარი ბრალმდებელი უნდა ყოფილიყო გენერალური პროკურორის ახლად დანიშნული 38 წლის მოადგილე ნიკოლაი ზორია. 1946 წლის თებერვალს იგი ფელდმარშალ ფრიდრიხ პაულიუსის დაკითხვით იყო დაკავებული, რაზეც ყველა გაზეთი წერდა. როგორც კი ზორიამ განაცხადა, რომ წარდგენილი იქნებოდა მასალები და იმ ადამიანთა ჩვენებები, ვინც სანდო ინფორმაციას ფლობდა საბჭოთა კავშირზე

თავდასხმის სამზადისზე, უცებ გამოირთო საბჭოთა თარჯიმნების კაბინები, ხოლო პაულიუსის დაკითხვა კი, სტალინის ბრძანებით, შემდეგ რუდენკომ გააგრძელა. ზორიამ საგანგებო ბრძანება მიიღო არავითარ შემთხვევაში არ დაეშვა რიბენტროპის მიერ პაქტზე ჩვენების მიცემა. 1946 წლის 22 მაისს კი რიბენტროპმა და მისმა მოადგილე ვაიცზეკერმა ფიცის ქვეშ მისცეს ჩვენება პაქტის არსებობასა და მის შინაარსზე. მეორე დღეს, თავის საწოლში ნიკოლაი ზორია მკვდარი ნახეს. სასთუმლის გვერდით აკურატულად იდო პისტოლეტი. საბჭოთა რადიოთი და პრესით გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამი იყო, რომ ზორია მის მიერვე შემთხვევითმა გასროლამ იმსხვერპლა. ნათესავებმა თვითმკვლელობის ცნობა მიიღეს.

2010 წელს შენობაში, სადაც ნიურნბერგის პროცესი მიმდინარეობდა, მუზეუმი გაიხსნა, რომლის შექმნაც გერმანიის მთავრობას 4 მილიონი ევრო დაუჯდა. პროცესის შემდეგ არაერთხელ დადგა დღის წესრიგში მუდმივ მოქმედი სისხლის სამართლის შექმნის საკითხი, რომლის კომპეტენციაშიც შევიდოდა სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებები. ასეთმა სასამართლომ – საერთაშორისო ტრიბუნალმა ფუნქციონირება 2002 წელს დაიწყო.

შეიძლება ითქვას, რომ ნიურნბერგის პროცესი მოკავშირეთა უკანასკნელი ფართო რეზონანსული ერთობლივი პროექტი იყო 1970-იან წლებამდე, სანამ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ბირთვული შეიარაღების შეზღუდვაზე რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე მოლაპარაკებათა ერა არ დაიწყო. იმ ფაქტმა, რომ ჩერჩილმა სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები აირჩია თავისი საპროგრამო გამოსვლისათვის და არა ევროპა, რომლის უსაფრთხოებასაც მიუძღვნა გამოსვლის დიდი ნაწილი, კიდევ ერთი დადასტურება იყო იმ რეალობისა, რომ ვაშინგტონმა მთელი მსოფლიოს დასანახად და გასაგონად, ნებაყოფლობით იკისრა თავისუფალი სამყაროს ლიდერისა და მცველის გლობალური როლი. ამის შემდეგ იმანენტურად დადგა დღის წესრიგში, ნაკისრი პასუხისმგებლობისა და ვალდებულების ადეკვატური დიპლომატიური კურსის პრობლემა. აღნიშნული მიმართულებით გაკეთებულ პირველ სერიოზულ განაცხადად იქცა

1947 წლის 12 მარტის ტრუმენის გამოსვლა სენატისა და წარმომადგენელთ პალატის გაერთიანებულ სხდომაზე. გამოსვლის დასაწყისში ტრუმენმა მოკლედ, მაგრამ არსებითად გააანალიზა ევროპაში შექმნილი სიტუაცია, სადაც სტალინი მიზანდასახულად ცდილობდა საკუთარი გავლენის სფეროს გაფართოებას. გარდა საბერძნეთის სამოქალაქო ომისა, სადაც პროდასავლური ხელისუფლება აშკარად ვეღარ უმკლავდებოდა პრო კომუნისტურ პარტიზანებს, რეალური საფრთხის წინაშე იდგა თურქეთიც. რუზველტის კურსის თანახმად, დიდ ბრიტანეთს ევალებოდა ბალკანეთისა და სრუტეების დაცვა კომუნისტური საფრთხისაგან, რასაც ჩერჩილი რის ვაი-ვაგლახით, მაგრამ ასე თუ ისე მაინც ახერხებდა. საკუთარი მოსახლეობის წინაშე სოციალური ვალდებულებებით გადატვირთულ ლეიბორისტთა ბიუჯეტს ნამდვილად აღარ შეეძლო დამატებითი ტვირთის ზიდვა, რაც დაუფარად აცნობა კიდეც ეტლიმ ტრუმენს. ბრიტანელი კოლეგისაგან განსხვავებით, პრეზიდენტისათვის ქვეყნის ბიუჯეტის შესაძლებლობები პრობლემას არ წარმოადგენდა, ამერიკის პრეზიდენტების ქრონიკული სატკივარი ამ ფულის ხარჯვის ნებართვა იყო. ტრუმენმა იცოდა, რომ ენთუზიაზმით არ შეხვდებოდა მისდამი მტრულად განწყობილი სენატი უცხოეთში ახალ ვალდებულებებზე ადმინისტრაციის იდეას. მხატვრული ნაწარმოების სტილში აღწერს ჰენრი კისინჯერი ადმინისტრაციისა და კონგრესის ლიდერთა, შეიძლება ითქვას, ისტორიულ შეხვედრას ოვალურ კაბინეტში 1947 წლის 27 თებერვალს (119): კანონმდებელთა დელეგაციას ცნობილი სტაჟიანი რესპუბლიკელი იზოლაციონისტი ვანდერბერგი ხელმძღვანელობდა, რომელიც ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში, გარკვეული წარმატებით ედგა კრიჭაში რუზველტს. არც ამჯერად იყო იოლი საქმე ტრადიციულად იზოლაციონისტურად განწყობილი რესპუბლიკელების დაყოლიება ბალკანეთში ინგლისის ვალდებულებების „გადმობარებაზე“, მით უმეტეს, როდესაც ისინი აკონტროლებდნენ კონგრესის ორივე პალატას. კისინჯერის ვერსიით, რომ არა სახელმწიფო მდივნის მოადგილისა და მომავალი სახელმწიფო მდივნის დინ აჩესონის ბრწყინვალე გამოსვლა, ვერ მოხერხდებოდა რესპუბლიკელების თანხმობის მიღე-

ბა თურქეთისა და საბერძნეთისათვის ფართო მასშტაბიან დახმარებაზე, რამაც შემდგომში გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოეთის ზეწოლის მოგერიებაში.

ადმინისტრაციასა და კონგრესს შორის ოვალურ კაბინეტში მიღწეული შეთანხმების საერთაშორისო მასშტაბით გახმოვანებად იქცა კონგრესში პრეზიდენტის ზემოთ ხსენებული გამოსვლა. 27 თებერვლიდან 12 მარტამდე საკმარისი დრო ჰქონდათ პრეზიდენტის „სპიჩრეიტერებს“, რათა პოლიტიკური დოქტრინის ფორმა მიეცათ ტრუმენის სიტყვისათვის და ასე შესულიყო იგი ისტორიაში. უკიდურესად გაღიზიანებული და მწვავე საბჭოთა რეაგირება იქცა იმის უტყუარ მტკიცებულებად, რომ ტრუმენმა სამიზნე ზუსტად შეარჩია. არც ცრუობდა და არც ცდებოდა პრეზიდენტი, კონგრესის ტრიბუნიდან საბერძნეთში შექმნილ ვითარებას რომ ახასიათებდა: იქ მართლაც სახელისუფლებო ქაოსი იყო, არმიას არც იარაღი ჰყოფნიდა, არც ეკიპირება და არც საბრძოლო სულისკვეთება. პრაქტიკულად უკვე ზეიმობდნენ გამარჯვებას ადგილობრივი კომუნისტები და მათი უცხოელი სპონსორები. ტრუმენს კონგრესისათვის არ დაუმალავს, რომ იგი ამერიკიდან ძალზე დაშორებული ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის უფლების ლეგალიზაციას ითხოვდა და იქვე დაასაბუთა გლობალური საფრთხე, რაც კანონმდებელთა უარს შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ადმინისტრაცია საბერძნეთისა და თურქეთის დასახმარებლად 400 მლნ დოლარს ითხოვდა უახლოეს 15 თვეში. ეს თანხა იმ 341 მილიარდის 0,1 პროცენტი იყო, მეორე მსოფლიო ომში რომ დახარჯა ამერიკამ. მიუხედავად კონგრესის ხელმძღვანელობასთან ადრე მიღწეული შეთანხმებისა, მთელ ორ თვეს გაგრძელდა დებატები და დოქტრინა ძალაში მხოლოდ 1947 წლის 22 მაისს შევიდა.

„ტრუმენის დოქტრინის“ ისტორიული მნიშვნელობა იმაშიც გამოიხატა, რომ იმ პერიოდში დემოკრატიულ სამყაროს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ბოლომდე გათვითცნობიერებული საერთაშორისო კომუნისტური ექსპანსიის საფრთხე. კომუნისტებს ფაშიზმთან ბრძოლაში დაგროვილი პოლიტიკური კაპიტალი ჯერ განიავებული არ ჰქონდათ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ევროპისა და ამერიკის ინტელექ-

ტუალურ-ლიბერალური წრეების წარმომადგენლები, ანაზღაურების გარეშე, „საზოგადოებრივ საწყისებზე“ ხდებოდნენ ლავრენტი ბერიას აგენტები. ვერც გაეროს და ვერც ფართო საზოგადოების მხარდაჭერას ვერ მოიპოვებდა „ტრუმენის დოქტრინით“ გათვალისწინებული „შეკავების“ პოლიტიკური კურსი. საფრთხე კი რეალური, ხოლო მისი შეკავება აუცილებელი იყო.

მოსკოვს „სამართლიანად“ გაუჩნდა წყენისა და გაღიზიანების საბაბიცა და მიზეზიც. არც ის დასკვნა იყო მცდარი, რომ ამერიკამ გადაწყვიტა საიმედო ბარიერი აღემართა კომუნისტური ექსპანსიის „საგზაო რუკაზე“. კრემლი თაღლითობდა, როცა გამწარებული გაჰკიოდა – ვაშინგტონს სურს მთელი მსოფლიო თავის კოლონიად გადააქციოს და ამას ევროპიდან იწყებსო. სინამდვილეში უმარტივესად პრაგმატული და რეალისტური იყო ტრუმენის სტრატეგიული გათვლა: მრავალწლიანი გამოცდილება ხომ იმაზე მიუთითებდა, რომ სიღატაკე, გაუნათლებლობა, სუსტი ეკონომიკა და ქაოსი ყველგან და ყოველთვის ჰქმნიდა ნოყიერ ნიადაგს სოციალური რევოლუციების, პოლიტიკური დიქტატურისა და ტოტალიტარული რეჟიმებისათვის. სწორედ იმის გამო, რომ ახლო მომავალში ომით გაჩანაგებულ რეგიონებში ათობით ახალ-ახალი საბერძნეთები არ გაჩენილიყო, პოლიტიკურადაც და მატერიალურადაც გაცილებით ხელსაყრელი იქნებოდა დასაწყისისათვის მძლავრი ერთჯერადი დახმარებით დაემარცხებინათ კომუნისტური ექსპანსიონიზმის „ავანგარდი“ – სიღატაკე და სასოწარკვეთილება.

რიშელიესი და ბისმარკის გენია არ იყო საჭირო, რათა ვაშინგტონში მიმხვდარიყვნენ, რომ თუ არა სასწრაფო დახმარება, საბერძნეთისა და თურქეთის მმართველი წრეები ვერ შეძლებდნენ საკუთარ კომუნისტებთან გამკლავებას, რომელთაც უკვე ძლიერი ზურგი გააჩნდად კომუნისტური ბულგარეთის, იუგოსლავიისა და ალბანეთის სახით. თუკი ათენსა და ანკარაში კომუნისტები მოვიდოდნენ ხელისუფლების სათავეში, სტალინი მხოლოდ სრუტეებზე კონტროლით აღარ დაკმაყოფილდებოდა. ამიტომ „ტრუმენის დოქტრინის“ გენერალური ამოცანა იყო საყოველთაო თავისუფლებისა და დასაწყისისათვის მი-

ნიმალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა, რათა ხალხს თავისუფალი არჩევანის საშუალება მისცემოდა. „ტრუმენის დოქტრინა“ სერიოზულ დახმარებას სწორედ თავისუფლებისათვის მებრძოლებს ჰპირდებოდა: „ჩვენ წარსულშიც ვგმობდით და ახლაც ვგმობთ ნებისმიერ ექსტრემიზმს სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ და ყველას მეტი შემწყნარებლობისაკენ მოვუწოდებთ“ – აცხადებდა ტრუმენი. კრემლის მაღალჭერიან კაბინეტებში ხვდებოდნენ, თუ ვის „გმობდნენ“ ამერიკელები წარსულშიც და აწმყოშიც – ნაცისტებსა და კომუნისტებს. როდესაც სენატში გამოსვლიდან 10 დღის შემდეგ ტრუმენმა ე.წ. „დამატებითი ბრძანებულება“ გამოსცა ფედერალურ მოსამსახურეთა ლოიალობაზე შემოწმების შესახებ, რის შედეგადაც 4 წელიწადში 3 მილიონამდე სახელმწიფო მოხელემ გაიარა შემოწმება, არც ამერიკაში და არც მის მიღმა ბევრს არ მოსწონებია შპიონაჟთან ბრძოლის ასეთი რადიკალური მეთოდი. საკუთარი ისტორიის „შავ ლაქად“ მიიჩნევს დღემდე ამერიკელთა უმრავლესობა „მაკარტიზმს“ (ასე ეწოდა ანტიკომუნისტურ რეპრესიებს ამერიკელი სენატორის ჯოზეფ მაკარტის საჯარო გამოსვლის შემდეგ). ისე კი, შესაძლოა ტრუმენის არგუმენტებიც დამაჯერებელი ყოფილიყო ბევრისათვის, მას რომ „იმ ქვეყნიდან“ შესძლებოდა ხმის მოწვდენა... სიცოცხლეში კი მხოლოდ ის მოასწრო, რომ „ლოიალობის შესწავლის“ მასშტაბებით შეშფოთებულ პირველ ლედის პირობა მისცა, რომ „ამერიკაში გესტაპოს შექმნას არ დაუშვებდა“, რაც შეასრულა კიდეც.

სპეციალიტთა უმრავლესობის აზრით, სხვა მომენტებთან ერთად, საბერძნეთის სამოქალაქო ომმაც შეასრულა მნიშვნელოვანი როლი როგორც „ცივი ომის“ მაპროვოცირებელმა. შეიძლება ამიტომაც უკავია მას ასეთი უმნიშვნელო ადგილი საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. უდავოა, რომ სტალინის გეგმებში განსაკუთრებული საპატიო ადგილი თურქეთსა და ირანს ეკავა, მაგრამ საბერძნეთის „გაწითლების“ პერსპექტივა ერთნაირად იყო მიმზიდველ-მაცდუნებელიცა და სარისკო-ავანტიურისტულიც. ამიტომ მოქმედებდა ამ „ფრონტზე“ მისთვისაც კი გადაჭარბებული სიფრთხილით სტალინი. იგი სამართლიანად მიიჩნევდა საბერძნეთს ინგლისის გავლენის სფეროდ და

ამიტომ არავითარ სამხედრო ინტერესს არ ავლენდა ამ მიმართულებით ომის დასკვნით ეტაპზეც კი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაუთვალისწინებელ წინააღმდეგობებს წააწყდა თურქეთსა და ირანში, თანაც ტრუმენმაც ბრჭყალები გამოაჩინა, სტალინის დიპლომატიურ გათვლებში საბერძნეთის საკითხმა სერიოზული ევოლუცია განიცადა. ღია სამხედრო ჩარევა შეუძლებელი იყო და მოსკოვმაც კურსი კომუნისტური იატაკქვეშეთის აქტიურ დახმარებაზე აიღო. ტაქტიკა წარმატებით იყო აპრობირებული სხვა რეგიონებში: პარტიზანები ძნელად მისადგომ ადგილებში ქმნიდნენ „განთავისუფლებულ ზონებს" და გარედან მიღებული მასიური დახმარებით ფართო ფრონტს ხსნიდნენ ცენტრალური ხელისუფლების დასამხობად. ბუნებრივი იყო, რომ პირველი „განთავისუფლებული ზონები" საბერძნეთის ჩრდილოეთში შეიქმნა. ბერძენი კომუნისტები ხომ ძირითად სამხედრო დახმარებას იუგოსლავიიდან ღებულობდნენ.

რაც უფრო კრიტიკული ხდებოდა სიტუაცია საბერძნეთში, მით უფრო იზრდებოდა ლონდონისა და ვაშინგტონის შეშფოთება. პენტაგონი განუწყვეტლივ „ბომბავდა" თეთრ სახლს ანალიტიკურ-ოპერატიული მოხსენებითი ბარათებით, სადაც გადაჭარბების გარეშე იყო აღწერილი საბერძნეთში პროსაბჭოური ძალების სავარაუდო გამარჯვების შედეგები: აღმოსავლეთ სმელთაშუაზღვისპირეთში საბჭოთა კავშირის დომინირება, თურქეთის იზოლირება და კომუნისტური ზეწოლის გაძლიერება ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებზე.

1946 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, ვაშინგტონსა და ლონდონში საბერძნეთის მთავრობისათვის დახმარების საკითხებზე რამდენიმე შეხვედრა გაიმართა. მიღწეული იქნა შეთანხმებაც: ინგლისელები ათენს სამხედრო დახმარებას აღმოუჩენდნენ, ამერიკელები კი ეკონომიკურს, რომელიც სამხედროზე უფრო ძვირი ჯდებოდა. საბჭოთა პროპაგანდამ არ დააყოვნა და ინგლის-ამერიკის დახმარება „საბერძნეთის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად" შეაფასა, რაც იუგოსლავიის, ალბანეთისა და ბულგარეთის სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების და საბოლოო ჯამში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყო მიმართული. ერთდროულად მოსკოვი არა მხოლოდ თავის როლს,

არამედ ხსენებულ სატელიტთა როლსაც კი კატეგორიულად უარყოფდა საბერძნეთის მოვლენებში.

იმავე პერიოდში გადაწყვიტა სტალინმა პირველი ნაბიჯი გადაედგა ჯერ კიდევ 1941 წელს ენტონი იდენისათვის შეთავაზებული დიპლომატიური პროექტის – „ბალკანური ფედერაციის“ განსახორციელებლად: 1947 წლის აგვისტოში იუგოსლავია და ბულგარეთი მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას აფორმებენ. მკვეთრი იყო ლონდონისა და ვაშინგტონის რეაგირება: ჯერ ერთი, ბულგარეთს არ ჰქონდა ასეთი ხელშეკრულების დადების უფლება, სანამ თვითონ არ გააფორმებდა სამშვიდობო ხელშკრულებას ანტიჰიტლერული კოალიციის წევრებთან. გარდა ამისა, დასავლეთში შიშობდნენ, რომ ასეთ ფედერაციას შეიძლებოდა ტერიტორიული პრეტენზიები წაეყენებინა საბერძნეთისათვის (კონკრეტულად ეგეოსის მაკედონიისათვის). ეჭვს არავისში იწვევდა მოსკოვის როლი ხსენებულ ხელშეკრულებაში, მაგრამ, როგორც კი მოკავშირეთა პრინციპული პოზიციის პირისპირ აღმოჩნდა, სტალინმა ამჯერადაც უკან დახევა ამჯობინა და საჯაროდ დაგმო „მისთვისაც მიუღებელი“ დიპლომატიური ინიციატივა. თანაც დაუმატა: ასეთ ხელშეკრულებას ბულგარეთისა და იუგოსლავიის წინააღმდეგ გამოიყენებენ ამერიკა და ინგლისიო.

სიტუაცია კი კიდევ უფრო გამძაფრდა 1947 წლის სექტემბერში, როდესაც იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩატარდა საბერძნეთის კომპარტიის ცკ-ს პლენუმი, სადაც მოწონებული იქნა „თავისუფალი საბერძნეთის“ შექმნის იდეა დედაქალაქ სალონიკით. პლენუმმა გადაწყვეტილება მიიღო სამჯერ გაზრდილიყო საბერძნეთის „დემოკრატიული არმია“, რომელსაც შტურმით უნდა აეღო მომავალი დედაქალაქი სალონიკი. ამას მოჰყვებოდა „დამოუკიდებელი საბერძნეთის“ ცნობა თუ საბჭოთა კავშირის მიერ არა, იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის მიერ.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთელი რიგი საარქივო მასალები გახდა ხელმისაწვდომი რუსი მკვლევარებისათვის, უკანასკნელნიც კი გააოცა საბეძნეთის მოვლენებთან დაკავ-

შირებული დოკუმენტების სიმწირემ, რაც მხოლოდ პრობლემის გასაიდუმლოების ხარისხზე მიუთითებდა. მკვლევართა განკარგულებაში აღმოჩნდა მხოლოდ ანდრეი ჟდანოვის საუბრის ჩანაწერი საბერძნეთის კომპარტიის ლიდერ ნიკოს ზახარიადისთან და სტალინის რამდენიმე წერილი მოლოტოვს: 1947 წლის სექტემბერში დასასვენებლად მყოფი სტალინი მოლოტოვს ავალებდა სასწრაფოდ დაეკმაყოფილებინა ზახარიადის ყველა მოთხოვნა. 23 სექტემბერს მოლოტოვი ბელადს უპასუხებდა, რომ „ზახარიადის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, გარდა ორი პოზიციისა", კერძოდ კი – ბერძნებს 60 სამთო ქვემეხი ესაჭიროებოდათ, რაც თურმე საბჭოთა არსენალებში არ მოიძებნა (!) და საბჭოური წარმოების იარაღის სანაცვლოდ, გერმანული წარმოების ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები გაიგზავნა, რაზეც ბერძნები თანახმანი იყვნენ. ასევე შეუძლებელი აღმოჩნდა სამხედრო ფორმის გაგზავნა, ვინაიდან მთელი მსოფლიო იცნობდა წითელ არმიელთა ფორმას. ბერძენ კომუნისტთა ლიდერს 100 ათასი დოლარიც გადაეგზავნა.

1947 წლის 23 დეკემბერს ბერძენმა კომუნისტებმა უკვე ოფიციალურად გამოაცხადეს საბერძნეთის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნა იუგოსლავიის ტერიტორიაზე და აქედანვე მიულოცეს ბერძენ ხალხს ახალი წლის დადგომა. რამდენიმე დღით ადრე კი საბჭოთა კავშირმა ბალკანეთის საქმეებში თავისი „ჩაურევლობის" საილუსტრაციოდ ჯარი გამოიყვანა ბულგარეთიდან. ლონდონსა და ვაშინგტონში სათანადოდ შეაფასეს ორივე ფაქტი და სათანადო დასკვნაც გამოიტანეს; ჰარი ტრუმენი აღარ გამორიცხავდა იუგოსლავიის სამხედრო თავდასხმას საბერძნეთზე საბჭოთა კავშირის დახმარებით და ვაშინგტონმა საჯაროდ გააფრთხილა ნებისმიერი პოტენციური აგრესორი, რომ მოვლენათა ასეთ განვითარებას დასავლეთი გაეროს წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ აგრესიის აქტად ჩათვლიდა. თეთრი სახლი არ გამორიცხავდა, რომ თავადაც ჩაერეოდა კონფლიქტში მისი „ინტერნაციონალიზაციის" შემთხვევაში. ეს უკვე აღარ შედიოდა სტალინის გეგმებში და ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ კიდევ ერთხელ გადაწყვიტა უკან დახევა: 1948

წლის თებერვალში იუგოსლავიისა და ბულგარეთის ლიდერებთან შეხვედრისას, სტალინმა მათ პირდაპირ დაუსვა კითხვა „გჯერათ საბერძნეთის აჯანყების გამარჯვებისა?“. სანამ შეცბუნებული უმცროსი პარტნიორები რთულ პასუხზე ფიქრობდნენ, თვითონ გამოიტანა განაჩენი: „ბერძნებს წარმატების არავითარი შანსი არა აქვთო“ და იქვე დასძინა, რომ „მსოფლიოს უძლიერესი ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატები არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა თავისი სატრანსპორტო არტერიების გარღვევას ხმელთაშუა ზღვაზე, ჩვენ კი ფლოტი არ გაგვაჩნიაო“. ამიტომ საჭირო იყო რაც შეიძლება სწრაფად ჩამცხრალიყო აჯანყება. დასაშვებია, რომ სტალინი არაოფიციალურ ინფორმაციასაც ფლობდა ვაშინგტონის მუქარის სერიოზულ ხასიათზე. ნებისმიერ შემთხვევაში ფაქტი ის იყო, რომ 1948 წლის ბოლოს ბერძენმა აჯანყებულებმა ოფიციალური განცხადება გააკეთეს შეიარაღებული ბრძოლის შეწყვეტაზე. ჩრდილოეთიდან ახალი აგრესიის მომლოდინე საბერძნეთის მთავრობამ საკუთარ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების შექმნის თხოვნით მიმართა ინგლისსა და ამერიკას. „ბერძნული პროექტის“ საბოლოო შედეგი სტალინის გეგმების უკუპროპორციული აღმოჩნდა: ჯერ ერთი, საგრძნობლად გაიზარდა ამერიკელებისა და ინგლისელების გავლენა მთელ რეგიონში და მეორეც – ტრუმენის ადმინისტრაცია კიდევ ერთხელ დარწმუნდა, თუ რა მიმზიდველი იყო ქაოსი და სოციალური სიდუხჭირე კომუნისტური იდეოლოგიის და ექსპანსიისათვის. ის, რაც აქამდე თეორიული დასკვნების საგანს წარმოადგენდა, რეალურ საფრთხედ იქცა საბერძნეთში. კომუნისტური ექსპანსიის მთავარ პროფილაქტიკურ საშუალებად ერთხმად იქნა აღიარებული ომით დანგრეული ეკონომიკების უმოკლეს ვადაში აღდგენა და გაძლიერება.

როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ მარშალმა 1947 წლის 5 ივნისს, ჰარვარდის უნივერსიტეტში გამოსვლისას პირველად გააჟღერა ვაშინგტონის გადაწყვეტილება მხოლოდ საკუთარი რესურსებით დაეყენებინა ფეხზე ევროპისა და, საერთოდ, ომის შედეგად განადგურებული ეკონომიკა, ამერიკაში ცოტას თუ ჰქონდა წარმოდგენა, რა სიმძიმის ტვირთის წამოკიდებას

აპირებდა მსოფლიოს უმდიდრესი, მაგრამ მაინც ერთი ქვეყანა. ადამიანი, რომლის სახელითაც შევიდა ისტორიაში ეს უპრეცედენტოდ ეფექტური და მართლაც „ეპოქალური“ მნიშვნელობის გეგმა-პროექტი, არც დანათლებითა და არც მოწოდებით არც პოლიტიკოსი იყო და არც ეკონომისტი. იგი სამხედრო იყო განათლებითაც და მოწოდებითაც და როგორც ნიჭიერი მხედართმთავარი, ისე გაიცნო ამერიკამ, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია სწორედ მშვიდობის გამტკიცებისათვის გამხდარიყო ნობელის პრემიის ლაურეატი. შეიძლება ისიც სიმბოლური იყო, რომ სწორედ 1939 წლის პირველ სექტემბერს დაინიშნა მარშალი ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების უფროსად. თავად მუდამ პედანტურად დისციპლინირებულმა, მუდამ გაწონასწორებულმა, კრისტალურად პატიოსანმა, პირდაპირმა, კარიერისტული ამბიციებისა და ინტრიგებისაგან შორს მდგომმა ჯორჯ მარშალმა, შტაბის წამყვან თანამდებობაზე – ოპერატიული სამმართველოს უფროსად დუაიტ ეიზენჰაუერი მიიწვია, რომელიც, როგორც ჩანს, სრულად აკმაყოფილებდა მკაცრი საკადრო სელექციონერის „ღირსების კოდექსის“ ყველა მოთხოვნას. აშკარაა, რომ „აიკ“-მა (გავიხსენოთ, ეს დუაიტის მეტსახელია) გაამართლა „შეფის“ ნდობა, ვინაიდან 1943 წლის კასაბლანკის შეხვედრაზე, მისი წარდგინებით გახდა ეიზენჰაუერი სრული გენერალი. ორივე გენერლის ბევრი ყოფილი თანამშრომელი აღნიშნავდა უკვე მემუარებში, რომ მარშალისათვის ორგანულად იყო მიუღებელი ფავორიტიზმი, „ძმა-ბიჭური“ ურთიერთობები კოლეგებთან და ხელქვეითებთან. იგი არასოდეს არ მიმართავდა ეიზენჰაუერს საყოველთაოდ მიღებული „აიკ“-ით, ხოლო უკანასკნელი კი მასთან მიმართვაში მუდამ მხოლოდ „სერ“-ს ხმარობდა.

როდესაც 1943 წლის აგვისტოში კვებეკში შეხვედრაზე, რუზველტი და ჩერჩილი ევროპაში მეორე ფრონტის დეტალებზე მსჯელობდნენ, მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლის თანამდებობაზე ორივეს ერთი – ჯორჯ მარშალის კანდიდატურა აღმოაჩნდათ. საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო, როდესაც კანდიდატურა გააპროტესტეს საზღვაო და საჰარეო ძალების შტაბების უფროსებმა: მათი მტკი-

ცებით, გადამწყვეტ მომენტში აშშ-ის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების უფროსის ჯორჯ მარშალის შეცვლა მისი ავტორიტეტისა და მონაცემების სხვა კანდიდატით რთული იყო და უარყოფითად იმოქმედებდა ამერიკის არმიის საერთო ბრძოლისუნარიანობაზე. რასაკვირველია, რუზველტს, როგორც მთავარსარდალს, უპრობლემოდ შეეძლო არ შეეცვალა ჩერჩილთან უკვე შეთანხმებული გადაწყვეტილება, მაგრამ ეს უკვე ამერიკის სამხედრო და სამოქალაქო უწყებებს შორის ტრადიციულად მოქმედ, დაუწერელ კანონს ეწინააღმდეგებოდა და ჯორჯ მარშალიც ბველ თანამდებობაზე დარჩა. მით უმეტეს, რომ მასთან განშორების იდეას უხალისოდ ეგუებოდა თავად პრეზიდენტიც, რაც პირდაპირ განუცხადა გენერალს: „მე ვგრძნობ, რომ მშვიდათ ვერ დავიძინებ თუ თქვენ ქვეყანაში არ იქნებითო“.



ჯორჯ მარშალი
(1880-1959)
აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 1947-1949 წლებში.
თავდაცვის მინისტრი 1950-1951 წლებში

ჯორჯ მარშალი ომის წლებში ფრანკლინ რუზველტს ყველა საერთაშორისო შეხვედრაზე თან ახლდა და მასთან შეთანხმების გარეშე არცერთ მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციაზე არ ღებულობდა გადაწყვეტილებას. ასევე იქცეოდა დუაიტ ეიზენჰაუერიც. ჯორჯ მარშალის თანხმობის შემდეგ მიიღო მან ისეთი რთული გადაწყვეტილება, როგორიც იყო ბერლინის ამღების ისტორიული დიდების ნებაყოფლობთი დათმობა სტალინისათვის. „მე პირველი ვაღიარებ, – წერდა ეიზენჰაუერი მარშალს, – რომ ომი პოლიტიკური მიზნებით წარმოებს და თუ შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტი გადაწყვეტს, რომ ბერლინის აღების სურვილი პოლიტიკურ მიზნებზე უფრო მნიშვნელოვანია, მე განვახორციელებ ამ ოპერაციას“. როგორც ჩანს, ორივე გენერლისათვის ასი ათასზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლე

ნებისმიერ პოლიტიკურ ტრიუმფზე მეტად ღირებული იყო და რეიხსტაგზეც, ვარსკვლავ-ზოლებიანის ნაცვლად, წითელი დროშა აფრიალდა.

1945 წლის ნოემბერში გენერალი ჯორჯ მარშალი დაკავებული თანამდებობიდან გადადგა. იგი თვლიდა, რომ ომის დამთავრებისთანავე დაიწყო „ამერიკის სამხედრო ძლევამოსილების ქაოტური ნგრევა", ნაცვლად მის მიერ ჯერ კიდევ 1943 წელს შემუშავებული ეტაპობრივი დემობილიზაციისა და რეორგანიზაციისა. საბოლოო ჯამში პატრიოტმა გენერალმა დიდი ხნით ვერ შესძლო განაწყენებულ პოზაში დარჩენა და როდესაც 1947 წლის 21 იანვარს ჰარი ტრუმენმა მას სახელმწიფო მდივნის პოსტი შესთავაზა, იგი დათანხმდა. ჯორჯ მარშალი ხედავდა, თუ როგორ იკიდებდა ამერიკის ფართო საზოგადოებრიობაში ფეხს გამარჯვების ეიფორიის თანმხლები იზოლაციონიზმი. მსმენელი არ აკლდა სახელმოხვეჭილ გენერალს და ისიც დაუღალავად ამტკიცებდა, რომ ამერიკა კვლავ პირველ მსოფლიო ომის შემდგომ „ფოცხზე ადგამდა ფეხს". ამ ტენდენციასა და საფრთხესთან ბრძოლას განიხილავდა თავის როგორც საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელის მთავარ ამოცანად. ახალ სახელმწიფო მდივანს პირველი დიპლომატიური მისიით ჩინეთში მოუწია გამგზავრება, სადაც ტრუმენის ადმინისტრაცია ჩინური კოალიციური მთავრობით ფიქრობდა კიდევ ერთი საშინელი სამოქალაქო ომისაგან ქვეყნის ხსნას. 1919-1924 წლებში გენერალ პერშინგის ადიუტანტი, კაპიტანი ჯორჯ მარშალი რამდენიმე წლით იყო ჩინეთში მივლინებული, სდაც მან ქვეყანაც შეისწავლა და ჩინური ენაც, მაგრამ ეს აქტივები არასაკმარისი აღმოჩნდა მაო ძედუნისა და ჩან კაიშის შორის დიალოგის ორგანიზებისათვის. მისია მართლაც შეუსრულებელი იყო, რამეთუ მოსკოვიდან მაოს უკვე ჰქონდა „კარტ-ბლანში" მიღებული და ცხადია, ამერიკელებისაგან პრაქტიკულად უკვე მიტოვებულ გომინდანთან ხელისუფლების გაყოფა მის გეგმებში არ შედიოდა.

1947 წლის 15 აპრილს ჯორჯ მარშალს ხანგრძლივი შეხვედრა ჰქონდა იოსებ სტალინთან. გენერალი ჯარისკაცური პირდაპირობით საყვედურობდა საბჭოთა გენერალისიმუსს შეთანხმებების მრავალ-

გზის დარღვევასა და იმავე დღეებში მოსკოვში მიმდინარე საგარეო საქმეთა მინისტრების მორიგ კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის არაკონსტრუქციულ ტაქტიკას, სტალინი კი აუღელვებლად და მშვიდობისმოყვარე ტონიდ ურჩევდა გაცხარებულ სტუმარს, რატა ამერიკელები მეტი მოთმინებით მოკიდებოდნენ „დროებით სირთულეებს“ და „პესიმიზმში არ გადავარდნილიყვნენ“ პესიმიზმი არასოდეს ყოფილა დამახასიათებელი გენეტიკურად ოპტიმისტ ამერიკელებისათვის, ხოლო რაც შეეხებოდა მოთმინებას, მარშალი ერთადერთი არ იყო ტრუმენის ადმინისტრაციაში, ვინც თვლიდა, რომ მოსკოვმა უკვე საკმარისად გამოიყენა ბოროტად ამერიკელების მოთმინება. როდესაც მარშალი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სტალინთან თანამშრომლობის პერსპექტივა ნოლს უდრიდა, მოურიდებლად მოახსენა ტრუმენს, რომ დიპლომატია უძლური იყო მოსკოვთან ურთიერთობაში დაგროვილი წინააღმდეგობების დაძლევაში, რომ „რუსებთან შეუძლებელი იყო მუშაობა“, ვინაიდან მათ ინტერესებშია „ევროპის ქაოსი და კოლაფსი“. კიდევ უფრო მოურიდებელი იყო სახელმწიფო მდივანი კონგრესმენებთან შეხვედრისას, სადაც მან სიტყვა-სიტყვით გაიმეორა სახელმწიფო მდივნის მოადგილის დინ აჩესონის პროგნოზი: თუ მოსკოვი შესძლებდა ბალკანეთსა და ცენტრალურ ევროპაში თავისი გეგმების განხორციელებას, მის ხელში აღმოჩნდებოდა მსოფლიო ხმელეთის ორი მესამედი და მოსახლეობის სამი მეოთხედი.

1947 წლის 28 აპრილს, რადიოთი გამოსვლისას ჯორჯ მარშალმა წერტილი დაუსვა მოსკოვთან სამოკავშირეო ურთიერთობების აღდგენის ცდებსა და იმედებს: დასავლეთი უკვე აღარ იმედოვნებდა საბჭოეთთან ძველი ურთიერთობების აღდგენას. ამერიკამ დასავლეთის ერთობა ამჯობინა აღმოსავლეთთან უიმედო მოლაპარაკებებს – ასეთი იყო გამოსვლის მთავარი თეზა. დასავლეთის დიპლომატიის მთავარ ამოცანად „რუსეთის შეკავება“ ცხადდებოდა.

თუ მარშალის დაკვირვებით ევროპის „კოლაფსსა და ქაოსში“ სტრატეგიულად იყო დაინტერესებული მოსკოვი, მაშინ ზედაპირზე იდო კონტრსტრატეგიაც – ევროპის ეკონომიკური აღორძინება.

1947 წლის ხუთ ივნისს, ჰარვარდის უნივერსიტეტში მარშალისათვის დოქტორის ხარისხის მონიჭების ცერემონია იყო დანიშნული და სწორედ ეს ღონისძიება გამოიყენა მან თავისი ისტორიული პროექტის გასაჯაროების საბაბად. ათწუთიანი გამოსვლა პრაქტიკულად ევროპაში შექმნილ კატასტროფული სიტუაციის აღწერასა და ვითარების გამოსწორების პერსპექტივას მიეძღვნა. თუმცა აქცენტი ძირითადად ევროპაზე იყო გამახვილებული, ორატორი ევროპის საზღვრებსაც გასცდა: „ნებისმიერ მთავრობას, რომელიც სურვილს გამოთქვამს თანადგომა გაგვიწიოს ამ ამოცანის გადაჭრაში, შეუძლია ჰქონდეს შეერთებული შტატების თანაგრძნობისა და თანამშრომლობის იმედიო", – აცხადებდა მარშალი. მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის პროგრამა „არ იქნებოდა მიმართული რომელიმე ქვეყნისა და დოქტრინის წინააღმდეგ. ის მიმართული იქნებოდა შიმშილის, სიღატაკის, სასოწარკვეთილებისა და ქაოსის წინააღმდეგ" – ასე ლაკონურად, მაგრამ სრულად ჩამოაყალიბა სახელმწიფო მდივანმა პროგრამის დანიშნულება.

გრანდიოზული იყო ჰარვარდში წარმოთქმული სიტყვის ეფექტი: დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბევინმა მას „მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდებული გამოსვლა" უწოდა. სიტყვა მოეწონა ტრუმენსაც, რომელიც, ოფიციალური ვერსიით, წინასწარ ინფორმირებული არ ყოფილა გამოსვლის შინაარსზე. საბოლოო შედეგზე ორიენტირების თვალსაზრისით, ცხადია, მარშალის გეგმა ძნელად თუ ჩაითვლებოდა კლასიკური ქველმოქმედების ნიმუშად, მაგრამ ამით მიზანი რეალიზდებოდა: ევროპისა და მსოფლიო ეკონომიკის აღორძინება მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობასა და ექსპანსიას მძლავრი სოციალ-კლასობრივი ბაზის გარეშე დატოვებით ემუქრებოდა. გავიხსენოთ, რომ საბაზრო ეკონომიკის, კერძო ბიზნესისა და თავისუფალი სამეურნეო ურთიერთობების გაძლიერება სულაც არ შედიოდა სოციალისტური საკუთრებისა და ტოტალური კოლექტივიზაციის ისტორიულ ამოცანებში. ამ გაგებით, ალბათ, მარშალის წინადადება გრანდიოზულ სოციალ-პოლიტიკურ შედეგზე გათვლილ ინიციატივას წარმოადგენდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ

თავისი ბუნებითა და დატვირთვით, ის თავისუფალი სამყაროს გაძლიერებასა და ტოტალიტარიზმისაგან მის დაცვას ისახავდა მიზნად.

ისიც უნდა ითქვას, რომ მარშალის გეგმას აშშ-ის პოლიტიკური ისტებლიშმენტი ერთსულოვანი სოლიდარობით არ შეხვედრია: ცხარე დებატები მიმდინარეობდა კონგრესის ორივე პალატაში გეგმის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. მხოლოდ 1948 წლის ოთხ აპრილს მიიღო კონგრესმა კანონი „ეკონომიკურ თანამშრომლობაზე", რომლის შედეგად მარშალის გეგმა ძალაში შევიდა. 17 მილიარდი დოლარი იქნა გამოყოფილი ევროპის ქვეყნების დახმარებაზე. კონგრესის გადაწყვეტილებაში თავისი „წვლილი შეიტანა" იოსებ სტალინმაც, კომინფორმის დაარსებით.

პროგრამის განხორციელების პირველსავე ორ წელიწადში მასში ჩართული ქვეყნების ეკონომიკა ომამდელ დონეს მიუახლოვდა. მოსკოვის „რჩევით" დახმარებაზე უარი თქვეს აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა და ფინეთმა. გარდა ევროპის ეკონომიკის აღდგენისა, მარშალის გეგმა მათ გაერთიანებასაც ითვალისწინებდა. უნდა გაუქმებულიყო ყოველგვარი სავალუტო და საბაჟო ბარიერები როგორც ევროპის შიგნით, ასევე ევროპასა და ამერიკას შორის. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი 1950 წლის მაისში გადაიდგა, როდესაც ფოლადისა და ქვანახშირის ევროპული გაერთიანება შეიქმნა (ე.წ. „შუმანის გეგმა"). ამ დროისათვის მარშალი უკვე თავდაცვის მინისტრი იყო. 1951 წლის სექტემბერში, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მან დაკავებული თანამდებობა დატოვა, 1953 წლის დეკემბერში კი, ნობელის პრემია სამხედროთა შორის პირველმა მიიღო. ჯორჯ მარშალი 1959 წლის 16 სექტემბერს გარდაიცვალა, 79 წლის ასაკში. ამერიკაში დაწესდა მისი სახელობის სამხედრო ჯილდო, მისი სახელი მიენიჭა სკოლას, უამრავ ქუჩებსა და შენობებს. მასზე დაიწერა რამდენიმე წიგნი და უამრავი სტატია. თავად გენარალი მემუარებს არ წერდა.

იმის გამო, რომ აღმოსავლეთ ევროპამ ამაყად თქვა უარი ამერიკელების დახმარებაზე, დასავლეთ ევროპას „მარშალის გეგმით" გა-

თვალისწინებული სახსრების დიდი ნაწილი ერგო. გერმანელებმა ჩვეული რაციონალიზმით გამოიყენეს თავიანთი წილი – ორი მილიარდი დოლარი, შექმნეს ეფექტური საინვესტიციო ფონდები და საკუთარი აქტიურობა გააძლიერეს. დახმარების ერთ-ერთი მთავარი პირობა – ფინანსური სისტემის გაჯანსაღება – მაქსიმალურად პასუხობდა დასავლეთის საოკუპაციო ზონებისა და შემდეგ კი ფედერაციული რესპუბლიკის ინტერესებს. ამ დროისათვის გერმანული მარკა ვეღარ ამართლებდა ეროვნული ვალუტის როლს. მაღაზიები ცარიელი იყო და მოსახლეობა საბარათო სისტემის საშუალებით ღებულობდა პროდუქტებსა და სხვა აუცილებელ საქონელს.

1948 წლის 20 ივნისს ქუჩებში გამოსული გერმანელები საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ: მაღაზიების თაროები პროდუქტებს ვერ იტევდა, ყოველ გერმანელს კი 40 ახალი მარკა ედო ჯიბეში. ყოველი დამსაქმებელი 60 მარკას ღებულობდა თითეულ მის მიერ დასაქმებულზე. ნომინალურ ზომას ინარჩუნებდა პენსია, ხელფასი და საპროცენტო განაკვეთი. ნაწილობრივ დაზარალდნენ მხოლოდ რიგითი მეანაბრეები, რომელნიც 65 ახალ მარკას ღებულობდნენ 1000 რეიხსმარკაში. გაქრა „შავი ბაზარიც“, ვინაიდან საქონლის გაცვლითმა ოპერაციებმა აზრი დაკარგა, ხოლო ფულს ფასი დაუბრუნდა. 21 ივნისს საოკუპაციო ეკონომიკური საბჭოს გერმანელმა დირექტორმა, პროფესორმა ლუდვიგ ერჰარდმა, „ოკუპანტებთან“ შეუთანხმებლად, რადიოთი გამოაცხადა ფასებზე კონტროლისა და საქონლის ადმინისტრაციული განაწილების პრაქტიკის გაუქმება. როდესაც გერმანელი ეკონომისტის „თვითნებობით“ გაოცებულმა ამერიკელმა სამხედრო გუბერნატორმა, გენერალმა კლეიმ მკაცრად მოითხოვა პასუხი მოკავშირეთა განკარგულების შეცვლაზე, ერჰარდმა უპასუხა, რომ „მას არ შეუცვლია განკარგულება, მან იგი გააუქმა.“

ფულად რეფორმასთან ერთად დაიწყო ე.წ. „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ ტრიუმფალური სვლა. კონცეფცია ეფუძნებოდა კერძო საკუთრებას, თავისუფალ და პატიოსან კონკურენციას, საბაზრო ფასწარმოქმნას, მონოპოლიებზე დამოუკიდებელ კონტროლს, ფინან-

სურ სისტემაზე ცენტრალიზებულ თვალყურს და ფართო სოციალურ გარანტიებს.

ფულის რეფორმამ და ეკონომიკურმა გარდაქმნებმა ცხადჰყო, რომ გერმანიის გაყოფა არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ რეალობადაც იქცა. დასავლეთ საოკუპაციო ზონებში მოკლე ვადაში მიღწეული წარმატებები განსაკუთრებით შთამბეჭდავად ახლო წარსულის რეალობებთან შედარებაში გამოიყურებოდა; პრაქტიკულად წელიწადზე ცოტა მეტი დრო დასჭირდა ერჰარდს, რათა საგრძნობლად გაეუმჯობესებინა საყოველთაო ეკონომიკური მდგომარეობა და მთელი ევროპა აელაპარაკებინა „გერმანულ საოცრებაზე".

საბჭოთა საოკუპაციო ზონაში კი სიტუაცია გაუსაძლისად კიდევ დიდხანს რჩებოდა. საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის საქმიანობას ართულებდა ის გარემოებაც, რომ მას ერთდროულად უნდა ეზრუნა ეკონომიკური მდგომარეობის ნორმალიზაციაზეც და რეპარაციის მასშტაბებზეც. მოკლე ვადაში საბჭოთა საოკუპაციო ზონიდან საბჭოთა კავშირში გატანილი იქნა 22 ათასი „სამეურნეო" და 74 ათასი ვაგონი „საჯახო" ქონება. 3474 სამეურნეო და სამრეწველო ობიექტზე მოხდა დანადგარების დემონტაჟი, რომლებიც სსრ კავშირში გაიტანეს. დემონტაჟის პროცესი მხოლოდ 1948 წელს შეწყდა. ამის შემდეგ მსხვილ სამრეწველო ობიექტების ბაზაზე იქმნებოდა საბჭოთა სააქციონერო საზოგადოებები, რომელთა პროდუქციაც რეპარაციის ანგარიშში საბჭოთა კავშირში იგზავნებოდა.

მთელ გერმანიაში თითქმის ერთდროულად დაიწყო დენაციფიკაციის პროცესი, რასაც წინ ერთვოდა განახლებული გერმანული პოლიტიკური ელიტის ფორმირება. საბჭოთა საოკუპაციო ადმინისტრაციის ნებართვით, აღმოსავლეთ გერმანიაში მოღვაწეობა ოთხმა პოლიტიკურმა პარტიამ დაიწყო: კომუნისტურმა, სოციალ-დემოკრატიულმა, ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა და ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ. 1948 წელს საოკუპაციო რეჟიმის ინიციატივით შეიქმნა კიდევ ორი პარტია – ეროვნულ-დემოკრატიული და გლეხთა დემოკრატიული. ამ ორ პარტიას უნდა გაეძლიერებინა მემარცხენე ძალების სოციალური დასაყრდენი. მალე კომუნისტები სო-

ციალ-დემოკრატებთან გაერთიანდნენ ერთიანი სოციალისტური პარტიის სახელით. დასავლეთის საოკუპაციო ზონებში კი აიკრძალა როგორც კომუნისტური, ასევე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ეგიდით მოქმედი ორგანიზაციები. აქ ქრისტიან-დემოკრატები ლიდეროობდნენ, რაც არც იყო გასაკვირი იმის გათვალისწინებით, რომ გერმანიის ქრისტიანულ პოლიტიკურ მოძრაობას სოლიდური ტრადიციები გააჩნდა. ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის კონსოლიდაცია აღინიშნებოდა არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ იტალიაშიც, ავსტრიაშიც, ჰოლანდიაშიც, ბელგიაშიც. უარყო რა სოციალური კათოლიციზმის კორპორაციული იდეები, ქრისტიანულმა დემოკრატიამ შემდგომი განვითარების ბაზად იდეოლოგიური სინთეზი აირჩია, სადაც სახელმწიფო მშენებლობის ლიბერალ-დემოკრატიული ხედვა სოციალური კათოლიციზმის ტრადიციებთან იყო გაზავებული.

სპეციალისტთა აზრით, გერმანიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდა „ქრისტიანული დემოკრატიის რენესანსს“, ვინაიდან მან შეძლო იმ სულიერი ვაკუუმის შევსება, რომელმაც წარსულით იმედგაცრუებულ და სინამდვილით დაეჭვებულ ქვეყანაში დაისადგურა. გამორჩეული პიროვნება იყო გერმანელ ქრისტიან-დემოკრატთა ლიდერი კონრად ადენაუერიც: 1933 წელს ფაშისტების მიერ გადაყენებულმა კელნის ყოფილმა მერმა, ამერიკელების მიერ ქალაქის განთავისუფლების შემდეგ კვლავ დაიკავა ძველი თანამდებობა, მაგრამ როდესაც კელნი ინგლისელთა საოკუპაციო ზონაში მოექცა, ახლა უკვე ბრიტანელებმა გადააყენეს ამბიციური და „ხორკლიანი“ მერი, რომელმაც ჯეროვნად არ იზრუნა მათი ნდობის მოსაპოვებლად.

ამავე პერიოდში დღითი-დღე ღრმავდებოდა გერმანიის პოლიტიკურ მომავალზე მოკავშირეთა ხედვებს შორის უფსკრული. საბჭოთა კავშირი ფორმალურად ერთიანი და განუყოფელი გერმანიის მომხრე იყო – მოსკოვისათვის მთავარი იყო მისი განიარაღება და ნეიტრალური სტატუსი, რაც უკვე პრობლემურს გახდიდა გერმანიის დემოკრატიულ, ანტიკომუნისტურ პოლიტიკურ ანატომიას. როგორც

ჩანს, სტალინისათვის აღმოსავლეთ გერმანია დიდ სტრატეგიულ საგანძურს არ წამოადგენდა და შესაფერ მომენტში მის „ხურდა ფულად“ გამოყენებასაც არ გამორიცხავდა დასავლეთთან სერიოზული პოლიტიკური გარიგების შემთხვევაში.

სხვა თვალით უყურებდნენ გერმანიის მომავალს ვაშინგტონიდან და ლონდონიდან. მართალია, ჩერჩილი აღარ იდგა დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის საჭესთან, მაგრამ არც გავლენა აკლდა (განსაკუთრებით ფულტონის შემდეგ) და არც თანამოაზრეები. საკვირველია, რომ ბისმარკისეული „რეალპოლოტიკის“ ერთგულ მიმდევარ სტალინს ჯიუტად არ სურდა დაეჯერებინა, რომ ომის შემდგომ დასავლეთის „დედაქალაქ“ ვაშინგტონში უკვე იყო მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება მასთან ურთიერთობაზე: არასაიმედო და საშიში პარტნიორი (მოკავშირეობაზე ლაპარაკი შეწყდა), რომლისგანაც ყველაფერი იყო მოსალოდნელი და რომლის ნდობაც არ შეიძლებოდა. ამიტომაც „მიდიოდა ქვიშაში“ სტალინის მენტორული მოწოდებები მოთმინებით მუშაობაზე, პესიმიზმის უარყოფაზე და საბოლოო შედეგის რწმენაზე. ზეფრთხილი ტაქტიკისა და სკრუპულოზურად გულმოდგინე ანალიზის ოსტატმა დილეტანტურად ვერ შეამჩნია, თუ როდის გადააბიჯა „წითელ ხაზს“ და ქარს გაატანა მოკავშირისა და პარტნიორის მთავარი ღირსება – სანდოობა. არც ის იყო გამორიცხული, რომ პოლიტიკურ გიგანტებთან – რუზველტსა და ჩერჩილთან ხანგრძლივი და დაძაბული ურთიერთობების შემდეგ, ოდნავ მოეშვა, ინტუიციამ და სიფრთხილის გრძნობამ უღალატა.

დაუფარავად მკვეთრი და გაღიზიანებული იყო სტალინის რეაგირება ჯორჯ ქენანის „გრძელ დეპეშაზე“, „ტრუმენის დოქტრინაზე“, „მარშალის გეგმაზე“, დასავლეთის საოკუპაციო ზონებში მასთან შეთანხმების გარეშე ჩატარებულ რეფორმებზე, მაგრამ არცერთ მათგანს არ მოჰყოლია მოსკოვის სწორი დიპლომატიური პასუხი. ცამდის მართალი იყო ჩერჩილი ფულტონში, როდესაც ასკვნიდა, რომ მოსკოვს არ სურდა ახალი ომი და არც მზად იყო საიმისოდ, მას მხოლოდ ომში გამარჯვების პრიზების მიღება სურდა თოფის გაუსროლად, კრიტიკულ ზღვრამდე სიტუაციის დაძაბვით, მართვადი კონფრონ-

ტაციური სიტუაციის შექმნით და უკან დასახევად მუდმივი მზაყოფნით. ხომ ითმენდა და ეგუებოდა რუზველტი მის ანექსიონისტურ გამოხტომებს ჩრდილოეთ ირანში? მართალია, ტრუმენი არც თმენისა და არც შეგუებისათვის არ აღმოჩნდა მზად, მაგრამ სამაგიეროდ სტალინი აღმოჩნდა მზად სერიოზული მოთხოვნისთანავე გუდა-ნაბადი აეკრა ირანიდან, თუმცა მისი შემდგომი აღმოსავლეთ ევროპული დემარშები სულაც არ მეტყველებდა შეცვლილი სიტუაციის სწორ ანალიზზე.

ამერიკის კონგრესის მიერ მიღებულ ათასობით რეზოლუციებში, ამერიკის დიპლომატიის ახალი ერის დადგომის მაუწყებელი იყო 1948 წლის 11 ივნისს მიღებული ე.წ. „ვანდერბერგის რეზოლუცია". დოკუმენტის პრინციპული სიახლე იმაში მდგომარეობდა, რომ ადმინისტრაციას მიზნად უსახავდა „კონსტიტუციური პროცედურებით ამერიკის შეერთებული შტატების მიერთებას იმ რეგიონალურ და კოლექტიურ შეთანხმებებთან, რომელნიც დაფუძნებულნი იქნებოდნენ მუდმივ და ქმედით სწრაფვაზე ურთიერთდახმარებისა და თავდაცვისაკენ და მოიცავდნენ შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს". პრაქტიკულად სულ ახლო წარსულში მყარი იზოლაციონისტური საგარეო პოლიტიკური კურსის ერთგული მთავარი საკანონმდებლო ორგანო 180 გრადუსით ცვლიდა ხსენებულ კურსს, რომელიც ჯერ კიდევ ჯორჯ ვაშინგტონიდან იღებდა სათავეს. გარდა იმისა, რომ რეზოლუციის „ელასტიური" ფორმულირება საკანონმდებლო აქტისათვის უჩვეულოდ ფართო ინტერპრეტაციის სამართლებრივ ბაზას ქმნიდა, იგი უფლებას ანიჭებდა პრეზიდენტს მშვიდობიან პერიოდში გაეწევრიანებინა ქვეყანა პრაქტიკულად უვადო სამხედრო კავშირებში. მართლაც, რომ საფლავებში უნდა გადატრიალებულიყვნენ ვაშინგტონისა და კუინსის თანამოაზრე პრეზიდენტები.

რეზოლუციის მთავარი „ეშხი" კი ის იყო, რომ სენატორი, რომლის სახელსაც იგი ატარებდა, კონგრესში თავისი 20-წლიანი მოღვაწეობით მტკიცე იდეური იზოლაციონისტის სოლიდური რეპუტაციიდ სარგებლობდა. ვანდერბერგი არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ცნო-

ბისა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობების შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო, ესპანეთის სამოქალაქო ომის წლებში იგი აქტიურად ეწინააღმდეგებოდა მეომარი მხარეებისათვის იარაღის მიწოდებას, მეორე მსოფლიო ომში ამერიკის ჩართვას, სენატში არაფორმალურ ორპარტიულ იზოლაციონისტურ ფრაქციასაც ხელმძღვანელობდა და დაუღალავად ცდილობდა მთელი ამერიკის დარწმუნებას, რომ „ომს არანაირი შეხება არ ჰქონია ამერიკასთან". შემდეგ ასეთივე ენერგიით იბრძოდა მეორე ფრონტის იდეის წინააღმდეგ. 1944 წლის არჩევნების შემდეგ კი სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი დაიკავა, რასაც ავტომატურად მოჰყვა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე მისი გავლენის გაძლიერება.

მართლაცდა რამდენად მიუღებელი და საფრთხის შემცველი უნდა ყოფილიყო ფანატიკოსი იზოლაციონისტისათვის საბჭოთა საგარეო პოლიტიკა, რომ ასე ოპერატიულად ქცეულიყო სამხედრო კავშირებით გატაცებულ ინტერნაციონალისტად? მხოლოდ ეს ერთი ფაქტიც საკმარისი უნდა ყოფილიყო კრემლისათვის მის დიპლომატიურ ვექტორებთან დაკავშირებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის საფუძვლიანი ანალიზისათვის.

ყოფილ მოკავშირეთა შორის „განხეთქილების ვაშლად" ისევ აღმოსავლეთ ევროპა და გერმანიის პრობლემა რჩებოდა. დასავლეთის საოკუპაციო ზონებში წარმატებით დაწყებულმა რეფორმებმა კიდევ უფრო დაძაბა საერთო სიტუაცია: მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა საოკუპაციო ზონის სამხედრო ადმინისტრაციისათვის აგენტურული მონაცემებით ცნობილი იყო, რომ დასავლეთში ფულის რეფორმა მზადდებოდა, საბჭოთა ზონა აბსოლუტურად მოუმზადებელი შეხვდა ფასდაკარგული ძველი მარკების მოზღვავებას, რამაც საბჭოთა საოკუპაციო ზონის სამომხმარებლო ბაზარი კრიტიკულ მდგომარეობამდე მიიყვანა. სტალინმა დიდხანს არ დაღალა საპასუხო რეაგირების მოლოდინით „მოკავშირეები": 1948 წლის 24 ივნისს საბჭოთა ზონაში მარკის საკუთარი რეფორმა განხორციელდა სპეციალური კუპონები დააკრეს ძველ მარკებს და გაუფასურებული რეიხსმარკების საფრთხე ამით განეიტრალდა. შეუდარებლად მწვავე ხასიათს

ატარებდა იმავე დღეს განხორციელებული მეორე ღონისძიება: საბჭოთა ჯარებმა დასავლეთ ბერლინის სრული ბლოკირება მოახდინეს თითიდან გამოწოვილი საბაბით: ერთდროულად დაიწყო ქალაქში მისასვლელი ყველა გზის რემონტი. არც ამჯერად აპირებდა სტალინი ომის შემდგომი ყველაზე მწვავე კრიზისის ომამდე მიყვანას. მიზანი დიპლომატიურ და არა სამხედრო ხასიათს ატარებდა – ბლოკადას დიპლომატიური ზეწოლის ფუნქცია ეკისრებოდა მომავალ მოლაპარაკებებში მომგებიანი სასტარტო პოზიციის უზრუნველსაყოფად. მაგრამ შედეგი ჩანაფიქრის უკუპროპორციული აღმოჩნდა: დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის შიმშილისაგან გადარჩენა და სხვა საჭირო საქონლით ქალაქის შეუფერხებლად მომარაგება ამერიკელებმა იკისრეს – ყოველ დღე 13 ათასი ტონა სურსათი და სხვა საქონელი ჩაჰქონდათ ბლოკირებულ ქალაქში ამერიკის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავ – „ჰერკულესებს“, რაც სამჯერ აღემატებოდა ადრინდელ მიწოდებებს. სულ 200 ათასი გაფრენა შეასრულეს ამერიკელმა მფრინავებმა და ხუთი მილიონი ტონა ტვირთი ჩაიტანეს დასავლეთ ბერლინში. 1949 წლის 12 მაისს ბლოკადის პრაქტიკულ არაეფექტურობასა და საერთაშორისო რეპუტაციულ დანაკარგებში დარწმუნებულმა სტალინმა მისი გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო.

რა შედეგი მოუტანა საბჭოთა კავშირს „ცივი ომის“ პირველმა მასშტაბურმა კრიზისმა? პირველ რიგში დააჩქარა სამი დასავლური ზონის გაერთიანება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკად. ერთი თვეც არ იყო გასული დასავლეთ ბერლინის ბლოკადის დაწყებიდან, რომ რუდერჰაიმერში გაიმართა დასავლეთის მიწების მინისტრ-პრეზიდენტების საგანგებო თათბირი, რომელზეც დასავლეთ ბერლინის ობერ-ბურგომისტრმა რეიტერმა დასავლურგერმანული „ბირთვი“-სახელმწიფოს სასწრაფოდ შექმნის საკითხი დააყენა. თათბირის მონაწილეებმა გადაწყვეტილება მიიღეს 1948 წლის პირველ სექტემბერს მოეწვიათ დამფუძნებელი კრება ახალი სახელმწიფოს კონსტიტუციის შესაქმნელად (მოგვიანებით სეპარატიზმის ბრალდებას მოერიდნენ და ტერმინები: „კონსტიტუცია“ და „დამფუძნებელი კრება“ დოკუმენტებიდან ამოიღეს). მიწების ლანსტაგის წარმომადგენლებისაგან

დაკომპლექტდა საპარლამენტო საბჭო, რომელიც უფლებამოსილი იყო შეემუშავებინა დასავლეთ გერმანული სახელმწიფოს ძირითადი კანონი, ანუ დროებითი კონსტიტუცია. მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა გერმანიის გაერთიანებამდე.

1948 წლის აპრილში, როდესაც ჯერ არ იყო შეწყვეტილი ბლოკადა, დასავლეთის სამი საოკუპაციო ზონის წარმომადგენლებმა საპარლამენტო საბჭოს გადასცეს ე.წ. „საოკუპაციო სტატუსი“, რომლითაც დაზუსტდა ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის კონტროლი დასავლეთ გერმანიის საგარეო პოლიტიკაზე, საგარეო ვაჭრობაზე, უცხოეთში აქტივებზე და უსაფრთხოების სისტემაზე. განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა საკონსტიტუციო კონტროლს. 1949 წლის რვა მაისს, ომის დამთავრებიდან ოთხი წლის შემდეგ, საპარლამენტო საბჭომ დაამტკიცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონი, რომელიც 12 მაისს დასავლეთის საოკუპაციო ზონის გუბერნატორებმა ოფიციალურად მოიწონეს. მოხდა ისე, რომ იმავე დღეს შევიდა ძალაში სამოკავშირეთაშორისო შეთანხმება ბერლინის ბლოკადის გაუქმებაზე.

ძირითადი კანონის გამოქვეყნების თარიღი – 23 მაისი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის დღედ იქცა. 20 ივნისს სამხედრო გუბერნატორთა ინსტიტუტი დასავლელ მოკავშირეთა უმაღლეს კომისართა ინსტიტუტად გადაკეთდა. დასავლეთ გერმანია „შეზღუდულ სუვერენიტეტს“ ღებულობდა.

მოსკოვისთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა. დასავლელი მოკავშირეები არც თავად მალავდნენ საკუთარ განზრახვებსა და გადაწყვეტილებებს და არც „ბერიას ბიჭები“ დარჩენილან სამუშაოს გარეშე ომის დამთავრების შემდეგ. არც სტალინს ჰქონდა ჩვევად ნეიტრალური მაყურებლის როლით დაკმაყოფილება, როცა მეორე მხარე ეფექტური დიპლომატიური კომბინაციებით იყო დაკავებული. ჯერ კიდევ 1947 წლის პირველ ნახევარში, საბჭოთა საოკუპაციო ზონაში, ფუნქციონირება დაიწყო ე.წ. გერმანიის სახალხო კონგრესმა, რომლის პროპაგანდისტული დანიშნულება იყო ფართო სააგიტაციო სამუშაოების დაწყება

ერთიანი გერმანიის შესაქმნელად. პარალელურად შექმნილ გერმანულ სახალხო საბჭოს კი აღმოსავლეთ გერმანიის სამომავლო სახელმწიფოს კონსტიტუციის მომზადება დაეკისრა. პროექტი, ცხადია, დროზე მომზადდა და მიღებული იქნა სახალხო საბჭოს მიერ 1949 წლის 19 მარტს. 29-30 მაისს საბჭომ დაამტკიცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. 1949 წლის 7 ოქტომბერს შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატა და ეს დღე ჩაითვალა ახალი გერმანული სახელმწიფოს დაარსების ოფიციალურ თარიღად. ამ ეტაპზე დასრულდა გერმანიის გაყოფის პროცესი, ხოლო გერმანიის საკითხი დიდი ხნით იქცა ომის შემდგომი მსოფლიო დიპლომატიის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად. იმ დრამატულ დღეებში ცოტა ვინმემ თუ მიაქცია ყურადღება ერთ ნიშანდობლივ დეტალს: დანარჩენი აღმოსავლეთ ევროპელი სატელიტებისაგან განსხვავებით, სტალინმა აღმოსავლეთ გერმანიისათვის მხოლოდ „დემოკრატიული“ და „სახალხო-დემოკრატიული“ ტიტული გაიმეტა. ჰენრი კისინჯერის ვერსიით, ეს შემთხვევით არ მომხდარა - სტალინმა სუროგატი სახელმწიფო შექმნა, რომელიც მუდამ შეეძლო დიდ დიპლომატიურ გარიგებაში გამოეყენებინა.

ჰქონდა კი შანსი დასავლურ სამოკავშირეო დიპლომატიას არ დაეშვა ევროპის ცენტრში ქრონიკული დაძაბულობისა და ომის ზღვარზე ბალანსირებული კონფრონტაციული კერის შექმნა? ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი რუსული ისტორიული ლიტერატურის მტკიცებით, გერმანიის გახლეჩის პროცესმა შეუქცევადი და მაპროვოცირებადი ხასიათი 1948 წლის ლონდონის თათბირის შემდეგ მიიღო, როდესაც დასავლელი მოკავშირე. ბენილუქსის ქვეყნები საბჭოთა წარმომადგენლის გარეშე შეიკრიბნენ და მთელი რიგი „სეპარატისტული“ გადაწყვეტილებები მიიღეს, რაც პრინციპში ეწინააღმდეგებოდა პოტსდამის შეთანხმებებს. ფორმალურად, ცხადია, ასეც იყო: გერმანიასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილებები „დიდ ტრიოს“ და „დიდ კვარტეტს“ უნდა მიეღო, მაგრამ მთავარი პრობლემა ის იყო, რომ დასავლეთისათვის, პირველ რიგში ვაშინგტონისათვის, გადამწყვეტი აღმოჩნდა ნდობის ფაქტორის კატასტროფული ინფლა-

ცია, რაშიც რთული იყო ამერიკელებისა და ინგლისელების დადანაშაულება. საბჭოეთთან ურთიერთობის საკითხებში ისეთი სკეპტიკოსიც კი, როგორიც ჩერჩილი იყო, ვერ წამოიდგენდა, რომ სტალინი ასეთი შემაძრწუნებელი ცინიზმითა და მოკავშირეთა პოლიტიკური ფასეულებების ბნელად ასახსნელი იგნორირებით შეუდგებოდა ფაშიზმისაგან არცთუ პრინციპულად განსხვავებული რეჟიმების დანერგვას აღმოსავლეთ ევროპაში. თუ რომაელი სარდალი გაიუს იულიუს ცეზარი რამდენიმე დღეს ჭოჭმანობდა მდინარე რუბიკონთან, სტალინისათვის არაფერი იყო საჭოჭმანო. იმ პერიოდში ტრუმენი ჯერ კიდევ პრეზიდენტი იყო და დაწერილი არ ჰქონდა მემუარები, სადაც არ დაუფარავს, თუ როგორი იმედგაცრუებული ბრუნდებოდა პოტსდამიდან და როგორ გამართლდა მისი ეჭვები სულ ორიოდ თვეში: ტრუმენი დარწმუნდა, რომ სტალინისათვის ფსიქოლოგიურად გაუგებარი და პოლიტიკურად მიუღებელი იყო დემოკრატიული კურსი. მის „სახალხო დემოკრატიას“ არაფერი ჰქონდა საერთო „ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან“.

სტალინს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ადრე თუ გვიან გერმანია გაერთიანდებოდა და საკუთარი ჩვეული მეთოდებით ცდილობდა არასოდეს ჰქონოდა მომავალში მასთან საერთო საზღვარი. ის სიკვდილამდე რჩებოდა ერთგული ძველი გეოპოლიტიკური კონცეფციისა – „არ უნდა დაუშვა საკუთარ საზღვარზე ძლიერი სახელმწიფოს არსებობა“. აღმოსავლეთ ევროპის პატარა ქვეყნებს იდეალურად შეეძლოთ სტრატეგიული „სანიტარული კორდონის“ ფუნქციის შესრულება. ტრუმენი და ევროპელი დემოკრატები ვერასოდეს ჩასწვდებოდნენ რუსული ისტორიზმის წიაღში სათავედადებულ სტალინის მოტივაციას და კომპრომისიც იმანენტურად იყო შეუძლებელი. გამორიცხული იყო, რომ კრემლში სერიოზულად ეფიქრათ ისეთ ერთიან გერმანიაზე, დასავლელი მოკავშირეები რომ ქმნიდნენ თავიანთი საოკუპაციო ზონებიდან. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საგარეო საქმეთა მინისტრების მეექვსე და უკანასკნელი, პარიზის 1949 წლის მაისის შეხვედრა. მანამდე კი, მთელი ერთი წლით ადრე, 1948 წლის 20 მარტს, მარშალმა კონსტანტინე

როკოსოვსკიმ დემონსტრაციულად მიატოვა მოკავშირეთა სამხედრო-საკონტროლო საბჭოს სხდომა. ეს მოქმედება რომ მხოლოდ გამარჯვებული მხედართმთავრის კრემლთან შეუთანხმებელი თვითნებობა ყოფილიყო, სამხრეებს კი არა, თავსაც ვერ შეინარჩუნებდა მარშალი, მაგრამ, როგორც ჩანს, მოსკოვში უკვე „ჩამოწერილი“ ჰქონდათ მოკავშირეთა შეთანხმებული მოქმედებების უკანასკნელი სამხედრო სტრუქტურა.

რაც შეეხება პარიზის კონფერენციას, იქ ორი მთავარი საკითხი იყო განსახილველი და გადასაწყვეტი: ავსტრიასთან სამშვიდობო ხელშეკრულების ტექსტის დამტკიცება და გერმანიის საკითხი. ავსტრიასთან მიმართებით იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს სერიოზული პრეტენზიები ჰქონდათ. გაირკვა, რომ იუგოსლავიასთან შეთანხმება ურთიერთკომპრომისით გაცილებით იოლი იყო, ვიდრე მოსკოვთან მორიგება. საბოლოო ჯამში აქაც გამოიძებნა გამოსავალი: საბჭოთა კავშირი ავსტრიაში არსებულ მთელ გერმანულ აქტივებს ითხოვდა რეპარაციის ანგარიშში და ბოლოს 60 პროცენტს დასჯერდა. ამერიკელები და ინგლისელები, საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით, ავსტრიას განიხილავდნენ როგორც ფაშიზმის მსხვერპლს და არა როგორც მტერს და ამიტომ კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ მოსკოვისა და ბელგრადის ცდებს, რაც შეიძლება მეტი წაეგლიჯათ, გამარჯვებულის უფლებებიდან გამომდინარე.

კარდინალურად განსხვავებული ვითარება იყო გერმანიასთან დაკავშირებით: კონფერენციის შედეგებზე პირველი განცხადება ტრუმენმა გააკეთა 1949 წლის 21 ივნისს – მან დასაწყისშივე აღნიშნა, რომ ამერიკის დელეგაცია პარიზში გაემგზავრა გულწრფელი სურვილით ყველაფერი გაეკეთებინა გერმანიის გასაერთიანებლად ისეთ პრინციპებზე, რომელიც, როგორც გერმანელი ხალხის, ასევე ოთხივე გამარჯვებული მოკავშირის ინტერესებს დააკმაყოფილებდა. „ამავე დროს დასავლეთის სახელმწიფოებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი არანაირ დათმობებზე არ წასულიყვნენ დემოკრატიულ პრინციპებთან დაკავშირებით“ – ასე ჩამოაყალიბა პრეზიდენტმა დასავლელ მოკავშირეთა სასტარტო პოზიცია. მან არც პოტსდამის გადაწყვეტი-

ლებებზე მოსკოვის აპელირებები დატოვა უკომენტაროდ და ლაკონურად ახსნა, რომ „პოტსდამის მთელი სისტემა არაქმედითუნარიანად აქციეს რუსებმა ვეტოს უფლების უსასრულოდ ბოროტად სარგებლობით“. საყურადღებო იყო, რომ პრეზიდენტმა – განსაკუთრებული კმაყოფილება გამოთქვა „ატლანტიკური თანამეგობრობის ხალხების სოლიდარული პოზიციის გამო“. ატლანტიკურ სოლიდარობასა და ატლანტიკურ კავშირზე საუბრისას საკუთარ პრეზიდენტზე შორს წავიდა ახალი სახელმწიფო მდივანი დინ აჩესონი. პრეზიდენტის განცხადებიდან მეორე დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე მან უკვე ღიად ილაპარაკა ჩრდილოატლანტიკურ პაქტზე და მისი რატიფიკაციის აუცილებლობაზე – დეტალურად შეეხო რა მარშალის მოღვაწეობასა და მისი გეგმის წარმატებას, აჩესონმა აუდიტორიას განუცხადა, რომ საგრძნობლად გაძლიერდა დასავლეთის პოზიციები და საბჭოთა კავშირი „ევროპის სულისათვის ბრძოლაში, შეტევიდან თავდაცვაზე გადავიდა“. მან ისიც ახსნა, თუ რატომ იყო მიუღებელი საბჭოეთისათვის დასავლეთის პოზიცია: „საბჭოთა კავშირი ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიღებდა ამ პოზიციას, ვინაიდან იგი მოასწავებდა მისი ხელისუფლების შესუსტებას მასზე, რასაც უკვე ფლობს“, ეს უკანასკნელი კი საბჭოთა კავშირს გერმანიის შემდგომი სოვეტიზაციის შანსს არ უტოვებდა – ასეთი იყო დინ აჩესონის რეზიუმე (120).

როგორც მოსალოდნელი იყო, პარიზის კონფერენციის შედეგები საბჭოთა კავშირის ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი ვიშინსკიმაც შეაფასა, მხოლოდ ამერიკელების შემდეგ. ასე უფრო იოლი უნდა ყოფილიყო მეორე მხარის არგუმენტების გაბათილება. საბჭოთა მინისტრის პირველ სამიზნედ „მარშალის გეგმა“ იქცა, თანაც უცნაური არგუმენტით – „თუ გეგმა მართლაც წარმატებული იყო, მისი ავტორი რატომ მოხსნეს?“ – რიტორიკულ კითხვას სვამდა ვიშინსკი. მისი ლოგიკიდან გამომდინარე, მოლოტოვიც წარუმატებელი მინისტრი იყო, ვისი ადგილიც სულ ცოტა ხნის წინ დაიკავა. იქნებ ამიტომაც იყო, რომ სტალინის სიკვდილისთანავე ვიშინსკი გაეროში, ანუ „საპატიო გადასახლებაში“ გაუშვეს, სადაც, უარესის მომლოდი-

ნეს, გული გაუსკდა კიდეც და თან გაიყოლია 1937 წლის ჯალათის ცოდვები. სმოლენსკის მოედანს კი მოლოტოვი დაუბრუნდა.

ანდრეი ვიშინსკის კომენტარებში ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ იგი პარიზის კონფერენციის შედეგებს საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვებად აფასებდა: „რაც არ უნდა ეცადოს დასავლეთის სამი მთავრობა ამის უარყოფას, ფაქტად ის რჩება, რომ შემაჯამებელი კომუნიკე საბჭოთა წინადადებების სულისკვეთებაზეა აგებულიო“ იფიცებოდა მოლოტოვის ახლად გამომცხვარი მემკვიდრე (121).

ერთიანი გერმანიის თაობაზე ყველაზე ცხარე დისკუსიები ორი წლით ადრე, საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის კონფერენციაზე დაფიქსირდა. საბჭოთა დელეგაციამ კატეგორიულად მოსთხოვა დასავლელ მოკავშირეებს „შეეწყვიტათ სეპარატისტული ქმედებები“ და დაუყოვნებლივ დაეწყოთ ერთიანი გერმანიის მთავრობის ფორმირების სამზადისი, შეექმნათ საერთოგერმანული ადმინისტრაციული დეპარტამენტები, შეემუშავებინად დროებითი დემოკრატიული კონსტიტუცია და მის ბაზაზე ჩაეტარებინათ თავისუფალი არჩევნები ყველა ზონაში. ერთდროულად საბჭოთა პროექტი ინგლისელებისა და ამერიკელებისაგან მოითხოვდა გაეუქმებინათ „ბიზონიის“ (ორი ზონის გაერთიანების) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და ოთხმხრივი კონტროლი დაეწესებინათ რურის მხარის მიმართ. საპასუხოდ ინგლისელებმა და ამერიკელებმა გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრების პრობლემა წამოჭრეს და საფრანგეთისათვის საარის (საარლანდის) გადაცემის იდეასაც დაუჭირეს მხარი. მომდევნო ლონდონის კონფერენციაზე მოსკოვმა კვლავ დააყენა სამშვიდობო კონფერენციის საკითხი ახლა უკვე გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით. კონფერენციას ორ თვეში უნდა მოემზადებინა გერმანიასთან ზავის პირობები. გარდა იმისა, რომ ყველას კარგად ახსოვდა ვერსალის სირთულეების მთავარი მიზეზი – მონაწილეთა სიმრავლე, იმ დროისათვის დასავლელ მოკავშირეებს უკვე ჰქონდათ სრული წარმოდგენა მოსკოვის დიპლომატიის ტაქტიკაზეც და სტრატეგიაზეც. მათ სულაც არ იზიდავდა უსაშველოდ გაჭიანურებულ დისკუსიებში ჩართვა. მთავარი კი ის იყო, რომ ვაშინგ-

ტონს, ლონდონსა და პარიზს უკვე გააჩნდა დემოკრატიული და თავისუფალი გერმანიის შექმნის პროგრამა.

მოვლენებთან ერთად იცვლებოდა საბჭოთა კავშირისადმი საერთო განწყობა ვაშინგტონის ხელისუფლების კორიდორებში. ხსენებული პროცესი ჯერ კიდევ ომის დამამთავრებელ ეტაპზე დაიწყო, რის განეიტრალებასაც დაუღალავი მონდომებით ცდილობდა ამერიკის ელჩი მოსკოვში, „დადასტურებული ოპტიმისტი" – როგორც მას უწოდებდნენ, ავერელ ჰარიმანი, თუმცა ისიც იძულებული გახდა მწარე სიმართლისთვის გაესწორებინა თვალი. კერძოდ, ჰარიმანმა პირველმა დააყენა ეჭვქვეშ მოსკოვის ოფიციალური ვერსია 1944 წლის ვარშავის აჯანყებაზე და სახელმწიფო დეპარტამენტში გაგზავნილ ინფორმაციაში პირდაპირ ალაპარაკდა სტალინის ღალატზე და აჯანყებულთა შეგნებულად მიტოვებაზე. გარკვეული გაგებით, ჰარიმანი სიმბოლურად იქცა ილუზიებისაგან განთავისუფლებულ „ურწმუნო თომად". მას ხომ დიდხანს არ სურდა ერწმუნა სტალინის დიპლომატიის მაკიაველიზმი, თუმცა მისთვისაც გადამწყვეტ ნაბათად 1948 წლის თებერვლის ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო გადატრიალება იქცა.

1946 წელს ჩატარებული თავისუფალი არჩევნების შედეგად ჩეხოსლოვაკიას კოალიციური მთავრობა მართავდა. პრემიერ-მინისტრი – კომუნისტი კლემენტ გოტვალდი და სოციალ-დემოკრატი პრეზიდენტი ედვარდ ბენეში ასე თუ ისე, ზომაგადასული მწვავე დაპირისპირების გარეშე ახერხებდნენ ფორმალურ თანამშრომლობას. მთავრობაში თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია იყო წარმოდგენილი, კომუნისტების ფაქტიური დომინირებით. 1948 წლის თებერვალში, ეროვნულ-სოციალისტური პარტიის წევრმა მინისტრებმა ეჭვქვეშ დააყენეს შინაგან საქმეთა კომუნისტი მინისტრის საკადრო პოლიტიკა, კერძოდ მას ბრალს სდებდნენ პოლიტიკურად მოტივირებულ საკადრო წმენდაში. მართლაც, 1948 წლის 13 თებარვალს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, სამინისტროდან გაუშვეს ათი მაღალი რანგის თანამშრომელი. ეროვნულ-სოციალისტებმა განმარტება მოსთხოვეს მინისტრს და როდესაც უარი მიიღეს, მთავრობა სახალხო დემოკრატებთან ერთად დატოვეს. რადგანაც სოციალ-დემოკრატებმა

და ორმა უპარტიო მინისტრმა უარი თქვეს გადადგომაზე, სამთავრობო კრიზისი ახალი არჩევნების აუცილებლობით არ შექმნილა. კაბინეტმა უფლებამოსილება შეინარჩუნა და პრემიერმა გოტვალდმა გადამდგარი მინისტრების ჩანაცვლების მანდატი მოითხოვა. შექმნილი სიტუაციით მარჯვედ ისარგებლეს კომუნისტებმა და ქვეყნის მასშტაბით წამოიწყეს მიტინგებისა და გაფიცვების კამპანია. 25 თებერვალს პრაღის ქუჩებში კომუნისტთა შეიარაღებული რაზმები გამოჩნდნენ. ცხარე დისკუსიების შემდეგ კომუნისტების მხარე დაიჭირეს სოციალდემოკრატებმაც. პრეზიდენტმა ედვარდ ბენეშმა ზეწოლას ვერ გაუძლო და ახალი კაბინეტის ფორმირებაზე დათანხმდა, სადაც ყველა საკვანძო მინისტრის პოსტი კომუნისტებს ერგოთ. 27 თებერვალს ახალმა კაბინეტმა ფიცი დადო. გადატრიალება დასრულდა და დაიწყო პოლიტიკური რეპრესიები: ოპოზიციის 250 ათასმა წევრმა რამდენიმე დღეში დაკარგა სამსახური, სამი ათასი კი ემიგრაციაში წავიდა.

1948 წლის თებერვლამდე ჩეხოსლოვაკია აღმოსავლეთ ევროპის ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელიც უშუალოდ არ იყო ოკუპირებული წითელი არმიის მიერ, სოლო მთავრობა კი მხოლოდ კომუნისტებით არ იყო დაკომპლექტებული. ამერიკა, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, მართალია, ჩეხი კომუნისტებისა და მათი პატრონის მხოლოდ მორალური გაკიცხვით შემოიფარგლნენ, მაგრამ გაკვეთილები ადეკვატური გამოიტანეს, მით უმეტეს, რომ 1948 წლის 17 მარტს ბრიუსელში, ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის მონაწილეობით იქმნება სოციალური და კულტურული თანამშრომლობისა და კოლექტიური თავდაცვის კავშირი, რომელიც თეორიულადაც კი ვერ მიდიოდა ახლოს საბჭოთა სამხედრო შესაძლებლობებთან. საჭირო და აუცილებელიც კი ხდებოდა საბჭოთა აგრესიული პოტენციალის ადეკვატური ორგანიზაციის დაარსება.

მეორე მხრივ, ჩეხოსლოვაკიის გადატრიალებამ ნაცვლად იმისა, რომ სტალინი დაემშვიდებინა, იგი „კუდიანებზე ნადირობის“ ეშხზე მოიყვანა: როდესაც 1948 წლის გაზაფხულზე, არათუ ერთი-ორი პარტია, არამედ მთელი „დისიდენტი“ სახელმწიფო გაჩნდა სოციალიზმის ერთიან რიგებში იუგოსლავიის სახით, ბალკანეთის პატარა

სახელმწიფოს კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ კომუნისტური იმპერიის ცენტრს დემონსტრაციულად ესროლა ხელთათმანი. იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის თავმჯდომარის, მარშალ იოსიპ ბროზ ტიტოსგან ასეთ „თავხედობას“, ცხადია, პირველ რიგში საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის „გენერალსიმუსი“ სტალინი ვერ აიტანდა. მთელ სოციალისტურ ბანაკში გამოცხადდა დაუნდობელი ნადირობა „ტიტო-რანკოვიჩის ხროვის აგენტებზე“ (ალექსანდრე რანკოვიჩი იოსიპ ბროზ ტიტოს მოადგილე იყო). ვალში არც ტიტო დარჩა და იუგოსლავიაშიც გაჩაღდა არანაკლებ სისხლიანი ტერორი „სტალინისა და ბერიას აგენტებზე“ კომუნისტების ტოტალიტარული დიქტატურის მსხვერპლ ქვეყნებში ასობით და ათასობით მაღალი რანგის კომუნისტებს ხვრეტდნენ, როგორც მოქიშპე კომუნისტური სახელმწიფოს „აგენტებს.“

უკვე ნიკიტა ხრუშჩოვის „დათბობის“ პერიოდში განთავისუფლებული, წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე, ფაშისტურ და კომუნისტურ საპყრობილეებს გამოვლილი, უნგრეთის ერთ-ერთი ახალგაზრდული ანტიფაშისტური ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელი ნეშტუ ასე იხსენებდა ჰიტლერისა და სტალინის საპყრობილეებს: „არანაირი განსხვავება არ იყო კომუნისტურ და ნაცისტურ საიდუმლო პოლიციებს შორის უხეშობისა და სისასტიკის თვალსაზრისით. ორივეგან ერთნაირი იყო წამების კამერები. განსხვავება სხვა რამეში იყო – ნაცისტები როცა გიჭერდნენ, მათ, როგორც წესი, აინტერესებდათ ცნობები თქვენს საქმიანობაზე, მეგობრებზე, თქვენს გეგმებზე და ა.შ. კომუნისტები თავს არ იწუხებდნენ ამდენი შეკითხვებით. დაგაპატიმრებდნენ თუ არა, უკვე იცოდნენ, რა ხასიათის აღიარებაზე უნდა მოგეწერათ ხელი. მე აბსოლუტურად ვერ წარმოვიდგენდი, თუ როდისმე „ამერიკის ჯაშუში“ გავხდებოდი“ (122).

კომუნისტების განსაკუთრებული ინტერესის სფეროდ იქცა ეკლესია. მათ წარმოდგენაში გაცილებით იოლი უნდა ყოფილიყო მართლმადიდებელ და ცეზაროპაპიზმის ბიზანტიურ ტრადიციებს შეგუებული (ანუ ეკლესიისა და ხელისუფლების თანამშრომლობის) ქვეყნების ეკლესიების ჩაყენება საკუთარ სამსახურში, რაც იოლი არ

აღმოჩნდა. სულ სხვა ვითარება იყო კათოლიკურ ეკლესიასთან დაკავშირებით, რომლის საერთაშორისო კავშირებიც (ვატიკანის მიერ წარმართული) კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა ფორმირების პროცესში მყოფი სოციალისტური ბანაკისათვის. გარდუვალი იყო ორი დედაქალაქის – რომისა და მოსკოვის დაპირისპირება, რომელნიც თავის მხრივ ორ საერთაშორისო ცენტრს, რწმენასა და ორ იდეოლოგიას განასახიერებდნენ. კონკრეტული და არაორაზროვანი იყო მოსკოვის სტრატეგია: კათოლიკური და ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიების მოწყვეტა ვატიკანიდან და „ეროვნულებად“ ქცეულ ეკლესიებზე გაბატონება. ეს საკითხი განიხილებოდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის, რუდოლფ სლანსკის მოხსენებაში კომინფორმის 1948 წლის ივნისის სხდომაზე. მხოლოდ ის ფაქტი გამოიყურება შავ იუმორად, რომ როდესაც ჩეხი კომუნისტების წმენდის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი ხსებულ მოხსენებას წერდა, სტალინს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მისი ბედი. სლანსკი ჩამოახრჩეს, როგორც „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ფარული მტერი“.

რუდოლფ სლანსკის ბედი გაიზიარეს ჩეხოსლოვაკიის სამხედრო დაზვერვის უფროსმა, თავდაცვის მინისტრმა (ფაშისტთა კონცბანაკის ყოფილმა ტუსაღმა) და კიდევ ასობით ცნობილმა ჩეხმა კომუნისტმა. სამუდამო პატიმრობა მიესაჯა წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთ ხელმძღვანელს გუსტავ ჰუსაკს. სტალინის მიერ დაწყებული „წმენდის“ უკანასკნელი მსხვერპლი უტრატი „ინერციით“ გაასამართლეს სტალინის სიკვდილის შემდეგ და ათი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ომის შემდგომი „სოვეტიზაციის“ პროცესი პოლონეთში განსაკუთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა. ამიტომ „ბუნებრივად“ გამოიყურებოდა ის არაადამიანურად დაუნდობელი რეპრესიები, პოლონელებს რომ თავს დაატეხა სტალინმა. სიტუაციას ისიც მატებდა დრამატიზმს, რომ სტალინს „ძველი ანგარიში“ ჰქონდა გასასწორებელი პოლონელებთან. მათ ხომ ჯერ კიდევ 1920 წელს კინაღამ სერიოზული კარიერული პრობლემაც კი შეუქმნეს მათ წინააღმდეგ მებრძოლი წითელი არმიის სამხედრო საბჭოს წევრ

სტალინს. სავარაუდოდ, სწორედ სტალინის რჩევის შედეგად უარყო 1920 წლის 16 ივლისს ვლადიმერ ლენინმა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ კერზონის ულტიმატუმი ვარშავაზე შეტევის შეჩერებისა და პოლონეთთან საზღვრის (ე.წ. „კერზონის ხაზის“) დადგენაზე. როდესაც აგვისტოში საბჭოთა რუსეთის საზიანოდ რადიკალურად შეიცვალა სიტუაცია, ლენინი იძულებული გახდა „კერზონის ხაზიდან“ გაცილებით აღმოსავლეთით გავლებულ სასაზღვრო ზოლსაც კი დათანხმებულიყო, რიგის ხელშეკრულებით. პოლონეთის საზღვრებში აღმოჩნდა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიის ნაწილი.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, „მოლოტოვ-რიბენტროპის“ პაქტის თანახმად, ახლა უკვე მოსკოვს მიეცა შესაძლებლობა საკუთარი გემოვნებით მოეხდინა პოლონეთთან საზღვრის კორექტირება. იალტაშიც იყო მსჯელობა პოლონეთის საზღვრებზე. სტალინს არც „კერზონის ხაზი“ აწყობდა და არც პოლონეთის ტერიტორიის „შეკუმშვა“, რომელსაც ის სამომავლო „სოციალისტურ ბანაკში“ მოიაზრებდა. სტალინის ხისტი პოზიციის წყალობით პოლონელებმა სიამოვნებით წაიწიეს დასავლეთის მიმართულებით, თუმცა ლვოვზე მაინც ნაწყენნი დარჩნენ. ყველაფერ ამას თუ ისტორიულ მეხსიერებასაც მიუმატებთ, გასაგები ხდება პოლონელების „სიხარული“ წითელი არმიის გამოჩენისას. ასე რომ, მართლაც „მუხლჩაუხრელი სამუშაო“ ელოდათ „ნკვდ“-ს ჯარებს პოლონეთში. ოკუპაციის პირველივე დღეებიდან დაიწყო მასობრივი რეპრესიები მთელ პოლონეთში. 1944 წლის შემოდგომისათვის პოლონეთში კიდევ ფუნქციონირებდა გერმანელთა ოკუპაციის პირობებში იატაკქვეშ შექმნილი დამოუკიდებელი პოლონეთის მთავრობა და ეროვნული ერთობის საბჭო. 1945 წლის მარტში „ნკვდ“-მ, დასმენის შედეგად, პოლონეთის იატაკქვეშეთის მთავრობის 16 წევრი დააპატიმრა. მანამდე კი, იალტის შეხვედრის შემდეგ, საბჭომ პროტესტი განაცხადა იალტის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით და საბჭოთა კავშირთან პირდაპირი მოლაპარაკებები ითხოვა. „ნკვდ“-ს გენერალმა სეროვმა მარტში გაიხსენა საბჭოს თებერვლის ინიციატივა და იატაკქვეშ მოქმედ პოლონელ

პატრიოტებს გაცნობითი შეხვედრა და „მეგობრული“ ურთიერთობების დამყარება შესთავაზა. პოლონელები დათანხმდნენ და 28 მარტს, ვარშავის მახლობლად შედგა კიდეც შეხვედრა, მხოლოდ არც თუ მთლად მეგობრული: ყველა პოლონელი ადგილზევე დააპატიმრეს და მესამე დღეს, მოსკოვში, „ლუბიანკის“ ციხეში ამოაყოფინეს თავი. უცნაურია, მაგრამ, ეტყობა, უცხო არ იყო სტალინისათვის ნოსტალგია, როდესაც პოლონელი პატიმრების გასამართლება მოსკოვში, საბჭოების სახლის სვეტებიან დარბაზში, 1937-1938 წლების გრანდიოზული სასამართლო პროცესების სტილში ჩაატარა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ამჯერად სასიკვდილო განაჩენი არავისთვის გამოუტანიათ და „მხოლოდ“ ათ-ათწლიანი „გულაგი“ ჩამოურიგეს. რაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც მებრძოლი ანტიფაშისტები იყვნენ და პოტსდამიც კარზე იყო მომდგარი.

პოლონეთში კი ადგილობრივი პარტიზანები ახალ ოკუპანტებთან ბრძოლაში იარაღს არ ყრიდნენ. ლეგალური პოლიტიკური პარტიებიდან კი მხოლოდ ერთი – პოლონეთის გლეხთა პარტია სარგებლობდა ავტორიტეტით. რაც შეეხებოდა კომუნისტებს, ისინი კიდევ კარგა ხანს რჩებოდნენ მარგინალურ ჯგუფად, რომელთაც ხელისუფლებაში დემოკრატიული გზით მოსვლის არანაირი შანსი არ გააჩნდათ. ორი ძირითადი ამოცანა იდგა პოლონეთის ახალი „პატრონების“ წინაშე: პატრიოტების წინააღმდეგობის ჩახშობა და კომუნისტური ხელისუფლების გამტკიცება. ერთიცა და მეორეც მხოლოდ დაუნდობელი რეპრესიებით იყო შესაძლებელი. ამ მხრივ მიმანიშნებელი იყო, რომ მოსკოვში დაფუძნებული განთავისუფლების კომიტეტის მიერ ახალი მთავრობის პირველივე დანიშნული წევრი, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრი იყო. მთელი ერთი წელი დასჭირდა ახლად შექმნილ სამინისტროს, რათა ანტიკომუნისტურ ძალებთან მებრძოლი ოპერატიული რაზმები შეექმნა. 1946 წლის დასაწყისისათვის პოლონეთში, გარდა მილიციისა 20 ათასიანი „უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი“ სამხედრო ძალა ამოქმედდა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ ჩეკისტებს „ნკვდ“-ს დივიზიებიც

აქტიურად ეხმარებოდნენ, პოლონელი პარტიზანები 50-იანი წლების დასაწყისამდე იბრძოდნენ

უსაფრთხოების სამინისტროს „აქტივში“ იყო 1946 წლის რეფერენდუმის, 1947 წლის არჩევნების ტოტალური გაყალბება, ინფორმატორთა სამსახურის დახვეწა და გაფართოება და ყოველდღიური დაპატიმრებები. მხოლოდ გლეხთა პარტიის 60 ათასი აქტივისტი იქნა დაპატიმრებული არჩევნების წინა კვირას.

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგებიდან იოსიპ ბროზ ტიტოს გაძევებისა და ჩეხოსლოვაკიის გადატრიალების შემდეგ, აღმოსავლეთ ევროპის მთელ სოციალისტურ ბანაკში ერთი ყაიდის სოციალისტური ტრანსფორმაცია იწყება: კომუნისტების მიერ სოციალისტური პარტიების შთანთქმა და ერთპარტიულ სისტემაზე გადასვლა, ეკონომიკური მართვის სრული ცენტრალიზაცია, ინდუსტრიალიზაციის დაჩქარება და მოსახლეობის ტოტალური დაშინება.

რა ხდებოდა ამ დროს „რკინის ფარდის“ მეორე მხარეს? დემოკრატიული დასავლეთი „შეკავების“ სტრატეგიის შემადგენელი მცდარი ტაქტიკის – საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებაზე უარის შედეგს იმკიდა. მიუხედავად ფულტონის პოლიტიკური ტრიუმფისა, ვაშინგტონი მაინც არ აღმოჩნდა მზად ბოლომდე გაესწორებინა თვალი მწარე რეალობისათვის – გაუჭრელ დიპლომატიურ კოზირად ექცია დროებითი ბირთვული მონოპოლია და ძალის პოზიციიდან „მიეპატიჟებინა“ სტალინი მოლაპარაკების მაგიდასთან. ამას მოითხოვდა ჩერჩილი პრემიერობისას და პრემიერობის შემდეგაც. „ძალის დაგროვებაზე“ დაციკლულმა იმდროინდელი მსოფლიოს უძლიერესმა სახელმწიფომ გასაოცრად მოახერხა საკუთარი თავისა და მოკავშირეების დარწმუნება (გარდა ჩერჩილისა) საკუთარი ძალის უკმარისობაში. ის, რომ „მარშალის გეგმით“ ფეხზე წამომდგარ ევროპას დაცვა ესაჭიროებოდა, აქსიომად იყო აღიარებული ვაშინგტონში, თუმცა არც ქენანი თავის დეპეშაში და არც ჩერჩილი ფულტონში არ თვლიდნენ, რომ სტალინს ახალი მსოფლიო ომი ჰქონდა ჩაფიქრებული. მეორე მხრივ, ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო გადატრიალებამ თუნდაც თეორიულ ჭრილში წარმოაჩინა ასეთი კოშმარული სცენარი: დასავლეთ

ევროპის რომელიმე ქვეყანაში, ცხადია, მოსკოვთან შეთანხმებით, კომუნისტები ჩეხოსლოვაკიაში აპრობირებული მეთოდებით მოდიან ხელისუფლების სათავეში, მოსკოვი დაუყოვნებლივ ცნობს მათ და საჭიროების შემთხვევაში ძალითაც ეხმარება. ცხრა წლის წინ ჩეხოსლოვაკიაში გადააბიჯა ჰიტლერმა „წითელ ხაზს“, რამაც თვით ჩემბერლენიც კი „ქორად“ აქცია, ჰიტლერმა კი მისთვის საბედისწერო ომი მიიღო. ათი წლის შემდეგ სტალინმა თუმცა ომი არა, მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში უძლიერესი და უვადო სამხედრო-პოლიტიკური ოპონენტი მიიღო ნატოს სახით.

1949 წლის 14 იანვარს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა პირველად გააკეთა ოფიციალური განცხადება დასავლეთ ევროპის უსაფრთხოების პრობლემაზე და უშიშროების საბჭოში კონსესუსის პრინციპით გამოწვეულ გაეროს არაეფექტურობაზე. ორი თვის შემდეგ, 18 მარტს გამოქვეყნდა ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების პროექტი. ოთხ აპრილს კი ამერიკის, კანადის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის, დანიის, ისლანდიის, იტალიის, ლუქსენბურგის, ნიდერლანდების, ნორვეგიისა და პორტუგალიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ჩდილოატლანტიკურ შეთანხმებას.

სტალინის მხრიდან პრინციპშივე იყო გამორიცხული ძალოვანი რეაგირება და მას ისღა დარჩენოდა, რომ უძლური გაღიზიანების გამომხატველი განცხადებებით დაკმაყოფილებულიყო; ჯერ საგარეო საქმეთა სამინისტრომ „ამხილა აგრესიის მზადებაში“ ახლად შექმნილი ორგანიზაცია, შემდეგ კი, ვაშინგტონში დოკუმენტზე ხელმოწერამდე ხუთი დღით ადრე, უკვე საბჭოთა კავშირის მთავრობის სპეციალური მემორანდუმი გავრცელდა, სადაც მოსკოვი „ნამუსზე აგდებდა“ გუშინდელ მოკავშირეებს: ოთხი წელი სისხლს ერთად ვღვრიდით და ახლა როგორ არა გრცხვენიათ, ჩემს წინააღმდეგ საომრად რომ ემზადებითო. ასეთი „დანამუსების“ ადრესატები ამერიკელები და ინგლისელები იყვნენ. აი, ნორვეგიის მთავრობას კი რიხიანად მოსთხოვა პასუხი მოსკოვმა ჯერ კიდევ 29 იანვარს: „საბჭოთა კავშირი გულგრილი ვერ იქნება აგრესიული ომპერიალისტური

ბლოკის პლაცდარმების საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრებთან მოახლოების გეგმების მიმართ“ – ნათქვამი იყო მიმართვაში და ოსლოს ეკითხებოდა: იღებდა თუ არა საკუთარ თავზე რაიმე პასუხისმგებლობას ნორვეგიის მთავრობა მის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განლაგებასთან დაკავშირებით? რუსულ დიპლომატიურ წყაროებში არ შემონახულა ნორვეგიის მთავრობის პასუხი, ის კი ცხადია, რომ ვიკინგების შთამომავლები არ დაფრთხნენ და გადაწყვეტილება არ შეცვალეს. ერთ რამეში არ ცდებოდა საბჭოთა უმაღლესი ხელმძღვანელობა: ალიანსი მართლაც მის წინააღმდეგ იქმნებოდა. სხვა საკითხია, მოასწავებდა თუ არა ნატოს შექმნა ომისათვის სამზადისს. რაკი ვაშინგტონში, ლონდონსა და პარიზში მიაჩნდათ, რომ მოსალოდნელი იყო შეიარაღებული ექსპანსია, რაც ადეკვატორ კონტრზომებს მოითხოვდა, დასავლეთში არც თადაცვით ომს გამორიცხავდნენ, რისთვისაც ალიანსი მზად უნდა ყოფილიყო. მსოფლიოს ერთადერთი წამყვანი ქვეყანა, რომელიც ალიანსს მიღმა რჩებოდა, საბჭოთა კავშირი იყო და მხოლოდ მასთან საომრად შეიძლებოდა შექმნილიყო მსოფლიოს ლიდერთა ბლოკი პრინციპით: „ყველა მინუს ერთი“. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ნატოს ანტისაბჭოურ არსს დიდად არც დასავლეთის პოლიტიკური წრეები მალავდნენ: ჟღერად საერთაშორისო აფორიზმად იქცა ინგლისის თემთა პალატის კონსერვატორ წრეებთან ახლოს მდგომი გენერლის, ჩერჩილის ომის დროინდელი შტაბის უფროსის და შემდეგ ნატოს პირველი გენერალური მდივნის, ლორდ გასტონ ისმეის განცხადება ალიანსის სამ მთავარ ამოცანაზე: ევროპიდან ამერიკელების არგაშვება, ევროპაში რუსების არშეშვება, გერმანელების ჭკუაზე მოყვანა.

ახლადშექმნილი ალიანსის 14 მუხლიდან მთავარი და ევროპელი წევრებისათვის განსაკუთრებით მიმზიდველი იყო (და დღემდე რჩება) მეხუთე. საერთო აზრით, ავტომატურ რეჟიმში აქვს გარანტირებული ალიანსის ნებისმიერ წევრს ორგანიზაციის გაერთიანებული სამხედრო ძალის (პირველ რიგში, ამერიკის ბირთვული იარაღის) დახმარება, თუ ვინმეს ღმერთი გაუწყრება და მასზე თავდასხმას გაბედავს. ვინაიდან თავად წესდება არ ზღუდავს ბლოკის წევრთა რაო-

დენობას, ხოლო იგივე მეხუთე მუხლში დაფიქსირებული „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების“ მცნება კი ნებისმიერი ინტერპრეტაციისათვისაა ღია, დღემდე სადაოა, თუ ალიანსის რომელ წევრს დაესხა თავს სერბეთის ლიდერი სლობოდან მილოშევიჩი, რამდენად იყო მოვლენათა ადეკვატური გაეროს უშიშროების საბჭოს სანქცია ძალის გამოყენებაზე? გარდა ამისა, მართალია, ვალდებულნი არიან ალიანსის წევრები პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები, მაგრამ ისიც შეუძლიათ, რომ თავად აირჩიონ ვალდებულებათა პროცესში მონაწილეობის ფორმა. მაგალითად, ნატოს ერთერთ დამფუძნებელს, ისლანდიას, არც 1949 წელს და არც შემდგომში არმია არ ჰყოლია. მის მთელ სამხედრო ძალას სანაპირო დაცვა, ეროვნული პოლიცია, საჰაერო თავდაცვის სისტემა და მოხალისეთა პრინციპზე შექმნილი მშვიდობისმყოფელთა საექსპედიციო კორპუსი წარმოადგენს.

პრინციპული თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირისათვის ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების ლეგიტიმაცია არანაირ სიახლეს არ წარმოადგენდა: იგივე მეხუთე მუხლში ნატოს შექმნის ხელშეკრულება სიტყვა-სიტყვით იმეორებდა გაეროს წესდების 51-ე მუხლს იმ „უმნიშვნელო“ განსხვავებიტ, რომ სამხედრო ძალით აგრესიის აღკვეთაზე გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციას საბჭოთა კავშირის თანხმობა ესაჭიროება, ალიანსს კი სულაც არ აინტერესებს მოსკოვის აზრი. სტალინისათვის არც ის წარმოადგენდა საიდუმლოებას, რომ მალე გეომეტრიული პროგრესიით დაიწყებოდა ალიანსის წესდებაში ჩადებული „ღია კარის“ პრინციპით სარგებლობის მსურველთა რიცხვის ზრდა. „ბელადი“ მხოლოდ პირველ გაფართოებას მოესწრო, როდესაც თურქეთი და საბერძნეთი მიიღეს ნატოში. გადაყლაპა კიდეც ეს მწარე აბი, მაგრამ კოშმარულ სიზმარშიც ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ პირველი კომუნისტური იმპერიის მიერ ასეთი ჯაფით, სისხლითა და უძილო ღამეებით შექმნილი „სანიტარული კორდონი“ მისი თაობის სიცოცხლეშივე მოირღვეოდა.

როდესაც 1952 წლის 25 მარტს ნატოს პირველი გენერალური მდივნის პოსტი 65 წლის ინგლისელ არისტოკრატს, უორმინგტონის

პირველ ბარონს, ისმეის შესთავაზეს, მან ახლად შექმნილ თანამდებობაზე უარი განაცხადა – ალიანსი უზომოდ ბიუროკრატიზირებულ, ხოლო შეთავაზებული პოსტი ბუტაფორიულად ჩათვალა. თუ არა ჩერჩილის მონდომება და კოლოსალური პირადი ავტორიტეტი, ვაშინგტონს სხვა გენერალური მდივნის მოძებნა მოუწევდა, მაგრამ ჩერჩილმა, რომელსაც დიდი ხნის პირადი ურთიერთობა აკავშირებდა წუნია გენერალთან, შესძლო ისმეის დათანხმება. ეტყობა, სერ უინსტონისათვის არც ის ფაქტი იყო უმნიშვნელო, რომ ჯერ კიდევ 1933 წელს, ახალგაზრდა ისმეი დიდი ბრიტანეთის გენერალური შტაბის დაზვერვის ოფიცერი იყო და მისი „სამწყემსო მეურნეობა" საბჭოთა კავშირს, პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებს მოიცავდა, ხოლო 1938 წლიდან კი უკვე თავდაცვის საიმპერიო მდივნის თანამდებობა ეკავა. ერთი სიტყვით, ისმეი მართლაც რომ იდეალური კანდიდატი იყო. მის დროს გახდნენ ალიანსის წევრები ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყნები, როგორნიც არიან თურქეთი, საბერძნეთი, დასავლეთ გერმანია. პირველი ორის წევრობიტ ნატომ საიომედოდ გაიმაგრა „სამხრეთი ფლანგი". ევროპაში კომუნისტური ექსპანსიის შიშის პირობებში, სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის უსაფრთხოებას მართლაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ნატოში გაწევრიანებით გახდა სამოქალაქო ომის შედეგების მოკლე დროში აღმოფხვრა საბერძნეთში. თურქეთი კი ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდა მოსკოვის პერმანენტული ზეწოლისა და ღია მუქარისაგან. მოსკოვი უნდა შეგუებოდა სტრატეგიულ საზღვაო მარშრუტებზე კონტროლის იმედის გაქრობას.

1955 წლის ექვს მაისს ნატოს წევრი გახდა დასავლედ გერმანია. გაწევრიანებას რამდენიმეწლიანი რთული მოლაპარაკებები უძღოდა წინ, ვინაიდან ჯოჯოხეთს გამოვლილი გერმანელების თვალში ნებისმიერი სამხედრო კავშირი რეფლექსურად იწვევდა ბერლინი-რომი-ტოკიოს „ღერძთან" ასოცირებას.

ალიანსის შემდეგი, „ცივი ომის" წლებში უკანასკნელი გაფართოება 1982 წლის 30 მაისით დათარიღდა, როდესაც ესპანეთი კი გახდა ალიანსის წევრი, მაგრამ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის პროტეს-

ტის გამო, მთავრობამ თავი შეიკავა გაერთიანებულ სამხედრო სტრუქტურის წევრობისაგან. მხოლოდ 14 წლის შემდეგ, როდესაც ნატოს გენერალური მდივანი ესპანელი არისტოკრატი ჰავიერ სოლანა იყო, ქვეყნის პარლამენტი ბლოკის სრულუფლებიან წევრობას დათანხმდა.

ბერლინის კედლის დაცემამ და ვარშავის ორგანიზაციის ლიკვიდაციამ არა მხოლოდ ძალთა ბალანსი შეცვალა ევროპაში, არამედ უკვე მორღვეული „რკინის ფარდის" პირობებში ალიანსის ტალღისებური გაფართოების რეალური პერსპექტივაც შექმნა. 1997 წლის მადრიდის შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებით, გაწევრიანებაზე მოლაპარაკება დაიწყო უნგრეთთან, ჩეხეთთან და პოლონეთთან. 1999 წლის 12 მარტს ეს ქვეყნები იქცნენ პირველ მერცხლებად უკვე ყოფილი სოციალისტური ბანაკიდან. 2004 წლის 29 მარტს მათ შეუერთდნენ ბულგარელები, ლატვიელები, ლიტველები, ესტონელები, რუმინელები, სლოვაკები და სლოვანები. ეს იყო ნატოს ისტორიაში ყველაზე მასშტაბური გაფართოება.

ევროატლანტიკური უსაფრთხოების ეფექტური სისტემის შექმნის პარალელურად ევროპაში გერმანიის „დაბრუნების" პროცესი მიმდინარეობდა. ვინაიდან გარკვეული დროის მანძილზე არარეალისტურად გამოიყურებოდა დასავლეთ გერმანიის ინტეგრაცია საერთო ევროპული უსაფრთხოების სტრუქტურებში – პირველ რიგში საფრანგეთის ფართო საზოგადოებრიობა არ იყო მზად საამისოდ, პარიზის ინიციატივით, საინტეგრაციო პლატფორმად ეკონომიკის სფერო იქნა შერჩეული. ინტეგრაციის მთავარი ინიციატორი და პოლიტიკური ლობისტი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, რობერ შუმანი იყო. იგი სერიოზული ავტორიტეტითა და აქტიური მხარდაჭერით სარგებლობდა ვაშინგტონისა და ბრიუსელის გავლენიან წრეებში, თუმცა არც ინტეგრაციის მოწინააღმდეგეები იყვნენ „უპატრონონი": გოლისტები, რომელთაც ანგარიშგასაწევი ფრაქცია გააჩნდათ ეროვნულ კრებაში, ფხიზლად იდგნენ საფრანგეთის სუვერენიტეტის სადარაჯოზე და გააფთრებულნი ეწინააღმდეგებოდნენ ინტეგრაციით მოსალოდნელი სუვერენიტეტის შეზღუდვის ნებისმიერ მცდელობას. თავისი საათის

მომლოდინე დე გოლის მრავალრიცხოვანი თანამოაზრეებისათვის კატეგორიულად მიუღებელი იყო ამერიკის გავლენის ზრდა საფრანგეთის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაზე.

საფრანგეთთან ინტეგრაციაზე დებატები მწვავედ მიმდინარეობდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც: გერმანელ მემარჯვენე რადიკალებს გაგონებაც არ სურდად ახლად აღდგენილი სუვერენიტეტის ინტეგრაციით შეზღუდვაზე. მათი ოცნება იყო „კომუნისტების მმართველობაში აღმოჩენილი 18 მლნ. გერმანელის განთავისუფლება“ (იგულისხმება აღმოსავლეთ გერმანია – გდრ) და არა ახალი ვალდებულებები. არასრული ორი ათეული წლის მანძილზე ისტორიულ გზაჯვარედინზე მეორედ აღმოჩენილ გერმანელებს კანცლერ ადენაუერის სახით ნამდვილად გაუმართლათ – 73 წლის ასაკში კანცლერად არჩეულ (მხოლოდ ერთი, ალბათ, საკუთარი ხმის უპირატესობით) ადენაუერს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მხოლოდ დასავლელ პარტნიორებთან ინტეგრაციის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი გერმანელი ერის ყველა თანდაყოლილი რესურსის სრული მატერიალიზაცია და აღმოსავლელ გერმანელებისათვის მიმზიდველი ეკონომიკური აღორძინება და კეთილდღეობა.

ინტეგრაციისათვის ხელშემწყობ გარემოს ქმნიდა ისიც, რომ 50-იანი წლების დასაწყისში, დასავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნების უმრავლესობაში კათოლიკური (ქრისტიან-დემოკრატიული) პარტიის წარმომადგენლები იყვნენ ხელისუფლების სათავეში, რაც როგორც მინიმუმი, იდეური ერთობის ატმოსფეროს ქმნიდა. ასეთ ვითარებაში, 1950 წლის 9 მაისს, შუმანმა პირველად წარუდგინა ფართო საზოგადოებრიობას ამერიკელებთან და დასავლეთ გერმანელებთან უკვე განხილული, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ინტეგრაციის გეგმის სამუშაო ვარიანტი.

პროექტის რევოლუციური სიახლე იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მრავალმხრივი ორგანოს ფორმირებას ითვალისწინებდა, რომლის მმართველობაშიც უნდა გადასულიყო დასავლეთ ევროპაში ქვანახშირისა და ფოლადის მოპოვება და წარმოება, მეტალურგიისა და ენერგეტიკული ბაზრის განვითარება. ქვანახშირისა და ფოლადის

საერთოევროპული ბაზრის შექმნის ინტერესებიდან გამომდინარე, პარიზი და ბონი საკუთარი სუვერენიტეტის შეზღუდვას უნდა შეგუებოდნენ. „შუმანის გეგმაზე“ მოლაპარაკებები, რომელიც 1950 წლის ივნისიდან, 1951 წლის აპრილამდე მიმდინარეობდა, ევროპული დიპლომატიის ბრწყინვალე გამარჯვებით – 1951 წლის 18 აპრილის „ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების“ ხელშეკრულების გაფორმებით დამთავრდა. გაერთიანებაში გაწევრიანდნენ საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იტალია და ბენილუქსის ქვეყნები. წევრობაზე უარი თქვა დიდმა ბრიტანეთმა.

„ქვანახშირის მოპოვებისა და ფოლადის წარმოების გაერთიანება“ მართლაც ზესახელმწიფოებრივ ინსტიტუტად იქცა. მისი მუშა ორგანოები გახდნენ მინისტრთა საბჭო და ასამბლეა. უკანასკნელის ფორმირება ხდებოდა წევრ-სახელმწიფოთა პარლამენტარებიდან წევრთა დელეგირებით და პირდაპირი არჩევნებით. პარლამენტის შიგნით დეპუტატთა ორგანიზება ხდებოდა მხოლოდ პარტიული პრინციპით: თავიანთ ფრაქციებს ქმნიდნენ სოციალ-დემოკრატები, ქრისტიან-დემოკრატები, ლიბერალები და ა.შ. მინისტრთა საბჭო კომპლექტდებოდა წევრ-სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა ან ეკონომიკის მინისტრებისაგან. უმეტეს შემთხვევაში, გადაწყვეტილებები მიიღებოდა ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუმცა იმ პირობით, რომ უმრავლესობის რიგებში უნდა ყოფილიყვნენ იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომელთა ხვედრითი წილი გაერთიანების პროდუქციის 20 პროცენტზე ნაკლებს არ შეადგენდა. ეს კი ფაქტიურად იმას მოასწავებდა, რომ არც ერთი გადაწყვეტილება არ იქნებოდა მიღებული პარიზისა და ბონის თანხმობის გარეშე. სადამფუძნებლო დოკუმენტების ძალით, გაერთიანება საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ცხადდებოდა, რაც კი უკვე იმას ნიშნავდა, რომ იგი ხდებოდა ისტორიაში პირველ რეალურად ინტეგრირებულ გაერთიანებად.

1950-იანი წლების დასაწყისიდან ვაშინგტონში შესაძლებლად მიაჩნდათ ევროინტეგრაციის პროცესში დასავლეთ გერმანიის მაქსიმალური, ანუ სამხედრო თვალსაზრისიდაც, ჩართვის შესაძლებლობა, თუმცა თეთრი სახლი დარწმუნებული იყო, რომ უკეთესი იქნებოდა,

თუ ასეთი ინიციატივა რომელიმე ევროპელი მოკავშირიდან (ჯობდა, საფრანგეთიდან) წამოვიდოდა. ამავე დროს ამერიკელები გაგებით ეკიდებოდნენ იგივე ფრანგების ბუნებრივ შიშსა და მწვავე რეაქციას, როგორც კი დღის წესრიგში დგებოდა ამა თუ იმ ფორმით გერმანიის სამხედრო პოტენციალის რეანიმაცია. შექმნილ სიტუაციაში ოპტიმალურ ვარიანტად გამოიყურებოდა გერმანიის ჩართვა ისეთ სამხედრო-პოლიტიკურ ინტეგრაციულ პროცესში, რომლის მექანიზმიც რეალურ კონტროლს დაუმორჩილებდა გერმანელების სავარაუდო „თვითშემოქმედებებს" აღნიშნული მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად იქცა 1950 წლის ოქტომბერში, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის რენე პლევენის მიერ ეროვნულ კრებაში განსახილველად წარდგენილი პროექტი. პრემიერის ინიციატივა ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შექმნას ითვალისწინებდა ზეეროვნული სარდლობით. სამომავლოდ უკანასკნელი უკვე არსებულ ეკონომიკურ გაერთიანებას უნდა შერწყმოდა.

1950 წლის დეკემბერში ნატოს საბჭოს სესიაზე მოწონებული იქნა პლევენის პროექტი. ამავე დროს ნატოს ხელმძღვანელობას არ სურდა, რომ სავარაუდო „ევროპული არმია" დამოუკიდებელ სტრუქტურად ქცეულიყო. ფრანგებს მარტივად აუხსნეს, რომ ნებისმიერი ახლად შექმნილი თავდაცვითი სტრუქტურის მთავარი და კურსის განმსაზღვრელი ორგანო მხოლოდ ნატო შეიძლებოდა ყოფილიყო. დეკემბრის სესიაზევე მიღებული გადაწყვეტილებით გაუქმდა ადრე შექმნილი დასავლეთ ევროპის სამხედრო ორგანიზაცია (ბრიუსელის პაქტი), ვინაიდან იგი ნატოს შეერწყა. რაც შეეხებოდა რენე პლევენის იდეას, მისი რეალიზაციისათვის საკმარისი არ იყო ნატოს დადებითი შეფასება. არც ის აღმოჩნდა საკმარისი, რომ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს დასავლეთ გერმანიის, იტალიისა და ბენილუქსის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა.

მეორე მხრივ, გერმანიასთან დაკავშირებით დასავლელ მოკავშირეთა მიერ გამოხატული არაორაზროვანი პოლიტიკა საბჭოთა დიპლომატიის გააქტიურების მიზეზად იქცა: 1950 წლის ნოემბერში მოსკოვმა პოტსდამის შეთანხმებათა შედეგების შემოწმება (ძირითადად,

დემილიტარიზაციაზე) მოითხოვა. წინასწარი მოლაპარაკებები კი პარიზში დაიწყო 1951 წლის მარტში და ივნისამდე გასტანა. ცხადია, უშედეგოდ. უკვე შემოდგომაზე კი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ საერთოგერმანული არჩევნების ჩატარება მოითხოვა, მაგრამ თვითონვე მოახდინა საკუთარი ინიციატივის ტორპედირება, როდესაც კატეგორიული უარი განაცხადა გაეროს მეთვალყურეობაზე.

დასავლეთზე გენერალური დიპლომატიური შეტევა კი სტალინმა 1952 წლის 10 მარტს წამოიწყო ე.წ. „სამშვიდობო ნოტით". კერძოდ, მან პარიზს, ლონდონსა და ვაშინგტონს სპეციალური ნოტით მიმართა გერმანიის გაჭიანურებული პრობლემის გადაჭრის მიზნით. ნოტამ მომენტალურად გადაფარა და დაჩრდილა სოციალისტური აღმოსავლეთიდან წამოსული სხვა ყველა დიპლომატიური ინიციატივა. პირველივე შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ „ყინული დაიძრა" და გერმანიის გაერთიანების პერსპექტივის რეალური კონტურები გამოჩნდა.

სტალინის ძლიერ პროპაგანდისტურ არგუმენტს წარმოადგენდა ომის დამთავრებიდან შვიდი წლის შემდეგაც გადაუჭრელი გერმანიის დილემა. მოსკოვი გერმანიის ერთობის მთავარ ქომაგად გამოდიოდა. საბჭოთა კავშირი ითხოვდა უქმად აღარ დაეკარგათ დრო და ოპერატიულად შეედგინათ სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც სპეციალურ კონფერენციაზე უნდა განხილულიყო. გამარჯვებულებთან ერთად, გერმანიასაც უნდა მიეღო მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში, რათა ვერსალში დაშვებული შეცდომა აღარ გამეორებულიყო. უკანასკნელი კი შეუძლებელი იქნებოდა ერთიანი გერმანიის მთავრობის შექმნის გარეშე. ნოტას თან ახლდა სამომავლო სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტი, რაც პრაქტიკულად მოსკოვის დიპლომატიური დემარშის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენდა. პროექტის პრეამბულის მიხედვით, გერმანია უნდა ყოფილიყო „ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო." ცხადია პოტსდამის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ახალ გერმანიაში დაუშვებელი იქნებოდა „დემოკრატიისა და მშვიდობის შენარჩუნების" საწინააღმდეგო ორგანიზაციების არსებობა. სა-

ინტერესოა ის ფაქტიც, რომ საბჭოთა პროექტის მიხედვით, ქვეყანაში სრული მოქალაქეობრივი უფლებებით ისარგებლებდნენ ყოფილი სამხედროები და ყოფილი ნაცისტები, თუ ისინი პატიმრობაში არ იმყოფებოდნენ. გერმანია ვალდებულებას კისრულობდა არ გაწევრიანებულიყო ომში თავისი მტრების წინააღმდეგ შექმნილ ბლოკებსა თუ კოალიციებში, რაც პრაქტიკულად სახელმწიფო ნეიტრალიტეტის ტოლფასი იყო. ყოველგვარ აზრს კარგავდა დასავლეთ გერმანიის დასავლურ სამხედრო ბლოკში ინტეგრაციის პერსპექტივა, რაც ადენაუერის საგარეო პოლიტიკის ორიენტირი იყო. სანაცვლოდ პროექტი ითვალისწინებდა გერმანიის თავდაცვისათვის საჭირო რაოდენობის სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალების შექმნას. მას აგრეთვე უფლება ეჭნებოდა შეექმნა საკუთარი თავდაცვითი მრეწველობა. სახელმწიფო საზღვრები დგინდებოდა პოტსდამის გადაწყვეტილებათა მონაცემებით. ვინაიდან საზღვრების თაობაზე პოტსდამის გადაწყვეტილებებს „წინასწარი“ ხასიათი ჰქონდა და არ იყო საერთაშორისო სამართლით გამტკიცებული, სტალინს სურდა საბოლოო სასიათი მიეცა ოდერ-ნოისეზე საზღვრისათვის, რასაც დრო და დრო ეჭვის ქვეშ აყენებდნენ დასავლელი მოკავშირეები. საზღვარი ოდერ-ნოისეზე და ნეიტრალიტეტი ის ფასი იყო, რასაც სტალინი გერმანიის გაერთიანების სანაცვლოდ თხოულობდა.

ზომიერი იყო ფასი სტალინის ანგარიშით და მისაღები უნდა ყოფილიყო ვაშინგტონისა და ლონდონისთვის (გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა პარიზის პოზიციას). ამ თვალსაზრისით, არ ცდებოდა ღრმა ანალიზისა და „რეალპოლიტიკის“ დიდოსტატი სტალინი, მაგრამ სწორედ იქ წააწყდა გადაულახავ წინააღმდეგობას, სადაც ყველაზე ნაკლებად ელოდა: საქმე ის იყო, რომ 1952 წლისათვის აღარც ვაშინგტონისა და აღარც ლონდონისათვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა შეთანხმების ფასს (ეს მხოლოდ ადენაუერისათვის რჩებოდა პრიორიტეტად). ომისშემდგომ პერიოდში, სამხრეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დაგროვილმა გამოცდილებამ სულ სხვა, სტალინისათვის უცხო და გაუგებარ სიბრტყეში გადაიტანა საბჭოთა კავშირთან ნებისმიერი შეთანმების რეალური ფასის – ნდობის პრობლე-


მა. დასავლეთში უკვე აღარავის სჯეროდა სტალინის არც სიტყვისა და არც ხელმოწერის. დასავლეთის თმენის უკანასკნელ წვეთად კი ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო გადატრიალება იქცა. 4-5 წლით ადრე, ალბათ ვაშინგტონსა და ლონდონშიც სერიოზულად აღიქვამდნენ სტალინის სენსაციურ ინიციატივას. იმ სიჯიუტის ფონზე, სტალინი რომ სატელიტურ რეჟიმს ქმნიდა აღმოსავლეთ გერმანიაში, მისი შეთავაზება მართლაც სენსაციური იყო, მაგრამ დასავლეთს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება „შეკავებაზე“ და აღარანაირ „სენსაციას“ აღარ შეეძლო მისი შეცვლა, რაც 25 მარტის საპასუხო ნოტით გახდა კიდეც ცხადი: დასავლელი მოკავშირეები კატეგორიულად უარყოფდნენ იძულებითი ნეიტრალიტეტის იდეას და თვლიდნენ, რომ გერმანელ ხალხს უნდა ჰქონოდა უფლება თითონ განესაზღვრა საკუთარი საგარეო პოლიტიკა. იქვე იმასაც შეახსენებდნენ სტალინს, რომ პოტსდამში არ მიუღიათ საბოლოო გადაწყვეტილება გერმანიის საზღვრებზე და სავარაუდო კონფერენციას ეს საკითხიც უნდა განეხილა.

1-სა და 7 აპრილს კიდევ შედგა ნოტების გაცვლა, მაგრამ ეს უკვე ორივე მხრიდან პროპაგანდისტული სვლები იყო. ათეული წლების მანძილზე მხოლოდ სტალინის პირველი ნოტა რჩებოდა საკამათოდ: რამდენად იყო იგი გულწრფელი თავის „სამშვიდობო დიპლომატიაში“? ექსპერტი, რომელსაც დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ათი მარტის ნოტის ანალიზი და დასკვნა დაავალა, ახალბედა სპეციალისტი არ იყო: რიჰარდ ფონ აჰენბაჰს 1935 წლამდე, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა. მისი დასკვნა საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა ოფიციალური ბონის პოზიციას, თუმცა ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ადენაუერისათვის. მან ფსონი, გერმანიის სულ სხვაგვარი დიპლომატიით გაერთიანებაზე დადო და გაიმარჯვა კიდეც... 50 წლის შემდეგ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, საბჭოთა არქივების ნაწილობრივი გახსნის შემდეგ, ბევრი დასავლელი სპეციალისტი დაინტერესდა „სამშვიდობო ნოტის“ რეალური მიზნებით. პირველწყაროთა ძებ-

ნაში სხვებზე მეტად ავსტრიელ ისტორიკოსს რუგენტალერს გაუმართლა, რომელმაც რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი მოიძია „მოლოტოვის ფონდში.“ მისი დასკვნით, სტალინის ნოტა დაბაბულობის განმუხტვისა და გერმანიის გაერთიანების სერიოზულ მცდელობას არ წარმოადგენდა: ის თავიდანვე იყო ჩაფიქრებული, როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნატოში გაწევრიანების დამბლოკავი დიპლომატიური სვლა. ასეთივე სათაურით გამოსცა მან თავისი წიგნი „სტალინის დიდი ბლეფი“ რასაკვირველია, ბლეფი და შანტაჟი უცხო არ ყოფილა კრემლის (ისევე როგორც მსოფლიოს ყველა დროის დედაქალაქების) დიპლომატიურ პრაქტიკაში, მაგრამ არც იმ ფაქტის თუ ფაქტების იგნორირება შეიძლება, რომელთაც მართლაც შეიძლება მიეყვანა მუდამ მხოლოდ ცივი გონებით მოაზროვნე და მოქმედი სტალინი იმ დასკვნამდე, რომ ომის შემდეგ ძალთა ბალანსი „კაპიტალისტური ბანაკის“ სასარგებლოდ იცვლებოდა. მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში განთავსებული ამერიკის სამხედრო ბაზები და გიგანტური ავიამზიდების მშენებლობაზე აღებული კურსი, პლიუს ამოუწურავი სარესურსო ბაზა, კრემლს განსჯისათვის მდიდარ ინფორმაციას აწვდიდა. იგივე „სამშვიდობო ნოტას“ წინ უსწრებდა სან-ფრანცისკოში 1951 წლის 1 სექტემბერს გაფორმებული, ღიად საბჭოთა კავშირის შეკავებაზე გათვლილი სამხედრო კავშირი ავსტრალიის, ახალი ზელანდიის და ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით (ანზიუსი), რომლის გასაჯაროებული მიზნები ეჭვს არ ტოვებდა პაქტის ხასიათზე. ანზიუსი სულ ერთი კვირით უსწრებდა იგივე ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მიერ იაპონიასთან გაფორმებულ, ასევე დემონსტრაციულად სეპარატისტულ სამშვიდობო ხელშეკრულებას. ასევე დემონსტრაციულ (მიუხედავად გამომწვევი მიზეზებისა) ხასიათს ატარებდა იაპონიის რამდენიმე მოწინააღმდეგესა (პირველ რიგში, ამერიკას) და ტოკიოს შორის 1951 წლის 8 სექტემბერს სან-ფრანცისკოში ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულება. უკმაყოფილების რეალური მიზეზი ჰქონდათ იაპონიასთან ომში გამარჯვებულ, საბჭოთა კავშირის გარდა, სხვა ქვეყნებსაც (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ინდოეთს, ბირმას და სხვებს), რომელთა

აზრით, ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა მათ ინტერესებს. პროტესტის ნიშნად მათ დოკუმენტს ხელი არ მოაწერეს. იაპონიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის შემდეგ ქვეყანა დაუცველი რჩებოდა და ტოკიომ თავდაცვისათვის (ვისგან?) საჭირო ამერიკული სამხედრო შენაერთების დატოვების თხოვნით მიმართა ვაშინგტონს, რაც ორ ქვეყანას შორის უსაფრთხოების ხელშეკრულების სახით გაფორმდა კიდეც. ხელშეკრულების პირველივე მუხლში იყო აღნიშნული, რომ იაპონია ამერიკის შეერთებულ შტატებს სთავაზობდა, უკანასკნელი კი თანხმდებოდა თავისი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სამხედრო ნაწილები განეთავსებინა იაპონიასა და მის მახლობლად. რაც განსაკუთრებით საინტერესო უნდა ყოფილიყო მოსკოვისათვის, ვაშინგტონი არა მხოლოდ იაპონიის, არამედ მთელ შორეულ აღმოსავლეთში საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის ფუნქციას კისრულობდა. ყველაფერი ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ ამერიკელები საჯარო დიპლომატიური გზავნილებით მიანიშნებდნენ მოსკოვს სამოკავშირეო რეჟიმის შეწყვეტაზე. ამ ფონზე შეიძლება მართლაც ბლეფადაც კი გამოიყურებოდეს სტალინის დაგვიანებული სამშვიდობო ინიციატივა, თუმცა მეორე მხრივ, სტალინის ბუნებიდან და „უნარ-ჩვევებიდან" გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია დადასტურებულ ფაქტად მივიჩნიოთ ნებისმიერი ვერსია „სამშვიდობო ნოტის" ანატომიასა და მოტივაციაზე. ეს კიდევ ერთ ამოუცნობ საიდუმლოებად დარჩება ამ არაორდინალური დიქტატორის წინააღმდეგობებით აღსავსე მმართველობის მდიდარ ქრონიკებში. მით უმეტეს, რომ 1953 წლის ორ მარტს „დიდი სამეულის" მეორე გიგანტმა ცოდვილი სამყარო მიატოვა – იოსებ ჯუღაშვილ-სტალინს, ისევე, როგორც ფრანკლინ რუზველტს, ტვინში სისხლი ჩაექცა და გარდაიცვალა. საბჭოთა იმპერია მეორედ რჩებოდა ბელადის გარეშე.



ნიკიტა ხრუშჩოვი
(1894-1971)
სკკპ კომპარტიის პირველი მდივანი 1953-1964 წლებში,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 1958-1964 წლებში

თავი ოცდამეერთე
დიქტატურიდან „ვოლუნტარიზმამდე“

წარმოუდგენლად რთული პოლიტიკური მემკვიდრეობა დაუტოვა სტალინმა იმპერიის მართვისათვის მოუმზადებელ მემკვიდრეებს. გარდა იმისა, რომ ვერც ერთი მათგანი ახლოსაც კი ვერ მივიდოდა მასთან ვერც ჭკუით, ვერც ნებისყოფისა და ნერვების სიმტკიცით, ვერც სტრატეგიული და ტაქტიკური გათვლების უნარითა და ვერც სისასტიკით, პათოლოგიურად ეჭვიანმა „ხაზეინმა“ მემკვიდრეზე ირიბი მინიშნებაც კი არ დატოვა. თუ საშინაო პოლიტიკას შეეძლო გარკვეული დროით ინერციის რეჟიმში ფუნქციონირება, საგარეო პო-

ლიტიკაში ყურადღების მოდუნება და ტემპის შენელება სერიოზულ რისკებთან იყო დაკავშირებული. კრემლში იმასაც შიშობდნენ, რომ ვაშინგტონს შეეძლო მომენტით ესარგებლა და სამხედრო ძალით გამაგრებული მასშტაბური დიპლომატიური კამპანიით, მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის რადიკალური შეცვლა ეცადა. ვინაიდან საბჭოთა კავშირის ახალი ხელმძღვანელობის პირველი სერიოზული დიპლომატიური აქცია კორეაში ომის დამთავრებასთან იყო კავშირში, უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ეს ავანტიურა მიაჩნდათ ყველაზე საშიშად კრემლში.

კორეის ომის დამთავრებიდან მოკლე დროში წამოწყებულმა ვიეტნამის კამპანიამ სწრაფად გადაფარა თავისი მასშტაბითა და დრამატიზმით კორეის ომი და სტალინის მემკვიდრეებს „ფორმაში შესვლის“ დრო მისცა. კორეის კონფლიქტს მალე „დავიწყებულ ომადაც“ კი მოიხსენიებდნენ, თუმცა მისმა შედეგებმა უდიდესი მნიშვნელობა იქონია ამერიკის სამხედრო-სტრატეგიულ დაგეგმარებასა და საფრთხეთა პრიორიტეტების კორექტირებაზე.

1910 წლიდან მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე კორეა იაპონიის კოლონია იყო. როდესაც 1945 წლის რვა აგვისტოს მოსკოვმა ომი გამოუცხადა იაპონიას, წითელი არმია ჩრდილოეთიდან შევიდა კორეაში, ამერიკელები ნახევარკუნძულის სამხრეთში გადასხდნენ. მოსკოვი და ვაშინგტონი საოკუპაციო ზონების გაყოფაზე შეთანხმდნენ: 38-ე პარალელის ჩრდილოეთით იაპონელები წითელ არმიას ჩაბარდნენ ტყვედ, სამხრეთით – ამერიკელებს.

1945 წლის დეკემბერში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა ხელი კორეის დროებით მართვაზე შეთანხმებას მოაწერეს. სამხრეთში არჩევნები ჩატარდა და ლი სინმანის მეთაურობით მთავრობა შეიქმნა. ჩრდილოეთში საბჭოთა კავშირმა კომუნისტებსა და მათ ბელადს კიმ ირსენს გადასცა ხელისუფლება. ანტიჰიტლერული კოალიციის წევრების ვარაუდით, ახლო მომავალში კორეა არჩევნების შედეგად უნდა გაერთიანებულიყო, მაგრამ „ცივმა ომმა“ ეს შეუძლებელი გახადა. 1947 წელს, როდესაც უკვე ნათელი იყო, რომ ვაშინგტონი და მოსკოვი ვერ შეთანხმდებოდნენ არჩევნების პროცე-

დურასა და მეთვალყურეობაზე, ტრუმენის შუამდგომლობით, გაერომ იკისრა კორეის მომავალზე ზრუნვა. ამავე დროს, ლი სინმანიც და კიმ ირსენიც ღიად აცხადებდნენ პრეტენზიას საკუთარი მმართველობის ქვეშ ქვეყნის გაერთიანებაზე. 1948 წელს მიღებულ ჩრდილოეთისა და სამხრეთის კონსტიტუციებში საგანგებოდ იყო მითითებული გაერთიანების (ანუ ერთი ნაწილის მეორესთან მექანიკურად მიერთების) აუცილებლობა, რასაც თავიდანვე კონფრონტაციულ რეჟიმში გადაჰყავდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ურთიერთობა. ჩრდილოეთ კორეის კონსტიტუციაში დედაქალაქად დასახელებული იყო სამხრეთის დედაქალაქი სეული, ხოლო ფხენიანი „დროებით დედაქალაქად“ ცხადდებოდა – სეულის „განთავისუფლებამდე.“ ამავე დროს, 1949 წელს, ნახევარკუნძული დატოვეს მოკავშირეთა ჯარებმა. სიტუაცია კი დღითი-დღე იძაბებოდა.

კორეის მოვლენებს ყურადღებით აკვირდებოდა კომუნისტური ჩინეთიც. მაო ძედუნი შიშობდა, რომ აზიაში ამერიკის გავლენის ზრდას რეგიონში ძალთა თანაფარდობის რყევები შეიძლება მოჰყოლოდა, რაც ხელს შეუშლიდა ტაივანიდან (სადაც ჩან კაიში იყო გამაგრებული) გომინდანის განდევნას და კუნძულის მატერიკთან მიერთებას.

როგორც კი კორეის ნახევარკუნძული უკანასკნელმა ამერიკელმა ჯარისკაცმა დატოვა, ჩრდილოელმა კომუნისტებმა იწამეს, რომ სამხრეთის „გაწითლების“ დრო მოვიდაო. კიმ ირსენისათვის „ჭეშმარიტების მომენტად“ იქცა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის დინ აჩესონის საჯარო განცხადება წყნარი ოკეანის რაიონში ამერიკის თავდაცვითი პერიმეტრის თაობაზე. აჩესონის ინტერპრეტაციით, უკანასკნელი მოიცავდა ალეუტის კუნძულებს, იაპონიას, რიუკიუსა და ფილიპინებს, ანუ ამერიკა არ კისრულობდა კორეის დაცვას. ფხენიანში ყურადღება არ მიაქციეს იმ ნიუანსს, რომ სახელმწიფო მდივანი, ისევე როგორც რეგიონში ამერიკის ჯარების სარდალი, გენერალი დუგლას მაკარტური, ანალოგიურ განცხადებებში საბჭოთა კავშირთან ჰიპოთეტური ომის სცენარებს გულისხმობდა და არა კონკრეტულ ლოკალურ სამხედრო კონფლიქტებს. ნებისმიერ შემთხვევაში ამერიკელ პოლიტი-

კოსთა თუ სამხედროთა „დაუზუსტებელი“ განცხადებები საკმარისი არგუმენტი აღმოჩნდა კიმ ირსენის ხელში, რათა სტალინი დაერწმუნებინა, რომ თუ ჩრდილოეთი სამხრეთს გადაყლაპავდა, ვაშინგტონი გაეროს იქით არ წავიდოდა.

საინტერესო დეტალი: დიდი ალბათობით, 1950 წლისათვის სტალინი უკვე ემზადებოდა გენერალური დიპლომატიური შეტევისათვის თავისი „სამშვიდობო ნოტით“. შეუძლებელია მრავალსვლიანი გათვლების სპეციალისტს ისიც არ ევარაუდა, რომ ნოტის ამოქმედების პერიოდისათვის კიმ ირსენის ავანტურა ან „ცხელ“ სტადიაში, ან უკვე დამთავრებული იქნებოდა. ორივე ვარიანტი უკიდურესად დაძაბავდა მის ურთიერთობას დასავლეთთან – ვინ დაიჯერებდა, რომ მოსკოვს კავშირი არ ჰქონდა მისი კორეელი კლიენტის აგრესიასთან? ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი 1950-იანი წლების დასაწყისში სტალინი გულწრფელად ცდილობდა ომის დროინდელ დასავლელ მოკავშირეებთან შერიგებას, მას ამ შემთხვევაშიც ჩვეული სიფრთხილე უნდა გამოეჩინა და კიმ ირსენი შეეჩერებინა. კისინჯერი ირწმუნება, რომ სტალინი უხალისოდ დათანხმდა კიმს და მას არც სერიოზული დახმარებით ანებივრებდა ომის წლებში, მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ აგრესია მაინც შედგა. ერთი წლის შემდეგ კი სტალინმა მაო ძედუნს იარაღის საჩუქრად გადაცემის ილუზია შეუქმნა და დიდად გაანაწყენა, როცა შემდეგ ანაზღაურება მოსთხოვა და თანაც მტკიცე ვალუტაში და თანაც წინსწრებით.

კორეაში კი მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: 1950 წლის 25 ივნისს, გამთენიისას, საბჭოთა სპეციალისტების მიერ გაწვრთნილი კორეის არმია სამხრეთში შეიჭრა. იმ დროისათვის სამხრეთ კორეის არმია, ამერიკელების მიერ მომზადებულ 193 ათას ჯარისკაცს ითვლიდა. კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო ჩრდილოეთის უპირატესობა სამხედრო ტექნიკაში: 150 საბჭოური წარმოების ტანკი და 172 სამხედრო თვითმფრინავი. სამხრეთის არმიას საერთოდ არ გააჩნდა ჯავშანტექნიკა, ავიაცია კი 12 მსუბუქ სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავს ითვლიდა.

ომის დაწყების თანავე ჩრდილოეთ კორეის მთავრობამ მთელ მსოფლიოში გაავრცელა განცხადება, რომ კორეელი ხალხის „მოღალატე“. სამხრეთელი პრეზიდენტი ლი სინმანი „მუხანათურად დაესხა თავს მშვიდად მძინარე ჩრდილოელ კორეელებს“. სამ დღეში „გამოღვიძებულმა“ და საომრად მომზადებულმა ჩრდილოეთის არმიამ სეული აიღო და სამხრეთით სვლა განაგრძო. აგვისტოში ქვეყნის ტერიტორიის 90 პროცენტი უკვე კიმ ირსენის ხელში იყო.

სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ომი ტრუმენის ადმინისტრაციისათვის. 20 ივნისს, როდესაც ფხენიანიდან მუქარებმა იმატა, აჩესონმა სპეციალური მოხსენებითი ბარათით დაამშვიდა კონგრესი: კორეაში ომი გამორიცხულიაო. სახელმწიფო დეპარტამენტსა და თეთრ სახლში მართლაც იყვნენ დარწმუნებულნი, რომ თუკი სადმე გადაწყვეტდნენ კომუნისტები დასავლეთის დემოკრატია სიმტკიცეზე გამოეცადათ, პირველ რიგში ეს ევროპა იქნებოდა და არა ცხრა მთას იქით გადაკარგული ნახევარკუნძული, თანაც როდესაც სულ ერთი წელი იყო გასული სამოქალაქო ომით სისხლდაცლილ ჩინეთში მშვიდობის აღდგენიდან. მიუხედავად ამისა და იმ ფაქტისა, რომ დემობილიზაციის შემდეგ საგრძნობლად იყო დასუსტებული რეგიონში დისლოცირებული ამერიკის სამხედრო ძალა, ტრუმენს დიდი დრო არ დასჭირვებია გადაწყვეტილების მისაღებად: მან მაკარტურს უბრძანა იარაღითა და საბრძოლო აღჭურვილობით მოემარაგებინა სამხრეთ კორეის არმია, ხოლო მეშვიდე ფლოტს კი ტაივანის დაცვა დაავალა. ამით დასრულდა ჩინეთის სამოქალაქო ომში ამერიკის ჩაურევლობის პერიოდი. მართალია, იარაღის მიწოდებაზე ამერიკელებმა უარი უთხრეს ჩან კაიშის, მაგრამ მისი კუნძულის დაცვა იკისრეს, რაც გაცილებით მნიშვნელოვანი იყო.

აგრესიის დაწყების დღიდანვე, ამერიკის დელეგაციის მოთხოვნით, გაეროს უშიშროების საბჭომ კორეის საკითხი განიხილა. ვინაიდან ამ პერიოდში საბჭოთა დელეგაცია ბოიკოტს უცხადებდა უშიშროების საბჭოს (მოითხოვდა ჩინეთის ადგილი კომუნისტებს დაეკავებინათ, გომინდანელების ნაცვლად), ერთხმად გავიდა ამერიკის

დელეგაციის რეზოლუცია და ჩრდილოეთ კორეა აგრესორად აღიარეს, მასვე დაუწესდა სანქციები.

მაკარტურმა მხოლოდ 15 სექტემბერს შეძლო სიტუაციის შეცვლა კორეაში, როდესაც საზღვაო დესანტი გადასხა სეულთან ახლოს, ინჩონის პორტში და წარმატებული შეტევით ოქტომბრის დასაწყისისათვის 38-ე პარალელს მიაღწია. ოქტომბრის დამლევისათვის კი მაკარტური უკვე ჩრდილოეთის დედაქალაქში, ფხენიანში იყო. ჩრდილოეთ კორეის არმია ფაქტიურად აღარ არსებობდა და კომუნისტებისაგან მთელი ნახევარკუნძულის გაწმენდა მხოლოდ დროის საკითხი იყო. არც პეკინში ცდებოდნენ სიტუაციის შეფასებაში, გარდა ერთი გადამწყვეტი მომენტისა – მაო ძედუნს არ სჯეროდა, ან არ სურდა დაეჯერებინა, რომ გამარჯვებით წახალისებული ამერიკელები, რომელნიც, ყველაფერთან ერთად, გაეროს მანდატით მოქმედებდნენ, ხელიდან გაუშვებდნენ ხელსაყრელ მომენტს და პეკინიდან ჩინელი კომუნისტების გაყრასაც არ შეეცდებოდნენ. ამიტომ იყო, რომ ომის დაწყებისთანავე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით გავრცელებულ განცხადებაში კატეგორიული ტონით იყო ნათქვამი, რომ როგორც კი რომელიმე არაკორეული სამხედრო ნაწილი გადალახავდა 38-ე პარალელს, ჩინეთიც ჩაერთვებოდა ომში. მეტიც – როგორც კი მაკარტური ფხენიანს მიადგა, მაო ძედუნმა თავისი გადაწყვეტილება გაეროს ჩინეთში ინდოეთის ელჩის საშუალებით აცნობა. ტრუმენმა ჩინელების მუქარა ბლეფად მიიღო – მას ვერ წარმოედგინა, რომ მაო ძედუნი, რომლის მთავარი პრიორიტეტი ჩინეთის ეკონომიკის აღდგენა და დამშეული მოსახლეობის გამოკვება უნდა ყოფილიყო, ომს გაუბედავდა ბირთვულ ზესახელმწიფოს. ომში ჩართვაზე სტალინის თანხმობისა და დახმარებაზე პირობის მისაღებად პრემიერი ჯოუ ენლაი პეკინიდან სასწრაფოდ მოსკოვს გაემგზავრა.

სტალინმა პრინციპული თანხმობა კი მისცა ჯოუ ენლაის ომში ჩართვაზე, მაგრამ სამხედრო დახმარების ფორმა მხოლოდ იარაღის მიყიდვით განსაზღვრა. საბჭოთა სამხედრო თვითმფრინავებს ისე უნდა დაეცვათ ჩინეთის ტერიტორია, რომ 100 კილომეტრზე მეტად არ მიახლოვდებოდნენ ფრონტის ხაზს. ტრუმენისათვის ესეც საკმა-

რისი იყო, რათა გადაჭარბებულად შეეფასებინა სტალინის სამხედრო გეგმები და ბრძანება გასცა, ციმბირში საბჭოთა სამხედრო ბაზების ბირთვული დაბომბვისათვის ამერიკის სტრატეგიული ავიაცია მზად ყოფილიყო.

პრაქტიკულად კი მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა ტრუმენისა და მისი ადმინისტრაციისათვის ჩინეთის 300 ათასიანი არმიის შეტევა 1950 წლის 25 ოქტომბერს. მოულოდნელობის ეფექტი კი იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩინელებმა ცუნამივით წალეკეს პანიკიდ მოცული ამერიკელები და მათი მოკავშირეები. 1951 წლის ოთხ იანვარს ჩინელებმა და ჩრდილოეთ კორეის არმიიდან შემორჩენილმა ნაწილებმა სეული დაიკავეს.

1951 წლის 11 აპრილს ტრუმენმა გადააყენა გენერალი მაკარტური და მის ადგილას გენერალი მეთიუ რიჯუეი დანიშნა. პრეზიდენტს სრული საფუძველი ჰქონდა უკმაყოფილო ყოფილიყო მეორე მსოფლიო ომის გმირი გენერლით: ჯერ იყო მაკარტური ვაშინგტონთან შეთანხმების გარეშე დიპლომატიურ დონეზე შეხვდა ჩან კაიშის, მერე ჩინეთის საექსპედაციო კორპუსის შემადგენლობაზე მცდარი ცნობა მიაწოდა თეთრ სახლს და, რაც მთავარი იყო, ღიად ჩაერია მთავარსარდლის ფუნქციებში და კატეგორიულად მოითხოვა ჩინეთის ბირთვული დაბომბვა. მართალია, ტრუმენი სტალინისა და მაო ძედუნივით არ თვლიდა თავს სამხედრო სტრატეგად, მაგრამ იმაში კი ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბირთვული იარაღის გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მთავარსარდლის პრეროგატივა იყო, მასზე ყოველგვარი ზეწოლის გარეშე.

მას შემდეგ, რაც ჩინელებსა და ჩრდილოეთ კორეის შენაერთთა მიერ 16 მაისს წამოწყებული მორიგი შეტევა სრული კრახით დამთავრდა, რიჯუეი გენერალურ კონტრშეტევაზე გადავიდა მთელი ფრონტის პერიმეტრზე და კვლავ გადალახა 38-ე პარალელი. ამჯერად უკვე ტრუმენმა აუკრძალა მკაცრად რიჯუეის არ მისულიყო ჩინეთის საზღვრამდე. ბრძოლებმა პოზიციური ხასიათი მიიღო.

ვინაიდან გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია სამხრეთ კორეის აღდგენას ითვალისწინებდა ომამდელ საზღვრებში, ხოლო პე-

კინს კი სურდა ამერიკელები ან მათი მოკავშირეები არ ჰყოლოდა მეზობლად, ფორმალურად ორივე მხარეს შეეძლო ჩაეთვალა, რომ მიზანს მიაღწიეს, თუმცა ლოკალური საბრძოლო ოპერაციები კვლავ გრძელდებოდა და მსხვერპლიც (ძირითადად ამერიკელთა მხრიდან) იზრდებოდა.

1952 წლის 4 ნოემბრის არჩევნების შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი უკვე პროფესიონალი სამხედრო გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი გახდა. ჯერ კიდევ ოვალურ კაბინეტში შესვლამდე, ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა გადაწყვიტა ჩასულიყო კორეაში, ადგილზე გაცნობოდა სიტუაციას, რათა ობიექტურად და პროფესიონალურად შეეფასებინა ომის დამთავრების შესაძლებლობები. საბოლოო ჯამში, როგორც უკვე ავღნიშნეტ, სიტუაცია არა ეიზენჰაუერის ვიზიტმა, არამედ სტალინის სიკვდილმა შეცვალა. ჩინელებს ახლა უკვე პირველ რიგში სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის მექანიზმში აინტერესებდათ. კომუნისტები ითხოვდნენ, რათა ყველა ჩინელი და ჩრდილოეთ კორეელი სამხედრო ტყვე სამშობლოში დაბრუნებულიყო. ამავე დროს ბევრ ჩინელსა და კორეელს არ სურდა კომუნისტური რეჟიმის პირობებში გაეგრძელებინა ცხოვრება. ახალგაზრდა ასაკის გათვალისწინებით ისინი არც თუ უსაფუძვლოდ თვლიდნენ, რომ ამერიკაში თუ არა, მის მოკავშირე სამხრეთ კორეაში უკეთესი მომავალი ელოდათ.

მას შემდეგ, რაც 1953 წლის 5 მარტს საბჭოთა კავშირის ახალმა ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა ომის დამთავრებას, სტრატეგიული მოკავშირის გარეშე დარჩენილ მაო ძედუნს სხვა გზა აღარ რჩებოდა და დათანხმდა სამხედრო ტყვეების ნებაყოფლობით რეპატრიაციას, მხოლოდ საერთაშორისო დამკვირვებლებს უნდა განესაზღვრათ ნებაყოფლობით სამშობლოში არდამბრუნებლები.

ომის დამთავრებაზე ხელშეკრულება 1953 წლის 27 ივლისს იქნა გაფორმებული, თუმცა მას სამხრეთ კორეის წარმომადგენელმა გენერალმა ხელი არ მოაწერა. ამერიკელებისა და გაეროს დახმარებით გულმოცემულ ლი სინმანს რატომღაც სჯეროდა, რომ ასე აიძულებდა დემოკრატიულ ქვეყნებს ჩინეთთანაც კი ეომათ კორეის გაერთიანე-

ბისათვის. უშედეგოდ დამთავრდა 1954 წლის აპრილში ჟენევის სამშვიდობო მოლაპარაკებაც. 1958 წლის იანვარში კი ამერიკამ ბირთვული იარაღი განათავსა სამხრეთ კორეიში (გამოიტანა 1991 წელს).

1991 წლის 13 დეკემბერს ჩრდილოეთმა და სამხრეთ კორეიმ, გაეროს შუამდგომლობით ხელი მოაწერეს შერიგების, თავდაუსხმელობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, თუმცა 2013 წლის მარტში ფხენიანმა ცალმხრივად გააუქმა თავდაუსხმელობის შეთანხმება. იმავე წლის მაისში კი სამშვიდობო ხელშეკრულებაზე მუშაობის დაწყების სურვილი გამოთქვა. საინტერესოა, რომ გაეროს დროშით სამხრეთ კორეის დასაცავად 16 ქვეყანა იბრძოდა, აქედან 480 ათასი ამერიკელი სამხედრო იყო. ყველაზე ცოტა კი – სულ 44, იყვნენ ლუქსემბურგელები. კოალიციას თავისი სამსახური შესთავაზა ნიკარაგუამ, არგენტინამ, სუდანმა და კუბამ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო კორეიში სამხედროები არ გაგზავნეს.

კორეის ომი იყო „ცივი ომის" პერიოდის პირველი სამხედრო კონფლიქტი, რომელმაც სათავე დაუდო შემდგომ კონფლიქტებს და „ცივი ომი" გაცილებით მწვავე ფაზაში გადაიყვანა. 1993 წელს პენტაგონმა შემდეგ კატეგორიებად დაჰყო კორეაში ომის პერიოდში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ ამერიკელთა საერთო რაოდენობა: 33.686 – ბრძოლებში დაღუპულები; 2830 – არასაომარ პირობებში დაღუპულები და 17730 სამხედრო – კორეიში არა, თუმცა იმავე პერიოდში დაღუპულები. ამ რიცხვს ემატებოდა კორეის ომში უგზო-უკლოდ დაკარგული 9 ათასამდე სამხედრო.

გაცილებით დიდი იყო ჩინეთის დანაკარგი: ომში დაიღუპა 390 ათასი ჩინელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის მაო ძედუნის ვაჟი, მაო ანინი. სხვადასხვა მონაცემებით, ბრძოლებში, ავადმყოფობის, ჭრილობებისა და შიმშილისაგან სულ მილიონამდე ჩინელი დაიღუპა ომის პერიოდში. რაც შეეხებოდა ამერიკელ დაჭრილებს, სამედიცინო სამსახურმა მათი 95 პროცენტის სრული გამოჯანმრთელება შესძლო.

ომის შედეგად სერიოზულად გაუარესდა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობები: მიუხედავად იმისა, რომ ომისაკენ ჩინეთს

საკუთარი ინტერესები უბიძგებდა – არ სურდა მოშლილიყო დამცავი ბეფერი კიმ ირსენის რეჟიმის სახით, პეკინში სერიოზულად ეჭვობდნენ, რომ საბჭოთა კავშირი საკუთარ გეოპოლიტიკურ მიზნებში, ჩინელებს „საზარბაზნე ხორცად“ იყენებდა. გარდა ამისა, ჩინეთს საბჭოთა შეიარაღების საბაზრო ფასებში შეძენა უხდებოდა იმ ფულით, რომელიც მოსკოვმა მას დანგრეული სამრეწველო ობიექტების აღსადგენად კრედიტის სახით გამოუყო. მეორე მხრივ, იმ ფაქტმა, რომ ჩინეთმა დამოუკიდებლად გაბედა ამერიკას შებრძოლებოდა, თანაც არც თუ მთლად წარუმატებლად, ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი მკვეთრად გაზარდა.



გენერალი დუგლას მაკარტური, მოკავშირეთა ჯარების სარდალი კორეის ომში

ჩინეთისათვის ომის დამატებითი მიზანი იყო ქვეყნის გაერთიანება (ტაივანის მიერთება) კომუნისტური რეჟიმის პირობებში. 1950 წელს პეკინი აქტიურად ემზადებოდა კუნძულზე შესაჭრელად. მაო ძედუნისათვის ცნობილი იყო ტრუმენის პირადი ანტიპატია ჩინ კაიშის მიმართ და აქედან გამომდინარე, ნაციონალისტურ-გომინდანური ჩინეთისათვის სერიოზული სამხედრო დახმარების საკითხი თეორიულადაც კი არ იდგა. ომმა გამორიცხა დაგეგმილი დესანტის იდეა. ომის შემდეგ კი, როდესაც თეთრ სახლში გადასინჯეს რეგიონში საკუთარი სტრატეგიის სუსტი ადგილები, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამერიკის ინტერესებში იყო მატერიკული ჩინეთისაგან კუნძულის დამოუკიდებლობა. იქიდან მოყოლებული, ტაივანის დამოუკიდებლობის ერთგულ ქომაგად იქცა დინ აჩესონიც, როდესაც 14 ათასმა ჩინელმა სამხედრო ტყვემ განთავისუფლების შემდეგ უარი

თქვა სახლში დაბრუნებაზე და ტაივანში დასახლება ისურვა. მათი პირველი ნაკადი 1954 წლის 23 იანვარს მიიღეს კუნძულზე. ამის შემდეგ, 23 იანვარი ტაივანზე „თავისუფლების მსოფლიო დღედ“ აღინიშნება.

კორეის ომის შემდეგ მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში გაძლიერებული ანტიკომუნისტური განწყობილების შედეგი იყო ისიც, რომ 1970-იან წლებამდე, კაპიტალისტური ქვეყნების უმრავლესობა არ ცნობდა კომუნისტური ჩინეთს და გომინდანურ ტაივანთან დიპლომატიურ ურთიერთობებს არ წყვეტდა.

ეკონომიკური თვალსაზრისით კი, ომით ყველაზე მეტად მთელ რეგიონში იაპონიამ ისარგებლა. ომის წლებში იაპონია იქცა სამხრეთის კოალიციის მძლავრ ზურგის ბაზად. ამერიკის არმიის მომარაგების პრობლემების გადასაჭრელად მთელ იაპონიაში სპეციალური სტრუქტურები შეიქმნა, პენტაგონთან სავაჭრო ოპერაციების განსახორციელებლად. ამერიკელებმა იაპონიაში ომის საჭიროებისათვის 3.5 მილიარდი დოლარის საქონელი შეიძინეს. 1950 წლის მარტიდან 1951 წლის მარტამდე, 50 პროცენტით გაიზარდა იაპონიის მრეწველობა და 1952 წლისათვის იგი უკვე მეორე მსოფლიო ომამდელ დონეს უტოლდებოდა.



გენერალი დუგლას მაკარტური და ჯონ ფოსტერ დალესი

კორეის ომმა კიდევ უფრო მეტად დაარწმუნა ევროპის ლიდერები კომუნისტური საფრთხის რეალობაში. თუ ომამდე ევროპის დიდი ნაწილი ეჭვის თვალით უყურებდა დასავლეთ გერმანიის გადაიარაღებასა და ნატოში გაწევრიანების პერსპექტივას, ომმა და განსაკუთრებით კი ჩინეთის როლმა მკვეთრად

შეცვალა ევროპელთა დამოკიდებულება როგორც გერმანიასთან ურთიერთობის, ასევე კომუნისტურ აგრესიასთან ბრძოლის თვალსაზრისით.

პოლიტიკურად ყველა მიმართულებით წამგებიანი აღმოჩნდა კორეის ომის შედეგები საბჭოთა კავშირისათვის: მიუღწეველი აღმოჩნდა ომის მთავარი მიზანი – სტრატეგიულ რეგიონში გაერთიანებული კომუნისტური რეჟიმის გაძლიერება. ომმა დააჩქარა ამერიკა-იაპონიის სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გამყარება, დასავლეთ გერმანიის ინტეგრაცია დემოკრატიულ ევროპაში, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ბლოკების – ანზიუსისა და სეატოს შექმნა და ა.შ. ასევე მძიმე ტვირთად დააწვა ომი საბჭოთა ეკონომიკას, ვინაიდან ამერიკის სამხედრო ხარჯების ზრდას ავტომატურ რეჟიმში მოჰყვა საბჭოთა კავშირის ანალოგიური ნაბიჯები. და ბოლოს, კორეის ომის დროს დასრულდა რასობრივი გათანაბრების პროცესი ამერიკის არმიაში. აფროამერიკელთა უკანასკნელი სამხედრო ქვედანაყოფი – ქვეითთა 24-ე ლეგიონი 1951 წლის 1 ოქტომბერს გაუქმდა.

კორეის ომის კიდევ ერთი შედეგი იყო რეგიონში ადრე დაწყებული სამხედრო კონფლიქტის მთელი 4 წლით გაგრძელება. ამ შემთხვევაში საკითხი ეხებოდა არა კომუნისტების აგრესიის მოგერიებასა და შეკავებას, არამედ საფრანგეთის აბსოლუტურად უპერსპექტივო და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ეპოქის ანატომიიდან ამოვარდნილი სამხედრო ავანტურის ხელოვნურ სუნთქვაზე გადაყვანას. არაბუნებრივი იყო ამერიკის როლი ანტიკოლონიურ ომში: სუეცის კრიზისამდე 2-3 წლით ადრე, როდესაც ვაშინგტონი ღიად დაუპირისპირდა საკუთარ სტრატეგიულ მოკავშირეებსა და კოლონიალიზმის ექსცესი არ დაუშვა ახლო აღმოსავლეთში, კორეის ომის დამთავრებისთანავე, ინდოჩინეთში ფრანგული კოლონიალიზმის შენარჩუნების მიზნით, საფრანგეთს ფართომასშტაბიანი დახმარების „საკრედიტო ხაზს“ უხსნის. პრეზიდენტი, რომელმაც 1956 წელს საბჭოთა დიპლომატიასთან სამარცხვინო ალიანსზეც კი არ თქვა უარი გაეროს უშიშროების საბჭოში ისრაელის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანე-

თის სუეცის ავანტურის აღსაკვეთად, 50-იანი წლების პირველ ნახევარში ნებაყოფლობით კისრულობს ფრანგული კოლონიალიზმის მთავარი ფინანსური, მატერიალური და სამხედრო სპონსორის როლს. რა იყო ეს? დიდ პოლიტიკაში არცთუ უცხო ხილად ქცეული ორმაგი სტანდარტი თუ იდეოლოგიური ფობიის ტყვეობით გამოწვეული შინაგანი კომპრომისი? ვაშინგტონისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან მოყოლებული, ვიეტნამელებს ერთი დღითაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა ფრანგი კოლონიზატორების წინააღმდეგ. ისიც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი იყო, რომ კომუნისტები იდგნენ ამ ბრძოლის სათავეში და ბრძოლის პერიოდში მაინც, მოსახლეობის აბსოლუტური მხარდაჭერით სარგებლობდნენ.


დუაიტ ეიზენჰაუერი - გენერალი და პრეზიდენტი

ტრუმენით დაწყებული და ნიქსონით დამთავრებული ამერიკული სამხედრო ეპოპეა ჯერ კორეაში, შემდეგ კი ვიეტნამში, რეალური აგრესიის აღკვეთით მოტივირებულ და შემდგომში მცდარად გააზრებულ საფრთხეზე არაადეკვატური რეაგირების კლასიკურ ილუსტრაციად იქცა.

ეჭვგარეშეა, რომ ტრუმენი ვერ დაუშვებდა კორეის მთელი ნახევარკუნძულის იარაღით „გაწითლებას“ და ჩინეთთან ერთად უძლიერესი კომუნისტური ბასტიონის შექმნას სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონში. თუნდაც მხოლოდ იდეოლოგიური ბრძოლის თვალსაზრისითაც კი სერიოზული შეცდომა იყო მაო ძედუნ-სტალინის ტანდემის პირისპირ ჩან კაიშის დატოვება მაშინ, როდესაც მსოფლიოს დემოკრატიული ნაწილის ცხვირწინ „ფერს იცვ-

ლიდა" პლანეტის უდიდესი სახელმწიფო ჯერ კიდევ ნაპოლეონის დროინდელი პერსპექტივით.

დღეს მხოლოდ აკადემიური წრეების სადისკუსიო თემად შეიძლება განვიხილოთ ვარაუდები, თუ რომელ სოციალ-პოლიტიკურ წყობას მეტი შანსი ექნებოდა იგივე კორეასა და ვიეტნამში, ჩინეთი რომ გომინდანისა და არა კომუნისტების ხელში აღმოჩენილიყო. აქ უკვე ტაივანის მაგალითია კარგი არგუმენტი. ასევე სავარაუდოა, რომ თუ არა კომუნისტური ჩინეთის საფრთხობელა, მეტი რეალიზმით გაანალიზდებოდა თეთრ სახლსა და სახელმწიფო დეპარტამენტში საბჭოთა კომუნიზმის რეალური პოტენციალი და ტრუმენი და ეიზენჰაუერი ფრანგი დამპყრობლების კრედიტორებად არ იქცეოდნენ.

მას შემდეგ, რაც 1870-1880 წლებში, ესპანელ და ბრიტანელ კოლონიზატორებს გადარჩენილ „უპატრონო" ტერიტორიებს საფრანგეთმა დაადგა თვალი და ჯერ პატარ-პატარა კუნძულების დაპატრონებას შეუდგა აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მერე კი თანდათანობით შორეული აღმოსავლეთითაც დაინტერესდა. ტონკინის (ჩრდილოეთ ვიეტნამი) დაპყრობით პარიზი ღიად დაუპირისპირდა ჩინეთს, ვინაიდან უკანასკნელისათვის სერიოზული სატრანსპორტო მნიშვნელობა ჰქონდა მეკონგს („წითელი მდინარე"), რითაც სამხრეთ ჩინეთი (სადაც მდინარე სათავეს აიღებდა) ზღვას უკავშირდებოდა. ჩინელები ბრძოლის გარეშე არ აპირებდნენ საკუთარი კომერციული ინტერესების დათმობას და 1883 წლის გაზაფხულზე ჯარი შეიყვანეს ჩრდილოეთ ვიეტნამში. იმავე წლის დეკემბერში ფრანგებსა და ჩინელებს შორის პირველი ბრძოლები გაიმართა. 1884 წლის მარტში ფრანგებმა შესძლეს ბრძოლისა და მსხვერპლის გარეშე აეძულებინათ ჩინელები გარიდებოდნენ წითელი მდინარის რაიონს. 6 ივნისს კი საფრანგეთსა და ჩინეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმდა. ჩინეთმა საფრანგეთის პროტექტორატი ცნო მთელ ვიეტნამზე, თუმცა მშვიდობა ხანმოკლე აღმოჩნდა: 23 ივნისს საფრანგეთის არმიის მცირერიცხოვანი რაზმი ჩინეთის არმიის ხუთი ათასიან შენაერთს გადაეყარა. ჩინელებმა უარი თქვეს ორი კვირის წინ გაფორმებული ხელშეკრულების პირო-

ბების დაცვაზე და გამართულ შეტაკებაში 400 ფრანგი ჯარისკაცი მოკლეს. პირველ აგვისტოს პარიზმა ულტიმატუმი წაუყენა ჩინეთს, რომელიც არ დაკმაყოფილდა და ჟიულ ფერის მთავრობამ ომი გამოუცხადა პეკინს.

საფრანგეთ-ჩინეთის ომი 1885 წლის გაზაფხულამდე გრძელდებოდა გარდამავალი უპირატესობით. პარალელურად კი ლონდონში, მეომარ მხარეთა მონაწილეობიტ და ინგლისელების შუამავლობით ზავის პირობებზე კონსულტაციები მიმდინარეობდა. თავდაპირველად ლონდონი, რომელიც ფაქტიურად განსაზღვრავდა ჩინეთის პოზიციას, საფრანგეთის საწინააღმდეგო კურსს ადგა და მხარს უჭერდა ჩინელების მოთხოვნას ჩრდილოეთ ვიეტნამის გაყოფაზე. ლონდონს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა – სურდა გაჭიანურებული ყოფილიყო ფრანგების დავა ჩინელებთან, რათა პარიზს ნაკლები დრო და საშუალება დარჩენოდა ბირმასა და ტაილანდში ინგლისთან საკინკლაოდ. ლონდონის პოზიცია კარდინალურად შეიცვალა 1885 წლის თებერვალ-მარტში, როდესაც ცენტრალურ აზიაში მოულოდნელად გამწვავდა რუსეთ-ინგლისის მბჟუტავი კონფლიქტი და საჭირო გახდა ჩინეთის ყურადღების კონცენტრაცია ძირითადად ჩრდილოეთის არა სამხრეთის საზღვრების მიმართულებით. ამიტომ ჩინეთის მხარემ კატეგორიული „რჩევა“ მიიღო სრულად დაეკმაყოფილებინა საფრანგეთის მოთხოვნები.

1885 წლის 9 ივნისს, ტიანძინში ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულებით ჩინეთმა აღიარა საფრანგეთის კონტროლი მთელ ვიეტნამზე და იქიდან ჯარიც გაიყვანა. საფრანგეთმა ჯარი გაიყვანა ტაივანიდან და პესკადორის კუნძულებიდან, უარი თქვა კონტრიბუციაზე, რის სანაცვლოდაც მნიშვნელოვან პრივილეგიებს ღებულობდა ვიეტნამის მოსაზღვრე ჩინურ პროვინციებთან ვაჭრობაში.

1940 წელს გერმანიასთან ომში დამარცხების პირდაპირ შედეგი საფრანგეთის კოლონიების განმათავისუფლებელი მოძრაობის მკვეთრი გაძლიერებაც იყო.

მკვლევართა ნაწილი ორად ყოფს ინდოჩინეთის ომს (ვიეტნამის ომს). პირველი ნაწილი, რომელიც 1946 წელს დაიწყო და 1954 წელს

დასრულდა, ანტიკოლონიურ განმათავისუფლებელ ხასიათს ატარებდა. 1945 წლის 2 სექტემბერს, როდესაც ეროვნული კრების არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, მოძრაობა „ვიეტმონმა“ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა გამოაცხადა, ბრძოლები ლაოსისა და კამბოჯის ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა, თუმცა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია. 1949 წელს მის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე საფრანგეთმა „ვიეტნამის სახელმწიფოს“ შექმნა გამოაცხადა. ასე დაიწყო კომუნისტების ხელმძღვანელობით ვიეტნამელი ნაციონალისტების ბრძოლა საფრანგეთის კოლონიური ადმინისტრაციის წინააღმდეგ. თავიდანვე დე-ფაქტო შეიქმნა ორი, იურიდიულად გაუფორმებელი და არაღიარებული კოალიცია: ერთი მხრივ, საფრანგეთი თავისი ადგილობრივი მოკავშირეებით, ამერიკის შეერთებული შტატებითა და დიდი ბრიტანეთით და მეორე მხრივ, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით.

უფრო ადრე კი, 1940 წლის სექტემბერში, საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ, იაპონიამ საფრანგეთის ინდოჩინეთის ოკუპაცია მოახდინა. ადგილობრივი კომუნისტები რამდენჯერმე შეეცადნენ მათაც ესარგებლათ შექმნილი საერთაშორისო ვითარებით და აჯანყდნენ კიდეც, მაგრამ საფრანგეთის ჯარებმა შესძლეს მათი განეიტრალება. მალე ვიეტნამელ პარტიზან-კომუნისტებთან ბრძოლაში იაპონიაც აქტიურად ჩაერთო. 1944 წლის მაისში „ვიეტმონმა“ ოფიციალურად გამოაცხადა განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყება და რეგულარული არმიის შედგენა დაიწყო.

1945 წლის 13 სექტემბერს ქალაქ საიგონში ინგლისის სამხედრო შენაერთები გადასხდნენ და ინგლისელმა გენერალმა აქ მიიღო ინდოჩინეთში იაპონიის არმიის სარდლობის კაპიტულაცია. ინგლისელმა გენერალმა დუგლას გრეისმა ერთდროულად ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი არ ცნობდა „ვიეტმონის“ ლეგიტიმურობას. საინგონის საკვანძო ობიექტების დაცვა (რასაც მანამდე „ვიეტმონი“ ახორციელებდა) ჯერ ინგლისელებმა ითავეს, შემდეგ კი ეს ფუნქცია ფრანგებს გადასცეს. სექტემბერშივე ფრანგებმა და ინგლისელებმა ერთად

გააძევეს საიგონიდან „ვიეტმონის“ სამხედრო რაზმები. ყველა ადმინისტრაციულ შენობას ფრანგები დაეპატრონნენ.

1946 წლის მარტიდან ვიეტნამში კალეიდოსკოპური სისწრაფით ვითარდებოდა მოვლენები: 6 მარტს საფრანგეთმა სცნო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ინდოჩინეთის ფედერაციასა და საფრანგეთის კავშირის შემადგენლობაში, შემდეგ საფრანგეთის არმიის სარდლობამ ულტიმატუმით მოსთხოვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ჰაიფონის დატოვება და უარის მიღების შემდეგ ზღვიდან დაიწყო ქალაქის დაბომბვა. საპასუხოდ ჰანოი ოფიციალურად აცხადებს ხანგრძლივ სახალხო ომის სტრატეგიაზე გადასვლას. 1946 წლის 19 დეკემბერს ფრანგებს იერიში მიაქვთ ჰანოიზე. ბრძოლები ქალაქისთვის 1947 წლის თებერვლამდე გრძელდება. მარტის დამლევისათვის ფრანგები აკონტროლებენ ყველა დიდ ქალაქს, გზებს და ზღვისპირა ტერიტორიებს.

50-იანი წლების დასაწყისიდან სიტუაცია კიდევ ერთხელ იცვლება და ინიციატივა კომუნისტი პარტიზანების ხელში გადადის. ფრანგების დასახმარებლად ვიეტნამში ამერიკელ სამხედრო ინსტრუქტორთა 35-კაციანი ჯგუფი ჩადის. 1951 წლის მარტში კომუნისტები ქმნიან ინდოჩინეთის ხალხთა გაერთიანებულ ჯგუფს. 1952 წლის გაზაფხულიდან კოლონიური ჯარები ჩრდილოეთის ფრონტს აყალიბებენ და ცენტრების დაცვისა და საერთო თავდაცვითი ოპერაციების სტრატეგიაზე გადადიან.

1953 წლის ზაფხულში ვიეტნამელი კომუნისტების ჯარები ლაოსში შეიჭრნენ და გაანადგურეს როგორც საფრანგეთის, ასევე ლაოსის სასაზღვრო გარნიზონები. ამ პერიოდისათვის კომუნისტთა არმიაში 425 ათასი მეომარია, თუმცა ტექნიკის თვალსაზრისით სახეზეა ფრანგების უპირატესობა.

1953 წლის 4 დეკემბერს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აგრარულ კანონს იღებს, რომლის ძალითაც უქმდება კოლონიური ადმინისტრაციის მიერ დაწესებული მიწაზე საკუთრების კანონი. ფრანგებისა და მათი მომხრეების საკუთრებაში არსებული მიწები კომფისკაციასა და გადანაწილებებს ექვემდებარება.

მხოლოდ ომის დამთავრებამდე, სამხრეთ და ცენტრალურ ვიეტნამის 11 პროვინციაში 311 ათასმა უმიწო ვიეტნამელ გლეხებს 227 ათასი ჰა მიწა გადაუნაწილდათ. ბუნებრივია, რომ მიწის ასეთმა რეფორმამ მკვეთრად გაზარდა კომუნისტთა ავტორიტეტი გლეხებში.

1954 წლის 20 იანვარს საფრანგეთის არმიამ, პროფრანგულ ადგილობრივ ძალებთან ერთად, ფართომასშტაბიანი შეტევითი ოპერაცია „ატლანტა" წამოიწყო, რომელიც უშედეგოდ და დიდი დანაკარგებით დასრულდა (ძირითადად ფრანგების მხარეზე მებრძოლი ვიეტნამელების მასობრივი დეზერტირობის შედეგად). პარალელურად, 1954 წელს მხოლოდ 6-7 მარტს ვიეტნამელმა დივერსანტებმა საფრანგეთის 68 თვითმფრინავის განადგურება შესძლეს აეროდრომებზე, რაც მთელი სატრანსპორტო ავიაციის ნახევარზე მეტს შეადგენდა. ეს კი მოხდა მაშინ, როდესაც დიენბიენფუში ალყაში მოქცეულ ფრანგულ გარნიზონს საკვები აღარ ჰქონდა და ყოველდღიური 200 ტონა სურსათის ნაცვლად, 100 ტონის მიწოდებაღა ხერხდებოდა. კომუნისტებმა კი ოთხი დივიზიის კონცენტრირება შესძლეს დიენბიენფუს ირგვლივ (ფრანგები კი მხოლოდ ორ დივიზიას ელოდნენ). ერთდროულად ცენტრალურ ვიეტნამსა და ლაოსში კომუნისტები ფრანგებს მოსვენებას არ აძლევდნენ, რათა დიენბიენფუს გარნიზონის გადასარჩენად მთელი ძალების თავმოყრა გართულებულიყო. 54 დღე გრძელდებოდა გადამწყვეტი ბრძოლა. ფრანგებისათვის სრულ მოულოდნელობად იქცა კომუნისტთა მძიმე არტელერია, რაც ფარულად მიაწოდა ჩინეთმა ვიეტნამელებს. 1954 წლის 7 მაისს 10863 სამხედროსაგან შემდგარმა ფრანგულმა გარნიზონმა კაპიტულაცია გამოაცხადა და ტყვედ ჩაბარდა გამარჯვებულებს.

1954 წლის კონფერენციის გადაწყვეტილებით, ვიეტნამი „დროებით" ორ ნაწილად გაიყო მე-17 პარალელზე. 1956 წლის ივლისისათვის დაიგეგმა თავისუფალი არჩევნები ორივე ნაწილში, რის შედეგადაც უნდა გარკვეულიყო მხარეთა პოლიტიკური რეჟიმები და გაერთიანების მექანიზმი. ომი საფრაგეთს 3 ტრილიონ ფრანკზე მეტი დაუჯდა, ხოლო ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს კი 700 მლნ

დოლარი იმდროინდელი კურსით. გაცილებით ნაკლები - 17.5 მლნ. გირვანქა სტერლინგი გაიღეს ბრიტანელებმა.

კორეის ომმა, ინდოჩინეთის ომმა და ჟენევის კონფერენციამ პოზიციების შემდგომი დაზუსტება მოითხოვა მოსკოვ-პეკინის ურთიერთობებში. რომელს მეტად აინტერესებდა ორ კომუნისტურ გიგანტს შორის ერთიერთობების მომავალი პერსპექტივების დაზუსტება და ვინ იყო შეხვედრის ინიციატორი, ამაზე ის ფაქტიც მიგვანიშნებს, რომ „უფროსი კომუნისტი" ძმა ეწვია „უმცროსს", უფრო ზუსტად კი სჩანს პეკინში ყელში ამოუვიდათ „უფროს-უმცროსი ძმობა" და გადაწყვიტეს თანასწორუფლებიანობის გაკვეთილი ჩაეტარებინათ მოსკოვისათვის. ასე თუ ისე, პეკინს პირველად ეწვია „მოძმე" კომუნისტური სახელმწიფოსა და პარტიის ლიდერი. სტალინს, როგორც ცნობილია, არცერთი სოციალისტური დედაქალაქი არ გაუბედნიერებია თავისი სტუმრობით. მართალია, 50-იანი წლების შუა პერიოდისათვის ჯერ კიდევ არ იყო საერთაშორისო სენსაციად ქცეული რუსი და ჩინელი კომუნისტი ლიდერების განხეთქილება, მაგრამ ის, რომ თაფლობის თვე მთავრდებოდა, ამაზე უკვე ღიად მსჯელობდნენ დასავლეთის დიპლომატიურ კორიდორებში. ამიტომაც, კლასიკურად არაფრის მთქმელ და ზოგადი ფრაზებით შედგენილ ჩვეულებრივი, ვიზიტების შემაჯამებელი დეკლარაციისათვისაც კი საკანცელარიო ჟანრის ნიმუშს წარმოადგენდა პეკინში ნიკიტა ხრუშჩოვის ვიზიტის შედეგად გამოქვეყნებული დეკლარაცია. რასაკვირველია დოკუმენტში მკაცრად იყო დაგმობილი „საერთაშორისო იმპერიალიზმი", „ახალი ომის გამჩაღებლები" კორეის „ორად გამყოფლები", ყურად რომ არ იღეს „კორეის დემოკრატიული სახელმწიფოს" (ანუ ჩრდილოეთ კორეის) სამშვიდობო ინიციატივები და „ომამდე მიიყვანეს სიტუაცია" და ა.შ. და ა.შ. ყველა ამ ბრალდების მთავარ ადრესატად კი ამერიკის შეერთებული შტატები იყო მითითებული, რომელიც ყველაფერთან ერთად, გაეროში ჩინეთს კანონიერი ადგილის დაკავებაში უშლიდა ხელს და მისი კუთვნილი კუნძული ტაივანიც კი ჰქონდა გაკონტროლებული, რომელსაც სამხედრო დახმარებას არ აკლებდა. იმის ახსნით, თუ როგორ ახერხებდნენ ამერიკელები თან ოკუპაციური

რეჟიმის ქვეშ ჰყოლოდა კუნძული და თანაც მის სამხედრო სიძლიერეზეც ეზრუნათ, დეკლარაციის ავტორებს თავი არ შეუწუხებიათ. თვალში საცემი იყო, რომ ერთობლივ დეკლარაციაში მხოლოდ ჩინეთის წინააღმდეგ ჩადენილ „დანაშაულებზე“ იყო საუბარი. ნეიტრალურ მკითხველს შეიძლება ეფიქრა, რომ პირადად საბჭოთა კავშირს ვაშინგტონისათვის სასაყვედურო არაფერი ჰქონდა.

ორ კომუნისტურ გიგანტს შორის ურთიერთობა კი ისეთი ტემპით იძაბებოდა, რომ სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდებოდა „უცხო თვალისაგან“ მისი დამალვა. ადრე თუ გვიან, რომ გარდუვალი გახდებოდა საჯარო განხეთქილება, ეს ობიექტური მოვლენებითაც იქნებოდა გამოწვეული, მაგრამ სპეციალისტთა აზრით, მძლავრი კატალიზატორის როლი ნიკიტა ხრუშჩოვსა და მაო ძედუნს შორის თავიდანვე არსებულმა პიროვნულმა შეუთავსებლობამ შეასრულა. ყოველ შემთხვევაში, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობათა ცნობილი რუსი მკვლევარი მ. კაპიცას (123). მტკიცებით, თუ არა ხრუშჩოვის მიერ დაშვებული უხეში დიპლომატიური შეცდომები, კონფლიქტი კრიზისად ისეთი სისწრაფით არ იქცეოდა.

ნიკიტა ხრუშჩოვისა და მაო ძედუნის გაცნობა მოსკოვში 1949 წლის 21 დეკემბერს მოხდა, სტალინის 70 წლის იუბილეზე. ნაცნობობა ოფიციალური და ეპოზოდური იყო, ვინაიდან, როგორც მოგვიანებით თავად ხრუშჩოვი იხსენებდა, იგი შეგნებულად გაურბოდა ნებისმიერ უცხოელთან კონტაქტს და საერთოდ ყველაფერს, რაც კი გაეროს პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული. უბრალოდ, ეშინოდა უცხოეთის აგენტად არ ჩაეთვალა „ხაზეინს“. მას ხომ, იგივე მოლოცვისაგან განსხვავებით, თანამდებობრივად არ ეხებოდა საგარეო პოლიტიკა. სტალინის სიკვდილის შემდეგ კრემლს საკმაოდ რთული მემკვიდრეობა ერგო ჩინეთის მიმართულებით. სტალინი „გამოქვაბულის მარქსისტად“ თვლიდა მაო ძედუნს: „მაო გლეხებს ეყრდნობა და არა მუშათა კლასს, განა ეს მარქსიზმია?“ – ხშირად იმეორებდა იგი.

გაპირველკაცების შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვმა მოკლე ხანში გაუგო გემო საგარეო პოლიტიკას. სტალინისაგან განსხვავებით, მას მოეწონა უცხოეთში ვიზიტები, საკუთარი პორტრეტები უცხოური პრესის

პირველ გვერდებზე. ჟურნალისტებთან ღია კონტაქტები მათი ლანძღვით და თუ ხორკლიან კითხვებს წააწყდებოდა, არც რუსულ ყაზარმულ იუმორს ივიწყებდა. ბუნებრივია, რომ მან საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ჩინეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება დაისახა. თუ სტალინი მისთვის დამახასიათებელი ეჭვითა და უნდობლობით ეკიდებოდა ყველაფერს, რაც კი ჩინეთთან ურთიერთობებს ეხებოდა, ხრუშჩოვმა რადიკალურად საპირისპირო კურსი აირჩია: კეთილგანწყობილი უფროსი მასწავლებელი და ჭკუის დამრიგებელი. ასე უნდა აღექვა მაო ძედუნსაც და მთლიანად ჩინეთის პოლიტიკურ ელიტას საბჭოთა კავშირის ახალი ლიდერი. ეს კი უკვე სერიოზული დიპლომატიური შეცდომა იყო სტრატეგიული შედეგით. საქმე ის იყო, რომ ხრუშჩოვმა ვერც მაო ძედუნის პიროვნება ვერ შეაფასა სწორედ და ვერც ორი ქვეყნის ურთიერთობათა განმსაზღვრელი ფაქტორები: თუ ქარიზმატული და უკიდურესად პატივმოყვარე მაო ძედუნი ასე თუ ისე, მაგრამ მაინც იტანდა და ეგუებოდა სტალინის ქედმაღალ, ზოგჯერ დამცინავ ტონსაც, იგი სულაც არ იყო განწყობილი ხრუშჩოვის შეგირდის როლით დაკმაყოფილებულიყო. მეორე მხრივ, ჭკვიანმა და ეშმაკმა პრაგმატიკოსმა მაო ძედუნმა ისიც იცოდა, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირის დახმარებით შეეძლო მეტ-ნაკლებად ნორმალური პირობების შექმნა ჩინეთის ეკონომიკური განვითარებისათვის. ამით აიხსნება 1953-1960-იანი წლების ნორმალური სამუშაო ურთიერთობები. ხსენებულ პერიოდში ჩინეთში საბჭოთა ინჟინრებმა ორი მილიარდი დოლარის საერთო ღირებულების 205 ქარხანა და ფაბრიკა ააშენეს, ხოლო შეღავათიანი კრედიტების სახით ჩინთმა საბჭოთა კავშირიდან 730 მლნ. დოლარი მიიღო და ეს მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირს თავად არ ჰყოფნიდა სახსრები ომით გაჩანაგებული მრეწველობის აღსადგენად. გარდა ფინანსურ-ეკონომიკურისა, მოსკოვი აქტიურად ეხმარებოდა მაო ძედუნს სამხედრო და დიპლომატიური თვალსაზრისითაც. 1954 წლის დამლევს ჩინეთში ჩავიდა საბჭოთა სპეციალისტების პირველი ჯგუფი, 1955 წელს ჩინეთის წარმომადგენლები ესწრებოდნენ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაფუძნების ცერემონიალს, ჩინელე-

ბი წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი ბროზ ტიტოსთან შერიგების თაობაზე, აღმოსავლეთ ევროპაში 1956 წლის მოვლენებზე ხრუშჩოვი ყოველ დღიურ რეჟიმში აწვდიდა მაო ძედუნს ინფორმაციას, ხოლო – 1957 წელს კი ბირთვული იარაღის ნიმუშის გადაცემასაც კი შეპირდა. ერთდროულად, იგივე 1954 წლიდანვე იგრძნობოდა ურთიერთნდობის დეფიციტი: მოსკოვის ვარაუდით, მაო ძედუნს კეთილი ნების სერიოზულ ჟესტად უნდა შეეფასებინა პორტ-არტურისა და დალიანის დაბრუნება, მაგრამ მადლობის ნაცვლად ჩინელების ბელადმა ამ სტრატეგიულ ობიექტებზე არსებული საბჭოთა მთელი მძიმე შეიარაღების უსასყიდლოდ გადაცემაც მოითხოვა. ხრუშჩოვი დათანხმდა, მხოლოდ ანაზღაურებით, რაზეც ჩინეთის მხარე განაწყენდა. ხრუშჩოვს არც მაოს კარზე არსებული ატმოსფერო მოსწონდა: „ტიპიური აღმოსავლეთია. ყველა უზომოდ თავაზიანი და კეთილგანწყობილია, მაგრამ ყველა ერთნაირად არაგულწრფელიაო“ – წერდა მოგვიანებით მემუარებში. მისივე ვერსიით, გუმანით ხვდებოდა, რომ ჩინეთთან ურთიერთობა „საშიში პერსპექტივების შემცველი იყო“.


ნიკიტა ხრუშჩოვი და მაო ძედუნი პეკინში

ხრუშჩოვისთვის აბსოლუტურად მოულოდნელი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ჩინელები ერთობ რთული პარტნიორები აღმოჩნდნენ მეგობრულ საწყისებზე წარმოებულ მოლაპარაკებებშიც კი. არადა, მოსკოვს კარგა ხნის გამოცდილება ჰქონდა ჩინელ როგორც ნაციონალისტებთან, ასევე კომუნისტებთან ურთიერთობის (რომ აღარაფერი ვთქვათ სუნ იატსენის ეპოქაზე) და თუ არა ხრუშჩოვის თვითდაჯერებული დილეტანტიზმი, შესაძლებელი იყო მოგვიანებით გაღიზიანებასა და აგრესიაში გადასული სურპრიზების თავიდან აცილება.

ჩინეთში ოფიციალური ვიზიტით ყოფნისას, ხრუშჩოვს ჩინეთის კუნძულ ჰაინანის მდებარეობა და კლიმატი (სუბტროპიკულ-ტროპიკული ზონა) ისე მოეწონა, რომ გადაწყვიტა კუნძული ან ეყიდა ჩინეთისაგან, ან ხანგრძლივი იჯარით აეღო. საბჭოთა დელეგაციის წევრების ნაწილს, პირველ რიგში მოლოტოვს ხრუშჩოვის არგუმენტები არ მოეწონა: „სუბტროპიკული ზონაა, კარგი დასასვენებელი ადგილი იქნება, თანაც ჩვენი ბავშვები აფხაზეთის მწვანე მანდარინის ნაცვლად ნამდვილ ხილს დააგემოვნებენ.. თანაც კუნძულზე თუ ჩვენ მომავალ იარაღს (რომლის შექმნაზეც უკვე მუშაობდნენ საბჭოთა მეცნიერები) განვალაგებთ, აქედან მთელი რეგიონის, ამერიკის სამხედრო ბაზების ჩათვლით, გაკონტროლებასაც შევძლებთო“. ცხადია, რომ სტალინის სკოლაგამოვლილი მოლოტოვისათვის ასეთი პროექტები კლასიკური ავანტიურა იყო. ვინაიდან საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს იმ დროს ანასტას მიქოიანი კურირებდა, ხრუშჩოვმა მას დაავალა მაო ძედუნთან კუნძულზე მოლაპარაკებები. ბუნებით ფრთხილმა მიქოიანმა შორს დაიჭირა ასეთი მისია: ჩინელები ამერიკელები არ გეგონოთ, მაგათი გაბრიყვება გაცილებით რთულიაო, რაზეც ხრუშჩოვმა მოკლედ მოჭრა: „თუ არა სომეხი, სხვა ვინ შესძლებს ჩინელების გაბრიყვებასო“ და ასე გადაწყდა საკითხი. მიქოიანი დელეგაციის სამშობლოში გამომგზავრებიდან კიდევ ორი კვირა დარჩა პეკინში მაოსთან სავაჭროდ და არენდაზე კი დაიყოლია, თუმცა იმ პირობით, რომ არენდის გადასახადთან ერთად, მოსკოვს ბირთვული იარაღიც უნდა გადაეცა ჩინეთისათვის. ცხადია, ხრუშჩოვის დიპლომატიურ ინიციატივას რეალიზება არ ეწერა, რაც იგივე მიქოიანმა წააძახა მის ავტორს, როდესაც 1964 წელს ყველა თანამდებობიდან ხსნიდნენ.

ნიკიტა ხრუშჩოვისათვის პირადულად აუტანელი იყო მაო ძედუნის დემონსტრაციული სტალინისტობა. „დიდი მესაჭე“ დაჟინებით მოითხოვდა, რომ მიუხედავად „სერიოზული შეცდომებისა“, სტალინი აღიარებული უნდა ყოფილიყო „დიდ მარქსისტ-ლენინლად“. როდესაც 1956 წლის პირველ მაისს, მოსკოვში, წითელ მოედანზე სტალინის სურათების გარეშე ჩატარდა საზეიმო აღლუმი, პეკინში, ტია-

ნანმენის მოედანზე, დემონსტრანტებს ცოცხალ სტალინზე გაცილებით დიდი მისი პორტრეტი მოჰქონდათ. ახლა უკვე მაო ძედუნი არიგებდა ჭკუას ხრუშჩოვს და „შეცდომებზეც“ ღიად მიანიშნებდა. ბუნებით ეჭვიანი (როგორც კრემლის ყველა ბინადარი) და პატივმოყვარე ხრუშჩოვისათვის უკვე შეუძლებელი იყო პიროვნულ უპირატესობებში დარწმუნებული პოლიტიკურ-იდეოლოგიური მოკავშირე კონკურენტთან ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნება.

1956-1957 წლებში ხრუშჩოვი ცოტა ხნით შეეცადა კრიზისის შერბილებას, რათა ღია კონფრონტაციამდე არ მიეყვანა პეკინთან ურთიერთობა. ჩინეთის დამხარება განსაკუთრებით აქტუალური გახდა მოლოტოვ-მალენკოვ-კაგანოვიჩის „ანტიპარტიულ“ ოპოზიციასთან ბრძოლის პერიოდში 1957 წელს, მაგრამ ოპოზიციის დამარცხებამ შეცვალა ვითარება. ხრუშჩოვისათვის ცნობილი გახდა, რომ პეკინში არ გახარებიათ მისი გამარჯვება, ხოლო ჩინელ კომუნისტთა იერარქიაში მეორე პირმა, თავდაცვის მინისტრმა და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პენ დეჰუაიმ ოფიციალურ შეხვედრაზე პირდაპირ დაუსვა საბჭოთა ელჩს „უტაქტო“ შეკითხვა: „როგორ შეიძლება ისეთი ძველი და დამსახურებული ბოლშევიკი, როგორიც მოლოტოვია, ანტიპარტიული ჯგუფის წევრი იყოს? ნუთუ არ შეგეძლოთ რამე უფრო ჭკვიანური მოგეფიქრებინათ?“.

რასაკვირველია, პეკინში არსებული საბჭოთა საელჩოდან კრემლი სრულ ინფორმაციას ღებულობდა მაო ძედუნისა და მთელი ჩინური პოლიტიკური ელიტის განწყობილებასა და მოსკოვთან ურთიერთობის იქაურ ხედვებზე. სწორედ უკანასკნელის ფონზე, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაურად გამოიყურება ხრუშჩოვის ჯიუტი ცდები (სტალინის ძველი თანამებრძოლების გზიდან ჩამოცილების შემდეგ ის უკვე ერთპიროვნულად მართავდა იმპერიას) საბჭოთა კავშირის უპრეტენზიო უმცროს პარტნიორად ექცია საკუთარი ძალაში დარწმუნებული მაო ძედუნი.

1958 წლის ზაფხულში ხრუშჩოვმა გადაწყვიტა წყნარ ოკეანეში რამდენიმე ახალი თაობის წყალქვეშა ნავის განთავსება. როდესაც გაირკვა, რომ საბჭოთა კავშირიდან ძალზედ ძვირი ჯდებოდა მათთან

მუდმივი კავშირი, არჩევანი შეჩერდა ჩინეთის სანაპიროზე რამდენიმე მძლავრი რადიოსადგურის მშენებლობაზე, ხოლო პერსპექტივაში კი კრემლში ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივი წყალქვეშა ფლოტის შექმნაც დაგეგმეს. ყველა ამ წინადადებების თაიგულით ეწვია მაო ძედუნს საბჭოთა ელჩი იუდინი 1958 წლის 22 ივლისს. ჩინელი ხალხის „დიდ მესაჭესათვის" უკვე კარგად იყო ცნობილი მოსკოვთან „ერთობლივი" პროექტების რეალური არსი და მთელი დაგროვილი წყენა უდანაშაულო ელჩს დაატეხა თავზე: „ძალზედ დიდი ხანია, რაც ძმური ურთიერთობა არ არსებობს საბჭოთა და ჩინეთის კომუნისტურ პარტიებს შორის, ეს ურთიერთობა კატისა და თაგვის ურთიერთობაა", – ცოფს ყრიდა მაო, – „წაეთრიეთ აქედან და გადაეცით ხრუშჩოვს, რომ თვითონ ჩამოვიდეს" ამ პასუხით დატოვა საბჭოთა კავშირის ელჩმა სამთავრობო რეზიდენცია. ასეთი სირცხვილის მომსწრენი პირველი ბოლშევიკი დიპლომატებიც კი არ ყოფილან, როდესაც ცივილიზებულ ქვეყნებში ხელის ჩამორთმევასაც არ იმეტებდნენ მათთვის.

ნიკიტა ხრუშჩოვმა დაიჯერა, ან საკუთარი თავი დააჯერა, რომ კონფლიქტი ელჩის გამო მოხდა, რომელმაც მცდარად უხსნა მაო ძედუნს მისი შეთავაზება, ხოლო უკანასკნელს კი მასთან შეხვედრისას სურდა, ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა და მართლაც თავად ეწვია პეკინს. აეროპორტშივე დაიწყო უსიამოვნებები, როდესაც ხრუშჩოვს ტრადიციული წითელი ნოხისა და საპატიო ყარაულის გარეშე, თვალში საცემად ცივი დახვედრა მოუწყეს. დახვედრაზე „თბილი" არც მიღება და მოლაპარაკებები არ ყოფილა: ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნებოდა, რომ მაო ძედუნი შეგნებულად და გამიზნულად ცდილობდა ხრუშჩოვის შეგნებამდე დაეყვანა ის ფაქტი, რომ წარსულს ჩაბარდა სტალინის ეპოქა და ახლა უკვე საკითხავია, თუ ვინ უნდა იყოს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ლიდერი და გზის გამკვლევი. როგორც საბჭოთა დელეგაციის წევრები მოგვიანებით იხსენებდნენ, მათ ცივად ენიშნათ ის ფაქტი, რომ პირველი შეხვედრიდან დაწყებული მაო და მისი თანხმლები პირები გამუდმებით ეწეოდნენ სიგარეტს, თუმცა ყველასთვის ცნობილი იყო, რომ

ნიკიტა ხრუშჩოვი ორგანულად ვერ იტანდა სიგარეტის კვამლს. როდესაც სიტყვაუხვმა ხრუშჩოვმა საკუთარი თავსაც კი აჯობა მჭევრმეტყველებაში, რათა საბჭოთა ინიციატივის ეფექტურობაში დაერწმუნებინა ჩინეთის ლიდერი, უკანასკნელმა გულგრილად უპასუხა, რომ ვერაფერი გაიგო, თუ რას სთხოვდნენ მას სტუმრები – „თქვენ ძალზედ ბევრი ილაპარაკეთ, მაგრამ საკითხის მიმალავთ", – ასეთი იყო მაო პასუხი. შეცბუნებული ხრუშჩოვი განმეორებით შეეცადა აეხსნა ამერიკის მეშვიდე ფლოტიდან მომდინარე საფრთხე და ჩინეთ-საბჭოთა კავშირის „ერთიანი" ფლოტის აუცილებლობა. როგორც ჩანს, „დიდმა მესაჭემ" საკითხის „არსიც" მშვენივრად გაიგო და კრემლის ინიციატივის ქვეტექსტიც, როდესაც გაცხარებული წამოხტა სავარძლიდან და სიბრაზისაგან სახეალეწილმა მიახალა ხრუშჩოვს: „მე გკითხეთ, რას ნიშნავს ერთიანი ფლოტი, თქვენ კი არ მპასუხობთ". აქ უკვე ნიკიტაც გაცხარდა: „ვერ გამიგია, რატომ იქცევით ასე! აქ ხომ იმიტომ ჩამოვედით, რომ ყველაფერზე მოვითათბიროთ". მაოს დამშვიდება უკვე შეუძლებელი იყო – „რას ნიშნავს „ყველაფერზე მოვითათბიროთ", გვაქვს ჩვენ დამოუკიდებლობა თუ არა?", – ბრდღვინავდა მაო, – „ჩვენ არ გვჭირდება თქვენი მურმანსკი და ნურც თქვენ მოძვრებით ჩვენთან. აქ მოძვრებოდნენ ინგლისელები, იაპონელები და სხვა უცხოელები. ჩვენ ყველა ისინი გავყარეთ, ამხანაგო ხრუშჩოვ. თუ ვერ მიხვდით, კიდევ ერთხელ აგიხსნით: ჩვენ აღარ გვსურს, რომ კიდევ იყენებდეს ვინმე ჩვენს ქვეყანას საკუთარ ინტერესებში". ეს უკვე დიპლომატიური სკანდალი იყო, რომლის „ლოგიკური" გაგრძელება, პირველ რიგში, თვითონ ნიკიტა ხრუშჩოვს არ აწყობდა. მოლაპარაკებები მეორე დღესაც გაგრძელდა უკვე საცურაო აუზში. ცნობილი იყო, რომ მაო ბრწყინვალედ ცურავდა, ხოლო ხრუშჩოვმა კი ცურვა საერთოდ არ იცოდა, თუმცა მიპატიჟებაზე უარი ვერ გაბედა და აუზის ნაპირას ჭყუმპალაობას დასჯერდა იქვე შეთავაზებულ საცურაო კოსტუმში.

როგორც შემდეგ წერდა ჩინეთის ლიდერის პირადი ექიმი ლი ჯისუი, მაო შეუსვენებლივ ცურავდა აუზის ერთი ბოლოდან მეორეში, თარჯიმნები კი აუზის გასწვრივ დარბოდნენ რათა „თავმჯდომარის"

ერთი სიტყვაც არ გამორჩენოდათ. „თავმჯდომარე (მაოს ოფიციალური ტიტული – ს.ც.) იმპერატორის როლით ტკბებოდა და ხრუშჩოვს ისე ექცეოდა, როგორც ხარკის მომტან ბარბაროსს“, – წერდა ლი.

მოსკოვში დაბრუნებულ ხრუშჩოვს მშვიდ ვითარებაში სურდა სიტუაციაში გარკვევა, მაგრამ მოულოდნელად ჩინელებმა ტაივანის სანაპირო კუნძულების დაბომბვა დაიწყეს, რასაც დალესის მკვეთრი განცხადება მოჰყვა: „კუნძულის (ტაივანის ს.ც.) დასაცავად ომსაც დავიწყებთო“. ეს უკვე სერიოზული საფრთხის მომასწავლებელი იყო და კრიზისის გასანეიტრალებლად პეკინში სასწრაფოდ გაემგზავრა საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი გრომიკო, რომელსაც დეტალურად გააცნო მაო ძედუნმა თავისი სტრატეგიული გეგმა: თუ ამერიკელები მართლაც დაიწყებდნენ ომს კუნძულის დასაცავად და ჩინეთში შეიჭრებოდნენ, ჩინეთის არმია ქვეყნის სიღრმეში დაიხევდა და მიმარაგების ბაზებიდან რაც შეიძლებოდა შორს შეიტყუებდა ამერიკელებს. ამ დროს კი „რუსები დაესხმებოდნენ მათ თავზე ყველაფრით, რაც კი გააჩნდათ“. როგორც ჩანს, გრომიკომ გასაგებად აუხსნა „თავმჯდომარეს“, რომ ერთი კუნძულისათვის მოსკოვი სასწორზე არ დადებდა „ყველაფერს, რაც კი მას გააჩნდა“, ხოლო თუ პეკინში ბირთვულ იარაღს გულისხმობდნენ, ეს იმ მომენტისათვის მოსკოვზე ათჯერ მეტი „გააჩნდა“ ვაშინგტონს.

ტაივანის კრიზისის განეიტრალებას მოსკოვსა და პეკინს შორის ურთიერთობათა რამდენიმეთვიანი სტაბილიზაცია მოჰყვა.

1959 წლის ზაფხულში კი ორ „მოძმე კომუნისტურ პარტიებს“ შორის ახალმა კრიზისმა იფეთქა. ჩინეთის კომპარტიის 1959 წლის ივლისის პლენუმზე დაგეგმილი იყო ცნობილი „დიდი ნახტომის“ პროგრამის დამტკიცება. ის, რომ პროგრამა თავისი ბუნებით ავანტიურისტული და ამიტომ განუხორციელებელი იყო, სადაო არ იყო არც ერთი გარედან დამკვირვებლისათვის: პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ღარიბი გლეხობა წარმოადგენდა, პროგრამით გათვალისწინებულ მავნე ვადებში, თანაც „საკუთარ ძალზე დაყრდნობით“, არქაული გლეხური მეურნეობიდან მაღალ ტექნოლოგიურ ინდუსტრია-

ლიზმში გადასვლა – ერთი „დიდი ნახტომით“ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ზემაღალი ტემპების უზრუნველყოფა. ამაზე ღიად წერდა და ქილიკობდა როგორც ევროპული, ასევე ამერიკული პრესა, მაგრამ ესენი ხომ „კაპიტალიზმის დაქირავებული მსახურები“ იყვნენ და მათი აზრი ჩინელებს არ აინტერესებდათ.

უცნობია, თუ რა ბზიკმა უკბინა ნიკიტა ხრუშჩოვს, როდესაც გადაწყვიტა თავისი წვლილიც შეეტანა მაო ძედუნის იდეისა და ჩინური კომუნების პრაქტიკის კრიტიკაში და „დიდი ნახტომი“ „დიდ ფანტაზიად“ მონათლა. ამას მოჰყვა ჩინეთ-ინდოეთის სასაზღვრო კონფლიქტი და მოსკოვის ნეიტრალური პოზიცია, რაც ჩინელების თვალში კლასობრივ-პარტიული ღალატის ტოლფასი იყო. 1959 წლის 20 აგვისტოს კი მოსკოვიდან პეკინს აცნობეს, რომ ჩინელები ვერ მიიღებდნენ ეგზომ სანუკვარ ატომური ბირთვის ნიმუშს.

1959 წლის სექტემბრის დასაწყისს ჩინელები დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავდნენ რევოლუციის მეათე წლისთავს. ნიკიტა ხრუშჩოვი ამერიკიდან, სულ ახალი დაბრუნებული იყო თანაც ძალზედ მდიდარი შთაბეჭდილებებით. ჩინელების ხელმძღვანელობა კი ამერიკას ნომერ პირველ მტრად მიიჩნევდა და ამრეზით უყურებდა საბჭოთა კავშირის მთავარი კომუნისტის ორკვირიან გაცნობით-ტურისტულ-დიპლომატიურ მოგზაურობას სოციალისტური ბანაკის მთავარი მტრის „ბუნაგში“, თანაც ხრუშჩოვი პეკინში გამართულ ცენტრალურ საზეიმო ღონისძიებას ვერ დაესწრო, ვინაიდან ერთი დღით გვიან ჩავიდა ჩინეთში. ამით შეურაცხყოფილმა მასპინძლებმა წინა წელზე გაცილებით დამამცირებელი დახვედრა მოუწყეს აეროდრომზე. მაო ძედუნის თარჯიმნის იუ ეჟენის მოგონებების თანახმად, ხრუშჩოვი „ანთებული თვალებით და ისეთი ტონით ყვებოდა ამერიკაში ნანახზე, თითქოს ახალი კონტინენტი აღმოეჩინოს“. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მასზე ამერიკის სიმდიდრეს მოუხდენია. შემდეგ მან იმაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, რომ მაოსათვის კორეის ომში დატყვევებული ხუთი ამერიკელი მფრინავის განთავისუფლება ეთხოვა. ბრაზისაგან ალეწილმა მაომ ცივი უარი სტკიცა არამკითხე შუამავალს, ხრუშჩოვი კი თავისას განაგრძობდა და ახლა „თავმჯ-

დომარე მაოს“ ინდოეთის ლიდერის ჯავაჰარლალ ნერუს განაწყენება და მოსკოვის თანხმობის გარეშე კუნძულების დაბომბვა უსაყვედურა – „ჩვენ მოსკოვში წარმოდგენა არა გვაქვს იმაზე, თუ ხვალ თავში რა მოგეპრიანებათო“. ამ დროისათვის უკვე შედარებით დამშვიდებულმა მაომ მშვიდად მოიგერია ხრუშჩოვის ბრალდებები და კონტრშეტევაზე გადავიდა: „მე დიდი ხანია გისმენთ. თქვენ ბევრი ბრალდება წამოგვიყენეთ – თქვით, რომ არ უნდა წავჩხუბებოდით ნერუს, არ უნდა დაგვებომბა კუნძულები, არ უნდა განვახორციელოთ „დიდი ნახტომი“, არ უნდა ვტრაბახობდეთ მარქსიზმის ერთგულებით. ახლა ნება მიბოძეთ, საპასუხოდ მეც წამოგიყენოთ ბრალდება. ვფიქრობ, თქვენ დამნაშავე ხართ შემგუებლობასა და ოპორტუნიზმში“. რა უნდა ყოფილიყო მსოფლიოში პირველი კომუნისტური იმპერიის კომუნისტი ლიდერისათვის ამაზე მომაკვდინებელი პიროვნული ბრალდება? მართლაც, გაოგნებული ნიკიტა ხრუშჩოვი უცებ ვერც მიხვდა, თუ რაში სდებდნენ მას ბრალს და როგორც კი მიხვდა (როდესაც იგი იმავე ცოდვაში ამხილა საგარეო საქმეთა მინისტრმა, მარშალმა ი ჩენმა), ახლა უკვე წინასწორობის დაკარგვის მისი რიგი დადგა: „თუ თქვენი აზრით, ჩვენ შემგუებელი ოპორტუნისტები ვართ, მე თქვენ ხელს აღარ ჩამოგართმევთ“, – სახეაჭარხლებული დაიმუქრა სტალინის მემკვიდრე. როგორც კი ნიკიტა ხრუშჩოვი მარტო დარჩა საბჭოთა დელეგაციის წევრებთან ერთად მისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში, უმალვე „მოხსნა გუდას თავი“ და რაც კი მის ლექსიკონში რუსული ბილწსიტყვიერება არსებობდა, ერთიც არ დაენანა ჩინელ კომუნისტთა მისამართით. თავად მაოს კი სულ ძველი „გალოში“ უმახა. ბნელი დასაჯერებელია, რომ სტალინის რეჟიმგამოვლილ ნიკიტა სერგის-ძეს წარმოდგენა არ ჰქონოდა ხმის მოსასმენ აპარატებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში საბჭოთა დელეგაციის ვიზიტი ერთი კვირით იყო დაგეგმილი და ოფიციალურად გაცხადებული, ხრუშჩოვმა პეკინი მესამე დღეს დატოვა. საბჭოთა დელეგაციის წევრ ლევ დელიუსინის ცნობით, ვიზიტის შედეგებით ყველა დათრგუნული იყო. მისივე აზრით, შეიძლებოდა განხეთქილების თავიდან აცილება, თუ საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი მეტ ტაქტსა და დიპ-

ლომატიურ უნარს გამოავლენდა. უნდა ითქვას, რომ ჩინეთთან განხეთქილებას ხრუშჩოვიც სერიოზულად განიცდიდა. პეკინიდან იგი პირდაპირ მოსკოვში არ დაბრუნებულა, ორი დღით შორეულ აღმოსავლეთში დარჩა და ვლადივოსტოკში სამხედრო-საზღვაო ბაზა მოინახულა. შემდგომში იმ კრეისერის კაპიტანი, რომელიც ხრუშჩოვს თავის ხომალდზე ღებულობდა წერდა, რომ ეს უკვე სულ სხვა ადამიანი იყო – არაფერი იყო დარჩენილი მუდამ „სიცოცხლით სავსე, ენამახვილი, ენერგიული და მოუსვენარი ნიკიტასაგან": ხომალდზე ავიდა მოღუშული, დათრგუნული და ყველაფრის მიმართ ინტერესდაკარგული ადამიანი.

1960 წლის 22 აპრილს მაომ ჩინეთის კომპარტიის მთავარ გაზეთ „ჟენმინ ჟიბაოში" გამოაქვეყნა ვრცელი წერილი სათაურით: „გაუმარჯოს ლენინიზმს!", სადაც ხრუშჩოვს ეიზენჰაუერთან ფლირტში და „კომუნიზმის საქმის ღალატში" დასდო ბრალი. გაზეთმა იქვე დაბეჭდა ამერიკაში ხრუშჩოვის ვიზიტის შემდეგ „ეიზენჰაუერის მიერ ჩადენილი 37 აგრესიული აქტი" რედაქციის დასკვნით, რომ საბჭოთა ლიდერის ვიზიტს არაფერი არ შეუცვლია ვაშინგტონის პოლიტიკაში და ამერიკელებთან დიალოგი დროის ფუჭი კარგვაა.

ჩინელების ახალი გამოხტომის საპასუხოდ ნიკიტა ხრუშჩოვმა მოულოდნელად გადაწყვიტა რუმინელ კომუნისტთა ყრილობას დასწრებოდა, რომელიც 1960 წლის 20 ივნისისათვის იყო დაგეგმილი. ეტყობა, მას საერთაშორისო ტრიბუნა ესაჭიროებოდა პეკინისათვის პასუხის გასაცემად. ნიკიტა ხრუშჩოვს სხვებმაც მიბაძეს და გარდა მაო ძედუნისა და მისი ახალი მოკავშირის – ალბანელ კომუნისტთა ლიდერის ენვერ ხოჯასი, ბუქარესტში ყველა „მოძმე" პარტია იყო პირველი პირით წარმოდგენილი. ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვით საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა დელეგატები და უცხოელი სტუმრები ჩინელი კომუნისტებისა და მათი ლიდერის დაუნდობელი კრიტიკით გააოცა. პარალელურად, საბჭოთა დელეგაციამ ყრილობის ყველა მონაწილეს დაურიგა 80-გვერდიანი „საინფორმაციო გზავნილი", სადაც კრიტიკის მთავარ სამიზნედ პეკინის საგარეო პოლიტიკა იყო შერჩეული. ჩინეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა

პენ ჩენმა ყრილობის ტრიბუნიდან „უკიდურესად შეურაცხმყოფელი“ კი უწოდა „საინფორმაციო გზავნილს“, მაგრამ თვითონვე გაასაჯაროვა ფაქტიურად „დახურული წერილი“, რომელიც სულაც არ იყო ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი. ყრილობის დღეებში ადგილობრივი გაზეთები იმასაც კი წერდნენ, რომ ხრუშჩოვი მაოს „ბუდად“ მოიხსენიებდა, „რომელიც იჯდა და თითიდან წოვდა მარქსისტულ თეორიებს“.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყრილობაზე საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელის დემარშს ჩინეთის დელეგაციის ხელმძღვანელის ჰენ ჩენის მკვეთრი და ასევე პიროვნულად შეურაცხმყოფელი პასუხი მოჰყვა. მეორე დღეს კი ხრუშჩოვმა გადაწყვიტა ჩინეთიდან გამოეწვია ყველა საბჭოთა სპეციალისტი, გაეწყვიტა 343 კონტრაქტი და შეეჩერებინა 257 ერთობლივი სამეცნიერო-ტექნიკური პროექტი. ხრუშჩოვის მოუფიქრებელი, ემოციური გადაწყვეტილების შედეგად მოსკოვმა რამდენიმე დღეში დაკარგა ფასდაუდებელი სადაზვერვო ინფორმაციის სტაბილური და საიმედო წყარო საბჭოთა სპეციალისტთა სახით, რომელთა დიდი ნაწილი „ორმაგი პროფესიის“ წარმომადგენელი იყო.

მიუხედავად ყოველივე ზემოხსენებულისა, ორ მეზობელ კომუნისტურ სუპერსახელმწიფოთა ღია მტრობა და დაპირისპირება იმდენად ექსტრავაგანტურ რეალობას ქმნიდა, რომ 1960 წლის ნოემბერში კიდევ იყო შერიგებისა და ძველი „ძმობის“ აღდგენის თუ არა, ურთიერთობათა ელემენტარული ნორმალიზაციის მცდელობა: მოსკოვში მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირი გაიმართა 81 პარტიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. მას შემდეგ, რაც რუსმა და ჩინელმა კომუნისტებმა გული იჯერეს ურთიერთკრიტიკით, ორივე დელეგაციის ლიდერებმა ხელი მოაწერეს კომპრომისულ დეკლარაციას. კონფრონტაციას თითქოს მშვიდობიანი თანაარსებობა ცვლიდა, მაგრამ დაზავება ამჯერადაც ხანმოკლე აღმოჩნდა – ახლა „განხეთქილების ვაშლის“ როლი ხრუშჩოვის მოხსენებამ შეასრულა, სადაც იგი პრინციპულად განემიჯნა ბირთვული ომის თეორიულ შესაძლებლობასაც კი. ეს უკვე საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა მაო ძედუნის სტრატეგიას.

ურთიერთობათა საბოლოო გარკვევის შემდეგი მცდელობა იყო მოსკოვში 1961 წლის 5 ივლისს დაწყებული მოლაპარაკებები. ამჯერად უკვე სტალინის თემა იქცა მწვავე დებატების კატალიზატორად. სიტუაცია ცნობილი აფრიკული ანდაზის – მკვდარი ებღაუჭება ცოცხლებს" – ჭრილში განვითარდა: „მკვლელი, დამნაშავე, ბანდიტი, სულელი, იდიოტი, ნეხვი" – რამდენი ბინძური სიტყვა გვსმენია ჩვენ ამხანაგ ხრუშჩოვისაგან... ნუთუ ამხანაგ ხრუშჩოვს მიაჩნია, რომ „სულელი" შესძლებდა ატომური ბომბით შეეიარაღებინა ქვეყანა? აიტანდნენ მსოფლიოს კომუნისტები „ნეხვის" ხელმძღვანელობას?" – ბობოქრობდა ჩინეთის დელეგაციის წევრი კან შენი. შედარებით მშვიდი და თავშეკავებული იყო დელეგაციის ხელმძღვანელი დენ სიაოპინი, თუმცა არც ის აკლებდა „მათრახებს" ნომერ პირველ კომუნისტს: „როდესაც დამარცხებამდე მიჰყავდით თქვენს მცდარ პოლიტიკას, თქვენ ცოფდებოდით... და საბოლოო ჯამში მთელი სოციალისტური ბანაკის ინტერესებს სწირავდით, რათა გესიამოვნებინათ იმპერიალისტებისა და რეაქციონერებისათვის" – მშვიდად საყვედურობდა დენ სიაოპინი ხრუშჩოვს.

გასაკვირი არ იყო, რომ 15-დღიანი ორმხრივი „ქათინაურების" შემდეგ, 20 ივლისს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მოსკოვის მოლაპარაკება შეწყდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი მოსკოვი და ვაშინგტონი ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვაზე შეთანხმდნენ, რაც პეკინში ჩინეთის ბირთვული პროგრამის ტორპედირების მცდელობად იქნა შეფასებული. „ჭუჭყიანი ტრიუკი", „მოტყუება", „ღალატი" – თავს არ ზღუდავდა ხელშეკრულების შეფასებაში მაო ძედუნი. ხრუშჩოვიც იმავე ვალუტაში უბრუნებდა ხურდას. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის შეუქცევადი ხასიათი მიიღო ფართომასშტაბიანმა პროპაგანდისტულმა ომმა, რომელიც საშიშ მანძილზე უახლოვდებოდა ფეთქებად სასაზღვრო-ტერიტორიულ კონფლიქტს. ეს უკვე ხრუშჩოვის მემკვიდრეთა თავსატეხად იქცა.

თავად ის ფაქტი, რომ ხელისუფლებიდან ხრუშჩოვის ჩამოშორებას (რასაც მიქოიანმა ჩინეთისა და პირადად მაო ძედუნისათვის საჩუქარი უწოდა) არ მოჰყოლია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა

ნორმალიზაცია და პეკინმა ხსენებული „საჩუქრის“ შემდეგაც გააგრძელა მოსკოვისათვის მიუღებელი კურსი, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ძნელად თუ შეიძლება ჩაითვალოს პიროვნული ფაქტორი ორ ქვეყანას შორის მტრობის მთავარ მიზეზად. მეორე მხრივ, სპეციალისტთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ეჭვმა და უნდობლობამ საბჭოთა კავშირის კომპარტიის XX ყრილობის შემდეგ მოიკიდა ფეხი ჩინეთის ხელმძღვანელობაში. მაო ძედუნი და მისი გარემოცვა მსოფლიო რევოლუციის იდეალების ჯერ კიდევ ერთგულად რჩებოდა და, ცხადია, ენთუზიაზმით ვერ შეხვდებოდა ვერც სტალინის ანათემაზე გადაცემასა და ვერც მისი მთავარი სტრატეგიული მოკავშირის საგარეო პოლიტიკაში დაწყებულ ცვლილებებს. ბირთვული შეიარაღების კონტროლის სფეროში სავარაუდო კომპრომისები და საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვის ჯერ კიდევ შორეული, მაგრამ რეალური პერსპექტივა, როდესაც ვაშინგტონმა უარყო პეკინის შეთავაზება დიპლომატიური აღიარების სანაცვლოდ ეთქვა უარი ტაივანის სრუტეში ძალის გამოყენებაზე, მაოს უკმაყოფილებასა და სერიოზულ გაღიზიანებას იწვევდა.

პეკინში შიშობდნენ და შეიძლება არც თუ მთლად უსაფუძვლოდ, რომ სტალინის კრიტიკა იგივე მისი საგარეო პოლიტიკური კურსის კრიტიკა იყო, ხოლო ყველაფრის ინიციატორი კი პირადად საბჭოთა კომუნისტთა ახალი ლიდერი იყო. ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა XX ყრილობასა და ხრუშჩოვის პიროვნულ ფაქტორს.

1956 წლის თებერვლისათვის, როდესაც ყრილობა ჩატარდა მოსკოვში, ხრუშჩოვს უკვე გამაგრებული ჰქონდა კრემლში პოზიციები და ძველი სტალინელებისაკენ მიუხედავად, შეეძლო ფარდა აეხადა როგორც 1930-იანი წლების ჯალათური ქრონიკებისათვის, ასევე ომის წლებში დაშვებული ტრაღიკული შეცდომებისა და განუკითხაობებისათვის. ვინაიდან იმ დროისათვის ჯერ არ იყო ბელადის კულტი ხრუშჩოვის მინი-კულტით ჩანაცვლებული, მას ასე თუ ისე შეეძლო საბჭოური ცოდვები სინდისის ქენჯნის გარეშე გამოტანა სააშკარაოზე და დაეგმო სხვისი კულტიცა და ცოდვებიც. გამორიცხულია ჩინეთის

კომპარტიის ხელმძღვანელობას ვერ შეემჩნია, რომ კულტის სუსხიანი კრიტიკა მათ „თავმჯდომარემდეც“ აღწევდა რიკოშეტით. გარდა ამისა, საანგარიშო მოხსენება, რომლითაც ხრუშჩოვი წარსდგა ყრილობაზე, სერიოზულ სიახლეებსაც შეიცავდა საგარეო-პოლიტიკის სფეროში. კერძოდ, მოხსენებაში დადებითად იყო შეფასებული საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვა და ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ორ სამხედრო ბლოკს შორის ომი ისტორიულ აუცილებლობას არ წარმოადგენდა, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის „გენერალურ ხაზად“ კი მშვიდობიანი თანაარსებობა ცხადდებოდა. ორივე სენსაციური სიურპრიზი საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა ჩინეთის როგორც პრაქტიკულ რეალობას, ასევე გრძელვადიან სტრატეგიას.

თავად ხრუშჩოვის მოხსენებაზე, რომელიც მან 25 თებერვალს საღამოს სხდომაზე წაუკითხა მხოლოდ ყრილობის დელეგატებს (უცხოელი სტუმრები დახურული სხდომას არ დაასწრეს), იმდენი თქმულა და დაწერილა, რომ ამჯერად მასზე ვრცლად შეჩერების არანაირი აუცილებლობა არ არსებობს. ეს იყო შოკის მომგვრელი მწარე სიმართლე, რომელიც სისტემისთვის მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით ძნელად თუ ჩაითვლებოდა კათარზისად. გარდა იმისა, რომ სტალინის კრიტიკამ ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის მოსახლეობის გარკვეული წრეების პრეტესტული განწყობილების ზრდას, მან მძლავრი დარტყმა მიაყენა საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას – როგორც ევროპის, ასევე აზიის რიგ ქვეყნებში შეიქმნა პარალელური, ჩინეთზე ორიენტირებული კომუნისტური პარტიები.

საყურადღებოა, რომ საბჭოთა კავშირის რიგით მოქალაქეთათვის მხოლოდ 1989 წელს გახდა ხელმისაწვდომი ნიკიტა ხრუშჩოვის გასაიდუმლოებული მოხსენება. კვლავ ხრუშჩოვის პირად როლზე: უკვე სიბერეში, ვიაჩესლავ მოლოტოვი იხსენებდა, რომ ხრუშჩოვმა პოლიტიკური ელიტის უმრავლესობის განწყობილება ასახა თავის მოხსენებაშიო. განწყობილება კი ძირითადად მართლაც ანტისტალინისტური იყო. ყრილობამდე კარგა ხნით ადრე, 1953 წლის 10 მარტს, პარტიის ცკ-ს პრეზიდიუმის სხდომაზე, პრემიერმა გიორგი მალენკოვმა

კატეგორიულად მოითხოვა, რათა პრესას „შეეწყვიტა პიროვნების კულტის პოლიტიკა“, ხოლო ივნისის დასაწყისში კი ლავრენტი ბერიამ თავისთან მიიპატიჟა ცკ-ის რამდენიმე წევრი და მწერალი კონსტანტინე სიმონოვი, რომელთაც 30-იან წლებში დასახვრეტთა სიები გააცნო. როგორც შემდეგ აღნიშნავდა მწერალი, იგი გააოცა სტალინის პიროვნებისადმი ბერიას სიძულვილმა.

ამავე დროს, არც მალენკოვს და მით უმეტეს, არც ხრუშჩოვს, აზრადაც არ მოსვლიათ, რომ პოლიტიკური სისტემის მამამთავარის რეალური სახის გამოაშკარავებას შეიძლებოდა თავად სისტემისათვისაც მოეცხო ლაქა. ასეთმა „მკრეხელობამ“ კი მალევე იჩინა თავი, როდესაც ხრუშჩოვი შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს შეხვდა: „გახსოვდეთ, ჩვენ არ გადავჩვეულვართ დაჭერებს! ფიქრობთ, სტალინი მოკვდა და ესე იგი, ყველაფრის ნება გაქვთ? წაგშლით! ასეთნაირებისათვის არც დათბობა იქნება და არც სუსხი. მათთვის ყინვები იქნება!“, – გაჰკიოდა გაანჩხლებული ნიკიტა ხრუშჩოვი, როდესაც მას რამდენიმე „ხორკლიანი“ მოთხოვნით მიმართეს.

გარდაცვლილი „დიდი მესაჭის“ თანამებრძოლი მემკვიდრეები „პოსტ-ფაქტუმ“ მიხვდნენ, თუ რა დანაღმულ ველზე შედგეს ფეხი და „პროფილაქტიკური“ მანევრები დაიწყეს: მასობრივი ტერორი „პიროვნების კულტად“ მოინათლა, მთელი ყურადღება მხოლოდ 1937 წელზე შეჩერდა, თითქოს მანამდე და მას შემდეგ არცერთი უდანაშაულო ადამიანი არ დაუხვრეტიათ. დაიწყო ლავრენტი ბერიას დემონიზების კამპანია, რომელიც თურმე თავის ნებაზე „ათამაშებდა უზომოდ მიმნდობ სტალინს“. რეპრესიების მსხვერპლად კი მხოლოდ ნომენკლატურა სახელდებოდა. პრივატულ საუბრებში ალექსანდრე სოლჟენიცინს აგრძნობინებდნენ, რომ „ივან დენისოვიჩის ერთი დღის“ მხატვრული ღირებულება მეტს მოიგებდა ნაწარმოების გმირი კოლმეურნე კი არა, „ობკომის“ მდივანი რომ ყოფილიყო. ოფიციალური ტერმინი „დაუსაბუთებელი რეპრესიები“ კი იმას გულისხმობდა, რომ სამოქალაქო ომის დროინდელი ტერორი თუ განკულაკება დასაბუთებული იყო.

XX ყრილობა და სტალინის კომუნისტურ ანათემაზე გადაცემა, რომ მხოლოდ პირადი შურისძიება არ იყო და საგარეო პოლიტიკაშიც სერიოზულ ძვრებს ითვალისწინებდა, ამის ილუსტრაციად იქცა ხრუშჩოვის 1959 წლის სექტემბრის ხანგრძლივი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

რევოლუციამდე ინდიელებისა და კოვბოების ეგზოტიკურ ქვეყანაში რუსეთიდან მხოლოდ ცნობისმოყვარე დიდი მთავრები თუ მოგზაურობდნენ. ამერიკაში ერთხელ იყო რუსეთის იმპერიის პრემიერ-მინისტრი სერგეი ვიტე რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ საზაო მოლაპარაკებებზე. ასე რომ, ხრუშჩოვი პირველი საბჭოთა ლიდერი იყო, რომელმაც საკუთარი თვალით ამერიკა. მან პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერთან 15-დან 17 სექტემბრამდე ოთხი შეხვედრა გაიმართა უამრავი შეხვედრები იყო ცალკეულ პოლიტიკოსებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, იმართებდა პრეს-კონფერენციებიც და ბანკეტებიც. გარდა ვაშინგტონისა, საბჭოთა დელეგაციამ იმოგზაურა ნიუ-იორკშიც, დე-მოინსა (აიოვას შტატში) და ლოს-ანჯელესშიც. შეხვედრას 2500 ოფიციალურად აკრედიტირებული ჟურნალისტი (მათ შორის 41 საბჭოთა) აშუქებდა. ეს უკვე თვით ამერიკისთვისაც კი სარეკორდო მაჩვენებელი იყო.

რა განწყობით მიემგზავრებოდა ხრუშჩოვი ამერიკაში? ამაზე არასრულ, მაგრამ მიმანიშნებელ წარმოდგენას გვაძლევს გამგზავრების წინა დღეებში, მარტში, მისი შეხვედრა გავლენიან დემოკრატ-სენატორ ჰუბერტ ჰემფრისთან: „ბატონო ჰემფრი, თქვენ რომელი შტატიდან ხართ?“, – მოულოდნელად დაინტერესდა მასპინძელი და როდესაც გაიგო, რომ სენატორი მასაჩუსეტსიდან იყო, კედელზე საგანგებოდ დაკიდებულ ამერიკის რუკასთან მივიდა, მასაჩუსეტსი მოძებნა, წითელი ფანქრით შემოხაზა და ღიმილით შეპირდა ამერიკელ სტუმარს: „თქვენ, რასაკვირველია, იცით, რომ ჩვენს რაკეტებს ნებისმიერ წერტილამდე შეუძლიათ ფრენა, მაგრამ თქვენ მე მომწონხართ და გარანტიას გაძლევთ, რომ თქვენი შტატის მაცხოვრებლებს შეუძლიათ მშვიდად იძინონ“. „თქვენ კი, ბატონო პრემიერო, მოსკოვში ცხოვრობთ?“, – დაინტერესდა ჰემფრი. „რასაკვირველია“ –დაუდას-

ტურა ხრუშჩოვმა. „სამწუხაროდ, მე თქვენ არანაირი გარანტია არ შემიძლია მოგცეთ“, – შავ იუმორში არ ჩამორჩა მასპინძელს კონგრესის დეპატებში ჭიპმოჭრილი სტუმარი.

უკვე ამერიკაში საბჭოთა სტუმარმა რომელიმე სამრეწველო ობიექტის დათვალიერება მოინდომა და როდესაც 40 წლის ასაკის დაზგები ნახა, ბავშვივით გაიხარა: „მიკვირს თქვენი – ამერიკელების“, – ქილიკობდა ხრუშჩოვი, – „როგორ აპირებთ სოციალისტურ ქვეყნებს გაუტოლდეთ ასეთი დანადგარებით?“. ბუნებრივია, მას არ აუხსნეს, რომ არცერთმა მსხვილმა საწარმომ არ ისურვა მისი მიღება უნგრეთის მოვლენების გამო და სახელმწიფო დეპარტამენტმა რის ვაი-ვაგლახით შესძლო რომელიღაც პატარა საამქროს მეპატრონის დაყაბულება არასასურველი სტუმარი თავის ტერიტორიაზე შეეშვა.

საბჭოთა ლიდერი კი თავს საკუთარ სტიქიაში გრძნობდა: თვითონაც უმეტესად მხიარულ გუნებაზე იყო და ამერიკელებსაც გვარიანად ამხიარულებდა. როდესაც მას ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ლეგენდარული დირექტორი ალენ დალესი გააცნეს, არც აცია, არც აცხელა და უმალ „ბიზნეს-პროექტი“ შესთავაზა: ვინაიდან საბჭოთა და ამერიკის დაზვერვები ერთსა და იგივე ინფორმაციას ღებულობდნენ, თანაც, ალბათ, ერთი და იგივე ადამიანებისაგან, „ჯობია ერთობლივად ვიყიდოთ სადაზვერვო მონაცემები, ასე უფრო იაფი დაგვიჯდებაო“

ბუნებრივი იყო, ამერიკელი ჟურნალისტები ხშირად უსვამდნენ ხრუშჩოვს კითხვებს დასავლეთ ბერლინზე, გაყოფილ გერმანიასა თუ კონრად ადენაუერზე. ერთხელაც „გაუგებარი“ ამერიკელი ჟურნალისტებისათვის რომ უფრო „გასაგებად“ აეხსნა გერმანიის პრობლემის არსი, ხრუშჩოვმა „თვალსაჩინოების მეთოდი“ გამოიყენა: „აი, წარმოიდგინეთ ადენაუერი. შარვალი რომ ჩახადოთ, უკანიდან გამოჩნდება, რომ გერმანია მართლაც ორ ნაწილადაა გაყოფილი, ხოლო თუ წინიდან შეხედავთ, დარწმუნდებით, რომ გერმანია ვერასოდეს აღდგება“.

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, რაც საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელზე მოახდინა, ეს იყო ნიკიტას ძველი ნაცნობის, როქუელ

ჰარტის სიმინდის ფერმა. აქ მიიღო მან საბოლოო გადაწყვეტილება სიმინდის წამყვან როლზე რუსეთის სოფლის მეურნეობაში.

მთლიანობაში, რასაკვირველია, სენსაციური აღმოჩენა იყო ამერიკელებისათვის 70-კაციანი დელეგაციაც და მისი მეთაური ხრუშჩოვიც. მათთვის ეს იყო მედიისათვის გახსნილი პირველი კომუნისტი ლიდერი, რომელიც არანაირ „ხორკლიან" კითხვებს არ გაურბოდა, ყველა კითხვაზე ჯიბეში ხელისჩაუყოლებლად ჰქონდა მზად პასუხი, ზოგჯერ იუმორით, ზოგჯერ ტლანქი ტრაბახითა და მუქარით შეკაზმული. ნებისმიერ შემთხვევაში, სტალინისა და მისი ეპოქის შემდეგ ეს რევოლუციური სიახლე იყო. თუ კი მართლაც შესაძლებელი იყო ორ სისტემას შორის მშვიდობიანი თანაარსებობა და ბირთვული კატასტროფის ზღვარზე ბალანსირების განმუხტვა, ვიზიტი შეიძლებოდა ამის პირველ, არც თუ მთლად წარმატებულ, მაგრამ მაინც იმედის მომცემ მცდელობად ჩათვლილიყო. სტალინის ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ „დავაჟკაცებული" ხრუშჩოვისაგან სისულელე იქნებოდა მეტის მოლოდინი. ჩანს, ამას ამერიკელებიც ხვდებოდნენ, თუმცა, როგორც ვიზიტის დღეებში წერდა ამერიკული პრესა, „იმპულსიური რუსი „მუჟიკისაგან" უსიამოვნო სიურპრიზებიც უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი"

პარადოქსული ფაქტია, რომ შედეგებზე გაუთვლელ, იმპულსურ და ზოგჯერ ბირთვული დაპირისპირების რისკის შემცველ ხრუშჩოვის ავანტიურისტულ დიპლომატიურ (რასაც პირობითად თუ შეიძლება დიპლომატია ეწოდოს) ესკაპადებთანაა დაკავშირებული „ცივი ომის" ყველაზე „ცხელი" ეპოზოდები, ხოლო მეორე მხრივ კი მისსავე სახელთან ასოცირდება სტალინის სიკვდილის შემდგომი „დათბობა", საშინაო პოლიტიკაში „ქანჩების მოშვება", ასი ათასობით პოლიტიკური პატიმრის გათავისუფლება და სრული რეაბილიტაცია. მის დროს თუ არ გაქრა, მკვეთრად შემცირდა სისხლიანი პოლიტიკური რეპრესიების შიში, სამოქალაქო უფლება მოიპოვა „მშვიდობიანი თანაარსებობის", „საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვის" და „ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის" თემატიკამ, რაზეც ფიქრიც კი არ შეიძლებოდა სტალინის სიცოცხლეში.

ამავე დროს, ეპოქის სპეციფიკისა და 1945-1953 წლების ინერციის, პლიუს ურთიერთნდობის ნულოვანი ნიშნულის გათვალისწინებით, არანაირ პარადოქსთან არა გვაქვს საქმე. ბირთვული იარაღით აღჭურვილი ორივე ზესახელმწიფოში მწიფდება ჩიხური დოქტრინებისა და კონცეფციების გადასინჯვის ტენდენცია. ჯოჯოხეთურად რთული და შეუძლებელიც იყო სტერეოტიპებისა და ფობიებისაგან ერთბაშად გათავისუფლება. მოსკოვშიც და ვაშინგტონშიც საკმაოდ მძლავრი იყო „ქორების“ პოზიცია, მით უმეტეს, რომ ვაშინგტონელთა არგუმენტების სტაბილურობასა და სიმძლავრეზე ეფექტურად „ზრუნავდა“ სერიოზული სტალინიც და აცეტებული ნიკიტა ხრუშჩოვიც.

ერთადერთი, რაც ხრუშჩოვმა სტალინის მემკვიდრეობიდან ყოველგვარი რევიზიისა თუ დაეჭვების გარეშე ჩაიბარა, იყო მარქსისტულად ხისტი რწმენა, რომ კაპიტალიზმი განწირული იყო სოციალიზმთან დაპირისპირებაში. თითქმის რელიგიურ ფანატიზმად ქცეული გარდუვალი გამარჯვების რწმენით გაჟღენთილი ეგზალტირებული ტრაბახი, რომელიც სტალინის მთავარი მემკვიდრის ნებისმიერი საჯარო განცხადების მზიდ კონსტრუქციად იქცა, რეფლექსურ, უკვე რეალურ საპასუხო რეაგირებას იწვევდა ოკეანის გაღმა, სადაც „ცივი ომის“ დასავლური ფრონტის სიმტკიცეზე ეიზენჰაუერის სახელმწიფო მდივანი დალესი აგებდა პასუხს.

ტყუილად იმედოვნებდნენ ჯერ სტალინი და შემდეგ ხრუშჩოვი, რომ პოლიტიკიდან ტრუმენის წასვლის შემდეგ ოვალურ კაბინეტს კრემლისათვის გაცილებით „მისაღები“ პრეზიდენტი დაიკავებდა. სულაც არ იყო ხრუშჩოვზე ნაკლებად დაჯერებული საბოლოო გამარჯვებაში დალესი, რომელიც ხრუშჩოვისაგან განსხვავებით, საერთაშორისო ცხოვრების მაღალი დონის სპეციალისტის რეპუტაციითაც სარგებლობდა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სოციალისტურ ბანაკთან მიმართებაში მკვეთრ კურსზე გადასვლა ტრუმენის მმართველობის დასასრულს დაიწყო, რასაც ხელი შეუწყო კორეის ომში საეჭვო გამარჯვებამ და საშინაო პოლიტიკაში კი „მაკარტიზმის“ ვულგარულმა ანტიკომუნიზმმა. შექმნილ ვითარებაში კი რესპუბლიკელები არაადეკვატურად მიიჩნევდნენ „შეკავების“ კონცეფციას, რომელმაც, მათი

აზრით, არაეფექტური თავდაცვითი როლი და ფუნქცია განსაზღვრა ბირთვული იარაღის მონიპოლისტ ზესახელმწიფოსთვის. ჯერ კიდევ არჩევნებში გამარჯვებამდე, რესპუბლიკელებმა ფართო კამპანია წამოიწყეს „კომუნიზმის მსოფლიო შემოტევის“ საწინააღმდეგო სტრატეგიული კურსის პოპულარიზაციის მიზნით. 1952 წლის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ კი „შეკავების“ ალტერნატივად ოფიციალურად იქნა აღიარებული „კომუნიზმის უკუგდების“, იგივე „განთავისუფლების“ კონცეფცია.

დალესის იდეა, რომელიც „ეიზენჰაუერის დოქტრინის“ სახელითაა ცნობილი, ითვალისწინებდა სოციალისტურ ქვეყნებზე (ცხადია, საბჭოთა კავშირზე პირველ რიგში) მასშტაბურ ზეწოლას, ბირთვული დარტყმის მუქარითაც კი, რათა იძულებულნი გამხდარიყვნენ უკანასკნელნი, გავლენის სფეროთა უკვე არსებული საზღვრებიდან დაეხიათ უკან და სამინაო პოლიტიკის სფეროშიც კი წასულიყვნენ მთელ რიგ დათმობებზე. ახალი კონცეფციის საკვანძო თეზისები 1952 წლის მაისში გამოაქვეყნა ალენ დალესმა პოპულარულ ჟურნალ „ლაიფ“-ში სათაურით – „გაბედულობის პოლიტიკა“ ხოლო რესპუბლიკურ ადმინისტრაციაში. სახელმწიფო მდივნის პოსტის დაკვირვების შემდეგ თეზისები უკვე მწყობრ საგარეო-პოლიტიკურ კონცეფციად იქცა წარმოდგენილი. რასაკვირველია, მოსკოვში სრულ ინფორმაციას ფლობდნენ არჩევნებამდე ექვსი თვით ადრე გამოქვეყნებულ წერილზეც და მომავალი სახელმწიფო მდივნის მიერ 1953 წლის 15 იანვარს, სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტში გაკეთებულ განცხადებაზეც, რომ ახალი ადმინისტრაცია „შეკავების“ პოლიტიკას „გაცილებით დინამიური“ პოლიტიკით ჩაანაცვლებდა. კომუნიზმისაგან აღმოსავლეთ ევროპის (პირველ რიგში) ხალხების „განთავისუფლება“ ამერიკის საგარეო პოლიტიკისა პრიორიტეტულ ამოცანად ცხადდებოდა.

ამავე დროს „უკუგდების“ – როგორც ამერიკის დიპლომატიის საერთო განმსაზღვრელ პლატფორმასთან იყო მიბმული ორი სამხედრო დოქტრინაც: „ახალი ხედვა“ და „მასირებელი მისაგებელი“. ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა ამერიკაზე საბჭოთა კავშირის „შეზღუდუ-

ლი მასშტაბის“ თავდასხმის საპასუხოდაც კი ამერიკის საპასუხო დარტყმას ქვეყნის მთელი ბირთვული პოტენციალის გამოყენებით. რაც შეეხებოდა „ახალი ხედვის“ დოქტრინას, რომელიც ეროვნული უშიშროების საბჭოს 1953 წლის 8 აგვისტოს მოხსენებაში იყო განზოგადებული, მისი არსი შემდეგში მდგომარეობდა: ვინაიდან ბირთვული შეიარაღება გაცილებით იაფი უჯდებოდა ქვეყანას, ვიდრე ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შენახვა, ბირთვული იარაღის შესაძლებლობები კი ბევრად ჭარბობდა არაბირთვული იარაღის ეფექტს, ამერიკას არ სჭირდებოდა დიდი არმიის შენახვა ევროპაში. საკმარისი იყო ბირთვული მუხტებისა და სტრატეგიული ავიაციის (რაკეტებთან ერთად) რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა. ეს იყო აშკარად ცინიკური, თუმცა ზუსტი გათვლა.

დოქტრინის მთავარი საფრთხე იმაში იმალებოდა, რომ ჯერ ერთი, დგინდებოდა ბირთვული კონფლიქტის ძალზე დაბალი ზღუდე და რაც მთავარი იყო, საბჭოეთთან უმნიშვნელო კონფლიქტსაც უნდა მოჰყოლოდა ამერიკის მთელი ბირთვული არსენალის დასწრებითი გამოყენება, რათა მოწინააღმდეგეს საპასუხო დარტყმების საშუალება აღარ ჰქონოდა. ეს იყო „პრევენციული დარტყმის“ იდეის ლეგალიზაცია. დალესის აზრით, კომუნისტური ექსპანსიის ყველა შემთხვევისათვის ამერიკას უნდა ეპასუხა „დაუყოვნებლივ და საკუთარი შეხედულებებისამებრ. სიტუაციას ის ფაქტიც მატებდა დრამატიზმს, რომ 1949 წლის შემოდგომიდან მოყოლებული, როდესაც საბჭოთა კავშირმა წარმატებული გამოცდების შემდეგ საკუთარი ბირთვული ბომბების შექმნა დაიწყო, ამერიკის მონოპოლია გაქრა. 1951 წლის სამაისო სამხედრო აღლუმზე, ტუპოლევის საკონსტრუქტორო ბიურომ წითელ მოედანზე გამოიტანა პირველი ოთხი საკონტინენტთაშორისო ბომბდამშენი, რომელთაც შეეძლოთ ჩრდილოეთ პოლუსიდან მიეღწიათ ამერიკამდე და უკან დაბრუნებულიყვნენ. ცხადია, ამერიკელების უპირატესობა უდაო იყო ბირთვული მუხტებისა და მათი ტრანსპორტირების საშუალებათა (რაკეტების) რაოდენობაში.

„აიზენჰაუერის დოქტრინით“ ამერიკა ნებაყოფლობით კისრულობდა გლობალურ ვალდებულებას დაეცვა ნებისმიერი ერის თავი-

სუფლება და ყოფილიყო „მშვიდობის გარანტი მთელ მსოფლიოში“. იმ ქვეყნებს კი, რომელნიც უშუალოდ გრძნობდნენ კომუნიზმის საფრთხეს, ვაშინგტონი სთავაზობდა „შრომის განაწილებას“ – მათ პერმანენტული ზეწოლის ქვეშ უნდა ჰყოლოდათ საბჭოთა კავშირი ჩვეულებრივი შეიარაღებით, ხოლო ამერიკა კი საკუთარი ტერიტორიიდან მზად იქნებოდა „მისაგებელი“ დარტყმა მიეყენებინა პოტენციური აგრესორისათვის.

1954 წლის აპრილში ეროვნული უშიშროების საბჭომ განიხილა პენტაგონის მიერ გამზადებული მემორანდუმი „არმიის პოზიციაზე“, სადაც პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ „თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს ინდოჩინეთში გამარჯვების მიზნით მონაწილეობა მიიღოს სახმელეთო ოპერაციებში, საამისოდ საჭირო იქნება შვიდი ამერიკული დივიზია, ან ექვივალენტური შეიარაღებული ძალები ზღვიდან და ჰაერიდან მხარდაჭერით“. პენტაგონი ამას ვარაუდობდა იმ შემთხვევისათვის, თუ ფრანგები დატოვებდნენ ინდოჩინეთს, ხოლო ჩინელები კი კონფლიქტში არ ჩაერეოდნენ. არც პენტაგონში, არც ოვალურ კაბინეტსა და არც ეროვნული უშიშროების საბჭოში თავში არავის მოუვიდოდა, რომ არც თუ ისე დიდი დრო რჩებოდა მანამდის, სანამ ამერიკელების 600-ათასიანი არმია დიდი მსხვერპლითა და უფრო დიდი მორალურ-ფსიქოლოგიური ტრავმით, მართალია, დამარცხებული არა, მაგრამ არც გამარჯვებული სამუდამოდ დატოვებდა ვიეტნამს. 1954 წელს კი, როდესაც ფრანგებმა მართლაც დატოვეს ვიეტნამი, დალესის რეფლექსური გადაწყვეტილება იყო ფრანგების ჩანაცვლება. გენერლებთან – რედფორდთან და ტუაინინგთან ერთად შემუშავებული გეგმის მიხედვით, ამერიკელებს დესანტი უნდა გადაესხათ საიგონში, საიდანაც ელვისებური მარშით უნდა შეჭრილიყვნენ ჰანოიში და ადგილობრივი მნიშვნელობის სამხედრო ოპერაციით გაენადგურებინათ წინააღმდეგობის ლოკალური კერები. როდესაც ოპერაციის სერიოზული განხილვის შედეგად გამოირკვა, თუ რა დაუჯდებოდა ეს ყველაფერი ამერიკას, ეიზენჰაუერს ფასი ეძვირა და მხოლოდ სამხრეთ ვიეტნამზე მოხდა მთელი ყურადღების კონცენტრაცია. ალენ დალესი იძულებულ იყო

გვატემალაში ორგანიზებული „ბანანების გადატრიალებით“ დაკმაყოფილებულიყო, სადაც ხელისუფლებიდან განდევნეს პრეზიდენტ გუსმანის მთავრობა გავლენიანი კომუნისტებით.

ტრუმენის პრეზიდენტობიდან ეიზენჰაუერს მემკვიდრეობით ერგო სამხედრო კავშირის სისტემა, რომელიც 41 ქვეყანას მოიცავდა. ეიზენჰაუერ-დალესის დიპლომატიურ გათვლებში აზიას განსაკუთრებული ადგილი ეკავა: 1954 წლის სექტემბერში იქმნება სეატო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულება ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, პაკისტანის, ტაილანდისა და ფილიპინების მონაწილეობით. საყურადღებო ფაქტია, რომ საერთაშორისო ვალდებულებებისადმი ქრონიკულად ეჭვიანმა სენატმა ამჯერად 82 ხმით ერთის წინააღმდეგ დაუჭირა მხარი ბლოკში ამერიკის წევრობას. იგულისხმებოდა, რომ სეატოს უნდა დაეცვა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია.

1955 წელს გაფორმდა ორმხრივი სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულება ტაივანთან, 1959 წელს ირანთან. მანამდის კი 1955 წლის თებერვალში, ბრიტანეთის ინიციატივით იქმნება ე.წ. ბაღდადის პაქტი ბრიტანეთის, პაკისტანისა და ირანის მონაწილეობით. ამერიკა ოფიციალურად არ გაწევრიანებულა პაქტში, მაგრამ სხვა მხრივ ყურადღებასა და დახმარებას არ აკლებდა. ერთი სიტყვით, ტრუმენისა და ეიზენჰაუერის პრეზიდენტობის დიპლომატიური აქტივი მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურებოდა გეოგრაფიული მასშტაბებითა და ქაღალდზე დაფიქსირებული ვალდებულებებით, თუმცა რაიმე დიდი გავლენა არ მოუხდენია ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის ძალთა თანაფარდობაზე (124).

მიუხედავად იმისა, რომ ეიზენჰაუერი სავსებით იზიარებდა თავისი წინამორბედი პრეზიდენტის ხედვას კომუნიზმზე, როგორც მსოფლიო ბატონობისათვის მებრძოლ მონოლითურ ძალაზე, მიუხედავად იმისა, რომ თავის პირველსავე საინაგურაციო სიტყვაში „ბოროტ ძალად“ მოიხსენია საბჭოთა კავშირი და განაცხადა, რომ „თავისუფლება ებრძვის მონობას, სინათლე კი სიბნელეს“, 1955 წლის ჟენევის კონფერენციაზე, სადაც ის პირველად შეხვდა საბჭოთა ხელმძღ-

ვანელებს, გულწრფელად შეეცადა ნდობის ატმოსფეროს შემქმნელი ნაბიჯებით შეეწყო ხელი ორ სუპერსახელმწიფოს შორის მზარდი დაძაბულობის განმუხტვისათვის. ვერ მოხერხდა ჟენევაში ინდოჩინეთის პრობლემის საბოლოოდ გადაჭრა, მაგრამ შესაძლებელი გახდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან შემორჩენილი დაპირისპირების ისეთი მნიშვნელოვანი კერის ლიკვიდაცია, როგორიც იყო ავსტრიის მომავალი. 1955 წლის 24 ივნისის ხელშეკრულებით დასრულდა მოკავშირეთა მიერ ავსტრიის ოკუპაცია, რამაც პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა და საბაზრო ეკონომიკის რელსებზე დადგომის საშუალება მისცა ალპიურ რესპუბლიკას. ჟენევაში პირველად წამოაყენა ამერიკის მხარემ ბირთვული განიარაღების საკითხი ორმხრივი ეფექტური ინსპექციით. ხრუშჩოვს ინსპექციის გაგონებაც არ სურდა, რომელსაც ის „საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შპიონაჟის გეგმას“ უწოდებდა. ჟენევიდან სულ ორი კვირა იყო გასული, რომ საბჭოთა კავშირმა წყალბადის ბომბების გამოცდა განაახლა.

ჟენევის მოლაპარაკების უშედეგო დასასრული „ცივი ომის“ გაგრძელების მომასწავლებელი იყო. ასეთ პირობებში ეიზენჰაუერმა ჩათვალა, რომ ბირთვული იარაღი იყო მოსკოვზე რაიმე ზემოქმედების მოხდენის ერთადერთი საშუალება. მოსკოვის შემდეგ ვაშინგტონმაც განაახლა ბირთვული იარაღის გამოცდა ნევადის შტატსა და წყნარი ოკეანის მივარდნილ კუნძულზე. გამალებული ბირთვული შეიარაღება გრძელდებოდა, ხოლო საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაძაბულობის ზრდის რეალურ მიზეზად პოლონეთისა და განსაკუთრებით კი უნგრეთის მოვლენები იქცა.

განგაშის პირველი ზარი, რომ სოციალისტურ ბანაკში მწყობრი ხაზი ირღვეოდა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან გაისმა: როგორც კი 1952 წლის ივლისში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციაზე პარტიის გენერალურმა მდივანმა ვალტერ ულბრიხტმა, საზეიმოდ განაცხადა, რომ აღმოსავლეთ გერმანია „სოციალიზმის გეგმაზომიერ მშენებლობაზე“ იღებდა კურსს, მთელ ქვეყანაში დაიწყო სოციალიზაციის პროცესი. ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანებას აიძუ-

ლებდნენ, ხოლო გადასახადების მკვეთრი ზრდით კი მრეწველობიდან იდევნებოდნენ ჯერ კიდევ შემორჩენილი კერძო საწარმოები. დრაკონულ შეზღუდვებს წვრილ მესაკუთრეთა და კერძო ვაჭრობის მასობრივი კრიმინალიზაცია მოჰყვა, რის გამოც ერთ წელიწადში 31 ათასიდან 66 ათასამდე გაიზარდა პატიმართა რაოდენობა. გახშირდა ქრისტიან-დემოკრატიული და ლიბერალ-დემოკრატიული პარტიების წევრების დაპატიმრებები. სკოლებსა, უმაღლეს სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებში შემოიღეს „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების“ შესწავლა. „ცივი ომის“ რეალობაში ასევე გაიზარდა სახელმწიფო უშიშროებისა და ეროვნული არმიისათვის საჭირო ხარჯები. 1953 წლის დასაწყისისათვის სამხედრო ხარჯები ქვეყნის ბიუჯეტის 11 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 19 პროცენტს საბჭოთა კავშირის რეპარაცია ნთქავდა. ქვეყნის ფორსირებული მილიტარიზაციის შედეგმაც არ დააყოვნა, ღრმა ეკონომიკური კრიზისის სახით. ომის დამთავრებიდან მერვე წელს კვლავ სასურსათო ბარათებით გაიცემოდა ცხიმები, ხორცი, შაქარი. 1953 წლის ზაფხულში, ეკონომიკური სიძნელეების დაძლევის მიზნით დადგინდა ნორმების 10 პროცენტით გაზრდა, რაც ხელფასის 25 პროცენტით შემცირებას ნიშნავდა. ნორმების ზრდის პროცესი 30 ივლისს, ვალტერ ულბრიხტის დაბადების დღეს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მმართველი პარტიის გენერალურ მდივანს დაბადების დღესთან დაკავშირებული საზეიმო განწყობილება ლეიფციგის მეტალურგიული ქარხნის მუშებმა ჩაუშხამეს მასობრივი გაფიცვით. ეკონომიკური მოთხოვნებით დაწყებული პროტესტი მალე პოლიტიკურ მოთხოვნებში გადაიზარდა და ბერლინისა და სხვა ქალაქების სამრეწველო ობიექტებიც მოიცვა. 16 ივნისს დასავლეთ ბერლინის გაზეთ „დერ აბენდ“-ში, პირველ გვერდზე დაიბეჭდა აღმოსავლეთ ბერლინის მუშების მოწოდება საყოველთაო გაფიცვისაკენ. იმავე საღამოს, აღმოსავლეთ ბერლინში სტიქიურად იკრიბებოდა მიტინგები პოლიტიკური მოთხოვნით: „ძირს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია“. მთელი ღამე აღმოსავლეთ ბერლინის ქარხნებსა და ფაბრიკებში მუშაობდნენ საგაფიცვო კომიტეტები საყოველთაო გაფიცვის მოსამზადებლად. პარალელურად საბრ-

ძოლო მზადყოფნაში იქნა მოყვანილი პოლიცია და საბჭოთა საჯარისო ნაწილები.

17 ივლისს დილით აღმოსავლეთ ბერლინში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა პოლიტიკური მოთხოვნებით. უცებ გახდა პოპულარული ულბრიხტის გადადგომის მოთხოვნა – „თხისწვერიანი უნდა გადადგეს“ სტუდენტებმა ბრანდენბურგის კარებიდან წითელი დროშა ჩამოხსნეს და დაფლითეს. დემონსტრანტებმა იერიში მიიტანეს 250 სახელმწიფო დაწესებულებაზე, მათ შორის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს რაიონულ განყოფილებებზე და მმართველი პარტიის შტაბ-ბინებზე. ფართო მასშტაბიანმა საპროტესტო ტალღამ მოიცვა დრეზდენი, ჰალე, გერა, მაგდებურგი და მთელი რიგი სხვა ქალაქები.

წინა ღამით ულბრიხტი, პრემიერი გროტევოლი და სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ცაისერი კარლსჰორსტში შეხვდნენ საბჭოთა საოკუპაციო ჯარების სარდალ ანდრეი გრეჩკოს. 17 ივლისს, შუადღისას საბჭოთა ტანკები პოტსდამის მოედნისკენ დაიძრნენ. მალე სროლაც ატყდა, დემონსტრანტები ქვებს უშენდნენ ტანკებს და ყვიროდნენ: „ივან, წაეთრიე აქედან!“, „სახლში! სახლში!“.. მძიმედ დაჭრილები დასავლეთ ბერლინის საავადმყოფოში მიჰყავდათ. დღის პირველ საათზე ბერლინის საბჭოთა სექტორის კომენდატმა, გენერალმა პეტრე დობროვმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. მუშათა გაფიცვები და დემონსტრაციები „დასავლეთგერმანელი ფაშისტებისა და სხვა რეაქციონერების“ პროვაკაციებად შეფასდა.

1953 წლის ივნისის მოვლენების მკვლევართა აზრით, ხელოვნურად იყო შემცირებული მსხვერპლის რაოდენობა როგორც ოფიციალური მონაცემები (20 დაღუპული), ასევე იყო გაზრდილი დასავლეთ გერმანიაში გამოქვეყნებული ციფრი – 507 ადამიანი. საბჭოთა საოკუპაციო სარდლობამ საპროტესტო დემონსტრაციების ხუთი მონაწილე გაასამართლა და სიკვდილით დასაჯა; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ორი ადამიანი გაასამართლა და სიკვდილით დასაჯა. საერთოდ, გერმანულმა სასამართლოებმა 1240 ადამიანი გაასამართლეს და სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯეს. იანვრის ბოლომდე ეს ციფრი 1526-მდე გაიზარდა.

გდრ-ის ივნისის მოვლენები პირველ ტესტად იქცა ამერიკი
ახალი ადმინისტრაციის დოქტრინა „განთავისუფლებისათვის“. მიუ
ხედავად იმისა, რომ ეიზენჰაუერის ადმინისტრაცია ყოველ საათს ღ
ბულობდა ინფორმაციას ბერლინიდან, მან მაინც ვერ შესძლო სა
თანადოდ შეეფასებინა აღმოსავლელი გერმანელების ნებისყოფი
სიმტკიცე და საპროტესტო მუხტის ძალა. ადმინისტრაციის აზრით
როგორც საბჭოთა კავშირი, ასევე გდრ შეძლებდა კრიზისის გადა
ლახვას. ამავე აზრისა იყო ცენტრალური დაზვერვის სამმართველო
(„ცეერუ“), რომელიც დიდი გადაჭარბებით აფასებდა აღმოსავლე
გერმანიის სტაბლურობას. საოცარია, რომ 1953 წელს, როდესაც ჯე
არც კედელით იყო ბერლინი გაყოფილი და ქალაქის ცალკეულ
სექტორებს შორის კომუნიკაციაც არ იყო გამკაცრებული, თეთრ
სახლი იმასაც კი არ გამორიცხავდა, რომ პროტესტი მოსკოვის მიე
იყო ორგანიზებული, რათა არაპოპულარული ხელმძღვანელის ვალ
ტერ ულბრიხტის გადაყენების საბაბი გაჩენილიყო. სინამდვილეში
კრიზისის შედეგად კი არ შესუსტდა, არამედ საგრძნობლად გაძლი
ერდა ულბრიხტის პოზიციები. ვაშინგტონი ზუსტ ინფორმაციას
ფლობდა სტალინისტური კურსის ერთგული ულბრიხტის წინააღმ
დეგ არსებულ ოპოზიციაზე, რომელსაც თეორიულად უნდა ჰქონოდ
მოსკოვის მხარდაჭერის იმედი, მაგრამ სწორედ კრიზისი გამოიყენ
სტალინისტმა პარტიულმა ფუნქციონერმა მასშტაბიანი შიდა წმენ
დის ჩასატარებლად. მკვეთრი კურსის ყველა მოწინააღმდეგეს პასი
უროობასა და სოციალ-დემოკრატიულ გადახრაში დასდეს ბრალი
1953 წლის დასასრულისათვის აღმოსავლეთ გერმანიის მმართველო
პარტიის პროვინციული განყოფილებების 60 პროცენტს თანამდებო
ბები დაატოვებინეს. 1953 წლის 15 ივლისს, რეპრესიების პირველ
მსხვერპლად იქცა იუსტიციის მინისტრი მაქს ფერნერი, რომელიც 3
ივნისს, გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში
გაფიცული მუშების მიმართ სამართლებრივი დევნის დაწყები
წინააღმდეგ გამოვიდა. მინისტრს ჯერ თანამდებობა დაატოვებინე
და პარტიიდან გარიცხეს, შემდეგ კი გაასამართლეს და რვაწლიან
პატიმრობა მიუსაჯეს. 24 ივლისს თანამდებობებიდან გაანთავისუფ

ლეს და პარტიიდან გარიცხეს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ცაისერი და გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ მთავარი რედაქტორი რუდოლფ ჰერერგარდი.

ერთდროულად აღდგა გამომუშავების ძველი ნორმები და გაუქმდა ხელფასების შემცირების გადაწყვეტილება. თავის მხრივ რეპარაციები შეამცირა საბჭოთა კავშირმაც. ოქტომბერში 10-25 პროცენტით შემცირდა ფასები სახალხო მოხმარების საქონელზე. რაც შეეხებოდა მთავარ პრობლემას – მოსახლეობის დასავლეთ სექტორში გაქცევის ტემპებს, უკანასკნელი კიდევ უფრო გაიზარდა: თუ 1952 წელს 182 ათასმა ადამიანი გაიქცა დასავლეთ გერმანიაში, 1953 წლის მონაცემებმა 331 ათასი ადამიანი შეადგინა. საბჭოთა ისტორიულ ენციკლოპედიაში შემდეგნაირადაა შეფასებული ნოემბრის მოვლენები: „მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა სოციალიზმის მშენებლობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. იმპერიალისტური ქვეყნები ფართოდ იყენებდნენ დასავლეთ ბერლინს ბირგამომთხრელი საქმიანობისათვის. ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა იმპერიალისტური ქვეყნები შეეცადნენ გერმანიის დემოკრატულ რესპუბლიკაში კაპიტალისტური წყობის რესტავრაციისათვის გამოეყენებინათ სოციალიზმის მშენებლობასთან დაკავშირებული სირთულეები. ამ მიზნით იქნა პროვოცირებული 1953 წლის 17 ივნისის ფაშისტური პუტჩი. მოსახლეობის, პირველ რიგში მუშათა კლასისა და საბჭოთა არმიის ენერგიული წინააღმდეგობის შედეგად, პუტჩი წარმატებით იქნა ლიკვიდირებული“ (125). როგორც ჩანს, გდრ-ის სპეცსამსახურებზე მეტი ინფორმაციის წყაროები გააჩნდათ ხსენებული ენციკლოპედიის ავტორებს, ვინაიდან 1953 წლის ნოემბერს, სახელმწიფო უშიშროების ახალი მინისტრი ურანსტ ვოლვებერი ერთ-ერთ თათბირზე თვითკრატიკულად აღიარებდა: „იძულებელნი ვართ ვაღიაროთ, რომ ჩვენ დღემდე ვერ შევძელით, პოლიტბიუროს დავალებების თანახმად, 17 ივნისის პუტჩის ინსპირატორებისა და ორგანიზატორების გამოვლინება. ჩვენ დღემდე ვერ შევასრულეთ ეს დავალება“ (126). ნოემბრის აჯანყების „ორიგინალურ“ მიზეზს გვთავაზობენ კომუნისტური წარსულის რუსი მკვლევარები

სერგეი ლავრენოვი და იგორ პოპოვი: ერთობლივ ნაშრომში „საბჭოთა კავშირი გლობალურ ომებსა და კონფლიქტებში“ ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ 1953 წელს აღმოსავლეთ ბერლინში არც „ფაშისტური პუტჩს“ ჰქონდა ადგილი და არც პოლიტიკურ პროტესტს. რეალურად „მარმელადის ბუნტი“ მომხდარა: ელემენტარულად გაძვირებულა მარმელადი – გერმანელი მუშების „საუზმის მთავარი რაციონი“ და დელიკატესებს მიჩვეულ გერმანელ მშრომელებს თურმე ეს ვერ აუტანიათ (127).

იოსებ სტალინის სიკვდილიდან სულ რაღაც სამი თვის შემდეგ კრემლის ახალმა „მესაკუთრეებმა“ მთელ მსოფლიოს დაუმტკიცეს, რომ არც თუ ისეთი უსუსური „ბრმა კნუტები“ არიან, როგორებადაც მათ ბელადი დაცინვით მიიჩნევდა და ნებისმიერ წუთს შეუძლიათ ტანკების გამოყვანა მიღებული მემკვიდრეობის დასაცავად. აღმოსავლეთ ბერლინის ივნისის მოვლენები ბევრის მთქმელი იყო დასავლეთისა და კერძოდ, ვაშინგტონისათვის. ის ფაქტი, რომ „საიმედო ხელში“ აღმოჩნდა „სოციალიზმის მონაპოვარი“ და თანაც კრემლში შეიძლება იმ აზრამდეც მისულიყვნენ, რომ ნატო და „განთავისუფლების“ კონცეფცია სუსტ ნერვებიანთათვის განკუთვნილი საფრთხობელაა, მოდუნებისა თუ ინერტულობის საშუალებას არ აძლევდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის დედაქალაქებს. რასაკვირველია, დასაშვებია, რომ ბერლინში მომხდარ მოვლენებთან არ იყო დაკავშირებული „რკინის ფარდის“ მეორე მხარის დიპლომატიური გააქტიურება და მთელი რიგი საკვანძო ხასიათის გადაწყვეტილებები, მაგრამ სწრაფი რეაგირების რეჟიმში განხორციელებული საპასუხო კონფრონტაციული ნაბიჯები და დაძაბულობის დინამიური ზრდა დიპლომატიური კრიზისების ისეთ ქაოსს განაპირობებდა, სადაც სულ უფრო და უფრო რთულდებოდა ინტერესთა დამთხვევებისა და გადაკვეთების მოზაიკაში გარკვევა, მოუხედავად ჩართულ მხარეთა რეალური განზრახვებისა.

როდესაც აღმოსავლეთ ბერლინში ლოკალური აჯანყებიდან ორი თვის შემდეგ საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ უარყო ევროპის თავდაცვითი თანამეგობრობის იდეა, რომლის მიხედვითაც გერმანია

დასავლეთის თავდაცვითი სტრუქტურების წევრი უნდა გამხდარიყო, ამით დასავლეთ გერმანიის მომავლის საკითხი არც დახურულა და არც ცეცხლგამძლე სეიფში არ ჩაკეტილა. ეიზენჰაუერისა და დალესის ენერგიული ზეწოლით პარიზმა მკვეთრად შეიცვალა პოზიცია (შეიძლება „არგუმენტის“ ფუნქცია აღმოსავლეთ ბერლინში ამოქმედებულმა საბჭოთა ტანკებმაც შეასრულეს) და 1954 წლის 23 ოქტომბერს, პარიზშივე გაფორმდა შეთანხმება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სამ დასავლელ მოკავშირის (აშშ, ინგლისსა და საფრანგეთს) შორის. ხელშეკრულებას წინ უსწრებდა ოთხი ყოფილი მოკავშირის ლონდონის უშედეგო კონფერენცია, ხოლო უფრო ადრე, 1954 წლის 25 მარტს კი მოსკოვმა გამოაქვეყნა განცხადება, რომ იგი „ორმხრივ თანასწორუფლებიან“ ურთიერთობებს ამყარებდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

როგორც კი ვაშინგტონ-ლონდონ-პარიზმა გაუქმებლად გამოაცხადა საოკუპაციო რეჟიმი, ადენაუერმა ოფიციალურად უარყო გერმანიის ძალით გაერთიანების იდეა და სამი დასავლელი მოკავშირისაგან აღნიშნული მიმართულებით მშვიდობიან ღონისძიებებში სრული დიპლომატიური მხარდაჭერის გარანტია მიიღო. რაც შეეხებოდა დასავლეთ გერმანიის გადაიარაღების პრობლემას, რისი ისტორიული მეხსიერებაც რამდენიმე თაობის ფრანგ პოლიტიკოსთა და დიპლომატთათვის იქცა სერიოზული თავის ტკივილად, დალესს მთელი თავისი უშრეტი იურიდიული ეკვილიბრისტიკის მობილიზება დასჭირდა, რათა დასავლეთ გერმანიის ნატოში გაწევრიანების ხელშეკრულება ფრანგებისათვის მისაღები ფორმულირებებით „დაევარცხნა“. დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალები (12 დივიზია) გადადიოდა ნატოს უმაღლესი მთავარსარდლობის დაქვემდებარებაში. „კონრად ადენაუერმა პირობა დადო, რომ დასავლეთ გერმანია არასოდეს შექმნიდა საკუთარ ბირთვულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ იარაღს.

მოსკოვი, რომელიც პარიზზე ნაკლები შიშნარევი ეჭვით არ უყურებდა დასავლეთ გერმანიის სამხედრო პოტენციალის ზრდის პერსპექტივასა და ნატოში მის გაწევრიანებას, თვლიდა, რომ მის თვალწინ

იცვლებოდა „ევროპაში ძალთა ბალანსი“. ახლა უკვე კონტინენტის ცენტრში, ყველაზე ცხელ წერტილში პირისპირ აღმოჩნდა ნატო და საბჭოთა საოკუპაციო არმია. გეოპოლიტიკური ჭადრაკის დაფის საბჭოთა ნაწილზე ჩაირთო დროის მზომი საათი.

რამდენადაც რთული წარმოსადგენია, თუ როდის და როგორი იქნებოდა სტალინის საპასუხო სვლა, იმდენადვე მარტივი, მყისიერი და სტრატეგიული გათვლების თვალსაზრისით, საეჭვო ღირებულების იყო კრემლის (ხრუშჩოვის) საპასუხო სვლა: 1955 წლის 14 მაისს, ვარშავაში, ბელგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და ალბანეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების“ ხელშეკრულებას (1958 წელს ალბანეთი გავიდა ხელშეკრულებიდან). იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე წევრზე განხორციელდებოდა თავდასხმა, დანარჩენი წევრები დაუყოვნებლივ აღმოუჩენდნენ „აგრესიის მსხვერპლს სრულ დახმარებას, სამხედრო ძალის გამოყენების ჩათვლით“ – დაფიქსირებული იყო ხელშეკრულებაში. ის ფაქტი, რომ ნატოს შექმნიდან თითქმის 4 წლის მანძილზე, სტალინს აზრადაც არ მოსვლია საპირწონე ბლოკის შექმნა, თუმცა მოსკოვისთვის ეს არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა. ხრუშჩოვმა ასეთი გადაწყვეტილება მხოლოდ გფრ-ის ნატოში გაწევრიანების შემდეგ მიიღო, როდესაც გერმანიის პრობლემის საბჭოური სცენარით გადაჭრის ყოველგვარი იმედი ამოიწურა.

რა ფუნქცია ეკისრებოდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას?

რა დონის იმპულსური დილეტანტიც არ უნდა ყოფილიყო საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის სფეროში ხრუშჩოვი, გამორიცხულია, რომ წარმოდგენა არ ჰქონოდა იგივე ევროპაში ძალთა რეალურ თანაფარდობაზე. ტრაბახი ტრაბახად, მაგრამ მას ხომ ობიექტური ინფორმაცია გააჩნდა პენტაგონისა და საბჭოთა კავშირის ბირთვულ არსენალებზე? წითელი არმიის გენერალურ შტაბში კი, ომგამოვლილი თავისი საქმის მცოდნე სტრატეგები ევროპაში ახალი ომის

გეგმებს ადგენდნენ, სადაც რაც უფრო რეალისტურად იყო გათვლილი ბირთვული დუელის ყველა მოსალოდნელი შედეგი, ორ ბანაკს შორის ჰიპითეტური სამხედრო კონფლიქტი მით უფრო თვითმკვლელურ პერსპექტივას იძენდა. ნატოს სოციალისტური მინი-ანალოგის შექმნისას, სხვა არგუმენტებთან ერთად, გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოეთის მძლავრი სამხედრო კონტინგენტის უვადოდ ყოლის საჭიროებასაც. აღმოსავლეთ ბერლინის 1953 წლის ივნისის „ფაშისტური პუტჩის" მწარე გამოცდილება საბჭოთა ხელმძღვანელობას აიძულებდა სოციალისტური ბანაკის მობინადრეთა ერთგულების (ძირითადად რიგითი მოსახლეობის) საიმედო გარანტზე ეზრუნა, ხოლო არაპოპულარული ლიდერების იმედზე მხოლოდ გარკვეულ სიტუაციებამდე ყოფილიყო.

მიუხედავად აღმოსავლეთ გერმანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებასა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნისა, კრემლის „აქილევსის ქუსლად" კვლავ რჩებოდა ორად გაყოფილი ბერლინის პრობლემა, ხოლო „ძლევამოსილი" და „ამქვეყნიურ სამოთხედ" ქცეული სოციალისტური „ბედნიერებიდან" კაპიტალისტური „უბედურებაში" გაქცევის მსურველთა ყოველდღიური ზრდა კი ინტელიგენციისა და მაღალპროფესიული მუშების უმწვავეს დეფიციტს ჰპირდებოდა ულბრიხტსა და გროტევოლს. საჭირო იყო სიტუაციის კარდინალურად შეცვლა.

სანამ კრემლში ბერლინის დილემის გადაჭრის დიპლომატიურ სცენარებს ადგენდნენ, კრიზისმა პოლონეთსა და უნგრეთში იფეთქა.

ისევე როგორც აღმოსავლეთ გერმანიაში, პოლონეთში დემონსტრაციების საბაბად მუშების მძიმე სამუშაო პირობები და მატერიალური მდგომარეობა იქცა. 1956 წლის 28 ივნისს ქ. პოზნანში სტალინის (ამჟამად ცეგელსკის) სახელობის ქარხნის მუშების პროტესტს ხელისუფლების მკვეთრი რეაქცია და ძალის გამოყენება მოჰყვა. ამავე დღეს, ქალაქის ცენტრში უკვე რამდენიმე ათასიანი მიტინგი გაიმართა, რომელიც თავიდან ორგანიზებულად მიმდინარეობდა, მაგრამ როგორც კი პოლიცია მის დაშლას შეეცადა, სტიქიური ხასიათი მიიღო და მოვლენები კონტროლს უკვე აღარ ემორჩილებოდა. მომიტინ-

გეებმა დაარბიეს პარტიის საქალაქო კომიტეტი, შტურმით აიღეს ციხე და გაანთავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები. პოლიციის და უშიშროების ძალებთან შეტაკებისას ორივე მხრიდან 60-დან 80 ადამიანამდე დაიღუპა, მათ შორის 13 წლის პატარა ბიჭიც. 232 დაპატიმრებულიდან სასამართლოს წინაშე წარდგა 154 პროტესტისა და არეულობების მონაწილე ადამიანი. უმრავლესობას კი სასამართლომ მოკლევადიანი პატიმრობები მიუსაჯა, მაგრამ გარდა პოლიციელთა მკვლელობებში დამნაშავეთა, მალე ყველანი გაანთავისუფლეს. სხვათა შორის, 2006 წლის 21 ივლისს, პოლონეთის სეიმმა, პოზნანის მოვლენების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით, 28 ივნისი სადღესასწაულო დღედ გამოაცხადა, 50 წლის წინ კი მოვლენები შემდეგი სცენარით განვითარდა:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე სტალინის კულტის კრიტიკასა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ლიდერის ბოლესლავ ბერუტის სიკვდილს, სტალინის პერიოდში რეპრესირებული რეფორმატორად ცნობილი ვლადისლავ გომულკას მოსვლა მოჰყვა ხელისუფლებაში. მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირში, თვით კომპარტიის წევრთათვისაც არ იყო ცნობილი ხრუშჩოვის მოხსენების სრული ტექსტი, პოლონეთში ის ღიად გავრცელდა და მისი საჯარო განხილვებიც გაიმართა, რამაც მკვეთრად შეცვალა პოლიტიკური ატმოსფერო ქვეყანაში. დისკუსიების პროცესში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ანტიკომუნისტური ლოზუნგები და მოთხოვნები. პრაქტიკულად აღდგა კათოლიკური ეკლესიის საზოგადოებრივი როლი. განთავისუფლდა დისიდენტი კარდინალი სტეფანე ვიშნევსკი, ჩატარდა სეიმის თავისუფალი არჩევნები და ა.შ. 1956 წლის 20 აგვისტოს მილიონამდე პოლონელმა მოიყარა თავი იასნო გურეს საჯარო წირვა-ლოცვაზე. უმაღლეს სასწავლებლებსა და შემოქმედებითი კავშირების შეკრებებზე უკვე პრინციპულად აყენებდნენ რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის, რეპრესიებში საბჭოთა „ინსტრუქტორების“ როლის საკითხს, მასობრივად წვავდნენ მარშალ როკოსოვსკის (პოლონეთის თავდაცვის მინისტრის) პორტრეტებს. სისტემატურად ეწყობოდა სტიქიური მიტინგები პოლიტიკური მოთხოვნებით.

24 ოქტომბერს, ვარშავის აღლუმების მოედანზე, 400 ათასიან მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ვლადისლავ გომულკა. მან დაგმო სტალინიზმი და პირობა დადო, რომ პარტია დემოკრატული რეფორმების გზას დაადგებოდა. გომულკას მიერ გაჟღერებული დესტალინიზაციის („რეალური სოციალიზმის“ საფუძველის შენარჩუნების) პროგრამა იქცა „სოციალიზმისაკენ პოლონური გზის“ კონცეპტუალურ ბაზად. ეს უკვე პოლონელების პატრიოტული ნაციონალიზმის სერიოზულ გამარჯვებად იქცა, რაც წარმოუდგენელი იქნებოდა სულ რაღაც ხუთი წლის წინ. ასეთ „მომაკვდინებელ ცოდვაზე“ გაცილებით ნაკლები „დანაშაულისათვის“ სჯიდა მკაცრად თავის „თანამებრძოლებს“ სტალინი.



ბოლესლავ გომულკა

1956 წლის ქრონიკებმა მისცა მძლავრი სტიმული საზოგადოებრივ აქტივისტთა ახალ პლეადას: იაპეკ კურონს, ადამ მიხნიკს, კაროლ მიდზელევსკის, სევერინ იაროვსკის და სხვებს. საზოგადოების გააქტიურებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რადიო-სადგურების გადაცემების ჩახშობის შეწყვეტამ. პოლონელები მშობლიურ ენაზე უსმენდნენ არც თუ კომუნისტური სოლიდარობის იდეათა პროპაგანდას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ იცვლებოდა სოციალ-ეკონომიკური, პირველ რიგში აგრარული პოლიტიკა, შეწყდა იძულებითი კოლექტივიზაციის პროცესი, გაუქმდა უკვე არსებული, ასევე იძულებით შექმნილი კოოპერატივები და სახელმწიფო მეურნეობები. მიწები უბრუნდებოდათ კერძო მესაკუთრეებს, შეჩერდა მძიმე მრეწველობის განვითარების რამდენიმე პროექტი, ხოლო გამოთავისუფლებული სახსრები კი მასობრივი მოხმარების პროდუქციის წარმოებას გადაეცა. სეიმის მიერ მიღებული კანონით, „მუშათა

საბჭოები“ იქმნებოდა სამრეწველო საწარმოებში, ფართომასშტაბიანი რეფორმების პროექტთა დასამუშავებლად მთავრობასთან შეიქმნა ეკონომიკური საბჭო, გაუქმდა ბვირფასი მეტალებისა და უცხოური ვალუტის კერძო საკუთრებაში ფლობის აკრძალვა. 1957 წელს ჩატარებული სეიმის არჩევნები არ იყო აბსოლუტურად თავისუფალი, თუმცა თვალში საცემი იყო წინა არჩევნებთან არსებული განსხვავება. გააქტიურდა საერო კათოლიკეების საზოგადოება „პაკსი“, დაარსდა კათოლიკე-ინტელიგენტთა კლუბი. გომულკა შეხვდა კათოლიკურ აქტივისტებს და პირადი სანქცია გასცა გავლენიანი კათოლიკური ჟურნალის – „ტუგოდნიკ პოვზესნის“ განახლებული ფორმატით გამოცემაზე. უმაღლეს სასწავლებლებს დაუბრუნდნენ ბერუტის დროს პოლიტიკური მოტივებით დათხოვილი პროფესორ-მასწავლებლები, ისტორიული სახელი – კატოვიცე დაუბრუნდა ქ. სტალინოგრადს, ასევე სტალინის სახელს აღარ ატარებდა ვარშავის კულტურისა და მეცნიერების სასახლე, სახელმწიფოს ინიციატივით აღდგა გერმანელების წინააღმდეგ მებრძოლი ანტიკომუნისტური რაზმების ხსოვნის დღე, მემუარები გამოიცა ვარშავის აჯანყებაზე და ძეგლი დაიდგა ვარშავაში. აღდგა შემოქმედებითი მრავალფეროვნებისა და ეროვნული კულტურული ტრადიციების პრინციპი. სიმბოლურ-პოლიტიკური მნიშვნელობის აქტად იქცა მარშალ როკოსოვსკის თანამდებობიდან განთავისუფლება და მისი მასკოვში დაბრუნება. თანამდებობები დატოვა და საბჭოთა კავშირში დაბრუნდა 30-ზე მეტი მაღალი რანგის რუსი ოფიცერი.

გომელკას „თვითშემოქმედებით“ გაოგნებულმა ხრუშჩოვმა, კაგანოვიჩთან, მიქოიანთან და მოლოტოვთან ერთად ვარშავაში ჩასვლა გადაწყვიტა საქმის გასარჩევად. 19 ოქტომბერს კრემლის კვარტეტი დაუპატიჟებლად ჩავიდა ვარშავაში. მალევე დისკუსიების შედეგად მიღწეული კომპრომისით, მოსკოვი იძულებული იყო უარი ეთქვა თავდაპირველ ძალოვან ჩანაფიქრზე. 30-მილიონიან ქვეყანაში უაღრესად სარისკოდ გამოიყურებოდა ძალოვანი მეთოდები. ხრუშჩოვს და მის კოლეგებს შეპირდნენ, რომ შენარჩუნებული იქნებოდა სოცია-

ლისტური სისტემა ეროვნული მუხტით და დაუპატიჟებელ სტუმრებსაც, გარდა დათანხმებისა, სხვა გზა პრაქტიკულად არ გააჩნდათ.

მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთში გატარებული ცვლილებები მართლაც ტოვებდა სერიოზული რეფორმების შთაბეჭდილებას, პრო-კომუნისტური მმართველი პარტია ყველაფერს ხისტად აკონტროლებდა. ამიტომ იყო, რომ როგორც კი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება „საშიში" მანძილით მიუახლოვდა სოციალიზმისა და კაპიტალიზმის წყალგამყოფს, უმაღლესმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ „დროულად" იგრძნო საფრთხე და რეაგირებამაც არ დააყოვნა. უკვე 1956 წლის დეკემბერში მინისტრთა საბჭოს განკარგულებით პოლონეთში იქმნება თანამედროვე „ომონის" ანალოგი, ე.წ. „ზომო", რომლის კომპეტენციებშიც გადადის ქუჩებში არეულობებთან და ანტისახელმწიფოებრივ (ანუ ანტისახელისუფლებო) პროტესტებთან ბრძოლა. 1957 წელს ახალმა სპეცდანიშნულების შენაერთმა რამდენჯერმე დაამტკიცა „ეფექტური მეშაობის" უნარი. კერძოდ, „ზომო" გაუსწორდა მოპროტესტე კათოლიკეებს ჟეშუვში, მუშებს – ლოძში და სტუდენტებს – ვარშავაში. ამავდროულად, პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიის აპარატში კონსოლიდარებას იწყებს კონსერვატიულ-სტალინისტური ფრთა. მკვეთრად გაძლიერდა ნაციონალ-კომუნისტთა პოზიციები. დაიწყო რეპრესიები დისიდენტებისა და მათი ორგანიზაციების წინააღმდეგ. ანალოგიურად იცვლებოდა გომელკას პოზიციაც, რომელიც შემდგომში უკვე ფართო მასშტაბიან სადამსჯელო და ანტისემიტური კამპანიის ორგანიზატორად იქცა.

მიუხედავად აზრთა რადიკალური სხვაობისა ხრუშჩოვის პიროვნებასა და პოლიტიკაზე, უდავოა მისი ისტორიული როლი საბჭოთა სოციალისტური სისტემის, როგორც კაცობრიობის ისტორიაში შუა საუკუნეების გამოღმა პერიოდის ყველაზე ანტიჰუმანური ბუნების მქონე სისტემის ლუსტრაციაში. პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ ფაქტს, თუ რა მიზანს ისახავდა სტალინის შემდგომი საბჭოთა ხელმძღვანელობა და პირადად პარტიის ლიდერი, როდესაც მსოფლიოს სააშკარაოზე გაჰქონდათ ათეული წლების მანძილზე კრემლის კაბინეტებში დაგროვილი „ნაგავი". ნუთუ რომელიმე მათგანს მართ-

ლაც სწამდა, რომ სტალინის ოსტრაკიზმი რესპექტაბელურს გახდიდა მათ და გარე სამყაროს ნდობას უზრუნველჰყოფდა? ან სოციალისტურ ბანაკში წითელი არმიის მიერ გამომწყვდეული, ევროპულ ფასეულობებს ნაზიარები ჩეხები, პოლონელები თუ უნგრელები უკვე ნებაყოფლობით ისურვებდნენ „გაკეთილშობილებულ“ დიდ საპყრობილეში დარჩენას? როგორც ჩანს, აღმოსავლეთ ბერლინისა და პოლონეთის შედარებით ლოკალური პროტესტი გაკვეთილად არ იქცა მოსკოვისათვის, საჭირო გახდა ნამდვილი საყოველთაო აჯანყება მასშტაბური მსხვერპლითა და ნგრევით. უნგრეთში მოხდა ის, რისი თავიდან აცილებაც მოხერხდა პოლონეთში. უნგრეთში გაცილებით დრამატულ ფორმებში განვითარდა XX ყრილობის შემდგომი მოვლენები, რასაც სუბიექტური მიზეზები გააჩნდა. სტალინიზმის ერთგულებაში ახლოს ვერავინ მივიდოდა უნგრეთის მშრომელთა კომპარტიის ლიდერთან და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მათიაშ რაკოშისთან, რომელმაც XX ყრილობიდან ბუდაპეშტში დაბრუნებისთანავე პირველი რაც გააკეთა, საკუთარი თანამოაზრეები დაამშვიდა: „რამდენიმე თვეში ხრუშჩოვი მოღალატედ გამოცხადდება და ყველაფერი ნორმაში დაბრუნდებაო“. მანამდე კი უნგრეთში შიდა პოლიტიკურმა ბრძოლამ იმ დონეს მიაღწია, რომ თავად რაკოში გახდა იძულებული მის მიერ სიკვდილით დასჯილი რაიკისა და სხვა უნგრელი კომუნისტების საქმეთა გადასინჯვას დათანხმებოდა. თვით სახელმწიფო უშიშროების წარმომადგენლებიც კი მოითხოვდნენ რაკოშის გადადგომას. მას უკვე ღიად უწოდებდნენ „ჯალათს“ და „მკვლელს“. ვინაიდან ცოცხალი „მინი-სტალინი“ არც მოსკოვში ეპიტნავებოდათ, ბუდაპეშტში ანასტას მიქოიანი მიავლინეს გაჯიუტებული სტალინელის გადასაყენებლად. ისე კი, მათიაშ რაკოშის გადაყენებას სულაც არ მოჰყოლია სტაბილურობა. ვითარების გასანეიტრალებლად კრემლში გადაწყვიტეს უნგრეთის მთავრობის მეთაურად, 1953-1955 წლებში უკვე ნაპრემიერალი რეფორმატორი იმრე ნადი დაებრუნებინათ. უნგრეთის მშრომელთა პარტიაში კი დღითი-დღე ძლიერდებოდა კულუარული დაპირისპირება სტალინისტებსა და რეფორმების მომხრეებს შორის, რაც თავის თავად ანტიკომუნისტურ

ფორმებში აირეკლებოდა მთელ საზოგადოებაში. მძლავრი კატალიზატორის როლი შეასრულა პოზნანის აჯანყებამაც.

1956 წლის 16 ოქტომბერს, სეგედის უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა დემონსტრაციულად დატოვა პროკომუნისტური „ახალგაზრდათა დემოკრატიული კავშირი“ (კომკავშირის უნგრული ანალოგი) და ადრე აკრძალული „უნგრეთის უნივერსიტეტებისა და აკადემიის სტუდენტთა კავშირი“ აღადგინა. 22 ოქტომბერს სტუდენტთა ახლადაღდგენილ კავშირს შეუერთდნენ ბუდაპეშტის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის – ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სტუდენტები და 16 მოთხოვნით მიმართეს ხელისუფლებას (ითხოვდნენ სტალინის ძეგლის აღებას, საბჭოთა ჯარების გაყვანას, რიგგარეშე პარტიულ ყრილობას და სხვა). 23 ოქტომბერს, აჯანყების დაწყებამდე თავისი ბოლო დეპეშა გაგზავნა მოსკოვში, უნგრეთში სსრ კავშირის ელჩმა იური ანდროპოვმა (საბჭოთა კავშირის კომპარტიის მომავალმა გენერალურმა მდივანმა). ელჩი მოსკოვს ქვეყანაში შექმნილ წინა რევოლუციურ განწყობილებაზე აწვდიდა ინფორმაციას და ეჭვს გამოთქვამდა, რომ მათიაშ რაკოშის შემცვლელი მშრომელთა კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის თანამდებობაზე ერნიო გერე თავს ვერ გაართმევდა მოსალოდნელ კრიზისს.

იმავე დღეს, საღამოს 8 საათზე, უკვე დაწყებული მიტინგის მონაწილეებს ერნიო გერემ სიტყვით მიმართა. უნგრელ კომუნისტთა ახალმა ლიდერმა იმაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, რომ მკაცრად დაეგმო დემოსტრაციები და სასამართლოთი დამუქრებოდა პირადად დემონსტრანტებს. საპასუხოდ უკანასკნელნი რადიოს სახლში შეჭრას შეეცადნენ და ფიზიკურად დაუპირისპირდნენ შენობის დაცვას. იქ დაიღვარა პირველი სისხლი, იყვნენ დაჭრილები და დახოცილები. შემდეგ აჯანყებულებმა ქალაქის გარეუბანში განლაგებულ ყაზარმებში შეაღწიეს, სადაც სამი ბატალიონის იარაღი ჩაიგდეს ხელში. მთელი ღამე გაგრძელდა შეტაკებები რადიოს სახლთან. დილის 6 საათზე რადიოს სახლის დაცვის დასახმარებლად აჯანყებულებთან ბრძოლაში ჩაება უკვე ბუდაპეშტის მახლობლად ბაზირებული საბჭოთა სა-

ჯარისო ნაწილების განსაკუთრებული კორპუსი. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ღამით ერნიო გერემ დახმარება მოსკოვს სთხოვა.


24 ოქტომბერს, ღამით, ბუდაპეშტში 6 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი შევიდა 290 ტანკით, 120 ჯავშანმანქანით და 156 ქვემეხით. ამ დროისთვის უნგრეთის არმიის ზოგიერთი ნაწილი და პოლიცია აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა. დილით უნგრელ მებრძოლებს რადიოთი მიმართა პრემიერმა იმრე ნადმა და ბრძოლის შეწყვეტა სთხოვა. ბრძოლები მაინც გრძელდებოდა. ამავე დროს ბუდაპეშტში ჩაფრინდნენ ანასტას მიქოიანი, მიხეილ სუსლოვი და „სუკ"-ის (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, იგივე „კა-გე-ბე") თავმჯდომარე, გენერალი ივან სეროვი. 25 ოქტომბერს დილით კი ქალაქს დამატებით რამდენიმე საბჭოთა სატანკო დივიზია მიადგა.

პარლამენტთან გამართული ხალხმრავალი მიტინგის დროს მოხდა სერიოზული ინციდენტი: მიმდებარე შენობების სხვენებიდან უცნობმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს მომიტინგეებს, რის შედეგადაც ასამდე ადამიანი დაიღუპა. გავრცელდა ხმა, რომ სროლა უნგრეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა დაიწყესო. გაცოფებულმა აჯანყებულებმა ნადირობა დაიწყეს უშიშროების თანამშრომლებზე და დაჭერილებს ადგილზევე უსწორდებოდნენ.

27 ოქტომბერს პარტიის ცეკას პირველი მდივანი ერნიო გერე იანოშ კადარმა შეცვალა, თუმცა საკადრო ცვლილებებით უკვე არაფერი არ იცვლებოდა. უყურადღებოდ რჩებოდა იმრე ნადის მიმართვებიც ბრძოლის შეწყვეტის თაობაზე. პრაქტიკულად, 27 ოქტომბერი იქცა გადამწყვეტ მომენტად პირადად პრემიერისათვის – იმრე ნადი გარდუვალი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა: იგი ან საბჭოთა არმიის გვერდით უნდა დამდგარიყო აჯანყების ჩასახშობად, ან სათავეში უნდა ჩასდგომოდა რევოლუციურ მოვლენებს. მან მეორე გზა აირჩია და ამით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა საკუთარ თავს.

28 ოქტომბერს დილისათვის დაგეგმილი იყო დედაქალაქის ცენტრის შტურმი უნგრეთის სახალხო არმიის ნაწილების მიერ. შტურმი არ შედგა, ვინაიდან მისი დაწყების წინ იმრე ნადიმ თავდაცვის სამინისტრო გააფრთხილა, რომ შტურმის შემთხვევაში იგი

გადადგებოდა. პოპულარული პრემიერის მუქარამ გაჭრა. რადიოთი მორიგი გამოსვლისას მან პირველად უწოდა უნგრეთის მოვლენებს „რევოლუცია“. იქვე მან განაცხადა, რომ მთავრობა არ იზიარებდა შეხედულებას, რომლის მიხედვითაც „მიმდინარე სახალხო მოძრაობა კონტრრევოლუციად განიხილებოდა“. მთავრობამ გამოაცხადა ცეცხლის შეწყვეტა, უნგრეთის სახალხო არმიის ნაცვლად ახალი შეიარაღებული ძალების შექმნა და მმართველი პარტიის გაუქმება. პარტიულ აქტივს, რომელიც საზოგადოებრივ შენობებს, სამინისტროებსა და რაიკომებს იცავდა, უბრძანა მათ ხელთ არსებული მთელი იარაღის ჩაბარება. დისციპლინირებულ კომუნისტებს ძვირად დაუჯდათ ბრძანების პუნქტუალურად შესრულება: მათი უმრავლესობა ისე დახოცეს აჯანყებულებმა, რომ თავდაცვის ელემენტარული საშუალებაც არ გააჩნდათ.



საბჭოთა ტანკები ბუდაპეშტში

29 ოქტომბერს ბუდაპეშტის ქუჩებში ბრძოლები შეწყდა და უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში პირველად აღდგა სიმშვიდე. ქალაქის დატოვება დაიწყეს საბჭოთა ჯარებმაც. რევოლუციამ თითქოს გაიმარჯვა. 30 ოქტომბერს დედაქალაქი დატოვა ყველა საბჭოთა სამხედრო ნაწილმა. ბუდაპეშტის ქუჩებში პრაქტიკულად უკონტროლოდ დარჩენილმა აჯანყებულებმა წინააღმდეგობის გარეშე შეაღწიეს რამდენიმე ციხეში და პოლიტპატიმრები გაანთავისუფლეს, თუმცა მათთან ერთად განთავისუფლდა 10 000-მდე სისხლის სამართლის დამნაშავეც. მიღწეულ წარმატებას აჯანყების რადიკალიზირება მოჰყვა. ქალაქში დაიწყო კომუნისტების, უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ლინჩის კანონით („ლინჩის წესით“) გასამართლებები. აჯანყებულები

შეიჭრნენ მმართველი პარტიის საქალაქო კომიტეტში, შენობიდან 20-ზე მეტი კომუნისტი გამოიყვანეს და ქუჩაში ჩამოახრჩეს. მალე მთელ მსოფლიოს მოივლის ფეხებით ჩამოკიდებულ, ნაწამებ უნგრელ კომუნისტთა ფოტოები. ყველა პოლიტიკურმა ძალამ საჯაროდ დაგმო ძალადობის ასეთი აქტები, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა.

30 ოქტომბერს იმრე ნადიმ ოფიციალურად აღადგინა მრავალპარტიული სისტემა და შეიქმნა ახალი, კოალიციური მთავრობა. უნგრეთის მშრომელთა პარტიის პრეზიდიუმმა თვითლიკვიდაციის გადაწყვეტილება მიიღო. იმავე დღეს საბჭოთა კავშირის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობათა საფუძვლების თაობაზე. კერძოდ, დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ მოსკოვი მზად იყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებთან ერთად განეხილა მათ ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების ყოფნის საკითხი. მნიშვნელოვანი იყო, რომ სოციალისტური ბანაკის (ვარშავის ხელშეკრულების) ნებისმიერი წევრი-სახელმწიფოს ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარის შეყვანისათვის საჭირო იქნებოდა მთელი ბანაკის თანხმობა. უკანასკნელი ფორმულირება კი ბუნებრივად გულისმობდა ჯარების გაყვანის ანალოგიურ პროცედურასაც, ანუ საბჭოთა კავშირის თანხმობასაც. იქვე უნგრეთის მოვლენები შეფასებული იყო, როგორც „მშრომელთა სამართლიანი და პროგრესული მოძრაობა", რომელსაც რეაქციული ძალები მიეტმასნენ. რაც შეეხებოდა კონკრეტულად უნგრეთში უკვე მყოფ საბჭოთა ჯარს, მოსკოვი მზადყოფნას გამოთქვამდა ბუდაპეშტთან და ვარშავის ორგანიზაციის სხვა წევრებთან, დაუყოვნებლივ დაეწყო მოლაპარაკებები უნგრეთის ტერიტორიაზე მათი ყოფნის შესახებ.

შეიძლება უნგრეთის აჯანყების ბედზე გადამწყვეტი როლი იქონია იმ ფაქტმაც, რომ ოქტომბრის დასასრულისა და ნოემბრის დასაწყისის კრიტიკული დღეები ფატალურად დაემთხვა სუეცის არხთან დაკავშირებულ სერიოზულ საერთაშორისო კრიზისს: სწორედ მაშინ, როდესაც ბუდაპეშტის ქუჩებში თავისუფლებისათვის მებრძოლი პატარა ერის გმირული ბრძოლა მიმდინარეობდა, „განთავისუფლების" პოლიტიკის ოკეანისგალმელი ავტორები საკუთარ სტრა-

ტეგიულ მოკავშირეებთან ღრმა დიპლომატიური კონფლიქტში იყვნენ ჩაფლულნი და უნგრელების ბედი იგივე დალესისათვის თუნდაც კონიუნქტურულ პრიორიტეტად არ ქცეულა. ასეთ ვითარებაში კი აშკარად პროვოკაციული იყო ამერიკული რადიოსადგურ „თავისუფალი ევროპის“ როლი, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო ვაშინგტონის პოზიციის განსაზღვრა – თითქოს თეთრი სახლი უნგრელებს რევოლუციის ფორსირებისა და კომპრომისების მიუღებლობისაკენ მოუწოდებდა და საჭირო მომენტში დახმარებასაც აღმოუჩენდა. როდესაც იმრე ნადმა ერთპარტიული სისტემა გააუქმა, რადიოსადგურმა ახალი ამოცანები დაუსახა აჯანყებულებს: „ჯერ კიდევ კომუნისტების ხელშია თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროები. არ დაუშვათ ამის შენარჩუნება, თავისუფლებისათვის მებრძოლებო! ნუ ჩამოკიდებთ იარაღს კედელზე“, – აქეზებდა აჯანყებულებს „თავისუფალი ევროპა“ (128). როგორც იქნა, უნგრეთის მოვლენებისათვის დალესმაც მოიცალა და ქალაქ დალასში (ტეხასის შტატი) გამოსვლისას კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სოციალისტური ბლოკის ნებისმიერი წევრს, რომელიც საბჭოთა ორბიტიდან გამოსვლას მოინდომებდა, შეეძლო ამერიკის დახმარების იმედი ჰქონოდა (129). თითქოს მოსკოვის დასამშვიდებლად თუ ყურადღების მოსადუნებლად, დალესს არც იმ გაცვეთილი არგუმენტის მოშველიება დაავიწყდა, რომ ამერიკას არანაირი მზაკვრული საიდუმლო გეგმები არ გააჩნდა და არც მომავალ სამხედრო მოკავშირეებად არ განიხილავდა ასეთ ქვეყნებს. ამერიკის სახელმწიფო მდივანი ან თავად იყო გულუბრყვილო ნეტარმორწმუნე, ან სტალინის მემკვიდრეები მიაჩნდა ასეთებად. ბუდაპეშტში კი მოვლენები საკუთარი ლოგიკით ვითარდებოდა: ციხიდან გამოსული უნგრეთის კათოლიკური ეკლესიის მეთაური, კარდინალი იოჟეფ მინდსენტი სპონტანურად შეკრებილი მიტინგების ტრიბუნებიდან მეტი აქტიურობისაკენ მოუწოდებდა უიმისოდაც ეგზალტირებულ მოსახლეობას და რადიკალური პოლიტიკური ცვლილებების გადაუდებულ განხორციელებას მოითხოვდა. ბუნებრივი იყო, რომ კომუნისტების მიერ რეპრესირებული

კარდინალის სიტყვას, პოლიტიკოსების განცხადებებზე მეტი თუ არა, ნაკლები გავლენა არ ჰქონდა.

ბუდაპეშტში ორი დღით კვლავ ჩავიდნენ მოსკოვის ემისრები – ანასტას მიქოიანი და მიხეილ სუსლოვი. მათ ადგილზე უნდა შეესწავლათ რეალური ვითარება და მოვლენათა განვითარების ყველა შესაძლო ვარიანტი, თუმცა დიდი პოლიტიკური ალღო და გამჭრიახობა არ იყო საჭირო იმაში დასარწმუნებლად, რომ დიპლომატიური მანევრებითა და პოლიტიკური კომპრომისებით (მოსკოვისათვის მისაღებ საზღვრებში) უკვე შეუძლებელი იყო უნგრეთის შენარჩუნება როგორც ვარშავის ხელშეკრულებაში, ასევე სოციალისტურ ბანაკში, თუნდაც იუგოსლავიის მოდელით. მიქოიანმა და სუსლოვმა, „ყოველი შემთხვევისათვის", კრიზისის მოლაპარაკებებით გადაჭრის მოსკოვის „მტკიცე ნება" დაუდასტურეს უნგრეთის ახალ ხელმძღვანელობას და მოსკოვში გაფრინდნენ. სხვათა შორის, აეროდრომამდე ისინი ტანკით მივიდნენ.

31 ოქტომბერს მოსკოვში უკვე მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება აჯანყების ჩახშობის შესახებ. ნიკიტა ხრუშჩოვის განცხადებით, წინააღმდეგ შემთხვევაში „ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტები" ამას საბჭოთა კავშირის სისუსტედ აღიქვამდნენ. გადაწყდა, მოსკოვში შექმნილიყო უნგრეთის „მუშათა და გლეხთა რევოლუციური მთავრობა" იანოშ კადარის მეთაურობით. თავდაცვის მინისტრს, მარშალ გიორგი ჟუკოვს დაევალა სამხედრო ოპერაციის (კოდური სახელწოდებით – „ქარიშხალი") შემუშავება. ბუდაპეშტში კი იმრე ნადის მთავრობამ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციიდან გასვლის გადაწყვეტილება მიიღო და ამის თაობაზე სათანადო ნოტა გადასცა საბჭოთა კავშირის საელჩოს. იმავე დღეს უნგრეთმა ქვეყნის ნეიტრალიტეტის ცნობისა და სუვერენიტეტის დაცვის თხოვნით მიმართა გაეროს, რაზეც პასუხი არ მიუღია.

1-3 ნოემბერს უნგრეთში დაგეგმილი სამხედრო ოპერაციის მხარდაჭერა განაცხადა ჩეხოსლოვაკიამ, ბულგარეთმა და ჩინეთმა (უკანასკნელი ჯერ წინააღმდეგი იყო, შემდეგ აზრი შეიცვალა). ხრუშჩოვი პირადად შეხვდა პოლონეთის, აღმოსავლეთ გერმანიის, რუმინეთის,

ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის ხელმძღვანელებს. მან იოსიპ ბროზ ტიტოსაც აცნობა დაგეგმილი სამხედრო ოპერაციის თაობაზე.

ოპერაცია „ქარიშხალში“ მონაწილეობას ღებულობდა სამი ათასი ტანკი, 70-ათასიანი არმია და მძიმე არტილერია. 3 ნოემბერს ტეკელში (ბუდაპეშტის მახლობლად) საბჭოთა სუკ-ის („კა-გე-ბე“-ს) მუშაკებმა დააპატიმრეს მოსალაპარაკებლად მიწვეული უმგრეთის თავდაცვის მინისტრი პალ მელეტერი. 4 ნოემბერს, გამთენიისას დაიწყო უნგრეთში „კონტრრევოლუციური აჯანყების“ ჩახშობის ოპერაცია. რადიოთი გამოსვლისას იმრე ნადმა „უნგრელებს და მსოფლიო საზოგადოებას“ ამცნო, რომ საბჭოთა ჯარებმა იერიში მიიტანეს უნგრეთზე ქვეყნის კანონიერი და დემოკრატიული მთავრობის დამხობის მიზნით. უნგრელები მიმართვის გარეშეც ხედავდნენ, რაც ხდებოდა და უომრად დანებებას არ აპირებდნენ: „მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი“ კი კვლავინდებურად სდუმდა.

მალე იმრე ნადი და მთავრობის წევრები იძულებულნი გახდნენ იუგოსლავიის საელჩოსთვის შეეფარებინათ თავი. განსაკუთრებული ცხარე ბრძოლები გაჩაღდა ბუდაპეშტის ცენტრში. როგორც მოგვიანებით საბჭოთა ოფიცრები აღიარებდნენ, მათთვის აბსოლუტურად მოულოდნელი იყო უნგრელების გამძვინვარებული თავგანწირვა. უნგრეთის სხვა ქალაქებსა და რაიონებში საბჭოთა ტანკებმა შედარებით იოლად შესძლეს სანადირო თოფებით შეიარაღებული აჯანყებულების დამარცხება.

7 ნოემბერს ბუდაპეშტში დაბრუნდა იანოშ კადარი დ მყისვე გამოაცხადა, რომ უნგრეთში მთელი ხელისუფლება გადადიოდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური მთავრობის ხელში. თავად კი პრემიერის მოვალეობას კისრულობდა. 8 ნოემბერს დედაქალაქში უკანასკნელი მასშტაბური სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა. შეიარაღებული რაზმების გადარჩენილი ნაწილები იატაკქვეშ გადავიდნენ. მთელ უნგრეთში დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები. სულ 5 ათასზე მეტი ადამიანი იქნა დაპატიმრებული, რომელთა ნაწილიც საბჭოთა კავშირის ციხეებში გადაიყვანეს. ნადი და მისი მთავრობის წევრები 22 ნოემბრამდე აფარებდნენ თავს იუგოსლავიის საელჩოს და

მხოლოდ მას შემდეგ, რაც უნგრეთში რეპრესიების ხელმძღვანელმა, საბჭოთა კავშირის სუკ-ის თავმჯდომარემ ივან სეროვმა წერილობითი გარანტია მისცა ხელშეუხებლობაზე, მათ საელჩო დატოვეს, მაგრამ... ერთი კილომეტრიც არ ჰქონდა გავლილი ავტობუსს, რომელსაც ნადი და მისი მინისტრები გადაჰყავდა, რომ ის საბჭოთა ჩეკისტებმა გააჩერეს და მგზავრები დააპატიმრეს. ნადი იმავე დღეს რუმინეთში გადაიყვანეს. 1958 წლის 16 ივნისს იმრე ნადი „სახელმწიფო ღალატისათვის“ ჩამოახრჩეს. სულ 350 ადამიანი დასაჯეს სიკვდილით, ხოლო დაპატიმრებულთა რაოდენობამ კი 26 ათასს გადააჭარბა.

1956 წლის 23 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით უნგრელების მხრიდან ბრძოლებში დაიღუპა 2652 აჯანყებული და 348 მშვიდობიანი მოქალაქე. დაიჭრა 1926 ადამიანი. ოფიციალური მონაცემებით, საბჭოთა არმიის დანაკარგმა შეადგინა 669 მოკლული, 51 უგზოუკლოდ დაკარგული და 1251 დაჭრილი.

ბუდაპეშტში ჩატარებული ოპერაციისათვის მარშალმა გიორგი ჟუკოვმა საბჭოთა კავშირის გმირის მეოთხე ოქროს ვარსკვლავი მიიღო. წინა ვარსკვლავით სტალინმა იგი ბერლინის აღების ოპერაციისათვის დააჯილდოვა. მალე უნგრეთის აჯანყების ჩახშობისთვის 26 საბჭოთა სამხედრომ მიიღო გმირის ოქროს ვარკვლავი, 37-მა – ლენინის ორდენი, 574-მა – წითელი დროშის ორდენი და ა.შ. ჩეკისტმა ივან სეროვმა კი კუტუზოვის პირველი ხარისხის ორდენი დაიმსახურა.

როდესაც უკვე სისხლში იყო ჩახშობილი უნგრელების გაბრძოლება თავისუფლებისათვის, გაეროს უშიშროების საბჭომ მოიცალა და გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მოწვევის რეზოლუცია მიიღო. 1956 წლის 12 დეკემბერს, გენერალურმა ასამბლეამ 55 მომხრით, 8 თავშეკავებულით და 13 მოწინააღმდეგით მიიღო რეზოლუცია, რომლითაც დაგმო „საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ ორგანიზაციის წესდების დარღვევა, ხელჰყო რა უნგრეთის თავისუფლება და დამოუკიდებლობა“. ესპანეთის, ნიდერლანდებისა და შვეიცარიის დელეგაციებმა საბჭოთა კავშირის აგრესიისადმი პროტესტის ნიშნად უარი თქვეს მონაწილეობა მიეღოდ 1956 წლის ნოემბრის მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში. ჟურნალმა „თაიმ“-მა „თავისუფლებისათვის

მებრძოლი უნგრელი“ წლის ადამიანად გამოაცხადა. ცნობილმა ფრანგმა ფილოსოფოსმა, მწერალმა და მოაზროვნებ, ალბერ კამიუმ, რომელიც უნგრეთის ტრაგედიის მომდევნო წელს, ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა, გაეროს პოზიცია ესპანეთის სამოქალაქო ომში „ჩაურევლობის პოლიტიკას“ შეადარა.

უნგრეთში კი რევანშს მოწყურებული იანოშ კადარის „ვარკვლავის საათი“ დადგა: საბჭოთა უშიშროების სამსახურებთან ერთად, რეპრესიებმა სტალინის მასშტაბებს გადააჭარბა. 1956 წლის დეკემბერში შემოიღეს „საგანგებო სამართალწარმოების“ ინსტიტუტი. 1960 წლის დასაწყისამდე „საგანგებო სასამართლოებში“ აჯანყებასთან „რაიმე კავშირის“ მქონე 300 ადამიანს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი, ათეული ათასობით ადამიანი იხდიდა სასჯელს უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის ციხეებში.

უნგრეთის მოვლენებმა სერიოზული გავლენა იქონია საბჭოთა კავშირის საშინაო პოლიტიკაზეც. ვინაიდან რეჟიმის ლიბერალიზაციას ანტიკომუნისტური განწყობილება და საჯარო გამოსვლების ტალღა მოჰყვა უნგრეთში, ანალოგიური პესპექტივით დამფრთხალმა საბჭოთა პარტიულმა ხელმძღვანელობამ ორიენტაცია „ქანჩების მოჭერის“ კურსზე აიღო. შედეგმაც არ დააყოვნა: 1957 წელს საბჭოთა კავშირში, წინა წელთან შედარებით ოთხჯერ (!) მეტი ადამიანი იქნა გასამართლებული „კონტრრევოლუციური გამოსვლების“ ბრალდებით. მასობრივი ხასიათი მიიღო უნივერსიტეტებიდან სტუდენტთა გარიცხვებმა თითიდან გამოწოვილი სასაცილო ბრალდებებით. ხრუშჩოვის „დათბობა“ პრაქტიკულად თავისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირა.

ამავე პერიოდში ხრუშჩოვის დიპლომატიის სადაო შედეგიან გარღვევად იქცა საბჭოთა კავშირის ახლოაღმოსავლური ეპოპეა. საყოველთაოდ დამკვიდრებული ვერსიით, სტალინს თითქოს ნაკლებად აინტერესებდა რეგიონი, სადაც ნულოვანი შანსი და პირობები არსებობდა კომუნისტური პროპაგანდისა და პოლიტიკური დივიდენდებისათვის. საბჭოთა იმპერიის არქიტექტორ-ბელადს რომ აბსოლუტურად არ აინტერესებდა, თუ რა ხდებოდა წიაღისეულით (ნავთო-

ბით) ამ უმდიდრეს რაიონში, თანაც მაშინ, როდესაც მისი ისტორიული მესაკუთრის – დიდი ბრიტანეთის ძალა და გავლენა შაგრენის ტყავივით იკუმშებოდა, ცოტა არ იყოს ძნელი დასაჯერებელია თუნდაც ისრაელის სახელმწიფოს შექმნის პროცესში მისი როლის გათვალისწინებით (რომ აღარაფერი ვთქვათ მის პრეტენზიაზე ლიბიასთან დაკავშირებით). საყურადღებო ფაქტია, რომ როდესაც ებრაელთა სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით ახლად დაარსებულ გაეროში ცხარე დებატები დაიწყო, ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ, სტალინმა გადაჭრით დაუჭირა მხარი ისრაელის სახელმწიფოს შექმნას და ამერიკასთან ერთად ღიად დაუპირისპირდა ლონდონს.

ებრაელი ხალხისათვის იმ ისტორიულ დღეებში მოვლენები დრამატულ რეჟიმში ვითარდებოდა: არავისთვის არ წარმოადგენდა საიდუმლოებას სტალინის ანტისემიტიზმი, მაგრამ ის არასოდეს ყოფილა არც რელიგიური, არც ეთნიკური და არც ყოფითი. ეს იყო წმინდა პოლიტიკური ხასიათის და მისი გამოვლენის ხასიათი მუდამ ანტისიონისტური და არა იუდოფობიური იყო. თავისი სპეციფიკური როლი შეასრულა იმ ფაქტმაც, რომ სტალინი იზრდებოდა და პოლიტიკურად იხვეწებოდა საქართველოში, სადაც ოდითგანვე უცხო იყო რასიზმის ნებისმიერი ფორმით გამოვლინება, ხოლო ქართველი ებრაელები კი ქართულ საზოგადოებასა და ქართულ კულტურაში იყვნენ ასიმილირებულნი. საუკუნეების წინ საქართველოში ჩასახლებული ებრაელების წინაპრები პალესტინასა და სპარსეთში და არა ევროპაში ცხოვრობდნენ. მათი მემკვიდრეები ქართულად ლაპარაკობდნენ და ქართულ სახელებს ატარებდნენ.

სტალინის ანტისიონიზმმა ძირითადად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში იჩინა თავი, როდესაც მწვავე საერთაშორისო პრობლემად იქცა „ებრაული საკითხი“. საბჭოური ანტისემიტიზმი კოსმოპოლიტიზმთან ბრძოილით ინიღბებოდა, უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ჰიტლერის მიერ მოწყობილი ებრაელთა გენოციდის შედეგად აღმოცენებული ებრაული ნაციონალიზმის გარდუვალი შედეგი იყო. კაცობრიობის ისტორიისათვის უცნობ მასშტაბებში და არნახული სისასტიკით განხორციელებულმა ებრაელთა ჟლეტამ დღის წესრიგში

დააყენა ებრაელთა სახელმწიფოს შექმნა, სადაც ფიზიკურად იქნებოდნენ ისინი დაცულნი. ეს კი მხოლოდ პალესტინაში იყო შესაძლებელი, რომელსაც 1945 წელს საერთაშორისო იურიდიული სტატუსი არ გააჩნდა. ე.წ. ყირიმის პროექტი (1920-იან წლებში ყირიმში ებრაელთა ავტ.ოლქის შექმნის საკითხი განიხილებოდა) მალევე იქნა უარყოფილი, ვინაიდან პრაქტიკულად იყო შეუძლებელი დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფოს შექმნა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

სტალინი თავიდანვე აქტიურად ჩაერთო ებრაული სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებულ საერთაშორისო პროცესებში, რაც უკვე იმაზე მეტყველებდა, რომ მისი ინტერესის ერთადერთი მამოძრავებელი მოტივი პოლიტიკა იყო. გარკვეულ საზღვრებში იმის მტკიცებაც კია შესაძლებელი, რომ სტალინის აქტიური მხარდაჭერის გარეშე პრობლემური იქნებოდა ებრაული სახელმწიფოს შექმნა (ექსპერტთა ნაწილი კი დღემდის მიიჩნევს, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა) 1948 წელს. სწორედ ამ წელს გაუდიოდა ვადა ბრიტანეთის მანდატს პალესტინის მართვაზე და სტალინის პოზიციას, რომელიც ღიად იყო მიმართული ბრიტანეთსა და მისი მრავალრიცხოვანი არაბი მოკავშირეების წინააღმდეგ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

რაც შეეხება თავად პალესტინას, იგი 1918 წლამდე ოტომანთა (ოსმალეთის) იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა და აქ ძალზედ რთული იყო ებრაული დასახლებების შექმნა სიონისტური ორგანიზაციების ფინანსებით. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პალესტინა პრაქტიკულად „უპატრონო ტერიტორიად“ იქცა, რომლის მართვის მანდატი ახლად შექმნილმა ერთა ლიგამ დიდ ბრიტანეთს გადასცა. ამ დროისათვის პალესტინაში უკვე ცხოვრობდა 568 ათასი მუსულმანი-არაბი, 74 ათასი ქრისტიანი და 58 ათასი ებრაელი. თურქეთის სულთნისაგან განსხვავებით, ბრიტანეთის ადმინისტრაცია არ კრძალავდა ებრაელების იმიგრაციას პალესტინაში, თუმცა მკაცრი რაოდენობრივი კვოტა დააწესა – 10 ათასი ებრაელი წელიწადში. ადგილობრივი არაბები აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ ებრაელთა რაოდენობრივ ზრდას პალესტინაში, რის გამოც დღე არ გავიდოდა რაიმე სახის კონფლიქტის გარეშე.

როგორც მოსალოდნელი იყო, ებრაელთა არალეგალურმა იმიგრაციამ მეორე მსოფლიო ომის წლებში პალესტინაში მკვეთრად იმატა. ებრაელები მასობრივად გარბოდნენ პალესტინაში როგორც ევროპიდან, სადაც გერმანელი და იტალიელი ფაშიზმი ბატონობდა, ასევე ჩრდილოეთ აფრიკიდან, სადაც ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა ინგლისელებსა და გერმანელებს შორის. ასევე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა სისხლიანი შეტაკებები ებრაელ ახალმოსახლეთა შეიარაღებულ რაზმებსა და ინგლისის გარნიზონებს შორის. 1946 წელს უკვე ცხადი იყო, რომ ბრიტანეთს აღარ შეეძლო პალესტინაში სტაბილურობის შენარჩუნება და ლონდონში გადაწყვიტეს უარი ეთქვათ მანდატზე, რომელსაც ისედაც ორ წელიწადში გაუდიოდა ვადა. 1947 წლის თებერვალში გაეროს გადაწყვეტილება მიიღო განსაკუთრებული კომისია შექმნილიყო პალესტინის მომავლის გადასაწყვეტად. იქ კი იმ დროისთვის დემოგრაფიული ბალანსი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 1 მლნ. 91 ათასი არაბი-მუსულმანი, 614 ათასი ებრაელი და 146 ათასი ქრისტიანი.

შეიძლება ითქვას, რომ პალესტინის პრობლემა პირველ სერიოზულ ტესტად იქცა გაეროსათვის. იმაზე, თუ როგორ შეძლებდა ახალბედა ორგანიზაცია პირველსავე „გორდიას კვანძის“ გახსნას, ბევრად იქნებოდა დამოკიდებული გაეროს მომავალი ავტორიტეტი. საქმე კი ის იყო, რომ ინგლისი, რომელიც ცალი თვალით მოკავშირე არაბებისაკენ (მუსლიმანებისაკენ) იყურებოდა, კატეგორიულად მოითხოვდა ერთიანი მულტიეთნიკური პალესტინის სახელმწიფოს შექმნას. ასეთი პრეცედენტი უკვე არსებობდა, როდესაც 1943 წელს შეიქმნა ლიბანის დამოუკიდებელი სახელმწიფო, სადაც მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებს შეადგენდნენ ქრისტიანები, მართლმადიდებელი ბერძნები, სომხები და მარონიტები, 73 პროცენტი მოდიოდა დრუზებზე და დანარჩენი მუსულმანები იყვნენ – შიიტები და სუნიტები. გაეროს წევრთა ნაწილს მიაჩნდა, რომ მუსულმანებისა და ებრაელების ერთობლივი ცხოვრება ბევრ თავსატეხს შეუქმნიდა მსოფლიო საზოგადოებას და მათ იუგოსლავიისა და შვეიცარიის ტიპის ფედერაცია გაცილებით მისაღებად მიაჩნდათ. ამ პროექტის ნაკლს წარმოადგენ-

და ის გარემოება, რომ პალესტინაში მცხოვრებ სამ ძირითად რელიგიას და ეთნიკურ ჯგუფს საკმაოდ იზოლირებული ტერიტორიები არ გააჩნდა.

მესამე პროექტის ინიციატორები იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი. ის ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს – არაბულ-მუსულმანური პალესტინის და ებრაული ისრაელის შექმნას ითვალისწინებდა: ისრაელს უნდა გადასცემოდა უმთავრესად ებრაელებით დასახლებული ტერიტორია ცენტრით თელ-ავივი. დანარჩენი ტერიტორიის დიდი ნაწილი პალესტინისათვის იყო განკუთვნილი. იერუსალიმი უნდა გამოცხადებულიყო საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებულ „ღია ქალაქად“. ვინაიდან ინგლისი ვეტოს უფლებით სარგებლობდა, თავიდანვე გამოირიცხა პალესტინის პრობლემის განხილვა უშიშროების საბჭოში, მხოლოდ გაეროს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომას შეეძლო განეხილა პალესტინის პრობლემა და რაიმე გადაწყვეტილება მიეღო. არც გენერალურ ასამბლეაზე იყო იოლი საქმე გადაწყვეტილების მიღება. გაეროს წესდების მიხედვით, კომისიის მიერ რეკომენდირებულ პროექტსაც კი ხმათა ორი მესამედი ესაჭიროებოდა რეზოლუციის მისაღებად. იმდროისათვის (1947 წელს) სულ 60 ქვეყანა იყო გაეროს წევრი. გერმანიის ყოფილი მოკავშირეები – რუმინეთი, უნგრეთი, ავსტრია, იაპონია და რამდენი სხვა ქვეყანა ჯერ არ იყვნენ წევრები. ჯერ კიდევ კოლონიებად ითვლებოდა აზიასა და აფრიკის ქვეყნების უმრავლესობა.

1947 წლის სექტემბერში მუშაობას შეუდგა გაეროს გენერალური ასამბლეის მეორე სესია. მან საფუძვლიანად და დეტალურად შეისწავლა და განიხილა პრობლემის ყველა ასპექტი, მოისმინა არა მხოლოდ იმ ქვეკომიტეტის პოზიცია, სადაც ამერიკა და საბჭოთა კავშირი იყვნენ წარმოდგენილნი, არამედ მუსულმან სახელმწიფოთა ქვეკომიტეტის არგუმენტებიც. 25 მარტს უკიდურესად დაძაბულ პირობებში გაიმართა ე.წ. მოსამზადებელი კენჭისყრა. პალესტინაში ორი სახელმწიფოს შექმნის იდეას მხარი დაუჭირა 25 ქვეყნის წარმომადგენელმა, წინააღმდეგი იყო 13, თავი შეიკავა 17-მა. იუგოსლავიამ, რომე-

ლიც ჯერ კიდევ საბჭოთა ბლოკის წევრი იყო, მხარი მაინც ფედერაციის პროექტს დაუჭირა. საბჭოთა კავშირმა, უკრაინამ, ბელორუსიამ, პოლონეთმა და ჩეხოსლოვაკიამ მხარი ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეას დაუჭირეს. ერთი ხმა დააკლდა კვალიფიცირებულ უმრავლესობას, რაც აუცილებელი იყო გადაწყვეტილების მისაღებად. ასამბლეაზე არ ჩამოვიდნენ ფილიპინების და პარაგვაის წარმომადგენლები. ორივე ქვეყანა ამერიკის სატელიტებად ითვლებოდა და ვაშინგტონმა უპრობლემოდ შესძლო ნიუ-იორკში მათი წარმომადგენლების ჩამოყვანა. ებრაელი და სიონისტური ორგანიზაციებისათვის არასასიამოვნო სიურპრიზად იქცა „თავშეკავებულთა" დიდი რაოდენობა, ვინაიდან 27 ხმით მიღებული რეზოლუციაც კი ძალზედ სუსტ მანდატს უზრუნველყოფდა. ამიტომ თვით ებრაელი ლობისტური ორგანიზაციებისათვისაც კი ზეაქტიური იყო ძირითად კენჭისყრამდე – 29 ნოემბრამდე ჩატარებული ლობისტური კამპანია.

29 ნოემბრის გადამწყვეტი კენჭისყრის დაწყების წინ სიტყვით გამოვიდა საბჭოთა წარმომადგენელი ანდერი გრომიკო: „პალესტინის საკითხის შესწავლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ არაბებსა და ებრაელებს არ სურთ, ან არ შეუძლიათ ერთად ცხოვრება. აქედან გამომდინარე კი ლოგიკური დასკვნა ასეთია: თუ პალესტინაში მცხოვრებ ამ ორ ხალხს, რომელთაც ღრმა ისტორიული ფესვები აქვთ ამ ქვეყანაში, არ შეუძლიათ ერთად ცხოვრება ერთ სახელმწიფოში, სხვა გამოსავალი, გარდა ორი სახელმწიფოს შექმნისა, არ არსებობს. საბჭოთა დელეგაციის აზრით, პრაქტიკულად განხორციელებადი სხვა ვარიანტი არ არსებობს" (130).

მოსალოდნელი შედეგი მოჰყვა ებრაული ორგანიზაციების ძალისხმევასაც: ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის პროექტს უკვე 33 ქვეყნის წარმომადგენელმა დაუჭირა მხარი. საბჭოთა ბლოკის ხუთმა ხმამ უზრუნველყო ორი მესამედით უმრავლესობა. საკმარისი იქნებოდა ამ ქვეყნებს არაბების მხარე დაეჭირათ და ისრაელი გაეროს მანდატს ვერ მიიღებდა. მოსკოვის კიდევ ერთი დამსახურება იყო, რომ ისრაელის სასარგებლოდ მისცა ხმა იუგოსლავიამ, რომელმაც ადრე ფედერაციის პროექტს დაუჭირა მხარი. ორ კენჭისყრას შორის

პერიოდში პოზიცია შეიცვალა უნგრეთმა, საფრანგეთმა, ჰოლანდიამ, ახალმა ზელანდიამ, ლუქსენბურგმა, ლიბერიამ. ყველა ეს ქვეყნები „მარშალის გეგმის“ კლიენტები იყო და ისევე ვერ გაანაწყენებდნენ ვაშინგტონს, როგორც იუგოსლავია – მოსკოვს.

გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა არაბული ქვეყნების წარმომადგენლებმა სესიის მუშაობის დამთავრებამდე დატოვეს ნიუ-იორკი პროტესტის ნიშნად. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთის მანდატს 1948 წლის 14 მაისს გაუდიოდა ვადა, ებრაელები არ დაელოდნენ თავიანთი სახელმწიფოს ფორმალურ დაარსებას და დაუყოვნებლივ დაიწყეს სახელმწიფო სტრუქტურების, ინფრასტრუქტურისა და რა მთავარი იყო – არმიის შექმნა. თავის მხრივ, არაბულმა ქვეყნებმაც დაიწყეს საომარი მზადება. როგორც კი 1948 წლის 17 მაისს ოფიციალურად გამოცხადდა ისრაელის სახელმწიფოს შექმნა, მეორე დღესვე ვაშინგტონმა პირველმა აღიარა იგი, თუმცა მხოლოდ დე-ფაქტო, რაც გამორიცხავდა სრულ დიპლომატიურ ურთიერთობებს. ორი დღის შემდეგ ისრაელი, უკვე დე-იურე, აღიარა საბჭოთა კავშირმა. საბჭოთა კავშირი იქცა პირველ ქვეყნად, რომელმაც დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ახლად შექმნილ ებრაულ სახელმწიფოსთან (ამერიკამ - მხოლოდ მომდევნო წელს). ისრაელის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღესვე ერაყის, სირიის, ეგვიპტის, ლიბანისა და იორდანიის რეგულარული არმიები მის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. დაიწყო ისრაელ-არაბების პირველი ომი. საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც სასწრაფო და ეფექტური სამხედრო დახმარება აღმოუჩინა ებრაულ სახელმწიფოს. ერთი მხრივ, ეს იმითაც აიხსნებოდა, რომ იმ პერიოდში მოსკოვს არანაირი სერიოზული ინტერესები არ გააჩნდა არაბულ სამყაროში, რომელთა დაცვაზეც უნდა ეფიქრა. ომის პირველსავე დღეებში ჩეხოსლოვაკიიდან და რუმინეთიდან ზღვით დიდძალი იარაღი გაიგზავნა ისრაელში. ექსპორტირებული იარაღი ძირითადათ გერმანული წარმოებისა იყო, რომელიც ომის შემდეგ წითელმა არმიამ გერმანიიდან გამოზიდა. ებრაელებმა საბჭოთა კავშირისაგან მათთვის საჭირო თითქმის

ყველა სახეობის იარაღი მიიღეს ტყვიამფრქვევებითა და ნაღმტყორცნებით დაწყებული, „მესერშმიტებითა“ და „პანტერებით“ დამთავრებული. მადლობა ღმერთს, ებრაელი წარმოშობის ამერიკელი და ევროპელი მილიარდერები ფულს არ იშურებდნენ ებრაული სახელმწიფოს დასაცავად იარაღის შეძენაში. ლონდონი კი იარაღის აწვდიდა მის მოკავშირე არაბულ ქვეყნებს, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა (გამონაკლისი მხოლოდ ლიბანი იყო), პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ინგლისის მიერ შექმნილი მონარქიები იყვნენ. გარდა იარაღისა, აღმოსავლეთ ევროპიდან ისრაელში საომრად გაემგზავრა მეორე მსოფლიო ომგამოვლილ ებრაელ ოფიცერთა დიდი ჯგუფი. ისრაელშივე საბჭოთა კავშირიდან საიდუმლოდ გაემგზავრნენ საბჭოთა ოფიცრები. როგორც „კა-გე-ბე“-ს ყოფილი გენერალი სუდოპლატოვი წერს, ინგლისელების წინააღმდეგ პალესტინაში საბჭოთა დაზვერვა 1946 წლიდან მოქმედებდა. ალბათ, შეიძლება ვენდოთ გოლდა მეირს (ისრაელის პრემიერ-მინისტრი 1969-74 წლებში, ისრაელის პირველი ელჩი სსრ კავშირში 1948 წელს), რომელიც თავის მემუარებში წერს: „რაც არ უნდა რადიკალურად შეცვლილიყო უკანასკნელ 25 წლიწადში საბჭოთა კავშირის ჩვენდამი დამოკიდებულება, მე არ შემიძლია იმდროინდელი რეალობის დავიწყება. ვინ იცის, გავუძლებდით კი, რომ არა ის იარაღი და ტყვია-წამალი, რომელსაც ჩვენ ჩეხოსლოვაკიაში ვყიდულობდით და იუგოსლოვიისა და ბალკანეთის სხვა ქვეყნებიდან შემოგვქონდა. ომის პირველ ექვს კვირას ჩვენ აღმოსავლეთ ევროპაში შეძენილი იარაღის იმედზე ვიყავით, როდესაც თვით ამერიკამაც კი ემბარგო გამოაცხადა ახლო აღმოსავლეთში იარაღის ექსპორტზე. არ შეიძლება ხაზი გადაუსვა წარსულს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დღევანდელობას არ ჰგავს. ფაქტი ფაქტად რჩება: ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ისრაელის აღიარებას საბჭოთა კავშირის მიერ 1948 წლის 18 მაისს“ (131).

მცდარია აზრი, რომ თითქოს სტალინი ისრაელის საბჭოთა ბლოკში ჩართვას იმედოვნებდა. ყველა-ყველა, მაგრამ ნეტარმორწმუნე გულუბრყვილობით ბელადი არასოდეს გამოირჩეოდა. დღიდან დაარსებისა ისრაელი ისე მძლავრად იყო ასოცირებული ამერიკის

შეერთებულ შტატებთან და ისე ნათელი და დაუფარავი იყო ორიენტაცია, რომ გამორიცხული იყო მისი საგარეო-პოლიტიკური ვექტორის კორექტირება. გარდა ამისა, ებრაელთა სახელმწიფო მდიდარი ამერიკელი ებრაელებისა და სიონისტური ორგანიზაციების ფულით შეიქმნა და ისინივე ყიდულობდნენ იარაღს მოსკოვისგან. 1947 წელს როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე ისრაელშიც ბევრი თვლიდა, რომ საბჭოთა კავშირის პოზიციას გაეროში მორალური თვალსაზრისი განაპირობებდა. ისრაელში მოკლე ხნით ანდრეი გრომიკო ყველაზე პოპულარულ უცხოელად იქცა. 1947-1948 წლებში თვით გოლდა მეირიც დარწმუნებული იყო, რომ სტალინი რაღაც მაღალი მორალური თვალსაზრისით ეხმარებოდა ებრაელებს. სინამდვილეში კი სტალინი გაცილებით შორს იყურებოდა და ფიქრობდა, რომ როგორც იმ მომენტში, ასევე განჭვრეტ მომავალში ისრაელის დაარსება საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ინტერესებში იყო. ალბათ, სწორი იყო ლოგიკურ ანალიზზე დაფუძნებული ჩანაფიქრი: ჯერ ერთი, ებრაული სახელმწიფოს არსებობა არაბულ სამყაროში, თანაც ორი ათას წლის წინანდელი ისტორიული ამბიციებითა და თანდაც თავდაცვითი ომების შედეგად არაბული ტერიტორიების უწყვეტი ექსპანსიით, ინგლისს ყველა ვარიანტში წამგებიანი არჩევანის წინაშე აყენებდა: მას ან ებრაელების მხარე უნდა დაეჭირა, ან არაბების, თანაც საჯაროდ და დემონსტრაციულად. უკეთეს დღეში ვერც ვაშინგტონი იქნებოდა ახლო აღმოსავლეთის ნავთობით დაინტერესებითა და საკუთარ სახლში ყოვლისშემძლე ებრაული ლობისტური ორგანიზაციებით. კონფლიქტი პრაქტიკულად იყო გარდაუვალი და ამას სტალინი უშეცდომოდ შეიცნობდა. სტალინის დიპლომატიის „ებრაული ვექტორის“ პირველი რეალური დივიდენდი იყო ახლო და შუა აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის გავლენის კატასტროფულ დონემდე შემცირება. რაც შეეხება ამერიკას, ცალკე კვლევის თემაა ისრაელთან მისი ურთიერთობის 70-წლიანი ისტორიის სტრატეგიული შედეგი. ისე კი, კვლავ გავიმეორებთ ადრე ნათქვამს: სანამ რუსეთის ე.წ. პრეზიდენტის არქივში, შრიფი „საიდუმლო“ არ მოხსნია სტალინის დიპლომატიის უკანასკნელ დოკუმენტს, შეუძლებელია თუნდაც მხოლოდ ისრაელის შექმ-

ნის პროცესში მოსკოვის საიდუმლო გეგმებზე სრული სურათის შექმნა. მართლაც სჯეროდა თუ კრემლის სცენარის მიხედვით მოქმედებდა ანდრეი გრომიკო, როდესაც გენერალური ასამბლეის სესიაზე ზემოთ ნახსენებ განხილვაში იმასაც ამტკიცებდა, რომ პალესტინაში ორი სახელმწიფოს შექმნა საშუალებას იძლეოდა „ერთხელ და სამუდამოდ დარეგულირებულიყო ორ ხალხს (ებრაელებსა და არაბებს, ს.ც.) შორის ურთიერთობა“? თუ როგორ „დარეგულირდა“ და როგორ „რეგულირდება“ დღემდე ეს ურთიერთობები, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია.

სტალინის სიკვდილისა და ხელისუფლების სათავეში ხრუშჩოვის მოსვლის პერიოდისათვის ახლო აღმოსავლეთში უკვე რადიკალურად იყო შეცვლილი სიტუაცია: ისრაელი უკვე საფუძვლიან და სამუდამოდ თუ არა, განუსაზღვრელი ვადით იყო სტრატეგიული ინტერესებით დაკავშირებული ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დანარჩენ „იმპერიალისტურ სამყაროსთან“. არაბულ სამყაროში ერთი მეორეზე მიყოლებით კარგავდნენ ტახტებს მონარქები, რომელთა პოლიტიკური მემკვიდრეობის სამომავლო ორიენტაციები და იდეოლოგიური სიმპათიები კითხვის ნიშნებთან ერთად გარკვეულ ცდუნებებსაც ბადებდა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში. მართალია, საწყის ეტაპზე ბურუსით იყო მოცული იგივე არაბული ნაციონალიზმის სოციალური ანატომია, მაგრამ უკანასკნელი რომ ზომაზე მეტად იყო გაჯერებული ანტიებრაული საკაზმით, ეს ეჭვს აღარავისში იწვევდა. აღნიშნული მიმართულებით მოვლენათა განვითარების მთავარ კატალიზატორად იქცა 1952 წლის 23 ივლისის ეგვიპტის რევოლუცია. უფრო ზუსტად კი ეს იყო ტიპიური სამხედრო გადატრიალება, რომლის სათავეშიც იდგნენ პატრიოტულად განწყობილი ე.წ. „თავისუფალი ოფიცრები“. ეგვიპტის უნებისყოფო, ფუფუნების და ჭამა-სმის მოყვარული მეფე ფარუკი ქვეყნიდან გააძევეს (იტალიაში ღორმუცელობას გადაჰყვა კიდეც – რესტორანში გარდაიცვალა). ეგვიპტეს კი რევოლუციური მთავრობის სახელით სათავეში ჩაუდგა პოლკოვნიკი გამალ აბდელ ნასერი. ორი ათასწლიანი შესვენების შემდეგ ეგვიპტელებს პირველად მიეცათ საშუალება თავად ემართათ

საკუთარი ქვეყანა. ვის მმართველობაში არ იყვნენ გამოვლილნი ეგვიპტელები – სპარსელებს ბერძნები ცვლიდნენ, ბერძნებს – რომაელები, რომაელებს – თურქები და ქართული წარმომავლობის მამლუქები, ამ უკანასკნელთ კი ინგლისელები. გასაკვირი არ იყო, რომ რევოლუციის ლიდერი ნასერი ფანტასტიური პოპულარობით სარგებლობდა თავის სამშობლოში. წარმოსადეგი გარეგნობა, ძლიერი ხარიზმა და ბრწყინვალე ორატორული ნიჭი პლიუს არაბული ნაციონალიზმის ეფექტური ექსპლუატაცია იქცა იმის გარანტად, რომ თავისი 18 წლიანი მმართველობის პერიოდში მან შესძლო არა მხოლოდ ეგვიპტის შეცვლა, არამედ ღრმა კვალი დაამჩნია მთელ რეგიონსა და საერთაშორისო ურთიერთობებსაც.

ისიც ბუნებრივი იყო, რომ ავანტურისტული ბუნების პოლიტიკოსმა ხრუშჩოვმა „თვალი დაადგა“ ანტიკოლონიური (ანუ იგივე ანტიიმპერიალისტური) მმართველობის ქვეშ აღმოჩენილ ეგვიპტეს. ღრმა მეცნიერული ანალიზს არ საჭიროებდა იმ დასკვნამდე მისვლა, რომ ეგვიპტის შიდა-პოლიტიკური მოვლენების განვითარებას გარდაუვალად უნდა მოჰყოლოდა ახალი აღმოსავლეთში „საერთაშორისო იმპერიალიზმის მთავარ აგენტად“ ქცეულ ისრაელთან კონფლიქტი. ნასერისათვის პირადი შეურაცხყოფა და დამცირება იყო 1948-1949 წლების ომში არაბების კატასტროფული მარცხი და ისრაელის მიერ არაბული ტერიტორიების დაპყრობა. არაბთა ღირსებისა და დამოუკიდებლობის გრძნობის აღდგენა იყო არაბული ნაციონალიზმის მზიდი კონსტრუქცია. უკანასკნელი კი ძლიერი და საიმედო მოკავშირის დილემის წინაშე აყენებდა ნასერსაც და არაბული ნაციონალიზმის სხვა იდეოლოგებსაც. არც ლონდონი და არც ვაშინგტონი რომ ასეთ მოკავშირეებთან არ გამოდგებოდნენ, ამაში მალევე დარწმუნდნენ ქაიროში. ელემენტარული ლოგიკა მოსკოვისაკენ მიანიშნებდა „თავისუფალ ოფიცრებსა“ და მათ თანამოაზრეებს. თავის მხრივ, ინგლისელების ჩანაცვლება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ რეგიონში თავბრუდამხვევი პერსპექტივების ბმირაჟს აჩენდა კრემლის კაბინეტებში. გარღვევა 1955 წლის გაზაფხულ-ზაფხულში მოხდა, როდესაც საიდუმლო მოლაპარაკებების შე-

დეგად საბჭოთა კავშირმა (ოფიციალურად – ჩეხოსლოვაკიამ) იარაღის პირველი პარტია მიაწოდა ეგვიპტეს. ეს იყო ბარტერული ოპერაცია: საბჭოთა იარაღი ეგვიპტური გრძელბოჭკოვანი ბამბის (სტრატეგიული ნედლეული, გამოიყენებოდა კოსმოსის ათვისებასთან დაკავშირებულ პროექტებში) სანაცვლოდ. რა ინტერესი შეიძლება ჰქონოდა მოსკოვს ახლო აღმოსავლეთში? ამ კითხვაზე ორი წლის შემდეგ პასუხის გაცემას შეეცადა ეიზენჰაუერი თავის ცნობილ დოქტრინაში, სადაც გამორიცხული იყო ეკონომიკური ინტერესები: „1955 წელს საბჭოთა გადაზიდვები სუეცის არხით გადაზიდული ტვირთის ერთ პროცენტს შეადგენს, ხოლო რეგიონის მთავარი სიმდიდრე - ნავთობი საბჭოეთს არ აინტერესებს. რეგიონში საბჭოთა ინტერესების საფუძველს მხოლოდ და მხოლოდ ძალოვანი ხასიათის პოლიტიკური თვალსაზრისი წარმოადგენს“ – აღნიშნული იყო დოქტრინაში. დოქტრინასაც და ნილოსის ნაპირებზე საბჭოთა იარაღის გამოჩენასაც წინ უსწრებდა ეგვიპტესა და ბრიტანეთს შორის 1954 წლის 19 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება (7 წლის ვადით) სუეცის არხის ექსპლუატაციის თაობაზე. ნასერი ამ დროს უკვე ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი იყო. შეთანხმების თანახმად, 1956 წლის ივნისში არხის ზონა უნდა დაეტოვებინა ინგლისის 60-ათასიან არმიას, თუმცა სამხედრო ბაზა არ უქმდებოდა და იგი ინგლისელი და ეგვიპტელი სამოქალაქო პირების დაქვემდებარებაში გადადიოდა. თუ არხს რაიმე საფრთხე შეექმნებოდა, ინგლისელ სამხედროებს უფლება ეძლეოდათ დაბრუნებულიყვნენ. თავის მხრივ ნასერმა პირობა დადო ხელი არ შეეშალა ნაოსნობისათვის.

1955 წლის თებერვალში გამალ აბდელ ნასერმა ეგვიპტის არმიის გადაიარაღების მასშტაბური კამპანია წამოიწყო და, ტრადიციისამებრ, იარაღის ყიდვის თხოვნით ლონდონს მიმართა, რაზედაც მოულოდნელი და კატეგორიული უარი მიიღო. როგორც ჩანს, ლონდონის პოზიციაზე გავლენა იმ ფაქტმა იქონია, რომ ამ დროისათვის ეგვიპტის ძალოვანი სტრუქტურები წვრთნიდნენ და იარაღით ამარაგებდნენ არაბ „მებრძოლ-ფიდაინებს“, რომელთა რაზმებიც დივერსიებს აწყობდნენ ისრაელის ტერიტორიაზე. ამის თაობაზე სისტემატუ-

რად აწვდიდა ცნობებს (ქაიროს ვერსიით, გაზვიადებულს) ლონდონსა და ვაშინგტონს თელ-ავივი და ლონდონს არაბ ტერორისტთა ფაქტიურ შეიარაღებაში სდებდა ბრალს. ებრაული წყაროების მონაცემებით, „ფიდაინების“ ოპერაციებს ეგვიპტის სამხედრო დაზვერვა გეგმავდა, მთავარი ბაზა კი ღაზის სექტორში მდებარეობდა და 700 მებრძოლს ითვლიდა. თითქოსდა ქაირო დივერსანტების მოსამზადებელი ბაზების ორგანიზებას აპირებდა იორდანიის, სირიის და ლიბანის ტერიტორიებზეც. აი, მაშინ ილუზიონისტის „შლიაპიდან“ ბაჭიასავით გამოჩნდა რუსული ალტერნატივა. პრაქტიკულად ეს პირველი „შავი კატა“ იყო ახალი ეგვიპტისა და დასავლეთის ურთიერთობებში, წყალგამყოფად კი მაინც ასუანის კაშხალთან დაკავშირებული პერიპეტიები იქცა.

რა მნიშვნელობა ჰქონდა ეგვიპტისათვის ასუანის კაშხალს? რა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა ასეთი გიგანტური პროექტი? მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი მდინარე ნილოსი, სპეციალისტთა მტკიცებით, ქვის ხანიდან მოყოლებული, ეგვიპტის ცივილიზაციისა და ცხოვრების პირობებთან ასოცირდება. დღესაც კი მსოფლიოს არც ერთ სხვა მდინარეს არ გააჩნია სახელმწიფოსათვის ასეთი სასიცოცხლო მნიშვნელობა. იმის თქმაც კი საკმარისია, რომ ეგვიპტის მოსახლეობის 97 პროცენტი ცხოვრობს მის ვიწრო სანაპირო ზოლში. მდინარის ნაპირზე გაშენდა ისეთი დიდი ქალაქები, როგორიცაა: ლუქსორი, ასუანი, ხოლო დელტაში – თვით ქაირო და საყოველთაოდ ცნობილი ალექსანდრია.

უძველესი დროიდან მოყოლებული ყოველ გაზაფხულზე აბისინიის მთიანეთიდან წამოსულ ნილოსის წყალუხვ შესართავებს მოჰყვებოდა ხოლმე წყალდიდობა (მდინარეში წყალი ზოგჯერ 8 მეტრითაც კი იწევდა), რაც ნათესებს კი აჩანაგებდა, მაგრამ ამავე დროს დიდი რაოდენობით შლამიც მოჰქონდა უკვე მაღალხარისხოვანი ბუნებრივი სასუქის სახით. გვალვიან წლებში კი აქ ყველაფერი ხმებოდა და შიმშილი მძვინვარებდა.

ჯერ კიდევ XI საუკუნეში შექმნეს ეგვიპტელებმა ნილოსის წყლის რეგულირების პირველი პროექტი, რისი შემდგომი განხორციელება

ტექნიკურად შეუძლებელი აღმოჩნდა პირამიდების მშენებელთა შთამომავლებისათვის. 1902 წელს ინგლისელებმა პირველი, ორი კმ-ის სიგრძის და 54 მეტრის სიმაღლის დამბა ააშენეს, რომლის რეკონსტრუქციაც შემდეგ – 1907 და 1929-1933 წლებში ჩატარდა. ბველი, ან როგორც მას უწოდებდნენ, ქვემო ასუანის დამბა გასული საუკუნის მთელ პირველ ნახევარში იცავდა წყალდიდობისაგან მდინარის სანაპიროებს. როცა 1946 წელს ადიდებული მდინარის წყალმა დამბის ზედა ზღვარს მიაღწია, მწვავედ დადგა, უკვე მდინარის დინების ზემოთ, ახალი დამბის მშენებლობის საკითხი. 1952 წელს რევოლუციის მოხდენისთანავე დაიწყო კიდეც საპროექტო სამუშაოები, თუმცა რთული პოლიტიკური ვითარების გამო წლებით გაჭიანურდა პრაქტიკული სამუშაოების დაწყება. მოლაპარაკების თანახმად, ვაშინგტონი ლონდონთან ერთად თანახმა იყო 270 ათასი დოლარი გამოეყო შეღავათიანი კრედიტის სახით ეგვიპტისათვის კაშხლის პირველი რიგი სამუშაოსათვის, მაგრამ რაც უფრო მატულობდა ნასერის ჭირვეულობა, მით უფრო მცირდებოდა დასავლელ კრედიტორთა კეთილგანწყობა. როდესაც მოსკოვის სასიამოვნოდ ქაირომ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ტაივანთან და კომუნისტური პეკინი აღიარა ჩინეთის ერთადერთ წარმომადგენლად, ალენ დალესის მოთმინების ფიალაც აივსო – ამერიკის სახელმწიფო მდივანი უმწვავესად განიცდიდა ნაციონალისტური ჩინეთის (ანუ გომინდანელთა) პოლიტიკური იგნორირების ნებისმიერ ფაქტს, რაც მთელ მსოფლიოში იყო ცნობილი და ამიტომ პირად შეურაცყოფად ჩათვალა ნასერის გადაწყვეტილება. სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით, ასუანის დაფინანსების სახით ამერიკას გაუჭრელი კოზირის კარტი გააჩნდა ნასერთან ურთიერთობაში – 19 ივნისს კაშხალთან დაკავშირებით დასკვნით მოლაპარაკებებისათვის ვაშინგტონში ჩასულ ეგვიპტის ელჩს დალესმა დაუფარავი სიამოვნებით აცნობა, რომ ეგვიპტე ვერ მიიღებდა შეპირებულ დაფინანსებას, ვინაიდან, ამერიკელთა აზრით, ასეთი გრანდიოზული პროექტის განხორციელება ქვეყნის (ეგვიპტის) ეკონომიკურ შესაძლებლობებს აღემეტებოდა.

ცოტა ნაადრევი კი აღმოჩნდა დალესის ღვარძლიანი თვითკმაყოფილება: ზუსტად ერთი კვირის შემდეგ ნასერმა სუეცის არხის ნაციონალიზაცია გამოაცხადა. დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის კიდევ ერთი სერიოზული დიპლომატიური კრიზისი საშიში სამხედრო კონფლიქტის პერსპექტივით.

მიუხედავად იმისა, რომ საამისო ყველა წინაპირობა არსებობდა, არხის ნაციონალიზაცია მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა ბრიტანეთისა და საფრანგეთისათვის. არცერთ მათგანს არ გააჩნდა არხის რაიონში საკმარისი სამხედრო ძალა, რათა ოპერატიულად დაემყარებინათ კონტროლი სუეცზე, სანამ მათ მხარეზე იყო მთელი ცივილიზებული მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი. საფრანგეთის სამხედრო შენაერთები ალჟირში იმყოფებოდნენ, ბრიტანეთისა კი - იორდანიაში. შექმნილი პაუზა გამოიყენა ნასერმა მოქნილი დიპლომატიური პოზიციის დასაკავებლად – ეგვიპტის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ მის მიერ იყო გარანტირებული არხით თავისუფალი სარგებლობა ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, გარდა ისრაელისა. უკანასკნელთან მიმართებაში კი ასეთი ვითარება იყო: 1951 წლის 1 სექტემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ დაავალდებულა ეგვიპტე ისრაელისათვისაც გაეხსნა სუეცის არხი. ეგვიპტემ უარი თქვა რეზოლუციის შესრულებაზე. რევოლუციის შემდეგ უკვე პრეზიდენტი ნასერი ერთერთი ამერიკულ ჟურნალში ამბობდა, რომ „აგრესიისა და ექსპანსიის“ მიუხედავად, ეგვიპტე მაინც წინააღმდეგი იყო კონფლიქტისა, ვინაიდან „კონსტრუქციულ პოლიტიკაში“ ომის ადგილი არ იყოო. საპირისპიროს ამტკიცებდა ისრაელი, რომელიც შეშფოთებით ადევნებდა თვალს ეგვიპტის სამხედრო თანამშრომლობას სოციალისტურ ბანაკთან. 1955 წელს საბჭოთა კავშირის ინიციატივითა და ჩინეთის პრემიერ ჯოუ ენლაის შუამდგომლობით გაფორმებული ეგვიპტე-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულებით ეგვიპტის არმიამ მოკლე ხანში მიიღო (გარდა მსუბუქი იარაღისა): 12 „მიგ“-ის მარკის რეაქტიული გამანადგურებელი, 50 მძიმე ბომბდამშენი „ილ-28“, 230 ტანკი „ტ-34“, 200 ჯავშანტრანსპორტიორი, 100 თვითმავალი საარტელერიო დანადგარი, 150 ქვემეხი, 6 (ზოგიერთი ცნობით – 2) წყალქვეშა ნავი, რამდენიმე

სამხედრო ხომალდი, 100 სატვირთო მანქანა „ზის-150“. ებრაული წყაროების მტკიცებით, 1956 წლისათვის ეგვიპტის შეიარაღებული ძალები ოთხჯერ აღემატებოდა ისრაელისას.

ასეთი იყო დაახლოებითი ძალთა თანაფარდობა სუეცის კრიზისის მომენტისათვის, როდესაც 1956 წლის 22 ოქტომბერს სევრში (საფრანგეთი), ისრაელის პრემიერი დავიდ ბენ-გურიონი, გენერალური შტაბის უფროსი მოშე დაიანი და თავდაცვის სამინისტროს გენერალური დირექტორი შიმონ პერესი საიდუმლოდ შეხვდნენ საფრანგეთის თავდაცვის მინისტრ მორის ბურჟეს-მონერს, საგარეო საქმეთა მინისტრ ქრისტიან პინოს და გენერალური შტაბის უფროსს მორის შაალს. ინგლისის მხრიდან შეხვედრას ესწრებოდა საგარეო საქმეთა მდივანი სელვინ ოიდი და მისი თანაშემწე პატრილ დინი. 48-საათიანი ინტენსიური მოლაპარაკება საიდუმლო ოქმის გაფორმებით დამთავრდა. კერძოდ, გადაწყდა, რომ ისრაელი შეიჭრებოდა ეგვიპტეში, ხოლო საფრანგეთისა და ინგლისის ჯარები კი, „არხის დაცვისა და მეომარ მხარეთა დაშორიშორების მიზნით“, სუეცის არხის ზონის ოკუპაციას მოახდენდნენ. ოპერაციაში მონაწილეობის სანაცვლოდ, ისრაელს უნდა მიეღო მთელი სინაის ნახევარკუნძული, ან უკიდურეს შემთხვევაში – მისი აღმოსავლეთი ნაწილი. ინგლისელების კატეგორიული მოთხოვნით, ისრაელი პირობას დებდა, რომ იორდანიას არ შეუტევდა. თავის მხრივ, ინგლისელებმა პირობა დადეს, რომ დახმარებას არ აღმოუჩენდნენ იორდანიას, თუ უკანასკნელი ისრაელის წინააღმდეგ გამოვიდოდა. ვინაიდან ისრაელის დელეგაცია დარწმუნებული არ იყო, რომ ფრანგები და ინგლისელები პატიოსნად შეასრულებდნენ ნაკისრ ვალდებულებებს, მოითხოვეს წერილობით გაფორმებულიყო საიდუმლო შეთანხმების პირობები, ხელმოწერილი ყოფილიყო შეხვედრის მონაწილეთა მიერ და ყოველ მხარეს გადასცემოდა თითო ეგზემპლიარი. ზოგიერთი ვერსიით, შეხვედრაზე ბენ-გურიონმა წარმოადგინა ახლო აღმოსავლეთში საზღვრების გადაადგილების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა იორდანიის გაყოფას ერაყისა და ისრაელის მიერ, ისრაელსავე უნდა გადასცემოდა სამხრეთი ლიბანი მდინარე ლიტანიმდე, ბეირუთს ასევე უარი უნდა ეთქვა

მუსულმანებით დასახლებულ პროვინციებზე და ქრისტიანული უმრავლესობით დარჩენილი ლიბანი ისრაელის მოკავშირედ უნდა ქცეულიყო. ფრანგებისა და ინგლისელების მკვეთრი ოპოზიციის გამო, ბენ-გურიონი იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის გეგმაზე (132).

1956 წლის 29 დეკემბერს სინაის ნახევარკუნძულზე ისრაელის არმიამ ეგვიპტელების წინააღმდეგ საომარი მოქმედებები დაიწყო. ოპერაციას კოდური სახელწოდება ჰქონდა – „კადეში". სხვათა შორის, ამავე ამ სახელის მქონე ქალაქი რამდენჯერმეა თორაში მოხსენიებული. ეგვიპტეში შეჭრის ოფიციალურ მოტივად სინაის ნახევარკუნძულზე ფედაინების რეიდების აღკვეთა გამოცხადდა.

ისრაელის მხრიდან ომის დაწყება სავსებით მოულოდნელი აღმოჩნდა ეგვიპტელი სამხედროებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ ომის დაწყების დღეს ეგვიპტის არმიის გენერალური შტაბის უფროსი აბდელ ჰაკიმ ამერი და მაღალი რანგის სამხედროთა უმრავლესობა იორდანიასა და სირიაში იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით, რაც, ცხადია, თელ-ავივში კარგად იცოდნენ. არც ის იყო შემთხვევითი, რომ შეჭრის წინა ღამით ისრაელის ავიაგამანადგურებელმა სწორედ ის თვითმფრინავი ჩამოაგდო, რომლითაც ეგვიპტის სამხედრო დელეგაცია სახლში ბრუნდებოდა. მხოლოდ ის იყო შემთხვევითი, რომ ჩამოგდებულ თვითმფრინავში გენერალი ჰაკიმ ამერი არ იმყოფებოდა. იგი მოგვიანებით სხვა თვითმფრინავით დაბრუნდა ეგვიპტეში.

თანახმად სევრის საიდუმლო შეთანხმებისა, ინგლისმა და საფრანგეთმა ვეტო დაადეს გაეროს უშიშროების საბჭოში ამერიკის დელეგაციის მიერ ინიცირებული რეზოლუციის პროექტს, რომელიც აგრესიის დაუყოვნებლივ შეწყვეტას ავალებდა ისრაელს. ვაშინგტონის პროექტის საწინააღმდეგოდ, პარიზმა და ლონდონმა ერთობლივი პროექტი წარადგინეს, რომელიც მეომარი მხარეებისაგან მოითხოვდა 30 კმ-ით დაშორებოდნენ სუეცის არხს. ეგვიპტემ უარი განაცხადა არხის მიმდებარე ტერიტორიიდან ჯარის გაყვანაზე. საფრანგეთისა და ინგლისის ჯარები ეგვიპტის წინააღმდეგ ომში ჩაერთვნენ.

31 ოქტომბერს ფრანგებმა და ინგლისელებმა ეგვიპტის ტერიტორიის დაბომბვა დაიწყეს (ოპერაცია „მუშკეტერი"). აეროდრომზე იქნა

განადგურებული ეგვიპტის ავიაციის დიდი ნაწილი, რასაც ნასერის სამხედრო-საჰაერო ძალების სრული პარალიზება მიჰყვა. 5 ნოემბერს პორტ-საიდის რაიონში ფრანგულ-ინგლისური დესანტი გადაჯდა, რომელმაც ორ დღეში დაამყარა კონტროლი როგორც ქალაქზე, ასევე სუეცის არხის მნიშვნელოვან მონაკვეთზე. იმავე დღეს ისრაელის არმიამ შარმ-ელ-შეიხი დაიკავა. მის ხელში აღმოჩნდა თითქმის მთელი ნახევარკუნძული და ღაზის სექტორი. 7 ნოემბერს ქნესეტში (პარლამენტში) გამოსვლისას ბენ-გურიანმა ამაყად განაცხადა, რომ „ისრაელის ხალხის ისტორიაში სინაის კამპანია უდიდესი და უბრწყინვალესი გამარჯვებაა“ და რომ ისრაელმა დაიბრუნა სოლომონ მეფის დროინდელი ტერიტორიები – „კუნძული აოთვათი (სინაის სამხრეთით მდებარე კუნძული ტირენი – ს.ც.) ისრაელის მესამე სამეფოს ნაწილად იქცაო“. პრემიერმა ისრაელის 1949 წლის საზღვრები „ძალადაკარგულად“ გამოაცხადა. ბენ-გურიონის ამ გამოსვლას დუაიტ ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის სერიოზული უკმაყოფილება მოჰყვა. უშიშროების საბჭოში პარიზისა და ლონდონის ვეტოს გასანეიტრალებლად ეიზენჰაუერმა გენერალურ ასამბლეაზე გაიტანა საკითხი. ეს იყო ექსტრავაგანტური პრეცენდენტი, როდესაც ვაშინგტონი და მოსკოვი ბარიკადების ერთ მხარეზე აღმოჩნდნენ ნატოს ორი დამფუძნებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ. როგორც მოსალოდნელი იყო გენერალურმა ასამბლეამ ხმათა აბსოლუტური-უმრავლესობით დაგმო ტრიუმფატორის აგრესია და კატეგორიულად მოითხოვა იარაღით დაკავებული ტერიტორიების განთავისუფლება. კანადის პრემიერის პირსონის ინიციატივით, გენერალურმა ასამბლეამ ორგანიზაციის გენერალურ მდივან დაგ ჰამარშელდს გაეროს სამშვიდობო ძალების შექმნა და კონფლიქტის ზონაში მათი განლაგება დაავალა. ხანმოკლე ჭირვეულობის შემდეგ ნასერიც დათანხმდა ეგვიპტის ტერიტორიაზე მშვიდობისმყოფელთა განთავსებაზე. 15 ნოემბერს გაეროს ქვეგანაყოფების პირველი ნაწილები არხის ზონაში განთავსდნენ. ეს იყო გაეროს ისტორიაში პირველი სამშვიდობო ოპერაცია, რასაც ორგანიზაციის ავტორიტეტის სერიოზული გამტკიცება მოჰყვა.

1956 წლის დეკემბერში საომარი რაიონიდან საფრანგეთმა და ინგლისმა ჯარები გაიყვანეს. ნაჩქარევად გაპიარებული ნადავლის დათმობა ისრაელს არ ემეტებოდა, მაგრამ ეიზენჰაუერის პრინციპული ზეწოლის შედეგად 1957 წლის მარტში მასაც მოუხდა ოკუპირებული ტერიტორიების დატოვება. კმაყოფილებას არ მალავდა ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელსაც სჯეროდა (უფრო მეტად სხვის დაჯერებას ცდილობდა), რომ გაჭრა მისმა მუქარამ ლონდონისა და პარიზის ბირთვული რაკეტებით დაბომბვებზე. მოსკოვისათვის კი ისიც საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ სუეცის კრიზისმა მთლიანად გადაფარა თავისი საერთაშორისო მნიშვნელობით უნგრეთის ტრაღედია.

უნგრელი ხალხის იმ საბედისწერო დღეებში, როდესაც ბუდაპეშტის ქუჩებში წყდებოდა მათი მომავალი, ნიუ-იორკში დღე და ღამეს ათენებდნენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების დიპლომატები ჯერ გენერალური ასამბლეის რეზოლუციის ტექსტზე მუშაობაში და შემდეგ კი მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაზე.

კრიზისის მთავარი შედეგი კი, პირველ რიგში, მსოფლიოს დიდ პოლიტიკაში დიდი ბრიტანეთის, როგორც ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის ილუზიის (თუ კი ასეთი კიდევ იყო შემორჩენილი) საბოლოოდ გაქრობა იყო. თუ სულ რაღაც 10-15 წლის წინ ჩერჩილი როგორც თანასწორი თანასწორს, ისე ელაპარაკებოდა რუზველტს, ამიერიდან ლონდონი უმცროსი პარტნიორის როლს უნდა შეგუებოდა! მალე დე გოლი დაბრუნდა ხელისუფლებაში და პირველსავე დღეებიდან ვაშინგტონისაგან დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური კურსის შექმნა დაიწყო.

სუეცის კრიზისის, ახლო და შუა აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების და საერთოდ საბჭოთა კავშირის ექსპანსიის მკვეთრი გამოძახილი იყო ეიზენჰაუერის 1957 წლის 15 იანვრის გზავნილი კონგრესისადმი. დოკუმენტი, რომელიც „ეიზენჰაუერის დოქტრინის“ სახელით შევიდა ისტორიაში (თუმცა მისი რეალური ავტორი ალენ დალესი იყო). გარკვეული გაგებით, დოქტრინა შექმნილი სიტუაციით იძულებული დიპლომატიური სვლა იყო: ფრანგებისა და განსაკუთრებით კი ინგლისელებისაგან განსხვავებით, ეიზენჰაუერი ხვდე-

ბოდა, რომ კოლონიური ერა დღე-დღეზე უნდა ჩაბარებოდა წარსულს. ისტორიას უკვე გადაშლილი ჰქონდა ეს ფურცელი, რაზეც თვალნათლივ მეტყველებდა ფრანგების კრახი ინდოჩინეთში და ინგლისელების პრობლემები იორდანიასა და ირანში. გრძელვადიანი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ვაშინგტონს არ შეეძლო ომის დროინდელი სამოკავშირეო სოლიდაროზის იდეისათვის შეეწირა თუნდაც მხოლოდ არაბულ სამყაროსთან სამომავლო ურთიერთობები. პრინციპში სწორი გამოდგა იგივე ეგვიპტის მომავალთან გაკეთებული გათვლები, რომ ადრე თუ გვიან, ნასერის რომელიმე მემკვიდრეს, საკუთარი ქვეყნის ინტერესები აიძულებდა უარი ეთქვა მხოლოდ საბჭოთა იარაღის იმედად ყოფნაზე და ისრაელთან (მისი საშუალებით კი მთელ დასავლეთთან) ურთიერთობების დარეგულირებაზე ეზრუნა. გარდა ამისა, დიდ პოლიტიკაში ანტიკოლონისტი ამერიკელებისთვისაც ისევე არ იყო უცხო პრაგმატული ცინიზმი, როგორც მეხუთე თუ მეექვსე „მუხლის“ ბრიტანელი ჯენტლმენი ლორდებისათვის. დაუნდობლად და საჯაროდ დაამცირა ეიზენჰაუერმა მისი ნომერი პირველი სტრატეგიული მოკავშირე დიდი ბრიტანეთი, მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტში „ფეხიანებზე“ (კონკრეტულ შემთხვევაში – არაბებზე) მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე „უფეხო“ ბრიტანელებზე. სხვა რა გზა ჰქონდა ლონდონს ვაშინგტონს იქით? თეთრ სახლში ფსონი დაუნინგ-სტრიტ 10-ის (ბრიტანეთს პრემიერის რეზიდენცია) მობინადრეთა უალტერნატივო არჩევანზე დადეს და არც მოტყუვდნენ – პარიზს თავისი გასჭირებოდა და აბა, მოსკოვთან ომის პერიოდის მოკავშირეობას ხომ არ გაიხსენებდა სუეცს გადაყოლილი პრემიერ ენტონი იდენის შემცვლელი ჰაროლდ მაკმილანი?

ახლო და შუა აღმოსავლეთის ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც თავისი „ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის“ შესანარჩუნებლად ამერიკის შეერთებულ შტატებს სთხოვდა დახმარებას, გარანტირებელი ექნებოდა საჭირო დახმარება, სამხედრო ძალის გამოყენების ჩათვლით. საამისოდ კი საკმარისი იქნებოდა ამერიკის „სახელშეკრულებო ვალდებულება, გაეროს წესდების ჩათვლით“. ამასთან, პროფესიონალ იურისტ ალენ დალესის მიერ

შედგენილი პათეტიკურ-საზეიმო დაპირება ფერმკრთალდებოდა თუნდაც იმიტომ, რომ დახმარების იმედზე მხოლოდ იმ ქვეყნებს შეეძლოთ ყოფნა, რომლებსაც ამერიკასთან საამისო ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული, ან მომავალში გააფორმებდნენ.

რადგან დოქტრინაში დაუფარავად იყო აღნიშნული, რომ რეგიონის სახელმწიფოებს დაცვა „საბჭოთა კომუნიზმისაგან“ ესაჭიროებოდათ, მოსკოვის რეაგირება მყისიერი იყო: საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო (დეპეშათა) სააგენტოს („ტაას“-„საკდეს“) სპეციალურ განცხადებაში „ფარდაახდილი“ იყო ამერიკული დახმარების არსი: პედანტი ბუღალტერივით უკანასკნელ დოლარამდე დაუთვალა რა ამერიკულ და ინგლისურ ნავთობკომპანიებს 1955 წლის მოგება, სააგენტო ასკვნიდა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამერიკა დოქტრინით შეფასებული 200 მლ. დოლარით დაეხმარებოდა 1958 წელს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, იქიდან გაზიდული ნავთობის ფასის გაანგარიშებით, ვაშინგტონს წელიწადში 1 მილიარდ 980 ათასი დოლარი მოგება რჩებოდა.

1957 წლის 9 მარტს კონგრესმა დოქტრინა მოიწონა, რომელიც კიდევ ერთი სიახლე იყო ამერიკის „ნეიტრალიტეტის ბარიერის“ მოშლისა ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში. ვინაიდან არაბული ქვეყნების უმრავლესობა ენთუზიაზმს არ ავლენდა დალესის ბლოკურ ინიციატივებში მონაწილეობის თვალსაზრისით, დოქტრინა მათ ყოველგვარი ხისტი ვალდებულებების გარეშე სთავაზობდა სამხედრო მფარველობას.

უნგრეთისა და სუეცის არხის მოვლენებმა ხრუშჩოვი დაარწმუნა, რომ მართლაც შეიცვალა სოციალიზმის სასარგებლოდ ძალთა თანაფარდობა მთელ მსოფლიოში: უნგრეთში ვერავინ გაბედა საბჭოთა ტანკების შეჩერება, ხოლო სუეცის არხის ზონიდან ფრანგების, ინგლისელებისა და მათი „წვრილფეხა აგენტის“ – ისრაელის გაძევება მოსკოვის „სერიოზული გაფრთხილებისა და იმპერიალისტური ბანაკის შიგნით არსებული წინააღმდეგობების შედეგი იყო“. ასეთ ხელსაყრელ საერთაშორისო პირობებში, როდესაც დასავლეთი სუეცის შოკიდან არ იყო გამოსული და კიდევ დიდ ხანს ვერ მოიშუშებდა

დიპლომატიურ ჭრილობებს, ხრუშჩოვს მიაჩნდა, რომ ხანგრძლივი პაუზა სტრატეგიული შეცდომა იქნებოდა – საჭირო იყო დიპლომატიური შეტევის გაგრძელება უკვე ევროპის მიმართულებით, სადაც ისე გადამწიფებულად გამოიყურებოდა ბერლინის პრობლემა, რომ ერთი შერხევა და თავად უნდა ჩავარდნოდა ხელში მოსკოვს.

პრობლემის მთელ არსს კი ის ფაქტი განაპირობებდა, რომ პოტსდამის სამშვიდობო კონფერენციის შუალედური გადაწყვეტილება ბერლინის თაობაზე პრაქტიკულად ერთ წელიწადში დაძველდა, როდესაც 1949 წელს შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, შემდეგ კი – გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ოთხ ზონად იყო გაყოფილი ბერლინიც. ორი გერმანული სახელმწიფოს დე-ფაქტო წარმოქმნის შემდეგ კი დასავლეთ ბერლინი გერმანიის დემოკრატულ რესპუბლიკაში კუნძულად იქცა. საკუთარ სამხედრო სიძლიერესა და იურიდიულ-სამართლებრივ უპირატესობაში დარწმუნებულმა ხრუშჩოვმა პირველი იერიში დასავლეთ ბერლინზე (ანუ ომისშემდგომ „გერმანულ რეალობაზე") 1958 წლის 10 ნოემბერს მიიტანა, როდესაც მოსკოვში, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების შეკრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ღიად დაიმუქრა, რომ თუ დასავლელი მოკავშირეები უარს არ იტყოდნენ დასავლეთ ბერლინში თავიანთ საოკუპაციო უფლებებზე, საბჭოთა კავშირი თავის ანალოგიურ უფლებებს ცალმხრივად გადასცემდა გერმანიის დემოკრატულ რესპუბლიკას. ასეთ შემთხვევაში კი გერმანელი კომუნისტების ხელში აღმოჩნდებოდა დასავლეთ ბერლინთან დამაკავშირებელ კომუნიკაციებზე კონტროლი. იქვე საბჭოთა ლიდერს არც იმის „დაპირება" დავიწყებია, რომ თუ ვინმეს აზრად მოუვიდოდა გდრ-ის წინააღმდეგ ძალის გამოყენება, მოსკოვი ამას საბჭოთა კავშირზე თავდასხმად შეაფასებდა.

გარდა პიროვნული სუბიექტური ფაქტორისა, გაცილებით სერიოზული ობიექტური მიზეზებიც განაპირობებდა ხრუშჩოვის დიპლომატიური იერიშის ხისტ და უკომპრომისო ხასიათს: რასაკვირველია, მოსკოვის კონიუნქტურულ ინტერესში შედიოდა აღმოსავლელ გერმანულ კომუნისტთა აქტიური მხარდაჭერა. ვალტერ ულბრიხ-

ტმა რამდენჯერმე დაამტკიცა, რომ ის ერთგული და პრინციპული მოკავშირე-მეგობარი იყო. იგი სისტემატურად მიუთითებდა დასავლეთ გერმანიიდან მოსალოდნელი გერმანელი მილიტარიზმის საფრთხეზე, რომელსაც ამერიკელების დახმარებით, მთელი სოციალისტური ბანაკის ერთობაც კი შეეძლო. ულბრიხტის მტკიცებით, საამისოდ ომი სულაც არ იყო აუცილებელი – ორ გერმანიასა და ორ ბანაკს შორის ეკონომიკური კავშირების გაძლიერება, პლიუს ორმხრივი შეთანხმებები საზღვრებზე საკმარისი იქნებოდა „მშვიდობიანი გზით“ სოციალიზმის უკუსაგდებად. ულბრიხტის პოზიციას აძლიერებდა ის ფაქტიც, რომ სოციალისტურ ბანაკში ყველას როდი მოსწონდა იგივე დასავლეთ გერმანიასთან ეკონომიკური კავშირების შეზღუდვის კურსი. მაგალითად, პოლონეთისათვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ძალზე ხელსაყრელი სავაჭრო პარტნიორი იყო. გერმანიის საკითხში საბჭოთა კავშირის პოზიციაზე სერიოზულ გავლენას ახდენდა ჩინეთიც: 1957 წელს მოსკოვში გამართულ კომუნისტურ და მუშათა პარტიების მსოფლიო შეხვედრაზე გამოსვლისას, მაო ძედუნმა დაბეჯითებით მოუწოდა საბჭოთა კომუნისტებს გაცილებით „მტკიცე“ პოზიცია დაეკავებინათ დასავლეთთან ურთიერთობებში. მაომ ისიც კი მოსთხოვა მოსკოვს, რომ განიარაღებაზე ყოველგვარი მოლაპარაკებები შეეწყვიტა ამერიკასთან მანამ, სანამ ეს უკანასკნელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას არ სცნობდა. 1958 წლის აგვისტოში, პეკინში შეხვედრის შემდეგ, ხრუშჩოვი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მაო ძედუნი არასოდეს არ დაუჭერდა მხარს „მშვიდობიანი თანაარსებობის“ იდეას და იძულებული იყო თუნდაც მოჩვენებით, მაგრამ მაინც გაეთვალისწინებინა ყველაზე ძლიერი და გავლენიანი მოკავშირის პოზიცია. ხრუშჩოვის დიპლომატიის საფირმო ნიშნად იქცა არათანმიმდევრული, უკიდურესობებით გადატვირთული კურსი, როდესაც იგი ერთდროულად ცდილობდა შეუთავსებელთა შეთავსებას – მშვიდობიანი თანაარსებობის ატმოსფეროს შენარჩუნებას პერმანენტულად კონფრონტაციული ტაქტიკის პირობებში. ხრუშჩოვს იმის ჭკუა კი ჰყოფნიდა, რომ დასავლეთ ბერლინის წინააღმდეგ რაიმე სამ-

ხედრო-პოლიტიკური აქტებზე არ ეფიქრა, მაგრამ არც იმაზე ამბობდა უარს, რომ მუდმივ დაძაბულობაში ჰყოლოდა დასავლეთი.

1958 წლის შემოდგომისათვის მოსკოვში დასავლეთ ბერლინისათვის „თავისუფალი ქალაქის“ სტატუსზე შეუჯერდნენ. კრემლში იმედოვნებდნენ, რომ რაკი შეუძლებელი აღმოჩნდა ბლოკადით ქალაქის „მოხრჩობა“, „თავისუფალ“ ფორმატში გახდებოდა შესაძლებელი მისი ეკონომიკის აღმოსავლეთის ბაზარზე ორიენტირება, სოციალისტურ სისტემაში ინტეგრირება და თანაც, მისი „განსაკუთრებული“ სტატუსის შენარჩუნება. რატომღაც ფანატიკურად სჯეროდა ხრუშჩოვს, რომ არავინ არ წავიდოდა ომის რისკზე დასავლეთ ბერლინისათვის, ხოლო ამერიკელები კი იძულებულნი გახდებოდნენ ხანგრძლივ მოლაპარაკებათა პროცესში ჩართულიყვნენ. საინტერესოა, რომ კრემლის ოპტიმიზმს სამხედროები და დიპლომატები არ იზიარებდნენ: 1958 წლის ნოემბერში საბჭოთა არმიის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველო კომპარტიის ცეკა-ს (ცენტრალურ კომიტეტს) აცნობებდა, რომ თუ გდრ დასავლელ მოკავშირეთა უფლებებს დაარღვევდა დასავლეთ ბერლინზე, მათი მხრიდან სამხედრო კონტრზომები იყო მოსალოდნელი. ხრუშჩოვს აფრთხილებდა აგრეთვე სსრკ-ის ელჩი გდრ-ში გიორგი პუშკინიც, რომ კრიზისის საშიში ესკალაციის შემცველი იყო დასავლეთის შანტაჟიც, მაგრამ მას შემდეგ, რაც ხრუშჩოვმა იგი საჯაროდ მკაცრად დატუქსა, გაფრთხილებებიც შეწყდა.

1958 წლის დეკემბერში საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი გრომიკომ ნიკიტა ხრუშჩოვს თავის უწყებაში მომზადებული ორი სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტი გადასცა: პირველი იყო ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან, დასავლელ მოკავშირეებთან ერთად გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი და მეორე – ორმხრივი სეპარატული გდრ-სთან. თანმხლებ განმარტებით ბარათში მინისტრი სწორად ვარაუდობდა, რომ დასავლეთი არ დათანხმდებოდა საერთო ხელშეკრულებაზე, ვინაიდან ამას ნატოს დაშლა გარდუვლად მიჰყვებოდა. აქვე სხვის მწარე გამოცდილებაზე ჭკუანასწავლი, ფრთხილი კარისკაცი ანდრეი გრომიკო მორიდებით, მაგრამ მაინც აყენებდა საქ-

მის კურსში ცენტრალური კომიტეტის (ცეკა-ს) თავნება პირველ მდივანს: თუ დასავლეთთან მოლაპარაკებები ჩიხში შევიდოდა, საბჭოთა კავშირი იძულებული გახდებოდა აღმოსავლეთ გერმანიისათვის მიცემული დაპირება შეესრულებინა.

საფრთხეს წარმოადგენდა ვალტერ ულბრიხტის პოზიციაც: იგი თავიდანვე არ მალავდა „თავისუფალ ქალაქთან"დაკავშირებულ სკეპტიციზმს. 1959 წლის თებერვალში მან ხელშეკრულების პროექტზე საკუთარი შენიშვნები გაუგზავნა მოსკოვს, სადაც კატეგორიულად მოითხოვა, რომ „დასავლეთ ბერლინის ტერიტორია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილად განხილულიყო", ხოლო ქალაქის „სარკინიგზო და სხვა გზები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკითხებად გამოცხადებულიყო". ცხადი იყო, რომ ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ გათვალისწინებულ ვარიანტს – გდრ-ში დასავლეთ ბერლინის მშვიდობიან ინტეგრაციას – აღმოსავლეთ გერმანიის ხელმძღვანელობა არც კი განიხილავდა. გერმანელი კომუნისტებისათვის მისაღები იყო ფედერაციული გერმანიისაგან დასავლეთ ბერლინის „გამოგლეჯვა" -მხოლოდ ადმინისტრაციული და, თუ საჭირო იქნებოდა, სამხედრო საშუალებებითაც.

ულბრიხტსა და მის თანაგუნდელებს საქმე აშკარა სამხედრო დაპირისპირებისაკენ მიჰყავდათ და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც დალესმა საჯაროდ გააჟღერა ვაშინგტონის გადაწყვეტილება დაეცვა დასავლეთ ბერლინზე თავისი უფლებები, თანაც „თუ საჭირო იქნებოდა ძალის გამოყენებითაც". ანალოგიურივე განცხადება გააკეთა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმაც. პენტაგონში კი „არაბირთვული იარაღით" დასავლეთ ბერლინის დაცვისათვის საჭირო „საგანგებო" გეგმაზე მუშაობა დაიწყო.

განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოირჩეოდა დასავლეთ გერმანიის კანცლერ კონრად ადენაუერის პოზიცია: დასავლელ კოლეგებთან კონსულტაციის გარეშე (რაც უკვე იყო მათ შორის არსებული შეთანხმების დარღვევა), 1958 წლის 12 ნოემბერს, მან მოსკოვი ბერლინის თაობაზე არსებული ოთხმხრივი ხელშეკრულების დარღვევის საფრთხეებზე გააფრთხილა, რაც უკვე დიპლომატიურად შეფუთული

მუქარა იყო. ეიზენჰაუერმა კი ბერლინის კრიზისთან დაკავშირებულ საგანგებო მოქმედებათა გეგმა დაამტკიცა, რაც ითვალისწინებდა:

ა) დასავლეთ ბერლინისაკენ მიმავალ ნებისმიერ კომუნიკაციებზე საბჭოთა წარმომადგენლების აღმოსავლეთ გერმანელებით შეცვლის არცნობას;

ბ) თუ მაინც მოხდებოდა ასეთი რამ, ამერიკულ ტრანსპორტს სამხედრო დაცვა გააცილებდა, საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენების უფლებით;

გ) ამერიკელთა ოჯახის წევრების ევაკუირებას ბერლინიდან, ხოლო მომავალში მთელი გერმანიიდან.

პრეზიდენტის ასეთი გადამჭრელი ზომები კი პირდაპირი პასუხი იყო ხრუშჩოვის ულტიმატუმებზე, როდესაც მან 1959 წლის 10 იანვარს გერმანიასთან სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტი გადასცა სამ დასავლელ მოკავშირეს და გააფრთხილა, რომ თუ ექვს თვეში გაფორმებული არ იქნებოდა ხელშეკრულება, საბჭოთა კავშირი დასავლეთ ბერლინზე თავის უფლებებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას გადასცემდა.

დასავლეთისათვის მიუღებელი იყო ხელშეკრულების პირველივე მუხლები. კერძოდ: ქვეყნის გაერთიანებამდე ცნება „გერმანია“, ხელშეკრულების მიხედვით, მოიცავდა როგორც გფრ-ს, ასევე გდრ-ს და მათზე თანაბრად გავრცელდებოდა გერმანიის უფლებები და ვალდებულებები. გერმანიას ასევე ეკრძალებოდა „ნამდვილი ხელშეკრულების რომელიმე წევრი-სახელმწიფოს წინააღმდეგ შექმნილ სამხედრო კავშირებში მონაწილეობა“. ხელშეკრულება ძალას ინარჩუნებდა გერმანიის გაერთიანების შემდეგაც. გაერთიანებამდე კი დასავლეთი ბერლინი იქნებოდა დემილიტარიზებული თავისუფალი ქალაქი თავისი განსაკუთრებული სტატუსით. ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე გდრ ტოვებდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას, გფრ კი ნატოსა და დასავლეთ ევროპის კავშირს. პროექტში დეტალურად იყო ჩამოთვლილი იარაღის ის სახეობები, რომელიც იკრძალებოდა გერმანიაში. გერმანიიდან უნდა გასულიყვნენ უცხო ქვეყნის

ჯარები. უკანასკნელი პუნქტი საჩუქრის სახით პირდებოდა რეპარაციების დარჩენილი ნაწილის ლიკვიდაციას.

მიუხედავად ხრუშჩოვის დიპლომატიური დემარშის აშკარა პროვოკაციული ბუნებისა, დრო და ადგილი ზუსტად იყო შერჩეული: რიგით ევროპელთა გადასახედიდან დიდი განსხვავება არ იყო იმაში, თუ ვინ – რუსები თუ აღმოსავლელი გერმანელები გააკონტროლებდნენ დასავლეთ ბერლინში შესასვლელ საგუშაგოებს. ეს ფორმალურად არც ბლოკადა იყო და არც შეზღუდვა. უბრალოდ, საოკუპაციო სავიზო შტემპელები გერმანელების ხელში გადავიდოდა და ისინი ჩაარტყამდნენ შტემპელს სატრანზიტო დოკუმენტებს. რეალობაში კი დასავლეთი მტკივნეული არჩევანის წინაშე დგებოდა - აღმოსავლეთ გერმანიის სუვერენიტეტის ცნობა თუ ომის რისკზე წასვლა. უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა კანცლერი ადენაუერი, რომელიც სისტემატურად და კატეგორიულად უარყოფდა ნებისმიერ კომპრომისს დასავლეთთან პოლიტიკური და სამხედრო კავშირების შესუსტების ხარჯზე. მისთვის დასავლეთის შემადგენელ ნაწილად ყოფნა უფრო ღირებული იყო, ვიდრე ქვეყნის გაერთიანების დაჩქარება ნებისმიერი საშუალებით. რაც შეეხებოდა დასავლეთ გერმანიის მეორე გავლენიან პოლიტიკურ ძალას – სოციალ-დემოკრატებს, ადენაუერისა და მისი ქრისტიან-დემოკრატებისაგან განსხვავებით, მათთვის ქვეყნის ერთიანობის აღდგენა იყო პრიორიტეტი.

დასავლეთი კი (ძირითადათ ამერიკა) მზად იყო ანგარიში არ გაეწია მოსკოვის ულტიმატუმისათვის და არანაირ დათმობებსა თუ მოლაპარაკებებზე არ წასულიყო. ვაშინგტონში ვარაუდობდნენ, რომ დასავლეთ ბერლინის თავდაცვის მიზნით ეიზენჰაუერის მიერ განხორციელებული სამხედრო ზომები ცნობილი გახდებოდა მოსკოვისათვის, რაც კრემლს დასავლეთის გადაწყვეტილების (დასავლეთ ბერლინის დაცვაზე) სიმტკიცეში დაარწმუნებდა. 1959 წლის 2 თებერვლის ინციდენტს ისედაც უნდა დაერწმუნება ხრუშჩოვი, რომ ამერიკელები არ ბლეფობდნენ. საქმე კი შემდეგში იყო: საბჭოთა ბლოკპოსტზე გააჩერეს ამერიკელების ტრანსპორტი ტვირთის შემოწმების მიზნით. ამერიკელებმა ამის ნება არ დართეს. მოსკოვმა სასწ-

რაფოდ მიიღო ამერიკის ნოტა, სადაც ინციდენტი შეფასებული იყო როგორც „ბერლინში თავისუფალ შესვლაზე ამერიკელების უფლების აშკარა ხელყოფა“. ტრანსპორტმა შეუფერხებლად განაგრძო გზა. ხსენებულმა ინციდენტმა გამოააშკარავა ამერიკისა და ბრიტანეთის პოზიციებს შორის არსებული პრინციპული განსხვავება: ამერიკელებთან კონფლიქტის მეორე დღეს სიტუაცია გამეორდა უკვე ინგლისელთა ტრანსპორტის მიმართ – უკანასკნელნი დანებდნენ რუსების მოთხოვნას ტვირთის შემოწმებაზე. დიდი ბრიტანეთის ახალი პრემიერი ჰაროლდ მაკმილანი (ენტონი იდენი ხომ სუეცის კრიზისს გადაჰყვა) ეიზენჰაუერზე მეტად დამთმობი აღმოჩნდა. მან მოსკოვში ჩასვლაც კი გადაწყვიტა კომპრომისის გამოსაძებნად, თანაც ვაშინგტონთან შეუთანხმებლად. თეთრი სახლი კი კრიზისთან დაკავშირებით „შეზღუდული ძალის“ გამოყენების სცენარებს განიხილავდა. 1959 წლის 25 თებერვალს, პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ მისი ადმინისტრაცია დასავლეთ ბერლინის დაცვის გეგმას აზუსტებდა. 5 მარტს პროგნოზებში უფრო შორს წავიდა ამერიკის თავდაცვის მინისტრი ნილ მაკელროი, რომელმაც საჯარო განცხადებაში პირველად არ გამორიცხა დასავლეთის პრევენციული ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ომის პერსპექტივით საბოლოოდ თავგზააბნეული ბრიტანეთის პრემიერი კი, ვიზიტის სათანადოდ მომზადების გარეშე, ფორს-მაჟორის რეჟიმში, 21 თებერვალს მოსკოვში გაფრინდა. მოსკოვმა მიიღო მაკმილანის წინადადება ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის თაობაზე. ისე კი ნიკიტა ხრუშჩოვს უმაღლეს დონეზე შეხვედრა უფრო აწყობდა, ვინაიდან იგი შეურაცხყოფილადაც კი გრძნობდა თავს მისი მუქარისადმი ამერიკელების „არასერიოზული“ დამოკიდებულების გამო. უკანასკნელს კი მარტივი ახსნა ჰქონდა: პროფესიონალ სამხედრო ეიზენჰაუერისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის რეალური სამხედრო პოტენციალი. მან ზუსტად იცოდა, თუ რა დიდი სხვაობა იყო ამერიკისა და საბჭოეთის ბირთვული შეიარაღების მასშტაბს შორის და ჰაროლდ მაკმილანისაგან განსხვავებით, მასზე არანაირ გავლენას ვერ ახდენდა ხრუშჩოვის ბაქი-ბუქი და მუქარა

„ჯალბასებივით“ წარმოებულ საკონტინენტთაშორისო რაკეტებზე (არადა, მოსკოვს იმ დროისათვის სულ ოთხი რაკეტა ჰქონდა, წითელ მოედანზე გამართულ აღლუმებზეც კი მაკეტები გამოჰქონდა). ამიტომაც იყო, რომ ეიზენჰაუერმა პასუხის ღირსადაც კი არ ჩათვალა მოსკოვის 23 მაისის „უმკაცრესი“ გაფრთხილება დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ამერიკის ტაქტიკური ბირთვული იარაღის განთავსებაზე.

25 მაისიდან 4 ივნისამდე ნიკიტა ხრუშჩოვი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დელეგაციასთან ერთად, ოფიციალური ვიზიტით, ალბანეთში იმყოფებოდა, სადაც ამერიკელები, თურქეთსა და საბერძნეთში ნატოს ბაზების შექმნის გამო, კრიტიკისა და მუქარის ქარცეცხლში გაატარა. 6 ივნისს კი უკვე მოსკოვში დაბრუნებული გენმდივანი ბალკანეთში უბირთვო ზონის შექმნის ინიციატივით გამოვიდა, თანაც დაიმუქრა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ალბანეთსა და ბულგარეთში საბჭოთა სამხედრო ბაზებს შექმნიდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი, რიგაში გამოსვლისას, უკვე სკანდინავიასა და ბალტიისპირეთში უბირთვო ზონების იდეა გაახმოვანა. ვაშინგტონის სრული იგნორირებით გაცოფებულმა ხრუშჩოვმა ეიზენჰაუერის ჯავრი აშშ-ის ელჩ ჰარიმანზე იყარა 23 ივნისს შეხვედრისას, როდესაც ყვირილზე გადასული – „თუ თქვენ ომი გსურთ, თქვენ მას მიიღებთ, მაგრამ გახსოვდეთ, ეს თქვენი ომი იქნება“ – უკვე მესამე მსოფლიო ომითაც კი დაემუქრა ფაქტიურად მთელ დასავლეთს.

ბერლინთან დაკავშირებით კი სიტუაცია დღითი-დღე უარესდებოდა: 1959 წლის გაზაფხულზე დასავლეთ ბერლინისაკენ გაფრენილი ამერიკის სატრანსპორტო თვითმფრინავები საბჭოთა ავიაგამანადგურებლებმა რამდენჯერმე კურსის შეცვლაზე აიძულეს. მაისში ამერიკელი მფრინავები უკვე აღარ დაემორჩილნენ საბჭოთა ავიაგამანადგურებლების მოთხოვნას და მშვიდობიანად დაფრინდნენ დასავლეთ ბერლინის აეროდრომზე. მოსკოვმა ვერ გაბედა ძალის გამოყენება. ამავე დროს დაიწყო საბჭოთა სამხედროების აღმოსავლელ გერმანელი სამხედროებით ჩანაცვლება დასავლეთ ბერლინის საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე. თავდაპირველად აღმოსავლეთ გერ-

მანელებმა სცადეს ამერიკელთა ტრანსპორტით ჩატანილი ტვირთის გაკონტროლება, მაგრამ როგორც კი ტრანსპორტის გაძლიერებულ დაცვის წააწყდნენ, უკან დაიხიეს. ნატოს სამხედრო თვითმფრინავების ბაზირების ადგილი კი საფრანგეთიდან დასავლეთ გერმანიით შეიცვალა.

პირისპირ დგომა უკვე საგანგაშო ზღვარს უახლოვდებოდა: სულ უმნიშვნელო ინციდენტსაც კი ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი შეიძლება მოჰყოლოდა. პრაქტიკულად კრიტიკულ ზღურბლს მიღწეული დაძაბულობის გადამწყვეტ მომენტში ისევ ხრუშჩოვს უმტყუნა ნერვებმა: 1958 წლის 7 ივლისს, კრემლში ამერიკელ სენატორებთან შეხვედრის პროცესში, მან თითქმის ღიად მიანიშნა სტუმრებს, რომ სიამოვნებით ეწვეოდა ამერიკას, რათა „ახლოს გაეცნო ამერიკელი ხალხი“. დასავლეთში უცებ მიხვდნენ – საბჭოთა ხმაურიანი ლიდერი შედრკა. მეორე დღეს პრესკონფერენციაზე დუაიტ ეიზენჰაუერმა კი გაიკვირვა დაუპატიჟებელი სტუმრობის სურვილი, მაგრამ არც ოფიციალური ვიზიტის შესაძლებლობა არ გამორიცხა.

გარდა ბერლინის კრიზისისა, მოსკოვს სხვა მოტივებიც ჰქონდა, რათა დასავლეთთან მისივე ინიციატივით გამწვავებული ურთიერთობების დარეგულირებაზე ეზრუნა. ნიკიტა ხრუშჩოვის დიპლომატიურ სტილში „ჯდებოდა“ ის საოცარი ფაქტიც, რომ მან დასავლეთთან მწვავე და პრინციპულ დავას დაამთხვია ატომური ბომბის შექმნაში ჩინითისათვის ადრე შეპირებულ დახმარებაზე უარის თქმა. მსოფლიოს ორ მთავარ კონკურენტ-მოკავშირეს შორის ურთიერთობები უამისოდაც „დაძაბული დაზავების“ რეჟიმში იმყოფებოდა და რთული სავარაუდო არ უნდა ყოფილიყო, თუ როგორი იქნებოდა მაო ძედუნის რეაქცია „ძმურ დახმარებაზე“ მოულოდნელი უარის გამო. როგორც ჩანს, მოსკოვმა ჩინელების ბირთვული იარაღით შეიარაღებას ისევ ამერიკელებთან დათმობაზე წასვლა ამჯობინა, თუმცა უკანასკნელ მომენტში ამერიკაში ვიზიტიც კინაღამ ჩაიშალა: ამერიკელებმა საბჭოთა ტრაულერი (თევზსაჭერი გემი) „ნოვოროსიისკი“ დააკავეს რაიონში, სადაც ხშირი იყო ამერიკის სამთავრობო კავშირის წყალქვეშა კაბელის „უცნაური დაზიანებები“. ხომალდზე ასულმა

ამერიკელმა სპეციალისტებმა იოლად დაადგინეს, რომ გემის ეკიპაჟი „საერთაშორისო ნორმებით აკრძალულ საქმიანობას ეწეოდა“. ცხადია, მოსკოვმა ჯერ კატეგორიულად უარყო ამერიკელთა ბრალდება, შემდეგ კი დიპლომატიური არხებით მოახერხა ინციდენტის განეიტრალება.

1959 წლის სექტემბერში, კემპ-დევიდში დუაიტ ეიზენჰაუერს დიდად არ გასჭირვებია ნიკიტა ხრუშჩოვის დარწმუნება, რომ ბერლინის პრობლემა ულტიმატუმების ვადებით კი არა, შეუზღუდავი დამატებითი მოლაპარაკებების გზით უნდა გადაჭრილიყო. კრიზისმა სიმწვავე დაკარგა და მდორედ მიმდინარე კონფრონტაციის ფორმა მიიღო. ფაქტობრივად, მოსკოვმა უარყო ულტიმატუმების ტაქტიკა, მაგრამ უარი არ უთქვამს თავის მოთხოვნებზე, თუმცა საბოლოო ჯამში ვერაფერს მიაღწია.

1958-1959 წლებში საბჭოთა დიპლომატიის წარუმატებლობას ბევრწილად განსაზღვრავდა ის ფაქტიც, რომ ვაშინგტონს სრული და ობიექტური ინფორმაცია გააჩნდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების რეალურ შესაძლებლობებზე. ამ პერიოდში ამერიკის დაზვერვის ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენდა წითელი არმიის დაზვერვის მთავარი სამმართველოს მაღალი თანამდებობის ოფიცერი, პოლკოვნიკი ოლეგ პენკოვსკი. სწორედ ის აწვდიდა ვაშინგტონს ზუსტ მონაცემებს საბჭოთა სტრატეგიულ ბირთვულ რაკეტებზე, რაც ახლოსაც ვერ მოდიოდა ხრუშჩოვის ტრაბახთან. უკანასკნელი კი, ვინაიდან წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ამერიკელების ინფორმირებულობის მასშტაბებზე, კვლავ ერთი მეორეზე უფრო და უფრო მრისხანე განცხადებების კორიანტელს აყენებდა. 1959 წლის 6 ოქტომბერს მან უპრეცედენტოდ განაცხადა, რომ მოსკოვი ყველა ქვეყნებს უსწრებდა „რაკეტების წარმოებაში“. ერთი თვის შემდეგ კი საბჭოთა ჟურნალისტებს არწმუნებდა – „დღევანდელი დღისათვის ჩვენ იმდენი რაკეტა, იმდენი ატომური და წყალბადის ქობინა დავაგროვეთ, რომ თუ ისინი (დასავლეთის ქვეყნები – ს.ც.) თავს დაგვესხმებიან, ყველა ჩვენ პოტენციურ მოწინააღმდეგეს ავღგვით მიწისაგან პირისა“. იგი ჟურნალისტებს მოუყვა საბჭოთა სამხედრო ქარხანაში თავის ვიზიტზე, სადაც კონვეი-

რული ხაზით აწარმოებდნენ „250 რაკეტას წყალბადის ქობინებით“. გენმდივანი კვლავ ალაპარაკდა აღმოსავლეთ გერმანიასთან სეპარატულ ხელშეკრულებაზე და პირადულად გაკენწლა კანცლერი კონრად ადენაუერი.

1960 წლის 14 იანვარს მოსკოვმა გამოაცხადა, რომ 1 მლნ 200 ათასით ამცირებდა არმიას და ამ ფაქტს, რომ დასავლეთის რაიმე ცდუნება არ მოჰყოლოდა, სასწრაფოდ ამცნო მსოფლიოს, რომ საბჭოთა კავშირი „რამდენიმე წლით უსწრებდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების წარმოებაში“. ამგვარი განცხადებების კასკადის „მსხვერპლად“ კი იქცა არა დასავლელი პოლიტიკური ელიტა, არამედ შეშინებული საზოგადოებრიობა, რომელიც უკვე მზად იყო ნებისმიერი სამხედრო ბიუჯეტზე დათანხმებულიყო, ოღონდ კი „საბჭოთა საფრთხისაგან“ დაცულად ეგრძნო თავი. ამერიკაში ვიზიტის პერიოდში ხრუშჩოვი და ეიზენჰაუერი შეთანხმდნენ მომავალი წლის (1960 წლის) მაისში პარიზში კონფერენციის მოწვევაზე, სადაც გერმანიის პრობლემაზე იქნებოდა მსჯელობა, მაგრამ 1960 წლის 1 მაისს ციმბირის თავზე საბჭოთა რაკეტა ადრე მიუწვდომელ სიმაღლეზე მფრინავ ამერიკულ მზვერავ თვითმფრინავ „უ-2“-ს მიწვდა და ჩამოაგდო. პილოტი ფრენსის პაუერსი გადარჩა, იგი მოსკოვში გაასამართლეს და ამერიკაში „ჩავარდნილ“ ლეგენდარულ საბჭოთა მზვერავზე, პოლკოვნიკ რუდოლფ აბელზე გაცვალეს. ხრუშჩოვმა დანაშაულის აღიარება და ბოდიშის მოხდა მოითხოვა ეიზენჰაუერისაგან. ამერიკის პრეზიდენტმა კატეგორიულად უარყო კომუნისტების წინაშე ბოდიშის მოხდა, ხრუშჩოვმა კი პარიზის კონფერენციაზე გამგზავრებაზე თქვა უარი. იგი ამერიკაში იმავე წელს დანიშნული არჩევნების შედეგებს დაელოდა, ვინაიდან დიალოგის გაგრძელებას ახალ პრეზიდენტთან (ეიზენჰაუერი კენჭს ვეღარ იყრიდა) ვარაუდობდა. 30 მაისს კი საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი როდიონ მალინოვსკი, ბუნებრივია, კრემლთან შეთანხმებით, ბირთვული დარტყმებით დაემუქრა იმ ბაზებს, საიდანაც საბჭოთა კავშირისაკენ იღებდნენ კურსს ამერიკას მზვერავი თვითმფრინავები. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მოსკოვი ღიად დაემუქ-

რა ბირთვული იარაღით ამერიკის მოკავშირეებს. 30 ივნისს, როდესაც ხრუშჩოვი ვენაში იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით, საბჭოთა გამანადგურებელმა უკვე ზღვაზე ჩამოაგდო ამერიკელთა მზვერავი თვითმფრინავი, რის გამოც ხრუშჩოვი იძულებული გახდა ვიზიტი შეეწყვიტა. ამერიკაში კი წინასაარჩევნო კამპანია ფინიშის სწორზე გავიდა – ორივე პარტია, რესპუბლიკელებიც და დემოკრატებიც, საგარეო პოლიტიკაში სამხედრო ძალის როლის ზრდის ფონზე აწარმოებდა კამპანიის დასკვნით ეტაპს. 30 ივნისს წარმატებით დასრულდა ატომური წყალქვეშა ნავ „ჯორჯ ვაშინგტონიდან“ რაკეტა „პოლარის“-ის გაშვება. 30 აგვისტოს კი ამერიკელებმა ასევე წარმატებით გამოსცადეს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა „ტიტანი“, რომლის ფრენის სიშორე 5 ათას კილომეტრს აღემატებოდა. მიუხედავად ყოველივე ამისა, დემოკრატების კანდიდატი, სენატორი ჯონ კენედი სწორედ ბირთვულ შეიარაღებაში „ჩამორჩენის“ გამო აკრიტიკებდა რესპუბლიკურ ადმინისტრაციას: „მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირმა გადაწყვიტა მთელი რესურსები გადაესროლა რაკეტების სრულყოფაზე, ჩვენ შევამცირეთ ანალოგიური პროგრამების დაფინანსება. ჩვენ მკვეთრად შევამცირეთ თავდაცვის ბიუჯეტი, ჩვენ შევანელეთ ჩვეულებრივი შეიარაღების მოდერნიზაციის ტემპები“, – განაცხადა კენედიმ 1960 წლის 18 ოქტომბერს მაიამი-ბიჩში ყოფნისას, ამერიკის ლეგიონის შეკრებაზე. საპასუხოდ, მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, თუ 6 თვეში არ იქნებოდა გადაწყვეტილი ბერლინის პრობლემა, საბჭოთა კავშირი ბირთვული იარაღის გამოცდებს განაახლებდა. ბერლინიდან კი საბჭოთა საელჩო საგანგაშო ინფორმაციებს გზავნიდა: აღმოსავლეთ გერმანელ კომუნისტთა ხელმძღვანელობაში საომარი განწყობილება იზრდებოდა (რასაკვირველია, საბჭოთა კავშირის იმედით). ერთ-ერთ „შიფროვკაში“ პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ მმართველი პარტიის აქტივისტთა 70 პროცენტი მზად იყო შტურმით აეღო დასავლეთ ბერლინი.

პოზიციების დათმობას არც კონრად ადენაუერი აპირებდა: ჯერ იყო და დასავლეთ გერმანიის არმიისათვის დასავლეთ ბერლინში რეკრუტთა გაწვევით გააოცა ვალტერ ულბრიხტი, ცოტა ხანში კი

გადაწყვიტა მაინცდამაინც დასავლეთ ბერლინში ჩაეტარებინა პარლამენტის – ბუნდესტაგის სხდომა, რამაც უკვე წონასწორობა დააგვირგვინა უიმისოდაც ყალყზე შემდგარ ულბრიხტს, რომლისთვისაც ის გარემოებაც იყო აუტანელი, რომ ბონი პასუხსაც კი არ იძლეოდა კომუნისტური ბერლინის საპროტესტო ნოტებზე. სიტუაციას დრამატიზმს მატებდა დასავლეთ გერმანიაში მომრავლებული ხმაურიანი (თუმცა არანაირი გავლენის მქონე) რევანშისტული ორგანიზაციების აშკარა პროვოკაციული მოთხოვნები არა მხოლოდ აღმოსავლეთ გერმანიის, არამედ ომის შემდეგ პოლონეთსა და საბჭოთა კავშირის საზღვრებში აღმოჩენილი ტერიტორიების დაბრუნებაზე.

ულბრიხტი მოსკოვისაგან ეფექტური სამხედრო დახმარების მოლოდინში იყო, მოსკოვი კი უკვე სტანდარტულად ქცეული დიპლომატიური სვლით დაკმაყოფილდა – უკვე მერამდენედ გაიმეორა ჩვეული დაპირებით, რომ თუ მართლაც შედგებოდა ბუნდესტაგის სხდომა დასავლეთ ბერლინში, ამჯერად უკვე ყოველგვარი გადავადებებისა და გაფრთხილებების გარეშე გააფორმებდა სამშვიდობო ხელშეკრულებას აღმოსავლეთ გერმანიასთან.

სანამ ხრუშჩოვი, ადენაუერი და ულბრიხტი ასე თუ ისე ლოკალური მასშტაბის კინკლაობით იყვნენ დაკავებულნი, თეთრი სახლი დემოკრატმა პრეზიდენტმა დაისაკუთრა. ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი გახდა ჯონ ფიცჯერალდ კენედი. ამით დასრულდა ეიზენჰაუერის მშფოთვარე 8 წლიანი მმართველობის ერა. ისტორიის მორიგ უსამართლობად შეიძლება ჩაითვალოს, რომ მსოფლიო ისტორიაში დუაიტ ეიზენჰაუერი შევიდა უმთავრესად როგორც მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი გმირი და „ცივი ომის“ ყველაზე „ცხელ“ წლებში საბჭოთა ექსპანსიონიზმთან ეფექტური მებრძოლი. კომუნიზმის „უკუგდების“ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ვაშინგტონში დამუშავებული ცალმხრივ დოქტრინათა შორის, თავისი ღრმა ანალიზითა და რეალისტური მიზნებით, მომგებიანად გამოირჩევა მისი „კომუნისზმის უკუგდების“ დოქტრინა. საშინელ ბრძოლას გამოვლილი სამხედროს გამოცდილებამ საჭირო სამსახური გაუწია ყოფილ გენერალს 50-იან წლებში, როდესაც მსოფ-

ლიო რამდენჯერმე აღმოჩნდა შედეგწარმოუდგენილი სამხედრო კონფლიქტების ზღვარზე. მწვავე კრიზისების დღეებში სიმშვიდის შენარჩუნებსა და რეალური საფრთხისაგან ბლეფის გარჩევის პროფესიონალური უნარი, საჭიროების შემთხვევებში ელასტიურობასა და უკომპრომისო სიმკვეთრეს მატებდა ვაშინგტონის დიპლომატიას, რის შედეგადაც საფრთხეები ისევე „შეუმჩნევლად“ ქრებოდნენ, როგორც ჩნდებოდნენ.

ყოველივე ზემოხსენებული საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. მასზე იწერებოდა და დღემდე იწერება წიგნები და ცალკეული გამოკვლევები, ის კი, რასაც ქვეყნის შიგნით აკეთებდა გენერალ-პრეზიდენტი, ისტორიასაც და მკვლევარებსაც ნაკლებად აინტერესებთ. ამავე დროს ეიზენჰაუერის სახელთანაა დაკავშირებული დღეს უკვე მთელ მსოფლიოში ცნობილი „ნასა“-ს (ამერიკის კოსმოსური კვლევის ეროვნული სააგენტოს) დაარსება, რომლის ერთ-ერთი პირველი პროექტით განხორციელდა ღია კოსმოსში გასვლა და კოსმონავტების მთვარეზე „ვიზიტი“. ეიზენჰაუერმა დააარსა აგრეთვე პროექტთა პერსპექტიული კვლევების სააგენტო, რომელიც შემდგომში მსოფლიოში პირველი დაამუშავებს კომპიუტერულ ქსელს და ინტერნეტის წინაპრად იქცევა. ეიზენჰაუერის დროს იქცა საბოლოოდ ამერიკის სრულუფლებიან შტატად ალიასკა: 1867 წლის 30 მარტს ამერიკამ მხოლოდ თავისი სუვერენიტეტის რატიფიკაცია მოახდინა, როცა ალიასკა რუსეთისაგან იყიდა. იმის ვერსიაც კი არსებობდა, რომ რუსეთმა თითქოს ხანგრძლივი არენდით გადასცა ამერიკას ალიასკა, თუმცა ხელშეკრულებით ეს არ მტკიცდება. 1896 წლამდე თავად ამერიკაშიც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა უკაცრიელი და მკაცრ კლიმატიანი ტერიტორიის შეძენის ფაქტს. სიტუაცია იმიტომ შეიცვალა 1896 წელს, რომ აქ ოქროს მდიდარი საბადოები აღმოჩნდა. XX საუკუნის 50-იან წლებში ალიასკაზე ნავთობიც იპოვეს. ამის შემდეგ, ეიზენჰაუერის ინიციატივით, 1956 წლის 24 აპრილს მოხდა ალიასკის კონსტიტუციის რატიფიკაცია, ხოლო 1958 წლის 7 იანვარს კი ეიზენჰაუერმა ხელი მოაწერა ოფიციალურ დეკლარაციას – ალიასკას შტატის სტატუსი მიენიჭა სენატში

ორი წარმომადგენელით (მანამდე კი ალიასკა ჯერ „ოკრუგი“ იყო, შემდეგ „ტერიტორია“).

ომის დროს ეიზენჰაუერი მოხიბლა გერმანულმა ავტობანებმა, რაც ვერმახტს რამდენიმე ფრონტზე ერთდროულად ბრძოლას უადვილებდა. 1950-იანი წლებისათვის ამერიკის კოშმარად იქცა გზებზე გაჩენილი საცობები, ავტოსაგზაო შემთხვევები, ტვირთის ტრანსპორტირების ტემპების დამუხრუჭება. „ჰაივეების“ – მაღალსისწრაფიანი ავტომაგისტრალების ეიზენჰაუერის პროექტი სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა კონგრესში სიძვირის გამო – 27 მლრდ. დოლარი (იმდროინდელი კურსით!) ჯდებოდა „ჰაივეის“ ყოველი 26 კმ-ის მშენებლობა მაგრამ პრეზიდენტმა თავისი გაიტანა. როგორც ჟურნალი „ფორბსი“ წერდა, იმდენი ბეტონი დაიხარჯა, რომ მთვარემდე ტროტუარის გაყვანას ეყოფოდა. პროექტმა მალე გაამართლა: ჯერ ერთი, გადაწყდა ტრანსპორტის პრობლემა, რაც ეკონომიკას წაადგა - უამრავი სამუშაო ადგილები შეიქმნა და მთელ რიგ მიყრუებულ რეგიონთა გამოცოცხლება გამოიწვია. დღეს უკვე ცნობილი ქალაქების – ლოს-ანჟელესის, ატლანტის, დალასის, სან-ხოსეს, დენვერის, ფინიქსის, ლას-ვეგასისა და კიდევ სხვების ზრდა პირდაპირ კავშირშია ახალ მაგისტრალებთან. პროექტის სულის ჩამდგმელი პრეზიდენტი გადაჭარბების გარეშე წერდა თავის მემუარებში: „ამ სახელმწიფო პროექტმა ამერიკას სახე შეუცვალაო“.

პრეზიდენტობის პერიოდში დუაიტ ეიზენჰაუერმა საკუთარი საქმეების გასარჩევად პრიორიტეტთა სპეციალური მატრიცა შექმნა. ის ოთხ კატეგორიად ყოფდა ყველა საქმეს: პირველი - სასწრაფო და მნიშვნელოვანი; მეორე – მნიშვნელოვანი და არა სასწრაფო; მესამე - არა მნიშვნელოვანი და სასწრაფო; მეოთხე – არამნიშვნელოვანი და არასასწრაფო. ამერიკის 34-ე პრეზიდენტის შემუშავებული ეს სისტემა დღემდე ითვლება მმართველობის ტექნიკის საფუძველთა საფუძვლად.

ეიზენჰაუერი 1969 წლის 28 მარტს გარდაიცვალა.

ამერიკაში მმართველი პარტიისა და პრეზიდენტის შეცვლასთან დაკავშირებული კრემლის პარტიული კომენტარები შედარებით

მშვიდობისმოყვარე ხასიათს ატარებდა: ხრუშჩოვი საჯაროდ იმედოვნებდა, რომ „უკუგდების“ დოქტრინის ავტორ-გენერალთან შედარებით, ახალი თაობის წარმომადგენელი ახალგაზრდა, თანაც მისი აზრით, პოლიტიკაში გამოუცდელი პრეზიდენტის დაყოლიება დათმობებზე გაცილებით იოლი საქმე იქნებოდა. რეალობასთან ახლოს კი, ალბათ, მხოლოდ იმის ვარაუდი იყო, რომ ოვალურ კაბინეტში შესვლის მომენტში დემოკრატებსა და პრეზიდენტს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის არსსა და ფორმაზე. პირველ რიგში ეს გერმანიის პრობლემას ეხებოდა. ისევე როგორც მოსკოვი ცდილობდა ზომიერებამდე დაეცხრო თავისი აღმოსავლელ გერმანელი მოკავშირეების კონფრონტაციული ჟინი, ასევე კენედის ადმინისტრაციაც ეჭვის თვალით უყურებდა ადენაუერის უკომპრომისო პროდასავლურ რადიკალიზმს.

ამერიკელი დემოკრატების ყოყმანსა და მერყეობას ამჯერადაც ხრუშჩოვის ექსტრავაგანტურმა დიპლომატიურმა „სალტო-მორტალემ“ მოუღო ბოლო: 1960 წლის ნოემბერ-დეკემბრის ოპტიმისტურ განცხადებებს, ყველასათვის მოულოდნელად მოჰყვა 1961 წლის 6 მაისის ზალპი-განცხადება, რომ საბჭოთა კავშირი აქტიურად, მის განკარგულებაში მყოფი ყველა საშუალებებით დაუჭერდა მხარს „მთელი გულით და უყოყმანოდ“, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებს. ვინაიდან, მისი აზრით, ასეთ ომებს არაფერი ჰქონდა საერთო ბირთვულ ომთან, გამორიცხული არ უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირის მონაწილეობაც. იქვე ხრუშჩოვი უკვე ახალი პრეზიდენტის გასაგონად, კვლავ დაიმუქრა აღმოსავლეთ გერმანიასთან სეპარატული საზავო ხელშეკრულებით.

ხრუშჩოვის ჩვეულებად ქცეულმა ტრაბახმა და მუქარამ, რასაც ყურადღებას არ აქცევდა ეიზენჰაუერი, უძლიერესი გავლენა იქონია კენედიზე. საბჭოთა „ყვარყვარე“ ლიდერის ბაქი-ბუქის განხილვას ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სპეციალური სხდომაც კი მიეძღვნა, სადაც იგი საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზნების თეზისად შეფასდა. ეს ის პერიოდია, როდესაც გაღვივება

დაიწყო ვიეტნამის პრობლემამ და უკვე ეჭვს აღარ იწვევდა ჰანოის სტრატეგიული ჩანაფიქრი. კენედის ადმინისტრაციამ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა იმის გარდა, რომ მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის მოვლენების მთავარ მმართველ ძალად „მოსკოვის ხელი“ ჩაეთვალა. ყველაფერთან ერთად, ეს უკვე საბჭოთა კავშირის რეალური რესურსისა და შესაძლებლობების გასაოცარი გაზვიადება იყო. ხრუშჩოვის რიტორიკის ქარიშხალს მოკრძალებული მიზანი გააჩნდა – კრემლის „პასიურობაზე“ ჩინეთის გაუთავებელი საყვედურებისაგან თავის დაცვა და მეტი არაფერი. ისევე როგორც ჰარი ტრუმენი კორეის ომთან კონტექსტში, ჯონ კენედიც ვიეტნამის შიდა კონფლიქტთან დაკავშირებით სერიოზულ შეცდომას უშვებდა, რაც ძალზედ ძვირად დაუჯდა ამერიკას.

როდესაც ხრუშჩოვმა მისდა უნებურად სერიოზული დილემის წინაშე დააყენა დასავლეთის თანამეგობრობა თავისი აგრესიული მეტყველებით, ულბრიხტი იმედგაცრუებას არ მალავდა. 1961 წლის 18 იანვარს მან ხრუშჩოვს 15-გვერდიანი პირადი წერილით მიმართა. გერმანელ კომუნისტთა ლიდერმა მოურიდებლად შეახსენა საბჭოთა კომუნისტთა ლიდერებს, რომ „მთელი ორი წელი გავიდა დასავლეთ ბერლინის შესახებ მისი („ამხანაგი ხრუშჩოვის“) 1958 წლის ნოემბრის განცხადებიდან და ამჟამად (ანუ 1961 წლის ივნისში) ხელსაყრელი პირობები იყო შექმნილი დასავლეთ ბერლინში და მთლიანად გერმანიაში, ომის შედეგების სალიკვიდაციოდ, „ვინაიდან ბუნდესტაგის არჩევნების წინ, ადენაუერის მთავრობა მოერიდება სიტუაციის გამწვავებასო“. ხრუშჩოვი იძულებული გახდა „ღია ტექსტით“ აეხსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ლიდერისათვის, რომ „უ-2“-ის ინციდენტის შემდეგ დასავლეთთან კონფრონტაციის მიზანი, მხოლოდ მშვიდობიან, მაგრამ მნიშვნელოვან ამოცანას ისახავდა მიზნად: მოლაპარაკებების დაწყებას უფრო ხელსაყრელი პოზიციებიდან. ხრუშჩოვს ხომ სჯეროდა, რომ კენედის არჩევა კარგი წინაპირობა იყო მოლაპარაკებების მოსამზადებლად. საბოლოო ჯამში, ულბრიხტი და ხრუშჩოვი შეთანხმდნენ, რომ თუ დასავლეთი დათანხმდებოდა მოლაპარაკებებზე და გარკვეული დროით სიმბოლურ სამხედ-

რო ნაწილებსაც შეინარჩუნებდა დასავლეთ ბერლინში, ეს მისაღები კომპრომისი უნდა ყოფილიყო.

1961 წლის მარტის ბოლოს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომა გაიმართა. მიღებულ გადაწყვეტილებებში ნათქვამი იყო, რომ სოციალისტური ქვეყნებში დასავლეთს მოუწოდებდნენ საზაო ხელშეკრულება გაეფორმებინა – ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან, ხოლო დასავლეთი ბერლინი „დემილიტარიზებულ თავისუფალ ქალაქად“ ქცეულიყო. მეტი ეფექტისათვის ხრუშჩოვმა თავის საყვარელ დიპლომატიურ სვლას მიმართა: მოსკოვმა ინტერვიუსათვის გავლენიანი ჟურნალისტი (ამჯერად უოლტერ ლიპმანი) მიიწვია. მასალის გამოქვეყნებიდან ორი დღის შემდეგ კი საბჭოთა კავშირმა პილოტირებული ხომალდი გაუშვა კოსმოსში კოსმონავტ იური გაგარინით. ეს უკვე რეალური სამეცნიერო-ტექნიკური გარღვევა იყო, რამაც მთელი მსოფლიო გააოცა. პირველ რიგში ეს იყო შოკის მომგვრელი მოულოდნელობა ჯონ კენედის ადმინისტრაციისთვისაც.

აპრილის პირველ რიცხვებში, ვაშინგტონის საპასუხო სვლა იყო ე.წ. „კენედი-მაკნამარას“ (თავდაცვის მინისტრი) დოქტრინა, რითაც მკვეთრად იზრდებოდა ამერიკის სამხედრო ხარჯები და იწყებოდა მთელი შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია.

13 აპრილს კი ვაშინგტონს ადენაუერი ეწვია ოფიციალური ვიზიტით. ვიზიტის შედეგად გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში გაკვრით იყო ნახსენები მოსკოვის მოთხოვნები (პრაქტიკულად იგნორირებული იყო) და აქცენტი გადატანილი იყო „თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპებზე, გერმანიის გაერთიანების აუცილებლობაზე“.

1961 წლის 4 ივნისს ვენაში კენედისა და ხრუშჩოვის შეხვედრა გაიმართა. ფაქტიურად ეს უნიკალურ დიპლომატიურ შანსს იძლეოდა ორმხრივი კომპრომისების საფუძველზე გერმანიის გაჭიანურებული პრობლემის გადაჭრის თუ საბოლოო არა, დროებითი განეიტრალიზებისათვის. როგორც ჩანს, ამ მიზანს ისახავდა კენედიც, როდესაც დელიკატურად სთხოვა ხრუშჩოვს ხელი არ შეეწყო დასავლეთ

ბერლინთან დაკავშირებული ვითარების გამწვავებისათვის. რაც შეეხებოდა ხრუშჩოვს, როგორც მოგვიანებით მემუარებში წერდა, მას გადაწყვეტილი ჰქონდა „გამოუვალ მდგომარეობაში ჩაეყენებინა ახალგაზრდა პრეზიდენტი“ და მუქარით აიძულებინა კომპრომისზე. შეიძლება ზომიერებისა და ტაქტის დაცვის შემთხვევაში (ისიც საეჭვოა) მართლაც მოჰყოლოდა მოსკოვისათვის მისაღები შედეგი ხრუშჩოვის დიპლომატიურ „ნოვაციას“, მაგრამ ტაქტითა და ზომიერებით არასოდეს ყოფილა მდიდარი საბჭოთა დიპლომატია, ხოლო ხრუშჩოვი კი ძლიერ მოქმედი ვაქცინით იყო აცრილი ერთზეც და მეორეზეც. ამიტომ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო – ეშხში შესულმა საბჭოთა ლიდერმა არა მხოლოდ დასავლელი გერმანელების დაშინება იკმარა, მთელ დასავლეთ ევროპასაც მთელი მსოფლიოს გასაგონად დაემუქრა ბირთვულ-სარაკეტო ომით. მხოლოდ ერთ დასავლელ პოლიტიკოსზე არ მოქმედებდა წითელ ვარსკვლავდახატული ბირთვული რაკეტების პერსპექტივა – ხელისუფლებაში ახლადდაბრუნებული საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი, ალბად, ერთადერთი იყო ეიზენჰაუერის შემდეგ, ვისაც ამოცნობილი და გაშიფრული ჰყავდა სტალინის მემკვიდრე ცეკა-ს მდივანი. ეს არც იყო გასაკვირი - დე გოლს ხომ ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად შინაარსიანი კონტაქტი ჰქონდა სტალინთან და მეტ-ნაკლებად იცნობდა კრემლის „სტანდარტულ“ დიპლომატიას, ხრუშჩოვის დიპლომატიის ფატალური ნაკლი მისი „დაუმწიფებელი“ ბუნება იყო. რასაკვირველია, საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდნენ მაღალკვალიფიციური, განათლებული დიპლომატები, რომელთაც უპრობლემოდ შეეძლოდ უმაღლეს დონეზე ნებისმიერი ვიზიტის მომზადება. სათანადო მომზადება და გამოცდილება არც „მისტერ არა“-ს – ანდრეი გრომიკოს არ აკლდა, მაგრამ ხრუშჩოვის შემთხვევაში აზრს კარგავდა ვიზიტებისწინა კონსულტაციები თუ პროფესიონალთა მიერ მომზადებული ე.წ. „სასაუბროები“. ხრუშჩოვისათვის არც წინასწარ კრემლში შეთანხმებული დეტალები და არც საჯარო გამოსვლების საგანგებოდ მომზადებელი ტექსტები არ არსებობდა და არც თუ იშვიათად თარჯიმნების გადასაწყვეტი ხდებოდა, თუ რა უნდა ეთარგმნათ არადიპლომა-

ტიურად ენაწყლიანი ლიდერის „ლირიული გადახვევებიდან“. იგივე გრომიკო საკმაოდ იცნობდა ამერიკის პოლიტიკურ სინამდვილეს და ისიც იცოდა, რომ ამერიკაში პრაქტიკულად იყო გამორიცხული სუსტი ნებისყოფისა და უინიციატივო კანდიდატის გამარჯვება საპრეზიდენტო არჩევნებში. ხრუშჩოვს რომ საიმისო სურვილი ჰქონოდა, მას, ალბად, გასაგებად აუხსნიდნენ, რომ უპერსპექტივო ავანტიურა იქნებოდა ამერიკის პრეზიდენტის შანტაჟი და მისთვის მიუღებელ პირობებზე დაყოლიება. ეტყობა, ჯერ კიდევ ძალზედ ცოტა დრო იყო გასული სტალინის სიკვდილიდან, რათა კრემლში რჩევების მიცემის ან მოსმენის პრაქტიკა დამკვიდრებულიყო.


კანონზომიერი იყო ვენის შეხვედრის წარუმატებლობაც და კანონზომიერი იყო „ნაშეხვედრალი“ ხრუშჩოვის აგრესიული რიტორიკაც: შეხვედრიდან ათი დღის შემდეგ მან პირველად განაცხადა საჯაროდ, რომ წლის ბოლომდე, ნებისმიერ შემთხვევაში, გდრ-სთან სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმდებოდა. ექვსი დღის შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის დაწყების თარიღთან დაკავშირებულ შეკრებაზე, გენერლის სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა გააკეთა მოხსენება. რამდენიმე დღით ადრე კი, 15 ივნისს, პრეს-კონფერენციაზე, ულბრიხტმა პირველად ახსენა კედელი, რომელიც უკვე ფიზიკურად გაყოფდა ორ ნაწილად ბერლინს. 8 ივლისს ხრუშჩოვმა გამოაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებით, „დროებით გადაიდო“ არმიის შემცირების პროექტი, ხოლო სამხედრო ბიუჯეტი კი 25 პროცენტით იზრდებოდა. და ეს მაშინ, როდესაც ორი კვირის წინანდელ გამოსვლაში საჯაროდ წუხდა დიდი სამხედრო ბიუჯეტით გამოწვეულ ეკონომიკურ სირთულეებზე. საბჭოთა პარტიული ბოსის არათანმიმდევრული და იმპულსური კურსის პირდაპირი შედეგი იყო ამერიკის ხელმომჭირნე კონგრესის გადაწყვეტილება სრულად დაეკმაყოფილებინა ადმინისტრაციის მიერ მოთხოვნილი რაკეტების, სამხედრო გემებისა და ახალი თაობის თვითმფრინავების წარმოებისათვის საჭირო სახსრები (12 მლრდ. დოლარი) და უკვე თავისი ინიციატივით, დამატებით გამოეყო ნახევარი მილიარდი დოლარი მძიმე ბომბდამშენების ფლოტის შესაქმნელად.

1961 წლის 25 ივლისს კენედიმ საგანგებო სამობილიზაციო ღონისძიებები გააჟღერა: თეთრმა სახლმა გადაწყვიტა არაორაზროვნად ეგრძნობინებინა მოსკოვისათვის, რომ დასავლეთ ბერლინის იზოლირება დასავლეთი სამყაროდან, ამერიკის ხელისუფლების მიერ „კაზუს ბელად“ (ომის დაწყების საბაბად) განიხილებოდა. 28 ივლისს უკვე პირადად კენედიმ საგანგებო განცხადებით დაადასტურა ამერიკის გადაწყვეტილება ყველა საშუალებებით დაეცვა თავისი ვალდებულებები დასავლეთ ბერლინში.

3-5 აგვისტოს მოსკოვში, დახურულ შეხვედრაზე შეიკრიბნენ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოთა ლიდერები, პლიუს მეთვალყურის როლში ჩინეთის წარმომადგენელი. შეხვედრის მონაწილეებს „გერმანიასთან სამშვიდობო ხელშეკრულების სამზადისის დღეს წესრიგი“ უნდა დაეზუსტებინათ. როგორც ყოველთვის, კატეგორიული იყო ულბრიხტი, რომელიც დაჟინებით ითხოვდა დასავლეთ ბერლინის იზოლირებასა და მასზედ სრული კონტროლის განხორციელებას, რათა ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნებულიყო მსოფლიო საზოგადოებრიობა „ძალთა ახალ თანაფარდობაში“. როგორც წესი, არათანმიმდევრული იყო ხრუშჩოვის პოზიცია – იგი, ერთი მხრივ, ანტი-იმპერიალისტური კურსის ერთგულებას იფიცებოდა, მეორე მხრივ, კი საერთაშორისო ვითარების სირთულეზე და სამხედრო ესკალაციის რისკზე მიუთითებდა. ეს იყო რეალური ხრუშჩოვი: საგარეო აუდიტორიის გასაგონად და დასანახად კომუნისტური იდეალების სარეალიზაციოდ ნებისმიერ გართულებებზე და თვით ბირთვულ კონფლიქტზეც კი წამსვლელი, ხოლო როგორც კი სიტუაციის (ტრაბახის) საქმედ ქცევის მომენტი დგებოდა, ფრთხილი და თავშეკავებული. პრობლემას მხოლოდ ის ქმნიდა, რომ საერთაშორისო აუდიტორიის დიდი ნაწილი რატომღაც სერიოზულად ღებულობდა მის უკანმოუხედავ მამლაყინწობასა და საკუთარი მთავრობებისაგან ეფექტური თავდაცვითი ზომების გატარებას ითხოვდა, რაც გამალებული შეიარაღების ტემპებსა და ხარჯებს ზრდიდა, ხოლო საკუთარი ფუყე პროპაგანდის ტყვეობაში მოქცეული მოსკოვი კი

უკვე პერმანენტულ რეჟიმში ხდებოდა იძულებული სამხედრო ხარჯებში არ ჩამორჩენოდა დასავლეთს და უიმისოდაც კრიზისის ზღვარზე გასული ეკონომიკის სრული კოლაფსი დაეჩქარებინა.

10 ივლისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ-ს პრეზიდიუმმა ბირთვული გამოცდების განახლებაზე მიიღო გადაწყვეტილება და 100 მეგავატის სიმძლავრის „სუპერბომბი“ ააფეთქა. ზემოხსენებულ სახელდახელო თათბირზე კი ულბრიხტის წინადადებაზე შეჩერდნენ – პრაქტიკულად გადაწყდა, კაპიტალური კედლის აღმართვა აღმოსავლეთ და დასავლეთ ბერლინს შორის. მოსკოვმა ვერ გაბედა გდრ-სთან სეპარატული ზავის გაფორმება.



ბერლინის კედლის მშენებლობა. 1961 წლის 12-13 აგვისტო

1961 წლის 12-13 აგვისტოს ბერლინის ორ ნაწილს შორის მკაცრი სასაზღვრო რეჟიმი დაწესდა. დაიწყო რთული საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა, რამაც შემდგომში „ბერლინის კედლის“ სახელწოდება მიიღო. ვაშინგტონი კვლავ მოუმზადებელი შეხვდა მოსკოვის მორიგ გამოწვევას. კენედის ადმინისტრაციაში ვარაუდობდნენ, რომ ხრუშჩოვი პარტიის XXII ყრილობას დაამთხვევდა გდრ-სთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებას და ამიტომ რამდენიმე თვე ჰქონდათ თადარიგში (133).

1961 წლის 17 აგვისტოს ბერლინში, ბრანდენბურგის კარიბჭესთან, ათობით ათასი ადამიანი შეგროვდა, რომელნიც ქალაქის ერთი ნაწილიდან მეორეში გადასვლას ვერ ახერხებდნენ. მიუხედავად „დაუყოვნებლივ დაშლაზე“ ბრძანებისა, ადგილიდან არავინ იძვროდა. მხოლოდ მძლავრი წყლის ჭავლით გახდა შესაძლებელი ტერიტორიის დაცარიელება.

28 ოქტომბერს ამერიკელები ახლად აღმართული საზღვრის ლიკვიდაციას შეეცადნენ. ბრანდენბურგის კარიბჭესკენ სამხედრო ტექნიკა დაიძრა ბულდოზორებისა და ათი ტანკის შემადგენლობით. ვინაიდან საბჭოთა დაზვერვას უკვე გააჩნდა ინფორმაცია აქციის შესახებ, ამერიკელებს საბჭოთა ტანკები დახვდნენ. მთელი ღამე ერთმანეთზე დამიზნებული ქვემეხებით იდგა ორივე მხარის ათეულობით ტანკი. დასავლეთ ბერლინის ტემპელჰოფის აეროდრომი კი ისე ჰქონდათ ბლოკირებული საბჭოთა გამანადგურებლებს, რომ ამერიკელების არც ერთ თვითმფრინავს არ ჰქონდა აფრენის ან დაშვების საშუალება. 1948 წლის კრიზისისაგან განსხვავებით, დასავლეთ ბერლინი ვერანაირ დახმარებას ვერ მიიღებდა გარედან. დილით საბჭოთა ტანკებმა საბრძოლო პოზიციები დატოვეს და ბაზირების ადგილებზე დაბრუნდნენ. ნახევარი საათის შემდეგ იქაურობას გაეცალენ ამერიკის ტანკები და ბულდაზორებიც. დასავლეთმა დე-ფაქტო ცნო აღმოსავლეთ გერმანიის საზღვრები. დასრულდა ბერლინის კრიზისის ყველაზე დრამატული მომენტი. ულბრიხტმა ფორსირებული ტემპებით დაიწყო „კედლის“ გამაგრება.

ვაშინგტონში კი იურისტები და პოლიტიკოსები ცდილობდნენ საფუძვლიანად გარკვეულიყვნენ მომხდარში და დაედგინად - იყო თუ არა გამყოფი კედლის მშენებლობა ბერლინის ოთხმხრივ მართვაზე არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევა. საბოლოო დასკვნით დადგინდა, რომ ხელშეკრულების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, თუმცა კენედის მრჩეველი თეოდორ სორენსენი მოგვიანებით წერდა: „ყველა შეთანხმდა, რომ კედელი იყო უკანონო (ე.ი. მაინც დაირღვა ხელშეკრულება – ს.ც.) ამორალური და არაადამიანური, მაგრამ ეს არ იყო ომის საბაბი“.

როდესაც მოსკოვში დარწმუნდნენ, რომ კედელს ომი არ მოჰყვებოდა, ცკ-ს პრეზიდიუმის დავალებით, ანასტას მიქოიანი და ანდრეი გრომიკო მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგების შესწავლას შეუდგნენ. გაირკვა, რომ გდრ-ის ეკონომიკურ ბლოკადას სერიოზული ზიანის მოტანა შეეძლო: მხოლოდ შიდაგერმანული ვაჭრობის შეწყვეტით ყოველ წელს აღმოსავლეთ გერმანია ორ მილიარდ დასავ-

ლურ გერმანულ მარკას კარგავდა. საჭირო გახდა დაძაბულობის შემცირება, რაც მოსკოვის დიპლომატიის გერმანული ვექტორის პრიორიტეტად დაისახა. ხრუშჩოვმა გადაწყვიტა, რომ მთავარი მისია უკვე შესრულებული იყო კედლის აღმართვით და სოჭში დასასვენებლად გაემგზავრა. როგორც ჩანს, განსხვავებული მოსაზრებები გააჩნდა ულბრიხტს, როდესაც 22 აგვისტოს, დასავლეთ ბერლინში მისასვლელი ყველა მაგისტრალი, გარდა ერთისა, გადაკეტა და სასაზღვრო სექტორის ორივე მხარეს 100 მეტრიანი ნეიტრალური ზონის მოწყობა დაიწყო. საპასუხოდ, 24 აგვისტოს, დასავლელმა მოკავშირეებმა ათასი ამერიკელი ჯარისკაცი და ტანკები განათავსეს სასაზღვრო სექტორის გასწვრივ. პირველ სექტემბერს საბჭოთა კავშირმა ბირთვული იარაღის გამოცდები განაახლა ორი თვით. 12 სექტემბერს ფხენიანში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ცკ-ს პრეზიდიუმის წევრმა ფროლ კოზლოვმა აღმოსავლეთ გერმანიასთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების ულტიმატუმის ვადის გაგრძელებაზე გააკეთა განცხადება. ორი დღის შემდეგ კი ორმა საბჭოთა გამანადგურებელმა სროლა აუტეხა ამერიკის სატრანზიტო თვითმფრინავებს, რომლებსაც სურსათი და სხვა საქონელი გადაჰქონდად დასავლეთ ბერლინში.

კრიზისის მორიგი გამწვავების დღეებში, 24 სექტემბერს, შექმნილი ვითარების ფონზე ჯონ კენედი ნიკიტა ხრუშჩოვის უცნაურ პირად წერილს ღებულობს. უცნაური იყო საბჭოთა ლიდერისათვის უჩვეულოდ მშვიდობისმოყვარე ტონი და მტკიცე რწმენა, რომ „ბერლინის თავზე შტორმმა უკვე გადაიარა“. ის, რომ ცოტათი ნაადრევი იყო ხრუშჩოვის ოპტიმიზმი, ოქტომბრის ზემოთ აღწერილმა ინციდენტმა დაამტკიცა, როდესაც რამდენიმე საათის განმავლობაში პირისპირ მდგომი ტანკების ეკიპაჟებისა და მეთაურების ნერვების სიმტკიცეზე იყო დამოკიდებული მშვიდობის ბედი.

მრავლისმეტყველი იყო თავად ის ფაქტი, რომ ხრუშჩოვის 3-წლიანი ულტიმატუმის ყველაზე კრიტიკულ მომენტამდე, როდესაც მართლაც შეიძლებოდა ყველაფერი თავდაყირა დამდგარიყო და ახალ უფსკრულში გადაჩეხილიყო არა მხოლოდ გერმანია და ევროპა, ორი კვირით ადრე, პარტიის XXII ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენება-

ში, ხრუშჩოვმა ფაქტიურად გადაჭრილად აღიარა ბერლინის პრობლემა. კერძოდ, მან საჯაროდ განაცხადა, რომ გდრ-სთან სეპარატული სამშვიდობო ხელშეკრულება აქტუალობას კარგავდა, თუ დასავლეთი გამოავლენდა ბერლინის კრიზისის განმუხტვის სურვილს. როგორც ყრილობის აუდიტორიისათვის, სადაც „მოძმე პარტიებიც“ მრავლად იყვნენ წარმოდგენილნი, ასევე გარე სამყაროსათვისაც უკვე ცხადი იყო მომხსენებლის წინაპირობის რეალური ფასი. საჭიროების შემთხვევაში მოსკოვში ბევრ რამეზე შეეძლოთ თვალის დახუჭვა და მხოლოდ დიპლომატიური ბრალდებებით შემოიფარგვლა „დასავლეთის სურვილის“ რეალობად ასაღიარებლად. კედელი კი სულზე მოსწრებულ „ლელვის ფოთლად“ იქცა, რაც კრემლის „სახის შენარჩუნების“ შესაძლებლობას აძლევდა.

რეალობაში, მიუხედავად ტაქტიკური წარმატებისა, რაც ელვისებურ ტემპებში კედლის აგებასთან იყო დაკავშირებული, სტრატეგიული თვალსაზრისით, ეს აშკარა მარცხი იყო. ულბრიხტი კი მსოფლიო სოციალისტურ ბანაკს იმის საჯარო აღიარება, რომ „სოციალისტური სამოთხიდან კაპიტალისტურ ჯოჯოხეთში“ გადასვლის მსურველთა შეჩერება მხოლოდ რკინა-ბეტონის კედლით იყო შესაძლებელი? არც ის ჩაითვლებოდა სოციალიზმის აქტივში, რომ გერმანელების ახალგაზრდა თაობა სიცოცხლის რისკზეც კი მიდიოდა, რათა როგორმე მიეღწია შეიარაღებულ დაცვასა და მავთულხლართებით გარს შემოვლებული კედლის მიღმა არსებულ ადამიანურ ცხოვრებამდე.

კი ამტკიცებდა მემუარებში ხრუშჩოვი, რომ კედლის საშუალებით მან „სტატუს ქვოც“ აღადგინა გერმანიაში და კენედიც დაამარცხა, მაგრამ მოგვიანებით გამოქვეყნებული დოკუმენტებით ირკვევა, რომ საბჭოთა ხელისუფლებაში არავინ არ განიხილავდა გამარჯვებად ბერლინის კრიზისის შედეგებს. ღრმა იმედგაცრუება სუფევდა აღმოსავლელ გერმანელ ლიდერებშიც. ისინი ხომ მთელი სამი წელი იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ხრუშჩოვი სისრულეში მოიყვანდა თავის მუქარას. ულბრიხტის კანცელარიაში „თავისუფალ ქალაქ“ დასავლეთ ბერლინთან გასაფორმებელი ხელშეკრულების რამდენიმე

ვარიანტიც კი იყო გამზადებული. რეალობაში კი, მიუხედავად საბჭოთა სამწლიანი ძალისხმიერი დიპლომატიისა (სინამდვილეში კი მისი წყალობით) ამერიკა და მისი ევროპული მოკავშირეები არ დათანხმდნენ დასავლეთ ბერლინზე მოლაპარაკებების დაწყებას და გდრ-ის ცნობას. ბერლინის კედლის აშენების შემდეგ, გარკვეულ პერიოდში, ხრუშჩოვი კვლავ იყენებდა ბერლინის პრობლემას დასავლეთზე ძალისმიერ დიპლომატიურ ინსტრუმენტად. შემდეგ გდრ-ში და ცენტრალურ ევროპაში საერთო სიტუაციის მეტ-ნაკლები სტაბილიზაციით დაკმაყოფილდა და თავისი მჩქეფარე ენერგია საბჭოთა კავშირ-ამერიკის პირისპირ დგომის ახალი ფრონტისკენ - კუბისკენ წარმართა.

ანტიკური ერიდან მოყოლებული, ადამიანთა საქმიანობის ვერც ერთი სფერო ისე ორგანულად ვერ იტანს დილეტანტიზმისა და შედეგზე მცდარად გათვლილ ნაბიჯებს, როგორც დიპლომატია. ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენლის მიერ დაშვებულ შეცდომას, ასე თუ ისე, მაინც ლოკალური ხასიათის ზიანი მოსდევს დიპლომატთა შეცდომებისგან განსხვავებით, სადაც არასწორი გადაწყვეტილების ფასად მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიძლება იქცეს. პოტენციური საფრთხე კი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, როდესაც პერმანენტული დიპლომატიური ექსპერიმენტები ტოტალიტარული, თანაც ბირთვული სახელმწიფოს ლიდერის ჰობადაა ქცეული. ამიტომაც იქცა XX საუკუნის 50-იანი წლები „ცივი ომის" ისტორიაში ბირთვული კრიზებით რეკორდულად უხვმოსავლიანი, ხოლო მისი მთავარი არქიტექტორის პოსტს კი სტაბილურად ინარჩუნებდა საბჭოთა კომუნისტების ზეაქტიური ლიდერი.

ისევე, როგორც 50-იანი წლების დასაწყისში, ეგვიპტის რევოლუციის შედეგად ძალთა თანაფარდობა მთელ ახლო აღმოსავლეთში შეიცვალა, ათწლეულის დასასრულის უკვე შორეულ კუბაზე გათამაშდა ეგვიპტური სცენარი, სადაც ეგვიპტელი არაბი მონარქის ბედი კორუმპირებულმა ჯალათმა დიქტატორმა ფულხენსიო ბატისტამ გაიზიარა. ისევე როგორც ადრეული ნასერი არ აპირებდა საბჭოთა კომუნისტებთან არც კავშირსა და არც მეგობრობას (ერთ საკანში

გამოამწყვდია საკუთარი კომუნისტებიცა და „ძმები მუსლიმანებიც“), ასევე არც „თავისუფლების კუნძულის“ ერთ-ერთი უმდიდრესი არისტოკრატიულ ოჯახში გაზრდილი ფიდელ კასტრო რუსი არ იყო გატაცებული მარქსიზმ-ლენინიზმის „უკვდავი იდეებით“. ამერიკელების დიპლომატიურმა სიბეცემ და ხისტად იდეოლოგიზირებულმა პოლიტიკამ აქცია ნასერიცა და კასტროც მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის კლიენტებად. სულაც არ იყო ობიექტურად გარდაუვალი, რომ ორი უმსხვილესი ტრანსეროვნული კომპანიის – „იუნაითედ ფრუტ“-ის და „იტტ“-ის ფეშენებელური ბორდელი-კუნძული კომუნისტურ საფრთხობელად ქცეულიყო ვაშინგტონისათვის, თანაც ფლორიდიდან სულაც შურდულის სასროლ მანძილზე. ფიდელ კასტრო და ერნესტო ჩე გევარა რომ ფრანკლინ რუზველტის თანამედროვენი ყოფილიყვნენ, კუბის რევოლუცია, დიდი ალბათობით, სულ სხვა გზას აირჩევდა.

ეგვიპტისა და კუბის მოვლენებს ერთნაირად მოუმზადებელი შეხვდნენ ამერიკელი რესპუბლიკელებიცა და დემოკრატებიც. ფორსმაჟორში მიღებული გადაწყვეტილებები კი, როგორც წესი, იშვიათად თუ ყოფილა შედეგზე სწორად გათვლილი. ისევე როგორც დალესმა ასუანის დაფინანსებაზე შეპირება-გადათქმით თავად გაუკვალა ნასერს მოსკოვისაკენ ცალმხრივი მოძრაობის მარშრუტი, ასევე კენედიმ კასტროს პოლიტიკური არჩევანი აღარ დაუტოვა, როდესაც მის დასამხობად მწვანე შუქი აუნთო კუბელ ემიგრანტებს. „ღორების ყურეში“ („ჯოჩინოს“) სამხედრო დივერსიის შემდეგ (მიუხედავად ოპერაციის კრიტიკულ მომენტში კენედის უარისა ჰაერიდან დახმარებოდა დივერსანტებს), კასტროს მაშველ რგოლად მოევლინა ავანტურებზე რეფლექსის დონეზე მუდამ მზად მყოფი ხრუშჩოვი და ეს მაშინ, როდესაც კუბასა და საბჭოთა კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობაც კი არ იყო დამყარებული.

საინტერესო მოგონებები დატოვა კუბაზე პირველმა საბჭოთა ელჩმა ალექსანდრე ალექსეევმა. 1959 წლის რევოლუციის პირველსავე დღეებში, ჯერ კიდევ საბჭოთა საინფორმაციო სააგენტო „ტასს“-ის კორესპონდენტი ალექსეევი კუბაზე იყო მივლინებული როგორც

ჟურნალისტი, თუმცა ფართო მისიით: მას ადგილზე უნდა შეესწავლა რევოლუციის სოციალური ბუნება და კუნძულთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის პერსპექტივაც მოესინჯა.

წლების შემდეგ, როდესაც გადიპლომატებული ჟურნალისტი მემუარების წერის რეჟიმში გადავიდა, კასტროსთან პირველი შეხვედრაც გაიხსენა, რომელიც ჩე გევარას პირადი შუამდგომლობით შემდგარა. კუბის რევოლუციის თითქმის „მეორე კაცის" ღია პროსაბჭოური განწყობილებით წახალისებული ალექსეევისათვის ცივ შხაპად უნდა ქცეულიყო კასტროს თავშეკავებული მიდგომები, როგორც მთლიანად რეგიონში პერმანენტული რევოლუციების, ასევე საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის პერსპექტივასთან დაკავშირებით. ფიდელს კუბის საზოგადოებაში არსებულ ანტისაბჭოური განწყობა მოუმიზეზებია და გაურკვეველი ვადით გადაუდია მოსკოვთან არათუ ახლო პოლიტიკური სამოკავშირეო ურთიერთობა, რაზეც ენთუზიაზმით საუბრობდა ჩე გევარა, არამედ დიპლომატიური ურთიერთობებიც კი. რევოლუციის ახალგაზრდა ბელადი აშკარად არ ჩქარობდა ვაშინგტონის გაღიზიანებას.

სიმპტომატური იყო იგივე ჩე გევარას მიერ კუბელი რევოლუციონერების მიტოვება (ნებაყოფლობითი?) მაშინ, როდესაც რევოლუციას ჟანგბადივით სჭირდებოდა დაცვა და გაძლიერება. მტრული სამხედრო ბაზებით გარს შემორტყმული საბჭოთა კავშირის უნიკალური თეორიული (მხოლოდ თეორიული, როგორც შემდგომი მოვლენებით დამტკიცდა) შანსი ეძლეოდა ამერიკის „უკანა ეზოში" ჩაედგა ფეხი, რასაც სიზმარშიც ვერ ინატრებდა სტალინი და ხრუშჩოვი ხომ ხრუშჩოვი არ იქნებოდა, რომ ჯერ მხოლოდ თეორიული შანსის კონტურების მყარ საერთაშორისო ვალუტაში პოლიტიკაში კონვერტირებაზე არ ეფიქრა.

1959 წლის იანვრიდან 1962 წლის გაზაფხულამდე (როდესაც ხრუშჩოვმა კუნძულზე ბირთვული რაკეტების განლაგების გადაწყვეტილება მიიღო), ვაშინგტონმა ყველაფერი გააკეთა, რათა კასტრო დაერწმუნებინა, რომ ამერიკას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ძალის გამოყენებით დაემხო რევოლუციური მთავრობა. კუნძულიდან

ბატისტას გაქცევიდან (დიქტატორმა პორტუგალიას შეაფარა თავი – კოლეგა ანტონიუ სალაზართან, კუბიდან გატაცებული ათი მილიარდი დოლარით) ორი თვის შემდეგ ისე, რომ ახალ ხელისუფლებასთან კონტაქტის ცდაც კი არ ყოფილა, ეიზენჰაუერმა მისი (კასტროს მთავრობის) დამხობის გეგმა დაამტკიცა. თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო მდივანი ჯონ ფოსტერ დალესი 1959 წლის მაისის დამლევს გარდაიცვალა ძალზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, ხოლო მისი უმცროსი ძმა ალენი – ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი, კუბის რევოლუციის პათოლოგიური მოწინააღმდეგე და კასტროს „მოშორების“ უამრავი გეგმების სულის ჩამდგმელი იყო, გასაგებია, თუ რა შინაარსის „კუბის დოსიე დახვდა მემკვიდრეობით კენედის. კიდევ ერთი ფაქტორი: მთელ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში რესპუბლიკელების ერთ-ერთ ყველაზე სუსტ წერტილს კუბის მოვლენები წარმოადგენდა, სადაც დღითი-დღე სულ უფრო და უფრო გროტესკულ ფორმებს ღებულობდა ბატისტას მმართველობა და მისი უძლურება კასტროს „26 ივნისის მოძრაობასთან“ ბრძოლაში. საქმეს ვერც „ცეერუ“-ს აქტიურმა ჩარევამ უშველა. პირიქით – თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დასაშინებლად ბატისტამ ისიც მოახერხა, რომ კუბაზე მის დასახმარებლად საიდუმლო მისიით ჩასულ „ცეერუ“-ს მაღალ ჩინოსანთან, პოლკოვნიკ ლიმან კირპატრიკთან პრივატული შეხვედრის სურათი გადაიღო და მეორე დღეს ჰავანის ყველა გაზეთის გარეკანზე გამოაქვეყნა ვინაობის მითითებით. ამ ფაქტს ფართო პროტესტი მოჰყვა კუბაზე და ეიზენჰაუერისათვის არასასიამოვნო რეაქცია მსოფლიოში. ვაშინგტონი ხომ კატეგორიულად უარყოფდა მეზობელ „გერილიებთან“ (პარტიზანებთან) რაიმე ახლო ურთიერთობებს. ბუნებრივი იყო, რომ კონკურენტი პარტიის ასეთ ჩავარდნებს მთელი დატვირთვით იყენებდა თავისი კამპანიის მსვლელობაში კენედი და კუნძულზე ბიზნეს-ინტერესების მქონე ამომრჩევლებს არწმუნებდა, რომ მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ეფექტური პოლიტიკით აღადგენდა იქ სტაბილურობას. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, დემოკრატების ადმინისტრაციისათვის თუნდაც იგივე ბერლინის კრი-

ზისი გაცილებით პრიორიტეტული პრობლემა იყო, ვიდრე კასტროს ხელისუფლების სამომავლო პოლიტიკური სიმპათიები. მით უმეტეს, რომ ბატისტას დიქტატურასთან ბრძოლის პერიოდში კასტრო ძირითადად სოციალური უსამართლობისა და რეჟიმის გახრწნილობაზე აკეთებდა აქცენტს. ამავე დროს ახალი პრეზიდენტი თავის წინასაარჩევნო მკვეთრი გაცხადებების ტყვეობაშიც იმყოფებოდა და გარკვეულ წილად ინერციით მიჰყვებოდა „ცეერუ“-ს ჯერ კიდევ ეიზენჰაუერის დროინდელ გეგმებს – კუნძულზე შეჭრის გეგმა კი დაამტკიცა (უხალისოდ და გარკვეული პირობებით), მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ჰავანის სტრატეგიული ობიექტების დაბომბვა და „ღორების“ ყურეში ალყაში მომწყვდეული დივერსანტების გადამჭრელ დახმარებაზეც უარი თქვა, რამაც გარდაუვალი გახადა „კოჩინოსის“ ოპერაციის სრული მარცხი: 100-ზე მეტი დახოცილი და 1200 ტყვედ ჩავარდნილი – ასეთი იყო კუბელ ემიგრანტთა დანაკარგი. კუბის მთავრობამ 53 მლნ. დოლარად შეაფასა ინტერვენციით მიყენებული ზარალი და სწორედ ამ თანხით შეძენილ მედიკამენტებზე გაცვალეს საბოლოო ჯამში ინტერვენტი ტყვეები.

1962 წლის მაისში საბჭოთა ელჩი ალექსანდრე ალექსეევი ჰავანიდან მოსკოვში დაიბარეს. კრემლში უკვე მიღებული ჰქონდათ კუბაზე საშუალო რადიუსის ბირთვული რაკეტების განლაგების გადაწყვეტილება და ელჩს კასტროს თანხმობა უნდა უზრუნველყო. თუ ალექსეევის მემუარებს ვენდობით, საბჭოთა უმაღლესი პარტიული და სამხედრო ხელმძღვანელობის ყველა წევრი უჭერდა მხარს ხრუშჩოვის იდეასა და პროგნოზს – ამერიკელები პრაგმატიკოსები არიან და რამდენიმე რაკეტის გამო მსოფლიო ბირთვულ ომზე არ წავლენო (134). საბჭოთა ლიდერს რევანშის იდეაც იტაცებდა: „ჩვენ რომ თავიანთი ბაზების გარემოცვაში გვამყოფებენ, ახლა თავად ნახონ, როგორია მათზე დამიზნებული რაკეტების ჩრდილში ცხოვრებაო, – არ მალავდა თვითკმაყოფილებას ნიკიტა სერგის-ძე.

მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ყველა ზომა იყო მიღებული, რათა რაკეტების სრულ საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანამდე ამერიკელებს ვერ გაეგოთ, თუ რა ხდებოდა მათ ცხვირწინ, რაკეტების

გადატანისა და განლაგების ოპერაციის დამალვა შეუძლებელი აღმოჩნდა. პირველი ინფორმაცია, რომ მოულოდნელად ათჯერ გაიზარდა კუბისაკენ დაძრული საბჭოთა გემების რიცხვი, ამერიკელებმა დასავლეთ გერმანიის დაზვერვის უწყებებიდან მიიღეს. გარდა ამისა, კუბიდან ამერიკაში გაქცეული ოჯახებს კუბაზე დარჩენილი ნათესავები რაღაც „უცნაურ საბჭოთა იარაღზე" წერდნენ, მთელი აგვისტოს განმავლობაში რომ იცლებოდა კუბის პორტებში.


ჯონ კენედი და ფიდელ კასტრო

1962 წლის 22 ოქტომბერს პრეზიდენტმა კენედიმ სენსაციური სატელევიზიო განცხადება გააკეთა: კუბაზე საბჭოთა ბირთვული რაკეტები აღმოვაჩინეთო. ამ დროისათვის ყველა 42 რაკეტა, ბირთვული ქობინითა და მომსახურე პერსონალით, დისლოკაციის ადგილზე იმყოფებოდა. სინამდვილეში რაკეტები ოფიციალურ განცხადებამდე ორი კვირით ადრე აღმოაჩინეს ამერიკის მზვერავმა თვითმფრინავებმა. 16 ოქტომბერს კი კენედიმ სპეციალური შტაბი შექმნა ეროვნული უშიშროების საბჭოსთან, სადაც რუსულ რაკეტებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია იყრიდა თავს. 23 ოქტომბერს ხრუშჩოვმა ვრცელი წერილი გაუგზავნა კენედის, სადაც უკანასკნელს მოუწოდებდა არ აჰყოლოდა მილიტარისტულ ფსიქოზს და „მსოფლიო ბირთვული კატასტროფის მორევისაკენ არ ებიძგა". იქვე საბჭოთა ლიდერი ამერიკის პრეზიდენტს „უხსნიდა", რომ რაკეტების განლაგება ორი სუვერენული სახელმწიფოს შეთანხმების საფუძველზე მოხდა და მათი ერთადერთი დანიშნულება „ამერიკის აგრესიული ქმედებებისაგან" კუბის დაცვააო. ანუ სანამ „თავისუფლების კუნძულის" მიმართ რაიმე „ახალ აგრესიას არ განახორციელებთ, შეგიძლიათ მათი არსებობა დაივიწყოთო". რატომღაც ნებაყოფლობით გულმავიწყობის განწყობაზე არ აღმოჩნდა კენე-

დი და საპასუხო წერილში უკვე ხრუშჩოვს ურჩია, არ დავიწყებოდა, რომ ამერიკას საკმაო სამხედრო ძალა გააჩნდა რაკეტების გასანადგურებლად თუ მოსკოვი ნებით არ გაიტანდა მათ კუბიდან, საშიში კონფლიქტი სწრაფად აკრეფდა ტემპს. ცხადი ხდებოდა, რომ „პრაგმატიკოსი ამერიკელები“ არც იმ დონემდე „პრაგმატიკოსები“ აღმოჩნდნენ, კრემლის მთავარი ავანტიურისტი რომ იმედოვნება.

23-28 ოქტომბერს მოსკოვშიც და ვაშინგტონშიც ყოველდღე იღებდნენ ანალოგიური ხასიათის წერილებს. ყველაფრის საქმის კურსში იყო კასტრო, რომელიც სიმტკიცისაკენ მოუწოდებდა მოსკოვს და რწმენას გამოთქვამდა, რომ ბოლოს და ბოლოს კენედი შეეგუებოდა შექმნილ რეალობას. 27 ოქტომბერს საბჭოთა მეზენიტეებმა ამერიკელების „უ-2“ ჩამოაგდეს. მფრინავი დაიღუპა. ტრაღიკული ინციდენტი კენედიმ შეაფასა, როგორც რუსების გადაწყვეტილება ბირთვული ომის რისკზეც კი წასულიყვნენ, ოღონდ რაკეტები დაეტოვებინათ კუნძულზე. თავის მხრივ, არც კენედის შეეძლო ცალმხრივ დათმობაზე წასვლა. 28 ოქტომბრის შუაღამემდე, ჰიროსიმასა და ნაგასაკის შემდეგ, პირველად იგრძნო მსოფლიომ რეალური ბირთვული ომის სუნთქვა. ისევე, როგორც ბერლინის კრიზისთან დაკავშირებით, კვლავ ხრუშჩოვს უმტყუნა ნერვებმა. შუაღამით საბჭოთა ელჩი ვაშინგტონში ანატოლი დობრინინი კონფიდენციალურად შეხვდა პრეზიდენტს ძმას, იუსტიციის მინისტრს რობერტ კენედის (საბჭოური წყაროების ვერსიით, შეხვედრის ინიციატორი კენედი იყო) და შედგა მართლაც ისტორიული გარიგება – საბჭოთა კავშირს კუნძულიდან გაჰქონდა რაკეტები, მძიმე ბომბდამშენები, საზღვაო კატარღები, გაჰყავდა ჯარის დიდი ნაწილი, ხოლო კენედი კი მხოლოდ სიტყვიერად (ჯენტლმენურად) დებდა პირობას, რომ აღარ შეიჭრებოდა კუნძულზე და თურქეთიდან გაიტანდა საშუალო რადიუსის რაკეტებს.

ყველაზე პიკანტური კი ის იყო, რომ კუბიდან რაკეტების გატანაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კუბელებმა მოსკოვის რადიოს გადაცემიდან შეიტყვეს. როგორც ელჩი ალექსეევი წერს, 1962 წლის 28 ოქტომბერს, კვირა დღეს, დილის 7 საათზე მას დაურეკა კუბის პრეზიდენტმა, დოქტორმა ოსვალდო დორტიკოსმა და გაოცე-

ბულ-აღშფოთებულმა აუწყა, რომ ეს-ეს იყო რადიომ გადასცა ცნობა რაკეტების გატანის გადაწყვეტილებაზეო. ელჩის პასუხი სტანდარტული იყო: „ამერიკის რადიო ბევრ ზღაპარს გადასცემს, მაგრამ ეგ გამორიცხულიაო“. როდესაც კუბის პრეზიდენტმა დააზუსტა, რომ ამერიკის კი არა, მოსკოვის რადიოზე იყო ლაპარაკი, „მე დედამიწაზე ყველაზე უბედურ ადამიანად ვიგრძენი თავი, როგორც კი ფიდელის რეაქცია წარმოვიდგინე“, – იხსენებს ყოფილი ელჩი.

ფიდელ კასტრო კი მართლაც საფუძვლიანად და გარკვეული გაგებით სამართლიანადაც იყო ნაწყენი „სტრატეგიულ მოკავშირეზე“ – რამდენიმე დღეს საბჭოთა ელჩსაც არ ღებულობდა. სპეციალური „სამშვიდობო მისიით“ ანასტას მიქოიანი მიავლინეს მოსკოვიდან ჰავანაში. შერიგებას საბჭოთა ემისარის მოულოდნელმა პირადმა ტრაგედიამაც შეუწყო ხელი – ვიზიტის დღეებში მოსკოვში გარდაიცვალა მიქოიანის მეუღლე აშხენი, რომელთანაც მას 40-წლიანი სიამ-ტკბილობაში გატარებული წლები და ხუთი ვაჟიშვილი აკავშირებდა. მოსკოვიდან მიღებულ „შიფროვკაში“ ნათქვამი იყო, რომ მიქოიანს თავად უნდა გადაეწყვიტა – შეეწყვიტა ვიზიტი და სახლში დაბრუნებულიყო თუ ბოლომდე მიეყვანა გაბუტულ კასტროსთან შერიგების ოპერაცია.

ანასტასი ჰავანაში დარჩა, რამაც გავლენა იქონია ფიდელზე. საბოლოო ჯამში მათ ერთად შეადგინეს „კუბელი ხალხის ხუთი მოთხოვნა“ ამერიკელებისათვის გადასაცემად. აი, ისიც: 1. ამერიკას უნდა შეეწყვიტა კუბის ეკონომიკური ბლოკადა; 2. უნდა შეეწყვიტა ყოველი სახის ძირგამომთხრელი საქმიანობა, მათ შორის აგენტების შეგზავნა; 3. კუბის საჰაერო სივრცეში ფრენა უნდა შეეწყვიტათ ამერიკის მზვერავ თვითმფრინავებს; 4. კუბის საზღვაო საზღვრები ამერიკის გემებს არ უნდა დაერღვიათ; 5. ამერიკელებს კუბისათვის გუანტანამო უნდა გადაეცათ (გუანტანამოს სამხედრო-საზღვაო ბაზა ამერიკელებს, 1934 წელს დადებული ხელშეკრულების თანახმად, დღემდე არენდით აქვთ აღებული).

ბუნებრივია, კენედის ადმინისტრაციას აზრადაც არ მოსვლია რომელიმე მოთხოვნის დაკმაყოფილება. სრული კრახით დამთავრდა

მოსკოვის მცდელობაც უკვე გაეროს ეგიდით წარმოებულ მოლაპარაკებებში კასტროს რეჟიმი მხარედ ჩაერთო -ამერიკელებმა, როგორც იტყვიან, ქვა ააგდეს თავი შეუშვირეს და თავისი გაიტანეს. შესაბამისად, ყველა სადაო საკითხი მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის მოლაპარაკებებით გადაწყდა, რამაც კიდევ უფრო გაანაწყენა კასტრო. მიუხედავად იმისა, რომ კრიზისის საბაბად რაკეტები იქცა, ამერიკელებმა იმასაც მიაღწიეს, რომ რაკეტებთან ერთად კუბა სამუდამოდ დატოვა საბჭოთა ფლოტმა, ავიაციამ და სამხედრო კონტიგენტის უდიდესმა ნაწილმა.

რთული სათქმელია, თუ ხრუშჩოვის დიპლომატიურ ათწლეულში რომელი კრიზისით მიუახლოვა კაცობრიობა ყველაზე მეტად ბირთვულ ომს მოსკოვმა. მსოფლიო მასშტაბის დრამატული რეზონანსით, ცხადია, კუბა და დასავლეთ ბერლინი ლიდეროზენ, მაგრამ ავანტიურული ხასიათითა და საფუძველშივე მცდარი გათვლებით, ალბად, მაინც ახლო აღმოსავლეთი გამოირჩეოდა. გერმანიასა და კუბაზე ხრუშჩოვს, პირველ რიგში, იდეური მოკავშირეები ჰყავდა. ულბრიხტსა და კასტროს მოსკოვს იქით გზა არ ჰქონდათ, ორივეს პოლიტიკური გადარჩენა მოსკოვის დახმარების მასშტაბებზე იყო დამოკიდებული, ხოლო ეგვიპტის, სირიისა და, ცოტა მოგვიანებით, იემენის მმართველ ელიტას მუდამ გააჩნდა ალტერნატივა, თუ მოსკოვი „ინტერნაციონალურ სოლიდარობას“ შეასუსტებდა. გარდა ამისა, ინგლისელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საბჭოთა დიპლომატიის „ტერა ინკოგნიტა“ იყო არაბული სამყარო თავისი უნიკალური კულტურით, ზნე-ჩვეულებებით, რელიგიური განუმეორებლობითა და კლასიკური აღმოსავლური პრაქტიციზმით.

ფაქტია, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იოსებ სტალინმა საგრძნობლად შეიცვალა პოზიცია, როგორც მისი აქტიური მონაწილეობით შექმნილ „ებრაელთა სახელმწიფოსადმი“, ასევე საკუთარ ებრაელ მოქალაქეებთან მიმართებაშიც, მაგრამ საერთაშორისო არენაზე მკვეთრი ნაბიჯებისაგან თავს იკავებდა. ნიკიტა ხრუშჩოვის „გამეფებას“ დაემთხვა ღიად ანტიისრაელური რეზოლუციებისადმი მხარდაჭერა გაეროს უშიშროების საბჭოში. 1954 წლის იანვარში საბჭოთა

წარმომადგენელმა პირველად დაადო ვეტო მოსკოვისათვის ისეთ უმნიშვნელო რეზოლუციას, როგორიც იყო სირიასა და ისრაელს შორის წყლის რესურსებზე დავა. რეზოლუცია ისრაელის პრეტენზიებს უჭერდა მხარს. უფრო დემონსტრაციული იყო მოსკოვის ვეტო იმ რეზოლუციაზე, სადაც მხოლოდ „წუხილი" იყო გამოთქმული ეგვიპტის მიერ, ადრე საბჭოთა კავშირის თანხმობით მიღებული რეზოლუციის იგნორირების გამო.

მხოლოდ 1955-1956 წლებში სირიამ 18 მლნ დოლარის ღირებულების იარაღი მიიღო ბაღდადის პაქტში გაწევრიანებაზე უარის გამო, თუმცა სირიის იმდროინდელი ლიდერები უიმისოდაც არ აპირებდნენ პაქტში გაწევრიანებას შიდა კონფლიქტებთან დაკავშირებით. 1956 წლის დეკემბერში კი უკვე უშუალოდ მოსკოვსა და დამასკოს შორის დაიდო პირდაპირი ხელშეკრულება იარაღის მიწოდებაზე (წინა ხელშეკრულებაში ჩეხოსლოვაკია ფიგურირებდა). საბჭოთა კავშირმა ითავა სირიის სამხედრო პერსონალის მომზადება. 1957 წელს სირია უკვე 50 მლნ დოლარის იარაღს იძენს საბჭოთა კავშირისაგან. გაცილებით ფართო მასშტაბიანი იყო ეგვიპტისათვის აღმოჩენილი დახმარება.

მეორეს მხრივ, ამავე პერიოდში მოსკოვი საყოველთაო განიარაღებაზე და იარაღით ვაჭრობის აკრძალვაზე რეზოლუციების პროექტებით ბომბავდა გაეროს გენერალურ ასამბლეას. წინასწარ ყველასათვის ცნობილი რეზულტატებით – გაეროს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა პროქტებს ხმას აძლევდა. აბა, ვინ გამოვიდოდა და მთელი მსოფლიოს გასაგონად იტყოდა – განიარაღებას შეიარაღება, მშვიდობას კი ომი სჯობიაო?

როგორც ჩანს, უვადო თმენას მიჩვეული კომუნისტური ელიტისთვისაც კი უკანასკნელ წვეთად იქცა ბერლინისა და კარიბის კრიზისი. უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობის გამბედაობის მუხტი იმ ახალმა გარემოებამაც გააძლიერა, რომ ნიკიტა ხრუშჩოვის მოშორების პირველმა ინიციატორებმა – ვიაჩესლავ მოლოტოვმა, ლაზარ კაგანოვიჩმა, გიორგი მალენკოვმა და მათთან „მომხრობილმა" ალექსანდრე შელეპინმა „ანტიპარტიული" ბრალდებებითაც კი შეინარჩუ-

ნეს მხრებზე თავები. მეორე ცდა გაცილებით საფუძვლიანად მზადდებოდა – პირველი მცდელობის დროს დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით. თანაც, თუ 1957 წელს, სტალინის ძველი გვარდიის გენერლებს, ახალი „ხაზეინი“, ძირითადად მიცვალებულთან ანგარიშის სწორებით და „ბელადის“ კურსიდან გადახვევებით აღიზიანებდა, ახალ შეთქმულებს გაცილებით სერიოზული პრეტენზიები და მოტივაცია გააჩნდათ – საქმე ხომ უკვე მსოფლიო მასშტაბის ბირთვულ ხანძართან საშიშ თამაშს ეხებოდა. ტყუილად როდი ახასიათებდა 1986 წლის მაისში, საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის ასოციაციის წევრებთან შეხვედრაზე ინგლისის ყოფილი ელჩი მოსკოვში ფრენკ რობერტსი ნიკიტა ხრუშჩოვს როგორც „გაუწონასწორებელსა და საშიშს“. ყოფილმა დიპლომატმა იქვე ერთი ეპიზოდიც გაიხსენა – როდესაც კრემლში მორიგ დიდ მიღებაზე მიიწვიეს, იგი განაწყენებული მისულა, ვინაიდან სწორედ იმ დღეს ხრუშჩოვს ლანძღვა-გინებით აუკლია ინგლისის მთავრობა. მიღებაზე კი ხრუშჩოვი თვითონ მისულა ელჩთან და უკვე მეგობრული ტონით „დაუმშვიდებია“ – „ყურადღებას ნუ მიაქცევთ ჩემს მკვახე გამონათქვამებს, ეს ჩემს ხასიათშიაო“ (135). ის ფაქტი, რომ საჯარო არადიპლომატიური ლექსიკა ხშირად ქცეულა სახელმწიფოთა შორის სერიოზულ გართულებათა მიზეზად, ეტყობა, საბჭოთა ლიდერს აზრადაც არ მოსვლია.

ნიკიტა ხრუშჩოვის წინააღმდეგ „მშვიდობიანი“ შეთქმულება კარიბის კრიზისის სრული განეიტრალების შემდეგ, 1963 წლის დამლევს დაიწყო. ვიწრო წრეში წარმოებული კონსულტაციების შემდეგ, როგორც კი 1964 წლის შემოდგომაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბიჭვინთაში დასასვენებლად გაისტუმრეს, ფინალური აკორდისათვის დაიწყო მზადება. ჩქარობდნენ შეთქმულები, ვინაიდან არცთუ უსაფუძვლოდ შიშობდნენ, რომ დასვენებულ, მჩქეფარე ენერგიით აღსავსე ლიდერს იოლად შეეძლო ბირთვული იარაღის ჟღარუნი გაეგრძელებინა და ფატალურად „გაესამეგინა“ კიდეც კატასტროფის რეალური პერსპექტივა. 1964 წლის 12 ოქტომბერს ხრუშჩოვი, ხელოვნური საბაბით, ბიჭვინთვიდან ცკ-ს პრე-

ზიდიუმის სხდომაზე გამოიძახეს და „ანგარიში“ წაუყენეს, თანაც მაღალი პროცენტებით.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის თუ არა, რუსეთის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხრუშჩოვის გადაყენების შემდეგ, პირველად გაიგონა ტერმინი „ვოლუნტარიზმი“ – მთავარი ბრალდება, რის გამოც მთელი 10 წლის მანძილზე ბირთვული ზესახელმწიფოს ერთპიროვნული გამგებელი, სულ რაღაც 2-3 საათში რიგით პერსონალურ პენსიონერად იქცა. ისე კი, სამართლიანობა მოითხოვს იმის აღიარებასაც, რომ თუკი კრემლის კედლებში ოდესმე წაუყენებიათ ვისმესთვის ობიექტური ბრალდება, „ვოლუნტარიზმი“ ზედგამოჭრილი იყო ხრუშჩოვისათვის. დღემდის უცნობია (ყოველ შემთხვევაში, ფართო საზოგადოებისათვის), შეთქმულების 5-6 მთავარ მონაწილეთა შორის რომელმა განსაზღვრა ასე ზუსტად, ერთი ტერმინით, ხრუშჩოვის 10-წლიანი მართვის სტილი (ცხადია, ლეონიდ ბრეჟნევი და ნიკოლაი პოდგორნი არ იქნებოდნენ, ისინი ცოდნაში მოიკოჭლებდნენ), მაგრამ ის, რომ არც ირაციონალიზმი, არც უსაზღვრო ინდივიდუალიზმი, არც ადამიანის ნების აბსოლუტური თავისუფლება და არც პოლიტიკურ მიზნებში განუკითხაობა რომ უცხო არ იყო ხრუშჩოვისათვის, უკანასკნელმა არა ერთხელ დაამტკიცა რეალური საქმით. ერთი სიტყვით, მიუხედავად იმ აშკარა დადებითი ბრეებისა, რაც მის სახელთან ასოცირდება, თუნდაც რეპრესიების ეპოქის დასრულების თვალსაზრისით, მან ასევე აშკარად მოაბეზრა თავი იმ მილიონობით საბჭოთა მოქალაქეებსაც, ვისაც ბუნდოვანი წარმოდგენა გააჩნდა დასავლეთ ბერლინსა და კუბის რაკეტებზე. ხალხს ახალი კულტიც აღიზიანებდა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც კინოთეატრების ეკრანზე დოკუმენტური ფილმი-პანეგერიკი „ძვირფასი ნიკიტა სერგის-ძე“ გამოჩნდა. თვით სტალინის სისხლიანი რეპრესიების მსხვერპლთა შორისაც იყვნენ ისეთები, ვისაც ეხამუშებოდათ იგივე სტალინის გუშინდელი მშიშარა ლაქიის მხრიდან მკვდარი „ბელადის“ ქუჩური ლანძღვა.

1991 წელს რუსულ პრესაში გამოქვეყნდა საინტერესო ინტერვიუ 1939-1945 წლებში „მოსსოვეტის“ თავმჯდომარის (იგივე ქალაქის

მერის), ვლადიმერ პრონინის ვრცელი ინტერვიუ (136). პრონინი დადებითად აფასებს ხრუშჩოვის როლს მოსკოვის კეთილმოწყობაში, თუმცა უფრო მეტს მის „ცოდვებზე“ საუბრობს. კერძოდ პათოლოგიურ შიშზე, რომ სტალინს შეეძლო მისი პარტიული ბიოგრაფიის ისეთი მომაკვდინებელი „ცოდვის“ გაეხსენება, როგორიც 1920 წელს მენშევიკური პლატფორმის წევრობა იყო. სანამ „ბელადი“ ცოცხალი იყო, ხრუშჩოვს ერთი წუთითაც არ შეეძლო არ ეგრძნო „დამოკლეს მახვილის“ სუსხი. 1942 წელს კი, ხარკოვის ცნობილი ოპერაციის კატასტროფის დღეებში, მან თვითნებურად მიატოვა ფრონტი და მოსკოვს მიაშურა. მაშინ, ერთი ვერსიით, იგი მოლოტოვმა გადაარჩინა, მეორე ვერსიით – ბერიამ. პრონინის მონაცემებით, როცა ხრუშჩოვი მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, ქალაქის 23-ვე რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე დააპატიმრეს, ასევე იქნენ რეპრესირებულნი ოლქის რაიკომების მდივნები და მოსკოვის ქალაქკომის მდივნები. მას შემდეგ კი, რაც ხრუშჩოვი უკრაინაში გადაიყვანეს, უკვე იქ დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები წინასწარ გამზადებული ბრალდებებითა და განაჩენებით. 1938 წელს ნიკიტა სერგის ძის ნებართვით, 1066 სამხედრო მოსამსახურე იქნა დაპატიმრებული. პრონინის აზრით, ამ გზით ცდილობდა ხრუშჩოვი 20 წლის წინანდელი „შეცდომის“ გამოსყიდვას. ალბად, ისიც ახსოვდა, რომ ერთხელ მას სტალინმა საჯაროდ უწოდა „ტუტუცი“ („პრიდუროკ“).

სტალინის სიკვდილის შემდეგ, მთელმა ქვეყანამ ცოტა ხნით შვებით ამოისუნთქა. ეს პერიოდი „ხრუშჩოვისეული დათბობის: სახელითაა შესული იმდროინდელ პუბლიცისტიკაში, თუმცა „დათბობა“ გიორგი მალენკოვის მართვის დროს დაიწყო, როდესაც რამდენიმე დღეში დაიხურა სისხლის სამართლის მასშტაბური საქმეები - „ლენინგრადის საქმე“, „ექიმების საქმე“, „მეგრელების საქმე“, გატარდა მასობრივი ამნისტია, შეიქმნა კომისიები, რომელთაც დაევალათ ადრე გამოტანილი განაჩენების გადასინჯვა და რეაბილიტაცია, გაუქმდა სამსახურის გაცდენაზე სისხლის სიმართლის დანაშაული, ათი ათასობით ადამიანმა დატოვა „გულაგი“.

საბჭოთა კავშირში „დათბობის“ პერიოდი 1956 წლის უნგრეთის აჯანყებით დასრულდა. კრემლში საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაციის შედეგად მიიჩნიეს (ალბად, საფუძვლიანად) პოლონეთისა და უნგრეთის ანტიკომუნისტური გამოსავლები და ოპერატიულად დაიწყო „კომუნისტური სიფხიზლის გამტკიცების კამპანია“, გააქტიურდა ანტირელიგიური ბრძოლა, საიდუმლო ინსტრუქციით პირველად დაკონკრეტთა რელიგიური კონფესიები, რომელთა რეგისტრაციებიც იკრძალებოდა. კურიოზული ფაქტი იყო, რომ „ხრუშჩოვის დათბობა“ პირველმა თავად ხრუშჩოვმა გააკრიტიკა, ხოლო საბჭოთა მწერალ ილია ერენბურგს კი, ვინც ხმარებაში შემოიტანა ეს ცნება, საჯარო გამოსვლაში „თაღლითი“ („ჟულიკ“) უწოდა.

რაც შეეხება სოციალურ სფეროს, 1957 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით (ცხადია, ხრუშჩოვის ინიციატივით) საბჭოთა კავშირში შეწყდა საშინაო ვალის ყველა არსებული ობლიგაციების განაღდება, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით, ქვეყანა დეფოლტში აღმოჩნდა. შედეგმაც არ დააყოვნა – მოსახლეობის უმრავლესობამ უცებ დაკარგა დანაზოგები ობლიგაციების სახით, რასაც ათეული წლების განმავლობაში მთავრობა იძულებით ასაღებდა ყველა დასაქმებულ ადამიანზე. საშუალოდ კი ეს ხელფასის 8 პროცენტს შეადგენდა.

1958 წლიდან, ბუნებრივია, კვლავ ხრუშჩოვის ინიციატივით, აიკრძალა პირადი დამხმარე მეურნეობები, პროვინციული ქალაქებისა და მუშათა დასახლებების მაცხოვრებლებს აეკრძალათ მსხვილფეხა საქონლის ყოლა, ხოლო კოლმეურნეებისაგან მთავრობამ პირუტყვის შესყიდვა მინიმალურ ფასებში დაიწყო. ამის საპასუხოდ, გლეხობა პირუტყვს თვითონ ხოცავდა და ყიდდა. მოკლე ხანში კატასტროფულად შემცირდა მსხვილფეხა პირუტყვისა და ფრინველის რაოდენობა, რამაც კოლმეურნეთა ცხოვრების პირობები გააუარესა.

კურიოზული ხასიათი მიიღო 1958 წელს წამოწყებულმა განათლების რეფორმამ, რომლის მიზნად „სკოლების ცხოვრებასთან კავშირის გაძლიერება“ იყო გამოცხადებული. ხრუშჩოვის გადაყენებისთანავე რეფორმა შეჩერდა. შედარებით გვიან „მოიცალა“ ხრუშჩოვმა მეცნიერებისა და მეცნიერთათვის: 1964 წლის დასაწყისში თაღლით

„გენეტიკოს" ტროფიმ ლისენკოს მოწიწაებლდებულებაზე გაბრაზებულმა, „სტალინის მიერ მოქრთამულ უსაქმურებად" მოიხსენია მეცნიერე-ბათა აკადემიის წევრები და „მრეწველი რეფორმითაც" დასჯა, თუმცა არ დასცალდა. მას არც შემოქმედებითი კამპანიის „ჯათაბა-მებულ" წევრებთან ანგარიშის გასწორება არ დასცალდა, თუმცა არც მათთვის დაიმუქრა საფირმო მუქარა: „მოკვდა სტალინი და ფიქრობთ, რომ ყველაფერი გეპატიებათ? იცოდეთ, დაგვერები არ დაგეწყნა", - გაჰკიოდა მოსკოვის მანეჟის მოედანზე ნანახი ავანგარდისტთა გამო-ფენით გატოებული ხრუშჩოვი.

პენსიაზე გასვლის შესახებ ხრუშჩოვის „თხოვნის" დაკმაყოფილე-ბამ საბოლოოდ დაარწმუნა მორიგი დიდი წმენდის მომლოდინე ნომენკლატურა, რომ მართლაც წარსულს ჩაბარდა მასობრივი რეპრე-სიების პრაქტიკა. როგორც მწერალი კონსტანტინე სიმონოვი იხსენებ-და, კრემლში მოღებისას მას მტკიცედ განუცხადა კომპარტიის ახალმა გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა: „სანამ მე აქ ვარ, სისხლი აღარ იქნება". ამიერიდან საბჭოთა კომუნისტური რეჟიმის სანინააღმდე-გო დისიდენტები და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობე-ბის აქტივისტები ხდებოდნენ.



თავი ოცდამეორე
ომის შემდგომი ევროპული დიპლომატია

მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში საფრანგეთი ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მართალია პარიზი ლონდონისა და ბერლინის მსგავს ნგრევას გადაურჩა და გენერალ შარლ დე გოლის წყალობით, გამარჯვებულთა შორისაც კი აღმოჩნდა, მაგრამ გამარჯვებაში შეტანილი წვლილითა და გაღებული მსხვერპლით კანადასაც კი ვერ გაუტოლდებოდა. ამიტომაც იყო ბუნებრივი დამარცხებული ფელდმარშალის ვილჰელმ კეიტელის გაოცებული რეაქცია, როდესაც კაპიტულაციაზე ხელის მოსაწერად მიყვანილმა გამარჯვებულებში ფრანგ გენერალსაც მოჰკრა თვალი.

არმან რიშელიეს, ლიდოვიკო XIV, ჟორჟ კლემანსოსა და მარშალ ფერდინან ფოშის შთამომავლებისათვის ტოტალურად მადემორალიზებელი ფაქტი იყო ფრანგული კოლაბორაციოზმი და პირველი მსოფლიო ომის გმირის, მარშალი ანრი პეტენის ხილვა საბრალდებო სკამზე, თანაც საშინელი დანაშაულისათვის – სამშობლოს ღალატისათვის.

თავის დროზე, ბერლინის კონგრესის (1878 წ.) წინა დღეებში, რუსებზე განაწყენებული ინგლისის პრემიერი ბენჯამინ დიზრაელი ჩიოდა: „ისე გვექცევიან, თითქოს დიდი ბრიტანეთი ჩერნოგორიააო“. თითქმის ასეთივე იყო ამერიკელებისა და მათი პრეზიდენტის დამოკიდებულება საფრანგეთისადმი. ისტორიის საიდუმლოებად დარჩა, თუ რა ჰქონდა საფუძვლად ამერიკის პრეზიდენტს მდგრად ფრანკოფობიას – ის ფაქტი, რომ ფრანგებმა 1940 წელს პრაქტიკულად უომრად ჩააბარეს ქვეყანა ჰიტლერს და შემდეგ მასთან თანამშრომლობაც კი დაიწყეს, თუ ომის წლებში „ჭირვეული პატარძლის“ – შარლ დე გოლის გამაღიზიანებელი კაპრიზები (როგორც ეს ფრანკლინ რუზველტს ესმოდა), როდესაც უინსტონ ჩერჩილის „ხიზანი“ ფრანგი გენერალი (თანაც არასრული გენერალი!) თანასწორუფლებიანი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირის ადგილსა და პატივს ითხოვდა როგორც ლონდონის, ასევე ვაშინ?ტონისაგან? რატომ ეძებდა ასე ჯიუტად თეთრი სახლი დე გოლის შემცვლელს მაშინაც კი, როდესაც იგივე ჩერჩილისათვის, რომელსაც რუზველტზე მეტად უშლიდა ნერვებს დე გოლი, ცხადი იყო ამპარტავანი „კონეტაბლის“ (ანუ მეჯინიბეთუხუცესის) უალტერნატიობა. მაშინაც კი, როდესაც რამდენიმე თვე რჩებოდა გამარჯვებამდე და რუზველტიც შეგუებული იყო დე გოლის სტატუსს, პრეზიდენტი მხოლოდ ეგოიზმითა და დიდების მანიით ხსნიდა „მებრძოლი საფრანგეთის“ ლიდერის „აუტანელ“ ხასიათს. სინამდვილეში კი, ფაშიზმთან მებრძოლ ლიდერთა შორის თუკი ვინმესთვის მართლაც უცხო იყო პირადი ამბიციები და ეგოიზმი, ეს პირველ რიგში შარლ დე გოლზე ითქმოდა. უკანასკნელი სამართლიანად განიხილავდა საკუთარ თავს მებრძოლი საფრანგეთის სახედ და სიმბოლოდ და მისი იგნორირების ყოველ მცდელობას საფრანგეთის შეურაცხყოფად მიიჩნევდა. გავა წლები და დე გოლის ათეულობით ბიოგრაფი შეეცდება „ყველა ფოლაქზე შეკრული“ გენერლის შინაგან სამყაროში ჩაწვდომას, მაგრამ ყველაზე ზუსტი მიგნების ავტორად მაინც ჩერჩილი იქცა: „გარეგნული ფლეგმატიზმის მიღმა მგრძნობიარე და რომანტიული შინაგანი სამყარო იმალებაო“. გარეგნულად მართლაც უკარება და ფლეგმატური იყო დე გო-

ლი, რომლის სახეზე მის უახლოეს თანამებრძოლებსაც კი იშვიათად თუ შეუმჩნევიათ ღიმილი. მსოფლიოს თვალში საფრანგეთს რეაბილიტაციაზე ზრუნვა, გაუთავებელი კონფლიქტები ამერიკელებთან და ინგლისელებთან და თანმხლები ნერვული დაძაბულობა ცოტა დროს ტოვებდა გასართობად და სამხიარულოდ. ან კი რა ჰქონდა სამხიარულო ომის დროს სამშობლოში დეზერტირად და სისხლის სამართლის დამნაშავედ გამოცხადებულ, ხოლო უცხოეთში კი სხვის ხელში შემყურე დე გოლს?

1944 წლის მაისში იგი თავის მოკრძალებულ აპარატს (საკონსულტაციო კომიტეტს) საფრანგეთის „დროებით მთავრობად“ აცხადებს. რაც უფრო მეტად ცდილობენ ამერიკელები და, დროდადრო ინგლისელებიც (დე გოლს განსაკუთრებით „ინტელიჯენს სერვისის“ შეფი, პოლკოვნიკი სპარკი ვერ იტანდა), მით მეტი სიჯიუტით და პრინციპულობით იცავს და აფართოვებს ფაქტიურად თვითმარქვია „დროებითი მთავრობის“ უფლებებს. რუზველტს კი გაგონებაც არ სურს საფრანგეთის რაიმე დე-ფაქტო მთავრობაზე. მეტიც – ლონდონთან შეთანხმებით ვაშინგტონში მიღებულია გადაწყვეტილება, რომ არჩევნებამდე საფრანგეთს „მოკავშირეთა სამხედრო მთავრობა“, ანუ საოკუპაციო ძალები უნდა მართავდეს. დე გოლი დასწრებაზე რისკიან თამაშს იწყებს და განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილ 17 რეგიონულ კომისარს, სამინისტროების გენერალურ მდივნებს და დეპარტამენტების პრეფექტებს ნიშნავს. მისი ერთგული ეს ადამიანები არალეგალურად უნდა ჩასულიყვნენ ჯერ კიდევ გერმანელების მიერ ოკუპირებულ საფრანგეთში და მოკავშირეთა შესვლას დალოდებოდნენ. გადამწყვეტ მომენტში კი მათთვის განსაზღვრულ პოსტებს დაიკავებდნენ და მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენებდნენ მოკავშირეებს. ვერ ვიტყვით, რომ სავსებით არაეფექტური და უშედეგო იყო დე გოლის დიპლომატია – 30 დეკემბერს მას უკვე თავად ეწვია ეიზენჰაუერი, წუხილი გამოთქვა არსებულ „გაუგებრობაზე“ და აგრძნობინა, რომ გადამწყვეტ ოპერაციამდე ცოტა დრო რჩებოდა, თუმცა მეორე ფრონტის გახსნის თარიღი მაინც არ გაუმხილა. დე გოლის თხოვნა იყო მთავარსარდალს ინგლისში გადაეყვანა ერთი ფრანგული

დივიზია, რომელსაც შემდეგ საფრანგეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში უნდა მიეღო მონაწილეობა. „მე ვერ გამოვჩნდები პარიზში ფრანგი მეომრების გარეშე“ – მტკიცედ განუცხადა მან ამერიკელ გენერალს, რაზედაც თანხმობა მიიღო. დუაიტ ეიზენჰაუერი იმასაც კი შეპირდა, რომ პირადად იგი არცერთ მთავრობას არ სცნობდა საფრანგეთში, გარდა დე გოლისა. რასაკვირველია, მნიშვნელოვანი იყო მოკავშირეთა არმიის მთავარსარდლის პოზიცია, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ არანაირი ცვლილებები არ შეინიშნებოდა რუზველტის მიდგომებში. ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ თეთრი სახლი არ აპირებდა დე გოლის აღიარებას. საპასუხო რეაქცია სტანდარტული იყო – მეტი სიმტკიცე და არავითარი კომპრომისები საფრანგეთის მომავალი სუვერენიტეტის ხარჯზე. ასევე ტიპიურია ჩერჩილის უკმაყოფილებაც – „როდემდის აპირებს იყოს ასეთი აუტანელი დე გოლი და როდის შეეშვება თავის ოინებს?“ – რამდენიმე ადამიანის დასწრებით ბრდღვინავდა „ბრიტანეთის ლომი“. ლონდონისა და ვაშინგტონის თვალში კი შარლ დე გოლის მთავარი „ოინი“ ის იყო, რომ გენერალმა მათთან შეუთანხმებლად, სპეციალური ორდონანსით (ბრძანებით), საფრანგეთის დროებითი მთავრობა შექმნა.

21 აპრილს ჩერჩილი დიპლომატიური შიფრით სარგებლობის უკრძალავს დე გოლის წარმომადგენლებს. იმ პერიოდში ბრიტანეთის დიპლომატიური შიფრით ლონდონში განთავსებული ევროპული ქვეყნების ყველა დევნილი მთავრობა სარგებლობდა, აკრძალვა კი მხოლოდ ფრანგებზე გავრცელდა. პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს არცთუ დიდი დანაკარგი, მაგრამ უკიდურესად დამამცირებელი იყო. რა, განა ლონდონში ფიქრობდნენ, რომ ფრანგებმა შეიძლება გერმანელებს მეორე ფრონტის სამზადისის ინფორმაცია გადასცენ? დე გოლი დემონსტრაციულად წყვეტს ყოველგვარ ურთიერთობებს მოკავშირეებთან. ინგლისურენოვანი პრესა „ყოყლოჩინა უარმიო გენერალზე“ ქილიკით ერთობა. ნუთუ არ გაამართლა მტკიცე პოზიციის დიპლომატიამ? რამდენი პრობლემის, ინტრიგის, აბუჩად აგდების ცდების გადალახვა შესძლო 4 წლის მანძილზე უტეხმა მარტოხელა დე გოლმა და ახლა, როდესაც ხელის გაშვერაზეა დამსახურებული ტრიუმფი,

ყველაფერი წყალში გადაიყარა? რა შეუშლის ხელს ჩერჩილს, რომ ინგლისში ყოფნაც კი აუკრძალოს? (დე გოლი ამ დროს აფრიკაშია).

1944 წლის 22 აპრილის ღამე, ალბად, ყველაზე დრამატული იყო გენერლის მშფოთვარე, ხიფათითა და მოულოდნელობით აღსავსე ცხოვრებაში. ალჟირში ვილა „ოლივიას“ ვერანდაზე, სიგარეტის კვამლში გახვეული ისევ და ისევ აანალიზებდა თავის მდგომარეობასა და პერსპექტივებს, ცდილობდა უშეცდომოდ ამოეცნო რუზველტისა და ჩერჩილის პოზიციების სუსტი ადგილები. 54 წლის დე გოლი ხომ ერთადერთი ფრანგი სამხედრო მოსამსახურე და პოლიტიკოსი იყო, რომელსაც ვერავინ ვერაფერს წააპახებდა? მას ხომ ერთი პატარა შავი წერტილიც კი არ გააჩნდა პირად ბიოგრაფიაში? რა არჩევანი გააჩნდათ მოკავშირეებს? მან ხომ მშვენივრად გაიცნო გასულ წლებში ჩერჩილი და ისიც იცის, რომ ფეთქებადი ხასიათი არასოდეს ქცეულა მისთვის სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილების ხელის შემშლელად. ასეთ მწარე ფიქრებში გატარებული ღამის შემდეგ, რაზეც ის დაწვრილებით წერს თავის სამხედრო მემუარებში და რაზედაც წერენ მისი ბიოგრაფებიც (137), 23 აპრილს დილით ბრიტანეთს ელჩი ატყობინებს, რომ მას უაღრესად მნიშნელოვანი ინფორმაცია აქვს და მიღებას სთხოვს: ინგლისის მთავრობა ლონდონში ეპატიჟება გენერალს საფრანგეთში ხელისუფლების ორგანიზების საკითხებზე მოსალაპარაკებლად. ამერიკელების გარეშე მოლაპარაკებას აზრი არა აქვს – ასეთია დე გოლის პასუხი. იმავე დღეებში მას არაოფიციალურად აცნობებენ, რომ რუზველტს სურს იგი ვაშინგტონში იხილოს. ეს უკვე ხელშესახები დიპლომატიური გამარჯვებაა, მოკავშირეები აშკარა დათმობებზე მიდიან. დე გოლი ლონდონში გამგზავრების გადაწყვეტილებას ღებულობს, თუმცა წინასწარ იცის, რომ არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება მოკავშირეთა ტანკების ესკორტით პარიზში დაბრუნებაზე. ორ ივნისს უკვე პირადად ჩერჩილის დეპეშას გადასცემენ – „გთხოვთ რაც შეიძლება სასწრაფოთ ჩამოხვიდეთ თქვენს კოლეგებთან ერთად უკიდურესი საიდუმლოების დაცვით. გარწმუნებთ, ეს საფრანგეთის ინტერესებშია“. ბრიტანეთის პრემიერმა პირადი თვითმფრინავი „იორკი“-ც კი გაუგზავნა დე გოლს (138).

1944 წლის 4 ივნისს დე გოლი უკვე ლონდონში იყო, სადაც მას აეროდრომზევე გადასცეს ჩერჩილის ახალი დეპეშა – პრემიერი სასწრაფო შეხვედრას სთხოვდა პორტსმუტიდან 40 კილომეტრში, მის პირად მატარებელში, ეიზენჰაუერის შტაბის მახლობლად. რატომ მატარებლის ვაგონში? ვინაიდან საყოველთაოდ იყო ცნობილი ისტორიულ ასოციაციებთან ჩერჩილის სისუსტე, მოგვიანებით, როდესაც ეს უცნაური ფაქტი გახმაურდა, ბიოგრაფებმა კომპიენის ტყეში, სწორედ სარკინიგზო ვაგონში ორჯერ ხელმოწერილი კაპიტულაცია გაიხსენეს. აშკარა იყო, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერი მარშალ ფოშის ტრიუმფზე ფიქრობდა.



უინსტონ ჩერჩილი და შარლ დე გოლი მეორე მსოფლიო ომის წლებში

რაც შეეხებოდა დე გოლს, მას კიდევ ერთხელ მოუწია მწვავე დისკუსიაში დაეცვა საფრანგეთის ღირსება, როდესაც ჩერჩილმა შესთავაზა სასწრაფოდ გაფრენილიყო ვაშინგტონში, სადაც ისტორიული მომენტის ფონზე (იგულისხმებოდა მეორე ფრონტის გახსნა), რუზველტი უფრო კეთილ განწყობილი იქნებოდა და „ამა თუ იმ ფორმით“ აღიარებდა დე გოლის ადმინისტრაციას. „რატომ გეჩვენებათ, რომ რუზველტს უნდა ვთხოვო ჩემი კანდიდატურის დამტკიცება. საფრანგეთის მთავრობა არსებობს და ამ მხრივ მე არც ამერიკისათვის და არც ინგლისისათვის არაფერი მაქვს სათხოვარი“ – მტკიცედ უპასუხა გენერალმა და იქვე დასძინა, რომ მისი მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ ცნობდა ამერიკელების მიერ დაბეჭდილ ფრანგულ ფულს. რაც ყველაზე აუტანელი იყო ჩერჩილისათვის, დე გოლმა იმაზეც მიანიშნა გამჭვირვალედ, რომ ბრიტანეთის მთავრობა უკვე ვეღარ ღებულობდა დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს და ამერიკელებზე იყო დამოკიდებული. დიალოგი მაღალი ტონებში წარიმართა და პრემიერის გესლიანი „დაპირებით“ (არჩევანის შემთხვევაში იგი მუდამ ამერიკის და არა სა-

ფრანგეთის მხარეზე იქნებოდა) დასრულდა. უბრალოდ, ორივეს ეიზენჰაუერი ელოდებოდა და ხანგრძლივი კამათის დრო არ რჩებოდათ.

ახალი უსიამოვნო სიურპრიზი უკვე მოკავშირეთა მთავარსარდლისაგან ელოდა საფრანგეთის რეალურად ჯერ არ არსებული მთავრობის მეთაურს: შეხვედრა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ეიზენჰაუერმა ევროპის ხალხებისადმი თავისი მიმართვის ტექსტი გადასცა დე გოლს გასაცნობად. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ხასიათზე დადგებოდა დღე-ნიადაგ საფრანგეთის პრესტიჟსა და დიდებაზე მეოცნებე გენერალი, როდესაც დარწმუნდა, რომ ამერიკელი მთავარსარდალი მის მებრძოლ მთავრობას ლონდონის კომფორტულ სასტუმროებში მოკალათებულ და გამარჯვების პასიურად მომლოდინე ბელგიელ, ნორვეგიელ, ჰოლანდიელ და ლუქსემბურგელ მონარქების დონეზეც კი არ განიხილავდა. გათავისუფლებულ ფრანგებს ეიზენჰაუერი მოუწოდებდა მორჩილად შეესრულებინათ მოკავშირეთა სამხედრო ადმინისტრაციის – როგორც უმაღლესი ხელისუფლების ყველა ბრძანება, სანამ ფრანგები თავად არ აირჩევდნენ ახალ მთავრობას. და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც სულ ორიოდე დღის წინ იგივე ეიზენჰაუერი დე გოლს არწმუნებდა, რომ მისთვის დე გოლის დროებითი მთავრობა იყო საფრანგეთის ერთადერთი კანონიერი ხელისუფლება. მიმართვის ტექსტში კრინტიც არ იყო დაძრული დე გოლის დროებით მთავრობაზე. პირქუშად განუცხადა რა მთავარსარდალს, რომ მისთვის ტექსტი მიუღებელი იყო, მან შესწორებული ვირიანტი მეორე დღეს, 5 ივნისს, ოპერაციის წინა დღეს გადასცა ამერიკელებს, მაგრამ მას უპასუხეს, რომ უკვე გვიან იყო, მიმართვის ტექსტი თითქმის მილიონიანი ტარაჟით იყო დაბეჭდილი და იმავე ღამით მას თვითმფრინავები ოკუპირებული ევროპის ცაზე გაფანტავდნენ. დე გოლს ისიც აცნობეს, რომ ნორმანდიაში ზღვიდან შეჭრის დღეს – 6 ივნისს, ლონდონიდან თავიანთ ხალხს რადიოთი მიმართავდნენ ნორვეგიის მეფე, ჰოლანდიის დედოფალი, ლუქსემბურგის ჰერცოგინია და ბელგიის პრემიერი. მათ შემდეგ თავის მიმართვას წაიკითხავდა ეიზენჰაუერი და მხოლოდ ყველაფერი ამის შემდეგ,

მიკროფონს დე გოლს დაუთმობდნენ. ამჯერადაც კატეგორიული იყო გენერალი: მას არ გასჭირებია ეიზენჰაუერის დიპლომატიური ხაფანგის დანახვა – მთავარსარდლის შემდეგ მისი გამოსვლა ხომ ნათელი აღიარება იქნებოდა ყველაფერი იმისი, რაც მისთვის კატეგორიულად იყო მიუღებელი. მხოლოდ ცალკე და სხვა დროს, სხვაგვარად დე გოლი საერთოდ არ გაეკარებოდა მიკროფონს.

ღამის ორ საათზე გენერალს ინგლისის მთავრობასთან მისი წარმომადგენელი, ძველი დიპლომატი ვიენო ეწვია. ცოტა ხნით ადრე იგი ჩერჩილმა დაიბარა და დე გოლისადმი დაგროვილი მთელი ცოფი მასზე ამოანთხია. სწორედ ის იქცა ბრიტანეთის პრემიერის თავშეუკავებელი აღშფოთების უდანაშაულო მსხვერპლად. დე გოლმა თავისი პოზიციის განმარტებით ვიენო უკან გააბრუნა. დილის 6 საათამდე ასე მიმოდიოდა საბრალო ბერიკაცი გაცოფებულ პრემიერსა და ჯორზე შემჯდარ გენერალს შორის. 6 საათზე კი ჩერჩილმა ექსტრავანგანტური შინაარსის წერილი გაუგზავნა დე გოლს, სადაც ატყობინებდა, რომ ბოლო მოეღო მის მოთხოვნებს და ითხოვდა, რომ გენერალს სასწრაფოდ დაეტოვებინა ბრიტანეთის კუნძული. საბედნიეროდ, წერილი ენტონი იდენს ჩაუვარდა ხელში, რომელმაც დაწვა. დღისით ჩერჩილის რისხვამ იკლო და დე გოლის მოთხოვნაც სრულად იქნა დაკმაყოფილებული: 1944 წლის 6 ივნისს, საღამოს 6 საათზე დე გოლი „ბი-ბი-სი“-ს მძლავრი მიკროფონების პირისპირ დარჩა. მანამდე დე გოლმა უარი თქვა სამხედრო ცენზორისათვის ეჩვენებინა თავისი გამოსვლის ტექსტი და მხოლოდ თარჯიმნებს გააცნო, რათა ეთარგმნათ და, ფრანგულის გარდა, სხვა ენებზეც გაევრცელებინათ. აღელვებული, მაგრამ მტკიცე ხმით, დე გოლი ფრანგებს მოუწოდებდა არავის ბრძანებებს არ დამორჩილებოდნენ, გარდა საფრანგეთის დროებითი მთავრობისა და არც ამერიკელების მიერ დაბეჭდილი ფული ეცნოთ, ვინაიდან ის „ყალბი იყო“. 6 ივნისს ფრანგებმა ერთი-მეორეზე მიყოლებით მოისმინეს ურთიერთგამომრიცხავი ორი მოწოდება: ერთი, რომ დამოჩილებოდნენ მოკავშირეთა სამხედრო ადმინისტრაციას და მეორე, რომ არავის არ დამორჩილე-

ბოდნენ, გარდა საფრანგეთის დროებითი მთავრობისა. მეორე – ეცნოთ თუ არ ეცნოთ ამერიკელების მიერ დაბეჭდილი ფული.

კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო მასშტაბის ტექნიკის კონცენტრაციით მოკავშირეებმა შესძლეს წარმატებით განეხორციელებინათ ნორმანდიაში ზღვიდან შეჭრა. დე გოლმა „ბი-ბი-სი“-ს ეთერში კი გაიმარჯვა, მაგრამ ვალში არც ჩერჩილი დარჩა და ყველაფერი გააკეთა, რათა რაც შეიძლება გვიან მოხვედრილიყო „უმადური“ გენერალი განთავისუფლებულ ფრანგულ მიწაზე. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, როდესაც ყველა რეალური თუ ხელოვნური არგუმენტი ამოწერა ოფიციალურმა ლონდონმა, დე გოლს საშუალება მიეცა ნორმანდიის პატარა პორტ კურსელამდე ჩაეღწია. ინგლისელი გენერალი მონტგომერი თავის პრემიერზე მეტ დიდსულოვნებას ამჟღავნებს ფრანგი კოლეგისადმი და რამდენიმე „ჯიპს“ უთმობს ფრანგებს. პირველი განთავისუფლებული ფრანგი კი, რომელიც დე გოლს ხვდება, სოფლის კიურეა (მღვდელი). მას რადიოთი მოუსმენია გენერლის გამოსვლა და ხელის ჩამორთმევის ნებას სთხოვს. „არა მხოლოდ ხელს ჩამოგართმევთ, მე თქვენ გადაგეხვევით, ბატონო კიურე“ – მოზღვავებულ გრძნობებს ვერ მალავს ჩვეულებრივ უკარება გენერალი. ამავე დროს იგი დიდ დროს არ კარგავს ემოციებზე და მასთან ერთად ჩასულ ფრანგ სამხედროებიდან ნიშნავს ნორმანდიის განთავისუფლებული ნაწილის კომისარსა და სამხედრო ოლქის უფროსს. თავისუფალ საფრანგეთს ფრანგები უნდა მართავდნენ – ეს ბიბლიური ჭეშმარიტებაა დე გოლისათვის, რომელიც განხილვას არ ექვემდებარება.

ლონდონში დაბრუნებული საფრანგეთის დროებითი მთავრობის მეთაურისათვის უცხოა გულღვარძლიანობა. არმან რიშელიესი არ იყოს, მას ხომ არ ჰყავს პირადი მტრები, ხოლო საფრანგეთის ინტერესები კი მოკავშირეებთან დიპლომატიურ თანამშრომლობას საჭიროებს. იგი თავაზიან წერილს წერს ჩერჩილს და უმალვე ღებულობს საპასუხო ბარათს, სადაც პრემიერი საკუთარ მეგობრობას უდასტურებს და იმედს გამოთქვამს, რომ რეზველტთან ურთიერთობაშიც ყველაფერი რიგზე იქნება. ლონდონთან ურთიერთობის დალაგების

შემდეგ გენერალი ჯერ ალჟირში, იქიდან კი იტალიაში მიფრინავს მნიშვნელოვანი დიპლომატიური მისიით. საქმე ის არის, რომ რომის პაპს პიი XII ჯერ არ უცვნია „მებრძოლი საფრანგეთი“ და ისევ „ვიშის მთავრობასთან“ აქვს მჭიდრო ურთიერთობა. გენერალს კი ჰაერივით სჭირდება ფრანგ კათოლიკეთა მხარდაჭერა. საკონსულტაციო ასამბლეამ ალჟირში უკვე გადაწყვიტა ქალებსაც ჰქონოდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ხოლო ფრანგი მანდილოსნები მუდამ წარმოადგენდნენ ქვეყნის მორწმუნეთა მთავარ მასას. დე გოლი ბრწყინვალედ ახერხებს ვატიკანის მხარდაჭერის გარანტირებას (ტყუილად ხომ არ სწავლობდა იეზუიტთა კოლეჯში). მეორე ამოცანაა „თავისუფალი საფრანგეთის“ სამხედრო შენაერთების მონაწილეობა იტალიის განთავისუფლებისათვის დაწყებულ ბრძოლებში. ზღვაში წვეთია დე გოლის არმიასა, ფლოტსა და ავიაციაში მებრძოლი 300 ათასი ფრანგი, მაგრამ აქ მთავარი პოლიტიკური ფაქტორია. საფრანგეთი მებრძოლ გამარჯვებულთა შორის უნდა იყოს, რასაც ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობაში ხმის უფლება და წამყვან სახელმწიფოთა შორის ადგილი უნდა მოჰყვეს. ფრანგული საექსპედიციო კორპუსის ყოველ წარმატებას (მათ შორის თითქმის გადამწყვეტ როლს რომის განთავისუფლებაში) დე გოლი 1940 წლის სირცხვილის ჩამორეცხვად აღიქვამს. 18 ივლისს მას დეპეშით ატყობინებენ ელბიდან, რომ ფრანგებმა გაანთავისუფლეს კუნძული, ხოლო დეპეშას გენერალი დელეტრი პირდაპირ ნაპოლეონის სახლიდან გზავნის. არც დე გოლისთვისაა უცხო ისტორიული სიმბოლიზმი – ელბადან ხომ პირდაპირი გზაა პარიზამდე.

ჭრაჭუნით, უხალისოდ, მაგრამ სასიკეთოდ იცვლებოდა რუზველტის დამოკიდებულებაც: თუ ორი წლის წინ უკვე აეროპორტის გზიდან დააბრუნეს შეთანხმებული ვიზიტით ვაშინგტონში გასაფრენად გამზადებული დე გოლი, ახლა რუზველტმა საკუთარი თვითმფრინავიც კი გაუგზავნა. 1944 წლის ივლისში ამერიკის პრეზიდენტი გულღია მასპინძლის როლში დახვდა საფრანგეთის მომავალ პრეზიდენტს. რუზველტის ხანგრძლივ კარიერაში ძნელად თუ მოიძებნება პრეცედენტი, როდესაც მას რომელიმე მოსაუბრის მოხიბლვა

მოენდომებინა და მიზნისათვის არ მიეღწია. მთლიანობაში არც დე გოლი აღმოჩნდა გამონაკლისი. მთავარი დასკვნა, რაც მან ოვალურ კაბინეტში გამართული მეგობრული (გარეგნულად) საუბრებიდან გამოიტანა, არც თუ სასიამოვნო იყო – „თუ საფრანგეთს სურს დაიკავოს ბველი ადგილი, მას მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს“. რუზველტი კი არ შემცდარა, როდესაც წერდა, რომ იგი „ძალზედ მგრძნობიარეა ყველაფრის მიმართ, რაც კი საფრანგეთის პრესტიჟს შეეხებაო“ და აშკარად ცდებოდა, როდესაც მას ეგოისტად“ მიიჩნევდა. განა დასაძრახია, თუ პოლიტიკოსი არა პირად, არამედ სამშობლოს ინტერესებში ავლენს ეგოიზმს? სწორედ უკანასკნელის შეგრძნება თუ აძლევდა იმხელა შინაგან ძალას „კონეტაბლს“, რომ გარეგნული სიმშვიდით გადაეტანა ყველა გასაჭირი და ბოლომდე ებრძოლა საფრანგეთის ძლევამოსილებისათვის.

ეტყობა, ბევრ რამეში დე გოლმა მაინც დაარწმუნა რუზველტი. ამერიკიდან დაბრუნებულმა შეიტყო, რომ თეთრმა სახლმა სპეციალური დეკლარაციით აღიარა საფრანგეთის განთავისუფლების ეროვნული კომიტეტის უფლება ქვეყნის ადმინისტრაციული მართვის განხორციელებაზე. მართალია ეს ჯერ კიდევ არ იყო სრული აღიარება და დიპლომატიური ცნობა, მაგრამ მთავარი საგარეო ბარიერი მაინც გადალახული იყო. ახლა უკვე საფრანგეთში ელოდა უტეხ პატრიოტს თანამემამულეთა ვიწროპარტიული და მართლაც პიროვნულ ეგოისტებთან უკომპრომისო ბრძოლა, რაც განსაკუთრებით მტკივნეული უნდა ყოფილიყო მისი მგრძნობიარე ბუნებისათვის, ვინაიდან თანამემამულეთა უმადურობაა ყველაზე მძიმედ გადასატანია ნებისმიერი ჭეშმარიტი პატრიოტისათვის...

... საკუთარი ხალხის მსხვერპლად იქცა ომის შემდგომ პირველსავე არჩევნებში დე გოლის დიდი ინგლისელი თანამედროვეც: ჩერჩილის ყველა ბიოგრაფი ამტკიცებს, რომ ოჯახის წევრებით დაწყებული და ახლო მეგობრებით დამთავრებული, ყველა ერთხმად ურჩევდა მას მონაწილეობა არ მიეღო 1945 წლის არჩევნებში. ან კი რა ძალა ედგა ომის დამთავრებამდე დაენიშნა არჩევნები? იაპონია ჯერ კიდევ დაუმარცხებელი იყო. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშიც არ იყო

ჩამქრალი ომის ყველა კერა. ჩანს, იმდენად იყო დარწმუნებული, რომ ინგლისელები სხვას არ ანდობდნენ მისი აქტიური მონაწილეობით მოგებული ომის საზავო პირობების გამომუშავებას, რომ აზრად არ მოსვლია თუ ლეიბორისტების უღიმღამო ლიდერ კლემენტ ეტლიზე გაცვლიდნენ მშობლიური კუნძულის გადამრჩენს. შეცდა, გაცვალეს. მოხდა ისე, რომ ბრწყინვალე სტრატეგმა ტაქტიკური შეცდომა დაუშვა წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში, როდესაც ძირითადი აქცენტი ომის შემდგომი ევროპისა და მსოფლიოს მოწყობაზე იყო გადატანილი, ხოლო სოციალ-ეკონომიკურ პრობლემებს შედარებით ნაკლები ყურადღება დაუთმო. ლეიბორისტებმა კი სწორედ სოციალური ფრონტიდან მიიტანეს გენერალური იერიში კონსერვატორებზე. გამაჩანაგებელი ომის შემდეგ, რიგით ამომრჩევლებს გამარჯვებული კომუნიზმის საფრთხეზე მეტად სამუშაო ადგილები და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება აწუხებდათ და ლეიბორისტებს მიანდეს მათი ყოველდღიური პრობლემების გადაჭრა. მართლაც, რომ ჯოჯოხეთურად რთულია წინა საარჩევნო დაპირებების ცდუნებას გაუძლოს გაჭირებულმა ელექტორატმა. კი იყო შეუსრულებლად გულუხვი თავის დაპირებებში ეტლი, არჩევნებიც მოიგო და ჩერჩილის სავარძელიც მოირგო, მაგრამ მხოლოდ უახლოეს არჩევნებამდე, ერთი ვადით. ძვირად დაუჯდათ ლეიბორისტებს ამომრჩევლების მოტყუება და კარგა ხნით გამოეთხოვნენ კიდეც ხელისუფლებას. არსებობს კი ისტორიული კანონზომიერება? თუ პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დანიშნულ (ომის გამო ვადაგადაცილებულ) არჩევნებში ლოიდ-ჯორჯმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა, რამაც საგრძნობლად გაამყარა მისი პოზიციები ვერსალის კონფერენციაზე, ხოლო ერთერთზე ანალოგიურ სიტუაციაში კი, 1945 წელს, ძირითადად თითქმის იმავე თაობის ინგლისელებმა უარი უთხრეს ლოიდ-ჯორჯზე 10-ჯერ და ასჯერ მეტად დამსახურებულ ლიდერს ნდობის მანდატზე? მთელ ინგლისზე რომ არაფერი ვთქვათ, ლონდონელებმა ხომ მშვენივრად იცოდნენ, თუ რა მშვიდი სიმტკიცით და გამარჯვების ურყევი რწმენით მართავდა ქვეყანას პრემიერი საბედისწერო პერიოდში, როდესაც მისი მეთაურობით მარტონი ებრძოდნენ ჰიტლერის ძლევა-

მოსილ არმიებს. იმ საშინელ დღეებში ბევრჯერ უნახავთ იგი ლონდონის ქუჩებში ლიუფტვაფეს დაბომბვების შემდეგ. დაბომბვებშიც კი მოჰყვა რამდენჯერმე. სწორედ „ინგლისისათვის ბრძოლის“ პერიოდში გამოვლინდა სრული მასშტაბით ჩერჩილის დიპლომატიური ნიჭი, როდესაც ნულიდან დაიწყო ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა. ომის წლებში ჩავარდნების გარეშე მუშაობდა ბრიტანეთის საგარეო დაზვერვა „მი-6“, რომელსაც უშუალოდ პრემიერი ხელმძღვანელობდა. ამის შედეგი იყო, რომ ჩერჩილმა ზუსტად იცოდა სტალინისა და ჰიტლერის ფლირტის ყველა დეტალი და „შეურიგებელი პარტნიორების“ პირადი განწყობები. უშეცდომო დიპლომატიური გათვლებითა და სვლებით თვით სტალინისთვისაც კი შეუმჩნევლად ამზადებდა ინგლის-საბჭოთა გარდაუვალი კავშირისათვის ხელსაყრელ პირობებს. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ადრე თუ გვიან ჰიტლერი საბჭოთა კავშირისთვისაც „მოიცლიდა“, თუნდაც „სასიცოცხლო სივრცის დეფიციტის“ გამო.

ჩვეულებრივ არავის აინტერესებს, თანაპარტიელებისა თუ ახლობლების გარდა, შეიძლება არც არავინ იცის, თუ რითი არიან დაკავებულნი არჩევნების შუა პერიოდებში დამარცხებული პარტიების ლიდერები. აი, ჩერჩილის „უმუშევრობის“ პერიოდი კი ფართოდ არის გაშუქებული მისი ბიოგრაფების მიერ: არჩევნებში დამარცხების შემდეგ, თავისი ძველი ჰობი – მწერლობა გაიხსენა და რამდენიმე მხატვრული და დოკუმენტური ნაშრომი შექმნა. ექვსტომეულმა - „მეორე მსოფლიო ომმა“ – მას ნობელის პრემია მოუტანა ლიტერატურის დარგში. თანაც საინტერესო დეტალი – პრემიაზე მისი კონკურენტი საქვეყნოდ ცნობილი და აღიარებული ჰემინგუეი იყო (მან მომდევნო წელს მიიღო ნობელის პრემია). კიდევ ერთი ბედის ირონია: მსოფლიო დონის პროფესიონალ მწერალთან ჯიდილში გაიმარჯვა დიდმა პოლიტიკოსმა, რომელიც რამდენიმე წლის წინ „საკუთარ მოედანზე“ დამარცხდა კონკურსში ძალზე და ძალზე საშუალო დონის კოლეგასთან.

1951 წელს 76 წლის ასაკში ჩერჩილი კვლავ ხდება ბრიტანეთის პრემიერი. ქვეყნის სათავეში ყოფნის მთელი ოთხი წლის მანძილზე

ორ თითქოს გამომრიცხავ მიზანს შეალია მან მთელი თავისი დიპლომატიური გამოცდილება და უნარი: გერმანიის სამხედრო სიძლიერის აღდგენას და საბჭოთა კავშირთან მშვიდობიან თანაარსებობას. მიუხედავად იმისა, რომ „მეორედ მოსვლის“ პერიოდში მან ორჯერ გადაიტანა ინსულტი, არც საღი აზროვნების უნარი და არც საფირმო ენერგია არ დაუკარგავს. როგორც ჟურნალ „ჰისტორი თუდეის“ რედაქტორი, ალან ჰოჯი, 1953 წელს ჩერჩილთან შეხვედრის შემდეგ თავის დღიურში წერდა, „გასაოცრად ნათელი იყო პრემიერის გონება“. ამავე პერიოდში კაბინეტმა პირველად განიხილა ნასერის წინააღმდეგ ძალოვანი ზეწოლის ვარიანტი. ჩერჩილი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ძალის გამოყენების და კოლეგებს შესაძლო სერიოზულ საერთაშორისო გართულებებზე მიუთითებდა. სამი წლის შემდეგ სწორედ მისი წინასწარმეტყველების დაუფიქრებელ იგნორირებას შეეწირა ენტონი იდენის მთავრობა.

მთელი 1953 წლის შემოდგომა მოანდომა ჩერჩილმა ეიზენჰაუერის დაყოლიებას ჯერ სამეულის (ლონდონი-პარიზი-ვაშინგტონი), შემდეგ კი ოთხეულის (მოსკოვის დამატებით) შეხვედრაზე. საჭირო იყო თანამემამულეთა და კაბინეტში კოლეგების მხარდაჭერაზე ზრუნვაც, მით უმეტეს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ენტონი იდენი, მისი იდეის მომხრეთა შორის არ ითვლებოდა. 20 ოქტომბერს, ავადმყოფობის შემდეგ ჩერჩილი პირველად უნდა გამოსულიყო პარლამენტში პრემიერ-მინისტრთან ტრადიციულ ერთსაათიან შეკითხვებზე. სწორედ იმ დღეებში გაიგო, რომ მას ნობელის პრემია მიენიჭა. ადრე დიპლომატიური არხებით კი ჰქონდათ პრემიის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებს კონტაქტები მასტან და ვინაიდან დიდი ალბათობით იგი უარს იტყოდა მშვიდობის დარგში პრემიაზე (მთელი სიცოცხლე ომებში იყო), კომიტეტს აინტერესებდა მისი აზრი ლიტერატურის დარგში პრემიაზე. ჩერჩილმა სიამოვნებით მიიღო შეთავაზება.

ვინაიდან პარლამენტის წევრთა დიდ უმრავლესობას წარმოდგენა არ ჰქონდა პრემიერის მიერ გადატანილ მძიმე ავადმყოფობაზე, ბევრს არც გაჰკვირვებია მისი გამოსვლა: „ბრწყინვალე, აღსავსე ცულლუტო-

ბითა და მომხიბვლელობით, სიბრძნითა და ენერგიით... ეს იყო უმაღლესი კლასის ოლიმპიური სპექტაკლი, რომელსაც ჩვენ ვეღარასოდეს ვიხილავთ, არც მისგან და არც სხვა ვინმესაგან. ამ კეთილშობილ საკრებულოში 18-წლიანი ყოფნისას, მე არაფერი არ მომისმენია ისეთი“ – თავის დღიურში წერდა თემთა პალატის ძველი წევრი ჩენონი. სხვები კი იხსენებდნენ, რომ გამოსვლის შემდეგ ჩერჩილი ორი საათი იჯდა მოსაწევ ოთახში, ეწეოდა სიგარას, ყლუპავდა ვისკის, ღებულობდა მილოცვებს და „ბრწყინავდა როგორც სკოლის მოსწავლე“. ყველაზე მეტად გაოცებული კი, ალბათ, მისი პირადი ექიმი, ლორდი მორანი იყო, რომელსაც მის კოლეგებთან ერთად სულ რაღაც ორი თვის წინ სჯეროდა, რომ მისი პაციენტი ვეღარასოდეს შესძლებდა პარლამენტის ტრიბუნასთან დგომას. „ეს უკანასკნელი ბარიერია, ახლა უკვე შეიძლება ვიფიქროთ მოსკოვზე“ – ოპტიმიზმით გაენდო იგი მორანს.

მოსკოვამდე კი აუცილებელი იყო ამერიკელებთან და ფრანგებთან შეხვედრა. პარლამენტში ტრიუმფიდან ორი დღეც არ იყო გასული, რომ ჩერჩილმა მეორედ დაპატიჟა ეიზენჰაუერი ბერმუდის კუნძულებზე. გადაწყდა 4 დეკემბერს, 4 დღით შეკრებილიყვნენ დასავლელი მოკავშირეები კონფერენციაზე, სადაც დღის წესრიგის მთავარი საკითხი „რუსეთთან ურთიერთობები“ იქნებოდა. მოსკოვში ბრიტანეთის საელჩოს დაევალა დიალოგის მოსინჯვა, თუ როგორ შეხვდებოდნენ რუსები „დეტანტის“ (განმუხტვის) იდეას. მოსკოვში ინგლისის ახალი ელჩის უილიამ ჰეიტერის დეპეშა არც თუ დამაიმედებელი აღმოჩნდა: კრემლი მახრჩობელა გველისა და ბაჭიას ურთიერთობად განიხილავს მშვიდობიან თანაარსებობასო, – იუწყებოდა ელჩი. სხვა ვინმეს, ალბათ, საგონებელში ჩააგდებდა მოსკოვის პოზიცია, მაგრამ არა ჩერჩილს. პირველ დეკემბერს (წინა დღეს მან დაბადებიდან 79-ე წლისთავი აღნიშნა) ბერმუდზე გაფრინდა. მართლაც რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მისთვის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების ნორმალიზაციას, რომ მისი ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის იგნორირებით, 18-საათიან რთულ გადაფრენასაც კი არ შეუშინდა. ჩანს, ამითაც განსხვავდებოდა იგი როგორც თანამემამულეებისგან, ასევე თანამედროვეებისაგან. ბერმუდზე ჩაფრინდნენ

საფრანგეთის ახალი პრემიერი ჟოზეფ ლანელემი, საგარეო საქმეთა მინისტრი ჟორჟ ბიდო და ამერიკის პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი სახელმწიფო მდივან ჯონ დალესთან ერთად. შეხვედრისთანავე პრეზიდენტმა კერძო საუბარში გაუმხილა ჩერჩილს თავისი გადაწყვეტილება, რომ თუ კორეიში კომუნისტები შეუნებულად დაარღვევდნენ ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმებას, ამერიკა ბირთვულ იარაღს გამოიყენებდა მათ წინააღმდეგ, რაზეც ჩერჩილი დაეთანხმა.

კონფერენციის პირველსავე პლენარულ სხდომაზე ბიდომ ეჭვი გამოთქვა, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ მოსკოვში საერთაშორისო მოვლენათა „ახალი ხედვა“ გაჩნდა. ჩერჩილის აზრით, შეცდომა იქნებოდა გამარტივებული მიდგომებისა და არსებული სტერეოტიპების ტყვეობაში ყოფნა: „არ მჯერა, რომ ადამიანთა მოდგმის ასეთი მძლავრი განშტოებიდან არაფერს არ უნდა ველოდეთ, გარდა ბოროტებისა“.

რაც შეეხებოდა ეიზენჰაუერის მთავარ იდეას, რის გულისთვისაც (როგორც გაირკვა) იგი ბერმუდზე ჩავიდა – ატომურ ენერგიაზე საერთაშორისო კონტროლის დაწესებას, ამ საკითხში მან კონფერენციის მონაწილეთა სრული მხარდაჭერა მიიღო.

კონფერენციაზე დიდი დრო დაუთმო ევროპის კოლექტიური უსაფრთხოების პრობლემას. ჩერჩილი მთელი თავისი დიპლომატიური მჭერმეტყველებით ცდილობდა ფრანგების დარწმუნებას, რომ გერმანიის სამხედრო კონტინგენტი აუცილებლად უნდა ქცეულიყო დასავლეთ ევროპის თავდაცვის განუყოფელ კომპონენტად. მწარე ისტორიულ მეხსიერება შემორჩენილი ბიდო ემოციური კატეგორიულობით ალაპარაკდა ტერიტორიულ საკითხში არსებულ ფრანგულ-გერმანულ წინააღმდეგობებზე. ფრანგებს ისევ და ისევ საარის ოლქზე (საარლანდზე) ეჭირათ თვალი. კონფერენციის მასალებში დაფიქსირებულია, თუ როგორ „ემუდარებოდა“ ჩერჩილი ბიდოსა და მის პრემიერს „საარის ველის რამდენიმე მინდვრისათვის არ გადაეყოლებინათ დიდი კონსტრუქცია“. მისი რწმენით, სავსებით განიარაღებული გერმანია ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა რუსეთის ხელში აღმოჩენილიყო.

ჩერჩილმა ვერც ეიზენჰაუერი დაარწმუნა სუეცის არხის ზონის ერთობლივი პატრულირების ეფექტურობაში. პრეზიდენტი თავისი რწმენის ერთგული დარჩა საბჭოთა კავშირთან უმაღლეს დონეზე შეხვედრის საკითხშიც: რუსებთან შეხვედრას არაფერი არ მოჰყვება, გარდა კრემლის პროპაგანდისტული გამარჯობისო, – ჯიუტად იმეორებდა ეიზენჰაუერი დალესის აქტიური მხარდაჭერით. ჩერჩილი მწარედ იმედგაცრუებული დარჩა თავის ყველა მოლოდინში. მერვე ათწლეულს მიღწეულმა, მძიმედ ნაავადმყოფარმა ბრიტანეთის პრემიერმა არაფრად ჩააგდო საკუთარი ჯანმრთელობა, შორეულ ბერმუდაზე ჩავიდა, მაგრამ როგორც გაირკვა, უშედეგოდ.

1954 წლის 3 თებერვალს, მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე ჩერჩილმა პირველად ახსენა პრობლემა, რომელსაც იგი უკვე ხედავდა ჰორიზონტზე – თანამეგობრობის ქვეყნებიდან შეუზღუდავი და მასობრივი იმიგრაცია. მისი აზრით, საჭირო იყო ფიქრი იმიგრაციის შეზღუდვის იურიდიულ ბერკეტებზე. თებერვალშივე პრესა მის მოსალოდნელ გადადგომაზე ალაპარაკდა. მოულოდნელი იყო მისთვის ომში მოკავშირე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის შეხვედრის შედეგიც, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდა: რუსების სიჯიუტემ და არაკონსტრუქციულმა პოზიციამ შეხვედრის ფაქტიური ფიასკო განაპირობა. და მაინც, მიუხედავად ყოველივე ამისა, იგი იმედს არ კარგავს და პარლამენტში გამოსვლისას „მოთმინებას“ ურჩევს კოლეგებს და იქვე დასძენს, რომ 10-წლიანი „ცივი ომიც“ კი იმ კოშმარზე უკეთესია, რაც ახალ ომს შეიძლება მოჰყვეს. ამავე დროს არსებითი და პრინციპული განსხვავებაა მისსა და ჩემბერლენის მშვიდობის მოყვარეობის შორის: „მშვიდობა – ჩვენი მიზანია, ძალა – მისი მიღწევის ერთადერთი საშუალება“, - აი მისი ლოზუნგი. ანუ მშვიდობა ძალის პოზიციიდან. განა თითქმის იგივე ლოზუნგით არ მოქმედებდა სამი ათეული წლის შემდეგ პრეზიდენტი რონალდ რეიგანი? პრობლემა მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ისევე როგორც 20 წლის წინ, ამჯერადაც ჩერჩილი თანამედროვეებზე შორს იყურებოდა.

იმედგაცრუებათა მთელმა კასკადმა ოდნავაც ვერ შეარყია ჩერჩილის რწმენა მისი გეგმის რეალობასთან მიმართებაში. ისევე დაუშრეტელად გამოიყურებოდა მისი ცხოვრებისეული ენერგია, რაც სულ უფრო და უფრო აოცებდა მის პირად ექიმ მორანს: „ეს გასაოცარი ქმნილება არანაირ კანონებს არ ემორჩილება და არანაირ წესებს არ ცნობსო“, – წერდა თავის დღიურში ექიმი. მართლაც, ჩერჩილის უკომპრომისო მიზანსწრაფვის მქონე ადამიანს თუ შეეძლო ხელი არ აეღო თითქოს უკვე სამუდამოდ განწირულ ცდებზე უმაღლეს დონეზე შეხვედრის აუცილებლობაში დაერწმუნებინა ეიზენჰაუერი. ბრიტანეთის პრემიერის მორიგი იდეაა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის გაფართოება, რაზეც ეიზენჰაუერი პასუხობს, რომ არავითარი სურვილი არა აქვს რუსეთი ახეიროს დასავლეთის ეკონომიკური სიძლიერით. ჩერჩილი მეტი ენერგიითა და ინტენსიურობით „ბომბავს“ ვაშინგტონს დეპეშებით, რაც უკვე კაბინეტშიც უქმნის მას პრობლემებს: ენტონი იდენი აშკარად გრძნობს, რომ პრაქტიკულად იგნორირებულია მისი როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის როლი. ქვეყნის ისტორიაში ყველაზე რთულ წლებში, მთელი ათი წლის მანძილზე, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი და ჩერჩილის გვერდით დგომა შეიძლება სამართლიანადაც აძლევდა ენტონი იდენს იმის საფუძველს, რომ უალტერნატივო კანდიდატად ეგრძნო თავი, როგორც კი „ბებერი ლომი“ პრემიერის სავარძელს დათმობდა. გარდა ამისა, გლადსტონის შემდეგ ბრიტანეთს საერთოდ არ ჰყოლია ასეთი ხანდაზმული პრემიერი. უკანასკნელი კი პერმანენტულ რეჟიმში ამტკიცებდა, რომ ხმები მის „ბებრულ მარაზმზე“ გადაჭარბებული იყო. როდესაც 1954 წლის აპრილში ეიზენჰაუერმა თავისი პირადი წარმომადგენელი, ადმირალი რედფორდი მიავლინა ლონდონში, რათა პრემიერი დაერწმუნებინა მონაწილეობა მიეღო ინდოჩინეთის ომში, ჩერჩილმა წინასწარმეტყველურად აუხსნა პრეზიდენტის ემისარს, რომ სტრატეგიული შეცდომა იყო „მსოფლიოს გარეუბნებში“ რუსებთან დაპირისპირება, სადაც ისინი დასავლეთზე ძლიერები იყვნენ. ჩერჩილს კვლავ სწამდა, რომ საბჭოთა კავშირთან კორეაში და ინდოჩინეთში ომის ნაცვლად „ცენტრში მოლაპარაკებები“ იყო საჭი-

რო. ამ მოლაპარაკებებით უნდა დარწმუნებულიყო მოსკოვი დასავლეთთან კონფრონტაციას უპერსპექტიობაში. ივნისში კი ჩერჩილი უკვე ვაშინგტონში ვიზიტისათვის ემზადებოდა, სადაც ეიზენჰაუერთან ერთად ატომური ენერგიის მშვიდობიან მიზნებში გამოყენების პერსპექტივები უნდა განეხილა. რატომღაც იდენმა გადაწყვიტა, რომ ხელსაყრელი მომენტი დადგა, რათა გადადგომის დაპირება გამოეძალა პრემიერისათვის და 7 ივნისს წერილით მოსთხოვა ვაშინგტონიდან დაბრუნების შემდეგ დაეტოებინა პოსტი. „ჩემო ძვირფასო ენტონი, არ შემიძლია იმის გაკეთება, რასაც თქვენ მთხოვთ“ – „თბილი“ და ლაკონური იყო პასუხი. როდესაც ჩერჩილი აცხადებდა, რომ ის ღრმად იყო შეწუხებული დაძაბული საერთაშორისო მდგომარეობით და ნაკისრი ვალდებულების ღალატად მიაჩნდა მთელი თავისი გავლენისა და შესაძლებლობების გამოყენების გარეშე მიეტოვებინა დაკავებული თანამდებობა, არავის არ ეპარებოდა ეჭვი მის ერთგულებაში. იდენის დასამშვიდებლად კი მან კონფიდენციალურად აცნობა სულწასულ მინისტრს, რომ საშემოდგომოდ გეგმავდა გადადგომას.

ვაშინგტონის აეროპორტში ჩერჩილს დალესი და ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი დახვდნენ. სავარაუდოდ, ყველაფერს ელოდა იგი ეიზენჰაუერიდან პირველსავე შეხვედრისას, გარდა საბჭოთა ხელმძღვანელებთან უმაღლეს დონეზე შეხვედრის თაობაზე თანხმობას, თანაც ისე, რომ თავად პრეზიდენტმა წამოჭრა საკითხი. ადგილზე სიტუაციაში გასარკვევად და შეხვედრის შესამზადებლად ჩერჩილმა პირადად ისურვა მოსკოვში ჩასვლა, რაზეც ეიზენჰაუერი დათანხმდა, მით უმეტეს, რომ თავად არსად აპირებდა ჩასვლას, „სადაც საბჭოები ბატონობდნენ“. უმაღლეს დონეზე შეხვედრის სავარაუდო ადგილად ნეიტრალური სტოკჰოლმი და ლონდონი დასახელდა. პარალელურად ბრიტანეთის პრემიერი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე ზრუნვას: ჯერ კიდევ ვაშინგტონში გამგზავრებამდე მთავრობის თავდაცვის კომიტეტმა საიდუმლო გადაწყვეტილება მიიღო საკუთარი წყლბადის ბომბის შექმნაზე, რაზეც საქმის კურსში ჩააყენეს ამერიკის პრეზიდენტი. ვაშინგტონში იმ სა-

კითხებზე ილაპარაკეს, რაც „ბომბების ტრანსპორტირების გამარტივებასთან“ იყო დაკავშირებული.

26 ივლისს ჩერჩილი ამერიკის წამყვან სენატორებსა და კონგრესმენებს შეხვდა. „კომუნისტები ტირანები არიან, მაგრამ სჯობს მათთან სასაუბროდ შეხვედრა, ვიდრე საომრად“, – ასეთი იყო გამოსვლის მთავარი თეზა. პრემიერის პოზიციას კატეგორიულად არ იზიარებდა ჯონ დალესი, რომელიც დაუფარავი ეჭვითა და უნდობლობიტ უყურებდა მის დიპლომატიურ ინიციატივას. მიუხედავად ჩერჩილის მიერ მიცემული პირობისა, დალესი მაინც შიშობდა, რომ მოსკოვში იგი შეიძლება ამერიკასა და რუსეთს შორის შუამავლის როლში გამოსულიყო და რაიმე საერთო ვალდებულება ეკისრა. სტუმრის ჯენტლმენური თავაზიანობა აიძულებდა ჩერჩილს ბოლომდე აეტანა ფანატიკოსი ანტიკომუნისტი სახელმწიფო მდივნის ჯონ ფოსტერ დალესის ზომაგადასული დამზღვევი ბარიერები, თორემ ლონდონსა და ვაშინგტონშიც კარგად იყო ცნობილი ამერიკის ნომერი პირველი დიპლომატის მისამართით არსებული მისი მძაფრი პიროვნული ანტიპატია.

ხომალდ „კუინ ელისაბედით“ ინგლისისაკენ ერთობლივი მგზავრობა ენტონი იდენმა პრემიერის გადადგომაზე დასარწმუნებლად გამოიყენა. ჩერჩილი გაპრემიერების ლოდინით გადაღლილ საგარეო საქმეთა მინისტრს შეპირდა, რომ აგვისტოში მოსკოვში ვიზიტის შემდეგ, 21 სექტემბერს, იდენი სანუკვარ სავარძელს ეღირსებოდა. მანამდე კი სასწრაფოდ აცნობეს ვიაჩესლავ მოლოტოვს, რომ ბრიტანეთის პრემიერს სურს საბჭოთა ლიდერებთან შეხვედრა, რომელიც შემდგომი „ფართო შეთანხმების პრელუდიად“ უნდა ქცეულიყო. სანახევროდ ირონიული იყო ეიზენჰაუერის რეპლიკა, როდესაც მას მოსკოვში გაგზავნილ დეპეშაზე აცნობა ჩერჩილმა: „თქვენ ფუჭად არ კარგავთ დროს!“. იდენმა კი მიიღო მისთვის უკვე ოცნებად ქცეული დაპირება, მაგრამ მაინც უკმაყოფილო იყო პრემიერის ოპერატიულობით, რომელმაც ხომალდიდან გაგზავნა დეპეშა მოსკოვში ისე, რომ კაბინეტის აზრით არ დაინტერესებულა და მთავარ მინისტრებთან არ უთათბირია. გადაწყდა, კაბინეტისადმი დიპლომატიური რევერანსის

სახით გემიდან კიდევ ერთი დეპეშა გაეგზავნათ და მინისტრებისათვის ლონდონში და ვაშინგტონში უკვე მიღებული გადაწყვეტილება ეცნობებინათ. გემზევე მიიღეს ფინანსთა მინისტრ ბატლერის პასუხი, რომელიც „პრინციპში“ იწონებდა პრემიერის მომავალ დიპლომატიურ მისიას.

ლონდონში ჩერჩილმა წყალბადის ბომბის შექმნის გადაწყვეტილება გაუმხილა მინისტრებს. პრემიერის აზრით, ბომბი მშვიდობის „საუკეთესო გარანტად“ უნდა ქცეულიყო, რათა ნებისმიერ პოტენციურ აგრესორს სცოდნოდა, რომ ვერსად დაემალებოდა „გამანადგურებელ შურისგებას“. კაბინეტი სრულ სოლიდარობას ავლენდა პრემიერის მიმართ და თითქოს აღარაფერს აღარ უნდა შეეშალა ხელი სერ უინსტონის უკანასკნელი დიდი დიპლომატიური ტრიუმფისათვის, მაგრამ 8 ივნისს, მოწმენდილ ცაზე საავდრო ღრუბლად იქცა კაბინეტის სხდომა: მოულოდნელად გაირკვა, რომ ყველა მინისტრი როდი უჭერდა მხარს მოსკოვში ვიზიტის იდეას. უმრავლესობა შეურაცხყოფილადაც კი გრძნობდა თავს იმის გამო, რომ მათთან კონსულტაციის გარეშე იქნა მიღებული ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ვიზიტზე აზრი შეიცვალა ბატლერმაც. ჩერჩილი მაინც არ აპირებდა დანებებას და მინისტრებს შეახსენა, რომ ვიზიტზე უარი არასწორად შეიძლებოდა აღექვა ეიზენჰაუერს. არგუმენტმა გაჭრა – გადაწყდა დამატებითი კონსულტაციები ჩატარებულიყო ამერიკის პრეზიდენტთან. პრმიერი მაინც იძულებული იყო ბრიტანელი კოლეგების აზრიც გაეთვალისწინებინა და უმაღლეს დონეზე შეხვედრის ახალი ფორმატი შესთავაზა კაბინეტს: „მოსკოვში ვიზიტის გარეშე პირდაპირი სამმხრივი შეხვედრა ევროპის რომელიმე დედაქალაქში“. რეალისტურად აფასებდა რა სიტუაციას, იგი არც იმას გამორიცხავდა, რომ რუსები მხოლოდ მოსკოვში შეხვედრაზე დათანხმდებოდნენ, ან დიპლომატიის გამოყენებით შეეცდებოდნენ ბზარი შეეტანათ ვაშინგტონ-ლონდონის ტანდემში. არც ის იყო გამორიცხული, რომ თავად ქცეულიყო „სახარჯო მასალად“ (როგორც თვითონ ამბობდა), მაგრამ ყველაფერზე იყო წამსვლელი საკუთარი გედის სიმღერის ინტერესებში.

ენტონი იდენი და მთელი კაბინეტი კი ყოველნაირად ცდილობდნენ პრემიერის იდეის დისკრედიტაციას. განსაკუთრებით იდენი აქტიუროზდა, რომელიც შიშობდა, რომ შეხვედრის მომზადებისა და ჩატარებისათვის სამზადისს შეიძლება პრემიერის გადადგომის თარიღი გადაეწია. იდენი მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარით აშინებდა მინისტრებს: რუსებს შეეძლოთ გაერთიანებული გერმანიის ნატოში გაწევრიანებისა და ალიანსის წევრთა გაზრდის (საბჭოთა კავშირის ჩათვლთ) საკითხი წამოეჭრათ ან კიდევ შეხვედრაში ჩინეთის ჩართვაც მოეთხოვათ. 16 ივლისს შიდა ოპოზიციამ „მძიმე არტილერია“ – ლედი კლემენტინა ჩერჩილი ჩართო საქმეში: მაკმილანი პრემიერის მეუღლეს ეწვია და მეგობრულად აუხსნა საქმის ვითარება: ზოგიერთი უფროსი მინისტრი ანტიკონსტიტუციურადაც კი აფასებდა კაბინეტთან შეუთანხმებლად მოლოტოვისთვის გემიდან გაგზავნილი დეპეშის ფაქტს. კონკრეტულად კი კაბინეტი „განხეთქილების ზღვარზე“ იმყოფებოდა. საბოლოო ჯამში ჩერჩილი იძულებული გახდა ხელი აეღო თავის იდეაზე და მომავალ თაობათა სპეციალისტების სამსჯავროზე თუ სადაოდ დაეტოვებინა „ცივი ომის“ ყველაზე „ცხელ“ პერიოდში, დაპირისპირებულ მხარეთა შორის უმაღლეს დონეზე შეხვედრის პერსპექტივები. პრემიერისათვის სევდიანი ივლისის უკანასკნელ დღეებში მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თავის კოლეგებზე მთელი თავით (შეიძლება ორითაც!) მაღლა იდგა. საქმე კი შემდეგში იყო: 29 ივლისს, თემთა პალატაში კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს იმ დღეებში სუეცის არხის ზონიდან ბრიტანეთს ჯარის გამოყვანის თაობაზე ეგვიპტესთან გაფორმებული ხელშეკრულება. ჩერჩილმა პარლამენტარებს მოუწოდა ფართო პერსპექტივაში განეხილათ ჯარების გამოყვანის ფაქტი. პრემიერი კოლეგებზე გაცილებით შორს იყურებოდა და გამალ აბდელ ნასერის მიერ ინსპირირებული ანტიკოლონიალიზმისა და არაბული ნაციონალიზმის გაძლიერების გათვალისწინებით შეუმცდარად ხედავდა რეგიონში ტრადიციული ბრიტანული პოლიტიკის გაგრძელების რეალურ საფრთხეებს. ინგლისელი მინისტრებისათვის გაკვეთილად არ იქცა „ფრანგული“ კატასტროფა ინდოჩინეთში, ჩერჩილი კი ინგლისური

ანალოგიისაგან დაზღვევაზე ზრუნავდა. პრემიერი იმასაც გრძნობდა, რომ თუ იდენი მოახლოებულ არჩევნებამდე ვერ მოითმენდა და მის მიერ დატოვებულ, მის სტილს შეჩვეულ მთავრობას ჩაუდგებოდა სათავეში, გარანტირებული ექნებოდა წარუმატებლობა. მაკმილანთან საუბარში ისტორიაც მოიშველია: მიუხედავად მაღალი პირადი ღირსებებისა, გლადსტონისა და სოლსბერის უხეირო მემკვიდრეები გამოდგნენ ლორდი როზბერი და ბალფური. საყოველთაო არჩევნები 1955 წლის ნოემბერში იყო დანიშნული და იდენისათვის უკეთესი იქნებოდა არჩევნებში გამარჯვების შემდეგ შეედგინა თავისი კაბინეტი.

30 ნოემბერს ჩერჩილს 80 წელი შეუსრულდა. გლადსტონის შემდეგ ამ ასაკის პრემიერი არ ჰყოლია დიდ ბრიტანეთს. მის გარდა არც ერთი მისი კოლეგა პარლამენტარი არ გამხდარა თემთა პალატის წევრი ჯერ კიდევ დედოფალ ვიქტორიას ხანაში. იუბილარს პარლამენტმა ცნობილი მხატვრის გრეჰემ საზერლენდის მიერ შესრულებული მისი პორტრეტი გადასცა, რომელიც მას არ მოსწონდა და მისი გარდაცვალების შემდეგ მეუღლემ დაწვა. ეიზენჰაუერის მილოცვის საპასუხო წერილში ჩერჩილი უკვე მერამდენედ მიუბრუნდა უმაღლეს დონეზე შეხვედრის იდეას: „კვლავ ვიმედოვნებ, რომ ჩვენ შევძლებთ უმაღლეს დონეზე შეხვედრის ჩატარებას“. მართლაც, რომ ამ გამორჩეული ადამიანის ბუნებაში არ იყო მარცხთან შეგუება.

21 დეკემბერს იდენი ეწვია დაუნინგსტრიტზე პრემიერს უკვე ზომაგადასულად მომაბეზრებელი თხოვნით – საწრაფოდ დაესახელებინა გადადგომის თარიღი. ჩერჩილმა მხოლოდ შესაძლებელ თარიღად მომავალი წლის ივნის-ივლისი დაასახელა, ისიც ყოველგვარი გარანტიის გარეშე. 1955 წლის დასაწყისში მან თავისთვის მიიღო გადაწყვეტილება პარლამენტის სააღდგომო არდადეგების დაწყების მომენტში გადამდგარიყო, ანუ 7 აპრილს, თუმცა არავის არ აცნობა თავისი გადაწყვეტილება. მის კრეატიულად მოუსვენარ გონებაში კი ახალი პროექტები იბადებოდა – ამჯერად ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში ისრაელის შეყვანის იდეით წამოიწყო. პარალელურად კი ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს დაბეჯითებით მოუწოდებდა მთელ აზიაში მისაბაძ მაგალითად ექცია თავისი ქვეყანა. 8

მარტს კი, როდესაც პრემიერი იდენთან ერთად ვახშმობდა თავის რეზიდენციაში, თავისი გადადგომის „უკანასკნელი“ და „შეუცვლელი“ თარიღი – 5 აპრილი დაუსახელა „კრონ-პრინცს“. სამი დღის შემდეგ კი ეიზენჰაუერი მას და ადენაუერს 8 მაისს პარიზში შეხვედრას სთავაზობს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან მეათე წლისთავის აღსანიშნავად. ლონდონში ამერიკის ელჩი კონფიდენციალურად ატყობინებს ჩერჩილს, რომ პრეზიდენტს სურს გააცნოს „რუსებთან შეხვედრის გეგმა, რათა მოიხსნას დაძაბულობა და შემცირდეს ომის საფრთხე“. ამერიკის პრეზიდენტი თითქოს ახალ შანსს აძლევს ჩერჩილის აუხდენელ ოცნებას, მაგრამ 8 მაისს ხომ ის უკვე თემთა პალატის რიგითი წევრი იქნება? და ჩერჩილიც ბევრი ფიქრის გარეშე ატყობინებს იდენს, რომ „ახალი გარემოების“ გამო მას უკან მიაქვს თავისი გადაწყვეტილება აპრილში გადადგომაზე.

13 მარტს დაუნინგ-სტრიტზე მინისტრთა კაბინეტი იკრიბება ეიზენჰაუერის დიპლომატიური ინიციატივის განსახილველად. ნემსის ყუნწში ძვრება იდენი, რათა დაამტკიცოს, რომ ახლა უკვე პრეზიდენტის შემოთავაზებაა არაფრის მომტანი. „ეს ახალი და მნიშვნელოვანი ინიციატივაა და ჩვენც მას უნდა მივესალმოთ“, – ამტკიცებს პრემიერი. ზოგიერთი მინისტრის აზრით, თუ პარიზში მაისში გაიმართება შეხვედრა, რუსებთან უკვე ივნისშია მოსალოდნელი სამიტი, კარგი იქნებოდა ლონდონში. იდენისთვის მაისიც ძნელი ასატანი იყო და ივნისის ხსენებამ უკვე წონასწორობა დააკარგვინა სარეკლამო ჯენტლმენის რეპუტაციის მქონე საგარეო საქმეთა მინისტრს და პრემიერს გადადგომაზე მიღწეული კონფიდენციალური შეთანხმების დარღვევაზე მიანიშნა. თითქმის ყველაფრის მომსწრე ჩერჩილიც კი არ ელოდა „ქამრის ქვემოთ“ მოულოდნელ დარტყმას – გადადგომაზე შეთანხმება ხომ გასაიდუმლოებული უნდა ყოფილიყო უკანასკნელ მომენტამდე. ახლა უკვე მინისტრებმა მოითხოვეს, რომ მათაც სცოდნოდათ, რა საიდუმლო გარიგებაზე მიანიშნებდა იდენი. მთელ ამ სკანდალურ ისტორიაში ყველაზე საინტერესო, ალბათ, ის იყო, რომ ჩერჩილი ბულდოზერივით მიარღვევდა საკუთარი მინისტრების წინააღმდეგობას, ლეიბორისტულმა ოპოზიციამ კი მთავრობისადმი

უნდობლობის საკითხი დააყენა პარლამენტში... „საბჭოთა კავშირთან კონფერენციის ჩასატარებლად არასაკმარისი ძალისხმევის გამო“. როგორც მოსალოდნელი იყო, ლეიბორისტთა წინადადება არ გავიდა, ჩერჩილმა კი საჯაროდ დადო პირობა, რომ „ყველა ღონეს იხმარდა ლონდონის სამიტის ჩასატარებლად“. ამასობაში ახალი სენსაციური ცნობა მოვიდა ვაშინგტონიდან – არც ეიზენჰაუერი და არც დალესი პირადად არ აპირებენ რუსებთან შეხვედრას. ეს უკვე სერიოზული დარტყმა იყო ჩერჩილისათვის და დღესასწაული იდენისათვის. 5 აპრილი ძალაში რჩებოდა, მაგრამ მალე ჩერჩილისათვის ცნობილი ხდება, რომ საბჭოთა კავშირის ახალი პრემიერი ნიკოლაი ბულგანინი თანახმაა მონაწილეობა მიიღოს ლონდონის სამიტის მუშაობაში. ჩერჩილს ახლა უკვე მხოლოდ დედოფლის აზრი აინტერესებს და ბუკინგემის სასახლეში აუდიენციაზე, ეტიკეტის სრული დაცვით ეკითხება, წინააღმდეგი ხომ არ იქნება, რომ გადადოს თავისი გადადგომა? ელისაბედი ჭოჭმანის გარეშე პასუხობს - „არა“. ჩანს, არც დედოფალს სურს ასე იოლად შეელიოს „ყველაზე დიდ ინგლისელს“. იმედის ნაპერწკალი კი ისევე მალე გაქრა, როგორც გამოჩნდა: სამიტში მონაწილეობაზე ეიზენჰაუერის კატეგორიულმა უარმა წერტილი დაუსვა ჩერჩილის უკანასკნელ პროექტს.

1955 წლის 4 აპრილს უინსტონმა და კაროლინა ჩერჩილმა გამოსამშვიდობებელი ვახშამი გამართეს დედოფლისა და ედინბურგის ჰერცოგისათვის და 5 აპრილს მთავრობასთან გამომშვიდობება და უკანასკნელი რჩევა: „არასოდეს ჩაბარდეთ ამერიკელებს“. დედოფლისათვის გადადგომაზე თხოვნით მიმართვისას ელისაბედ მეორეს აინტერესებს, თუ ვინ მიაჩნია ყველაზე ღირსეულ კანდიდატად უკვე ყოფილ პრემიერს. ჩერჩილის პასუხზე, როგორც ჩანს, იდენის მოუთმენლობამ იმოქმედა და იგი მისი შემცვლელის შერჩევას დედოფალს ანდობს. უკანასკნელი იდენს ასახელებს. დედოფალს ისიც აინტერესებს, აპირებს თუ არა ჩერჩილი თემთა პალატაში დარჩენას? წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის ჰერცოგის ტიტულია გამზადებული. ჩერჩილი რიგით პარლამენტარობას ამჯობინებს.

გადადგომიდან ერთი კვირის შემდეგ უინსტონ და კლემენტინა ჩერჩილები უკვე სიცილიაზე მიფრინავენ. თვითმფრინავში ჩაჯდომისას მას დედოფლის ხელით დაწერილი წერილი გადასცეს. მონარქი ქვეყნისათვის გაწეული დაუფასებელი სამსახურისათვის მადლობას უხდის თავის ყოფილ პირველ მინისტრს და იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალშიც შეუძლია „მისი ბრძნული რჩევების იმედი ჰქონდეს“.

1955 წლის 5 აპრილს წარსულს ჩაბარდა მსოფლიო დიპლომატიის ისტორიის კიდევ ერთი ბრწყინვალე ეპოქა.

ძველი ბერძნებიდან და რომაელებიდან მოყოლებული, ქრესტომათიულ ჭეშმარიტებათაა ქცეული, თუ რა რთულია დიდ პოლიტიკაში საქვეყნოდ სახელმოხვეჭილ მძიმეწონიანი ლიდერის მემკვიდრეობა. როდესაც პრაქტიკულადაა შეუძლებელი შენი წინამორბედის მიერ უჩვეულო სიმაღლეზე აწეული თამასის შენარჩუნება, განსაკუთრებული დიპლომატიური უნარი და გამოცდილებაა საჭირო, რათა საყოველთაო იმედგაცრუების მსხვერპლად არ იქცე. ჩერჩილის მემკვიდრე თითქოს დაზღვეული იყო ასეთი საფრთხისაგან.

მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ვერ შეედრება ინგლისს საუკუნეების მანძილზე დახვეწილი, მმართველის ელიტის სელექციის ეფექტურ სრულყოფაში. დაწერილ, უფრო მეტად კი დაუწერელ კანონთა და ტრადიციათა მდგრადი ბარიერები საიმედოდ იცავს როგორც დაუნინგ-სტრიტის ნომერ 10-ს, ასევე მთელ სახელმწიფო აპარატს საკადრო თვითშემოქმედებებისა და მარჯვე დემაგოგ-პოპულისტთა კარიერული ავანტიურიზმისაგან.

როგორი იყო მზე ჩაუსვლელი იმპერიის მთავარი „პოლიტიკური“ სავარძლისაკენ მიმავალი გრძელი გზა ენტონი იდენისათვის? მის აქტივს უნიკალურ „შარმს“ მატებდა სიყმაწვილის ასაკში, პირდაპირ სკოლის მერხიდან ომში მოხალისედ წასვლა, ბრძოლებში გამოვლენილი და ჯეროვნად დაფასებული პირადი სიმამაცე. სათვალავში შედიოდა ომში დაღუპული ძმების ხსოვნაც.

განსაკუთრებულია ბრიტანეთის თითქმის ყველა პრემიერის კარიერული ბიოგრაფია, მაგრამ იდენი აქაც გამოირჩევა: პოპულარობის ზენიტს მან გაპრემიერებამდე მიაღწია, თანაც ბევრწილად პოლიტი-

კასთან არანაირ კავშირში მქონე ღირსებებით: მაღალი ტანი, სასიამოვნო გარეგნობა, დახვეწილი მანერები, მუდამ გემოვნებიანი ჩაცმულობა (ამბობდნენ, რომ მთელ ინგლისში ვერავინ ვერ ახერხებდა ჰალსტუხის მასავით შეკვრას). ომიდან გამოყოლილი გარეგნული სიმტკიცე, არამყვირალა თავდაჭერილობა და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის ძვირადღირებული უნარი თითქმის შეუმჩნეველს ხდიდა პოლიტიკოსისათვის ისეთ აუცილებელ მონაცემებს, როგორიცაა ორატორული ნიჭი და აუდიტორიის „ანთების“ უნარი. უფროსი თაობის კონსერვატორებს მისი სტაბილურად გაწონასწორებული ხასიათი და ბუნებრივი თავმდაბლობაც მოსწონდათ. როდესაც კონსერვატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის (სადაც მას თემთა პალატის წევრობაზე უნდა ეყარა კენჭი) აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მისი „ძალზე ახალგაზრდა“ ასაკი ახსენეს, იდენმა მორჩილად აღიარა, რომ „საუბედუროდ“ მას არ გააჩნია მრავალწლიანი მიღწევების ისეთი თანმხლები უპირატესობა, როგორიცაა პოლიტიკური გამბედაობა, მაგრამ პირობა დადო, რომ დაუღალავი შრომითა და ენთუზიაზმით მალე გამოასწორებდა ამ ნაკლს.

1923 წლის ვადამდელი არჩევნების შედეგად, როცა ხელისუფლების სათავეში ლეიბორისტები პირველად მოვიდნენ, მართალია, იდენის პარტიამ არჩევნები წააგო, მაგრამ თვითონ იდენმა საგრძნობი უპირატესობიდ სძლია გამარჯვებული პარტიის კანდიდატს. მიუხედავად არჩევნებში გამარჯვებისა, ლეიბორისტები მაინც უმცირესობაში იყვნენ. კონსერვატორებმა უმრავლესობა კი შეინარჩუნეს პარლამენტში, მაგრამ როგორც არჩევნებში დამარცხებულ პარტიას, მას აღარ შეეძლო მთავრობის ფორმირება. 26 წლის იდენმა კი პირველად შედგა ფეხი ვესტმინსტერის ძველ შენობაში, რომელიც 1942 წელს გერმანიის ავიაციის დაბომბვებს შეეწირა.

ბრიტანული პარლამენტარიზმის კიდევ ერთი დაუწერელი კანონი: თემთა პალატის ყოველი ახალი წევრის პირველი გამოსვლა თავისებური ნათლობაა, როდესაც ძველი მობინადრე კოლეგები ყურადღებით უსმენენ და აკვირდებიან ახალბედას. ასეთ გამოსვლას ინტერესით ელიან თანაპარტიელებიცა და მოწინააღმდეგეებიც, ყველას აინ-

ტერესებს, რას უნდა ელოდნენ მომავალში პარლამენტის კედლებში უკვე გაშინაურებული პოლიტიკოსისაგან. 1924 წლის 4 თებერვალს იდენმა ასე თუ ისე ნორმალურად ჩააბარა პირველი გამოცდა: არც ფეირვერკი და არც კრახი – ასეთი იყო საყოველთაო აზრი. საჯარო გამოსვლები არც მომავალში გამხდარა იდენის ძლიერი მხარე. აი, თავის საარჩევნო უბანს კი არ ივიწყებდა ახალგაზრდა პარლამენტარი და ხშირად ხვდებოდა თავის ამომრჩევლებს.

1931 წლის პირველ სექტემბერს ენტონი იდენი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხდება და აქედან მოყოლებული, ხანმოკლე შესვენებებით, იგი მთელი 24 წლის განმავლობაში წარმართავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას.

მართალია, იდენი მხოლოდ მოადგილე იყო, მაგრამ საქმე ის იყო, რომ მინისტრი, ლორდი რიდინგი ლორდთა პალატის წევრი იყო და ტრადიციის (ოჰ, ეს ბრიტანული ტრადიციები!) მიხედვით, მხოლოდ ლორდთა პალატაში შეეძლო სიტყვით გამოსვლა და არა თემთა პალატაში. ამიტომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე იდენს უწევდა ახსნა-განმარტების მიცემა თემთა პალატის წევრებისათვის. მეორე მხრივ, იდენს გარკვეულ უხერხულობას უქმნიდა საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე (არის ასეთი თანამდებობა ინგლისში: იცვლება მთავრობები, იცვლებიან მმართველი პარტიები, მინისტრები, მაგრამ უცვლელია მუდმივი მოადგილე, რომელიც შეუზღუდავად ხელმძღვანელობს საგარეო საქმეთა მინისტრის აპარატს. ტრადიციაა ისიც, რომ მინისტრი მუდამ ყურადღებით ისმენს თავისი მუდმივი მოადგილის აზრს და როგორც წესი, ითვალისწინებს კიდეც მის რჩევებს). მიუხედავად ყოველივე ამისა, იდენისათვის დიდი წარმატება იყო 34 წლის ასაკში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეობა.

იდენისათვის შესანიშნავ სკოლად იქცა ერთა ლიგა, სადაც იგი ინგლისს წარმოადგენდა 1932-1933 წლებში. ჟენევაში მისი პარტნიორები იყვნენ იმდროინდელი ევროპის წამყვანი დიპლომატები – ფრანგი ბონკური, გერმანელი ნეირატი, ავსტრიელი დოლფუსი, იტალიელ

ალიოზი, ჩეხი ბენეში, რუმინელი ტიტულესკუ და ამერიკელი მეთვალყურე დევისი. ბევრი რამ ისწავლა მათგან ახალგაზრდა იდენმა.

ცხადია, გადაჭარბებული უსამართლობა იქნებოდა ერთა ლიგის გაიგივებით შედარება გაეროსთან, მაგრამ ერთ რამეში მართლაც შეინიშნება მსგავსება – ისევე, როგორც ერთა ლიგა, გაეროც თითქმის უკვე იქცა „შეხვედრების სახლად“, როდესაც ვეტოს უფლება პრაქტიკულად გამორიცხავს პრინციპულსა და ხშირად ერთადერთ სამართლიან გადაწყვეტილებას, სიმძიმის ცენტრი კულუარებში შეხვედრებსა და ფარულ მოლაპარაკებებზე გადადის – ყველასათვის მისაღები, თუმცა არაფრის მაქნისი, დიპლომატიურად „დავარცხნილი“ რეზოლუციების შესადგენად.

1934 წლის პირველ იანვარს ენტონი იდენი სანუკვარ საახალწლო საჩუქარს ღებულობს – პრემიერი მაკდონალდი მას ბეჭედის ლორდმცველის (იგივე უპორტფელო მინისტრის) თანამდებობას სთავაზობს. მის ძირითად მოვალეობად ერთა ლიგაში ინგლისის წარმომადგენლობა დარჩა. ამ დროისათვის იდენი მხოლოდ 36 წლის იყო – ძალზე ახალგაზრდა ინგლისის იმდროინდელი სტანდარტების მიხედვით (ეტყობა, კარგა ხნის დავიწყებული იყო უილიამ პიტი-უმცროსის 24 წლიანი ასაკი).

თვით დასავლელ ისტორიკოსთა ერთსულოვანი აღიარებით, XX საუკუნის 30-იანი წლები ევროპული დიპლომატიის შავ ფურცლად იქცა. „დამშვიდების“ და „საყოველთაო დარეგულირების“ დიპლომატიური კურსი სხვა არაფერი იყო, თუ არა ვერსალის ზავზე ჰიტლერის შეტევების ფაქტიური წახალისება. 1935 წლის 3 თებერვალს გამოქვეყნებული ინგლის-საფრანგეთის ერთობლივი კომუნიკე თან არ ცნობდა გერმანიის უფლებას ცალმხრივ დაერღვია ვერსალის ზავის საკვანძო მუხლები და თანაც ახალ მოლაპარაკებებს სთავაზობდა ჰიტლერს „საყოველთაო დარეგულირების“ მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტიურად გერმანიას ახალი ხელშეკრულებით, ვერსალის შეცვლას სთავაზობდნენ, ფიურერმა მაინც არ ისურვა გაერთიანებული პარიზისა და ლონდონის პირისპირ დარჩენა და ინგლისელებს ორმხრივი შეხვედრის კონტრ-წინადადებით მიმართა. ბრიტა-

ნეთის კაბინეტმა მიიღო შეთავაზება. გადაწყდა საგარეო საქმეთა მინისტრი საიმონი და იდენი 11 მარტს ბერლინში უნდა გამგზავრებულიყვნენ.

ჰიტლერთან სამოლაპარაკებლო პოზიციების გასამაგრებლად ლონდონმა ტაქტიკურ მანევრს მიმართა და საჯაროდ განაცხადა, რომ ბერლინიდან იდენი (მარტო თვითონ) მოსკოვში გაემართებოდა. მანევრი არცთუ ეფექტური აღმოჩნდა სოლსბერისა და პალმერსტონის უიღბლო მემკვიდრეებისათვის – ბერლინში უშეცდომოდ აფასებდნენ როგორც თავიანთ კავშირებს მოსკოვთან, ასევე ინგლისელების მზადყოფნას საბჭოეთთან კავშირის გაფორმებაზე. ამასობაში ჰიტლერმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მას უკვე გააჩნდა ძლიერი სამხედრო ავიაცია (რასაც კატეგორიულად უკრძალავდა ვერსალის ხელშეკრულება) და მიღებული იყო გადაწყვეტილება სამხედრო ვალდებულების შემოღებაზე, რის შედეგადაც, გერმანიას საწყის ეტაპზე 550 000-იანი არმია ეყოლებოდა.

ახალი გარემოებების გათვალისწინებით, იდენს გამართლებულად არ მიაჩნდა ბერლინში ვიზიტი, ვინაიდან გერმანელებმა უკვე ვიზიტის წინა დღეებში, დემონსტრაციულად, კიდევ ერთხელ დაარღვიეს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, მაგრამ უპორტფელო მინისტრის პოლიტიკური წონა ახლოსაც ვერ მოდიოდა „დამამშვიდებლების“ გავლენასთან. ლონდონის კაბინეტმა სოლომონ ბრძენის საკადრისი გადაწყვეტილება მიიღო: ბერლინს პროტესტი განუცხადა, ხოლო მინისტრები კი ჰიტლერთან მიავლინა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბერლინში შეხვედრა ნულოვანი შედეგით დამთავრდა. ნახევარმილიონიან არმიაზე, სამხედრო ავიაციაზე და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნაზე თანხმობის გარდა, ჰიტლერმა ტერიტორიული პრეტენზიებიც წამოაყენა ჩეხოსლოვაკიასთან, ავსტრიასთან, პოლონეთთან და მემელთან დაკავშირებით, შემდეგ კი გერმანიის ყოფილი კოლონიების დაბრუნების საკითხიც წამოჭრა: „შედეგები საშინელია... ტონი და ხასიათი მკვეთრად განსხვავდება ერთი წლის წინანდელისგან“ – ასე ლაკონურად შეაფასა მოლაპარაკების შედეგები იდენმა საკუთარ დღიურში.

უშედეგოდ კი დასრულდა მოლაპარაკებები, მაგრამ „თავაზიანმა“ მასპინძელმა გამოსამშვიდობებელი სადილი მაინც გაუმართა ინგლისელ სტუმრებს, რომლის დროსაც საუბარი პირველ მსოფლიო ომსაც შეეხო. საუბრისას ისიც გაირკვა, რომ 1918 წლის მაისში იდენი და ჰიტლერი თურმე ფრონტის ერთ მონაკვეთზე იბრძოდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. სადილის შემდეგ, საფრანგეთის ელჩი პონსე იდენს შეეკითხა: „თქვენ მართლაც იმყოფებოდით ჰიტლერის პირისპირ? და ეს შემთხვევა არ გამოიყენეთ? თქვენ დახვრეტის ღირსი ხართ“.

27 მარტს იდენი სპეციალური მატარებლით ბერლინიდან მოსკოვს გაემგზავრა, თუმცა იმასაც გრძნობდა, რომ დიპლომატიური ეტიკეტის მიხედვით, არ იყო გამართლებული ბერლინში ორი მინისტრის ჩასვლა, ხოლო მოსკოვში კი ერთის, თანაც რანგით უმცროსის. იდენისათვის ეს პირველი ვიზიტი იყო საბჭოთა კავშირის დედაქალაქში.

ძნელი სათქმელია, ჰიტლერთან საუბრის შედეგად გამოყოლილი უგუნებობის თუ პარიზსა და ჟენევის სიცოცხლით სავსე ქუჩების შემდეგ მოსკოვის დამთრგუნავი რუხი ერთფეროვნების შედეგი იყო, რომ იდენს სოციალისტური ქვეყნის მთავარ ქალაქში ყველაფერი აღიზიანებდა: „მოქუფრული ცით“ დაწყებული, „სევდიანი გამომეტყველების“ მქონე ადამიანებით დამთავრებული. იგი მხოლოდ კრემლის არქიტექტურამ აღაფრთოვანა თავისი „ელეგანტურობით“. არც სტალინთან საუბარი აღმოჩნდა იმედის მომცემი ბრიტანელი მინისტრისათვის. იმ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე გარკვეული, თუ რა მიმართულებით განვითარდებოდა მოსკოვისა და ბერლინის ურთიერთობები, ხოლო ჰიტლერის ანტიკომუნისტური რიტორიკა კი სტალინზე ბევრად უფრო ნაკლებად ეჭვიან ადამიანსაც დააფრთხობდა. სტალინისათვის იმდროინდელი ვითარება, 1913 წელთან შედარებით (ანუ პირველი მსოფლიო ომის წინ), უფრო „საგანგაშო“ იყო, იდენს კი სიტყვა „საგანგაშო“ გადაჭარბებულად და „მშფოთვარე“ უფრო ადექვატურ ტერმინად მიაჩნდა. „1913 წელს ერთი პოტენციური აგრესორი – გერმანია იყო, დღეს კი ორია – გერმანია და იაპონიაო“ -

ასეთი იყო სტალინის არგუმენტი და, შესაბამისად, გამოირიცხა მისი თუნდაც მხოლოდ სიტყვიერი თანხმობა გერმანიის გადაიარაღებაზე.

ენტონი იდენი ლონდონში ხელცარიელი მაინც არ დაბრუნებულა: საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის ერთობლივი კომუნიკე ძნელად თუ ჩაითვლებოდა სერიოზულ დიპლომატიურ გარღვევად, მაგრამ ამას ხომ არც ლონდონში ელოდნენ. მეტიც – იყო კი ამის სურვილი დაუნინგ-სტრიტზე?

1937 წელს ინგლისის პრემიერის პოსტი ნევილ ჩემბერლენმა დაიკავა. პრემიერმა მოისურვა დამოუკიდებლად გაეტარებინა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა. დიდი ბრიტანეთის მკვლევართა საერთო აზრით, ინგლისელი პოლიტიკოსების აბსოლუტური უმრავლესობისათვის დამახასიათებელია საგარეო პოლიტიკისაკენ რეფლექსური ლტოლვა. არ აჭარბებდა სტენლი ბოლდუინი (ჩემბერლენის წინამორბედი), როდესაც კერძო საუბრებში ამტკიცებდა, რომ კაბინეტის ოცივე მინისტრი მზად იყო საგარეო საქმეთა მინისტრის სავარძელში ჩასაჯდომად და ერთსაც არ აინტერესებდა შრომის მინისტრის პოსტი. რაც შეეხებოდა ახალ პრემიერს, იდენი მემუარებში გარკვეული სარკაზმით აღწერს, თუ როგორ შეაწყვეტინა საადმირალოს პირველმა ლორდმა ოსტინ ჩემბერლენმა (ოსტინი და ნევილი ნახევარძმები იყვნენ) ევროპაში შექმნილი სიტუაციის ანალიზი პრემიერს: „ნევილ, უნდა გახსოვდეს, რომ არაფერი არ გესმის საგარეო პოლიტიკაში“ (139). თუმცა გაპრემიერებული უმცროსი ძმისათვის, როგორც ჩანს, არაფერს ნიშნავდა უფროსი ძმის გონივრული და დროული გაფრთხილება.

არა მხოლოდ გარეგნულად, არამედ რწმენითაც ძველმოდური, ვიქტორიანული ეპოქის პროდუქტი ნევილ ჩემბერლინი დარწმუნებული იყო, რომ ფორინ ოფისი უსამართლოდ ზღუდავდა პრემიერების პირად როლს საგარეო პოლიტიკის კურსის როგორც ფორმირებაში, ასევე მის რეალურად გატარებაში. ამიტომ სულ უფრო და უფრო ნაკლებად ინტერესდებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მინისტრის აზრით, თუნდაც ჰიტლერთან ურთიერთობის საკითხზე, იგივე „დამშვიდების“ პოლიტიკაზე.

ენტონი იდენს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის დაკავებისთანავე მოუხდა საკუთარი პრეროგატივების დაცვა, როდესაც ჩემბერლენმა ელჩების დანიშვნის უფლების ერთპიროვნული მითვისება მოიდომა. იდენს ისიც ახსოვდა, თუ როგორი გააფთრებით იბრძოდა 1936 წლის ივნისში იმდროინდელი ფინანსთა მინისტრი ჩემბერლენი ერთა ლიგის „ნახევარფაბრიკატი“ სანქციებისაგან იტალიის დასაცავად (ეთიოპიაზე თავდასხმის გამო). მაშინ, 10 ივნისს, პარლამენტში გამოსვლისას, მან „სიგიჟე“ უწოდა სანქციებს. ერთი სიტყვით, სახეზე იყო პრემიერისა და და საგარეო საქმეთა მინისტრის ხედვებს შორის არსებული კონფლიქტური განსხვავებანი. იდენისათვის სულ უფრო და უფრო რთულად ასატანი ხდებოდა პრემიერის დილეტანტური დიპლომატია და მისი, როგორც მინისტრის უკვე საყოველთაოდ თვალშისაცემი იგნორირება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ჩემბერლებმა ისე გაგზავნა ფიურერთან მოსალაპარაკებლად პირადი ემისარი – ლორდი ჰალიფაქსი (ასეთი არისტოკრატული ტიტულის მქონე იყო ინგლისელი პოლიტიკოსი, კონსერვატორთა ლიდერი ედუარდ ვუდი), რომ საქმის კურსშიც არ ჩააყენა მინისტრი. 1938 წლის იანვრისათვის იდენი უკვე სერიოზულად ფიქრობდა გადადგომაზე. ამ პერიოდში იგი იმდენად იყო გადაღლილი სამსახურეობრივი მოვალეობებით (თვით პრემიერიც კი ვერ უარყოფდა მის თავდაუზოგავ შრომისმოყვარეობასა და შრომისუნარიანობას), რომ იძულებული იყო სამხრეთ საფრანგეთში გამგზავრებულიყო დასასვენებლად. ნევილ ჩემბერლენის მორიგმა დიპლომატიურმა თვითშემოქმედებამ დაგეგმილზე ადრე შეაწყვეტინა დასვენება იდენს – 14 იანვარს მისმა მუდმივმა მოადგილემ ალექსანდრ კადოგანმა სთხოვა სასწრაფოდ დაბრუნებულიყო ლონდონში. საქმე კი შემდეგში იყო: ევროპაში განვითარებული მოვლენებით შეშფოთებული ამერიკის პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის იდეის საქმის კურსში აყენებდა ჩემბერლენს და ამ თვალსაზრისით თანამშრომლობას სთავაზობდა. ბრიტანეთის პრემიერს აზრადაც არ მოსვლია საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად განეხილა რუზველტის ინიციატივა და ლონდონში მის დაბრუნებას დალოდებოდა. უფ-

რო მეტიც: იცოდა რა, რომ იდენი დღე-დღეზე უნდა დაბრუნებულიყო, დიპლომატიური ეთიკის დარღვევით, ისე გაუგზავნა მკვახე პასუხი რუზველტს, რომ კაბინეტს წევრებიც არ ჩაუყენებია საქმის კურსში. პრეზიდენტი ჯერ სწრაფმა პასუხმა გააოცა, შემდეგ კი საპასუხო წერილის ტონმა – კერძოდ, ჩემბერლენი წერდა, რომ იგი თავად ზრუნავდა სავარაუდო კონფერენციაზე განსახილველი პრობლემების დარეგულირებაზე, გადაწყვეტილი ჰქონდა ეცნო იტალიის მიერ ეთიოპიის დაპყრობა და მუსოლინთან და ჰიტლერთან პირადი მოლაპარაკებებით განემუხტა კონტინენტზე შექმნილი დაძაბულობა. აქედან გამომდინარე კი, პრეზიდენტის ინიციატივა აქტუალობას კარგავდა.

ლონდონში დაბრუნებული იდენისათვის აუხსნელ საიდუმლოებად არ ქცეულა პრემიერის დემარშის ყველა მოსალოდნელი შედეგი – თავისი ახლომხედველი შეფისაგან განსხვავებით, მისთვის კატასტროფის ტოლფასი იყო ევროპაში მიმდინარე პროცესების ფონზე, როდესაც ორი თავგასული დიქტატორი თავიანთი აგრესიული გეგმების შენიღბვაზეც კი აღარ იწუხებდნენ თავს, ურთიერთობის დაძაბვა ისეთი პოტენციის მქონე სახელმწიფოსთან, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატები იყო. სხვა შემთხვევაში, ალბათ, აზრადაც კი არ მოუვიდოდა იდენს კვირა დღეს, როდესაც ბრიტანული ტრადიციით, ქვეყნის მთელი პოლიტიკური ელიტა ქალაქგარეთ ერთობოდა და ისვენებდა, დაუპატიჟებლად წვეოდა პრემიერს ჩეკერსის რეზიდენციაში. უკომპრომისოდ კატეგორიული იყო იდენი – ან პრემიერი კიდევ ერთი დეპეშით შეეცდებოდა რუზველტის გულის მოგებას და ფაქტიურად დასანან გაუგებრობად აქცევდა პრეზიდენტის ინიციატივაზე ნაჩქარევ პასუხს, ან ჩემბერლენს ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი უნდა მოეძებნა – იდენი გადადგომით დაიმუქრა. შეიძლება მუქარამ გაჭრა, ან შეიძლება იდენმა შეძლო პრემიერის დარწმუნება ვაშინგტონთან კინკლაობის დაუშვებლობაში, მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ რუზველტმა უკვე თავაზიანი და მისი იდეისადმი სიმპათიით გაჟღენთილი დეპეშა მიიღო. თუმცა დაგვიანებულმა რევერანსმა მაინც ვერ გაჭრა და პრეზიდენტმა თავად თქვა უარი თა-

ვისავე ინიციატივაზე. ხელ-ფეხ გახსნილმა პრემიერმა იდენის ზურგს უკან დაიწყო მუსოლინთან საერთო დარეგულირებაზე ზრუნვა.

როგორც ჩემბერლენის ერთ-ერთი ბიოგრაფი წერს, „როგორც კი იგი პრემიერ-მინისტრი გახდა, ჩვევად ექცა საკუთარი საგარეო საქმეთა მინისტრის მოტყუებაო“ (140). საინტერესოა, რომ ამის დამალვას თავად ჩემბერლენიც არ აპირებდა იგი საკუთარ დღიურში წერდა, რომ შეგნებულად არ აჩვენებდა რომში გაგზავნილ წერილებს თავის საგარეო საქმეთა მინისტრს, ვინაიდან გრძნობდა, რომ მინისტრს ეს არ მოეწონებოდა (141). საბოლოო ჯამში, 1938 წლის 20 თებერვალს იდენმა გადადგომის ოფიციალური თხოვნით მიმართა პრემიერს: „როგორ ხასიათსაც არ უნდა ატარებდეს ჩვენს შორის არსებული აზრთა სხვაობები, მეხსიერებიდან ვერც წაშლის და ვერც იმოქმედებს ჩვენს მეგობრობაზე“ საფირმო ბრიტანული არისტოკრატიული თავაზიანობით ამთავრებდა იდენი გადადგომაზე წერილს (142).

ხუთ თვეზე ცოტა მეტი იყო დარჩენილი მიუნჰენის სამარცხვინო ეპოპეის დაწყებამდე და 18 თვე – იდენის ძველ თანამდებობაზე დაბრუნებამდე. მას ის-ის იყო, რაც 41 წელი შეუსრულდა. იდენი არც თავად იყო მდიდარი და არც ცნობილი ბანკირის ქალიშვილზე დაქორწინებით არ გამდიდრებულა. ასეთ ვითარებაში კი მინისტრის ხუთი ათასი გირვანქა სტრელინგიან ხელფასზე უარის თქმა უმალვე დაეტყოთ იდენების ოჯახს: ლონდონის პრესტიჟულ რაიონში წარმომადგენლობით სახლსა და ლივრეიან მოსამსახურეებს თანამდებობასთან ერთად გამოემშვიდობა უკვე ყოფილი მინისტრი. წამოიზარდნენ შვილებიც – სიმონი და ნიკოლასი, რომელთა განათლებაც (ცხადია, ტრადიციული არისტოკრატიული სტანდარტით) დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. მაშველ რგოლად იქცა არაპოპულარული და საშიში საგარეო პოლიტიკური კურსის პროტესტის ნიშნად გადადგომა, რამაც უცებ გააათმაგა ისედაც პოპულარული იდენის ავტორიტეტი: ქვეყნის წამყვანი გაზეთები ზღაპრულ ჰონორარებს სთავაზობდნენ სტატიებში, ხოლო გამომცემლობები კი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჰონორარის მასშტაბებში, თუ ყოფილი მინისტრი

წიგნის დაწერაზე დათანხმდებოდა. მაცდუნებელ წინადადებებს ღებულობდა მსხვილი ბიზნესისაგანაც, მაგრამ იდენი გუმანით გრძნობდა, რომ მისი პოლიტიკური შემოდგომა ჯერ კიდევ შორს იყო. მოვლენათა განვითარების უშეცდომო ანალიზსს ის ისევ და ისევ იმ დასკვნამდე მიჰყავდა, რომ ადრე თუ გვიან კრახით უნდა დასრულებულიყო ჩემბერლენისა და საერთოდ ჰიტლერის „დამამშვიდებლების“ საფუძველშივე მცდარი პოლიტიკა. ამიტომ არ ჩქარობდა პროფესიის შეცვლას – ნაყოფიერად ისვენებდა ფრანგულ რივიერაზე, თამაშობდა მის საყვარელ ჩოგბურთს, ბევრს ცურავდა და დროდადრო საგარეო პოლიტიკაზე სტატიებს უგზავნიდა ინგლისის გაზეთებს.

1938 წლის 29 სექტემბრის მიუნჰენის გარიგებას ენტონი იდენი გარეგნულად დაუინტერესებელი მეთვალყურის პოზიციით შეხვდა. 3 ოქტომბერს ბრიტანეთის თემთა პალატაში დაიწყო 4-დღიანი დებატები მიუნჰენის კონფერენციის შედეგებზე. პირველსავე დღეს გაირკვა, რომ პარლამენტში მხოლოდ პრემიერსა და მის რამდენიმე მომხრესლა სჯეროდა ჰიტლერის დაპირებებისა. ჩერჩილი პარლამენტში ანტი-„დამამშვიდებლური“ ოპოზიციის ერთპიროვნულ ლიდერად იქცა, მან პირდაპირ განაცხადა, რომ გერმანელების ფიურერმა თოფის ერთი გასროლის გარეშე მიიღო ის, რისთვისაც უშედეგოდ იბრძოდა მთელი ოთხი წელი პირველ მსოფლიო ომში - ფაქტიურად, ჰიტლერი ევროპის ბატონ-პატრონად იქცაო. ნაკლებად მკვეთრი, თუმცა იგივე პოზიციით გამოვიდა იდენიც. დეკემბერში იდენმა მეუღლესთან - ბეატრისთან ერთად ამერიკაში იმოგზაურა. ამ დროისათვის ევროპაში ომის სუნი უკვე მეძებარი ძაღლის ყნოსვის გარეშეც კი იგრძნობდა. ამერიკის, როგორც უაღრესად სასურველი მოკავშირის პოზიციის ახლო გაცნობა იდენს გადაუდებელი ამოცანად მიაჩნდა. მისთვის ისიც იყო ცნობილი, რომ იანვრის ინციდენტის შემდეგ, როდესაც ჩემბერლენმა ბრიყვულად აუქნია ხელი რუზველტის ინიციატივას, პრეზიდენტი ალმაცერად (მეტი რომ არ ითქვას) უყურებდა ინგლისის პრემიერსა და მის ყოველგვარ ზღვარს გადასულ დათმობებს ჰიტლერსა და მუსოლინთან ურთიერთობებში. უკანასკნელ გარემოებას კი თეთრ სახლში იდენის აქციები უნდა გაეზარდა და ასეც მოხდა.

ამერიკელებმა ცოლ-ქმარი იდენები ხაზგასმული პატივით მიიღეს. ფეშენებელური სასტუმრო „უოლდორფ ასტორიაში“ მის საპატივცემულოდ გამართულ მიღებაზე დიდი ბრიტანეთის „პირველი ჯენტლმენის“ სანახავად და მოსასმენად ოთხი ათასი ადამიანი მივიდა. ცოლ-ქმარს ცალკე საპატიო მიღება მოუწყო ნიუ-იორკის მერმა ფორელო ლაგუარდიამ. იდენები სპექტაკლს დაესწრნენ ბროდვეიზე, სადაც პიესის მსვლელობაში ერთ-ერთი პერსონაჟი იდენს ახსენებდა. გაზეთები აჭრელებული იყო ფოტოებით. ჟურნალისტები დეტალურად აღწერდნენ იდენის კოსტიუმს, შლიაპას, ჰალსტუხს. ამერიკელებისათვის უცებ იქცა იდენი იდეალური ინგლისელის განსახიერებად. მათ მხოლოდ ერთი რამ უკვირდათ – რატომ არ ატარებდა იდენი შავ ქოლგას (ზონტს) ნებისმიერ ამინდში, როგორც ამას ჩემბერლენი აკეთებდა – ამერიკელების წარმოდგენაში შავი ქოლგა ინგლისული ჯენტლმენის განუშორებელი ატრიბუტი იყო. ამერიკელმა ჟურნალისტებმა უქოლგო იდენში ლიბერალიზმის ნიშნები შენიშნეს. იდენი სიტყვით გამოვიდა ამერიკელი მრეწველების ეროვნული ასოციაციის წევრების წინაშე, უამრავ შეხვედრებსა და ოფიციალურ სადილებზე. შეხვდა პრეზიდენტის მეუღლეს ელეონორა რუზველტს და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს. თეთრ სახლში ყოფნისას, მომხიბვლელი ინგლისელი არისტოკრატი პოლიტიკოსის ხილვით გონებადაკარგული მბეჭდავი გოგონები ეგზალტირებულ ჯგუფად დასდევდნენ იდენს და თუ არა საიდუმლო აგენტების სიმარჯვე, სუვენირებად დაიტოვებდნენ ნაკუწებად ქცეულ იდენის ტანსაცმელს. ეს მართლაც „ვარსკვლავის საათი“ იყო გადამდგარი მინისტრისათვის. შეიძლება დიდად არ სცდებოდა მისი ერთი თანამედროვე პოლიტიკოსი, როდესაც წერდა, რომ იდენის რეპუტაციას არარეალური საფუძველი ჰქონდა, ვინაიდან „მას ადიდებდნენ იმისათვის, რის გაკეთებაზეც უარი თქვა და არა იმის გამო, რაც გააკეთაო“. ისე კი, განა ნაკლებად დასაფასებელია პოლიტიკოსის ისეთ პროცესში მონაწილეობაზე უარი, რომელიც მის შინაგან რწმენას ეწინააღმდეგება? ქვეყნის საზიანო საგარეო-პოლიტიკური კურსისადმი პროტესტის ნიშნად მხოლოდ ენტონი იდენს არ მიუტოვებია ნევილ ჩემბერლენის

კაბინეტი, მაგრამ იდენი ხომ ნომერ პირველი დიპლომატი იყო და მის პროტესტს გაცილებით მეტი პოლიტიკური წონა და ჟღერადობა გააჩნდა.

მოვლენები კი ევროპაში კალეიდოსკოპური სისწრაფით ვითარდებოდა და 1939 წლის სამ სექტემბერს იდენი უკვე ომში ჩართული ინგლისის დომინიონების საქმეების მინისტრის პოსტს იკავებს. 1940 წლის 11 მაისს იდენი უკვე სამხედრო მინისტრი ხდება ჩერჩილის კაბინეტში. საგარეო საქმეთა მინისტრის სავარძელს ლორდი გალიფაქსი – სტაჟიანი „დამამშვიდებელი" და „მიუნჰენელი" ედუარდ ვუდი იკავებს – თვით ჩერჩილიც კი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ოთხი საუკუნის მანძილზე გამომუშავებულ ტრადიციებსა და წყალქვეშა დინებებს, თუმცა ცდას არ აკლებდა, რომ ჯოჯოხეთად ქცეულიყო ქედმაღალი და დამსახურებული არისტოკრატისათვის ის თანამდებობა, რომელიც სხვისთვის (ცხადია, ენტონი იდენისათვის) იყო განკუთვნილი. მბრძანებლური, მომთხოვნი და ავტოკრატიული პრემიერისათვის დიდ სირთულედ არ უნდა ქცეულიყო დასახული მიზნის რეალიზება. მალე ედუარდ ვუდი უკვე დაუფარავად წუწუნებდა თავის მოადგილე კადოგანთან – „მეტი აღარ შემიძლია უინსტონთან მუშაობაო", თუმცა თანამდებობას კი მაინც ვერ ელეოდა.

საკადრო პრობლემა დეკემბერში გადაწყდა, როდესაც ამერიკაში ინგლისის ელჩი ფილიპ კერი (იგი მარკიზ ლოტიანის არისტოკრატულ ტიტულს ატარებდა) გარდაიცვალა. კი იყო გარკვეული რისკის შემცველი გერმანიასთან ომის პირობებში „დამამშვიდებლისა" და „მიუნჰენელი" ლორდ ჰალიფაქსის განწესება ამერიკაში ელჩად, მაგრამ ჩერჩილისთვის მთავარი იყო მისი ერთგული თანამოაზრე იდენი დაეგულებინა საგარეო საქმეთა მინისტრად. ცოტა კი იჭირვეულა საპატიო გადასახლებაში წასვლა ჰალიფაქსმა (ცოლიც კი მიუგზავნა პრემიერს), მაგრამ სერ უინსტონმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, თუ რამხელა სხვაობა იყო მას და ჩემბერლენს შორის. უკვე ყოფილმა მინისტრმა უხალისოდ დატოვა ლონდონი, 43 წლის იდენი კი პრაქტიკულად ავტომატურად გახდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. რასაკვირველია, იოლი არ უნდა ყოფილიყო განსაკუთრე-

ბული დიპლომატიური ნიჭითა და გვარიანად დესპოტური ხასიათით დაჯილდოებული პრემიერის ცივილიზებული, მაგრამ მაინც ხელქვეითობა, თუ არა ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობის „დეტალი“ – სიბერისაკენ წასული ჩერჩილი (ის უკვე მეშვიდე ათეულს „ახურდავებდა“) მამობრივ ზრუნვას არ აკლებდა მასზე 23 წლით უმცროს მინისტრს. დაბადებიდან დაჰყვა იდენს ოქროს ფასად ღირებული თვისება: თავისი მხრიდან რაიმე ძალისხმევის გარეშე ახერხებდა კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას ხელქვეითებთანაც და უფროსობასთანაც ურთიერთობაში. გარდა ამისა, კარიერის დასაწყისში მისი მფარველი ანგელოზი იყო სტენლი ბოლდუინი – ბრიტანული ელიტის ერთ-ერთი მაღალავტორიტეტული მბრძანებლობისანი, შემდეგ კი ლეგენდად ქცეული ჩერჩილი.

ახლადდანიშნული საგარეო საქმეთა მინისტრის პირველივე სერიოზული და უაღრესად რთული დიპლომატიური მისია იყო 1941 წლის დეკემბერში მოსკოვში ვიზიტი: ერთი მხრივ, ვერმახტის პირისპირ მარტოდმარტო დარჩენილი ბრიტანეთისათვის შეიძლება გადარჩენის შანსადაც კი ქცეულიყო ულევი ადამიანური და ტერიტორიული რესურსის მქონე საბჭოთა კავშირის მოკავშირეობა (მით უმეტეს, როდესაც ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო შინაურ იზოლაციონისტებთან რეზველტის ბრძოლის შედეგი), მეორე მხრივ კი, ჩერჩილმაც და იდენმაც მშვენივრად იცოდნენ, რომ თავად ვერაფრით ვერ დაეხმარებოდნენ მოსკოვის მისადგომებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ჩართულ სტალინს. ასეთი რთული მისიით გაემგზავრა იდენი 1941 წლის 7 დეკემბერს თავის ძველ ნაცნობ კომუნისტ დიქტატორთან მეორედ შესახვედრად. 12 დეკემბერს კრეისერმა „კენტმა“ მშვიდობიანად შესძლო თავი დაეღწია გერმანული წყალქვეშა ნავების საფრთხისაგან და ენტონი იდენი, თანმხლები პირებით, ფრონტისპირა საბჭოთა პოლარულ ნავსადგურ მურმანსკში ჩავიდა. რამდენიმე დღით ადრე კი იდენმა შეიტყო, რომ იაპონია ომის გამოუცხადებლად (ეს უკვე იაპონური ტრადიცია იყო) თავს დაესხა წყნარ ოკეანეში ამერიკის ყველაზე დიდ და სტრატეგიულ სამხედრო-საზღვაო ბაზას – პირლ-ჰარბორს. ჩანდა, რომ ამერიკასთან სამხედრო

კავშირი ლონდონს უკვე გარანტირებული ჰქონდა. იდენს თამამად შეეძლო ანტიჰიტლერულ კოალიციაზე ეწარმოებინა კრემლში მოლაპარაკებები, მანამდე კი ჯერ საჭირო იყო მოსკოვში ჩაღწევა. ბრიტანელ მინისტრს საბჭოთა სამხედროებმა მურმანსკში ორი მარშრუტი შესთავაზეს – საჰაერო, რაც დროში მომგებიანი შეიძლება ყოფილიყო, თუმცა საფრენი ამინდის გარანტიას ვერავინ იძლეოდა და მატარებლით, რაც ამინდზე არ იყო დამოკიდებული, მაგრამ მეტ დროს მოითხოვდა. ომის წლებში იდენმაც და ჩერჩილმაც არა ერთხელ დაამტკიცეს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში თავს არასოდეს არიდებდნენ სახიფათო საჰაერო მგზავრობებს და შიშის ფაქტორი მურმანსკშიც გამორიცხული იყო. მაგრამ იდენზე გავლენა მოახდინა მის დელეგაციაში მყოფმა, ინგლისის ავიაციის სამინისტროს წარმომადგენელმა გენერალმა ნაიმ, რომელმაც კონფიდენციალურად გააცნო მინისტრს ავიაციის სამინისტროში დამკვიდრებული საიდუმლო პრაქტიკა: თუ სამინისტროს რომელიმე თანამშრომელი კონკრეტულ ადგილზე უნდა გამოცხადდეს კონკრეტულ დროს, ის არავითარ შემთხვევაში არ ჯდება თვითმფრინავში და მხოლოდ მატარებლით მგზავრობს. იდენმაც მატარებლით 60 საათიანი მგზავრობა აირჩია.

მოსკოვში გადაჭარბებით გამართლდა ინგლისელების პროგნოზი: კრემლში წარმოებული მოლაპარაკებები გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე დაუნინგ-სტრიტზე ვარაუდობდნენ: საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ რეგიონებში ევაკუირებულ სამხედრო ქარხნებს ჯერ არ ჰქონდათ აწყობილი ფრონტისათვის აუცილებელი შეიარაღების წარმოება, ბველი მარაგის ნაწილი ომის პირველსავე თვეებში გაანადგურეს გერმანელებმა (განსაკუთრებით თვითმფრინავები აეროდრომებზევე), გადარჩენილი კი მინიმალურად თუ აკმაყოფილებდა ფრონტის დღითიდღე მზარდ მოთხოვნილებას. ამიტომ სტალინის მთავარი მოთხოვნა საბრძოლო ტექნიკით დახმარებას შეეხებოდა, რისი შესაძლებლობაც კუნძულზე მტრის შეჭრის მომლოდინე ინგლისს იმ დროისათვის თავად უჭირდა. კიდევ ერთი დელიკატური საკითხი უკვე ომის შემდგომი დარეგულირების თემას განეკუთვნებოდა, თუმცა ომის შემდგომი პრობლემების განსახილველად

იდენი არც მზად იყო და არც ამის პრესოგატივა არ გააჩნდა. სტალინი კი დაჟინებით ითხოვდა ოფიციალური დოკუმენტით ყოფილიყო აღიარებული საბჭოთა კავშირის 1941 წლის 22 ივნისის საზღვრები, ანუ ინგლისს უნდა ეცნო სტალინ-ჰიტლერის 1939 წლის აგვისტოს გარიგების შედეგები. იდენმა ჩერჩილისა და რუზველტის ხელმოწერილი ატლანტიკური ქარტია მოიშველია, რაზეც მზად ჰქონდა კონტრარგუმენტი სტალინს – „მე ვფიქრობდი, რომ ატლანტიკური ქარტია მათ წინააღმდეგაა მიმართული, ვინც მსოფლიო ჰეგემონიის დამყარებას ცდილობს. ახლა კი ისე გამოდის, რომ ატლანტიკური ქარტია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაა მიმართული“. ვინაიდან მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიების მიტაცება ნამდვილად ვერ ჩაითვლებოდა მთელ მსოფლიოში გაბატონების მცდელობად, ჩანს, კრემლში თვლიდნენ, რომ შეეძლოთ ანგარიში არ გაეწიათ ქარტიისათვის. ცხადი იყო, რომ ომის შემდგომ საზღვრებზე ლაპარაკი ნაადრევი იყო, მით უმეტეს, როდესაც საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის დიდი ნაწილი გერმანიის ჯარების მიერ იყო ოკუპირებული.

ვიზიტს არც სახალისო კურიოზის გარეშე ჩაუვლია: საბჭოთა მხარეზე შთაბეჭდილების მოსახდენად და კომპრომისზე იძულების მიზნით სასტუმროში განთავსებულმა ინგლისის დელეგაციის წევრებმა ხმამაღალა დაიწყეს კრემლის პოზიციის მიუღებლობაზე წუწუნი და ისიც კი დაასკვნეს, რომ მოლაპარაკებებს აზრი აღარ ჰქონდა და ჯობდა ლონდონში დაბრუნებულიყვნენ. ამ სპექტაკლის დანიშნულება კი მხოლოდ ის იყო, რომ სასტუმროს ნომრებში, დიდი ალბათობით, დამონტაჟებული ხმის ჩამწერი აპარატურის მონაცემების გაცნობის შედეგ, მოლაპარაკების ჩაშლის პერსპექტივით შეშფოთებული სტალინი სერიოზულ დათმობებზე წავიდოდა. დიდი ალბათობით კი არა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კრემლისთვის მყისიერად გახდებოდა ცნობილი ინგლისელების მთელი საუბარი, მაგრამ მხარეთა პოზიციებზე ამას არანაირი გავლენა არ მოუხდენია. ჩანს, დასავლეთში ჯერ კიდევ კარგად არ იცნობდნენ საბჭოთა „ბელადსა“ და მის ნერვულ სისტემას. როგორც მოსალოდნელი იყო, საზღვრების საკითხში არანაირი შეთანხმება არ იქნა

მიღწეული, მაგრამ ამას არც არავინ იმედოვნებდა. მთავარი ის იყო, რომ სამოკავშირეო კონტაქტი დამყარდა და დახმარებაზეც პრინციპში შეთანხმდნენ. სულ მალე კი ინგლისის სანაპიროდან საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთი პორტებისაკენ იარაღით დატვირთული გემების პირველი ქარავანი დაიძრა. იმავდროულად გერმანიის წყალქვეშა ნავებმაც „სანადირო სეზონი“ გახსნეს.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ არანორმირებულ სამუშაო გრაფიკსა და სიცოცხლისათვის სახიფათო ხშირ საჰაერო მოგზაურობებს, ომის წლებში იდენის ვარსკვლავი უპრობლემოდ კაშკაშებდა. ჩერჩილს იგი გულწრფელად უყვარდა და ანგარიშსაც კი უწევდა მის აზრს და, რაც მთავარი იყო, საკუთარ პოლიტიკურ მემკვიდრედაც თვლიდა. 1942 წელს ერთ-ერთი შორეული სახიფათო მოგზაურობის წინ წერილიც კი მიწერა მეფე გიორგი VI თხოვნით, რომ მისი შესაძლო დაღუპვის შემთხვევაში იდენისათვის დაევალებინა ახალი კაბინეტის დაკომპლექტება.

ომის დამთავრებისთანავე დაიწყო იდენის პირადი და კარიერული პრობლემები: ჯერ იყო და უფროსი ვაჟი – სიმონი დაიღუპა (იგი სამხედრო მფრინავი იყო), შემდეგ გარდაეცვალა დედა, რომელიც ასევე ძლიერ უყვარდა და ბოლოს, დასკვნით აკორდად იქცა კონსერვატორთა დამარცხება არჩევნებში. ლორდმა მაკ მორანმა იდენის ვაჟის დაღუპვასთან დაკავშირებით, დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „პრემიერმა სადილზე დამპატიჟა ცოლ-ქმარ იდენებთან ერთად, თან გამაფრთხილა, რომ ის-ის იყო ენტონმა დეპეშა მიიღო, რომ მისი შვილის ცხედარი მისსავე დამსხვრეულ თვითმფრინავთან იპოვეს. ვახშმის მსვლელობაში ტრაგედიაზე სიტყვაც არ დაძრულა. ისინი ისე საუბრობდნენ შუაღამემდე, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს. ვეჭვობ, რომ მე შემძლებოდეს ასეთი მშვიდი ღირსების შენარჩუნება, თუ გავიგებდი, რომ ჩემი შვილი კონი მოკლეს“ (143).

29 ივლისს კი არჩევნების შედეგები გამოცხადდა – ლეიბორისტებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს. ჩერჩილის ერთ-ერთ დიდ წინამორბედს, პრემიერ ბენჯამინ დიზრაელს მიაწერენ სიტყვებს: „ცოტა თუ არსებობს დამარცხებული პარტიის მდგომარეობაზე ნაკლებად

გამამხნევებელი სიტუაცია". ალბათ, დიზრაელს დაეჯერება - მან ხომ თავადაც რამდენჯერმე იწვნია არჩევნებში დამარცხება.

დამარცხებიდან ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ ჩერჩილი პოლიტიკაში დარჩენის გადაწყვეტილებას ღებულობს. იდენმა, როგორც იქნა, პირადი საქმეებისა და საკუთარ ფინანსურ მდგომარეობაზე ზრუნვისათვის მოიცალა – 1945 წლის ოქტომბერში, ინგლისის ერთ-ერთი უმსხვილესი – ვესტმინსტერის ბანკის დირექტორის პოსტს იკავებს, მალე სადაზღვევო კომპანია „ფენიქსის" დირექტორიც ხდება, თუმცა პოლიტიკასთან კავშირს არ წყვეტს: ფორმალურად იგი ჩერჩილის მოადგილედ (პარტიაში) და მემკვიდრედ რჩება. 1951 წლის 25 ოქტომბრის რიგგარეშე არჩევნები კონსერვატორთა გამარჯვებით დამთავრდა. თავის საარჩევნო ოლქში იდენმა იოლად გაიმარჯვა. ყველა დაწერილი და დაუწერელი კანონით მთავრობას გამარჯვებული პარტიის ლიდერი ადგენს, მაგრამ 1951 წლისათვის ჩერჩილი უკვე 77 წლისაა. მართალია, იგი მხნედ გრძნობს თავს, მაგრამ წლებს მაინც თავისი მიაქვს, ხოლო ინგლისის მსგავსი ქვეყნის მართვა კი უდიდეს ენერგიას მოითხოვს. რაც შეეხება იდენს, იგი მის მეორე ბინად ქცეულ ფორინ ოფისში (საგარეო საქმეთა უწყებაში) ბრუნდება და სასწრაფოდ ევროპაში მიემგზავრება ძველი კავშირების აღსადგენად. ამ დროს უკვე საყოველთაოდაა გავრცელებული ტელევიზია და ფოტოგენური იდენიც ხალისით მონაწილეობს ტელეგადაცემებში, დროს არ ზოგავს ინტერვიუებზე. 1952 წლის დასაწყისში ჩერჩილთან ერთად, სამხედრო და სამოქალაქო მრჩეველთა დიდი ამალით იდენი ამერიკაში მიემგზავრება. ვაშინგტონში მოლაპარაკებების დამთავრების შემდეგ ნიუ-იორკში ჩადის, სადაც მას კოლუმბიის უნივერსიტეტის სამართლის საპატიო დოქტორის დიპლომს გადასცემენ. დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, იგი სიტყვით გამოდის თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობაზე. გაიხსენა ერთა ლიგა და დამსწრე აუდიტორიაც გააფრთხილა, რომ კარზე მომდგარი მტერი მზად იყო დასავლეთის შიდა უთანხმოებებით ესარგებლა. ორატორს არც მტრის ვინაობა დაუმალავს – „კომუნისტური იდეოლოგიის ბოროტი დოქტრინა".

იმავე წლის 12 აგვისტოს ცნობილი გახდა, რომ ენტონი იდენი ჯვარს იწერდა კლარისა ჩერჩილზე, პრემიერის გარდაცვლილი ძმის ქალიშვილზე. 32 წლის პატარძალი 23 წლით ახალგაზრდა იყო მეუღლეზე. ქორწინებამდე რამდენიმე წლით ადრე პირველმა მეუღლემ სკანდალის გარეშე მიატოვა იდენი – როგორც თავად ამბობდა, მას მობეზრდა „დიპლომატის ქვრივობა“ – ბრიტანეთის მაღალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ელეგანტური მინიშნება მინისტრი ქმრის დაუსრულებელ მოგზაურობებზე. ანგალიკანური ეკლესიის მომდევრებმა მკაცრად დაგმეს მთავრობის წევრის ხელმეორე ქორწინება ცოცხალი პირველი ცოლის პირობებში. საინტერესო იყო გაზეთ „ჩერჩ თაიმის“ კომენტარი: „იდენის პირადი ცხოვრება – ეს მისი პირადი საქმეა, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ადამიანისა, მაგრამ მის პირად ქმედებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას უნდა ანიჭებდეს მისი მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა... იდენის უპრეცედენტო ნაბიჯი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიცვალა საზოგადოებრივი კლიმატი 1936 წლის შემდეგ“. გაზეთი გულისხმობდა მეფე ედუარდ მერვეს, როდესაც მონარქმა ტახტს საყვარელ ქალთან ცხოვრება ამჯობინა.

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, თუ რა მოუთმენლად ელოდა იდენი 80 წელს მიღწეული ჩერჩილის გადადგომას და რა მონდომებით ცდილობდა უკანასკნელი საბჭოთა ახალ ლიდერებთან უმაღლეს დონეზე შეხვედრით დაესრულებინა თავისი განუმეორებელი პოლიტიკური კარიერა. მართალია, სარისკო ავანტიურაა პარალელების ძებნა ისტორიასა და პოლიტიკაში, მაგრამ ძალაუნებურად გვახსენებს თავს დიდი რუსი დიპლომატის (შეიძლება ერთადერთი დიდი რუსი დიპლომატის) ალექსანდრე გორჩაკოვის დაუოკებელი სურვილი რომელიმე დიდი დიპლომატიური აქციით დაესრულებინა თავისი მრავალწლიანი ბრწყინვალე დიპლომატიური კარიერა, რისთვისაც მან ბერლინის კონგრესი აირჩია. ჩერჩილი კი ისე წავიდა დიდი პოლიტიკიდან, რომ ვერა და ვერ შეძლო სტალინის მემკვიდრეებთან დიპლომატიური პაექრობა.

1955 წლის 5 აპრილს იდენი უკვე კოლეგების მილოცვებს ღებულობდა დიდი ბრიტანეთის პრემიერის რანგში. ლეიბორისტების ლიდერმა და უკვე ნაპრემიერალმა ეტლიმ ბრიტანეთის 27-ე პრემიერის, ლორდ მელბურნის (1837 წელს მისი საგვარეულო ტიტულის მიხედვით მელბურნი დაერქვა ქალაქს ავსტრალიაში) სიტყვებიც კი გაიხსენა, როცა 1834 წლის 16 ივნისს გაპრემიერებულმა განაცხადა, რომ ბველი საბერძნეთიდან და რომიდან მოყოლებული, მსოფლიოში არავინ ყოფილა ასეთი მნიშვნელობის თანამდებობის პატრონი და ამიტომ „თუნდაც სამი თვით, მაგრამ მაინც ღირს იყო ინგლისის პრემიერ-მინისტრიო“. იმჯერად მელბურნი მხოლოდ ერთ თვეში შეცდა – 14 ნოემბერს, მეფე ვილჰელმ მეოთხემ რიგგარეშე არჩევნები დანიშნა და ვიგების ლიდერმა მელბურნმა პრემიერის პოსტი დატოვა. აი, იდენთან მიმართებაში კი უფრო „სერიოზული“ იყო მისი „შეცდომა“ – წლებით ნაოცნებარი თანამდებობის დატოვება სერ ენტონის 21 თვის შემდეგ მოუხდა.

დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილურად წარმატებული და უფრო მეტად კი პოპულარული პოლიტიკოსი ბედისა თუ შემთხვევის უკუღმართობის გამო იმ ასაკში ტოვებდა პრემიერის პოსტს, როდესაც მისი კოლეგების დიდი უმრავლესობა მის დასაკავებლად ემზადებოდა. თანამდებობებზე ყოფნისას თავდაუზოგავი შრომა, რომელიც საერთოდ არ უტოვებდა დასვენების დროს, ცამდის სამართლიანად ითვლებოდა იდენის თვისებად.

გადადგომის შემდეგ, მთელი 20 წელი, საყვარელი საქმით – მოგზაურობებით, დასვენებით, მებაღეობით (რომლის კვალიფიციურ ექსპერტადაც თვლიდნენ მისი ბიოგრაფები) და ცხადია, მემუარების წერით იყო დაკავებული. მიუხედავად საბედისწერო სამხედრო-დიპლომატიური კატასტროფისა, დაუფასებელი არ დარჩენილა მისი მრავალწლიანი ნამოღვაწარი – მას გრაფის ტიტული ებოძა და სიცოცხლის უკანასკნელ წლებში უკვე გრაფ ევონად მოიხსენიებოდა. გარდაცვალების შემდეგ გრაფის ტიტული მემკვიდრეობით მიიღო მისმა შვილმა, ბანკირმა ნიკოლას იდენმა.

1972 წლის ზამთარს ენტონი იდენი ამერიკაში, თბილ ფლორიდაზე ატარებდა, ცნობილი ამერიკელი მილიონერისა და დიპლომატის, ავერელ ჰარიმანის ვილაში. აქ ცუდად იგრძნო თავი (ექიმებმა ღვიძლის კიბო აღმოუჩინეს) და ბრიტანეთის მთავრობის მიერ გაგზავნილი სამხედრო თვითმფრინავით ინგლისში გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც 79 წლის ასაკში.

მართლაც, რომ დიდხანს არ რჩება უპატრონოდ „წმინდა ადგილი“: ევროპის დიდი პოლიტიკიდან ჩერჩილისა და იდენის წასვლიდან სრული ორი წელიც არ იყო გასული, რომ 12 წლამდე გაჭიანურებული „ტაიმ-აუტის“ შემდეგ საფრანგეთში გენერალი შარლ დე გოლი უკვე ელისეს სასახლეში დაბრუნდა

საყოფელთაოდ მიღებული ნორმაა პოლიტიკური ლიდერების ბიოგრაფების ცხოველი ინტერესი საკუთარი გმირის მიერ მიღებული პოლიტიკური მემკვიდრეობისადმი. ასე იწერებოდა დე გოლის ბიოგრაფიებიც. კონტრასტების ილუსტრაციის მეთოდით ხომ მკვეთრად იზრდება წარუმატებულ და წარმატებულ კონტრასტებს შორის არსებული გასხვავების ეფექტი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სხვაობა იმდენად თვალში საცემი იყო, რომ ავტორებს დრო არ უნდა დაეკარგად საარქივო მასალების ძებნაზე.

რას წარმოადგენდა IV რესპუბლიკის საფრანგეთი? მოკლე შეფასებით, ეს იყო დრომოჭმულ კოლონიურ წარსულს უიმედოდ ჩაბღაუჭებული, ინდოჩინეთში უიმედო ავანტიურაში ჩაფლული ქვეყანა, მეტროპოლიაში მრავალრიცხოვანი ურთიერთმოკინკლავე პოლიტიკური პარტიების გაუთავებელი ინტრიგების არენად ქცეული არაეფექტური საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებებით, სადაც 12 მთავრობა შეიცვალა 10 წლის მანძილზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არ იყო დე გოლის ოცნების საფრანგეთი. ვინაიდან „საფრანგეთი მხოლოდ მაშინაა ნამდვილი საფრანგეთი, როდესაც ის პირველ რიგებში დგას“ (144). იმდროინდელ ევროპასა და მთელ მსოფლიოშიც პირველ რიგებში მხოლოდ ის სახელმწიფოები იდგნენ, რომელთა ხალხებმაც უდიდესი მსხვერპლისა და გასაოცარი ბრძო-

ლის უნარიანობით მოიპოვეს იქ დგომის უფლება. ერთი მუჭა ფრანგი პატრიოტების გმირობა სათვალავში მისაღები არ იყო.

პირველ რიგში თვითონ ფრანგების გადასაწყვეტია, იყო თუ არა დე გოლი მართალი, როდესაც კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკისათვის ნორმად ქცეულ მრავალპარტიულ სისტემას ჩამოჰკიდა კისერზე ყველა „მკვდარი კატა“ 1946 წლის 19 იანვარს, მიუხედავად იმისა, რომ სამი თვეც არ იყო გასული მის მიერ ინიცირებული რეფერენდუმის შემდეგ, სადაც სრულ წარმატებას კი მიაღწია, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტებმა და სოციალისტებმა გაიმარჯვეს. გენერალი რჩებოდა მთავრობის მეთაურად და პარტიების ხელის შემყურედ, რაც მისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო. დამფუძნებელი კრების მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად ერთხმად არჩეული და კრების მიერ გაკეტებული საჯარო განცხადება, რომ „შარლ დე გოლს დიდი დამსახურება მიუძღვის სამშობლოს წინაშე“, მისთვის არაფერს ნიშნავდა. ზუსტად ასეთივე შეფასების შემდეგ მოუწია კლემანსოს ხელისუფლებიდან წასვლა. პარტიებთან უაზრო ბრძოლას (პირველ რიგში კი კომუნისტებთან, რომელნიც გამარჯვებული პარტიის უფლებით თავდაცვის, საგარეო საქმეთა ან შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელს ითხოვდნენ) დე გოლი გადადგომას ამჯობინებს. „პოლიტიკური სცენიდან მორალურად სუფთად წასვლა“ – აი, მისი უკანასკნელი მოვალეობა, როგორც იგი მემუარებში იხსენებს.

დე გოლი აცხადებს კიდეც გადადგომას და რადიოთი გამოსვლისას ასაბუთებს, თუ რატომ არ შეიძლება კომუნისტების ხელში იყოს არცერთი ისეთი ძალის მჭონე ბერკეტი, როგორიცაა დიპლომატია, რომელიც საგარეო პოლიტიკის გამოხატულებაა; არმია, რომელიც საგარეო პოლიტიკის გამამაგრებელია და პოლიცია, რომელიც მისი დამცველია – იმიტომ, რომ კომუნისტები უცხო სახელმწიფოდან იმართებიან და უცხო სახელმწიფოს იდეოლოგიის ტყუპის ცალები არიან. ეროვნული გმირის სკანდალური გადადგომა, თანაც ომის დამთავრებისთანავე, არავის აწყობს. არც გენერალია კმაყოფილი იმით, რომ კომუნისტების მიზეზით გადადგომით ირიბ შეურაცხყოფას

აყენებს ყოველ მეოთხე ფრანგ ამომრჩეველს და იგი რჩება. კომუნისტებმა თავდაცვის არა, მაგრამ შეიარაღების მინისტრის პოსტი მაინც მიიღეს ოთხ სხვა სამინისტროსთან ერთად, თუმცა მათ შორის არ იყო არც საგარეო და არც შინაგან საქმეთა სამინისტროები. პარლამენტთან დაპირისპირება დროებით გაძნელდა, უფრო სწორად, ცოტა ხნით გადაიდო. ახალი კონფლიქტის საბაბად კი 1946 წლის ბიუჯეტის პროექტი იქცა. სოციალისტებმა სამხედრო ბიუჯეტის 20 პროცენტით შემცირება მოითხოვეს. მოსალოდნელი იყო, რომ მათ კომუნისტებიც მხარს დაუჭერდნენ. სამხედრო ძლიერებას მოკლებული საფრანგეთი კი ის სამშობლო არ იყო, რომლისთვისაც დე გოლი მთელი სიცოცხლე იბრძოდა და ათას გასაჭირს იტანდა.

1946 წლის 19 იანვარს დე გოლი გადადგა და მთელი 12 წელი გახდა საჭირო, რომ საფრანგეთი, თავისი პარტიებითა და უნიათო პოლიტიკოსებით, დარწმუნებულიყო, რომ უბრძოლოდ დამარცხებული ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას არც ფსიქოლოგიური მდგრადობა და არც პოლიტიკური ნება აღარ გააჩნდა სახელმწიფოს ნორმალური მართვისათვის. ალჟირის მოვლენებმა ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღვარზე მიიყვანა. მხოლოდ დე გოლის ავტორიტეტს თუ შეეძლო ალჟირის კრიზისიდან ქვეყნის უსისხლოდ გამოყვანა. გენერლის ინვესტიტურისათვის (ანუ ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის), თუმცა უკვე ფორმალურად, მაგრამ მაინც საჭირო იყო ეროვნული კრების თანხმობა. 1958 წლის 27 მაისს, პრემიერმა პიერ პფლიმლენმა ეროვნულ კრებაში განსახილველად შეიტანა კონსტიტუციის კანონპროექტი, რომელიც მკვეთრად ზრდიდა აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენას და ასევე მკვეთრად ასუსტებდა პარლამენტის როლს. ჩავარდნაზე წინასწარ განწირული საკონსტიტუციო ინიციატივის მოტივი კი უიშვიათესი იყო მსოფლიო პარლამენტიზმის ისტორიაში: პრემიერი და მთელი მთავრობა საბაბს ეძებდა, რათა უნდობლობის ვოტუმით გადამდგარიყო და დე გოლისათვის ადგილი გაეთავისუფლებინა. არავისთვის აღარ წარმოადგენდა საიდუმლოებას ის ფაქტი, რომ მთავრობა არც სიტუაციას ფლობდა და არც რეალურ ძალას, რათა საჭიროების შემთხვევაში ძალით შეეკავებინა ალჟირელი

ფრანგი მეამბოხეები. უკანასკნელთა გეგმებში კი განსაკუთრებული ადგილი დე გოლს ეკავა – მთავარი მეამბოხის, გენერალ რაულ სალანის ემისრებმა საკუთარ სახლში, კოლომბეს მუნიციპალიტეტში ჩააკითხეს კიდეც მას და პირდაპირ შესთავაზეს სათავეში ჩასდგომოდა სახელმწიფო გადატრიალებას. რატომღაც მხედველობიდან გამორჩათ, ე.წ. „ულტრას“ ლიდერებს, რომ გენერალს ჯერ კიდევ 1946 წელს შეეძლო ძალის გამოყენებით ხელისუფლების სათავეში დარჩენაც და დიქტატორის რანგში ქვეყნის მართვა, მეზობელი ესპანეთისა თუ პორტუგალიის მსგავსად, მაგრამ ასეთი სცენარი ორგანულად იყო მიუღებელი დე გოლისათვის. ისე კი კატეგორიული უარით არ გაუსტუმრებია სალანის ემისრები. ალჟირისა და კორსიკის (კუნძულზეც იგრძნობოდა ანტისახელიმწიფოებრივი ამბოხების ნიშნები) ფაქტორს მარჯვედ იყენებდა დე გოლი პარიზზე ზეგავლენის მიზნით და მიაღწია კიდეც მიზანს – 1958 წლის 1 ივნისს, კვირა დღეს, დე გოლი პირველად 1946 წლის შემდეგ, ეროვნული კრების სხდომათა დარბაზში შედის, რომელსაც „ჩრდილების თეატრს“ უწოდებდა ზიზღით. 329 ხმით 224-ის წინააღმდეგ გენერალი მეორედ ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. მეორე დღეს კი ეროვნული კრება განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებს მის მთავრობას, სადაც ერთი ადგილიც არ მოიძებნა იმათი წარმომადგენლებისა თუ მომხრეებისათვის, ვინც ყველაზე დიდ იმედებს ამყარებდა დე გოლის დაბრუნებაზე – ალჟირის „ულტრა“ გაოგნებული იყო. სანამ ალჟირში ბოლომდე გაერკვეოდნენ ახალი პრემიერის გეგმებში, იგი თავად ჩაფრინდა მეამბოხეებთან. ქალაქ ალჟირში მას გრანდიოზულ შეხვედრას უწყობენ: აეროპორტიდან ქალაქის ცენტრამდე ქუჩები ხალხით იყო სავსე. ალჟირში 3-დღიანი ვიზიტის მსვლელობაში და შემდეგ პარიზში, საფრანგეთმა და მთლიანად ევროპამაც შარლ დე გოლი ახალ ამპლუაში გაიცნო: თუ ომის წლებში ლონდონ-ვაშინგტონისათვის გამაღიზიანებლად და სწორხაზოვნად არაელასტიური იყო გენერლის დიპლომატია, ახლა გაირკვა, რომ მისთვის არც ხელოვნური თავაზიანობა, არც ზომიერი კომპრომისები და არც ტაქტიკური ლავირებები არ ყოფილა უცხო. ერთი სიტყვით, უკარება და არაკომუნიკაბელური

გენერალი თურმე სრულყოფილად ფლობს კლასიკური დიპლომატიის ყველა ილეთს. მხოლოდ ერთ საკითხშია ის უძლური, სადაც არაფრის შეცვლა არ შეუძლია და ეს აწუხებს ყველაზე მეტად: „მე ათი წლის დაგვიანებით მოვედი... შემიძლია კი იმის იმედზე ყოფნა, რომ წინ კიდევ ათი წელი მაქვს?“. იგი უკვე 67 წლისაა, ადრე კი არა ერთხელ უთქვამს, რომ პოლიტიკოსმა 60 წლის ზემოთ აღარ შეიძლება უმაღლესი პასუხისმგებლობა იკისროს.

ალჟირი იქცა დე გოლისათვის, როგორც სახელმწიფო მოღვაწისათვის, ყველაზე რთულ და სერიოზულ გამოცდად. ალჟირი ხომ „ჩვეულებრივი“ კოლონია არ იყო, საიდანაც ინდოჩინეთის მსგავსად, არც უ კატასტროფული შედეგებით შეიძლებოდა გუდა-ნაბადის აკვრა. მესამე და მეოთხე თაობების ფრანგებისათვის, რომელთა რაოდენობაც მილიონს ჭარბობდა, ალჟირი არა მხოლოდ კომფორტული არსებობის წყაროდ, არამედ მეორე სამშობლოდ იქცა და მათთვის წარმოუდგენელი იყო მისი მიტოვება ან თუნდაც ხელისუფლების გადაცემა მკვიდრი არაბებისათვის. დე გოლი იმ კრიტიკულ მომენტში ჩაუდგა სათავეში საფრანგეთს, როდესაც იოლი გასარკვევი არ იყო რომელი საფრთხე უფრო სერიოზული იყო: „ულტრა“ თავისი პარაშუტისტებით თუ ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტი. სწორედ ალჟირის კრიზისის დღეებში იჩინა თავი გენერლის დიპლომატიის ეფექტმა. პირველ რიგში საჭირო იყო „ულტრას“ დაშოშმინება და სამოქალაქო ომის საფრთხის განეიტრალება. მთავრობის მეთაურის რანგში ალჟირში პირველი ვიზიტის მსვლელობაში იგი თითქმის შეუძლებელს ახერხებს – არანაირ დაპირებებს არ აძლევს „ულტრას“ ლიდერებს, საჯარო გამოსვლებისას მხოლოდ ერთხელ ახსენებს „ფრანგულ ალჟირს“ და ამავე დროს მათ სრულ გაუგებრობაში ტოვებს. ანუ დროს იგებს და მაქსიმალურად იყენებს საკუთარ ავტორიტეტს. არანაირ სიმპატიებს არ ავლენს „ულტრას“ პროგრამისადმი, მაგრამ მას არც საჯაროდ ემოჯნება. 7 ივლისს ფრანგი ანტროპოლოგი და ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ჟაკ სუსტელი (იგი ალჟირის საფრანგეთის შემადგენლობაში დატოვების მომხრე იყო) ინფორმაციის მინისტრის პოსტს ღებულობს – ესეც სწორი დიპლომატიური

სვლაა, უმჯობესია ეს დაუოკებელი ავანტიურისტი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდეს. 14 ივლისს პარიზელები გაოცებულნი უყურებდნენ ეროვნულ სადღესასწაულო აღლუმში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსულ ალჟირელ პარაშუტისტებს, დისციპლინირებული ჯარისკაცებივით რომ ჩაიარეს ელისეს მინდვრები – მათ ხომ სულ ერთი თვის წინ შიშით ელოდნენ პარიზში.

28 სექტემბერს საფრანგეთში საკონსტიტუციო რეფერენდუმი გაიმართა. 80 პროცენტმა ხმა მისცა ახალ კონსტიტუციას, თუმცა, როგორც ფრანგული გაზეთები წერდნენ, მის მომხრეთა ნახევარს წაკითხულიც კი არ ჰქონდა ქვეყნის ძირითადი კანონის ტექსტი. ფრანგები დე გოლს ენდნენ და ირწმუნეს, რომ ახალი კონსტიტუციით, უჩვეულოდ გაზრდილ ძალისუფლებას იგი მხოლოდ ქვეყნის სასიკეთოდ გამოიყენებდა. პირველი და გადაუდებელი პრობლემა ალჟირის კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანა იყო.

ხელისუფლებაში დაბრუნებისა და ქვეყნის მართვის დაწყებისთანავე დე გოლი საფრანგეთის ტრადიციული პოლიტიკური რითმისათვის სათავეს კიდევ ერთ უცხო დიპლომატიურ ნოვაციას უდებს: ყველა თავის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს პრესკონფერენციებზე აჟღერებს, მისი „ვიზავი“ უშუალოდ ხალხი ხდება, პარტიებისა და ეროვნული კრების გვერდის ავლით. „მე არ მიყვარს სოციალისტები, ვინაიდან ისინი სოციალისტები არ არიან, მე არ მიყვარს ჩემი მომხრეები, ვინაიდან მათ ფული უყვართ“ – არ მალავდა ქვეყნის მეთაური მისი თანამედროვე პოლიტიკოსებისადმი საკუთარ დამოკიდებულებას.

მეხუთე რესპუბლიკის პირველივე დღეებიდან იწყება დე გოლის „ალჟირული დიპლომატიის“ ახალი ეტაპი; 1958 წლის 23 ოქტომბერს, თავის პირველსავე პრესკონფერენციაზე გენერალი ალჟირის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებს „უშიშართა ზავს“ სთავაზობს. დეკემბერში დე გოლს პრეზიდენტად ირჩევენ უჩვეულოდ გაზრდილი უფლებებით, თუმცა ალჟირში ფრანგი სამხედროების ჩუმი, მეტროპოლიაში კი საკუთარი მთავრობის ასევე ჩუმი წინააღმდეგობა შეუძლებელს ხდის არატრადიციული გადაწყვეტილებების რეალიზებას.

ე.წ. „ინტეგრაციის“ მომხრე არა მხოლოდ ჟაკ სუსტელი ჰყავს მთავრობაში გენერალს, არამედ თვით პრემიერ-მინისტრი მიშელ დებრეც კი ეჭვით უყურებს პრეზიდენტის ინიციატივებს.

როდესაც ხელისუფლებაში ბრუნდებოდა, დე გოლი ძირითადად აქტიური საგარეო პოლიტიკური კურსით იმედოვნებდა მისი ხატი – საფრანგეთის დიდების აღდგენას, ალჟირის გადაუჭრელი პრობლემა კი წისქვილის ქვებად ეკიდა მას კისერზე და სხვა მიმართულებებით თავისუფალი მოქმედების საშუალებას არ აძლევდა. დამატებითი სირთულე იყო საკუთარი თავის დარწმუნება ალჟირის დამოუკიდებლობის გარდუვალობასა და აუცილებლობაში. საკუთარ მინისტრებთან გულახდილობის ერთ-ერთ იშვიათ მომენტში დაუფარავად აცხადებს: „ეს ასე იოლი არ არის ჩემი ასაკის, ჩემი გამოცდილებისა და აღზრდის გათვალისწინებით, მაგრამ მე მივიღე გადაწყვეტილება... ჩვენ რთული საქმის გაკეთება მოგვიწევს და ეს მე სულაც არ მახარებს“ (145).

26 აგვისტოს მინისტრთა კაბინეტი ალჟირის პრობლემას იხილავს. მხოლოდ სამი მინისტრია პრეზიდენტის მხარეზე, დებრესა და სუსტელს ლაპარაკიც არ სურთ ალჟირის დამოუკიდებლობაზე, თუმცა დე გოლს არც აინტერესებს მათი აზრი. ადამიანისთვის, რომელსაც გაცილებით უარეს მდგომარეობაში მყოფსაც კი, ჩერჩილი და რუზველტიც ვერ აცვლევინებდნენ აზრს, ფეხმოკლე პოლიტიკანების პოზიცია ანგარიშგასაწევი არგუმენტი არ იყო. 1959 წლის 16 სექტემბერს დე გოლი საზეიმოდ აღიარებს ალჟირელი ხალხის უფლებას თვითგამორკვევაზე. რეალისტ გენერალს მშვენივრად ესმის, რომ საფრანგეთს მოუწევს ალჟირიდან წამოსვლა, მაგრამ მისთვის მიუღებელია კიდევ ერთი დიენ-ბიენ-ფუ (საფრანგეთის არმიის მარცხი ინდოჩინეთის ომში), მას ღირსებით წამოსვლა სურს, ალჟირელებთან მოლაპარაკების და არა კაპიტულაციის შედეგად წამოსვლა რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ამოცანაა, თუმცა რაც მეტი წინააღმდეგობები ხვდებოდა მას ძნელბედობაში, მით უფრო გაათკეცებული ენერგიით ისწრაფოდა დასახული მიზნისაკენ. ასე იყო ამჯერადაც. ჯერ დროული და მტკიცე გადაწყვეტილებებით აღკვეთა ალჟირში

„ულტრას“ ცდა გადატრიალებაზე, მთავრობიდან და არმიის სარდლობიდან მოიშორა „ინტეგრაციის“ გამოუსწორებელი ფანატიკოსები, შემდეგ ალჟირში ჩავიდა და ინტენსიური შეხვედრები გამართა არმიის ოფიცრებთან. უკან არ მიაქვს თვითგამორკვევაზე გაკეთებული განცხადება, მაგრამ იქვე ამატებს, რომ თვითგამორკვევა სულაც არ ნიშნავს ალჟირის დამოუკიდებლობას. პირიქით, ახალგაზრდა ოფიცრებს მოსალოდნელ მძიმე ბრძოლებზე ესაუბრება. ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტთან მოსალოდნელი რთული მოლაპარაკებების პროცესში მას მტკიცე პოზიციები ესაჭიროება, რისი გარანტიც მხოლოდ ძლიერი არმია და სამხედრო წარმატებები შეიძლება იყოს. ხომ ვერ მოუწოდებდა იგი ფრანგ ოფიცრებს ალჟირის დამოუკიდებლობისათვის ეომათ? ალჟირელ აჯანყებულებს ეჭვი არ უნდა შეეტანათ საფრანგეთის მზადყოფნაში – გაეგრძელებინა ბრძოლა. ასეთ ვითარებაში, 1960 წლის ზაფხულში, პირველი ფრანგულ-ალჟირული შეხვედრა ეწყობა მელენში, პარიზიდან 40 კილომეტრში. შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. ალჟირში ომი გაგრძელდა. ამ დროს უკვე მთელ საფრანგეთში იწყება ანტისაომარი გამოსვლები, პარიზში ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები სპეციალურ მანიფესტს აქვეყნებენ, სადაც დეზერტირობისაკენაც კი მოუწოდებდნენ ფრანგ ჯარისკაცებს. ხელმომწერთა წინააღმდეგ, რომელთა შორისაცაა მსოფლიოში ცნობილი ფილოსოფოსი ჟან-პოლ სარტრი, სასამართლო დევნა იწყება. მართალია, შინაგანად აღიზიანებს პრეზიდენტს ინტელიგენციის აქციები, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგია რეპრესიებისა: „ინტელიგენციის ხელობაა საზოგადოების აღგზნება. ისინი თავიანთ როლს ასრულებენ. აკეთონ თავისი საქმე. პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ასეთი ადამიანები პრობლემებს უქმნიან ხელისუფლებას“ – ამშვიდებს იგი იუსტიციის მინისტრს (146) და ემილ ზოლას, რომენ როლანს, ვოლტერს ახსენებს. მეორეს მხრივ, ის კაცი არ იყო გენერალი დე გოლი, რომ თუნდაც ათასობით სარტრს აეძულებინა მისი რწმენის საწინააღმდეგო ქმედებაზე. მას უკვე კარგა ხნის წინ ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება. 5 სექტემბერს, მორიგ პრესკონფერენციაზე იგი უკვე თავის საბოლოო

გადაწყვეტილებას ასაჯაროებს: ერთადერთ საკითხად რჩება ის, რომ „ალჟირული ალჟირი“ (და არა „ფრანგული ალჟირი“) მეგობრულ კავშირში დარჩეს საფრანგეთთან. 1961 წლის 8 ნოემბრისათვის ინიშნება რეფერენდუმი ალჟირის საკითხზე. გენერალს ხალხის მანდატი სჭირდება გადაწყვეტილებისათვის. ერთდროულად იქმნება ალჟირის საქმეთა სამინისტრო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გენერლის ძველი თანამებრძოლი და გამოცდილი დიპლომატი ლუი ჟუოქსი. ესეც დიპლომატიური „ცხენით სვლაა“ – ალჟირის თემა კაბინეტში განხილვებს აღარ ექვემდებარება, ვინაიდან ახალი მინისტრი უშუალოდ პრეზიდენტს ექვემდებარება.

დეკემბერში დე გოლი კიდევ ერთხელ ჩადის ალჟირში. საჭიროა არმიის და ადგილობრივი ადმინისტრაციის მომზადება რეფერენდუმის შედეგისათვის. არც „ულტრაა“ გულხელდაკრეფილი: ესპანეთიდან ჩადიან გენერალ სალანის აგენტები პროვოკაციების მოსაწყობად და თუ მოხერხდება, გენერლის მკვლელობაც კი იგეგმება. სისხლიანი შეტაკებები იმართება პარაშუტისტებსა და არაბებს შორის ქალაქ ორანისა და ალჟირის ქუჩებში. რეფერენდუმი უკვე იანვარში ტარდება. ფრანგების 75 პროცენტი იწონებს გენერლის კურსს ალჟირის თვითგამორკვევაზე. ალჟირის თავისუფლებისათვის მებრძოლები საიდუმლო მოლაპარაკებებს სთავაზობენ დე გოლს შვეიცარიის მთავრობის შუამავლობით. უაღრესად მნიშვნელოვან და დელიკატურ მისიას გენერალი დე გოლი ჟორჟ პომპიდუს (საფრანგეთის მომავალ პრეზიდენტს) ანდობს, რომელიც იმ დროს როტშილდის ბანკის დირექტორია. იგი შვებულებაში გადის და შვეიცარიაში მიემგზავრება „თხილამურებით სასეირნოდ“, სინამდვილეში კი ლიუცერნში საიდუმლოდ ხვდება ალჟირელებს, ბრუნდება პარიზში და კვლავ უბრუნდება „თხილამურებს“. 20 მარტს პარიზში ოფიციალური კომუნიკე ქვეყნდება – მალე სასაზღვრო ქალაქ ევიანში ფრანგულ-ალჟირული მოლაპარაკებები დაიწყება. მეორე დღეს კი ევიანში ბომბის აფეთქებით ქალაქის მერი იღუპება. მთელ საფრანგეთში ერთი-მეორეზე მიყოლებით ისმის აფეთქებების ხმა. ერთი ბომბი თვით ბურბონების სასახლეში აფეთქდა. მარტშივე, შვეიცარიაში იმართება სამხედ-

რო და სამოქალაქო „ულტრას“ ყრილობა, რომელიც „საიდუმლო სამხედრო ორგანიზაციას“ („ოას“) აფუძნებს. ფრანგი ფაშისტების ძველი სიმბოლო – კელტის ჯვარი ახლა უკვე „ოას“-ის ემბლემაა. ორგანიზაციას სათავეში გენერალი რაულ სალანი უდგება. აფეთქებებით და ტერორისტული აქტებით იგეგმება მთელ საფრანგეთში პანიკისა და ქაოსის დამკვიდრება. 22 აპრილს პარიზი შეძრა ალჟირიდან მიღებულმა ცნობამ, რომ იქ მთელი ძალაუფლება „ულტრამ“ და „ოას“-მა ჩაიგდო ხელში. აჯანყებული გენერლების ხუნტამ ოფიციალურად განაცხადა, რომ „უფლებას ინარჩუნებდა“ მეტროპოლიაშიც განეხორციელებინა თავისი აქციები. გენერლების მიერ გავრცელებულ ერთ-ერთი დეკლარაციაში პათეტურ ტონში იყო ნათქვამი, რომ ისინი უარს ამბობდნენ საფრანგეთის ერთ-ერთი პროვინციის (ანუ ალჟირის) დათმობაზე ისევე, როგორც იგი არ დათმო 1940 წლის 18 ივნისს ლონდონში „ერთმა გენერალმა“ – ხუნტა დე გოლს თავის წარსულს ახსენებდა.

პარიზში კი მთავრობა პანიკამ მოიცვა. სიმშვიდესა და სიმტკიცეს მხოლოდ პრეზიდენტი ინარჩუნებდა, რომელმაც აჯანყების ჩახშობაზე აიღო კურსი, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის სამხედრო კანცელარიის უფროსი, გენერალი ბოფორიც შეთქმულების მონაწილე აღმოჩნდა. დე გოლი კარგად იცნობდა პუტჩისტი გენერლების გამბედაობასაც და რესურსებსაც. როდესაც დაბნეული და დემორალიზებული პრემიერი დებრე პრეზიდენტს აფრთხილებდა, რომ პუტჩის ლიდერი, გენერალი შალე მალე პარიზში გამოჩნდებაო, დე გოლმა მშვიდად უპასუხა: „კი, ფიდელ კასტრო რომ იყოს და არა შალე“. კომუნისტებმა და ულტრა-მემარცხენე ძალებმა დრო იხელთეს და პუტჩთან ბრძოლისათვის იარაღის დარიგება მოითხოვეს, რაზეც გენერლის მკვახე უარი მიიღეს: „მე არ მსურს შრომის საყოველთაო კონფედერაციის, კომუნისტური პარტიისა და სტუდენტთა კავშირის მძევლად ვიქცე“. ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი გამორიცხავდა დე გოლი მემარცხენე ძალებთან ერთად მოქმედებას. ალღომ არ უმტყუნა პრეზიდენტს: რამდენიმე დღეში აჯანყება სერიოზული სისხლისღვრის გარეშე იქნა ლიკვიდირებული, პუტჩისტი გენერლები ზოგი

დააპატიმრეს, ზოგმაც გაქცევა მოასწრო. შეწყვეტილი მოლაპარაკებები განახლდა, შეწყდა, ხელახლა განახლდა და ხელახლა შეწყდა.

1961 წლის 8 სექტემბერს შარლ დე გოლზე პირველი თავდასხმა მოხდა. საფრანგეთის ხელისუფლების პირადული ხასიათი და დე გოლის ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში გარდუვალს ხდიდა ტერორისტული აქტების სერიებს პირადად მის წინააღმდეგ. გენერალზე ნადირობის სეზონი „ოას"-მა გახსნა, თუმცა როგორც ათი წლის შემდეგ გახდა ცნობილი, დე გოლის წინააღმდეგ მოქმედებდა კიდევ ერთი მკაცრად გასაიდუმლოებული ორგანიზაცია გენერლების, სენატორების, დეპუტატების და ყოფილი გოლისტების მონაწილეობით. სწორედ ამ ორგანიზაციის მიერ იყო დაგეგმილი გენერალზე განხორციელებული ყველაზე საშიში თავდასხმები. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ისტორიული ფაქტია, რომ გენერალი დე გოლი 15 (!) ტერორისტულ აქტს გადაურჩა. 1962 წლის 18 მარტს კი ფრანგულ-ალჟირული (და არა საფრანგეთ-ალჟირის) მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. მეორე დღეს ომიც დამთავრდა. 8 აპრილს ჩატარებული რეფერენდუმის მონაწილეთა 90-მა პროცენტმა მხარი დაუჭირა ევიანის შეთანხმებას. ფრანგებისათვის მიცემული ყველაზე პრობლემური დაპირება პირნათლად, სიცოცხლის რისკად შეასრულა გენერალმა დე გოლმა. „ახლა ჩვენ ევროპისაკენ უნდა მივბრუნდეთ" - განუცხადა პრეზიდენტმა კაბინეტს ევიანის შეთანხმების განხილვის შემდეგ. „დიპლომატია რეალობებზე დაფუძნებული ხელოვნებაა" – ხშირად იმეორებდა დე გოლი. რეალობა კი ისეთი იყო, რომ ერთი მხრივ, პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა ალჟირის შენარჩუნებას, მეორე მხრივ კი, მხოლოდ გენერლის მსგავსი პირადი ფანტასტიური დამსახურებისა და ასევე არაორდინალური პირადი უდრეკი და უშიშარი ბუნების ადამიანს შეეძლო ამ ჯოჯოხეთური სირთულის პრობლემასთან შებმა და გამარჯვება, რომელიც მართლაც ისეთი მასშტაბის იყო, რომ თვით ფრანგმა კომუნისტებმაც კი ქედი მოიხარეს შერიგებელი პოლიტიკური მოწინააღმდეგის წინაშე: „ალჟირის პრობლემის გადაჭრისას გენერალმა დე გოლმა უდიდესი ბრწყინვალებით

გამოავლინა საკუთარი რეალიზმი და სახელმწიფო მოღვაწის უნარი“, – წერდა კომპარტიის გაზეთი „ლ'უმანიტე“.

ალჟირის კოშმარიდან თავის დაღწევის შემდეგ, პრეზიდენტმა, როგორც იქნა, აქტიური საგარეო პოლიტიკისათვის მოიცალა. „რასაც კი ვაკეთებ, ყველაფერი საფრანგეთის დიდებას ემსახურება“ – ამბობდა დე გოლი და ეს არ იყო პატივმოყვარე პოლიტიკოსის ტრივიალური ტრაბახი. სხვა დიდი მიზანი მას მართლაც არ ჰქონია სიცოცხლის მანძილზე. ომის დამთავრებისთანავე, მისი დამსახურების გარეშე არ მომხდარა, რომ საფრანგეთმა, ამერიკასთან, საბჭოთა კავშირთან, დიდ ბრიტანეთთან და ჩინეთთან ერთად, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის ადგილი მოიპოვა. საგრძნობლად გაიზარდა საფრანგეთის ეკონომიკური წონა ევროპაში. დე გოლის მმართველობის პერიოდში 50 მილიონს მიაღწია ქვეყნის მოსახლეობამ და დაძლეული იქნა ტრადიციული დემოგრაფიული კრიზისი. თუმცა მსოფლიოს ორ ახალ გიგანტთან შედარებით, საფრანგეთის საერთაშორისო გავლენა მაინც მოკრძალებულად გამოიყურებოდა. ამას ხედავდა გენერალი და ამიტომაც იყო, რომ ერთხელ ვიწრო წრეში სევდით წამოიძახა: „ოჰ, მე რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვყოფილიყავი....“ (და არა საბჭოთა კავშირის კომპარტიის გენერალური მდივანი).

რეალობიდან გამომდინარე, დე გოლის დიპლომატიის ამოცანად იქცა ისტორიული მორალური ავტორიტეტის დაბრუნება საერთაშორისო არენაზე, მაგრამ რა გზით? „საერთაშორისო ავტორიტეტით სარგებლობისათვის, – აცხადებდა იგი, – აუცილებელი არ არის დიდი ქვეყანა იყო“. მისი შეურყეველი რწმენით, ამისათვის საჭირო იყო სრული, მაქსიმალურად შესაძლებელი დამოუკიდებლობა. უკანასკნელი კი გენერლის ბუნებისა და ცხოვრების წესის განუყოფელ ნაწილად ჯერ კიდევ ლონდონში დევნილობის წლებში იქცა. აქედან გამომდინარე კი ლოგიკური დასკვნა – საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა უნდა იყოს მისი პირადი პოლიტიკა. დამოუკიდებლობის სულისკვეთება და ნებისყოფის ძალა, რომლითაც ის მუდამ გამოირჩეოდა – აი, ის აუცილებელი კომპონენტები, რაზეც უნდა დაფუძნებუ-

ლიყო საფრანგეთის დიდება. როგორც თანამედროვეთათვის, ასევე მომავალი (თუნდაც დღევანდელი) თაობისათვის, ალბათ, უცნაურადაც კი გამოიყურება მტკიცე ნებისყოფის გენერლისეული ფუნქცია. მისი გაგებით, ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცის გარეშე შეუძლებელი იყო ყურადღება არ მიექცია საკუთარი მოკავშირეების უკმაყოფილებისათვის. იმის გათვალისწინებით, თუ ვინ იყო იმდროინდელი საფრანგეთის მთავარი მოკავშირე, მართლაც „კერკეტ კაკალ" გენერალს თუ შეეძლო ასეთი მიდგომებით ხელმძღვანელობა რეალურ საგარეო პოლიტიკაში. საერთოდ კი, მსოფლიო დიპლომატიაში ძნელად თუ მოიძებნება მოკავშირეების, მით უმეტეს სტრატეგიული მოკავშირეების რჩევების „დაუსჯელი" იგნორირების პრეცედენტები. ყოველ შემთხვევაში, ისრაელის გარდა, ამას ცოტა ვინმე თუ ახერხებს. დე გოლი სამართლიანად ამაყობდა, რომ მხოლოდ ის აძლევდა საკუთარ თავს უფლებას ბრმად არ გაჰყოლოდა ვაშინგტონში დაგეგმილ კურსს: „მხოლოდ ჩვენ შეგვწევს უნარი „არა" ვუთხრათ ამერიკის პროტექტორატს. არც გერმანელები, არც ბელგიელები, არც იტალიელები და არც ჰოლანდიელები არ ეტყვიან „არა"-ს". შარლ დე გოლმა კი არაერთხელ დაამტკიცა, რომ მართლაც შეეძლო კატეგორიული „არა" ეთქვა ისეთი დონის პრეზიდენტებისათვისაც კი, როგორნიც იყვნენ დუაიტ ეიზენჰაუერი და ჯონ კენედი.

დე გოლის ზოგიერთი ბიოგრაფი, ღრმად რომ ცდილობდა ჩასწვდომოდა გენერლის ემოციურად ბრწყინვალე დიპლომატიური რიტორიკისა და უზადო ფსიქოლოგიური პოლიტესის მიღმა მიმალულ არსს, იმ დასკვნამდეც კი მიდიოდა, რომ იგი მკაცრ პოლიტიკურ რეალიზმს არ ასცდენია. გენერლის სტილი უმაღლეს დონემდე აყვანილი და ცივილიზებულად დახვეწილი მაქიაველიზმი იყო. ყველას, ვისაც კი ჭკუის დარიგების ღირსად მიიჩნევდა უკარება „კონეტაბლი", დაბეჯითებით მოუწოდებდა პოლიტიკაში მხოლოდ და მხოლოდ საღი ცინიზმით ეხელმძღვანელა. „სახელმწიფო გულციო ურჩხულია" – დღე არ გავიდოდა, რომ ნიცშეს ეს ვერდიქტი არ შეეხსენებინა უახლოესი თანამშრომლებისთვის პრეზიდენტს. „ურჩხულს" კი არც მეგობრები ჰყავს და არც მეგობრული გრძნობები არ

გააჩნია. ამიტომ არ აცალა წინადადების დასრულება მთავრობის სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრს კუვ დე მიურვილს, როგორც კი უკანასკნელმა „მეგობარი სახელმწიფოების“ განწყობაზე დააპირა საუბარი... „ბატონო საგარეო საქმეთა მინისტრო, სახელმწიფოს, თუ ის ამ სახელის ღირსია, არ ჰყავს მეგობრები!“. ნებისმიერი სახელმწიფო გენერლისთვის პირველ რიგში „უცხოელი იყო, რომელსაც თავისი ინტერესები გააჩნდა, უკანასკნელი კი ერთ მშვენიერ დღეს არ დაემთხვეოდა საფრანგეთის ინტერესებს. ეს „მშვენიერი დღე“ მაშინვე დადგა, როგორც კი დე გოლმა საკუთარ ბირთვულ იარაღზე დაიწყო ზრუნვა. კისინჯერი „გადაუჭრელ დილემად“ მოიიჩნევდა ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით გასული საუკუნის 50-იანი წლების დასასრულისათვის ევროპულ-ამერიკულ მიდგომებს შორის არსებულ განსხვავებებს (147). რასაკვირველია, საბჭოთა კავშირთან ბირთვული ომის შემთხვევაში, ვაშინგტონი მოსკოვის პირისპირ არ დატოვებდა არაბირთვულ ევროპას, მაგრამ არა მხოლოდ დე გოლს არ სურდა ვაშინგტონის იმედზე ყოფნა. საკუთარი ბირთვული პოტენციალის შექმნას გეგმავდა ლონდონიც, თუმცა პარიზისაგან განსხვავებით, სულაც არ იყო მზად თეთრი სახლისათვის გამაღიზიანებული უკომპრომისო პრინციპულობისათვის. ეიზენჰაუერს იმითაც აღიზიანებდა ფრანგი კოლეგის სიჯიუტე, რომ ელისეს სასახლის მტკიცე პოზიციას უნდობლობის ელფერიც გადაჰკრავდა. რა, ნუთუ პარიზში ეჭვობდნენ, რომ კრიზისის შემთხვევაში საფრანგეთი ამერიკის ბირთვული „ქოლგის“ ქვეშ აღმოჩნდებოდა? ჯარისკაცური პირდაპირობით სწორედ ეს კითხვა დაუსვა ეიზენჰაუერმა დე გოლს 1959 წელს პარიზში ოფიციალური ვიზიტისას. გარდა ამისა, ამერიკელებისათვის გაუგებარი იყო, თუ როგორ მოხერხდებოდა განსხვავებული ეროვნული ბირთვული იარაღის ინტეგრირება ერთ სამხედრო დაგეგმარებაში? ამ მომენტისათვის საფრანგეთს უკვე გასაჯაროებული ჰქონდა დამოუკიდებელი ბირთვული პროგრამა. აქ უკვე მთელი სიგრძე-საგანით იჩინა თავი ბირთვული სტრატეგიის საკითხში პარიზსა და ვაშინგტონს შორის არსებულმა უფსკრულმა: ამერიკელებისათვის ინტეგრაცია ძირითადად იურიდიული პრობლემა იყო, ფრანგებისათვის –

პოლიტიკური. მასპინძლის რანგში მყოფმა დე გოლმა დიპლომატიური თავაზიანობით შეახსენა ამერიკის პრეზიდენტს, რომ ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე ამერიკამ ორჯერ გაუწია მართლაც ფასდაუდებელი სამხედრო დახმარება საფრანგეთსა და მთლიანად ევროპას, მაგრამ ორივეჯერ იმდენად დაგვიანებული აღმოჩნდა ოკეანის გაღმიდან წამოსული დახმარება, რომ საფრანგეთისათვის შეიძლება კატასტროფული შედეგი იქონიოს მუდამ სხვის და თუნდაც ერთგული მოკავშირის იმედზე ყოფნამო.

მთავარი კი ის იყო, რომ დე გოლმა ერთი წლით ადრე გასცა ყველა კითხვაზე პასუხი ეიზენჰაუერს, როდესაც 1958 წლის 17 სექტემბერს საგანგებო მემორანდუმით მიმართა ეიზენჰაუერსა და ბრიტანეთის პრემიერ მაკმილანს. დოკუმენტში კონკრეტულად იყო ფორმულირებული ნატოს სტრუქტურის საფრანგეთისათვის მისარები ვარიანტი: დე გოლის წინადადებით, ალიანსის შიგნით უნდა შექმნილიყო ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის ხელმძღვანელობით დაკომპლექტებული პოლიტიკური დირექტორატი, რომელსაც მუდმივი შტატი ეყოლებოდა და დაკავებული იქნებოდა ერთობლივი სტრატეგიის შემუშავებით. დირექტორატის ინტერესის სფეროს უნდა მოეცვა ალიანსის მიღმა წამოჭრილი კრიზისებიც. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ცალკეული ოპერატიული რეგიონების – როგორიცაა ჩრდილოეთ ყინულოვანი, ატლანტიკის, წყნარი და ინდოეთის ოკეანეები. რათა ეჭვი არავის შეპარვოდა ხსენებული ინიციატივის სერიოზულობაში, მეტი დამაჯერებლობისათვის დე გოლმა არაორაზროვანი მუქარაც დაურთო: „საფრანგეთის მთავრობა აბსოლუტურად აუცილებლად მიიჩნევს უსაფრთხოების ასეთი ორგანიზაციის არსებობას და ამიტომ უკანასკნელზეა დამოკიდებული საფრანგეთის მონაწილეობა ნატოშიო“, ანუ თუ იგნორირებული იქნებოდა საფრანგეთის წინადადება, იგი ალიანსიდან გავიდოდა.

რას ითხოვდა დე გოლი? ფაქტიურად, ამერიკასთან და ბრიტანეთთან გათანაბრებულ სტატუსს. იმავე კისინჯერის აზრით, დე გოლის მიერ შეთავაზებული სქემა დიდად არ განსხვავდებოდა რუზველტის „ოთხი პოლიციელის“ იდეისაგან, იმ ნიუანსით, რომ საბჭო-

თა კავშირის ადგილი ამჯერად უკვე საფრანგეთს უნდა დაეკავებინა. რასაკვირველია, თვალში საცემი იყო საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ბირთვულ პოტენციალებს შორის არსებული სხვაობა, როდესაც „ფრანგული ბომბი“ ჯერ მხოლოდ ჩანასახოვან სტადიაში თუ იმყოფებოდა, მაგრამ ის რაც გადამჭრელი არგუმენტი იყო ეიზენჰაუერისა და თუნდაც კისინჯერისათვის, ჩანს, ასეთად არ აღიქმებოდა პარიზში.

გასაგები იყო ეიზენჰაუერის პოზიციაც: ბირთვული იარაღის „მშობელი“ სახელმწიფოს მეთაურისათვის, რომელსაც შინაგან სიმშვიდეს არ მატებდა ჰიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედია, რა რეზონი უნდა ყოფილიყო სამყაროს გამანადგურებელი იარაღის პოტენციურ მფლობელებთან ერთად დირექტორატში გაერთიანება? იმ დროს ხომ ჯერ კიდევ ცოცხლობდა იმედი, რომ ამერიკა და საბჭოთა კავშირი შესძლებდნენ მკაცრი კონტროლი დაეწესებინათ ბირთვული იარაღის გავრცელებაზე. ამიტომ, ორჭოფული და ორაზროვანი იყო ვაშინგტონის (გარკვეულწილად ლონდონისაც) რეაქცია პარიზის ინიციატივაზე – გენერლის ხასიათის გათვალისწინებით ანგლო-ამერიკელებმა თავი შეიკავეს მკვახე უარისაგან და ბიუროკრატიულ-ტექნიკური საკითხების უსასრულო და დე გოლის ჩართვა უაზრო დისკუსიაში გადაწყვიტეს. „გავა დრო და პრობლემა თავად დაკარგავს აქტუალობასო“, – ვარაუდობდნენ ვაშინგტონსა და ლონდონში. ეიზენჰაუერსა და მაკმილანს რომ აზრად მოსვლოდათ და „კონეტაბლის“ ხასიათის ისეთი გამოცდილი ექსპერტისათვის ეკითხად რჩევა, როგორიც უინსტონ ჩერჩილი იყო, ალბათ, ასეთი უხეში შეცდომისაგან თავს შეიკავებდნენ. დე გოლმა კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ!) დაუმტკიცა მოწინააღმდეგეებსაც და მოკავშირეებსაც, რომ „პინგ-პონგის“ დიპლომატია მისი სტილი არ იყო და არც გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ ადამიანად არ მიაჩნდა საკუთარი თავი: როგორც კი დარწმუნდა, რომ მოკავშირე-პარტნიორები არასერიოზულად ღებულობდნენ მასაც და მის მუქარასაც, კონკრეტული ნაბიჯებით შეუდგა საწინააღმდეგოს მტკიცებას. დასაწყისისათვის მან ამერიკელებს მოსთხოვა მის მიერვე შედგენილი გრაფიკით დაეწყოთ

თავიანთი ბირთვული იარაღის გატანა საფრანგეთის ტერიტორიიდან და ნატოს გაერთიანებული სარდლობის დაქვემდებარებიდან გამოიყვანა საფრანგეთის სამხედრო ფლოტი. 1966 წელს კი საფრანგეთმა ნატოს სამხედრო ორგანიზაცია დატოვა. მანამდე კი გენერალმა ამერიკის ახალგაზრდა პრეზიდენტთან – ჯონ ფიცჯერალდ კენედისთან წაჩხუბებაც შესძლო.



ჯონ კენედი
(1917-1963)
აშშ-ის პრეზიდენტი 1961-1963 წლებში

ამერიკელ ლიდერთა ახალი თაობის წარმომადგენელ კენედის საკუთარი ხედვა ჰქონდა მსოფლიოს მომავალზე. თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებული გეგმები გააჩნდა ნატოსთან მიმართებაშიც – თუ მანამდე ალიანსის მთავარი და შეიძლება ითქვას, ერთადერთ მიზანსა და ამოცანას საბჭოთა კავშირის სავარაუდო აგრესიის შეკავება იყო აღიარებული, ახალი პრეზიდენტი დარწმუნებული იყო, რომ პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო ატლანტიკური გაერთიანება და მისი მეშვეობით კი „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარება. კენედიმ თეთრ სახლში შესვლისთანავე უარყო „მასირებული შურისგების“ დოქტრინა და პენტაგონმა, ბრწყინვალე თავდაცვის მინისტრის რობერტ მაკნამარას ხელმძღვანელობით აიწყო ახალ დოქტრინაზე მუშაობა. უკანასკნელი კი საფუძველშივე გამორიცხავდა ფრანგულ დამოუკიდებელ ბირთვულ პოტენციალს, ვინაიდან ახალი სტრატეგიის პირობებში მართვის სისტემა და მოქმედებათა ვარიანტები ისე იყო დაგეგმილი, რომ მხოლოდ ვაშინგტონს შეეძლო განესაზღვრა როგორც ბირთვული ომის სერიოზულობის საფრთხე, ასევე პოტენციურ მოწინააღმდეგეებთან კომპრომისისა თუ შეთანხმების შესაძლებლობები და უკიდურეს შემთხვევაში ომის შედეგების პროგნოზირება. ყველაფერი ეს

კი ისევ და ისევ ერთ ჯებირს აწყდებოდა -მოკავშირეთა ბირთვული იარაღის ცენტრალიზებული, ანუ ამერიკული მმართველობის ქვეშ ყოფნის პრობლემას. საქმე იქამდე კი მივიდა, რომ კენედიმ „მტრული“ უწოდა საფრანგეთის ბირთვულ პროგრამას. ფრანგულ-ბრიტანული ბირთვული პროგრამების კრიტიკაში თავის პრეზიდენტზე შორს წავიდა მინისტრი რობერტ მაკნამარა, რომელიც დამამცირებელ ეპითეტებსაც კი არ იშურებდა. კატეგორიულად პასიმისტური იყო მაკნამარას მოადგილის, ჯორჯ ბოლის პროგნოზი, რომ ფრანგული და ბრიტანული ბირთვული იარაღის შექმნით იწყებოდა პროცესი, რომელსაც „ლოგიკური დასასრული“ არ გააჩნდა. სამწუხაროდ, ასეც მოხდა საბოლოო ჯამში და ბირთვული იარაღის განუვრცელებლობაზე ზრუნვასთან ერთად, ცივილიზებული სამყაროს დამატებით (შეიძლება მთავარ) საზრუნავად იქცა ტერორისტთა ხელში მზა იარაღს ჩავარდნის საფრთხე. „უკანა ჭკუით“ ყველა კი არის გენიოსი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არავისა აქვს დამაჯერებელი პასუხი კითხვაზე – თავის დროზე, რომ რუზველტს უარი ეთქვა „მანჰეტენის პროექტზე“, სხვა რომელ სახელმწიფოს აღმოაჩნდებოდა გიგანტური პროექტის დაფინანსების შესაძლებლობა? ან ბირთვული ამერიკის პირისპირ „შიშველი ხელებით“ დარჩენის კატასტროფული პერსპექტივის (სტალინის მანიაკალური ეჭვებით გაათკეცებული) არარსებობის პირობებში სტალინი დაიწყებდა საკუთარ ბომბზე ფიქრს? ან ვის მოპარავდა ბერია უნიკალურ ტექნოლოგიას? უდავოა, რომ ყველა ეს ვერსია არამეცნიერული ფუტუროლოგიის ზღვარზეა, მაგრამ არც ეიზენჰაუერისა და კენედის პრეტენზიები იყო მაღალი მორალისა და სამართლიანობის ნორმებით გამაგრებული.

დინამიურსა და მსოფლიო გარდაქმნის საკუთარი გრანდიოზული პროექტით გატაცებულ ჯონ კენედის ჯიუტად არ სურდა დაეჯერებინა, რომ საფრანგეთს, რომელსაც სერიოზულად არავინ აღიქვამდა სულ რაღაც 5 წლის წინ და მის ხანდაზმულ პრეზიდენტს შეეძლო წერტილი დაესვა მსოფლიოს უძლიერესი და უმდიდრესი სახელმწიფოს პოპულარული ლიდერის მისწრაფებებისათვის. სხვაგვარად ძნელი ასახსნელია 1962 წლის 4 ივლისს ვაშინგტონში, წმინ-

და ამერიკული ბრჭყვიალებით გაცხადებული ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაერთიანებული ევროპის ურთიერთდამოკიდებულების დიდებული დეკლარაცია, რომლის მზიდ კონსტრუქციად კვლავ სამხედრო ინტეგრაცია მოიაზრებოდა.

ხსენებულ პერიოდს დაემთხვა უკვე ამერიკასა და ინგლისს შორის ურთიერთობათა დაძაბვა ე.წ. „სკაიბოლტის“ გამო. საქმე კი შემდეგში იყო: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთის ბომბდამშენი ავიაცია არ განახლებულა და ამ სიტუაციის გამოსწორების მიზნით, ჯერ კიდევ ეიზენჰაუერის დროს, ლონდონმა გადაწყვიტა ამერიკული რაკეტების „სკაიბოლტის“ შესყიდვა. იმ პერიოდში რაკეტების შექმნაზე მუშაობა უკვე დაწყებული იყო ამერიკაში. რაკეტები, რომელთაც ბირთვული მუხტის ტარება შეეძლოთ, შორეული და საჰაერო მოქმედების რადიუსის იყო. 1962 წლის შემოდგომაზე – ისე, რომ ინგლისის მთავრობა საქმის კურსში არ ჩაუყენებია – კენედის ადმინისტრაციამ შეწყვიტა „სკაიბოლტზე“ მუშაობა. ვაშინგტონი კი შეეცადა ტექნიკური მიზეზებით აეხსნა რაკეტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, მაგრამ არავის, და პირველ რიგში ლონდონს, ეჭვი არ ეპარებოდა რეალურ მიზეზში – ვაშინგტონის სურვილში არ დაეშვა ევროპელთა ავტონომიური ბირთვული პოტენციალის გაძლიერება. მართლდებოდა ამერიკაზე დამოკიდებულობის თაობაზე შარლ დე გოლის შიში. ვაშინგტონის ადმინისტრაციისათვის და, პირველ რიგში, პრეზიდენტისათვის აბსოლუტურად მოულოდნელი იყო ჩვეულებრივ დამყოლი და თვითნიერი ბრიტანეთის პრემიერის დე გოლისებური რეაქცია: „თუ „სკაიბოლტის“ შექმნასთან დაკავშირებული სირთულეები იმისათვის გამოიყენება, რომ ბრიტანეთმა უარი თქვას საკუთარ, დამოუკიდებელ ბირთვულ შესაძლებლობაზე, ამის რეზულტატი ძალზედ და ძალზედ სერიოზული იქნება... ეს აღიქმება ეროვნულ სიამაყეზე დარტყმად და ამას ჩვენ ხელთ არსებული ყველა საშუალებებით წინააღმდეგობას გავუწევთ“, - წმინდა „კონეტაბლის“ ენით ალაპარაკდა პროამერიკულად განწყობილი მაკმილანი (148). საბოლოო ჯამში, კენედი და მაკმილანი ნასაუში შეხვედრისას მორიგდნენ: „სკაიბოლტის“ ნაცვლად ამერიკა ინგლისს მიყიდდა ხუთ სტრატე-

გიული დანიშნულების წყალქვეშა ნავ „პოლარისს“ რაკეტების კომპლექტით. რათა არ შერყეულიყო ბირთვულ სტრატეგიაზე ცენტრალური (იგივე ამერიკული) კონტროლის პრინციპი, ლონდონი დათანხმდა ნატოსთვის „გადაეცა“ ხსენებული წყალქვეშა ნავები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საფრთხის ქვეშ დადგებოდა „ქვეყნის ეროვნული ინტერესები“. უკანასკნელი მომენტი კი მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა დამდგარიყო, თუ ბრიტანეთს საბჭოთა კავშირი დაესხმოდა თავს, რაც ნატოზე თავდასხმის ტოლფასი იყო. ასე რომ, მაკმილანმა ფორმა მსხვერპლად შეწირა არსს და სწორედ ეს განასხვავებდა ბრიტანულ დიპლომატიას დე გოლის დიპლომატიისაგან – გენერლისათვის სწორედ ფორმა (ცხადია, არსთან ერთად) განსაზღვრავდა სახელმწიფოს სუვერენიტეტის რეალურობას.

„სკაიბოლტის“ კონფლიქტში დე გოლმა ინგლის-ამერიკის „განსაკუთრებულ ურთიერთობებში“ გაჩენილი ბზარი დაინახა და შეეცადა ეს უნიკალური შანსი საფრანგეთის დიპლომატიური პოზიციის გასამტკიცებლად გამოეყენებინა. 1962 წლის 15-16 დეკემბერს დე გოლი რამბუიეში მასპინძლობს მაკმილანს და სთავაზობს ერთობლივად შექმნან რაკეტა, რომელიც ასე მწვავედ ესაჭიროება ინგლისს და რომელიც არა მხოლოდ ფრანგულ-ინგლისური ბირთვული ძალის ბაზად, არამედ გაერთიანებულ ევროპული ძალების ჩანასახადაც კი შეიძლება იქცეს. დე გოლი ლოგიკური ანალიზით მიდის იმ დასკვნამდე, რომ სწორედ ახლა უნდა იხელმძღვანელოს ბრიტანეთის პრემიერმა საკუთარი სამშობლოსა და მთელი დასავლეთ ევროპის დამოუკიდებლობის ინტერესებში. მაკმილანი თითქოს გაგებით ეკიდება გენერლის იდეას, თუმცა გადაჭრით არაფერს პირდება. ორ-სამ დღეში ის კენედის უნდა შეხვდეს და ამის შემდეგ იქნება მზად ხსენებულ დელიკატურ თემაზე საუბრის გასაგრძელებლად. მანამდე კი ავანსად „საერთო ბაზარში“ ინგლისის შეშვებას ითხოვს. ბევრ რამესთან ერთად, განვლილმა მშფოთვარე წლებმა ისიც ასწავლა დე გოლს, რომ მედუქნეობასა და დიდი პოლიტიკას შორის ის განსხვავებაცაა, რომ პოლიტიკაში „პოსლეზე“ არ ვაჭრობენ. „საერთო ბაზარში“ მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოჩნდება ბრიტანეთის ადგილი,

როდესაც ლონდონი ცალსახად გაითავისებს „დამოუკიდებელი ევროპული ევრობის“ იდეას. მანამდე კი, სანამ ლონდონის დიპლომატიურ კურსს ვაშინგტონთან „განსაკუთრებული ურთიერთობა“ განსაზღვრავს და წარმართავს, ბრიტანეთი ვერ გახდება „დამოუკიდებელი ევროპული ევროპის“ წევრი, ხოლო თუკი მაინც დააპირებს ასეთ ევროპაში გაწევრიანებას, აქ უკვე გენერალს ეპარება ეჭვი ლონდონის გულწრფელობაში – ხომ არ აპირებს ლონდონი ასეთი საშუალებით მოახდინოს ატლანტიზმთან ევროპის ინტეგრაცია და გათქვეფა? დე გოლის ზოგიერთი ბიოგრაფის ცნობით, გენერლის კატეგორიული ტონით სასოწარკვეთილებამდე მისული ინგლისელი ლორდების შთამომავალმა ტირილიც კი დაიწყო, რაზეც გენერალმა მომაკვდინებელი სარკაზმით ედიტ პიაფის ცნობილი სიმღერა შეახსენა: „ნუ ტირით, მილორდ!“.

ნასაუში კი ჯონ კენედი საფრანგეთსაც ინგლისის მოდელით თანამშრომლობას სთავაზობს. კლასიკური (ევროპული) დიპლომატიის ნეოფიტი პრეზიდენტის მორიგი დიპლომატიური ლაფსუსი – მას მხედველობიდან გამორჩა, რომ გენერლისთვის ფორმასა და არსს შორის განსხვავება არ არსებობს, ხოლო შეთავაზების ფორმამ (ანუ დიპლომატიური ეთიკის იგნორირებამ) წინადადება განხილვის გარეშეც კი მიუღებლად აქცია იგი პარიზისათვის, თუმცა დე გოლისათვის სუვერენული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლობის ხარისხს ინტეგრაციასა და კონსულტაციებს შორის არსებული ნიუანსიც განსაზღვრავდა. 1963 წლის 14 იანვარს დე გოლმა საჯაროდ, ისევე როგორც მისთვის გახდა ცნობილი კენედის შეთავაზება, გასცა პასუხი ამერიკის პრეზიდენტს. პრესკონფერენციაზე უარყო შეთავაზება, თანაც გესლიანად დასძინა: „რასაკვირველია შეთანხმების ამ წინადადებაზე მე მხოლოდ იმიტომ ვსაუბრობ, რომ იგი გამოქვეყნებულია და მისი შინაარსი ცნობილია“ (149).

საყურადღებოა, რომ დე გოლი არ იყო პრინციპში ანტიამერიკელი. იგი მუდამ მზად იყო თანამშრომლობისათვის, როდესაც თვლიდა, რომ საფრანგეთსა და ამერიკის ინტერესები იდენტური იყო. ასე მაგალითად, საზღვარი არ ჰქონდა კენედის ადმინისტრაციის წევრე-

ბის გაოცებას, როდესაც კარიბის კრიზისის დღეებში, ამერიკის დასავლელ მოკავშირეებს შორის ყველაზე მკვეთრი უპირობო და მყისიერი იყო გენერლის მხარდაჭერა. იგი ასევე პრინციპულად გამოდიოდა ევროპიდან ამერიკის ჯარების გაყვანის იდეის წინააღმდეგ, არასოდეს არ მალავდა ღრმა პირად კეთილგანწყობასა და სიმპათიებს ეიზენჰაუერის მიმართ, თუმცა ერთი ასეთი განცხადების შემდეგ (ვიწრო წრეში) სევდიანად დასძინა: „ადამიანებს შეუძლიათ ჰყავდეთ მეგობრები, პოლიტიკოსებს არასოდეს“. ასევე გულწრფელი იყო მისი წუხილი კენედის მკვლელობის გამო. იგი დაუყოვნებლივ გაემგზავრა ამერიკაში და მიუხედავად იმისა, რომ ამერიკისა და საფრანგეთის სპეცსამსახურები დაბეჯითებით ურჩევდნენ არლინგტონამდე მანქანით გაჰყოლოდა სამგლოვიარო პროცესიას, სხვებთან ერთად ფეხით განვლო მთელი გზა თავისი თითქმის ორმეტრიანი სიმაღლით ხელსაყრელმა სამიზნემ. სპეცსამსახურებს კი რეალური საფუძველი ჰქონდათ დე გოლის გასაფრთხილებლად: მათ ხელში ჩაუვარდათ საფრანგეთიდან გაქცეულ და ამერიკაში დასახლებული „ოას“-ელების გეგმა გენერლის მოკვლის თაობაზე.

კენედის სიცოცხლეშივე, მაკმილანთან შეთანხმების ცდის მარცხისთანავე დე გოლი რადიკალურად ამკვეთრებს საგარეო პოლიტიკას, რაც პირველ რიგში ამერიკისაგან მაქსიმალურად დამოუკიდებელ კურსში გამოიხატა. 1963 წლის 14 იანვარს, მორიგ პრეს-კონფერენციაზე გენერალმა საბოლოო წერტილი დაუსვა „საერთო ბაზარში“ გაწევრიანებაზე ლონდონის გეგმასა და იმედებს. ინგლის-ამერიკული ტანდემის შემოქმედთათვის სასიამოვნო მოსასმენი არ უნდა ყოფილიყო საფრანგეთის პრეზიდენტის არგუმენტი – „ამერიკელთა გავლენისა და დაქვემდებარების ქვეშ მყოფი კოლოსალური ატლანტიკური საზოგადოების საფრთხე“. თითქოს ესეც არ იკმარა ლონდონისა და ვაშინგტონის მოსამდურებლად და იქვე „დესერტად“ კენედის პირმშოს – „მრავალმხრივ ბირთვულ ძალებსაც“ გადაწვდა - საფრანგეთი არ აპირებდა ამერიკულ პროექტში მონაწილეობას და დამოუკიდებლივ შექმნიდა საკუთარ ბირთვულ იარაღს.

აქ უკვე ვაშინგტონმა და საკუთარმა პოლიტიკურმა პარტიებმა მოუწყეს ერთობლივი „ჯიჰადი“ „დინების წინააღმდეგ“ მცურავ „ჯონეტაბლს“. როგორც მოსალოდნელი იყო ამერიკის პრესამ „გახსნა ცეცხლი“ პირველმა და მას ოპერატიულად აჰყვა ნატოს პრაქტიკულად ყველა დანარჩენი წევრი-სახელმწიფოს პოლიტიკური ელიტა. გადადგომის შემდეგ, „იმედის მემუარებში“ დე გოლი წერდა, რომ თუ არა ხალხის მხარდაჭერა, რომელიც გადაჭრით ითხოვდა, რომ „საფრანგეთი საფრანგეთად დარჩენილიყო“, მას მართლაც გაუჭირდებოდა თავისი გადაწყვეტილების აღსრულება. ამიტომაც არ აქცევს იგი ყურადრებას მისი მისამართით მოძალებულ პირად შეურაცხყოფებამდე მისულ გაცოფებულ კრიტიკას და 1963 წლის ზაფხულში ნატოს სტრუქტურებიდან გამოჰყავს ატლანტიკის ფრანგული ფლოტი. ფრანგული დიპლომატია ეფექტურად იყენებს ამერიკის კატასტროფულ შეცდომებს ვიეტნამში. პრეზიდენტი ღიად აკრიტიკებს პენტაგონის უაზრო და თავიდანვე განწირულ ავანტურას, ხოლო 1965 წლის მაისში, სეატო-დან გამოიწვია საფრანგეთის წარმომადგენლები. ერთი წლით ადრე კი პარიზი ოფიციალურად ცნობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. გენერალს უკვე „ძალაც შესწევს ქადილისა“ – საფრანგეთს უკვე საკუთარი ატომური ბომბიცა აქვს და ადგილამდე მისი მიმტანი თვითმფრინავი „მირაჟ IV“. ამავე დროს მას ჰიპოთეტურ ჭრილშიც კი არ მიაჩნია დასაშვებად ჰიროსიმისა და ნაგასაკის გამეორება. ატომური ბომბი, უპირველეს ყოვლისა, მის ხელში დიპლომატიური იარაღია. „ვიწრო ნაციონალიზმად“ კი ნათლავს ამერიკის ახალი პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი საფრანგეთის პოლიტიკას, მაგრამ გენერალს ჯერ კიდევ 30 წლის წინა აქვს გამომუშავებული იმუნიტეტი დაუმსახურებელ იარლიყებზე და პასუხის ღირსადაც არ თვლის არც გაღმელ და არც გამოღმელ ოპონენტებს. იგი შესაშური თანმიმდევრობით აგრძელებს ხელისუფლებაში მისი არყოფნის წლებში გაძლიერებული ამერიკელი გავლენის საწინააღმდეგო კურსს. 1965 წლის 4 თებერვალს, რასაკვირველია საგანგებო პრესკონფერენციაზე, სადაც მთავრობის სხდომისაგან განსხვავებით მას ვერავინ შეეკამათება, პრეზიდენტი მოითხოვს, რომ გაუქმდეს დოლარის

გამოყენება საერთაშორისო ანგარიშსწორებაში და დაწესდეს ერთიან ოქროს სტანდარტზე გადასვლა. საქმე ის იყო, რომ საკითხში გარკვეული ვერც ერთი ექსპერტი ვერ უარყოფდა დე გოლის მოთხოვნის სამართლიანობას – არსებული ანგარიშსწორების წესი აშკარად მოძველებული იყო. ის იმ დროიდან იღებდა სათავეს, როდესაც კაპიტალისტური სამყაროს თითქმის მთელი ოქროს მარაგი ამერიკაში იყო თავმოყრილი, ხოლო გენერლის თანამედროვე ევროპაში უკვე იმდენიმე ოქრო იყო, რამდენიც „ფორტ ნოქსში. საფრანგეთს უკვე გადაცვლილი ჰქონდა თავისი დოლარების ნაწილი ოქროში და თუ სხვა სახელმწიფოებიც მიბაძავდნენ მის მაგალითს... ვაშინგტონში ამაზე ფიქრიც კი ზარავდათ.

1965 წლის 9 სექტემბერს კიდევ ერთი პრესკონფერენცია და კიდევ ერთი ბომბი – ცოტა დრო რჩება „საერთო ბაზრის“ შესახებ ხელშეკრულების იმ მუხლის ამოქმედებამდე, რომელიც ზესახელმწიფოებრიობის (ზეეროვნულობის) პრინციპის დამკვიდრებას ითვალისწინებს. დე გოლი კატეგორიული წინააღმდეგია და პრაქტიკულად ბლოკავს მუხლს, რომლის ძალაში შესვლასაც ბევრი ელოდა. პრესკონფერენციის მთავარი სკანდალი კი ატლანტიკური კავშირის დილემაა. გენერალი დროებით ამშვიდებს ატლანტისტებს – საფრანგეთი დარჩება თავისი მოკავშირეების მოკავშირედ, ოღონდ 1969 წლამდე. პრეზიდენტისათვის განსაკუთრებით მიუღებელია ინტეგრაციის ცნება, რაც, მისი აზრით, საფრანგეთის ბედის სხვის ხელში გადაცემას გულისხმობს. იოლი გასათვლელი იყო პრესკონფერენციის რეაქცია: ამერიკული პრესის გაცოფება და ყოფილი პრეზიდენტის, ეიზენჰაუერის ხუმრობა თუ სერიოზული წინადადება – ფრანგი გენერალ-პრეზიდენტის „დასამშვიდებლად“ პენსიონერ-პრეზიდენტი, ნატოს ძალების უმაღლესი მთავარსარდლის პოსტზე მისი დანიშვნის ინიციატივით გამოვიდა.

დე გოლის უკანასკნელი პრესკონფერენციიდან 6 თვეც არ იყო გასული, რომ 1966 წლის 21 თებერვლის პრესკონფერენციაზე დე გოლმა, ნატოს მამა-დამაარსებლებს, პირველ რიგში ვაშინგტონს, 1958 წლის 28 სექტემბრის ინიციატივის იგნორირებისა და ავტორის მი-

მართ არასერიოზული დამოკიდებულებით მიყენებული მორალური და პოლიტიკური ზიანის საკომპენსაციო უკანასკნელი და ყველაზე მასშტაბური ანგარიში წაუყენა – საფრანგეთის სრული სუვერენიტეტის აღდგენის მიზნით, პარიზი უარს ამბობდა ნატოს სამხედრო ორგანიზაციაში დარჩენაზე და ითხოვდა ქვეყნის ტერიტორია დაეტოვებინა ალიანსის ყველა იმ უწყებას, რომელიც ადგილობრივი იურისდიქციის ქვეშ არ იმყოფებოდა. 1967 წლის 1 აპრილამდე საფრანგეთიდან ევაკუაციას ექვემდებარებოდა ალიანსის 29 სამხედრო ბაზა და 33 ათასი სამხედრო მოსამსახურე. „ეს ჩემს ცხოვრებაში უკანასკნელი განსაკუთრებული მნიშვნელობის ბრძოლაა“ – ასე აფასებდა თავად დე გოლი თავის გადაწყვეტილებას. მხოლოდ მისი ავტორიტეტითა და შესაფერის მომენტებზე ზუსტად გათვლილი დიპლომატიური დემარშებით თუ იყო შესაძლებელი, რომ არა საერთაშორისო აქტივების შემცირებით, არამედ მისი საბოლოო ზრდით დამთავრებულიყო ერთი, არცთუ შთამბეჭდავი ეკონომიკური თუ სამხედრო რესურსების მქონე ქვეყნისთვის, თუნდაც მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ გეგმებთან დაპირისპირება და თანაც ხელისუფლების სათავეში დარჩენა. ქვეყნის შიგნითაც ხომ მხოლოდ მისი ყველაზე შეურიგებელი მოწინააღმდეგე კომუნისტები თუ გამოდიოდნენ ნატოსა და ატლანტიზმის წინააღმდეგ. პარიზ-ვაშინგტონის დიპლომატიური დაპირისპირების შინაგან ბუნებას შეიძლება ზუსტად ჩაწვდა პრეზიდენტი კენედი, როდესაც სიკვდილამდე ორი კვირით ადრე ერთის შეხედვით გაუგებარი შეფასება მისცა ფრანგი კოლეგის პოლიტიკას: „მე რომ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვიყო, ზუსტად ისევე მოვიქცეოდი როგორც გენერალი დე გოლი!“. მართლაც, მრავლის მთქმელი აღიარებაა.

უსამართლობა იქნებოდა გენერალ დე გოლის წარმოდგენა ქარის წისქვილებთან მებრძოლ რაინდად, ან თუნდაც გოლიათთან შერკინებულ დავითად. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მის დიპლომატიას დახვეწილ და გათანამედროვებულ მაკიაველიზმთან უფრო ჰქონდა ბევრი რამ საერთო. მას კარგად ესმოდა საერთაშორისო იზოლაციონიზმის საფრთხე და 20-იანი წლების ფრანგული დიპლომატიის

მწარე გაკვეთილებიც ახსოვდა. ამიტომ იზოლაციის კოშმარი, რითაც გაშმაგებით ცდილობდნენ მის შეშინებას ატლანტიკური „ბირთვული ქოლგის“ ქვეშ სიმყუდროვეს შეჩვეული პოლიტიკური ძალები, ყველაზე ნაკლებად ემუქრებოდა საფრანგეთს.

1943 წელს მოსკოვში ეფექტური დიპლომატიური აქციით, ხოლო მოგვიანებით კი – ვინ იფიქრებდა (!) – გერმანიასთან სიტუაციური ურთიერთხელსაყრელი გარიგებით, გენერალი წარმატებით ახერხებდა მაშველი რგოლის გარეშე არ დარჩენილიყო მის მიერვე ატეხილ ქარიშხალში. 50-იანი წლების დასასრულს, როდესაც პარიზი, თითქოს წინასწარ გათვლილი და ერთის შეხედვით არადიპლომატიური დემონტრაციულობითა და სიხისტით ემიჯნებოდა ატლანტიზმს (იგივე ვაშინგტონს), თანაც იოტის ოდენა დათმობაზეც კი არ მიდის მეორე სტრატეგიულ მოკავშირესთან – ბრიტანეთთან ურთიერთობაში, სხვა პოტენციური გვერდში მდგომი პარტნიორი კი ჰორიზონტზეც არ ჩანს, ნაკლები კრეატიულობისა და არასტანდარტულ გადაწყვეტილებებზე გაუბედავი პოლიტიკოსი მართლაც შეიძლება საშიშ საერთაშორისო სიმარტოვეში აღმოჩენილიყო. საფრანგეთის პრეზიდენტს კი არც კრეატიულობის პოტენცია და არც „არაბუნებრივი“ გადაწყვეტილებების უნარი არ აკლდა. ადენაუერის გერმანია - აი, ვინ იქნებოდა თუნდაც სიტუაციურად დროებითი, მაგრამ კონკრეტული მომენტისათვის თითქმის იდეალური დიპლომატიური ტანდემის მეწყვილე. რასაკვირველია, დასავლეთ გერმანია რამდენჯერმე ძლიერია ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ სიბერეში შესულ კანცლერს ჟანგბადივით ესაჭიროება მძლავრი დიპლომატიური მხარდაჭერა, ვინაიდან საკმარისია ხრუშჩოვთან დასავლეთის გარიგება და მირაჟივით გაქრება დასავლურ (ატლანტიკურ) სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში ფედერაციული რესპუბლიკის წევრობაზე ოცნება.

რა არ შესძლებია დიპლომატიას დიდოსტატთა ხელში! ადენაუერი, რომლის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედიც იყო ფანატიზმამდე მისული ატლანტიზმი და ნატოს წევრობა (თუნდაც განუსაზღვრელი ვადით გერმანიის გახლეჩის ხარჯზე), 1958 წლის 14

სექტემბერს კოლომბეში, საკუთარ სახლში ეწვია შეურიგებელ ანტიატლანტისტ გენერალს, რომელიც სწორედ ატლანტიზმისა და ნატოსაგან დამოუკიდებელ საფრანგეთზე ოცნებით ცხოვრობს. დე გოლმა ზუსტად მიაგნო იმ სივრცეს, სადაც მარჯვე დიპლომატიური ავანსებით შესაძლებელი იყო განახევრებული გერმანიის კანცლერის ცდუნება. სამსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებაში საზეიმოდ იყო აღნიშნული, რომ ბოლო მოეღო ორ ქვეყანას შორის არსებულ ისტორიულ მტრობას, ხოლო ორი ქვეყნის თანამშრობლობა კი „ევროპაში ნებისმიერი კონსტრუქციული საქმიანობის საფუძვლად უნდა ქცეულიყო". ეს უკვე სენსაცია იყო: გერმანიაში ჯერ კიდევ ბევრს ახსოვდა დე გოლის განცხადებები ომის შემდგომი გერმანიის დანაწევრების თაობაზე. მთელს ევროპაში გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე შეურიგებელი მტერი მის მეგობრად იქცა! ორივე ლიდერის ბიოგრაფებს შეხვედრის ინტიმური (პირად-სტუმრული) ხასიათიც არ გამორჩენიათ. თავად ლიდერები კი დემონსტრაციულად არ მალავდნენ ერთმანეთით აღფრთოვანებასა და შინაგან სიახლოვეს. ორი თვის შემდეგ უკვე საფრანგეთის პრეზიდენტი სტუმრობს კანცლერს, პარიზს პირველი „მეგობრული" დახმარება დასჭირდა „თავისუფალი ვაჭრობის ზონის" ლონდონის გეგმის შესაჩერებლად. ადენაუერი თანახმაა დაეხმაროს საფრანგეთის პრეზიდენტს, უკანასკნელი კი მზადყოფნას გამოთქვამს კანცლერის გვერდით იდგეს ბერლინის საკითხში. ნუ დაივიწყებთ, რომ შეხვედრები ხრუშჩოვის ულტიმატუმის ჭექა-ქუხილის ფონზე მიმდინარეობდა. კიდევ სამი თვე და ადენაუერია საფრანგეთში... ვაშინგტონი ღიად არ უჭერს მხარს ხრუშჩოვის ულტიმატუმურ ინიციატივას, მაგრამ არც ბონის



კონრად ადენაუერი

უკომპრომისო პოზიციითაა აღფრთოვანებული. ლონდონის ორჭოფული პოზიციის პირობებში ოქროს ფასი ედება პარიზის მხარდაჭერას და პრეზიდენტმაც მოლოდინი არ გაუმტყუნა დამოკავშირებულ კანცლერს – 25 მარტის პრესკონფერენციაზე გადაჭრით დაეთანხმა ადენაუერის ყველა თეზისს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გენერალი იმიტომ კი არ აპირებდა ამერიკის გავლენისაგან სრულად განთავისუფლებას, რომ ახლა დასავლეთ გერმანიის ინტერესების მორჩილ მეგზურად ქცეულიყო: 25 მარტის პრესკონფერენციაზევე მან არაორაზროვნად დააფიქსირა საფრანგეთის პოზიცია გერმანიის საზღვრების ხელუხლებლობის თაობაზე. ამ საჩოთირო საკითხთან დაკავშირებით ასეთი მტკიცე პოზიცია არცერთ დასავლელ ლიდერს არ გააჩნდა ოფიციალურ დონეზე. დასავლელი კოლეგებისაგან განსხვავებით, გენერალს აზრადაც არ ჰქონია რაიმე პრაგმატული ინტერესისა და მიზნის გარეშე ქცეულიყო „ცივი ომის“ კიდევ ერთ რუპორად. თუმცა 1959 წლის ზაფხულში, ოთხი გამარჯვებული ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე, პარიზი კვლავ ადენაუერის კურსის პრინციპული მომხრედ გამოვიდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1960 წლის ივლისის შეხვედრას რამბუიეში. აქ დე გოლმა პირველად გააცნო ადენაუერს ევროპული ერთობის თავისი გეგმა: „ექვსის ევროპა“ („საერთო ბაზრის“ ექვსი წევრი) შექმნილა კოალიციას ყოველგვარი ზესახელმწიფოებრივი ელემენტების გარეშე. წევრ სახელმწიფოთა პრემიერები სისტემატურად შეიკრიბებოდნენ და ერთად გადაწყვეტდნენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და თავდაცვით საკითხებს. გენერლის გეგმა საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სახელმწიფოების გაუქმებასა და ფედერაციის შექმნაზე „ევროპული გაერთიანების“ მომხრეთა ოცნებებს. ევროპის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კონფედერაცია – აი, რაზეც თავის მხრივ ოცნებობდა საფრანგეთის პრეზიდენტი. იცოდა რა „ექვსეულის“ დანარჩენი წევრების განწყობა, ადენაუერი დაბეჯითებით ურჩევდა პარტნიორს თავისი გეგმის გასაჯაროებისაგან დროებით თავი მაინც შეეკავებინა. 5 სექტემბრის პრესკონფერენციაზე დე გოლმა მაინც ილაპარაკა თავის იდეაზე და მყისვე

დარწმუნდა, თუ რაოდენ სწორი იყო მოხუცი კანცლერი – ერთი მომხრეც კი არ გამოუჩნდა გენერლის იდეას. უკვე მემუარებში, ყოფილი პრეზიდენტი „ცივი ომის“ რეალობით ხსნიდა საკუთარი პროექტის მარცხს: ევროპაში ძალზედ სუსტი იყო საკუთარ ძალებში რწმენა და ძალზედ ძლიერი – ამერიკის იმედი. დე გოლის „ევროპული ევროპა“ კი საკუთარ ძალაში რწმენაზე იყო დაფუძნებული.

„საკუთარ ოჯახში“ კონფუზის შემდეგ პრეზიდენტი კიდევ უფრო აძლიერებს დიპლომატიურ შეტევას ბონში პოზიციების გასამყარებლად. 1962 წლის ივლისში უკვე ოფიციალური სახელმწიფო ვიზიტით ჩადის პარიზში ადენაუერი. წინა საქმიანი ვიზიტებისაგან განსხვავებით, ამჯერად ზესაზეიმო მიღებას უწყობენ სტუმარს ფრანგები, პრეზიდენტი პირადად აჯილდოებს კანცლერს საპატიო ლეგიონის დიდი ჯვრით და მაღალფარდოვანი კომპლიმენტების თაიგულით. ვიზიტის დამთავრების შემდეგ 72 წლის დე გოლი გერმანული ენის პედაგოგს იწვევს: მართალია, იგი ბავშვობიდან ლაპარაკობს გერმანულად, მაგრამ გენერალს გადაწყვეტილი აქვს მათ მშობლიურ ენაზე გამოვიდეს გერმანელებთან შეხვედრისას და ასე მოიგოს მათი გული. ეს მომენტი კი გერმანიაში სექტემბრის ვიზიტისას დადგა, როდესაც ბონის აეროდრომზე დახვედრილი ადენაუერი ჯერ იმით გააოცა, რომ საჯაროდ გადაკოცნა ორივე ლოყაზე („პირველად მკოცნის უცხოელი სახელმწიფო მოღვაწე, თანაც ფრანგი!“, – ამბობდა შემდეგ კანცლერი), ხოლო შემდეგი კი კელნში 500-ათასიან მიტინგზე, გერმანულ ენაზე ფრანგული მჭერმეტყველებით ექსტაზამდე აღაფრთოვანა მუდამ თავშეკავებული გერმანელები. გენერალმა დე გოლმა გერმანელი წინაპარიც კი (ვინმე კოლბა) მოძებნა თავის ვრცელ გენეოლოგიაში და სისხლით ნათესაობაც დაუმტკიცა გერმანელებს. მიტინგის ტრიბუნაზე მდგომი ჩვეულებრივად უკარება და მელანქოლიური გენერალი, ძმა-ბიჭურად უტყაპუნებდა ბეჭებზე ხელს კონრად ადენაუერს. ჰამბურგის სამხედრო სასწავლებელში ვიზიტისას კი იქამდეც მივიდა, რომ „მებრძოლი საფრანგეთის“ ყოფილმა ლიდერმა ხმამაღლა განაცხადა, რომ მას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ბუნდესვერის მომავალ ოფიცრებთან შეხვედრა, რომ გერმანელები

და ფრანგები დიდ წარმატებებს მუდამ სამხედროების მონაწილეობით აღწევდნენ. ერთი სიტყვით, გენერალმა ყველაფერი გააკეთა გერმანელების გულის მოსაგებად და ბრწყინვალე შედეგსაც მიაღწია: მიუნჰენში ხალხმრავალ სტადიონზე დე გოლის გამოსვლის მომსწრე ინგლისელი ჟურნალისტი შემდეგ გაოცებული წერდა: „ჰიტლერის შემდეგ არ გვინახავს ენთუზიაზმის ასეთი აფეთქებაო“. ანტიფრანგული „შპიგელიც“ კი იძულებული იყო ეღიარებინა – „დე გოლი საფრანგეთის პრეზიდენტად ჩამოვიდა გერმანიაში, უკან კი ევროპის იმპერატორად ბრუნდება“. საინტერესოა, რა ხასიათზე დადგებოდნენ გენერლის მიერ მოხიბლული გერმანელი მასპინძლები, რომ გაეგოთ, თუ რა შთაბეჭდილებით დაბრუნდა პარიზში მათი სტუმარი: „გერმანელებს მე ვეუბნებოდი: თქვენ დიადი ხალხი ხართ, მაგრამ ეს სიმართლე არაა. გერმანელები რომ დიადი ხალხნი იყვნენ, მე ასე არ მიმიღებდნენ“. ეტყობა, ერთნაირად იყო დამახასიათებელი გენერლისთვის ცინიზმი და გულწრფელობა. ბონთან დიპლომატიური ფლირტის აპოთეოზად 1963 წლის 22 იანვარს, ელისეს სასახლის მიურატის დარბაზში საზეიმოდ ხელმოწერილი ფრანგულ-გერმანული თანამშრობლობის ხელშეკრულება იქცა. ცერემონიალის დამსწრე ერთერთმა ფრანგმა ჟურნალისტმა იხუმრა: „ეს ევროპის ყველაზე დიდი ქორწინებააო“. ადენაუერმა გენერლის კიდევ ერთი კოცნა დაიმსახურა.

კი გამოიწვია ევროპაშიც და ამერიკაშიც დიდი აჟიოტაჟი ხელშეკრულებამ, მაგრამ ის მხოლოდ ტექნიკურ ხასიათს ატარებდა და არანაირ პოლიტიკურ ვალდებულებებს არ აკისრებდა მხარეებს. უფრო მეტიც – სამი თვის შემდეგ, როდესაც გერმანიის პარლამენტი ხელშეკრულებას ამტკიცებდა, დიპლომატიური ეთიკის ყველა დაწერილი თუ დაუწერელი კანონების იგნორირებით, გერმანელმა პარლამენტარებმა დე გოლისეული ტექსტის სულისკვეთების უცერემონიო იგნორირებით, ტექსტს პოლიტიკური პრეამბულა დაუმატეს, სადაც შავით თეთრზე იყო დაწერილი, რომ დასავლეთ გერმანიის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი მომენტებია მჭიდრო კავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ნატოში ინტეგრაცია, „ზეეროვნული ევ-

როპა“ და ბრიტანეთის გაწევრიანება „საერთო ბაზარში“. რა იყო ეს? გენერლის დიპლომატიის კრახი? თვითონ გენერალი ასე არ ფიქრობდა და არც ახალ რეალობას არ აღიქვამდა კატასტროფულად. 1963 წლის 2 ივნისს, ელისეს სასახლეში, ფრანგ კანონმდებელთა ერთი ჯგუფისათვის გამართულ სადილზე მან ფილოსოფიურ კონტექსტში ახსნა ხელშეკრულების ბედი: „საქმე ის გახლავთ, რომ ხელშეკრულებები გოგონებს და ვარდებს გვანან; ერთნიცა და მეორენიც ჭკნებიან. თუ ფრანგულ-გერმანული ხელშეკრულება არ შესრულდება, ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა არ იქნება“. არც ისეთი გულუბრყვილო იყო საფრანგეთის პრეზიდენტი, რომ ანგარიში არ გაეწია ადენაუერის ასაკისათვის (87 წელი შეუსრულდა კანცლერს და გადადგა კიდეც) და არ სცოდნოდა ბონის პოლიტიკურ კაბადონზე ამომავალი ვარსკვლავის ლუდვიგ ერჰარდის საგარეო-პოლიტიკური სიმპატიები. ერთი სიტყვით, გენერლისთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ფრანგული „ევროპეიზმისა“ და დასავლეთ-გერმანული „ატლანტიზმის“ შეუსაბამობა. დე გოლს კონკრეტულ სიტუაციებში სჭირდებოდა ბონის დიპლომატიური მხარში დგომა და ამას მიაღწია კიდეც.

როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი პოლიტიკიდან ადენაუერის წასვლისა და საფრანგეთ-გერმანიის ხელშეკრულების „დეფოლტის“ შემდეგ. საგრძნობლად გაუარესდა პარიზისა და ბონის ურთიერთობა. ვილი ბრანდტის „აღმოსავლეთ პოლიტიკამდე“ ჯერ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი, ხოლო მხცოვანი კანცლერის მემკვიდრეებს საერთოდ აღარ ესაჭიროებოდათ საფრანგეთის ძვირად ღირებული დახმარება – დიპლომატიურ „კაზუს-ბელად“ ქცეულ ნიკიტა ხრუშჩოვის ულტიმატუმს ირონიულ ღიმილითღა თუ იხსენებდნენ ბონში.

ისევე როგორც სიღარიბე ასწავლის ფულის ფასს ადამიანებს, ასევე ასწავლა ლონდონში გატარებულმა პერიოდმა მოკავშირის ფასი გენერალს. მეორე მხრივ კი, უნიკალური პოლიტიკური ალღო უშეცდომოდ კარნახობდა, რომ მიუხედავად მოსკოვის მიერ დრო და დრო პროვოცირებული კრიზისებისა, პრაქტიკულად იყო გამორიცხული ახალი დიდი ომი. ამიტომ დე გოლმა ფრანგული დიპლომატიის იდეა-ფიქსად არ აქცია სტრატეგიულ მოკავშირეზე ზრუნვა.

მითუმეტეს, რომ უკანასკნელად მხოლოდ ვაშინგტონი მოიაზრებოდა, თანაც ეროვნული სუვერენიტეტის სერიოზული შეზღუდვის ფასურად.

საერთაშორისო ტენდენციის სწორი ანალიზი კი ელასტიურობისა და პრაგმატული ცინიზმის ზღვარზე გასაოცარი ბალანსირების საშუალებას აძლევდა „კონეტაბლის“ დიპლომატიურ პოლიტესს. როცა სჭირდებოდა დასავლეთ გერმანიის მხარდაჭერა ლონდონისა და ვაშინგტონის ზეწოლის დასაბალანსებლად, საფრანგეთის პრეზიდენტიც გერმანელებზე მეტად გერმანელობდა მიუნჰენსა და კელნში გამართულ ნახევარ მილიონიან მიტინგებზე. პარალელურად კი, ვინაიდან ილუზიები არ გააჩნდა ბონთან კავშირის სიცოცხლისუნარიანობაზე, ხმაურისა და საერთაშორისო რეზონანსის გარეშე ემზადებოდა ახალი დიპლომატიური ვექტორის ასამოქმედებლად. ამავე დროს გენერალი არ ელოდება, თუ როდის „დაჭკნება“ ბონთან ხელმოწერილი შეთანხმება და მოსკოვთან გრძელვადიან სავაჭრო ხელშეკრულებას აფორმებს. შემდეგ ამას მოჰყვა ფერადი ტელევიზიის ერთობლივი პროექტი და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორიცაა ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენება, კოსმოსური სივრცის შესწავლა და სხვა. პარიზში ჩადის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო მოსკოვში – მისი ფრანგი კოლეგა.

რასაკვირველია, ბევრმა წყალმა ჩაიარა სენასა და „მოსკვა-რეკაში“ 1944 წლის მოსკოვში გენერლის ვიზიტიდან... 60-იან წლებში ლაპარაკიც აღარ შეიძლება ყოფილიყო მოსკოვ-პარიზის სამხედრო-პოლიტიკურ კავშირზე. ალბათ, ენტონი იდენსაც აღარ ახსოვდა თავისი პროგნოზი ანტიგერმანული კოალიციის შიგნით ორი ბლოკის – „ანგლო-ამერიკულისა და რუსულ-ფრანგულის“ ჩამოყალიბებაზე, რომელსაც, მისივე აზრით, რეალური ბაზა გააჩნდა ორივე ქვეყანაში „სახელმწიფო პოლიტიკამდე აყვანილი, ეროვნული დიდების აღდგენის კურსით“. ორივე ქვეყნის ლიდერი ოცნებობდა და პრაქტიკულ ნაბიჯებსაც დგამდა ეროვნული დიდების აღდგენის მიმართულებით. ერთი მართლაც საკუთარი დამოუკიდებელი საგარეო და საშინაო

პოლიტიკის მეშვეობით, მეორე კი ისტორიული ანექსიონისტური პოლიტიკით. სტალინს ნაკლებად აინტერესებდა ფრანგი გენერლის მსოფლმხედველობითი ნიუანსები და მარქსიზმისადმი მისი პირადი დამოკიდებულება. მისთვის მთავარი იყო ევროპის „ამერიკანიზაციის“ რეალური პერსპექტივა და პარიზ-ვაშინგტონის გარდაუვალი დიპირისპირება. გენერლისთვის კი საბჭოთა კავშირი (რუსეთი), ვიწრო დიპლომატიურ კონტექსტში, საფრანგეთის ბუნებრივი მოკავშირე იყო. დიდ პოლიტიკაში ისტორიზმის თაყვანისმცემელი დე გოლი მიიჩნევდა, რომ 1812 წლის ტრაღედია და ნაპოლეონის გეგმების კრახი რუსეთთან დამეგობრება-დამოყვრებაზე, ხანგრძლივ მოქმედ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირზე ინგლისის პოლიტიკური და კრიმინალური ინტრიგების შედეგი იყო. რას, თუ არა მესამე დაინტერესებული ქვეყნის მზაკვრულ პოლიტიკას უნდა შეეშალა ხელი ორი დიდი სახელმწიფოს სიახლოვისათვის, რომელთა ინტერესები, კოლონიური დაპყრობების ციებ-ცხელებით შეპყრობილ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზეც კი არსად არ იკვეთებოდა?

რუსეთი დე გოლის დიპლომატიისათვის „ოქროს რეზერვი“ იყო, კრემლისათვის კი ვაშინგტონისა და ნატოს პატრონაჟისაგან „ევროპული ევროპის“ დამოუკიდებლობის საგუშაგოზე ფხიზლად მდგარი გენერლის საფრანგეთი თუ ოფიციალური მოკავშირე არა, მაგრამ მისი ინტერესების მცველადაც გამოდიოდა. „ცივი ომის“ წლებში ხომ ნატო იქცა მოსკოვის მტანჯველად.

1960-იანი წლების დასაწყისში მოსკოვ-პარიზის ურთიერთობები შედარებით „გაგრილდა“. ხრუშჩოვი პირად შეურაცხყოფად ღებულობდა სტალინის „პიროვნების კულტთან“ მიმართულებაში მისი ნებისმიერი ოპონენტის პოზიციას. ბუნებრივია, რომ მის რისხვას ვერც ციცქნა ალბანეთი და მისი ლიდერი ენვერ ხოჯა ვერ ასცდა. 1961 წელს, როდესაც ალბანეთი შიმშილის პირას აღმოჩნდა, მოსკოვმა უარი უთხრა დამატებით 30 ათასი ტონა ხორბლის მიყიდვაზე, თანაც ხრუშჩოვმა შეურაცხმყოფელი ირონიაც მიაყოლა უარს: „რაც ალბანელებს ხორბალი სჭირდებათ, ჩვენთან ამდენს ვირთხები ჭამენო“. დე გოლი სიმპათიით იყო განწყობილი ხოჯას მიმართ (იგი 30-იან

წლებში ცხოვრობდა და სწავლობდა საფრანგეთში, დამთავრებული ჰქონდა მონპელიეს უნივერსიტეტი) და თავად მიაწოდა ალბანეთს საჭირო ხორბალი, თანაც შეღავათიან ფასში. ხრუშჩოვის ჯინაზევე აჩუქა ალბანელებს 11 ათასი ტონა ხორბალი ჩინეთმა. 1964 წელს ხრუშჩოვის გადადგომის შემდეგ, გარკვეულ პერიოდში, მოსკოვი სტალინის პოლიტიკური კურსისაკენ მიბრუნების ტენდენციას ავლენდა, რის ერთ-ერთ გამოვლინებად 1966 წლის ივლისში საბჭოთა კავშირში დე გოლის მიპატიჟება იქცა. საბჭოთა „პრეზიდენტის" ნიკოლოზ პოდგორნის მოწვევით, „კონეტაბლი" 11-დღიანი ვიზიტით ეწვია საბჭოთა კავშირს.

დე გოლმა იმოგზაურა ლენინგრადში, კიევში, ნოვოსიბირსკში, იყო კოსმოდრომ ბაიკანურზე, ვოლგოგრადში, სადაც ქალაქისათვის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით ფრანგ ჟურნალისტებს განუცხადა: „საბჭოთა კავშირში იდეოლოგიური კონიუნქტურის გამო რაც არ უნდა ერქვას დღეს ამ ქალაქს, მსოფლიო და საბჭოთა ისტორიაში ის მხოლოდ სტალინგრადი იქნება". მოსკოვში მას იმის ნებაც კი დართეს, რომ ოფიციალური ცერემონიალის გარეშე, როგორც „კერძო პირს" მოენახულებინა სტალინის საფლავი, სადაც გვირგვინით მივიდა და მთელი ოცი წუთი (!) დაჰყო სამგლოვიარო სიჩუმით. მთლიანობაში კი, ემოცია და მეგობრობის ილუსტრაცია გაცილებით მეტი იყო, ვიდრე რეალური პოლიტიკური დატვირთვა: გენერალმა 14000 კმ. იფრინა საბჭოთა კავშირში, 5 მლნ. ადამიანი გამოვიდა (თუ გამოიყვანეს) მასთან შესახედრად სხვადასხვა ქალაქებში, 23-ჯერ სტიქიურად შეერია მის დასახვედრად გამოსულ ხალხში, 20-ჯერ წარმოსთქვა სიტყვა მათ წინაშე და 26-საათიანი მოლაპარაკებები ჰქონდა საბჭოთა ხელმძღვანელებთან. 75 წლის დე გოლს საიმისო დრო და ენერგია ეყო, რომ მოსკოვში გამომგზავრების წინ რუსული ენის შესწავლა დაეწყო და ვიზიტის მსვლელობაში მუდამ რუსულად ამთავრებდა თავის გამოსვლებს. ლენინგრადში პუშკინის სტრიქონებიც კი გაიხსენა „პეტრეს ქალაქზე". კიევში იაროსლავ ბრძენის ქალიშვილზე (საფრანგეთის დედოფალზე) ისაუბრა, ნოვოსიბირსკში აღტაცებას არ მალავდა „რომანტიზმით" აღსავსე, საინტერესო და

საიდუმლო ციმბირით, ხოლო მოსკოვის უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრისას ლომონოსოვის სიდიადეზე და „მეცნიერული ჭეშმარიტების უნივერსალურ ხასიათზე" საუბრობდა. კულტურა, მეცნიერება და პროგრესი უნდა ქცეულიყო რუსეთისა და საფრანგეთის „ახალი კავშირის მთავარ მიზნად". გვარდიის ტამანის სახელგანთქმული დივიზიის ოფიცრებთან და ჯარისკაცებთან შეხვედრისას კი მასპინძლების „დაუგეგმავი" ოვაციები დაიმსახურა წამომძახილით: „თქვენთან მე თითქმის ოცი წლით გავახალგაზრდავდიო".

გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, რომ გენერლის ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა ომმა და ომთან დაკავშირებულმა ყველა მნიშვნელოვანმა ეპიზოდმა. ჩერჩილთან და რუზველტთან ერთად, სტალინის პიროვნებაც საკულტო ფენომენს წარმოადგენდა „მარტოხელა რაინდისათვის" იმ განსხვავებით, რომ პირველი ორის შემყურეს, ნერვების საშინელ დაძაბვად და ზოგჯერ სულიერი ტანჯვის ფასადაც უჯდებოდა საფრანგეთის არარსებული სუვერენიტეტისათვის ყოველდღიური ბრძოლა. სტალინთან ხანმოკლე პირადმა ურთიერთობამ კი საკუთარ თავში რწმენა განუმტკიცა. სტალინი ხომ „დიდი სამეულის" ერთადერთი წევრი იყო, რომელიც მას უმცროს პარტნიორობას არ აგრძნობინებდა და თანასწორად ეგებულობდა. მოგვიანებით, მოსკოვისათვის შეუმჩნეველი და დაუფასებელი არ უნდა დარჩენილიყო ის ფაქტიც, რომ დე გოლის საფრანგეთი, ისევე როგორც ფრანკოს ესპანეთი და სალაზარის პორტუგალია ფიდელ კასტროს ღიად მხარდამჭერი იყო. დე გოლი დემონსტრაციულად ჩადიოდა ინდოჩინეთში ვიეტნამის ომის კრიტიკულ დროს, ერთხელ კი საბჭოთა პრემიერ კოსიგინთან ერთადაც კი. ვიეტნამის ომის დამთავრებიდან ათეული წლების შემდეგ


შარლ დე გოლის ვიზიტი მოსკოვში

გახდა ცნობილი, რომ ომის წლებში საფრანგეთი ჰუმანიტარულ და მატერიალურ დახმარებას უწევდა ამერიკელებთან მებრძოლ ვიეტნამელებს, დანიშნულების ადგილამდე კი ფრანგული ტვირთი საბჭოთა კავშირის, მონღოლეთისა და ჩინეთის გავლით აღწევდა.

რაც შეეხებოდა საბჭოთა კავშირში დე გოლის 1966 წლის ვიზიტს, 80-იანი წლების დასასრულს გახდა ცნობილი ერთი კურიოზული ფაქტი; როგორც გაირკვა, ვიზიტის წინა დღეებში ფრანგულ მხარეს მოსკოვისათვის გენერლის პირადი თხოვნა გადაუცია: საქმე ეხებოდა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ, საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილ აქტიურ წევრს და გენერლის პირად მეგობარს, ვინმე არმან მიშელს, რომელთანაც შეხვედრაც მას სურდა. საბჭოთა „კომპეტენტურმა ორგანოებმა“ ოპერატიულად გაარკვიეს, რომ არანაირი არმან მიშელი საბჭოთა კავშირში არ ცხოვრობდა. საფრანგეთის საულჩო კი წელსა და თვესაც კი ასახელებდა, როდესაც ყოფილი წითელარმიელი ტყვე მიშელი, ტყვეობიდან გაქცევისა და საფრანგეთში გერმანელებთან გმირული ბრძოლის შემდეგ, უკვე საფრანგეთის სამხედრო ჯილდოების სრული კავალერი (მათ შორის რკინის დიდი ჯვრით დაჯილდოებული, რომელიც საბჭოთა კავშირში მხოლოდ მარშალ ჟუკოვს გააჩნდა), ომის დამთავრების შემდეგ რუსეთში დაბრუნდა. საბოლოო ჯამში პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთმა ძველმა თანამშრომელმა გაიხსენა შემთხვევა, როდესაც საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობამ თავის ერთ-ერთ ყოფილ აქტიურ მებრძოლს, ომის შემდგომ მძიმე წლებში დახმარების სახით დიდი თანხა გამოუგზავნა პარიზიდან. ეს უკვე ხრუშჩოვის პერიოდს ეხებოდა და, საბედნიეროდ, ნიკიტა სერგის-ძეც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. პენსიონერმა ყოფილმა პირველმა მდივანმა უმალ გაიხსენა „შეგნებული უცნაური „ჩუდაკი“, რომელმაც უარი თქვა თანხის მიღებაზე და მისი თხოვნით მთელი ფული მშვიდობის ფონდში გადარიცხა. შეამოწმეს მშვიდობის ფონდის საბუღალტრო ანგარიშები და მართლაც აღმოჩნდა აზერბაიჯანის მოქალაქე აჰმედ ჯაბრაილოვის მიერ შეტანილი თანხა: „არმან მიშელი“ კი ჯაბრაილოვის ფრანგული ფსევდონიმი გამოდგა. ომის შემდეგ საფრანგეთიდან დაბრუნებული წინააღმ-

დეგობის მოძრაობის სახელოვანი გმირი და დე გოლის პირადი მეგობარი ჯერ როგორც ყოფილი სამხედრო ტყვე, „კაგებეს“ „კომპეტენციაში“ აღმოჩნდა, შემდეგ კი ჩრდილოეთ აზერბაიჯანში, თავის მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა, სადაც მწყემსად დაიწყო მუშაობა. ასე თუ ისე, ცეკას სპეცმაღაზიაში საგანგებოდ გამოწყობილი მიშელ-ჯაბრაილოვი მართლაც შეახვედრეს საფრანგეთის პრეზიდენტს კრემლში, სადაც 1812 წლის შემდეგ პირველად ფრიალებდა საფრანგეთის დროშა, მთელი საღამო ომის წლების გახსენებაში გაატარეს პრეზიდენტმა და მისმა ძველმა თანამებრძოლმა. მეორე დილით პრეზიდენტი ოფიციალურ ღონისძიებებზე გადაერთო, მიშელ-ჯაბრაილოვი კი აზერბაიჯანში, თავის სოფელში დაბრუნდა. „კომპეტენტური ამხანაგების“ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ნახეს, რომ დე გოლის თანამებრძოლ პარტიზანს სასტუმრო „მოსკოვის“ „ლუქსში“ დაეტოვებინა მისთვის საგანგებოდ მოძენილი რამდენიმე კოსტუმი, პერანგები, ფეხსაცმელები, ქვედა საცვალი და წინდებიც კი. ვიზიტის დასრულებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჯაბრაილოვს სოფელში ეწვია საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალი რანგის გენერალი, წინააღმდეგობის მოძრაობის წლებში მისი უახლოესი მეგობარი და ხელქვეითი. გენერალმა თავის ყოფილ მეთაურს გადასცა პრეზიდენტის პირადი წერილი, სადაც დე გოლი შეახსენებდა საბჭოთა კავშირის მოქალაქე აჰმედ მიქაელ-ოღლი ჯაბრაილოვს, რომ ძალაშია მისი უფლება ეწვიოს საფრანგეთს, რამდენჯერაც მოესურვება, ნებისმეირი ვადით, საფრანგეთს მთავრობის ხარჯზე. გენერალმა ჯაბრაილოვს იქვე, მეორედ გადასცა „რკინის ჯვარი“. პარადოქსულია, რომ საფრანგეთის ყველა უმაღლესი სამხედრო ჯილდოს სრულ კავალერს არც ერთი საბჭოთა ჯილდოც არ გააჩნდა. 1970 წელს მას კი მოუხსნეს „ნევიეზდნოის“ იარლიყი, მაგრამ საფრანგეთში ჩასვლა და სამხედრო აღლუმში საპატიო მონაწილეობა, რის უფლებასაც მას „რკინის ჯვარი“ აძლევდა, არ მოუწია. ჯაბრაილოვი 1994 წელს გარდაიცვალა, ავტოკატასტროფის შედეგად. ერთ წლით ადრე კი, ყარაბაღის ომში დაიღუპა მისი ვაჟი – აზერბაიჯანის ეროვნული გმირი მიქაელ ჯაბრაილოვი.

როგორც 1944-ში, ასევე 1966 წელს საბჭოთა კავშირში ვიზიტის დღეებში გამოვლენილი მეგობრული გრძნობები და რუსულ-ფრანგულ „ისტორიულ სიახლოვეზე“ ემოციური რიტორიკა სულაც არ უშლიდა ხელს დე გოლის დიპლომატიას მკვეთრ ანტისაბჭოური პოზიციაზე დამდგარიყო, როგორც კი ორ სამყაროს შორის თავს სერიოზული კონფლიქტი იჩენდა. ბერლინის კრიზისზე რომ აღარაფერი ვთქვათ, იგივე კარიბის კრიზისის დღეებში, როდესაც ატლანტიზმის ევროპული ბურჯები ბრიტანეთი და ექვსი ქვეყანა „სერიოზული შეშფოთებით“ შემოიფარგლნენ, მხოლოდ გენერალმა დე გოლმა დააფიქსირა ვაშინგტონისადმი არაორაზროვნად „სრული სოლიდარობა“ ამავე დროს გენერალი სხვებზე შორს იყურებოდა და საბჭოთა საფრთხესთან პირისპირ დგომაში ჯონ კენედის სიმტკიცეს განიხილავდა, როგორც ევროპის უსაფრთხოების გარანტიას. ამიტომაც გამოთქვამდა სრულ მზადყოფნას ამერიკის გვერდით მდგარიყო ომის შემთხვევაშიც კი.

საინტერესოა, რომ საბჭოთა ლიდერებიდან, ვისთან შესვედრაც მას მოუხდა, შარლ დე გოლი მხოლოდ იოსებ სტალინსა და ალექსი კოსიგინს იხსენიებს კეთილი სიტყვებით თავის მემუარებში. ლეონიდ ბრეჟნევის შეფასებაში ორაზროვნად შეკავებულია, ხოლო ნიკიტა ხრუშჩოვთან მიმართებაში კი გაოცებას ვერ მალავს, თუ როგორ შეიძლებოდა საბჭოთა კავშირისნაირი „დიადი ქვეყანა ემართა ასეთ ვულგარულ ადამიანს, რომელიც პრესკონფერენციებს ბეღლებსა და ტროტუარებზე მართავდა და მეეტლესავით მეტყველებდა“. რა გასაკვირი იყო, რომ ფრანგულმა დიპლომატიამ „ხრუშჩოვის სტრატეგიულ შეცდომად“ შეაფასა კუბაზე რაკეტების განთავსების გადაწყვეტილება.

პრეზიდენტ რუზველტის ბიოგრაფი და მეგობარი ისაია ბერლინი ასე ახასიათებს თავის ძმაკაცს: „მას დიქტატორის ხასიათის სიმტკიცე, ენერგია და სიმარჯვე გააჩნდა, მაგრამ ჩვენს (ანუ დემოკრატიის - ს.ც.) მხარეზე იყო“ (150). იგივე შეიძლება ითქვას გენერალ შარლ-ანდრე-ჟოზეფი-მარი დე გოლზეც. ერთი მხრივ, მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციით საგარეო პოლიტიკა მთლიანად პრეზიდენტის კომ-

პეტენციაში შედიოდა და „კონეტაბლიც“ ორგანულად ვერ იტანდა, თუ კაბინეტის რომელიმე წევრს საკუთარი მოსაზრება გაუჩნდებოდა ამ სფეროსთან დაკავშირებით. ასე იყო, როდესაც მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ამერიკის ღია უკმაყოფილებას იწვევდა. გენერალმა ნორმალური პასუხის ღირსადაც კი არ ჩათვალა „მეტიჩარა“ მინისტრი და მხოლოდ მწარე ირონიით გაიკვირა: „ბატონი ფინანსთა მინისტრი საგარეო პოლიტიკით ინტერესდებაო“. ბუნებრივია, რომ ასეთი „კომენტარის“ შემდეგ ცოტას თუ გაუჩნდებოდა საგარეო პოლიტიკით დაინტერესების სურვილი პრეზიდენტის თანდასწრებით. მეორე მხრივ კი, სწორედ დე გოლის მმართველობის წლებში გაძლიერდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ავტორიტეტი და ფუნქცია...

ნახევარ საუკუნემდე დრომ განვლო მას შემდეგ, რაც 1970 წლის 9 ნოემბერს, მოულოდნელად გარდაცვლილ საფრანგეთის დიდი „კონეტაბლის“ ცხედართან მუხლებზე მდგომმა კოლომბე-ლე-დეზეგლიზის მუნიციპალიტეტის კიურემ, მოზღვავებული მღელვარებისაგან ენის ბორძიკით, ძლივს წარმოსთქვა უკანასკნელი აღსარების სიტყვები: „შვილო ჩემო შარლ, ამ წმინდა მირონცხებით, უფალი გპატიებთ თქვენს მიერ ჩადენილ ყველა ცოდვას“. უცოდველი მხოლოდ უფალია და, ალბათ, დე გოლსაც გააჩნდა თავისი წილი ცოდვები, ისიც მხოლოდ საფრანგეთს დიდებისთვის უსასრულო ბრძოლებში ჩადენილი. აი, პირადი მტრები კი ნამდვილად არ ჰყოლია და რომ შესძლებოდა, ალბად, მისი დიდი წინაპარი რიშელიესავით ეტყოდა მოძღვარს, რომ მისი ყველა მტერი საფრანგეთის მტერი იყო. ჩანს, ამავე აზრისა იყო გენერლის შეურიგებელი პოლიტიკური ოპონენტი – საფრანგეთის კომუნისტური პარტიაც, რომლის განცხადებაშიც ნათქვამი იყო: „ვერც ერთ ფრანგს ვერ დატოვებს გულგრილად მისი აღსასრულიო“. ერთ ბიბლიოთეკას შეავსებს დე გოლზე დაწერილი წიგნები, სტატიები თუ მეცნიერული გამოკვლევები და კვლავ დავის საგანია მისი დიპლომატიის ქმედების კოეფიციენტი და პერსპექტიულობა.

ფაშიზმზე გამარჯვებასა და გაპარტახებული ევროპის ფეხზე წამოყენებაში ამერიკის როლის გათვალისწინებით, კანონზომიერადაც კი შეიძლება ჩაითვალოს ატლანტიზმის, როგორც იდეოლოგიისა და პოლიტიკური კურსის დომინირება ომის შემდგომ ევროპაში. ევროპელ პოლიტიკოსთა უმრავლესობა კომფორტულად გრძნობდა თავს ვაშინგტონის „ტყვიაგაუმტარი ქოლგის“ ქვეშ. მათთვის აუტკივარი თავის ატკივება იყო „ევროპული ევროპის“ დე გოლისეული ლოზუნგი და სამოქმედო პროგრამა. ამიტომაც იქცა კიდევ ერთ „კანონზომიერებად“ გენერლის პოლიტიკური სიმარტოვის საფრთხე. მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც ბევრს მიაღწია „კონეტაბლის“ რკინისებულმა მიზანსწრაფვამ, გაუტეხელმა ხასიათმა, ნერვების სიმტკიცემ და სწორმა დიპლომატიურმა ალღომ. გრანდიოზული იყო გენერლის დამსახურება საფრანგეთის წინაშე ომის წლებში, მაგრამ რომ არა ტრიუმფალურ უკანასკნელ აკორდად ქცეული ათწლიანი (1958-1968 წ.წ.) პერიოდი, ძნელი სავარაუდოა, რომ დღევანდელ მდგომარეობამდე მიეყვანა ქვეყანა მეოთხე რესპუბლიკას. როგორი დაახვედრეს მეოთხე რესპუბლიკის მესვეურებმა გენერალს საფრანგეთი და როგორი დაუტოვა იგი თავის პოლიტიკურ მემკვიდრეებს გენერალმა? განსხვავება ისეთივე მასშტაბური და თვალში საცემი იყო, როგორც „ზემო ვოლტასა და ჰოლანდიას შორისო“, – წერდა გენერლის ერთ-ერთი ბიოგრაფი. ასეთი რეალობის ფონზე იმანენტურად იბადება კითხვა: მაშ რითი იყო განპიროვნებული გენერლის სევდანარევი ღია პესიმიზმი საფრანგეთის მომავალთან დაკავშირებით რომ გამოთქვამდა გადადგომის შემდეგ? ნუთუ მხოლოდ პირადი წყენით, ვინაიდან თერთმეტმა მილიონმა ფრანგმა არ დაუჭირა მხარი უკანასკნელ რეფერენდუმზე, რომელსაც არანაირი იურიდიული ძალა არ გააჩნდა? 1969 წლის 11 დეკემბერს მას ძველი თანამოაზრე ანდრე მალრო ესტუმრა და მთელი ოთხი საათი გაატარა საფრანგეთზე და მის მომავალზე საუბარში ორმა ჭეშმარიტმა პატრიოტმა. რას გულისხმობდა გენერალი, როდესაც გულახდილი, მწარე განაჩენი გამოჰქონდა: „ფრანგებს აღარ გააჩნიათ ეროვნული სწრაფვა. მათ აღარაფრის გაკეთება აღარ სურთ საფრანგეთისათვის... ის, რაც

ახლა ხდება. მე არ მესება. ეს სულაც არ არის ის, რაც მე მსურდა... დიდება დასრულებულია“ (151) და იქვე დასძენდა: „თქვენ ჩემსავით იცით, რომ მხოლოდ ორი გზა აქვს ევროპას: ან გააფორმოს სახელმწიფოთა შორის კავშირი (იგულისხმებოდა ევროპის სახელმწიფოები – ს.ც.), ან შეწყვიტოს არსებობა. ჩვენ უკანასკნელი ევროპელები ვართ ევროპაში, რომელიც ქრისტიანული იყო“ (152). არაკეთილშობილურად სარისკოა დიდი ისტორიული პიროვნებების სულსა და გონებაში წვდომის ცდები. ჩვენ ისღა დაგვრჩენია ვივარაუდოთ, რომ „კონეტაბლისათვის“ საფრანგეთის შორეული დიდება მხოლოდ აბსოლუტურად დამოუკიდებელი და ძლიერი „ერების ევროპაში“ იყო შესაძლებელი. მეორის გარეშე პირველი ვერ იარსებებდა.

და ბოლოს: შარლ დე გოლის სიკვდილმა ცხადჰყო, რომ არც ხალხი და არც ქვეყანა არ ყოფილა მის მიმართ უმადური – კოლომბეს მოკრძალებულ ეკლესიაში ჩამოკრულ სამგლოვიარო ზარს 50 ათასი ეკლესიის ზარი გამოეხმაურა. 84 სახელმწიფოს წარმომადგენელი ესწრებოდა სამგლოვიარო წირვას პარიზის ღვთისმშობლის ისტორიულ ტაძარში, ნიუ-იორკში გაერომ გენერალური ასამბლეამ სპეციალური სესია მიუძღვნა მის ხსოვნას, პარიზში კი ათობით მოედანს (მათ შორის საფრანგეთის დიდების სიმბოლოს – ვარსკვლავების მოედანს), გამზირს და აეროპორტს ეწოდა მისი სახელი. ისევე როგორც რიშელიემ და ნაპოლეონმა, მან თვითონ აირჩია ცხოვრების მიზანი – სამშობლოს დიდება, არც ერთი მათგანისთვის არ აღმოჩნდა იოლი მისკენ მიმავალი გზა და თუ სამივე პირად უკვდავებამდე მიიყვანა ამ გზამ, ეს უკვე შედეგზე მეტყველებს. სანამ იარსებებს კაცობრიობის ისტორიული მეხსიერება, ვერანაირი ჟამთა სიამე ვერ წაშლის მათ სახელებს.



თავი ოცდამესამე
ვიეტნამი. ნიქსონი და განმუხტვა

1951 წელს, პრეზიდენტ ტრუმენის მიერ გადაყენებულმა, კორეაში მოკავშირეთა ძალების ყოფილმა მთავარსარდალმა დუგლას მაკარტურმა გასაოცარი სიზუსტით იწინასწარმეტყველა: „თუ კორეის ომს არ მოვიგებთ, ახალ ომში მოგვიწევს ჩაბმა – ამ ომს ვიეტნამის ომი ერქმევაო“ (153).

1961 წელს კი, როდესაც ამერიკას კიდევ ჰქონდა თეორიული შანსი თავი დაეღწია ვიეტნამის ჭაობიდან, დე გოლი კენედის აფრთხილებდა: „ამ რაიონში ინტერვენცია იქამდე მიგიყვანთ, რომ უიმედოდ ჩაეფლობით უსასრულო ომში. მას შემდეგ, რაც ერი გაიღვიძებს, არანაირ უცხოურ ძალას, რა საშუალებებიც არ უნდა გააჩნდეს, შანსი არა აქვს თავს მოახვიოს მას თავისი ნება“ (154).

კი იყო ზუსტი ორივე პროგნოზი, მაგრამ თუ არა ვაშინგტონელი ანალიტიკოსების სტრატეგიული შეცდომა, სულაც არ იყო აუცილებელი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თავის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივ, ყველაზე უიმედო და ყველაზე ტრაგიკულშედეგიან ომში ჩაბმულიყო. დღემდის აუხსნელია, თუ რატომ გადაწყვიტა ჯერ ეიზენჰაუერის, შემდეგ კენედის ადმინისტრაციამ მაინც და მაინც ვიეტნამის ჯუნგლებში შეეჩერებინად „მსოფლიო ბატონობისაკენ“ კომუნისტების მარშით სვლა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისისათვის დღითიდღე მწვავდებოდა მოსკოვ-პეკინის კონფლიქტი, რომლის გენეზისიც იმაზე მეტყველებდა, რომ ორ კომუნისტურ გიგანტს შორის იდეოლოგიური უთანხმოება მალე უნდა გადაზრდილიყო მწვავე სამხედრო დაპირისპირებაში.

რაც შეეხებოდა თვითონ ვიეტნამს, ის XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან შედიოდა საფრანგეთის იმპერიის შემადგენლობაში. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ აქ ეროვნული თვითშეგნების გაღვივების პროცესი დაიწყო, იქმნება პირველი არალეგალური წრეები, რომელთა მიზანი პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევაა. რამდენიმე წარუმატებელი შეიარაღებული აჯანყების შემდეგ, 1941 წელს, ჩინეთის ტერიტორიაზე იქმნება „ვიეტნამის დამოუკიდებლობის ლიგა“ („ფუტმინი“) – სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც საწყის ეტაპზე საფრანგეთის კოლონიური ადმინისტრაციის წინააღმდეგ ყველა მებრძოლ ჯგუფებს აერთიანებს. მოგვიანებით იკვეთება კომუნისტების წამყვანი როლი ხო შიმინის მეთაურობით.

მეორე მსოფლიო ომის წლებში საფრანგეთის ვიშის ადმინისტრაცია ურიგდება იაპონელებს, რომელთა სარგებლობაში ვიეტნამის მთელი სტრატეგიული რესურსი გადადის, სანაცვლოდ კი იაპონელები საფრანგეთის კოლონიურ-ადმინისტრაციულ რესურსს იცავენ. 1944 წელს იაპონია არღვევს შეთანხმებას და ძალით იკავებს საფრანგეთის სამფლობელოებს, მაგრამ ერთ წელიწადში კაპიტულაციას აცხადებს. შექმნილი სახელისუფლებო ვაკუუმით ვიეტნამელი

პატრიოტების სამხედრო ქვედანაყოფები სარგებლობენ: გენერალმა ვო ნგუენ ზიაპმა ჰანოი და სხვა მთავარი ქალაქები დაიკავა. 1945 წლის 2 სექტემბერს ხო შიმინმა საზეიმოდ გამოაცხადა ვიეტნამის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის (ვდრ) შექმნას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

1945 წელს საფრანგეთმა (რომელმაც არ სცნო ვიეტნამის დამოუკიდებლობა) საექსპედიციო კორპუსი გადაისროლა ვიეტნამში და მისი სამხრეთი ნაწილი დაიკავა. ასე გაიყო დე ფაქტო ორ ნაწილად ქვეყანა. ხანმოკლე უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ, 1946 წელს, ვიეტნამში პარტიზანული ომი დაიწყო.

1950 წელს, კორეის ომით შეშინებული პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი, რომელიც იჯერებს, რომ ფრანგებს საქმე აქვთ არა ანტიკოლონურ მოძრაობასთან, არამედ მოსკოვსა და პეკინში დაგეგმილ გლობალურ აგრესიასთან (ამ დროს უკვე „ცივი ომი“ მძვინვარებს), გადაწყვეტილებას ღებულობს საფრანგეთს მასიური სამხედრო-ტექნიკური და სხვა ხასიათის დახმარება აღმოუჩინოს. ტრუმენის კურსს აგრძელებს ეიზენჰაუერიც და 1954 წლისათვის ამერიკის სამხედრო დახმარების ღირებულებითი მოცულობა სამ მილიარდ (იმდროინდელი კურსით!) დოლარს აღწევს. 1950 წლიდანვე ვიეტნამი ჩინეთიდან იწყებს დახმარების მიღებას.

კოლონიური ომის დამთავრებისა და ვიეტნამის ორ ნაწილად („დროებით“) გაყოფის შემდეგ სამხრეთს 1955 წლის ივლისამდე პროფრანგულად განწყობილი იმპერატორი ბაო დაი მართავდა. შემდეგ კი, სამხრეთ ვიეტნამში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, მონარქიული წყობა რესპუბლიკურით შეიცვალა და პრეზიდენტი ამერიკელების კანდიდატი ნგო დინ დიემი გახდა. 1959 წელს კი ჩრდილოეთ ვიეტნამის კომუნისტური ხელმძღვანელობა სამხრეთში პარტიზანული ომის დაწყების გადაწყვეტილებას ღებულობს. ამ დროისათვის უკვე ნგო დინ დიემი სამხრეთის სოფლებში (ანუ ქვეყნის უდიდეს ნაწილში) სასოფლო თვითმმართველობას აუქმებს, რაც ადგილობრივ მრავალსაუკუნოვან ტრადიციულ ინსტიტუტს წარმოადგენდა. „ადმინისტრაციულ რეფორმას“ სოფლის მოსახლეო-

ბის მასობრივი პროტესტები და პრეზიდენტის ავტორიტეტის მკვეთრი დაცემა მოჰყვა. პარალელურად, ორ ვიეტნამს შორის, ჟენევის კონფერენციის გადაწყვეტილებით, არსებული დემილიტარიზირებული ზონიდან სამხრეთში ჩრდილოელ მეომართა („პარტიზანების“) და იარაღის შეღწევა იწყება. ლაოსში ჩრდილოეთ ვიეტნამელ კომუნისტთა სამხედრო ინტერვენციის მიღწევების შემდეგ, ჰანოი უკვე ლაოსიდან და კამბოჯიდან იწყებს ჯარის შეყვანას სამხრეთში. ასე იქმნება მსოფლიოში ცნობილი „ხო შიმინის ბილიკები“. ის, რომ უხეშად ირღვეოდა ლაოსისა და კამბოჯის ნეიტრალიტეტი, ჰანოისა და პეკინში არავის არ ადარდებდა. 1960 წლამდე ჩრდილოეთ ვიეტნამელი „პარტიზანების“ მთავარ სამიზნეს სამხრეთელი სახელმწიფო მუშაკები წარმოადგენდნენ: ხოცავდნენ როგორც ცნობილ კორუმპირებულ (მოსახლეობაში პოპულარობის მისაღწევად), ასევე პატიოსან და ეფექტურ ჩინოვნიკებს (სხვების დასაშინებლად და საიგონის რეჟიმის უძლურების დასამტკიცებლად). 1960 წლის დეკემბერში, ნგო დინ დიემის ყველა მოწინააღმდეგე დაჯგუფება გაერთიანდა სამხრეთ-ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულ ფრონტად, რომელიც ჰანოიმ სრულ სამხედრო კმაყოფაზე აიყვანა. სხენებულ პერიოდში ვაშინგტონს ჯერ კიდევ შეეძლო საკუთარი საზოგადოებრიობის მხრიდან ფართო პროტესტის გარეშე გაეფართოვებინა ფრონტის ხაზი სამხრეთ ვიეტნამში, კენედისა და ჯონსონის ადმინისტრაციას ამ მხრივ ხელ-ფეხი გახსნილი ჰქონდა და უპრობლემოდ ზრდიდა საექსპედიციო სამხედრო კონტიგენტს.

1963 წლის იანვარში პარტიზანებმა შეძლეს პირველად დაემარცხებინათ სამხრეთ ვიეტნამის სამთავრობო ჯარები და საგრძნობლად დაუსუსტებინათ დიემის ადმინისტრაცია. უკანასკნელის მდგომარეობა უკვე კრიტიკული შეიქმნა მას შემდეგ, რაც იგი ბუდისტ ბერებს დაუპირისპირდა (აუკრძალა საკუთარი დროშებით გამოსულიყვნენ რელიგიურ დღესასწაულებზე). ამერიკელებისათვის ცხადი იყო, რომ ნგო დინ დიემს არ შეეძლო არც ქვეყნის მართვა და არც პარტიზანებთან გამკლავება. საბოლოო ჯამში, 1963 წლის 1 ნოემბერს, ამერიკის ახალი ელჩის მიერ წაქეზებულმა გენერლებმა დაპატიმრების პრო-

ცესში მოკლეს ნგო დინ დიემი და მისი ძმა – უშიშროების სამსახურის უფროსი. საშინაო არასტაბილური სიტუაცია ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ჩრდილოეთ ვიეტნამის სამხედრო ჩარევის მასშტაბების ზრდისათვის და 1964 წლის შემოდგომაზე ხანოიმ ჯერ 24 ათასიანი არმია შეიყვანა სამხრეთ ვიეტნამში, ხოლო შემდეგ კი სრულმასშტაბიანი სამხედრო შენაერთები მიაშველა პარტიზანებს. რაც შეეხებოდა პრეზიდენტ ჯონსონს, კონგრესმა ე.წ. „ტონკინის რეზოლუციით“ კი მისცა მას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სამხედრო ძალის გამოყენების უფლება, მაგრამ 1964 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მას „მშვიდობის კანდიდატად“ (თავისი მთავარი კონკურენტის გოლდუოტერისაგან განსხვავებით) სურდა წარმდგარიყო და ამიტომ რეგიონში სამხედრო აქტიურობის ესკალაციისაგან შეძლებისდაგვარად თავს იკავებდა.

ვითარება შეიცვალა 1965 წლის დასაწყისშივე, არჩევნებში ჯონსონის გამარჯვების შემდეგ. 7 თებერვალს პარტიზანებმა იერიში მიიტანეს ამერიკელების სამხედრო ბაზაზე პლეიკში, რის შედეგადაც რამდენიმე ათეული ამერიკელი სამხედრო დაიჭრა და დაიღუპა. მანამდე ცოტა ხნით ადრე კი საიგონში ააფეთქეს სასტუმრო „ბრონქსი“, სადაც ამერიკელი ოფიცრები ცხოვრობდნენ. ამჯერად ჯონსონმა უკვე გადაწყვიტა საპასუხო დარტყმა უშუალოდ ჩრდილოეთ ვიეტნამზე განეხორციელებინა: ბომბდამშენებმა „ბ-52“-ებმა ჰანოი და სხვა პორტები დაბომბეს. 1965 წლის 2 მარტიდან კი იწყება ჩრდილოეთ ვიეტნამის რეგულარული დაბომბვები (ოპერაცია „ჭექა-ქუხილი“). 8 მარტს, სამხრეთ-ვიეტნამის მთავარი აეროდრომის – დანანგის დასაცავად, იქ ამერიკის სამხედრო ქვეითთა ორი ბატალიონი ჩადის. წლის ბოლოსათვის კი სამხრეთ ვიეტნამში უკვე 185 ათასი ამერიკელი ჯარისკაცია, რომელთა რიცხვიც შემდგომში 540 ათასს აღწევს. 1965 წლის აგვისტოთი დათარიღდა ამერიკელ სამხედროთა პირველი სერიოზული საბრძოლო „ნათლობა“ (ოპერაცია „სტარლაითი“). თანდათანობით ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მსხვილმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციები ამერიკელების მონაწილეობით. ამერიკაში კი ქვეყნისათვის უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია ომის საწინააღმდე-

გო საპროტესტო მოძრაობამ. ამერიკელები ვიეტნამის მიტოვებას და „ბიჭების“ სახლში დაბრუნებას ითხოვდნენ. მოძრაობის მასშტაბებისა და ანტისახელისუფლებო განწყობის სიძლიერეზე მეტყველებდა თუნდაც ის ფაქტი, რომ პეზიდენტ ჯონსონს“ პრაქტიკულად“ უკვე ხალხში გამოჩენა აღარ შეეძლო და თავისი პარტიის ყრილობაზეც კი არ მისულა.

1968 წლის არჩევნებში გამარჯვებული (რობერტ კენედის მკვლელობის შემდეგ უკონკურენტოდ დარჩენილი) რიჩარდ ნიქსონის წინასაარჩევნო დაპირება იყო „საპატიო ზავით“ ომის დასრულება. ვიეტნამელმა პარტიზანებმა და მათმა „პატრონმა“ – სოციალისტურმა ჰანოიმ დეტალურად იცოდნენ, რაც ხდებოდა ამერიკაში და დროულად შეცვალეს სტრატეგია: ახლა უკვე ამერიკელი ჯარისკაცები იქცნენ მათ მთავარ სამიზნედ, რათა ყოველდღიურ მსხვერპლს კიდევ უფრო გაეაქტიურებინა ომის უპირობოდ შეწყვეტის (ანუ უსიტყვო კაპიტულაციის) მომხრეთა არგუმენტები და პოზიციები. შეიქმნა მსოფლიო ომების ისტორიაში უჩვეულო რეალობა, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის სერიოზული ნაწილისა და მტრის ინტერესები ერთიერთზე ემთხვეოდა ერთმანეთს. სიტუაციას დრამატიზმს მატებდა ის ფაქტიც, რომ 1970 წელს რიჩარდ ნიქსონი ჯერ იყო და იძულებული შეიქნა ჯარი შეეყვანა კამბოჯაში ჩრდილოეთ ვიეტნამელთა აგრესიისაგან ქვეყნის დასაცავად, ხოლო როდესაც ამას ამერიკაში ანტისაომარი მოძრაობის ძლიერი ტალღა მოჰყვა, ორ თვეში იქიდან ჯარი გამოიყვანა. შეუძლებელი იყო, რომ ამერიკაში შექმნილი სიტუაცია უარყოფითად არ ასახულიყო ამერიკელი ჯარისკაცების განწყობაზე; დემორილიზებით ხსნიდნენ იმ ფაქტს, რომ როგორც გაირკვა, ვიეტნამში მებრძოლი 65 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი ნარკოტიკების მომხმარებელი იყო.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ვითარებისა, 1972 წლის გაზაფხულზე, ნიქსონმა და კისინჯერმა, სამხედრო, ადმინისტრაციული და დიპლომატიური ღონისძიებებით, თითქმის რეალობად აქციეს ჩრდილოეთ ვიეტნამის აგრესიის მარცხი (ყოველ შემთხვევაში, თუნდაც გარკვეული პერიოდით). არადა, საიგონის (სამხრეთ ვიეტნამის)

ხელისუფლებას, ამერიკის დახმარებით, ადგილობრივი პარტიზანები შეეძლო გარკვეულ კომპრომისებზე აეძულებინა. ამავე ხანებში სრული კატასტროფით დამთავრდა ჩრდილოეთ ვიეტნამის 1972 წლის საშობაო შეტევა, პარიზში კი საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობდა კისინჯერ – ლე დიკ თხოს მოლაპარაკება. (ლე დიკ თხო – 1930 წელს ინდოჩინეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, 1955-1986 წლებში ვიეტნამის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი. გარდაიცვალა 1990 წელს). 1971 წლის 40 პროცენტისაგან განსხვავებით, ჩრდილოეთ ვიეტნამელები და პარტიზანები სამხრეთ ვიეტნამის 10 პროცენტსღა აკონტროლებდნენ. ნიქსონს უკვე გამოყვანილი ჰყავდა 500 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი. ახალი ვადით ნიქსონის არჩევამ და ჩრდილოეთის ქალაქებისა და პორტების დაბომბვების განახლების შიშმა ჰანოი კომპრომისზე აიძულა და 1973 წლის 27 იანვარს, პარიზში კისინჯერმა და ლე დიკ თხომ ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას (რაც ორივეს მშვიდობის ნობელის პრემიით დაუფასდათ). კისინჯერის ვერსიით, ჰანოის მხრიდან მოულოდნელი კომპრომისი სერიოზული შეცდომის შედეგი იყო. ნიქსონის ბრწყინვალე გამარჯვებამ ვიეტნამელ კომუნისტებს აფიქრებინა, რომ ხელფეხგახსნილი პრეზიდენტი მეტი ენერგიით და შესაძლებლობებიტ განაახლებდა ომს, რაც შორს იყო სინამდვილიდან. კონგრესის ახალი შემადგენლობა რომ კეთილგანწყობილი არ იქნებოდა პრეზიდენტის პოლიტიკისადმი, ეს მშვენივრად იცოდა თავად ნიქსონმაც და მისმა ადმინისტრაციამაც. გარდა ამისა, ჰანოიში წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, თუ რა სიმძლავრის ბომბზე იჯდა ამერიკის ხელახლად არჩეული პრეზიდენტი „უოთერგეიტის“ სახით. ნებისმიერ შემთხვევაში, ხსენებული ფაქტორებისა და რაც მთავარი იყო, კისინჯერის დიპლომატიური უნარის შედეგად, ხელშეკრულება სულაც არ მეტყველებდა ამერიკის დამარცხებაზე. მშვიდობის აღდგენის მომენტში სამხრეთ ვიეტნამის არმიაში მილიონზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი ითვლებოდა მდიდარი ამერიკული სამხედრო ტექნიკით. ჩრდილოეთ ვიეტნამის არმიის რიგებში 250 ათასი სამხედრო მოსამსახურე იყო, პარტიზანები კი ტავიანთ რიგებში დაახლოებით 40-50 ათას მე-

ბრძოლს ითვლიდნენ. ასე რომ, ამერიკის დახმარებით და ნორმალური სამომავლო არჩევნებით შეიძლება გარანტირებულიც კი ყოფილიყო კორეის ვარიანტი, მით უმეტეს, რომ ხანოი პრაქტიკულად აღარ ღებულობდა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის დახმარებას. ახლა უკვე ყველაფერი იყო დამოკიდებული ამერიკის შეერთებული შტატების მზადყოფნასა და პოლიტიკურ ნებაზე დაეცვა მისი პრეზიდენტის სახელით ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულება. „ჩვენ მტკიცედ გვწამდა, – წერს კისინჯერი, – რომ გვაქვს უფლება, უფრო მეტიც – მოვალეობა დაგვეცვა ხელშეკრულება, რომლის გულისთვისაც დაიღუპა 50 ათასი ამერიკელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეერთებულ შტატებთან გაფორმებული ნებისმიერი სამშვიდობო ხელშეკრულება კაპიტულაციის იურიდიული ექვივალენტური იქნებოდა. პირობები, რომელიც არ ექვემდებარება დაცვას, დანებების ტოლფასია“ (155). ასე ფიქრობდა კისინჯერი, კონგრესს კი საპირისპირო წარმოდგენა ჰქონდა ომზეც და სამშვიდობო ხელშეკრულებაზეც.

1972 წელს, ჯერ კიდევ პარიზის ხელშეკრულების გაფორმებამდე, ამერიკის კონგრესმა ორი მილიარდი დოლარი გამოყო სამხრეთ ვიეტნამის დასახმარებლად. 1973 წელს ხსენებული თანხა ახალმა კონგრესმა 1.4 მილიარდამდე შეამცირა, 1974 წელს გაანახევრა (წინა წელს შემცირებული) და მიუხედავად იმისა, რომ ფასები ოთხჯერ გაიზარდა, 1975 წელს მხოლოდ 600 მლნ. დახმარებას განიხილავდა. კამბოჯა კი ვიეტნამელი კომუნისტების ანაბარა იქნა მიტოვებული. ასეთ პირობებშიც კი ფრთხილობდა ჰანოი და არ ჩქარობდა ქვეყნის ძალით გაერთიანებას: 1974 წლის დეკემბერში, ჩრდილოეთ ვიეტნამის არმიამ „საცდელი“ სამხედრო ოპერაცია ჩაატარა და ფუოკლონგის პროვინციაში შეიჭრა, რაც პარიზის შეთანხმების უხეში და დემონსტრაციული დარღვევა იყო. ჰანოის, უბრალოდ, ამერიკის რეაქცია აინტერესებდა და როდესაც ვაშინგტონმა ყურიც არ გააბარტყუნა, ეს უკვე „მწვანე შუქის“ მომასწავებელი იყო: 1975 წლის 30 აპრილს საიგონის დამოუკიდებლობის სასახლის თავზე კომუნისტების დრო-

შა ფრიალებდა. ამ დღეს დამთავრდა ომი, თანაც ჩდილოეთ ვიეტნამის კომუნისტური რეჟიმის სრული გამარჯვებით.

როგორც მოსალოდნელი იყო, სამხრეთ ვიეტნამში დაიწყო იმ პირთა მასობრივი რეპრესიები, ვინც ომამდელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა, ანუ რეპრესიების მსხვერპლად იქცა ნებისმიერი ყოფილი სახელმწიფო მოხელე. მათ აგზავნიდნენ ე.წ. „ხელახალი აღზრდის ბანაკებში“ და „ახალ ეკონომიკურ ზონებში“ ათი ათასობით სამხრეთ ვიეტნამელმა მოასწრო ქვეყნიდან გაქცევა. ბევრი მათგანი ამერიკელებმა გაიყოლეს თან. ქვეყნიდან გაქცევები გრძელდებოდა საიგონის დაცემის შემდეგაც - გარბოდნენ ნავებითა და პატარა გემებით.

სერიოზული სამხედრო ნადავლი დარჩა ჩრდილოეთ ვიეტნამის სახალხო არმიას: 550 ტანკი, 1200 ჯავშანტრანსპორტიორი, 1100 თვითმფრინავი, 500 შვეულმფრენი და 80 ხომალდი.

საბჭოთა კავშირი ჩრდილოეთ ვიეტნამს ფართომასშტაბიან სამხედრო და ჰუმანიტარულ დახმარებას 1965 წლიდან უწევდა. იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის, ალექსი კოსიგინის განცხადებით, დღეში 1.5 მლნ. მანეთი უჯდებოდა საბჭოთა ბიუჯეტს ვიეტნამის ომი. გარდა ამისა, საჰაერო ბრძოლებში უშუალო მონაწილეობას ღებულობდნენ საბჭოთა მფრინავებიც.

უკვე ომის შემდგომ პერიოდში, დარგის სპეციალისტებმა დეტალურად დაიწყეს ვიეტნამის ომის პერიპეტიების შესწავლა. ვინაიდან ამერიკისათვის ყველაზე რთული პერიოდი ჯონსონის პრეზიდენტობას ემთხვეოდა, ეს წლები იქცა ექსპერტებისათვის განსაკუთრებულად საინტერესოდ. იყო ე.წ. გრადუალიზმის დოქტრინა, რომლითაც აშშ-ის ადმინისტრაცია ჩრდილოეთ ვიეტნამის ტერიტორიის დაბომბვებისას ხელმძღვანელობდა. სცენარი შემდეგნაირი იყო: ამერიკის ავიაცია ანადგურებდა უმნიშვნელო ობიექტებს და ელოდებოდა ჰანოის რეაგირებას. თუ არანაირი რეაგირება არ იყო, დაბომბვების სამიზნედ უფრო მნიშვნელოვანი ობიექტი იქცეოდა, ეს თავისებური „სიგნალი“ იყო და თუ ჰანოი ძველებურად განაგრძობდა აგრესიას, ამერიკელებს უკვე სტრატეგიული სამხედრო ან სამოქალაქო ობიექტი

შეიძლება გაენადგურებინათ. ამავე დროს თეთრ სახლში ყველა სამიზნე განიხილებოდა და პრეზიდენტი საქმის კურსში იყო. ვინაიდან დაბომბვებს მხოლოდ პოლიტიკური მიზანი გააჩნდა – ომის შეწყვეტაზე აეძულებინა ჩრდილოეთ ვიეტნამელი კომუნისტები, სამიზნეები მკაცრად იყო შეზღუდული. ასე, მაგალითად, ჰანოისა და ჰაიფონის ირგვლივ დაწესებული იყო (ამერიკელების მიერ) სპეციალური ზონა, სადაც ავიაციას მხოლოდ პრეზიდენტის ნებართვით შეეძლო მოქმედება. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ ამერიკის თვითმფრინავებს ასეთ ზონაში განთავსებული სარაკეტო-საზენიტო კომპლექსების განგანადგურებაც კი არ შეეძლოთ. ბუნებრივია, რომ ეს იცოდნენ ვიეტნამელებმა და ითვალისწინებდნენ კიდეც კომპლექსების განთავსებისას. სპეციალური ზონის მიღმა კი ამერიკის თვითმფრინავებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ ვიეტნამელების სარაკეტო-საზენიტო კომპლექსებზე იერიშის მიტანა, თუ უკანასკნელთა მხრიდან ცეცხლი იქნებოდა გახსნილი. 1967 წლის ზაფხულამდე ამერიკის ბომბდამშენებს ვიეტნამელების სამხედრო აეროდრომების დაბომბვებიც ეკრძალებოდათ. ასეთ პირობებში ბუნებრივადაც კი გამოიყურებოდა ის აბსურდული სიტუაცია, რომელიც 1967 წლის შემოდგომაზე შეიქმნა, როდესაც ამერიკის ავიაციამ შეძლო ჰაიფონი მოეკვეთა ჩრდილოეთ ვიეტნამის დანარჩენი ტერიტორიიდან. რის შედეგადაც პორტში დიდი რაოდენობის უცხოეთიდან მიღებული სამხედრო ტვირთი დაგროვდა. ომის ყველა დაწერილი თუ დაუწერელი კანონის მიხედვით ლოგიკური იყო ტვირთის დაბომბვა და განადგურება, ვინაიდან ეს იარაღი იგივე ამერიკელი ჯარისკაცების წინააღმდეგ გამოსაყენებლად იყო განკუთვნილი, მაგრამ ამერიკელ მფრინავებს ეკრძალებოდათ ქალაქის დაბომბვა და უკანასკნელნი იძულებულნი იყვნენ ცალკეული სატვირთო მანქანები ეძებნათ ჰაერიდან, რომელთაც ტვირთი ხო შიმინის „ბილიკებისაკენ“ მიჰქონდათ. მეორე მხრივ, არაადამიანურ სისასტიკესაც ჰქონდა ადგილი იგივე ამერიკელი სამხედროების მხრიდან: მთელი ცივილიზებული მსოფლიო შეძრა 1968 წლის 16 მარტს სოფელ სონგმის ტრაგედიამ, სადაც ამერიკელმა ჯარისკაცებმა ხატინისა და ორადურის მაგალითი გაიმეორეს –

ვადაწვეს მთელი სოფელი და დახოცეს მისი ყველა (500 ადამიანზე მეტი) მაცხოვრებელი. ასე „გაითქვა სახელი" ამერიკის 101-ე სამხედრო-სადესანტო დივიზიის სადაზვერვო ქვეგანაყოფმა „ტაიგერ ფორსმა", რომლის ჯარისკაცებიც სისტემატურად ხოცავდნენ ტყვე ვიეტნამელებსა და მშვიდობიან მოქალაქეებს.

უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით პარტიზანებიც გამოირჩეოდნენ, როდესაც მათგან სხვადასხვა სახის დახმარებებს ვერ ღებულობდნენ. 1967 წლის 5 დეკემბერს პარტიზანები შეიჭრნენ სოფელ დაკშონში და 250 მშვიდობიანი მაცხოვრებელი დახოცეს იმ საბაბით, რომ ადრე წინააღმდეგობა არ გაუწიეს (უფრო სწორეთ კი ვერ გაუწიეს) ამერიკელებს. იგივე დამართეს სოფელ ბონჩას მაცხოვრებლებს, სადაც 190 ადამიანი დახოცეს და დაასახიჩრეს, სოფელი კი გადაწვეს. ქალაქ გუეს დროებითი დაკავების პერიოდში, ამერიკელებთან თანამშრომლობის ბრალდებით რამდენიმე ასეული ადამიანი დახვრიტეს (ზოგიერთი მონაცემით, ორი ათასამდე). როგორც წესი, ჩრდილოეთ ვიეტნამელ ჯარისკაცებს ტყვეები არ აჰყავდათ – მათ, უბრალოდ, ადგილზევე ხოცავდნენ. დაკითხვების დროს საშინლად აწამებდნენ ჩრდილოეთ ვიეტნამში ტყვედ ჩავარდნილ ამერიკელ მფრინავებს (ტყვე ამერიკელი მფრინავის „სრული კურსი" გაიარა ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკეინმაც). ერთი სიტყვით, ორივე მხრიდან ჰქონდა ადგილი საომარი მოქმედებების მსვლელობაში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის 1949 წლის ჟენევის კონვენციის (196 ქვეყნის – რეკორდული მაჩვენებელი – მიერ რატიფიცირებული დოკუმენტის) უხეშ დარღვევას, მაგრამ განსხვავება იმაში იყო, რომ პენტაგონი ებრძოდა, ამხელდა და სასტიკად სჯიდა ამერიკელთა მხრიდან ჩადენილი დანაშაულების მონაწილეებს, ჰანოი კი მათ გმირებად მოიხსენიებდა. პენტაგონმა საკუთარი ინიციატივით შექმნა საიდუმლო ქვეგანაყოფი, რომელიც სკურპულოზურად იკვლევდა ამერიკელ სამხედროთა მიერ ჩადენილი დანაშაულებების თითეულ კონკრეტულ ფაქტს.

ტელევიზიისა და მთლიანობაში თავისუფალი მედიის დამსახურება იყო, რომ ვიეტნამის ომის მსვლელობაში კაცობრიობის წინაშე

ჩადენილი დანაშაული მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. მეტიც – 1968 წელს, უკვე 94 წლის საქვეყნოდ ცნობილი ინგლისელი ლორდის, ფილოსოფოსის, მათემატიკოსის, საზოგადო მოღვაწისა და ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის, ბერტრან რასელის ინიციატივით საზოგადოებრივი ტრიბუნალიც კი შეიქმნა ვიეტნამში ჩადენილ სამხედრო დანაშაულებების გამოსაძიებლად. მსოფლიოში ცნობილი 26 მენციერი, მწერალი და ხელოვნების მუშაკი გაერთიანდა ტრიბუნალში, რომელმაც რამდენიმე სხდომა ჩაატარა და ჯერ კიდევ ომის ოფიციალურად დამთავრებამდე 6 წლით ადრე, 1967 წლის 10 მაისს პირველი სესიის ვერდიქტი გამოაქვეყნა. საინტერესოა, რომ ტრიბუნალის წინაშე მხოლოდ ორი კითხვა იყო დასმული: 1. იყო თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დამნაშავე აგრესიის აქტებში (კითხვა ეხებოდა აგრეთვე ამერიკის მოკავშირეებს – ავსტრალიას, ახალ ზელანდიას და სამხრეთ კორეას); 2. იბომბებოდა თუ არა სამოქალაქო დანიშნულების სამიზნეები: ჰოსპიტლები, სკოლები, სანატორიუმები, კაშხლები და ა.შ.

ტრიბუნალმა დადებითი პასუხი გასცა ორივე კითხვას და ერთმნიშვნელოვნად დაადანაშაულა ამერიკის შეერთებული შტატები. ტრიბუნალმა დაასკვნა, რომ 1956 წლისათვის ვიეტნამის მთელ ტერიტორიაზე დაგეგმილი არჩევნები არ შესდგა და მოვლენები ტრაგიკულად განვითარდა მხოლოდ „აშშ-ის ინტერვენციის შედეგად“. ასეთი დასკვნის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა ეჭვს არ იწვევდა. მართალია არსებობდა სამართლებრივი არგუმენტი სამხრეთ ვიეტნამის დაცვაში ამერიკის ლეგალური მონაწილეობის შესახებ, მაგრამ იგი კატეგორიულად უარყო ტრიბუნალმა, ვინაიდან საერთაშორისო სამართალით, 1954 წლიდან ვიეტნამი ითვლებოდა ერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. იმ ფაქტს, რომ ქვეყანა რეალურად იყო გაყოფილი ორ ნაწილად, ტრიბუნალისათვის მნიშვნელობა არ გააჩნდა. ამიტომ „ვიეტნამი, როგორც ერთიანი ეროვნული წარმონაქმნი“, არ შეიძლება საკუთარი თავის მიმართ ყოფილიყო აგრესორი.

ელემენტარული იურიდიული ნორმების თვალსაზრისით, საეჭვო ბრალდებებში კიდევ უფრო შორს წავიდა ტრიბუნალის მეორე სესია, რომელიც 1967 წლის 20 ნოემბერ – 1 დეკემბერს ჩატარდა დანიაში (როსკოლში). ახალი ვერდიქტით, ვიეტნამის წინაშე აგრესიაში იყვნენ მხილებულები ტაილანდის, იაპონიის, ფილიპინებისა და სამხრეთ კორეის მთავრობები; გარდა ვიეტნამისა, ამერიკას ლაოსის წინააღმდეგ აგრესიაც „დაუმტკიცდა“ ვაშინგტონი აგრეთვე დადანაშაულდა აკრძალული სამხედრო იარაღის გამოყენებაში, სამხედრო ტყვეების წამებაში და ვიეტნამის მოსახლეობის გენოციდში. იმდენად თვალში საცემი იყო ტრიბუნალის მიკერძოებულობა, რომ პრაქტიკულად ნულამდე დავიდა მისი როლიც და მის მიერ გამოტანილი განაჩენის საზოგადოებრივი რეზონანსიც. მიუხედავად სპეციალური მიპატიჟებისა, ტრიბუნალის წევრობაზე უარი თქვა 1965 წლის „ვაშინგტონზე მარშის“ ინიციატორმა და ვიეტნამის ომის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ამერიკელმა მოწინააღმდეგემ სტეიტონ ლინდმა. მოგვიანებით მან იმით ახსნა თავისი პოზიცია, რომ ტრიბუნალს ჩრდილოეთ ვიეტნამელების მიერ ჩადენილი დანაშაულის გაგონებაც არ სურდა და ერთადერთ ბრალდებულებად ამერიკა და მისი მოკავშირეები მოიაზრებოდნენ. „მე შევეკითხე ტრიბუნალის ემისარს, – წერდა ლინდი, – რა მოხდება თუ პარტიზანების მხრიდან ამერიკელი ტყვეების წამების ფაქტები დამტკიცდა? პასუხი, როგორც მე მივხვდი ასეთი იყო: „გამართლებულია იმპერიალისტი აგრესორების ზღვაში გადაყრის ნებისმიერი მეთოდი. ამის შემდეგ მე უარი ვთქვი ტრიბუნალის წევრობაზე“.

ნებისმიერი, ვინც ზერელედ მაინც იცნობდა დიდი მოაზროვნის, ბერტრან რასელის ბიოგრაფიაში არსებულ „ლირიულ გადახვევებს“, მისთვის წინასწარვე უნდა ყოფილიყო მისი და ჟან პოლ სარტრის (ასევე მემარცხენე იდეოლოგიის მატარებლის) ეგიდიდ მომუშავე ტრიბუნალის სიმპატიები. უკვე სიმწიფის ასაკში შესული რასელი აღფრთოვანებით შეხვდა ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებას რუსეთში და 1918 წელს წერდა, რომ უკანასკნელი „მთელი მსოფლიოს სამომავლო აყვავების იმედს იძლეოდა“. 1920 წლის ივნისში

რასელი უკვე კრემლში ესაუბრებოდა ლენინსა და ტროცკის. შეხვდა აგრეთვე მაქსიმ გორკისა და ალექსანდრე ბლოკს. საბჭოთა რუსეთში მისი მოგზაურობის შედეგი იყო 1920 წელსვე გამოქვეყნებული წიგნი – „ბოლშევიზმის პრაქტიკა და თეორია“, სადაც უკვე ეჭვს გამოთქვამდა „რუსულ ბოლშევიზმზე“, როგორც კაპიტალიზმის ერთადერთი კონკურენტის მიზანშეწონილობაზე. მისი აზრით, ამ შემთხვევაში, სოციალიზმის ნაცვლად მსოფლიოში „ნგრევა და ქაოსი გაბატონდებოდა“ მიუხედავად ბოლშევიზმით იმედგაცრუებისა და მისი კრიტიკისა, რასელი სიკვდილამდე დარჩა მემარცხენე იდეების ერთგული და თავს სოციალისტსა და კომუნისტსაც უწოდებდა. „მე მწამს, რომ კომუნიზმი სჭირდება მსოფლიოს“ წერდა იგი და თავად კომუნიზმს კი არ უარყოფდა, არამედ „რწმენის სიმბოლისადმი ისეთ უაზრო ერთგულებას, რის გულისთვისაც ადამიანები მზად არიან უსასრულოდ ითმენდნენ ტანჯვასა და სიღატაკეს“.

ეჭვს გარეშეა, რომ ბერტრან რასელიცა და ჟან-პოლ სარტრიც ადამიანთა მოდგმის ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ და წარუშლელი კვალი დაამჩნიეს ეპოქის ინტელექტუალურ ცხოვრებას. ამავე დროს პოლიტიკური მემარცხენეობის უტოპიურ-ეგზისტენციალური შინაგანი მუხტი კი კვებავდა დაუშრეტელი ენერგიით მათი ცხოვრების არსსა და სტილს, მაგრამ გამოვლენილ პროტესტს კონკრეტულ პრაგმატულ მიზანს უკარგავდა. ცხოვრებისეულ რეალობას მოწყვეტილი მძლავრი ინტელექტუალური პოტენციალი არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო თუნდაც თეორიული ბრძოლის შედეგზე გათვლილი. ალბად, ამიტომაც იყო, რომ იდეალური კომუნისტების ძებნაში გალია თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე „თვითმარქვია“ კომუნისტმა ლორდმა რასელმა, ხოლო ნობელის პრემიის მეორე ლაურეატმა და სორბონის სტუდენტთა ცნობილი ბუნტის მონაწილე სუპერინტელექტუალმა და სულით ინტელიგენტმა ჟან-პოლ სარტრმა ორი ოკეანე გადალახა ერნესტო ჩე გევარასთან შეხვედრისა და საუბრისათვის. ისევე როგორც თავიანთი არც თუ მრავალრიცხოვანი თანამოაზრეები, ორივე მაქსიმალურად სარგებლობდა ბურჟუაზიული რევოლუციებით მოპოვებული უფლებებითა და კეთილდღეობით და

ორივემ მხოლოდ მათ გონებაში არსებულ თავისუფლებასა და ჰუმანიზმზე ოცნებაში დალია სული.

ხსენებული თვალსაზრისით გაცილებით ეფექტური იყო ამერიკაში თუნდაც მხოლოდ სენატორ ედვარდ კენედის მიერ ჩატარებული გამოძიება და ანგარიში, სადაც დასაბუთებული იყო ომის შედეგად დაღუპული და დასახიჩრებული 150 ათასი ბავშვის ფაქტი, ამერიკელების მიერ დაწესებული ე.წ. „თავისუფალი ცეცხლის ზონების არსებობა, რომლის შიგნითაც მოძრავი ადამიანი „მტრულ ობიექტად" ცხადდებოდა და ნადგურდებოდა. 1971 წლის ივნისში გაზეთმა „ნიუ იორკ თაიმსმა" დაიწყო საიდუმლო კრებულის „ამერიკა-ვიეტნამის ურთიერთობები, 1945-1967 გამოკვლევა" გამოქვეყნება, რომელიც სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ საიდუმლოდ გაიყოლია სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელმა დანიელ ელსბერგმა. დოკუმენტებში აღნიშნული იყო, რომ პრეზიდენტ ჯონსონის ადმინისტრაცია შეგნებულად ახდენდა საომარ მოქმედებათა ესკალაციას. მიუხედავად პრეზიდენტ ნიქსონის ადმინისტრაციის აქტიური პროტესტისა, ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ქვეყნის გაზეთებს აქვთ უფლება გამოაქვეყნონ საიდუმლო დოკუმენტებიო. გაზეთის პუბლიკაციებმა კიდევ უფრო გააძლიერა ამერიკელების უნდობლობა საკუთარი ხელისუფლების მიმართ. პრესა ასევე ფართოდ აშუქებდა ომის ვეტერანთა შორის გავრცელებული თვითმკვლელობის ფაქტებს. სულ სხვადასხვა მონაცემებით, 100-150 ათასი ასეთი შემთხვევა იქნა ფიქსირებული (გაცილებით მეტი, ვიდრე ომში დაღუპულები). მართალია, შემდგომში ხშირად აპროტესტებდნენ ამ ციფრებს, როგორც უზომოდ გადაჭარბებულს.

სულ, ოფიციალური მონაცემებით, ამერიკამ ომში 58 ათასი სამხედრო მოსამსახურე დაკარგა. აქედან ბრძოლებში 47 ათასი დაიღუპა. 2008 წლისათვის 1800 ამერიკელი ითვლებოდა უგზო-უკვლოდ დაკარგულად, 300 ათასს გადააჭარბა დაჭრილღა რაოდენობამ.

ზუსტი მონაცემები სამხრეთ ვიეტნამის არმიის დანაკარგებზე არ არსებობს. სხვადასხვა ცნობებით, ბრძოლებში დაიღუპა 250 ათასი

სამხედრო და დაიჭრა 1 მილიონი. დღემდე უცნობია მშვიდობიანი მოსახლეობის დანაკარგები.

1995 წელს ვიეტნამის მთავრობის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, ჩრდილოეთ ვიეტნამის არმიამ და პარტიზანებმა მოკლულთა სახით 1.1 მლნ სამხედრო დაკარგეს, ხოლო ვიეტნამის ორივე ნაწილში კი 2 მლნ მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

საყურადღები იყო გელაპის ინსტიტუტის მონაცემები, რომლის მიხედვითაც 1964-1972 წლებში ყველაზე ძლიერ ამერიკის საზოგადოებრიობას ვიეტნამის ომი აღელვებდა. საგარეო პოლიტიკისადმი რიგით ამერიკელთა ინტერესის მკვეთრ ზრდას კი, თავის მხრივ, ამერიკის საგარეო-პოლიტიკური კურსის ფორმირებასა და განხორციელებაზე საზოგადოებრივი აზრის როლის ზრდა მოჰყვა.

1974 წელს პრეზიდენტმა ჯერალდ ფორდმა შეიწყალა 30 ათასამდე ომის დეზერტირი ამერიკელი, ხოლო 1977 წელს კი ჯიმი კარტერმა ყველა ისინი, ვინც ამერიკიდან გაიქცა, რათა ომის დროს ჯარში არ ყოფილიყო გაწვეული.

ომის ყველაზე სერიოზულ შედეგად ჩაითვალა ე.წ. „ვიეტნამის სინდრომი", რისი გამოვლინებაც იყო იგივე ზემოხსენებული თვითმკვლელობის ფაქტები და ლოზუნგი „არავითარი ვიეტნამი!". გახშირდა მოთხოვნები, რომ საერთოდ უარყოფილიყო ომი, როგორც საგარეო-პოლიტიკური კრიზისების გადაჭრის საშუალება და ა.შ.

დეტალების მოყვარულმა სამხედრო ექსპერტებმა ისიც დაადგინეს, რომ ომის წლებში ამერიკის არმია საშუალოდ ერთ ვერტმფრენს კარგავდა 18 ათას საბრძოლო გაფრენაზე, რაც საფრენი აპარატებისათვის უნიკალური ფაქტი იყო ინტენსიური საბრძოლო მოქმედებების პირობებში.

სერიოზული შედეგები იქონია ვიეტნამის ომმა საერთაშორისო მოვლენების შემდგომ განვითარებაზეც: მოსკოვში გადაწყვიტეს, რომ შეუქცევადათ შეიცვალა მსოფლიო არენაზე ძალთა თანაფარდობა სოციალისტური ბანაკის სასარგებლოდ. ასეთი თვითდაჯერების პირდაპირი შედეგები იყო ძვირადღირებული ექსპანსიები იემენში, ანგოლაში, ეთიოპიაში და ბოლოს ავღანეთში, რასაც კატასტროფული

შედეგის მქონე ძალთა დაძაბვა მოჰყვა. რაც შეეხებოდა ამერიკას, შინაგანი ისტიტუციური რესურსის სიმტკიცემ თავისი როლი შეასრულა და ქვეყანამ მალე დაიბრუნა ლიდერის პოზიციები. 2016 წლის მაისის დასასრულს ვიეტნამში პრეზიდენტ ობამას ვიზიტის მსვლელობაში, პრაქტიკულად სრულად აღდგა ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობა. „პარადოქსულად" კანონზომიერი შედეგი ცხადჰყო ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტთან დაკავშირებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა: მიუხედავად იმ დიდი უბედურებისა, რაც ამერიკასთან ომმა მიეტანა ვიეტნამს და მიუხედავად იმ დიდი სამხედრო დახმარებისა, რაც ჩინეთმა გაუწია ამერიკულებთან მებრძოლ ვიეტნამელებს, გამოკითხულ ვიეტნამელთა 76 პროცენტია ჩინეთისადმი უარყოფითად განწყობილი და მხოლოდ 19 პროცენტი - ამერიკის მიმართ. საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტები ამერიკა-ვიეტნამის ანტიჩინურ სავარაუდო კავშირზეც კი ალაპარაკდნენ. მართლაც, რომ შეუცნობადია გზები უფლისა.

ორივე დაპირისპირებული ზესახელმწიფოსათვის ერთნაირად აღმოჩნდა რთული პრობლემებით დატვირთული XX საუკუნის 60-იანი წლებში, რამაც თავისი კორექტივები შეიტანა „ცივი ომის" გენეზისში.

თუ ვაშინგტონი თავისი საზღვრებიდან ათი ათასი კილომეტრის იქით ებრძოდა ვიეტნამელ კომუნისტებს, მოსკოვი ყურის ძირში, „სოციალისტურ ხომალდზე" ბუნტის ნეიტრალიზებით იყო დაკავებული. „კაგებე"-სათვის არადამახასიათებელი, მაგრამ მაინც ფაქტი იყო, რომ კაცობრიობის ისტორიაში პირველი და უდიდესი კომუნისტური იმპერიის ფხიზელი თვალისა და სმენისათვის, ციმბირის ტაიგაში ფოთლების შრიალიც რომ არ გამოეპარებოდა, შეუმჩნეველი აღმოჩნდა ჩეხოსლოვაკიაში წლების მანძილზე „წყნარად" მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესი. შეიძლება უკანასკნელი იმიტომაც დარჩა არა მხოლოდ „კაგებე"-ს, არამედ დასავლეთის დამკვირვებლებსა და ანალიტიკოსების ყურადღებას მიღმა, რომ მოსახლეობის შედარებითი კეთილდღეობა და ღრმად ფესვგადგმული დემოკრატიული ტრადიციები, მაღალი პოლიტიკური კულტურით, ნაკლებად

თვალში საცემს ხდიდა საზოგადოების პოლიტიკურ ანატომიაში ხმაურიანი სკანდალებისა და რადიკალური ექსცესების გარეშე მიმდინარე ძვრებს. მოსკოვში მცდარად შეაფასეს ჩეხოსლოვაკიის პარტიული ხელმძღვანელობის შიგნით 1967 წლის დამლევს წამოწყებული პოლიტიკური კონფლიქტი და სერიოზული „საქმის გარჩევის“ გარეშე დათანხმდნენ ქვეყნის კომუნისტური პარტიის ცკ-ს პრეზიდიუმის პირველი მდივნის ანტონინ ნოვოტნის გადაყენებას და მის ადგილზე ალექსანდრე დუბჩეკის დანიშვნას. მოსკოველ „ამხანაგებს“ სავსებით აკმაყოფილებდად დუბჩეკის ანკეტური მონაცემები. რუსულად გამართულად მოლაპარაკე „ცეკა კაპეესეს“-ის უმაღლესი პარტიული სკოლის კურსდამთავრებული კომუნისტი. იმ ფაქტით, რომ წლების მანძილზე სწორედ დუბჩეკი იყო რეფორმისტულ პოზიციებზე მდგომ ჩეხ კომუნისტთა ლიდერი, კრემლ'ში რატომღაც არავინ დაინტერესებულა. გამორიცხული არ არის, რომ ლეონიდ ბრეჟნევის პიროვნულმა თვისებებმაც შეასრულა გარკვეული როლი: კომფორტულად მშვიდი და უკონფლიქტო ცხოვრების მოყვარულ („თვითონაც ცხოვრობდა და სხვასაც აცხოვრებდა“) ახალ ლიდერს არც სტალინის სისხლიანი ანგარიშსწორებები იტაცებდა და არც ხრუშჩოვის ხმაურიანი კონფლიქტური საქმიანობის სტილი. ასე თუ ისე, ნებისმიერ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობა, ჩეხოსლოვაკიის მოვლენების („პრაღის გაზაფხულის“) საწყის ეტაპზე, „ქირურგიული ჩარევის“ საჭიროებას ვერ ხედავდა. პრაღაში კი პოლიტიკური კრიზისი ძლიერდებოდა: ჯერ იყო და ქვეყიდან გაიქცა და ვაშინგტონში პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა გენერალმა იან ჩეინიმ. შემდეგ დედაქალაქი ნოვოტნის მომხრეთა მხრიდან სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაზე ჭორებმა მოიცვა. მეორე მხრივ კი ცენზურის შესუსტებამ და სიტყვის თავისუფლების ახალმა შესაძლებლობებმა საზოგადოების პოლიტიკურად გააქტიურებას შეუწყო ხელი, რამაც პარტიის რეფორმისტი ლიდერის პოზიციები გააძლიერა. რეფორმებს საბოლოო მიზნად კი „ადამიანის სახიანი“ სოციალიზმი გამოცხადდა. 1968 წლის აპრილში მიღებულ „მოქმედების პროგრამას“ კი საფუძვლად „თავისუფლების

დიადი ქარტია“ დაედო. ჩეხოსლოვაკიაში მთლიანად გაუქმდა ცენზურა და პოლიტიკური კლუბების შექმნა ნებადართული გახდა. საგარეო პოლიტიკის სფეროში დეკლარირებული იყო დამოუკიდებელი კურსის გაძლიერება, მაგრამ ის საბჭოთა კავშირს და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას არ უნდა დაპირისპირებოდა.

1968 წლის აპრილ-მაისში, როდესაც „პრაღის გაზაფხულის“ პოლიტიკურმა ნოვაციებმა კულმინაციას მიაღწია, უკვე მოსკოვიც გამოფხიზლდა. კრემლს აღარ შეეძლო დაუინტერესებული მაყურებლის როლში დარჩენა აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ საკვანძო მნიშვნელობის ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში. საბოლოო ჯამში ბრეჟნევიც კი მიხვდა, რომ ჩეხოსლოვაკიის „ადამიანური სახე“ საბჭოური სოციალიზმის სახის გამომეტყველებაზე ბადებდა კვიმატ კითხვებს. „თავისუფლების დიადი ქარტია“ კი შიდაპარტიული დემოკრატიის ახალ სტანდარტებს, სახელმწიფო აპარატის მეტ ავტონომიას, პარლამენტისა და სხვა პოლიტიკური პარტიების მეტ უფლებებს, სამოქალაქო უფლებების აღდგენას და ეკონომიკის სფეროში ძირეული ხასიათის რეფორმებს გულისხმობდა.

დამატებითი პრობლემა იყო მეზობელი სოციალისტური ქვეყნების ორთოდოქსი ლიდერების პანიკური შიში შესაძლო „ჯაჭვურ რეაქციაზე“. მათ მეხსიერებაში ხომ ჯერ არ წაშლილიყო გდრ-ის 1953 წლის და უნგრეთის 1956 წლის აჯანყებებით გამოწვეული შოკი. ალექსანდრე დუბჩეკის „ექსპერიმენტის“ შეურიგებელ მტრებად იქცნენ ვალტერ ულბრიხტი (აღმოსავლეთ გერმანია), ბოლესლავ გომულკა (პოლონეთი) და ტოდორ ჟივკოვი (ბულგარეთი). შედარებით თავშეკავებული პოზიცია ეკავა იანოშ კადარს (უნგრეთი).

უნგრეთის 1956 წლის აჯანყების შედეგებნაწვნევ კრემლს კარგა ხანს უჭირდა საკუთარი მტკიცე პოზიციის ჩამოყალიბება. უმაღლეს ხელისუფლებაში ვერ გადაეწყვიტათ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო რეაგირება: ფესვებიანად ამოეთხარათ თუ მხოლოდ შეეზღუდათ „პრაღის გაზაფხული“? რა მეთოდებით უნდა ემოქმედათ? მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური ბერკეტები უნდა გამოეყენებინათ თუ ჯარი უნდა შეეყვანათ?

რასაკვირველია, კრემლში არავინ არ თანაუგრძნობდა დუბჩეკის რეფორმებს, მაგრამ კარგა ხნის მანძილზე ეძებდნენ სამხედრო ჩარევის ალტერნატიულ ვარიანტებს. 1968 წლის მარტიდან მოყოლებული საბჭოთა ხელმძღვანელობა ინტენსიურად ცდილობდა პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლით აეძულებინა დუბჩეკი შეეჩერებინა რეფორმები, მაგრამ უშედეგოდ. ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელობამ ასევე კატეგორიულად უარყო მოსკოვის მოთხოვნა ქვეყნის ტერიტორიაზე საბჭოთა სამხედრო ნაწილების განთავსებაზე. მოსკოვისათვის სასურველი შედეგი არ მოჰყვა ჩეხოსლოვაკიის საზღვართან საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ გერმანიისა და პოლონეთის ჯარების მონაწილეობით ჩატარებულ „გამაფრთხილებელ“ სამხედრო წვრთნებს.

პრაღის წინააღმდეგ გამოყენებული იყო ეკონომიკური სანქციებიც – 1968 წლის აპრილში ჩეხოსლოვაკიას შეუწყდა ხორბლის მიწოდება, მაგრამ რადგანაც არ ასეთმა ნაბიჯმა არ მოიტანა სასურველი შედეგი, საბოლოო ჯამში მიღებული იქნა სამხედრო ინტერვენციის გეგმა. 28 ივლისს ქალაქ ბრნოში ჩავიდნენ სამოქალაქო ავიაციის ფორმაში გადაცმული სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის საბჭოთა მფრინავები. მათ ოპერატიულად დაზვერეს მათთვის საინტერესო ობიექტები და მშვიდობიანად დაბრუნდნენ მოსკოვში. 29 ივლისის ღამით კი, საბჭოთა არმიის სპეციალურმა შენაერთებმა, წვრთნების საბაბით, მოულოდნელად დატოვეს ყაზარმები და ე.წ. „ლოდინის წერტილში“ იწყეს თავმოყრა, სადაც მართლაც დაიწყო სამხედრო სწავლებები, რომლის პროცესში საბჭოთა სამხედრო შენაერთები ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე შევიდნენ. სულ ჩეხოსლოვაკიაში მოკავშირეთა (საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, გდრ-ის, უნგრეთის) 16 ათასი სამხედრო ღებულობდა წვრთნებში მონაწილეობას. როდესაც წვრთნები ასე თუ ისე დასრულდა, შედეგების განხილვას ჩეხესლოვაკიის უმაღლესი ხელმძღვანელობაც ესწრებოდა. საბჭოთა მარშალმა ივან იაკუბოვსკიმ უარყოფითად შეაფასა ჩეხოსლოვაკიის არმიის სამხედრო მომზადების დონე და წვრთნების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელება მოითხოვა. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა კატეგო-

რიული პროტესტის შედეგად წვრთნები მაინც გამოცხადდა დამთავრებულად და დაიწყო ჯარების გაყვანის პროცესი. რამდენიმე დღეში კი ჩეხოსლოვაკიის საზღვრების სიახლოვეს ახალი ფართომასშტაბიანი სამხედრო მანევრები დაიწყო. ეჭვს არ იწვევდა, რომ ასეთი მასშტაბის სამხედრო ღონისძიებების მიზანი პრაღაზე პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო. ზეწოლასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ უამისობას არც კრემლი განიცდიდა საკუთარი სამხედროების მხრიდან, რომელნიც ამ ძვირადღირებული, პოლიტიკური დატვირთვის მქონე წვრთნების (ჩეხოსლოვაკიის საზღვრებთან) შეწყვეტასა და ჩესოსლოვაკიაში შეჭრის ბრძანებას თხოულობდნენ.

საბოლოო გადაწყვეტილება ინტერვენციაზე 1968 წლის 16 აგვისტოს მიიღეს მოსკოვში, პოლიტბიუროს გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც 18 აგვისტოს მოწონებული იქნა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიერ. გადაწყვეტილების მიღებისას მოკავშირეებმა ისიც გაითვალისწინეს, რომ 9 სექტემბრისთვის პრაღაში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მორიგი ყრილობა იყო დანიშნული, სადაც, დიდი ალბათობით, რეფორმატორები გაიმარჯვებდნენ.

ფორმალურად სუვერენულ სახელმწიფოში სამხედრო შეჭრის საბაბად კი, საბჭოთა საუკეთესო ტრადიციების მიხედვით, თავად ჩეხოსლოვაკიის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა ჯგუფის თხოვნა გამოიყენეს ინტერნაციონალური დახმარების გაწევის თაობაზე.

შეჭრის წინა დღით საბჭოთა მარშალმა ანდრეი გრეჩკომ თავის ჩეხოსლოვაკელ კოლეგა მარტინ დზურას აცნობა დაგეგმილი აქციის შესახებ და სასტიკად გააფრთხილა წინააღმდეგობის გაწევის ცდასთან დაკავშირებით. 21 აგვისტოს გდრ-ის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ტერიტორიიდან 18 სასაზღვრო რაიონში დაიწყო ჯარების შეყვანა. პრაღაში, ღამის 2 საათზე, „რუზინეს" აეროდრომის დისპეტჩერს დაზიანების საბაბით ავარიული დაჯდომის უფლება სთხოვა საბჭოთა სამოქალაქო თვითმფრინავმა. ნებართვის მიღებისა და თვითმფრინავის დაჯდომისთანავე იქიდან ელვის სისწრაფით გადმომხტარმა მედესანტეებმა ოპერატიულად დაიკავეს

სადისპეჩერო კოშკი და უზრუნველყვეს სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების დაშვება.

შეჭრის თაობაზე ინფორმაციის მიღებისთანავე ალექსანდრე დუბჩეკთან პარტიის პრეზიდიუმი შეიკრიბა. ხმათა უმრავლესობით მიღებული განცხადება გმობდა სამხედრო ინტერვენციას. მოსახლეობისადმი რადიომიმართვაში დუბჩეკმა ხალხს სიმშვიდის შენარჩუნებისა და უნგრეთის აჯანყების მსგავსი სისხლისღვრისაგან თავის შეკავებისაკენ მოუწოდა.

დილით ცკ-ს შენობა უკვე საბჭოთა ჯარების ალყაში იმყოფებოდა. დღის ბოლოსათვის პრაქტიკულად მთელი ჩეხოსლოვაკია იყო ოკუპირებული, ხოლო დუბჩეკი და სხვა ლიდერები მოსკოვში იყვნენ გადაყვანილნი. ანტირეფორმისტულად განწყობილმა „ჯანსაღმა ძალებმა“, საბჭოთა საელჩოს რომ შეაფარეს თავი შეჭრისთანავე, ვერ გაამართლეს მოსკოვის იმედები და კატეგორიული უარი თქვეს



„სოციალისტური ღირებულების ერთგული“ მთავრობა შეექმნათ. საქმე ის იყო, რომ პრაღის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მოასწრეს და მთელ ჩეხოსლოვაკიას (მსოფლიოსაც) აცნობეს მათი ღალატის ფაქტი.

ქვეყნის პრეზიდენტისა და ცენტრალური რადიოს მოწოდებით, მოსახლეობა ოკუპანტებს შეიარაღებულ წინააღმდეგობას არ უწევდა, მაგრამ საყოველთაო ხასიათი მიიღო პასიურმა წინააღმდეგობამ – ჩეხები და სლოვაკები ყველგან ცვლიდნენ გზების მანიშნებელ ნიშნებს, რითაც საგრძნობლად ურთულებდნენ გადაადგილებებს სამხედრო კოლონებს. მაღაზიებიდან უცებ გაქრა გეოგრაფიული რუკები, რუს მეთაურებს კი მხოლოდ მოძველებული, მეორე მსოფლიო ომის დროინდელი რუკები აღმოაჩნდათ. მასობრივი ხასიათის სამ-

ხედრო წინააღმდეგობის არარსებობის მიუხედავად, მსხვერპლი მაინც იყო: უახლესი მონაცემებით, შეჭრის მომენტში ჩეხოსლოვაკიის 108 მოქალაქე იქნა მოკლული და 500-ზე მეტი კი დაჭრილი. შეჭრის პირველსავე დღეს მოკლეს 58 ადამიანი, აქედან 7 ქალი და ერთი 8 წლის ბავშვი. საოკუპაციო არმიამ სულ 12 მოკლული დაკარგა. დაიჭრა 25 სამხედრო. პროტესტის ნიშნად პრაღაში, ერთთვიანი ინტერვალით თავი დაიწვეს სტუდენტებმა – იან პალახმა და იან ზაიცმა.

მოსკოვში კი 24-27 აგვისტოს ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა ხელმძღვანელების მოლაპარაკებები დრამატულ ფორმებში მიმდინარეობდა. საბჭოთა ხელმძღვანელებს სურდათ დოკუმენტურად გაფორმებულიყო ინტერვენცია როგორც ჩეხოსლოვაკიის მხრიდან ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევით გამოწვეული იძულებითი ღონისძიება. დუბჩეკსა და მის თანამოაზრე რეფორმატორებს წერილობით უნდა ეღიარებინათ, რომ მათ ვერ შესძლეს წინააღმდეგობა გაეწიათ „კონტრევოლუციური ძალებისათვის“ და ამიტომ გახდა აუცილებელი მოკავშირეების „ძმური დახმარება“, რითაც „სახელმწიფო გადატრიალება იქნა თავიდან აცილებული“. ორდღიანი ზეწოლის, შანტაჟის, ფარული და ღია მუქარის შედეგად ჩეხოსლოვაკიის ლიდერებმა (პრაქტიკულად უკვე ყოფილმა ლიდერებმა) დოკუმენტს ხელი მოაწერეს. მალე ჩეხოსლოვაკიის უმეტესი ნაწილიდან საოკუპაციო ჯარები გაიყვანეს. პრაღაში კი საბჭოთა კავშირის 130 ათასიანი არმია 1991 წლამდე დარჩა.

ინტერვენციის (კოდური სახელწოდება „დუნაი“) შედეგად ჩეხოსლოვაკია დარჩა აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური ბლოკის წევრი, მაგრამ ბლოკი დატოვა ალბანეთმა. იუგოსლავიამ, რუმინეთმა და ჩინეთმა სამხედრო ოპერაცია ოფიციალურად დაგმეს (ალბანეთთან ერთად, ცხადია). „პრაღის გაზაფხულზე“ განხორციელებულმა შეიარაღებულმა ძალადობამ დასავლეთის პროსაბჭოურად განწყობილი მემარცხენე წრეების იმედგაცრუება და „ევროკომუნიზმის“ იდეების გაძლიერება გამოიწვია. უამრავი მხარდამჭერი დააკლდა ევროპის კომუნისტურ პარტიებს, ვინაიდან პრაქტიკულად გაცხადდა, რომ შეუძლებელი იყო საბჭოთა სოციალიზმისათვის „ადამიანური სახის“

მიცემა. რაც ყველაზე სავალალო უნდა ყოფილიყო კრემლისათვის, კიდევ უფრო გაძლიერდა ამერიკის გავლენა ევროპაში. საბჭოთა კავშირის 1968 წლის იმპერიულმა „გამარჯვებამ“ მთელ სოციალისტურ სისტემაში და პირველ რიგში თავად საბჭოთა კავშირში, ჟანგბადი გადაუკეტა ნებისმიერ რეფორმებს, გაამყარა საბჭოთა საბარეო პოლიტიკის დამპყრობლური იერ-სახე და ხელი შეუწყო სისტემის საბოლოო დეგრადაციას და კრახის პროცესს.

1968 წლის 26 სექტემბერს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრის, სერგეი კოვალიოვის სტატია სათაურით „სუვერენიტეტი და სოციალისტური ქვეყნების ინტერნაციონალური მოვალეობა“. მოსაწყენ სათაურიან მოსაწყენ ტექსტს უდიდესი საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა. გარე სამყარომ ის აღიქვა როგორც ჩეხოსლოვაკის წინააღმდეგ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის აგრესიის იდეოლოგიური დასაბუთება. დასკვნა მარტივი იყო: სუსტ მოკავშირეზე მოსკოვის ძალადობა ნაკარნახევი იყო სოციალიზმის დაცვის აუცილებლობით. საბჭოთა კავშირმა გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა და რასაც მომავალშიც გაიმეორებდა, თუკი ამის აუცილებლობას დაინახავდა. ამიტომაც ითვლება 1968 წლის 26 სექტემბერი ე.წ. „ბრეჟნევის დოქტრინის“ გაცხადების დღედ. ეს იყო საგარეო პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც აკანონებდა საბჭოთა კავშირის უფლებას ჩარეულიყო ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ნებისმიერი ქვეყნის საშინაო საქმეებში.

თვითონ ტერმინი „ბრეჟნევის დოქტრინა“ ანალიტიკური ლიტერატურის მიმოქცევაში ამერიკულმა „სოვეტოლოგებმა“ შემოიტანეს და ოფიციალურად მან მთელი 21 წელი იარსება. როგორც 1989 წლის დეკემბერში მიხეილ გორბაჩოვმა მალტაზე პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ-უფროსთან შეხვედრისას განაცხადა, საბჭოთა კავშირი უარს ამბობდა სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევაზე.

1968 წლის გაზაფხული და ზაფხული მოსკოვისათვის მხოლოდ „პრაღის გაზაფხულით“ არ შემოფარგლულა, ამ დროისათვის საგრძნობლად იყო შერყეული პოლონეთში ბოლესლავ გომულკას ავტორიტეტი და კრემლის თვალში საიმედო მოკავშირის რეპუტაციის

გამტკიცების მიზნით, მან „ქანჩების მოჭერის“ კურსზე ჭკვიანური სხვა ვერაფერი ვერ მოიფიქრა. საბაბის ძებნა კი პრაქტიკულად არც დასჭირებია – 1968 წლის იანვარიდან ვარშავის სცენაზე ანშლანგით იდგმებოდა პოლონელი კლასიკოსის ადამ მიცკევიჩის პიესა „დზიადი“, რომელიც, ისევე როგორც მთლიანად პოლონური კლასიკა, რუსეთის იმპერიის მწვავე კრიტიკას განასახიერებდა. გომულკამ ცარიზმის საწინააღმდეგო პიესა რუსოფობიის აქტად გამოაცხადა და აკრძალა, რასაც მიცკევიჩის ყველა ისტორიული ნაწარმოებების მთავარი თაყვანისმცემლების – სტუდენტების მწვავე რეაქცია მოჰყვა. სპექტაკლის აკრძალვა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა დაგმო პოლონეთის მწერალთა კავშირმაც. 4 მარტს ვარშავის უნივერსიტეტიდან გააძევეს ცნობილი დისიდენტები ადამ მიხნიკი და ჰენრიკ სელეჯფერი, რამაც კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. 8 მარტს სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული პოლიციელები სასტიკად გაუსწორდნენ მომიტინგე სტუდენტებს, ხოლო მეორე დღეს იგივე უკვე ვარშავის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში გამეორდა. დააპატიმრეს მიხნიკი და სხვა დისიდენტები. მთელი მარტი და აპრილი გრძელდებოდა სტუდენტთა და მათი მხარდამჭერი ახალგაზრდა მუშების საპროტესტო აქციები და თანმხლები რეპრესიები. ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამოაქვეყნეს სტუდენტური მოძრაობის დეკლარაცია, სადაც ჩამოყალიბებული იყო პოლონეთისათვის აუცილებელი სისტემური რეფორმების პროექტი. ხელისუფლებამ კონტრაქციით უპასუხა – ჯარში გაიწვიეს სტუდენტური საპროტესტო მოძრაობის ათეულობით აქტივისტი და და ლიდერი. სამი ათასი სტუდენტი იქნა დაპატიმრებული მხოლოდ 7 მარტიდან 8 აპრილამდე. გომულკას ხელისუფლება სიონისტურ პროვოკაციებს აბრალებდა ქვეყანაში შექმნილ კრიზისს, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრი მეჩისლავ მოჩარი საჯაროდ აცხადებდა „ისრაელის სიონიზმის მეხუთე კოლონად“ პოლონელ ებრაელებს. 1968 წლის 11 აპრილს პრემიერ-მინისტრმა იოზეფ ცირანკევიჩმა შემდეგნაირად განმარტა მთავრობის პოლიტიკა: „შეუძლებელია ერთდროული ლოიალურობა სოციალისტური პოლონეთისა და იმპერიალისტური ისრაელის მიმართ...

ემიგრაციის მსურველები არანაირ წინააღმდეგობებს არ წააწყდებიან". სხვადასხვა მონაცემებით, ამ პერიოდისათვის პოლონეთში სულ 30 ათასამდე ებრაელი თუ იყო დარჩენილი. როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთ ველურ ანტისემიტიზმს მწვავე საერთაშორისო რეაქცია მოჰყვა. კმაყოფილი არც კრემლი იყო, რომლის მთავარ საზრუნავს „პრაღის გაზაფხულის" ჩახშობით გამოწვეული საერთაშორისო იზოლაციის განეიტრალება წარმოადგენდა, რასაც დამატებით სირთულეებს უქმნიდა გომულკას უდროო შიდა რეპრესიები. ამიტომ ვარშავაში ბევრისათვის არ ყოფილა მოულოდნელი პარტიის ცკ-ის XII პლენუმის გადაწყვეტილებები ანტისემიტიზმის დაგმობაზე. თანამდებობიდან გადააყენეს (ფორმალურად ვითომ დააწინაურეს) შინაგან საქმეთა მინისტრი. ჩეხოსლოვაკიის შემდეგ ახალი ხმაურიანი სკანდალები ბრეჟნევს აღარ აწყობდა და მალე გომულკაც გადააყენა, მით უმეტეს, რომ სულ უფრო და უფრო საგანგაშო ცნობები მოდიოდა ჩინეთთან მოსაზღვრე რაიონებიდან.

ჯერ კიდევ 1919 წელს, ვერსალის სამშვიდობო კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება სასაზღვრო მდინარეებზე, რომელიც ნახევარი საუკუნის შემდეგ პეკინსა და მოსკოვს შორის მწვავე კონფლიქტის საბაბად იქცა, კერძოდ, პარიზში დაადგინეს, რომ თუ სადმე, სახელმწიფოებს შორის საზღვარი მდინარეზე გადიოდა, უმჯობესი იყო (და არა აუცილებელი) სასაზღვრო ზოლი მდინარის მთავარი ფარვატერის შუაში გავლებულიყო. სანამ ჩინეთი შიდა ომებით იყო დაკავებული, პეკინში არავის ახსოვდა ვერსალის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილება, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1958 და 1962 წლებში, ჯერ ტაივანთან, შემდეგ კი ინდოეთთან (სასაზღვრო რაიონში) მოსინჯა საკუთარი სამხედრო შესაძლებლობები, პეკინმა 1964 წელს უკვე მოსკოვს წაუყენა „ტერიტორიული ანგარიში" – მხოლოდ 1858 და 1860 წლებში მეფის რუსეთთან დადებული ე.წ. „უსამართლო ხელშეკრულებით", სასაზღვრო მდინარეების ჩინეთის ნაპირზე დაფიქსირებული საზღვრებით, „გაირკვა", რომ რუსეთს, არც მეტი, არც ნაკლები, სამი მილიონი კვ/კმ. და 600 კუნძული ჰქონდა მითვისებული. 1964 წლის ნოემბერ-დეკემბერში კი ჩატარდა რამდენიმე საიდუმ-

ლო შეხვედრა მოსკოვში სასაზღვრო პრობლემების დარეგულირების მიზნით, მაგრამ მხარეებმა საერთო ენის გამოძებნა ვერ შეძლეს. 1968 წლიდან მოყოლებული, პეკინი უკვე საერთაშორისო დონეზე უყენებდა მოსკოვს ტერიტორიულ პრეტენზიებს და „სოციალისტურ იმპერიალიზმში“ სდებდა ბრალს.

როგორც კი პეკინში დარწმუნდნენ, რომ დიპლომატიის საშუალებით ჩინეთი ერთ კვადრატულ მეტრ ტერიტორიასაც ვერ დაიბრუნებდა, დაპირისპირებამ აღმავალი გზით დაიწყო განვითარება – საკუთარი პრეტენზიების სარეალიზაციოდ ჩინელებმა მდინარე უსურიზე მდებარე კუნძული დამანსკი შეარჩიეს: ჯერ ჩინელი გლეხები გადადიოდნენ საბჭოთა მესაზღვრეების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და დაკავებისას აცხადებდნენ, რომ ჩინეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, შემდეგ „ხუნვეიბინებმა“ (სტუდენტთა რაზმების წევრებმა) დაიწყეს საბჭოთა მესაზღვრეებზე ხულიგნური თავდასხმები. კულმინაციას კი კონფლიქტმა 1969 წლის მარტში მიაღწია: ორ მარტს, დილით საბჭოთა მესაზღვრეებმა შენიშნეს, რომ ჩინეთის სანაპიროდან კუნძულზე მცირერიცხოვანი შეიარაღებული რაზმი გადადიოდა. როდესაც ინციდენტის ადგილზე მისულმა საბჭოთა მესაზღვრეებმა მათ ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს, ჩინელმა სამხედროებმა ცეცხლი გახსნეს და საბჭოთა მესაზღვრეები დახოცეს. მოსკოვის მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, ჩინელებს ტყვედ არავინ არ აუყვანიათ და ყველა დაჭრილი სასტიკი წამებით გამოასალმეს სიცოცხლეს. მთავარი ბრძოლა კუნძულისათვის 15 მარტს გაიმართა, არტილერიისა და ტანკების მონაწილეობით. საბჭოთა მხარემ აქ პირველად გამოიყენა დღეს უკვე კარგად ცნობილი „გრადები“. ოფიციალური მონაცემებით, საბჭოთა მხრიდან 50 სამხედრო დაიღუპა და 70 დაიჭრა. ჩინელების დანაკარგებმა 700 სამხედრო მოსამსახურე შეადგინა (საბჭოთა ვერსიით). ამ ადგილებში მაისიდან სექტემბრამდე სამასამდე „მცირე ინტენსიურობის“ სამხედრო შეტაკებები იქნა დაფიქსირებული.

ბუნებრივი იყო, რომ ორ კომუნისტურ გიგანტს შორის საშიშ ესკალაციებს (გამოხტომებს) ვაშინგტონი ყურადღებით აკვირდებოდა.

ზედაპირზე ხომ თავბრუდამხვევად მიმზიდველი დიპლომატიური პერსპექტივა იდო – რაც უფრო სწრაფად გაღრმავდებოდა მოსკოვსა და პეკინს შორის გაჩენილი ბზარი, ორივე მხარისათვის მით უფრო აქტუალური უნდა გამხდარიყო ვაშინგტონთან ურთიერთობის კრიზისიდან გამოყვანა და, ყოველი შემთხვევისათვის, ამერიკელთა ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა. ნიქსონისათვის კი კვლვ საბჭოთა კავშირი რჩებოდა მთავარ სტრატეგიულ ოპონენტად და ამიტომ „ჩინეთის კარტი“ პრეზიდენტსა და მის დიპლომატიურ გურუს – ჰენრი კისინჯერს სწორედ მოსკოვზე ზემოქმედების უნიკალურ დიპლომატიურ ბერკეტად ესახებოდათ.

ვიეტნამის ომმა ურთულესი პრობლემების წინაშე დააყენა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ამერიკის ყველა ადმინისტრაცია. ამერიკელ პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფი ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დარეგულირებას მიიჩნევდა ვიეტნამის ომით გამოწვეული გართულებების თუნდაც ნაწილობრივი ნეიტრალიზების ერთ-ერთ საშუალებად. მათ შორის იყვნენ ცნობილი სენატორები: უ. ფულბრაიტი, კ. ენგლი, თ. გრინი და სხვები. ამავე პოზიციაზე იდგა მომავალი პრეზიდენტი ნიქსონიც, რომელმაც გაპრეზიდენტებამდე ამ საკითხზე ვრცელი სტატია გამოაქვეყნა სათაურით „აზია ვიეტნამის შემდეგ“ ავტორიტეტულ ჟურნალ „ფორინ აფერს“-ში. ჩინეთთან მიმართებაში ამერიკის მიდგომის კორექტირებაზე ამახვილებდა იგი ყურადღებას თავის წინასაარჩევნო კამპანიის პროცესშიც. უნდა ითქვას, რომ როგორც ამერიკის საზოგადოებრივი აზრი მთლიანობაში, ასევე ექსპერტ-სოვეტოლოგთა დიდი ნაწილისათვის მიუღებელი იყო „მსოფლიო კომუნისტური ბატონობაზე ფაქტიურად დაციკლულ“ ჩინეთის ხელმძღვანელობასთან დიალოგის იდეა. როგორც შემდგომში იხსენებდა ჰენრი კისინჯერი, ნიქსონის პირველი ვადით პრეზიდენტობის პერიოდში, როდესაც ჯერ არ იყო გადადგმული რაიმე კონკრეტული ნაბიჯი ჩინეთის მიმართულებით, თვით იდეით შეშფოთებულმა ამერიკის ყოფილმა ელჩმა საბჭოთა კავშირში სპეციალური წერილით მიმართა ნიქსონს, სადაც ადმინისტრაციას არწმუნებდა, რომ პეკინთან ურთიერთობის სიმბო-

ლური გაუმჯობესების ცდასაც კი შეიძლება საშიში კონფრონტაცია მოჰყოლოდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში. საბჭოთა კავშირის ისეთი ავტორიტეტული მკვლევარები, როგორნიც იყვნენ ჯ. ქენანი, ჩ. ბოლენი, ლ. ტომპსონი, ფ. კოლური და მათი უამრავი თანამოაზრეები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კრემლი კი არ დაწევდა თავისი საგარეო პოლიტიკის კონფრონტაციულ გრადუსს, არამედ კიდევ უფრო დაბაბავდა ვაშინგტონთან ურთიერთობას. მიუხედავად იმისა, რომ ნიქსონს და საგარეო პოლიტიკის სფეროში მის მთავარ გავლენიან მრჩეველს კისინჯერს (სახელმწიფო მდივანი როჯერსი ფაქტიურად უკვე მიღებული გადაწყვეტილებების გამხმოვანებელი იყო) მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი პეკინთან მისასვლელი დიპლომატიური ბილიკების ძებნა, მაინც იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ საზოგადოებრივი აზრისთვის, რომელსაც მთელი ოცი წელი ჩასჩიჩინებდნენ, რომ კომუნისტური ჩინეთი ამერიკელების საშიში და შეურიგებელი მტერი იყო. ასე, რომ ამერიკის ახალ პრეზიდენტსა და მის ადმინისტრაციას გარანტირებული ჰქონდათ ქვეყნის პოლიტიკური ისტებლიშმენტის სერიოზული ნაწილის გაღიზიანება (როგორც მინიმუმი). და მაინც, 1969 წლის ინაუგურაციაზე, ნიქსონი ოფიციალურად გამოვიდა გაბედული ინიციატივით – 1963 წელს შეწყვეტილი ვარშავის ფორმატის განახლების იდეით (იგულისხმებოდა ვარშავაში, ამერიკისა და ჩინეთის ელჩების არაოფიციალური კონტაქტები). თავის საინაგურაციო სიტყვაში კი ახალმა პრეზიდენტმა, როდესაც ის ჩინეთთან ურთიერთობის საკითხს შეეხო, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსოფლიოში არც ერთი ხალხი არ უნდა ცხოვრობდეს „გაბოროტებული იზოლაციონიზმის“ პირობებშიო. შემთხვევითი არ იყო, რომ მისთვის ასეთი მნიშვნელობის მქონე ჩინეთის მიმართულება პრეზიდენტმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველს ჰენრი კისინჯერს მიანდო. ჰარვარდის უნივერსიტეტის დოცენტი კისინჯერი ამ დროისათვის უკვე ცნობილი ექსპერტი იყო. მანამდე იგი მუშაობდა საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოში, სადაც ჰარვარდის უნივერსიტეტის თავდაცვითი კვლევების ცენტრს ხელმძღვანელობდა, იყო ნიუ-იორკის გუბერნატორის, მილიარდერ ნელ-

სონ როკფელერის კონსულტანტი და ბირთვული იარაღის სფეროს აღიარებული მკვლევარი. რიჩარდ ნიქსონთან მას რეკომენდაცია ამერიკის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა პოლიტიკოსმა, ჰენრი კებოტ-ლოჯმა გაუწია.

1969 წლის თებერვალში კისინჯერი უკვე კონკრეტულ დავალებას ღებულობს პრეზიდენტისაგან - ჩინეთთან ურთიერთობის აღდგენის ღონისძიებათა შემუშავებას. მალე ეროვნულ უსაფრთხოების საბჭოს მზად ჰქონდა ჩინეთის ხელმძღვანელობასთან მკაცრად გასაიდუმლოებული კონტაქტების სქემა და ასევე პროპაგანდისტულ ღონისძიებათა პროგრამა, რასაც ფრთხილი დიპლომატიური სიგნალების („მესიჯების“) როლი უნდა შეესრულებინა. პეკინი უნდა დარწმუნებულიყო ამერიკელების სერიოზულ განზრახვაში ჩინეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების ჭრილში.

პეკინისათვის მნიშვნელოვან ფაქტად იქცა 1969 წლის 20-21 მარტს ნიუ-იორკში ჩატარებული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის მასალებიც ოპერატიულად გამოიცა ცალკე კრებულად სათაურით „აშშ და ჩინეთი. მომავალი ათწლეული“. პეკინს უკვე შეეძლო დეტალურად განეხილა ამერიკის საექსპერტო წრეების თვალსაზრისი ორი ქვეყნის ურთიერთობების პერსპექტივაზე. მაო ძედუნის გარემოცვისათვის არც ის უნდა ყოფილიყო საიდუმლო, რომ კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობას თეთრ სახლთან ახლოს მდგომი ექსპერტები წარმოადგენდნენ. ცხადი იყო, რომ ამერიკის პოლიტიკურ-აკადემიური წრეების გავლენიანი წარმომადგენლები მხარს უჭერდნენ ჩინეთთან მიმართებაში ამერიკის ოფიციალური კურსის გადასინჯვას.

მეორე მხრივ, ისევე როგორც საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა გაუმჯობესების გზაზე გადაულახავ ბარიერადაა ქცეული აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი (სამაჩაბლო), ასევე პეკინისათვის წარმოუდგენელი იყო რაიმე კომპრომისი ტაივანისა და გაეროში ადგილის საკითხში. როგორც ჩანს, ნიქსონის ადრინდელმა განცხადებებმა, მისმა პუბლიკაციებმა, გაპრეზიდენტების შემდეგ გაკეთებულმა ახალმა საჯარო განცხადებებმა და იგივე კონფერენციამ პეკინში

ყალბი მოლოდინი დაბადა. ვაშინგტონში კი ადმინისტრაცია კვლავ იძულებული იყო ფრთხილად ემოქმედა და ზედმეტი აქტიურობით კონგრესიც არ აემხედრებინა თავის წინააღმდეგ. განსაკუთრებულ სირთულეებს უქმნიდა ნიქსონს ე.წ. „ტაივანის ლობი“, რომლის ჩამოყალიბება და გავლენიან პოლიტიკურ ძალად ქცევა, განსვენებულ სახელმწიფო მდივან ჯონ ფოსტერ დალესის სახელთან იყო დაკავშირებული. მაო კი უკანასკნელ წუთებამდე (სანამ რეალობად არ ექცა საბჭოთა კავშირის თავდასხმის საფრთხე). არარეალურად ბჟირად აფასებდა „ამერიკელ იმპერიალისტებთან“ დალაპარაკებაზეც კი თანხმობას და როგორც კი ვაშინგტონის კომპრომისული დათმობების წინადადებებმა დაიგვიანა, გაათმაგებული რისხვით შეუტია ნიქსონსა და მის ადმინისტრაციას. პეკინისათვის კატეგორიულად იყო მიუღებელი 1969 წლის აპრილში სახელმწიფო მდივან როჯერსის (ცხადია, ნიქსონთან შეთანხმებული) შეთავაზება „ორი ჩინეთის“ თაობაზე. ამ ყველაფერს ფაქტიურად უკვე აღარ გააჩნდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინაიდან 1969 წლის გაზაფხულ-ზაფხულის სხვა, უფრო მნიშვნელოვანმა მოვლენებმა პრაქტიკულად განსაზღვრა ჩინეთ-ამერიკის შემდგომი ურთიერთობების დინამიკა და მოსკოვი სერიოზულ კომპრომისებზე აიძულა. არსი კი შემდეგში იყო: თუმცა მარტში წარმატებით შეძლო საბჭოთა არმიამ ჩინეთის შეჩერება შორეულ აღმოსავლეთში, მაგრამ მოსკოვში მიიჩნევდნენ, რომ რამდენიმე წელიწადში, გაცილებით გაძლიერებული ჩინეთი კვლავ შეეცდებოდა ძალით დაებრუნებინა მისი ისტორიული ტერიტორიები, რასაც გარანტირებულად მოჰყვებოდა უკვე დიდი ომი. გარდა ამისა, მტრულად განწყობილი იმანენტურად აგრესიული სახელმწიფო მილიარდიანი მოსახლეობით, რომელიც შენს აუთვისებელ ტერიტორიებს ესაზღვრება, გრძელვადიან კოშმარად ესახებოდათ კრემლის სტრატეგებს. ერთი სიტყვით, შექმნილი ვითარების ანალიზს ერთ დასკვნამდე მიჰყავდა საბჭოთა ხელმძღვანელობა: აზრს მოკლებული არ უნდა ყოფილიყო პრევენციული დარტყმა ჩინეთზე, სანამ ქვეყანა „კულტურული რევოლუციის“ კრუნჩხვებში იტანჯებოდა, მაოს მთავარ დასაყრდენს კი „ხუნვეიბინები“ წარმოადგენდნენ. გაურკვეველი იყო

მხოლოდ ვაშინგტონის რეაგირება. შეინარჩუნებდა ნიქსონის ადმინისტრაცია სავარაუდო ნეიტრალიტეტს მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი აქტიურად ეხმარებოდა მის მტრებს ვიეტნამში?

ვაშინგტონის პოზიციის გარკვევის მიზნით, საბჭოთა დიპლომატიური სამსახური ამერიკის შეერთებულ შტატებში ზომაგადასულად გააქტიურდა. ჯამში კი, როგორც კისინჯერი წერს, „მოუქნელმა საბჭოთა პოლიტიკამ, არც პირველად და არც უკანასკნელად, ის დააჩქარა, რისიც ყველაზე ძალიან ეშინოდა კრემლს“. საქმე კი ის იყო, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გაკვირვება გამოიწვია საბჭოთა დიპლომატების უჩვეულო და უპრეცედენტო „გულახდილობამ“: საბჭოთა საელჩო სისტემატურად აწვდიდა ამერიკელებს ოპერატიულ კონფიდენციალურ ცნობებს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარზე შექმნილ სიტუაციაზე და გახშირებულ ინციდენტებზე. თავდაპირველად ამერიკელებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ შეიარაღებული პროვოკაციების ინიციატორები ფანატიკოსი „ხუნვეიბინები“ იყვნენ, მაგრამ სწორედ ნაჯახისებურმა საბჭოურმა დიპლომატიამ დააეჭვა ბოლოს და ბოლოს ამერიკელები – რუსმა დიპლომატებმა სასაზღვრო შეტაკებებზე ცნობების მიწოდებასთან ერთად დაიწყეს მოურიდებელი შეკითხვების დასმაც – როგორ მოიქცეოდა ამერიკა თუ კრიტიკულ ზღვარს მიაღწევდა შეტაკებების ესკალაცია? გასაოცარია, როგორ არ იფიქრეს სმოლენსკის მოედანზე (სსრკ-ს და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ადგილსამყოფელი), რომ სერიოზული ეჭვების საბაბად შეიძლება ქცეულიყო საბჭოთა საელჩოს ფანტასტიკური მზადყოფნა ამერიკის მხარესთან გულახდილ კონსულტაციებზე იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის მიმართ არანაირ ინტერესს არ ავლენდა სახელმწიფო დეპარტამენტი? საბოლოო ჯამში ასეც მოხდა: ამერიკის დაზვერვას არ გასჭირვებია იმის დადგენა, რომ შეიარაღებული სასაზღვრო ინციდენტები ხდებოდა მსხვილი საბჭოთა სამხედრო ბაზების სიახლოვეს და ჩინეთის სამხედრო განლაგებებიდან დაშორებით. უკანასკნელი გარემოება კი იმაზე მეტყველებდა, რომ აგრესორი მხოლოდ საბჭოთა მხარე შეიძლება ყოფილიყო. ვაშინგტონისათვის ის ფაქტიც გახდა ცნობილი, რომ დროის მოკლე

მონაკვეთში საბჭოთა კავშირმა მშვიდობიანი პერიოდისათვის უპრეცედენტო ოდენობის შეიარაღებულ ძალებს მოუყარა თავი ჩინეთთან საზღვრის გასწვრივ (ანუ თითქმის 8 ათას კმ-ზე). ეჭვი არ იყო, რომ კრემლში მიღებული ჰქონდათ პრინციპული გადაწყვეტილება ერთხელ და სამუდამოდ გადაეჭრათ ჩინეთის პრობლემა მაო ძედუნის მთავრობის განადგურებით და მარიონეტული რეჟიმით მისი შეცვლით.

პერსპექტივა ვიეტნამის ომზე ნაკლებ დილემას არ ჰპირდებოდა ნიქსონის ადმინისტრაციას: საბჭოთა სამხედრო-ტექნიკური პოტენციალი პლიუს ჩინეთის ცოცხალი ძალის რესურსი და ორთავიანი ბირთვული ზესახელმწიფო-გველეშაპი ამერიკის წინააღმდეგ.

1969 წლის აგვისტოში ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე ნიქსონმა არაორაზროვნად ჩამოაყალიბა ამერიკის პოზიცია საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სავარაულო ომთან დაკავშირებით: ამერიკა ძირითადად ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებს, თუმცა შესაძლებლობისდაგვარად ჩინეთს დაეხმარება, ვინაიდან მისი დამარცხება მიუღებელია ამერიკის გეოპოლიტიკური და ეროვნული ინტერესებისათვის. რამდენიმე დღის შემდეგ თეთრი სახლის ოფიციალური პოზიცია, რომ ამერიკის ეროვნული ინტერესებისათვის მიუღებელი იყო ნებისმიერი ხასიათის სერიოზული გეოპოლიტიკური ძვრები და ძალთა თანაფარდობის მკვეთრი დისბალანსი, გაასაჯაროვა სახელმწიფო მდივნის მოადგილე ელიოტ რიჩარდსონმა პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის წევრების წინაშე გამოსვლისას. არცთუ მაღალი რანგის ჩინოვნიკის საჯაროდ უმისამართო განცხადებას საერთაშორისო წრეებში აჟიოტაჟი არ მოჰყოლია, თუმცა კონკრეტულმა ადრესატმა – კრემლმა სწორად გაიგო და სათანადო დასკვნებიც გამოიტანა: ჩინეთი გამანადგურებულ თავდასხმას გადაურჩა.

პეკინისათვის საბჭოთა სამხედრო საზადისიც კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი და სერიოზული საფრთხის თავიდან აცილების მიზეზიც. არც ამერიკელების მოტივაცია არ უნდა ყოფილიყო რთულად ასახსნელი გეოპოლიტიკურ რებუსებში კარგად გარკვეული მაო ძედუნისა და განსაკუთრებით კი ბრწყინვალე დიპლომატ ჯოუ

ენლაისათვის. ამიტომ სამადლობელ ჟესტებზე არც პეკინს შეუწუხებია თავი და არც ვაშინგტონი ელოდა გადარჩენილებისაგან დიპლომატიურ დივიდენდებს. ნიქსონი კი „ტაიმ-აუტებისა“ და დამშვიდების უფლებას არ აძლევდა საკუთარ თავს და დინამიურად განაგრძობდა საფუძვლიანად დაგეგმილ კურსს.

1969 წლის 25 ივლისს, მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურობის (სახელმწიფო ვიზიტებით) პროცესში ნიქსონი კუნძულ გუამზე - აზიაში ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სამხედრო ბაზის პერსონალის წინაშე სიტყვით გამოვიდა. პრეზიდენტს გამოსვლა, რომელიც „ნიქსონის დოქტრინის“ სახელითაა შესული დიპლომატიის ისტორიაში, მთელ რიგ პრინციპულ სიახლეებს შეიცავდა. კერძოდ, ნიქსონმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მომავალში ამერიკის მოკავშირეებსა და რომელიმე მესამე ქვეყნებს შორის წამოჭრილ კონფლიქტებში, ამერიკა პირდაპირ მონაწილეობას აღარ მიიღებდა და მხოლოდ ეკონომიკურ და ტექნიკურ დახმარებას აღმოუჩენდა თავის მოკავშირეებს: „.... ჩვენ იარაღი უნდა მივაწოდოთ ჩვენს მეგობრებს და აუცილებელი ეკონომიკური დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ, რათა მათ შეძლონ აგრესორს გაუმკლავდნენ, თუმცა თავად უნდა იბრძოლონ“ – ასეთი იყო პრეზიდენტის გზავნილი, რასაც ჩინელებზეც უნდა მოეხდინა სასურველი შთაბეჭდილება. იმავე დღეებში ვაშინგტონმა ამერიკის ექვსი კატეგორიის მოქალაქეებისათვის გააუქმა ჩინეთში მგზავრობაზე არსებული შეზღუდვები; კონგრესის წევრებს, ჟურნალისტებს, მასწავლებლებს, სტუდენტებსა და ასპირანტებს, ექიმებს და წითელი ჯვრის ორგანიზაციის წარმომადგენლებს უკვე თავისუფლად შეეძლოთ ჩინეთში მოგზაურობა. ამერიკაში დაბრუნებისას მათ 100 დოლარის საფასურის ჩინური წარმოების ნივთების წაღებაც შეეძლოთ.

1969 წლის დეკემბერში ამერიკაში უკვე ჩინური წარმოების საქონლის იმპორტიც გახდა ნებადართული (არაკომერციულ მიზნებში). პარალელურად, კვლავ კონფიდენციალურ რეჟიმში მიმდინარეობდა არაოფიციალური კონტაქტები ელჩების დონეზე. იმავე ხანებში კისინჯერმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამერიკა უცხო

ქვეყნების პოლიტიკას მხოლოდ მათი რეალური ქმედების საფუძველზე და არა იდეოლოგიური დოგმების მიხედვით შეაფასებსო. მომდევნო წლის თებერვალში კი კონგრესისადმი ტრადიციულ მიმართვაში ნიქსონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად ჩინეთსა და ამერიკას შორის არსებული იდეოლოგიური უთანხმოებებისა, მათ შორის ურთიერთობა მშვიდობის პირობებში და თანხმობით უნდა ვითარდებოდესო. ვარშავის შეხვედრების აქილევსის ქუსლად კი კვლავინდებურად ტაივანის პრობლემა რჩებოდა. ჩინელები ჯიუტად ცდილობდნენ ამერიკელთა მიერ შეთავაზებულ კონტაქტების დღის წესრიგს გასცდენოდნენ და განხილვის თემად ტაივანისა და გაეროს წევრობის საკითხიც ექციათ. 20 მაისისათვის დაგეგმილი კიდევ ერთი შეხვედრა მაო ძედუნმა დემონსტრაციულად გააუქმა, რადგან ნიქსონმა ვიეტნამელთა საიდუმლო ბაზებისა და „ხო შიმინის ბილიკების“ გასანადგურებლად ჯარი შეიყვანა კამბოჯაში.



მაო ძედუნი
(1893-1976)
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩინეთის კომპარტიის თავმჯდომარე 1954-1976 წლებში

წინააღმდეგობებთან შეგუება და ხელების ჩამოშვება ნიქსონისათვის უცხო იყო, ხოლო სიჯიუტე არც მას აკლდა; 1970 წელს იგი სისტემატურად ცდილობდა პეკინამდე მიეწვდინა უმაღლეს დონეზე შეხვედრის (უფრო ზუსტად კი ჩინეთში ჩასვლის) სურვილი. ამის თაობაზე მან ღიად განუცხადა ჟურნალ „თაიმ“-ის კორესპონდენტს, ხოლო 1970 წლის 20 ოქტომბერს კი რუმინეთის პრეზიდენტს ნიკოლაუ ჩაუშესკუს საპატივცემულოდ გამართულ სადილზე პირველად იხმარა ჩინეთის სრული სახელწოდება – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

1970 წლის 8 დეკემბერს ნიქსონმა თავისი მტკიცე და მიზანდასახული დიპლომატიის პირველი სერიოზული შედეგი მოიმკო: თეთრ

სახლში ჯოუ ენლაის წერილი მიიღეს, ჩინეთის პრემიერი თანახმა იყო მაღალ დონეზე კონტაქტის დრო და ადგილი შეეთანხმებინათ მხარეებს. ამავე დღეებში ჩინეთში იმყოფებოდა ამერიკელი ჟურნალისტი ედგარ სნოუ, რომელიც თვით მაო ძედუნმა მიიღო, რამაც ერთგვარი ფურორი მოახდინა მთელ მსოფლიოში. სინამდვილეში კი, იმავე ჰენრი კისინჯერის ვერსიით, სნოუ ნაკლებად იყო ცნობილი ამერიკაში და არც რაიმე სერიოზული გავლენით სარგებლობდა თავისი ღია პროკომუნისტური სიმპათიების გამო. ამიტომ მოსკოვში მცდარად შეაფასეს ამერიკელი ჟურნალისტის გავლენა და მაო ძედუნთან მის შეხვედრას დაუმსახურებლად დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს. კისინჯერისავე ვერსიით, არც პეკინში ჰქონდათ ობიექტური ინფორმაცია მემარცხენე ჟურნალისტზე.

1971 წლის 10 აპრილს პეკინში გაემგზავრა ამერიკელთა სპორტული დელეგაცია 9 მაგიდის ჩოგბურთელის, 4 ჩინოვნიკის, 2 სპონსორისა და 9 ჟურნალისტის შემადგენლობით. 1949 წლის შემდეგ ეს იყო ამერიკელთა პირველი ჯგუფი, რომელიც ოფიციალურად შეუშვეს ჩინეთში. 14 აპრილს ნიქსონმა სავიზო შეზღუდვები მოხსნა ჩინეთის მოქალაქეებზე, ხოლო უფრო ადრე კი ამერიკის სამხედრო ხომალდებმა ტაივანის სრუტის პატრულირება შეწყვიტეს

რეალური გარღვევა კი 1971 წლის 9 ივლისს მოხდა, როდესაც პეკინში საიდუმლოდ ჩავიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი. ჯოუ ენლაისთან მოლაპარაკებების პროცესში უკვე ნიქსონის ვიზიტის დეტალებზე იყო მსჯელობა. „მე ჯერ არ შევხვედროდი ისეთ თანამოსაუბრეებს, რომელნიც ასე აღიქვამდნენ დიპლომატიის ნიქსონის სტილს, როგორც ჩინელი ხელმძღვანელები. ისევე როგორც ნიქსონი, ისინიც მეორეხარისხოვნად მიიჩნევდნენ დღის წესრიგის ტრადიციულ საკითხებს. უპირველეს ყოვლისა, მათ იმის გარკვევა აინტერესებდათ, იყო თუ არა შესაძლებელი თანამშრომლობა ინტერესთა შეთანხმების ბაზაზე. აი, ამიტომაც მოგვიანებით, ნიქსონის მისამართით გამოთქმული მაოს ერთ-ერთი პირველი შენიშვნა იყო: „პატარა საკითხია ტაივანი, დიდი საკითხია მთელი მსოფლიო“ – წერდა შემდეგ კისინჯერი (156). ნიქსონის საგანგებო

ემისარზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ჩინელების მოლაპარაკების სტილმა მოხდინა, რომელიც გასაოცრად განსხვავდებოდა საბჭოთა დიპლომატების სტილისაგან. მთავარი, რისი გარანტიის მიღებაც სურდათ ჩინელებს, იყო ის, რომ ვაშინგტონი მოსკოვთან „ბრეჟნევის დოქტრინის“ ფორმატში არ ითანამშრომლებდა. ამ მხრივ ორივე მხარის მიზნები კონცეპტუალურ ხასიათს ატარებდა, რაც უცხო იყო საბჭოური დიპლომატიისათვის. რუსი დიპლომატების ინტერესი და მიზნები მუდამ კონიუნქტურული ხასიათის კონკრეტული საკითხით იყო შემოფარგლული. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი მომენტი ის იყო, რომ რუსი დიპლომატები ნაკლებ ყურადღებას ანიჭებდნენ პარტნიორების დარწმუნების მცდელობას და აქცენტი მათ არაქათის გამოცლაზე, ქანცის მოწყვეტაზე გადაჰქონდათ. დაჟინება და სიჯიუტე იყო კრემლის დიპლომატიური სტილის ორი მთავარი მზიდი კონსტრუქცია, რაც წვრილმან ვაჭრობად აქცევდა კლასიკურ დიპლომატიასა და საერთოდ, მაღალ პოლიტიკას. ჩინელებისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა დიპლომატიური დოკუმენტების ფორმულირების დეტალებს, მათ უფრო ნდობის ატმოსფეროს შექმნა აინტერესებდათ. ოცი წელი ელოდნენ ამერიკელები პეკინის პირობას, რომ იგი ძალას არ გამოიყენებდა ტაივანის წინააღმდეგ და მათთვის მოულოდნელი იყო მაოს მხრიდან „მუქთი საჩუქარი“: „ჩვენ დღეს იოლად გავდივართ ტაივანის გარეშე და მას ასი წლის შემდეგ მივუბრუნდებით“. არადა, რა პოლიტიკურ ფასს არ გადაიხდიდნენ თავის დროზე ეიზენჰაუერი და დალესი, რომ პირადად მოესმინათ ასეთი ნანატრი დაპირება კომუნისტური ჩინეთის ლიდერისაგან... კისინჯერი ჯოუ ენლაისთან მოლაპარაკების ერთ საინტერესო დეტალს იხსენებს: შანხაის ცნობილ კომუნიკეზე მუშაობის პროცესში მან ჯოუს სთხოვა ამერიკელებისათვის ერთი საწყენი წინადადების ამოღება ტექსტის ჩინური პროექტიდან, რის სანაცვლოდაც ამერიკელები უკვე ჩინელებისათვის რომელიმე არასასურველ წინადადებას ამოიღებდნენ თავიანთი პროექტიდან. დიპლომატიური „ჩეინჯის“ სანაცვლოდ კისინჯერისათვის „უცნაური“ კონტრწინადადება შესთავაზა ჯოუმ: „ჩვენ ასე წინ ვერ წავალთ. თუ თქვენ დამაჯერებთ, თუ რატომ არის


ჩვენი ფრაზა თქვენთვის საწყენი, მე მას მუქთად მოგცემთ“. ასეთი რამ წარმოუდგენელი იქნებოდა რუსებთან ურთიერთობაში.

1972 წლის თებერვალში რიჩარდ ნიქსონმა ხელი მოაწერა შანხაის კომუნიკეს, დაკუმენტს, რომელიც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების საგზაო რუკად იქცა მომავალი ათი წლის მანძილზე. ერთი შეხედვით უცნაური იყო კომუნიკეს ტექსტი: მისი ნახევარი მხარეთა შორის არსებულ წინააღმდეგობებს და გადაუჭრელ პრობლემებს ეხებოდა, მათ შორის ვიეტნამს, ტაივანს, იდეოლოგიას, საერთაშორისო ურთიერთობების ცალკეულ მომენტებს და სწორედ განსხვავებული შეხედულებებისა და მიდგომების ვრცელი ნუსხა ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას იმ სკითხებს, სადაც მიღწეული იყო აზრთა და მიდგომათა ერთობა. მათ შორის იყო იმის აღიარება, რომ ამერიკასა და ჩინეთს შორის ურთიერთობათა ნორმალიზაცია მთელი მსოფლიოს ინტერესებში შედიოდა: ორივე ქვეყანას სურდა, რომ შემცირებულიყო საერთაშორისო სამხედრო კონფლიქტის საფრთხე; არც ერთ მხარეს არ გააჩნდა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ჰეგემონიაზე პრეტენზია და თითეული მათგანი წინ აღუდგებოდა სხვა რომელიმე სახელმწიფოს ასეთ სურვილს; არც ერთი მხარე არ აპირებდა ნებისმიერი მესამე სახელმწიფოს სახელით ეწარმოებინა მოლაპარაკებები და მონაწილეობა მიეღო სხვა ქვეყნების წინააღმდეგ მიმართულ შეთანხმებებში.

დიპლომატიურიდან „ჩვეულებრივ“ ენაზე თარგმნისას გამოდიოდა, რომ ჩინეთი სიტუაციას არ ვაამწვავებდა ინდოჩინეთსა და კორეიში და არც ამერიკის შეერთებული შტატები არ დაიწყებდა საბჭოთა კავშირთან თანამშრობლობას, ორივე ქვეყანა აღუდგებოდა წინ ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მცდელობას გაბატონებულიყო აზიაში. ვინაიდან საყოველთაოდ იყო ცნობილი, თუ რომელ „ნებისმიერ სხვა ქვეყანას“ შეიძლებოდა ჰქონოდა ასეთი განზრახვა და შესაძლებლობა, ცხადი იყო, რომ ჩინეთი და ამერიკა თანხმდებოდნენ, რომ აზიაში საბჭოთა კავშირის ექსპანსია არ დაეშვათ. ამავე დროს, უპირველეს ყოვლისა, კისინჯერის დიპლომატიურ ოსტატობასა და ტალანტზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ ამერიკა ისე აუმჯობესებდა

ჩინეთთან ურთიერთობებს, რომ ცალსახად არც მოსკოვს ემიჯნებოდა. ამერიკა ისე მარჯვედ ლავირებდა ორ კომუნისტურ გიგანტს შორის, რომ იგი გაცილებით ახლო ურთიერთობაში რჩებოდა თითეულ მათგანთან, ვიდრე ისინი ერთმანეთთან ურთიერთობებში იმყოფებოდნენ. ეს უკვე დიპლომატიური „მასტერ-კლასი“ იყო.

აფასებდა რა შანხაის კომუნიკეს, ნიქსონი წერდა, რომ „კისინჯერმა და ჯოუ ენლაიმ ბრწყინვალე ფორმულა გამოიმუშავეს კომუნიკესათვის... ნაცვლად იმისა, რომ დიპლომატიური აბრა-კადაბრებით შეენიღბათ ჩვენ შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობები,



ჯოუ ენლაი და ჰენრი კისინჯერი
პეკინი,1971 წელი

თითოეულმა მხარემ საკუთარი ხედვები ჩამოაყალიბა იმ პრობლემებზე, რომელთა მიმართ განსხვებული აზრი ჰქონდათ მხარეებს“ (157).

ახლა უკვე დღის წესრიგში იდგა პრეზიდენტ ნიქსონის ვიზიტი ჩინეთში, რომლის მოსამზადებლადაც 1971 წლის 10-14 ნოემბერს, კისინჯერი პეკინს ხელმეორედ ეწვია. ჯოუ ენლაისთან მოლაპარაკებების თემა კვლავ ტაივანის, ვიეტნამის ომის, იაპონიიდან მოსალოდნელი საფრთხის და ბანგლადეშის პრობლემა იყო. კისინჯერი ჩვეული ოსტატობით ცდილობდა აეხსნა იმ საფრთხის მასშტაბები, რასაც ვიეტნამის ომის ესკალაცია, იაპონიის სამხედრო პოტენციალის აღდგენა და საბჭოთა კავშირიდან მოსალოდნელი აგრესია უქადდა

ჩინეთს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამერიკულმა დიპლომატიამ, კისინჯერის ხელმძღვანელობით, უდიდესი და ნაყოფიერი სამუშაო ჩაატარა ჩინეთში ნიქსონის ვიზიტის მოსამზადებელ პერიოდში.

1972 წლის იანვარში პეკინში ხანმოკლე ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკის არმიის ბრიგადის გენერალი და მომავალში ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჰეიგი. გენერალს მეტი დამაჯერებლობით უნდა აეხსნა ჩინელებისათვის, რომ დღის მოსკოვის აგრესიის საკითხი წესრიგიდან არ იყო მოხსნილი.

1972 წლის 21 თებერვალს დაიწყო ნიქსონის საგანგებოდ მომზადებული და მართლაც ისტორიული ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. პეკინში გაკეთებულ პირველსავე განცხადებაში ნიქსონმა კვლავ გაიმეორა, რომ ამერიკისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ქვეყნის ამერიკისადმი დამოკიდებულებას და არა ამ ქვეყნის შიდა იდეოლოგიას. ეს უკვე ღია გზავნილი იყო ამერიკის მზადყოფნაზე კარდინალურად გადაესინჯა ჩინეთთან ურთიერთობის პრინციპები. მოლაპარაკებების პროცესში სამ კატეგორიად იყო დაყოფილი. ძირითადი საკითხები: 1. მხარეთა გრძელვადიანი ინტერესები და ჰეგემონიზმის (ანუ საბჭოთა კავშირის) წინააღმდეგ თანამშრომლობა; 2. სავაჭრო ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა; 3. მოლაპარაკებების შედეგებზე დასკვნითი კომუნიკეს მომზადება.



ჯოუ ენლაი და რიჩარდ ნიქსონი
პეკინი, 1972 წელი

გარდა მაო ძედუნთან შეხვედრისა, ნიქსონსა და ჯოუ ენლაის შორის მოლაპარაკებების ექვსი რაუნდი შესდგა: კიდევ ერთხელ დაზუსტდა როგორც თანმხვედრი მომენტები, ასევე განსხვავებული

პოზიციები. ამერიკელებს შეგნებული ჰქონდათ, რომ საერთო წარმატება ბევრად იყო დამოკიდებული ტაივანის საკითხში მიღწეულ პროგრესზე და ამიტომ ნიქსონმა მაქსიმალური სიზუსტითა და კონკრეტიზმით ჩამოაყალიბა ის ხუთი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა „ერთი ჩინეთის“ კონცეფციას: 1. ამერიკა ხელს არ შეუწყობდა კუნძულის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ; 2. ხელს არ შეუწყობდა იაპონიის შეღწევას კუნძულზე; 3. ხელს შეუწყობდა პეკინსა და ტაიბეის (ტაივანის „დედაქალაქი“) უთანხმოებების მშვიდობიან დარეგულირებას; 4. გააგრძელებდა ჩინეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესს.

რაც მთავარი იყო პეკინისათვის ტაივანის საკითხთან დაკავშირებით, ამერიკამ აღიარა, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ჩინეთი, თუმცა კისინჯერმა ამჯერადაც მოახერხა გვერდი აევლო კუნძულთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეული პრობლემისათვის – კუნძულის ხელისუფლებასა და ვაშინგტონს შორის არსებულ შეთანხმებას ერთობლივ თავდაცვაზე. პეკინს სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ დაკმაყოფილებულიყო ნიქსონის დაპირებით პრეზიდენტობის მეორე ვადაში სრულად გამოეყვანა ჯარები ტაივანიდან.

მიუხედავად კომუნისტურ ჩინეთთან მიმართებაში ამერიკაში არსებული მდგრადი ნეგატიური დამოკიდებულებისა, ნიქსონმა შეძლო დიდი წარმატებით განეხორციელებინა თავისი ჩანაფიქრი. თავისი როლი შეასრულა იმ ფაქტმაც, რომ ნიქსონი მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე დამსახურებულად სარგებლობდა მტკიცე ანტიკომუნისტის რეპუტაციით და ამ მხრივ ენა არავის არ მოუბრუნდებოდა იგი კომუნისტებისადმი დათმობებში დაედანაშაულებინა. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა ნორმალიზაციით (თუმცა ვაშინგტონსა და პეკინს შორის დიპლომატიური ურთიერთობა მხოლოდ პრეზიდენტ ჯიმი კარტერის დროს აღდგა) დასრულდა ჩინეთის „ალყაში მოქცევის“ თეთრი სახლის 20-წლიანი პოლიტიკა.

1972 წლის ნოემბერის არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, რიჩარდ ნიქსონმა ჩინეთთან დაახლოების კურსი გააგრძელა.

1973 წლის თებერვალ-ნოემბერში ჩინეთში ორჯერ იმყოფებოდა კისინჯერი, ახლა უკვე სახელმწიფო მდივნის რანგში. პეკინსა და ვაშინგტონში გაიხსნა ე.წ. „კავშირის ოფისები“ – არაოფიციალური საელჩოები, 1973 წლის მარტში კი სახელმწიფო დეპარტამენტსა და ვაჭრობის სამინისტროს აქტიური მხარდაჭერით, 140 ამერიკულმა კომპანიამ ამერიკა-ჩინეთის ვაჭრობის ხელშეწყობის ეროვნული საბჭო დააფუძნა.

ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების ნორმალიზაციის ერთ-ერთი გლობალური შედეგი იყო საბჭოთა კავშირის შედარებით თავშეკავებული საერთაშორისო პოლიტიკა. მოსკოვი იძულებული გახდა მეტი სიფრთხილით მოკიდებოდა ახალ-ახალი საერთაშორისო კრიზისების ინიცირებას და მეტი მონდომებით ცდილობდა უკვე არსებული კრიზისების ნეიტრალიზებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ იგი უკვე ორ ფრონტზე წააწყდებოდა წინააღმდეგობებს. ნიქსონს საშუალება ეძლეოდა ახალ ვითარებაში ცდილიყო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობებში დაგროვილი კონკრეტული პრობლემების გადაჭრას. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არ გამართლდა ამერიკელი პოლიტოლოგების პესიმისტური პროგნოზები, რომ პეკინთან ურთიერთობების გაუმჯობესებას ავტომატურად მოჰყვებოდა მოსკოვთან ურთიერთობის გაუარესება. სინამდვილეში აბსოლუტურად საწინააღმდეგო მოხდა: ჩინეთში კისინჯერის პირველ საიდუმლო ვიზიტამდე მოსკოვი მთელი წელიწადი აჭიანურებდა მოლაპარაკებებს ნიქსონისა და ბრეჟნევის შეხვედრის თაობაზე. გრომიკოს უწყება ჩვეულ რეჟიმში ცდილობდა, რაც შეიძლება მეტ ცალმხრივ დათმობებზე აეძულებინა ვაშინგტონი უმაღლეს დონეზე შეხვედრის სანაცვლოდ. მოსკოვში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ვიეტნამის ჭაობში ჩაფლულ ნიქსონს მაშველი რგოლივით სჭირდებოდა საბჭოთა ხელმძღვანელებთან შეხვედრა საერთაშორისო არენაზე საკუთარი პრესტიჟის ასამაღლებლად. კრემლისათვის „ცივ შხაპად“ იქცა მოულოდნელი ცნობა პეკინსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობების დათბობის დაწყებაზე. შემდგომ კოშმარულ (საბჭოთა კავშირისათვის!) პერსპექტივაზე ხომ კრემლში ფიქრსაც ვერ ბედავდნენ. ამიტომ, ჯერ მელანიც არ იყო

შემშრალი შანხაის კომუნიკეზე, რომ ნიქსონმა „გულითადი“ დაპატიჟება მიიღო მოსკოვიდან. ასე იწყებოდა ჩვენი პლანეტის ორი იდეოლოგიურად და სტრატეგიულად შეურიგებელი ბირთვული ზესახელმწიფოს ურთიერთობაში ახალი ეტაპი, რომელსაც ბარიერის ერთ მხარეს „საერთაშორისო ურთიერთობების დაძაბულობის განმუხტვასა“ და „მშვიდობიან თანამშრომლობას“ უწოდებდნენ, მეორე მხარეს კი დიდი წვალებით მოუძებნეს ლინგვისტიკური ანალოგი – „დეტანტი“. 60-იანი წლების დასაწყისიდან, განსაკუთრებით კი კარიბის რაკეტული კრიზისის შემდეგ, როდესაც ხრუშჩოვიც კი შეაფუცხუნა ბირთვული არმაგედონის რეალურმა პერსპექტივამ, კრემლში ოფიციალური განცხადებების გარეშე მიიღეს გადაწყვეტილება მეტი სიფრთხილით მოკიდებოდნენ ბირთვულ ცეცხლთან თამაშს.

შეიძლება დავასახელოთ განმუხტვის პოლიტიკის ამსახველი ფაქტები: 1967 წელს დაიწყო მოლაპარაკებები ერთობლივ კოსმოსურ პროექტ „სოიუზ-აპოლონ“-ზე; ამერიკაში ვიზიტით იმყოფებოდა საბჭოთა პრემიერი ალექსი კოსიგინი, მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით შეიქმნა აშშ-ისა და კანადის საკითხების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელმაც მალე ლიბერალიზმის ბუდის რეპუტაცია მოიპოვა; 1969 წელს ჰელსინკში დაიწყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვაზე; 1970 წლის 12 აგვისტოს მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შეთანხმებას ევროპაში ომის შემდგომი საზღვრების ურღვევობასა და მშვიდობიანი გზით გერმანიის გაერთიანების შესაძლებლობაზე (განუსაზღვრელ მომავალში), ხოლო 1971 წლის სექტემბერში „ცხელი ხაზი“ გაიხსნა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის. განმუხტვის პოლიტიკის პირველ სერიოზულ მიღწევად კი დღემდე სამართლიანად ითვლება გფრ-სთან გაფორმებული 1970 წლის აგვისტოს ხელშეკრულება.

როგორც ვხედავთ, რიჩარდ ნიქსონის ვიზიტი „ცარიელ ადგილზე“ არ მზადდებოდა. პირადად ნიქსონს კი უკვე გააჩნდა საბჭოთა ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებების გამოცდილება: 1959 წლის ივ-

ნისში, იგი მოსკოვს ვიცე-პრეზიდენტის რანგში ეწვია, რათა ამერიკაში ხრუშჩოვის ვიზიტის დეტალები დაეზუსტებინა. ნიქსონსაც და მის თანმხლებ ამერიკელებსაც არცთუ სასიამოვნო შთაბეჭდილება უნდა დარჩენოდათ მოსკოვში მოგზაურობიდან, ვინაიდან სამომავლო „გაუგებრობების“ თავიდან აცილების მიზნით, ხრუშჩოვმა ყველაფერი გააკეთა, რათა მის მომავალ მასპინძლებს ზუსტი წარმოდგენა ჰქონოდათ საბჭოთა ლიდერის „დიპლომატიურ თავაზიანობაზე“. დამამახსოვრებელი ინციდენტი მოსკოვში ამერიკის გამოფენის ერთობლივი დათვალიერების დროს მოხდა, როდესაც ერთ-ერთ მთავარ ექსპონატს – რიგით ამერიკელთა სტანდარტულ სახლს (ავეჯითა და ყოფითი ტექნიკით) ათვალიერებდნენ. მრავალრიცხოვანი ამალისა და ჟურნალისტების დასწრებით, ნიკიტა ხრუშჩოვმა საჭიროდ ჩათვალა იქ მყოფ საბჭოთა მოქალაქეებისათვის „აეხსნა“, რომ ასეთი ამერიკული სახლები „რამდენიმე წელიწადში ინგრევა“, თანაც მისი ყიდვისათვის ძალზედ ბევრი დოლარებია საჭირო, რიგით ამერიკელებს კი „მხოლოდ ხიდების ქვეშ შეუძლიათ ღამის გათევა“. რიჩარდ ნიქსონი არ დაეთანხმა და უპასუხა, რომ თვითონაც „უბრალო ოჯახში“ გაიზარდა, სადაც ბავშვობაშივე ეხმარებოდა მამას დუქანში, რაზეც ხრუშჩოვმა დაუფიქრებლად მიახალა: „ყველა ვაჭარი ქურდიაო!“.

უკვე გაპრეზიდენტებული ნიქსონის ვიზიტი კი კინაღამ ბოლო მომენტში ჩაიშალა – მოსკოვში გამგზავრებამდე ორიოდე დღით ადრე ამერიკელებმა ჰანოისა და ჰაიფონის მასიური დაბომბვები დაიწყეს, საპასუხოდ კი პრემიერმა ალექსეი კოსიგინმა ვიზიტის გაუქმება მოითხოვა, ხრუშჩოვის დიპლომატიის სტილში (1960 წელს ამერიკის მზვერავი თვითმფრინავი „უ-2“-ის ჩამოგდების შემდეგ, მოსკოვმა პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის უკვე დაგეგმილ-მომზადებული ვიზიტი ჩაშალა). ბრეჟნევმა ყურად არ იღო პრემიერის ინიციატივა, რომელიც უკვე გვარიანად აბეზრებდა თავს საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში არამკითხე აქტიურობით და ეიზენჰაუერისაგან განსხვავებით, ნიქსონი ყოველგვარი დიპლომატიური ვეტოს გარეშე ჩაფრინდა მოსკოვში. მით უმეტეს, რომ ბრეჟნევი დიდი ხნის ნანატრ სა-


ჩუქარს ელოდა: ვიზიტის წინ საბჭოთა ელჩმა ამერიკაში ანატოლი დობრონინმა პრივატულ საუბარში გაუმხილა პრეზიდენტს, რომ ლეონიდ ილიას ძეს ძალიან სურდა საჩუქრად მიეღო ამერიკული ავტომობილი „კადილაკ ელდორადო“. უშველებელი მდიდრული კაბრიოლეტი სამ დღეში დაამზადეს ამერიკაში და სამხედრო-საჰაერო ძალების სატრანსპორტო თვითმფრინავით მოსკოვში ჩაიტანეს. საყოველთაოდ იყო ცნობილი საბჭოთა გენმდივნის სიყვარული ავტომანქანებისადმი, რომელიც, სანამ ჯანმრთელობა ხელს უწყობდა, თავდავიწყებულად მართვდა მძღოლი იყო. სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვით, რომ 1973 წელს, საპასუხო ვიზიტით ამერიკაში ყოფნისას, მან უკვე ცისფერ „ლინკოლნ კონტინენტალს“ დაადგა თვალი – ზუსტად ისეთს, როგორითაც ამერიკის პრეზიდენტი სარგებლობდა. ახალი საჩუქარი პირადად ნიქსონმა გადასცა სტუმარს კემპ-დევიდში. უსაზღვრო იყო ლეონიდ ბრეჟნევის თანმხლები ფუნქციონირების გაოცება, როდესაც მათთვის ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოს უძლიერესი და უმდიდრესი სახელმწიფოს პირველ პირს უფლება არ ჰქონდა თავად დაესაჩუქრებინა უცხოელი საგანგებო სტუმარი და ძვირადღირებულ მანქანებს რესპუბლიკური პარტიის მომხრე ბიზნესმენები ყიდულობდნენ ბრეჟნევისათვის.

ორ ქვეყანას შორის სერიოზული ხელშეკრულება გაფორმდა ნიქსონის ვიზიტის მსვლელობაში, მათ შორის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის და სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პირველი ხელშეკრულება, ხელმოწერილი იქნა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა საფუძვლების დეკლარაცია, ხელშეკრულებები მეცნიერების, მედიცინის, კოსმოსის ათვისებისა და გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობაზე.

ვინაიდან იმ პერიოდში ბრეჟნევს ჯერ კიდევ არ ეკავა რაიმე სახელმწიფო პოსტი, სტუმარს აეროპორტში პრემიერი ალექსი კოსიგინი და „პარლამენტის თავმჯდომარე“ ნიკოლაი პოდგორნი დახვდნენ. მოლაპარაკებები კი ძირითადად კრემლში, ეკატერინეს დარბაზში და ბრეჟნევის სამუშაო კაბინეტში მიმდინარეობდა. ნიქსონი და მისი უახლოესი მრჩევლები გააოცა გენერალური მდივნის სამუშაო

მაგიდის სიდიდემ და უამრავ ღილაკებიანმა სატელეფონო სელექტორმა, რომელთა დამახსოვრებაც, ამერიკელების აზრით, შეუძლებელი იყო ნორმალური ადამიანისათვის. მიუხედავად დიდი გულმოდგინებით შედგენილი გეგმისა, ყველა არასასურველი დეტალის გათვლა მაინც შეუძლებელი აღმოჩნდა: როდესაც პოდგორნი და ნიქსონი დიდ თეატრში „გედების ტბას“ უყურებდნენ, იქვე მყოფმა იტალიელი ჟურნალისტის მეუღლემ ხმამაღლა დაიყვირა: „ძირს ვიეტნამის ომი!“. პოდგორნიმ შუქი აანთებინა უკვე ჩაბნელებულ დარბაზში, ნიქსონიც ფეხზე ააყენა და დარბაზი აპლოდისმენტებზე აიძულა.

განსაკუთრებული პატივის ნიშნად ამერიკელები კრემლში განათავსეს. აპარტამენტებში დამონტაჟებული ხმის მოსასმენი აპარატურისაგან თავის დაცვის მიზნით, ჯერ კიდევ კისინჯერის ადრეული ვიზიტებიდან მოყოლებული, ამერიკელები ე.წ. „ბებლერს“ იყენებდნენ. მაგნიტოფონზე ჩანერილი იყო რამდენიმე ადამიანის ერთდროული ხმამაღალი საუბარი – კამათი, რის ფონზეც შესაძლებელი იყო წყნარი კონფიდენციალური საუბარი. ნიქსონს საშინლად აღიზიანებდა „ბებლერი“ და ამიტომ თავის მრჩევლებს ამერიკიდან ჩამოტანილი ლიმუზინის სალონში ესაუბრებოდა. ამერიკელთა მხრიდან, ბუნებრივია, კისინჯერი იყო საკვანძო ფიგურა და ამიტომ, როდესაც ნიქსონი ლენინგრადისა და კიევის დასათვალიერებლად წაიყვანეს, იგი მოსკოვში დარჩა და ანდრეი გრომიკოსთან აგრძელებდა მოლაპარაკებებს. შემდგომშიც არა ერთხელ მოუწია კისინჯერს, უკვე სახელმწიფო მდივნის რანგში, მოსკოვში ჩასვლა, მაგრამ ვერა და ვერ აიხდინა დიდი ხნის ოცნება ლენინგრადისა და ერმიტაჟის დათვალიერების თაობაზე. ბოლოს ისიც უთხრა ხუმრობით გრომიკოს, რომ აღარც კი სჯეროდა თუ საერთოდ არსებობდა ასეთი ქალაქი. „მაშ, სად მოხდა ჩვენი



რევოლუცია? – ხუმრობითვე შეეკითხა რუსი „მისტერ არა“ „სანკტ-პეტერბურგში“ – უპასუხა კისინჯერმა, რომელიც სამართლიანად ამაყობდა თავისი ისტორიული ერუდიციით. სხვათა შორის, არც ერთს არ გახსენებია რუსეთის რევოლუციის სამშობლოს იმდროინდელი სახელი – პეტროგრადი.

ნიქსონის ვიზიტმა მოსკოვში, ხელისუფლების მხრიდან მართლაც გულითადმა მიღებამ (ძირითადად ბრეჟნევის ინიციატივით) და ხელშეკრულებების სიუხვემ, რიგით საბჭოელებს იმის იმედი გაუჩინა, რომ მათ ერთფეროვან ყოფას ამერიკული ცხოვრების წესის რაღაც ატრიბუტები უფრო საინტერესოს გახდიდა. როდესაც გამოცხადდა, რომ სოჩასთან „პეპსიკოს“ ქარხანა აშენდებოდა, საბჭოთა ახალგაზრდობამ ოცნება უკვე ამერიკული საღეჭი რეზინის მწარმოებელი ქარხნის აშენებაზეც დაიწყო. საინტერესო დეტალი: ხელსაყრელ კონტრაქტზე „პეპსიკო“ და „კოკა-კოლა“ იბრძოდნენ. უკანასკნელი გაცილებით ხელსაყრელ პირობებს სთავაზობდა მოსკოვს, მაგრამ კრემლში მაინც „პეპსიკო“ ამჯობინეს. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ 1940-იანი წლებიდან „კოკა-კოლა“ ლიდეროობდა როგორც „გახრწნილი დასავლეთის“ საფირმო სიმბოლო, „პეპსიკო“ კი საბჭოთა კავშირში უფრო ნაკლებად იყო ცნობილი.

განმუხტვის კულმინაციად „კოსმოსური დიპლომატია“ – „სოიუზ-აპოლონი“ იქცა; 1975 წლის 15 ივლისს, მოსკოვის დროით 15 საათსა და 20 წუთზე, ბაიკონურში სტარტი აიღო საბჭოთა კოსმოსურმა ხომალდმა „სოიუზ“-მა კოსმონავტებით – ალექსანდრე ლეონოვით და ვალერი კუბასოვით. ზუსტად 7 საათისა და 30 წუთის შემდეგ, კანაველარალის კონცხიდან „სოიუზ“-თან რანდევუზე გაემართა ამერიკული ხომალდი „აპოლონი“ ასტრონავტებით თომას სტაფორდით, ვენს ბრანდით და დონალდ სლეიტონით (კოსმონავტი და ასტრონავტი თავისი არსით ანალოგიური ტერმინებია). 16 საათსა და 01 წუთზე ბრანდმა პირველმა დაინახა „სოიუზი“, სამი წუთის შემდეგ კი ორ კოსმოსურ ხომალდს შორის რადიოკავშირი დამყარდა. 22 საათსა და 19 წუთზე ლეონოვი უკვე ხელს ართმევდა სტაფორდს. ჟურნალისტებმა ხელიდან არ გაუშვეს მომენტი და სიკეთის სიმბოლოდ

გაატირაჟეს ის ფაქტიც, რომ ხომალდების მიერთება მაშინ მოხდა, როდესაც ისინი მოსკოვის თავზე იმყოფებოდნენ, ხოლო მათ შორის პირველი კონტაქტი – როდესაც ელბას გადაუფრინეს.

ერთობლივი ფრენის იდეის ავტორი ამერიკელი მწერალი-ფანტასტი მარტინ კეიდინი იყო, რომელმაც 1966 წელს ნოველა გამოაქვეყნა, თუ როგორ გადაარჩინეს ამერიკული კოსმოსური ხომალდი რუსმა კოსმონავტებმა. ავტორის თხოვნით, ნოველის წინასიტყვაობა რუსმა კოსმონავტმა გერმან ტიტოვმა დაწერა, რომელმაც რეალურ შესაძლებლობად დაახასიათა ჯერ კიდევ ფანტასტიკური სიუჟეტი. მას შემდეგ კი, რაც ამერიკელებმა წარმატებით იმოგზაურეს მთვარეზე, „ნასა“-ს შეფმა ჯონ პეინმა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს მსტსლავ კელდიშს ერთობლივი პროგრამის წინადადებით მიმართა. 1967 წელს დაიწყო წინასწარი კონსულტაციები და 1970 წლის 26-27 ოქტომბერს, მოსკოვში უკვე ერთობლივი მუშა ჯგუფი შეიქმნა. 1972 წლის 6 აპრილს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიასა და „ნასა“-ს შორის სათანადო ხელშეკრულებაც გაფორმდა. საბჭოთა საზოგადოებრიობამ პირველად გაიგო პროგრამა „სოიუზ-აპოლონის“ არსებობაზე. ეს უჩვეულო იყო, ვინაიდან მოსკოვი არასოდეს არ აანონსებდა წინასწარ კოსმოსთან დაკავშირებულ გეგმებს.

ორივე ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობისათვის დიდხანს იყო უცნობი ის კურიოზები და გაუთვალისწინებელი სახიფათო სიურპრიზები, რომელიც თან ახლდა განმუხტვის სიმბოლოდ ქცეული ერთობლივი კოსმოსური პროექტის რეალიზებას. ამერიკელი კოსმონავტები კინაღამ „არასაშტატო სიტუაციის“ (სპეციალისტების ტერმინი) მსხვერპლად იქცნენ, როდესაც თითქმის უკვე მშვიდობიანად იყო დასრულებული ფრენა და „აპოლონი“ წყნარ ოკეანეში დასაშვებად ემზადებოდა. უკანასკნელ მომენტში კაბინაში სარაკეტო საწვავ „ჰეპტილის“ შხამიანმა გაზმა დაიწყო შეღწევა და რომ არა თავად კოსმონავტების სიმარჯვე (მათ წამებში მოასწრეს ჟანგბადის ნიღბების გაკეთება) და სახმელეთო საკონტროლო ცენტრის თანამშრომელთა პროფესიონალიზმი, ტრაგედიით შეიძლებოდა დასრულებულიყო

არა მხოლოდ დიდი სამეცნიერო ექსპერიმენტი, არამედ გაცილებით მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროექტი.

საფრენი აპარატების მეორე კონტაქტის დროს „აპოლონმა“ მოულოდნელად ოდნავ შეიცვალა ტრაექტორია და „სოიუზ“-თან შემაერთებელი კვანძი ბეწვზე გადარჩა. როგორც შემდეგ იხსენებდნენ ფრენის ცენტრალური მართვის საბჭოთა პუნქტის თანამშრომლები, კვანძის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელი კონსტრუქტორი ვლადიმირ სირომიატნიკოვი, რომელიც სხვებთან ერთად ადევნებდა თვალს ისტორიულ მომენტს, სასოწარკვეთილებისაგან ეკრანისაგან შებრუნდა და თვალები დახუჭა. საბედნიეროდ, აგრეგატმა ზენორმატიულ დატვირთვას გაუძლო.

გარდა ამისა, სტარტამდე წუთები იყო დარჩენილი, როდესაც გაირკვა, რომ მწყობრიდან იყო გამოსული „სოიუზის“ ტელეგადამცემი. საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა მთელ მსოფლიოში დაანონსებული პირდაპირი ტრანსლაცია კოსმოსიდან, ფრენის გადადება კი უკვე შეუძლებელი იყო. საბოლოო ჯამში, ლეონოვსა და კუბასოვს უკვე ორბიტაზე მოუწიათ გადამცემის შეკეთება, თუმცა ამისათვის მთელი ღამე არ უძინიათ. მათი გარეგნული იერით გაკვირვებულმა ამერიკელებმა თავი ვერ შეიკავეს კითხვისაგან – „რა დაგემართათ, რატომ ხართ ასე მოთენთილები?“.

საბჭოთა კოსმონავტებს კოსმოსში გაფრენის წინ მტკიცედ ნაწრთობი ფელადისაგან დამზადებულ ჯაყვებს ურიგებდნენ, მაგრამ როდესაც ლეონოვმა სამთავრობო კომისიის თვალწინ, შიშველი ხელებით გადატეხა ასეთი ჯაყვა, მას ჩვეულებრივი, მაღაზიაში 5 მანეთად ნაყიდი ჯიბის დანის წაღების ნება დართეს. ლეონოვის „კაპრიზიც“ „ისტორიული“ აღმოჩნდა, ვინაიდან როდესაც გადამცემის შეკეთების საჭიროება დადგა, მხოლოდ მის ჯიბის დანას აღმოაჩნდა ჯვარედინა სახრახნისი. ლეონოვის ჯიბის დანის ისტორია გახმაურდა და ჰოლივუდში გადაღებული ფილმის „არმაგედონის“ სცენარით, ორბიტალურ სადგურზე მყოფი რუსი კოსმონავტი ლევ ანდროპოვი უშველებელი ქანჩსახლებით „არემონტებს“ დაზიანებულ კომპიუტერს.

ფრენის ორგანიზატორების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო რუსი და ამერიკელი კოსმონავტების პირველი შეხვედრის გეოგრაფიული წერტილი. ეს ისტორიული მომენტი „ზუსტად საზღვარზე“ უნდა დაეფიქსირებინათ ტელეკამერებს. როდესაც სტაფორდი თავით შეძვრა ხომალდების შემაერთებულ ვიწრო „გვირაბში“, ლეონოვმა კი ხელი ჩამოართვა და უწონადობაში „მოცურავე“ კოლეგა „სოიუზში“ შეათრია, კამერებმა დააფიქსირეს, რომ ხომალდების მეთაურთა ხელის გულები ერთმანეთს საბჭოთა ტერიტორიაზე შეეხო.

„სოიუზ“-ში ერთობლივი სადილის დროს ლეონოვმა ამერიკელებს ტუბები შესთავაზა წარწერით „მოსკოვსკაია ვოდკა“, სინამდვილეში კი ტუბებში რუსული ბორშჩი იყო. პრესამ ამ ხუმრობას ისეთი რეკლამა გაუკეთა, რომ ცნობილმა ამერიკელმა ბიზნესმენმა და საბჭოთა რუსეთის ძველმა მეგობარმა არმან ჰამერმა, რომელსაც ამერიკაში არაყი „სტოლიჩნაია“ გაჰქონდა, ითხოვა ეტიკეტზე წარწერა „სტოლიჩნაია“ „მოსკოვსკაიათი“ შეეცვალათ.

ყველაზე სასაცილო კურიოზი კი ლეონოვს უკვე ამერიკაში ვიზიტის დროს დაემართა, როდესაც მის საპატივსაცემად გამართულ ერთ-ერთ ბანკეტზე ინგლისურ ენაზე გადაწყვიტა მოკლე სამადლობელო სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ გამორჩა სიტყვა „წარმატებული“ და ნაცვლად „წარმატებული ცხოვრებისა“, ამერიკელებს „სექსით აღსავსე ცხოვრება“ უსურვა. „მლაშე“ ხუმრობებს მიჩვეულმა ამერიკელებმა ჯეროვნად შეაფასეს რუსი კოსმონავტის უნებური ლინგვისტური კაზუსი.

ერთობლივი ფრენის მონაწილე კოსმონავტებმა ვაშინგტონში, ავიაციის და კოსმონავტიკის მუზეუმის ეზოში ერთად დარგეს ორი იაპონური საკულტო ხე – საკურა, ხოლო 1994 წელს თომას სტაფფორდმა იქ საკუთარი ხარჯით აღმართა მემორიალური დაფა.

ბედის ირონიით, პროექტი „სოიუზ“-„აპოლონი“ ერთდროულად განმუხტვის კულმინაციადაც იქცა და მისი დასასრულის დასაწყისადაც. მართლაც, ისტორიული მოვლენიდან ერთი წლის შემდეგ, ლეონიდ ბრეჟნევის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. საგარეო პოლიტიკა ულტრაკონსერვატიული ტრიუმვირატის – უსტინოვ-ანდ-

როპოვ-გრომიკოს ხელში გადავიდა. მთავარი მაინც ერთი ადამიანის ჯანმრთელობა არ იყო – საბჭოთა კავშირს არასოდეს უთქვამს უარი ექსპანსიაზე. 1971 წელს გამართულ საბჭოთა კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მასალებშიც კი ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ განმუხტვის კურსი „ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სოციალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლების" მხარდაჭერაზე არ ვრცელდებოდა. ერთდროულად კი კომუნიზმის გავრცელების საწინააღმდეგო ნებისმიერი ქმედება „მშვიდობისა და განმუხტვის მტრების ხრიკებად" ცხადდებოდა.

ფაქტიურად, საბჭოთა კავშირი თავისუფალ სამყაროს სთავაზობდა შეგუებოდა თავის ისტორიულ აღსასრულს და იმითაც დაკმაყოფილებულიყო, რომ ჯერ კიდევ კარგა დრო რჩებოდა მის გარდუვალ აღსასრულამდე.

საბჭოთა ხელმძღვანელობაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა 1973 წლის ახლო აღმოსავლეთის ომის შემდგომმა ნავთობის ემბარგომ, არაბულმა ქვეყნებმა დასავლეთს რომ გამოუცხადეს და პორტუგალიის რევოლუციამ – მართალია, საბოლოო ჯამში წარუმატებელმა, მაგრამ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში მაინც პირველმა ცდამ. ასევე ანტისაბჭოური იყო თავისი ბუნებით ირანის რევოლუციაც, მაგრამ უფრო მეტად ხომ აშკარად ანტიამერიკული იყო?

მოსკოვში ძალას იკრებდა აზრი, რომ განმუხტვის კურსი საბჭოთა კავშირისათვის კისერზე ჩამოკიდებული წისქვილის ქვები იყო. ვაშინგტონშიც კი უკვე დაუფარავად საუბრობდნენ, რომ ამერიკას ასეთი განმუხტვა არაფერში წაადგებოდა.

ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანამ და ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში რონალდ რეიგანის გამარჯვებამ სიკვდილის პირამდე მისული განმუხტვა საბოლოოდ დაასამარა, თუმცა მანამდე მის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ფერმკრთალი კომპრომისის ცდად იქცა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის 1975 წლის ჰელსინკის თათბირი. 1972 წლის ნოემბრის და 1973 წლის ივნისის მრავალმხრივი კონსულტაციების შედეგად შეთანხმებული იქნა „ჰელსინკის კონსულტაციების დასკვნითი რეკომენდაციები",

სადაც განსაზღვრული იყო დღის წესრიგი, თათბირის ჩატარების პირობები და პროცედურები. თათბირზე სამი სფეროს პრობლემები უნდა განხილულიყო: 1. ევროპის უსაფრთხოების; 2. ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და გარემოს დაცვის საკითხებში თანამშრომლობა; 3. ჰუმანიტარულ სფეროში თანამშრომლობა; 4. თათბირის შემდგომი პერიოდის გეგმები.

მოსკოვში პოლიტბიუროს წევრთა ნაწილი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ჰუმანიტარულ სფეროში დაფიქსირებული ვალდებულებისა – კრემლის „ქორების" მწვავე გაღიზიანებას განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დიღემა იწვევდა. უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ჰელსინკის თათბირი ანდრეი გრომიკოს მიერ მოძებნილმა „სალომონისებურმა გადაწყვეტილებამ" იხსნა ახალი გაჭიანურებული მოლაპარაკებებისაგან. მან იცოდა, რომ ბრეჟნევს ჰელსინკში წასვლა ძალიან სურდა. „არა უშავს, ჩვენ სახლში ჩვენ ვართ „ხაზეინები", ისე მოვიქცევით, როგორც საჭიროდ ჩავთვლით", – დაამშვიდა „ქორები" თავად არცთუ „მტრედმა" მინისტრმა. 1975 წლის 1 სექტემბერს ევროპის (ამერიკისა და კანადის ჩათვლით) 33 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა დასკვნით აქტს ხელი საზეიმო ვითარებაში მოაწერეს. საბჭოთა კავშირისათვის ერთადერთი მიმზიდველი მომენტი იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საზღვრების ერთმნიშვნელოვნად აღიარება. მთლიანობაში კი დოკუმენტს, ისევე როგორც განმუხტვას, ძლიერი ოპონენტები ჰყავდა როგორც მოსკოვში, ასევე ვაშინგტონში.

საბჭოთა სამხედროებს ეროვნულ კატასტროფად მიაჩნდათ შეიარაღებაზე ნებისმიერი კონტროლის დაწესება. კრემლის ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი 1990-იან წლებში იხსენებდა პოლიტბიუროს სხდომას, როდესაც ძველი ბუდიონელი და მე-18 არმიაში ბრეჟნევის ყოფილი თანამებრძოლი, თავდაცვის მინისტრი ანდრეი გრეჩკო, ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად, შემდეგი სიტყვებით დაემუქრა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სემიონოვს, რომელიც ამ დროს შეიარაღების შეზღუდვაზე ამერიკელებთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს: „თუ სემიონოვი რაიმე შეთანხმებას აპირებს,

თვითონ აირჩიოს, თუ სად ურჩევნია იჯდეს – „ლუბიანკაზე“ თუ მოსკოვის სამხედრო ოკრუგის ჰაუპტვახტში“. დაახლოებით ასევე იყვნენ განწყობილნი ამერიკელი გენერლები და ადმირლებიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათ ათჯერ და ასჯერ ნაკლები გავლენა ჰქონდათ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. საბჭოთა სამხედროები კი სისტემატურად და დაუსჯელად აყენებდნენ სასაცილო მდგომარეობაში საბჭოთა დიპლომატებს, ვინაიდან სამხედროები მათაც უმალავდნენ შეიარაღების ზუსტ პარამეტრებს და ობიექტურ მონაცემებს ამერიკელებისაგან გებულობდნენ, რომელნიც სრულად იყვნენ ინფორმირებულნი კოსმოსური თანამგზავრების მეშვეობით. მხოლოთ გენერალურ მდივანს შეეძლო ზეწოლა მოეხდინა სამხედროებზე. რაც შეეხებოდა ბრეჟნევს, ერთი მხრივ მას, როგორც ომის მონაწილეს, საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი ომის ყველა საშინელება, მეორე მხრივ კი, არმიაში სამსახურიდან გამოჰყვა სამხედრო ფორმისა და ორდენებისადმი დაუოკებელი სიყვარული და პროფესიონალი სამხედროებისადმი ერთგვარი მოწიწება და პატივისცემა. ამიტომ იგი განიარაღები მიზნით (განსაკუთრებით ბირთვულზე) მოლაპარაკებებზეც ხალისით თანხმდებოდა და სამხედროებსაც უარს არაფერზე არ ეუბნებოდა (პირველ რიგში, სამხედრო ბიუჯეტის ზრდაზე). განმუხტვას კი იგი თავის პირმშოდ თვლიდა და შინაგანად განიცდიდა მის წარუმატებლობას. იმდროინდელი კრემლის კიდევ ერთი „შინაური კაცი“ XXV ყრილობის სამზადისის პერიოდს იხსენებს, როცა ზავიდოვოს აგარაკზე ექსპერტები გენერალური მდივნის საანგარიშო მოსხენების განმუხტვასთან დაკავშირებულ პასაჟზე მუშაობდნენ – იქვე მყოფ ბრეჟნევს სევდიანად უთქვამს: „ყველას არ მოსწონს ეს ხაზი, ყველა არ არის თანახმაო“. თანაშემწე ალექსანდროვი თურმე მის დამშვიდებას შეეცადა: „250 მლნ. ადამიანი ცხოვრობს საბჭოთა კავშირში და უკმაყოფილო მუდამ მოიძებნებაო“. გენერალურ მდივანს საპასუხოდ ხელი ჩაუქნევია: „ნუ მაიმუნობ, ანდრიუშა... კარგად იცი, რაზეც ვლაპარაკობ. მოწინააღმდეგეები იქ კი არ არიან, იმ 250 მილიონში, არამედ აქ, კრემლში არიან“. მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ფუნდამენტური ფასეულო-

ბრივი და გეოპოლიტიკური წინააღმდეგობების პირობებში კეთილი სურვილები და დემონსტრაციული ჟესტები არ მუშაობს.

როგორც ზემოთ ითქვა, საბჭოთა კავშირს არასოდეს და არსად (სადაც კი ხელი მიუწვდებოდა) არ შეუწყვეტია არც იდეოლოგიური და არც სამხედრო ექსპანსიები. ეს ბრეჟნევის 18-წლიანი მმართველობის წლებსაც ეხებოდა. მაშინაც კი, როდესაც უკვე ხელმოწერილი იყო შეთანხმება განმუხტვის კურსის ერთ-ერთ მთავარ ბრენდზე – „სოიუზ"-„აპოლონის" პროექტზე, მოსკოვი მიზანდასახულად ემზადებოდა ახლო აღმოსავლეთში უკვე გაღვივებულ არაბულ-ებრაულ კონფლიქტში ჩასართველად. სულ 20 წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც პალესტინის საკითხზე გამართულ გაეროს სპეციალური კომიტეტის სხდომაზე გრომიკომ საბჭოთა კავშირის სახელით განაცხადა: „რადგანაც თავის დროზე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა ფაშისტი ჯალათების ძალადობისგან ებრაელი ხალხის ელემენტარული უფლებების დაცვა ვერ შესძლეს, ამ ფაქტმა განაპირობა ებრაელთა სწრაფვა საკუთარი სახელმწიფოს შექმნისაკენ. უსამართლობა იქნებოდა, რომ ეს არ მიგველო მხედველობაში და არ გვეღიარებინა ებრაელი ხალხის უფლება ამ სწრაფვის რეალიზაციაზე" (158). 1960-იან წლებში კი იგივე გრომიკო ისრაელის მოსპობაზე მანიაკალურად მეოცნებე ტერორისტების იდეოლოგიური მოკავშირე და მთავარი სპონსორი იყო, ცხადია, ბრეჟნევთან და კრემლის მთელ ხელძღვანელობასთან ერთად.

რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ, 1967 წელს, გამალ აბდელ ნასერი ისრაელთან დამარცხების გამო რევანშის აღებას საბჭოთა კავშირიდან მიღებული უახლესი წარმოების შეიარაღებით შეეცადა. რაც შეეხებოდა საბჭოთა კავშირს, კონფლიქტის წლებში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეგვიპტის განყოფილების უფროსი ევგენი პისლინი ასე უხსნიდა დიდი ხნის შემდეგ მოსკოვის პოზიციას „ბი-ბი-სის" კორესპონდენტს: „ჩვენ მაშინ ვფიქრობდით, რომ თუ ჩვენი მხარე (ანუ ეგვიპტელები) ვერ გაიმარჯვებდნენ, ომი პოლიტიკურ სარგებელს მაინც მოგვიტანდა, ვინაიდან ეგვიპტელები დაამტკიცებდნენ, რომ მათ შეეძლოდ ეომად ჩვენი იარაღითა და

ჩვენი პოლიტიკური მხარდაჭერით“ (159). სინამდვილეში კი არაბებს ვერც რიცხობრივმა უპირატესობამ უშველა, ვერც საბჭოთა იარაღმა და პოლიტიკურმა მხარდაჭერამ. სირიამ და ეგვიპტემ სამარცხვინო მარცხი განიცადეს და დამატებით დაკარგეს ტერიტორიები, საბჭოთა კავშირმა კი რეგიონში იარაღის ექსპორტი გააორმაგა და რამდენიმე წლით მყარი პოლიტიკური პოზიციები განიმტკიცა. მოსკოვთან, ორენბურგთან, ნიკოლაევთან ახლოს და სიმფეროპოლში „გრუ“-მ და „კგბ“-მ სპეცსკოლები დააარსეს, სადაც პალესტინელ მებრძოლებს ამზადებდნენ. ასეთი სკოლების აქტუალობა მკვეთრად გაიზარდა ნასერის გარდაცვალებისა და საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ურთიერთობების გაუარესების შემდეგ. მოსკოვმა კურსი პალესტინის განთავისუფლების ეროვნულ ფრონტთან თანამშრომლობაზე აიღო, რაც დასავლეთის თვალში მას არაბული ტერორიზმის წამქეზებლის რეპუტაციას უქმნიდა. უკანასკნელი გარემოება კი ვერანაირად ვერ შეუწყობდა ხელს განმუხტვის კურსის სიცოცხლისუნარიანობას. ამიტომაც ჰქონდა სრული საფუძველი ისრაელის პრემიერ გოლდა მეირს „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტთან საუბარში განეცხადებინა, რომ „მოსკოვს სულ მცირე ისეთივე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა 1967 წლის ომში, როგორც არაბებს და შეიძლება მეტიცო“.

თავისთავად ის პარადოქსული ფაქტი, რომ კრემლში აზრადაც არავის მოსვლია „ცივი ომის“ კურსის კორექტირება და მიუხედავად იმისა, მაინც მოხერხდა თუნდაც სულ რამდენიმეწლიანი განმუხტვა, რამაც მხარეები საგრძნობლად დააშორა „ცხელი“ ბირთვული ომის უფსკრულს. ეს პირველ რიგში ამერიკის პრეზიდენტისა და კისინჯერის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს - ვაშინგტონმა შესძლო ისეთ მდგომარეობაში ჩაეყენებინა მოსკოვი, რომ მისთვის სასარგებლო ყოფილიყო აშშ-სთან შეთანხმება. ნიქსონმა დიდოსტატურად განალაგა ფიგურები ამერიკა-სსრკ-ჩინეთის საჭადრაკო დაფაზე და ამერიკა-ჩინეთის ურთიერთსარფიანი გარიგების პერპექტივა კრემლის კოშმარად აქცია. ნიქსონ-კისინჯერის მთავარი ამოცანა ბირთვული საფრთხის შემცირება იყო. მათ ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ყველაფერთან ერთად, სახელმწიფო მენეჯმენტის თვალსაზრისით, ბირთვული

იარაღი ცუდი აქტივი იყო – მას ხომ, ჩვეულებრივი იარაღისაგან განსხვავებით, მსოფლიო იარაღის ბაზარზე ვერ გაიტანდი გასაყიდად და სოლიდური შემოსავლის მისაღებად. ამერიკელებისათვის ორმაგად ხელსაყრელი იყო საბჭოთა კავშირთან პირისპირ დგომის გადატანა ბირთვული შეიარაღების სფეროდან ეკონომიკისა და სოციალურ-განვითარების სფეროში.

თავისებურად უნიკალური ფიგურაა ამერიკის თითქმის ყველა პრეზიდენტი, მაგრამ რიჩარდ ნიქსონი გამორჩეულია საგარეო პოლიტიკის კოვბოური სტილით, გეოპოლიტიკური ჭვრეტის უნარით და მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებზე უშეცდომო რეაგირებით. არატიპიური იყო მისი პოლიტიკური კარიერაც და კრახიც. ისტორიული უსამართლობა იყო ისიც, რომ ქვეყნის წინაშე ნიქსონზე გაცილებით ნაკლები დამსახურების მქონე და უინიციატივო, ინერტულმა არაერთმა პრეზიდენტმა, დაასრულა მშვიდად კონსტიტუციური ვადა და მშვიდათვე მიეცა დავიწყებას. ვიეტნამის ომმა და მმართველობის „გარეგნობამ“ არცთუ სამართლიანად განსაზღვრა მასობრივი არაკეთილგანწყობილება ნიქსონის პიროვნების მიმართ.

ამერიკის 37-ე პრეზიდენტი ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ შედარებით მეტი ადგილი დავუთმოთ დასანანი შეცდომის მსხვერპლად ქცეული არაორდინარული ადამიანის ცხოვრების გზას. თუ არა „უოთერგეიტი“, „ამერიკული ოცნების“ მიწიერ ილუსტრაციადაც კი იქცეოდა მისი ბიოგრაფია: სამხრეთ კალიფორნიელი უბრალო, მორწმუნე კვაკერულ ოჯახში დაბადებული, უკვე კოლეჯშივე გამოირჩეოდა ინტელიგენტურობით, სპირტულობით, მუსიკალური ნიჭითა და რაც მთავარია – განათლებისადმი სწრაფვით. სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების (სამართლის განხრით) შემდეგ, იგი, როგორც კვაკერი, სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებული კი იყო, მაგრამ როგორც კი ამერიკა მეორე მსოფლიო ომში ჩაერთო, ახალგაზრდა ნიქსონი მოხალისედ ჩაეწერა სამხედრო-საზღვაო ძალებში. ომიდან დაბრუნებულმა განათლებულმა, კონსერვატიული იდეებისა მატარებელმა ნიქსონმა, რომელსაც არც პოლიტიკური პატივმოყვარეობა აკლდა, მალე მიიქცია რესპუბლიკური პარ-

ტიის ბოსების ყურადღება და წინადადება მიიღო კენჭი ეყარა ქვეყნის შტატების წარმომადგენელთა პალატის წევრობაზე. მოუგო რა არჩევნები 13 პროცენტიანი სხვაობით თავის დემოკრატ კონკურენტს, 1946 წელს, 33 წლის ნიქსონი, უკვე საკმაოდ ცნობილი ანტიკომუნისტი, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის წევრი ხდება. იგივე მაკარტისა და „წითელ ეშმაკებზე" მებრძოლ სხვა კოლეგებისაგან განსხვავებით, ნიქსონი არასოდეს არ ყოფილა ფანატიკოსი ანტიკომუნისტი, თუმცა მუდამ პრინციპულად იბრძოდა კომუნიზმის შესაჩერებლად. ბევრი კონსერვატორი რესპუბლიკელისაგან განსხვავებით, იგი ჯორჯ მარშალის გეგმის აქტიური მხარდამჭერიც იყო.

1952 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ორივე რესპუბლიკელი კანდიდატი, გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერიცა და რობერტ ტაფტიც, აქტიურად ცდილობდნენ უკვე სენატის წევრი ნიქსონი თავიანთ მეწყვილე ვიცე-პრეზიდენტობაზე დაეთანხმებინათ. უკანასკნელმა არჩევანი ომის გმირი გენერლის სასარგებლოდ გააკეთა და მასთან ერთად გაიმარჯვა კიდეც არჩევნებში. მომავალი ვიცე-პრეზიდენტი წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში კინაღამ უკანონო შემოწირულებაზე ბრალდების მსხვერპლადაც იქცა, მაგრამ ნიქსონმა ყველა ბრალდებას თავი მარჯვედ დააღწია, თუმცა პარანოიდალური ზიზღი განუმტკიცდა ყველა ტენდენციურად და კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტისადმი.

ეიზენჰაუერსა და ნიქსონს შორის ახლო პირადული ურთიერთობა ვერ ჩამოყალიბდა, მაგრამ ვიცე-პრეზიდენტი მნიშვნელოვან კონსტრუქციულ როლს ასრულებდა ადმინისტრაციასა და რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობას შორის კონტაქტებში. ამავე დროს იგი სისტემატურად მონაწილეობდა როგორც მთავრობის, ასევე უსაფრთხოების ეროვნული საბჭოს სხდომებში და 1955 და 1957 წლებში პრეზიდენტსაც ცვლიდა, როცა ეს უკანასკნელი ავადმყოფობდა. სწორედ ვიცე-პრეზიდენტობის პერიოდში ჩამოუყალიბდა ნიქსონს ცხოველი ინტერესი საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის მიმართ. ამერიკის ისტორიაში არცერთ მის კოლეგას არ უმოგზაურია

მასავით ხშირად მსოფლიოს ქვეყნებში, თანაც ოფიციალური ვიზიტებით (61 ოფიციალური ვიზიტი!). მთლიანობაში კი, პრეზიდენტობის პერიოდის ჩათვლით, მასზე ხშირად მხოლოდ თეოდორ რუზველტი მოგზაურობდა. იმის თქმაც კი შეიძლება, რომ ნიქსონმა, როგორც ვიცე-პრეზიდენტმა, ამერიკის პოლიტიკური სისტემისათვის უჩვეულოდ სოლიდური გავლენა და პოლიტიკური წონა მოიპოვა, რამაც პრაქტიკულად უალტერნატივოდ აქცია პრეზიდენტის პოსტზე მისი, როგორც რესპუბლიკური პარტიის კანდიდატობა. ვერც პარტიის შიგნით მძლავრმა კონკურენციამ და ვერც ეიზენჰაუერის უარყოფითმა დამოკიდებულებამ ვერ შეუშალა ხელი მის ნომინაციას 1960 წლის არჩევნებზე.

როგორც ცნობილია ჯონ ფიცჯერალდ კენედიმ 0.17%-იანი სხვაობით შეძლო ნიქსონის დამარცხება. როგორც ექსპერტები და მიმომხილველები აღნიშნავდნენ, არჩევნების შედეგებზე ორმა ფაქტორმა იქონია გადამწყვეტი როლი: წინასაარჩევნო კამპანიების ისტორიაში პირველმა ტელედებატებმა, როცა ნიქსონი გადაღლილად გამოიყურებოდა და ორ შტატში – ილინოისსა და ტეხასში სავარაუდო მანიპულაციებმა. დამარცხებულმა კანდიდატმა ორი წლის შემდეგ სცადა რევანშის აღება კალიფორნიაში, გუბერნატორად არცევის დროს, თუმცა მას იმ პერიოდში ფორტუნამ აშკარად ზურგი შეაქცია – ნიქსონი გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდა. თითქოს შეეგუა კიდეც დამარცხებასა და პოლიტიკიდან წასვლას – მან „უკანასკნელ პრესკონფერენციაზე“ ჟურნალისტები გვარიანად გამოლანძღა, რაც იმის ყველაზე დამაჯერებელი და უტყუარი არგუმენტი იყო, რომ იგი საერთოდ აღარ აპირებდა საჯარო პოლიტიკაში გამოჩენას ან ნებისმიერი არჩევითი თანამდებობისათვის ბრძოლას (ვინ სულელი გადაიკიდებდა ამერიკაში ასეთ დროს სამუდამოდ ჟურნალისტებს?). ვაშინგტონიდან ოჯახი ნიუ-იორკში გადასახლდა, ხოლო ნიქსონმა კი სამსახური ერთ-ერთ საქვეყნოდ ცნობილ ადვოკატურ ფირმაში დაიწყო. ამერიკული ტრადიციით, მისთვის, როგორც ადმინისტრაციის ყოფილი მაღალი თანამდებობრივი პირისათვის, კერძო სექტორის ყველა კარი ღია იყო.

დიალექტიკის კანონი გვასწავლის, რომ დედამიწაზე უცვლელი და მუდმივი არაფერია. 1960-იან წლებში ამერიკაშიც ბევრი რამ შეიცვალა: უპირველეს ყოვლისა, ვიეტნამმა ჯერ საშიში ნაპრალი გააჩინა ქვეყნის საზოგადოებაში, შემდეგ კი ფორსირებულად იწყო მისი უფსკრულად ქცევა. ჯონ კენედის მკვლელობამ, ლინდონ ჯონსონის უიღბლო მმართველობამ, როდესაც ადმინისტრაციისა და პირადად პრეზიდენტის არაპოპულარობამ ისტორიულ პიკს მიაღწია (კიდევ ერთი ისტორიული უსამართლობა – თავად ჯონსონს ნაკლები წვლილი მიუძღვოდა ამაში), როდესაც პრეზიდენტმა საკუთარი პარტიის ეროვნულ კონვენტზე მისვლისაგანაც კი ხავი შეიკავა, უნიკალურად ხელსაყრელ გარემოს ჰქმნიდა ოპოზიციური პარტიისათვის. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ რიგითი ამერიკელები („ობივატელები") ძალზედ დააფრთხო ანტისამარი პროტესტის უკიდურესად რადიკალიზირებულმა აგრესიულობამ, ხშირად ყოველგვარ გონივრულ ზღვარს გადასულმა, რაც ამერიკულ ტრადიციებსა და პატრიოტობასაც კი უქმნიდა საფრთხეს, ნიქსონის ყაიდის ლიდერებზე მოთხოვნილება ბუნებრივი უნდა ყოფილიყო. შინაგანად შეშფოთებულ „მდუმარე უმრავლესობას" დიდ პოლიტიკაში დასაბრუნებლად გამზადებულ ნიქსონში უნდა დაენახა ადამიანი, რომელსაც შეეძლო „კანონისა და წესრიგის" აღდგენა და ერის გაერთიანება.

შიდაპარტიულ პრაიმერებზე ნიქსონმა „ცალი ხელით" დაამარცხა მილიარდელი ნელსონ როკფელერი და რონალდ რეიგანი, ხოლო მისთვის ბედის საჩუქრად ქცეული რობერტ კენედის მკვლელობის შემდეგ შოკში მყოფი დემოკრატების ნაუცბათევმა კანდიდატმა სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა ვერ შესძლო. ყველა სიკეთესთან ერთად, დემოკრატების კანდიდატი ჰუბერტ ჰემფრი ლინდონ ჯონსონის ვიცე-პრეზიდენტი იყო და პირდაპირ ასოცირდებოდა ვიეტნამის ომთან.

ბუნებრივია, რომ ომის თემა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხი იყო წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში. ნიქსონმა მოხერხებულად მიაბა ომს ქვეყნის შიგნით არსებული ყველა პრობლემა, დანაშაულის ზრდით დაწყებული და საბიუჯეტო პრობლემით დამთავრებული.

ომის თემის დელიკატურობიდან გამომდინარე, მან სარისკოდ თამამი ტაქტიკა აირჩია: იგი აცხადებდა, რომ ჰქონდა „საპატიო ზავის“ საიდუმლო გეგმა, რომლის განხილვებსაც გაპრეზიდენტების შემდეგ დაიწყებდა წარმატების სრული გარანტიით. საბოლოო ჯამში, მან შტატების უმრავლესობაში გაიმარჯვა და საარჩევნო კოლეგიამაც აბსოლუტური უმრავლესობით აირჩია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად.

ფეხბედნიერი აღმოჩნდა თეთრი სახლისათვის ნიქსონი: ერთი წელიც არ იყო გასული ოვალურ კაბინეტში მისი შესვლიდან და ამერიკამ მთელი მსოფლიო გააოცა ფანტასტიური მიღწევით: როდესაც ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული კოსმოსში ფრენა და დავიწყებასაც კი ეძლეოდა იური გაგარინის ფენომენი, ამერიკელმა ასტრონავტებმა ნილ ამსტრონგმა და მაიკლ ოლდრინმა მთვარეზე გაისეირნეს. რასაკვირველია, ფანტასტი მწერლების ოცნებების რეალობად ქცევამ საგრძნობლად აღადგინა ამერიკელთა რწმენა საკუთარი სახელმწიფოს მიმართ, მაგრამ გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა ვიეტნამის ომი, რაც ქვეყანას ყოველთვიურად 500 ახალგაზრდის სიცოცხლედ უჯდებოდა. 1969 წლის „ნიქსონის დოქტრინის“ საკვანძო მომენტიც ამიტომ იყო ამერიკელთა საბრძოლო დანაკარგების შემცირებაზე გათვლილი. ამ კურსს მალე ომის „ვიეტნამიზაცია“ ეწოდა. სტრატეგია ლოგიკურ პრაგმატიზმს ეფუძნებოდა: ამერიკის იარაღითა და აღჭურვილობით თავად სამხრეთ ვიეტნამის არმიას უნდა დაეცვა საკუთარი თავიცა და ქვეყანაც კომუნისტური აგრესიისაგან. იმავე წლის ზაფხულში დაიწყო 550 000 ამერიკელი ჯარისკაცის სამშობლოში თანდათანობითი დაბრუნების პროცესი, რომელიც 1973 წლის გაზაფხულზე დასრულდა. პარალელურად, 1970 წლიდან ჩრდილოეთ ვიეტნამელებთან საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა კისინჯერი. მიუხედავად გაჭიანურებული მოლაპარაკებებისა და მუდმივი მცდელობისა, რომ მაგიდასთან დაებრუნებინა ჩრდილოეთ ვიეტნამელი კომუნისტები, მიუხედავად იმისა, რომ ნიქსონი იძულებული ხდებოდა „საშინაო“ და „საგარეო“ პროტესტების ფონზე ჩრდილოეთ ვიეტნამის ქალაქების დაბომბვები განეახლებინა, მან

მაინც გაართვა თავი ურთულესი წინააღმდეგობების მთელ თაიგულს. ადმინისტრაციის საგარეო-პოლიტიკურ წარმატებას ვერავინ ვერ უარყოფდა. მხოლოდ ის ფაქტი რად ღირდა, რომ კომუნისტების სკალპებზე ცნობილმა მონადირემ, მეტ-ნაკლები წარმატებით შესძლო ურთიერთობების დარეგულირება მსოფლიოს ორივე კომუნისტურ გიგანტთან და პირველ ამერიკელ პრეზიდენტად იქცა, რომელიც სამშვიდობო ვიზიტით ჩავიდა 1972 წელს პეკინსა და მოსკოვში. ნიქსონისათვის, ისევე როგორც მისი სრული ნდობით აღჭურვილი კისინჯერისათვის (ორივენი თავს „რეალურ პოლიტიკოსებად“ თვლიდნენ) მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნდა იდეოლოგიურ თუ მორალურ მოსაზრებებს. ორივე მათგანს ერთნაირად არ ეპრიანებოდათ საზოგადოებრივი აზრის მომაბეზრებელი ჩარევები დიპლომატიაში, ისევე როგორც საპარლამენტო კონტროლი. განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა კონგრესის წინააღმდეგობის დაძლევა, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტი ენერგიითა და დაჟინებით ითხოვდა თავისი საკონსტიტუციო უფლებებისადმი პატივისცემას. 1972 წელს, მიუხედავად ნიქსონის ვეტოსი, კონგრესმა მაინც მიიღო კანონი, რომელიც პრეზიდენტს ავალებდა 48 საათის განმავლობაში ეცნობებინა კანონმდებლებისათვის საზღვარგარეთ ძალის გამოყენების მიზნით ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ და თუ კონგრესი არ დათანხმდებოდა ომის გამოცხადებაზე, ადმინისტრაცია ვალდებული იყო 60 დღეში შეეწყვიტა საბრძოლო მოქმედებები.

1972 წლის არჩევნებში „მშრალი ანგარიშით“ გამარჯვების შემდეგ, თითქოს მეტი ეფექტით უნდა ამუშავებულიყო ნიქსონ-კისინჯერის დიპლომატია, მაგრამ ერთი მხრივ, ამას ხელს უშლიდა კონგრესის დაუფარავი ობსტრუქციული კურსი და დღითიდღე მზარდი „უოთერგეიტის“ სკანდალი, მეორე მხრივ კი, ოკეანის არცერთ მხარეზე არ გამართლებული განმუხტვის მოლოდინი. არც 1973 წელს ამერიკაში ბრეჟნევის ვიზიტს არ მოჰყვა რაიმე ხელმოსაკიდი შედეგი შეიარაღებაზე კონტროლის სფეროში, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა კონგრესის სკეპტიციზმი და წინააღმდეგობა. თითქოს ეს ყველაფერი საკმარისი არ იყო და ადმინისტრაცია კიდევ ერთი მოულოდნელი და

სპეციფიურად ძალზედ დელიკატური დილემის წინაშე აღმოჩნდა, 1973 წლის ოქტომბერში ისრაელ-არაბების მორიგი ომის სახით. ადმინისტრაციის სასიკვდილო ცოდვად აღიქვა ასზე მეტმა გავლენიანმა ებრაულმა ლობისტმა ორგანიზაციამ თეთრი სახლის გადაწყვეტილება დროებით შეეჩერებინა ისრაელისთვის დახმარება თელავივის მიერ დაზავების ხელშეკრულების დარღვევის საპასუხოდ. მართალია, კისინჯერმა შესძლო თავისი ცნობილი „მაქოსებური დიპლომატიით" მშვიდობის აღდგენა და ნიქსონიც როგორც სასურველი შუამავალი, ისე მიიღეს ეგვიპტეში 1974 წელს, მაგრამ მაინც შეუძლებელი აღმოჩნდა არაბთა ემბარგოთი გამოწვეული ნავთობზე ფასების კატასტროფული ზრდის შეჩერება. ნიქსონი მისგან დამოუკიდებელი გარემოებების ხაფანგში აღმოჩნდა: ერთი მხრივ, საერთაშორისო არენაზე იგი კვლავინდებურად რჩებოდა ერთ-ერთ ცენტრალური ფიგურად და მაღალი იყო მისი, როგორც სანდო პარტნიორის პირადი გავლენა საერთაშორისო მასშტაბის მოლაპარაკებებში, მეორეს მხრივ კი, მისი ხელისუფლების ეროზია თვით ამერიკაში კატასტროფულად ზღუდავდა მისივე საგარეო-პოლიტიკურ აქტივობასა და ეფექტს. უშედეგოდ დასრულდა 1974 წელს რიჩარდ ნიქსონის უკანასკნელი ვიზიტი საბჭოთა კავშირში, თუმცა კი იმედოვნებდა, რომ უკან სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებით დაბრუნდებოდა. ამერიკული გაზეთები იმასაც კი ქილიკობდნენ, რომ პრეზიდენტი მოსკოვში პოლიტიკური თავშესაფარის სათხოვნებლად მიემგზავრებაო.

გაპრეზიდენტებამდე ნიქსონი ხშირად იმეორებდა, რომ ამერიკას პრეზიდენტი მხოლოდ საგარეო პოლიტიკისათვის ესაჭიროება. გაპრეზიდენტების შემდეგ „ახალი ფედერალიზმის" დროშით, ზოგიერთ შტატს კი დაუბრუნდა მანამდე ჩამორთმეული უფლებები და ფინანსური წყაროები, მაგრამ ფედერალურ აღმასრულებელ ხელისუფლებას თავისი უფლებები იოტის ოდენადაც არ დაუთმია. უფრო მეტიც – თეთრ სახლში ხელისუფლების ცენტრალიზება მოხდა: ნაცვლად რეგლამენტირების გამარტივებისა, ორი ახალი ფედერალური ორგანო შეიქმნა. თვით ამერიკული სტანდარტებისათვისაც კი უჩვეულო

მასშტაბებს მიაღწია ადმინისტრაციისა და კონგრესს შორის ღიად მისულმა მტრულმა დამოკიდებულებამ, რაც მხოლოდ ორივე პალატაში არსებული დემოკრატიული უპირატესობით არ იყო გამოწვეული. საქმე ის იყო, რომ კონგრესთან ურთიერთობებს პრეზიდენტი ხელისუფლებისათვის სამკვდრო-სასოცოცხლო ბრძოლად განიხილავდა. ჯერ კიდევ 1969 წელს, სენატმა ერთსულოვანი ენთუზიაზმით დაბლოკა პრეზიდენტის მცდელობა ქვეყნის უზენაეს სასამართლოში ორი სამხრეთელი კონსერვატორი მოსამართლის დანიშვნაზე, პრეზიდენტმა კი არადამაჯერებელი არგუმენტებით გაყინა კონგრესის მიერ განსაზღვრული ხარჯები, რომელსაც ადრე მან ვეტო დაადო, ხოლო სენატმა იგი დაძლია.

საკვირველი იყო, რომ იგივე ნიქსონი, რომელიც მშვენივრად ახერხებდა საერთო ენა გამოენახა კომუნისტური სამყაროს ლიდერებთან, საშინაო პოლიტიკაში სულით ხორცამდე იყო გამსჭვალული მონიხეისტური აზროვნებით, ანუ როცა მნიშვნელობა არ აქვს მტერია თუ მოყვარე, რომლის წინააღმდეგ ნებისმიერი საშუალება იყო დასაშვები. ნიქსონისათვის არ არსებობდა ლეგიტიმურ ოპოზიციასა და ძირგამომთხრელ საქმიანობას შორის გამმიჯნავი ხაზი. მისი დავალებით იქმნებოდა „მტრების სიები“ და ისმინებოდა მისადმი ოპოზიციურად განწყობილი ჟურნალისტების სატელეფონო საუბრები. 1970 წელს ნიქსონმა მოიწონა ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო მოძრაობის დისკრედატაციის ფართომასშტაბიანი გეგმა, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და გამოძიებათა ფედერალური ბიუროს ჩართულობასაც ითვალისწინებდა. გეგმა მხოლოდ ბიუროს ლეგენდარული შეფის, ედგარ ჰუვერის სასტიკი წინააღმდეგობის გამო არ განხორციელდა. ჰუვერს ფედერალური პოლიციის დამოუკიდებლობის დაკარგვის შეეშინდა, სამაგიეროდ, თეთრმა სახლმა სპეციალური საიდუმლო ე.წ. „მეთუნუქეთა“ რაზმი შექმნა: როდესაც „ნიუ-იურკ თაიმსმა“ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ყოფილი თანამშრომლის დანიელ ელსბერგის სკანდალური ინფორმაციების გამოქვეყნება დაიწყო და უზენაესმა სასამართლომ მოიწონა გაზეთის ინიციატივა პუბლიკაციებთან დაკავშირებით, „მეთუნუ-

ქეებმა“ ელსბერგის დისკრედიტაციაზე დაიწყეს მუშაობა, მაგრამ წარუმატებლად.

მთავარი ნაღმი, რომელზეც ნიქსონი „აფეთქდა“, „უოთერგეიტის“ სკანდალი იყო: დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო შტაბ-ბინაში (ვაშინგტონის სასტუმრო-ადმინისტრაციულ კომპლექს „უოთერგეიტში“) ხმის ჩამწერი მოწყობილობების დამონტაჟების იდეა ისევ „მეთუნუქეების“ ხელმძღვანელების – ამერიკის მთავარი სპეც-სამსახურების ყოფილი აგენტების ჰოვარდ ჰანტისა და გორდონ ლიდის იდეა იყო. სხვათა შორის, ამერიკელი ექსპერტებისათვის დღემდე გაურკვეველია „უოთერგეიტში“ შეჭრისა იქ მოსასმენი აპარატურის დაყენების კონკრეტული მოტივაცია. ცნობილია, რომ 1970-იანი წლების დასაწყისში დემოკრატიული პარტია ჯერ კიდევ ღრმა კრიზისში იმყოფებოდა ძმები კენედების ტოლფას შემცვლელ ლიდერთა მწვავე დეფიციტის გამო და რიჩარდ ნიქსონს ყოველი სოციოლოგიური გამოკვლევა უპრობლემო გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა. ასე თუ ისე, როდესაც „მეთუნუქეებმა“ გაარკვიეს, რომ მათ მიერ დამონტაჟებული ხმას ჩამწერი აპარატურა არ მუშაობდა, მიკროფონების შესაცვლელად მეორედ შეიპარნენ დემოკრატების შტაბ-ბინაში და სასტუმროს დაცვამ ხუთივე მათგანი ადგილზევე დააკავა. პოლიციამ ოპერატიულად დაადგინა მათი ხელმძღვანელი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი აგენტი მაკოსდო, რომელიც საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ნიქსონი მეორედ პრეზიდენტი“-ს უსაფრთხოების სამსახურს ხელმძღვანელობდა, გუვერის ბიურომ კი ჰანგისა და ლიდის იდენტიფიცირება მოახდინა. რასაკვირველია, „მეთუნუქეები“ ნიქსონის პირადი დავალებით არ მოქმედებდნენ და მათ იგი არც საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ დემოკრატების შტაბში შეპარვის თაობაზე, თუმცა სკანდალის გახმაურება მაინც საშიში იყო პრეზიდენტისათვის და ამიტომ იგი სკანდალის მიჩქმალვას შეეცადა. ბრალდებულებს გაჩუმებისათვის სოლიდურ გასამრჯელოს შეპირდნენ, ედგარ ჰუვერი კი დაიყოლიეს, რომ გამოძიება არ დაეწყო („ეროვნული უსაფრთხოების“ საბაბით).

როგორც მოსალოდნელი იყო, 1972 წლის 7 ნოემბერს, ხმების დიდი უპირატესობით, ნიქსონი მეორედ აირჩიეს ამერიკის პრეზიდენტად. მის კონკურენტს, დემოკრატული პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელ ჯორჯ მაკჰოვერნს, თავიდანვე არ ჰქონდა გამარჯვების შანსი, რაც პრაქტიკულად მთელი ამერიკისათვის იყო ცნობილი.

უკვე არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენები იმის ღია გაკვეთილად იქცა, თუ რა განსხვავებაა „ჩვეულებრივ" და დემოკრატულ საზოგადოებებს შორის; „ვაშინგტონ პოსტის" რეპორტიორებმა იმდენი იქექეს ნიქსონის წინასაარჩევნო კამპანიაში, რომ პრეზიდენტის გუნდის წევრების მიერ ჩადენილი არალეგალურ ქმედებებს მიაკვლიეს და ამით საზოგადოების დაინტერესება შეძლეს. ამავე დროს, დაპატიმრებული „მეთუნუქეების" პროცესის მოსამართლე ჯონ სირიკა ხანგრძლივი პატიმრობებით დაემუქრა ბრალდებულებს, თუ ისინი სიმართლეს არ იტყოდნენ. შეშინებულმა „მეთუნუქეებმა" აღიარეს, რომ „გაჩუმებისა და შეწყალების დაპირების სანაცვლოდ ფული აიღეს". პრეზიდენტმა უკეთესი ვერაფერი ვერ მოიფიქრა, გარდა იმისა, რომ სამსახურიდან დაეთხოვა იუსტიციის მინისტრი და ადმინისტრაციის რამდენიმე სკანდალში უკვე გახვეული თანამშრომელი. იუსტიციის ახალმა მინისტრმა კი, ნიქსონის დავალებით, საქმის გამოსაძიებლად საგანგებო საქმეთა დამოუკიდებელ პროკურორად ჰარვარდელი იურისტი არჩიბალდ კოკსი დანიშნა.

იმავე დღეებში ტელევიზიით გადაიცემოდა სენატის საგანგებო კომიტეტის სხდომები, რომლის მსვლელობაშიც ადმინისტრაციის მაღალი რანგის თანამშრომელმა ალექსანდრე ბატერჰილდმა აღიარა, რომ თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში წარმოებული ყველა საუბრები იწერებოდა. ე.ი. არსებობდა ჩანაწერები იმის თაობაზე, თუ რა იცოდა პრეზიდენტმა დემოკრატების ოფისში შეპარვაზე და როდის გაიგო მომხდარი. ნიქსონისათვის ეს საბედისწერო აღიარება 1973 წლის 13 ივნისს მოხდა (მართლაც, რომ თარსი აღმოჩნდა პრეზიდენტისთვის ციფრი 13).

როგორც კი გასაჯაროვდა ცნობა, რომ თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში პრეზიდენტის კონფიდენციალური საუბრების ჩანაწერები ინახებოდა, დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა ადმინისტრაციასა და საგანგებო პროკურორ კოკს შორის, რომელიც დაჟინებით თხოულობდა ხსენებულ ჩანაწერებს. სკანდალი კიდევ უფრო გამწვავდა, როდესაც იუსტიციის მინისტრმა და მისმა მოადგილემ ოფიციალურად უთხრეს უარი ნიქსონს კოკსის თანამდებობიდან გადაყენებაზე და ადმინისტრაციის მხრიდან არაკონსტიტუციური ზეწოლის პროტესტის ნიშნად თავად გადადგნენ. სამინისტროს ხელმძღვანელობაში დარჩენილმა, თანამდებობით მესამე პირმა კი ზეწოლის ვერ გაუძლო და კოკსი გადააყენა. საზოგადოებრივმა ვნებათა ღელვამ თითქმის პიკს მიაღწია და ნიქსონი იძულებული იყო ახალი დამოუკიდებული პროკურორი დანიშნა, რომელიც პრეზიდენტის მიმართ კოკსზე მეტად ლოიალური არ იყო.

1973 წლის 30 ოქტომბერს კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა წამოიწყო. 1974 წლის აპრილში თეთრმა სახლმა თვითონ გამოაქვეყნა საიდუმლო ჩანაწერების 1200 გვერდიანი ასლები. გამოქვეყნებული მასალის შინაარსმა უამრავი კითხვები დასვა ორიგინალთან მის იდენტურობაზე. ამერიკელთა უმრავლესობა გაოცებული და შეძრწუნებული იყო თეთრ სახლში დამკვიდრებულ ურთიერთობათა ვულგარული ტონითა და იმით, რასაც დღეს „ქურდულ მენტალიტეტს“ უწოდებთ.

სკანდალური ისტორიის ფინალი კი 1974 წლის ივლის-აგვისტოში დადგა, როდესაც ამერიკის უზენაესმა სასამართლომ თეთრ სახლს მოსთხოვა ყველა საიდუმლო ჩანაწერი წამომადგენელთა პალატის იუსტიციის კომიტეტისათვის გადაეცა. 30 ივლისს კომიტეტმა სამი საიმპიჩმენტო მუხლი დაადგინა: პრეზიდენტს ბრალი ედებოდა თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, ყალბი ჩვენებების მიცემაში და კონგრესის კონსტიტუციური უფლებებისადმი უპატივცემულობაში. საზოგადოების მხრიდან ზეწოლამ უკვე ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ 5 აგვისტოს ნიქსონი იძულებული შეიქნა საარჩევნო შტაბის უფროს ჰალდემონთან 1972 წლის 23 ივნისის საუბრის მანამდე

გაუსაჯაროებული ჩანაწერები გამოექვეყნებინა. ჩანაწერები ეჭვს არ სტოვებდა, რომ ნიქსონი და მისი შტაბის უფროსი სკანდალის ნეიტრალიზების გეგმებზე საუბრობდნენ. ეს უკვე პრეზიდენტის პოლიტიკური ეპიტაფია იყო. რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობამ თავაზიანად მიანიშნა პრეზიდენტს, რომ ის უნდა გადამდგარიყო.

1974 წლის აგვისტოს რიჩარდ ნიქსონმა სატელევიზიო გაცხადება გააკეთა გადადგომაზე, თუმცა არ აღიარა დანაშაული და გადადგომის ერთადერთ მიზეზად „პოლიტიკური ბაზის დაკარგვა" დაასახელა. 9 აგვისტოს ვიცე-პრეზიდენტს ჯერალდ ფორდისათვის ხელისუფლების გადაცემით დასრულდა იმპიჩმენტის პროცედურა და არა სისხლის სამართლებრივი დევნა. ერთი თვის შემდეგ, ახალმა პრეზიდენტმა საჯაროდ მოიხადა ბოდიში ყველა იმ დანაშაულისათვის „რაც შესაძლოა ჩაიდინა" ნიქსონმა და პატიებით გადაარჩინა იგი დამამცირებელი სასამართლო პროცესისაგან.

მთელი ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერის მანძილზე ნიქსონი დამარცხებას არასდროს არ შეგუებია. გამონაკლისი არც 1974 წლის ზაფხულში დაუშვა და თავის უკანასკნელ მომხრეებთან გამომშვიდობებისას აღნიშნა, რომ იმ დღიდანვე იწყებდა რეაბილიტაციისათვის ბრძოლას. 20 წელი მოანდომა ამ თითქოს და უიმედო, თავის სიცოცხლეში უკანასკნელ კამპანიას ამ ადამიანმა, რომელშიც ბრწყინვალე პოლიტიკურ ანალიტიკოსს მუდამ ამარცხებდა ხელისუფლებისადმი ლტოლვის პარანოიდალურად შურისმაძიებელი ინსტინქტი. თეოდორ რუზველტისა და აბრამ ლინკოლნისაგან განსხვავებით, რომელთა სურათებიც ეკიდა ოვალურ კაბინეტში (ამერიკაში ყოველი ახალი პრეზიდენტი თითონ ირჩევს წინამორბედთა სურათებს ოვალური კაბინეტისათვის), მისთვის უცხო იყო დიდსულოვნება და ყველა საშუალებები იყო მისაღები მიზნის მისაღწევად.

გადადგომის შემდეგ ცხრა წიგნი გამოსცა ნიქსონმა და თუ სრულ პოლიტიკური რეაბილიტაციას არა, ამერიკელთა მხრიდან პატიებას მაინც მიაღწია. მან შეძლო საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბრუნება და როდესაც 1994 წლის 22 აპრილს იგი გარდაიცვალა, არა მხოლოდ სახელმწიფო მოღვაწეთა დონეზე იქნა მიწას მიბარებული, თვით

პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა – ადამიანმა, რომელიც 1960-იან წლებში, ვიეტნამის ომთან დაკავშირებით, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მის საწინააღმდეგო ქუჩის აქციებში – გამოსამშვიდობებელი სიტყვა წარმოთქვა.

თუმცა „უოთერგეიტი“ არასოდეს არ იქნება ამერიკაში დავიწყებული, ნიქსონის გადადგომა კიდევ ერთი ხელიდან გაშვებული შანსიც იყო. ნიქსონისა და ფორდის შემდეგ რესპუბლიკურ პარტიაში რელიგიური ფუნდამენტალისტებისა და ჩაურევლობის კურსის მომხრეთა პოზიციები გაძლიერდა. ნიქსონისეული ზომიერი სოციალ-სახელმწიფოებრივი ორიენტაცია და ინტერნაციონალური პრაგმატიზმი დიდი ხნით გაქრა პარტიის საპროგრამო დოკუმენტებიდან.



თავი ოცდამეოთხე
ავღანეთი: საბჭოთა იმპერიის აგონიის დასაწყისი

დღემდის დავაა რუსულ და უცხოურ საექსპერტო წრეებში ავღანეთის სამოქალაქო ომში საბჭოთა კავშირის ჩართვის აუცილებლობასა და კომუნისტური იმპერიის ნგრევის პროცესში მის როლზე. მაშინ, როდესაც სულ რამდენიმე წელი იყო გასული ვიეტნამის გაკვეთილიდან და კიდევ ძლიერი იყო მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს ისტორიული შეცდომის მეხსიერება, რომელ იმქვეყნიურ სატანისტურ ძალას უნდა აეძულებინა ასეთ სიბრიყვეზე კრემლის უხუცესები? ცხადია, რომ 1978 წლის 12 დეკემბერს სპონტანურად და ცარიელ ადგილზე არ მიუღია საბჭოთა კომუნისტების პოლიტბიუროს მეზობელ სუვერენულ სახელმწიფოში ჯარების შეყვანის საბედისწერო გადაწყვეტილება. პრობლემას თავისი ისტორიული ფონი გააჩნდა, რისი გახსენებაც ზედმეტი არ უნდა იყოს შედარებით სრული სურათის შესაქმენლად.

როდესაც XIX საუკუნის შუა პერიოდში რუსეთმა ერთი მეორეზე მიყოლებით მიიერთა ცენტრალური აზიის სახანოები და ინდოეთს მიუახლოვდა, დიდი ბრიტანეთი აიძულა თავისი „გვირგვინის

ყველაზე დიდი ბრილიანტის“ დასაცავად ჰინდუყუშამდე გაეფართოებინა იმპერიის საზღვრები. ინდოეთისაკენ მიმავალი გზა ისტორიულად გადიოდა ავღანეთზე და ლონდონიც ორი ომით (1839-1842 წ.წ. და 1878-1880 წ.წ.) შეეცადა ორ კოლონიურ იმპერიას შორის დამცავი ბუფერის შექმნას. მან ეს თითქმის შესძლო კიდეც, როდესაც 1896 წელს ავღანეთის საზღვრები დადგინდა. ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ლონდონიდან იმართებოდა, შიგნით კი მყარ სახელმწიფო სტრუქტურებსა და არმიას ემირი აბდულ რაჰმან ხანი აკონტროლებდა.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ავღანეთის მეფემ ამანულა ხანმა შექმნილი სიტუაციით ისარგებლა და მესამე ომი წამოიწყო ბრიტანეთთან, რის შედეგადაც ინგლისელები დაემშვიდობნენ ავღანეთზე გავლენას და რეგულარული სუბსიდიებიც შეუწყვიტეს. რეგიონში ვითარება უკვე პაკისტანის შექმნის შემდეგ დაიძაბა, ვინაიდან ახლადშექმნილ სახელმწიფოში პუშტუნებით ტომით დასახლებული ავღანეთის ტერიტორიის ნაწილიც შევიდა. ამ პერიოდისათვის ქაბულს უკვე მეგობრული ურთიერთობები ჰქონდა დამყარებული მოსკოვთან, თან ვაშინგტონთანაც განაგრძობდა ფლირტს.



ნურ მუჰამედ თარაკი

ავღანეთსა და პაკისტანს შორის წამოჭრილ ტერიტორიულ დავაში ამერიკელებმა ისლამაბადის მხარე დაიჭირეს, როგორც სტრატეგიული თვალსაზრისით ავღანეთზე გაცილებით ძვირადღირებული მოკავშირის და ქაბულის რეჟიმს ყოველგვარი დახმარება შეუწყვიტეს.

ბუნებრივია, რომ მხოლოდ საბჭოთა დახმარების იმედზე დარჩენილ ავღანეთში სწრაფი ტემპებით ძლიერდებოდა მოსკოვის

გავლენა და არავის გაკვირვება 60-იან წლებში იქ კომუნისტური იდეოლოგიის მქონე პარტიის ჩამოყალიბება სახელწოდებით „ჰალკი“ (ხალხი), რომლის ლიდერი გახდა ნურ მუჰამედ თარაკი. 1987 წელს პარტიაში განხეთქილება მოხდა და პროსაბჭოურ ფრაქციას ავღანელი გენერლის შვილი ბაბრაქ ქარმალი ჩაუდგა სათავეში.

1973 წლის 17 ივნისს მეფე მუჰამედ ზაქირ შაჰი ტახტიდან ჩამოაგდო მისმა ბიძაშვილმა მუჰამედ დაუდ ხანმა, რომელიც თავად 1978 წლის 27 აპრილს პროკომუნისტური ფრაქციის მიერ მოწყობილი პუტჩის მსხვერპლად იქცა ახალმა მმართველმა ძალამ, რომელმაც „ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტია“ დაირქვა, პრემიერ-მინისტრი დაუდი და მისი 30 ნათესავ-მომხრე სიკვდილით დასაჯა. სამხედრო გადატრიალებას „აპრილის რევოლუცია“ ეწოდა. სახალხო-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, კომუნისტი ნურ მუჰამედ თარაკი ავღანეთის პრეზიდენტი გახდა, ხოლო ბაბრაქ ქარმალი ვიცე-პრეზიდენტობას დასჯერდა. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ერგო ჰაფიზულა ამინს. მალე მმართველ პარტიაში ფრაქციული დაპირისპირება კვლავ გამწვავდა და ქარმალი ჩეხოსლოვაკიაში „გააძევეს“ ელჩად. პრეზიდენტმა თარაკიმ ცალსახად აიღო კურსი საბჭოთა კავშირთან მეგობრობაზე და მასშტაბურ ეკონომიკურ და ფინანსურ დახმარებასთან ერთად ათასობით საბჭოთა „მრჩეველი“ მიიღო მოსკოვიდან.

ავღანეთის კომუნისტურმა მთავრობამ მთავარ მიზნად დაისახა ფორსირებული ტემპებით გარდაექმნა ნახევრადფეოდალური ქვეყანა თანამედროვე მოწინავე სოციალისტურ სახელმწიფოდ და რეალობის სრული იგნორირებით, დეკრეტებით დაიწყო სოციალური, საგანმანათლებლო და მიწის რეფორმების განხორციელება. შედეგი კი ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო: ყველა რეფორმა კრახით დამთავრდა. ფანატიურად მორწმუნე მუსულმანმა მოსახლეობამ ღიად დაიკავა მტრული პოზიცია მათთვის მიუღებელ ნოვაციებთან მიმართებაში. 70-იანი წლების დასასრულისათვის მმართველი

პარტიის წევრები და მომხრეები ერთად აღებულნი, ქვეყნის მოსახლეობის ნახევარ პროცენტზე ნაკლებს შეადგენდნენ.

1979 წლის აპრილში, ე.წ „აპრილის რევოლუციის“ წლისთავზე, ავღანეთის ყველა პროვინციაში ერთდროულად დაიწყო სახალხო აჯანყება კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ. მთავრობა მხოლოდ დიდ ქალაქებს აკონტროლებდა. ხელისუფლების მხრიდან რეპრესიებმა კიდევ უფრო დაძაბა ვითარება. წინააღმდეგობის მოძრაობა ისლამის დროშით წარიმართა, ხოლო პარტიზანები კი რწმენისათვის მებრძოლების „მოჯაჰედების“ სახელით შევიდნენ ისტორიაში. როდესაც აჯანყების ტალღამ მთლიანად მოიცვა სიდიდით ქვეყნის მეორე გერათის პროვინცია (თვით ადმინისტრაციული ცენტრის ჩათვლით), პრეზიდენტმა თარაკიმ პირველად მიმართა ჯარების შეყვანის თხოვნით მოსკოვს (სულ ოცამდე ასეთი თხოვნა იყო ჯარების შეყვანაზე). ამ დროისათვის კრემლში, პოლიტბიუროს შიგნით უკვე არსებობდა ცკ-ს კომისია ავღანეთის პრობლემაზე, რომლის ბირთვს წარმოადგენდნენ კგბ-ს თავმჯდომარე ანდროპოვი, თავდაცვის მინისტრი უსტინოვი და საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი გრომიკო. კომისიის დასკვნის საფუძველზე გადაწყდა თავი შეეკავებინათ უცხო ქვეყანაში ჯარის გაგზავნისაგან.

მიუხედავად ოფიციალური პოზიციისა, საბჭოთა თავდაცვის მინისტრმა, საკუთარი ზეპირი ბრძანებით მაინც დაიწყო ავღანეთში საჰაერო-სადესანტო დივიზიის გადასროლისათვის მზადება. ავღანეთში მკვეთრად გაიზარდა საბჭოთა სამხედრო მრჩევლების რაოდენობა: თუ 1979 წლის იანვარში მათი რიცხვი 400 იყო, ივნისში უკვე რაოდენობა 4500-მდე გაიზარდა.

ბუნებრივი იყო, რომ ავღანეთის მოვლენებს ცხოველი ინტერესით აკვირდებოდნენ და ყველაფრის საქმის კურსში იყვნენ ამერიკელებიც. 1979 წლის 3 ივლისს, პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა ხელი მოაწერა ავღანეთის ანტისამთავრობო ძალებისადმი დახმარებაზე საიდუმლო ბრძანებულებას. იხსენებდა რა იმ შფოთიანი დღეების ქრონიკებს, 1998 წლის იანვარში, კარტერის

ყოფილმა თანაშემწემ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ზბიგნევ ბზეჟინსკიმ ფრანგ ჟურნალისტთან საუბარში არ დამალა, რომ თეთრმა სახლმა ჯერ კიდევ ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანამდე დაიწყო ავღანელი პარტიზანების დახმარება, ხოლო როდესაც პრეზიდენტმა კარტერმა ზემოთ ხსენებულ ბრძანებას მოაწერა ხელი, ბზეჟინსკი მოხსენებით ბარათში წერდა, რომ მისი აზრით, პრეზიდენტის გადაწყვეტილება „საბჭოეთის სამხედრო ჩარევის დააჩქარებდა“. ჟურნალისტის რიტორიკულ შეკითხვაზე – ხომ არ ნანობდა ზბიგნევ ბზეჟინსკი მოვლენებში თავის როლზე, უკანასკნელმა გულახდილად გაიოცა: „ვნანობ? რაზე? ის საიდუმლო ოპერაცია (მოჯაჰებისადმი დახმარება – ს.ც.) ბრწყინვალე იდეა იყო. ამით რუსები ავღანეთის ხაფანგში შევიტყუეთ და თქვენ გინდათ მე ეს ვინანო? როდესაც საბჭოეთმა ოფიციალურად გადალახა [ავღანეთის] საზღვარი, მე პრეზიდენტს მივწერე: „ჩვენ ახლა საშუალება მოგვეცა საბჭოთა კავშირი საკუთარი ვიეტნამის ომით ვუზრუნველყოთ“ (160).

ჩაურევლობის შემთხვევაში „აპრილის რევოლუციის“ კრახი თავისი მოსალოდნელი შედეგებით, ერთადერთი უსიამოვნო სიურპრიზი არ იქნებოდა მოსკოვისათვის: ჯერ იყო და მოსკოვის კარტები 1979 წლის ირანის რევოლუციამ აურ-დაურია -ირანის სულიერი ლიდერის და ქვეყნის უზენაესი ხელმძღვანელის აიათოლა რუჰოლა ჰომეინის სტრატეგიული კურსი ანტიამერიკული კი აღმოჩნდა თავისი საბოლოო შედეგებით, მაგრამ ისიც ფაქტი იყო, რომ მოსკოვისათვის საშიშ დესტაბილიზაციის ელემენტებსაც უხვად შეიცავდა. შემდეგ იყო და 1987 წლის 12 დეკემბერს, როდესაც ცკ-ს პოლიტბიურო ავღანეთში საბჭოთა ჯარის ყოფნა-არყოფნაზე იმტვრევდა თავს, ვაშინგტონმა და ბონმა დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტების „პერშინგების“ განლაგების გადაწყვეტილება მიიღო, რომლებსაც რაღაც 7-9 წუთში ნაცარტუტად შეეძლოთ ექციათ საბჭოთა სამრეწველო ცენტრები. „ცივი ომის“ ლოგიკით კი ერთ რეგიონში

ზესახელმწიფოს პოზიციების დასუსტება სხვა რეგიონში გაძლიერებით უნდა კომპენსირებულიყო.

დავუბრუნდეთ ისევ 1970-იანი წლების მიწურულის ავღანეთს. ამ დროისათვის იქაური კომუნისტური ხელისუფლება კოსმოსური სისწრაფით კარგავდა კონტროლს მოვლენებზე. 1979 წლის სექტემბერში ავღანეთში მორიგი სახელმწიფო გადატრიალება მოხდა: ხელისუფლებას ჩამოშორებულმა ჰაფიზულა ამინმა მოახერხა და ჯერ დააპატიმრა პრეზიდენტი ნურ მუჰამედ თარაკი, შემდეგ კი მოაკვლევინა. მოსკოვში კარგად იცნობდნენ ამინის ამბიციებსა და სისასტიკეს ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. მალე მან ავღანეთის რეალობისათვისაც კი წარმოუდგენელი მასშტაბის რეპრესიები წამოიწყო არა მხოლოდ ისლამისტების, არამედ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის რიგითი წევრების წინააღმდეგაც კი. რეპრესიები შეეხო ხელისუფლების მთავარ დასაყრდენს – არმიასაც, რამაც კიდევ უფრო დასცა მისი ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფი ბრძოლისუნარიანობა. საბჭოთა კგბ-ს ინფორმაციით, 1960-იან წლებში ამინს სერიოზული კონტაქტები ჰქონდა ამერიკის სპეცსამსახურებთან, ხოლო „თარაკის მკვლელობის შემდეგ იგი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენლებს ხვდებოდა“ კრემლში გადაწყვიტეს ამინის ლიკვიდაცია და მისი შეცვლა მოსკოვისადმი ლოიალური კანდიდატით. მიხეილ ანდროპოვის ინიციატივით ასეთად ბაბრაქ ქარმალი შეირჩა.

როგორც ვხედავთ, მართლაც არსებობდა ობიექტური გარემოება, რაც საბჭოთა კავშირის ბუნებიდან გამომდინარე, მართლაც მოითხოვდა რეაგირებას. სწორედ უკანასკნელი ფაქტორი იქცა კრემლის იდეოლოგთა არგუმენტებად, რომ სხვა ალტერნატივა, გარდა სამხედრო ჩარევისა, 1979 წლის დეკემბერში პრაქტიკულად არ არსებობდა. რასაკვირველია, იყო ირანის ისლამური რევოლუცია, იყო დასავლეთ საზღვართან ახლოს განთავრებული ამერიკული „პერშინგები“, იყო საბჭოთა კავშირის რიგ რესპუბლიკებში რადიკალური ისლამის იმპორტის საშიში პერსპექტივა. ეს ყველაფერი რეალურად არსებობდა, მაგრამ დიპლომატიის

ხელოვნების არსიც ის არის, რომ ნებისმიერი ფართომასშტაბიანი პროექტის განხორციელებისას წინასწარ, იუველირის სასწორზე უნდა იქნეს აწონილი მოსალოდნელი სარგებელი და დანაკარგები. ავღანეთთან დაკავშირებულ კოკრეტულ საკითხში კი მოსალოდნელი რისკები აშკარად ფარავდა მოსალოდნელ დანაკარგს. უკვე 1990-იან წლებში მოსკოვის ინტელიგენტურ წრეებში ხუმრობდნენ: „პრეზიდენტ ბორის ელცინს რომ ლევ ტოლსტოის ჰაჯი-მურატი ჰქონოდა წაკითხული, ჩეჩნეთში ომს არ დაიწყებდაო“. ჩვენი მხრივ დავუმატებთ – კრემლის ბერიკაცებს რომ ინგლის-ავღანეთის ომებზე მოეკითხათ საიმედო და ობიექტური ინფორმაცია, ათჯერ დაფიქრდებოდნენ, სანამ ავღანეთში შეიჭრებოდნენ და XX საუკუნეში კლასიკურ კოლონიურ ომს გააჩაღებდნენ. არსებული ინფორმაციის თანახმად, პოლიტბიუროში, სამხედრო გადაწყვეტილების კატეგორიული წინააღმდგი იყო ალექსი კოსიგინი, რასაც ლეონიდ ბრეჟნევის ახლო გარემოცვიდან მისი გარიყვა მოჰყვა. ავღანეთში ჯარის გაგზავნის წინააღმდეგი იყო აგრეთვე არმიის გენერალური შტაბიც, მაგრამ „პარტიის ხაზს“ წინ ვერავინ ვერ აღუდგებოდა. რაც ყველაზე საინტერესოა, წინააღმდეგი იყო დაზვერვის რეზიდენტურაც. ასეა თუ ისე, 1979 წლის დეკემბრის დასაწყისში ავღანეთის ქალაქ ბაგრამში გადაისროლეს გვარდიის საპარაშუტო-სადესანტო პოლკი. 14 დეკემბერს იქვე, საბჭოთა მებრძოლების დაცვის ქვეშ იმყოფებოდა ბაბრაქ ქარმალი და მისი რამდენიმე მომხრე. 16 დეკემბერს უშედეგოდ დამთავრდა ჰაფიზულ ამინის მკვლელობის პირველი ცდა და ქარმალი სასწრაფოდ უკანვე დააბრუნეს საბჭოთა კავშირში. 20 დეკემბერს ბაგრამსა და ქაბულში



ლეონიდ ბრეჟნევი და ბაბრაქ ქარმალი

განთავსდა საბჭოთა არმიის ე.წ. „მუსულმანური ბატალიონი“. ქაბულშივე ჩავიდა კგბ-ს ორი სპეცრაზმი.

1979 წლის 24 დეკემბერს თავდაცვის მინისტრმა დიმიტრი უსტინოვმა ხელი მოაწერა №312 დირექტივას, სადაც ნათქვამი იყო: „მიღებულია გადაწყვეტილება ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში დისლოცირებული საბჭოთა არმიის ზოგიერთი კონტინგენტის შეყვანის თაობაზე, რათა დახმარება აღმოუჩინოს მეგობარ ავღანელ ხალხს და შექმნას მეზობელი სახელმწიფოებიდან შესაძლო ანტიავღანური აქციების აღკვეთისათვის ხელისშემწყობი პირობები“. დირექტივაში არაფერი იყო ნათქვამი საბჭოთა სამხედროების ბრძოლებში მონაწილეობაზე. გაურკვეველი რჩებოდა თავდაცვის მიზნებით იარაღის გამოყენების შესაძლებლობაც. მინისტრის ახალი, 27 დეკემბერის ბრძანებით, საბჭოთა ჯარისკაცებს ევალებოდათ „მეამბოხეთა წინააღმდეგობების ლიკვიდაცია მათი მხრიდან თავდასმის შემთხვევაში“ საბჭოთა საჯარისო შენაერთების ამოცანა განსაზღვრული იყო ავღანეთის მნიშვნელოვანი სამრეწველო და სხვა ობიექტების დაცვით, რათა ამ ფუნქციისაგან გამოთავისუფლებულ ავღანელ ჯარისკაცებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ პარტიზანებთან ბრძოლებში. ასე დაიწყო 9-წლიანი ტრაღიკული ეპოპეა, რაც საბჭოთა იმპერიის კრახის კატალიზატორად იქცა. რასაკვირველია, ის არ ყოფილა კრახის მთავარი მიზეზი, ისევე როგორც კრახის მიზეზი არ იყო გამალებული შეიარაღება თუ აფრიკული ავანტიურები და ნავთობზე ფასების დაცემა. მთავარი მიზეზი სახელისუფლებო სისტემის მანკიერი ბუნება იყო. უცვლელი იდეოლოგიური დოგმები და დოქტრინები, მმართველობის თვალის ამხვევი სტილი, ფორმალიზმი და ბიუროკრატია საბჭოთა კავშირს შიგნიდან ღრღნიდნენ და ალპობდნენ. ავღანეთმა, გამალებულმა შეიარაღებამ და სხვა მოვლენებმა მხოლოდ დააჩქარეს პროცესი, რომელიც კიდევ უფრო ხანგრძლივ დროში შეიძლებოდა გაჭიმულიყო.

ავღანეთში კი, დასაწყისში ყველაფერი გეგმის მიხედვით ვითარდებოდა: 27 დეკემბერს, საბჭოთა სპეცრაზმებმა შტურმით აიღეს პრეზიდენტის სასახლე და ჰაფიზულ ამინი მოკლეს. საბჭოთა კავშირის კომპარტიის გაზეთ „პრავდას“ მიერ გავრცელებულ მოსკოვის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ „სახალხო რისხვის ტალღის შედეგად ამინი და მისი დამქაშები სახალხო სასამართლოს მიერ იქნენ დასჯილნი“. ოპერატიულად იქნა ბლოკირებული ქაბულის გარნიზონი, ტელერადიოცენტრი, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები. შტურმით იქნა აღებული ავღანეთის არმიის გენერალური შტაბის შენობათა კომპლექსი. პრობლემა შეიქმნა პირადად გენერალური შტაბის უფროსთან - გენერალ მუჰამედ იაკუბთან დაკავშირებით: რიაზანის საჰაერო-სადესანტო უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებული იაკუბი ჰაფიზულ ამინის ერთგული ახლო ნათესავი იყო და მას შეეძლო სამხედრო წინააღმდეგობის გაწევის ბრძანება გაეცა. ამიტომ მისი სასწრაფო ლიკვიდაცია იყო საჭირო. ავღანელი გენერლის კაბინეტში მოტყუებით შესულმა საბჭოთა ოფიცრებმა ადგილზე დახოცეს იაკუბი და მისი თანამშრომლები.

28 დეკემბერს დილით ბაბრაქ ქარმალი უკვე ქაბულში იმყოფებოდა და რადიოთი ავღანელებს „რევოლუციის მეორე ეტაპს“ ულოცავდა. 1980 წლის აპრილში კი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა ავღანეთთან დაკავშირებული პირველი გადაწყვეტილებით 15 მლნ. დოლარი გამოყო „ავღანეთის ოპოზიციის პირდაპირი და ღია დახმარების“ სახით. საბჭოთა „შეზღუდული სამხედრო კონტიგენტის“ სამხედრო ოპერაციები კი სულ უფრო და უფრო ნაკლებად „შეზღუდულ“ ხასიათს ღებულობდა. ასე, მაგალითად, 1980 წლის დეკემბრის ბრძოლებში მონაწილეობდა 600 ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი, 300 ქვემეხი და ნაღმტყორცნი და 100-მდე თვითმფრინავი და ვერტმფრენი. პარალელურად იზრდებოდა საბჭოთა სამხედრო მოსამსახურების მსხვერპლიც. 1980 წლის 5 აპრილს ავღანეთის დასავლეთ პროვინციებში მიმდინარე ცხარე ბრძოლების პროცესში, საბჭოთა ჯარი შეცდომით ირანის

ტერიტორიაზე შეიჭრა, რასაც ირანის ავიაციის მიერ საბჭოთა სამხედრო ტექნიკის დაბომბვები მოჰყვა. ადგილი ჰქონდა სხვა „გაუგებრობებსაც“: 1980 წლის 3 ნოემბერს სალანგის უღელტეხილზე (ქაბულთან ახლოს) საბჭოთა სამხედრო ტექნიკის მიერ შექმნილი საცობის შედეგად, 176 სამხედრო მოსამსახურემ გვირაბიდან გამოსვლა ვერ შესძლო და კვამლით გაიგუდა. ასეთი ინციდენტები სალანგთან კიდევ რამდენჯერმე გამეორდა. საბჭოთა კავშირში სულ უფრო და უფრო არაპოპულარული ხდება ავღანეთის ომი. ომის მწვავე კრიტიკისათვის მოსკოვიდან ასახლებენ აკადემიკოს ანდრეი სახაროვს.

1983 წლის 19 მაისს საბჭოთა ელჩი პაკისტანში ვლადიმირ სმირნოვი ოფიციალურად ადასტურებს „ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის თარიღის დადგენაზე საბჭოთა კავშირის სწრაფვას“. გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის დიეგო კორდოვესის მისიას უკვე მზადა აქვს საბჭოთა ჯარის ეტაპობრივი გაყვანის 8-თვიანი გეგმა. ბრძოლები კი კვლავინდებურად მიმდინარეობს. 1984 წლის მთელ ზამთარს მოჯაჰედები ავღანეთში პირველად ატარებენ, მანამდე გამოსაზამთრებლად პაკისტანში გადადიოდნენ ხოლმე. ავღანეთში მოქმედი საბჭოთა მე-40 არმიის მთავარ ამოცანად უკვე ავღანეთის მხრიდან საბჭოთა კავშირის სამხრეთის საზღვრების დაცვაა გაცხადებული. 1986 წლის 28 ივლისს ვლადივოსტოკში სკკპ გენმდივანი მიხეილ გორბაჩოვი საჯაროდ აცხადებს, რომ ახლო მომავალში საბჭოთა კავშირი ავღანეთიდან ჯარების გამოყვანას დაიწყებს. ზაფხულშივე უნდა დაეტოვებინა ავღანეთი შვიდი ათას მეომარს, თუმცა შემდეგ რამდენჯერმე გადაიდო ჯარის გამოყვანის დაწყების თარიღი. მოსკოვში, პოლიტბიუროში ვერ შეთანხმებულან მთლიანად გამოიყვანონ ჯარი ავღანეთიდან თუ ნაწილი დატოვონ. 1986 წლის 25 სექტემბერს მოჯაჰედებმა პირველად გამოიყვანეს ამერიკული ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტა „სტინგერი“ და ორი საბჭოთა ვერტმფრენი ჩამოაგდეს. ეჭვს აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ ისევე როგორც თავის დროზე ამერიკელები, საბჭოთა არმიაც არ აღმოჩნდა

მზად პარტიზანებთან ხანგრძლივი ბრძოლისათვის. საბჭოთა ჯარისკაცები სერიოზული მსხვერპლის ფასად იკავებდნენ მოჯაჰედების მიერ კონტროლირებულ გზებს, მაგრამ ეს უკანასკნელნი მთის ბილიკებით გადადიოდნენ პაკისტანსა და ირანში, ისვენებდნენ, ძალებს იკრებდნენ და ისევ ბრუნდებოდნენ საომრად. მთაგორიან ქვეყანაში ყველა ბილიკის გადაკეტვა კი შეუძლებელი აღმოჩნდა. თავის მხრივ ამერიკელები ყველაზე თანამედროვე იარაღით ამარაგებდნენ მოჯაჰედებს, სპეციალურ ბანაკებში წვრთნიდნენ და დივერსიული აქციებისათვის ამზადებდნენ. ავღანეთის არმიასაც არ აკლდა საბჭოური უახლესი შეიარაღება, მაგრამ ჯარისკაცები უხალისოდ იბრძოდნენ თანამოქალაქეების წინააღმდეგ და მასობრივად გადადიოდნენ პარტიზანების მხარეზე.

1986 წლის 13 ნოემბერს, პოლიტბიუროს სხდომაზე პარტიის გენერალურმა მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა გაღიზიანებულმა აღნიშნა – „უკვე 6 წელია, რაც ავღანეთში ვიბრძვით და თუ პრობლემისადმი მიდგომები არ შევცვალეთ, კიდევ 20-30 წელი მოგვიწევს ომიო“. გენერალური შტაბის უფროსმა, მარშალმა სერგეი ახრომეევმა აღიარა: „ჩვენ ავღანელი ხალხისათვის ომში დავმარცხდითო“. 1988 წლის 7 აპრილს მიხეილ გორბაჩოვი ტაშკენტში ხვდება ავღანეთის პრეზიდენტ მოჰამად ნაჯიბულას. შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ჟენევაში 14 აპრილს ავღანეთისა და პაკისტანის მთავრობების შეთანხმება ხელმოწერილიყო სიტუაციის პოლიტიკური დარეგულირების თაობაზე. შეთანხმების გარანტებად საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები გამოდიოდნენ. პირობები ასეთი იყო: საბჭოთა კავშირს 9 თვის მანძილზე სრულად უნდა გამოეყვანა ჯარები ავღანეთიდან, ამის სანაცვლოდ კი პაკისტანი და ამერიკა მოჯაჰედებისადმი დახმარებას შეწყვეტდნენ.

საბჭოთა ჯარის გამოყვანის პირველი ეტაპი 1988 წლის 15 მაის-15 აგვისტოთი განისაზღვრა. 25 მაისს საბჭოთა ინტერვენტებისათვის ჯოჯოხეთად ქცეული პანჯშერის ხეობა მოტომსროლელთა პოლკმა

დატოვა, 7-8 აგვისტოს კი მოჯაჰედებმა უბრძოლველად დაიკავეს ქალაქები ჰანაბადი და რალუკანი. ნოემბერში მოჯაჰედების ხელში გადავიდა კიდევ რამდენიმე სტრატეგიული პროვინცია. სულ მალე პრეზიდენტ ნაჯიბულას მთავრობა მხოლოდ ქვეყნის დედაქალაქს - ქაბულსა და მის შემოგარენს აკონტროლებდა. 1989 წლის 15 თებერვალს კი საბჭოთა მე-40 არმიის უკანასკნელმა შენაერთებმა ავღანეთის ტერიტორია დატოვეს.


ანდრეი გრომიკო
(1909-1989)
საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი
1957-1985 წლებში

ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის შემდეგ ომის წლებზე მოგონებები გამოაქვეყნა მე-40 არმიის უკანასკნელმა სარდალმა და შემდგომში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა, მოსკოვის ოლქის გუბერნატორმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ბორის გრომოვმა (161). წიგნში დეტალურად არის აღწერილი ავღანეთში საბჭოთა არმიის ყოფნის უკანასკნელი თვეებისა და დღეების ქრონიკები. ავტორის ვერსიით, ავღანეთის არმიის კომპლექტაცია და ტექნიკური აღჭურვილობა სათანადო დონეზე იმყოფებოდა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ პრეზიდენტ ნაჯიბულას მთავრობას არმიის პორადი შემადგენლობის მორალური დონის გამტკიცებაზე ეფიქრა, მოჯაჰედებთან მოსალოდნელი გადამწყვეტი ბრძოლების წინ, იგი ხელოვნურად, ქაღალდზე ზრდიდა არმიის საშტატო რაოდენობას, რათა დამატებითი შეიარაღება მიეღო საბჭოთა კავშირისაგან. თუ ბორის გრომოვს ვენდობით, საბჭოთა სარდლობისათვის ცნობილი იყო ავღანელი კოლეგების თაღლითობა, მაგრამ პოლიტიკური სიტუაციის გამო ყველა მათი თხოვნა კმაყოფილდებოდა (162).

ჯალალაბადის გარნიზონში (ისევ როგორც ყველა სხვა გარნიზონებში) ავღანეთის არმიის საკუთრებაში გადადიოდა

საწვავის, შეიარაღებისა და სურსათის სამთვიანი ე.წ. „ხელუხლებელი მარაგი“. საბჭოთა სამხედრო შენაერთების გაყვანამდე რამდენიმე დღით ადრე, ავღანეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიცრებმა სკრუპულოზურად შეამოწმეს მათთვის გადაცემული სამხედრო ტექნიკის ვარგისიანობა, გარნიზონის სრული აღჭურვილობა და მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის შემდეგ, 14 მაისს, დილით ჯალალაბადის სამხედრო დასახლება უკანასკნელმა საბჭოთა ჯარისკაცმა დატოვა. მთელ სამხედრო ქონებას უკვე ავღანელები იცავდნენ, თუმცა იმავე დღის მეორე ნახევარში სამხედრო დასახლება მთლიანად იყო გაძარცვული. ჯალალაბადის დუქნებში გაიყიდა ყაზარმებიდან გატანილი ტელევიზორები, რადიოაპარატურა, ჯარისკაცების საწოლები, ქვაბები და უნიტაზებიც კი. ჩამოხსნილი და გაყიდული იყო კარები და ფანჯრები. როგორც ბორის გრომოვი წერს, სამი დღის შემდეგ ავღანეთის არმიის ჯალალაბადის პირველი კორპუსის მეთაური პრეზიდენტ ნაჯიბულას მოახსენებდა, რომ სამხედროებისათვის სურსათი არ არსებობდა, თუმცა სამთვიანი მარაგის მიღების აქტს მისი ხელმოწერა ამშვენებდა. მთლიანობაში ავღანეთის არმიას გადაეცა 699 მლნ. მანეთის ღირებულების 184 სამხედრო დასახლება და 99 მლნ მანეთის ღირებულების კომუნალური მოწყობილობა და საყოფაცხოვრებო ტექნიკა.


ავღანელი მოჯაჰედი

არასახარბიელო (უფრო ზუსტად კი - განწირულ) მდგომარეობაში რჩებოდა ავღანეთის კომუნისტური ხელისუფლების უკანასკნელი ლიდერი პრეზიდენტი მოჰამად ნაჯიბულა: მას არანაირი ილუზიები არ გააჩნდა არც თავის არმიაზე და არც თავისი ხალხის განწყობაზე. საბჭოთა ჯარი იყო მისი პოლიტიკური და ფიზიკური გადარჩენის ერთადერთი გარანტი და ამიტომაც, მას ორივე ხელით

ებლაუჭებოდა. იმ მიზეზით, რომ პაკისტანი აშკარად არ ასრულებდა ჟენევაში ნაკისრ ვალდებულებებს, ნაჯიბულა საბჭოთა ჯარის გაყვანის პროცესის შეჩერებას და გადადებას ითხოვდა, მაგრამ ჯერ ერთი, რომ კრემლში, ბრეჟნევის სავარძელში, უკვე მიხეილ გორბაჩოვი იჯდა, ხოლო სმოლენსკის მოედანზე მდებარე საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელის ანდრეი გრომიკოს კაბინეტი უკვე ედუარდ შევარდნაძეს ჰქონდა დაკავებული და მეორეც 80-იანი წლების დასასრულის საბჭოთა კავშირი 60-იანი წლების საბჭოთა კავშირის მკრთალ აჩრდილსღა თუ წარმოადგენდა. ნაჯიბულა ისტორიულად იყო განწირული ისევე როგორც მისი მთავარი პატრონ-მფარველი საბჭოთა სახელმწიფო. ავღანეთის ავანტიურა სსრ კავშირს 15 ათასი საბჭოთა ჯარისკაცისა და ოფიცრის სიცოცხლის ფასად დაუჯდა- ეს მხოლოდ ცოცხალი ძალის დანაკარგის სახით, მატერიალური ზარალის დათვლა კი პრაქტიკულად შეუძლებელია.

1989 წლის 2 სექტემბერს, ავღანეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის იული ვორონცოვისადმი მიწერილ წერილში, ავღანელი პარტიზანების ლეგენდარული მეთაური აჰმად შაჰ მასუდი წერდა, რომ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიისადმი მოსკოვის მიერ გაწეული „ძმური ინტერნაციონალური დახმარება“ ავღანელ ხალხს 1.5 მილიონი ადამიანის სიცოცხლისა და 5 მილიონი ლტოლვილის ფასად დაუჯდა.

როგორც ამერიკული „ნიუ-იორკ თაიმსი“ იუწყებოდა, უკვე 1982 წლის დეკემბერში დაევალა აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ფართომასშტაბიანი დახმარება აღმოეჩინა მოჯაჰედებისათვის. დახმარების ძირითად არხად იქცა ისლამისტურ საერთაშორისო ორგანიზაციათა ქსელი. მათ შორის კი გამორჩეული ადგილი ეკავა „მაკტაბ-ალ-ჰიდამატს“, რომელიც 1984 წელს დაარსა პეშავარში (პაკისტანი) არაბმა მილიონერმა და ტერორისტმა უსამა ბენ ლადენმა – ბედის ირონიის კიდევ ერთი ქრესტომათიული ილუსტრაცია.

უკვე მომაკვდავ საბჭოთა კავშირს კი კიდევ ერთ სერიოზულ პრობლებად ექცა ე.წ. „ავღანური სინდრომი“ - ცხრა წლის მანძილზე 620 ათასმა საბჭოთა სამხედრომ გაიარა სამსახური ავღანეთში. ტოტალური გასაიდუმლოების მანიის მსხვერპლ ჯარისკაცებსა და დაბალი რანგის მეთაურებს წარმოდგენა არ ჰქონდათ როგორც ქვეყანაზე, სადაც საომრად აგზავნიდნენ, ასევე იქ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. როდესაც რიგითი ჯარისკაცების საშუალო ასაკი 18-20 წელი, ოცეულების მეთაურების 21-23 და ბატალიონის (ათასეულების) მეთაურების კი 28-30 წელი იყო, როდესაც გმირობას მოწყურებული, საეჭვო ღირებულებების მოტივაციით ტვინგამორეცხილ ადამიანთა მასა მისთვის მოულოდნელად აღმოჩნდა მტრულად განწყობილ გარემოცვაში (მათ ხომ პოლიტხელები არწმუნებდნენ, რომ „დუშმანებით“ გაწამებული მოსახლეობა მხსნელად ელოდა საბჭოთა ჯარისკაცს, რეალობა კი სულ სხვაგვრი აღმოჩნდა), მასობრივი ხასიათი მიიღო საშიშმა რეციდივებმა. მეორე მხრივ, რაზე მეტყველებდა საბჭოთა სპეცნაზის გამოცდილება? თუ ოპერაციის მსვლელობაში დაკავებულ ავღანელს გაუშვებ, იგი აუცილებლად დაბრუნდება მოჯაჰედებთან ერთად. ითვლებოდა, რომ ავღანეთის მთელი მოსახლეობა, ამა თუ იმ ფორმით, პარტიზანებს ეხმარებოდა და ეს ბუნებრივიც იყო, ვინაიდან ავღანელთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის საბჭოთა ჯარისკაცები სისხლიანი ინტერვენტები იყვნენ. რა გასაკვირი უნდა ყოფილიყო, რომ ყიშლაღების მკვიდრნი სისტემატურად არაზუსტ ინფორმაციას აწვდიდნენ საბჭოთა ჯარისკაცებს, გზას ისე ასწავლიდნენ, რომ ჩასაფრებულ მოჯაჰედებს წასწყდომოდნენ. გაბოროტებული სამხედროების პასუხი კი ტყვეების ადგილზევე დახვრეტა და ყიშლაღების „ხალიჩისებური დაბომბვები“ იყო. საბოლოო შედეგად კი, საბჭოთა კავშირმა ათი ათასობით ფსიქიკურად ტრამვირებული ახალგაზრდა ვეტერანი მიიღო. 1989 წლის ნოემბრის მონაცემებით, 3700 „ავღანელი“ ვეტერანი იხდიდა სასჯელს ომის შემდეგ ჩადენილი მძიმე დანაშაულებისათვის მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში. ე.წ. „ავღანელებზე“ მწვავე

ოჯახური დრამებისა და განქორწინებების 75 პროცენტი მოდიოდა, ხოლო სტუდენტ-„ავღანელთა“ 90 პროცენტს აკადემიური დავალიანებები გააჩნდა და სასწავლებლებიდან გარიცხვის კანდიდატებად ითვლებოდნენ. დაახლოებით 60 პროცენტი იყო ალკოჰოლიკი ან ნარკომანი.

მიუხედავად იმისა, რომ 1989 წლისათვის საბჭოთა პოლიტიკური ელიტის ყველაზე ნეტარმორწმუნე წევრისათვისაც კი უნდა ყოფილიყო ცნობილი, რომ კიდევ ერთი ინტერნაციონალური ავანტიურა ლოგიკური შედეგით – კრახით დასრულდა, კრემლში მაინც იმედოვნებდნენ, რომ გარკვეულ პირობებში შესაძლებელი იყო ქაბულის რეჟიმის შენარჩუნება.

როგორც უკვე ვთქვით, პრეზიდენტი ნაჯიბულა ყოველნაირად ცდილობდა ქვეყნიდან „არ გაეშვა“ საბჭოთა მე-40 არმია. ყველა-ყველა და მან ხომ სხვაზე უკეთ იცოდა, თუ ვის ხიშტებზე ოჯდა და რაც არ უნდა უხერხული არ ყოფილიყო ასეთი „სავარძელი“, ეს მისი ერთადერთი ხსნა და დასაყრდენი იყო. ქაბულის ხელისუფლება სისტემატურად მიუთითებდა მოსკოვს პაკისტანის მხრიდან ჟენევის ხელშეკრულების დარღვევის ფაქტებზე და ითხოვდა, რომ უკანასკნელის გათვალისწინებით, შეჩერებულიყო საბჭოთა არმიის გაყვანის პროცესი. 1989 წლის დასაწყისისათვის, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი პრეზიდენტი იმის გარანტიას მაინც ევედრებდა მოსკოვს, რომ რუსებს იქნებ ქაბულის საერთაშორისო აეროდრომი და სტრატეგიული მნიშვნელობის ქაბულ-ჰაირატონის საავტომობილო მაგისტრალი მაინც დაეცვათ, რომელიც ავღანეთის დედაქალაქიდან სსრ კავშირის საზღვრამდე მიდიოდა...

აი, ასეთ პირობებში, გრიფით „სრულიად საიდუმლო“, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მზადდება ანალიტიკური ცნობა ნაჯიბულას რეჟიმის გადარჩენის შესაძლებლობაზე. საიდუმლო დოკუმენტი 1990-იანი წლების შუა პერიოდში, თავის წიგნში გამოაქვეყნა გენერალმა ბორის გრომოვმა.

დოკუმენტის პრეამბულაში ვრცლად არის საუბარი „ავღანელი ამხანაგების მტკიცე გადაწყვეტილებაზე“ ბოლომდე განაგრძონ ბრძოლა სოციალისტური ავღანეთის ნათელი მომავლისათვის. საბჭოთა სინამდვილისათვის დამახასიათებელ პოლიტიკურ ჟანრში შედგენილ დოკუმენტში, მაღალფარდოვან ფრაზეოლოგიასა და ოპტიმისტურ პროგნოზებს, უკვე რეალური ვითარების ანალიზი მოსდევს და ის პრობლემებია ჩამოთვლილი, რომლის წინაშე ტოვებდა მოსკოვი თავის ერთგულ მოკავშირეს:

დოკუმენტის ავტორთა აზრით, მთავარი პრობლემა, რომელსაც უნდა განესაზღვრა მოვლენათა შემდგომი განვითარება, ეს იყო ავღანეთის ხელისუფლების შესაძლებლობა დამოუკიდებლად დაეცვა ქაბული და ქვეყნის სხვა დიდი ქალაქები. განსაკუთრებული მნიშვნელობა დედაქალაქის დაცვას ენიჭებოდა. ქაბულში კი მთავარი სირთულეები სამხედრო კი არა, ეკონომიკური ხასიათის იყო. ეჭვს არ იწვევდა ოპოზიციის განზრახვა ბლოკადაში მოექცია დედაქალაქი, გადაეკეტა სურსათ-საწვავით ქალაქის მომარაგების მთავარი მაგისტრალი და ასე გამოეწვია ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის პროტესტი.

დოკუმენტის მიხედვით, ყოველთვიურად 15 ათასი ტონა მხოლოდ ფქვილი სჭირდებოდა ქაბულს, საჭირო კი იყო, როგორც მინიმუმი, 3-4 თვის მარაგის შექმნა. ვინაიდან ასეთი სერიოზული მარაგის შექმნა მხოლოდ საავტომობილო ტრანსპორტით იყო შესაძლებელი, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდას ჰაირატონ-ქაბულის ტრასას. დოკუმენტებში დამოწმებული იყო ნაჯიბულას პირობა, რომ თუ ტრასა მაისამდე მაინც იქნებოდა გამოყენებული, რეჟიმის არსებობა გარანტირებული იყო. დოკუმენტი კი 1989 წლის 23 იანვრითაა დათარიღებული. პრობლემაც სწორედ ტრასის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო, რისი თავიც (უფრო სწორად, სურვილი) ავღანეთის არმიას არ გაჩნდა. გარდა იმისა, რომ მთლიანად ტრასა იყო რთული დასაცავი, განსაკუთრებით კრიტიკულ მონაკვეთს წარმოადგენდა უკვე კარგად ცნობილი სალანგის უღელტეხილი თავისი 3 კილომეტრიანი სიგრძის

გვირაბით. საინტერესოა, რომ დოკუმენტის მთავარი რეკომენდაცია ოპოზიციის საწინააღმდეგო პროპაგანდის გაძლიერება იყო, რამეთუ უკანასკნელის ქმედებას ქაბულის მშვიდობიანი მოსახლეობის შიმშილი და ცხოვრების პირობების გაუარესება მოჰყვებოდა. იქვე, ყოველი შემთხვევისათვის, ავტორები რამდენიმე ვარიანტსაც სთავაზობდნენ პოლიტბიუროს:

პირველი ვინაიდან, საკითხი ეხებოდა ჟენევაში ნაკისრი ვალდებულების (ჯარების გაყვანაზე) შესრულებას, შესაძლებლად იყო მიჩნეული მშვიდობიანი მოსახლეობის მძიმე პირობების მომიზეზება და ჰაირატონ-ქაბულის მაგისტრალის დასაცავად ერთი დივიზიის დატოვება. იქვე ისიც იყო აღნიშნული, რომ ასეთ ნაბიჯს გაეროს მხრიდან მწვავე რეაგირება შეიძლება მოჰყოლოდა. მიუხედავად იმისა, რომ პაკისტანი ღიად არღვევდა მის წილად არსებულ ვალდებულებებს, გაეროს წევრ-სახელმწიფოთა უმრავლესობისათვის სწორედ უცხო ქვეყნის ჯარების პრობლემა იყო მთავარი და ისინი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოვიდოდნენ.

მეორე - ქაბულსა და სხვა დიდ ქალაქებში მასობრივი შიმშილის საფრთხეზე აპელირებით, შეიძლებოდა გაეროსათვის ეთხოვნა ქაბულის ხელისუფლებას სურსათითა და საწვავით დახმარება და ასევე გაეროს ჯარებს ეკისრად პრობლემური ავტომაგისტრალის დაცვა. ავღანეთში გაეროს ჯარის ჩასვლამდე კი ხსენებული ფუნქცია საბჭოთა დივიზიას შეესრულებინა. ერთდროულად უნდა დაფიქსირებულიყო, რომ საბჭოთა კონტიგენტმა ავღანეთი გრაფიკის მიხედვით დატოვა. ეს ვარიანტიც დაწუნებული იყო მისივე ავტორების მიერ, ვინაიდან ავღანეთში გაეროს ჯარების გაგზავნას უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ესაჭიროებოდა, რაც იმ პერიოდში პრაქტიკულად იყო შეუძლებელი.

მესამე ვარიანტად განიხილებოდა ავღანეთიდან მთელი ჯარების გაყვანა 15 თებერვლისათვის, რაც ავღანეთისა და საბჭოთა მთავრობების მიერ უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული, შემდეგ ავღანეთის მთავრობა თხოვნით მიმართავდა მსოფლიოს ქვეყნებს დაეწყოთ სურსათით დატვირთული ტრანსპორტის გადრაგირება

საბჭოთა სამხედროებთან ერთად. ოპერაცია შეიძლებოდა დაწყებულიყო საბჭოთა ჯარების გაყვანიდან ორი კვირის შემდეგ. ფართო პროპაგანდისტული კამპანიის ფონზე (ოპოზიციის მიერ შიმშილით სიკვდილზე განწირული მოსახლეობის გადარჩენა), საბჭოთა ჯარისკაცების დაბრუნება ავღანეთში ბუნებრივ ჰუმანიტარულ ნაბიჯად ჩაითვლებოდა. ამასთან, ასეთი ვარიანტის ნაკლი ის იყო, რომ მაგისტრალის გარკვეული მონაკვეთების გავლა მუდამ სისხლისმღვრელი ბრძოლებით იქნებოდა საჭირო.

მეოთხე ვარიანტიც 15 თებერვლისათვის ჯარების გამოყვანას გულისხმობდა, თუმცა იმ საბაბით, რომ ოგივე სალანგის უღელტეხილზე. ავღანულმა მხარემ დროულად ვერ შესძლო საბჭოთა ჯარისკაცების ჩანაცვლება, იქ დარჩებოდა უღელტეხილისა და ტრასის დასაცავად საკმარისი საბჭოთა სამხედროთა რაოდენობა, რომელიც დაიწყებდა ავტოკოლონების გაცილებებს, ეს უნდა ყოფილიყო მოხალისეთა ბაზაზე დაკომპლექტებული სამხედრო ნაწილი. განსაზღვრული იყო სამხედროთა სავარაუდო ხელფასიც – 800 მანეთი რიგითისათვის და 1000 მანეთი ოფიცრისათვის, თანაც ნახევარი ავღანურ ვალუტაში. ამავე დროს, საერთაშორისო მეთვალყურეებს უფლება უნდა ჰქონოდათ შეემოწმებინათ ტვირთი, რათა დარწმუნებულიყო საერთაშორისო საზოგადოება, რომ მართლაც სურსათზე და საწვავზე იყო ლაპარაკი.

როგორც ვხედავთ, ყველა ოთხივე ვარიანტი ითვალისწინებდა საბჭოთა ჯარის გარკვეული ნაწილის დარჩენას ავღანეთში 1989 წლის 15 თებერვლის შემდეგ. როგორც ჩანს, დოკუმენტის ავტორებს უკანასკნელ მომენტში კიდევ ერთი, მეხუთე ვარიანტიც გაახსენდათ: 15 თებერვალს სრული შემადგენლობით ტოვებდა ავღანეთს მე-40 არმია, ხოლო ჰაირატონ-ქაბულის მაგისტრალის დასაცავად საბჭოთა კავშირი დამატებით ფინანსურ დახმარებას აღმოუჩენდა ავღანეთის მთავრობას და სრულ კმაყოფაზე აიყვანდა მაგისტრალის დამცველებს. აქ უკვე დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა ტრასის მცველთა სანდოობის პრობლემა. ამ მომენტისათვის ხომ ავღანეთის არმიის მთელი დივიზიები გადადიოდნენ მოჯაჰედების მხარეზე.

ავღანეთის ხელმძღვანელობის დაჟინებითი თხოვნა იყო ჯარების გაყვანის შემდეგაც გაეგრძელებინა საბჭოთა ავიაციას მოჯაჰედების პოზიციების დაბომბვები. ცხადია, უკვე საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან. ვინაიდან საბჭოთა ტერიტორიიდან უცხო სუვერენული სახელმწიფოს ნაწილის დაბომბვები, რაც პრინციპში ეწინააღმდეგებოდა ჟენევის შეთანხმებას, სერიოზული საერთაშორისო მასშტაბის გართულებებს გამოიწვევდა, ავღანელებს საკუთარი ავიაციის მეტი ეფექტით გამოყენება ურჩიეს. დასასრულს, დოკუმენტის ავტორების რეკომენდაცია იყო მოაჰამად ნაჯიბულას დაყოლიება ავღანეთში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებაზე.

დოკუმენტის მთელი ეშხი კი იმაში მდგომარეობს, რომ მის ავტორთა შორის, პირველ ნომრად საბჭოთა კავშირის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძეა მოხსენიებული. ალბად, სწორედ ასეთ შემთხვევაზე ამბობენ – კომენტარები ზედმეტიაო.



თავი ოცდამეხუთე
ბირთვული დიპლომატია

1945 წლის 25 აპრილს, როდესაც ორი კვირაც არ გასულიყო ჰარი ტრუმენის გაპრეზიდენტებიდან, თავდაცვის მინისტრმა ჰენრი სტიმსონმა, „მანჰეტენის პროექტის“ უფროსი, გენერალი ლესლი გროვსი მიიყვანა თეთრ სახლში ახალ პრეზიდენტთან შესახვედრად. გენერალმა დეტალურად აუხსნა ტრუმენს პროექტის მიზანი – ატომური ბომბის არსი და მისი გამანადგურებელი შესაძლებლობები. გენერლის გარანტირებული ვარაუდით, ახალი უჩვეულო იარაღი მზად ოთხ თვეში იქნებოდა. მართალიამ ოვალური კაბინეტის ახალი ბინადარი ახლოსაც ვერ მოვიდოდა მსოფლიო პოლიტიკისა და საერთაშორისო მოვლენათა ანალიზის სფეროში თავის დიდ წინამორბედთან, მაგრამ გენერლის მონაყოლით ისიც კი მიხვდა, თუ რა სიღრმის კვალს დაამჩნევდა ბირთვული იარაღი საერთაშორისო პოლიტიკასა და დიპლომატიას. ომი პრაქტიკულად უკვე იყო გამარჯვებით დამთავრებული და დღის წესრიგში მთელი სიგრძე-სიგანით დგებოდა მთავარ მოკავშირესთან – საბჭოთა კავშირთან (ჩათვალე: რუსეთთან) სამომავლო ურთიერთობების მრავალწახნაგოვანი პრობლემა. ბირთვულ იარაღზე მონოპოლიის პერსპექტივას კი თავბრუდამხვევი შესა-

ძლებლობების გარანტირება შეეძლო. მაგრამ სამხედრო მინისტრმა მაინც ურჩია ახალბედა პრეზიდენტს დალოდებოდა იარაღის გამოცდას, ვინაიდან სარისკოდ მიაჩნდა „ხელში კოზირის კარტის გარეშე რუსებთან დიპლომატიური დაპირისპირება“. გარდა ამისა, სტიმსონს ეჭვი ეპარებოდა, რომ ბომბი დამაჯერებელ არგუმენტად იქცეოდა იოსებ სტალინისათვის, რათა ამერიკელებისთვის სასურველ დათმობებზე წასულიყო, თუმცა არც იყო სამომავლო ბირთვული დიპლომატიის პრინციპული მოწინააღმდეგე.

ჰიროსიმასა და ნაგასაკის შემდეგ, როდესაც უკვე ეჭვს აღარ იწვევდა ბომბის ჯოჯოხეთური პოტენციალი, ამერიკის მმართველი წრეების საფიქრალად იქცა მისი მომავალი ფუნქცია. ერთი მხრივ, სამხედროებისათვის მაცდუნებლად მიმზიდველი იყო „გაუჭრელი კოზირის კარტის“ იდეა, მეორე მხრივ კი, „ბომბის მამებსაც“ და პრეზიდენტის ადმინისტრაციასაც სწამდათ, რომ ადრე თუ გვიან საბჭოთა კავშირიც აღიჭურვებოდა თავისი ბომბით, რაც საერთაშორისო დაძაბულობისა და ახალი კონფლიქტების გარანტირებულ წინაპირობად იქცეოდა. უკანასკნელი სცენარისადმი კი გარდაცვლილი პრეზიდენტის თანამოაზრეთა უმრავლესობა არანაირ სიმპატიებს არ ავლენდა. 1945 წლის 11 სექტემბერს იმავე სტიმსონმა მემორანდუმით ურჩია პრეზიდენტს, საბჭოთა კავშირთან პარტნიორობის შესანარჩუნებლად, თავი აერიდებინა ბირთვული შეიარაღების სფეროში მოსკოვთან კონკურენციისაგან. ამ პერიოდისათვის გაეროს ატომური ენერგიის კომისიის განსახილველად უკვე იყო წარდგენილი ე.წ. „ბარუხის გეგმა“.

რას წარმოადგენდა „ბარუხის გეგმა“? ნიუ-იორკელი ფინანსისტი ბერნარდ ბარუხი მილიონერი 33 წლის ასაკში გახდა და იქიდან მოყოლებული, მაღალი ეფექტურობით უთავსებდა ერთმანეთს პოლიტიკასა და საფონდო ბირჟაზე საქმიანობას. დემოკრატიული პარტიის ხელგაშლილ სპონსორს (ჯერ კიდევ ვუდრო ვილსონიდან მოყოლებული) და რუზველტის ნდობით აღჭურვილ ფინანსისტს მეორე მსოფლიო ომის წლებში სხვადასხვა ადმინისტრაციული თანამდებობები ეკავა, ხოლო 1946 წელს ჰარი ტრუმენმა იგი ამერიკის

წარმომადგენლად დანიშნა გაეროს ატომური ენერგიის კომისიაში, რომლის პირველსავე სხდომაზე, 1946 წლის 14 ივნისს, ბერნარდ ბარუხმა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელით, ბირთვული იარაღის ტოტალური აკრძალვის გეგმა წამოაყენა. გეგმა ითვალისწინებდა ატომური (ბირთვული) კვლევების საერთაშორისო სააგენტოს შექმნას, რომელსაც იარაღის წარმოებაზე კონტროლის უფლება ექნებოდა. კონტროლი კი ადგილზე ინსპექციით უნდა განხორციელებულიყო. სააგენტოს ცენტრალური ორგანო იქნებოდა ატომური ენერგიის გაეროს კომისია, რომელიც არ დაექვემდებარებოდა უშიშროების საბჭოს (ე.ი. ხელისუფლებას) და გადაწყვეტილებები ხმათა უბრალო უმრავლესობით იქნებოდა მიღებული.

„ბარუხის გეგმა“ პრინციპშივე არ აწყობდა საბჭოთა კავშირს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა უცხოელ ინსპექტორებს საკუთარ ტერიტორიაზე განლაგებულ ბირთვული ობიექტებზე. საბჭოთა მხარის მიერ წამოყენებული წინადადება ითვალისწინებდა სამხედრო მიზნებში ატომური ენერგიის გამოყენების აკრძალვას, გეგმის შემდგომ კორექტირებებს და კომისიის დაქვემდებარებას უშიშროების საბჭოსადმი, სადაც ამერიკასაც და საბჭოთა კავშირსაც ვეტოს უფლება გააჩნდათ. ეს უკვე ვაშინგტონს არ აწყობდა, ვინაიდან ბირთვული იარაღის ტოტალური აკრძალვის პირობებში (რასაც „ბარუხის გეგმა“ ითვალისწინებდა), ამერიკა კარგავდა სამხედრო-ბირთვულ მონოპოლიას იმ დროს, როცა ჩვეულებრივი შეიარაღების სფეროში საბჭოეთის აშკარა უპირატესობა იყო. საბოლოო ჯამში, 1948 წელს გეგმა კომისიას გადასამუშავებლად დაუბრუნდა.

თუ „ბარუხის გეგმის“ თავდაპირველი ვარიანტი ბირთვულ სფეროში კვლევების მწარმოებელ სახელმწიფოთა შორის სათანადო ინფორმაციების გაცვლას, ყველა ბირთვული პროგრამის მხოლოდ მშვიდობიან ხასიათს და როგორც ბირთვული, ასევე მასობრივი განადგურების ყველა იარაღის აკრძალვას ითვალისწინებდა, ახალი ვარიანტით, კომისია უშიშროების საბჭოს უპირველესად ექვემდებარებოდა. ვაშინგტონის შეცდომად იქნა შემდგომში აღიარებული ის ფაქტიც, რომ ამერიკელებმა უარი თქვეს თავიანთი უკვე არსებული

ბირთვული იარაღის მოსპობაზე და მხოლოდ იმაზე იყვნენ თანახმა, რომ მომავალში აღარ შეექმნათ დამატებითი ბომბები. უკვე გაძლიერებული ურთიერთუნდობლობის პირობებში საბჭოთა წარმომადგენლობა ღიად აცხადებდა, რომ მეორე მხარეს არ ენდობოდა. 1949 წლის დამლევს კომისიამ არსებობა შეწყვიტა. ასე წარუმატებლად დამთავრდა ბირთვული იარაღის შეზღუდვის პირველი დიპლომატიური მცდელობა. აქვე უნდა ითქვას, რომ „ბარუხის გეგმის“ წინააღმდეგი იყო „მანჰეტენის პროექტის“ რეალური ხელმძღვანელი, იმ დროს უკვე საკულტო ფიგურად ქცეული მეცნიერი რობერტ ოპენჰეიმერი, რაც, ცხადია, სულაც არ მეტყველებს იმაზე, რომ დიდი ფიზიკოსი საბჭოთა ვერსიის მომხრე იყო. უბრალოდ, მას მშვენივრად ესმოდა, რომ მოსკოვი, რომელიც ენერგიულად მუშაობდა საკუთარ ბომბზე, არაფრის გულისათვის არ დათანხმდებოდა ადგილზე ინსპექციების იდეას. ამიტომაც თქვა მან ორჯერ უარი გაეროში ამერიკის დელეგაციის (რომელსაც „ბარუხის გეგმა“ უნდა წარედგინა) მეცნიერ-კონსულტანტის მოვალეობაზე. ამერიკის მთავარ წამომადგენელად გაეროს კომისიაში 75 წელს გადაცილებული გაუწონასწორებელი (როგორც მას პრესა ახასიათებდა) ფანანსტის დანიშვნას უკვე ტრუმენიცა და მისი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბირნსიც ნანობდა: „ბარუხს სურს მართოს მსოფლიო, მთავარე და შეიძლება იუპიტერიც“, – წერდა პრეზიდენტი დღიურში. საქმე კი ის იყო, რომ ჰიროსიმასა და ნაგასაკის შემდეგ სრულად გაუხსენეს რობერტ ოპენჰეიმერს ძველი „ცოდვები“ – პროკომუნისტური სიმპათიები. მისი ბინაც, აგარაკიცა და იახტაც კი „ფბრ“-ის მიერ დამონტაჟებული მოსასმენი აპარატურით იყო დახუნძლული, ედგარ ჰუვერი კი სისტემატურად აწვდიდა „ზემდგომ ინსტანციებს“ გამოჩენილი ფიზიკოსის ჩაწერილ საუბრებს. ერთი სიტყვით, ძველებური გავლენა აღარ გააჩნდა ოპენჰეიმერის პოზიციას.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამერიკის (ისევე როგორც ბრიტანეთის) პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში ზუსტად იცოდნენ, რომ არც საბჭოთა კავშირი არ დარჩებოდა ბირთვული იარაღის გარეშე. პროგნოზები მხოლოდ „რუსული ბომბის“ გამოჩენის ვადებზე კეთდებოდა. ომით გამოწვეული მასშტაბური ზარალისა და რუსეთის

სამეცნიერო პოტენციალის გათვალისწინებით, ამერიკელებისაგან ჩამორჩენის ვადა 7-ან 15 წლამდე იყო დასაშვები. იგივე რობერტ ოპენჰეიმერი, ედვარდ ტელერი და დარგის სხვა ავტორიტეტები, როგორც მინიმუმი, 1950-იანი წლების შუა პერიოდში ელოდნენ საბჭოურ ბომბებს.

1948 წელს მოსკოვში, ამერიკელი ავტორების ჯონ ჰოგერტონისა და რეიმონდ ელსუორთის ბროშურა გამოქვეყნდა მაინტრიგებელი სათაურით „როდის ექნება საბჭოთა კავშირს ატომური ბომბი?“. ბროშურა ხსენებული ავტორების მიერ ამერიკულ ჟურნალ „ლუკ“-ში ადრე გამოქვეყნებულ ორ სტატიას აერთიანებდა ფართო წინასიტყვაობით. ვინაიდან ამერიკელი ავტორების პროგნოზი დამამცირებელი იყო ოფიციალური მოსკოვისათვის, წინასიტყვაობა მთლიანად საბჭოთა მიღწევებს ეძღვნებოდა. დიდი ხნის მანძილზე მის ავტორად კი იგორ კურჩატოვი მოიაზრებოდა და მხოლოდ 2003 წელს გახდა ცნობილი, რომ წინასიტყვაობა პროფესორ მოდესტ რუბინშტეინს ეკუთვნოდა და იგი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით იყო დაწერილი. ამიტომაც არ იყო გასაკვირი ის აჟიოტაჟში, რაც ამერიკელების მიერ 1949 წლის სექტემბერში გავრცელებულ ინფორმაციას მოჰყვა. საქმე კი შემდეგში იყო: სპეციალური მეტეოროლოგიური დაზვერვის ამერიკული თვითმფრინავის მიერ კამჩატკის რაიონში აღებულ ჰაერის სინჯში სპეციალისტებმა ნიხიზოტოპები (იზოტოპების სახეობა) აღმოაჩინეს, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ საბჭოთა კავშირში ბირთვული აფეთქება მოხდა. ამის თაობაზე საჯარო განცხადება გააკეთა პრეზიდენტმა ტრუმენმა 23



იგორ კურჩატოვი
(1903-1960)
საბჭოთა ატომური ბომბის პროექტის
სამეცნიერო ხელმძღვანელი 1942-1948 წლებში

სექტემბერს. იმავე დღეს პრეზიდენტის განცხადება საბჭოთა საინფორმაციო სააგენტო „ტასს“-მა „განმარტა“: საბჭოთა ვერსიით, ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობითი სამუშაოები – ჰიდროსადგურები, მაღაროები, არხები, გზები და სხვა, ფართო მასშტაბის აფეთქებებს საჭიროებდა, თანაც ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების გამოყენებით. ვინაიდან ასეთი მასშტაბური სამუშაოები საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რეგიონში მიმდინარეობდა, შესაძლო იყო მას უცხოეთშიც მოჰყოლოდა რეზონანსი. რაც შეეხებოდა ბირთვულ ენერგიას, სააგენტო ყველას შეახსენებდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოლოტოვის 1947 წლის 6 ნოემბრის განცხადებას, იმის შესახებ, რომ „ატომური ბომბის საიდუმლოება დიდი ხანია აღარ არსებობსო“. 1949 წლის 29 აგვისტოს, ყაზახეთში, სემიპალატინსკის ოლქში ჩატარებული ბირთვული იარაღის გამოცდაზე ოფიციალური განცხადება მოსკოვმა მხოლოდ აფეთქებიდან 6 თვის შემდეგ, 1950 წლის 8 მარტს აღიარა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კლიმენტ ვოროშილოვის განცხადებით.

უდავოა, რომ დიდი იყო საბჭოთა მეცნიერების ღვაწლი, იმავე იგორ კურჩატოვით სათავეში, მაგრამ მთელი საბჭოთა პერიოდის მანძილზე იყო ტაბუირებული ე.წ. „უხილავი ფრონტის“ - დაზვერვის როლი. წლების მანძილზე ხელი-ხელჩაკიდებულნი იღწვოდნენ საბჭოთა დიპლომატები და მზვერავები (ტყუილად კი არ ითვლება „ღვიძლ ბიძაშვილებად“ ეს ორი პროფესია) ბრიტანეთსა და შემდეგ უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1941 წლის გაზაფხულზე მოსკოვმა ლონდონიდან პირველი მრავალგვერდიანი პატაკი მიიღო პროექტ „ტიუბ ელოიზის“ შესახებ (ასე იშიფრებოდა ბირთვული იარაღის შესაქმნელი სამუშაოები). ანალოგიური ხასიათის კიდევ რამდენიმე მოხსენების მიღების შემდეგ, 1942 წლის 10 მარტს, ლავრენტი ბერიამ უკვე სტალინს მოახსენა პრობლემის არსი. ვინაიდან ეჭვს არ იწვევდა ინფორმაციის წყაროს კომპეტენტურობა, „ბელადი“ მთელი სერიოზულობით მოეკიდა პერსპექტიულ იდეას და ოპერატიულად მომზადდა თვდაცვის სახელმწიფო კომიტეტის (თავმჯდომარე – იოსებ სტალინი) №2352 დადგენილება „ურანზე სამუშაოების ორგა-

ნიზაციის თაობაზე“. ხსენებული დადგენილება იქცა საბჭოთა ბირთვული პროგრამის ათვლის წერტილად. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ბირთვული შპიონაჟის ქრონიკების უდიდეს ნაწილს ჯერ კიდევ ადევს გრიფი „საიდუმლო“, უკვე გრიფმოხსნილ მასალათა ერთი მცირე ნაწილის გაცნობაც კი საკმარისია საბჭოთა დიპლომატ-მზვერავთა „ნაქურდალის“ მნიშვნელობაზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად...

... როდესაც წითელი არმიის კავალერისტული პოლკის მეთაური სიმონ კრემერი, 1938 წელს ლონდონს მიავლინეს სამხედრო ატაშის მოადგილედ, იგი დეტექტივებით და კინოფილმებით თუ იცნობდა დიპლომატის ან მზვერავის პროფესიას. უბრალოდ, სტალინის მიერ ჩატარებული მორიგი „საკადრო წმენდის“ შედეგად ყველა საბჭოთა საელჩო განიცდიდა პროფესიონალ დიპლომატთა და მზვერავთა კატასტროფულ დეფიციტს, ახალი კადრების პროფესიონალური მომზადებისათვის დრო კი არ არსებობდა. ოთხი წელი მუშაობდა კრემერი ლონდონში და გარდა იმისა, რომ სრულყოფილად დაეუფლა ინგლისურ ენას, რამდენიმე ძალზედ მნიშვნელოვანი აგენტის „დავერბოვკებაც“ შეძლო. 1940 წლის დეკემბერში კი მათ რიცხვში აღმოჩნდა უნიჭიერესი გერმანელი (ჰიტლერის დევნას გადარჩენილი ებრაელი) ფიზიკოსი კლაუს ფუქსი. ინგლისში იგი ბირთვული აფეთქებების მეცნიერული დასაბუთების პრობლემაზე მუშაობდა. სულ ოთხი კონსპირაციული შეხვედრა ჰქონდა კრემერს ფუქსთან და ინგლისელების მიერ შეკედლებულმა გერმანელმა მეცნიერმა რუს მზვერავ-დიპლომატს ბრიტანული ბირ-



ლავრენტი ბერია
(1899-1953)
სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი 1938-1953 წლებში
საბჭოთა ბირთვული პროექტის კურატორი

თვული პროექტის ზესაიდუმლო მასალების 240-გვერდიანი დოკუმენტაცია გადასცა.

საინტერესო იყო სიმონ კრემერის შემდგომი ბიოგრაფია: 1942 წლის ივლისში მან, უკვე პოლკოვნიკმა, ფრონტზე გაგზავნა ითხოვა და მიუხედავად მოსკოვის წინააღმდეგობისა და სამსახურეობრივი დაწინაურების დაპირებისა, მაინც თავისი გაიტანა. არანაკლები წარმატებით იბრძოდა იგი ბრძოლის ველზეც. ომი სიმონ კრემერმა გენერლის ჩინით და საბჭოთა კავშირის გმირის წოდებით დაასრულა.

კლაუს ფუქსი კი სიმონ კრემერის შემცვლელმა, წარმოშობით გერმანელმა საბჭოთა მზვერავმა ვერნერ რუტმა (ფსევდონიმი – ურსულა კუჩინსკი, სონია) „ჩაიბარა“. ერთი წლის მანძილზე მეცნიერისაგან მოსკოვმა ბირთვულ იარაღთან დაკავშირებული კიდევ 400 გვერდი ოქროს ფასად ღირებული დოკუმენტაცია მიიღო. საინტერესოა, რომ კუჩინსკის რადიოგრამებს მომენტალურად იჭერდნენ ინგლისის ტერიტორიაზე მოქმედი ამერიკული პელენგატორები, მაგრამ ვაშინგტონმა მხოლოდ 50 წლის შემდეგ შესძლო ტექსტების გაშიფვრა. საბჭოთა კავშირისათვის მოულოდნელ საჩუქრად იქცა კლაუს ფუქსის ამერიკაში გადაყვანა „მანჰეტენის პროექტში“ ჩასართველად. თითქმის მთელი წელი თანამშრომლობდა ფუქსი საბჭოთა დაზვერვასთან და მისი დამსახურებაც იყო, რომ იგორ კურჩატოვის ჯგუფისათვის „მანჰეტენის პროექტის“ საიდუმლოება პრაქტიკულად არ არსებობდა. და ეს მაშინ, როდესაც ამერიკის პოლიტიკური ელიტის 99 პროცენტმა (თუ მეტმა არა) ლოს-ალამოსის ლაბორატორიის ადგილსამყოფელიც კი არ იცოდა.

1949 წელს ბრიტანეთის კონტრდაზვერვამ მაინც შესძლო კლაუს ფუქსის გამოაშკარავება და მას 14 წლიანი პატიმრობა მიესაჯა.

კიდევ ერთი საბჭოთა მზვერავი, რომელმაც შეიძლება ყველაზე მეტი წვლილი შეიტანა საბჭოთა ბომბისათვის საჭირო ტექნიკური და თეორიული ინფორმაციის მოპოვებაში, იან ჩერნიაკი იყო. მხოლოდ 1944 წელს, მან 12 500-გვერდიანი (!) ტექნიკური და ოპერატიული ინფორმაციის კრებული გადაგზავნა მოსკოვში, რასაც აპარატურისა და მასალების 60 ერთეული ნიმუში ერთვოდა. იგორ კურჩატოვმა დრო-

ულად მიიღო ჩერნიაკისაგან რადიოაქტიური ელემენტების – ურან-235-ის, ურან-233-სა და პლუტონიუმის ნიმუშები. მაშინ, როდესაც იან ჩერნიაკმა ლოს-ალამოსის სუპერ-საიდუმლო ლაბორატორია თითქმის საკუთარ ბოსტნად გადააქცია, ამერიკელების მხარეზე გადავიდა ვაშინგტონში საბჭოთა საელჩოს მაღალჩინოსანი დიპლომატ-მზვერავი, რომელმაც იან ჩერნიაკის რამდენიმე აგენტის ვინაობა იცოდა და რეალური საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ჩერნიაკი 1946 წლის იანვარში მოსკოვში დაბრუნდა.

არანაკლები წარმატებით ძარცვავდა „მანჰეტენის პროექტს“ შვედეთში დაბადებული და დედით რუსული წარმომავლობის მქონე ინჟინერი არტურ ადამსი. მამის გარდაცვალების შემდეგ დედა-შვილი რუსეთში დაბრუნდნენ, სადაც არტურმა საზღვაო ნაღმების სპეციალური სასწავლებელი დაამთავრა, გაბოლშევიკდა, მეფის ციხეშიც იჯდა, განთავისუფლების შემდეგ კი ბევრს მოგზაურობდა, ტორონტოს უნივერსიტეტის დამთავრებაც შესძლო, პირველ მსოფლიო ომში ამერიკის არმიის რიგებშიც იბრძოდა და ბოლოს, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ამერიკაში რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომელი გახდა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში არტურ ადამსს, უკვე მაღალკვალიფიციურ მზვერავს (მის დიპლომატიურ ტალანტზე ცნობები არ შემორჩენილა), ინფორმაციის საკუთარი „წყარო“ გააჩნდა ლოს-ალამოსში. აგენტი, რომელიც „მარტინ კემპის“ ფსევდონიმითაა დღემდე ცნობილი, არტურ ადამსს 10 ათას გვერდამდე ზესაიდუმლო დოკუმენტაციას, ურანის, პლუტონიუმისა და ბერილიუმის ნიმუშებს გადასცემს. ყველაფერ ამას იგორ კურჩატოვი სასწრაფოდ თხოულობდა. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მზვერავები ინფორმაციასაც და ნიმუშებსაც სწორედ კურჩატოვის დაკვეთისა და ნუსხის თანახმად აგროვებდნენ. ასე, მაგალითად, ამერიკიდან 1946 წლის 13 თებერვალს საიდუმლო არხებით მიღებული ინფორმაციით გახდა ცნობილი საბჭოთა ბომბზე მომუშავე ფიზიკოსებისათვის და ქიმიკოსებისათვის, თუ როგორ ღებულობდნენ და რაში აყენებდნენ ლოს-ალამოსში ქიმიურ ელემენტს პოლონიუმს.

ლავრენტი ბერიას აგენტურული ქსელის ყველაზე ძვირფას ბრილიანტს, ალბათ, მაინც ცოლ-ქმარი ზარუბინები წარმოადგენდნენ. ქმარი ვასილი ზარუბინი ამერიკაში საბჭოთა საელჩოს პირველი მდივანი იყო. ოჯახი 1941 წელს ჩავიდა ამერიკაში, ცოლი ლიზა (წარმოშობით რუმინელი ებრაელი გორსკაია-როზენცვეიგი), პროფესიონალი მზვერავი, თავისუფლად ფლობდა ექვს ენას, მაღალი პირადი კულტურის ადამიანი, რომელიც ყველაფერთან ერთად ფენომენალური კომუნიკაბელური ნიჭითაც იყო დაჯილდოვებული. საბჭოთა კავშირში ერთადერთი ყოფილი უცხოელი იყო, რომელმაც საბჭოთა მოქალაქეობა მიიღო და „კგბ“-ს პოლკოვნიკობას მიიღწია. ლიზა მიმზიდველი გარეგნობის ქალი იყო, ტყუილად კი არ შეურჩია ლავრენტი ბერიამ მას აგენტურული ფსევდონიმი „ვარდო“... ლიზა ზარუბინას აგენტური ბიოგრაფიის უდიდესი ნაწილი დღესაც გასაიდუმლოებულია. საბჭოთა კავშირმა გერმანიის თავდასხმის შემდეგ ამერიკაში უამრავი ორგანიზაციები შექმნა (ეთნიკური რუსებისა და რუსეთიდან სხვადასხვა დროს გადასახლებული ებრაელების ინიციატივით), რომელნიც შენაწირებს აგროვებდნენ საბჭოთა კავშირის დასახმარებლად. ლიზა ზარუბინა მალე გაშინაურდა ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში და მოკლე დროში 20-ზე მეტი გავლენიანი აქტივისტი დაიყოლია პატრიოტული მოსაზრებებით გამხდარიყვნენ საბჭოთა აგენტები. ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციაში გაიცნო მან ამერიკაში მცხოვრები ცნობილი რუსი მხატვარისა და სკულპტორის სერგეი კონენკოვის ცოლი მარგარიტა. მალე ქალები იმდენად დაახლოვდნენ (ცხადია, ზარუბინას ინიციატივით), რომ კონენკოვის მეუღლემ ახალ მეგობარს საქვეყნოდ ცნობილ ფიზიკოს ალბერტ ეინშტეინთან თავისი რომანის საიდუმლოებაც კი გაანდო. იმ პე-



რობერტ ოპენჰეიმერი
(1904-1967)
აშშ-ის „მანჰეტენის პროექტის“ სამეცნიერო ხელმძღვანელი
1941-1945 წლებში

რიოდში გენიოსი ფიზიკოსი, როგორც ინფორმაციის წყარო, „ვარდოს“ ნაკლებად აინტერესებდა, მაგრამ როდესაც 1942 წელს საბჭოთა კავშირიც დაინტერესდა ბირთვული იარაღით, „ვარდომ“ გაიხსენა, რომ მარგარიტა თავისი საყვარლის (ეინშტეინის) სახლში ცნობილი ფიზიკოსების ხშირ სტუმრობებსაც ახსენებდა ხოლმე. მალე „ვარდომ“ უკვე იცოდა, თუ ვინ სტუმრობდა ყველაზე ხშირად ალბერტ ეინშტეინს – რობერტ ოპენჰეიმერი, ლეო სცილარდი, იუჯინ ვიგნერი, გეორგ გამოვი, ენრიკო ფერმი და სხვა ცნობილი მეცნიერები. ახლა „ვარდო“ უკვე ღიად აშანტაჟებდა მარგარიტას და მას ეინშტეინთან სასიყვარულო ისტორიის გამჟღავნებით ემუქრებოდა, რასაც ბედოვლათი ქალისათვის საშინელი შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა, მისი მეუღლის „არაცივილიზებულად“ ეჭვიანი ხასიათის გამო. მარგარიტასაც სხვა რა გზა ჰქონდა და მორჩილად ასრულებდა „მეგობრის“ ნებისმიერ დავალებებს. ასე გააცნო მან ოპენჰეიმერის ცოლი „ვარდოს“. უკანასკნელს დიდი დრო არ დასჭირვებია, რათა უკვე ოპენჰეიმერის უახლოესი გარემოცვის წევრი გამხდარიყო და მეტიც – ლამაზი ქალების მიმართ არაგულგრილობით ცნობილი ოპენჰეიმერიც კი მოესიბლა.

მართალია, „მანჰეტენის პროექტს“ ხელმძღვანელს აშშ-ის კომპარტიასთან ურთიერთობები გაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ მისი მემარცხენე შეხედულებები ყველასათვის იყო ცნობილი. „ვარდოსთვის“ პრობლემას არ წარმოადგენდა ოპენჰეიმერზე ზეგავლენა, რათა „მანჰეტენის პროექტში“ ჩაერთო გერმანიიდან ნაცისტთა რეპრესიების გამო გამოქცეული რამდენიმე ებრაელი ფიზიკოსი, რომლებიც „შეთავსებით“ საბჭოთა დაზვერვის აგენტებიც იყვნენ. „ვარდომ“ ოსტატურად გამოიყენა 1933 წელს საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში გაქცეული კიდევ ერთი ცნობილი რუსული წარმოშობის ფიზიკოსის გეორგ გამოვის ნათესაური კავშირები – მისი ახლობლები საბჭოთა კავშირში ცხოვრობდნენ და ფაქტიურად მძევლების როლს ასრულებდნენ. „ვარდო“ გეორგ გამოვის ცოლს დაუმეგობრდა და ისე იყენებდა ჯაშუშურ ინტერესებში ცოლ-ქმრის (გამოვის ცოლიც ფიზიკოსი იყო!) გავლენას, რომ მათ ამის თაობაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. გამოვი

ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორი იყო და, რაც მთავარია, იგი ხელმძღვანელობდა თეორიული ფიზიკის ყოველწლიურ სემინარებს. როდესაც გამოვს გარკვეული ეჭვები გაუჩნდა საბჭოთა დიპლომატის მომხიბვლელი მეუღლის თეორიული ფიზიკით უცნაურად ზომაგადასული დაინტერესების გამო, „ვარდომ" კვლავ მზვერავთა გაუჭრელ კოზირის კარტს – შანტაჟს მიმართა და ცოლქმარი თანამშრომლობაზე აიძულა იმის სანაცვლოდ, რომ მათ საბჭოელ ახლო ნათესავებს „ნკვდ"-ს (შინსახკომის) ჯალათები არ მიაკითხავდნენ და მატერიალურადაც კი დაეხმარებოდნენ, რასაც ომის დროს დამშეულ საბჭოთა კავშირში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შთამბეჭდავი იყო გამოვებისაგან მიღებული „აქტივი": „მანჰეტენის პროექტში" დასაქმებულ ამერიკელ მეცნიერთა მიღწევების დეტალური სურათი, ამერიკული ბომბის ყველა მენციერული პარამეტრი და პირველი გამოცდის დრო და ადგილი. ამიტომაც „არ აუვიდა" იოსებ სტალინს გაოცებისაგან „თვალები შუბლზე" პოტსდამში, როდესაც ჰარი ტრუმენმა ისტორიული „საიდუმლოება" გაუმხილა მას ამერიკის პირველი პირთვული ბომბის გამოცდაზე.

როგორც კი „მანჰეტენის პროექტი" სრული დატვირთვით ამუშავდა, მის შტატში „ვარდოს" „რეკომენდაციით" ექვსი ფიზიკოსი და ქიმიკოსი საბჭოთა დაზვერვის აგენტი ითვლებოდა. თითქოს უსაზღვრო უნდა ყოფილიყო ცოლ-ქმარ ზარუბინების აგენტური შესაძლებლობები, მაგრამ მოხდა ის, რაც მხოლოდ საბჭოურ სისტემაში შეიძლება მომხდარიყო: მოულოდნელად ისინი მოსკოვში გაიწვიეს. როგორც გაირკვა, ამერიკაში საბჭოთა საელჩოს რიგით თანამშრომელს თვალში არ მოუვიდა დიპლომატის ცოლის საბჭოთა მოქალაქისათვის შეუფერებელი თავისუფალი ქცევა „მსოფლიო იმპერიალიზმის ცენტრში" და პატრიოტული ვალის მოსახდელად დასმენა აფრინა მოსკოვში. ექვს თვეს ამოწმებდნენ ზარუბინებს „ლუბიანკაზე", ღალატის „ვერანაირი" ნიშნები ვერ აღმოაჩინეს, ამერიკაში კი მაინც აღარ დააბრუნეს.

ტრაგიკულ ირონიად კი ის ფაქტი იქცა, რომ ამერიკის ნაქებმა მართლმსაჯულებამ მათზე იყარა ჯავრი, ვისაც შეიძლება ყველაზე

ნაკლები დანაშული ჰქონდა ჩადენილი ბირთვულ შპიონაჟში: 1953 წლის 19 ივნისს, ხინგ-სინგის ციხეში (ნიუ-იორკის შტატი), ელექტრონულ სკამზე დაასრულეს სიცოცხლე ცოლ-ქმარმა იულიუს და ეტელ როზენბერგებმა. რუსული ეთნიკური ფესვების მქონე როზენბერგები სტუდენტობის წლებიდან იყვნენ გატაცებულნი კომუნისტური იდეალებით, რაც კარგად იყო ცნობილი ამერიკის სპეცსამსახურებისათვის. 1942 წელს კი იულიუსი და ეტელი უკვე ოფიციალურად გახდნენ ამერიკის კომუნისტური პარტიის წევრები, რითაც სამუდამოდ გაინაღდეს „არაკეთილსაიმედო ოჯახის“ რეპუტაცია. ქმარი ელექტრიკოს-ინჟინერი იყო, ცოლი – ნიჭიერი მსახიობი და მომღერალი. იულიუსი 1940 წლიდან იყო საბჭოთა დაზვერვის აგენტი, მოგვიანებით კი აქტიურ თანამზრახველებად აქცია საკუთარი ცოლი, ცოლის ძმა დევიდ გრინგლასი და მისი მეულლე რუთი. გრინგლასი ლოს-ალამოსში მუშაობდა ელექტრიკოსად, რაც საბჭოთა დაზვერვის თვალში მთელი ოთხეულის ფასს ზრდიდა. როზენბერგებისათვის პრობლემები 1950 წლის დასაწყისში დაიწყო, როდესაც ამერიკის კონტრდაზვერვამ ინგლისიდან ლოს-ალამოსში გადმოყვანილი, ზემოთ უკვე ხსენებული კლაუს ფუქსი დააპატიმრა. ძიების პროცესში ფუქსმა ზეწოლას (ფიზიკური გამორიცხული იყო) ვერ გაუძლო და რამდენიმე მეკავშირე დაასახელა, საიდანაც ძიება გრინგლასზე გავიდა. ფუქსისაგან განსხვავებით, გრინგლასი „კერკეტი კაკალი“ გამოდგა და დაკითხვებზე ჯიუტად სდუმდა. ვინაიდან ყველა ადამიანს აქვს რაღაც სუსტი ადგილი, გამონაკლისი არც გრინგლასი იყო – მისთვის ეს იყო ცოლისადმი უსაზღვრო სიყვარული. როგორც კი გრინგლასის ცოლი დააპატიმრეს და ამერიკის სასამართლოებისათვის წესად ქცეული მრავალწლიანი პატიმრობითაც დაემუქრნენ, მოსიყვარულე ქმარმა ენთუზიაზმით დაიწყო ბრალდებასთან თანამშრომლობა და პირველ რიგში სწორედ როზენბერგები დაასახელა. იულიუსი და ეტელი ოპერატიულად კი დააპატიმრეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იურიდიული თვალსაზრისით, მათ საწინააღმდეგოდ ძიებას დიდი არაფერი მტკიცებულებანი არ გააჩნდა. მხოლოდ ორი საეჭვო ღირებულების ნივთმტკიცებანი შესძლო ბრალდებამ სასა-

მართლოსათვის წარედგინა: ნამცხვრის კოლოფი, რომლის გარეკანის მეორე მხარეზე გაურკვეველი კონტაქტები იყო მიწერილი და ჰიროსიმა-ნაგასაკში ჩამოგდებული ამერიკული ატომური ბომბის გრინგლასის მიერ შესრულებული ნახატი, რაც „ნახაზების“ სახით იყო სასამართლო პროცესზე წარდგენილი. თვით ამერიკელ ფიზიკოსთა უმრავლესობას სასაცილოდ არ ჰყოფნიდა გრინგლასის მიერ შესრულებული „ნახაზი“ და ღიად აცხადებდნენ ამერიკული პრესის ფურცლებზე, რომ ის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენდა საბჭოთა დაზვერვისათვის. ლოს-ალამოსის ერთ-ერთმა წამყვანმა ფიზიკოსმა „მანჰეტენის პროექტის“ მონაწილე ფილიპ მორისონმა „უხეში კარიკატურაც“ კი უწოდა გრინგლასის „ნახაზს“. 28 მარტს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გრინგლასიცა და როზენბერგებიც დამნაშავედ სცნო, ხოლო 5 აპრილს ფედერალურმა მოსამართლე ირვინგ კაუფმანმა როზენბერგებს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

ეს იყო ამერიკის ისტორიაში პირველი შემთხვევა, როდესაც ჯაშუშობაში ბრალდებულ სამოქალაქო პირებს სიკვდილით სჯიდნენ. განაჩენი პირადად პრეზიდენტს უნდა დაემტკიცებინა, ხოლო ჰარი ტრუმენმა, რომლის პრეზიდენტობის ვადაც იწურებოდა, ეს ფაქტი მოიმიზეზა და თავი აარიდა სასიკვდილო განაჩენის დამტკიცებას. ახალმა პრეზიდენტმა, გენერალმა დუაიტ ეიზენჰაუერმა, მიუხედავად მსოფლიოში გავრცელებული პროტესტისა (ცოლ-ქმარის დასაცავად გამოვიდნენ ჟან-პოლ სარტრი, ალბერტ ეინშტეინი, რომის პაპი, შარლ დე გოლი, დუ გარი, თომას მანი და კიდევ მსოფლიოში ცნობილი ბევრი ადამიანი), დაამტკიცა განაჩენი: „... ესაა მთელი ერის ბოროტი ღალატი, რომელსაც შეიძლება ბევრი და ბევრი უდანაშაულო მოქალაქის სიკვდილი მოჰყოლოდა“ – ასეთი იყო გენერალი პრეზიდენტის არგუმენტი.

ისტორიას ლეგენდად შემორჩა ცოლ-ქმარი როზენბერგების სიმტკიცე: ელექტრონული სკამის გვერდით იდო ტელეფონი და იქვე იმყოფებოდა ამერიკის კონტრდაზვერვის აგენტი. საკმარისი იყო როზენბერგებს თუნდაც ერთი გამოუვლინებელი საბჭოთა აგენტი დაესახელებინათ და მათ სიცოცხლე შენარჩუნებული ექნებოდათ. იუ-

ლიუსმა კატეგორიულად უარყო ასეთი შეთავაზება და პირველი მოკვდა. ახლა უკვე ეტელის დაყოლიებას ცდილობდა ამერიკელი აგენტი – იგი ორი შვილის დედას უპატრონოდ დარჩენილი შვილების ბედსაც ახსენებდა, მაგრამ ეტელმაც არავინ არ დაასახელა, შეეძლო კი – თუნდაც ოჯახის ახლო ნაცნობი საბჭოთა აგენტი გენრი სტაინგასტი, რომელმაც 90 წლის ასაკამდე იცოცხლა იულიუს და ეტელ რიზენბერგების სიკვდილის ფასად.

თვით ამერიკაში დღემდეა დარწმუნებული ბევრი ისტორიკოსი და იურისტი, რომ რიზენბერგების საქმე შეთითხნილი იყო. ანუ აგენტები კი იყვნენ, მაგრამ სასამართლოს არ გააჩნდა მტკიცებულებები. რამდენიმე წლის შემდეგ ციხიდან გამოსულმა დევიდ გრინგლასმა ჟურნალისტებთან საუბარში აღიარა, რომ პროკურატურას „შეეკრა“, რათა საკუთარი ხვედრი შეემსუბუქებინა.

ყოველივე ზემოაღწერილის პირდაპირი შედეგი ის იყო, რომ 1945 წლის შემოდგომაზე საბჭოთა კავშირში გადამწყვეტი გარღვევისათვის ყველაფერი მომზადდა. ამერიკიდან მიღებული ატომური კვლევების კომპლექსის ყველა ობიექტის მონაცემი პროგრამის ხელმძღვანელების მაგიდაზე იდო – თუ როგორ უნდა მიღებულიყო საჭურვლის მასალები, როგორ მუშაობდნენ დანადგარები და მთელი საწარმოები, როგორ იძლეოდნენ ისინი ურან-235-სა და პლუტონიუმს, როგორი იყო ატომური ბომბის მოწყობილობა, როგორ უნდა დამზადებულიყო იგი და როგორ უნდა გამოცდილიყო. გავიმეორებთ: ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ იგორ კურჩატოვი, იაკობ ზელდოვიჩი, ვიტალი გინზბურგი, იული ხარიტონი, ანდრეი სახაროვი და სხვები არ იყვნენ მენციერული მუშაობით დაკავებულები, მაგრამ მათ არ მოუხდათ „სიბნელეში ბორიალი“ და მიზანდასახულად მიჰყვებოდნენ ამერიკელების მიერ გაკვალულ გზას. ჩანს, ამიტომაც იყო მიღებული გადაწყვეტილება: პირველი საბჭოთა ატომური ბომბი ამერიკული „პაწაწინას“ ზუსტი ასლი ყოფილიყო. ეს ფაქტი მხოლოდ 1992 წელს გახდა ცნობილი. რასაკვირველია, ადრე თუ გვიან იგორ კურჩატოვის გუნდიც შექმნიდა საკუთარ ბომბს, მაგრამ ამას გაცილებით მეტი

ენერგია, სახსრები და, რაც მთავარია, დრო დასჭირდებოდა. „ცივი ომის“ გარიჟრაჟზე კი ყოველი წელი კი ძალზედ ძვირად ფასობდა.

ბირთვულმა დიპლომატიამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო საბჭოთა ბომბის შექმნის შემდეგ. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან დრო და დრო იჩენდა თავს სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიის რეციდივები ბირთვული იარაღის გამოყენების პირდაპირი თუ არაპირდაპირი მუქარებით.

ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ის ფაქტი იქცა, რომ როგორც კი საბჭოთა კავშირის არსენალშიც გაჩნდა ბირთვული იარაღი, ბირთვული შეკავების თეორია იქცა ბირთვული დიპლომატიის კვინტესენციად. ბირთვული იარაღის დამანგრეველი ძალის მასშტაბებმა მოკლე დროში განსაზღვრა მისი ფუნქცია: ჰიროსიმისა და ნაგასაკის შემდეგ, იგი უკვე აღარ განიხილება როგორც ომის წარმოების საშუალება და მის მთავარ (თუ ერთადერთ არა) ფუნქციად უკვე დიპლომატიური ზეწოლა იქცა, უფრო ზუსტად კი პოტენციური თუ რეალური მოწინააღმდეგის დაშინება და შეკავება. ამ თვალსაზრისით, ბირთვული იარაღი დღემდის ითვლება ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების ეფექტურ გარანტად, ხსენებული ცნებების ყველაზე ფართო გაგებით.

მეორე მხრივ, სწორედ ბირთვული იარაღის უნივერსალური შესაძლებლობები ხდის მას არაბირთვულ სახელმწიფოთათვის მიმზიდველად. იქმნება პარადოქსალური რეალობა, როდესაც ბირთვული შეკავება (ანუ ბირთვული დიპლომატია) პერმანენტულად ბადებს ბირთვული იარაღის გავრცელების ტენდენციას. ეს უკვე ბირთვული პრობლემატიკის ორი მნიშვნელოვანი ფაქტორის დიალექტიკური ურთიერთდამოკიდებულებად იქცა მსოფლიო დიპლომატიაში.

რაც დრო გადის, მსოფლიო პოლიტიკის სულ უფრო და უფრო მუდმივი ფაქტორის თვისებებს იძენს ბირთვული შეკავების დიპლომატია, თუმცა ისტორიულად მუდამ ასე არ ყოფილა, რაც იმაზეც გვაფიქრებინებს, რომ კვლავაც შეიძლება შეიცვალოს სიტუაცია.

გასული საუკუნის 50-იანი წლების დასასრულიდან იკიდებს ფეხს ვაშინგტონში იმ რეალობის აღქმა, რომ ბირთვული იარაღი გამოუყენებელია პირდაპირი სამხედრო გაგებით. მაშინაც კი არ ეთანხმებოდა ყველა პრეზიდენტ ეიზენჰაუერს, როდესაც უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ „მხოლოდ გიჟი შეიძლება მივიდეს იმ აზრამდე, რომ კაცობრიობის ტოტალური განადგურებითაა შესაძლებელი ომში გამარჯვება“. ორ ბირთვულ ზესახელმწიფოს შორის კი ის განსხვავებაც იყო, რომ ამერიკაში სტრატეგიული გათვლების ავტორები სამხედროები კი არა, სამოქალაქო სფეროს სპეციალისტები, მეცნიერები იყვნენ. კისინჯერის, ბროუდის, შელინგის, კისტიაკოვსკის, ქენანისა და სხვა მკვლევარების ნაშრომთა საფუძველზე შეიქმნა თეორია, რომლის მიხედვითაც საბოლოოდ იქნა დასაბუთებული, რომ ბირთვული იარაღი არა მხოლოდ სხვა იარაღზე მეტი დამანგრეველი ძალით ხასიათდება, არამედ იგი თვისობრივად ახალი იარაღია, რომელსაც შეუძლია ისე გაანადგუროს მთელი მსოფლიო, რომ საერთოდ არ დატოვოს გამარჯვებული. ასე დაიბადა დღეს უკვე ბუნებრივი, იმ დროისათვის კი ეპოქალური მნიშვნელობის დასკვნა, რომ ბირთვული იარაღის გამოყენების მიზანი ომში გამარჯვება კი არა, ამ ომის თავიდან აცილებაა. უფრო კონკრეტულად – სავარაუდო მოწინააღმდეგეს არ უნდა ჰქონდეს ისეთი ნაბიჯების შესაძლებლობა, რასაც ბირთვული ომი შეიძლება მოჰყვეს. ეს უკვე ბირთვული დიპლომატიის ახალი ფუნქცია იყო.

დასავლეთის (პირველ რიგში, ამერიკის) სტრატეგიული თეორია ეფუძნებოდა დიპლომატიისა და სამხედრო სტრატეგიის ორგანულ კავშირს და უკუკავშირსაც, რასაც ხელს უწყობდა პოლიტოლოგებისა და სამხედრო ექსპერტების თავისუფალი დისკუსიები, ღია სამხედრო ინფორმაცია და სამოქალაქო და სამხედრო პირების რეგულარული ადგილმონაცვლეობები როგორც სახელმწიფო თანამდებობებზე, ასევე აკადემიურ სამყაროში.

საბჭოთა კავშირისათვის კი დამახასიათებელი იყო დიპლომატიისა და სტრატეგიის სამოქალაქო და სამხედრო სპეციალისტების „წყალგაუმტარი“ გამიჯვნა და თავდაცვის სფეროს შეუვალი გასაი-

დუმლოება. ყოველივე ამის ბუნებრივი შედეგი იყო საბჭოთა სამხედრო დოქტრინა: საბჭოთა კავშირი კი არის მშვიდობის მოყვარე ქვეყანა, მაგრამ თუ ომი დაიწყება, ხალხი და არმია ერთად გაანადგურებს მტრებს. ბუნებრივია, „სკკპ-ს ბრძნული ხელმძღვანელობით“. ასეთი ომისათვის კი მზად უნდა ყოფილიყო როგორც ჩვეულებრივი, ასევე ბირთვული შეიარაღება.

საბჭოთა კავშირმა მხოლოდ 1970-იან წლებში, ისიც სხვადასხვა დათქმებით, წინაპირობებითა და ორაზროვნად აღიარა, რომ შეუძლებელია ბირთვულ ომში გამარჯვება და „იმპერიალისტური აგრესიის შეკავების“ ფუნქციით შემოფარგლა საკუთარი ბირთვული იარაღის დანიშნულება. იმ პერიოდში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა ჩინეთთან იდეოლოგიურ დავას. პეკინი ღიად აცხადებდა საყოველთაო ბირთვულ ომში კომუნიზმის გამარჯვების შესაძლებლობას.

ბირთვული იარაღის როლზე და „ბირთვული დიპლომატიის“ რესურსზე თეორიული დებატების პარალელურად, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, სისტემატიური ხასიათი მიიღო ე.წ. „არასანქციონირებული ინციდენტების“ პრაქტიკამ, რასაც ადვილად შეიძლებოდა ბირთვული კატასტროფა მოჰყოლოდა. ამ მხრივ, პირველ რიგში ამერიკისა და საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალები სცოდავდნენ. ბოლო წლებში გასაჯაროებული მონაცემებით, 1950-1983 წლებში საბჭოთა და ამერიკელმა მფრინავებმა 40-ჯერ გამოიყენეს იარაღი ერთმანეთის წინააღმდეგ. მხარეთა მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, ასეთ ინციდენტებში დასავლეთმა 27 თვითმფრინავი და 139 პილოტი დაკარგა, საბჭოთა მხარემ კი მხოლოდ 6 თვითმფრინავი.

თუ 1983 წელს ჩამოგდებულ სამხრეთ კორეის ავიაკომპანიის სამგზავრო თვითმფრინავ „ბოინგს“ არ ჩავთვლით, ყველაზე სერიოზულ ინციდენტად ითვლება 1958 წლის 2 სექტემბრის ავიაშეტაკება, როდესაც საბჭოთა გამანადგურებელმა ამერიკული „ჰერკულესი“ ჩამოაგდო სომხეთის თავზე. მოსკოვმა მხოლოდ 40 წლის შემდეგ დაუბრუნა ამერიკელებს დაღუპულთა ნაშთები. სამხედრო ისტორიკოსთა აზრით, დანაკარგებში არსებული დისბალანსი, ჯერ ერთი, საბჭოთა

მფრინავების მეტი სისასტიკითა და თავშეუკავებლობით აიხსნება, ხოლო მეორეც, კიდევ იმ ფაქტით, რომ საბჭოთა კავშირი ყოველი მხრიდან იყო გარშემორტყმული ამერიკული ბაზებით და არა პირიქით. ვაშინგტონის მტკიცებით, უმრავლეს შემთხვევაში საბჭოთა საჰაერო სივრცის დარღვევა შეცდომის შედეგად ხდებოდა, მოსკოვი კი მუდამ „წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციაზე“ მიუთითებდა. ამერიკელთა ვერსიით, რთული გასარკვევი იყო საბჭოთა პოლიტიკოსებისა და გენერლების ლოგიკაც, ვინაიდან რიგ შემთხვევებში ისინი თვალს ხუჭავდნენ და რეაგირების გარეშე ტოვებდნენ მეორე მხარის მხრიდან ჩადენილ უმნიშვნელო გადაცდენებს, ხოლო ზოგჯერ კი, გაურკვეველი მოტივით, უცებ აძლევდნენ თავიანთ მფრინავებს სროლის ბრძანებებს.

როდესაც 1945 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ჯარები კორეაში შევიდნენ და ზონები გაიყვეს, ერთ ხანს ამერიკელები თავისუფლად დაფრინავდნენ საბჭოთა ზონაზე, ვინაიდან ასე უფრო მოხერხებული იყო მანჯურიიდან თავიანთი ტყვედ ნამყოფი სამხედროების გამოყვანა. ორი თვის შემდეგ კი მოსკოვიდან ჩასულმა კომისიამ „წესრიგის დამყარება“ მოთხოვა და პირველივე ამერიკული „ბ-29“ ძალით დასვეს საბჭოთა აეროდრომზე. მფრინავები და მგზავრები კი გაანთავისუფლეს საბჭოთა მეთაურებმა, მაგრამ „ბ-29“ მოსკოვში გადაიტანეს შესასწავლად. საინტერესო იყო, რომ როდესაც ამერიკული თვითმფრინავის მეთაურს შეეკითხნენ, თუ რატომ არ გაუხსნა საბჭოთა მფრინავებს საპასუხო ცეცხლი, გაოცებულმა ამერიკელმა კითხვითვე უპასუხა საბჭოთა გენერალს: „როგორ, რუსებისთვის მესროლა?“. აი, რუსი მფრინავებისათვის კი ანალოგიური კითხვა საერთოდ არ არსებობდა.

1948 წლის 10 მარტს, დასავლეთ ჩეხეთის თავზე, ევროპაში საბჭოთა და ამერიკულ მფრინავთა პირველი საჰაერო ბრძოლა გაიმართა – ორმა საბჭოთა გამანადგურებელმა ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდო. 1950 წლის 8 აპრილს კი, ბალტიისპირეთში, ლიეპაიას თავზე, საბჭოთა გამანადგურებლებმა ამერიკული „პრივატორი“ ჩამოაგდეს. ეკიპაჟის ათივე წევრი დაიღუპა. ინციდენტს საერთა-

შორისო სკანდალი მოჰყვა, ვაშინგტონი და მოსკოვი საპროტესტო ნოტებით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. როგორც მრავალი წლის შემდეგ გაირკვა, ნოტების რეალური რედაქტორები იოსებ სტალინი და ჰარი ტრუმენი იყვნენ.

1950 წლის 8 ოქტომბერს ორი ამერიკული გამანადგურებელი ბომბდამშენი, ჩრდილოეთ კორეაში შეცდომით ასცდა კურსს და იერიში ვლადივოსტოკის მახლობელ საბჭოთა აეროდრომზე მიიტანა, რის შედეგადაც მიწაზე მყოფი 8 ამერიკული წარმოების საბჭოთა „კინგ კობრა“ დააზიანა. ვაშინგტონმა ოფიციალურად მოიხადა ბოდიში და ავიაჯგუფის მეთაური თანამდებობით დააქვეითა. 1955 წლის 22 ივნისს, ამერიკის საპატრულო თვითმფრინავი „ნეპტუნი“ საბჭოთა გამანადგურებლებმა ბერინგის სრუტის თავზე ჩამოაგდეს, ეკიპაჟის წევრები გადარჩნენ. ეს იყო უნიკალური შემთხვევა, როდესაც მოსკოვმა დანაშულიც აღიარა და 725 ათასი დოლარი კომპენსაციის სახითაც გადაიხადა, თუმცა ორჯერ ნაკლები, ვიდრე ამერიკელები მოითხოვდნენ. შემდეგ იყო კარიბის კრიზისი 1962 წლის 27 ოქტომბრის „შავი შაბათით“ – კრიზისის კულმინაციით, როცა საბჭოთა ოფიცრის ბრძანებით, საბჭოთა რაკეტით კუბის თავზე ამერიკული მზვერავი „უ-2“ გაანადგურეს. უკვე ეჭვი აღარავის არ ეპარებოდა, რომ ახალი მსოფლიო ბირთვული ომი რეალურ პერსპექტივად იქცა და იგი შეიძლებოდა არა მხოლოდ შეცდომის, არამედ წინასწარ განზრახული მიზეზითაც კი დაწყებულიყო. კუბაზე განლაგებული საბჭოთა საზენიტო-რაკეტული დივიზიონის მეთაურმა, კაპიტანმა ნიკოლაი ანტონეცმა ხომ დამოუკიდებლად მიიღო უაღრესად საშიში გადაწყვეტილება.

საჰაერო „მინი-ომების“ მსხვერპლთა დაახლოებით ორი მესამედი მოდის 1983 წლის 1 სექტემბრის ტრაგედიაზე, როდესაც საბჭოთა ავიაგამანადგურებელმა კუნძულ სახალინთან სამხრეთ კორეის „ბოინგი“ ჩამოაგდო (დაიღუპა 269 ადამაინი). საბჭოთა მთავრობამ სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდების ფაქტი მხოლოდ 7 სექტემბერს აღიარა. მოგვიანებით, იმ პერიოდში ამერიკაში საბჭოთა ელჩი ანატოლი დობრინინი იხსენებდა, რომ მას გაცოფებულმა იური ანდროპოვმა

(კომპარტიის მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა) დაურეკა და უხეშად ლანძღავდა „უტვინო გენერლებს“, რომლებიც სავსებით არ ფიქრობდნენ „დიდ პოლიტიკაზე“. დიდი პოლიტიკა კი იგივე დიდი დიპლომატია იყო, რომლის არსებობის თავად ფაქტი იყო იმის გარანტი, რომ ზემოთ ჩამოთვლილ არც ერთ ინციდენტს ყველაზე საშინელი შედეგი – ატომური ომი არ მოჰყოლია. თუ არა ბირთვული იარაღი და ბირთვული დიპლომატია, როგორც მოაზროვნე სკეპტიკოსები ამბობენ, არაფერი არ იყო გამორიცხული.

კარიბის რაკეტული კრიზისი განგაშის ზარად იქცა და ორივე ბირთვული ზესახელმწიფოს უმაღლესმა ხელმძღვანელობამ პირველად გაუსწორა თვალი ხისტ ალტერნატივას – ან რეალური პრევენცია, ან ბომბით ხელში გაჭიმულ ბაგირზე უსასრულო ბალანსირება საბოლოო გარდაუვალი შედეგით. მაგრამ რამდენად მძლავრი აღმოჩნდა ბირთვული იარაღით ორმხრივი გატაცება, რომ კიდევ დიდი დრო დასჭირდა 40-იანი წლების დასასრულიდან დაძრული პროცესის, თუნდაც სიმბოლურ, უმნიშვნელო დამუხრუჭებას...

როგორც ბირთვული შეიარაღების პიონერმა, პირველმა ამერიკამ დაიწყო სტრატეგიული მნიშვნელობის არსენალზე ზრუნვა და 1950-იან წლების შუახანებისათვის უკვე გააჩნდა 1200 ბომბდამშენი, რომელთაც 2 ათასი ბირთვული მუხტის მიტანა შეეძლოთ საბჭოთა კავშირის ტერიტორიამდე. დიდი ხნით არც მოსკოვი დარჩა ვალში და საკონტინენტთაშორისო ბომბდამშენ „ტუ-4“-ის მთელი საჰაერო ფლოტი შექმნა. 50-იანი წლების დასასრულისთვის კი საბჭოთა კავშირი უკვე საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებზე აკეთებს აქცენტს, რომელთა გამოცდაც წარმატებით ჩატარდა 1957 წლის 3 ნოემბერს. სწორედ ასეთი რაკეტა „სს-6“-ით გაუშვა მოსკოვმა დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი. ეს ფაქტი კი, მეცნიერულ მიღწევასთან ერთად, იმის აღიარებაც იყო, რომ მოსკოვი ბალისტიკური რაკეტების შექმნის სფეროში ლიდერის პოზიციებზე გაიჭრა.

1959 წლის დეკემბერში, საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში სტრატეგიული დანიშნულების რაკეტული ჯარები იქმნება. 1961 წლისათვის საბჭოთა კონსტრუქტორები ახალ საკონტინენტთაშორისო სტრა-

ტეგიულ რაკეტა „სს-7“-ს ქმნიან. 1962 წლისათვის, ბალისტიკური რაკეტებითა და ბომბდამშენებით, საბჭოთა კავშირს შეეძლო უკვე 300 ბირთვული მუხტით დამუქრებოდა ამერიკის ტერიტორიას, თუმცა ღა ეს დიდ წამატებად მაინც ვერ ჩაითვლებოდა ამერიკის 3 ათასი მუხტის მატარებელ 1300 ბომბდამშენთან და 183 საკონტინენტთა-შორისო ბალისტიკურ რაკეტა „ატლასსა“ და „ტიტანთან“ შედარებით. გარდა ამისა, პენტაგონის განკარგულებაში იყო 144 რაკეტით შეიარაღებული 9 წყალქვეშა ნავი „პოლარისი“. 1962 წლის ოქტომბერში ამერიკაში დაიწყო ახალი თაობის რაკეტების „მინიტმენების“ განთავსება.

შეტევითი დანიშნულების სტრატეგიული შეიარაღების მარაგების დინამიურმა ზრდამ და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების მადესტაბილიზებელი როლის გათვალისწინებამ, მოსკოვი და ვაშინგტონი 60-იანი წლებიდან აიძულა მოლაპარაკებები დაეწყოთ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვაზე. მოლაპარაკებების დაწყებას წინ უძღოდა ურთულესი კონსულტაციების რამდენიმე ეტაპი. 1968 წელს, როგორც იქნა, მხარეებმა მოლაპარაკებების დაწყებაზე შეთანხმებას მიაღწიეს. ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარის შეყვანას ერთწლიანი საპროტესტო პაუზა მოჰყვა და 1969 წლის ნოემბერში მოლაპარაკებები დაიწყო. დასაწყისში ნავარაუდები იყო, რომ მოლაპარაკების საგანი იქნებოდა ყოვლისმომცველი შეთანხმება როგორც შეტევით, ასევე თავდაცვით შეიარაღებაზე. მოლაპარაკების პროცესში გაირკვა, რომ საბჭოთა მხარე კატეგორიულად ითხოვდა შეტევით შეიარაღებაში ჩათვლილიყო ე.წ. „წინა ხაზის“ შეიარაღებაც, ანუ ევროპაში განთავსებული ამერიკული ბირთვული იარაღი. კომპრომისის სახით (ბირთვული დიპლომატიის მიღწევა!) გადაწყდა, რომ შეტევით შეიარაღებაზე მიღებული გადაწყვეტილება ყოვლისმომცველი ხასიათის არ იქნებოდა და ბომბდამშენებს შეზღუდვა არ შეეხებოდა. თავდაცვითი შეიარაღების შეზღუდვის საკითხში კი სრულმასშტაბიანი თანხმობა იქნა მიღწეული.

შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების ბაზად ჩაითვალა პრინციპი, რომლის თანახმადაც შემცირებას ექვემდება-

რებოდა ბალისტიკური რაკეტების როგორც საზღვაო, ასევე სახმელეთო ბაზრების გამშვები დანადგარების რაოდენობა. რამდენიმე ცდის მიუხედავად, მხარეები ვერ შეთანხმდნენ ბალისტიკური რაკეტების ინდივიდუალური დამიზნების მუხტებით აღჭურვის აკრძალვის საკითხში.

ბირთვული დიპლომატიის პირველი თვალსაჩინო შედეგის დოკუმენტების – რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების შეზღუდვაზე („პრო“ – რუსული აბრევიატურით) და სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების სფეროში ზოგიერთ ღონისძიებებზე დროებითი ხელშეკრულების („ოსვ-1“) ხელმოწერა 26 მაისს გაიმართა და ძალაში 3 ოქტომბერს შევიდა. პირველი ხელშეკრულება უვადო იყო, მეორეს მოქმედების ვადა კი 5 წლით განისაზღვრა.

„ოსვ-1“-ით მოსკოვმა და ვაშინგტონმა ვალდებულება იკისრეს 1972 წლის 1 ივლისიდან აღარ დაეწყოთ სახმელეთო ბალისტიკური რაკეტების გამშვები დანადგარების მშენებლობა. ასევე მწყობრში არ შეეყვანათ ახალი წყალქვეშა ნავები და საზღვაო ბაზირების ბალისტიკური რაკეტების გამშვები დანადგარები. საბჭოთა კავშირს უფლება რჩებოდა ჰქონოდა 950 საზღვაო ბაზირების რაკეტა. ხელშეკრულება არ ზღუდავდა საბჭოთა კავშირის პროგრამას სტრატეგიულ რაკეტმზიდებთან დაკავშირებით.

რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების შეზღუდვის ხელშეკრულების ძირითადი დებულება ითვალისწინებდა ქვეყნის ტერიტორიის ან რაიონის დაცვის აკრძალვას. გამონაკლისის სახით ხელშეკრულება ითვალისწინებდა მხოლოდ ორი სისტემის შექმნას, უფრო სწორად, დედაქალაქის დაცვასა და რაკეტების დისლოკაციის ადგილის დაცვას შორის არჩევანს. ამერიკელებმა დასაცავად აირჩიეს ადგილი, საიდანაც რაკეტებს სტარტი უნდა აეღოთ. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ მოსკოვის დაცვა ამჯობინა. უკვე 2016 წელს, ცნობილმა ოპოზიციონერმა ჟურნალისტმა იულია ლატინინამ „ეხო მოსკვი“-ს ეთერში ამგვარად ახსნა ასეთი არჩევანის მოტივაცია: მისი ვერსიით, საბჭოთა კავშირი აპირებდა კრიზისის შემთხვევაში დასწრებით ბირთვულ შეტევას და ამიტომ იცავდა დედაქალაქს და არა რაკეტების

შახტებს. ამერიკელები კი „შურისძიების იარაღის“ შენარჩუნებაზე ზრუნავდნენ და ამიტომ იცავდნენ რაკეტებს გრანდ-ფორკსის ბაზაზე.

ბირთვული დიპლომატიის შემდეგი დივიდენტი უკვე „ოსვ-2“ იყო, რომელიც მისი წინამორბედის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა. ამჯერად მოლაპარაკებები გაცილებით რთული აღმოჩნდა. მოსკოვი ჯიუტად მოითხოვდა ევროპაში არსებული რაკეტების ჩათვლას ამერიკის საერთო სტრატეგიულ ბალანსში, ვაშინგტონი კი იმ ფაქტზე აპელირებდა, რომ 1968 წლიდან მოყოლებული, საბჭოთა კავშირი ყოველ წელს 200 ბალისტიკურ რაკეტას ამზადებდა, ამერიკას კი, 1967 წლიდან მოყოლებული, ერთი ბალისტიკური რაკეტითაც კი არ ჰქონდა გაზრდილი თავისი არსენალი. სიტუაციას იმ ფაქტმაც შემატა დრამატიზმი, რომ 1983 წელს მოსკოვმა წარმატებით გამოსცადა ინდივიდუალური დამიზნების გამყოფმუხტიანი რაკეტები. მხოლოდ 1974 წლის ნოემბერში ვლადივოსტოკში ამერიკის ახალი პრეზიდენტის ჯერალდ ფორდისა და ლეონიდ ბრეჟნევის შეხვედრის დროს იქნა მიღწეული შეთანხმება, რომლის თანახმად, თითოეული მხარის რაკეტა-მატარებლების მაქსიმალური რაოდენობა 2400 ერთეულით განისაზღვრა, აქედან მხოლოდ 1320 შეიძლებოდა აღჭურვილიყო ინდივიდუალური დამიზნებით.



ჯერალდ ფორდი და ლეონიდ ბრეჟნევი

ვლადივოსტოკში საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვან კომპრომისზე წავიდა – მოხსნა თავისი მოთხოვნა „წინა ხაზის ბაზირების“ (ევროპულ) რაკეტებზე. თავის მხრივ, ამერიკელები დათანხმდნენ შეზღუდვა მძიმე ბომბდამშენებსაც შეხებოდა და საბჭოთა მძიმე რაკეტების შემცირებასაც აღარ ითხოვდნენ. მიუხედავად ვლადივასტოკში მიღწეული

შეთანხმებისა, მოლაპარაკებები ამ სფეროში 1979 წლამდე გრძელდებოდა. ამასობაში 5-წლიანი ვადა გაუვიდა „ოსვ-1“-ს და 1977 წლის ოქტომბერში მხარეებმა განაცხადეს, რომ ახალი ხელშეკრულების გაფორმებამდე ვადა გასული ხელშეკრულების პირობებს არ დაარღვევდნენ. 1979 წლის ივნისში, ვენის შეხვედრის მსვლელობაში ხელმოწერილი იქნა „ოსვ-2“. ახალი ხელშეკრულება ძირითადად ვლადივასტოკში მიღწეულ შეთანხმებას ეფუძნებოდა, თუმცა რამდენიმე დამატებით შეზღუდვასაც ითვალისწინებდა. გარდა ამისა, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც მცირდებოდა სტრატეგიული რაკეტა-მატარებლების რაოდენობა – მათი ზედა ზღვარი 2400 ერთეულით განისაზღვრა, რომელიც 1981 წლის იანვრამდე 2150-მდე უნდა შემცირებულიყო. 20 ფრთოსანი რაკეტით განისაზღვრა იმ დროისათვის არსებული მძიმე ბომბდამშენების შეიარაღება და 28 ფრთოსანი რაკეტით – ახალი თაობის ბომბდამშენების ზღვარი. მიუხედავად იმისა, რომ „ოსვ-2“ მთლიანობაში ზღუდავდა სტრატეგიული ძალების რაოდენობრივი ზრდას, მას არ შეეძლო არსებითად შეეშალა ხელი სტრატეგიული შეიარაღების შემდგომი სრულყოფისათვის. ორივე მხარის სურვილი იყო შეენარჩუნებინათ სტრატეგიული ძალების მოდერნიზაციის არსებული პროცესები. ხელშეკრულების მოქმედების საბოლოო ვადა 1985 წლის 31 დეკემბრით განისაზღვრა.

ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანამ ხელშეკრულების რატიფიკაცია და ძალაში შესვლა შეუძლებელი გახადა. თეთრმა სახლმა ამჯობინა სენატიდან გაეწვია განხილვის პროცესში მყოფი ხელშეკრულება, ვიდრე სენატს საერთოდ ჩაეგდო. ვინაიდან არც მოსკოვს და არც ვაშინგტონს ოფიციალურად არ უთქვამს უარი მის რატიფიკაციაზე, ორივე მხარე იცავდა ხელმოწერილ პირობებს. გამონაკლისად იქცა საბჭოთა კავშირის უარი 2400 ერთეულამდე შეემცირებინა თავისი რაკეტა-მატარებლების საერთო რაოდენობა. ხელშეკრულებით ნაკისრი ზოგიერთი ვალდებულება ასევე დაარღვია ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა დაძაბვის ოფიციალურ მიზეზად ბირთვული შეიარაღების საფრთხესთან არანაირი კავშირის

მქონე პრობლემა იქცა. 1972 წლისათვის მკვეთრად გაიზარდა საბჭოთა კავშირიდან ისრაელში ემიგრაციის მასშტაბები. კრემლში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრაქტიკა გაიხსენეს და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 3 აგვისტოს ბრძანებულებით, ისრაელში სამუდამოდ საცხოვრებლად წასვლის ყველა უმაღლესი განათლების მქონე მსურველს მის განათლებაზე გაწეული ხარჯები სახელმწიფოსათვის უნდა დაებრუნებინა. მაგალითად, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს 12 200 მანეთი უნდა გადაეხადა და ეს მაშინ, როდესაც საშუალო თვიური ხელფასი 130-150 მანეთს შეადგენდა. ხსენებულ გადაწყვეტილებას, მოსკოვისათვის მოულოდნელი მკვეთი საპროტესტო რეაგირება მოჰყვა მთელ დასავლეთში. საბჭოთა კავშირისათვის ყველაზე მტკივნეული კი აშშ-ის კონგრესის მიერ, მიღებული ე.წ. „ჯექსონ-ვენიკის შესწორება“ იყო (კონგრესმენების ჰენრი ჯექსონისა და ჩარლზ ვენიკის წინადადებით), რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციას უკრძალავდა ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის სტატუსის მინიჭებას ყველა იმ ქვეყნისათვის, სადაც სერიოზულად იზღუდებოდა თავისუფალ ემიგრაციაზე მოქალაქეთა უფლება. ასეთი ქვეყნებიდან იმპორტი დისკრიმინაციული ტარიფებისა და მონაკრეფების ობიექტად იქცეოდა. კონგრესმა შესწორება ოფიციალურად მხოლოდ 2012 წლის 21 ნოემბერში გააუქმა, თუმცა იგი დღემდე მოქმედებს აზერბაიჯანთან, ბელორუსიასთან, ყაზახეთთან, ტაჯიკეთთან, თურქმენეთთან და უზბეკეთთან მიმართებაში.

რაც უფრო მძიმე დღეები უდგებოდა საბჭოთა კავშირს, მით უფრო ეფექტური ხდებოდა ბირთვული დიპლომატია, რის დადასტურებად 1991 წლის 31 ივლისის ხელშეკრულება იქცა. ეს იყო სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების პირველი ორმხრივი დოკუმენტი („სნვ-1“), რომელმაც განადგურების განაჩენი გამოუტანა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ბირთვულ არსენალებში დაგროვილ 1600 სტრატეგიული დანიშნულების რაკეტა-მატარებლებს. განადგურებას ექვემდებარებოდა მათზე განთავსებული 6000-ზე მეტი ატომური მუხტი. გარდა ამისა, „სნვ-1“ 4900

ერთეულამდე ზღუდავდა სახმელეთო და საზღვაო ბაზირების რაკეტებზე დამონტაჟებული ბირთვული მუხტების (ქობინების) ზედა ზღვარს. 1100 მუხტით განისაზღვრა სახმელეთო ბაზირების მობილური რაკეტების აღჭურვაც. ორჯერ უნდა შემცირებულიყო (154 ერთეულამდე) მძიმე რაკეტების რაოდენობა. ძალაში შედიოდა კიდევ სხვა, შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი შეზღუდვებიც.

ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის საბჭოთა კავშირის სტრატეგიული ძალები ითვლიდა სახმელეთო ბაზრების 1398 ბალისტიკურ რაკეტას და წყალქვეშა ნავებზე განლაგებულ საზღვაო ბაზირების 940 ბალისტიკურ რაკეტას, პლიუს 162 სტრატეგიულ ბომბდამშენს, რომელთაგანაც 99 ფრთოსანი რაკეტებით იყო შეიარაღებული.

იმავე პერიოდში ამერიკული მონაცემები ასე გამოიყურებოდა: 2246 რაკეტა-მატარებელი 10563 მუხტით (სახმელეთო ბაზირების 1000 ბალისტიკური რაკეტა, 672 საზღვაო ბაზირების რაკეტა) და 574 ბომბდამშენი, მათგან 189 იყო შეიარაღებული ფრთოსანი რაკეტებით.

ხელშეკრულების ხელმოწერიდან ცოტა ხნის შემდეგ ვაშინგტონმა და მოსკოვმა დამოუკიდებლად განახორციელეს თავიანთი ბირთვული ძალების საბრძოლო მზადყოფნის დაქვეითების ღონისძიებები. მკვეთრად მცირდებოდა ბირთვული იარაღის არასანქციონირებული გამოყენების შესაძლებლობა, საბრძოლო მორიგეობიდან მოიხსნა განადგურებას დაქვემდებარებული წინა თაობების ყველა რაკეტა. სამხედრო ხომალდებისა და წყალქვეშა ნავებიდან მოიხსნა ყველა ფრთოსანი რაკეტა და სტრატეგიული დანიშნულების ყველა ბირთვული რაკეტა. საბჭოთა კავშირმა ივალდებულა შეეჩერებინა სარკინიგზო ბაზირების სარაკეტო კომპლექსების განლაგება.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიწყო მოლაპარაკებები ახალ ხელშეკრულებაზე, რომელსაც კიდევ უფრო მნიშვნელოვნად უნდა შეემცირებინა სტრატეგიული ძალები. 1992 წლის ივნისისათვის უკვე შეთანხმებული იყო „სნვ-2"-ის პარამეტრები: 3000-3500-ით მცირდებოდა ყოველი მხარის ბირთვული მუხტების რაოდენობა და საერთოდ უნდა განადგურებულიყო ინდივიდუალური დამიზნების სახმელეთო ბაზირების ყველა, მათ შორის მძიმე რაკეტებიც. მხარეები

ასევე შეთანხმდნენ სტრატეგიულ ბომბდამშენებზე განთავსებული მუხტების ახლებური გაანგარიშებით ჩათვლაზე. ახალი ხელშეკრულების ხელმოწერა 1993 წლის 3 იანვარს გაიმართა.

კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული ის სერიოზული ხასიათის დათმობები, რომელზეც ბორის ელცინის რუსეთი წავიდა და რომელმაც სერიოზულად გაართულა ხელშეკრულების რატიფიკაცია სახელმწიფო სათათბიროში (რაც წარმოუდგენელი რამ იყო საბჭოთა სინამდვილეში). მხოლოდ 2000 წლის აპრილში მოხერხდა რუსეთის საკანონმდებლო ორგანოში ხელშეკრულების რატიფიკაცია, როდესაც 4 წელი იყო გასული აშშ-ის კონგრესში მისი რატიფიკაციიდან.

მიუხედავად დუმაში გაჭიანურებული განხილვებისა და ყოველი დეტალის ათჯერ და თხუთმეტჯერ დაზუსტებისა, ხელშეკრულება ძალაში მაინც არ შევიდა, ვინაიდან 2000 წლიდან რუსეთში ვლადიმირ პუტინის მმართველობის ერა დაიწყო, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. თანაც სახელმწიფო სათათბიროს რატიფიკაცია წინა ხელშეკრულებების რამდენიმე ოქმს „მიაბა“. საქმე ეხებოდა შემდეგს: „სნვ-2“ ძალაში უნდა შესულიყო სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ, მაგრამ არა „სნვ-1“-ის ძალაში შესვლამდე. 1997 წლის 26 სექტემბერს კი, ნიუ-იორკში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა და ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც „სნვ-2“-ს ერთვოდა და ხელშეკრულების აღსრულების 5 წლით – 2001 წლის 31 დეკემბრიდან 2007 წლის 31 დეკემბრამდე – გადადებას ითვალისწინებდა. უკანასკნელი კი იმას უკავშირდებოდა, რომ ხელშეკრულების პირველი მუხლის თანახმად, ნაკისრ ვალდებულებათა პირველი ეტაპის შესრულება უნდა დამთავრებულიყო „სნვ-1“-ის ძალაში შესვლიდან 7 წლის განმავლობაში. „სნვ-1“ კი ძალაში შევიდა 1994 წლის 5 დეკემბერს, რაც საბოლოო ჯამში იმას ნიშნავდა, რომ თუ „სნვ-2“-ის რატიფიკაცია 1997-1998 წლებში მოხდებოდა, 3-4 წლით შემცირდებოდა პირველი ეტაპით გათვალისწინებულ სამუშაოთა ვადა. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ხელშეკრულების რატიფიკაცია ოქმთან ერთ პაკეტში 2000 წლის 14 აპრილს მოახდინა, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის

ხელშეკრულების შენარჩუნების დათქმით. ამერიკის მხარემ 1996 წლის იანვარში დაასრულა რატიფიკაციის პროცესი, თუმცა 1997 წლის 26 სექტემბრის ოქმის გარეშე, რის გამოც ოქმი რატიფიცირებულად ვერ ჩაითვლებოდა.

როდესაც 2002 წლის 13 ივნისს, ვაშინგტონმა ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი გადიოდა „სნვ-2"-დან, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მეორე დღესვე, 14 ივნისს გაავრცელა განცხადება, რომ რუსეთი თავადაც თავისუფლდება „სნვ-2"-ის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებისაგან.

2009 წელს რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტები ბარაკ ობამა და დიმიტრი მედვედევი ლონდონში შეხვედრისას შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკებები ახალ ხელშეკრულებაზე დაეწყოთ. იმავე წლის აპრილში რომში რუსებსა და ამერიკელებს შორის პირველი კონსულტაციები გაიმართა, შემდეგ კი, 19-20 მაისს მოსკოვში მოლაპარაკებების პირველი რაუნდი შედგა. 22-24 ივნისს ჟენევაში მოლაპარაკებების ორი (მესამე და მეოთხე) რაუნდი გაიმართა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების თაობაზე. სხვთა შორის, მოლაპარაკებები მკაცრად გასაიდუმლოებულ პირობებში მიმდინარეობდა და არანაირი ინფორმაცია არ გავრცელებულა.

2009 წლის 6 ივლისს, მოსკოვში, ობამამ და მედვედევმა ხელი მოაწერეს სტრატეგიული შეტევითი ხელშეკრულების ჩარჩო-დოკუმენტს. ეს იყო პოლიტიკური დოკუმენტი, რომელსაც იურიდიულად სავალდებულო სტატუსი არ გააჩნდა. დოკუმენტში დაფიქსირებული იყო ხელშეკრულების მომავალ ტექსტზე სამუშაო ორიენტირები. მხარეები იმედს გამოთქვამდნენ, რომ ახალი ხელშეკრულება „უახლოეს მომავალში" იქნებოდა გაფორმებული.

ბირთვული დიპლომატიის ანალებში თავისი ინტენსიური და ამავე დროს დრამატული ხასიათით გამოირჩევა გორბაჩოვ-რეიგანის ეპოქა. იმ წლების მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ხელისუფლების სათავეში მოსულ მიხეილ გორბაჩოვს ორ ბირთვულ ზესახელმწიფოს შორის ურთიერთობა ნულოვან ზღვარზე დახვდა: 1979 წელს ლეონიდ ბრეჟნევისა და ჯიმი კარტერის სამიტის შემდეგ, მთელი 6

წლის მანძილზე, ერთი მნიშვნელოვანი დიპლომატიური კონტაქტიც არ ყოფილა მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის. მსოფლიო პრესა დაუღალავად იმეორებდა რონალდ რეიგანის ვერდიქტს „საბჭოთა ბოროტების იმპერიაზე“. არც „მოსკოვის დაბომბვაზე“ ხუმრობით გაცემული (არცთუ ტაქტიანი) „ბრძანება“ იყო დავიწყებული (რომელიც რეიგანმა მიკროფონის შემოწმებისას გააკეთა). საქმე ისეთ კურიოზებამდეც მიდიოდა, რომ რუსეთის ზოგიერთი პროვინციული ქალაქების სკოლებში მილიციელები დადიოდნენ და დაბალი კლასების მოწაფეებს აფრთხილებდნენ, თუ ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილი უცხოელი ტურისტი კონფეტით გაუმასპინძლდებოდა, არ შეეჭამათ, რადგან შეიძლება მოწამლული ყოფილიყო. აი, ასეთ რთულ პერიოდში, 1985 წლის მარტში, გახდა მიხეილ გორბაჩოვი სკკპ გენერალური მდივანი. დაიწყო „გარდაქმნის“ („პერესტროიკის“), „საჯაროობისა“ და „ახალი პოლიტიკური აზროვნების“ ერა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა რეალობებს შეჩვეული დასავლელი პოლიტიკოსები, მათ შორის, ცხადია, აშშ-ის პრეზიდენტი რონალდ რეიგანიც, ეჭვითა და სკეპტიციზმით შეხვდნენ მოსკოვიდან წამოსულ გზავნილებს. ისინი ხომ ყელამდე იყვნენ მაძღარნი ანალოგიური ხასიათის საბჭოური ლოზუნგებით, რაც საბოლოო ჯამში პოლიტიკურ ოინბაზობად რჩებოდა. რონალდ რეიგანმა მაინც „გაბედა“ და მიხეილ გორბაჩოვთან შეხვედრაზე დათანხმდა.

და აი, 1985 წლის 19 ნოემბერს, ნეიტრალურ ტერიტორიაზე, ჟენევაში, გარკვეული გაგებით მართლაც ისტორიული (მიუხედავად იმისა, რომ არანაირი ხელშეკრულებები არ ყოფილა გაფორმებული) შეხვედრა გაიმართა. იყო მომენტები, როდესაც ეს გაცნობითი და „ურთიერთდაზვერვითი“ შეხვედრა სკანდალითაც კი შეიძლებოდა დასრულებულიყო. კერძოდ, შეხვედრის მეორე დღეს, როდესაც გორბაჩოვს მობეზრდა პრეზიდენტის ნოტაციებისა და ადამიანის უფლებებზე ღია გაკვეთილების მოსმენა, თავი ვერ შეიკავა და ნიკიტა ხრუშჩოვთან შედარებით ბრიტანული ლორდის თავდაჭერილობით, მაგრამ მაინც საკმაოდ უხეშად მიახალა: „ბატონო პრეზიდენტო, მე მოწაფე არა ვარ, ხოლო თქვენ კი მასწავლებელი. ჩვენს უკან უშველე-

ბელი სამყაროებიაო“. მთელი შეხვედრის მანძილზე მხოლოდ ეს ერთადერთი მწვავე მომენტი იყო. თავისი განმაიარაღებელი კომუნიკაბელობით უკვე მთელ მსოფლიოში ცნობილი რეიგანი ყოველმხრივ ცდილობდა პირად ადამიანურ ურთიერთობებზე გადაეყვანა ორი შეურიგებლად ურთიერთდამოკიდებული (ცხადია, ბირთვული იარაღის არსენალების გათვალისწინებით) სახელმწიფოთა ლიდერის ურთიერთობები. ასე იყო, როდესაც ერთ საღამოს ოფიციალური რეზიდენციიდან იქვე ახლოს მდებარე მყუდრო ვილაში „გაიტყუა“ მიხეილ გორბაჩოვი გასეირნების საბაბით და აგიზგიზებული ბუხრის ფონზე შეეცადა (არცთუ წარუმატებლად) ურთიერთნდობის ატმოსფეროს შექმნას. ასევე იყო გორბაჩოვისა და მისი მეუღლე რაისა გორბაჩოვას საპატივსაცემოდ გამართულ სადილზეც, სადაც სიმწრის ოფლი აწმენდინა თარჯიმნებს, მათი უმაღლესი კვალიფიკაციის მიუხედავად, აშკარად რომ უჭირდათ პრეზიდენტის ანეგდოტები ადექვატურად გადაეთარგმნათ. რასაკვირველია, ეპოქალურ მიღწევად ვერ ჩაითვლებოდა შეხვედრის შედეგად მიღებული საზეიმო დეკლარაცია ბირთვული ომის დაუშვებლობაზე, მაგრამ ორ ბირთვულ მონსტრს შორის ბირთვული პირისპირდგომის ყინული რომ გალღვა, ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა. მოსკოვში სამუშაო დაკარგეს პოლიტიკურმა კარიკატურისტებმა, რომლებიც რიგით ობივატელებს ამერიკის პრეზიდენტებს (განსაკუთრებით კი რონალდ რეიგანს) საბინებელი ბალიშის ქვეშ ამოდებული ბირთვული რაკეტებით აცნობდნენ. გაზეთების პირველ გვერდებზე იბეჭდებოდა რეიგანი წარმოსადგენი გარეგნობითა და საფირმო ჰოლივუდური ღიმილით, მას მტაცებელი მხეცის ეშვები კი არა, მშვენივრად ჩაკიწკიწებული (შეიძლება ხელოვნური) კბილები აღმოაჩნდა და არც მტრულად იბღვირებოდა. გავა კიდევ 2-3 წელი და მოსკოვის ჯიხურებში თავისუფლად გაიყიდება ბრჭყვიალა გარეკანიანი ამერიკული ჟურნალები, ადრე მათზე ფიქრიც კი რომ სათანადო მუხლით ისჯებოდა. საბჭოთა რიგითი ინტელიგენტი კი მსოფლიოში მომხდარ ამბებს მხოლოდ გაზეთ „პრავდით“ და ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა „ვრემიათი“ კი არა, ინფორმაციის ალტერნატიული წყალობითაც ეცნობოდა.

კიდევ სამი წლის შემდეგ კი ისტორიის საკუთრებად იქცა ლენინისა და სტალინის მიერ ასეთი რუდუნებითა და ამდენი სისხლით ნაგები უნიკალური კომუნისტური იმპერია.

ბევრი დასავლელი და რუსი მკვლევარის აზრით, პირველი ნაბიჯები საბჭოთა იმპერიის დაშლის მიმართულებით რეიგანმა და გორბაჩოვმა სწორედ ჟენევაში გადადგეს, თანაც ისე, რომ ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. რასაკვირველია, არც უამისობა იყო, მაგრამ მათ მხოლოდ დააჩქარეს კანონზომიერი პროცესი. ასევე ახლოა ჭეშმარიტებასთან ვერსია საბჭოთა კავშირის კრახის ეკონომიკური ფესვების თაობაზე.

1960-იანი წლების შუა პერიოდიდან საბჭოთა კავშირი უპრეცედენტო მეგაპროექტის – დასავლეთ ციმბირში ნავთობისა და გაზის საბადოების ათვისებას შეუდგა. თავიდან ცოტას თუ სჯეროდა პროექტის წარმატება, ვინაიდან ციმბირის ბუნებრივ სიმდიდრეს გაუვალი ჭაობები, უღრანი ტაიგა და მკაცრკლიმატიანი ტუნდრა „საიმედოდ იცავდა“. ციმბირში არავითარი ინფრასტრუქტურა არ იყო ათასობით კილომეტრზე. სკეპტიკოსთა პოზიციებს კი დამაჯერებლობას მატებდა დაუნდობელი ექსტრემალური ტემპერატურები (მინუს 50-60 გრადუსიანი ყინვები). რეალობამ კი ოპტიმისტთა ყველაზე თამამ მოლოდინებსაც კი გადააჭარბა: სპეციალისტთა არაადამიანურ პირობებში შრომის (შეიძლება ითქვას, გმირული შრომის) შედეგად, სულ მოკლე ხანში, ქვეყანამ მიიღო კოლოსალური პოტენციის მქონე ახალი ენერგეტიკული ბაზა, რომელიც 80-იან წლებში უკვე იძლეოდა საბჭოთა კავშირში მოპოვებული გაზის 56 პროცენტს და ნავთობის 60 პროცენტს. „შავი ოქროს“ – ნავთობის მოპოვების ოდენობით საბჭოთა კავშირმა 1975 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუსწრო, მანამდე 3 წლით ადრე კი ამერიკელი მკვლევარების როჭისა და რანგონის ნაშრომში – „დასავლეთ ციმბირის ეპოპეა“-ში დასაბუთებული პროგნოზით, ორი ათეული წლის შემდეგ, გარდა იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ დარჩებოდა სამხედრო თვალსაზრისით, შესძლებდა ცხოვრების ყველაზე მაღალი პირობები შეექმნა საკუთარი მოსახლეობისათვის. ამერიკე-

ლები საერთოდ გამორიცხავდნენ რაიმე უარყოფით ტენდენციებს ასეთი ფანტასტიკური ბუნებრივი სიმდიდრის მქონე საბჭოთა ქვეყნის განვითარებაში (163). ზუსტად 20 წლის შემდეგ კი საბჭოთა კავშირმა მსოფლიო გააოცა არა ცხოვრების მაღალი დონით, არამედ სისტემური კატასტროფებით. არადა, ისტორიული გამოცდილება იმაზე მეტყველებდა, რომ მძლავრი ენერგეტიკული რესურსების აღმოჩენა თითქმის მუდამ და ყველგან ხელს უწყობდა ინდუსტრიალური ქვეყნების ხარისხობრივ განახლებებს. ინგლისის სამრეწველო რევოლუცია ხომ დიდწილად იორქშირის და უელსის ქვანახშირის საბადოების ხარჯზე წარიმართა, ხოლო ამერიკის ეკონომიკის უსწრაფესი ტემპებით განვითარებისა და მის ტოტალურ ავტომობილიზაციას დიდად შეუწყო ხელი XX საუკუნის დასაწყისში ქვეყანაში დაწყებულმა ნავთობმრეწველობის ბუმმა.



ლეონიდ ბრეჟნევი
(1907-1982)
სკკპ გენერალური მდივანი 1966-1982 წლებში

მაშ, რა მოხდა საბჭოთა კავშირში? რატომ აღმოჩნდა ისტორიული კრახის ზღვარზე სახელმწიფო, რომელზეც მოდიოდა მსოფლიოში მოპოვებული ნავთობის 20 პროცენტი? როგორ გადაიქცა ნავთობი ძლიერ მოქმედ ნარკოტიკად? რატომ არ გადაარჩინა ნავთობის გიგანტურმა მარაგმა ქვეყანა? ან შეეძლო კი მისი გადარჩენა?

1970-იანი წლებიდან დასავლეთში მოსალოდნელ ენერგეტიკულ კრიზისზე ლაპარაკი დაიწყო. ნავთობის მიწოდება პერიოდულად ჩამორჩებოდა ხოლმე მოთხოვნილებას, რითაც მარჯვედ სარგებლობდნენ ტრადიციული ექსპორტიორი ქვეყნები, რომელთაც 1960 წელს საერთაშორისო გაერთიანება „ოპეკ“-იც შექმნეს (საბჭოთა კავშირის

გარეშე) და შეთანხმდნენ ნავთობზე ფასების მატებით „თამაში“ დაეწყოთ. 1967 წელს მათ პირველად გამოიყენეს პოლიტიკური ზეწოლის ისეთი იარაღი, როგორიც იყო ენერგეტიკული ემბარგო: ახლო აღმოსავლეთში 6-დღიანი ომის შემდეგ საუდის არაბეთმა, კუვეიტმა, ირანმა, ლიბანმა და ალჟირმა ნავთობის მიწოდება შეუწყვიტეს ისრაელის მეგობარ სახელმწიფოებს – ამერიკას, ინგლისს და ნაწილობრივ დასავლეთ გერმანიასაც.

1973 წლის ოქტომბერში დაიწყო მეოთხე ომი ისრაელსა და არაბებს შორის (ე.წ. „განკითხვის დღე“). ეგვიპტისა და სირიის მხარდაჭერის მიზნით „ოპეკ“-მა კვლავ აამოქმედა ნავთობზე ემბარგო, რომელიც ამჯერად ამერიკას, ნიდერლანდებს, პორტუგალიას, სამხრეთ აფრიკასა და როდეზიას შეეხო. გარდა ემბარგოსი, „ოპეკ“-მა მთავარი მომენტიც გაითვალისწინა და დაიწყო ნავთობის მოპოვების ყოველთვიური 5-პროცენტიანი შემცირებები. მომენტალური იყო მსოფლიო ბაზრის რეაგირება – ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე (ბენზინზე, დიზელზე და ა.შ) ფასები სამჯერ გაიზარდა. პანიკამ მოიცვა „შავი ოქროს“ იმპორტიორი ქვეყნები და გაფაციცებით დაიწყო ახალი სანდო პარტნიორების ძებნა. ვარიანტები კი არცთუ ბევრი იყო. 1973 წლისათვის „ოპეკ“-ის წევრები იყვნენ ირანი, ერაყი, ქუვეითი, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, ვენესუელა, ყატარი, ინდონეზია, ლიბია, ალჟირი, ნიგერია და ეკვადორი. ვის შეეძლო ყურადღება არ მიექცია „ოპეკ“-ისათვის? ცხადია, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირს, რომელიც 1970 წლიდან მოყოლებული რეკორდული ტემპებით ზრდიდა ნავთობის მოპოვებას ციმბირში. აქ უკვე „ბარელის დიპლომატიაზე“ იყო უკანასკნელი სიტყვა - მოსკოვი ხომ ახლო აღმოსავლეთის ქრონიკულ კონფლიქტში მუდამ არაბების მხარეზე იდგა? დასავლეთის (პირველ რიგში, ევროპის) დედაქალაქებში შიშობდნენ, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა ფაქტიურად „ოპეკ“-ის მხარეზე დადგებოდა და ნავთობზე მაღალი ფასებით დაიწყებდა დასავლეთის შანტაჟირებას. ასეთ ვითარებაში დაიწყო რთული მოლაპარაკებები. კრემლში სწორად შეაფასეს უნიკალური შანსი და იდეოლოგიურ პურიტანიზმს საღი პრაგმატიზმი ამჯო-

ბინეს: ოფიციალური პროპაგანდა „ისრაელის მხედრიონის“ ლანძღვა-გინებით იყო დაკავებული, ქვეყნის ხელმძღვანელობამ კი პრინციპუ-ლი პოზიცია დაიკავა: „ჩვენ არ ვაპირებთ დასავლეთის ქვეყნების მო-ქცევას კრიზისის მარწუხებში, ვინაიდან საბოლოო ჯამში, მხოლოდ მშრომელები დაზიანდებიან და მზად ვართ ენერგეტიკული კრი-ზისის გადაჭრაში დავეხმაროთ მათ, როგორც სანდო და ხანგრძლივი პარტნიორი“ – ასეთი იყო საბჭოთა კავშირის ოფიციალური პოზიცია. ევროპამ შვებით ამოისუნთქა, საბჭოთა კავშირმა კი დასავლეთის ენერგეტიკული ბაზრის ათვისება დაიწყო. 80-იანი წლებისათვის მოსკოვი უკვე 81 მლნ. ტონა ნავთობს ყიდდა ყოველწლიურად დასავლეთში, რომლის ფასები ელვის სისწრაფით იზრდებოდა.

გასაოცარი იყო საბჭოთა კავშირის სავალუტო შემოსავალიც: 1970 წელს 1.05 მლრდ. დოლარი იყო, 1975 წელს 3.72 მლრდ. დოლარს მიაღწია, ხოლო 1980 წლისათვის 15-ჯერ გაიზარდა და 16 მლრდ. დოლარს გაუტოლდა. ეს უკვე ქვეყნის განვითარების ახალი ფაქტორი იყო. დასავლეთ ციმბირის მარაგი და ფასების მსოფლიო კონიუნქ-ტურა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ქვეყნის ეკონომიკის გაფართო-ებისა და მისი მოდერნიზაციისათვის, მაგრამ მოვლენები სხვა ჭრილში განვითარდა. რა იყო მიზეზი?

1965 წელს საბჭოთა კავშირში ე.წ. „კოსიგინის რეფორმები“ და-იწყო ოფიციალური ფორმულირებით: „დაგეგმარების სრულყოფა და ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერება“. ფაქტიურად ეს იყო ცალკეული საბაზრო რეგულირების დანერგვის მცდელობა, რამეთუ ეჭვს აღარ იწვევდა გეგმიურ-საგანმანაწილებლო გარემოს არაეფექ-ტურობა. სხვაგვარად ყველაფერ ამას ადმინისტრაციულ მიდგომებზე ეკონომიკური მეთოდების პრიმატსაც უწოდებდნენ. საწარმო უნდა ქვეულიყო ყურადღების ცენტრად. რასაკვირველია, არცერთი სიახლე არ უნდა გასცდენოდა სოციალიზმის ჩარჩოებს, მაგრამ რეფორმებს პოლიტბიუროს რამდენიმე გავლენიანი წევრი მაინც ეჭვითა და ღია უნდობლობით შეხვდა. მათი აზრით, ალექსი კოსიგინის იდეა იდეო-ლოგიურად საეჭვო და საშიშიც კი იყო. ლეონიდ ბრეჟნევს არც ორ-თოდოქსების განაწყენება არ სურდა და თანაც იმასაც გრძნობდა, რომ

რაღაც ცვლილებები აუცილებელი იყო. და აი, ასეთ მომენტში სავსებით „უდროოდ“ მოზღვავდა სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში ნავთობდოლარები.

ახალმა ფინანსურმა წყაროებმა მასშტაბურად გააძლიერა ანტირეფორმისტების პოზიცია – რაღა საჭირო იყო სამეურნეო სისტემის იდეოლოგიურად სარისკო რეფორმები, როდესაც მხოლოდ ნავთობისა და გაზის მზარდი ექსპორტით მიღებული შემოსავლებითაც კი შეიძლებოდა ქვეყნის წინაშე მდგომი მწვავე ეკონომიკური და სოციალური პრობლემებს გადაჭრა? კი, არაეფექტური და ბველ ყაიდაზე მომუშავე საბჭოთა მრეწველობა უხარისხო პროდუქციას უშვებდა, მაგრამ ვალუტის მარაგი შესაძლებელს ხდიდა უცხოეთიდან ყველაფრის იმპორტი განხორციელებულიყო. არადა, ცნობილია, რომ ნებისმიერი ნორმალური სახელმწიფოსათვის ენერგომატარებლების ექსპორტზე დაფუძნებული საგარეო-სავაჭრო ბალანსი საბოლოო ჯამში კატასტროფულ ხასიათს ღებულობს. განა რამდენ ხანს შეეძლო ეცხოვრა საბჭოთა იმპერიას ლოზუნგით – „ნავთობი სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის სანაცვლოდ“?.

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს და 80-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა ხელმძღვანელობაში საბოლოოდ მკვიდრდება ნავთობდოლარებსა და მოსახლეობის სურსათით (ასევე სხვა საქონლით) მომარაგებას შორის არსებული პირდაპირი კავშირის ხედვა. ბოლო წლებში გასაჯაროებულ პოლიტბიუროს სხდომების ოქმებში მკვლევარები წააწყდნენ 1984 წლის 15 მაისის სხდომის ჩანაწერს, სადაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (პრემიერ-მინისტრი) ნიკოლაი ტიხონოვი ითხოვდა, რომ ახალი ხუთწლედის გეგმის შედგენისას გათვალისწინებული ყოფილიყო დასავლეთში გასაყიდი ნავთობის 5-6 მლნ. ტონა რეზერვი. პრემიერს უცხოეთში ხორბლის შესაძენად შეიძლება დამატებითი ვალუტა დაჭირებოდა და თადარიგს იჭერდა.

საბჭოთა ლიდერებს ჯიუტად არ სურდათ ყური ეგდოთ საკუთარ და უცხოელ მეცნიერთა გაფრთხილებებისათვის, რომ ეკონომიკის რეალური ზრდის ჩანაცვლება იმპორტით სერიოზულ რისკებთან იყო

დაკავშირებული. სახალხო მეურნეობის ეფექტი წლიდან წლამდე უარესდებოდა და სულ უფრო რთულდებოდა მოსახლეობის ისედაც მოკრძალებული საყოფაცხოვრებო პირობების შენარჩუნება. მთავარი, რასაკვირველია, სურსათის პრობლემა იყო. ბრეჟნევის ეპოქის პარტიული ფორუმების სტაბილურ დღის წესრიგად იქცა სოფლის მეურნეობის კრიზისი. 1965 წლის მარტის პლენუმიდან მოყოლებული, მთავრობა სისტემატურად აბარებდა ანგარიშს პარტიას სოფლის მეურნეობაში კაპიტლდაბანდების ზრდაზე, მრეწველობის მექანიზაციასა და ელექტროფიკაციაზე, მელიორაციასა და ქიმიზაციაზე, მაგრამ ვერც სოფლის მეურნეობა და ვერც კვებისა და მსუბუქი მრეწველობა მოსახლეობის მოთხოვნილებებს ვერა და ვერ აკმაყოფილებდა. ხალხის გამოსაკვებად სულ უფრო და უფრო მეტი სურსათის ყიდვა იყო საჭირო. თუ 1970 წელს 2.2 მლნ ტონა ხორბალი იქნა უცხოეთში შეძენილი, 1975 წელს უკვე 16 მლნ. ტონა გახდა საჭირო, 1980-ში 27.8 მლნ, ხოლო 1985-ში კი 44.2 მლნ ტონა, ანუ 15 წელიწადში 20-ჯერ მეტი ხორბლის იმპორტი გახდა საჭირო!

1970-იანი წლები ქვეყნის ისტორიაში ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობათა პერიოდად შევიდა. ეს ის წლებია, როდესაც მოწინავე ქვეყნებში ფიქსირებულად მიმდინარეობდა ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, საფუძველი ეყრებოდა პოსტინდუსტრიალურ საზოგადოებას, მცირდებოდა ნედლეულის როლი, საბჭოეთში კი არა მარტო ინდუსტრიალური მოდელის კონსერვაცია გრძელდებოდა, არამედ სარესურსო ეკონომიკის ფორმირებაც დაიწყო – თანმიმდევრულად იზრდებოდა სახელმწიფოს დამოკიდებულება ნახშირწყალბადებზე და მსოფლიო ფასების კონიუქტურაზე. რა გასაკვირი იყო, რომ ასეთი რეალობის შემყურე მიხეილ გორბაჩოვი მონდომებით ცდილობდა უაზროდ და უმიზნოდ ქცეული, თანაც ზღაპრულად ძვირადღირებული ბირთვული შეიარაღების მარწუხებისაგან ქვეყნის განთავისუფლებას. ეს კი ისევ და ისევ მხოლოდ და მხოლოდ ამერიკასთან და მის პრეზიდენტთან მოლაპარაკებებით თუ იყო შესაძლებელი.

ჟენევის შეხვედრის შემდეგ, ბირთვული დიპლომატიის მორიგი რეზონანსული აქცია უკვე რეიკიავიკის სამიტი იყო. სწორედ ისლანდიის დედაქალაქში მიაღწიეს რეიგანმა და გორბაჩოვმა თანხმობას სტრატეგიულ საკითხებში. ამიტომ იქცა ისტორიულ ღირშესანიშნაობად მანამდე არაფრით გამორჩეული „ოსობნიაკი“ – ვილა „ჰევდი ჰაუსი“, რომელსაც დღემდე თვალისჩინივით უფრთხილდებიან ისლანდიელები და რომელმაც (მათი რწმენით) მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი მათ სამშობლოს. ისე კი, იოლი არ იყო მსოფლიო დიპლომატიის ეპიცენტრში მოულოდნელად მოქცეული კუნძულის ხელისუფლებისათვის, რომლის განკარგულებაშიც მხოლოდ 90 პოლიციელი იყო, უმაღლესი რანგის სტუმრების და სამი ათასი უცხოელი ჟურნალისტის უსაფრთხოებაზე და მათ ყოფით პირობებზე ზრუნვა. ათი დღე დაჭირდათ ამერიკელ და საბჭოთა სპეცსამსახურების თანამშრომლებს, რათა შეხვედრისათვის მინიმალურად კომფორტული პირობები შეექმნათ საფრანგეთის საელჩოს დაცარიელებულ შენობაში.

1986 წლის 11-12 ოქტომბრის შეხვედრის შედეგებს მთელი ცივილიზებული სამყარო მოუთმენლად ელოდა. საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ მიხეილ გორბაჩოვი, ედუარდ შევარდნაძე, ანდრეი იაკოვლევი, მარშალი სერგეი ახრომეევი (გენშტაბის უფროსი) და ექსპერტთა დიდი ჯგუფი. თავიდანვე თვალშისაცემი იყო დიპლომატიური პრაქტიკისათვის უჩვეულოდ მოუმზადებელი შეხვედრა. ჩვეულებრივ, ამ დონის შეხვედრებს წინ უნდა უსწრებდეს მოლაპარაკებების საგანის ზუსტი განსაზღვრა, შემდეგ კი დღის წესრიგის ყოველი პუნქტის „მოთელვა“ ხდება და თანხმდება სავარაუდო გადწყვეტილების პროექტი. ამჯერად კი ორივე მხარე რეიკიავიკში არათუ შეთანხმებული დოკუმენტების და წინასწარი კონსულტაციების, არამედ შეხვედრის დღის წესრიგის გარეშეც გაემგზავრა. ზოგადად იყო ცნობილი, რომ შეხვედრაზე ბირთვული შეიარაღების პრობლემა უნდა განხილულიყო. შეთანხმებული იყო მხოლოდ შეხვედრის ვადები, რაც, თავის მხრივ, სპეციალისტთა გაკვირვებას იწვევდა.

უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რეიკიავიკის შეხვედრაზე საბჭოთა დელეგაციის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი, „კგბ“-

ს გენერალი ლეონოვი იხსენებდა, რომ თავიდანვე ეჭვს ბადებდა შეხვედრისათვის გამოყოფილი შეზღუდული დრო. რა აზრი ჰქონდა „ცხრა მთას იქით“ მგზავრობას? – წერდა გენერალი. მან ისიც იანგარიშა, რომ ორ დღეში 6 საათი უნდა დათმობოდა ორმხრივ მოლაპარაკებებს, აქედან ნახევარ დროს თარჯიმნები წაიღებდნენ, დარჩენილი 3 საათი ორზე უნდა გაყოფილიყო და გამოდიოდა, რომ თითოეულ მხარეს საათნახევარი რჩებოდა ურთულეს პრობლემაზე საკუთარი ხედვისა და არგუმენტების ჩამოსაყალიბებლად, რაც ნამდვილად ძალზედ ცოტა იყო (164).



ედუარდ შევარდნაძე
(1928-2014)
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი
1985-1990 წლებში,
საქართველოს პრეზიდენტი 1995-2003 წლებში

მოლაპარაკებების მსვლელობაზე მეტ-ნაკლებად სრულ წარმოდგენას იძლევა საბჭოთა დელეგაციის კიდევ ერთი წევრი ოლეგ გრინევსკი 2000 წელს გამოქვეყნებულ მოგონებებში (165). შეხვედრის პირველ დღეს, მოლაპარაკებებზე შესვენების დროს გაიმართა ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა სახელმწიფო მდივან ჯორჯ შულცთან. მინისტრების მოლაპარაკების მთავარი თემა იყო ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა, ე.წ. „სოი“ (ანუ „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა“, „ვარსკვლავური ომის“ სახელით ცნობილი). შეთანხმების საბჭოთა პროექტი ითვალისწინებდა, რომ რეიგანისეული „სოი“ ხუთი წლით, 1991 წლამდე, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვით სისტემებზე უკვე არსებული ხელშეკრულებით შემოფარგლულიყო. ამავე დროს 50 პროცენტით მცირდებოდა თითოეული მხარის სტრატეგიული არსენალი. მომავალში ორივე მხარე გააგრძელებდა


დარჩენილი შეტევითი ხასიათის ბალისტიკური რაკეტების შემცირებას მათ სრულ ლიკვიდაციამდე, რაც მეორე ათწლიანი პერიოდის ბოლოსათვის უნდა დასრულებულიყო, შემდეგ კი მხარეებს შეეძლოთ საკუთარი სურვილის მიხედვით შეექმნათ თავდაცვითი სისტემები.

ედუარდ შევარდნაძეს მისაღებად მიაჩნდა ასეთი ფორმულირება, მარსალი სერგეი ახრომეევი კი კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მისი მტკიცებით, ამერიკელები მძიმე ბომბდამშენების, ფრთოსანი რაკეტებისა და საბჭოთა კავშირის ირგვლივ განთავსებული სამხედრო ბაზრების ხარჯზე უპირატესობას შეინარჩუნებდნენ.

ამერიკელების წინადადებების განხილვის შემდეგ, მიუხედავად ახრომეევის წინააღმდეგობისა, მიღებული იქნა სამი შესწორება: 1. მეორე ხუთწლიან პერიოდში სრულად უნდა განადგურებულიყო სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების დარჩენილი 50 პროცენტი; 2. ათწლიან პერიოდში დასაშვები იქნებოდა ლაბორატორიული კვლევები „სოი“-ზე; 3. „სოი“-ს ბედის საკითხი მომავალ 10 წლიან პერიოდში ღიად რჩება.

როდესაც მოლაპარაკებებზე „გვირაბის ბოლოს შუქი გამოჩნდა“ და მიღწეული იყო საშუალო სიშორის რაკეტების შემცირებაზე თანხმობაც, თავი იჩინა „სოი“-ზე აზრთა სხვაობამ: რეიგანი თანახმა იყო ლაბორატორიულ სამუშაოებზე, მაგრამ იქვე მოითხოვა კოსმოსში მისი გამოცდის უფლებაც. მიუხედავად იმისა, რომ გორბაჩოვს გააჩნდა პოლიტბიუროს ნებართვა განსაკუთრებულ შემთხვევაში გასცდენოდა შეთანხმებულ „პაკეტს“ და ბირთვული იარაღის შემცირებაზე ცალკეული შეთანხმებით დაკმაყოფილებულიყო, მან ეს უფლება არ გამოიყენა. გენერალური მდივნის სიჯიუტე დღემდე მით უფრო ძნელად ასახსნელი რჩება, რომ ერთი თვით ადრე, პოლიტბიუროს სხდომაზე იგი კოლეგებს უცხადებდა: „ჩვენ ამერიკელებს ვერ შევთავაზებთ იმას, რაზეც წინასწარვე ცნობილია, რომ ისინი არ წამოვლენ – ეს დიპლომატია არ არის“. ზოგიერთი ვერსიით, მიხეილ გორბაჩოვს აზრად არ ჰქონდა მოლაპარაკების ჩაშლა საკუთარი ხისტი პოზიციით, ის მხოლოდ ვაჭრობდა და პოზიციას მაშინ შეიცვლიდა, როგორც კი დარწმუნდებოდა, რომ რეიგანი დამთმობი არ იყო.

გადამწყვეტ მომენტში კი მოხდა ის, რასაც ვერავინ იფიქრებდა და არავინ ელოდა – რეიგანი სავარძლიდან ადგა და მოლაპარაკების დარბაზი უხმოდ დატოვა. საგარეო პოლიტიკის არცერთი სპეციალისტი არ მისცემდა მას ასეთ რჩევასო – დარწმუნებულია ჰენრი კისინჯერი. წლების შემდეგ, იგივე კისინჯერის შეკითხვაზე, თუ რატომ არ დაკმაყოფილდა საბჭოთა მხარე იმით, რაზეც თანახმანი იყვნენ ამერიკელები, საბჭოთა დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა უპასუხა, რომ ჩვენ ყველაფერი გავითვალისწინეთ, მაგრამ აზრადაც არ მოგვივიდოდა, რომ რეიგანს შეეძლო მოლაპარაკებები მიეტოვებინაო.




მიხეილ გორბაჩოვი
დაიბადა 1931 წელს
სსრ კავშირის კომპარტიის გენმდივანი
1985-1991 წლებში,
სსრ კავშირის პრეზიდენტი 1990-1991 წლებში

როდესაც ჩაშლილი შეხვედრის შემდეგ გორბაჩოვი ტელეჟურნალისტების კამერების წინ წარდგა, „მას იმ ადამიანის სახე ჰქონდა, რომელმაც ყველაფერი დაკარგა ცხოვრებაშიო", – წერდა შემდეგ ერთ-ერთი ჟურნალისტი. არც შევარდნაძე იხსენებდა ოპტიმისტურ ტონალობაში 1986 წლის 12 ოქტომბრის დღეს: „მგონი ცრემლებიც კი მომადგა თვალებზე, თუმცა ასეთი რამ მე იშვიათად მემართებაო".

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ არანაირ დიპლომატიურ ლოგიკაში არ ჯდებოდა საბჭოთა დელეგაციის პოზიცია ბირთვული განიარაღების სფეროში სერიოზული დათბობის სანაცვლოდ ამერიკელები ლაზერული კოსმოსური შეიარაღების წარმოებაზე დაეთანხმებინა. თუ ამერიკა მართლაც ახლოს იყო ამ ფანტასტიური

იარაღის შექმნასთან, რეიგანს ვერავითარი დათმობის ფასად ვერ ათქმევინებდი უარს სამუშაოების გაგრძელებაზე, ხოლო თუ ამერიკელების მიერ მთელ მსოფლიოში ფართოდ რეკლამირებული (ჰოლივუდის ჩართვითაც კი) იდეა ბლეფი იყო, მაშინ აზრს კარგავდა საბჭოთა დათმობები. ეგებ მართლაც გულწრფელი იყო ამერიკის თავდაცვის ყოფილი მინისტრი ლეს ესპინი, როდესაც



მიხეილ გორბაჩოვი და რონალდ რეიგანი

მრავალი წლის შემდეგ წერდა, რომ პენტაგონმა 1984 წელს შეიმუშავა მკაცრად გასაიდუმლოებული პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის შეცდომაში შეყვანას „სოი“-სთან დაკავშირებით? და მაინც, ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად შეხვედრის დრამატული ფინალისა, დღეს უკვე სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით, სწორედ რეიკიავიკში დასრულდა უინსტონ ჩერჩილის ფულტონის გამოსვლის შემდგომ დაწყებული „ცივი ომი“. პირველ რიგში ასე სწამთ რეიკიავიკელებს. ამიტომაც დაიხურა „ჰევდი-ჰაუსი“ სამუდამოდ და ყველაფერი დღესაც ისეა შენახული, როგორც 1986 წლის ოქტომბერში გამოიყურებოდა (მტვერსაც კი არ წშენდენ ავეჯიდან).

რეიკიავიკის ლოგიკური გაგრძელება იყო მალტაზე შეხვედრა, რომელიც ასევე ითვლება „ცივი ომის“ დასრულების პროცესად. კლასიკური დიპლომატიის კონტექსტში უცნაურადაც კი გამოიყურება, რომ არც რეიკიავიკში და არც მალტაზე არავითარი ხელშეკრულება არ გაფორმებულა, ხოლო მალტაზე კი უბრალო კომუნიკეც კი არ გამოქვეყნებულა, უფრო მეტიც – ფართო საერთაშორისო საზოგადოებისათვის დიდი ხნის შემდეგ, შეხვედრის მონაწილეთა ძუნწი

მოგონებებით გახდა ცნობილი (ისიც ნაწილობრივ), თუ რა ხდებოდა 1989 წლის 1-2 დეკემბერს, საბჭოთა საკრუიზო თბომავალ „მაქსიმ გორკის“ სასადილო სალონში.


მიხეილ გორბაჩოვი და რონალდ რეიგანი

თუ რეიგანი 4-ჯერ შეხვდა გორბაჩოვს თავისი პრეზიდენტობის მცირე ვადის მანძილზე, წელიწადზე მეტი იყო გასული ბუშის გაპრეზიდენტები დან, მაგრამ გორბაჩოვთან შეხვედრის დაწყება ჭიანურდებოდა. ახალ პრეზიდენტს, ცოტა არ იყოს, პაუზა გაუგრძელდა. ვაშინგტონის ოფიციალური ვერსიით, თეთრი სახლი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის „ანალიზითა და პოზიციის დაზუსტებით“ იყო დაკავებული. არა მხოლოდ მოსკოვი იყო უკმაყოფილო ახალი პრეზიდენტის გაჭიანურებული პაუზით – გაღიზიანება იგრძნობოდა ამერიკის პოლიტიკურ და აკადემიური წრეების იმ ნაწილშიც, რომელსაც ორ ზესახელმწიფოს ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესის დინამიზმის შენელება არ მოსწონდა. მას შემდეგ. რაც უკვე ექს-პრეზიდენტმა რეიგანმაც საჯაროდ გამოთქვა პაუზით გამოწვეული უკმაყოფილება, მოსკოვს სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი ეწვია. მემუარებში იგი დაწვრილებით აღწერს თავის საბჭოურ ვიზიტს. გორბაჩოვთან, შევარდნაძესთან, იაკოვლევთან და გორბაჩოვის სხვა თანაგუნდელებთან ხანგრძლივი საუბრებისა და საკუთარი თვალით ნანახი რეალობის შემდეგ, ჯეიმს ბეიკერი დარწმუნდა, რომ „გარდაქმნა“, როგორც მინიმუმი, რაღაც სერიოზული ჩანაფიქრი იყო. მას არაფერი ჰქონდა საერთო ვაშინგტონში მიჩვეულ „კრემლის ილეთებთან“. „გარდაქმნის“ ჩავარდნა ჩვენს ინტერესებში

არ არის" - ასეთი იყო ბეიკერის ზოგადი ლაკონური დასკვნა, თუმცა ეს სულაც არ იყო წონიანი არგუმენტი ამერიკული ელიტის დიდი ნაწილისათვის. მხოლოდ უმაღლეს დონეზე მიღებულ გარანტიებს შეეძლო ამერიკელების საბოლოოდ დარწმუნება, რომ 1968 წლის პრაღის მოვლენები აღარასოდეს არ გამეორდებოდა.

ამერიკელების გრაფიკით, უმაღლეს დონეზე მორიგი შეხვედრა 1990 წლისათვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ახლა უკვე ჯორჯ ბუში ჩქარობდა: იგი პოლონეთში ჩავიდა, სადაც სრული წარმოდგენა შეიქმნა აღმოსავლეთ ევროპაში დაწყებულ პროცესებზე და დაასკვნა, რომ შეხვედრის გადადება აღარ შეიძლებოდა. ივლისში ვაშინგტონში იმყოფებოდა გორბაჩოვის მრჩეველი სამხედრო სტრატეგიულ საკითხებში მარშალი ახრომეევი, რომელსაც კონფიდენციალური შეხვედრები ჰქონდა თავის ამერიკელ ვიზავისთან – ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველ გენერალ ბრენტ სკოუკროფთან. სხვათა შორის, ამერიკული წყაროების ვერსიით, საბჭოთა მარშალმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკელ გენერალზე საკუთარი კომპეტენტურობითა და შეიარაღებაზე კონტროლის პრობლემისადმი გონივრული მიდგომით. სწორედ მარშალმა ჩამოიტანა მოსკოვში პრეზიდენტის პირადი წერილი, რომლითაც იგი დაგეგმილ თარიღზე ადრე, არაფორმალურ შეხვედრას სთავაზობდა გორბაჩოვს. ჯორჯ ბუშის წინადადებით, შეხვედრა შეიძლება შემდგარიყო ან კემპ-დევიდში, ან ქალაქგარეთ მდებარე პრეზიდენტის პირად კერძო სახლში, ან ესპანეთთან ახლოს მდებარე რომელიმე კუნძულზე.

გორბაჩოვის კონტრწინადადება ასეთი იყო: მალტის სანაპიროებთან ღუზას ჩაუშვებდნენ ამერიკული და საბჭოთა სამხედრო ხომალდები. მოლაპარაკებები რიგ-რიგობით გაიმართებოდა ხან ერთზე, ხან მეორეზე. მიღების არავითარი ოფიციალური ცერემონიალები არ იქნებოდა. შეხვედრა მხოლოდ ორი დღით, მონაწილეთა მინიმალური რაოდენობით. მალტის მთავრობა კმაყოფილი იქნებოდა სიმბოლური მასპინძლის როლით, რაც კუნძულის ისტორიაში შევიდოდა. ამერიკელებისათვის მისაღები აღმოჩნდა გორბაჩოვის იდეა. ხრუშჩოვისა და ბრეჟნევისაგან განსხვავებით, გორბაჩოვს საერთოდ არ

ახასიათებდა ოფიციალური ატრიბუტიკით გადატვირთული პომპეზურობისადმი სიყვარული და ასეთი დღის წესრიგი მისთვის სავსებით მისაღები იყო. გავა სულ რაღაც 4-5 წელი და საკუთარ სამშობლოში ძვირად დაუსვამენ მიხეილ გორბაჩოვს ასეთ გეოგრაფიულ არჩევანს: 1991 წლის აგვისტოს „გკჩპ“-ს (სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის) შემდეგ, ხანგრძლივ პატიმრობას როგორღაც თავდაღწეული „კგბ“-ს ყოფილი შეფი ვლადიმირ კრიუჩკოვი მიხეილ გორბაჩოვს „ჟიდო-მასონობაში“ ამხელს – მალტა ხომ საქვეყნოდ ცნობილი „მასონთა ორდენის“ შტაბ-ბინადაა აღიარებული.

1989 წლის პირველ დეკემბერს, რომის პაპთან შეხვედრის შემდეგ (გენმდივნის არც ეს „პარტიული ღალატი“ არ გამორჩენია კრიუჩკოვს თავის პასკვილში) გორბაჩოვი მალტის დედაქალაქ ლა-ვალეტაში ჩაფრინდა. ვინაიდან ამინდის ბიურო ზღვაზე შტორმს პროგნოზირებდა, დროული აღმოჩნდა გორბაჩოვის მიერ ჯერ კიდევ მოსკოვში დაჭერილი თადარიგი – კუნძულის სანაპიროებთან სტუმრებს უკვე ელოდა ვეებერთელა ტურისტული ლაინერი „მაქსიმ გორკი“. ვინაიდან საბჭოთა და ამერიკულ კრეისერებზე პრაქტიკულად იყო შეუძლებელი ნორმალური მუშაობა, შეხვედრა-მოლაპარაკებები საბჭოთა თბომავალზე გაიმართა. ორი დღის განმავლობაში მთელი საბჭოთა დელეგაცია ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს, თუ რა ოსტატობით სრიალებდა ტრაპიდან აბობოქრებულ ზღვაში მოტორტმანე კატერზე მეორე მსოფლიო ომში საზღვაო ავიაციის ყოფილი ოფიცერი და მალტაზე უკვე ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში.

ორი დღის განმავლობაში წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად მხარეებმა პრაქტიკულად ყველა საკითხში მიაღწიეს შეთანხმებას – კუბიდან დაწყებული და ნიკარაგუით დამთავრებული. ყველაფერზე იყო ღია და გულახდილი საუბარი (შეხვედრის მონაწილეთ ვერსიით). ამერიკის პრეზიდენტისათვის, ალბად, ის იყო მნიშვნელოვანი, რომ გორბაჩოვმა არაორაზროვნად დააფიქსირა მოსკოვის პოზიცია აღმოსავლეთ ევროპაში დაწყებულ პროცესებთან მიმართებაში – საბჭოთა კავშირი ძალას არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებდა,

ბუში კი გორბაჩოვს არწმუნებდა, რომ იგი 180 გრადუსით ცვლიდა თავი პოზიციას.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ გორბაჩოვის ვიზიტი ამერიკაში 1990 წლის ივნისში გაიმართებოდა, მანამდე კი აშშ-ის ადმინისტრაცია „ჯექსონ-ვენიკის შესწორების" უარყოფითი ეფექტის შეჩერებას შეეცდებოდა, რათა მოსკოვს თუნდაც კრედიტების მიღების საშუალება მისცემოდა. ჯორჯ ბუში პირობას დებდა, რომ როგორც კი მოსკოვი „გასვლაზე" (თავისუფალ ემიგრაციაზე) კანონს მიიღებდა, ვაჭრობაზე ახალი კანონიც გაფორმდებოდა. გარდა ამისა, ვაშინგტონი თავის ვეტოს მოხსნიდა და საბჭოთა კავშირი ტარიფებსა და ვაჭრობაზე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გახდებოდა (თავიდან მეთვალყურის სტატუსით). იმ დროისათვის ფორმალურად უკვე არსებობდა სსრკ-ამერიკის ინვესტიციის პრობლემაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი და ამერიკის მხარე მხოლოდ კაპიტალდაბანდებებზე გარანტიაზე შეთანხმებას ელოდებოდა.

თავის „ეკონომიკურ პაკეტს" ბუშმა საყურადღებო კომენტარი დაურთო: მისი განცხადებით, ყველა ეს ღონისძიება მიზნად არ ისახავდა ამერიკის უპირატესობის დემონსტრირებას: „ჩვენ ისე შევადგინეთ ჩვენი წინადადებები, რომ არ შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს ამერიკას საბჭოთა კავშირი უნდა გადაერჩინა. ჩვენ დახმარების პროგრამაზე კი არა, თანამშრომლობის პროგრამაზე ვსაუბრობთო" – ირწმუნებოდა ამერიკის პრეზიდენტი.

პრეზიდენტის წინადადებით, ამერიკაში გორბაჩოვის ვიზიტისათვის მზად უნდა ყოფილიყო ხელმოსაწერად შეთანხმება ქიმიური იარაღის 20 პროცენტით შემცირებასა და დარჩენილი მარაგის 8 წლის შემდეგ 2 პროცენტამდე დაყვანის შესახებ. რაც შეეხებოდა შეტევითი ხასიათის სტრატეგიულ შეიარაღებას, ბუშს სურდა დაჩქარებულიყო ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკება, რათა ხელშეკრულება უახლოეს მომავალში ყოფილიყო გაფორმებული. ბუშმა ასევე განაცხადა, რომ ამერიკელებს უკან მიჰქონდათ თავიანთი მოთხოვნა საბჭოთა მობილური ბალისტიკური რაკეტების აკრძალვაზე, რასაც ხელი უნდა შეეწყო მოლაპარაკების წარმატებით დასრულებისათვის. სამაგიეროდ

კი მან მოითხოვა საბჭოთა კავშირს უარი ეთქვა ყველაზე ძლიერი საკონტინენტთაშორისო რაკეტების „სს-18“-ების მოდერნიზაციაზე. გარდა ამისა, ამერიკელების დაბეჯითებითი თხოვნა იყო, რომ კრემლს ბოლოს და ბოლოს გადაეწყვიტა საბჭოთა კავშირის რეალური სამხედრო ბიუჯეტის პუბლიკაციის პრობლემა. ეს იყო საბჭოთა პოლიტიკის ტრადიციულად ერთ-ერთი უსუსტესი ადგილი. თავად გორბაჩოვიც წლების მანძილზე ითხოვდა პოლიტბიუროსაგან ამ უაზრობაზე უარის თქმას – განა მართლაც საეჭვო იყო, როგორ ახერხებდა საბჭოთა კავშირი ამერიკელებთან სამხედრო პარიტეტის შენარჩუნებას, როცა ამერიკელებზე ხუთჯერ ნაკლებს „ხარჯავდა“ არმიასა და შეიარაღებაზე?

შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე, მწერალი იური ემელიანოვი 1996 წელს გამოქვეყნებულ წიგნში (166) წერდა, რომ ბუშის „ინიციატივების“ პაკეტი მოულოდნელი იყო როგორც გორბაჩოვისათვის, ასევე საბჭოთა დელეგაციის თითოეული წევრისათვის. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას კი ის ფაქტი ტოვებდა, რომ ეს იყო გულწრფელი სურვილი უკეთესობისაკენ შეცვლილიყო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა. ეს იყო კონკრეტული პროგრამა ზუსტად გაწერილი პრობლემებითა და პუნქტებით.

გორბაჩოვი იმ გარემობას უსვამდა ხაზს, რომ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობას ალტერნატივა არ გააჩნდა. ამონარიდი იური ემელიანოვის წიგნიდან: „ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი განწირულნი არიან დიალოგზე, ურთიერთქმედებებსა და თანამშრომლობაზე. სხვა გზა არ არსებობს. ამისათვისათვის კი საჭიროა, როგორც მტრებს ისე არ ვუყურებდეთ ერთმანეთს, თქვა გორბაჩოვმა. ამ სიტყვებზე ბუში ფეხზე წამოდგა და მაგიდის მეორე მხრიდან ჩამოსართმევად გაუწოდა ხელი გორბაჩოვს. მომენტი მართლაც ამაღელვებელი იყო. ორი ზესახელმწიფო, მთელი მსოფლიო რომ ჰყავდათ შიშის ქვეშ 45 წლის მანძილზე, უარს ამბობდნენ მტრებად ჩაეთვალათ ერთმანეთი. სასწრაფოდ იხმეს ფოტოგრაფი, გენერალურმა მდივანმა და პრეზიდენტმა პროცედურა გაიმეორეს და ისტორიულმა ფოტოსურათმა მსოფლიოს ყველა გაზეთი მოიარა.

„ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა კავშირი არავითარ შემთხვევაში არ დაიწყებს ომს. ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მინდოდა პირადად მეთქვა თქვენთვის“ – დასძინა გორბაჩოვმა.

საინტერესო იყო საბჭოთა ლიდერის სიტყვის კიდევ ერთი პასაჟი: „თქვენ დასვით კითხვა: როგორი საბჭოთა კავშირია ხელსაყრელი ამერიკისათვის – დინამიური, მყარი, სტაბილური თუ პირიქით. მე საქმის კურსში ვარ, თუ რა რჩევებს გაძლევენ თქვენ. ჩვენ რაც შეგვეხება, ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მყარად გრძნობდეს თავს საკუთარი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მე ვთვლი, რომ სხვაგვარი მიდგომა საშიშია. საშიში პოლიტიკაა ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების იგნორირება მსოფლიოში. ამერიკამაც უნდა გაითვალისწინოს სხვა ქვეყნების ინტერესები“. პრეზიდენტი ბუში იქვე ჩაერთო და ყველას შეახსენა, რომ მას არ უცდია საბჭოთა კავშირის საზიანოდ გამოეყენებინა აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე სიტუაციები და თავშეკავებით შეხვდა ბერლინის კედლის დანგრევას.

უამინდობის გამო ორივე დღეს საბჭოთა თბომავალი ღებულობდა დელეგაციებს და ბუშს რამდენჯერმე მოუწია ომის წლებში დახვეწილი ჩვევების დემონსტრაცია. პროტოკოლით მეორე შეხვედრა ამერიკელების „ტერიტორიაზე“ უნდა გამართულიყო და რადგანაც კვლავ გორბაჩოვი გამოვიდა მასპინძლის რანგში, იგი ხუმრობით შეხვდა პრეზიდენტს: „როგორც არ უნდა იყოს, დღეს მე მაინც თქვენი სტუმარი ვარ“, – თქვა გორბაჩოვმა. – მე კი ძალზედ მომეწონა „ჩემი ხომალდი“ – უპასუხა ბუშმა.

შეხვედრის დასასრულს ამერიკის პრეზიდენტი დაინტერესდა, თუ რას ეტყოდნენ შედეგებზე პრესას. გორბაჩოვმა ერთობლივი პრესკონფერენციის იდეა წამოაყენა, რომელიც შეიძლებოდა იქვე „მაქსიმ გორკიზე“ გამართულიყო. იმ დროისათვის ეს არათუ უჩვეულო, გაუგონარი მოვლენაც იყო: ამერიკის რომელი პრეზიდენტი (თუნდაც სახელმწიფო მდივანი) გაბედავდა „ნდობის აქტის“ ასეთი დემონსტრაციის უფლება მიეცა საკუთარი თავისათვის? ბუში შეყოყმანდა

და დათანხმდა: „ჩემს ჟურნალისტებს შემდეგ ცალკე დაველაპარაკებიო“, – ჩაილაპარაკა. იქვე შედგა კიდევ ერთი სიმბოლური პრეცედენტი: პრესკონფერენციაზე გორბაჩოვმა პირველად ისაუბრა საბჭოთა „თავდაცვით დოქტრინაზე“, მის არაკონფრონტაციულ არსზე და იქვე


მიხეილ გორბაჩოვი და ჯორჯ ბუში-უფროსი

მოსკოვში დარჩენილი კოლეგების გასაგონად ნატოსაც გადასწვდა: ალიანსის ორიოდე თვის წინ გამოქვეყნებულ დეკლარაციაში 20 წლის წინანდელი მიდგომებია გამეორებულიო და პრეზიდენტს გეოგრაფიული რუკა გადასცა, სადაც საბჭოთა ვერსიით, საბჭოთა კავშირის ირგვლივ განთავსებული სამხედრო ბაზები იყო დაფიქსირებული. ბუში შეპირდა, რომ ვაშინგტონში დაბრუნებისთანავე შეამოწმებდა რუკის ობიექტურობას. გორბაჩოვმა იქვე შესთავაზა ბუშს თითო მილიონით შეემცირებინათ ორივე ქვეყნის არმიების პირადი შემადგენლობა, ხოლო საზღვარგარეთ განთავსებული კონტინგენტების რაოდენობა კი 300 ათასი სამხედროთი განესაზღვრათ.

ბუნებრივია, რომ მალტაზე შეხვედრას არ შეეძლო ორ ბირთვულ ზესახელმწიფოს შორის არსებული ყველა სადაო საკითხის გადაჭრა, მაგრამ მან პრინციპულად ახალ ეტაპს დაუდო სათავე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, იდეოლოგიურ და სამხედრო მტრებს შორის უნდობლობის „ბუნებრივი“ ყინული დნებოდა და ნაბიჯ-ნაბიჯ, უკან მიხედვებით, ზიგზაგებით, დრო და დრო რეციდივებითაც, ფეხს ნდობის ფაქტორი იკიდებდა. თუ არა ნდობის ფაქტორი, ძნელი სათქმელია თუ რითი შეიძლება დამთავრებულიყო გერმანიის გაერთიანება და სპარსეთის ყურეში კონფლიქტი.

მალტამდე ერთი წლით ადრე დიპლომატიის დეიდეოლოგიზაციაზე გორბაჩოვის მიერ გაეროს ტრიბუნიდან გაკეთებულმა გან-

ცხადებამ მალტაზე პრაქტიკული დადასტურება ჰპოვა. 1989 წლის 27 დეკემბერს მართლაც ისტორიული მნიშვნელობის ფაქტს ჰქონდა ადგილი: ჯეიმს ბეიკერმა კონფიდენციალურად აცნობა მოსკოვს, რომ თეთრი სახლი წინააღმდეგი არ იქნებოდა, თუ საბჭოთა კავშირი და ვარშავის ხელშეკრულებით მისი მოკავშირეები რუმინეთის მოვლენებში ჩაერეოდნენ და ჩაუშესკოს რეჟიმის კრიზისის სისხლიან შედეგებს არ დაუშვებდნენ. მოსკოვმა უარყო ამერიკელების შეთავაზება, მაგრამ აქ მთავარი ის იყო, რომ ვაშინგტონი უკვე ახლებურად განისილავდა მოსკოვის სამხედრო აქციებს საკუთარი საზღვრების მიღმა. რაღა იყო მეტი საჭირო იმის დასაჯერებლად, რომ „ცივი ომი“ მართლაც დასრულდა?

1989 წლის 31 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის მოქალქეებს ჩვეულებისამებრ მიეულოცა ახალი წელი კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, თანაც ისე, რომ თავის გამოსვლაში ერთხელაც არ უხსენებია არც „ყველა გამარჯვებების ორგანიზატორი კომუნისტური პარტია“, არც ლენინი და არც მარქსიზმი. როგორც ჩანს, მიხეილ გორბაჩოვისათვის ეს ყველაფერი წარმავალ წელში რჩებოდა.

მალტიდან დაბრუნებულ გორბაჩოვს უკვე საშინაო ფრონტზე ელოდა პრობლემები. ჯერ კიდევ მალტამდე, მარტის პლენუმზე 2-ჯერ გამოვიდა სიტყვით გენერალური მდივანი და ორივეჯერ ტრიბუნა საკულტო ტრადიციად ქცეული „მჭუხარე ტაშის“ გარეშე დატოვა. ეს უკვე ავის მომასწავლებელი განგაშის ზარი იყო. მაისის პლენუმზე საერთოდ ფეხზეც კი არ წამოდგნენ დელეგატები, როდესაც დარბაზში გენერალური მდივანი და პოლიტბიუროს წევრები შევიდნენ. ასეთი რამ კრემლის კედლებს ლენინის სიკვდილის შემდეგ არ ახსოვდა. დეკემბრის პლენუმზე კი გორბაჩოვის ყოველ რეპლიკას ქალაქკომებისა და ოლქკომების მდივნები უკმაყოფილო შეძახილებითა და ხმაურით ხვდებოდნენ. დარბაზი მხოლოდ მას შემდეგ დაწყნარდა, რაც გენმდივანი გადადგომით დაიმუქრა. ნათელი იყო, რომ პარტიული ელიტის მხარდაჭერის იმედზე ყოფნა არ შეიძლებოდა და 1989 წლის შემოდგომიდან იურისტთა ჯგუფი (შახნაზაროვი, კუდრიავცევი, ტოპორნინი და სხვები) კონსტიტუციაში ცვლილებების და

პრეზიდენტის პოსტის შემოღებაზე მუშაობდა. 1990 წლის 28 იანვარს იაკოვლევმა წერილობით გადასცა გორბაჩოვს საკუთარი მოსაზრებები, რომელშიც „გარდაქმნის“ კურსის მთავარ მოწინააღმდეგებად პარტიის ცკ და პოლიტბიურო იყო დასახელებული. ერთადერთ გამოსავლად კი პრეზიდენტის პოსტის შემოღება რჩებოდა, რომლის საშუალებითაც გორბაჩოვის (როგორც პრეზიდენტის) ხელში გადავიდოდა მთელი ძალაუფლება და პარტიის ცეკაც, პოლიტბიუროცა და დებატების კლუბად ქცეული უმაღლესი საბჭოც თამაშგარე მდგომარეობაში დარჩებოდა. იაკოვლევის რეკომენდაციით, მომავალ პლენუმამდე (თებერვლამდე) გორბაჩოვს ტელევიზიით უნდა მიემართა მოსახლეობისათვის და განეცხადებინა, რომ საკუთარ თავზე იღებდა საგანგებო ზომების მთელ პასუხისმგებლობას ფორმულით – „მიწა გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები – მშრომელთა კოლექტივებს, რეალური დამოუკიდებლობა – რესპუბლიკებს“. აქცენტი იყო გადატანილი არა საკავშირო სახელმწიფოზე, არამედ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირზე, მრავალპარტიული სისტემასა და ხელისუფლებაზე სკკპ-ის მონოპოლიის გაუქმებაზე, სახელმწიფო აპარატის მკვეთრ შემცირებაზე, დასავლეთის მასშტაბურ კრედიტებზე, სამხედრო რეფორმაზე (გენერლების გაყრა და მათ ადგილებზე პოდპოლკოვნიკების დანიშვნა), აღმოსავლეთ ევროპიდან ჯარების გამოყვანაზე და კერძო საკუთრების თავისუფლებაზე. იაკოვლევის ცნობით, ასეთი გეგმა უკვე არსებობდა. 29 იანვარს პოლიტბიუროს სხდომაზე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა უნდა განხილულიყო, მაგრამ გორბაჩოვმა მთავარ საკითხებად საბჭოთა კავშირიდან რესპუბლიკების გასვლის მექანიზმებზე კანონის საჯაროობა და კონსტიტუციის VI მუხლის ახლებური რედაქციისა და პრეზიდენტის პოსტის შემოღება აქცია.

1991 წლის აგვისტოს მოვლენებამდე დარჩენილ დროში, სანამ ჯერ შეჩერდებოდა კომუნისტური პარტიის საქმიანობა, შემდეგ კი აიკრძალებოდა, გორბაჩოვი მთელი პარტიული ქონების სახელმწიფოსათვის გადასაცემად ემზადებოდა, რაც ძალზედ ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი. სწორედ იმ პერიოდში ებრძანათ პარტიის ადგილობრივ არქივებს დაეწყოთ კომუნისტებზე არსებული „პერსო-

ნალური საქმეების“ განადგურება, ხოლო ცკ-სთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის არქივის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებით, არქივი ისეთ პროვინციულ ქალაქებში უნდა გადაეტანათ, რომლებიც სარკინიგზო მაგისტრალებით არ იქნებოდნენ მოსკოვთან დაკავშირებულები. 31 იანვარს გორბაჩოვმა გენერალური რეპეტიცია ჩაატარა საოლქო კომიტეტების მდივნების თათბირის სახით. რეპეტიციაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, თუ რა მძლავრი იყო პარტიული ოპოზიცია. კიდევ უფრო სერიოზული წინააღმდეგობა გამოავლინა პარტიის ცკ-ს თებერვლის პლენუმმა, სადაც სიტყვით გამოსული 33 ორატორიდან 24-მა პარტიის ლიდერი მწვავე კრიტიკული შენიშვნებითა და საყვედურებიდ აავსო. დროს უქმად არც დემოკრატები კარგავდნენ და პერმანენტულად 100 ათასიან მიტინგებს აწყობდნენ კონსტიტუციის VI მუხლის გაუქმების მოთხოვნით.

1990 წლის 15 მარტს, სახალხო დეპუტატთა II რიგგარეშე ყრილობამ გააუქმა კონსტიტუციის VI მუხლი და ერთდროულად საბჭოთა კავშირის პირველ (და უკანასკნელ) პრეზიდენტად მიხეილ გორბაჩოვი აირჩია.

იმ კონკრეტულ სიტუაციაში გორბაჩოვის მთავარ დასაყრდენ რეგიონთაშორისო დეპუტატთა ჯგუფშიც კი არ იყო ერთსულოვნება პრეზიდენტის პოსტთან დაკავშირებით: „უხეში და უმძიმესი პოლიტიკური შეცდომაა იმის მცდელობა, რომ აქ, ყრილობაზე, ნაუცბათევად შემოვიღოთ პრეზიდენტის პოსტი. ეს მრავალგზის გააღრმავებს ჩვენს სიძნელეებს, გამოწვევებსა და საფრთხეებს“ – აცხადებდა ჯგუფის თანათავმჯდომარე, გარდაქმნისა და საჯაროობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იდეოლოგი და დამცველი, პროფესორი იური აფანასიევი. „ჩვენ მოცდა არ შეგვიძლია, რეანიმაციაა საჭირო და არა სანატორიუმში მკურნალობა“ – პასუხობდა დემოკრატიზაციის მეორე მხურვალე მომხრე, აკადემიკოსი ვიტალი გოლდინსკი.

ყრილობაზე კენჭი უყარეს წინადადებასაც აკრძალულიყო პრეზიდენტისა და პარტიის ლიდერის პოსტების შეთავსება. წინადადებას მხარს უჭერდა როგორც დემოკრატების, ასევე ორთოდოქსი კომუნისტების ნაწილიც. ორივე ჯგუფს მზად ჰყავდა საკუთარი კანდიდა-

ტები – ალექსანდრე იაკოვლევი და ეგორ ლიგაჩოვი. წინადადებამ 1303 ხმა მიიღო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საკონსტიტუციო ცვლილებისათვის (საჭირო იყო ხმების ორი მესამედი).

შესაშურად ოპტიმისტური იყო უცხოეთის რეაგირება. „საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე ყრილობამ მოახდინა უდიდესი რევოლუციური გარდაქმნა, რომლის მსგავსიც 1917 წლის რევოლუციის შემდეგ არ მომხდარა რესეთში“ – მოსკოვიდან გადასცემდა იაპონიის ტელევიზია. ზუსტად ასევე აფასებდა ყრილობის გადაწყვეტილებებს ამერიკული „ვაშინგტონ პოსტი“. „ამინდს აფუჭებდა“ მემარცხენეებისა და მემარჯვენეების მხრიდან წამოსული კრიტიკა, ეჭვსა და უკმაყოფილებას იწვევდა სიჩქარე, რომლითაც იქნა მიღებული ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები. აჩქარების მიზეზი კი ზედაპირზე იდო: მიხეილ გორბაჩოვს სურდა პარტიის გენერალური მდივნის პოსტიც შეენარჩუნებინა და იმავდროულად ნაკლებად დამოკიდებული ყოფილიყო პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, რომელსაც შეეძლო ნებისმიერი მომენტში შეკრებილიყო და ხრუშჩოვის გადაყენების სცენარით ემოქმედა. მეორე მხრივ, ვინაიდან მმართველმა პარტიამ უცებ დაკარგა სახელისუფლებო ბერკეტი, საჭირო იყო ვაკუუმის სწრაფად შევსება. თბილისისა და ბაქოს ტრაგიკული მოვლენების შემდეგ კი რთული გასარკვევი გახდა, თუ კონკრეტულად ვინ მიიღო გადაწყვეტილება ძალის გამოყენებაზე, თუმცა უკვე პრეზიდენტის რანგშიც იოლად მოახერხა გორბაჩოვმა თავი დაეღწია ვილნიუსის დრამაზე პასუხისმგებლობისათვის.

არსებობდა კიდევ ერთი წმინდა პრაქტიკული პობლემა: ბრეჟნევის დროიდან დამკვიდრებული ტრადიციით, პარტიის გენერალური მდივანი ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლებით ორგანოსაც თავკაცობდა. 1989 წლის გაზაფხულიდან კი, უმაღლესი საბჭო მუდმივ რეჟიმში მუშაობდა და მისი თავმჯდომარე გორბაჩოვიც იძულებული იყო უამრავი დრო დაეხარჯა სხდომებში მონაწილეობით. ასევე იქცეოდნენ ქვეყნის დანარჩენი ხელმძღვანელებიც, რომელნიც ყველაფერში პირველი პირის ქცევებს იმეორებდნენ (ასევე ტრადიციით). რასაკვირველია, ასეთი წესი ქვეყნის მართვას ართულებდა და ბუნებრივ

კითხვასაც ბადებდა: საქმით ვინღაა დაკავებული, როცა ყველა დებატებშია ჩართული? გარდა ამისა, მალევე გაირკვა, რომ თავისი ბუნებით გორბაჩოვი სპიკერი უფრო იყო, ვიდრე სახელმწიფოს მეთაური. იგი ბრწყინვალედ ახერხებდა დიდი, მრავალფეროვანი აუდიტორიით მანიპულირებასა და მისთვის სასურველი შედეგის მიღწევას კენჭისყრის პროცესში.

რუსი ექსპერტები დღემდე დაობენ იმაზე, თუ რატომ არ წავიდა გორბაჩოვი საერთო-სახალხო არჩევნებზე. მით უმეტეს, რომ ამას პრეზიდენტის პოსტის შემომღები კანონიც ითვალისწინებდა. ბევრი დღემდე ამას გორბაჩოვის საბედისწერო შეცდომად მიიჩნევს. როგორც ბორის ელცინის შემთხვევამ დაამტკიცა, მთელი მოსახლეობის მიერ არჩეული პრეზიდენტის კანონიერი გზით გადაყენება ძალზე რთულ პროცედურასთანაა დაკავშირებული. გარდა იმისა, რომ გორბაჩოვი მხოლოდ დეპუტატების მიერ იყო არჩეული, კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა თვითონ ყრილობის ლეგიტიმურობაც, ვინაიდან იგი VI მუხლის დროს იყო არჩეული, გორბაჩოვის ავტორიტეტი კი ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალი იყო ქვეყანაში და მას გარანტირებული ჰქონდა გამარჯვება, მით უმეტეს, რომ ელექტორალური პოტენციალის მქონე ერთადერთ დამოუკიდებელ კანდიდატ ელცინს არჩევის არანაირი შანსი არ ჰქონდა თუნდაც შუა აზიაში.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ობიექტური უპირატესობის პირობებშიც კი გორბაჩოვს მისტიკური შიში ჰქონდა ელცინის მიმართ, რომელსაც როგორღაც ყველაფერი გამოუდიოდა. ზოგის აზრით კი, გორბაჩოვმა ნომენკლატურულ გარემოცვას დაუჯერა, რომელიც ჯერ ერთი, გენეტიკურად უფრთხოდა ყველაფერს, რაც კი დემოკრატიასთან ასოცირდებოდა და მეორეც – შიშობდა, რომ ფართო წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში რეფორმატორებს დამატებითი შესაძლებლობა ეძლეოდათ საკუთარი შეხედულებების საპროპაგანდოდ.

საჯარო გამოსვლებში გორბაჩოვის „საშინაო" დიპლომატიის მთავარი არგუმენტი იყო ქვეყანაში შექმნილი რთული მდგომარეობა და ყოველი უპრეზიდენტო დღე ბევრად დაუჯდებოდა მოსახლეობას.

„ისინიც (რეგიონთაშორისო სადეპუტატო ჯგუფი) ემხრობოდნენ პრეზიდენტის პოსტის იდეას, მაგრამ იმდენი წინა პირობებითა და დათქმებით, რომ შეიძლება უსაშველოდ გაჭიმულიყო ეს პროცესი. შექმნილ ვითარებაში არ შეიძლება სერიოზული გადაწყვეტილებების გადადება. დღესვეა ქვეყნისათვის აუცილებელი პრეზიდენტობის ინსტიტუტის შემოღება“ – ასეთი იყო გორბაჩოვის მთავარი არგუმენტი.

ფაქტი კი ის იყო, რომ გარდაქმნისა და განახლების მომხრეთა რიგებში თავი განხეთქილებამ იჩინა – რატომ მაინცდამაინც გორბაჩოვი პრეზიდენტად? ერთნი ქვეყანაში დემოკრატიის გამარჯვების ერთადერთ გარანტად გორბაჩოვს მიიჩნევდნენ და თვლიდნენ, რომ ყველაფერში უნდა დაეჭირათ მისთვის მხარი, ვინაიდან ყველა სხვა ვარიანტი უარესი იყო. მეორენი ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ ხალხს შეეძლო ასეთი გადაწყვეტილების მიღება. ზელენოგრადელმა ვინმე შევალიოვმა კი მოსკოვის ცენტრში, თეატრალურ მოედანზე დაიწყო შიმშილობა გორბაჩოვის პრეზიდენტად არჩევის პროტესტის ნიშნად. ლოგიკას არ იყო მოკლებული იმ დროს პოპულარული გლეხთა პარტიის შემქმნელის იური ჩერნიჩენკოს არგუმენტიც: „თუ დეპუტატები უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ქმედებასაც კი ვერ აკონტროლებდნენ, მით უფრო ვერ შეძლებენ თვალი მიადევნონ პრეზიდენტს“. რამდენადაც ცნობილია, საჯაროდ თავისი პოზიცია არ დაუფიქსირებია ელცინს.

საყურადღებოა, რომ საყოველთაოდ არჩეული პრეზიდენტის იდეა არც ადრე ყოფილა უცხო საბჭოთა კავშირში: „ინსტანციებში“ ამაზე იყო საუბარი 1936 წელს „სტალინურ კონსტიტუციაზე“ მუშაობის პროცესში, ხრუშჩოვის მმართველობის დროს და გარდაქმნის გარიჟრაჟზეც.

ცნობილი არ არის, თუ რატომ უარყო ეს იდეა იოსებ სტალინმა, მას ხომ ყველა გათვლით ჰქონდა გარანტირებული 99.99-პროცენტიანი მხარდაჭერა. ნიკიტა ხრუშჩოვს კი, უბრალოდ, დრო არ ეყო, მის მემკვიდრეებს კი ამ იდეის განხორციელებაში ძვალსა და რბილში გამჯდარი კონსერვატიზმი და ნებისმიერი სიახლისადმი „სპეციფიური“ მიდგომა უშლიდა ხელს. ისე კი, ლეონიდ ბრეჟნევი სიამოვნებას

ვერ მალავდა, როდესაც უცხოეთში (დასავლეთში) ოფიციალური ვიზიტების დროს მას „ბატონო პრეზიდენტო“-თი მიმართავდნენ.

1989 წელს „გარდაქმნის არქიტექტორმა“ ალექსანდრე იაკოვლევმა გორბაჩოვს შესთავაზა ქვეყნის რეფორმირება პარტიიდან დაეწყო: საერთო პარტიული დისკუსიის შედეგად სსკპ ორ პარტიად უნდა გაყოფილიყო – რეფორმატორულ „სახალხო-დემოკრატიულ პარტიად“ და კონსერვატორულ „სოციალისტურ პარტიად“. შემდეგ ჩატარდებოდა უმაღლესი საბჭოს (ანუ პარლამენტის) არჩევნები და გამარჯვებული პარტია შექმნიდა მთავრობას.

იაკოვლევის ჩანაფიქრით, ორივე პარტიას სოციალიზმი უნდა ეღიარებინა საბაზო ფასეულებად. შემდეგ უნდა შექმნათ ალიანსი „კომუნისტთა კავშირის“ სახელწოდებით, რომლის ცენტრალურ საბჭოშიც თანაბრად იქნებოდა წარმოდგენილი ორივე პარტია. საბჭოს თავმჯდომარეს ერთობლივად წარადგენდნენ პრეზიდენტობის კანდიდატად.

უჩვეულო პოლიტიკური კონსტრუქცია, სადაც ორი პარტია უპირისპირდებოდა არჩევნებზე ერთმანეთს და შემდეგ კი კოალიციას ქმნიდნენ ერთი ლიდერით „რუსული სასწაულის“ კიდევ ერთ ნაირსახეობად უნდა ქცეულიყო. ზოგიერთი მკვლევარი დღემდე ამტკიცებს, რომ იაკოვლევის გეგმის რეალიზაციით შესაძლებელი გახდებოდა ექსცესების გარეშე გადასვლა მრავალპარტიულ დემოკრატიაზე და არც საბჭოთა კავშირი არ დაიშლებოდა. მაშინ გორბაჩოვმა იდეა უარყო, ხუთი წლის შემდეგ კი უკვე დაგვიანებული იყო.

ითვლება, რომ გორბაჩოვის პოლიტიკური კარიერის ზენიტი სახალხო დეპუტატთა 1989 წლის მაისის ყრილობა იყო, ხოლო გაპრეზიდენტება – მისი დაცემის დასაწყისი. ლიდერის რეიტინგი ელვის სისწრაფით დაეშვა უფსკრულისაკენ. საქმე კი ის იყო, რომ კონსერვატორების რწმენით, გორბაჩოვს „წესრიგის აღსადგენად“ პრეზიდენტის უფლებამოსილება ესაჭიროებოდა, რეფორმისტები კი ელოდნენ, რომ პრეზიდენტი უფრო გაბედულ ნაბიჯებს გადადგამდა რეფორმების მიმართულებით. ერთნიც მოტყუვდნენ და მეორენიც.

საშინაო პოლიტიკაში სულ უფრო და უფრო საშიში გამოწვევების ფონზე, გორბაჩოვი-შევარდნაძის დიპლომატიის უკანასკნელ ნათელ ეპიზოდად შემორჩა ისტორიას XX საუკუნის კალიგულას და ახლო აღმოსავლეთში კრემლის უკანასკნელი კლიენტის, მანიაკ-ჯალათ სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ვაშინგტონთან სოლიდაროზა.

„ცივი ომის“ წლებში მსოფლიოში დაფიქსირებულ კონფლიქტებიდან, მხოლოდ ორი შემთხვევა იყო, როდესაც საბჭოთა კავშირი ვერ გარკვეულიყო, ვის მხარეზე უნდა დამდგარიყო: ეთიოპია-სომალის (ე.წ. „ოგადენის კონფლიქტში“ – 1977 წელს) და ირან-ერაყისა (1980 წელს). ამ უკანასკნელთან მიმართებით საბჭოთა დაზვერვა და გენერალიტეტი მხარს ერაყის პრეზიდენტ სადამ ჰუსეინს უჭერდა, ცკ-ს საერთაშორისო განყოფილება – კი ირანის ლიდერს, აიათოლა რუჰოლა ჰომეინს. როდესაც 1988 წელს სამარცხვინოდ დაასრულა ირანთან 8-წლიანი ომი ერაყის დიქტატორმა, მან მოსკოვისათვის კიდევ უფრო უდროო და დელიკატური ავანტურა წამოიწყო მეზობელ ქუვეითთან მიმართებით.

საქმე კი ის იყო, რომ 80-იანი წლების დასასრულისათვის ნავთობის მსოფლიო ფასები მორიგ „ფსკერზე“ დაეშვა, ხოლო ერაყს ქუვეითის 16.5 მლრდ. დოლარი ემართა. ბაღდადმა არ დააყოვნა და ქუვეითელი შეიხები ფასების დაცემაში დაადანაშაულა – ოპერატიულად არ დაიწყეს ნავთობნის მოპოვების შემცირებაო. გარდა ამისა, ერაყის დიქტატორს „დროზე გაახსენდა“, რომ ქუვეითი სწორედ მისი წიაღიდან „იპარავდა“ „შავ ოქროს“ და ისე მდიდრდებოდა. ბაღდადის მტკიცებით, რუმეილის ნავთობ-ჭაბურღილი კი იდგა ქუვეითის ტერიტორიაზე, მაგრამ ნავთობის მიწისქვეშა ტბა ერაყის ტერიტორიაზე იმყოფებაო.

სწრაფი გადაწყვეტილებების მოყვარე ჰუსეინმაც არც აცივა, არც აცხელა და 14 მლრდ. დოლარი მოსთხოვა ქუვეითს „მოპარული“ ნავთობის საფასურად, პლიუს 2.5 მლრდ. მორალური ზიანის საკომპენსაციოდ. ერთად აღებული ქუვეითის „ვალი“ ზუსტად დაემთხვა ერაყის რეალურ ვალს ქუვეითისადმი.

კონფლიქტის წინა ისტორია კი ასეთი იყო: 1961 წელს, როდესაც ბრიტანეთმა დამოუკიდებლობა მიანიჭა ქუვეითს, ერაყის იმდროინდელმა პრეზიდენტმა აბდულ ალ-ყასემმა უარი თქვა ეცნო მეზობლის დამოუკიდებლობა და საჯაროდ განაცხადა, რომ ე.წ. „ქუვეითი“ მხოლოდ ერაყის ბასრას პროვინციის ნაწილია და მეტი არაფერიო. ორი თვის შემდეგ კი მოუწია ბაღდადს ქუვეითის დამოუკიდებლობის აღიარებაცა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაც. მაგრამ 27 წლის შემდეგ სადამს აღარ აინტერესებდა საკუთარი პოლიტიკური წინაპრების მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

1990 წლის 19 ივლისს ქუვეითის საზღვრებთან ერაყის ჯარების კონცენტრაცია დაიწყო. 24 ივლისს ბაღდადში საგანგებოდ ჩაფრინდა ერაყის საომარი მზადებით შეშფოთებული ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი. „გულახდილ“ საუბარში სადამი ალაჰსა და ყურანზე ეფიცა „არაბ ძმას“, რომ მას აზრადაც არ ჰქონდა ახალი ომის წამოწყება. პირველ აგვისტოს კი უკვე ედუარდ შევარდნაძე არწმუნებდა ირკუტსკში თავის ამერიკელ კოლეგა ჯეიმს ბეიკერს - „სადამი ომს რომ აპირებდეს, ჩვენ აუცილებლად გვეცოდინებაო“. დამშვიდებული ბეიკერი ირკუტსკიდან ულან-ბატორში გაფრინდა, შევარდნაძე კი მოსკოვში დაბრუნდა. საოცარი იყო, რომ ჰუსეინის რეალური განზრახვის თაობაზე წარმოდგენა არ გააჩნდა არც ამერიკის და არც საბჭოთა დაზვერვას. უკანასკნელთან დაკავშირებით მოგვიანებით გაჟღერდა ვერსია, რომ საბჭოთა სამხედრო დაზვერვა („გრუ“) ყველაფრის საქმის კურსში იყო, მაგრამ გორბაჩოვს ინფორმაცია დაუმალა.

ირკუტსკში ორი მინისტრის შეხვედრიდან რამდენიმე საათში, როდესაც ახლო აღმოსავლეთში ღამე იყო, ვაშინგტონში კი საღამო, როცა პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ფიზიოთერაპიის კაბინეტში გოლფის თამაშის დროს დაზიანებულ მხარს მკურნალობდა, მას უდროოდ მოუწია პროცედურის შეწყვეტა – ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში თანაშემწე ბრენტ სკოუკროფტს სასწრაფო ინფორმაცია უნდა გადაეცა პრეზიდენტისათვის: ერაყ-ქუვეითის საზღვარზე ერაყელთა სამხედრო ნაწილების საეჭვო გადაადგილებები შემჩნეოდა. იმპროვიზირებულ თათბირზე გადაწყდა, რომ პრეზიდენტი პირადად დაე-

ლაპარაკებოდა ჰუსეინს და სასტიკად გაფრთხილებდა, რომ ქუვეითზე თავდასხმას სერიოზული შედეგები მოჰყვებოდა. ამასობაში თეთრ სახლში ელ-ქუვეითში (ქუვეითის დედაქალაქი), ამერიკის საელჩოდან მიიღეს ცნობა, რომ ერაყის არტილერიამ და თვითმფრინავებმა უკვე ქალაქის დაბომბვა დაიწყოო. „აი, დავილაპარაკეთ კიდეც“, თქვა დაღვრემილმა პრეზიდენტმა.

ორ აგვისტოს, დილის 5 საათზე, ოვალურ კაბინეტში ჩატარებულ თათბირზე ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის“ მომავალმა მთავარსარდალმა, გენერალმა ნორმან შვარცკოპფმა რწმენა გამოხატა, რომ სადამი ვერ გაბედავდა მთელი ქუვეითის ოკუპაციას და ნავთობსაბადოებით მდიდარი მოსაზღვრე რაიონების მიტაცებით დაკმაყოფილდებოდა. იმავე დღეს კი ერაყის 120 ათასიანმა არმიამ 350 ტანკისა და არტილერიის დახმარებით პრაქტიკულად პატარა ქვეყნის მთელი ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა. შეიხმა საუდის არაბეთში გაქცევა მოასწრო, მისი ძმა კი მოკლეს. სადამმა ასეთივე ოპერატიულობით მოძებნა მანამდე უცნობი პოლკოვნიკი ჰასან ალი, რომელიც სათავეში ჩაუდგა „ქუვეითის თავისუფალ მთავრობას“, რომელმაც განაცხადა, რომ ქუვეითელები დიდი ხანია რაც „ერაყთან მიერთებაზე ოცნებობდნენ“. 8 აგვისტოს ერაყის რევოლუციური სარდლობის უმაღლესმა საბჭომ („პარლამენტმა“) „დააკმაყოფილა ქუვეითელი ძმების თხოვნა“ და მათი ტერიტორია მიიერთა. გაურკვეველი დარჩა, თუ რატომ დაიწყეს ერაყელებმა „ძმების“ ქონების დატაცება და ქვეყანაში მოქმედი 950 ჭაბურღილიდან 600 რატომ გამოიყვანეს მწყობრიდან.

რისი იმედით შეიძლება წამოეწყო თავიდანვე განწირული ავანტიურა ერაყის ტირანს? არც 1950-იანი წლები იდგა მსოფლიოში და არც ხრუშჩოვის დროინდელ რეალობაში ცხოვრობდა საბჭოთა კავშირი, რომ ეგვიპტის მსგავსად, ერაყი ბირთვული იარაღის შანტაჟით დაეცვა. ბაღდადში შეიძლება ვარაუდობდნენ, რომ ამერიკას ხელს არ აძლევდა რეგიონში ირანის ერთპიროვნული გაბატონება და ამიტომ ბოლომდე არ გასწირავდა ერაყის რეჟიმს და ქუვეითის ნაწილს მაინც დაუტოვებდა. სადამის მეორე გაცილებით სტრატეგიული შეცდომა

ის იყო, რომ მან გადაჭარბებული ოპტიმიზმით შეაფასა ედუარდ შევარდნაძის გადადგომა.

თუ რამეში გამართლდა ბაღდადის პროგნოზი, პირველ რიგში იმაში, რომ „უდაბნოში ქარიშხალმა“ ახალი ნაპრალები გააჩინა საბჭოთა საზოგადოების შიგნით: ლიბერალური ფასეულებების მომხრეები ღიად და ხმამაღლა თანაუგრძნობდნენ ქუვეითელებს, საბჭოთა სამხედროებს და კომუნისტური ელიტის ნაწილს კი არა და არ ეთმობოდათ თავნება და არასაიმედო, მაგრამ მაინც მოკავშირე ტირანი სადამ ჰუსეინი, მით უმეტეს, რომ მან საბოლოოდ დაწვა ამერიკასა და საერთოდ დასავლეთთან მისასვლელი ხიდები და ამიერიდან უფრო მეტად უნდა ყოფილიყო დამოკიდებული საბჭოთა იარაღზე.

ფინალამდე კი მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: ორ აგვისტოს ჯეიმს ბეიკერმა შეწყვიტა მონღოლეთში ვიზიტი და მოსკოვში გაფრინდა. ედუარდ შევარდნაძესთან მისი შეხვედრა ვნუკოვოს აეროდრომზე იყო დაგეგმილი. რა უნდა ეთქვა მისთვის საბჭოთა მინისტრს მოსკოვის მრავალწლიანი „მეგობრის“ საქციელზე? შევარდნაძე ფოროსში დასასვენებლად მყოფ გორბაჩოვს დაუკავშირდა და შესთავაზა ამერიკელებთან ერთად გაეკეთებინათ აგრესიის გამკიცხავი განცხადება. აქ კიდევ ერთხელ იჩინა თავი გორბაჩოვის სტილმა – მერყეობამ (საბოლოო ჯამში მისთვის ფატალურმა): პრეზიდენტი პრინციპში დაეთანხმა თავის მინისტრს, მხოლოდ ურჩია, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, თავდაცვის მინისტრსა და „კგბ“-ს შეფს დალაპარაკებოდა. მომავალი „გკჩპ“-ისტები, ცხადია, ვაშინგტონთან ერთიანი პოზიციით გამოსვლის წინააღმდეგნი იყვნენ. გაცოფებულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელახლა დარეკა ფოროსში და გორბაჩოვი ერთობლივ განცხადებაზე დაიყოლია, თუმცა დღემდე უცნობია, რა არგუმენტებით. შემდგომ დღეებში გორბაჩოვის დიპლომატია მიმართული იყო შუამავლის ფუნქციაზე და ომის თავიდან აცილებაზე. მას რატომღაც სწამდა, რომ დაარწმუნებდა ჰუსეინს კოალიციის ჩარევამდე დაეტოვებინა ქუვეითი. საბჭოთა ლიდერი ევგენი პრიმაკოვზე ამყარებდა დიდ იმედებს, რომელიც პირადად იცნობდა ჰუსეინს და მასტან მეგობრული ურთიერთობაც კი ჰქონდა.

თავის „სამზარეულოში“ პრიმაკოვის შეშვების კატეგორიული წინააღმდეგი იყო ედუარდ შევარდნაძე – „არ შეიძლება სახელმწიფოს ორი საგარეო პოლიტიკა ჰქონდეს“ – ამტკიცებდა იგი. სამჯერ იყო ბაღდადში პრიმაკოვი, მაგრამ უშედეგოდ. მანამდე კი, 29 ნოემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო ნომერი 678 რეზოლუცია ერაყის წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე. 1945 წლის შემდეგ ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მოსკოვი და ვაშინგტონი ბარიკადების ერთ მხარეზე აღმოჩნდნენ.

1990 წლის 20 დეკემბერს ედუარდ შევარდნაძე, რიგი მიზეზების გამო, მინისტრის თანამდებობიდან გადადგა. 1991 წლის 16 იანვარს საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ საგარეო საქმეთა ახალ მინისტრად ალექსანდრე ბესმერტნიხი დაამტკიცა. უძილო აღმოჩნდა პირველივე ღამე ახლად გამინისტრებული დიპლომატისათვის – გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატის თანახმად, 41 სახელმწიფოსაგან შემდგარმა კოალიციამ, რომლის ბირთვსაც ამერიკელები შეადგენდნენ, ქუვეითის გათავისუფლების ოპერაცია დაიწყო. საბჭოთა ელჩს ბაღდადში ვიქტორ პოსუვალიუკს სასწრაფოდ დაევალა შეხვედროდა სადამ ჰუსეინს და დაერწმუნებინა ქუვეითის დატოვებაზე. გორბაჩოვი გარანტიას იძლეოდა, რომ ასეთ შემთხვევაში კოალიცია სამხედრო მოქმედებებს შეაჩერებდა. სადამმა არ მიიღო საბჭოთა წინადადება. 26 თებერვალს დიქტატორმა „გამარჯვება“ მიულოცა ერაყელებს, რეალურად კი მისი არმიის ნარჩენები ბრძოლის გარეშე ნებდებოდნენ განმათავისუფლებლებს. იმავე ღამით ელჩი პოსუვალიუკი ერაყის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიიწვიეს და აცნობეს, რომ ბაღდადი ღებულობდა გაეროს მოთხოვნას. 28-ში გენერალმა შვარცკოფმა და საუდის არაბეთის თავდაცვის მინისტრმა ჰალედ ბენ სულთანმა, ერაყის წარმომადგენლებთან ერთად, ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმებას.

საინტერესო დეტალი: 1991 წლის აგვისტოში „უდაბნოში ქარიშხალის“ მთავარსარდალმა და უკვე ამერიკის ეროვნულმა გმირმა, გენერალმა შვარცკოფმა თავს უფლება მისცა საჯაროდ გაეკრიტიკებინა თავისი მთავარსარდალი (პრეზიდენტი ჯორჯ ბუში) ბაღდადზე

შეტევის აკრძალვისათვის. ამ განცხადებიდან რამდენიმე საათში ეროვნული გმირი-გენერალი თადარიგში გაუშვეს. ცოტათი ადრე კი მოსკოვში, გენერალმა ალბერტ მაკაშოვმა (ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქის სარდალმა) ასევე საჯაროდ, იდიოტიზმი უწოდა თავისი მთავარსარდლის მიხეილ გორბაჩოვის პოლიტიკას ერაყის საკითხებში და ურჩია თადარიგის ოფიცერთა გადამზადების კურსები გაევლო. კრემლში აზრადაც არავის მოსვლია თავხედი გენერლის დასჯა. გორბაჩოვი აშკარად არ შეესაბამებოდა არც მთავარსარდლისა და არც პრეზიდენტის პოსტს.

რაც შეეხება ჯორჯ მუშის გადწყვეტილებას - არ აეღო ბაღდადი და ძალის გამოყენებით არ ჩამოეშორებინა ხელისუფლებიდან დიქტატორი, პრეზიდენტის მოტივაცია წლების შემდეგ ახსნა თავის მოგონებებში ბრენტ სკოუკროფტმა: „მაშინ ჩვენ იძულებულნი ვიქნებოდით თავად გვეკისრა ერაყის მმართველობა. შეერთებული შტატები ოკუპანტის როლში გამოდიოდა მისდამი მტრულად განწყობილ ქვეყანაში“ სწორედ ასე მოხდა უკვე მეორე ბუშის ჯორჯ ბუშუმცროსის პრეზიდენტობის დროს.



თავი ოცდამეექვსე
საბჭოთა იმპერიის კრახი

როდესაც საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე მწერალმა ვასილ ბელოვმა საბჭოთა კავშირიდან რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის (რსფსრ) გასვლა მოითხოვა, ეს აღარ იყო სენსაცია. „მოძმე“ რესპუბლიკების დიდი ნაწილი უკვე სრული დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე იყვნენ დამდგარნი. ბელოვს ისევე, როგორც რუს პატრიოტ-ნაციონალისტთა აბსოლუტურ უმრავლესობას, პრაგმატული ეგოიზმი ამოძრავებდა. „ნავთობისა და გაზის ნაკადები, მილიონობით ტონა ძვირადღირებული მინერალები და მადნეული, მილიონობით მოჭრილი წიწვიანი ხეები გაედინება და გაედინება სხვა რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთ. რუსი ხალხი მოტყუებულია. რუსეთი შეურაცხყოფილი და დამცირებულია... მე უნდა გავიმეორო მოთხოვნა, რომელიც ყველაზე

ხშირად ჟღერს ჩემი ამომრჩევლებისაგან მიღებულ წერილებსა და დეპეშებში", – აცხადებდა ის ყრილობის ტრიბუნიდან.

რუსეთის „სუვერენიზაციის" შემდგომი აქტი „რუსეთის სუვერენიტეტის დეკლარაცია" და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ბორის ელცინის არჩევა იყო. კალენდარი 1990 წლის 12 ივნისს უჩვენებდა. მალე გაირკვა, რომ მთლიანობის თვალსაზრისით, არც რსფსრ-ში იყო ერთსულოვნება – 1991 წლის დასაწყისისათვის რუსეთის 14 ავტონომიას ჰქონდა ოფიციალურად გაცხადებული საკუთარი სუვერენიტეტი, რაც, პირველ რიგში, ყველა სახელისუფლებო ბერკეტის ავტონომიების ხელმძღვანელთა ხელში გადასვლას ითვალისწინებდა. ავტონომიური რესპუბლიკების საკუთრებად ცხადდებოდა მათ ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი რესურსი. მიხეილ გორბაჩოვის შიდადიპლომატიური შეცდომა იყო, რომ ელცინის პოზიციების შესასუსტებლად ხელს არ უშლიდა რუსეთის საზღვრებში აზვირთებულ სეპარატიზმს. თუმცა ჰქონდა კი სხვა გზა?

ბორის ელცინმა კი 1990 წლის ზაფხულში, რუსეთის ყველა ავტონომიური წარმონაქმნის ლიდერების გასაგონად განაცხადა ყაზანში: „აიღეთ დამოუკიდებლობის ის ნაწილი, რომლის მონელებასაც შეძლებთ. რასაც ვერ შეძლებთ – ხელშეკრულებით გადაეცით რუსეთს". ეს უკვე უაღრესად სარისკო დიპლომატიური სვლა იყო - მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება პრეცედენტი, როდესაც პოლიტიკოსებს საკუთარი კეთილი ნებით ეთქვათ უარი მაქსიმალური დამოუკიდებლობის ხიბლზე.

1990-1991 წლებში რუსეთის სახელმწიფო ორგანოები ფორსირებულ რეჟიმში იქმნებოდა. ამ მხრივ პრიორიტეტით სარგებლობდა ადამიანთა გონებასა და განწყობაზე ზეგავლენის მქონე უწყებები – ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის სამინისტრო, რუსეთის ტელევიზია, გაზეთები. 1991 წელს დაიწყო შეიარაღებული ძალების შექმნა, მაისში დაარსდა რუსეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიც.

1991 წლის 17 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი საბჭოთა კავშირის მომავალზე (საქართველოსა და სხვა რამდენიმე რესპუბლიკაში რეფერენდუმი არ ჩატარებულა). რუსეთის მოსახლეობის 71 პროცენ-

ტმა ხმა საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას მისცა. კურიოზი იყო, რომ იმავე დღეს ჩატარებულ რეფერენდუმზე კი უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რუსეთის პრეზიდენტის პოსტის შემოღებას, რომლის უფლებებიც რუსეთის ტერიტორიაზე საბჭოთა პრეზიდენტის უფლებებს სჭარბობდა. ბორის ელცინი უკვე ხალხის ნდობის ისეთი ძალის მანდატს ფლობდა, რომელიც დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის გატარების შესაძლებლობას იძლეოდა.

უკვე წყალწაღებული მიხეილ გორბაჩოვი კი ხავსად ქცეულ ახალ საკავშირო ხელშეკრულებას ებღაუჭებოდა, რომლის პროექტიც 1991 წლის 9 მარტს გამოქვეყნდა და 17 ივნისს 9 მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოებს დაეგზავნა. იმპერიის განახლება-გაკეთილშობილება და ამ გზით მისი გადარჩენა კი უკვე შეუძლებელი იყო, ვინაიდან „მოდერნიზებული" ვარიანტი არც საბჭოთა კავშირის შენარჩუნების მომხრეებს არ მოსწონდათ და არც მოწინააღმდეგეებს. ერთნი ეჭვობდნენ, რომ ახალი ხელშეკრულების ძალაში შესვლით იურიდიულად გაფორმდებოდა მათთვის ასე ძვირფასი ერთიანი სახელმწიფოს დაშლა, მეორენი შიშობდნენ, რომ ცენტრის დიქტატურის ახალ ნაირსახეობას მიიღებდნენ. თანაც დღითი-დღე იზრდებოდა ბორის ელცინის პოპულარობა, გორბაჩოვისა კი მცირდებოდა.

საბჭოთა იმპერიის უკანასკნელ სასიკვდილო კრუნჩხვად (გაბრძოლებისათვის ის უკვე ძალზედ კომიკურად გამოიყურებოდა) იქცა ე.წ. „გკჩპ", რომელიც პუტჩის კარიკატურად შეიძლება ჩავთვალოთ. რამდენიმე მარაზმატიკოსმა მოხუცმა იმპერია ვერ გადაარჩინა, მაგრამ ელცინის აღზევება და გორბაჩოვის კრახი კი ნამდვილად დააჩქარა. ელცინმა ხელიდან არ გაუშვა სიტუაციით გაჩენილი შანსი და სპეციალური ბრძანებულებით თავის განკარგულებაში დაიმორჩილა რუსეთში განლაგებული თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და „კგბ"-ს ყველა შენაერთი, თვითონვე იკისრა რუსეთის ტერიტორიაზე განთავსებული საბჭოთა არმიის მთავარსარდლობაც. ფაქტიურად ამით დასრულდა ორხელისუფლებიანობის პერიოდი. გორბაჩოვი ინარჩუნებდა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის სავარძელს, მაგრამ ქვეყნის მართვისათვის მას არცერთი ბერკეტი

აღარ ჰქონდა. 25 აგვისტოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა უკრაინამ (რეფერენდუმი ჩატარდა 1991 წლის 1 დეკემბერს) და უარი თქვა ხელი მოეწერა ახალ სამოკავშირო ხელშეკრულებაზე. ასევე მოიქცა ყველა მოკავშირე რესპუბლიკა, გარდა რუსეთისა და ყაზახეთისა. თავისი ბრძანებულებით, ელცინმა რუსეთის ტერიტორიაზე კომუნისტური პარტიის საქმიანობა შეაჩერა.



"გეკაჩეპე"-ს წევრები

1991 წლის 7 დეკემბერს, ბელორუსიაში, ნაკრძალ „ბელოვეჟსკაია პუშჩა"-ში მდებარე „ვისკულის" სამთავრობო კომპლექსში სამი წამყვანი სლავური რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მიერ გაფორმებული დოკუმენტი პრაქტიკულად უკვე გარდაცვლილი იმპერიის ეპიტაფიად იქცა. როგორც ახალი დოკუმენტის პირველივე მუხლი იუწყებოდა, „მაღალი მომლაპარაკებელი მხარეები ქმნიდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას" (დსთ). ბელორუსიის დედაქალაქი მინსკი თანამეგობრობის საკოორდინაციო ორგანოთა ადგილსამყოფელად ცხადდებოდა.

1991 წლის 12 დეკემბერს რუსეთის უმაღლესმა საბჭომ „ბელოვეჟის შეთანხმების" რატიფიკაცია მოახდინა. იქვე დაანონსებული იქნა საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ 1922 წლის ხელშეკრულების გაუქმებაც. ისტორიის კიდევ ერთი პირუეტი: ფორმალურ-ოფიციალურად რუსეთმავე გააუქმა თავისი პირმშო საბჭოეთი. გავიდა ორი კვირა და 25 დეკემბერს, 660 დღიანი პრეზიდენტობის შემდეგ, კრემლი დატოვა გორბაჩოვმა.

1992 წელს რუსეთის სახალხო დეპუტატთა VI ყრილობამ სამჯერ თქვა უარი ბელოვეჟის შეთანხმების რატიფიკაციაზე, რასაც ყრილო-

ბასა და პრეზიდენტ ელცინს შორის მწვავე შეიარაღებული დაპირისპირება მოჰყვა, ყრილობის გარეკვით.

1993 წლის 8 ოქტომბერს, მწვავე სამოქალაქო დაპირისპირების ფონზე, საქართველო დსთ-ში გაწევრიანდა, 2009 წლის 12 ივნისს კი საქართველოს პარლამენტმა ფორმალურად დაასრულა თანამეგობრობიდან გასვლის პროცედურა და 18 აგვისტოს ოფიციალურად დატოვა დსთ. მიზეზი რუსეთ-საქართველოს ომი იყო.



შეხვედრა ბელოვეჟის ტევრში, დსთ-ის შექმნა: ბორის ელცინი, სტანისლავ შუშკევიჩი და ლეონიდ კრავჩუკი

უფრო ადრე კი 1991 წლის 11 დეკემბერს, საგანგებო განცხადებით გამოვიდა საბჭოთა კავშირის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტი, სადაც ნათქვამი იყო, რომ რესპუბლიკების ერთ ნაწილს უფლება არ გაჩნდა ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისა, რომელიც დანარჩენი რესპუბლიკების უფლებებსა და ინტერესებს ეხებოდა.

1999 წლის მაისში ბელოვეჟის ხელშეკრულება იქცა ელცინისათვის წაყენებული ბრალდებების ერთ-ერთ ეპიზოდად. სახელმწიფო სათათბიროს სპეციალურმა კომისიამ დაასკვნა, რომ ბელოვეჟის ხელშეკრულების ხელმოწერით „ბატონი ელცინი 1977 წლის საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის 74-76 მუხლების უხეშ დარღვევაზე წავიდა,

რაც იმაში გამოიხატა, რომ 1991 წლის 17 მარტს რეფერენდუმის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ ხელი არ შეუშალა საბჭოთა კავშირის დაშლას". კომისიის დასკვნით, ბორის ელცინი „სამშობლოს ღალატსა" და „ხელისუფლების არაკონსტიტუციურ მიტაცებაში" იყო მხილებული, მაგრამ პარლამენტმა კომისიას მხარი არ დაუჭირა.

1991-1992 წლებში დასრულდა ყოფილი საბჭოთა კავშირის უკვე ყოფილი რესპუბლიკების გაეროში გაწევრიანების პროცესი. მხოლოდ ბედის უკუღმართობისა და სამოქალაქო ტრაღედიის შედეგი იყო, რომ საქართველომ უკანასკნელმა მოახერხა სრული საერთაშორისო აღიარების მოპოვება. იგი თურქმენეთსა, ტაჯიკეთსა, ყირგიზეთსა და უზბეკეთზე გვიან, რეგიონიდან უკანასკნელი, 1992 წლის 31 ივლისს მიიღეს გაეროში. მტკივნეული და ხანგრძლივი აღმოჩნდა ელემენტარული პოლიტიკური კულტურისა და პასუხისმგებლობის გრძნობის პირობებში თავიდან იოლად ასაცილებელი სამოქალაქო ომის ჭრილობების მოშუშება.

დღემდე უპასუხოდაა დარჩენილი საერთაშორისო მნიშვნელობის აქტუალური კუთხვა: რატომ იქცა ცივილიზებული მსოფლიოსათვის სრულ მოულოდნელობად საბჭოთა კავშირის დაშლა? დასავლელი მენციერები ხომ ნახევარი საუკუნით ადრე ვარაუდობდნენ გარდაუვალ შედეგს? ქართული წარმოშობის საქვეყნოდ ცნობილი ფრანგი ექსპერტი და ერთ პერიოდში საფრანგეთის „უკვდავების აკადემიის" პრეზიდენტი ელენ დანკოსი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში წერდა „დახლეჩილ იმპერიაზე", ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს 1948 წლის 18 აგვისტოს №20/1 დირექტივა დეტალურად განიხილავდა საბჭოთა კავშირის რამდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაშლის პერსპექტივას. 1960-იან წლებში ხომ ბესტსელერად იქცა ანდრეი ამალრიკის ანალიტიკური ნაშრომი – „იარსებებს საბჭოთა კავშირი 1984 წლამდე?". მიუხედავად ყოველივე ამისა, აბსოლუტურად მოუმზადებელი შეხვდა გარე სამყარო (პირველ რიგში ის ნაწილი, ვინც მილიარდებს ხარჯავდა საამისოდ მზადყოფნისათვის) მოულოდნელ „საჩუქარს".

მოულოდნელობის ერთ-ერთი მიზეზად კი, ეტყობა, თავად გორბაჩოვი იქცა თავისი შედეგზე გაუთვლელი „გარდაქმნის“ პოლიტიკით.

რუსეთის საზოგადოების ფეოდალური ბუნების გამო, გაცილებით იოლი აღმოჩნდა ცარიზმიდან ბოლშევიზმში გადასვლა, ვიდრე უკანასკნელიდან რუსეთისათვის უცნობ და ისტორიულად უცხო ლიბერალიზმში, რომელიც მმართველი სტრუქტურების შეცვლას კი არა, საზოგადოების მზიდი ფასეულობების სრულ ტრანსფორმაციას ითვალისწინებდა.

უშედეგოდ დასრულდა ორთოდოქს-თეორეტიკოსების დამშვიდების მცდელობაც: წიგნში „გარდაქმნა და ახალი აზროვნება“ მიხეილ გორბაჩოვი წერდა: „გარდაქმნა ეს ზემოდან რევოლუციაა, ვინაიდან პარტიის ინიციატივით მიმდინარეობს, ეს სტიქიური კი არა, მართვადი პროცესია“.

როგორც ძველი სახლის წინდაუხედავი მესაკუთრე იწყებს კაპიტალურ რემონტს, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს სამუშაოს სირთულესა და მოცულობაზე და ფრონტის გაფართოება გზა-გზა უხდება, ასევე დაიწყო 70 წლის განმავლობაში ამორტიზირებული და რესურსებამოწურული სისტემის რეფორმირება მიხეილ გორბაჩოვმა. ჰქონდა კი მას წარმოდგენა, თუ როგორი ქვეყანა და პოლიტიკური ელიტა ერგო სამართავად?

გორბაჩოვის გაგენმდივნობა-გაპრეზიდენტებამდე 30 წლით ადრე, სემუელ ჰანთინგტონი ზოგადად შეეცადა რევოლუციონერსა და რეფორმატორს შორის არსებული განსხვავების განსაზღვრას. მისი ვერსიით, რევოლუციონერმა უნდა შესძლოს სოციალური ძალები დაუპირისპიროს ერთმანეთს, რეფორმატორმა კი მათი მანიპულირება უნდა შესძლოს. ამიტომ სჭირდება რეფორმატორს რევოლუციონერზე მეტი პოლიტიკური ოსტატობა.

ისტორიული დისტანცია გვაძლევს საშუალებას მეტი ობიექტურობით და ნაკლები არამეცნიერული მოტივაციით ვცადოთ საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის და უკანასკნელი გენერალური მდივნის რეფორმატორული დიპლომატიის შეფასება. რაც შეეხება რევოლუციონერობას, არანაირი რევოლუციონერი მი-

ხეილ გორბაჩოვი არ ყოფილა. იგი შინაგანად გრძნობდა ცივილიზებულ სამყაროსთან თავისი ქვეყნის არაადექვატურობას და მთელი პოლიტიკური სისტემის საბედისწერო კრიზისის გარდუვალობას, შედეგთა მთელი თაიგულით.

ყველგან და მუდამ ეკლიანია რეფორმატორის გზა და ბედი, თუმცა ყველა ქვეყანას თავისი განუმეორებელი ხელწერა ახასიათებს. XIX საუკუნის რუსული ლიბერალური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენელი და ისტორიისა და სიძველეთა საიმპერატორო საზოგადოების თავმჯდომარე, საიდუმლო მრჩეველი, ვასილი კლიუჩევსკი (167), რუსული რეფორმიზმის გამოცდილების გათვალისწინებით, ორ კლასიკურ ნიმუშს აღწერს: პეტრე პირველის „ჯოხით" ჩატარებული ევროპიზაციის რეფორმებს და ეკატერინე მეორის რეფორმებს ფორმულით – „რეფორმების შთაგონებაა საჭირო და არა ჩანერგვა, უნდა უკარნახო და არა უბრძანო" მიხეილ გორბაჩოვის სიმპათიები აშკარად ეკატერინეს მეთოდისაკენ იხრებოდა, მაგრამ გარდა იმისა, რომ დღემდე საკამათოა ეკატერინეს მეთოდის ეფექტურობა, კომუნისტური ნომენკლატურის პროდუქტ „გენსეკს" დიდი „იმპერატრიცის" შესატყვისი არც პოლიტიკური ნება გააჩნდა და არც ძალაუფლება.

მაშ, რაში მდგომარეობს უიღბლო რეფორმატორ მიხეილ გორბაჩოვის ისტორიული როლი?

მხოლოდ ცივილიზებული მსოფლიოსაგან რკინის ფარდით გამიჯნულს, დასავლეთთან პერმანენტული კონფრონტაციისა და ერთპარტიული სისტემის პირობებში, თავისუფალი არჩევნებისა და თავისუფალი მასობრივი ინფორმაციის ორგანოების გარეშე შეეძლო ეარსება საბჭოთა კავშირს. ამ ყველაფერს მოუღო ბოლო გორბაჩოვმა და იმპერიაც მოიშალა. რასაკვირველია, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ფატალური აღმოჩნდა საბჭოთა კავშირისათვის გორბაჩოვის ფიგურა. პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა იყო თავისი ბუნებით შინაგანად არასტაბილური და საბოლოო კრახის მხოლოდ დრო და მეთოდი იყო გაურკვეველი. ზემოთ უკვე ითქვა და გავიმეორებთ: სანამ მკვლევართა ხელში არ აღმოჩნდება საბჭოთა კავშირის კომუ-

ნისტური პარტიის ყველა დოკუმენტი – პირველწყარო, მხოლოდ არა-მეცნიერულ ვარაუდებზე იქნება დაფუძნებული იგივე გორბაჩოვის რეფორმებისა და დიპლომატიის კრახის რეალური მიზეზები, მისი პიროვნული როლი იმპერიის უსისხლო დაშლაში.

ისტორიას ჩაბარდა უდიდესი იმპერიების ეპოქა და როგორც ცნობილი რუსი ლიბერალ-რეფორმატორი ეგორ გაიდარი წერდა, მათი შესწავლის მოდა შემოვიდა (168). ისე კი, ჯერ კიდევ შარლ მონტესკიეს აინტერესებდა რომის იმპერიის დიდებისა და დაცემის მიზეზები, ხოლო ედუარდ გიბონმა ექვსტომეული გამოკვლევა მიუძღვნა რომის იმპერიის დაცემის მიზეზებს. არც პოსტიმპერიული ნოსტალგიაა უცხო – იგივე ეგორ გაიდარის მტკიცებით, სწორედ ეს იგრძნობა უკვდავ „დონ-კიხოტში“ გერმანიაში იმპერიული სახელმწიფო სიმბოლიკა ფაშისტური იმპერიის კრახიდან რვა წლის შემდეგ აღდგა, რუსეთში – ცხრა წლის შემდეგ. რუსეთში მათი რიცხვი, ვინც დადებითად აფასებს სტალინის როლს, 1998 წლიდან 2003 წლამდე, 19-ან 53 პროცენტამდე გაიზარდა.

კლასიკური იმპერიების დასასრული და მსოფლიო დეკოლონიზაციის პროცესი გვასწავლის, რომ პოსტიმპერიული სინდრომის სიცოცხლისუნარიანობის ვადები და გამოვლენის ფორმები განსხვავებული იყო, მაგრამ ადრე თუ გვიან ყველა იმპერიისავე ბედს იზიარებდა. თავის დროზე რუსეთიც მოიხდის ამ სახადს, გაქრება პროხანოვებსა და დუგინებზე მათხოვნილება, თუმცა ეს ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყოფილ „უმცროს ძმებს“ გარანტირებული აქვთ ხელშეუხებელი სუვერენული ურთიერთობები გუშინდელ პოლიტიკურ მეტროპოლიასთან. „უკვდავი კაშჩეის“ გავლენის სფეროებს, როგორც ჩანს, მსოფლიო დიდ ხანს ვერ შეელევა. „დიდი სამეულის“ მიერ ნაომარ ყირიმში შექმნილი დიპლომატიური აისბერგის – „იალტის სისტემის“ მხოლოდ წყალსზედა ნაწილი გაქრა. მსოფლიო დიპლომატიის წინაშე კი მთელი სიგრძე-სიგანითა დგას ახალი (მერანდენე!) მსოფლიო წესრიგის – დიდ და პატარა, სუსტ და ძლიერ სახელმწიფოთა თანაბარუფლებიანი თანამეგობრობის პრობლემა.

კამილო კავურმა იტალიის გაერთიანებისას, ხოლო შარლ ტალეირანმა ვენის კონგრესზე დაამტკიცა, თუ რა შეუძლია პატარა და დამარცხებული ქვეყნების დიპლომატიას, როდესაც ქვეყნის მომავალი თავისი საქმის მცოდნე ბრწყინვალე პროფესიონალების ხელშია.

წინა ეპოქა „ცხელი“ და „ცივი“ ომების, ჰიროსიმისა და ნაგასაკის კოშმარის საუკუნე იყო. არც ოცდამეერთე საუკუნე გვპირდება საშიში გამოწვევების დეფიციტს. თუ დემოკრატიულ მსოფლიოს მართლაც გააჩნია პოლიტიკური ნება ადექვატური რესურსი დაუპირისპიროს დღითი-დღე მზარდ საფრთხეებს, როცა ისტორიის სასწორზე თვით ცივილიზაციის მომავალი დევს, მაშინ ტოტალური გაერთიანების ალტერნატივა არ არსებობს. უკანასკნელი კი თანამედროვე რიშელიებს, პალმერსტონებსა და ბისმარკებს თხოულობს. დამდგარი ასწლეული დიპლომატიის საუკუნედ უნდა იქცეს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. Попов В. Современная дипломатия. М.2010. გვ.14.
2. Камбон Ж. Дипломат. М.1945; გვ.14.
3. Никольсон Г. Дипломатия. М.2006; გვ. 35.
4. Попов В. Современная дипломатия. М.2010. გვ. 36.
5. Законы Ману. http://naturalworld.ru/kniga_zakoni-manu.htm
6. История дипломатии (под редакции Потемкина В.М.); М.1941. Том I, გვ. 89.
7. История дипломатии (под редакции Потемкина В.М.); М.1941. Том I, გვ. 89.
8. Иванова И. История международных отношении и внешней политик России. М., 2008; გვ. 38.
9. История дипломатии (под редакции Потемкина В.М.); М.1941. Том I.
10. Камбон Ж. Дипломат. М.1945; გვ.85-86.
11. Киссинджер Г. Дипломатия. М.1997; გვ.47-48.
12. Борисов Ю.В. Дипломатия Людовика XIV. М.1991. გვ.173.
13. Борисов Ю.В. Дипломатия Людовика XIV. М.1991. გვ.365.
14. Протопопов А.С., Козьменко В.М., Елманова Н.С. История международных отношений и внешней политики России. (1648-2000). М., 2001. გვ. 20.
15. Протопопов А.С., Козьменко В.М., Елманова Н.С. История международных отношений и внешней политики России (1648-2000). М., 2001. გვ.22.
16. Протопопов А.С., Козьменко В.М., Елманова Н.С. История международных отношений и внешней политики России (1648-2000). М., 2001. გვ. 24.
17. Адо А.В. Крестьяне и Великая французская революция. М.2003. გვ.155.
18. Бовыкин Д.Ю. Революция окончена? Итоги Термидора. М.2005. გვ.124.
19. Манфред А. Наполеон Бонапарт. Сухуми. 1990; გვ. 127.
20. იგივე, გვ. 129.
21. იგივე, გვ. 153.
22. იგივე, გვ. 172.
23. იგივე, გვ. 175.

24. Бонапарт Н. Избранные произведения. М.,1956; გვ. 497.
25. Манфред А. Наполеон Бонапарт. Сухуми. 1990; გვ. 291.
26. იქვე.
27. Тарле Е. Наполеон. М.,1957. გვ. 139.
28. Киссинджер Г. Дипломатия. М.,1997; გვ. 63.
29. Талейран-Перигор Ш. Мемуары. М., 1959; გვ. 203-206.
30. იგივე, გვ.198.
31. Киссинджер Г. Дипломатия. М., 1997. გვ. 69.
32. იგივე, გვ. 71-72.
33. იგივე, გვ. 77-78.
34. Виноградов В. Балканская эпопея князя А. М. Горчакова. М. 2005; გვ. 31.
35. იგივე, გვ. 40.
36. იგივე, გვ. 105.
37. იგივე, გვ. 120.
38. Нарочницкая Л. Россия и войны Пруссии в 60-х годах XIX в. за объединение Германии «сверху». М., 1960. გვ. 136.
39. Киссинджер Г. Дипломатия., М.1997. გვ.136.
40. Виноградов В. Балканская эпопея князя А.М.Горчакова. М., 2005; გვ. 262.
41. იქვე, გვ.266;
42. Ерусалимский А. Бисмарк. Дипломатия и милитаризм. М.1968; გვ.202-203;
43. Виноградов В. Балканская эпопея князя А.М.Горчакова. М.2005; გვ. 222.
44. Киссинджер Г. Дипломатия. М.,1997; გვ. 170-171.
45. Протопопов А.С., Козьменко В.М., Елманова Н.С. История международных отношений и внешней политики России (1648-2000). М., 2001. გვ. 83.
46. Фишер Л. Жизнь Ленина. Лондон, 1964; გვ.167.
47. იგივე, გვ. 174.
48. იგივე, გვ. 177.
1. (88) იგივე, გვ. 203.
49. იგივე, გვ. 202.
50. იგივე, გვ. 238.
51. იგივე, გვ. 239.
52. იგივე, გვ. 297.

53. იხ.ეე, გვ. 212.
54. Протопопов А.С., Козьменко В.М., Елманова Н.С. История международных отношений и внешней политики России (1648-2000). М., 2001. გვ. 171.
55. იხ.ეე, გვ. 83.
56. იხ.ეე, გვ. 83.
57. Ответы на вопросы членов Совета Федерации. 27 июня 2012 года // http://kremlin.ru/transcripts/15781
58. Протопопов А.С., Козьменко В.М., Елманова Н.С. История международных отношений и внешней политики России (1648-2000). М., 2001; გვ. 105.
59. Тарле Е. Сочинения. М.1958; Т.5; გვ. 372.
60. იქვე.
61. Традиция (русская энциклопедия). Геноцид Армян. http://traditio-ru.org/wiki;
62. იქვე.
63. იქვე.
64. Тарле Е. Сочинения. М.,1958; Т.5; გვ. 398.
65. იხ.ეე, გვ. 401.
66. Киссинджер Г. Дипломатия. М.,1997; გვ.193.
67. Тарле Е. Сочинения. М.,1958; Т. 5. გვ. 478.
68. Ллойд Дж. Правда о мировых договорах. М.1957; Т.1; გვ. 331.
69. იხ.ეე, გვ. 395.
70. იხ.ეე, გვ. 401.
71. Тарле Е.В. Сочинения. М.1958. Т. 5; გვ. 778.
72. Ллоид Джордж. Правда о мировых договорах. М.1957; Т.1; გვ. 135.
73. იქვე, გვ. 155.
74. Джордж Л. Правда о мировых договорах. М.,1957; Т.2; გვ. 502-503.
75. Эпперсон Р. Невидимая рука. М.1996; გვ. 294-295.
76. Потемкин В.П. Дипломатия в новейшее время (1919-1939); М.,1945; გვ. 178.
77. იხ.ეე, გვ.179-188.
78. Стимсон Генри. Далневосточный кризис. М., 1940. გვ.137.
79. История дипломатии. Т.3; გვ. 547.
80. Шмидт Пауль. Переводчик Гитлера. М., 2001; გვ.18.

81. იგივე, გვ. 20.
82. История дипломатии. Т. 2; გვ. 130.
83. Документы внешней политики. Т.22; кн.1; გვ. 295-297.
84. Трухановский В.Г. Уйнстон Черчилль. М., 1977; გვ. 245.
85. Киссинджер Генри. Дипломатия. М., 1997; გვ. 300.
86. Черчилль Уинстон. Вторая мировая война. М., 1991; Т.1; Ч.1; გვ. 41.
87. Ширер Уйльям. Взлет и падение третьего рейха. М., 1991; გვ. 415.
88. იგივე, გვ. 416.
89. იგივე, გვ. 419.
90. იგივე, გვ. 420.
91. იგივე, გვ. 422, 562.
92. Хильгер Г. Записки дипломата. М. 1961 г. стр. 13.
93. Правда. 14.9. 1939.
94. Правда 30. 9. 1940.
95. История Великой отечественной войны. М. 1978г. стр. 44.
96. Соображения по плану стратегического развертывания иооруженных сил Советского Союза на случай войны с Германией. М.1995.
97. ББС. Русслая служба. 02.04.2015.
98. П. Судоплатовю Разведка и Крель. М., 2001г. стр. 133.
99. Foreign Polisy Report. November 15 1937, p. 205.
100. The Memoris of Cordell Hell. p. 592.
101. Шервуд Р. Рузвельт и Гопкинс. М., 1958, стр. 393.
102. Маслов. М. Зубров. С Перл-Харбор. Ошибка или провокация? М., 2006.
103. Договор между РСФСР и Персией. М. 1959. т. 3, стр. 535-539.
104. Документы внешней политики СССР. М., 1963. т. 8. стр. 862.
105. Даллес Аллен. Тайная капитуляция. М., 2004 г. стр. 278-283.
106. http:// biolife.ru/his/2983.htmls
107. Архив Внешней Политики РФ.Ф.06.1941.
108. Новейшая история Китая. М. 1984. Т. 11. стр. 195-201.
109. Коминтерн и Вторая мировая война. М., 1955. ч. 1. стр. 401.
110. Владимиров П, Особый район Китая. 1942-1945, М. Стр. 252.
111. Г. Киссинджер. Дипломатия. М. 1997. стр. 355-356.
112. В. Зубок. Неудавшая империя (от Сталина до Горбачова. М., 2002. стр. 59.

113.იქვე. გვ. 60.
114.„Правда“. 1946. 14 апреля.
115.„Правда“ . 1945. 2 ноября,
116.Нюнбергский процесс. Сборник материалов. М. 1954. т.2.стр.195.
117.htpp://www.lib.ru/memuary/shpeer.
118.Г. Киссинджер. Дипломатия. М. 1997г. стр. 406
119.The Department of State Bulletin. Jule 1949 p.86. Архив Александра Яковлева.
2. Альманах. М. 2001 г. Сборник документов США... М.1949 г. стр. 52-53.
120.Правда. 1949г. 22 июня.
121.Книга коммунизма. htpp:/krotov.info/lib.ru.
122.Капица М. Советско-китайские изаимоотношения. М.2014г. Стр.122-125
123.Г. Кисинджер. Дипломатия. М.1997г. стр. 475.
124.Советская историческая энциклопедия. М..1961 г. стр.188-189.
125. Cristian Strobelt:Der 17 Juni 1953 und das Ministerium Furstaatsicherheit. GRINverlag 1004 s23
126.Военная литература. Лавров С.Я. Попов И.М. http://militera.lib.ru
127.Г. Киссинджер. Дипломатия. М., 1997г. Стр. 503.
128.იქვე. გვ. 503.
129.Внешняя политика СССР. М. 1947г. Часть 11.1952г. стр. 241.
130.Меир Голда. Моя жизнь. Автобиография. Иерусалим.1990г. стр. 258.
131.R. Henrigues, „A100Hoursto suet“.
132.Дыхание горячей войны в Европе. 1858-1962 гг. М., 1994. Стр.156
133.А. Алексеев. Карибский кризис. Как это было. М. „Эхо планеты“.1988. № 33
134.http://history.ru/lenta vremeni
135.В. Пронин. "Военно-исторический журнал." М.1991г. №10. стр.12-14.
136.Шарль де Голль. Военные мемуары. т. 11, М., 1973 г. Стр. 337.
137.Н. Молчанов. Генерал де Голль. М., 1973 г. Стр. 224.
138.В.Трухановский. Антони Иден. М., 1976 г. Стр. 138-139.
139.იქვე. გვ. 152.
140.იქვე. 156.
141.იქვე. გვ. 251.

142.Де Голль. Военные мемуары. М. 1957 г. Стр. 29.
143.Н. Молчанов.Генерал де Голль. М. 1973 г. Стр. 378.
144.იქვე. გვ. 390.
145.Г. Киссинджер. Дипломатия. М., 1997 г. Стр. 530.
146.იქვე. გვ. 555.
147.იქვე. გვ. 555.
148.იქვე. გვ. 333.
149.Н. Молчанов. Генерал де Голль. М., 1973 г. Стр. 490.
150. А. Корвез. НАТО – препятствие для создания Большой Европейской наций. http:/www.idc-europe.org./ru/
151.რეიგანი. ბიოგრაფიული მემუარები. გვ. 84.
152.Н. Молчановю. Генерал де Голль. М. 1973г. Стр.434
153.იქვე. გვ. 437.
154.Г. Киссинджер. Дипломатия. М.,1997. стр. 631.
155.იქვე. გვ. 660.
156.Киссинджер. Г. О Китае. М. 2013 г. Стр. 217-222.
157.Советский Союз. Отношения Советского Союза с Израелем www.eleven.co.il/article
158.А. Розин. Советский ВМФ в сдерживании "шестидневней войны"
159.Г. Киссинджер. Дипломатия. М., 1997. стр. 781.
160.Советский Союзю Отношения Советского Союза с Израелем – www.eleven.co.il/article
161.А. Розин. Советский ВМФ в сдерживании шестидневней войны. www.hubpra.ru/alerozin.1967
162.http:wikipedia.org/wiki/
163.Б. Громов.Ограниченный контингент. М., 1993 г.
164.იქვე. გვ. 86-87.
165.Н. Леонов. Глазами очевидца. Военное обозрение. М. 1994 г. № 9.
166.О. Гриневский.Тайны советской дипломатии. М., 2000 г. Стр. 55-59
167.Ю. Емельянов. Мальта для всех. М., 1996. стр. 165-168.
168.В. Ключевский. Краткое пособие по русской истории. М.1999г. стр. 66-67.
169.Е. Гайдар. Гибель империи. М. 2005г. Стр. 4.

იოსებ (სოსო) ციწცაძე

დიპლომატია რიშელიედან გორბაჩოვამდე

სამეცნიერო რედაქტორი:
იგორ კვესელავა, სრული პროფესორი
რედაქტორი: სიმონ კილაძე
თბილისი
2016

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com